ვიქტორ ჰიუგო

კაცი, რომელიც იცინის

პირველი ნაწილი

ბაბილინა ხოსიტაშვილის თარგმანი

ინგლისში ყველაფერი დიდებულია, ცუდიც კი, თვით ოლიგარქიაც. ინგლისის პატრიციატი, პატრიციატია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ფეოდალური წყობილება არსად ყოფილა ესოდენ ბრწყინვალე, ესოდენ მკაცრი და ესოდენ გამძლე, როგორც ეს ინგლისში იყო. მაგრამ უნდა ვალიაროთ, რომ თავის დროზე იგი სარგებლო აღმოჩნდა. სწორედ ინგლისში უნდა ვსწავლობდეთ ფეოდალურ სამართალს ისე, როგორც მეფის უფლებას საფრანგეთში.

ამ წიგნისთვის უფრო შესაფერისი იქნებოდა „არისტოკრატია" დაგვერქმია. მეორე წიგნს, რომელიც ამის გაგრძელება იქნება, შესაძლოა ვუწოდოთ „მონარქია". ორივე ხსენებული წიგნი, თუკი ავტორი დაასრულებს ამ შრომას, წინამორბედი იქნება მესამისა, რომელიც თავის მხრივ დააბოლოებს მთელ ციკლს და ეწოდება „ოთხმოცდაცამეტი წელი".

ოტვილ-ჰაუსი. 1869 წ. აპრილი.

ორი წინასწარი თავი

I

ურსუსი

1

ურსუსსა და ჰომოს მტკიცე მეგობრობა აკავშირებდა. ურსუსი ადამიანი იყო, ჰომო – მგელი. ზნე-ჩვეულებით ისინი ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. მგელს ეს სახელი ადამიანმა უწოდა. ალბათ, თავისი სახელიც თვითონვე შეირჩია; სახელი „ურსუსი" თავისთვის შესაფერისად რომ მიიჩნია, გადაწვიტა. „ჰომო" ნადირს უფრო შეშვენისო. ადამიანისა და მგლის მეგობრობა მეტად მოსწონდათ ბაზრებზე. საეკლესიო დღეობებზე, ჭუჭებსა და მოედნებზე, სადაც კი

ამულელ-ჩამულელი თავს იყრის; უბირ ადამიანებს სული წასძლევთ ხოლმე, ყური დაუგდონ ლახლანდარობას და თაღლითი ქურდბაშებისაგან რაიმე წამლეწული იყიდონ. ბრბოს მეტად მოსწონდა მგელი თავისი პატრონის ბრძანებას ძორწილად რომ ასრულებდა. მოთვინიერებული ნადირი სასიამოვნო სანახაობაა. ჩვენ დიდ სიამეს განვიცდით, როდესაც ათასნაირად გაწვრთნილ ნადირს ვუყურებთ, სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს მეფეთა საზეიმო მხლებლობას აუარებელ მაცქერალთა თაყვანება.

ურსუსი და პომო სხვადასხვა გზავაჭრებისა და მოედანზე დაეხეტებოდნენ, ხან აბერისთვითის მოედანს ეწვეოდნენ, ხან ოქტბურგიას, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ, საგრაფოდან საგრაფოში ან ქალაქიდან ქალაქში. ერთ ბაზარზე რომ მოათავებდნენ თავიანთი „ხელოვნების“ ნიმუშების ჩვენებას, ახლა სხვა ბაზარს მიაშურებდნენ. ურსუსი ცხოვრობდა საგორავებზე შეკმულ კარავში, რომელსაც საკმაოდ გაწერთნილი პომო დღისით მიაგორებდა, ხოლო დამდამობით დარაჯობდა. როდესაც გზა ძნელად სავალი ხდებოდა ოღრონჭოღრონებში, ტალახებსა თუ აღმართებში, ადამიანიც შეებამდა ქედზე ჭაპანსა და მგელთან ძმურად, მხარდამხარ ენეოდა საზიდარს. ასე შეაბერდნენ ერთმანეთს.

სადაც დაულამდებოდათ, ღამის გასათევადაც იქვე დაბანაკდებოდნენ ხოლმე: მინდორზე, ტყის პირად, გზაგასაყარზე, სოფლის ღობეებთან თუ ქალაქის ალაყაფის კარებთან, საბაზრო მოედანთან თუ ხალხის გასართობ სასეირნო ადგილებში, ბაღის ბუჩქებთან თუ ეკლესიის კარიბჭესთან. როდესაც საზიდარი რომელიმე ბაზართან ან მოედანზე გაჩერდებოდა, როდესაც მოცლილი, სეირის მოყვარული ხალხი გამორბოდა და მის გარშემო ჯგუფდებოდა, ურსუსი მაშინვე ამეტყველდებოდა, პომოც ყურს უგდებდა და თანხმობის ნიშნად თავს აკანტურებდა. შემდეგ მგელი ჩამოუყლიდა მაყურებელს და მოწყალებას თაყვანისცემით აგროვებდა ხის ჯამში, რომელიც კბილებით ეჭირა. ასე შოულობდნენ ისინი საზრდოს. მგელიც განსწავლული იყო და ადამიანიც. მგლისთვის ადამიანს ესწავლებინა, ან მას, მგელს, თვითონვე შეესწავლა სხვადასხვა მგლური ოინი, რის გამო საჩუქრებიც უფრო მეტად უგროვდებოდათ.

— რაც მთავარია, ადამიანად არ გადაგეარდეო, — მეგობრულად ეტყოდა ხოლმე მგელს პატრონი.

მგელი არასოდეს იკბინებოდა, ხოლო ადამიანი ხან კბენასაც არ ერიდებოდა. ყველა შემთხვევაში, თითონ ურსუსი ხშირად ვერ სძლევდა კბენის სურვილს. ურსუსა მიზანტროპი იყო და ადამიანისადმი სიძულვილი უფრო მეტად რომ გამოეხატა, ჯამბაზობა დაიწყო. თანაც ხშირად ხომ როგორმე უნდა ეშოვა, რადგან კუჭი თავისას ითხოვდა. მაგრამ ამ მიზანტროპსა და ორანბაზს ისიც სურდა, რომ უფრო რთული სამუშაო მოენახა ან უფრო უკეთესი ადგილი დაეჭირა ცხოვრებაში, ამიტომ ექიმბაშობაც დაიწყო. ეს კიდევ რაა, ურსუსი მუცლითმეზღაპრეც იყო. ბაგეებს არ ამოძრაებდა, ისე ლაპარაკობდა, განაცრად პბაძავდა სხვასხვა ადამიანის ხმასა და კილოს, ამიტომ ირგვლივ თავშეყრილნი მეცდომაში შეჰყავდა. ამის გარდა, ურსუსი მარტოდმარტო მთელ ბრბოსავით ხმაურობდა, და მას ხრული უფლება ეძლეოდა, „ენგასტრიმიტი" ეწოდებინა თავისი თავისთვის. მან ეს სახელწოდება მიიღო კიდევაც, ურსუსი სხვადასხვა ფრინველის პბაძავდა, მრავალნაირ ხმაურს ასახიერებდა: ჭიკჭიკითით ნრიპინებდა, ტორილასაით ანდა თეთრმკერდა შაშვივით გალობდა, ისიც ხომ ამ ფრინველებით ქვეყნის ხან ერთ მხარეში გამოჩნდებოდა და ხან მეორეში. მისი ნიჭის წყალობით, ხან ხალხით საესე მოგუგუნე მოედანი დაგიდგებოდათ თვალწინ, ხან მინდვრად ნახირის ბღავილი შემოგესმებოდათ; ზოგჯერ მრისხანე იყო, როგორც მგრგვინავი ბრბო, ხან კიდევ ბალღივით შშიდი, დილის ცისკრის მსგავსი. ამგვარი ნიჭიც აქვთ ხოლმე, თუმცა კი იშვიათად. გასულ საუკუნეში იყო ვინმე ტუზელი, რომელიც ადამიანებისა და მხეცების შერეულ ხმაურს პბაძავდა და ცხოველთა ყოველნაირ ბღავილს ასახიერებდა; ის, როგორც კაცი-სამხეცე ბიუფონთან* მსახურობდა კიდეც. ურსუსი უკიდურესობამდე თავისებური ხნისა იყო: გულთმისანი და ცნობისმოყვარე. მას ყოველგვარი უცნაური ამბები უყვარდა, რომლებსაც ჩვენ არაკებს ვუწოდებთ, და თავიც ისე ეჭირა, ვითომდა თვითონვე სწერდა ეს მოგონილი ამბავი. ეს ხომ ერთგვარი ხერხია გაქნილი თაღლითისა. მკითხაობდა ხელისგულზე და ალაბეჭდზე გადაშლილი წიგნის ფურცლებზე ამოკითხულითაც; ბედისწერასაც წინასწარმეტყველებდა; ცული თუ კარგი ნიშნების განმარტებაც ეხერხებოდა; ირწმუნებოდა, შავი ჭაკი ცხენის დანახვა ავის მომასწავებელიაო, მაგრამ ის უფრო საშიშია, როცა სადმე წასასვლელად გაეშვადები და შეგეკითხებაო:

„სად მიდიხარო". ურსუსი თავის თავს „ცრუმორწმუნე მოკაჭრეს" ეძახდა და თან უმატებდა: „მე ამას არ ვმალავ. აი, რა განსხვავებაა კენტერბერიის მთავარეპისკოპოსსა და ჩემ შორისო". ამის გამო მთავარეპისკოპოსი სამართლიანად აღშფოთდა და ურთხელაც თავისთან დაიბარა, ხოლო ურსუსმა მოხერხებულად დააცხრო მისი უწმინდესობის მრისხანება. მან მის წინაშე წაკითხა თავის მიერ შეთხზული ქრისტეშობის დღის ქადაგება, და ეს ქადაგება ისე მოეწონა მთავარეპისკოპოსს, რომ ზეპირად შეისწავლა. კათედრიდან წარმოთქვა და დაბეჭდა კიდევაც, როგორც თავისი საკუთარი ნაწარმოები. ამის გამო აპატიეს ურსუსს დანაშაული.

ურსუსი თავისი ხელოვნების წყალობით კურნავდა კიდეც ავადმყოფებს ან იქნებ ამას თავისი ხელოვნების გარეშეც ახერხებდა! იგი სურნელოვანი მცენარეულობით სარგებლობდა. კარგად იცნობდა ყველა სამკურნალო ბალახბუღახს და ჩინებულად იყენებდა კიდევაც მკურნალობისთვის სასარგებლო ამ აუარებელ მახალას: შავბალახას, ძახველს, თეთრსა და მარადმწვანე უზანას, ხეშავას. ჭლექიანებსაც მკურნალობდა; განსაკურნავად რძიანას ფოთლებსაც ხმარობდა; ეს ფოთლები, ძირში მოკრეფილი, კუჭს უშლიდა ადამიანს, ხოლო წვეროში მოკრეფილი – პირსაქმებას იწვევდა; ყელის ტკივილის დროს იმ მცენარის შენაზარდებს ხმარობდა, რომელსაც „ურიის ყურები" ეწოდება; იცოდა, რა ჯიშის ლერწით უნდა მოერჩინა ხარი, ან წყლისპირა გარეული თუ სხვა პიტნის ნახარშით რიგორ წამოეყენებინა ფეხზე ავადმყოფი ცხენი; იცოდა მანდრაგორის ყველა სასარგებლო ზემოქმედებანი ადამიანის ჯანმრთელობაზე; ყველამ უწყის, რომ მანდრაგორა ორსქესიანი მცენარეა. ყოველი მოსალოდნელი შემთხვევისათვის ურსუსს შესაფერისი წამალი გააჩნდა. დამწვრობას სალამანდრას კანით არჩენდა. სხვათა შორის, პლინიუსის* თქმით, ნერონს სალამანდრას კანისგან ნაკეთები ხელსაბოცი ჰქონია. ურსუსს კუდა და ამბუხიც გააჩნდა, წამლეულს თვითონვე აკეთებდა და ავადმყოფებსაც თვითონვე აძლევდა ამ უნაგერსალურ წამლეულობას. ამბობდნენ, ურსუსი ერთ დროს საგუშაგოშიც იჯდაო; მას თურმე პატივი დასდეს და ჭკუაზე შეშლილად ცნეს, მაგრამ მალევე გაათავისუფლეს, რადგან დარწმუნდნენ, რომ ის მხოლოდ პოეტი იყო. შესაძლოა, ასეთი რამ არც მომხდარა, ყველა ჩვენგანი ვოფილა ამგვარი მითქმა-მოთქმის მსხვერპლი.

სანამდეულეში ურსუსი დიდი შეგნობარი იყო. ამ ადამიანს ცხოველი მისწრაფება ჰქონდა ყოველგვარი მეცნიერებისადმი. ლათინურად თხზავდა ლექსებს. ორივე სფეროს ოსტატი იყო. პაპკრატეს* მიმდევარიც გახლდათ და პინდარესიც.* პოეტური ხელოვნების ცოდნაში მას შეეძლო რაპენსა* და ვიდას* შესტოდრებოდა. მას იეზუიტური ტრაგედიების შეთხზვაც არანაკლებად ეხერხებოდა, ვიდრე მამა ბუჰურს. უძველეს მთხზველთა რითმებისა და ხომების ხედმიწევნითი ცოდნის წყალობით, ურსუსი თავის ყოველდღიურ მეტყველებაში, როცა კი დასჭირდებოდა, მოხერხებულად იყენებდა ხატოვან გამოთქმებსა თუ მრავალნაირ კლასიკურ მეტაფორებს. თუ დედას წინ ორი ქალიშვილი მიუძღოდა, ამაზე ურსუსი იტყოდა: „ეს დაქტილიაო", თუ მამას ორი ვაჟიშვილი უკან მოსდევდა – „ეს ანაპესტიაო", თუ ბებიასა და პაპას შუა შვილიშვილი მოაბიჯუებდა: „ეს ამფიმაკრიაო".* მხოლოდ ასეთი ცოდნის წყალობით შეიძლება ადამიანმა ნახევრად მშიერმა იცხოვრო. სალერნოს სკოლა* გვირჩევს: „ცოტა-ცოტა ჭამეთ, ღრონდ ხშირადო"; ურსუსი ცოტას ჭამდა, მაგრამ იშვიათად, ამგვარად, იგი ზემოთ ხსენებული დარიგების მხოლოდ პირველ ნახევარს ეთრჩილებოდა. მაგრამ ამ უკანასკნელში საზოგადოება იყო დამნაშავე, რადგან ყოველდღე რიდი იკრიბებოდა ურსუსის გარშემო და არცთუ ხშირად ყიდულობდა მისგან წაძლეულს. ურსუსი იტყოდა ხოლმე: „დარიგების ნაშთნთხეთი გულზე მოშეშება. მგელი თავს ინუგეშებს ჟმუილით, ცხვარი – მატყლით, ტყე – ფრინველთა ჭლურტულით, ქალი – სიყვარულით, ხოლო ფილოსოფოსს სხვისი სწავლა-დარიგების წარმოთქმა სიამოვნებსო". ურსუსი საკუთარი საჭიროებისთვის კომედიებსაც შეაკოწიწებდა ხოლმე და ამ კომედიებს თვითონვე დიდი გაჭირვებით წარმოადგენდა მოედნებსა და ბაზრებზე; ასეთი წარმოდგენები წაძლების გაყიდვასაც ხელს უწყობდა. სხვა თავის ნამოქმედართა შორის, შეთხზა კიდეც პერიოკული პასტორალი, რაინდ პიეუ მიდლტონის პატივსაცემად, რადგან ამ უკანასკნელს 1608 წელს ლონდონში მდინარე გამოეცვანია. ეს პატარა მდინარე პარტფორდის საგრაფოში, ლონდონიდან სამოცი მილით დაშორებული, წუნარად მოედინებოდა; გამოჩნდა რაინდი მიდლტონი და მდინარეს დაეპატრონა; მან თან ექვსასი კაცი მოიყვანა, ბარებითა და თოხებით შეიარაღებული, დაიწყეს მიწის თხრა, ზოგან

აღრმავებდნენ ნიადაგს, ზოგან ამაღლებდნენ. მდინარის ნაკადი ხან ოცი წყრთით ზემოთ, მაღლობებზე აჰყავდათ, ხან ოცდაათი წყრთით ქვევით, დაბლობებში ჩამოჰყავდათ; იმავე რაინდმა მაწის ზემოთ წყალსადენები ხე-ფიცრისა გააწყო; რვაასი ხიდი ააშენა, — ზოგი ქვა-ლოდისა, ზოგი ქვითკირისა და ზოგიც ძელებისაგან. ამგვარად, ერთ მშვენიერ დილას მდინარე შიგ ლონდონში მოვარდა; ხოლო ლონდონი ამ დრომდე სასმელ წყალს მოკლებული იყო. ურსულმა ეს პროზაული ამბავი მშვენიერ ბუკოლიკურ სანახაობად აქცია და მოქმედება გადაიტანა მდინარე თემზასა და სერპანტინას შორის. მდინარის ძალუმი აზვირთება იზიდავს თავისკენ პატარა ნაკადისებურ ღელეს, თავის სარეცელს სთავაზობს და ეტყვის: „მე ძალზედ ხნიერი ვარ საიმისოდ, რომ ქალები მოვხიბლო, მაგრამ იმდენად მდიდარი კი ვარ, რომ მოვისყიდო ისინი". ეს თქმა ერთგვარი გონებამახვილური და თავაზიანი ნართაული იყო იმის შესახებ, რომ სერ ჰიუ მიდლტონი ყველა სამუშაოს თავისი ხარჯით გაუძღვა.

ურსულის მონოლოგების ოსტატიც იყო, განმარტოებით ყოფნაც უყვარდა, ლაპარაკიც. როდესაც არავისთან ყოფნა არ სურდა, მაგრამ ვისთანმე საუბრის მოთხოვნილებას კი გრძნობდა, გამოსავალს იმაშიღა პოულობდა, რომ თავისსავე თავს ესაუბრებოდა. ვისაც განმარტოებით უცხოვრია, მან კარგად იცის, რაოდენ ეთვისება ადამიანის ბუნებას მონოლოგი. ჩვენს გუნებაში აძგერებული სიტყვა ჩვენშივე გულის ერთგვარ ქენჯნას აღძრავს, ხოლო როდესაც იგივე სიტყვა სივრცეში გახმაურდება, გვგონია, თითქოსდა გულს მქენჯნავი საცობი აეხადაო; როდესაც მარტოდმყოფი ადამიანი ხმამაღლა ლაპარაკობს, იგივეა, ვითომ ღმერთთან საუბრობდეს, ღმერთთან, რომელიც ჩვენში არსებობს. ასე სჩვეოდა, როგორც ყველამ უწყის, თვით სოკრატეს. იგი თავისი თავის წინაშე წარმოთქვამდა ხოლმე სიტყვა-ქადაგებას. სწორედ ასევე იქცეოდა ლუთერიც. ურსულიც ამ ორ უდიდეს ადამიანს ჰბაძავდა. მას გაორების უნარიც ჰქონდა: თავისი ქადაგება-დარიგების მსმენელიც თვითონვე იყო, ასე ვთქვათ, თავისი აუდიტორია. კითხვებსაც სვამდა და თვითონვე პასუხობდა ამ კითხვებს. თავის თავს ჯერ ქება-დიდებას შეასხამდა, შემდეგ საყვედურებსა და შეურაცხმყოფელ სიტყვებსაც უხვად მიაყოლებდა. ქუჩაშიც კი ისმოდა, როდესაც ურსუსი მარტოდმარტო ორატორობდა თავის საზიდარ კარავში. გამვლელები,

რომლებსაც შესწევთ უნარი, თავისებურად შეაფასონ არაჩვეულებრივი ადამიანების საქციელი, ურსუსზე ასე ამბობდნენ: „რა იდიოტია!“ ხან, როგორც ვთქვით, ურსუსი თავის თავს ჯეროვანადაც უხლაგდა. ერთხელ ამ მოკლე სიტყვაში, რომლითაც თავის თავს მიმართავდა, ამგვარად წარმოთქვა: „მე შევისწავლე მცენარე, ყველა მისი საიდუმლოება, შევისწავლე მისი ღერო, კვირტი, ჯამის ფოთლები, ყვავილთა ფურცლები, მტვრიანა, ბუტკო, თესლკვირტი, მისი ხორანგიები და აბოტკვიები. მე მიუწვდა ქრომატიას, ოსმოსისა და ქიმოსიას; ხვანაირად რომ ითქვას, ფერის, სუნისა და გემოს წარმოშობას“. ეს ატესტატი, რომელსაც ურსუსი საკუთარ თავს აძლევდა, ერთგვარად, ტრაბახს წააგავდა, მაგრამ, დავ, ვინც არ მისწვდომია ქრომატიას, ოსმოსისა და ქიმოსიას, პირველად მან ესროლოს ქვა ურსუსს.

საბედნიეროდ, ურსუსი არასოდეს ყოფილა ნიდერლანდებში. იქ მას უსათუოდ სასწორზე დადებდნენ, რათა წონა გამოერკვიათ და დაედგინათ, იყო თუ არა მისი სხეული სათანადო სიმძიმისა; თუ სათანადოს ან გადააჭარბებდა, ან მოაკლდებოდა, იმის ნიშანი იყო, რომ ეს კაცი ჯადოქარი ყოფილა. ჰოლანდიაში ეს სავალდებულო წონა მეტად გონიერულად იყო დადგენილი კანონით, განაცრად მარტივი ხასიათისა და ჭკუამახვილური იყო ეს შემოწმება. ადამიანს სასწორზე დასვამდნენ და ყველაფერი უშალვე ირკვეოდა: თუ ძალიან მძიმე მოეღოდა, ჩამოახრჩობდნენ; თუ მეტისმეტად მსუბუქი, კოცონზე წვაედნენ. უდევატერში ახლაც შეიძლება ნახოთ ის სასწორი, რომელზედაც წინათ ჯადოქართ წონიდნენ, ხოლო ახლა, ჩვენს დროში, ამ სასწორზე ყველას წონიან – აი, როგორ გადაგვარდა რელიგია! გაძვალტყავებული ურსუსი რა დღეში ჩაარდებოდა, ამ სასწორზე რომ აეწონათ! მოგზაურობის დროს ურსუსი ჰოლანდიის შორს შემოუვლიდა ხოლმე და კარგადაც იქცეოდა. თუმცა, ჩვენი მოსაზრებით, ურსუსი, საერთოდ, დიდი ბრიტანეთის საზღვრებს არც გასცილებია.

ასე იყო თუ ისე, ურსუსი ძალიან ღარიბი კაცი გახლდათ და თან მკაცრი ხასიათითაც; როგორც კი ტყეში პოძის გაეცნო, მაშინვე მოხეტიალე ცხოვრების სურვილი აღეძრა, მგელი შეაშხანაგა და მასთან ერთად გაუდგა გზას. სრულიად თავისუფალი, მაგრამ, ამავე დროს, მოულოდნელი შემთხვევებით სავსე ცხოვრება დაიწყო.

ურსუს გამომგონებლობის უნარი ჰქონდა, წინდახედულიც იყო, დიდად გამოცდილი ექიმობაშიც და ყოველნაირ თვალთმაქცობაში კარგი ხელოვანიც გახლდათ. კარგი ჯამბაზისა და, ამასთანვე, ჩანებული მკურნალის სახელიც ჰქონდა მოხვეჭილი; აქედან ცხადია, რომ მისან-გრძნეულადაც თვლიდნენ, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ, რადგანაც იმჟამად მეტად სახიფათო იყო, თუ კაცს ხმა გაუვარდებოდა, ეშმაკეულთა მოზიარეობა. მართალი უნდა ითქვას, რომ ურსუსი ფარმაციისა და წამლეულობისათვის სახმარ ბალახ-მცენარეულობისადმი ლტოლვის გამო ეჭვსაც იწვევდა, რაკი ხშირად ბალახეულის ძებნა-მოკრეფისთვის ტყის ისეთ გაუვალ-გაბარდულ და ჩაბნელებულ ადგილებში მიდიოდა, სადაც ლუციფერის სალათა იზრდება და სადაც, მრწუველ დანრის დადგენილების მიხედვით, შესაძლოა, საღამოს ბინდში მანის წიაღიდან ამოსულ კაცს გადაეყაროს, „მარჯვენა თვალით ულამს, ლაბადამოხსნილს, ქამარზე დაშნითა და ფეხშიშველს". მიუხედავად ასეთი უცნაური ხასიათისა, ურსუსი მეტად წესიერი ადამიანი იყო; არავითარ შემთხვევაში იმ უწესობას არ ჩაიდენდა, რომ გრძნეულებით გამოეწვია სეტყვა ან მოეწვენებინა მოელანდებინა ვინმესთვის, ან შეეურვებელი ცეკვა-როკვით ვინმე გულის წასვლამდე მოეღალა. არც სიბრძნებით, მით უფრო საზარელი სიბრძნებით შეაწუხებდა ვინმეს; ისე რომ, თავის მისნობას იგი ბოროტად არ იყენებდა და არცთუ რაიმე თილისმით კერცხიდან ოთხფრთიან მაძალს გამოიყვანდა. ამგვარ ოინებს მას ვერ დასწამებდით. არც ისეთ სისაძაგლეს ჩაიდენდა, მაგალითად, რომ ელაპარაკა გერმანულად, ძველებრაულად ან ბერძნულად, თუ ეს ენები ზედმიწევნით შესწავლილი არ ჰქონდა, რაც ნიშანია ან ეშმაკის ცდუნებისა, ან ბუნებრივი სნეულებისა, რომელიც შელანქოლიის შედეგია. და თუ ურსუსი, საჭიროების მიხედვით, ლათინურად დაილაპარაკებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ენა მან იცოდა. არც იმის ნებას მისცემდა თავის თავს, რომ სწორედ ელაპარაკა, რადგან არც ეს ენა იცოდა, გარდა ამისა, დამტკიცებულია, რომ სწორედ ენა როკაბების ენაა. მედიცინაში ურსუსი სამართლიანად აძლევდა უპირატესობას პალენს, ვიდრე კარდანოს*, რადგან კარდანო, მიუხედავად თავისი განსწავლულობისა, პალენთან* შედარებით, საბრალო ჭიაა.

ერთი სიტყვით, ურსუსი იმ პიროვნებათა რიცხვს არ ეკუთვნო-

და, რომელთაც პოლიცია ხშირად აფორიაქებს. მისი სახიდარი იმ სიგრძე-სიგანისა კი იყო, რომ შეეძლო დაწოლილიყო კიდევაც შიგ მდგარ ხკივრზე, ხოლო ამ ხკივრში ურსუსი თავის არცთუ იმდენად მდიდარ ბარგი-ბარხანას ინახავდა. მის ავლადიდებას შეადგენდა ფარანი, რამდენიმე პარიკი, ზოგი რამ სახმარ-საციქველი, ლურსმნებზე დაკიდებული, და, აგრეთვე, მუსიკალური ინსტრუმენტები. ამას გარდა, მას კიდევ დათვის ტყავი ჰქონდა, რომელსაც დიდი წარმოდგენების დროს მხრებზე წამოისხამდა ხოლმე. ამას ის უწოდებდა „საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობას“. „მე ორი ტყავი მაქვსო, — ამბობდა იგი, — აი, ეს არის ჩემი ნამდვილი ტყავიო“, — და დათვის ტყავზე მიუთითებდა. სახიდარი მისიც იყო და მგლისაც. ამ სახიდრის, რეტორტა-კულასა და მგლის გარდა, ურსუსს ჰქონდა კიდევ ფლეიტა და ვიოლა-და-გამბა,* რომელსაც სასიამოვნოდ უკრავდა. ელექსირებსაც თვითონვე ამზადებდა. მაგრამ ეს მრავალმხრივი ნიჭი ყოველთვის როდი ამარაგებდა სავახშმო სანოვაგით. მის ქოხურას ჭერში თუჯის ღუმლის მილისათვის ნახვრეტი ჰქონდა ამოჭრილი. ღუმელი ხკივრთან და ზედ კედელთან ისე ახლოს იყო მიდგმული, რომ ფიცრის კედელი თითქმის ნახევრად დამწვარიყო კიდევაც. ღუმელს ორი განყოფილება ჰქონდა. ერთში ურსუსი ბალახ-წამლეულს ადუღებდა, მეორე განყოფილებაში კარტოფილს ხარშავდა. სახიდრის ქვეშ, ღამღამობით, ურსუსი მგელს მეგობრულად მიუალერსებდა და ჯაჭვით აბამდა. ჰომოს ბალანი შავი ჰქონდა, ხოლო ურსუსს — ჭაღარა თმა. ურსუსი ორმოცდაათის ან სამოცი წლისა იქნებოდა. იმდენად დამორჩილებოდა ადამიანის ბედილბალს, რომ, როგორც ზევითაც ვთქვით, მხოლოდ კარტოფილით იკვებებოდა. კარტოფილს კი იმხანად მეტად უკადრისობდნენ, მხოლოდ ღორებსა და კატორღაში მსჯავრდებულებს აჭმევდნენ. ურსუსი, მართალია, კარტოფილს გულისწყრომით ჭამდა, მაგრამ თავის ხვედრს მაინც ემორჩილებოდა. ტანად ურსუსი დიდი არ იყო, მაგრამ მაღალი ჩანდა და ახმახიც კი მოგეჩვენებოდათ სიგამხდრის გამო. მხრებში ოდნავ მოხრილი, მუდამ დაფიქრებული დადიოდა. ხნიერი ადამიანის მხრებშემოხრილობა მისივე განვლილი წლების ტვირთია. ურსუსს ბედისწერად თან დაჰყოლოდა მუდმივი დაღვრემილობა. ძალისძალად თუ გაიღიმებდა, ხოლო ტირილს ვერასდროს ვერ ახერხებდა. ცრემლებით თავს ვერ ინუგეშებდა, არც მხიარულება-

შე პოულობდა დროებით შეცბას. მოხუცი — ეს მხოლოდ და მხოლოდ მოახლოვებულ ნანგრევია. ურსუსი სწორედ ასეთი ნანგრევი იყო, თავდაპირველად მრავალსიტყვა, წინასწარმეტყველებით ჩამოშხაპული, დამუხტული ნალმივით აღგზნებული. ახალგაზრდობისას იგი ერთ ლორდის სასახლეს აშშენებდა თურმე, როგორც ფილოსოფოსი.

ყველაფერ ეს ხდებოდა ას ოთხმოცი წლის წინ, იმჟამად ადამიანები ცოტა უფრო მეტად მგლობდნენ, ვიდრე ჩვენს დროში.

თუმცა, არც ისე მეტად.

2

პომო ჩვეულებრივი მგელი რიდი იყო. შინდისა და ვაშლის ისეთი სიხარბით ეტანებოდა, რომ იტყოდით, ტრამალების მგელიაო. ბალანი ისეთი მუქი ფერისა ჰქონდა, აფთარს მოგაგონებდათ. მისი ღმუილი ყეფასაც ჰგავდა, ისეთს, რომ, ჩალის ველური ძაღლი გეგონებოდათ, ხოლო ამ ცხოველის თვალის გუგა საკმაოდ შესწავლილი არ არის და შესაძლოა, იგი მგლების ნაირსახეობა იყოს. მაგრამ პომო ნამდვილი მგელი იყო. მისი სიგრძე ხუთ ფერთას უდრიდა. ეს მგლისათვის ლიტკაშიც კი კარგა დიდ ზომად ითვლებოდა. ამგვარი მგელი ძალიან ღონიერია და ქვეშ-ქვეშა მზერაც იცის, მაგრამ ეს ამბავი მგელს დანაშაულად არ ჩაეთვლებოდა. ენა მას რბილი ჰქონდა. ხანდახან შეხლებს ულოკავდა ურსუსს. ზურგზე მოკლე ჯაგარი გახდებოდა. გამხდარი იყო და მჭლე, მაგრამ მისი სიმჭლეც სიგამხდრე ტყის ნადირის სისალეს ნიშნავდა. ვიდრე ურსუსი ამ მგელს მოიშინაურებდა და საზიდარში შეაბამდა, მას შეეძლო ერთ დამეში ორმოცი ლიე გაერბინა. ურსუსი მას ტყეში, ნაკადულთან წააწყდა. და რაკი ნახა, რომ მგელი მეტად ფრთხილად აჭერდა კბილს, პატიესცემა იგრძნო მისდამი, თან, თავისდა სახიამოვნოდ, აღმოაჩინა, რომ ეს ნადირი შესანიშნავი ეგზემპლარია ეგრეთ წოდებული კბილსმჭამელი ძაღლების ჯიშის გვიანელი კუპარა მგლისა.

ურსუსმა საპალნე ცხოველად, ვირის მაგიერ, პომო აირჩია. მას არ უნდოდა, ვირი შეება თავის საზიდარში: ამ პირუტყვს მეტად სძულდა პატიეს. ამასთანავე, ურსუსს შეშინებული ჰქონდა, რომ ვირს, ამ ოთხფეხა ცხოველს, ადამიანთაგან ჯერაც ამოუცნობ მეცნიერებას, არასახიამოვნო ჩვეულება აქვს — აკქეიტის ჯურება მაშინ, როდესაც ფილოსოფოსები რაღაც სისულელეს წარმოთქვამენ. მა-

მასადამე, ვირი ჩვენსა და ჩვენს აზრებს შორის მოწმე ხდება, რაც ჩვენთვის ერთგვარ უხერხულობას ქმნის. ურსულს პომო ძაღლსაც ერჩივნა სამეგობროდ, რადგან იცოდა, რომ მგელი ადამიანს უფრო ძნელად უმეგობრდება.

ამგვარად, ურსუსი პომოთი სრულიად კმაყოფილი იყო. პომო მისთვის მეგობარზე უფრო მეტსაც ნიშნავდა, მსგავსება მათ შორის დიდი იყო; ურსუსი ჩაცვენილ ფერდებზე ხელს მოუთათუნებდა მგელს და იტყოდა:

„მე ჩემი მეორე გამოცემა ვიპოვე".

ურსუსი ამბობდა ხოლმე: „როცა მოვკვდები, თუ მოისურვეს გაიგონ, როგორი ვიყავი მე, საკმარისია მხოლოდ პომოს თვისებებს გაეცნონ. პომო — ეს ჩემი მეორე პირიაო".

ინგლისის კანონი არცთუ ისე სწყალობდა ნადირებს: ამ კანონს შეეძლო, მგელს გამოსდევებოდა და პასუხისგებაში მიეცა იმის გამო, რომ ის ასე თავისუფლად დაიარებოდა ქალაქიდან ქალაქში; მაგრამ პომო, ედუარდ IV-ის ერთ-ერთი სტატუსის მიხედვით, ხელშეუხებლობით სარგებლობდა. ეს სტატუსი შინაურ ცხოველებს ეხებოდა და იუწყებოდა: „ყოველი შინაური ცხოველისათვის ნებადართულია თავისუფლად ახლდეს თავის პატრონს". გარდა ამისა, მგლებისადმი მკაცრი მოპყრობის რამდენადმე შესუსტება მოდად შემოიღეს უკანასკნელი სტიუარტების დროს სასახლის ხეფექალებმა, რომელთაც ძაღლების მაგიერ პატარა, კატისოდენა თეთრი მელიები ჰყავდათ ხოლმე, დიდი საფასურით გამოწერილი აზიის ქვეყნებიდან.

ურსუსმა პომოს თავისი ნიჭიერება-უნარიანობიდან ზოგი რამ გადასცა: ასწავლა უკანა ფეხებზე დგომა, მრისხანების შეკავება, რაც მხოლოდ უგუნებობითღა უნდა გამოეხატა. ყმუილის მაგიერ, ყრუ ბურდღუნს დაიწყებდა და სხვა. მგელმაც, თავის მხრივ, ადამიანს საკუთარი ცოდნა-გამოცდილება გადასცა: ასწავლა უსახლკაროდ გაძლება, უპუროდ, უცეცხლოდ ყოფნა; ისიც ჩააგონა, რომ სჯობია ტყეში მშიერმა იარო, ვიდრე სასახლის მფლობელს ემონო.

ურსუსის მოძრავი ქოხურა, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით მგზავრობდა, ინგლისისა და შოტლანდიის ფარგლებს არ სცილდებოდა. იგი ორ წყვილ ბორბალზე იყო შედგმული და მგლის შესაბმელად ხელნები ჰქონდა მისადაგებული, ხოლო

ადამიანისთვის — ჭაპანი. ამ ჭაპანს მხოლოდ ცუდ გზებზე იყენებდნენ. ქოხურას, თუმცა ის თხელი ფიცრებიდან იყო შეკრული, სიმკვრივე მაინც არ აკლდა. წინამოდან შუშიანი კარი ჰქონდა. ქოხურა ღამით, სიფრთხილისთვის, კლიტითა და ჩანგლითაც იკეტებოდა უკანა კარიდან, ხოლო კარს ქვემოთ სამსაფეხურიანი საკეცი კიბე იყო. ამ საგორავებიან ქოხურას თავისი არსებობის მანძილზე მრავლად შესწრებია თოვლიან-წვიმიანი დღეები, ოდესღაც შეღებილიც ყოფილა, მაგრამ ახლა ვერ გაარჩევდით, რა ფერისა უნდა ყოფილიყო ის საღებავი. უნდა ითქვას, რომ ამინდის შეცვლა სამგზავრო საზიდრებზე ისეთსავე გავლენას ახდენს, როგორსაც — გვირგვინოსნთა ცვლა კარისკაცებზე. საზიდარს გარედან, ოდესღაც თეთრად შეღესილ კედელზე, ემჩნეოდა შავი ასოებით წანაწერი, ეს წანაწერი დროთა ვითარებას წაეშალა, მაგრამ მაინც ამოიკითხავდა კაცი:

„ოქრო ყოველ წელიწადს, ხახუნის გამო, თავისი მოცულობის ერთ მეათასოთხასედ ნაწილს კარგავს; ამას ფულის წონის დაკარგვას უწოდებენ. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ მილიარდ ოთხასი მილიონი ოქროდან, რაც მთელი დედამიწის ზურგზე ხმარება-ბრუნვაშია, ყოველწლიურად ერთი მილიონი იკარგება. ეს მილიონი ოქრო, მოძრაობის გამო ჰაერში უწვრილეს ფიფქებად ამტვერებულ-ანიავებული, ადამიანის მიერ ფილტვებში ჩაისუნთქება, ჩვენს სინდისს ტვირთავს, აყრუებს, ამძიმებს; უერთდება მდიდრების სულს, რის გამოც მდიდარი გოროზი ხდება; ღარიბთა სულსაც უერთდება. ღარიბი ამის გამო სასტიკი ხდება“.

ეს წარწერა წვიმებისა და განგების წყალობით, უმეტესად წაშლილი, საბედნიეროდ, უკვე მთლიანად და უნაკლოდ აღარ ამოიკითხებოდა. თორემ ადვილი მოსალოდნელია, რომ ეს ორაზროვანი ოქროს შესახებ, არაფრად მოეწონებოდათ შერიფებს, პრევოებს, მარშლებსა* და კანონის მცველ სხვა პარიკოსანთ. ინგლისის კანონმდებლობა იმხანად ხუმრობას არ ითმენდა. სიმკაცრე ბუნებრივ მოვლენად ითვლებოდა. მოსამართლეები, ტრადიციის მიხედვით, ულმობლობას იჩენდნენ, და მძვინვარება ჩვეულებად ქცეულიყო. ინკვიზიტორები ყველგან დაფუსფუსებდნენ. ჯეფრისმა* თავისი მსგავსი მთელი შთამომავლობა დატოვა.

3

საზღრის შიგნით კიდევ ორი წარწერა იყო. სკიპრის ზემოთ, კირით გათეთრებული კედლის ფიცარზე, მელნით ჩანაწერი მოჩანდა.

„ერთადერთი, რაც უნდა ვიცოდეთ:

ინგლისის ბარონისა და პერის თავსამკაულია ექსმარგალიტაანი ოქროს სალტე.

გვირგვინის ტარების უფლება ვიკონტის ტიტულიდან იწყება.

ვიკონტის გვირგვინს განუსაზღვრელი რაოდენობის მარგალიტი ამკობს; გრაფის გვირგვინი მთლიანად მარგალიტებისაა. ამ გვირგვინის კუნუბოებს შუა, ცოტათი დაბლა, მარწყვის ფოთლებია ამოკვეთილი; მარკიზის გვირგვინის კუნუბოები და ფოთლები ლარიოთაა გაჭიმული; პერცოგის გვირგვინი მხოლოდ კუნუბოებიანია, უმარგალიტოდ; მეფური ჩამომავლობის პერცოგის თავსამკაული ჯვრებისა და შრიშანას ყვავილებისგან შემდგარი რკალია; უელსის პრინცის* გვირგვინი ისეთივე სახისაა, როგორიც მეფისა, ოღონდ მას ზედაპირი ღია აქვს.

პერცოგის წოდებაა — უგანათლებულესი და უმშვენებულესი თაყვი, მარკიზი და გრაფი იწოდება მაღალკეთილშობილ და ყოველდშემძლე მფლობელად. ვიკონტის წოდებაა — კეთილშობილი და ყოველდშემძლე ბატონი, ბარონი — ჰეშმარიტ ბატონად იწოდება.

პერცოგს მიმართავენ ასე: თქვენო ბრწყინვალებავ, დანარჩენ პირებს — თქვენო მოწყალებავ.

ლორდის პირიყნება ხელშეუხებელია.

პერი — ეს პარლამენტი და სასამართლოა, CONCILIUM ET CURIA, კანონმდებლობა და მართლმსაჯულება.

MOST HONOURABLE (მაღალღირსი, უღირსეულესი) უფრო აღმატებულია, ვიდრე RIGHT HONOURABLE (ღირსმატიებულმი).

ლორდი-პერი მიჩნეულია ჩამომავლობით ლორდად, ხოლო ლორდ-არა პერებს ლორდობის წოდება აქვთ ნათავაზები. მხოლოდ პერები არიან ნამდვილი ლორდები.

ლორდი არასოდეს ფიცს არ დებს არც მეფის წინაშე და არც სასამართლოს წინაშე. საკმარისია მხოლოდ თქმა: „პატიოსნების ვიძლევი სანდრადო".

ხალხის წარმომადგენლებისგან შემდგარი თემთა პალატის წევრები, ლორდთა პალატაში გამოძახების დროს, ლორდების წინაშე მოწინწებით იხდიან ქუდს, ხოლო ლორდები თავმოყრილობის სხედან.

თემთა პალატა ლორდთა პალატაში ბილს* წარადგენს ორმოცი კაცისაგან შემდგარი დეპუტაციის საშუალებით. დეპუტაციის წევრები ბილის ჩაბარების დროს სამჯერ თაყვანისცემენ ლორდთა პალატის წევრებს. ლორდები ბილს თემთა პალატაში უბრალო გადაწერის ხელით აგზავნიან.

პალატებს შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში, პალატები საერთო თათბირს ჩაატარებენ „მოხატულ დარბაზში", ამ დროს პერები ქუდებით სხედან, ხოლო თემთა პალატის წევრები ქუდმოხდილნი დგანან.

ედუარდ VI-ის* მიერ გამოცემული კანონით, ლორდებს უპირატესობა ეძლევათ წინასწარი განზრახვის გარეშე მკვლელობა ჩადინონ. თუ ლორდი მდაბიო ადამიანს მოკლავს, პასუხისგებაში არ მიეცემა.

ბარონები ხარისხით უპასკოპოსებს უსწორდებიან.

ბარონ-პერი რომ გახდეს, მეფისგან წყალობად უნდა მიიღოს PER BARONIAM INTEGRAM, ესე იგი, სრული საბარონო ადგილ-მამული.

სრული საბარონო ადგილ-მამული შედგება ცამეტი და ერთი მეოთხედი საახნაურო სალენოსაგან, რომელთაგან თითოეული ოც გირვანქა სტერლინგადაა ღირებული, რაც ოთხას მარკას შეადგენს.

ბარონის ციხე-დარბაზი — საბარონო ადგილ-მამულის ეს „ჯული" — CAPUT BARONIAE — მემკვიდრეობით გადადის იმავე საფუძვლების მიხედვით, როგორითაც ინგლისის ტახტის მემკვიდრეობა; ესე იგი, გადადის ქალიშვილებზე იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრე ვაჟიშვილი არა ჰყავთ, და ასეთ დროს მემკვიდრეობა უფროს ქალიშვილს რჩება; CAETERIS FILIABUS ALUNDE SATISFACTIS.*

ბარონები ლორდის ტიტულს ატარებენ, რომელიც საქსონურ LAFORD-ისგან წარმოიშვა (კლასიკური ლათინური DOMINUS და უცულგარული ლათინური LORDUS).

ვიკონტისა და ბარონის უფროსი და მოძღვარი ვატიშვილები სამეფოს პირველი ესკვაირები არიან.

პერების უფროსი ვატიშვილები სარგებლობენ უპირატესობით ლეკერთხის ორდენის კავალერებზე; უმცროსი ვატიშვილები ამ უპირატესობით არ სარგებლობენ.

ვიკონტის უფროსი ვატიშვილი პროცესიების დროს ბარონების შემდეგ და ბარონეტების წინ მიდის.

ლორდის ქალიშვილი „ლედია“, დანარჩენი ანგლისელი ქალიშვილები იწოდებიან „მისს“.

მოსამართლეები უფლება-ხარისხით, პერების დაბლა არიცხებიან. სერჯანტი* კრაუნის ტყავის კაბიშონს ატარებს; მოსამართლეები MINUTO VARIO თეთრი ბეწვეულის კაბიშონებით იკაზმებიან, მაგრამ არა ყარყუმის ბეწვისა. ყარყუმის ბეწვს მხოლოდ პერები და მეფე ატარებენ.

ლორდის სანინააღმდეგო SUPPLICAVIT -ი* დაუშვებელია.

ლორდის ცხენში ჩასმა არ შეიძლება. მას, უკიდურეს შემთხვევაში, მხოლოდ ლონდონის ტაუერში* დააწვენენ.

მეფის სასახლეში სტუმრად მიწვეული ლორდი უფლებამოსილია, სამეფო ნაკრძალში მოკლას ერთი ან ორი ირემი.

ლორდი უფლებამოსილია, თავის მამულში აწარმოოს საბარონო სასამართლო.*

თუ ქალაქნდწამოსხმულ ლორდს ქუჩაში მხოლოდ ორი მხლებელი ახლავს, მისი ღირსება დამცირებულია. მას მხოლოდ აზნაურმა მთელი ამალის თანხლებით შეუძლია გამოჩნდეს ქუჩაში.

პერები პალატაში დახურული ეტლით მიბრძანდებიან, რომელშიც წყვილ-წყვილი ცხენია მწკრივად შებმული. თქმა პალატის წევრებს ამის უფლება არ აქვთ. ზოგიერთი პერი ვესტმინსტერში* ლა, ორადგილიანი ეტლით მიემგზავრება. გერბითა და გვირგვინით შემკული ეტლის ტარების უფლება ეძლევათ მხოლოდ ლორდებს. ეს ერთ-ერთი მათი განსაკუთრებული უფლებაა.

ლორდს ჯარიმის გადახდა მხოლოდ ლორდებს შეუძლიათ დააკისრონ, ამასთანავე, არა უმეტეს ხუთი შილინგისა, გამოსაკლისს წარმოადგენს პერცოგი, რომლის დაჯარიმება შეიძლება ათი შილინგით.

ლორდს შეუძლია თავის სახლში იყოლიოს ექვსი ცხოველი; ყველა დანარჩენ ინგლისელს — მხოლოდ ოთხი.

ლორდს ბაგის გადაუხდელად შეუძლია იქონიოს თავის სარდაფში რვა კასრი ღვინო.

მხოლოდ ლორდი თავისუფლდება ოლქის შერიფთან გამოცხადებისაგან.

ლორდს ჯარის შესანახი გადასახდი არ ეკისრება.

როდესაც ლორდის ნება-სურვილი იქნება, მაშინ შეადგენს თავისი ხარჯით ლეგიონს მეფის განკარგულებაში გადასაცემად; ასე იქცევიან მათი ბრწყინვალება პერცოგი ატოლისა, პერცოგი პემბროკისა და პერცოგი ნორთუმბერლენდისა.

ლორდის გასამართლება მხოლოდ ლორდებს შეუძლიათ.

სამოქალაქო საქმეებში ლორდს შეუძლია მოითხოვოს განაჩენის ხელახლა გადასინჯვა და იმ შემთხვევაში შეცვლა, თუ სასამართლოს შემადგენლობაში ერთი აზნაური მაინც არ ყოფილა.

ლორდი თავის კაპელანებს თვითონვე ნიშნავს.

ბარონი სამ კაპელანს* ინიშნავს, ვიკონტი — ოთხს, გრაფი და მარკიზი — ხუთს, პერცოგი — ექვსს.

ლორდს არ შეიძლება წამებით სასჯელი მიეგოს, თუნდაც სახელმწიფო ღალატი პბრალდებოდეს.

ლორდი არ შეიძლება დადგეს ჯალათის მიერ.

ლორდი ყოველთვის სწავლულ კაცად მიიჩნევა, თუნდაც მან წერა-კითხვა არ იცოდეს. ჩამომავლობითი უფლებით იგი სწავლულადაა მიღებული.

პერცოგი ყველგან ბალდახინით მიბრძანდება, გარდა იმ ადგილებისა, სადაც მეფე იმყოფება; ვიკონტსაც აქვს ბალდახინი, მხოლოდ თავისსავე სახლში; ბარონს აქვს თავისებური ფიალა ღვინის ჭაშნიკისთვის. ვიდრე ბარონი ღვინოს დალევს, თავისებური მსახურს ფიალის ქვეშ უჭირავს. ბარონესას, თუ იქვე ვიკონტესაც იმყოფება, უფლება აქვს შლეიფი ერთ კაცს დააჭერინოს.

ოთხმოცდაექვსი ლორდი ან ლორდების უფროსი ვაჟიშვილები პირველ ოთხმოცდაექვს ადგილს იჭერენ იმ მაგიდასთან, სადაც ხუთასი კაცისთვის განკუთვნილი ჭურჭელია გაწყობილი. ასეთი სუფრა ყოველდღე ეწყობა მეფის სახლში, იმ ოლქის ბარონებისადაც მეფის რეზიდენცია მდებარეობს.

შდაბიოს, რომელიც ლორდს დაარტყამს, მარჯვენას მოჰკვეთენ.
ლორდი თითქმის იგივეა, რაც მეფე.
მეფე თითქმის იგივეა, რაც ღმერთი.
მთელი მიწა-წყალი ლორდების საკუთრებაა.
ინგლისელები, როცა ღმერთს მიმართავენ, მას „შიდლორდს" უწოდებენ.

ამ წარწერის პირდაპირ მეორე წარწერას ამოეკითხავდით, ამგვარადვე ნაწერს. აი, ეს წარწერაც:

„ნუგეში, რითაც უნდა დაკმაყოფილდნენ იხინი, ვისაც არა გააჩნია რა."

პენრი ოვერკერკს, გრუნთემის გრაფს, რომელიც ლორდთა პალატაში გრაფ ჯერსისა და გრაფ გრინჩის შუა ხან, ყოველწლიურად ახი ათასი გირვანქა სტერლინგი აქვს შემოსავალი. მის მიწყალებას ეკუთვნის სახახლე გრუნთემ-ტერასი, მარმარილოთი ნაგები და განთქმული თავისი ტალანების ლაბირინთებით, რითაც მთელი სახახლე ლირსშესანიშნაობას წარმოადგენს. სახახლეში არის სარანკოლინიდან მოტანილი მარმარილოსაგან მოპირკეთებული ალისფერი ტალანი, ასტრახანული ლუმაჭელის ტალანი, თეთრი ტალანი — ლანიის მარმარილოსი, შავი — ალაბანდის მარმარილოსი, რუხი ფერის — სტარემის მარმარილოსი, ყვითელი — პესენის მარმარილოსი, მწვანე — ტიროლის მარმარილოსი, წითელი — ნახევრად დაწინწკლული ბოჰემიის მარმარილოსი და ნახევარი — კორდოვის ლუმაშელისაგან ნაგები, ლურჯი — გენოუს მარმარილოსი, იისფერი — კატალონიის გრანიტისა, სამგლოვიარო ტალანი — შურვიედროს ფიქლისა, რომელიც თეთრ-შავი ძარღვნარევია, ვარდისფერი ტალანი — ალპიის მთების ციხოლინისა, მარგალიტისფერი ტალანი — ნონეტის ლუმაშელისა და სხვადასხვაფერი ტალანი — ჭრელი ბრეკჩიისა, რომელსაც „სახახლის" ტალანი ეწოდება.

რიჩარდ ლაუთერს, ლონდონის ეპისკოპოსს, უსტმორლენდში აქვს ციხე-დარბაზი ლაუთერი, რომლის მდიდრული სადარბაზო ქარი თითქოს მეფეებს ეპატიჟება: ინებეთ და მობრძანდითო.

სკარბოროს გრაფი რიჩარდი, ლემლეის ეპისკოპოსი და ბარონი, იგივე ეპისკოპოსი უოტერფორდი ირლანდიაში, ნორთემბერლენდის საგრაფოსა და დურჰამის საგრაფოს ლორდ-ლეიტენანტი და ეიც-

ადმირალი, სტენსტედში მფლობელია ორი ადგილ-მამულისა სახლეებით, ერთი ამ სახლეთაგანი უძველესია, მეორე – ახალი. უკანასკნელში საერთო ყურადღებას იპყრობს დიდებული მესერი, რომელიც არაჩვეულებრივ შადრევნიან აუზს აქვს ნაზვარებად შემოვლებული. გარდა ამისა, იმავე გრაფს ეკუთვნის ციხე-დარბაზები ლემლეიში.

რობერტ დარხის, ჰოლდერნესის გრაფს, ეკუთვნის ჰოლდერნეს საგვარეულო ციხე-დარბაზი, საბარონო კოშკურებით დამშვენებული და ფრანგულ ყაიდაზე გაშენებული უზარმაზარი პარკით. ამ პარკში დასეირნობს ხოლმე ექვსცხენიანი დახურული ეტლით თვითონ მფლობელი გრაფი, ორი ფორეიტორის თანხლებით, რომელნიც ინგლისის პერს შეჰფერის.

ჩარლზ ბოკლერკი, სენტ-ალბანსის პერცოგი, ბერფორდის გრაფი, პედინგტონის ბარონი, ინგლისის პირველი ბაზიერთუხუცესი, მფლობელია სასახლისა უინძორში, მეფის სასახლის გვერდით, და ლორდის სასახლე არაფერს კარგავს ამ მეზობლობით.

ჩარლზ ბოდჟეილი, რობერტსის ლორდი, ტრუროს ბარონი, ბოდმინის ვიკონტი ქალაქ კემბრიჯში ადგილ-მამულ უიმპლის ფლობს, სადაც აშენებულია სამი სასახლე სამი ფრონტონით. ერთი ამათგანი კაბადონის სახისაა, ხოლო ორი სამწახნაგოვანი. ეტლით მისასვლელი კარ-მიდამოს ხეივანი ოთხმწკრივი ნარგაუებითაა დაშენებული.

მაღალკეთილშობილი და ყოვლადძლიერი ლორდი ფილიპ ჰარბერტი, ვიკონტი კარდიფი, გრაფი პონტგოშერი და გრაფი პემბროკი, მფლობელი და პერი კენდოლის, მარმიონის, სენტკლენტინისა და ჩარლენდისა, კორნუელის საგრაფოსი და დევონეს გუბერნიის ზედამხედველი, იესოს კოლეგიის მემკვიდრეობითი მეთვალყურე, მესაკუთრე უილტონის საუცხოო ბაღისა, სადაც ორი ასეთი მშვენიერი შადრევანი ამოსჩქეფს, რომ კიდევაც აღემატებიან სიმშვენიერით უქრისტიანესი მეფე ლუდოვიკო მეთოთხმეტის შადრევნებს ვერსალში.

ჩარლზ სეიმური, სომერსეტის პერცოგი, მდინარე თეშზაზე მდებარე პატრონეა სომერსეტ-ჰაუსისა, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება რობის პამფილის ეილას. მის დიდებულ ბუხარზე თვალს იტაცებს დინასტიის ეპოქის ორი ჩინური ფაიფურის ლარნაკი იტალიის

რომელიც ფრანგული ფულით ნახევარ მილიონად არის შეფასებული.

იორკშირში ართური, ლორდი ინგრემისა, ვიკონტი ირვინისა, მეპატრონეა სასახლე ტემპლ-ნიუშემისა, რომლის ეტლით მისასვლელ ეზო-ყურეს სატრიუმფო თაღი აქვს. ამ სასახლის ფართო და ბრტყელი ჭერ-სახურავები მავრიტანულ ყათარებს ემსგავსება.

რობერტი, ლორდი ფერერს-ჩარტლეისა, ბორჩირისა და ლოვენის მფლობელია ლესტერშირში ციხე-დარბაზ სტაუნტონ-ჰაროლდისა პარკითურთ, რომელსაც გეგმაზე ფრონტონიანი ტაძრის შეხედულება აქვს. გუბურის ნაპირზე აშენებული დიდი ეკლესია, ოთხკუთხა სამრეკლოთი, კარ-მიდამოს შემადგენლობაში შედის.

ნორთჰემპტონის საგრაფოში ჩარლზ სპენსერი, სენდერლენდის გრაფი, მისი უდიდებულესობის საიდუმლო სათათბიროს წევრი, მფლობელია ოლთროპის ადგილ-მამულისა, რომლის ეტლით მისასვლელში მარმარილოს ქონგურებით შემკული ოთხსვეტიანი რკინით ნაჭედი ჭიშკარია.

ლოურენს ჰაიდს, გრაფ როჩესტერს, სურეიში ეკუთვნის ადგილ-მამული ნიუ-პარკი ციხე-დარბაზით, მხატვრულად ნაქანდაკევი აკროტერიონით* და ნარგავი ხეებით, დამშვენებული მრგვალი კორდით და მუხნარით, რომლის განაპირას ხელოვნურად შემრგვალებული გორაკი აღმართულა, შორიდან მომჩინარე დიდი მუხით შემკული.

ფილიპ სტენჰოპი, გრაფი ჩესტერფილდისა, დერბიშირში მფლობელია ბრედბის ადგილ-მამულისა, სადაც დიდებული პავილიონია წამოდგმული, საათით წინამოზე. იქვეა შევარდნების სამყოფი, საკურდღლე და მშვენიერი გუბურები, ზოგი ოთხკუთხა, ზოგიც მოგრძო. ერთი მათგანი სარკის ფორმისაა, ორი შადრევანი აქვს დიდ სიმაღლეზე ამომჩქეფი.

ლორდ კორნუელს, აის ბარონს, ბრომ-ჰოლი — მეთოთხმეტე საუკუნის სასახლე ეკუთვნის.

მაღალკეთილშობილი ოლჯერნონ კეპლი, ვიკონტი მოლდერნისა და გრაფი ესექსისა, მფლობელია ჰერსფორდშირში ქეშიობერის ციხე-დარბაზისა, რომელსაც ასო H-ის მოყვანილობა აქვს. იგივეა მეპატრონე ტყიან-მინდვრიანი ადგილებისა, სადაც უხვადაა ფრინველ-ცხოველი სანადიროდ.

ლორდ ჩარლზ ოსალსტოუნს მიდლსექსში ცხენ-დარბაზი დოული უკუთვნის, რომელიც იტალიური გემოვნებით ნაკეთები ბალუბითაა გარემოცული.

ჯემს სესილს, სოლსბერის გრაფს, ლონდონიდან შვიდი ლიეს დაშორებით სახახლე პარტფილდ-პაუსი აქვს, ოთხი საბატონო პაველიონით, ცენტრში საყარაულო კოშკითა და ეზოთი, რომელიც თეთრი და შავი ფილაქნითაა მოპირკეთებული, იმგვარად, როგორც ეს სენ-ჟერმენშია*. ამ სახახლის წინამხს ორას საოცდათორმეტი წერთის ხერცე უჭირავს. იგი აუშენებია იაკობ პირველის მეფობის დროს ინგლისის სახელმწიფო ხაზინადარს, ამ სახახლის ანინდელი პატრონის პაპის პაპას. სოლსბერის საგვარეულოს ერთერთი გრაფის მეულლის საწოლი აურაცხელი ღირებულებისაა. იგი მთლიანად ბრაზილიური ხისგანაა ნაკეთები; ცნობილია, რომ ეს ხე გველის კბენისგან დასაცავად უებარი საშუალებაა და MILHOMBRES-ი ეწოდება, რაც „ათას მამაკაცს" ნიშნავს. ამ საწოლზე ოქროს ასოებით წერია: HONNI SOIT QUI MAL Y PENSE („სირცხვილი იმას, ვინც ცუდს გაიფიქრებს").

ედუარდ რიჩს, უორუიქისა და პოლენდის გრაფს, ცხენ-დარბაზი უორუიქ-ქასლი უკუთვნის, სადაც ბუხრებს განსაკუთრებლად მთელ მუხის მორებს უკეთებენ.

სენ-უოქის სამრეკლოში, ჩარლზ სექვილს, ბექჰერსტის ბარონს, კრენფილდის ვიკონტს, დორსეტისა და მიდლსექსის გრაფს ადგილ-მამული ნოელი უკუთვნის, რომელიც სიცოცხლეში ქალაქს არ ჩამოუშორდება. ამ ცხენ-გალავანში ერთმანეთის პარალელურად, ჯარის წყობასავით, სამი სახლია ჩამწკრივებული. მთავარი შენობა წინამხრიდან ათტერფიანი ქიმებით არის შემკული, ჭიშკარზე ცხენის მთავარი კოშკია სადარაჯოდ ამართული, ოთხი მცირე კოშკურათი.

თომას თინს, უეიმუთის ვიკონტს, უორმინსტერის ბარონს, საკუთრებად აქვს სახახლე ლონგ-ლითი; მასში თითქმის ორმოცდაათ ბუხარია, ფარანი, ფანჩატური, კამარა-კაბადონი — პავილიონი, მრგვალი კოშკურები, ოწინარებიანი კოშკურები, რამდენიც საფრანგეთის მეფის საკუთარ ცხენ-დარბაზ შიმბორშია.

ჰენრი ჰოვარდს, ხეფოლკის გრაფს, ლონდონიდან თორმეტი ლიეს დაშორებით, მიდლსექსში, საკურად აქვს სახახლე ოდლეი-

ნი; იგი სიერცითა და დიდებული ნაგებობით ესპანეთის მეფის ესკურიალს არ ჩამოუვარდება.

ბედფორშირში რუსტ-პაუს-ენდ-პარკი გარშემოზღუდულია გალავნითა და თხრილებით. ეს მთელი ოლქისოდენა სივრცე ტყეებით, მდინარეებით, მთიანებით, მარკიზ პენრი კენტის საკუთრებას შეადგენს.

პერფორდში პემპტონ-კორტი, უზარმაზარი ქონგურებიანი კოშკითა და ბაღით, რომლის ბოლოს გუბურაა, ხოლო შემდეგ ტყე — კინიგზბის ლორდს — თომასს ეკუთვნის.

გრაფ რობერტ ლინდსეის, ლორდსა და უილპემის ტყის ჩამომავლობით შემკვიდრეს, ლინკოლნშირში ციხე-სიმაგრე გრიმსტორფი ეკუთვნის, გრძელი ფასადით, რომელიც მაღალი კოშკურებით მესრისნაირადაა შემკული, აქვეა ბაღნალკოტები, გუბურები, ხოხბებისთვის ბადურები, ქოფაკი ძაღლებისათვის ბუნაგები, კორდკაკობები და ჭალაკები. მის კარმიდამოსვე აგრძელებს ალვის ხეებით მოფარგლული სათამაშო მოედნები. იქვეა დიდი ხალიჩებივით აფერადებული საყვავილეები, კვადრატული და რომბის მოყვანილობისანი. ცხენოსნობაში შეჯიბრებისათვის მინდვრიანები; და ციხე-გალავანში ეტლების შემოსახვლელ გზაზე — დიდებული ორმწკრივი ხეივანი.

სეხექსში ღრმად პატივცემულ ფორდს, ლორდ გრეის, გლენდეილის ვიკონტს და ტანკარვილის გრაფს დიდი კვადრატული ციხე-დარბაზი ეკუთვნის, ორივე მოპირდაპირე მხარეს სიმეტრიული ორი საზეიმო-სასტუმროდ გაწყობილი ფლიგელით, რომელთა ჭერსახურავებზე აღმართულია კოშკები.

სასახლე ნიუნპემ-პედოქსი, ეორიქშირში, შუშაბანდიანი ოთხწახნაგა წვეტიანი კოშკურით და პარკში ორი ოთხკუთხა სათევზაო გუბურათი, გრაფ დენბის ეკუთვნის, რომელსაც გერმანიაში რეინფელდენის გრაფის წოდებით იხსენიებენ.

ციხე უაითპემი ბერქის საგრაფოში, ფრანგული ბაღნალკოტით, თლილი ქვით აშოშენებული ოთხი მლეიმითა და ქონგურქიწებებიანი მაღალი კოშკით, რომელიც კიდევ ორ-ორ ბურჯისებურ კონტრფორსზეა დაყრდნობილი, ეკუთვნის ლორდ მონტეგიუს, გრაფ ებინგდონს. მის საკუთრებას შეადგენს, აგრეთვე, საბარონო ციხესიმაგრე რაიკოტი, რომლის ეტლით მისავალთან ბჭისკარზე

დევიზია წაწერილი: VIRTUS ARIETE FORTIOR („კეთილი სახელი უმაგრესია უროზე").

უილიამ კავენდიში, დევონშირის ჰერცოგი, მფლობელია ექვსი ციხესიმაგრისა, მათ შორის ორსართულიანი ჩეტსუორთისა, იგი შესანიშნავი ბერძნული სტილითაა ნაგები. გარდა ამისა, მას ბრწყინვალებას ლონდონში სასახლე ეკუთვნის, რომლის ჭიშკარზე მეფის სასახლისკენ ზურგშექცეული ლომის ქანდაკება დგას.

კინელმიკის ვიკონტს, რომელიც კორკის გრაფია ირლანდიაში, პიკადილიში აქვს სასახლე — ბარლინგტონ-ჰაუსი, ლონდონის გარე მიდამოებამდე გაშლილი დიდი ბაღებით, მასვე ეკუთვნის სასახლე ლონდსბორო, სასახლე ჩიზუიქი, ცხრა დიდებულ ნაგებობათაგან შემდგარი და სადაც ძველი ნაგებობის გვერდით ახალი სასახლეა წამოჭიმული.

ჰერცოგი ბოფორტი მესაკუთრეა ჩელსის, ეს არის ორი გოთიკური სტილის სასახლე და კიდევ მესამე სასახლეც, ოღონდ უკანასკნელი ფლორენციული სტილისაა. ამავე პიროვნებას ეკუთვნის გლოსტერში სასახლე ბედმინგტონი, რომლის შესანიშნავი ფართო ხეივნები სასახლიდან ყოველმხრივ სხივებისნაირად განშტოვდებიან. მაღალკეთილშობილ და ყოვლადშემძლე პრინც ჰენრის, ბოფორტის ჰერცოგს, მიეკუთვნება აგრეთვე ტიტული — მარკიზი და გრაფი უოსტერისა, ბარონი რაგლანისა, ბარონი პაუერისა და ბარონი ჰერბერტ-ჩიპსტოუსი.

ჯონ ჰოლისი, ჰერცოგი ნიუქასლისა და მარკიზი კლერისა, მფლობელია ციხესიმაგრე ბოლსოვერისა, რომლის ოთხკუთხა საყარაულო კოშკი დიდებულ შთაბეჭდილებას ახდენს, მასვე ეკუთვნის ციხე-დარბაზი ჰოუტონისა ნოთინგემში, სადაც აუზია. აუზის ცენტრში აღმართულია მომრგვალო პირამიდა, მსგავსად ბაბილონის გოდოლისა.

ლორდ უილიამ კრევენს, ბარონს კრევენ-ჰემპსტედისას, უორუიქშირში აქვს თავისი რეზიდენცია — კომბ-ებეი, რომელსაც მთელ ინგლისში ყველაზე ულამაზესი შადრევანი ამშვენებს, ხოლო ბერკშირში იმავე ლორდის საკუთრებაა ორი საბარონო ციხე-დარბაზი: ჰემპსტედ-მარშალი, რომლის წინამოს ხუთი შუშაბანდიანი გოთიკური სტილის აივანი ამკობს, და ეშდოუნ-პარკად წოდებული

ციხე-დარბაზი, ეს უკანასკნელი ნაგებობა ტყიანში, ორი გზის ჯვარედინის კიდეზე აღმართული.

ლორდ ლინეი კლენჩარლი, ბარონი კლენჩარლი-პენკერვილისა, მარკიზი სიცილიის კორლეონესი, მფლობელია ციხე-დარბაზ კლენჩარლისა; ეს ციხე-დარბაზი 914 წელს ააშენა ედუარდ მოხუცმა დანიელთა თავდასხმისაგან დასაცავად. მასვე ეკუთვნის სასახლეები: პენკერვილ-ჰაუსი ლონდონში და კორლეონე-ლოჯი უინძორში; აგრეთვე, რვა საკასტელიანო, ერთი მათგანი ბრუქსტონში, მდინარე ტრენტზე, იმ უფლებებით, რომ იქ თაბაშირის დამუშავება აწარმოოს. შემდეგ კიდევ საკასტელიანოები: გუმდრაითი, ჰომბლი, მორიკემბი, ტრენუორდრაითი, ჰელ-კერტერსი, მოჩუხჩუხე წყაროთი, ჰოლინმორი, თავისი ტორფიანი ჭაობებით, რიკელვერი, მოილენლის მთაზე, უძველესი ქალაქის უაინკაუტონის მახლობლად მდებარე. მასვე ეკუთვნის ცხრამეტი პატარა ქალაქი და სოფელი, მცხოვრებლებზე ფეოდალური სამართლის წარმოების უფლებებით, აგრეთვე, მთელი ოლქი პენსნეტჩეიზისა, რაც მას მოწყალებას მთლიან შემოსავალს წლიურად ორმოცი ათას გირვანქა სტერლინგს აძლევს.

იაკობ II-ის* მეფობაში უფლებამინიჭებული ას სამოცდათორმეტი პერი, ყველა ერთად წლიურ შემოსავლად იღებს მილიონ ორას სამოცდათორმეტ ათას გირვანქა სტერლინგს, რაც ინგლისის შემოსავლის ერთ მეთერთმეტედს შეადგენს".

ლორდი ლინეი კლენჩარლის უკანასკნელ სახელთან გვერდზე ურსუსის ხელით მიწერილი იყო შენიშვნა:

„მეამბოხე, განდევნილი, ქონება, მიწები და მთელი ადგილ-მამული სეკვესტრს ექვემდებარება. ახია, ასეც ეკუთვნის".

4

ურსუსი აღტაცებული იყო ჰომოთი. ჩვენ აღგვაფრთოვანებს ის, რაც ჩვენთვის მახლობელია. ასეთია კანონი.

ურსუსის შინაგანი განწყობილება მუდმივ ჩახშული მძვინვარება იყო, რაც გარეგანად მის ბუზღუნში გამოიხატებოდა. ურსუსი იმათ რიცხვს ეკუთვნოდა, ვინც ამ ქვეყნიერებით არ არის კმაყოფილი. ბუნების სისტემაში ურსუსი ოპოზიციის ფუნქციას ასრულებდა. ყველაფერში მხოლოდ ცუდ მხარეს ამჩნევდა. ქვეყნად არც არაფე-

რი და არც არავინ მოსწონდა. მისთვის თაფლის სიტკბო ფუტკრის კბენას ვერ გამოისყიდდა, მზის სხივებისაგან გადაფურჩქნილი ვარდი იმავე მზის მიერ გამოწვეულ ციებ-ცხელებასა და ნაღველით ბარის ლებინებას ვერ ამართლებდა. ვინ იცის, იქნებ ურსუსი ბუნება ღმერთსაც სასტიკად კიცხავდა. იგი ასე იტყოდა ხოლმე: „ცხადია, სატანა დაბმული უნდა იყოს, ღმერთი დამნაშავეა, რომ მას ჯაჭვის საბმელი ახსნა". იგი მხოლოდ ადგილ-მამულთა მფლობელ მთავრებს შეაქებდა ხოლმე, ხოლო ამ ქებას რაღაც თავისებურად გამოხატავდა. ერთხელ, როდესაც იაკობ მეორემ ღვთისმშობელს ირლანდიის კათოლიკეთა სამლოცველოში მძიმე ოქროს კანდელი შესწირა, იმხანად ურსუსმა ამ სამლოცველოსთან გაიარა ჰომოს თანხლებით. მართალია, ეს უკანასკნელი ხსენებული შემთხვევისადმი გულგრილად იყო განწყობილი, მაგრამ თვით ურსუსმა ვეღარ გასაგონად გამოთქვა თავისი აღტაცება, მან ხმამაღლა შესძახა: „უეჭველად ღვთისმშობელს უფრო მეტად ესაჭიროება ოქროს კანდელი, ვიდრე, აი, ამ ფეხშიშველ გოგო-ბიჭებს — ფეხსაცმელი".

ურსუსის მხრივ ასეთი „კეთილგანწყობის" გამოჩენა და საკმაო პატივისცემა უზენაესი ხელისუფლების მიმართ, ალბათ რამდენადმე ხელს უწყობდა იმ გარემოებას, რომ ხელისუფლება ლმობიერებას იჩენდა ურსუსის ასეთი მოხეტიალე ყოფა-ცხოვრებისა და მგელთან მისი არაჩვეულებრივი მეგობრობისადმი. ურსუსს გული შესტკიოდა ჰომოზე და ხანდახან საღამო ხანს აუშვებდა, რომ თავისუფლად გაევლ-გამოევლო საზიდრის ახლომახლო. მგელი პატრონის ნდობას ამართლებდა და „საზოგადოებაში", ესე იგი ხალხში, გოშიაზე უფრო მშვიდად იყო. მაგრამ თუ პოლიციელები აქ გუნებაზე ყოფნის დროს შეასწრებდნენ თვალს, მაშინ ამას არასასურველი შედეგი მოჰყვებოდა; ამიტომ ურსუსს ეს უდანაშაულო მგელი თითქმის მთელი დღე-ღამე ჯაჭვით ჰყავდა დაბმული.

პოლიტიკური თვალსაზრისით, ურსუსის წარწერა ოქროს შესახებ, რომელიც უკვე გარკვევით აღარც იკითხებოდა, და ამასთანავე არსებითად თითქმის გაუგებარი იყო, უბრალო ნაცოდვილარადღა ჩანდა ბალაგანის წინამოზე და ურსუსზე არავითარ ეჭვის მისატან საბუთს არ იძლეოდა. იაკობ მეორის შემდეგაც და თვით უილიამისა და მარიამის „ღირსპატივსაცემი" მეფობის დროსაც, ურსუსის საზიდარი არხეინად მიგოგმანობდა ინგლისის საგრა-

ფოკის მიყრუებულ ქალაქებში. ურსუსმა მთელი დიდი ბრიტანეთი შემოიარა თავისი საგორავებიანი ქოხურათი, ჰყიდდა თავის სასწაულმოქმედ წამლეულსა და მალამოებს. თანაც მგლის დახმარებით მოგზაური მკურნალის თვალთმაქცურ ოინებს ასრულებდა. ურსუსი ადვილად უსხლტებოდა პოლიციის ხაფანგებს, რომლებიც იმხანად მთელ ინგლისში იყო დაგებული. განზრახვა ერთი ჰქონდათ, ქვეყნიდან განედევნათ მოხეტიალე ბრბოები; მთავარი კი იყო „კომპრაჩიკოსები" დაეჭირათ.

არსებითად ეს სამართლიანიც იყო. ურსუსი არავითარ მოხეტიალეთა ბრბოს არ ეკუთვნოდა. ურსუსი მარტოდმარტო, თავის თავთან — ურსუსთან ცხოვრობდა, მხოლოდ მგელი თუ გამოჰყოფდა ფრთხილად დრუნჩს და შეაწყვეტინებდა თავის თავთან საუბარს. ურსუსის ოცნების მწვერვალი ის იყო, რომ ყარაიბად* დაბადებულიყო, მაგრამ რადგან ეს მის შესაძლებლობებს აღემატებოდა, ამიტომ მარტოობა ირჩია. მარტოობა, ეს ველურობის ისეთი შერბილებული ფორმაა, რომ ცივილიზებული საზოგადოება თანხმდება მიიღოს თავის წრეში. რამდენადაც მეტხანს ვიბორიალებთ ქვეყანაზე, იმდენად უფრო მარტივად ვიგრძნობთ თავს. ამით იხსნება ურსუსის გამუდმებული მოგზაურობა. ერთ რომელიმე ადგილას გაჩერება დიდხანს მას თავისუფლებიდან მონობაში გადასულად ეჩვენებოდა. მთელი ცხოვრება ხეტიალში გაატარა. ქალაქის დანახვაზე უდაბურ ტყეს ან კლდის გამოქვაბულს მოიწადინებდა ხოლმე. ტყეში ისე გრძნობდა თავს, როგორც სახლში, ჭერქვეშ. მაგრამ მოედნებზე ხალხის ყრუ გუგუნიც არ აწუხებდა, რადგან ეს ტყიანში ხეების აშრიალებას აგონებდა. განმარტოებით ყოფნის მიდრეკილებას ბრბო რამდენადმე კიდეც აკმაყოფილებს. ურსუსს თუ რამ თავისი გორიალა ოთხთვალასი არ მოსწონდა, ეს იყო კარ-ფანჯარა, რადგან სახლს აგონებდა. ურსუსი თავის იდეალს მიაღწევდა, შესაძლებელი რომ ყოფილიყო საგორავებზე გამოქვაბული შეედგა და ამ გამოქვაბულით ემოგზაურა.

როგორც უკვე ითქვა, ურსუსი არ იღიმოდა, ის მხოლოდ იცინოდა ხოლმე, ზოგჯერ ხშირადაც. მაგრამ ეს სიცილი სიმწრის სიცილი იყო. ღიმილში, გარკვეულწილად, თანხმობის ნაწყისებია, მაშინ, როდესაც სიცილი ხშირად უარს გამოხატავს ხოლმე დათანხმებაზე.

ურსუსის მთავარ, განსაკუთრებულ თვისებას ადამიანთა მოდგმისადმი სიძულვილი შეადგენდა, ამიტომ დაუნდობელიც იყო. ბოლოს იმ მტკიცე დასკვნამდე მივიდა, რომ ადამიანთა ცხოვრება საშინელია; შეამჩნია, რომ არსებობს უბედურებათა თავისებური იერარქია: მეფეებისათვის, რომლებიც ხალხს აუბედურებენ, არსებობს ომი. ომს — შავი ჭირი მოსდევს, შავ ჭირს — შიმშილობა, ხოლო ყველა უბედურებათა მთავარი მიზეზი, — ადამიანთა სირეგვნეა; ის დარწმუნდა, რომ თვით ფაქტი არსებობისა ერთგვარად სასჯელის მომავლინებელია, და რომ ყოველივე ამისაგან ხსნას სიკვდილში ხედავდა, მაგრამ ის მაინც კურნავდა ავადმყოფებს, რომლებიც მასთან ხანდახან მოჰყავდათ. მას მოხუცთა ძალ-ღონის მომმატებელი და სიცოცხლის გახანგრძლივების საშუალებაც ჰქონდა. ხეიბრებს ჯერ ფეხს აადგმევინებდა და მერე მხამხარევი სიცილით ეტყოდა: „აბა, ახლა ხომ ფეხზე დაგაყენე. ისევ შეგიძლია იარო ამ ცრემლით აღსავსე ცის ქვეშეთში“. თუ შიმშილით ღონემიხდილ მათხოვარს დაინახავდა, რაც ფული გააჩნდა, სულ იმას მისცემდა და თან გაჯავრებით შეუტევდა: „სული მოიბრუნე, შე უბედურო, ჭამე, ეცადე მეტხანს იცოცხლო, მე კი არ ვეცდები შევამოკლო შენი ამ კატორღაში ყოფნა“. შემდეგ ხელების ფშვნეტით დასძენდა: „მე, რაც კი შემიძლია, სიავეს ვაყენებ ადამიანებს“.

გამვლელებს შეეძლოთ ქოხურას უკანა კედლის პატარა ფანჯრიდან ჭერზე, მსხვილი ასოებით ნახშირით წანაწერი ამოეკითხათ: „ურსუსი — ფილოსოფოსი“.

II

კომპრაჩიკოსები

I

ჩვენს დროში ვის ესმის სიტყვა „კომპრაჩიკოსები“, ვისთვისაა გასაგები ამ სიტყვის მნიშვნელობა?

კომპრაჩიკოსები, ანუ კომპრაპეკენოსები არაჩვეულებრივ, საზიზღარ მაწანწალათა კრებულს წარმოადგენდა. იგი საკმაოდ ცნობილი იყო მეჩვიდმეტე საუკუნეში და უკვე მივიწყებული მეთვრამე-

ტე საუკუნეში, ანუ რომ, ახლანდელ დროში მათ შესახებ არაფერი იცის რა. კომპრაჩიკოსები, ისე როგორც „შემკვიდრეთა საწამლავი", ძველი საზოგადოებრივი წყობილების დამახასიათებელ დეტალს წარმოადგენდნენ. ეს კაცობრიობის ძველი ზნეობრივი სიმახინჯის სურათის ნაწილი იყო. ისტორიის თვალსაზრისით, რომელიც სხვაზარი მოვლენის განმტოებას წარმოადგენენ, რომელსაც მონობა წოდება. თქმულება ძმებისგან გაყიდული ოსების შესახებ კომპრაჩიკოსებზე მოთხრობის ერთ-ერთი ეპიზოდია. თავიანთ შესახებ კომპრაჩიკოსებმა ცნობა ესპანეთსა და ინგლისის სასჯლის სამართლის კოდექსებში დატოვეს. ინგლისის საკანონმდებლო აქტების ბნელ ქაოსში გარკვევისას, აქა-იქ წაწყდებით ამ საზარელი მოვლენის კვალს, ისე როგორც ველურის ფეხის ნაკვალევს შეიძლება წაწყდეთ დაბურულ ტყეში.

„კომპრაჩიკოსები", აგრეთვე, „კომპრაპენკნოსები" ესპანური შედგენილი სიტყვაა და „ბაეშვების შემსყიდველებს" ნიშნავს.

კომპრაჩიკოსები ბავშვებით ვაჭრობას მისდევდნენ.

ყიდულობდნენ და ყიდდნენ.

თუმცა ახინი ბავშვებს არ იტაცებდნენ. ბაეშვების მოპარვა უკვე სხვა ხელობა იყო.

მაგრამ, რას უშერებოდნენ კომპრაჩიკოსები ბავშვებს?

ახინი ბავშვებს ამახინჯებდნენ.

რისთვის ამახინჯებდნენ?

გასართობად.

ხალხს და, აგრეთვე, მეფეებსაც გართობა სჭირდებოდათ. გზაჯვარედინებს ჯამბაზი უნდოდა, სახალხეებს — პამპულა, პირველს ტიურლუპენს* ეძახიან, მეორეს კი ტრიბულეს.

ის ძლიერი ლტოლვა, რასაც ადამიანი მხიარულებისადმი მისწრაფებაში იჩენს, ხანდახან ფილოსოფოსთა ყურადღების ღირსი ხდება.

რას უნდა წარმოადგენდეს ეს შესაეალი ფურცლები?

ეს იქნება წინა თავი ყველაზე უცნო საშინელი ნაგნისა, რომელიც შეიძლება დასათაურებულიყო ასე: „უბედურთა ექსპლოატაცია ბედნიერთაგან".

2

ისტორიაში არაერთხელ შეგვიმჩნევია ასეთი მოვლენა, რომელიც ბავშვი დიდების სათამაშო-გასართობად ყოფილა განკუთვნილი. ასეთი რამ ჩვენს დროშიც ხდება. გულუბრყვილო, სასტიკ ეპოქებში ეს მოვლენა განსაკუთრებულ საშემოსავლო ხელობად იყო ქცეული. მჭვიდმეტე საუკუნე, დიდებულ საუკუნედ წოდებული, ერთი ასეთი ეპოქათაგანია. ეს საუკუნე ზუსტად ბიზანტიური ზნე-ჩვეულებისა იყო: მიამიტობა გარყვნილებას ეფარებოდა, ხოლო სიმკაცრე — მგრძნობიარობას. ეს ცივილიზაციის თავისებური მრავალსახეობაა! იგი ფიცხელს მოგაგონებთ, რომელიც ლმობიერად იღიმება. ეს ქალბატონი სევინიეს საუკუნეა, რომელიც კოცონზე დამწვართა და ბორბლით დაფლეთილთა შესახებ საამურად ლაქლაქებდა. ამ საუკუნეში ბავშვთა ექსპლოატაცია ჩვეულებრივი მოვლენა იყო: მჭვიდმეტე საუკუნის მეხოტბე ისტორიკოსებმა ეს მუწუკი დამალეს, მაგრამ იმისი მიჩქმალვა კი ვეღარ შეძლეს, რომ ვენსენ დე პოლი* ცდილობდა ეს მუწუკი როგორმე გამოერჩინა და მოერჩინა.

ადამიანისაგან რომ კარგი სათამაშო გაეკეთებინათ, წინასწარვე უნდა შესდგომოდნენ საქმეს. ბავშვის ჯუჯად გარდაქმნა სულ პატარაობიდან უნდა დაეწყოთ. ბავშვებს გასართობად იყენებდნენ, ტანადი ბავშვი არცთუ იმდენად სასაცილოა, კუზიანზე კი უფრო იცინებს კაცი.

აქედან იწყებოდა ნამდვილი ხელოვნება. არსებობდნენ სათამაშო სპეციალისტები: ნორმალურ ადამიანს ამახინჯებდნენ. ხახის დრუნჩს დაუმსგავსებდნენ. ზრდას შეუწყვეტდნენ. ბავშვს სულ გადაასხვაფერებდნენ. მახინჯების ხელოვნური გამოყვანა განსაკუთრებული წესისამებრ ხდებოდა. ეს თავისებური მეცნიერება იყო. წარმოიდგინეთ ორთოპედია შებრუნებით. ადამიანის ნორმალურ გამოხედვას სიელმით შეცვლიდნენ. სახის ნაკეთების ჰარმონიას სიმახინჯით არღვევდნენ. ბუნებისაგან შექმნილი სრულყოფილი არსებიდან მის უარყოფითს, შავ ანარეკლსა ტოვებდნენ. დამახინჯების ოსტატთა თვალში ეს შავი ანარეკლი ითვლებოდა სრულყოფად. ბუნებრივი სახის დამახინჯების ასეთსავე ცდას პორტრეტებზეც აწარმოებდნენ: მაგალითად, გამოიგონეს ამლაყი ფერის ცხენი. ტურენს* ამლაყი ფერის ცხენი ჰყავდა. ჩვენს დროშიც ხომ

ლებავენ ძაღლებს ცისფრად და მწვანედ? ბუნება კანვაა, ადამიანი ოდითგანვე მოისწრაფოდა, ღვთისაგან შექმნილისათვის თვითონაც მიემატებინა რამე. ადამიანი ბუნებისაგან შექმნილს ხან აუმჯობესებს, ხან აფუჭებს. აი, სასახლის მასხარა, განა ცდა არ არის, ადამიანი მაიმუნის დონემდე დაიყვანოს? ეს შებრუნებითი პროგრესია. უკუქცევის საოცარი ნიმუში. ერთდროულად ცდილობდნენ, მაიმუნი ადამიანად ექციათ. კლივლენდის ჰერცოგის, საუთჰემპტონის გრაფის მეუღლეს, ბარბარას, პაჟის მაგიერ მაიმუნი საპატიო ჰყავდა. ფრანსუაზა სეტონის, ბარონესა დედლეის, იმ პერის მეუღლის სუფრაზე, რომელსაც მერვე ადგილი ეჭირა ბარონის სკამზე პარლამენტში, ჩაის მიართმევდა ხოლმე ოქრომკედით ნაქარგი ფარჩით მოსილი პაჟიანი, რომელზედაც ლედი დედლეი ამბობდა: „ჩემი ზანგიო“. ეკატერინე სიდლეის, გრაფ დორჩესტერის მეუღლეს, პარლამენტის სხდომებზე გერბიანი ეტლით გამგზავრებისას, ეტლის საფეხურზე საზეიმო ლივრეაში გამოწყობილი, ცხვირპირაბზეკილი სამი პაჟიანი წამოესკუპებინა. მედინასელის ერთ-ერთი ჰერცოგის მეუღლე, რომლის დილის ტუალეტს კარდინალი პოლიუსი შეესწრო, ორანგუტანგს იშველიებდა წინდების ჩაცმაში. მაიმუნებს ადამიანის დონემდე ამაღლებდნენ, სამაგიეროდ, ადამიანები პირუტყვებისა და მხეცების დონემდე დაჰყავდათ. დიდებულთა სურვილი იყო, საზღვარი წაეშალათ ადამიანსა და პირუტყვს შორის, რაც განსაკუთრებით მკვეთრად იგრძნობოდა ჯუჯა კაცის დიდი ჯიშის ძაღლთან დაპირისპირებისას. ჯუჯა კაცი უზარმაზარ ძაღლს ერთ ნაბიჯზე არ შორდებოდა. ძაღლი ჯუჯის მუდმივი თანამგზავრი იყო. თითქოს ერთი საბლით ყოფილიყვნენ გადაბმული. ამგვარ დაპირისპირებას დიდებულთა საყოფაცხოვრებო მრავალ ძეგლში შევხვდებით, კერძოდ, ჯეფრი ჰუდსონის პორტრეტზე, იმ ჯუჯას პორტრეტზე, რომელიც ჰენრიეტა ფრანგს, ჰენრიხ მეოთხის ქალიშვილს, კარლოს პირველის ცოლსა ჰყავდა მხლებლად.

რაკი ადამიანი დაამცირეს, მის დამახინჯებასაც მიჰყვეს ხელი. უუფლებობას დასახიჩრებით ამთავრებდნენ. იმ დროის ზოგიერთ ხელოსანს საუცხოოდ ეხერხებოდა ადამიანის სახიდან სულ ამოეშალა ღვთისაგან ნაბოძები სახიერება. ამენსტრიტის კოლეგიის წევრმა, დოქტორმა კონკესტმა, რომელიც ლონდონში ქიმიური ნივთიერებებით ვაჭრობას მეთვალყურეობდა, ლათინურ ენაზე

შეადგინა წიგნი, სადაც ამ უკულმართი ქირურგიის ცოდნას განმარტავდა და უმთავრეს ხერხებს აღწერდა. თუ დავუჯერებთ იუსტუს კარიკ-ფერგიუსს, ამ ქირურგიის ფუძემდებელი იყო ვინმე ბერი, სახელად ავუნმორი, რაც ირლანდიურად „დიდ მდინარეს" ნიშნავს.

პფალცგრაფის ჯუჯა — სახიჩარი პერკეო* შესანიშნავი ნიმუში იყო დასახიჩრების ხელოვნებისა. ხოლო თვით ხელოვანნი სახიჩრობის მრავალ ნაირფერობას იძლეოდნენ, რისთვისაც ოსტატობის სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ და იყენებდნენ.

ეს ხელოვნება სახიჩრებს ქმნიდა, ხოლო თვით სახიჩართაგან არსებობის კანონი საოცრებამდე მარტივი იყო: მათ ნება ჰქონდათ ტანჯულნი ყოფილიყვნენ, ხოლო მათვე ავალდებულებდნენ, სხვათა გასართობად ეცხოვრათ.

3

მახინჯთა ასეთი ფაბრიკაცია დიდი მასშტაბით წარმოებდა და მრავალსახეობას მოიცავდა.

მახინჯები სჭირდებოდა სულთანს, მახინჯები სჭირდებოდა პაპს, პირველს — ცოლების ყარაულებად; მეორეს — ლოცვათა წესრიგისათვის. ეს მახინჯები თავისებურად განსხვავებულ ხეობრებს წარმოადგენდნენ, რომელთაც შთამომავლობის დატოვება არ შეეძლოთ. ეს ადამიანის მსგავსი არსებანი უმსახურებოდნენ ავხორცობასაც და რელიგიასაც. ჰარამხანა და სიქსტის კაპელა* იმავე მახინჯთა სხვადასხვანაირ სახეობას საჭიროებდნენ: პირველს სატკბილო მახინჯები სჭირდებოდა, მეორეს — წარმტაცნი.

იმხანად ბევრი რამის გაკეთება იცოდნენ, რაც ახლა ალარ იციან. მაშინ ხალხს ისეთი ნიჭი ჰქონდა, რაც ჩვენ უკვე არ გაგვაჩნია. ტყუილად ხომ არ არის, რომ კეთილად მოაზროვნე ჭკუიანი ადამიანები საქვეყნოდ გაჰყვირიან ახლანდელი დაქვეითების შესახებ. ჩვენ უკვე ალარ ვიცით, როგორ უნდა მივცეთ ადამიანის სხეულს ახალი სახე-სანახაობა: ეს იმით აიხსნება, რომ ტანჯვა-წამების ხელოვნება ჩვენს დროში დავიწყებულია. წინათ ამ საქმის ვირტუოზები არსებობდნენ, ახლა ალარ არიან. წამების ხელოვნება იმდენად გაამარტივეს, რომ შესაძლებელია, მალე სულ გაქრეს კიდეც. ცოცხალ ადამიანებს ხელ-ფეხსა სჭრიდნენ, უფატრავდნენ მუცელს, ამოაცლიდნენ შიგნეულს, შეაღწევდნენ ამ საშუალებით ადამიანის

ორგანიზმში, და იქ აღმოაჩენდნენ საოცრებებს. ამგვარ წარმატებებს ქირურგია ჯალათის მეოხებით აღწევდა, რაზედაც ჩვენ, იძულებული ვართ, უარი განვაცხადოთ.

შორეულ დროში ამგვარი ოპერაციები მხოლოდ ისეთი გასაოცარი მახინჯების დამზადებით როდი კმაყოფილდებოდა, რომელთა დანიშნულება ხალხისათვის სანახაობის ჩვენება იყო, ან მეფის სასახლის კარზე გამრთობი მასხარებისა, ან სულთნებისა და პაპებისათვის საჭურისების მომზადება. ზემოთქმული ოპერაციები მეტისმეტად მრავალგვარი იყო; ამ ხელოვნების ერთ-ერთი მწვერვალი გახლდათ „მამლის" დამზადება ინგლისის მეფისათვის.

ინგლისში ერთი ჩვეულება ჰქონდათ — მეფის სასახლეში ისეთი კაცი უნდა ჰყოლოდათ, რომელიც ღამღამობით მამალივით იყივლებდა. ეს ღამისმთეველი თვალს ვერ მოხუჭავდა; როდესაც ყველას ეძინა, ის სასახლეში დაფრატუნობდა და ყოველ საათში იმდენჯერ უნდა ეყივლა, რამდენიც საჭირო იყო დროის აღსანიშნავად. მისი ყივილი მაღვიძარა ზარის მაგივრობას სწევდა. მამალივით რომ ეყივლა, ადამიანს ბავშვობაში ხორხის ოპერაციას უკეთებდნენ, რაც სხვა ამგვარ ოპერაციებთან ერთად აღწერილი აქვს დოქტორ კონკენტს. როდესაც კარლოს მეორის* მეფობაში პორტსმუთის ჰერცოგის მეუღლემ კინაღამ არწყია ამგვარი ოპერაციის მსხვერპლი რომ ნახა, რადგან ამ უკანასკნელს ოპერაციის შედეგად, პირიდან ღორბლი სდიოდა, ამის მერე ღამით მაყივრად ისეთ კაცს აყენებდნენ, რომელსაც ხორხი დამახინჯებული არ ჰქონდა, ხოლო თვით ეს თანამდებობა, ღამით მაყივარი კაცისა, ვერ გააუქმეს, რადგან შიშობდნენ, რომ ამით სასახლის ბრწყინვალება გაუფერულდებოდა. ესოდენ საპატიო თანამდებობაზე ჩვეულებრივად სამსახურიდან გადამდგარ ოფიცრებს ნიშნავდნენ ხოლმე. იაკობ მეორის დროს ეს თანამდებობა ეჭირა უილიამ სამსონ კოკს,* რომელსაც წელიწადში ცხრა გირვანქა, ორი შილინგი და ექვსი პენსი ეძლეოდა.

ასი წელი არც კია მას შემდეგ, რაც პეტერბურგში, როგორც ეკატერინე მეორე თავის მემუარებში აღნიშნავს, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სასახლის დიდებულთაგანი მეფის ან დედოფლის უკმაყოფილებას გამოიწვევდა, ის, როგორც დამნაშავე, ასეთ სასჯელს იხდიდა: სასტუმრო-სადარბაზო ვესტიბიულში უნდა ჩაკუნ-

ტულიყო, ხშირად ასე რამდენიმე დღეს ამყოფებდნენ; ხან კატასავით უნდა ეკნავლა, ხან კრუხივით ეკუტკუტა და თუ საჭმელს მიუყრიდნენ, იატაკიდან აეკრიფა.

ეს ჩვეულებები წარსულს არც იმდენად ჩაბარდა, როგორც ფიქრობენ. ჩვენს დროშიც სასახლესთან დაახლოებულნი ძველებურად კუტკუტებენ უფლებამოსილის საამებლად და მხოლოდ იღბალ თუ შეუცვლიათ ინტონაცია. ბევრი იმათგანი თავის საკენკს თუ ტალახიდან არა, იატაკიდან მაინცა კრეფს.

საბედნიეროდ, მეფეებს შეცდომები არ მოხდით, ამიტომ ის წინააღმდეგობანი, რომელშიც ისინი ვარდებიან, არაეისთვის არის საჩოთირო. თუ მეფეების მოქმედებას წინააღმდეგობას არასოდეს გავუწევთ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მართალ ადამიანად ჩაგვთვლიან; ეს საამეღია და მიღებულიც. ლუდოვიკო მეთოთხმეტე არ მოიხურებდა ვერსალში ან მაყიარი ოფიცერი ჰყოლოდა, ან დიდებული კარისკაცი, რომელსაც ინდაურობას დააკისრებდნენ სასჯელად. ის, რაც ინგლისსა და რუსეთში მეფისა და იმპერატორის პრესტიჟს ამაღლებდა, ლუდოვიკო დიდი წმინდა ლუდოვიკოს გვირგვინის მიმართ შეუფერებლად მიიჩნევდა. ყველამ იცის, თუ რა უკმაყოფილება გამოხატა მან, როდესაც გაიგო, რომ ორლეანის ჰერცოგის მეულლეს, ჰენრიეტას, თავდავიწყების წუთებში ქათამი დაესიზმრა. ასეთი საქციელი მართლაც სათაკილოა სასახლის კარზე დაახლოებული არსებისათვის. ის წარჩინებული პიროვნებანი, რომელნიც მეფის სასახლის კარზე იმყოფებიან, შინაური ფრინველების, საქათმეების გახსენებას არ უნდა კადრულობდნენ. ცნობილია, რომ ბოსიუე* იზიარებდა ლუდოვიკო მეთოთხმეტის აღშფოთებას.

4

მეჩვიდმეტე საუკუნეში ბავშვებით ვაჭრობას, როგორც ზევით იყო ნახსენები, თავისებური ხელობა ერთვოდა. ამ ვაჭრობასა და ხელობას კომპრაჩიკოსები მისდევდნენ. ისინი ყიდულობდნენ ბავშვებს, ღღნავ გადაამუშავებდნენ ამ ნედლეულსა და შემდეგ ისევ სხვას მიჰყიდდნენ.

ბავშვს ყიდდა ისეთი უბედური მამა, რომელსაც ძალა აღარ შესწევდა ოჯახი ერჩინა; ყიდდა მონათმფლობელი თუ ყმათა მეპატრონე, რომელიც ცდილობდა კარგ ფასად გაესაღებინა მის მონო-

ბა-ყმობაში მყოფ ადამიანთაგან შემდგარი ჯოგის მიერ მომრავლებული წერილფეხობა. ადამიანებით ვაჭრობა შეტად ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა. ჩვენს დროშიც კი ცდილობდნენ იარაღით შეუნარჩუნებინათ ეს უფლება*. საკმარისია გავიხსენოთ ერთი ფაქტი: ჯერ ისი წელიც არ იქნება მას შემდეგ, რაც თავის ქვეშევრდომებს პესენის კურფიურსტი ინგლისის მეფეს ასყიდებდა, ხოლო ეს უკანასკნელი ამ ადამიანებს ამერიკაში ამოსახოცად გზავნიდა. დიახ, პესენის კურფიურსტთან* მყიდველი ისე მიდიოდა, როგორც ვასაბთან ხორცის საყიდლად. იგი საზარბაზნე ხორცით ვაჭრობდა. ამ ხელისუფალს თავისი ქვეშევრდომები თითქოს საყასბოში ჩამოეკიდა საჭონლის ფეშხვახაეთ, — იყიდეთ — გასაყიდიაო!

ინგლისში, ჯეფრისის დროს, პერცოგ მონმუთის ტრაგიკული აჯანტიურის შემდეგ* თავი მოკვეთეს ან შაჟი პკრეს და ისე მოაკვდინეს მრავალი წარჩინებული და ახნაური; მათი დაქვრივებულ-დაობლებული ცოლ-შვილი იაკობ მეორემ თავის მეულლეს, დედოფალს აჩუქა, ხოლო დედოფალმა ისინი უილიამ პენს* მიჰყიდა. შეხაძლებელია, მეფემ საკომისიო ჯილდო და რამდენიმე პროცენტიც კი მიიღო ასეთ ურთიერთმორიგებაში, მაგრამ საკვირველი ის კი არ არის, რომ იაკობ მეორემ ეს ქალები გაყიდა, არამედ ის, რომ უილიამ პენმა ისინი იყიდა. თუმცა ამ შესყიდვის გამართლება ან ახსნა ამით შეიძლება, რომ პენს აუცილებლად უნდოდა მთელი უდაბური ადგილების დასახლება, რისთვისაც დედაკაცები სჭირდებოდა. დედაკაცები ერთგვარი ცოცხალი ინვენტარის ნაწილს შეადგენდნენ.

ეს ქალები კი მისი უდიდებულესობის შემოსავლის საკმაოდ მომგებიან წყაროდაც გამოდგნენ. ახალგაზრდები კარგ ფასად გაიყიდნენ. უხერხულადაც მიგვაჩნია ვიფიქროთ, რომ პერცოგების მოხუცი ქვრივები პენმა ალბათ გროშის ფასად შეიძინა.

კომპრაჩიკოსებს უწოდებენ, აგრეთვე, „ჩეილახს", — ინდუსური სიტყვაა, ნიშნავს „ბავშვებზე მონადირეებს".

კომპრაჩიკოსები დიდხანს ცხოვრობდნენ უშიშრად, თითქმის ლეგალურად.

ხან თვით საზოგადოებრივი წესწყობილების ხასიათი, მისი შეგნელი თვისებებით, თვითონვე უწყობს ხელს დანაშაულებრივი საქმიანობის დანერგვას. ამგვარ მდგომარეობაში ბოროტმოქმედნი

ლაღად გრძნობენ თავს და ბურჯს იდგამენ. ჩვენს დროში ესპანეთში მსგავს დაჯგუფებას ავაზაკი რამონ სელი მეთაურობდა. მისმა ბრბომ 1834 წლიდან 1866 წლამდე იარსება. ოცდაათი წლის განმავლობაში ამ ყაჩაღთა ბრბოსაგან შიშით ძრწოდა სამი პროვინცია: ვალენსია, ალიკანტე და მურსი.

სტიუარტების ეპოქაში კომპრაჩიკოსებს საკმაოდ ბევრს უმოიბდნენ სასახლის კარზე. საჭიროების მიხედვით, ხელისუფლება მათ დახმარებისათვისაც კი მიმართავდა. იაკობ მეორისათვის კომპრაჩიკოსები თითქმის INSTRUMENTUM REGNI — ხელისუფლების იარაღად იყვნენ გამოყენებულნი.

ის დრო იყო, როდესაც მთელი საგვარეულოების მოდგმას ძირიანად ალმოფხვრიდნენ და ანადგურებდნენ, თუ ეს უკანასკნელნი რაიმე დაბრკოლების მიზეზსა ქმნიდნენ, ან საამბოხოდ იყვნენ განწყობილნი, ისეთი დრო იდგა, როდესაც ერთი დაკვრით მთელ ოჯახს სპობდნენ, როდესაც მემკვიდრეებს ძალადობით აშორებდნენ თავიდან. ხან მოტყუებით საგვარეულოს ერთ შტოს მეორე შტოს სასარგებლოდ კანონიერ უფლებებს უსპობდნენ. კომპრაჩიკოსებს ადამიანის გარეგნობის გამოცვლა შეეძლოთ და ამით ხელს უწყობდნენ პოლიტიკის მიზნებს. ადამიანის გარეგნობის შეცვლა უძნობესია, ვიდრე მისი მოკვლა, მართალია, არსებობდა რკინის ნიღაბი, მაგრამ ეს მეტად უხეში საშუალება იყო. რკინის ნიღბებს მთელ ევროპას ხომ ვერ მოხდებდნენ, ხოლო დასაჩირებული ხუმარა-მასხარები, ჭუჭაში გამოსულნი, არავისში ეჭვს არ აღძრავდნენ. გარდა ამისა, რკინის ნიღბის მოძრობა შეიძლება, ცოცხალ ნიღაბს კი ვერავინ მოაძრობს. ადამიანის სახე საშუალოდ ნიღაბი ხდებოდა. ძნელია ამაზე უფრო აღმატებული სხვა რაიმე ჭკუამახვილობა დაასახელოს კაცმა. კომპრაჩიკოსები ბავშვის პირისახეს გადაამუშავებდნენ, როგორც ჩინელები ხის მასალაზე მუშაობენ. კომპრაჩიკოსებმა საამისოდ, როგორც ჩვენ უკვე ვთქვით, თავიანთი საიდუმლო ხერხები იცოდნენ, თავიანთი განსაკუთრებული ხერხები ჰქონდათ. ეს ხელოვნება უკვალოდ გაქრა. კომპრაჩიკოსების ნახელავი არსება მახინჯდებოდა, არც იზრდებოდა; ამგვარი სანახაობა სიცილსაც იწვევდა და განცვიფრებასაც. ასეთი გამომგონებლობით ისინი იძულებულ შეცვლიდნენ ხოლმე ბავშვის გარეგნობას, რომ მშობელი შამაც ვერარ იცნობდა. ხან ზურგის ხერხემალს ხელუხლებლად

უტოვებდნენ, მაგრამ სახეს სულ მთლად გადაუხვაფურებდნენ. ბაეშვის ბუნებრივი სახის ნაკვთებს ისე აღმოფხვრიდნენ, როგორც მოპარულ ცხვირსახოცზე პატრონის მიერ ამოქარგულ ასო-ნიშანს არღვევენ.

იმათ, ვინც განკუთვნილნი იყვნენ ჯაშბაზობისათვის, მეტად მოხერხებულად უბრუნებდნენ სახსრებს. ბაეშვები უძველო გეგონებოდათ. მათგან ტანმოვარჯიშეს ამზადებდნენ. კომპრაჩიკოსები ბაეშვს სახის დამახინჯებისას შეხედურებასაც უკარგავდნენ. ყოველ შემთხვევაში, იმდენად მაინც, რამდენადაც ეს მათ ემარჯვებოდათ. ბაეშვმა არ იცოდა, რომ დაამახინჯეს. საზარელი ჭორეგია მხოლოდ მის სახეზე ტოვებდა კვალს და არა მის გონებაზე. უკეთეს შემთხვევაში ის თუ გაახსენდებოდა, რომ ერთხელ ვიღაც ადამიანებმა შეიპყრეს, შემდეგ მას დაეძინა, გამოღვიძებისას მკურნალობდნენ. არ იცოდა, რისგან იყო გამოწეული მისი ავადმყოფობა, არც გოგირდით დაწვა, არც რკინით დადაღვა ახსოვდა. ოპერაციის დროს კომპრაჩიკოსები თავიანთ მსხვერპლს აძინებდნენ რაღაც გამაბრუებელი ფხვნილით, რომლის ჯადოსნური ძალა ყოველგვარ ტკივილს ახშობდა. ეს ფხვნილი ძველთაგანვე ცნობილი იყო ჩინეთში. ჩვენს დროშიც იყენებენ. ჩინეთი ჩვენზე ბევრად ადრე მისდევდა წიგნების ბეჭდვას, ჰქონდა არტილერია, ჰაერში ფრენის საშუალებანი, ქლოროფორმი. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ აღმოჩენა, რომელიც ევროპაში უცბად იფეთქებს ხოლმე, მალეც ვრცელდება და ნამდვილ სასწაულს ახდენს, ჩინეთში ჩანასახშივე რჩება და უძრავად, მკვდარივით ინახება. ჩინეთი ის ქილაა, რომელშიც დასპირტული ჩანასახი ინახება.

რაკი ჩინეთზე დავიწყეთ ლაპარაკი, აქ კიდევ ერთ წერილმანზე შევჩერდეთ. ჩინეთში უხსოვარი დროიდან დაიწყო განვითარება ხელოვნებამ, რომლისთვისაც შეიძლებოდა ცოცხალი ადამიანის ჩამოსხმა გეეწოდებინა. ორი-სამი წლის ბაეშს ფაიფურის ლარნაკში ათავსებდნენ; ამ ლარნაკს ცოტად თუ ბევრად უცნაური მოყვანილობა ჰქონდა; ღიღონდ უსახურავო და უძირო იყო, რომ თავი და ფეხები თავისუფლად ეშოძრავებინა ბაეშს. დღისით ლარნაკს უკრტიკალურ მდგომარეობაში დგამდნენ, ხოლო ღამით დაწვენდნენ, რომ ბაეშს დახძინებოდა. ამგვარად, ბაეშვი მხოლოდ სიგანეზე იზრდებოდა და თავისი შებოჭილი სხეულით და გაძრუდებული

ძვლებით ჭურჭლის შეღრმავებულ ადგილებს ავსებდა. ასეთ ქილაში ზრდა რამდენიმე წელიწადს გრძელდებოდა. განსაზღვრულ დროში მსხვერპლი საბოლოოდ მახინჯდებოდა. როდესაც დარწმუნდებოდნენ, რომ ექსპერიმენტმა სასურველ შედეგს მიაღწია და სიმახინჯე მთლად დასრულებულია, გატეხდნენ ლარნაკს და იქიდან გამოვიდოდა რაღაც ადამიანის მსგავსი არსება, რომელსაც ლარნაკის ფორმა მიეღო. ეს ხელსაყრელი იყო: ვისაც როგორი ფორმის ჯუჯა სჭირდებოდა, ისეთ შეკვეთას მისცემდა.

5

იაკობ მეორე კომპრაჩიკოსებს არა სდევნიდა, საამისოდ მას საპატიო მიზეზიც ჰქონდა. იგი თვითონვე სარგებლობდა მათი ხელობით. ყოველთვის როდი ცდილობენ თავიდან მოიშორონ ის, რაც სძულთ და ეზიზღებათ. დაბალი თვისების მრეწველობა-საქმიანობა, რომელიც თურმე სასარგებლო აღმოჩნდა მაღალი თვისების მრეწველობა-საქმიანობისათვის, რასაც პოლიტიკა ეწოდება, უბადრუკ არსებობამდე განწირულიყო, მაგრამ მას მაინც როდი სდევნიდნენ. ამათ თვალყურს არავინ ადევნებდა, თუმც მხედველობიდანაც არ უშვებდნენ. ეგებ დასჭირვებოდათ როგორმე. კანონი ცალ თვალს ხუჭავდა, მეფე მეორე თვალს ახელდა.

მეფე ხან იქამდეც მიდიოდა, რომ გაამჟღავნებდა ხოლმე კომპრაჩიკოსებთან თანამოზიარეობას. ასეთია მონარქიული ხელისუფლების კადნიერება! ხან მსხვერპლს მეფის შროშანების დაღს ასვამდნენ. ღვთის მიერ დასმულ ბეჭედს აცილებდნენ ადამიანს და მეფის დამღით შეუცვლიდნენ. ჩამომავლობით აზნაურისა და ბარონეტის, ციხე მელტონის პატრონისა და ნორფოლკის საგრაფოს კონსტებლის, იაკობ ეთლის ოჯახში ჰყავდათ ამგვარად გაყიდული ბავშვი, რომელსაც შუბლზე სახელმწიფო მოხელისაგან გახურებული შანთით ამომწვარი ჰქონდა მეფის შროშანი*. ზოგ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ მიზეზით უნდოდათ დაერწმუნებინათ, რომ ბავშვის ბედის ასეთი ცვლილება მეფის ჩაურევლად არ მომხდარა, სწორედ ამ საშუალებას მიმართავდნენ. ინგლისს ჩვენ ყოველთვის მაშინ გავახსენდებოდით ხოლმე, როდესაც თავისი საკუთარი ინტერესებისათვის შროშანის ყვავილი უნდა გამოეყენებინა.

კომპრაჩიკოსები რაღაცით მოგვაგონებდნენ ინდუსთა სექტის

„მაჩრჩობელებს", რა თქმა უნდა, თუ მხედველობაში მივიღებთ განსხვავებას, ერთი მხრივ, დანაშაულებრივი ხელობის მიმდევართა და, მეორე მხრივ, ფანატიკოს-გადარეულებულთა შორის. ისინი ათასნაირ ბრბოებად იყვნენ დაქუცმაცებულნი და სხვათა შორის, ტაკიმასხარაობასაც მისდევდნენ, თუმცა ამას ხალხის თვალის ასახვევად სჩადიოდნენ. ეს მოვლენა მათ ხელს უწყობდა, სხვადასხვა ადგილას ემგზავრათ. ისინი მოხეტიალე ცხოვრებას მისდევდნენ — ხან აქ გამოჩნდებოდნენ, ხან იქ. მაგრამ სანტიკო წესებისა და სარწმუნოების მიმდევარნი იყვნენ: ქურდობით არ ქურდობდნენ და არც არაფრით სხვა მოხეტიალე ბრბოებს არ ჰგავდნენ. ხალხს შეცდომით დიდხანს ეგონა ისინი „ესპანელი და ჩინელი მავრები". „ესპანელ მავრებს" ყალბი ფულის მჭრელებს ეძახდნენ; ხოლო „ჩინელ მავრებს" — თაღლით-მატყუარებს. კომპრაჩიკოსები სულ სხვანი არიან. ესენი პატიოსანი ადამიანები იყვნენ. შეიძლება მათზე ათასი რამ იფიქროთ, მაგრამ ხან საოცარ პატიოსნებას იჩენდნენ: კარზე მიაკაკუნებდნენ, შევიდოდნენ სახლში, იყიდდნენ ბავშვს, ფულს გადაიხდიდნენ და ნაყიდს თან წაიყვანდნენ. მორიგება ისე კარგად სრულდებოდა, რომ მყიდველს ვერაფერს უსაყვედურებდით.

კომპრაჩიკოსებს სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ერივნენ. იყვნენ ინგლისელები, ფრანგები, კასტილიელები, გერმანელები, იტალიელები. ასეთი მტკიცე დამეგობრება აზრთა ერთიანობის შედეგად, ცრუმორწმუნეობის ერთიანობითა და ერთი და იმავე ხელობის მიმდევრობით წარმოიშობა. ავაზაკთა ასეთ ძმობაში ლევანტიელები აღმოსავლეთს წარმოადგენდნენ, ხოლო ევროპის დასავლეთ სანაპიროს მკვიდრნი — დასავლეთს. ბასკები თავისუფლად აგებინებდნენ თავიანთ ენას ირლანდიელებს: ბასკსა და ირლანდიელს ერთმანეთის ენა ესმით, ვინაიდან ისინი ძველ პუნიკურ დიალექტზე ლაპარაკობენ; გარდა ამისა, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ჰქონდა მჭიდრო კავშირს კათოლიკურ ირლანდიასა და კათოლიკურ ესპანეთს შორის. ასეთი მეგობრული ურთიერთობა ბოლოს იმით დასრულდა, რომ ლონდონში გაელის ლორდი ბრანი ჩამოახრჩვეს, რომელიც თითქმის მეფე იყო ირლანდიისა;* ეს გარემოება იმის მიზეზიც გახდა, რომ ლიტრიმის საგრაფო შექმნეს.

კომპრაჩიკოსები უფრო შეამხანაგებას წარმოადგენდნენ, ვიდრე

ხალხის ტომს, მაგრამ უფრო ბრბოს, ვიდრე ამხანაგობას. ეს იყო მთელი ქვეყნის ღარიბ-ღატაკთა კაშხირი, რომელსაც დანაშაული ხელობად გაეხადა. ეს იყო ნარჩენ-ნაგლეჯთა მოდგმა, აჭრელებული ძონძმანებით შეკერილ-შეკოწიწებული. მათთან ერთი ახალი კაცის მამატება იგივე იქნებოდა, ვითომ ჩვრის ერთი ნაგლეჯი კიდევ მიეკერებინოთ.

მაწანწალობა არსებობის კანონი იყო კომპრაჩიკოსებისათვის — გამოჩნდებოდნენ და მერე ისევ გაუჩინარდებოდნენ. ის, ვინც მოძულებული ჰყავთ, დიდხანს ერთ ალაგას ვერ იბოგინებს. იმ საზოგადოებაშიც კი, სადაც მათ ხელობას სასახლეებშიც იყენებდნენ და მეფის ხელისუფლებისათვის ხმარობდნენ, იქაც კი ხანდახან მათდამი ერთობ ხიმკაცრეს იჩენდნენ. მეფეები ჯერ თუ გამოიყენებდნენ მათ ოსტატობას, მერე ამავე ოსტატებს კატორღაში უკრავდნენ თავს. ასეთი მერყეობა მეფეების ცინიანობის ცვალებადობით აიხსნება, ასეთი ყოფილა „უმაღლესი ხელისუფლების“ თვისება.

მოხეტიალეთა ხელობა-საქმიანობა აგორებულ ქვას ჰგავს: ხასს არ მოიკიდებს. კომპრაჩიკოსები ღარიბ-ღატაკნი იყვნენ. მათ შეეძლოთ თავის თავზე იგივე ეთქვათ, რაც თქვა გაძვალტყავებულმა, ჩამოფლეთილმა ჯადოქარმა, როდესაც მის დახაწყავად აგიზგიზებული კოცონი დაინახა: „ამ შემთხვევისთვის სანთლების დახარჯვა აფსუსია“. ადვილი შესაძლებელია და სულაც სარწმუნო, რომ კომპრაჩიკოსთა მეთაურები, რომელნიც უცნობნი რჩებოდნენ, და რომელნიც დიდი მასშტაბით აწარმოებდნენ ბავშვებით ვაჭრობას, მდიდრები იყვნენ. ახლა, ორი საუკუნის შემდეგ, ძნელია ამის გამორკვევა.

როგორც უკვე ვთქვით, კომპრაჩიკოსები ერთგვარ შეამხანაგებას წარმოადგენდნენ. მათ თავიანთი კანონი ჰქონდათ, ფიცით შეკრულნი იყვნენ და საკუთარი ადათ-წესებიც გააჩნდათ. მათ, შეიძლება ითქვას, თავიანთი კაბალისტიკა ჰქონდათ. თუ ჩვენს დროში ვინმე მოინდომებდა კომპრაჩიკოსებს საფუძვლიანად გასცნობოდა, უნდა წასულიყო ბისკაიში ან გალისიაში, რადგან კომპრაჩიკოსებს შორის ბევრი ბასკი იყო, ამიტომ აქ, მთებში, დღემდე შემონახულია მათზე თქმულებები.

ჩვენს დროში კომპრაჩიკოსების შესახებ მოგონებები არსებობს ოიარსუნში, ურბისტონდოში, ლესოში, ასტიგარში; — ჩუმად, ბალ-

ლო, თორემ კომპრაჩიკოსებს დავუძახებო, ასე აშინებდნენ იქ დედები თავიანთ შვილებს.

კომპრაჩიკოსები ბოშებივით თავს იყრიან ხოლმე: მათი წარმომადგენლები დროგამოშვებით სათათბიროდ იკრიბებიან. მეჩვიდმეტე საუკუნეში მათ ასეთი თავყრილობისათვის ოთხი მთავარი პუნქტი ჰქონდათ: ერთი ესპანეთში, პანკორბოს ხეობაში, მეორე გერმანიაში, ტყის შუა, მოშიშვლებულ ადგილზე, რომელსაც „ავი დიაცი" ეწოდებოდა. ეს იყო დიკირხის მახლობლად, სადაც ორი უცნაური ბარელიეფია, ერთი ბარელიეფი თავიან დედაკაცს გამოხატავს, მეორე — უთავო მამაკაცს. მესამე შესახვედრი ადგილი მათ საფრანგეთში ჰქონდათ, იმ ბორცვზე, სადაც აღმართული იყო უზარმაზარი ქანდაკება ალთქმის კვერთხისა. ეს იყო საღვთოდ აღიარებულ უძველეს ტყეში, ბორვო-ტომონაში, ბურბონ-ლე-ბენის მახლობლად; მეოთხე პუნქტი ინგლისში ჰქონდათ, იმ ბაღის გალავნის გარეთ, რომელიც უილიამ ჩელონერს ეკუთვნოდა, ჯისბოროუსის ესკვაიერს, იორკის საგრაფოს კლიველენდში ოთხკუთხა კოშკსა და ბაღის გალავნის ისრებიან ბჭისკარს შუა.

6

მაწანწალათა წინააღმდეგ მიმართული კანონები ინგლისში ყოველთვის თავისი სისასტიკით იყო განთქმული. გეგონებოდათ, ინგლისი თავისი შუა საუკუნეების კანონმდებლობაში შემდეგი პრინციპით ხელმძღვანელობდა, — მოხეტიალე ადამიანი მოხეტიალე ნადირზე უარესიაო. მისი ერთი სტატუსთაგანი, მუდმივ საცხოვრებელს მოკლებულ ადამიანს ისეთ არსებად ახასიათებს, რომელიც „ასპიდზე, გველეშაპზე, ფოცხვერსა და ბასილისკოზე უფრო საშიშია". ინგლისი დიდხანს ცდილობდა განედევნა ბოშები თავისი ქვეყნიდან, რადგან იმდენსავე ზიფათს და ზიანს უქმნიდნენ მას, რამდენსაც თვით მგლები; მგლები კი ინგლისში ბოლოს მაინც მთლიანად გაწყვიტეს.

ინგლისელი, ამ მხრივ, განსხვავდება ირლანდიელისაგან, რომელიც წმინდანებს ლოცვით ევედრება, მგლები კარგად გვიმყოფეო, და ამ მგელს თავის „ნათლიად" იხსენიებს.

მიუხედავად ამისა, ინგლისის კანონები ვითომდა ვერც კი ხედავდა მათ ქვეყანაში მოსიარულე მოშინაურებულ მგელს, რომელიც

თითქმის ძაღლს დამსგავსებოდა. ასევე შეწყნარებით ეპყრობოდნენ ამ მოხეტიალე ადამიანებს, რომლებიც თავს ხელობით ირჩენდნენ. არავინ სდევნიდა, არც თინბაზ-ჯამბაზებსა და არც მოხეტიალე დალაქებს, არც ექიმბაშს, არც მეწვრილმანეს, არც მოხეტიალე ალქიმიკოსს; ერთი სიტყვით, არავის, ვისაც კი რაიმე ხელობა გააჩნდა, რითაც თავი უნდა ერჩინა. მაგრამ ამ გამონაკლისთა გარეშე, ისეთი თავისუფალი ადამიანი, როგორსაც ყოველი მაწანწალა წარმოადგენს, უკვე საშიშროებას უქმნიდა კანონს. ყოველი უქმად მოხეტიალე საზოგადოებრივ სიმშვიდეს უქადდა ხიფათს. ჩვენი დროისათვის დამახასიათებელი უმიზნო ხეტიალი მაშინ უცნობი მოვლენა იყო. მხოლოდ ის იცოდნენ, რომ მაწანწალობა ოდითგანვე არსებობდა. საკმარისი იყო „საეჭვო იერი" შეემჩნიათ ვისთვისმე (თუმცა არავინ იცის, რას ნიშნავს ეს სიტყვა), და ასეთ კაცს საზოგადოება ქუჩაში დააცხრებოდა: „სად ცხოვრობ? რა ხელობას მისდევ?" — ჰკითხავდნენ და თუ ამ კითხვებზე ვერ უპასუხებდა, სასტიკად დასჯიდნენ. რკინა და ცეცხლი იყო ზემოქმედების საშუალება, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული. კანონი გახურებული შანთით დაღავდა და ამით ებრძოდა მაწანწალობას.

აქედან, როგორც პირდაპირი შედეგი, გამომდინარეობდა „კანონი საეჭვო პირების შესახებ", რასაც მთელი ინგლისის ტერიტორიაზე იყენებდნენ მაწანწალების მიმართ (ეს უკანასკნელნი დანაშაულის ჩადენას სულ არ ერიდებოდნენ); საეჭვო პირების შესახებ კანონს ნაწილობრივ ბოშების მიმართაც იყენებდნენ. ბოშების განდევნას უსაფუძვლოდ ადარებდნენ ებრაელებისა და მავრების განდევნას ესპანეთიდან და პროტესტანტების განდევნას საფრანგეთიდან. ხოლო რაც შეგვეხება ჩვენ, თავდასხმა-შეპყრობასა და განდევნას ერთმანეთისაგან ვარჩევთ.

კომპრაჩიკოსებს, ვიმეორებთ, საერთო არაფერი ჰქონდათ ბოშებთან. ბოშები გარკვეულ ეროვნებას წარმოადგენდნენ, ხოლო კომპრაჩიკოსები ყველა ეროვნების ნაერთს; როგორც უკვე ვთქვი, ყველა ერის ნაყარნუყარს შეადგენდნენ; ჭუჭყიანი ნარეცხით სავსე საზიზღარ გობს შეედრებოდნენ. კომპრაჩიკოსებს, ბოშებისგან განსხვავებით, თავიანთი სალაპარაკო კილოკავი არ გააჩნდათ, მათი ჟარგონი სხვადასხვა კილოკავის ნარევისაგან შედგებოდა. ისინი ერთმანეთს შორის რაღაც აბდაუბდა ენით ლაპარაკობდნენ, სხვა-

დახვა ენიდან ნასესხები სიტყვებით. ბოლოს და ბოლოს, ახალიც ბოშების მსგავსად, მოხეტიალე ტომად იქცნენ. მაგრამ მათ ერთმანეთთან აკავშირებდა შეამხანაგება — საერთო ხელობა და არა წარმოშობის ერთიანობა. ყოველ ისტორიულ ეპოქაში, კაცობრიობის თვალუწვდენელ ოკეანეში, შეიძლება ცალკეული მიმდინარეობანი შეუნიშნოთ, რომლებიც მაუნე ადამიანთაგან ჩნდებიან და ორგულივ შხამს ავრცელებენ. ბოშები ტომს წარმოადგენდნენ, ხოლო კომპრაჩიკოსები თავისებურ მახინურ საზოგადოებას; მაგრამ ეს მახინური საზოგადოება მაღალ მიზნებს რიდი ახახავდა, იგი საზიზღარ ხელობას მისდევდა. დაბოლოს, მათ შორის სარწმუნოებრივი განსხვავებაც იყო, ბოშები წარმართები იყვნენ, კომპრაჩიკოსები — ქრისტიანები, თანაც კარგი ქრისტიანები, როგორც შეშეენოდა, თუმცა ყოველნაირი ერის წარმომადგენელთაგან შემდგარს, მაგრამ ღვთისმოშიშ ქვეყანაში, ესპანეთში, აღზრდილებულ ძმობას.

ახალი ქრისტიანებზე უფრო მეტნიც იყვნენ — ახალი კათოლიკეები იყვნენ; კათოლიკებზე უფრო მეტნიც — რომის პაპის თაყვანისმცემელნი, ამასთანავე, თავისი სარწმუნოების შეუბღალაობას ისეთი თავგამოდებით იცავდნენ, რომ უარი თქვეს შეერთებოდნენ პეშტის კომიტეტის უნგრელ მოხეტიალეებს, რომელთაც ვინმე მხცოვანი მეთაურობდა, კვერთხის მაგიერ რომ ორთავიანი აისტრიული არწივით შემკული ვერცხლისბუნიკიანი ხელჯოხი ეპყრა. მართალია, ეს უნგრელები სქიზმატიკოსები იყვნენ და ღვთისმშობლის მიძინებას 27 აგვისტოსაც კი დღესასწაულობდნენ — რა საზიზღარი მწვალებლობაა!

ინგლისში კომპრაჩიკოსები სტიუარტების დროს ხელისუფლების ერთგვარი მფარველობითაც სარგებლობდნენ ჩვენ მიერ ნახსენები მიზეზების გამო. სარწმუნოების მგზნებარე ქომაგი იაკობ მეორე, რომელიც ებრაელებს სდევნიდა და ბოშებს ანიოკებდა, კომპრაჩიკოსების მიმართ კეთილად იყო განწყობილი. ჩვენ უკვე ვიცით, რატომ ეაჭრობდნენ კომპრაჩიკოსები ადამიანებით, როგორც ისეთი საეაჭრო საქონლით, რომლითაც მეფე ეაჭრობდა. ისინი შესყიდულს მეტად ხელოვნურად, სწრაფად, უკვალოდ აქრობდნენ. ამგვარი უკვალო გაქრობა ხანდახან საჭირო ხდებოდა „სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის". თუ მცირეწლოვანი მემკვიდრე ვინმეს გზას ულობავდა ან უშალ კომპრაჩიკოსების ხელ-

ში ვარდებოდა, გარკვეული ოპერაციების შემდეგ შემკიდრე ბაეშვი თავის შესახედაობას კარგავდა. ეს გარემოება ხელს ბაეშვის ქონების კონფისკაციას უწყობდა, შემდეგ ადვილი ხდებოდა მათი მამაპაპეული მიწა-წყალისა და ადგილ-მამულის ფაეორიტებზე გასაწერება. გარდა ამისა, კომპრაჩიკოსები მეტად თაეშეკაეებულნი და უთქმელნი იყვნენ და რაკი ხმა არ უნდა ამოელოთ, ამ თავიანთ ალთქმას მტკიცედ იცავდნენ, რაც მეტად აუცილებელია სახელმწიფოებრივ საქმეში. თითქმის არ ყოფილა არც ერთი შეთხზეება, რომ მეფის სიდუმლო გაეცათ. თუმცა, ეს მათ საკუთარ ინტერესებსაც ეხებოდა; თუ მეფე მათდამი ნდობას დაკარგავდა, მაშინ დიდი საშიშროება მოელოდათ. ამგვარად, პოლიტიკური თვალსაზრისით, კომპრაჩიკოსები ხელისუფლების საქმიანობას მხარს უჭერდნენ. გარდა ამისა, ეს ოსტატები წმინდა მამას მრავალმხრივ ეხმარებოდნენ შგალობლების შეგრძეებაში. ამ მგალობელთა მეოხებით შესაძლო ხდებოდა მეესრულებინათ ალეგრას* გალობა MISERERE („უფალო, შეგვიწყალე"). კომპრაჩიკოსები განსაკუთრებით თაეანს სცემდნენ ქალწულ მარიამს. ყოველივე ეს მოსწონდათ კიდეც პაპის მიმდევარ სტიუარტებს. იაკობ მეორე ვერ აითვალწუნებდა იმ ადამიანებს, რომელთა ღვთისმოსაობა ესოდენ დიდი იყო, რომ ისინი საჭურისებს აშზადებდნენ ეკლესიის კაპელებისათეის. 1688 წელს ინგლისში დინასტია შეიცვალა. სტიუარტი პრინცმა ორანელმა განდევნა. იაკობ მეორის ადგილი დაიჭირა უილიამ მესამემ.

განდევნილმა იაკობ მეორემ უცხო მხარეში დალია სული. მის საფლაეზე სასწაული მოხდა: მისმა ნეშტმა ოტენის ეპისკოპოსი განკურნა ფისტულისაგან, — ღირსეული მიმადლებაა ქრისტიანულად ქველმოქმედი მონარქისაგან, რომელსაც სამეფო ტახტი ჩამოერთეა.

უილიამ ორანელი არ აზიარებდა იაკობ მეორის აზრებსა და შეხედულებებს, იგი სულ სხეა პრინციპებით მოქმედებდა, მკაცრად ეპყრობოდა კომპრაჩიკოსებს. მან საკმაოდ ბეერი ენერგია დახარჯა, რათა ეს გახრწნილი ბრბო გაენადგურებინა.

უილიამ მესამისა და მარიამის მეფობის დასაწეისიდანეე გამოცემული სტატუტი მთელი სიმკაცრით დაატყდა კომპრაჩიკოსების აშზანაგობას. ეს სტატუტი მათთეის საშინელი თაესმენი იყო, რის შემდეგ ეელარც ახეირეს. ხსენებული სტატუტის ძალით, ბორტ-

პატიმრობაში შეშინებული მათი ბრბოს წევრები უნდა დაედალათ. გაბერებული რკინით მხარზე ამოსწვავდნენ ხოლმე ასო R-ს, რაც ნიშნავს ROGUE — ე.ი. ავაზაკს. მარცხენა ხელზე ასო T-ს, რაც ნიშნავს THIEF — ე. ი. ქურდს; და მარჯვენა ხელზე ასო M-ს, რაც ნიშნავდა MANSLAY-ს — ე.ი. კაცისმკვლელს. მათი მეთაურება, „არაუდით მდიდრება, თუმცა გარეგნობით გლახაკნი", ისჯებოდნენ COLLISTRIGIUM-ით, — ე.ი. საშარცხვინო ბოძთან (PILORI) ღგომით და შუბლზე ამოსწვავდნენ ხოლმე ასო P-ს, მათ ქონებას კონფისკაციას უკეთებდნენ, ხოლო ბალ-ეენახებს ან ტყეს, თუ გააჩნდათ, გადაჩეხდნენ და ძირიან-ფესვიანად თხრიდნენ. ვინც კომპრაჩიკოსებს არ დააბეზღებდა, ისეთივე ბრალი ედებოდა, ქონება ჩამორთმეოდა და პატიმრობაში ამყოფებდნენ სიკვდილამდე. რაც შეეხება კომპრაჩიკოსების ბრბოში მყოფ დედაკაცებს, მათ სასჯელს ეწოდებოდა CUCKING-STOOL, რაც ერთგვარი მაზე იყო. თვით სიტყვა ნარმოიშვა ფრანგული სიტყვა COQUINE-ისა (გარყვნილი ქალი) და გერმანული STUHL-ის (სკამი) შეერთებით. ინგლისის კანონები არაჩვეულებრივი ხანგრძლივობით გამოირჩევა. ინგლისურ სისხლის სამართლის კოდექსში ეს სასჯელი „როკაპი დედაკაცების" მიმართ დღემდე ძალაშია. CUCKING-STOOL-ს ჩამოკიდებდნენ მდინარესთან ან გუბურასთან, შიგ ჩასვამდნენ დედაკაცს და სკამს წყალში ჩაუშვებენ; ეს ოპერაცია სამჯერ მეორდება, „რათა დაიბრონ მისი ბოროტება", ამბობს კომენტატორი ჩემბერლენი.

წიგნი პირველი

ღამე ისე ბნელი არ არის, როგორც ადამიანი

I

პორტლენდის სამხრეთი სანაპირო

1689 წლის დეკემბრიდან 1690 წლის იანვრამდე ჩრდილოეთის მძაფრი ქარი მძვინვარებდა ევროპის მთელ კონტინენტზე. იგი განსაკუთრებით ჩრდილოეთში ბობოქრობდა. სწორედ ამან გამოიწვია ის სიცივეები, თავისი საშინელი შედეგებით, რამაც საფუძველი მისცა ზამთარი აღნიშნულიყო, როგორც „სამარადისოდ დასახსოვრებელი ღარიბი ხალხისათვის". ეს აღნიშვნა ჩაწერილია ძველი დაბადების ფურცელთა არშიებზე, ლონდონის პრესვიტერიანულ სამლოცველო NON JURORS-ში*. სახელმწიფოს იმ უძველესი პერგამენტის იშვიათი გაძძლეობის წყალობით, რომელიც ოფიციალური აქტების ჩასაწერად იხმარებოდა, ახლაც შეიძლება სიცივითა და შიშველით დაბოცილ ღარიბ-ღატაკთა გრძელი სიები ადვილად გაარჩიოს ადამიანმა ზოგიერთ საკლესიო დავთარში, განსაკუთრებით პატარა ქალაქ საუთვორქის კლინკ-ლაბჰერტ-კორტის სამრეკლოში, პაი-პაუდერ-კორტში (რაც ნიშნავს „მტვრიან ფეხთა ეზოს") და სოფელ სტეპნეის უაით-ჩეპელ-კორტში, სადაც საკლესიო ქტიტორად ადგილობრივი ბალი იყო. იმ ზამთარს, ყინულით დაფარულ თეშხასაც დინება შეუჩერდა: ასეთი რამ საუკუნეში მხოლოდ ერთხელ ხდება, რადგან ზღვის მიმოქცევის გამო მდინარეზე ყინული ვერ ძლებს. იმ ზამთარს კი მოყინულ მდინარეზე საზიდრებით გადად-გადმოდიოდნენ. თეშხაზე ფარდულები დაიდგა, ბაზარი გაიხსნა, აქვე გასართობები, ხარების შერკინება და დათვების თამაში მოეწყო. ყინულზე ცეცხლი გააჩაღეს და დაკლული ხარი მთლიანად შეწვეს. მდინარეზე ასეთი სქელი ყინული ორი თვის განმავლობაში არ დაძრულა. 1690 წლის ზამთარი იმდენად სასტიკი იყო, რომ თავისი არაჩვეულებრივი სიცივეებით გადააჭარბა კიდევ ვაც მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისის განთქმულ ზამთრებს, რაც გულდასმით შესწავლილი და აღწერილია დოქტორ გედეონ დელო-

ნის შიურ. ამ უკანასკნელს, როგორც მეფე იაკობ პირველის შეაფთაქეს, ქალაქმა ლონდონმა პატივისცემის ნიშნად ძეგლი დაუდგა.

1690 წლის იანვრის თვის ყველაზე უფრო ხუსხიან-ყინვიანი დღის საღამო ხანს, პორტლენდის ყურის ერთ-ერთ არასტუმართმოყვარე პატარა ნავმისადგომში არაჩვეულებრივი რამ ხდებოდა. თოლიები და ზღვის ბატები გამაყრუებელი წივილ-კოტკოტით დასრიალებდნენ ნავმისადგომის ნაპირას და შიგ შეფრენას ვერ ბედავდნენ.

ზღვის ყურეში ეს პატარა ნავმისადგომი ყველაზე უფრო სახიფათოა მაშინ, როდესაც ზღვაზე ქარი ამოვარდება; იგი სხვებზე უფრო უკაცრიელი, მიყრუებული და, მაშასადამე, მეტად მოსახერხებელია იმ ხომალდებისათვის, რომლებიც მეთვალყურეთაგან მიმალვას ცდილობდნენ. აქ, კლდიან ნაპირთან, სადაც ზღვა ღრმა იყო, ერთი მომცრო ხომალდი მიეყენებინათ. ჩვენ შეცდომით ვამბობთ ხოლმე: „მიწაზე ღამე ჩამოწვაო", მართებული იქნებოდა გვეთქვა: „მიწიდან ღამე ზევით იწევსო", ვინაიდან სიბნელე ქვევიდან აიმართება ხოლმე ცისაკენ. დაბლა, კლდის ძირას, უკვე ღამის სიბნელე სუფევდა; ზემოთ ჯერ ისევ დღე იყო. ვინმე რომ ნაპირთან ახლოს მიბმულ ხომალდთან მისულიყო, გაარჩევდა, რომ ეს ბისკაური კარჭაპი იდგა.

მზე, მთელ დღეს რომ ღრუბლები ეფარებოდნენ, ეს-ეს იყო ჩასულიყო და ახლა ის ჟამი იდგა, როცა ადამიანს გულში ერთგვარი უემური ფორიაქი აღეძვრება ხოლმე, და რაც მნათობის ჩაბნელების გამო სევდიანობას იწვევს.

ზღვაზე ქარი ჩაყუჩდა, ყურეშიც მყუდროება ჩამოვარდა.

ეს ბედნიერი გამონაკლისი იყო, განსაკუთრებით ზამთარში, პორტლენდის ყურეები მეტწილად ზღვისქვეშა მეჩეჩების გამო ძნელად მისადგომია გემთათვის. ქარიშხლიან ამინდში აქ ზღვის ღელვა ძლიერია და საკმაოდ დიდი გამოცდილება და ხერხია საჭირო ხომალდის ნაპირამდე მოსაყვანად. ეს პატარა ნავმისადგომები მხოლოდ თვალისათვის არის მოსაწონი. აქ შესვლაც სახიფათოა და იქიდან გამოსვლაც საშიში. მაგრამ იმ საღამოს ყურე უჩვეულოდ სახიფათოს არას მოასწავებდა.

ბისკაური კარჭაპი ძველებური ხომალდის ტიპისაა, რაც ახლა აღარ იხმარება. ამ ხომალდებს თავის დროზე მარჯვედ იყენებდნენ ფლოტისათვის; სიმკვიდრე მათ დიდი გემისა ჰქონდათ, მოცულობა

— ორმხრივის, კარჭაპები არშადას* შემადგენლობაში შედიოდნენ. სამხედრო კარჭაპებს, მართალია დიდი წყალწყვა გააჩნდათ, მაგალითად: „დიდი გრიფონი“. — კაპიტნის ხომალდი, რომელსაც ლოპე-დე-მედინა ხელმძღვანელობდა, მოიცავდა ექვსას ორმოცდაათ ტონას, მას ბაქანზე ორმოცი ზარბაზანი ჰქონდა, მაგრამ სავაჭრო და საკონტრაბანდო კარჭაპები გაცილებით ნაკლები მოცულობისანი იყვნენ. მეზღვაურები მეტად აფასებდნენ ამ ნაძცა ნავ-ხომალდებს და პატივითაც იხსენიებდნენ. მისი ტაკელაჟის ტროსებს შიგნიდან მაუთულები ჰქონდა ჩაწნული, რაც იმას ნიშნავდა, რომ განზრახული იყო, თუმცა არა მეცნიერებაზე დაყრდნობით, არამედ პრიმიტიულად, უზრუნველეყო კომპასის სწორი მოქმედება მაგნიტური ქარიშხლების დროს. კარჭაპის აღკაზმულობა მარტო ამ წერილი ტროსებისაგან არ შედგებოდა; მას მსხვილი პერლინები და ესპანური გალერების კაბრიები ჰქონდა და რომაული ტრირემების კაბელები. რუმპელი მეტად გრძელი იყო. ამას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ბერკეტს ძალა ემატებოდა, მაგრამ მობრუნებისას უხერხულობას ქმნიდა; ორი ბორბალი ორ ბუდეში რუმპელის ბოლოს ასწორებდა ამ ნაკლს და ცოტად თუ ბევრად ძალას უკარგავდა. კომპასი მოთავსებული იყო ზუსტ ოთხკუთხედ ნაკოუჭში, სადაც მუდამ დაცული ჰქონდა წონასწორობა ამ ორი სპილენძის რკალურის წყალობით, რომლებიც ურთიერთში იყო ჩამული პორიზონტალურად მოთავსებულ მცირე ღერძებზე. იმგვარად, როგორც კარდანის ლამპებშია ხოლმე. კარჭაპის კონსტრუქციას უტყობდა, რომ მისი მშენებელი საკმაოდ მცოდნე ფიზიკოსი და საზრიანიც, მაგრამ ეს ცოდნა უბერის ცოდნაც იყო და საზრიანობაც ჯერ ისევ ველური ადამიანისა. კარჭაპი თავისი აგებულებით ისევე პრიმიტიული იყო, როგორც პრამა და პიროგა, და როგორც ზღვის მეკობრეებისაგან და მებადურებისაგან ალღოთი გაკეთებული ნავ-ხომალდი, გამძლე იყო პრამასავით და ჩქარმავალი პიროგასავით. იგი ერთნაირად გამოსადეგი იყო, როგორც გაშლილ ზღვაში გასახსნელად, ისე ყურეებსა და სრუტეებში ცურვის დროს. მისი აფრები საგანგებო თავისებურებით იყო აღკაზმული და შესაძლებელსა ხდიდა ნელი სელითაც ველო ტბასავით დახშულ ასტურიის ყურეებში, როგორიცაა პასახესი, და გაქანებული ხრიალითაც ღია ზღვაში. ამ ხომალდით ერთნაირად მარჯვედ

შეძლებოდა მგზავრობა ტბაზედაც და დედაწყის გარშემოც. იგი ორგანალური ხომალდი იყო; რომლის გამოყენება წყნარ ტბაზე საცურაოდაც შეიძლებოდა და ოკეანეების მბორგავ ტალღებზეც. ხომალდებს შორის კარჭაპი იგივე იყო, რაც ბოლოქანქარა ჩიტია ფრინველთა შორის. თითქმის ყველაზე მოშცრო და იმავე დროს ყველაზე გულადი. ბოლოქანქარა ლერწამ-ჩალაზე ჩამოშჯდარი, იფნავ თუ გადალუნავს მას, მაგრამ აფრინდება თუ არა, თავისუფლად გადაიფრენს ოკეანეს.

ბისკაური კარჭაპები, თუნდაც ყველაზე ღარიბული, მაინც შეფერადებული და მოვარაყებული იყო. ამგვარი ტატუირება ბასკების ჩვეულება-გემოვნების შედეგია, ამ მომხიბლავი, მაგრამ რამდენადმე ველური თვისების ხალხისა. პირუნეს მთების საუცხოო ფერადოვნება, მინდორ-მდელოები და მთებზე შიგადაშიგ თოვლის ზოლები მოსახლეობაში აღვიძებს შეუკავებელ ლტოლვას ფერადოვანი მოკაზმულობისადმი. ბასკები საუცხოოდ ალამაზებენ თავიანთ ხელარიბებს: მათი ქოხების კარს ზემოთ გერბებია მოხატული. მათ ჰყავთ დიდი სახედრები, რომლებსაც კისერზე ეკეთებს პკიდებენ, და ჯამიანი ხარები, რომლებსაც თავ-რქებზე ბუმბულების გვირგვინს ადგამენ; მათი სახიდარ-ურმები, რომელთა თვლების ჭრიალი ორი ლიეს მანძილიდანვე მოისმის, ათასფერად შეღებილია, მოჩუქურთმებული და ბაფთებით მორთული. ბასკი მეწალის სახელოსნოს კარზე მისადაგებულია ქვისაგან გამოჭრილი ბარელიეფი, სადაც გამოსახულია წმ. კრეპინი და ფეხსაცმელი. ბასკების ქურთუკებს გარს ტყავის ჩაფარიში აქვია და მათი გაცვეთილი ტანსაცმელი საკერებლის მაგიერ ნაქარგებითაა აჭრელებული. ბასკები სიმხიარულეშიც კი არ კარგავენ სიდიადეს. ისინი ბერძნების მსგავსად შხის შვილები არიან. მაშინ, როდესაც ვალენსიის დაღვრემილი მცხოვრებნი შიშველ ტანზე რუხ სალის ლაბადას მოიგდებენ ხოლმე, რასაც მხოლოდ თავის ამოსაყოფი აქვს ამოჭრილი, — ბისკაისა და გალისიის მცხოვრებნი თრთვილის საშუალებით გათეთრებული ლამაზი ტილოს პერანგებით ირთვებიან. სამინდის აკიდებით მწკრივად ჩამოკიდებულ კარ-ფანჯრებიდან ალერსიანად გამოიცქირებიან ქერა, ხვეულთმიანი, ხიცოცხლით სავსე ყმაწვილი ქალ-ვაჟები. მათი სიმკვირცხლე, მხიარულება და ამაყი, ნათელი სული თავის გამოხატულებას მათსავე მარტივ ხელოვნებაში,

ხელოსნობასა და ზნე-ჩვეულებაში, მათი ქალების მოკაზმულობასა და სიმღერებში პოულობს. ბისკაიაში ყოველი მთა ერთგვარი გოლიათური ქოხია, შუა გახლეჩილი, სადაც ხინათლის შუქი ძირამდეა ჩაღწეული. მზის სხივები აქ მთების ყოველ ნაპრალამდე აღწევს. მკაცრად მოღუშული ხაისკიველი მთლიანად იდილიაა. ბისკაი — პირენეების დამაშშვენებელია, ისე, როგორც საფოიაა ალპების დამაშშვენებელი. ზღვის სახიფათო ყურეებში, სან-სებასტიანს, ლესოსა და ფუენტარაბიის მახლობლად, ქარიშხლიან ამინდებში, ღრუბლებთან ჩამობნელებული ცის ქვეშ, როდესაც გამძვინვარებული ტალღების ქაფი კლდიან ნაპირებს ტლაშუნით ზედ უვლება, ქარი ღმუის, ირგვლივ საშინელი შეხლა-დგაფუნია, მაშინაც კი შეიძლება თვალი მოჰკრათ ნავში მჯდომ ბასკ ქალებს, ტყორცის გადაშხიდველებს თავზე ვარდის გვირგვინებით. ვინც ბასკების ქვეყანაში ერთხელ მაინც ყოფილა, ის მთელი სიცოცხლე მონატრებული იქნება, კიდევ და კიდევ იხილოს ეს ქვეყანა. კურთხეული მხარეა: წელიწადში ორჯერ იმკიან სარჩოს, სოფლები ახმაურებულია; ღარიბები არიან, მაგრამ სიამაყე არ აკლიათ. კეირაობით მთელ დღეს გიტარის ჟღერა ისმის. ცეკვა-თამაში, კასტანეტები, სიყვარული, სუფთა, ნათელი ქოხები და ყარყატები სამრეკლოებზე.

მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ პორტლენდს, ზღვის სანაპიროს მიუვალ კლდეს. პორტლენდის ნახევარკუნძული რეკაზე ფრინველის თავის მოყვანილობისაა, ნისკარტით ოკეანისკენ მიმართული, ხოლო კეფით ვეიმუთისაკენ; მისი ყელი ხმელეთიდან აწვდილ კოსერს გვაგონებს.

თავისი პირველყოფილი მშვენიერების საზიანოდ პორტლენდი ჩვენს დროში სამრეწველო ცენტრად გადაიქცა. მეთვრამეტე საუკუნის ნახევარში პორტლენდის სანაპირობე გაჩნდა ქვის სამტეხლო და ქურა-ღუმელები თაბაშირის გამოსაწვავად. იმ დროიდან პორტლენდის მერგელიდან ამუშავებენ ეგრეთ წოდებულ რომანულ ცემენტს — მეტად სასარგებლო ნაწარმს, რომელიც ამდიდრებს ქვეყანას, მაგრამ ლანდშაფტს ამახინჯებს. ორასი წლის წინათ ამ ჯურეში კლდოვან ნაპირებს მხოლოდ ზღვა ეხლებოდა ტალღებით და იდნავ რასმე თუ ჩამორეცხავდა. ახლა კი მას ქვისმტეხლები არღვევენ და ანგრევენ. ტალღა მთელ ფუნას გადაეყლება ხოლმე, ხოლო წურაქვი პატარა ნატეხებს მოანგრევს, ამის გამო პეობაი

მეტად უფერულდება. ოკეანის დიდებული გათარეშება ადამიანის საცახირო მეშაობამ შეცვალა. ამან მთლად მოანგრია და მოსპო ის ყურე, რომელშიც ახლა ნაპირზე მიბმული ბისკაური კარჭაპი იდგა. პატარა ნავსადგურის მონგრევა-მოსპობის კვალი უნდა ვეძებოთ ნახევარკუნძულის აღმოსავლეთის მხარის ნაწილზე, სწორედ მის კიდურწვერთან, ფოლი-პირსა და დერდლ-პაიერის იქითა მხარეს და ვექსემის იქითაც კი, ჩერჩ-ჰოპისა და საუთ-ველს შუა. ყურე ციცაბო ნაპირებით იყო ყოველმხრივ შემოზღუდული. ნაპირების სიმაღლე ბევრით აღემატებოდა ყურის სიფართოვეს და ამიტომ დაღამებისას სიბნელე ყოველ წუთს მატულობდა, მრუმე ნისლი დაღამებამდე აშლილიყო. თანდათან მეტად შესქელებულ არესაც უფრო აბნელებდა. ისეთი სიბნელე ჩამოწვა, როგორიც ჭის სიღრმეშია ხოლმე. ყურიდან ზღვაში ვიწრო გასასვლელი თითქმის უკვე მთლად დაბნელებულ ღამის ფონზე მოთეთრო ზოლივით გამოირჩეოდა, რასაც მხოლოდ ზღვის მოქცევის ქამით-ქამადი ტლაშანილა აძლევდა სიცოცხლის იერს. მხოლოდ სულ ახლოს მისვლისას შეამჩნევდით სანაპირო კლდეებთან მიბმულ კარჭაპს, თითქოს კლდეების ჩრდილს შეპფარებიაო. ნაპირთან კარჭაპი შეერთებული იყო ფიცრით, რომელიც კონცხის ერთადერთ, ოდნავ ფეხის მოსაკიდ დაბალ, ბრტყელ, ვიწრო ადგილიდან გაედოთ. ამ მოქანავე ხიდურაზე სიბნელეში შავი ფიგურები მირბი-მორბოდნენ, ეტყობოდათ, ზღვაში გასასვლელად ემზადებოდნენ.

იმ კლდის მეოხებით, რომელიც ყურის ჩრდილოეთის მხრივ ამართულიყო და საფარ-საცავის როლს ასრულებდა, აქ შედარებით თბილოდა, ვიდრე ღია ზღვაში; მიუხედავად ამისა, იქ მოფუსფუსე ადამიანები კანკალებდნენ. ისინი ჩქარობდნენ.

სალამოს ბინდის სუსტ სინათლეზე ყველა საგნის მოხაზულობა ისე ჩანს, თითქოს საკვეთით ნაქანდაკევიაო. თვალი გაარჩევდა ზღვაში გამსვლელთა დაფლეთილ ტანსაცმელს, რაც იმას მოწმობდა, რომ ასეთი ტანსაცმლის პატრონები მოსახლეობის იმ წრეს ეკუთვნიან, რომელთაც ინგლისში THE RAGGED — დაფლეთილები ეწოდებათ.

კლდის ფონზე ბუნდად მოჩანდა ვიწრო, დაკლაკნილი ბილიკი. ქალიშვილი რომ თავის კორსეტს სავარძლის საზურგეზე გადაპკიდებს, ხოლო კორსეტის ზონრები მიხვეულ-მოხვეულად იატაკამდე

დაეშვებიან, ამით თავისდა უნებურად სქემას იძლევა მთებზე ამავალ ბილიკებისას. იმ პატარა მოვაკებულიდან, საიდანაც კარჭაპზე გადასასვლელად ფიცარი გაედოთ, ასეთი მიხვეულ-მოხვეული ბილიკი ასდევდა; ეს ბილიკი თხების სასიარულოდ უფრო გამოდგებოდა, ვიდრე ადამიანებისა. კლდის ბილიკზე მეტად საშიში ასასვლელია. ამ ბილიკებით ქვევით დაშვებას უფრო დაგორება მოჰყვება, ვიდრე ჩამოსვლა. ისინი დაღმართები კი არა, უფრო დაქანებული ნაპრალებია. აქ ნახსენები ბილიკი, ალბათ ვაკობიდან აქეთ მომდინარე გზის ერთ-ერთი მცირე განშტოება იყო, მაგრამ ისეთ ციცაბო კლდეს ასდევდა, რომ მისი შეხედვაც შიშის ჟრჟოლას იწვევდა ადამიანში. ქვემოდანვე მოჩანდა, როგორ გველივით დაკლაკნილი ასდევდა ფრიალოს წვერისაკენ და იქიდან კიდევ კლდის ნაპრალებსა და ზვავებზე გადაევლით მთის მაღალ ზეგანს აღწევდა. ალბათ ამ ბილიკით ჩამოვიდნენ სანაპიროზე ის ადამიანები, რომელთაც ყურეში კარჭაპი ელოდა.

შეშფოთებითა და შიშით შეპყრობილი ადამიანების მეტი, რომლებიც აჩქარებით ემზადებოდნენ ზღვაში გასასვლელად, ყურეში არავინ იყო. ირგვლივ სიწყნარე და სიმშვიდე სუფევდა. არც ნაბიჯების ჩქამი ისმოდა, არც მოსაუბრეთა ხმები, არც ქარის ქროლვა. რეიდის იქითა მხარეს, რინგსტედის ყურის შესასვლელში თვალი ძლივძლივობით გაარჩევდა ზვიგენმჭერი მეთევზეების ხომალდების ფლოტილიას, რომლებსაც საფიქრებელია, გზა აბნეოდათ. ზღვის ქონიანობას ეს პოლარული ხომალდები დანიის წყლებიდან აქეთ გამოერეკა, ინგლისის ზღვაში. ჩრდილოეთის ქარები ხანდახან ასე ათამაშებენ ხოლმე მეთევზეებს. რაკი ეს ხომალდები პორტლენდის ნავსადგურს შეეფარებოდნენ, ეს იმის მომასწავებელი იყო, რომ მალე გაშლილ ზღვაზე უამინდობა და სახიფათო მდგომარეობა შეიქმნებოდა. ხომალდები ცდილობდნენ, აქ გასაჩერებლად ღუზა ჩაეშვათ. მთლიანად დანისლულ ზღვაზე მკვეთრად შეიმჩნეოდა სილუეტი მეთაური ხომალდისა. იგი ნორვეგიის ფლოტის ძველი ადათის მიხედვით სხვა ხომალდების წინ იდგა. მოჩანდა მთელი მისი ალკაზმულობაც, ხოლო კიჩოსთან ნათლად შეიმჩნეოდა ზვიგენის საჭერი ხელსაწყოები: ყოველგვარი ბარჯები და ჰარპუნები, განკუთვნილი SEYMNUS GLACIAJIS, SQUALUS ACANTHIAS და SQUALUS SPINAX NIGER-ის* დასაჭერად, აგრეთვე ბადეე-

ბი მხვილი თევზებისათვის. გარდა ამ ხიმალდებისა, ნაცადგუ-
რის ცალ მხარეს რომ მიმჭიდროებულიყვნენ, პორტლენდის მთელ
ფართო პორიზონტზე სხვა არა მოჩანდა რა. არც საცხოვრებელი
შენობები, არც ხიმალდი. სანაპირო იმ დროს ჯერ დაუსახლებელი,
უდაბური იყო, ხოლო რვეული წელიწადის ამ დროს საერთოდ მოცა-
რიელებულია.

მაგრამ როგორი ამინდიც უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი, ყვე-
ლაფრიდან ჩანდა, რომ ბასკურ კარჭაპზე ხლეშე გასასვლელად
მოფუსფუსე ადამიანები გამგზავრებას არ გადასდებდნენ. ისინი ნა-
პირზე ფუსფუსებდნენ, აფორიაქებულნი და დაბნეულნი სწრაფად
წინ და უკან მიდი-მოდიოდნენ. ერთმანეთში მათი გარჩევა საძნელო
იყო და, ვერც გაარკვევდი, ახალგაზრდები იყვნენ თუ მოხუცნი.
სალამოს ბინდს გაეცრიცა მათი ალნაგობა. ჩრდილებს ნაღაბივით
დაეფარა მათი პირისახე. სიბნელეში მხოლოდ ხალუეტები გამოკრ-
თოდა. სულ რვანი იყვნენ, მათ შორის ერთი ან ორი დედაკაციც
ერია, მაგრამ ისინიც თითქმის არ განირჩეოდნენ მამაკაცებისაგან:
ის უბადრუკი ძონძმანძი, რაშიაც ყოველი მათგანი გახვეულიყო,
არც მამაკაცის ტანსაცმელსა ჰგავდა და არც დედაკაცისას. ძონძ-
მანებში სქესი არ ირჩევა. უფროსებს შორის მოძრავი, მომცრო ტა-
ნადობის ჩრდილი ჯუჯა გეგონებოდათ ან ბავშვი.

ის ბავშვი იყო.

II

მიტოვებული

ახლოდან შესაძლო ხდებოდა შეგემჩნიათ შემდეგი: ყველანი თა-
ვსაბურაუიან ლაბადებში გახვეულიყვნენ, თან იძდენად ფართოსა
და გრძელებში, რომ საჭიროების შემთხვევაში, თავიდან ფეხებამდე
შეგ გახვეულთ მარტო თვალებიღა მოუჩანდათ. ამგვარად უაძნ-
დობისაგან იფარაედნენ თავს და ცნობისმოყვარე თვალთაგანაც.
ლაბადები სულაც არ აბრკოლებდა მათ, რომ სწრაფად ემოძრაოთ.
შეტეხობას თავსახვევი ჰქონდა შემოკრული — ეს იყო ესპანური
თავშოსართავი, რომელიც შემდეგ ხანებში დოლბანდებად გადაქ-
ცდა. ინგლისში ასეთი თავშოსართავები იშვიათობას არ წარმოად-

ვენდა. იმხანად სამხრეთული მოდა გავრცელდა ჩრდილოეთში. შესაძლოა ეს იმიტომაც ხდებოდა, რომ ჩრდილოეთი იმარჯვებდა სამხრეთზე, იმორჩილებდა მას და თანაც ჯეროვნად აფასებდა. სამხრეთის ზნე-ჩვეულებებითა თუ ადათ-წესებით ჩრდილოეთი აღტაცებული იყო. არმადას განადგურების შემდეგ დედოფალ ელისაბედის სასახლეში კასტილიური დიალექტი მოხდენილ ენად იყო მიღებული. ინგლისის დედოფლის განსაცხრომელ დარბაზებში ინგლისური ლაპარაკი სირცხვილად, თითქმის არასაკადრისად ითვლებოდა. დამპყრობელმა ბარბაროსებმა ჩვეულებად შემოიღეს იმათი ზნე-ჩვეულებანი, ვისი კანონმდებელნიც თვითონ გახდნენ; ჩვეულებად იქცა დაპყრობილთა ზნე-ჩვეულების ნაწილობრივ მაინც გადმოღება, რადგან მათ მიერ დაპყრობილ ხალხს უფრო მაღალი კულტურა ჰქონდა. მონღოლები ყურადღებით აკვირდებოდნენ ჩინელთა ყოფა-ცხოვრებას და ჰბაძავდნენ მათ. ამიტომ იყო, რომ კასტილიური მოდა ინგლისშიც შემოვიდა. სამაგიეროდ, ინგლისში წარმოებულ საქონელს გზა ესპანეთში გაეხსნა.

ზღვაში გასამგზავრებლად მოფუსფუსე ჯგუფიდან ერთს ეტყობოდა, მეთაური უნდა ყოფილიყო. ფეხთ ალპარგატები ეცვა; მის დახეულ ტანსაცმელს გარს ბუზმენტი ჰქონდა შემოვლებული, ხოლო ჟილეტი მსხვილი, ბრჭყვიალა კილიტებით ჰქონდა ნაქარგი. ეს ისე მოჩანდა გულთან გადახსნილი ლაბადის ქვეშიდან, თითქოს თევზის მოპრიალე მუცელიაო. ამ ჯგუფიდან კიდევ მეორეს სომბრეროს მაგვარი, განიერფარფლებიანი ქუდი თვალებამდე ჩამოეფხატა. ქუდს ჩიბუხისათვის ნაჭრეტი არ ჰქონდა, ეს ამტკიცებდა, რომ მისი პატრონი სწავლული კაცი იყო.

ალბათ იმ მოსაზრებით, რომ პატარას დიდი ადამიანის ქურთუკი ლაბადის მაგიერობას გაუწევდა, ბავშვს დამონძილ ტანისამოსზე მატროსის ქერელის ტილოს ქურთუკი მოეცვა, რაც მუხლებამდე დასთრევდა. ბიჭისთვის რომ შეგეხედათ, ათი-თერთმეტი წლისა გეგონებოდათ. იგი ფეხშიშველი იყო.

კარჭაპის ეკიპაჟს შეადგენდა ხომალდის პატრონი და ორი მატროსი.

კარჭაპი, როგორც სავარაუდოა, ესპანეთიდან იყო მოსული და იქითვე ბრუნდებოდა. ორ სანაპიროს შუა რეისის შესრულებით იგი, უეჭველია, რაღაც საიდუმლო საქმიანობას ეწეოდა.

კარჭაპით გასამგზავრებელი ადამიანები ერთმანეთში ჩურჩულით ლაპარაკობდნენ.

ეს არსებანი რალაც რთული, მერეული დიალექტის საშუალებით აგებინებდნენ ერთმანეთს თავიანთ სათქმელს. ხან ესპანური სიტყვა ისმოდა, ხან გერმანული, ხან ფრანგული, ზოგჯერ კალიური, ზოგჯერ ბასკურიც. ეს იყო მდაბიოთა ენა, თითქმის ქურდების არგონიც კი.

ჩანს, ახინი სხვადასხვა ეროვნებას ეკუთვნოდნენ, მაგრამ ყველანი ერთი ბრბოს წევრები იყვნენ.

როგორც საკარაულია, ხომალდის ეკიპაჟიც ამათი მოკავშირე იყო და ზღვაში გასასვლელად მზადებაში გაცხოველებულ მონაწილეობას იღებდა.

ეს სხვადასხვა ჯურის ადამიანთა ჯგუფი მჭიდროდ დამეგობრებულთა კომპანიას მოგაგონებდათ, ან კიდევ თანამზრახველთა ბრბოს.

დღის სინათლე ცოტა მეტი რომ ყოფილიყო და გულმოდგინედ დათვალიერების საშუალებაც, მაშინვე შეამჩნევდით, რომ ამ ადამიანებს ძველი მოსასხამების ქვეშიდან ოდნავ მოუჩანდათ კრიალოსნები და აკვარიზი. ერთ მათგანს, რომელშიც დელაკატს გამოიცნობდით, კრიალოსანი მოუჩანდა, რომლის მარცვლები ხიდიდით დერეშის კრიალოსანს არ ჩამოუვარდებოდა. ადვილად მიხვდებოდით, რომ ეს კრიალოსანი ირლანდიური იყო. ამნაირებს ლანიმთეფრში ატარებენ, რომელთაც ლანანდიფრსაც უწოდებენ.

ასეთი სიბნელე რომ არა, კარჭაპის ქიშზე ოქროთი მოვარაყებულ ღვთისმშობლის ქანდაკებასაც დაინახავდით, ჩვილი იესოთი. ეს ალბათ ბასკური მადონა იყო, ძველი კანტაბრების* პანგიასმაგვარი. ქანდაკების ქვეშ ფარანი ეკიდა, რომელიც იმ წუთში არ ენთო: ამგვარი სიფრთხილე იმას მოწმობდა, რომ იქ მყოფი ადამიანები გარეშეთაგან დანახვას ერიდებოდნენ. ფარანს, როგორც ჩანს, ორნაირი დანიშნულება ჰქონდა: როცა მას აანთებდნენ, სანთლის მაგივრობას ეწეოდა ყოველადწმინდა ქალწულის ქანდაკების წინ, ხოლო, ამავე დროს, ზღვაზე გზას ანათებდა. იგი ერთსა და იმავე დროს ხომალდის ფარანიც იყო და საკლესიო კანდელიც.

ხომალდის გრძელი, ამოხრილი და წამახული წყალმჭრელი წინა

ჭიშის ქვეშიდან ნახევარმთვარესავით გაშუქრილიყო. წყალმჭრელის ზემოდან, ღვთისმშობლის ფერხთით, ანგელოზის ქანდაკება იდგა ფრთებმოკეცილი და დაჩოქილი, იგი დურბინდით პორიზონტს გასცქეროდა. ხის ანგელოზის ქანდაკებაც მოვარაყებული იყო, ისევე, როგორც ღვთისმშობლის ქანდაკება.

წყალმჭრელს ნაჩერეტები ჰქონდა სანათურებივით, რაშიც ზედ მიწყვეტილი ტალღების წყალი უნდა გადაღვრილიყო; ესეც მიზეზს იძლეოდა, შეეკოთ ივი ვარაყითა და ჩუქურთმებით.

ღვთისმშობლის გამოსახულების ქვეშ ოქროვარაყიანი ასოთაერულით გამოყვანილი იყო ხომალდის სახელი: „მატუტინა", მაგრამ ახლა, ამ სიბნელეში წაკითხვა შეუძლებელი იყო.

ცივაბო კლდის ძირას უწესრიგოდ დაყრილი ტვირთი მოჩანდა, რომელიც ამ ხალხს თან უნდა წაეღო. ტვირთი ნაპირიდან ხომალდის ბაქანზე გადებული ფიცრის საშუალებით ხომალდზე გადაჰქონდათ. ყველა მათგანი საჩქაროდ ეზიდებოდა ამ ბარგი-ბარხანას: ტომრები ორცხობილათი, დამარილებული თევზი კასრით, ყუთი მშრალი ბულიონით, სამი კასრი, — ერთი სამეული წყლით, მეორე ალაოთი და ერთიც ქუპრით, ოთხი თუ ხუთი ბოცა ელით, ძველი, თასმებშემოჭერილი სამგზავრო ჭალთა, ზანდუკები, ძონძით სავსე მაყრაშა მაშხალებისა და სანაშნებელი სანათურებისათვის — ამგვარი რამეებისაგან შედგებოდა ეს ბარგი. ამ ძონძმანებში გახვეულ ადამიანებს ჩემოდნებიც ჰქონდათ, რაც იმის მაჩვენებელი იყო, რომ ისინი მოხეტიალე ცხოვრებას მისდევდნენ. მოხეტიალენი იძულებულნი არიან ცოტა რამ ხაბაკხუბაკი იქონიონ. ისინი ზოგჯერ დიდი ხალისით გადაფრინდებოდნენ სადმე სხვა ქვეყანაში ჩიტებივით, მაგრამ ამას იმიტომ ვერ სწადიან, რომ უსახსროდ არ დარჩნენ. როგორიც უნდა იყოს მათი მოხეტიალე ცხოვრება, მაინც თან უნდა ატარონ თავიანთი ხელობისათვის გამოსაყენებელი ხელსაწყოები. ეს ადამიანებიც ვერ შელეოდნენ თავიანთ ავლადიდებას, რაც მათ ხშირად დაბრკოლებასაც უქმნიდა.

მათთვის, როგორც ეტყობოდათ, არცთუ ადვილი იყო ამ ფრიალო კლდის ძირას ჩამოეტანათ ბარგი-ბარხანა. მიუხედავად ამისა, მაინც ჩამოეზიდათ, რაც იმას მოწმობდა, რომ მეტად ცდილობდნენ სასწრაფოდ გასცლოდნენ ამ ქვეყნის არეშარეს.

ისინი დროს არ კარგავდნენ, შეუჩერებლივ მიდი-მოდიოდნენ ნა-

პირდან ხომალდზე და ხომალდიდან ნაპირზე. დაბარგებაში ყველა მონაწილეობდა. ზოგი ჩანთას მიათრევდა, ზოგი ყუთს მიახოხებდა, დედაკაცები, ან უფრო სწორად რომ ითქვას, ისინი, ვინც დედაკაცებსა ჰგავდნენ, აგრეთვე დანარჩენებთან ერთად ეზიდებოდნენ ყველაფერს. ბაეშვსაც მეტად მძიმე ტვირთს ახიდვინებდნენ.

საკვირველი იყო, რომ ბაეშვს ამ ადამიანებს შორის დედა ან მამა ჰყოლოდა. მას არავინ მიმართავდა, მხოლოდ მუშაობას აიძულებდნენ, მეტი არაფერი. ბაეშვი ისეთ მთაბეჭდილებას სტოვებდა, რომ ის თავისი ოჯახის წევრებს შორის კი არა — უცხო ტომის ადამიანებს შორის იმყოფებოდა, როგორც დამონებული. ის ყველას ეხმარებოდა, მას კი არავინ არ სცემდა ხმას.

თუმცა ეს ბაეშვიც ჩქარობდა და მთელ ამ ბნელ ხროვასთან ერთად, რომელთა შორისაც იმყოფებოდა, ისიც ერთ აზრს შეეპყრო: რაც შეიძლება სწრაფად დასდგომოდა გზას. იცოდა კი ამ ბაეშვმა, რა ხდებოდა მის ირგვლივ? ეგონებ, რომ არა; იგი შეუცნობლად ჩქარობდა, რაკი ხედავდა, რომ სხვები ჩქარობდნენ.

ეს კარჭაპი ბაქნიანი ხომალდი იყო. მთელი ტვირთი ტრიუმში საჩქაროდ ჩააბარგეს, დრო იყო, ღია ზღვაში გასულიყვნენ. ბაქანზე უკანასკნელი ყუთი აიტანეს — ახლა ადამიანებიღა უნდა გადმოსხდარიყვნენ. ორი მათგანი, რომლებიც დედაკაცებს ჰგავდნენ, უკვე ხომალდის ქიმზე ამოსულიყვნენ, ხოლო ექვსნი, მათ შორის ბაეშვიც, ჯერ ისევ კლდის ძირას, ნაპირთა შეერილზე იდგნენ. ხომალდზე ზღვაში გასასვლელი საშხადიხის ფაციფუცი შეექმნა; კარჭაპის პატრონმა საჭეს მოჰკიდა ხელი. ერთმა მატროსმა ცული აიღო, რომ მისამაგრებელი ბაგირი გადაეჭრა. ბაგირის გადაჭრა სიჩქარის ნიშანი იყო: თუ დრო საკმაოა, ბაგირს აუშვებენ ხოლმე. „ANDAMOS",* დაბალი ხმით წარმოთქვა ერთმა იმ ექვსთაგან, ბრჭვიალაკილიტებიან ძველმანებსაცმელმა, რომელიც მათში უფროსი უნდა ყოფილიყო. ბაეშვი სწრაფად გაჭახდა გადებული ზღვისაკენ, უნდოდა პირველი ასულიყო, მაგრამ ფეხის შედგმაც ვერ მოასწრო ფიცარზე, რომ ორი მამაკაცი ეძგერა, ბაეშვი კინაღამ ზღვაში გადააგდეს და წინ გადაურბინეს; მესამემ მუჯლუგუნით ჩამოიცილა გზიდან და ისიც ხომალდის ქიმზე გადავიდა; მეოთხემ მუშტისკვრით მოიცილა და თვითონ წავიდა წინ; მეხუთე — შეთაური, ერთი ნახტომით გაჩნდა ხომალდის ქიმზე, და ფიცა-

რი ჭუსლის წაკერით ზღვაში ჩააგდო. ცულის მოქნევით ბაგირი გადაჭრეს, საჭე მოატრიალეს, ხომალდი ნაპირს მოსცილდა და ბაღეშვი ნაპირზე დარჩა.

III

მარტოდმარტო

ბაღეშვი კლდესთან გაშეშდა და თვალი ზღვის სივრცეს გაუშტერა. მან არც წამოიძახა, არც საშველად მოუხმო ვინმეს. ყოველივე ეს მისთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ ხმა არ ამოულია. ხომალდზედაც დუმილი სუფევდა. ამ ადამიანებთან განშორებისას ბავშვმა ერთხელაც არ წაისლუკუნა, არც იმ ადამიანებს დასცდენიათ ერთი გამოსამშვიდობებელი სიტყვა. ორივე მხარე დუმილით ურიგდებოდა იმას, რომ მათ შორის მანძილი ყოველ წუთს უფრო შორი და ვრცელი ხდებოდა. გეგონებოდათ, აჩრდილები დაშორდნენო ერთმანეთს ქვესკნელის მდინარე სტიქსის ნაპირზე. ბაღეშვი მილურსმულივით იდგა კლდის ნაპირას, რომელსაც უკვე ზღვის მოქცეა ელამუნებოდა; იგი ზღვაზე გამაყალ ხომალდს უცქეროდა. კაცი იფიქრებდა, რომ მას ესმოდა, მიხვედრილი იყო. მაგრამ რას იყო მიხვედრილი? მიუწვდომელს.

კარჭამა თვალის დახამხამებაში მიაღწია ჟურიდან გასასვლელ სრუტეს და შეუდგა კიდეც ზღვის ვიწრო ყელში. ცის ნათელ ფონზე, კლდეების უშველებელ გროვათა შორის, სადაც თითქოს ორ კედელს შუა სრუტე მიხვეულ-მოხვეულად გადიოდა, კიდევ მოჩანდა იალქნის წვერი. ერთხანს იგი კლდეთა შორის მისრიალებდა, შემდეგ თითქოს შიგ მთაში შეიჭრაო, სულაც გაქრა თვალთახედვიდან. ყველაფერი დასრულდა, კარჭამი ზღვის ტალღებს შეება.

ბაღეშვი თვალს ადევნებდა მის გაუჩინარებას.

იგი განცვიფრებული იყო, მაგრამ რაღაც ფიქრს მისცემოდა.

მისი შეფიქრიანება უფრო მეტად გაურთულებინა საზარელი სინამდვილის შეცნობას. თითქოს ეს, ცხოვრებაში ახალშესული არსება, უკვე გამოცდილების მქონეაო. იქნებ მას უკვე დაგმობა შეეძლო? ძალიან ნაადრევ განცდებსა თუ გამოცდილებას შეუძლია ალძრას ბაღეშვის სულის იდუმალ ხვეულებში სასწორის მსგავსი

რამ, საშინელი სასწორისა, რომელზედაც ბავშვის უმწეო სული აწონ-დაწონის ხოლმე ღვთისა თუ კაცის ნამოქმედარს.

იგი არავითარ დანაშაულს არ გრძნობდა, მაგრამ უდრტვინველად დაუხვდა იმას, რაც შეემთხვა; არავითარი საყვედური არ წამოსცდენია. თვითონ წუნდაუდებელი არავის უწუნებს საქციელს.

ამ მოულოდნელ განდევნას ნერვიც არ შეუტოკებია მისთვის, თითქოს გაქვავდაო მისი შინაგანი არსება. ბავშვს ქედი არ მოუხრია ბედისწერის წინაშე, რასაც თითქოს უნდოდა სიცოცხლის განთიადზე ბოლო მოეღო მისი არსებობისათვის. მან ეს თავსმეხი მამაცურად აიტანა.

ყველა, ვინც კი დაინახავდა ამ ბავშვის გაკვირვებას, რასაც სასოწარკვეთილებასთან არავითარი მსგავსება არ ჰქონდა, ნათლად წარმოიდგენდა, რომ იმ ადამიანთა შორის, რომელთაც მიატოვეს, არავის ეს ბავშვი არ ჰყვარებია, და რომ ბავშვსაც არც ერთი იმათგანი არ უყვარდა.

ფიქრებში წასულს დაავიწყდა, რარიგად ციოდა. უცბად ტალღამ ფეხზე გადაუარა: ზღვის მოქცევა მატულობდა. ცივმა ჭროლვამ თმა აუშალა. ჩრდილოეთის ქარი ამოვარდა. ბავშვი შეკრთა. კანკალმა აიტანა. გამოერკვა, ირგვლივ მიმოიხედა.

მარტოდმარტო დარჩენილიყო.

აქამდე მისთვის მთელ ქვეყანაზე სხვა ადამიანები არ არსებობდნენ, გარდა იმათი, ვინც ამ წუთში უკვე კარჭაპზე იყვნენ, ის ადამიანებიც ის-ის იყო თვალს მიეფარნენ.

აქ ერთი უცნაური რამ უნდა დავუმატოთ: ბავშვი, მართალია, მხოლოდ ამ ადამიანებს იცნობდა, მაგრამ არ იცოდა, ვინ იყვნენ ისინი.

იგი ვერ გეტყოდათ, რა ადამიანებთან ცხოვრობდა აქამდე.

ბავშვობა მათ წრეში გაატარა, მაგრამ თავი მათი წრის წევრი არ ეგონა. მათ გვერდით, მახლობლად იმყოფებოდა, ეს იყო და ეს, სხვა არაფერი.

ახლა მათ დაივიწყეს ეს ბავშვი.

მას არც ფული ჰქონდა, არც ფეხსაცმელი. ტანს ძველმანები ძლივს უფარავდა. ჯიბეში პურის ნატეხიც არ ეგდო.

ზამთარი იყო. ღამდებოდა. ადამიანთა საცხოვრებელ ადგილებამდე მისაღწევად რამდენიმე ლიე უნდა გაევლო.

ბავშვმა არც ის იცოდა, ახლა სად იყო.

ამის გარდა არაფერი იცოდა, რომ მასთან ერთად ზღვის პირას მოსული ადამიანები წავიდნენ და ის აქ დატოვეს.

თავი ისე იგრძნო, როგორც ცხოვრებიდან ამოგდებულმა.

იგრძნო, რომ მხნეობას კარგავდა.

ის ათი წლისა იყო.

ბავშვი უდაბურ ადგილას იმყოფებოდა, ორ უფსკრულს შუა, ერთი მხრიდან ღამის სიბნელე ეშვებოდა, ხოლო მეორე მხრიდან – უფსკრულიდან ტალღების გრგვინვა მოისმოდა.

მან გამხდარი, პატარა ხელები ასწია, გაიზმორა და დაამთქნარა.

შემდეგ, მკვეთრი მოძრაობით, თითქოს საბოლოოდ რაღაც გადაწყვიტაო, გაბოერკვა და უცბად ცოყვივით, ან იქნებ ჯამბახივით სწრაფად ამოძრავდა. ზურგი შეაქცია ყურეს, მარჯვენა ფეხზე კლდეზე, ააღწია ბილიკამდე და მერე ქვევით დაეშვა, მაგრამ მალე ისევ უკან დაბრუნდა, გუნებაში რაღაც გადაეწყვიტა. ახლა მას უნდოდა სასწრაფოდ გასცლოდა აქაურობას. კაცი იფიქრებდა, გარკვეული რამ განუზრახავსო, მაგრამ თვითონვე არ იცოდა, საით მიდიოდა.

იგი უმიზნოდ ჩქარობდა. ეს ბედისწერისაგან გაცლას უფრო ჰგავდა.

ადამიანი, საერთოდ, ზემოთ ადის, ხოლო პირუტყვი მიფოფხავს. ბავშვი ადიოდა და მიფოფხავდა კიდეცაც. პორტლენდის კიდეების ფერდობები სამხრეთისკენაა მიმართული, მის ბილიკებზე თოვლი თითქმის სულ არა ჩანდა, მაგრამ ძლიერ ყინვებს ეს თოვლი ყინულივან ფხვნილად ექცია. ჩასველებას ფეხი ძალიან უცურავდა, ბავშვმა ეს დაბრკოლებაც გადალახა. დიდი მოზრდილის ჭურთუკი ძალიან განიერად ედგა და მოძრაობას უშლიდა, ხშირად წაბორძიკებდა ხოლმე მოყინულ ბორცვებზე, ან ციცაბოს ნაბრალებში ჩაუვარდებოდა ფეხი და წაიქცეოდა. ხან რამდენიმე წამით უფსკრულზე გადაკიდებული ან ხმელ ტოტს მოეჭიდებოდა, ან კლდის ქიმს. ერთხელ მარმარილოს ფხვიერ ძარღვზე ფეხმოკიდებულს უცბად ჩაეფხვნა ნიადაგი და თან ჩაიტანა კარგა შორ მანძილზე ასეთი ზვავები ძალიან სახიფათოა. რამდენიმე წამი ბავშვი ისე მისრიალებდა ქვევით, როგორც სახურავიდან დაცურებული კრამიტი. იგი ზედ უფსკრულის პირას ჩასრიალდა და მხოლოდ იმან

გადაარჩინა, რომ დროზე მოეშველა ჩარგვა. მას არც უფსკრულის დანახვისას უკეთია, ადამიანებმა რომ მატოვეს, მაშინაც ხომ არ ამოულია ხმა. ძალ-ღონე მოიკრიბა და მდუმარემ ზეკით აფოფხება იწყო. ფერდობი მეტად მაღალი იყო. ბავშვს შემდეგ კიდევ რამდენჯერმე მოუხდა ახლით დაბრკოლებების გადალახვა. სიბნელეში ჯერიმული უძირო მოჩანდა, დაქანებულ კლდეს თითქოს დასასრული არა ჰქონდა. თითქოს სულ ზევით და ზევით მიიწევდა და სადღაც მაღლა უჩინარდებოდა. რამდენადაც ბავშვი ზევით ადიოდა, ფრიალო კლდეც თითქოს იმდენადვე იზრდებოდა. ბავშვი მიფოფხავდა და მიფოფხავდა, თან თვალს არ აშორებდა კლდის ჩაშავებულ კამარას, რაც მას თითქოს ცისკენ ულობავდა გზას. ბოლოს კლდის მწვერვალს მიაღწია.

ბავშვი შეხტა ზეგნის ვაკობზე, შეძლებოდა გაეთქვა: დედამიწაზე ფეხი დადგაო, რადგან უფსკრულიდან ამოვიდა.

მაღლობზე ავიდა თუ არა, მაშინვე კანკალმა აიტანა. როგორც კბენა, ისე იგრძნო პირისახეზე ღამის გამთოშავი სუნთქვა. ჩრდილო-დასავლეთის სუსხიანი ქარი უბერავდა. ბავშვმა მჭიდროდ მიიკრა გულთან ქერელის ტილოს მატრონული ქურთუკი.

ქურთუკი კარგი გამოსაყენებელია, მკვიდრია, მეზღაურები მას „წვიმაშეუვალს" უწოდებენ. იმიტომ, რომ ამგვარ ქურთუკს წვიმა ვერას დააკლებს.

რაკი ბავშვმა ზეგანს მიაღწია, გაჩერდა. შიშველი ფეხებით მაგრად დადგა მოყინულ ნიადაგზე და გარშემო მიმოიხედა.

მის უკან ზღვა იყო, წინ — ხმელეთი, მაღლა — ცა.

მაგრამ ცა ვარსკვლავებით კი არ იყო მოჭედილი, ბურუსს დაეფარა.

კლდის წვერიდან ბავშვმა დედამიწას გადახედა და სივრცეს მოავლო თვალი. მის წინ უნაპირო ვაკე იშლებოდა, ყინულოვანი თოვლით დაფარული მთის ზეგანი. აქა-იქ მანანის ბუჩქებს ქარი არხევდა. გზა-კვალი არსად მოჩანდა. სულიერის ნიშანწყალი არსად იყო, არც მწყემსის ბინა და ფარდული. რამდენიმე ადგილას თოვლის მთთეთრი ხვეული, რაც ქარბუქს ზევით აეტაცნა, ნამქერებად ტრიალებდა. ბორცვების ტალღისებური მწკრივი ბურუსში გახვეულიყო და ჰორიზონტს უერთდებოდა. უშველებელი მთლიანი ტიტველებული ვაკობი მთთეთრო-მორუხო ნისლში იკარგებოდა.

ღრმა ღუმელი სუფევდა. ირგვლივ ყველაფერი უსაზღვროების შთაბეჭდილებას ტოვებდა და სამარესავით მდუმარებდა.

ბავშვი ზღვისკენ მიტრიალდა.

ზღვაც დედამიწასავით გადათეთრებულიყო: დედამიწა — თოვლისაგან, ზღვა — აქაფებული ზვირთებისაგან. ძნელი წარმოსადგენია იმაზე უფრო სევდის მომგვრელი რამ, ვიდრე ამ ორმაგი ხითეთრისაგან გამოვლენილი ელვარება. ხან ღამის შუქმფენი უფრქტები შესანიშნავ სახეებს იღებენ: ზღვას ფოლადის იერი დაკრავს, კლდეები შავი ხისგან ნაქანდაკევი გეგონებათ.

იმ სიმაღლიდან, სადაც ბავშვი იდგა, კლდეების ნახევარგარშემო მოშენებულ პორტლენდის ყურეს ოდნავი შუქი დაჰფენოდა და აქედან თითქმის ისეთივე მოყვანილობისა ჩანდა, როგორიც გეოგრაფიულ რუკაზეა, რასაც ფანტასტიკური სანახაობა ჰქონდა ამ ღამის სურათს. ახალ, ნამგალა მთვარეს მოგაგონებდათ, რომელიც ზოგჯერ მახში მოშენებულ ცის პაწაწა გარსზე უფრო ჩაშენებული მოჩანს ხოლმე. ზღვის სანაპიროზე, ერთი კონცხიდან მეორემდე, არსად ცეცხლის შუქი არ მოჩანდა, არც იმედს აღძრავდა, რომ სადმე ახლოს კერა და ცეცხლი იქნებოდა — არსად შუქი ფანჯრიდან, არსად ადამიანის ჭერ-საცხოვრებელი. განუჭვრეტელი სიბნელე დახლოლოდა მიწასაც და ცასაც; არც ერთი სანათური დაბლა, არც ერთი ვარსკვლავი მაღლა. აქა-იქ ყურეში წყლის ფართო ზედაპირი უცბად აიბურცებოდა და ტალღები წამოგორდებოდა. ქარი აფორიაქებდა და ანაოჭებდა ზღვის ზედაპირს. ყურეში კიდევ ჩანდა აფრებაშეკრული მიმავალი კარჭაპი.

ახლა ის შავ სამკუთხედად მოჩანდა, ზღვის ტყვიისფერ ზედაპირზე მოსრიალე.

შორს, უსაზღვროების ავებდით ბურუსში ზღვის სიერცე აღელვებულიყო.

„მატუტინა“ სწრაფად მიარღვევდა ტალღებს და ყოველ წუთს უფრო და უფრო იღეოდა. არაფერი ისე სწრაფი არ არის, როგორც ხომალდის გაუჩინარება ზღვის შორ სიერცეში.

მალე კარჭაპის კიბეზე ფარანი აინთო. ალბათ მის ირგვლივ ჩამოწოლილმა სიბნელემ აიძულა მესაჭე გაეშუქებინა ტალღებისთვის მოულოდნელი წერტილი, რომლის ციმციმი შორიდანვე მოჩანდა. რაღაც ავებდით იერს სძენდა ხომალდის მაღალ, გრძელ ლანდს.

ეგო ზღვაზე მოხეტიალე ხუდარაში გახვეულ მოჩვენებას ჰგავდა კარხკლავით ხელში.

ჰაერში ქარიშხლის მოახლოება იგრძნობოდა. ბავშვს ამის შეცნობის უნარი არ ჰქონდა, მაგრამ მის ადგილას ამას ყოველი მეზღვაური შეამჩნევდა. ეს იყო აფორიაქებული წინათგრძნობის წუთი, როდესაც ახე გგონია, სტიქიონები ცოცხალ ადამიანებად გადაიქცევიან და ჩვენ თვალწინ მოხდება ჯადოსნური გარდაქმნა ქარისა გრიგალად. ზღვა ოკეანედ გადაიქცევა, ბუნების ბრმა ძალები თავის ნებისყოფას გამოამჟღავნებენ და, რაც ჩვენ საგნად მიგვაჩნია, ას სულიერი უნარს გამოიჩენს. თითქოს ამ ყოველივეს ჩვენი თვალით ვიხილავთ. აი, რით აიხსნება ჩვენი შიშის ზარი. ადამიანის სულს ემინია მსოფლიოს მრისხანე სულთან შეხვედრისა.

ერთი წუთიც — და ყოველივეს ქაოსი მოიცავს. ქარი ნისლს ფანტავდა და უკანა პლანზე ღრუბლების ზვინს აყენებდა, აწყობდა დეკორაციას საშინელი დრამისას, რომლის მოქმედი პირები ზღვის ტალღები და ზამთარი იქნებიან, და რომლის სახელია თოვლბუქი.

უკვე გამოჩნდა ქარიშხლის მომასწავებელი ნიშნები: ნავსადგურში შემავალი ხომალდები. რეიდი გამოცოცხლდა. კონცხების იქიდან მალიმალ გამოდიოდნენ შიშით მოცული კარჭაპები, ყურეში შესაფარებლად მოიჩქაროდნენ. ზოგი პორტლენდ-ბილის იქიდან გამოუხვევდა, ზოგი სენტ-ალბანს-ჰედს შემოუვლიდა. იალქნიანი ხომალდები ჰორიზონტის გადაღმიდან ბრუნდებოდნენ. ყველა თავშესაფარს ეძებდა. სამხრეთისაკენ სიბნელე ჩამოწვა და ღამეზე უფრო ბნელი ღრუბლები ზღვამდე დაეშვნენ. მათ ზედ ქარიშხლის სიმძიმე აწვებოდა, და ტალღებზე შემაზრზენ სიმყუდროვეს ჰფენდნენ. ახეთ ამინდში ხომალდებისათვის უმჯობესია არ გავიდნენ ნავსადგურიდან, მაგრამ კარჭაპმა მაინც ღუზა აუშვა.

მან გეზი სამხრეთისაკენ აიღო. უკვე გასულიყო ყურიდან და ახლა გაშლილ ზღვაში მიცურავდა. მძაფრი ქარი უცებ გრიგალმა შეცვალა. „მატუტინა" ჯერ კიდევ საკმაოდ კარგად მოჩანდა. მან აფრები გაშალა, თითქოს გადაწყვიტა გრიგალით ისარგებლოსო. ზღვას ახლა „ნორდა" დააცხრა, მას ოდესღაც „ავაზაკთა ქარს" უწოდებდნენ; ეს ნორდ-ვესტი აგი და მძვინვარე ქარია. იგი უებრად გაფითრებული დაატყდა კარჭაპს. გვერდიდან ჩაფრინდა, ოდნავ გადაიხარა, მაგრამ ხომალდს სვლა არ შეუნელებია, კვლავ განაგრ-

ძობდა სრიალს ღია ზღვაში. ეს უფრო გაქცევას ნიშნავდა, ვიდრე ნაოსნობას. როგორც ჩანდა, ზღვა ნაკლებად საშიში იყო ხმელეთზე და ადამიანთაგან დევნის შიში სძლევდა ქარიშხლის წინაშე შიშს.

კარჭაპი თანდათან იღეოდა. ბოლოს ჰორიზონტის გადაღმა მიეფარა თვალს. სიბნელეში მასთან ერთად მოძრავი პატარა ვარსკვლავისებური შუქწათურა თანდათანობით გაიცრიცა. ხომალდი მის გარეშემცველ სიბნელეში სულ უფრო მეტად უჩინარდებოდა და გაქრა კიდეცაც თვალთახედვიდან.

ახლა უკვე საბოლოოდ.

ბავშვი ამას მიხვდა და ზღვას მოსწყვიტა მზერა. მან თვალი გაშლილ, უდაბურ ვაკობს მოავლო, წინ გადაჭიმული მთა-ბორცვების სიერცეს, სადაც შესაძლო იყო ცოცხალი არსება დაენახა, და წაიდა ჯერ ამოუცნობი მომავლისაკენ.

IV

ᲙᲝᲛᲞᲠᲐᲭᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ

ვინ უნდა ყოფილიყო ეს ბრბო, რომელმაც ბავშვი მიატოვა და გაქცევით უშველა თავს?

იქნებ ისინი კომპრაჩიკოსები იყვნენ?

ზევით ჩვენ დაწერილებით აღვწერეთ, რა ზომებს იღებდა უილაამ შესამე პარლამენტისავე თანხმობით იმ ორივე სქესის დამნაშავეების მიმართ, რომლებსაც კომპრაჩიკოსები და ჩეილასები ეწოდებათ.

ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი ნამდვილ პანიკას იწვევს. კომპრაჩიკოსების წინააღმდეგ მიმართული კანონის შედეგად არა მარტო კომპრაჩიკოსებმა, ველა ჯურის მანანწალებმა თავიანთმტერულით მოუსვეს. ისინი სწრაფად ცდილობდნენ დამალვას, ინგლისის სანაპიროებიდან გაცლას. კომპრაჩიკოსების უმრავლესობამ ესპანეთს მიაშურა; მათ შორის, როგორც უკვე ვთქვით, უმეტესობა ბასკი იყო.

კანონმა, რომელიც ბავშვებს მფარველობდა, პირველ ხანებში საკმაოდ უცნაური შედეგები გამოიღო. უმალვე იმატა მიტოვებულ ბავშვთა რიცხვმა.

ამ სიხშლის სამართლის სტატუსის გამოცხადების შემდეგ მრავლად გაჩნდნენ ნაპოვნი ბავშვები, უსე იგი, მიგდებულნი. ამის მიზეზი სულ უბრალო რამ იყო: ყველა მოხეტიალე ბრბოზე, რომელსაც კი ბავშვი ჰყავდათ, ეჭვი ძიძტანეს; თავად ის ფაქტი, რომ მათ წრეში ბავშვი ერია, უკვე მამხილებლად ითვლებოდა. „ესენი უეჭველად კომპრაჩიკოსები იქნებიანო“, პირველადვე ახვთი აზრი გაუელიდა თავში შერიფს, პრეკოს თუ კონსტებლს. ამას მოჰყვებოდა დაპატიმრება, დაკითხვა. ვისაც გაჭირვება აიძულებდა ეხეტიალათ და მოწყალება ეთხოვათ, შიშით კანკალებდნენ, ჩვენც კომპრაჩიკოსები არ ვეგონოთო; თუმცა მათხოვრებს საერთო არაფერი ჰქონდათ კომპრაჩიკოსებთან; მაგრამ ღარიბს არასდროს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ მართლმსაჯულების შეცდომებისაგან თავი დაიცვას. გარდა ამისა, მოხეტიალე ოჯახებს მუდამ რაიმე საშიშროება სდევს თან. კომპრაჩიკოსებს ბრალსა სდებდნენ, რომ ისინი სხვისი ბავშვებით ვაჭრობდნენ, მაგრამ სილატაკე და მასთან დაკავშირებული უბედურებანი ხან ისეთ პირობებს ქმნიდა, რომელსაც დედ-მამას უმნელდებოდა დამტკიცება, რომ მათთან მყოფი ბავშვი ღვიძლი შვილი იყო. საიდან გყავთ თქვენ ეს ბავშვი? როგორ დაამტკიცებ, რომ ეს შენი შვილია? ბავშვის თავისთან ყოლა სახიფათო ხდებოდა და მშობლები ცდილობდნენ თავიდან მოეშორებინათ. უბავშვოდ გაქცევა ბევრად უფრო ადვილი იყო. დედ-მამა ყოველივე ამას აწონ-დაწონიდა და მიატოვებდა ბავშვს ტყეში, ან ზღვის პირას, ან კიდევ სულ უბრალოდ — ჭაში ჩააგდებდა.

ჭებში ჩამხრჩვალ ბავშვებსაც პოულობდნენ.

უნდა დავძინოთ, რომ ინგლისის მაგალითის მიხედვით, კომპრაჩიკოსებს მთელ ევროპაში დაუწყეს დევნა. მათ დევნას პირველი ბიძგი მიეცა. ყოველ საქმეში უმთავრესია დასაწყისი. ახლა ერთი ქვეყნის პოლიცია მეორეს ეკიბრებოდა კომპრაჩიკოსების დევნაში. ესპანელი ალგვაზილები ინგლისელ კონსტებლებზე ნაკლებად რიდი დევნიდნენ მათ. ჯერ სულ ოცდასამი წლის წინ შეიძლებოდა ძოგეკითხა ოტეროს ალაყაფის კართან ქვაზე სათარგმნად შეტად საჩოთირო წარწერა, — კანონმა მორიდება არ იცის. იმ წარწერიდან ჩანდა, რომ ბავშვების მყიდველებისა და გამტაცებლების სახელს მორის დიდი განსხვავება იყო; აი ეს წარწერა ცოტად თუ

ბეურად ბარბაროსულ-კასტილიურ დიალექტზე: „AQUI QUEDAN LAS OREJAS DE LOS COMPRACHICOS, Y LAS BOLSAS DE LOS ROBANINOS, MIENTRAS QUE SE VAN ELLOS ALTRABAJO DE MAR".

აქედან ჩანდა, რომ ჟურების დაჭრა და სხვა ამგვარი სახჯელი მაინც ვერ იხსნიდა კატორღაში გამწესებისგან. ასეთ ზომებს ვერ ჯერის მანანწალების პანიკური გაქცევა მოჰყვა. ისინი შეშინებულნი გარბოდნენ და ადგილზე მიღწევის შემდეგაც შიშით კანკალებდნენ. პოლიცია თვალყურს ადევნებდა ევროპის სანაპიროებზე მიკედლებულ ლტოლვილებს. არც ერთ ბრბოს არ უნდოდა ბავშვის თან წაყვანა; იმიტომ, რომ ბავშვიანად ხმელეთზე გადასვლას ზოფათი მოსდევდა.

ბეურად ადვილი იყო ბავშვის თავიდან მოშორება. მაშ ვინ მიატოვა ის ბავშვი, რომელიც ჩვენ ახლახან ვნახეთ პორტლენდის დაბინდულ, უდაბურ ნაპირზე?

ყველაფრიდან ჩანდა, რომ კომპრაჩიკოსებმა მიატოვეს.

V

ადამიანების გამოგონილი ხე

დაახლოებით ალაბის შვიდი საათი იქნებოდა. ქარი ისე ძლიერად აღარ ქროდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი ხელახლა უნდა გაძლიერებულიყო. ბავშვი პორტლენდის სამხრეთ ნაპირის მთის ზვინის კიდურზე იდგა.

პორტლენდი ნახევარკუნძულია. მაგრამ ბავშვმა არც კი იცოდა, რა იყო ნახევარკუნძული და არც სიტყვა „პორტლენდი" გაეგონა. მან მხოლოდ ის იცოდა, რომ შეიძლება იარო, ვიდრე მუხლი არ მოგკვეთება. ჩვენს ორგულიე მდებარე მიდამოზე წარმოდგენა ჩვენთვის გზის მარჯენებელია. ბავშვს ასეთი წარმოდგენა არ ჰქონდა. იგი მათ აქ მოიყვანეს და მიატოვეს. ი ხ ი ნ ი და ა ქ, ამ ორ ამოუცნობ სიტყვაში იყო ჩაწყობილი მთელი მისი ბედ-ილბალი. ი ხ ი ნ ი — ადამიანთა მთელ მოდგმას ნიშნავდა, ა ქ — მთელ მსოფლიოს. აქ, ამ ქვეყანაში მას არავითარი დასაყრდენი წერტილი არ გააჩნდა, გარდა იმ მიწის ნაკეცისა, რომელზედაც თავისი შიშველი ფეხებით

იდგა და გრძნობდა, რომ ეს მიწა მეტად ცივი და ქვიანი იყო. რა ელოდებოდა ამ ბავშვს უშველებელ, წუდიადით მოხილ ქვეყანაში, სადაც ქარტეხილები თარეშობდნენ? არაფერი.

და იგი ამ „არაფრისკენ" მიდიოდა.

მის ირგვლივ უკაცრიელი ადგილები გადაშლილიყო, უსახლკარო უდაბნო.

მან პირველი ვაკობი გადალახა, შემდეგ მეორე, მესამე... ყოველი ვაკობის ბოლოს ბავშვი ჩახეთებულს მიადგებოდა ხოლმე. ხეებიდან დებოდა. პორტლენდის ნაპირ-კიდურის უდაბური ზვავის სამაღლები კაბის საფეხურივით ერთმანეთს სულ ზემოთ ასდევდნენ. ამ კაბურებს ბავშვი სულ ადვილად სძლევდა. დროგამოშვებით ნაბიჯს შეანელებდა ხოლმე, თითქოს თავის თავთან თათბირობსო. ღამის სამნელე უფრო მატულობდა, ხოლო ირგვლივ ხილვადობა კლებულობდა. ბავშვი თავის წინ არეს მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯის მანძილზელა ხედავდა.

უცებ გაჩერდა, წუთით ყური უგდო, ოდნავ შესაშინებელ კმაყოფილებით თავი დააქნია, სწრაფად მოტრიალდა და გაემართა პატარა, ბუნდად მოჩანარე ბორცვისაკენ, მარჯვნივ, ვაკობის იმ ნაპირას, რომელიც კლდის მხარეს მიმართულიყო, ამ მოძალებ ადგილზე რაღაც საგანი მოჩანდა, ბურუსში იგი ხეს ემსგავსებოდა. იქიდან უცნაური შრიალი ისმოდა, არც ქარის ჭრილას პგავდა იგი და არც ხეების ტალღების შხუილს, არც პირუტყვის ბღავილს. ბავშვმა გადაწყვიტა რომ იქ ვილაც იდგა.

რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ბორცვის ძირას გაჩნდა.

იქ მართლაც ვილაც იყო.

რაც ბორცვის მაღალ ქედზე შორიდან ბუნდოვნად მოჩანდა, ახლა სრულიად გარკვევით აისახა.

ეს იყო რაღაც უშველებელი, ხელის მსგავსი რამ, პირდაპირ მიწიდან აშვერილი. ხელის მტევანი მოხრილი იყო პორიზონტალური მიმართულებით. წინ გაშვერილ სამკუთხებელ თითს ქვემოდან ცერი პქონდა შეყენებული. ხელს ცერითა და სამკუთხებელა თითით ცის ფონზე კუთხის საზომის სახე მიეღო. იმ ადგილიდან, სადაც ეს უცნაური თითები ერთდებოდნენ, რაღაც თოკის მსგავსი ჩამოშვებულიყო და ზედ ერთგვარი შავი, უფორმო საგანი ეკიდა. ქარისაგან

შექანებული თოკი ჯაჭვების ჩხარუნისმაგვარ ხმას გამოსცემდა. ეს ხმაური მოესმა ბავშვს.

ახლოდან თოკი საზღვაო ჯაჭვი აღმოჩნდა, ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან სწორედ მისი რგოლების ჩხარუნი ისმოდა.

შთაბეჭდილებათა შერწყმის საიდუმლო კანონის ძალით, რომელიც ბუნებაში თითქოს მოჩვენებითს უერთებს სინამდვილეს, აქ ყველაფერი — ადგილი, დრო, ნისლი, ჩაწყვდიადებული ზღვა, ბუნდოვანი სახეები, ჰორიზონტის დასალიერზე მომჩინარენი, უერთდებოდა ამ სილუეტს და გასაოცარ სივრცე-მოცულობას ანიჭებდა მას.

ჯაჭვზე ჩამოკიდებული უფორმო საგანი ქარქაშს ემსგავსებოდა. ბავშვივით შეფუთნილი იყო, მაგრამ სიგრძე მოზრდილი ადამიანისა ჰქონდა. მის ზედა ნაწილში რაღაც მრგვალი მოჩანდა, რის გარშემოც ჯაჭვის ბოლო იყო შესკვნილი. დაბლა ქარქაში გახეულიყო და იქიდან ხორცმოცილებული ძვლები გამოშვერილიყო.

ნელი ნიავი ჯაჭვს არხევდა და რაც ზედ ეკიდა, წყნარად აქეთ-იქით ქანაობდა. ეს უსიცოცხლო გროვა ჰაერის ოდნავ რხევას ემორჩილებოდა. მასში იყო რაღაც ისეთი, რაც პანიკურ შიშს აღძრავდა; შიში, საგნის ნამდვილი პროპორციის შემცვლელი, მის ჭეშმარიტ ზომა-მოცულობასაც ჩქმალავდა და მხოლოდ მის კონტურებსღა სტოვებდა; ეს იყო ქუფრი წყვდიადი, რაღაცნაირი მოხაზულობა რომ მიეღო; ბნელს მოეცვა და ავსო ყოველივე; მასვე შესისხლხორცებოდა ირგვლივ თანდათანობით მოზღვავებული სამარისებური შიში. შემოღამება, მთვარის ამოსვლა, ვარსკვლავთა ხომლის გადახვლა მთის მწვერვალის გადაღმა, ჰაერის სივრცეების ადგილგადანაცვლება, ღრუბლები, ქარიშხლების ნაირსახეობა — ყველაფერი ახლა, ამ უკანასკნელ მოჩვენებაში ჩაითქა. ეს ჰაერში დაკიდებული მორი, თავისი უსახურობით ზღვის სივრცესაც ედრებოდა და ცასაც, და წყვდიადი ნთქავდა იმის უკანასკნელ ნაკვთებს, რაც ოდესღაც ადამიანი ყოფილა.

ეს იყო რაღაც, ახლა არარად ქცეული.

ნეშტად ქცევა — ამ მდგომარეობის აღსანიშნავად ადამიანთა ენაში შესაფერი სიტყვა არ მოიძებნება. აღარა ცოცხლობდეს და, იმავე დროს, არსებობას განაგრძობდეს, იყოს უფსკრულში და ამავე დროს უფსკრულს გარეთ, მოკვდეს და არ კი შთანთქას სიკვდილმა

– ყოველივე ამაში, მიუხედავად უეჭველი რეალობისა, არის რაღაც არაბუნებრივი და ამიტომ ძნელად გამოსახატი. ეს არსება — შეიძლება მას არსება ვუწოდოთ? — ეს შავბნელი მოჩვენება ნეშტი იყო. და, ამასთანავე, ნეშტი შეშხარაული. რისი ნეშტი იყო? პირველყოფისა, ბუნებისა და შემდეგ საზოგადოებისა. ეს იყო არარა და ყველაფერი.

იგი იყო აქ სტიქიონის ულმობელ ძალაუფლებაში. არგელიე ადამს ღრმა დავიწყების მისცემოდა. ის მიტოვებული იყო ამოუცნობ შემთხვევათა ანაბრად. იყო უსაშველო და უმწეო წინაალმდეგ წყვდიადისა, ხოლო წყვდიადი მის მიმართ რასაც კი მოისურვებდა, აშას აზამდა. მას ყველაფერი უნდა მოეთმინა და ითმენდა კიდეც: ქარტეხილები და თქეშები ზედ ანყდებოდნენ. ასეთ შავბნელ ამოცანას ასრულებდნენ ქარაშოტები.

ეს მოჩვენება აქ ყველა გამანადგურებელი, გამხრწნელი ძალებისათვის საზრდოდ ქცეულიყო. მას საზარელი ხვედრი არგუნეს — პერში, ღია ცის ქვეშ უნდა გახრწნილიყო, მისთვის დამარხვის წესი არ არსებობდა. განადგურება არგუნეს, მაგრამ საკუთარ განსვენება არ ღირსებია. ზაფხულში მტვრის ფენა ედებოდა, ზამთარში ტალახისა. სიკვდილი საფარველით უნდა იმოსებოდეს; საფლავს კრძალვა უნდა გააჩნდეს. აქ კი არც მოკრძალება იყო, არც საფარველი. აქ იყო ლპობა, ურცხვად, ცინიკურად, ყველას შესახედად. არის რალაც ურცხვი რამ სიკვდილის სანახაობაში, რომელიც ყველას თვალწინ ხდება. სიკვდილი შეურაცხყოფას აყენებს წყვდიადის უდრტვინველ სიმშვიდეს, როცა იგი, თავის ლაბორატორიაში, საფლავში არ მოქმედებს.

ეს გვამი გამოუშიგნათ. მის ძვლებში ტვინი უკვე აღარ იყო. აღარც მუცელში შიგნეული. მის ხორხს ხმა აღარ ჰქონდა. გვამი ჯიბეა, რომელსაც სიკვდილი გადმოაბრუნებს ხოლმე და გამობერტყავს. თუ მას ოდესმე თავისი „მე" გააჩნდა, სადღა იყო ახლა იგი? შეძლება ისევ აქეა, — საფიქრებლადაც საზარელია. — ამ რალაცას, ჯაჭვზე ჩამოკიდებულს, რალაც თავს დასტრიალებდეს; შეიძლება კი წარმოიდგინოთ წყვდიადში ამაზე უფრო საშუხარო სანახაობა? ქვეყნიერებაზე არსებობს იმგვარი მოვლენები, რომლებიც ასე თუ ისე გზას უხსნის ადამიანს უხილავისაკენ. აზრი ამ მიმართულებით ჯერს გასავალს და ჰიპოთეზაც ამ გზით მიისწრაფვის. მიხვედრას

თავისი COMPELLE INTRARE * გააჩნია. ზოგიერთ ალაგას და ზოგიერთი საგნის წინ ჩვენ უნებურად გავჩერდებით ხოლმე და ვცდილობთ მათი არსი განვჭვრიტოთ, მათ არსს ჩავწვდეთ. ხან კიდევაც წავაწყდებით ხოლმე უცნობი სამყაროს ნახევრად შეხსნილ ჩაბნელებულ კარს. ვის არ ჩააფიქრებდა ამ უსულო გვამის ხილვა?

რღვევის უდიდესი ძალა უხმაუროდ ხრავდა ამ ლეშს. მასში სისხლი იყო და შესვეს, ის ტყავით მოსილი იყო და ისიც გამოხრეს, ხორცსხმული იყო და ეს ხორცი ნაგლეჯ-ნაგლეჯად დაიტაცეს. მას ახლოს ისე არას გაუვლია, რომ მისგან არა წაეღო რა. დეკემბერმა მისი სხეულის სიცივე ისესხა, შუაღამემ — შემზარაობა, რკინამ — ჟანგი, შავმა ჭირმა — მიაზმები, ყვავილმა — სუნი. მისი ნელ-ნელა ხრწნა ბაჟი იყო, რასაც ლეში უხდიდა გრიგალს, წვიმას, ნამს, ქვემძრომთა და ფრინველთ. ღამის ყველა ბნელ ხელს მოუფათურებია ამ უსულო გვამზე.

ეს იყო უცნაური ბინადარი ღამისა. იგი ვაკობის შუა ადგილას, ბორცვზე, იყო და, ამავე დროს, არც არსებობდა. იგი ჩრდილი იყო, დანამატი ღამის წყვდიადისა. როცა დღის სინათლე ქრებოდა, ესოდენ ავბედითად მის ირგვლივ არსებულ ღამის უსაზღვრო მდუმარებაში ითქვიფებოდა. მისი აქ ყოფნა კმაროდა, რომ ქარიშხლის შავბნელი მძვინვარება ატეხილიყო და ვარსკვლავთა წყნარი სიყუჩე დამყარებულიყო. ყოველივე ის ენით გამოუთქმელი, რაც კი უდაბურ ადგილას სუფევს, სულ მასში იყო დაბუდებული. თვითონ მსხვერპლი ამოუცნობი ბედისწერისა ღამის პირქუშ დუმილს უფრო აძლიერებდა. მისი საიდუმლოება ბუნდოვნად ასახავდა ყოველივე იმას, რაც კი ქვეყნად ამოუცნობია.

მის სიახლოვეს თითქოს სიცოცხლე ილეოდა, სადღაც უფსკრულში ინთქმებოდა. ირგვლივმდებარე სივრცეში ყოველივე თანდათანობით კარგავდა სიმშვიდეს და რწმენას თავისი თავისა. ჩირგვებისა და ბალახების რხევა-ცახცახი, უიმედობის სევდა-ნაღველი, მქენჯნავი წუხილი, რომელიც თითქოს თავის გამართლებას პოულობდა — ყოველივე ეს ტრაგიკულად აახლოვებდა ღამის პეიზაჟს ჯაჭვზე ჩამოკიდებულ შავბნელ ფიგურასთან. მხედველობის არეში მოჩვენების არსებობა სიმარტოვეს აძლიერებს.

ის მხოლოდ მსგავსება იყო არსებისა. მარად მქროლავი ქარებისაგან მოქანავე, იგი დაუნდობელი იყო. მუდმივი ცახცახი მას

საზარელს ხდიდა. წარმოთქმაც კი საშინელია, მაგრამ იგი გარემომცველი სივრცის ცენტრად მოჩანდა და განუსაზღვრელობის რაღაც საყრდენს წარმოადგენდა. რა განუსაზღვრელობისას? როგორ გავიგოთ? შესაძლებელია იმ ჩვენ მიმართ ბუნდოვნად შეცნობილი და შეურაცხყოფილი სამართლიანობისა, რომელიც ჩვენს მართლმსაჯულებაზე მაღლა დგას. მისი საფლავს გარეთ ყოფნა ადამიანების შურისძიებაც იყო და მისი საკუთარი შურისძიებაც. ამ ჩაწყვდიადებულ უდაბნოში იგი წარმოსდგებოდა, როგორც მრისხანე მოწმე. მკვდარმა მატერიამ რომ ჩვენში წუხილი გამოიწვიოს, ის ოდესმე სულიერი არსება უნდა ყოფილიყო. მიწიერ კანონს იგი ზეციერი კანონის წინაშე ამხილებდა. იგი აქ, ადამიანთაგან ჩამოკიდებულ-ჩამომხრჩვალი, ღმერთის ელოდებოდა. მას თავს დასტრიალებდნენ მირეულ-მორეული ღრუბლებისა თუ ტალღების სახით წყვდიადის უზარმაზარი სანახაობანი.

ამ მოჩვენების იქით რაღაცნაირი განუჭვრეტელი საბედისწერო დაბრკოლება ჩამომდგარიყო. ამ უსულო გვამის ირგვლივ უსაზღვრობა სუფევდა. და ამ უსაზღვრობას არავითარი სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. არც ხე და მცენარე ჩანდა სადმე, არც ჭერი, არც ვინმე გამვლელი მგზავრი. როდესაც ჩვენ წინაშე ბუნდოვნად იხატებიან არსებობის საიდუმლოებანი — ცა, უფსკრული, სიცოცხლე, საფლავი, მარადიულობა, — ასეთ წუთებში ყველაფერს ისე განვიცდით, როგორც რაიმე მიუწვდომელს, აკრძალულს, კედელსაფრით გამიჯნულს ჩვენგან. როდესაც უსაზღვრობა გადაიხსნება, მაშინ ქვეყნად ყველა კარი დახშული აღმოჩნდება.

VI

სიკვდილის შებრძოლება ღამესთან

ბნელი სილუეტის წინ ბავშვი მდუმარე და განცვიფრებული იდგა, დაკვირვებით უცქეროდა მას.

მოზრდილი ადამიანისათვის ეს სახრჩობელა იქნებოდა, ბავშვისთვის იგი მოჩვენება იყო. სადაც მოზრდილი გახრწნილ ლეშს დაინახავდა, იქ ბავშვი აჩრდილს ხედავდა.

მას არა გაეგებოდა რა.

უფსკრულის სანახაობაში ათასნაირი მიმზიდველობაა ჩამალული. უფსკრულის სანახაობის ერთი ასეთი მიმზიდველობა ბორცვის შუაგულზე იყო. ბავშვმა ერთი ნაბიჯი გადადგა, შემდეგ მეორე, ზევით ასვლა დაიწყო, თან ქვევით დაშვებას ლამობდა, და რაც მეტახლოვდა, უკუდგომის სურვილმა შეიპყრო.

მთლად აკანკალებული გაბედულად მიუახლოვდა სახრჩობელას, სულ ახლოს მივიდა, რომ მოჩვენება უკეთესად ენახა.

როდესაც სახრჩობელას ქვეშით გაჩნდა, მაღლა თავაწეულმა აიხედა და ყურადღებით დაუწყო ცქერა.

მოჩვენება ფითრასმული იყო და ადგილ-ადგილ პრიალებდა. ბავშვმა სახის ნაკვთები გაარჩია. სახეც ფითრასმული ჰქონდა და ეს წებოვანი, თხიერი ნივთიერება ღაძის ბინდბუნდში მკაფიოდ გამოკვეთილიყო. პირის ადგილას ბავშვმა ღრუ დაინახა, ღრუ ჩანდა ცხვირისა და ორი თვალის ადგილასაც. სხეული ნავთით გაჟღენთილ უხეშ ტილოში იყო შეხვეული, თითქოს არტახებით შეეკრათ. ქსოვილი დამპალიყო და დაძენძილიყო. ერთ ადგილას მუხლი მოჩანდა, მეორეგან — ნეკნები. სხეულის ზოგი ნაწილი ჯერ ისევ გვამი იყო, ზოგი კი უკვე ჩონჩხად ქცეულიყო. პირისახეს მიწისფერი მაელი; მასზე მბზინავ ლოფორთინებს ოდნავ თეთრად მოპრიალე ხოლები დაეწნიათ. ძვლებზე მიკრული ტილოს ქვეშიდან გამობურცული ადგილები ისე ასახულიყო, როგორც ქანდაკებაზე ჩაცმული ტანსაცმლიდან. თავის ქალა გახეთქილიყო და ორად გაპობილ დამპალ ნაყოფს მოგაგონებდათ. კბილები მთლიანად შერჩენოდა და დაკრიჭა, თითქოს იცინისო. დაღებული პირის ღრუს თითქოს უკანასკნელი კვნესა აღმოხდენოდა. ღაწვების ადგილას რამდენიმე ბუწუს ამოეყო თავი. ძირს დახრილ თავს თითქოს რაღაცისთვის მიეპყრო ყური.

როგორც ჩანდა, ეგი ახლახან ისევ განეახლებინათ. სახეზედაც ახლად ჰქონდა ფითრა წასმული, ისე, როგორც ნახვევებიდან გამოწვნილ მუხლსა და ნეკნებზე. დაბლა, ტილოს ქვეშიდან გამოჩრილიყო გამოხრული ტერფები.

სწორედ მათ ქვეშ, ბალახზე ეგდო ორი ფეხსაცმელი, რომელებსაც წვიმა-თოვლისგან თავისი ფორმა დაეკარგა. ისინი მკვდარს ფეხებიდან გახცვნოდა.

ფეხშიშველი ბავშვი ამ ფეხსაცმელს დააცქერდა.

ქარი უფრო და უფრო მძაფრდებოდა, ხან უცებ ჩახელდებოდა

ხოლმე, თითქოს ძალას იოკებდა, რომ ქარტეხილად გახელებულიყო. რამდენიმე წუთით სულაც ჩაყუჩდა. გვამ-ჩონჩხი ახლა აღარ არხეოდა. ჯაჭვიც უძრავად ეკიდა, როგორც შვეულზე ზონარი, ბოლოზე სიმძიმეშებმული.

როგორც ცხოვრებაში ახალფეხშედგმულ ყოველ არსებაში, რომელიც თავის საშინელ მდგომარეობას გრძნობს, ამ ბავშვშიც, უეჭველია, იღვიძებდა მტანჯველი ფიქრები, მაგრამ მისი ფიქრები ჯერ გაურკვეველი იყო და ბავშვური, თუმცა, უკვე კვერცხის ნაჭუჭის მკორტნავი ჩიტის ნისკარტივით ტვინის მბურღავი. მაგრამ ყოველივე იმან, რითაც ამ წუთში აღვსილიყო მისი ბაღლური გონება, მხოლოდ გამტერებამდე მიიყვანა იგი. როგორც მოჭარბებული ზეთი ცეცხლს აქრობს, ისე მოჭარბებული შეგრძნება აზრებს ახშობს. დიდ ადამიანში ათასნაირი კითხვა აღიძროდა. ბავშვი კი მხოლოდ უცქერდა.

გვამის ფისწასმული პირისახე სველი გეგონებოდათ. თვალების ღრუში შედედებული ფისის წვეთები ცრემლებსა ჰგავდა. ფისი საგრძნობლად აბრკოლებდა ლეშის გახრწნას. ამგვარად, სიკვდილის საქმე, რომ სხეული დაეშალა, რამდენადაც კი შეიძლებოდა შეჩერებული იყო. რასაც ახლა ბავშვი ხედავდა, ის ერთგვარი საგანი იყო, რომელზედაც ზრუნავდნენ. ეტყობოდა, რომ ეს ადამიანი, რაღაც ღირებულებას წარმოადგენდა. მისი ცოცხლად დატოვება არ უნდოდათ, მაგრამ ცდილობდნენ მკვდარი შეენახათ. სახრჩობელა დაძველებული იყო, მატლებისაგან მთლად გამოხრული, მაგრამ ჯერ ისევ მკვიდრი; კარგა დიდხანსაც გაეძლო მას შემდეგ, რაც ის აქ დაედგათ.

ინგლისში უხსოვარი დროიდან არსებობდა ჩვეულება კონტრაბანდისტების გაფისვისა. მათ სახრჩობელაზე კიდებდნენ ზღვის პირას, ფისს წაუსვამდნენ და ასე ტოვებდნენ. დამნაშავეს, სხვათა გასაფრთხილებლად, ყველას თვალწინ მიუზღავდნენ სასჯელს და ფისით შელესილი, მრავალი წლის მანძილზე გამოდგებოდა სხვათა დასაშინებლად. გვამ-ლეშის გაფისვა კაცთმოყვარეობის გრძნობით იყო გამოწვეული, რადგან ფიქრობდნენ, რომ ამის წყალობით, სახრჩობელას გამოყენება-განახლება იშვიათადღა დასჭირდებოდათ, სახრჩობელებს აღმართავდნენ ხოლმე ზღვის პირას, ერთიმეორისაგან განსაზღვრულ ადგილზე, ისე როგორც ჩვენს დროში

ფარნების დამწკრივება იციან. ჩამოხრჩობილი ფარნის მაგივრობას ეწეოდა. იგი თავისებურად უნათებდა მის თანამოძმე კონტრაბანდისტებს. კონტრაბანდისტები შორიდანვე, ჯერ ისევ ზღვიდან ხედავდნენ სახრჩობელას. აი ერთი სახრჩობელა — გაფრთხილება პირველი, აგერ კიდევ სახრჩობელა — გაფრთხილება მეორე. ეს სრულებითაც არ უშლიდა ხელს კონტრაბანდა ეწარმოებინათ, მაგრამ ასეთია წესი. ამ ჩვეულებამ ინგლისში ჩვენი საუკუნის დამდეგამდე გასძლო. ჯერ ისევ 1822 წელს დუვრის ციხესიმაგრის წინ დაინახავდით სამ ჩამომხრჩვალს, ფისჩამოსხმულს. თუმცა, ასეთ საშუალებას — დამნაშავის გვამის ხანგრძლივად დატოვებას — მარტო კონტრაბანდისტებისთვის არ იყენებდნენ. ინგლისი მას იყენებდა, აგრეთვე, ქურდების, ხანძრის გამჩაღებლებისა და მკვლელების წინააღმდეგაც. ჯონ პეინტერი, რომელმაც პორტსმუთში საზღვაო საწყობები გადაწვა, 1776 წელს ჩამოახრჩვეს და გაკუპრეს. აბატმა კოიემ, რომელმაც ჯონ პეინტერს JEAN LE PEINTRE — ჟანი მხატვარი უწოდა, მეორედაც ნახა იგი 1777 წელს. ჯონ პეინტერი სახრჩობელაზე ჯაჭვით ეკიდა მის მიერ გადამწვარი საწყობების ნანგრევებზე და დროგამოშვებით ხელახლა ფისავდნენ ხოლმე. ეს გვამ-მძორი სახრჩობელაზე ეკიდა, შეიძლებოდა გეთქვა, სახრჩობელაზე ცოცხლობდა თითქმის თოთხმეტ წელიწადს. თითქმის 1788 წლამდე ემსახურებოდა მართლმსაჯულებას, მაგრამ 1790 წელს იგი ახალჩამომხრჩვალმა შეცვალა. ეგვიპტელები ხომ თაყვანსა სცემდნენ თავიანთი ფარაონების მუმიებს. თურმე უბრალო მოკვდავის მუმიაც გამოსაყენებელი ყოფილა.

ქარი განსაკუთრებით მძვინვარებდა, ბორცვიდან თოვლი მთლად აზვეტა; ბევრ ადგილას ბალახი მოჩანდა; ზოგან შამბნარიც წამოზრდილიყო. ბორცვს მთლად მოსდებოდა ხშირი, დაბალი ბუსნი, ამიტომ კლდის მწვერვალები მწვანე მაუდით მოფენილი გეგონებოდათ. მხოლოდ სახრჩობელას, დასჯილის ზედ ფეხებქვეშ წამოზრდილიყო მაღალი, ხშირი ბალახი, რაც შემთხვევითი იყო ამ უნაყოფო ნიადაგზე, ეს იმით აიხსნება, რომ ჩამომხრჩვალთა სხეულები აქ რამდენიმე საუკუნის მანძილზე იხრწნებოდა. დედამიწა ადამიანის ნეშტით საზრდოობს.

რაღაც შაბნელი თილისმა აჩერებდა ბავშვს ამ ბორცვზე. მილურსმულივით იდგა ერთ ადგილას. მხოლოდ ერთხელ დაიხედა

დაბლა. ჭინჭარმა დაუსუსხა შიშველი ფეხები, მას კი ეგონა, რაღაც ცხოველმა მიკბინაო. შემდეგ ისევ წელში გასწორდა და ხელახლა პირდაპირ სახეში დაუწყო ცქერა ჩამოხრჩობილს, რომელიც თავის მხრივ თითქოს ბავშვს უმზერდა. ნეშტს თვალები აღარა ჰქონდა და მიტომ ისე ჩანდა, თითქოს ბავშვს მიშტერებოდა. თუმცა ეს ცქერა დაბნეულიც იყო და გამოუთქმელად მონუსხულიც. ამ ცქერაში ნათელიც იგრძნობოდა და წყვდიადიც. ასე იცქირებოდა იმიტომ, რომ ჰქონდა ასეთი თავის ქალა დაღრჭენილი კბილებით და ცარიელი თვალბუდეების შავი ღრუებით. მკვდრის თავი სულ ერთიანად ცქერას გამოხატავდა, და ეს საზარელი რამ იყო. თვალები არ ჩანდეს და ჩვენ ვგრძნობდეთ მათ შემოხედვას, მოჩვენების შემაზრზენ შემოხედვას.

ბავშვი თანდათან თვითონაც საზარელი ხდებოდა. ის ახლა სულ აღარ ინძრეოდა, თითქოს გაშეშებულიყო. ვერცა გრძნობდა, რომ უკვე გონს კარგავდა, ითიშებოდა, იყინებოდა; ზამთარს უხმაუროდ მოექცია იგი ღამის მუხრუჭებში. ზამთარს რაღაც მუხანათური ფეხება აქვს. ბავშვი თითქმის ქანდაკებად ქცეულიყო. ძლიერმა სიცივემ ძვლებამდე ჩააღწია. წყვდიადი ქვეწარმავალივით უძვრებოდა შიგ. თოვლმა ასე იცის, თვლემას მოგგვრის ადამიანს და ისე მოგეპარება, როგორც ზღვის მოქცევა. ბავშვი ნელ-ნელა შეეპყრო უმოძრაობას, რაც გვამ-ჩონჩხის უმოძრაობას ჰგავდა. ის თვლემდა.

ძილს ხელზე სიკვდილის თითი აქვს.

ბავშვი გრძნობდა, რომ მას ასეთი ხელი ეჭიდებოდა. იგი იმ მდგომარეობამდე მივიდა, რომ ცოტაც და სახრჩობელას ქვეშ წაიქცეოდა. უკვე ველარა გრძნობდა ფეხზე იდგა თუ არა.

დასასრულის აუცილებლობა, სწრაფი გადასვლა არსებობიდან არარსებობაში, წრთობის ქურის პირდაღებული შესასვლელი, ყოველ წამს მოსალოდნელი უფსკრულში გადავარდნა — ასეთია ადამიანის არსებობა.

ერთი წუთიც და ბავშვი და მკვდარი, სიცოცხლე ახლახან აღმოცენებული და სიცოცხლე უკვე ჩამქრალი, უნდა შერწყმულიყვნენ ერთიან გაქრობა-მოსპობაში.

მოჩვენებამ თითქოს ეს იცოდა და არ უნდოდა ასეთი რამ მომხდარიყო. ის უცბად შეინძრა, გეგონებოდათ, ბავშვი უნდა გააფრთხილოსო, მაგრამ ეს მხოლოდ ქარის ახალი შემოტევა იყო.

ბნელია წარმოიდგინოს ადამიანმა იმაზე უფრო საშინელი რამ, ვიდრე მოქანავე მიცვალებულია.

ჯაჭვით ჩამოკიდებული მძორი, ქარის უხილავი მობერვით შეკანებული ხან წინ იხრებოდა, ხან მარცხნივ აიწევდა, ისევ წინანდელ ადგილს უბრუნდებოდა, ახლა მარჯვნივ აიწევდა, ჩამოხანჯღებოდა, ისევ ახლად აირხეოდა მოხოშილად და კუშტად, როგორც ზარის ენა. ეს იყო ავბედითი გაქან-გამოქანება წინ და უკან. გეგონებოდათ, ღამის წყვდიადში თვით მარადიობის საათის ქანქარა ქანაობსო.

ასე გრძელდებოდა ერთხანს. ბაუშვმა დაინახა, რომ მკვდარი მოძრაობდა. გამოერკვა, შიში იგრძნო. ჯაჭვი ყოველ განძრევაზე საოცარი თანხმიერებით ჭრაჭუნობდა, თითქოს სულს ითქვამსო. ეს ხმაური კუტკალიას ჭრიჭინს მოგაგონებდათ.

ქარიშხლის მოახლოება ქარის უცაბედ შემოტევას იწვევს. ქარი უცბად გრიგალმა შეცვალა; გემ-ჩონჩხი უფრო ძლიერად ატორტმანდა. ეს გაქან-გამოქანება კი ალარ იყო, არამედ წრიალი. ჯაჭვის ჭრაჭუნი ახლა ხმამაღალი ჭრიალ-ზრიალით შეიცვალა.

ზრიალი, როგორც ეტყობოდა, გაიგონეს, თუ ეს ზრიალი მოუხმობდა ვინმეს, მაშასადამე მას დაემორჩილნენ. შორიდან, პორიზონტიდან რაღაც შრიალი მოისმა.

ეს იყო ფრთების შრიალი.

როგორც ხშირად ელვა-ჭექის წინ ხდება ხოლმე სასაფლაოებზე და უკაცრიელ ადგილებში, ახლაც ყვავების გუნდი მოფრინავდა.

შავი მფრინავი ჩრდილები ღრუბლებიდან გამოიჭრნენ, ნისლის ფარდა გაარღვიეს, მოახლოვდნენ; ჩრდილები ახლა გადიდდნენ, შეუგუფდნენ, შემჭიდროვდნენ და გამძვინვარებული ჩხავილით მიაწყდნენ ბორცვს. ეს იყო ლეგიონის შეტევის მსგავსი. ღამის ფრთხანი უწმინდურება მთელ სახრჩობელას მოედო.

ბაუშვი შეძრწუნდა, იქით გაიწია.

გუნდი ბრძანებას ემორჩილება. ყვავები ჯგუფ-ჯგუფად დალაგდნენ სახრჩობელაზე. არც ერთი არ მიკარებია მკვდარ სხეულს. ისინი ერთიმეორეს უყოდნენ. ყვავების ჩხავილი შიშსა ჰგვრის ადამიანს. ღმუილი, სტვენა, ბღაუილი — ესენი სიცოცხლის ხმებია, ყრანტალ-ჩხავილი კი ლეშობისადმი სიხარულით შეგებებაა. მასში ადამიანს ეჩვენება სამარის აფორიაქებული ხმა. ყრანტალ-ჩხავილი

ღამის წყვდიადის ხმაა. ბავშვი მთლად გაითიშა. იმდენად ყინვისაგან არა, რამდენადაც ელდისაგან.

ყვავები მირუმდნენ. მაგრამ აგერ ერთი მათგანი ჩონჩხს დაახტა. ეს ნიშანი იყო: მას დანარჩენებიც მიჰყვნენ. ფრთები ღრუბლებად აიშალა. ერთი წამიც და ჩამოხრჩობილი გაუჩინარდა სიბნელეში მორჟრუნე, შავი, აფუფუნებული ლაქების გროვის ქვეშ. ამ წუთში მკვდარი უეცრად შეზანზარდა.

თვითონ თავისთავად შეკრთა? თუ ქარმა წამოუბერა? შემზარავი სიძლიერით კი დაზანყდა ჯაჭვებიდან. ზედ დაფრენილი გრიგალი მას წამოეშველა. მოჩვენება გაზელებულმა კრუნჩხვამ მოიცვა; მაღლობზე მოთარეშე ქარი დააცხრა მკვდარ სხეულს და აქეთ-იქით გააქან-გამოაქანა. მკვდარი საზარელი გახდა. იგი მძვინვარებდა. საშინელი მუყაოს ჯამბაზი, რომელიც წვრილ თოკზე კი არა, ჯაჭვზე ეკიდა! ვიღაც ავყია, ხუმარა ჩამოჰკრავდა ხოლმე ჯაჭვის წვერს და ერთობოდა ამ მუმიის როკვით. ისიც ტრიალებდა და ხტოდა. ყოველ წუთს ლამობდა ნამსხვრევებად ჩამოცვენას. ყვავები შიშით შეფრთხიალდნენ. მიცვალებულმა თითქოს შემოიბერტყა ეს საზიზღარი ფრინველები, მაგრამ ყვავები ხელახლა დააფრინდნენ. ბრძოლა დაიწყო.

მკვდარში თითქოს წარმოუდგენელმა სიცოცხლის ძალებმა გაიღვიძეს. ქარი მიაწყდებოდა, მაღლა აისროდა ხოლმე, თითქოს თან უნდა აიტაცოსო. ის კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უსხლტებოდა, ეწინააღმდეგებოდა და მხოლოდ რკინის საკიხრე ჯაჭვებილა იკავებდნენ ადგილზე. ფრინველები ყოველ მის მოძრაობას იმეორებდნენ. ხან აფრინდებოდნენ და ხან ისევ დააცხრებოდნენ შეშინებულნი და თან გაავთრებულნი. ერთი მხრივ გაქცევის საზარელი ცდა, მეორე მხრივ მიჯაჭვულზე თავდასხმა. მკვდრის გვამ-ჩონჩხი მთლად ქარის ხამუშ-ხამუშ შემოტევას დაემორჩილებინა; გამძაფრებული ხტოდა, კრთოდა, ხან უკუგდებული და ხან ადგილზევე აფრიალდებოდა, ისევე სწრაფად დაზანყდებოდა, აფრთხობდა შავ ფრთოსანთა გუნდს. თითქოს კეტი იყო და ყვავებს კეტივით აიბერტყავდა ხოლმე. ფრთოსანი მტაცებლები შეუპოვრობას იჩენდნენ და ისევ თავგანწირვით უტევდნენ. გვამ-ჩონჩხმა, თითქოს ამ აუარებელი ნისკარტების მისვლამ გააზელაო, უფრო მოუხშირა ჰაერში თავის უმიზნო წვეტებას. მსგავსად შურდულზე მობმული ქვის

წვეტებისა, დროდადრო მას ნისკარტები და ფრთები დააცხრებოდნენ ხოლმე. შემდეგ ყოველივე სადღაც გადაიკარგებოდა; ურდო დაიფანტებოდა, მაგრამ წუთის მერე უფრო გაშმაგებით მიესეოდა. საზარელი სასჯელი სიცოცხლის ზღურბლის იქითაც გრძელდებოდა. ფრინველები თითქოს გაშმაგდნენ. ამგვარ ფრთოსანთა გუნდს მხოლოდ უფსკრულიდან შეიძლებოდა ამოვარდნილიყო. ბრჭყალებით და ნისკარტით ფატვრა, ყრანტალ-ჩხავილი, ნამცეცებად ცეცქნა იმისა, რაც უკვე ხორცი აღარ იყო, სახრჩობელას ჭრიალი, ძვლების ტკაცან-ჩახანი, რკინის ღრაჭუნი, ქარიშხლის ღმუილი, ფორიაქი — შებმის ამაზე უფრო შავბნელი სურათი წარმოუდგენელია. მკვდრის შებრძოლება დემონებთან. აჩრდილების ბრძოლა.

ჟამითჟამად, როდესაც ქარი ისევ ძლიერდებოდა, ჩამოხრჩობილი უცბად ტრიალს იწყებდა. პირისახით აქეთ-იქით ტრიალდებოდა, თითქოს ფრინველებს უნდა შეუტიოს და ყველა გამოუდევნოს თავისი დაღრჭენილი კბილებითო. გრიგალიც მონაწილეობას იღებდა ამ ბრძოლაში. მკვდრის ჩონჩხ-ლეში მთლად იკლაკნებოდა, ყვავებიც მას ზევით-ქვევით ფრენით თავს დასტრიალებდნენ. ეს იყო ცოცხალი გრიგალი.

დაბლიდან ზღვის ყრუ და ძალუმი გრგვინვა მოისმოდა.

ბავშვი ცხადლივ განიცდიდა ამ სიზმარს. უცბად შეკრთა; ჟრჟოლამ მთელ სხეულში დაუარა. იგი მიაწყდ-მოაწყდა, აკანკალდა, კინაღამ ღონემიხდილი დაეცა და ორივე ხელი შუბლზე მიიჭირა, თითქოს ესღა იყო მისი უკანასკნელი თავდაცვის საყრდენი. გაოგნებულმა, ქარისაგან თმააწეწილმა, თვალები დახუჭა, თვითონაც მოჩვენებას დამსგავსებოდა; ბორცვი ჩამოირბინა, ღამის მტანჯველი მოჩვენებები უკან მოიტოვა.

VIII

პორტლენდის ჩრდილო მხარის კიდური

ბავშვი სულმოუთქმელად და უგზო-უკვლოდ გარბოდა. თოვლიანი ვაკობის სივრცეზე თავდაყირწყვებით მიქროდა. სირბილმა გაათბო, რაც მისთვის მეტად საჭიროც იყო. შიშს რომ ესოდენ სწრაფად არ აემოძრავებინა, ის უკვე მკვდარი იქნებოდა.

როდესაც სული შეუგუბდა, გაჩერდა. მაგრამ უკან მიხედვა ვერ გაბედა. ისე ეჩვენებოდა, თითქოს შავი ფრინველები უკან მისდევდნენ, თითქოს ჩონჩხ-ლეშმა ჯაჭვი აიწყვიტა და მისკენ მორბოდა. თვით საზრობელაც კი ბორცვიდან ჩამოსულა და მკვდრის ჩონჩხის კვალს გამოსდევნებიაო. ბავშვს უკან მოხედვისა ეშინოდა, რომ ყოველივე ეს არ დაენახა. ცოტაოდენი სული მოითქვა და ისევ გაიქცა.

ბავშვებს უნარი არ შესწევთ გონებაში აწონ-დაწონონ ის, რაც მათ ირგვლივ ხდება. შეშინებული ბავშვის ბუნდოვანი გონება გარეშე შთაბეჭდილებებს დაუკავშირებლად, დასკვნების გარეშე იღებდა. ის გარბოდა, მაგრამ თვითონაც არ იცოდა, სად და რისთვის. მქენჯნავი სევდით მოცული ისე მძიმედ გარბოდა, თითქოს სიზმარშიაო. მარტოობაში გატარებულმა სამმა საათმა ბავშვის პირველად დასახული მიზანსწრაფვა სადმე წასულიყო, ისევ გაურკვეველი დატოვა: მაშინ ეს მიზანი რაიმე თავშესაფრის ძებნაში გამოიხატებოდა, ახლა კი მხოლოდ გარბოდა. აღარც შიმშილსა გრძნობდა, აღარც სიცივეს, იგი მხოლოდ შიშის ზარს მოეცვა. უკანასკნელმა ალღომ პირველი დაჩრდილა. ბავშვის მთელი აზრი ერთ სურვილსა მოეცვა — გაქცეულიყო. რას უნდა გაქცეოდა? ყოველივეს. სიცოცხლე მის წინ ბნელ კედლად აღიმართა და ყოველი მხრიდან გარემოიცვა იგი. რომ შესაძლებელი ყოფილიყო ამ ქვეყნად ყოველივეს გასცლოდა, გაჰქცეოდა, ასეც იზამდა.

მაგრამ ბავშვთათვის უცნობია ციხის კარის გატეხის ისეთი საშუალება, რომელსაც თვითმკვლელობა ეწოდება.

ის ისევ გარბოდა.

რამდენ ხანს ირბინა ასე, არავინ უწყის. მაგრამ დგება ისეთი წუთი, როდესაც სუნთქვა ეკვრება ადამიანს და შიშიც გადაუვლის.

უცბად ბავშვმა თითქოს ენერგიისა და მოსაზრების სწრაფი მოზღვავება იგრძნო და გაჩერდა. ეტყობოდა, შერცხვა, ასე რომ გარბოდა, წელში გასწორდა, ფეხები დააბარტყუნა, თავი გაბედულად ასწია და უკან მოიხედა.

აღარც ბორცვი ჩანდა, აღარც საზრობელა, არც ყვავ-ყორანი.

მთელი ჰორიზონტი ისევ ნისლს დაებურა.

ბავშვი ხელახლა გაუდგა გზას.

ახლა აღარ გარბოდა, ნელი ნაბიჯით მიდიოდა. თუ ვიტყვით,

რომ მკვდართან შეხვედრამ იგი დიდ ადამიანად აქცია, ჩვენ ვიცით ჩარჩოში მოვაქცევთ იმ რთულსა და მრავალნაირ შთაბეჭდილებას, რაც ბავშვზე ნეშტმა მოახდინა. სახრჩობელა ბუნდოვნად აღიბეჭდა მის ჯერ კიდევ ჩანასახ გონებაში და მხოლოდ სანახაობად ჩვენია იგი. მაგრამ, რაკი შიშზე გამარჯვება ძალას გვიკრებს ხოლმე, ბავშვში გამბედაობამ გაიღვიძა. ის რომ იმ ასაკში ყოფილიყო, როდესაც ადამიანს უნარი აქვს თავის შინაგან განცდებში ჩაიხედოს, იგი ათასნაირ მიზეზს გამონახავდა მოსაფიქრებლად; მაგრამ ბავშვთა აზროვნება გარკვეულობას მოკლებულია; და ის, მათთვის ბუნებარი გრძნობა, რასაც დიდი ადამიანები აღშფოთებას ეძახიან, ბავშვის გულში მხოლოდ ბუნდოვან ხიწვარეს აღძრავს.

ამას უნდა დაუმატოთ, რომ ბავშვს მინიჭებული აქვს უნარი, სწრაფად და საბოლოოდ გააქარწყლოს თავისი შთაბეჭდილება-შეგრძნებები. მის შეგრძნებებს უსხლტებიან ცალკეული, სწრაფი, მკრთალი სახეები საშუალო მოვლენებისა. თვითონ, თავისი ბავშვური ასაკითა და უხუსურობით, ბავშვი დაცულია მეტად რთული სულიერი მღელვარებისაგან. იგი, მართალია, შეიგრძნობს მოვლენებს, მაგრამ თითქმის არაფერს არ უკავშირებს მათ. დიდი ადამიანი კავშირს ეძებს მოვლენათა შორის, ხოლო ბავშვი ადვილად კმაყოფილდება მისი ნაწილობრივი ახსნა-განმარტებით. სიცოცხლის პროცესი, როგორც რაიმე მთლიანი, ბავშვის გონების თვალს უფრო გვიან უსახება, როდესაც ამ გამოცდილებას იძენს, რაზედაც უკვე დაყრდნობა შეიძლება; მაშინ ფაქტების ცალკეული ჯგუფები უპირისპირდებიან ერთმანეთს, მოშფოთებული, ნათლით მოსილი გონება მათ ურთიერთს ადარებს; ბავშვობაში ნანახის მოგონება ყველა განცდაზე ზემოთ ამოტივტივდება და თავს იჩენს, როგორც პალიმფსესტი, უახლესი ნაწერის ქვეშიდან; მოგონებები დასაწყისენ წერტილად იქცევიან ხოლმე ლოგიკისათვის და რაც ბავშვის გონებაში შთაბეჭდილების სახით იყო, დიდი ადამიანის შეცნობაში სილოგიზმი ხდება. თუმცა გამოცდილება სხვადასხვანაირია, სასარგებლოცა ხდება და საზიანოც, ეს ადამიანის ბუნებაზეა დამოკიდებული. კარგი ბუნება მწიფდება, ცუდი კი იხრწნება.

ბავშვმა კაი ერთი ლიეს მეოთხედი გაირბინა და კიდევ ამდენივე გაიარა. უცბად გულის კოჭთან მწველი შიშისი იგრძნო. მთვ-

ლი მისი არსება საჭმელზე ფიქრმა მოიცვა და მისი შეხსენებიდან უცებ განდევნა ბორცვზე ნანახი საჩარელი სურათი. ადამიანში, საკვლევად დაბრუნებს ხოლმე.

მაგრამ რა უნდა ჭამოს? სად უნდა ჭამოს? როგორ ჭამოს?

ბავშვმა უნებურად ჯიბეები მოისინჯა; თუმცა კარგად იცოდა რომ ცარიელი პქონდა.

მან ნაბიჯს მოუჭარა. თუმცა თვითონაც არ იცოდა, სათი მიდიოდა. ჩქარობდა, რომელიმე საცხოვრებლამდე მიეღწია.

თაშესაფრის იმედი ადამიანს გარკვეულწილად განგებისადმი რწმენას უნერგავს. თუ გუწამს, რომ თაშესაფარი ჩვენთვის ყოველთვის მოიძებნება, ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთი გვწამს.

მაგრამ ამ თიელით დაფარულ ტრიალ მინდორზე არავითარი თაშესაფრის მსგავსი არა ჩანდა რა.

ბავშვი მიდიოდა და მიდიოდა; მის თვალწინ წინანდებურად მოცარიელებული ზეგან-მინდორი გაშლილიყო, თითქოს უსაზღვრო და დაუსრულებელი.

ამ მაღლობზე არასდროს ყოფილა ადამიანთა საცხოვრებელი. მხოლოდ კლდის ძირას, ნაპრალთა შორის. შორეულ დროში თავს ამ ქვეყნის ის პირველყოფილი მობინადრენი აფარებდნენ, რომელთაც ხე არ გააჩნდათ ქოხის ასაგებად. მათი იარაღი შურდული იყო, სათბობი — ძროხის გამხმარი ნაკელი. მათი სათაყვანებელი ღმერთი იყო კურპი პეილი; იგი ტყის შუა მოტიტვლებულ ადგილზე იდგა დორჩესტერში. ხოლო ამ პირველყოფილთა საქმიანობას იმ რუხი მარჯნის ძიება შეადგენდა, რომელსაც ვალიელები PLIN-ად მოიხსენიებდნენ, ბერძნები კი — ISIDIS PLOCAMOS -ს უწოდებდნენ.

ბავშვი გზას ისე ეძებდა, როგორც საამისო უნარი გააჩნდა. მთელი ჩვენი ბედ-იღბალი გზაჯვარედინია; შესაფერისი გზის გაკვლევა-ამორჩევა ძალიან ძნელია, ამ პატარა არსებას კი უკვე თავისი სიცოცხლის განთიადზე უხდებოდა გზის ალალბედზე გაკვლევა. მიუხედავად ამისა, იგი გზას მაინც განაგრძობდა. თუმცა ფეხები ისე გაჰკაწებოდა, თითქოს ფოლადისაო, მაგრამ დაღლილობა ისე გაჰკაწებოდა, თითქოს ფოლადისაო, მაგრამ დაღლილობა მაინც შეეტყო. მთელ სიერაზე არც ერთი ბილიკი არა ჩანდა, და თუ იყო, ისიც სულ თიელს დაეფარა. ბავშვი ანგარიშმიუცემლად

მიეწვედა აღმოსავლეთისაკენ. ფეხის ტერფები წვეტიანმა ქვებმა დაუჭრა. მზის ხინათლე რომ ყოფილიყო, თოვლზე დაინახავდა სახსლის ალისფერ წვეთებს.

ეს ადგილი ბავშვისათვის სულ უცნობი იყო. ის პორტლენდის მაღლობებს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ სერავდა. ხოლო იმ ბრბომ, რომელთან ერთადაც ამ ადგილებში გაჩნდა, ალბათ არასურველი შეხვედრების თავიდან ასაცილებლად, ამ ადგილებს დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ გადმოუარა. როგორც ეტყობოდა, ეს ბრბო ეკისკოშბის სანაპიროს რომელიღაც პუნქტიდან შეუღუბების ან კონტრაბანდისტების ნაკით გამოქცეოდა სენტ-ქათრინიპადან ან სუონქრიდან და გეზი პორტლენდისკენ აეღო, სადაც მას კარჭაპი უცდიდა. იგი უესტონის ერთ-ერთ ყურეში გაჩერებისას უსათუოდ ისტონის ერთ პატარა ყურეს მიმართავდა და იქ მეორე ხომალდზე გადაბარგდებოდა. ეს გზა სწორი კუთხით ჯეარუდინად ჭრიდა იმ მიმართულებას, რომლითაც ახლა ბავშვი მიდიოდა. ამიტომ იყო, რომ მას ეს ადგილები ვერ უცნო.

პორტლენდის ზეგანზე ყველგან მალალი ბორცვებია გაფანტული. პირდაპირ ზღვის პირს ჩამოსწოლიან და დაბრეც ციცაბოებად ჩასდევენ ნაპირს. ბავშვი ხეტიალში ერთ ასეთ ბორცვზე ავიდა, იქ გაჩერდა და შორეთს გახედა, იმედი მოეცა, რომ ამ მაღლობიდან უკეთ დაინახავდა. მაგრამ მის წინ მოლურჯო ნისლიანი წყვდიადი გაშლილიყო და პორიზონტს ეფარებოდა. ბავშვი ყურადღებით მიაჩერდა ხიერცეს და თანდათან გაარჩია რაღაც მოხაზულობა. ალმოსავლეთით, შორეული ხეების ძირას, იმ მოლურჯო უფსკრულის ქვემოთ, რომელიც ღამის ხიბნელეში კლდის ციცაბო გეგონებოდათ, იქ, დაბლა მიწაზე და ზეით, პაერშიც რაღაც შავი ნაფლეთები იფინებოდა და იშლებოდა. მოლურჯო ბურუსი ღრუბელი იყო, ხოლო შავი ნაფლეთები კვამლი. სადაც კვამლია, იქ ადამიანებიც არიან. ბავშვი იმ მიმართულებით წავიდა.

ცოტა მოშორებით ბავშვმა დალმართი დაინახა, დალმართის ქვეით კი, კლდეების გაურკვეველ მოხაზულობათა შორის რაღაც ქვიშნარი ჭიში, რომელიც ალბათ პორიზონტზე მოშორებულ ვაკეებს აერთიანებდა მის მიერ ახლახან გადაულილ ზეგანთან. როგორც ეტყობოდა, ამ მიმართულებით უნდა წასულიყო.

მართლაც, მან პორტლენდის ყურეს მიაღწია, ეს ველი ლოლუ-ჟოლური ფენებისაგან აღმოცენებულიყო. მას ჩესილი ერქვა.

ბავშვი დაღმართს დაადგა. დაღმართი უსწორმასწორო, ძნელად ჩასასვლელი იყო, მაგრამ ეს ჩასვლა ბევრად უფრო გაუადვილდა, ვიდრე ის, როდესაც ყურედან გამოსვლისას კლდოვან აღმართზე მიხოხავდა. ყოველ აღმართს დაღმართი მოსდევს. ის ჯერ მიბობღავდა, ახლა კი მიგორავდა.

ციცაბოდან ციცაბოზე ხტოდა. შესაძლო იყო ან ფეხი მოეტეხა, ან თვალით უხილავ უფსკრულში გადაჩეხილიყო. კლდიდან დაქანებისას რომ ყინულზე ფეხი არ ასხლეტოდა, ჯაგების წვრილ ტოტებს ებღაუჭებოდა, ან კიდევ კლდეზე წამოზრდილ ეკლიან ნარს. ამ ეკალ-ნარის მჩხვლეტავი წვეროკინები თითებში ერჭობოდა. ზოგან დაღმართი იმდენად დაქანებული არ იყო და ბავშვი ცოტათი ისვენებდა, მაგრამ ისევ ჩაღმართი იწყებოდა. ხელახლა ყოველი ნაბიჯი გამოზომილად, ფრთხილად უნდა გადაედგა. ჯურღმულში დაშვებისას მოხერხებულობაა საჭირო, თორემ სიკვდილია მოსალოდნელი. აქ ყოველი განძრევა ამოცანის გადაჭრას მოითხოვს. ამოცანა ბავშვმა ისეთი თანდაყოლილი ოსტატობით გადაჭრა, რომ მაიმუნსაც შეშურდებოდა ასეთი ხერხი და ჯამბაზსაც კი გააკვირვებდა. დაღმართი დაქანებულიც იყო და გრძელიც. მიუხედავად ამისა, ბავშვი უკვე თითქმის დაბლა იყო ჩასული.

თანდათან ახლოვდებოდა ის წუთი, როცა ბავშვს ფეხი უნდა შეედგა ხმელეთის იმ ყელზე, წეღან შორიდან თვალი რომ მოავლო.

ბავშვი ხან გადახტებოდა, ხან მიბობღავდა ციცაბოებზე. თან დროგამოშვებით უცბად ყურს აიცქვეტდა ხოლმე, და როგორც ფრთხილი ირემი სმენად გადაიქცეოდა. მას შორს, მარცხნიდან, სუსტი გაგრძელებული გუგუნი შემოესმა, რაც ბუკის დაბალ ხმას ემსგავსებოდა. მართლაც, ზევით უკვე ჰაერის ფენების გადაადგილება ხდებოდა. ეს ჩრდილოეთის იმ საშინელ ქარს მოასწავებდა, რომელიც უშველი ბუკისებური გუგუნით იწყება ხოლმე თავის მოახლოებას პოლუსიდან. იმავე დროს ბავშვმა შუბლზე, საფეთქლებსა და ლოყებზე რაღაც იმის მაგვარი იგრძნო, თითქოს სახეზე ცივი ხელებით შეეხნენ. ეს თოვლის მსხვილი ფანტელები იყო. ისინი ჯერ შეუმჩნევლად ფარფატებდნენ ჰაერში, მერე უცებ გრი-

გალეთით დატრიალდნენ. ეს უკვე თოვლის ქარბუქს ანუ თოვლბუქს მოასწავებდა. ბაშვი თავიდან ფეხებამდე თოვლმა დაფარა. ქარბუქი ზღვაზე უკვე ერთი საათის წინ დაწყებულიყო. ახლა ნაპირსაც მოედო. თანდათანობით თავის ძალაუფლებას მთის ზვავზედაც ავრცელებდა. ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ირიბად წამოსული ლამბდა პორტლენდის ზეგანზედაც გაბოლთარეშა.

წიგნი მეორე

ქარხანა ზღვაში

I

კანონები, რომლებიც ადამიანის ნებაზე არ არის დამოკიდებული

თოლიბუქი ზღვაზე შედარებით ნაკლებად გამოკვლეული მოლენაა. იგი ჯერჯერობით მეტად ბნელ მეტეოროლოგიურ ფენომენად უნდა მივიჩნიოთ. ეს ნისლ-ღრუბელია შეურთებული გრიგალი ჩვენს დროში ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის შესწავლილი, თუმცა იგი მრავალნაირ უბედურებათა გამომწვევია.

თოლიბუქის მიზეზად ქარსა და ზღვის ტალღებს თვლიან. მაგრამ ჰაერში ხომ არის რაღაც ისეთი ძალა, რაც ქარისაგან განსხვავდება, ხოლო წყალში — ტალღისაგან განსხვავებული ძალა. ეს ძალა ჰაერსა და წყალში ერთი და იგივეა. ეს არის დენი. ჰაერი და წყალი ორი დენადი მასაა. ორივე ისინი თითქმის ერთი და იგივეა და ერთმანეთის ერწყმიან შესქელების ან გათხელების საშუალებით; ამიტომაა, რომ სუნთქვა იგივე დალევაა. მაგრამ მხოლოდ დენია ნამდვილად დენადობის მქონე. ქარი და ტალღა ბიძგის მიმცემია, ხოლო დენი კი გამოდენას, ე.ი. გაქანებას იძლევა. ქარი თვალით სახილავი ღრუბლების მეშვეობით ხდება, ტალღა კი სახილველია ქაფის მეოხებით, ხოლო დენი თვალით უხილავია. დენი, მაუხედავად უხილავობისა, ხანდახან მაინც იჩენს ხოლმე თავს: „მეც ვარსებობო". ეს „მეც ვარსებობ" არის მეხისტეხა.

თოლიას ქარბუქი ჩვენ ისეთსავე ამოცანად წარმოგვიდგება, როგორც მშრალი ნისლი. თუ შესაძლებელი გახდება ოდესმე შუქი მოეფინოს ისეთი მოვლენის არსებით მხარეს, რასაც ესპანელები CALLINA-ს უწოდებენ, ხოლო ვითიპელები GUOBAR-ს, რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ და მხოლოდ მაგნიტური დენების თვისებებზე ბეჯითად დაკვირვებით.

ამის გარეშე, ფაქტების უმრავლესობა ჩვენთვის ამოუცნობი დარჩება. მაგალითად, ქარი ჩვეულებრივად წამში სამ ფუტ სიჩქარეს

გაიცლის ხოლმე, მაგრამ გრიგალის დროს იმავე წამში ორას ოც ფუტს გაიქრიალებს, სისწრაფის ასეთი ცვალებადობით აიხსნება ტალღის სიმაღლე, რომელიც წყნარ ამინდში სამი ფუტიდან გრიგალის დროს ოცდათექვსმეტი ფუტის სიმაღლემდე ადის. ან კიდევ, მაგალითად: ქარის პორიზონტალური მიმართულებით, შტორმის დროსაც კი აიხსნება ის მოვლენა, თუ რის გამო ხდება, რომ ოცდაათი ფუტის სიმაღლიდან ჩამოშვებულ ზვავს შეუძლია განვლოს ათას ხუთას ფუტამდე სიერცე დაფაროს. მაგრამ ის რატომღა ხდება, რომ წყნარი ოკეანის ტალღები ამერიკის ნაპირებთან ოთხჯერ უფრო მეტ სიმაღლეზე ადიან, ვიდრე აზიის ნაპირებთან? ესე იგი, დასავლეთში უფრო მაღლა ადიან, ვიდრე აღმოსავლეთში. რატომ არის, რომ ატლანტიკის ოკეანეში პირუკუ ხდება? რატომ არის, რომ წყლის დონე ოკეანეში ყველაზე მაღალი ეკვატორზეა? რითია გამოწვეული ის მდგომარეობა, რომ ოკეანის ტალღების სიმაღლის დონე სხვადასხვა განივზე სულ სხვადასხვანაირია? ყველა ეს მოვლენა მხოლოდ მაგნიტური დენების გავლენით აიხსნება. აიხსნება აგრეთვე დედამიწის ბრუნვისა და ცის მნათობებისადმი მიზიდულობის კავშირითაც.

ამ სხვადასხვა ძალის საიდუმლო ურთიერთობაში ხომ არ უნდა ვეძიოთ ქარების მიმართულების უცაბედი ცვლის მიზეზი? მაგალითად, თუ ეს ქარები სამხრეთ-აღმოსავლეთიდან დასავლეთის გზით მოედინებიან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, შემდეგ უცაბედად უკანვე ბრუნდებიან და იმავე გზით ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ მიქრიან, ამგვარად, ოცდათექვსმეტი საათის განმავლობაში უზარმაზარ სივრცეზე იგი ორმაგ რკალს მოხაზავს, რაც საერთო ჯამში ხუთას სამოც გრადუსს აღწევს. ასეთ მოვლენას ადგილი ჰქონდა თუნდაც 1867 წლის 17 მარტს, ოთხშაბათ ქარიშხლის დაწყების წინ.

ავსტრალიაში, ქარტეხილების დროს ტალღები სიმაღლით ორმოც ფუტს აღწევენ. ეს მოვლენა მაგნიტური პოლუსის ხახლოების გამო ხდება. ამ განედებში გრიგალებს იმდენად ჰაერის ფენების ადგილგადანაცვლება არ ეწევის, რამდენადაც წყალქვეშა ელექტრონული განტევართეის ხანგრძლივობა. 1866 წელს ტრანსატლანტიკური კაბელის მუშაობა ყოველ დღე-ღამეში რეგულარულად ირღვეოდა ორი საათის განმავლობაში: თორმეტი საათი

დან ნაშუადღევის ორ საათამდე. ეს თავისებური, ხანგამოშვებით ციებ-ცხელებისებური შეტევები იყო. ზოგიერთი ძალის შეერთებასა და განთავისებას, შედეგად თავისი განუსაზღვრელი მოულოდნელი ჰქონდა; მეზღვაურმა გემის დაღუპვის თავიდან ასაცილებლად ეს გარემოება უსათუოდ მხედველობაში უნდა იქონიოს.

იმ დღეს, როდესაც ნაოსნობის ხელოვნება ბუნებაზე ახლანდელ ნარჩენ შეხედულებას ასცილდება და მათემატიკურად ზუსტ მეცნიერებად გადაიქცევა; როდესაც შეუდგებიან იმის გარკვევას, მაგალითად, ჩვენს განედებში თბილი ქარები ზოგჯერ ჩრდილოეთიდან რატომ უბერავენ, ხოლო ცივი ქარები სამხრეთიდან; როდესაც მიხვდებიან, რომ წყლის ტემპერატურის დაწევა პირდაპირპროპორციულია ოკეანის სიღრმისა; როდესაც ყველასთვის ცხადი გახდება, რომ დედამიწა არის დაუსრულებელ სივრცეში [illegible] პოლარიზებული ორღერძიანი მაგნიტი, ბრუნვის ღერძითა და მაგნიტური ღერძით და, რომ ეს ორი დედამიწის შუაგულში ჯვარედინდებიან, აგრეთვე, რომ მაგნიტური პოლუსები გეოგრაფიული პოლუსების ირგვლივ ბრუნავენ; როდესაც ის ადამიანები, რომლებიც სიცოცხლეს ხიფათში იგდებენ, მხოლოდ იმ შემთხვევაში დაითანხმდებიან ხიფათში ჩაგდებას, თუ მთლად შეიარაღებულნი იქნებიან მეცნიერული ცოდნით; როდესაც ის მეორე სტიქია, რომელთანაც მეზღვაური დაკავშირებულია, საკმაოდ იქნება შესწავლილი; როდესაც კაპიტანი მეტეოროლოგი იქნება და ლოცმანი ქიმიკოსი, მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი მრავალი კატასტროფის თავიდან აცილება. ზღვა იმდენადვე მაგნიტური სტიქიაა, რამდენადაც წყლის სტიქია. ოკეანის წყალში მთელი ოკეანე ჩვენთვის უცნობი ძალები ირევა. იქ, სხვანაირად რომ თქვას, ეს ძალები წყლის დინების მიმართულებით მიცურავენ. ჩვენ თუ ზღვაში მხოლოდ წყლის მასას ვხედავთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ზღვას თითქმის სრულებით ვერ ვხედავთ. ზღვაში დენების უწყვეტი მოძრაობა სწორედ ისევე ხდება, როგორც უწყვეტი ჯერით ცვლა მიქცევისა. მისთვის, ზღვისთვის მიზიდულობის კანონს იქნებ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თავსხმაწვიმებს; სხვადასხვა მოვლენების გარდა, კაპილარული მიზიდულობით გამოწვეული მოლეკულური შეჭიდულობა, რაც შეუიარაღებელი თვალისათვის შეუმჩნეველი რჩება, ოკეანეში უზარმაზარ

მოცულობას აღწევს თვით ოკეანის უშეულებელი სიერცის გამო და მაგნიტური ტალღები ხან აძლიერებენ ჰაერს და ზღვის ზედაპირის მოძრაობას, ხან მათ საწინააღმდეგოდ მოძრაობას იწყებენ. ვინც ელექტრობის კანონი არ იცის, მისთვის, აშასთან მჭიდროდ დაკავშირებული ჰიდროდინამიკის კანონებიც უცნობია. მართალია, არ მოიპოვება მეცნიერების დარგი, რომელიც ამაზე უფრო ძნელი და ნაკლებ დამუშავებული იყოს; ამ მეცნიერებას ისეთივე ახლო კავშირი აქვს ცდებით მიღებულ შედეგებთან, როგორიც ასტრონომიას ასტროლოგიასთან, მაგრამ გარეშე ამ მეცნიერებისა, წარმოუდგენელია ნაოსნობა.

ახლა კი ჩვენს მოთხრობას დავუბრუნდეთ.

ზღვაზე ერთ-ერთი საშინელი მოვლენა თოვლბუქია. იგი უფრო მეტად მაგნიტური დენებისგან არის გამოწვეული. ჩრდილოეთის ციალის მსგავსად, მას პოლუსი წარმოშობს. თოვლის ქარბუქის წყვდიადში და ჩრდილოეთის ციალის ულვარებაში იგივე პოლუსია მონაწილე. თოვლის ფიფქებშიც, ისევე როგორც მომტრედისფერ ციალებში, მაგნიტური დენები მონაწილეობენ.

თოვლბუქები ზღვისათვის იგივე ნერვული და ციებცხელებასეული შეტევებია. ზღვასაც თავისებური შაკიკი შეეყრება ხოლმე. ქარტეხილები შეიძლება დაავადებებს შეუადაროთ. ზოგი მათგანი მომაკვდინებელია, ზოგი — არა. ზოგიერთი ავადმყოფობისაგან განიკურნებიან ხოლმე, ზოგისაგან — არა, ქარაშოტი მომაკვდინებელ უბედურებად ითვლება. მაგელანის ერთი ლოცმანთაგანი — ხარაბიზა ქარბუქზე ამბობდა: „სატანის მარცხენა მკერდიდან ამოვარდნილი ღრუბელიაო".

სიურკუფი ამბობდა: „ასეთ ქარბუქი ნამდვილი ქოლერააო".

ძველად ესპანელი მეზღვაურები თოვლბუქს LA NEVADA-ს უწოდებდნენ, თუ თოვლი ფანტელებად სცვიოდა; ხოლო LA HELADA-ს, თუ სეტყვა უშენდა. მათი თქმით, თოვლთან ერთად ციდან ღმერთებიც ცვიოდნენ.

პოლარულ სარტყელში ქარბუქები ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგრამ ასეთი რამ ხან ჩვენს განედებამდეც აღწევს, სწორად რომ ვთქვათ, ჩვენს განიერებსაც დაატყდება ხოლმე, ამდენად დიდია მათგან გამოწვეული უბედურებანი.

როგორც უკვე დაგინახეთ „მატუტინა" პორტლენდის ყურეს

გასცდა და ჯიქურ გაექანა ღამის ყოველგვარ საშიშროებასთან შეხამებულად; ხოლო საშიშროებანი უფრო და უფრო იზრდებოდა ქარბუქის მოახლოების წყალობით, ტრაგიკული შემმართებლობით შეეჯახა იგი მის შესახვედრად უკვე წამომართულ ხიფათს, მაგრამ ვიმეორებ, რომ იგი საკმარისად გაფრთხილებული იყო ამის შესახებ.

II

პირველი სილუეტების მოხაზვა

ვიდრე კარჭაპი ისევ პორტლენდის ყურეში იმყოფებოდა, ზღვა საკმაოდ წყნარი იყო და ღელვაც თითქმის არ იგრძნობოდა. თუმცა ოკეანე, მართალია, ჩაშავებულდა, მაგრამ ცაზე ისევ ნათელი იდგა. ქარი იალქნებს ოდნავ ბერავდა. კარჭაპი, რაც კი შეეძლო, ცდილობდა ახლოს ეცურა კლდის ციცაბოსთან, რომ იგი საიმედო საფრად გამოეყენებინა.

ამ პატარა ბისკაურ ფელუკაზე ათი ადამიანი იმყოფებოდა, სამი კაცი ეკიპაჟს შეადგენდა და შვიდი — მგზავრს. ამათ რიცხვში ორი დედაკაცი იყო. შებინდებისას სინათლე შუა ზღვაში უფრო მეტია, ვიდრე ნაპირზე. ახლა უფრო ნათლად შეიძლებოდა მათი გარჩევა, ვინც ხომალდის ბაქანზე იდგა. ამასთანავე, მათ ახლა აღარც მდუმარედ ყოფნა სჭირდებოდათ: ყველანი უკვე თავისუფლად იქცეოდნენ, პირისახეს აღარ იფარავდნენ. გაქცეულებმა ნაპირიდან გასვლისთანავე თავისუფლად ამოისუნთქეს.

ადამიანთა ეს პატარა ჯგუფი გაოცებას იწვევდა თავისი სიჭრელით. დედაკაცები რა ასაკისანი იყვნენ, ვერ გაარკვევდით. მაწანწალური ცხოვრება დროზე ადრე აბერებს ადამიანს; ხოლო გაჭირვება სახეზე ნაადრევ ნაოჭებს აჩნევს ხოლმე. ერთი დედაკაცთაგანი ბასკი იყო; მეორე, მსხვილნაკვთებიანი სახის — ირლანდიელი. ორივეს სახეზე გულგრილობის დაღი აჩნდა, რაც საერთოდ ღატაკებს ახასიათებთ. გემბანზე გამოსვლისთანავე ისინი უმალ ერთმანეთის გვერდიგვერდ ჩამოსხდნენ იალქანთან დადგმულ სკივრზე. ისინი ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. როგორც უკვე ვთქვით, ირლანდიური და ბასკური ენები მონათესავენი არიან. ბასკ დედაკაცს

თმაზე ხაზვისა და რეჰანის სუნი უდიოდა. ხომალდის პატრონიც ბასკი იყო, წარმოშობით გიპუსკოადან; ერთი მატროსი აგრეთვე ბასკი იყო, წარმოშობით პირენეების ჩრდილო ფერდობიდან, ხოლო მეორე მატროსი წარმოშობით იმავე პირენეს სამხრეთ ფერდობიდან იყო, ესე იგი, ორივე ერთსა და იმავე მოდგმას ეკუთვნოდა, თუმცა პირველი ფრანგი იყო, მეორე — ესპანელი. ბასკები ოფიციალურ ქვეშეერდომობას არ ცნობენ. „MI MADRE SE LLAMA MONTANA („დედაჩემს მთას უწოდებენ"), — ასე იტყოდა ხოლმე ჯორჯის მწვემსი სალარეუსი.

დედაკაცებთან ერთად გამგზავრებულ იმ ხუთი კაცისგან ერთი ლანგედოკელი იყო, მეორე პროვანსალელი ფრანგი, მესამე გენუელი, მეოთხე მოხუცი სომბრერითი, რომელსაც ფარფლებზე სამოგზაურო ნახვრეტი არ ჰქონდა, ეტყობოდა გერმანელი უნდა ყოფილიყო. მეხუთე — მეთაური ბისკაროსელი ბასკი იყო, ქვაღორღიანი უდაბნოების მცხოვრები. სწორედ ამან ჰკრა ჭუსლი ფიცრის ხიდურას და ზღვაში ჩაგდო იმ წუთში, როდესაც ბავშვმა ის იყო კარჭაპზე გადასვლა დააპირა. ეს მკვრივი ადამიანი სწრაფი და მკვეთრი მოძრაობით გამოირჩეოდა. როგორც უკვე ვთქვით, მისი დაძონძილი ტანსაცმელი ბუზმენტებითა და მბზინავი კილიტებით იყო მოჭარგული. ეს კაცი ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა; ხან დაღუნებოდა, ხან აიმართებოდა, გემბანის ხან ერთ ქიმს აწყდებოდა, ხან მეორეს. მას თითქოს ახლახან ჩადენილი საქციელი აწუხებდა და ისიც, რაც ამ მოკლე ხანში უნდა მომხდარიყო.

ბრბოს მეთაური, ხომალდის პატრონი და ორი მატროსი, — ოთხივე ბასკი, ხან ბასკურ ენაზე ლაპარაკობდნენ, ხან ესპანურად, ხან ფრანგულად. ეს საშიშე ენა ერთნაირად არის გავრცელებული პირენეების ორივე ფერდობზე. თუმცა ყველანი, გარდა დედაკაცებისა, ერთმანეთს ცოტა რამე ფრანგულადაც აგებინებდნენ, ეს უკანასკნელი ენა ხომ საფუძველი იყო მათი ბრბოს ჟარგონისა. ამ ჯოჯოხეთში ფრანგული ენა საერთო ხმარებაში შემოდიოდა, რადგან ეს ენა გარდამავალ საფეხურს წარმოადგენდა თანხმოვანთა უხვად მქონე ჩრდილოურ ენებსა და ხმოვნებით მდიდარ სამხრეთულ ენებს შორის. ყვირილში ფრანგულად ვაჭრები და ქურდები ლაპარაკობდნენ. ბეჭრს ახსოვს, ალბათ, რომ ლონდონელ ქურდს, ჯიბის, კარტუშის* ენა კარგად ესმოდა.

კარჭაში, სწრაფმავალი ავლენიანი ხომალდი, წინ მიექანებოდა; მაგრამ ათი ხელი ადამიანი და ამასთან კიდევ მთის ბარგი-ბარხანა მანც მუტად მძიმე ტვირთი იყო ასეთი სუსტი ხომალდისათვის.

ამ ბრბოს გაქცევა „მატუტინათი“ სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ხომალდის ეკიპაჟსა და მგზავრებს შორის შუღმიკი კავშირი იყო.

ამგვარი საქმის დაჭერისათვის ისიც სრულიად საკმარისი იყო, რომ კარჭაპის პატრონი და ბრბოს მეთაური ორივენი VASCONGADO * ყოფილიყვნენ. ბასკებს წმინდა მოვალეობად მიაჩნიათ ურთიერთდახმარება, გარეშე ყოველგვარი გამონაკლისისა. ბასკი, როგორც ზევითა ვთქვით, არც ესპანელად მიიჩნევს თავს და არც ფრანგად. იგი ბასკია და ამიტომ ყველგან, ყოველნაირ გარემოებაში დახმარება უნდა გაუწიოს თავისი ტომის ადამიანს. ასეთია ძმობის კავშირი, რომელიც პირუნეს ყველა მცხოვრებს ერთურთთან აახლოებს.

ვიდრე კარჭაპი ისევ ყურეში იმყოფებოდა, მართალია, ცა მოღრუბლულ-დანისლული იყო, მაგრამ ისეთს არაფერ საშიშს არ მოასწავებდა, რომ გაქცეულები შეეშფოთებინა. მათ თავი იხსნეს მდევართაგან, მტერს გაექცნენ და შეუკავებელ მხიარულებას მიეცნენ. ერთი თუ ხარხარებდა, მეორე ხმამაღლა. ხარხარი უხეში იყო, მაგრამ ლაღი; სიმღერა თუმცა სწორს არ ატკბობდა, სამაგიეროდ, უზრუნველობას გამოხატავდა.

ლანგედოკელი გაკეთდა CAOUGAGNO! — „ძროხა!“ რაც ნარბონულ კილოზე ქმაყოფილების უმაღლეს ხარისხს ნიშნავს. კლაპის სამხრეთი ფერდობის ზღვისპირა პატარა სოფლის გრიუსანის მკვიდრი, იგი არც ნამდვილი მატროსი იყო და არც შეზღვაური, არამედ უფრო მებადური, მიწეული სახიფათო ნაკით ბაგის ტბაში შეცურვასა და სენტ-ლიუსის რიყიან ნაპირზე თევზით სავსე ბადის გამოთრევას. იგი იმ ტომის ხალხს ეკუთვნოდა, რომლებიც წითელი ძაფით ნაქსოვ ჩანს იხურავენ, პირუკურის წერისას თითებს რალაც სხვანაირად ატეხებენ ესპანელებისაგან, ღვინოს პირდაპირ ტიკიდან სვამენ, ბარკალს გულმოდგინედ ხრავენ. ღმერთის გმობის დროს აჩოქებენ და როდესაც თავის მფარველ ანგელოზს შესთხოვენ რასმე, თან მუქარასაც უთელიან ახლ: „დიდებულო წმინდანო, შემისრულე ვედრება, თორემ თავში ქვასა გთხლიშაო“.



გაჭრეებში ეს კაცი მატრონის მოვალეობასაც შეასრულებდა. კამეჩში პროვინციელი თევზის ქვაბის ქვეშ ტოროს ნამტვრევს უკეთებდა და შეჭამადს ბარბაცდა.

ეს შეჭამადი „პურის"* მოგაგონებდათ, მაგრამ მასში საჭმელის ხორცის მაგვარ თევზი იხარშებოდა; პროვინციელი ამ ადგილებში წვალობ ბარდასაც ერთდა, პატარა, ოთხკუთხად დაჭრილ ქონის ნაჭრებსაც და წიწაკის თაუებსაც. სანოვაგის ფული მას გვერდით პარმიხნილი ედგა. პროვინციელმა ქარხის შეკუმშული რვინის ფარანი ანთო; ფარანი იქვე კამეჩის ჭერზე გადა კაბიზე. ფარნის გვერდით, მეორე კაბიზე ფლიტერის მაგვარ ალუმი ქანაობდა. ამ ხანებში ხალხს სწყინდა, ეთოვებ ნისკარტით ჩაძიკედებული მკვდარი ალუმი ფოლადის გულქვრით იმ ხარეს მატრიალებდა, სადაც ქარი უბერავდა.

საჭმლის მოზადებაში გართული პროვინციელი ძალიან ხარბე მათრას მოეკიდებდა ხოლმე და „აგვარდენტს" წრუპავდა. მათრა განიერკერძიანი იყო და პრტყელი. იგი ტოროვის წვილით იყო შემოწნული. ასეთ მათრებს ქარხის თანამე ჩაკიდებდნენ ხოლმე, რის გამოც მათ „ქარხის მათრებს" უწოდებდნენ. დღეის სმის დროს კაცი თავისთვის რაღაც სიმღერას ღიღინებდა. ამგვარი სიმღერა თითქოს ყოველგვარ შინაარსს მოკლებულია: „პატარა გზა, ორღობეები, ბუჩქებს გადაღმა, ჩამავალი მზის შუქით განათებულ მინდორზე მოსული საბალახო და ცხენის გრძელი ჩრდილები; ხანდახან გაისმენდა ფიწლები, ხან აქეთ თავის ბუღულებით და ისევ უნიადაგებად". ხელ ძირტუე სიმღერისათვის ასეთი რამ სრულიად საკმარა.

გამგზავრება იმის მიხედით, თე გამგზავრებისას რა გუნებაზე ვართ, ან რა აზრები გვიტრიალებს თავში, ჩვენში ან საამურ გრძნობებს იწვევს, ანდა სიმწარეს. კარჭაზე ყველა კმაყოფილი ჩანდა, გარდა ყველაზე უხეშისა წყვრისა, რომელსაც სიმბრუნი ეხერა.

ეს ბერიკაცი გურიანელს უფრო ჰგავდა, თუმცა მის პირისახეზე ერთეულობის ნიშნები აღმოუჩენელი იყო. კაცი მელოტა იყო და ისეთი დარაბაზული ქცევა ჩანდა, რომ მისი მელოტა უფრო ტოროზეა* გვაგონებდათ. როდესაც იგი კარჭაზის წინა ჭიშკე ფოლადწმინდა ქალწულის ჭიდაკეებასთან გაეცლიდა ხოლმე, ფოლადის მალლა სწვდა თავის ფარფლებიან ქედს და მაშინ თავის ქალაზე

კიბურცული ბებრული ყურები მოუჩანდა. მისი გრძელი და განიერი, გალიპული და დაზეული, დორჩესტერული, მახაკისფერი ხარჯის ლაბადა როცა კი აფრიალდებოდა, ქვეშიდან ხავთანი მოუჩანდა, რაც ტანზე სუდარასავით მჭიდროდ შემოკვალითოდა. ამ საყელომდე შეეკრა. ამ კაცს ხელები თითქოს თავისთავად, გულზე კეცებოდა ჯვარედინად, ღვთისმოსავთა ჩვეულებისამებრ. სახეზე მკვდრისფერი ედო. ადამიანის სახე მისი შინაგანი სულიერი განცდების ანარეკლია ყოველთვის, და შემცდარი ვიქნებოდით გვეფიქრა, ვითომ აზრს ელფერი არ გააჩნდეს. ამ მოხუცის სახე უცნაურ სულიერ მდგომარეობას გამოხატავდა: იგი იმ რთული წინააღმდეგობის შედეგი იყო, რაც ადამიანს ერთსა და იმავე დროს სიკეთისკენაც იზიდავს და ბოროტებისკენაც. მახვილი ყურადღების მქონე დამკვირვებელი ამოიცნობდა, რომ ამ არსებას შეუძლია — ზნეობრივად გარყვნილი ნადირის დონემდე დაეცეს. დაეცეს ფოცხვერზე უფრო ქვენა გრძნობებამდე, და შეუძლია, აგრეთვე, ჩვეულებრივ ადამიანზე უფრო ამაღლდეს. ამგვარი სულიერი ქაოსი სავსებით შესაძლებელია. ამ პიროვნებაში რაღაც ამოუცნობი იყო, მისი იდუმალება — თითქმის სიმბოლური. იგრძნობოდა, რომ ამ ადამიანს ბოროტების ჩადენის სიტკბოება წინასწარ განეცდია, თუმცა მისი შედეგები ადრევე ჰქონია გათვალისწინებული. ხოლო ბოროტების ჩადენის შემდეგ ერთგვარი სულიერი გაპარტახებაც უგრძნია. მისი გულციობა, შესაძლოა მხოლოდ მოჩვენებითს, ორმაგად გაქვავებულობის ნიშანს ატარებდა: გულით გაქვავებულისა, რაც ჯალათს ახასიათებს და აზროვნებით გაქვავებულისა, რაც ჩინელი მანდარინის* თვისებაა. ვინაიდან შემზარავი რამეც თავისებურად სრულყოფილია, ამიტომ შეიძლებოდა შეუმცდარად გვემტკიცებინა, რომ ამ კაცს ყველაფრის უნარი გააჩნდა, სულიერი აღფრთოვანებისაც. ყოველი სწავლული ცოტათი უსულგულო გვამს ედრება, და ეს კაციც ხომ სწავლული იყო. მისი განსწავლულობა პირველი შეხედვისთანავე იგრძნობოდა; ეს აღბეჭდილიყო მის ყოველ მიხრა-მოხრაზე და მისი ლაბადის ნაკეცებზეც კი. ამ პოლიგლოტის სახეზე მოძრავი ნაოჭები ხან მანჭვას გამოხატავდა, რაც გაქვავებული სახის ნაკვთების სასტიკ გამომეტყველებას ეწინააღმდეგებოდა. მისი გამომეტყველება არც პარმონიულობას ასახავდა და არც ცინიზმს. ეს იყო მხოლოდ ტრაგიკული მეოცნების

სახე, სახე ისეთი კაცისა, რომელიც დანაშაულს ღრმა ჩაფიქრება-მდე მიუყვანია. ყაჩაღის მოღუშულ წარბებს ქვემოდან არქეისის-კოპოსივით ლმობიერად იშხირებოდა. შეთხელებული ჭაღარა თმა-საფეთქლებთან მთლად გახთეთრებოდა. ამ კაცში ისეთი ქრისტია-ნი იგრძნობოდა, რომელიც ფატალიზმით თურქს აჭარბებდა. მისი გამჭალტყავებული თითები ნიკრისის ქარს მიეგრიხ-მოეგრიხა. მა-ღალი, სარივით სწორი ტანი სასაცილო შთაბეჭდილებას ტოვებ-და. მტკიცე ნაბიჯი მეზღვაურისა ჰქონდა. დაღვრემილი, ავბედითი სახით, იგი არავის უყურებდა. ასე ნელი ნაბიჯით მიდი-მოდიოდა გემბანზე. მისი თვალების სიღრმეში ოდნავ შენიშნავდით მისივე სულის ანარეკლს, რომელსაც კარგად უნდა ჰქონოდა შეცნობილი ირგვლივ არსებული წყვდიადი, და აგრეთვე უნდა სცოდნოდა, თუ რა არის სინდისის ქენჯნა.

ბრბოს მეთაური, ტლანქი და სხარტი კაცი, გემბანზე სწრაფი ნაბიჯით რომ მიდი-მოდიოდა, ამ მოხუცთან ხანგამოშვებით მიირ-ბენდა და ყურში რაღაცას უჩურჩულებდა. მოხუციც პასუხად თავს უქნევდა, თითქოს ელვა ღამეს ეთათბირებაო რაღაცაზე.

III

აფორიაქებული ადამიანები მღელვარე ზღვაში

ხომალდზე ორი კაცი რაღაცას დაეფიქრებინა. ესენი იყვნენ თვით ზემოხსენებული ბერიკაცი და კარჭაპის პატრონი. ეს უკანას-კნელი სხვაა და ბრბოს მეთაური კიდევ სხვა, არ უნდა აგვერიოს. ხომალდის პატრონი შეეფიქრიანებინა ზღვის სანახაობას, ხოლო ბერიკაცს ცის სანახაობა აფიქრებდა. პირველი თვალს არ აშორებ-და ზღვის ტალღებს, მეორეს მთელი თავისი ყურადღება ღრუბლე-ბზე გადაეტანა. ზღვის მდგომარეობამ შეაშფოთა კარჭაპის პატრო-ნი, ხოლო მოხუცს სხივფათოდ ის მიაჩნდა, რაც ცაზე ხდებოდა. ის ყურადღებითათვალიერებდა თითოეულ ვარსკვლავს, რომელიც კი გარითხმულ ღრუბლებს შორის გამოჩნდებოდა.

სწორედ ის მოქურუხებული ჟამი იდგა, როდესაც სინათლე მო-დამის ჯერ კიდევ მთლად არ განშორებია, მაგრამ აქა-იქ საღამოს სიბნელეში უკვე ოდნავ გამოკრთის შორს მოკიაფე რამდენიმე ვარ-სკვლავი.

ჰორიზონტს უცნაური სანახაობა დაჰხვედა. ნისლ-ბურუსი ერთ ათასნაირი სახით იცვლიდა მოყვანილობას.

იგი უმთავრესად ზღვის ნაპირზე იყო სქელად ჩაწოლილი; ხოლო ღრუბლები უმეტესწილად თვით ზღვაზე შედედებულიყვნენ.

კარჭაპის პატრონი ჯერ ისევ პორტლენდის ყურედან გაბოსლამდე შეაფიქრიანა ტალღების სიმაღლემ. მან მთელი ტაკელაჟი მაშინვე გულდასმით დაათვალიერა, ყველა აღკაზმულობა იქამდე სინჯა, ვიდრე ხომალდი კონცხს შემოუვლიდა და დარწმუნდა, რომ საიმედოდ გაწყობილი ხომალდი სრულ წესრიგში იყო. ასეთია მეზღვაურის წინასწარი უსაფრთხოების ზომები, როცა ის ხომალდის ყველა აფრის აშვებას აპირებს.

კარჭაპის ნაკლი ის იყო, რომ წყალში ჭეშტით უფრო ღრმად იჯდა, ვიდრე კიჩოთი.

ხომალდის პატრონი მალიმალ ხან სამგზავრო კომპანს მიაშურებდა და ხან უმთავრეს კომპანს, ასე ცდილობდა ორიოვეს დახმარებითა და ნაპირის უმოძრაო საგნების საშუალებით გაერკვია ხომალდის მსელელობასა და რუმბის ხიჩქარე. პირველად თითქოს ყველაფერი რიგზე მიდიოდა და ხომალდის პატრონიც უკმაყოფილო არ იყო; თუმცა გვერდის ქარმა ხომალდი გაბიზნული კურსიდან ხუთი პუნქტით განზე ააცილა. თუთიონ პატრონი შეძლებისდაგვარად მუდმივად საჭესთან იდგა, თითქოს სხვას არ ენდობოდა და მხოლოდ თავისში ხედავდა სააბისო უნარს, რომ საჭეს მართვით რაც შეიძლება აესწრაფვებინა ხომალდის სვლა.

რადგან ნამდვილ რუმბსა და მოჩვენებით რუმბს შორის განსხვავება იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც სწრაფად მიდის ხომალდი, ამიტომ ისე ჩანდა, თითქოს კარჭაპი ქარის მიმართულებით დიდი დაცერებით მიდიოდა, მაგრამ სინამდვილეში მთლად ასე არ იყო. კარჭაპი არც ბაგშტაგით მიცურავდა და არც ბეიდევიდით. ქარის ნამდვილი მიმართულება მხოლოდ მაშინ შეიძლება გაირკვეს, როცა იგი კიჩოდან უბერავს. თუ ღრუბლებს შორის პორიზონტზე გრძელი ხოლები რომელიმე წერტილისაკენ მოჩანს დაშვებული, მაშინ სწორედ ეს წერტილია ის ადგილი, საიდანაც ქარი უბერავს. მაგრამ იმ სალამოს ქარი რამდენიმე მხრიდან ქროდა, ქარის რუმბის გამოკვლევა ძნელდებოდა და ხომალდის პატრონიც კურსის ხისწორეში შეეჭვებულიყო.

იგი საჭეს ფრთხილადაც მართავდა და იმავე დროს გაბედულადაც. სათანადო ხელსაწყოს საშუალებით ხომალდის კურსიდან თითოეულ გადახრას თვალყურს ადევნებდა. ცდილობდა, თავიდან აეცილებინა ყოველგვარი გადახრა; თვალს ადევნებდა დრეიფს და საჭეში სულ უმნიშვნელო ბიძგებსაც კი ამჩნევდა. ამჩნევდა, აგრეთვე, მცირეოდენ ცვლილებებსაც სვლის სიჩქარეში; ის მუდმივად გარკვეული მანძილით იყო დაშორებული იმ ნაპირიდან, რომლის გეზითაც ჩაივლიდა ხოლმე. განსაკუთრებით იმიტომ, რომ მხედველობაში ჰქონდა გზის კომპასის მცირე მოცულობა, იგი მუდმივად იმას ცდილობდა, რომ ფლიუგერსა და საგრძნეი რგუნის შუა შექმნილი კუთხე უფრო დიდი ყოფილიყო აფრების გაშლის კუთხეზე. იგი თვალს არ აშორებდა წყლის ზედაპირს, რათა ყოველი ცვლილება შეემჩნია.

ცას მან მხოლოდ ერთხელ შეავლო თვალი, ცდილობდა დაენახა ის სამი ვარსკვლავი, რომელიც ორიონის სარტყელში იმყოფება. ამ სამ ვარსკვლავს სამი მოგვი ეწოდება. ამათზე ამბობდნენ ძველი ესპანელი ლოცმანები: „ვინც სამ მოგვსა ხედავს, იგი მაცხოვართან ახლოაო“.

სწორედ იმ წუთში, როდესაც კარჭაპის პატრონმა ცას შეხედა, კარჭაპის მეორე ნაპირიდან ბერიკაცის ბურდღუნი მოისმა:

— არც პოლარული ვარსკვლავები ჩანს და არც ანტარესი*, მიუხედავად ამ უკანასკნელის ჩაღი მოწითალო ფერისა, ვერც ერთ ვარსკვლავს თვალი ვერ ამჩნევს.

დანარჩენ ლტოლვილებს თითქოს არც არაფერი აწუხებდათ. მაგრამ, როდესაც გაქცევით გამოწვეული სიხარული დაცხრა, ყველა მათგანმა იგრძნო სუსხიანი ქარი. ამან გაახსენათ, რომ ახლა იანვარია და ზღვაზე იმყოფებიან. კაიუტაში მათი მოთავსება შეუძლებელი აღმოჩნდა: იგი მეტად პატარა იყო და, ამასთანავე, მთლად გაეჯხოთ ბარგითა და საქონლის ნაკრაულებით. ბარგი მგზავრებისა იყო, ხოლო ნაკრაულები ეკიპაჟისა. ეს კარჭაპი ხომ საერთო გემი არ იყო, ის კონტრაბანდისტების ხომალდი იყო. მგზავრები გემბანზე მოთავსდნენ. თუმცა კი ამგვარი დაბინავება არცთუ დიდი ბედნა იყო ამ მოხეტიალეთათვის. ღია ცის ქვეშ ცხოვრებას მიჩვეულ მანანწალებს დამის გასათევად ხრუნვა არ სჭირდებათ.

ვარსკვლავებით მოჭედილი ცა მათ ჭერის მაგიერობას უწევს, საცოვეში ღრმა ძილი ეუფლებათ, ზოგჯერ სასიკვდილო ძილიც კი.

ოუმცა ამ ღამით, როგორც უკვე ვთქვით, ცაზე ვარსკვლავები არ ჩანდა.

ლანგედოკელი და გუნუელი ვახშმის მოლოდინში იალქანთან წამოწვნენ, იქვე დედაკაცების გვერდით მოკრუნჩხნენ და მატროსების მიერ გადმოგდებული ბრეზენტი წაიხურეს.

მგლოტი მოხუცი ისევ ხომალდის ქიმთან იდგა, ადგილიდან არ დაძრულა, თითქოს საცოვეს არც კი გრძნობდა.

კარჭაპის პატრონი საჭეს არ მოშორებია, ისე ამოიხრიალა რაღაც, რაც იმ ფრინველის ჩხაკილს ემსგავსებოდა, რომელსაც ამერიკაში „მძახალას" უწოდებენ. ამ წამძახილზე ბრბოს მეთაური მასთან მივიდა, ხომალდის უფროსმაც მიმართა:

— ETCHCO JAUNA!

ეს ორი ბასკური სიტყვა, რომელიც „მთიელ მიწათმოქმედს" ნიშნავდა, ძველ კანტაბრიელთა შთამომავლობისათვის ჩვეულებრივ იმგვარი საუბრის დასაწყისში იხმარება, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

ამასთანავე, კარჭაპის პატრონმა ბრბოს მეთაურს მოხუცზე მიუთითა და საუბარი ესპანურ ენაზე განაგრძეს, რაც ნაკლებად სწორი იყო, რადგან ორივენი მთიულური კილოკავით ლაპარაკობდნენ.

— მთიელო მიწათმოქმედო, ის კაცი ვინ არის?

— კაცია!

— რა ენაზე ლაპარაკობს?

— ყველაზე.

— რა იცის?

— ყველაფერი.

— რომელ ქვეყანას მიიჩნევს თავის საშობლოდ?

— არც ერთსა და ყველას.

— ვინ არის მისი ღმერთი?

— ღმერთი.

— შენ რას ეძახი?

— შუშლიელს.

— აბა გაიმეორე, რას ეძახი მას?

— ბრძენს.
— რას წარმოადგენს იგი თქვენს ბრბოში?
— იმას, რაც თვითონ არის.
— მეთაურია?
— არა.
— მაშ ვინ არის?
— სული.

ბრბოს მეთაური და ხომალდის პატრონი ერთმანეთს დაშორდნენ. თითოეული ისევ თავის ფიქრს მიეცა. ცოტა ხნის შემდეგ „მატუტინა“ ჯურეს გასცდა.

ხომალდმა ძლიერ დაიწყო რყევა.

იქ, სადაც ზღვის ზედაპირს ტალღების ქაფი არა პფარავდა, ზღვა წებოვან შუნდენს მოგაგონებდათ. სალამოს ბინდზე ტალღების მკვეთრი მოხაზულობა დაჩრდილულიყო და შხამ-ნაღველის გუბეებს მიმსგავსებოდა. ზოგ ადგილას ტალღები თითქოს სიბრტყეზე იფინებოდა და ზედ სხვეებისნაირი ბზარები აჩნდებოდა, ისე, როგორც ქვით შემტვრეულ მინას. ამ განშტოებული სხვეების შუაგულში, მორეცეთით მოტრიალე წერტილში ფოსფორული სინათლე კაფიობდა, რაც ბუს თვალებივით ანათებდა, კატის თვალთა ციმციმს რომ წააგავს.

„მატუტინა“ ამაყად და გაბედულად გასცდა ჩემბურის მეჩეჩებზე სახიფათო ფრთინის ხოლს. ჩემბურის მეჩეჩი, პორტლენდის რეიდიდან გასახელელს რომ ელობება, ამფითეატრს მიაგავს. იგი ქვიშოვანი არუნაა წყალქვეშა ცირკისა, სიმეტრიულად განლაგებული საფეხურებით. ეს საფეხურები ტალღების მიქცევ-მოქცევის ძალით გაპრთხილან ზღვისაგან ჩანთქმულ მწვერვალზე. ამ მწვერვალის სიმაღლე უდრის იუნგფრაუს სიმაღლეს. ეს ზღვისქვეშა კოლიზეუმია; წყალში მყვინთავის თვალს იგი ზღვის გამჭვირვალე უფსკრულში მოლანდებასავით ეჩვენება. აი როგორი სანახაობისაა ჩემბურის მეჩეჩი. საზარელი არუნა; იქ ერთმანეთს ურჩხულები ებრძვიან. ლევიათანები ერთმანეთს ეძგერებიან; იქვე, თუ ლეგენდარულ გადმოცემებს დავუჯერებთ, უზარმაზარი ძაბრისებური უფსკრულის ძირზე ხომალდების ჩონჩხებია ჩანოლილი, რომლებიც დაუჭერია და ჩაუძირავს უზარმაზარ ოქტოპას, — ვრაკენს, რო-

მელსაც აგრეთვე „მთათვეზას“ ეძახიან. ასეთია ზღვის საშინელი საიდუმლოება.

ეს შორვნებითი, ადამიანისათვის უცნობი სიცოცხლე ზღვის ზედაპირზე თავს მხოლოდ ღრმანი ფრთოსნით იჩენს ხოლმე.

მეცხრამეტე საუკუნეში ჩემბურის მეჩეჩი თითქმის სულაც გაქრა. ამ მოკლე ხანში აშენებულმა ტალღათ-მჭრელმა მოქცევის ძალით ააყირავა და დაანგრია ეს მაღალი, წყალქვეშა ნაშენი; ისე, როგორც 1760 წელს კრუაზიკში აღმართულმა კაშხალმა იმავე ნაპირებთან საათის მეოთხედით გადასწია ზღვის მიქცევა-მოქცევის დრო. მიუხედავად ამისა, ზღვის მიმოქცევა მარადიულია; ხოლო მარადისობას ადამიანი გაცილებით მეტად იძორწილებს, ვიდრე ჰგონიათ.

IV

სხვა, უჩვეულო ღრუბლის გამოჩენა

ბერიკაცი, რომელსაც ბრბოს მეთაურმა ჯერ შეშლილი უწოდა, შერე ბრძენი, სულ ალარ მოშორებია ხომალდის წინაურდოს. გასცდნენ თუ არა ჩემბურის მეჩეჩს, მისი ყურადღება ცისა და ოკეანის შუა განაწილდა. იგი თვალებს ხან ისევ ცისკენ ალაპრობდა და ხან ისევ ოკეანეს დაბედავდა. განსაკუთრებით ბეჯითად ჩრდილო-აღმოსავლეთს აკვირდებოდა.

ხომალდის პატრონმა საჭე ერთ-ერთ მატროსს გადასცა, ბაგირის ყუის გადააბიჯა და წინაურდოს მიაშურა.

მიუახლოვდა მოხუცს, მის ზურგს უკან რამდენიმე ნაბიჯზე გაჩერდა, იდაყვები გვერდებზე მიიბჯინა, ხელები გაფარჩხა, თავი გვერდზე გადახარა, თვალები გადმოკარკლა, წარბები აჭიმა და მხოლოდ ბაგით გაიღიმა; პირისახეზე ცნობისმოყვარეობა ალბეჭდოდა, რაც ნაწილობრივ ირონიასაც უდრიდა და პატივისცემასაც.

მოხუცმა, იქნებ იმიტომ, რომ ჩვეულებად ჰქონდა ხანდახან თავის თავთან ესაუბრა, ან იქნებ იმიტომ, რომ იგრძნო ზურგს უკან ჯილაცა დგას და სალაპარაკოდ მიწვევსო, — ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი. თან მის წინ გადაშლილ წყლის სივრცეს გადახედა:

— მერიდიანი, რომლიდანაც სწორი აღმასვლა გამოიანგარიშე-

ბა, ჩვენს საუკუნეში ოთხი ვარსკვლავითაა აღნიშნული: პოლარული ვარსკვლავით, კასიოპეს საყარძლით, ანდრომედეს თაიით და ალგენიბთა ვარსკვლავით, რომელიც პეგასის თანავარსკვლავედშია. მაგრამ არც ერთი ამათგანი არ მოჩანს...

ეს ოდნავ გახაგონი სიტყვები თითქოს შეუცნობლად იყო წამოცდენილი, ამ კაცის შეგნება თითქოსდა არაეითარ მონაწილეობას არ იღებსო მათ გახმაურებაში. მისი ბაგედან მოწყვეტილი სიტყვები ჰაერში იკარგებოდა. მონოლოგი კვალია იმ სულიერი ცხოვლისა, რომელიც ჩვენს შიგნით ალიგზნება.

კარჭაპის პატრონმა შეაწყვეტინა:

— სენიორ.

ბერიკაცს შეიძლება ცოტა ყური აკლდა ან იქნებ ღრმად ჩაფიქრებულმა ვერ გაიგონა ეს ძახილი. მან ისევ განაგრძო:

— ვარსკვლავები ძალიან მცირედ თუ მოჩანს სადმე; სამაგიეროდ ქარია მოხშირებული. ქარი მალიმალ იცვლის მიმართულებას და ნაპირისაკენ მიქრის, ცეცად აწყდება ნაპირს; ეს იმის გამო ხდება, რომ ხმელეთზე უფრო თბილა, ვიდრე ზღვაზე. ხმელეთზე ჰაერი უფრო მსუბუქია. ზღვის ცივი და მძიმე ჰაერი მიწისკენ მიიღტვის და განდევნის თბილ ჰაერს. ამიტომ არის, რომ ქარები დიდი სიმაღლით ყოველი მხრიდან უბერავენ მიწაზე. საჭიროა გრძელი პალსების გაკეთება თეორიულად გამოთვლილ პარალელსა და ნაყარაუდევ პარალელს შორის. იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენ მიერ შემწნეული განიეი დადგენილი განიესაგან ყოველი ათი ლიეს მანძილზე მხოლოდ სამი წუთითაა აცდენილი, ხოლო ყოველი ოცი ლიეს მანძილზე აცდენილია ოთხი წუთით, მაშინ ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ კურსი სწორად არის აღებული.

ხომალდის პატრონმა სალამი მისცა, მაგრამ მოხუცს არც ახლა შეუნიშნავს იგი. იდგა უძრავად, გახედული მოსასხამში, რომელიც ოქსფორდის ან გეთინგენის უნივერსიტეტის დოქტორის მოსასხამს მოგაგონებდათ. იდგა კუშტად და ზეადად, ზღვას იმგვარი დაკვირვებით გასცქეროდა, რომ გაფიქრებინებდათ, ამ კაცს ზღვის სტიქიაცა და ადამიანებიც კარგად შეუსწავლიაო. ტალღებს ისე აკვირდებოდა, თითქოს მონაწილეობა უნდა მიეღოს მათ ახმაურებულ საუბარში და თვითონაც უნდა აცნობოს მათ მნიშვნელოვანი ამბავიო. ამ კაცში იყო ისეთი რამ, რაც შუა საუკუნეების ალქიმიკოს-

სც მოგაგონებდათ და ძველი რომის აეგურსაც*. მას სწაელული კაცის ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ბუნების უკანასკნელ საიდუმლოებათა ცოდნას იწუქებსო.

იგი თავის მონოლოგს განაგრძობდა, შესაძლოა იმ მოსაზრებით, რომ მას უინმე უსმენდა.

— შებრძოლება შეიძლებოდა, ჩვენ რომ რუმბელის მაგიერ შტურვალი გვქონდეს. საათში ოთხი ლიეს სიჩქარით შტურვალზე ოცდაათი გირვანქის დაწოლით მიეილებდით სამახი ათას გირვანქიან სასარგებლო მოქმედებას. ამაზე შეტსაც, რადგან შეიძლება ზოგ შემთხვევაში ზედმეტი ორი მოტრიალებაც გამოხძალოს კაცმა.

ხომალდის პატრონმა მეორედაც დაუკრა თავი და წარმოთქვა:

— სენიორ!..

ბერიკაცი ყურადღებით დააშტერდა, მან მხოლოდ სახე მიაბრუნა, ისე რომ თვითონ არც კი განძრეულა.

— დოქტორი მიწოდე!

— სენიორ დოქტორო, მე პატრონი ვარ ხომალდისა.

— კარგი, — უპასუხა „დოქტორმა".

დოქტორი — ამიერიდან ჩვენც ამ კაცს ასეევ ვუწოდოთ, — როგორც ჩანდა, დაეთანხმა ხომალდის პატრონს, საუბარი გაება მასთან.

— ხომალდის პატრონო, ინგლისური ოქტანტი თუ გაქვს?

— არა.

— ინგლისური ოქტანტის გარეშე შენ სიმაღლეს ვერ გამოარკვევ ვერც ხომალდის წინ და ვერც მის უკან.

— ბასკებმა ხომალდის გამორკვევა ჯერ კიდევ მაშინ იცოდნენ, როდესაც ქვეყანაზე ინგლისელები არ არსებობდნენ, — მიუგო ხომალდის პატრონმა.

— გაფრთხილდი, ქარის გეზს არ გაუვე.

— იალქნებს დავუშვებთ, როცა კი საჭირო იქნება.

— ხომალდის სელის სიჩქარე გაზომილი გაქვს?

— დიახ.

— როდის გაზომე?

— ახლახან.

— რითი გაზომე?

— წყლით.

— წოლის ხის სექტორი თუ დაათვალიერე?

— დიახ!

— ქვიშის საათი სწორად აჩვენებს თავის ოცდაათ წამს?

— დიახ!

— დარწმუნებული კი ხარ, რომ ქვიშის ხახუნმა არ გააფარხოვა შუშის ორ ბუშტს შუა ორი ვიწრო ხვრელი?

— დიახ!

— შეამოწმე ქვიშის საათი მუშკეტის ტყვიით, რომელიც კიდია...

— დანამული ქერქლის სწორ ძაფზე? რა თქმა უნდა.

— კარგად გასახთლე ძაფი, რომ არ გაჭიმულიყო?

— დიახ.

— წოლიც შეამოწმე?

— ქვიშის საათი მუშკეტის ტყვიით შევამოწმე, წოლი კი ხარბაზნის ყუმბარით.

— რა დიამეტრი აქვს შენს ყუმბარას?

— ერთი ფუტი.

— კარგი ზომაა.

— ეს ძველებური ყუმბარაა, ჩვენი ძველი სამხედრო კარჭაპიდან — „კასს დე პარგრანიდან".

— არშადაში რომ შედიოდა?

— დიახ.

— და რომელიც შეიცავდა ექვსას ჯარისკაცს, ორმოცდაათ მეზღვაურს და ოცდაზუთ ზარბაზანს.

— ამის შესახებ ზღვამ იცის, რომელმაც ისინი შთანთქა.

— როგორ განსაზღვრე ყუმბარაზე წყლის დარტყმის ძალა?

— გერმანული ცალსასწორის საშუალებით.

— მიიღე მხედველობაში ტალღის დაწოლა იმ ბაგირზე, რომელზედაც ყუმბარაა მიბმული?

— დიახ.

— რა მიიღე ჯამში?

— ას ოცდაათი გირვანქა.

— სხვანაირად რომ ვთქვათ, კარჭაპი საათში ოთხ ფრანგულ ლიეს გადის.

— ანუ სამ ჰოლანდიურ ლიეს.

— მაგრამ ეს ხომ მარტო ზღვის დინების სისწრაფეზე ხომალდის სვლის სისწრაფის აღმატებაა?

— რა თქმა უნდა.

— სათ მიმართე ხომალდის სვლა?

— ჩემთვის ნაცნობი ყურესკენ, ლიოლასა და სენ-სებასტიანეს შუა.

— სჩქარიდ გაიყვანე ხომალდი იმ პარალელზე, რომელზედაც ის ყურე მდებარეობს.

— დიახ, რაც კი შეიძლება სწორი გეზი უნდა ავიღო.

— ქარებსა და დინებას მიყრიდე, ქარები დინებას აძლიერებენ.

— აჰ, ის მოღალატენი!

— ნუ იღანძღები! ზღვას ყველაფერი ესმის; სალანძღაე სიტყვებს ერიდე. თვალყური ადევნე ზღვასა და ამინდს.

— ყოველთვის თვალყურს ვადევნებდი და ახლაც ვადევნებ. ამ წუთში ქარი მომატებული მოქცევის საპირისპიროდ უბერავს. მაგრამ მალე, მიქცევის დაწყებისთანავე, ქარის ბერვა ისევე მისი მიმართულებით დარჩება და მაშინ ჩვენ ისარივით გავქანდებით.

— რუკა თუ გაქვს?

— არა, ამ ზღვის რუკა მე არა მაქვს.

— მაშ ალალბედზე მიდიხარ?

— არც მახვა; კომპასი ხომ მაქვს.

— კომპასი ცალი თვალია, ხოლო რუკა — მეორე.

— ცალთვალაც ხომ ხედავს!

— როგორ ზომავ შენ იმ კუთხეს, რომელსაც ხომალდის კურსი და კილი ქმნის?

— კომპასი ხომ მაქვს და დანარჩენს ისეც მივხედები.

— მიხვედრა კარგია, მაგრამ ცოდნა უმჯობესია.

— ქრისტეფორე კოლუმბი მიხვედრით იკვლევდა გზას.

— როდესაც ქარიშხლის დროს გაქანებული კომპასის ისარი აქეთ-იქით აწყდება, მაშინ უკვე ალარაფინ იცის, რომელ ქარს მიენდოს; საქმე იმით თავდება, რომ ყოველგვარ მიმართულებას კარგავ. ერთი სამგზაერო რუკით უფრო ჭკვიანია, ვიდრე მისანი თავისი რამლით.

— მაგრამ ქარი ჯერ გრიგალის ნიშნებს არ მოასწავებს და ამორიაქება, მგონი, ზედმეტია.

— ხომალდები ბუზებია ზღვის აბლაბუდაში.

— ამ წუთში არც ტალღები და არც ქარი საშიშროების მიზეზს არ იძლევა.

— ადამიანები ოკეანეში იგიყვა, რაც შაკი წერტილები მოქანავე ტალღაზე.

— მე ამ ღამით ცუდს ვერაფერს ვამჩნევ.

— ფრთხილად იყავი, შეიძლება ისეთი ორომტრიალი დაიწყოს, რომ თავი ველარ იხსნა.

— ჯერჯერობით ყველაფერი მშვიდობიანადაა.

დოქტორმა თვალი ჩრდილო-აღმოსავლეთს მიაპყრო.

კარჭაპის პატრონი განაგრძობდა:

— ოღონდ გასკონის ყურემდე მივაღწიოთ და იქ უკვე მე ვიცი! მაშ, ვითომც ჩემს სახლში მივსულვარ. გასკონის ყურეს ისე ვიცნობ, როგორც ჩემს ჯიბეს. თუმცა ის გობი ძალიან ხშირად ბობოქრობს, მაგრამ მე ვიცნობ მის ღრმა ადგილებსაც და თავთხელსაც. ვიცნობ ფარვატერის ყველა თვისებას: სან-კაპრიანოს მახლობლად — წებოვანი ფლატეა, სისარკის მახლობლად — ნიჟარებია, პენიასის კონცხთან — ქვიშნარებია, ბუკო-დე-მიმიხანთან — წვრილი ქვა-კენჭია. მე ისიც ვიცი, იქ რომელი კენჭი რა ფერისაა.

ხომალდის პატრონი დადუმდა: დოქტორი მას ალარ უსმენდა.

დოქტორი ისევ ჩრდილო-აღმოსავლეთს გასცქეროდა. მის გულგრილ სახეს რალაც არაჩვეულებრივი ელვა ჰქონდა.

სახეზე შიში გამოეხატა, რამდენადაც კი შეიძლებოდა ამ გაქვავებულ ნიღაბზე გამოხატულიყო რამე. მან უცბად წამოიძახა:

— მშვიდობით!

ჰორიზონტზე გამოჩენილი ოდნავ შესამჩნევი წერტილის დანახვაზე თვალები ბუსაყით მთლად დაუმრგვალდა და ელდისაგან გაუფართოვდა.

ისევ დაძინა:

— ეს სამართლიანიც იქნება. რაც შემეხება მე, თანახმა ვარ!

ხომალდის პატრონი შესცქეროდა მას.

დოქტორი თითქოს თავის თავს მიმართავდა, ან ვილაცას, ზღვის უფსკრულში მიმალულს. მან გაიმეორა:

— მე ვამბობ: დიახ!

გაჩუმდა. თვალები უფრო გაუფართოვდა, გაოკვირვებული ყურადღებით მიაჩერდა იმას, რაც ქრვენებოდა, და წარმოთქვა:
— შორიდან მოიზლაზნება, მაგრამ კარგად იცის, სად რა უნდა ნიდინოს.

ცის ტატნობზე, შხის დასალიერის მოპირდაპირე ნაწილი, საითაც თვალმოუწყვეტლივ მიმართულიყო დოქტორის ყურადღება, ჩამავალი მზის ანარეკლით დღესავით იყო განათებული. ეს ცის პატარა ნაგლეჯი, მის ირგვლივ რუხი ღრუბლების ფანტელების ფონზე მკაფიოდ მოხაზულიყო მუქ ლურჯად, ანუ უფრო ტყვიისფრად.

დოქტორი მთლად ზღვისკენ მიტრიალდა, ხომალდის პატრონს ზურგი შეაქცია და ცის იმ ნაწილზე მიუთითა:
— ხომალდის პატრონო, ხედავ იმას?
— რას?
— აგერ იმას.
— აბა რას?
— აგერ იქ.
— სილურჯესა ვხედავ.
— რა არის, თუ იცი?
— ცის პატარა ნაგლეჯი.
— ცის ნაგლეჯი იმათთვისაა, ვისაც ჰგონია, რომ ცაზე დაიმკვიდრებს სასუფეველს. მაგრამ იმათთვის, ვინც ცაზე სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებს, ის, რაც იქა ჩანს, სულ სხვა რამეა, — უპასუხა დოქტორმა.

და ეს თავისი სიტყვები, იდუმალებით სავსენი, მან უცნაური გამოხედვით დაადასტურა, ეს მისი გამოხედვა საღამოს ბინდში ჩაინთქა.

დუმილი ჩამოვარდა.
ხომალდის პატრონს გაახსენდა ბრბოს მეთაურისაგან ამ კაცის ორნაირი დახასიათება და გუნებაში გაიფიქრა: „ვინაა ნეტავი ეს კაცი? შეშლილია თუ ბრძენი."
დოქტორს გაძვალტყავებული თითი მაინც ისევ ჰორიზონტის ჩრდილოსფერი ნაწილისკენ ჰქონდა გაშვერილი.
ხომალდის პატრონი ლურჯ ცას შეჰყურებდა.

— მართალია, — წაიბურტყუნა მან, — ეს ცა არ არის, ეს ღრუბელია.

— ლურჯი ღრუბელი შავ ღრუბელზე უარესია — წარმოთქვა დოქტორმა, და დაუმატა:

— ის სათოვარი ღრუბელია.

— LA NUBE DE LA NIEVE, — ჩაილაპარაკა ხომალდის პატრონმა, ეს სიტყვები შშობლიურ ენაზე თარგმნა, რომ უკეთესად შეეგნო მათი მნიშვნელობა.

— იცი, რა არის სათოვარი ღრუბელი? — შეკითხა დოქტორი.

— არა.

— ჰოდა, მალე გაიგებ.

ხომალდის პატრონმა ჰორიზონტს მიაშტერა თვალი. ღრუბლებს აკვირდებოდა და თავისთვის ბურდღუნებდა.

— თუ გრიგალ-ქარებისა, თუ წვიმებისა, ხველებიანი იანვარი და ცრემლიანი თებერვალი — აი ასეთია ჩვენი ასტურიის ზამთარი. ჩვენი წვიმა თბილია. თოვლი ჩვენთან მხოლოდ მთებში მოდის. სამაგიეროდ აქ ზვავებისა გვეშინოდეს! ზვავმა გარჩევა არ იცის, ზვავი მხეცია.

— გრიგალი კი ურჩხულია, — შეესიტყვა დოქტორი.

მცირე ხნის დუმილის შემდეგ დაუმატა:

— აგერ ის გვიახლოვდება.

შემდეგ განაგრძო:

— ქარი ერთბაშად რამდენიმე მხრიდან მოქრის: გახელებული — დასავლეთიდან, ხოლო მეორე, ძალიან ნელი — აღმოსავლეთიდან.

— აღმოსავლეთის ქარი ცბიერია, — შენიშნა ხომალდის პატრონმა.

ყომრალი ღრუბელი სულ იზრდებოდა.

დოქტორი განაგრძობდა:

— თუკი მთიდან ჩამოხვაებული თოვლი საშინელია, აბა იფიქრე, რალა იქნება მაშინ, როდესაც პოლუსიდან დაგვატყდება.

ამ კაცის თვალები მთლად მინას დაემსგავსა და მის სახეზეც იხე, როგორც ჰორიზონტზე, თითქოს ღრუბელი ჩამოწვა.

იგი დაფიქრებული განაგრძობდა:

— ყველა წუთს საზარელი ჟამი გვიახლოვდება. ფარდა ეხდება იმას, რაც ზეცაურმა ძალამ ბედისწერად გვარგუნა.

კარჭაპის პატრონმა ისევ გაიფიქრა: „შეშლილი ხომ არ არის ეს კაცი?“

— ხომალდის პატრონო, ლამანშის სრუტეში ხშირად გიმგზავრია? — ისევ შეეკითხა დოქტორი, თან ღრუბლებს თვალს არ აშორებდა.

— დღეს პირველად. — იყო პასუხი.

დოქტორი მთლად ყომრალი ღრუბლის ცქერას გაეტაცა, მხოლოდ ამ ღრუბლის გამო იყო შეშფოთებული; ხომალდის პატრონის პასუხს იგი ისევე არ აუღელვებია, როგორც ნამით გაჟღენთილი ზღვის ღრუბელი ვერ შეისრუტავს ვერც ერთ ზედმეტ წვეთს. ხომალდის პატრონის საპასუხოდ მხოლოდ ოდნავ აიჩეჩა მხრები.

— ეგ როგორ? — მაინც შეეკითხა.

— მე, სენიორ დოქტორო, ჩვეულებრივ მხოლოდ ირლანდიამდე ვმოგზაურობ ხოლმე. ჩემი რეისი ფონტარაბიიდან ბლექ-პარბორამდეა, ან კიდევ კუნძულ აკილამდე. ამას თუმცა „კუნძულს“ ეძახიან, მაგრამ სინამდვილეში იგი ორი კუნძულისგან შედგება. ხან უელსის სანაპიროზე ბრაჩიპულტშიც შევსულვარ, მაგრამ სილიის კუნძულებამდე არასოდეს მიმიღწევია და ამ ზღვას ვერ ვიცნობ.

— ცუდადაა საქმე. ვაი იმას, ვინც ოკეანის ამბავი კარგად არ იცის. ლამანში ისეთი წიგნია, რომელიც სწრაფად უნდა იკითხებოდეს. ლამანში სფინქსია, მისი ფსკერი მზაკვარია.

— ჩვენ აქ ოცდახუთი ბრასის სიღრმეზე ვართ.

— დასავლეთისაკენ უნდა ავიღოთ კურსი, სადაც სიღრმე ორმოცდათხუთმეტ ბრასს აღწევს და არა აღმოსავლეთისაკენ, სადაც სიღრმე მხოლოდ ოცი ბრასია.

— კარგი, ჩვენ გავზომავთ სიღრმეს. ჩვენ ლოტს ჩავუშვებთ ზღვაში.

— გახსოვდეს, ლამანში განსაკუთრებული ზღვაა. წყალი აქ ორმოცდაათ ფუტამდე აიწევს მაღალი წყლის დროს და ოცდახუთამდე — დაბალი წყლის დროს. აქ წყლის დავარდნა ჯერ კიდევ მიქცევა არ არის, მიქცევა კი — ჯერ წყლის დავარდნა არ გახლავს... აპა! შენ, მგონი, შეგეშინდა!

— ამაღამ ჩვენ ლოტს ჩავუშვებთ.

— ლოტის ჩასაშვებად ხომალდი უნდა გააჩერო, ამას კი ვერ მოახერხებ.

— რატომ?

— ქარია, ნებას არ მოგცემს.

— აბა, ვნახოთ.

— გრიგალი ნეკნებში ჩარჭობილი მახვილივით ყოველგვარ თავისუფალ მოძრაობას ბორკავს.

— სულერთია, ლოტს მაინც ჩავუშვებთ, სენიორ დოქტორო.

— იმასაც ვერ შეძლებ, რომ ხომალდი წოლით ქარისაკენ დაუშვა.

— ღმერთი მიშველის.

— ფრთხილად იყავი, ღვთის სახელს ამაოდ ახსენებ.

— მე მაინც ჩავუშვებ ლოტს ზღვაში.

— თავმდაბლობა გირჩევნია. ქარი ახლავე ლოყებზე გიტკაცუნებს ხილაქებივით.

— მე იმის თქმა მინდოდა, რომ ვეცდები, ლოტი ჩავუშვა-მეთქი.

— ფსკერამდე ტყვიის დაშვებას ტალღები დაუშლიან და თოკიც გაწყდება, გეტყობა რომ პირველად ხარ ამ ადგილებში.

— პირველად ვარ-მეთქი, აკი ვთქვი.

— მაშ მომისმინე, ხომალდის პატრონო.

ეს „მომისმინე" ისეთი ბრძანებლური კილოთი ითქვა, რომ ხომალდის პატრონმა მორჩილებით თავი დახარა.

— გისმენთ, სენიორ დოქტორო.

— ხომალდის მარცხენა გვერდით აფრები ჩამოკეცე, მარჯვენა გვერდით დაჭიმე.

— მაგით რისი თქმა გინდათ?

— დასავლეთისკენ მიტრიალდი.

— კარამბა!

— დასავლეთისაკენ მიტრიალდი.

— შეუძლებელია.

— როგორც გინდა, ამას სხვათა გადასარჩენად ვაბრძან, რაც შეეხება მე, შხად ვარ ბედს დაუმორჩილო.

— მაგრამ, სენიორ დოქტორო, დასავლეთის მხრივ რომ მიაბრუნო, ხომ.....

— დიახ, პატრონო.

— ეგ ხომ გემის პირქარით წაყვანაა.

— დიახ, პატრონო.

— სატანისებურ რუკას გამოიწვევს.
— სხვა გამოთქმა აირჩიე. რუკა დიახაც იქნება.
— ხომალდს ააყრევინებს.
— დიახ, პატრონო.
— შესაძლოა ანძაც გადაიმტვრეს.
— შესაძლოა.
— მაშ თქვენ გინდათ, რომ კურსი დასავლეთისკენ ავიღო?
— დიახ.
— არ შემიძლია.
— მაშ, ისე შეებრძოლე ზღვას, როგორც შეგიძლია.
— ოღონდ კი ქარმა გეზი იცვალოს და.
— გეზს მთელი დამის განმავლობაში არ შეიცვლის.
— რატომ?
— იმიტომ, რომ ათას ორასი ლიეს სიგრძეზე ქრის...
— აბა, ისეთი ქარის პირისპირ როგორ წარვმართო ხომალდი, შეუძლებელია.
— გეუბნები, კურსი დასავლეთისკენ აიღე-მეთქი.
— ვცდი, მაგრამ სულერთია, ქარი მაინც აცდენით, გეზად წაგვიყვანს.
— ეგაა სახიფათო და...
— ქარი აღმოსავლეთისკენ გვეწევა.
— აღმოსავლეთისკენ არ მიმართო საჭე!
— რატომ?
— იცი, ხომალდის პატრონო, დღეს რა ჰქვია ჩვენს სიკვდილს?
— არ ვიცი.
— მას აღმოსავლეთი ჰქვია.
— მაშ დასავლეთისკენ მიემართავ.

დოქტორმა ისე შეხედა ხომალდის პატრონს, თითქოს უნდოდა მის გონებაში რომელიღაც აზრი ღრმად ჩაებეჭდა, პირისპირ გაუსწორდა და ნელა, დამარცვლით ასე უთხრა:

— თუ ამაღამ, როცა შუა ზღვაში გავალთ, ჩვენს ყურამდე ზარის რეკვა მოაღწევს, ხომალდი დაიღუპება.

ხომალდის პატრონი თავზარდაცემული მიაშტერდა.

— მაგითი რისი თქმა გინდათ?

დოქტორმა არა უპასუხა რა, მისი წამიერად აღგზნებული ოვალები ისევ ჩაქრნენ. ის ისევ შინაგან განცდებში ჩანთქმულიყო. თითქოს კერც გაეგონა განცვიფრებული ხომალდის პატრონის შეკითხვა. მისი ყურადღება მთლად შინაგან სულიერ მოძრაობას მოეცვა. ახლა ბაგეთაგან უნებურად მოსწყდა ჩურჩულით წარმოთქმული ფრაზა:

— დადგა ჟამი, რათა განიბანნენ ბნელი სულები.

ხომალდის პატრონმა ისე დამანჭა ბაგე, რომ კინაღამ ნაკბით ცხვირს მიებჯინა.

— არა, ეს კაცი უფრო შეშლილი უნდა იყოს, ვიდრე ბრძენი, — ჩაიბურდღუნა და ცოტათი განზე გადგა.

მაინც დასაწყეთისაკენ მიმართა ხომალდი.

ხოლო ქარი ძლიერდებოდა და ზღვის ტალღებს სულ უფრო მაღლა სტყორცნიდა.

V

პარდკვანრონე

ნისლი მეტად სქლად ჩამოწვა, იგი ჯგუფ-ჯგუფად ზე იწეოდა და ჰორიზონტის მთელ სივრცეს სწვდებოდა. თითქოს ქარიშხლის საბერველი რაღაც უჩინარი ხორხებიდან ამონასუნთქ ძალას გაუბერავსო. ღრუბლებიც თანდათან რაღაც ავის მომასწავებელი სახეების მოხაზულობას იღებდნენ.

ცის ტატნობის დიდი ნაწილი ყოშრალმა ღრუბლებმა დაფარა. მან უკვე დასაწყეთის მხარეც მოიცვა და აღმოსავლეთიც. იგი ქარის მოპირდაპირე მხრიდან წამოიმართა. ამგვარი წინააღმდეგობანი ქარიშხლების ბუნებრივი თვისებაა.

წუთის წინ ზღვა დიდრონი, ნახნაგოვანი ქერცლივით აზვირთებული, ახლა თითქოს ტყავი გადაეკრაო, ისე გადაილიპა. ასეთი თვისებისაა ეს გველეშაპი. ახლა ის მხოლოდ ნაანგი როდი იყო, თვით მახრჩობელა ურჩხულს წააგავდა. ზღვის სქლად მოძჩინარე შუქი ტყვიისფერი ზედაკანი მძიმე ნაოჭებად შეკეცილიყო, ზედ მრგვალი ბუშტები ქაფდებოდნენ ჩირქოვანი მუწუკებივით და იმავე წუთში სკდებოდნენ. მისი ქაფი კეთრის ფუფუხს მოგაგონებდათ.

კარჭაპზე, რომელსაც მარტოდმარტო მიტოვებულმა ბავშვმა პორიზონტზე მოჰკრა თვალი, სწორედ ამ წუთში აინთო ფარანი.

საათის მეოთხედი გაიდა.

კარჭაპის პატრონმა გუმბანზე მიმოიხედა, მაგრამ იქ დოქტორი ვეღარ დაინახა.

როგორც კი კარჭაპის პატრონი დოქტორს ჩამოშორდა, ეს უკანასკნელი იმავ წუთს დაიხარა თავისი ხმახი ტანით და კაიუტაში ჩაიდა. იქ, სამზარეულოს ღუმელთან, ეზელგოფზე ჩამოჯდა, ჯიბიდან შაგრენისტყავშემოკრული სამელნე ამოიღო, კორდუანის ტყავის დიდი საქალალდე და შიგ ჩადებული, ოთხად მოკეცილი, გაყვითლებული, დანიწკლული, დაწერილი პერგამენტი გაშალა. ბუდიდან კალამი გამოიღო, საქალალდე მუხლებზე დაიდო, ზედ ქაღალდა გადმობრუნებული პერგამენტი გაშალა და ფარნის სინათლეზე, რომლის შუქსაც სიბნელეში მდგომი მზარეულის ფიგურა გამოუკვეთა, წერას შეუდგა. თუმცა მას გემის ნაპირზე ტალღების მიხეთქება ხელს უშლიდა, მაინც ნელ-ნელა ასო-ასოზე გამოჰყავდა.

ამ საქმეში გარეულმა დოქტორმა შემთხვევით თვალი არყით სავსე მათარას მოჰკრა. პროვანსალელი მზარეული ამ მათარას იმდენჯერ მოეყუდებდა ხოლმე, რამდენჯერაც იგი შეჭამად-პურეროში პილპილს უმარჯვებდა, თითქოს შეჭამადის შეკაზმვა-შენელებაში ამ მათარასაც აშველიებსო.

დოქტორმა მათარას იმიტომ კი არ მიაქცია ყურადღება, რომ ის არყის ბოთლი იყო, არამედ იმიტომ, რომ მისი თეთრი წნელებით მოწნულ გარსზე წითელი წნელებით ჩაწნული სახელი შეამჩნია. კაიუტაში საკმაო სინათლე იდგა და დოქტორმა ეს სახელი თავისუფლად ამოიკითხა.

მან თავისი საქმე მიატოვა და ნელა, დაბალი ხმით წარმოთქვა:

— პარდეკანონე.

შემდეგ მზარეულს მიმართა:

— მე აქამდე არც კი შემომხვედია ეს მათარა; განა ეს პარდეკანონეს ეკუთვნოდა?

— ჩვენს საბრალო ამხანაგ პარდეკანონეს? — შეეკითხა თავის მხრივ მზარეული.

— დიახ, — უპასუხა.
დოქტორმა გამოკითხვა განაგრძო.
— ფლამანდიელი პარდკვანონე?
— დიახ.
— ის, ციხეში რომ ზის?
— დიახ.
— ჩვენის ციხე-გოდოლში?
— დიახ, ეს მისი მათარაა, — წარმოთქვა შხარეულმა და განაგრძო: — ის ხომ ჩემი მეგობარი იყო. მე ამ მათარას მის სახსოვრად ვინახავ. ნეტავ თუ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს? დიახ, ეს მათარა მას ქამარზე ეკიდა ხოლმე.

დოქტორმა ისევ კალამი აიღო და, ხელახლა, ძლივძლივობით, ასოების გამოყვანა განაგრძო: სტრიქონები ირიბად იწერებოდა, მაგრამ ის, რაც შეეძლო, ცდილობდა გარკვევით ეწერა. ხელი სიბერისაგან უთრთოდა და ხომალდსაც ზღვის ფრთევნა არყევდა; მაგრამ ამ კაცმა თავისი ჩანაწერი მაინც დაასრულა.

დოქტორმა სწორედ დროზე დაამთავრა, რადგან ამ წუთში ზღვას გრიგალი დაატყდა.

ტალღებმა იერიში მიიტანეს კარჭაპზე, ყველამ, ვინც კი გემზე იმყოფებოდა, იგრძნო, რომ ის თავზარდამცემი როკვა დაიწყო, რასაც ქარიშხალი მუდამ იწვევს ხომალდზე.

დოქტორი იდგა და, მიუხედავად ხომალდის ძლიერი რყევისა, ცდილობდა წონასწორობა შეენარჩუნებინა; ლუმელთან მივიდა, ახალდაწერილი სტრიქონები რამდენადაც კი შეიძლებოდა გააშრო, პერგამენტი ისევ დაკეცა, საქაღალდეში ჩადო, თვით საქაღალდე და სამელნე ისევ ჯიბეში ჩაიდო.

ლუმელი საკმაოდ მოხერხებულად იყო ნაგები და კარჭაპის მოწყობილობათა შორის თვალსაჩინო ადგილიც ეჭირა. იგი იმ ადგილას მიესართებინათ, სადაც ხომალდი ნაკლებად ირყეოდა, მაგრამ ამ წუთში ლუმელზე ქვაბი ძალიან ირყეოდა. პროვანსალელი ამ ქვაბს თვალს არ აშორებდა.

— ეს მეჭამადი თევზისაა, — წარმოთქვა შხარეულმა.
— ეგ მეჭამადი თევზებისთვისაა, — შეუსწორა დოქტორმა.
და ისევ ბაქანზე დაბრუნდა.

VI

ისინი იმედოვნებენ, რომ ქარი დაეხმარებათ

დოქტორს სულ უფრო უძლიერდებოდა შიში; ის ცდილობდა მდგომარეობა გამოერკვია. ამ წუთში მის გვერდით მდგომი მისგან უნებლიეთ, ხმამაღლა წარმოთქმულ ამგვარ რამეს გაიგონებდა:

— გვერდითი რყევა ძალიან ძლიერია, ხოლო სიგრძითი რყევა ძალიან სუსტი.

და იგი შავბნელი ფიქრებით მოცული თავის მოსაზრებებში ისევე ჩაინთქა, როგორც მადნის მთხრელი მაღაროში ჩაეშვება.

ფიქრები და მოსაზრებები სრულებითაც არ უშლიდა მას ხელს თვალყური ედევნებინა ზღვისთვის. ზღვის მდგომარეობაზე დაკვირვება ფიქრების გამომწვევია.

იწყებოდა სასტიკი შიძალება წყლის სტიქიაზე, რომელსაც ოდითგანვე, საუკუნეობით გლეჯდნენ და ფატრავდნენ ქარიშხლები. ზღვის უფსკრულიდან გულის შემზარავი გმინვა მოისმოდა. მთელ მის უსაზღვრო სივრცეზე ავბედითი რამ სამზადისი შეიმჩნეოდა. დოქტორი უცქეროდა ყოველივეს, რაც კი მის თვალწინ ხდებოდა; არც ერთი წვრილმანი მოვლენა მის ყურადღებას არ გამორჩენია. მაგრამ მისი ცქერა უბრალო ჭვრეტა არ იყო. ჯოჯოხეთი მშვიდი ჭვრეტის შემგუებელი არ არის.

პაერის ფენების ჯერ მხოლოდ ოდნავი გადაადგილება იწყებოდა, მაგრამ ამან უკვე ოკეანე ააფორიაქა, ქარი და ტალღათა ტყორცნა გააძლიერა, ღრუბლებიც ჩამოაბნელა, არ არსებობს რამე უფრო თანამიმდევრობითი და, ამავე დროს, უფრო უთავბოლო, როგორც ოკეანეა. მის ძლევამოსილებას თანვე სდევს მისივე ბუნებრივი, მოულოდნელი ჟინიანობა, და ეს თვისება მისი სიდიადის ერთ-ერთი ელემენტია. ოკეანის ტალღა მოუსვენარია და ვნებიანი. მისი ერთი ტალღა მეორე ტალღას ეხლება, რათა იმავე წუთში უკუიქცეს. ტალღებს ხან იერიში მიაქვს და ხან უკანვე იხევს. არაფერი შეედრება აღშფოთებული ზღვის სანახაობას. რა ფერადხიტყვაობით უნდა დაიხატოს თითქმის წარმოუდგენელი ცვლა ზვირთებისა, ხან აღმა ასრიალებისა და ხან ქვევდახლისა? მათი გოლიათური, მაგრამ მსწრაფლვე სახეცვლილი მთა-ბორცვნი თუ გვირაბები? როგორ

უნდა დაიხატოს ეს ქაფის კარვები ზღაპრულ მთათა მწვერვალებზე თეთრად მოქათქათე? აქ ყოველივე ენით გამოუთქმელია; გულგაპობილი უფსკრულიც, მისი ჩაწყვდიადებულ-აფორიაქებული სანახაობაც, მისი სრული უსახობა, მისი ნათელ-ჩრდილი, და ძირს ჩამოწოლილი ღრუბლები, ღრუბლების უცაბედად დაშლა, მათი თვალით შეუმჩნეველი გაფანტვა-გაქრობა და ეს აბეჭდითი ჭექა-ქუხილი, ამ ველურ ქაოსს რომ სდევს თან.

ქარი პირდაპირ ჩრდილოეთიდან უბერავდა. ის გააფთრებული დაეძგერა ხომალდს და სწორედ დროზეც მოუსწრო, რადგან ქარის შეტევამ კარჭაპი ინგლისის სანაპიროებს სწრაფად გააცილა. „პატუტინას“ პატრონმა ყველა იალქანი აღმართა. აქაფებული ტალღებით გარემოცულ კარჭაპს ქარი პირდაპირ კიჩოზე აწყდებოდა, რისი ძალითაც იგი სწრაფად მისრიალებდა და გახელებული ხტოდა ტალღიდან ტალღაზე. გაქცეულებმა სიცილ-ხარხარი ატეხეს. ტაშსა სცემდნენ, რითაც ქარის, იალქნებისა და ტალღებისადმი აღტაცებასახარულს გამოხატავდნენ. უხარიოდათ ხომალდის სწრაფი გაქანება, თავიანთი გაქცევა და ჯერ გამოუცნობი მომავალი. დოქტორი თავის ფიქრში ჩანთქმულიყო და თითქოს ვერც ამჩნევდა თანამგზავრებს.

დაისის უკანასკნელი შუქიც ჩაქრა.

ჩამავალი მზის სხივი სწორედ იმწუთას ჩაეშვა, როდესაც შორეულ კლდის პირას მდგომმა ბავშვმა კარჭაპს უკვე თვალი ვერარ მოჰკრა, რადგან კარჭაპიც ჰორიზონტს მიეფარა. ამ წუთამდე ბავშვი ხომალდს თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა. რა როლი ჰქონდა ბავშვის თვალმიშტერებას იმ გაქცეულების ბედ-იღბალთან? როდესაც ამ ბავშვმა ჰორიზონტამდე თვალძიწედნით უკვე ვეღარაფერი გაარჩია, მაშინ მოტრიალდა და ჩრდილოეთისაკენ გაუდგა გზას; ხოლო ხომალდი სამხრეთისაკენ მიექანებოდა.

ყოველივე ღამის წყვდიადში ჩაინთქა.

VII

ღვთაებრივი საშინელება

ხოლო ისინი კი, ვისაც კარჭაპი თავისი გემბანით მიაქროლებდა, გაბარებულნი და გალალებულნი უცქეროდნენ, თუ როგორ შორს

ჩნებოდა და თითქოს პატარავდებოდა კიდევაც მათდამი მტრულად განწყობილი დედამიწა. ოკეანის ჩაშავებული ზედაპირი მათ თვალწინ თანდათან იბურებოდა, იბურთებოდა და ამასთანავე, ერთიმეორის მიყოლებით, საღამოს ბინდში უჩინარდებოდა პორტლენდი, პერბეკი, ტაინჰემი, კიმრიჯი და ორივე მეტრავერსი, აგრეთვე ჩამონგრეულ კლდეების გრძელი ზოლი და მუქურებჩამწკრივებული ზღვის ნაპირი.

ინგლისი თვალს მიეფარა. გაქცეულების ირგვლივ მხოლოდ ზღვა იყო გადაშლილი.

არც მანძილი და არც სივრცე უკვე აღარ არსებობდა. ცა ხრულიად ჩაუქუნდა და განუჭვრეტელი, ფარდასავით ჩამოებურა ხომალდზე. ნელ-ნელა თოვდა. პირველი ფიფქები ცოცხალ არსებათა მსგავსად დატრიალებდნენ. ამ წყვარამში ქარი თავისუფლად დათარეშობდა. ადამიანებმა უკვე იგრძნეს, რომ სტიქიონის ბრჭყალებში მოემწყვდნენ. მათთვის ხაფანგი ყოველ ნაბიჯზე იყო დაგებული.

სწორედ ასეთი ღრმა და მძიმე წყვდიადის ჩამოწოლისთანავე ჩვენს განივებში ჩვეულებრივად პოლარული გრიგალი იწყება ხოლმე.

გველეშაპის ლიპივით უფორმო, უზარმაზარი ღრუბელი მძიმედ ჩამოწვა ოკეანეზე. ზოგიერთ ადგილას თავისი რუხ-ტყვიისფერი მუცლით ზედ ტალღებს ეხებოდა. ხან მიეკვრებოდა მას დახეთქილი ტომრის მსგავსი ხაწოვრებით, რომლებიც თავისშივე იზიდავდა წყალს და ორთქლის ბუშტებად უშვებდა; ხან კიდევ აქა-იქ, წყლის ზედაპირზე ქაფის კონუსისებურ ბორცვებს აყენებდა.

კარჭაპს პოლარული ქარიშხალი დაატყდა და კარჭაპიც ამ ქარიშხლის შუა საშინელებაში შესრიალდა. გრიგალი და ხომალდი ერთიერთს შეაწყდნენ, თითქოს პირისპირ ჭიდილში შეიბნენო.

ამ პირველი გაშმაგებული შებმის დროს გაქცევა იმდენად თავბრუდამხვევი იყო, რომ არც ერთი იალქანი, არც კლივერი არ ჩაუშვიათ, არც ერთი აფრა არ ჩამოუწევიათ. ანძა ჭრიალებდა და უკან იღუნებოდა, თითქოს შიშისაგან უკუიქცევაო.

ჩვენთან, ჩრდილოეთის ნახევარსფეროში, ციკლონები საათის ისრის მიმართულებით, მარცხნიდან მარჯვნივ ტრიალებენ და თავისი შეტევითი მოძრაობით ხან საათში სამოცამდე მილს გადაქროლებენ ხოლმე. თუმცა კარჭაპი მთლად გაფითრებული

ქარტეხილის ფარგლებში მოემწყვდა, მაგრამ მაინც ისეთი სვლა ჰქონდა, როგორც ხომალდს, საერთოდ, ზომიერი ქარის დროს აქვს ხოლმე. ცდილობდა ტალღების პირისპირ სვლას და ქარის პირველსავე შემოტევაზე ცხვირს უშვერდა ხოლმე, შემდეგ შემოტევებზე კი მარჯვენა გვერდს უნაცვლებდა, რის წყალობითაც კორპუსა და ქიმზე ქარის შეხლას თავიდან იცილებდა. ხოლო ამგვარ ხერხსა და საშუალებას არავითარი სარგებლობა არ ექნებოდა, თუკი ქარი მიმართულებას შეიცვლიდა.

ზემოდან, თვალმიუწვდენელი სიმაღლიდან უწყვეტი, ძალუმი გუგუნი მოისმოდა.

რა შეიძლება შევადაროთ მგრგვინავ უფსკრულს? ეს მთელი სამყაროს გამაყრუებელი, მხეცური ღმუილია. რასაც ჩვენ მატერიას ვუწოდებთ, ეს შეუცნობელი ნივთიერება, ეს განუზომელი ძალების დუღაბი, რომელთა მოქმედებაში ოდნავ საგრძნობი ნებისყოფა ჩანს, რის გამოც ჩვენ ძრწოლა აგვიტანს ხოლმე, ეს ღამის განუჭვრეტელი ქაოსია, შეუცნობელი პანი, ხან უცნაური, განუწყვეტელი, შეუდრეკელი კივილით გვევლინება, კივილით, რომელიც სიტყვად ჯერ არ ქცეულა, მაგრამ თავისი სიძლიერით ქუხილსა და მეხს აღემატება. სწორედ ეს კივილია გრიგალის ხმა. სხვა ხმები: სიმღერები, მელოდიები, ამოძახილები, სიტყვები — მოისმის ბუდეებიდან, ბუნაგებიდან, საცხოვრებლებიდან; ეს ხმები ეკუთვნის კრუხებს, მოლულუნე შეყვარებულებს, ნაქორწილევ წყვილთ, ხოლო გრიგალის ხმა — ეს არის ხმა იმ უდიდესი არარისა, რომელიც არის ყოველივე. ცოცხალი ხმები მხოლოდ სულს გამოხატავენ. მაშინ, როდესაც გრიგალის ხმით ურჩხული გრგვინავს, მისი ენაბრგვილი, ავის მომასწავებელი ხმაური სულს უხუთავს და თავზარს სცემს ადამიანს. გუგუნი, ხან ძლიერი და ხან კიდევ ნელი, ყოველი მხრიდან ისწრაფვის ადამიანებისაკენ. იგი ხმაურის ტალღებად ჰაერში ქანაობს. ათასნაირ ველურ მოულოდნელობად გვატყდება თავს და ხან ყურთასმენა მიაქვს ათასნაირი შრიალით, ხან სადღაც, ჩვენგან დაშორებით ხრიალებს. ეს ხმაური ხან თავბრუდამხვევი ჩქამია, ვიღაცათა ლაპარაკის მსგავსი, დიახ, მართლაც ლაპარაკია, აქ თვით ბუნება ცდილობს ალაპარაკებას. ეს სწორედ მისი, ბუნების საოცარი ტიტინია. ამ ახალშობილის ამოკივლებაში ყრუდ გამოისმის განუზომელი წყვდიადის მთრთოლარე ხმა, და ის განწირულია ხანგრძლივ, დაუსრულებლივ

ატანდის; თანაც ხან ეძინებოდის თაეის ხეედრს, ხან წინ აღუდგეს მას. ხშირად იგი გადარეულის ბოდვას, სულიერი ტანჯეის შეხტეას გეგონებს. ის უცრო ბედისმაგვარი კრუნჩხეაა, ვიდრე განთეალით ეზღაედეთ დაუსრულებლობას, რომელსაც ბნედამ მოუაეია და ბორგაეს. ზოგჯერ კი გეჩეენება, თითქოს სტრიქონებს თაეიანი ურთიერთმოპირდაპირე უფლებები წამოუეენებიათ და ქაოსი ცდილობს ახლად დაეუფლოს სამყაროს. ეს ხმა ხან გულისწამლები გმინეაა სიერცისა, რომელიც მოთქმით გეამცნობს რაღაცაში თაეის თაეის გასამართლებელ სიტყეას წააგაეს. ასეთ წუთებში ფიქრად მოგედის, ეითომც მთელი სამყარო კამათობდეს. ყურს იმახეილებ, რათა არ გამოგეპაროს ურთიერთბრალდებათა საბუთები. ხან წყედიადიდან ამოეარდნილი გმინეა ისეე ურღეეია, როგორც ლოგიკური სილოგიზმი. ყოეელმხრიე აესხნული შეკბენებით ჩერდება ამ მოლენის წინაშე ადამიანის ახრი. აი, საიდან უნდა მოდინარეობდეს ყოეელი მითოლოგიისა და პოლითეიზმის* საწყისი. ამ გამაყრუებელი და გაურკეეული გრგეინეისაგან გამოწეეული შიში და ზარი უცრო ძლიერდება ზეკაცურ არსებათა ფანტასტიკური სახეებით, რომლებიც ნამეერად გეჩეენებიან და ისეე სწრაფად ქრებიან. ასეთებია ოდნავ გასარკეეე სახეები ეემენიდებისა*, ფურიების* ღრუბლებისმაგეარი გულრხწხი, ეღოხეთური ქიმერები,* რომელთა რეალობაში თითქმის შეუძლებელია ეჭეე შეიტანოთ არაფერია ისე საზარელი, როგორც ეს კენესა-ქეითინი, უცბად ამოხეთქილი ხარხარი, სხეადასხეანაირი ამოძახილი, როგორც ეს შეუცნობელი შეკითხეები და პასუხები, როგორც ეს ძახილ-დახმარება საშეელად და უცნობი მოკაშირისადმი მიმართული მოწოდება. ადამიანს თაეგზა ებნეა ამ ჯადოსანი გრძნეულების შემოხეევისას. ადამიანი უკან იხეევს ამ გაშმაგებული და გულისწამლები კენესა-ქეითინის წინაშე. როგორია მათი ფარული ახრი? რას ნიშნაეენ ისინი? ეის ეშეკრებიან, ან ეის ეედრებიან? მათში გააფთრებული გააეება გეჩეენება. აქ გაბრაზებით ეხმაურება უფსკრული უფსკრულს, პერი წყალს, ქარი ტალღას, ეეთა ქალდეს, ზენიტი ნადირს, ვარსკლაეები ზღეის ქაფს; მორეეის გაქანებულ ღმეილს აღეირი აეხსნია. — ასეთია ეს ამბოხება, ამაში ჩ

ღამის ძალაუფლებაში ბედნიერად აკეთებთია, როგორც მისი დუმილი. მასში შეუცნობლის რისხვა იგრძნობა.

ღამე ვიღაცის იქ ყოფნას ფარავს. მაგრამ ვისას?

თუმცა ღამესა და ბინდბუნდს ერთმანეთისაგან უნდა ვარჩევდეთ. ღამე მხოლოობას შეიცავს, ბინდბუნდი კი თავისებური მრავალნაირობაა. ამიტომ არის, რომ გრამატიკა თავისი წესის საფუძველზე სიტყვა „ბინდბუნდს“ მრავლობითი რიცხვით გამოხატავს. ღამე ერთს ნიშნავს, ბინდბუნდი — ბევრს.

გაფანტულობა, სისწრაფე, მერწყობა, დამლუპველობა, აი რას შეიცავს ფარდა ღამის წყვდიადისა. ფეხქვეშ გვეცლება დედამიწა, მის მაგიერ ჩნდება სხვაგვარი რეალობა.

უსაზღვრო და გაურკვეველ წყვდიადში რაღაც ცოცხალი არსის ყოფნა იგრძნობა, მაგრამ მისგან ჩვენკენ თითქოს სიკვდილის სიცივე უბერავს, როდესაც ჩვენი მიწიერი ცხოვრების გზა დაილევა. როდესაც ეს წყვდიადი ჩვენთვის სინათლედ იქცევა, მაშინ ჩვენც ამ გამოუცნობი სამყაროს ნაწილად ვიქცევით. მანამდე კი ის ჩვენ ხელს გვიწვდის. სიბნელე — მისი ხელის ჩამორთმევაა. ღამე ჩვენს სულს ამძიმებს. არის ხოლმე წამი საშინელი და საზეიმო, როდესაც ჩვენს თავზე უცნობი სამყაროს გავლენას ვგრძნობთ.

არსად ამ ამოუცნობის სიახლოვე ისე არ იგრძნობა, როგორც ზღვაზე, ქარიშხლის დროს. აქ, ფანტასტიკური გარეშოს წყალობით, შიშის ზარი უფრო მატულობს. უძველესი ღრუბელთა მეფე, რომელიც თავისი სურვილის მიხედვით ცელის ადამიანთა ცხოვრების გზას, აქ, ზღვაზე თავისუფლად განაგებს ყოველივე იმას, რაც კი მას სჭირდება საიმისოდ, რომ თავისი ესა თუ ის ახირება განახორციელოს. აქ მის განკარგულებაშია არამყარი, გახელებული სტიქია და ირგვლივ ყველგან გაბნეული უგრძნობი ძალები. ქარიშხალი, რომლის ბუნება ჩვენთვის საიდუმლოს წარმოადგენს, მხოლოდ ბრძანებას ასრულებს, იგი ყოველწუთას ვიღაცის — მოჩვენებითისა თუ ნამდვილის — ნების შთაგონებას ემორჩილება.

ველა დროის პოეტები ამას ტალღათა ჟინიანობას უწოდებდნენ. მაგრამ ჟინიანობა არ არსებობს.

ეს მოვლენები, რომლებიც ჩვენ საგონებელში გვაგდებენ და რომლებსაც ბუნების ჟინიანობით გამოწვეულ შემთხვევით მოვლენებს ვუწოდებთ, რომლებიც აგრეთვე ადამიანის ცხოვრებაშიც შე-

ჭიხვეთად მიგვაჩნია, არის სხვა არაფერი, თუ არა შეღებნი იმ კანონებისა, რომელთა არსის შეცნობას ჩვენ მხოლოდ ახლა ვიწყებთ.

VIII

NIX ET NOX*

თოვლბუქის დამახასიათებელი ნიშანი მისი სიბნელეა.

ჭექა-ქუხილის დროს ჩვეულებრივი სურათი — დედამიწისა თუ ზღვის ჩაბნელება, და ტყვიისფერი ცა მკვეთრად იცვლის სახეს: ცა ჩაწყდიადდება, ხოლო ოკეანეზე სითეთრის ელფერი იშლება. დაბლა თეთრი ქაფია, მაღლა სიბნელე. ჰორიზონტს სიბნელე მოიცავს, ზენიტსაც შავი მანტია ეფარება. ქარიშხალი ტაძრის შიდა ნაწილს მოგაგონებს, რომელიც სამგლოვიარო ძაძით არის შებურვილი. ხოლო ამ ტაძარში არავითარი სინათლის შუქი არ მოჩანს. ზეციერების ჩქეფებზე არც წმინდა ელმის ცეცხლია, არც არავითარი ნაპერწკლის შუქი, არც ფოსფორესცენციის ნატამალი. ირგვლივ, სადაც კი მიმოიხედავ, უკუნეთი სიბნელეა. პოლარული ციკლონი სხვათა შორის, იმითაც განსხვავდება ტროპიკული ციკლონისაგან, რომ ერთი მათგანი ნებისმიერ შუქს გამოსცემს, მეორე ყოველნაირ შუქს სრულ სიწყდიადემდე აქრობს. ქვეყნიერებას უცაბედად ქვის მძიმე თაღი ჩამოაწვება ხოლმე. ასეთ წკვარამში ციდან ნელ-ნელა ცვივა თეთრი ფერფლი და ზღვაზე ტორტმანით ეშვება. ეს ფერფლი თოვლის ფიფქებია. ის ჰაერში დახრიალებს და ტრიალებს, თითქოს ცაში გადაჭიმულ სუდარას სცემეაო ეს ვერცხლის კოლიტები. ირგვლივ ნამქერია, ჩრდილოეთის გაშმაგებული ქარი უბერავს. თეთრი ფერტილებით აჭრელებული, ჩამობნელებული წყვდიადი, სიბნელეში გახვეული, ძრწოლა-ჩოჩქოლი პირდაღებული საფლავის კართან, ღვართქაფი ბალდახინის ქვეშ — აი, ამგვარ სანახაობას გვაგონებს თოვლის ქარბუქი.

ძრის ოკეანე ღელავს და ბობოქრობს; მასში საშინელი, ჯერ აღუწერელი სიღრმეები იფარება.

პოლარული ქარი ელექტრობას შეიცავს, ამიტომ თოვლის ფიფქები წამსვე სეტყვად იქცევა და წერილ-წერილა კოხი ჰაერს ხეხავს. ამ ტყვია-საფანტით დაცხრილული ზღვის ზედაპირი დუღს.

ჭეჭა-ქუხილი სულ არ ისმის. პოლარული ქარიშხლის დროს ყლეა უხმაუროა. ამაზე იგივე შეიძლება ითქვას, რასაც ხანდახან კატაზე იტყვიან ხოლმე: „თვალთა ნაკვესის ერთი გაელეჭებით ფერფლად აქცევსო“. ეს განრისხებული, დაფრენილი ხახაა, რომელშიც არაფრის და არაყისი ნდობა არ იცის. თოვლიანი ქარიშხალი ბრმა და მუნჯი გრიგალია. ყველგან, სადაც იგი გაითარეშებს, ხომალდები ბრმავდებიან და მეზღვაურები მუნჯდებიან.

ამ უფსკრულიდან თავის დაღწევა ადვილი როდია.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ თოვლბუქის დროს ხომალდი აუცილებლად დაიღუპება. სპილენძის საბადოს მდინარის შესართავის ძებნისას ბერინგის ხრუტისაკენ წასული დისკული და ბალეზენელი, შავ ვეშაპ პირნზე მონადირე დანიელი, პუდსონი, მეკენზი, ვანკუვერი, როსი, დიუმონ-დიურვილი — ყველანი პოლარული წრის იქით საშინელი გრიგალების ზოლში მოყოლილან და მაინც უვნებლად გადარჩენილან.

სწორედ ასეთი გრიგალის პირისპირ ჯიქურ გაჭანდა კარჭაპი და ყველა იალქანი აუშვა. გახელება გახელებას შეება. როდესაც მონტგომერი თავის გადასარჩენად რუანადან გაიქცა და საკუთარი გალერის მენიჩებებს უბრძანა, ნიჩბებს დაწექითო, რათა სწრაფი გაქანებით გაეწყვიტათ სენაზე ბუილთან გადაჭიმული ჯაჭვი, იგი ასევე შეუპოვრად მოქმედებდა.

„მატუტინა“ ისარივით მიქროდა. იალქნებგაშლილი ხან ისე საშინლად გვერდელაედებოდა, რომ მისი გვერდითი ნაწილისა და ზღვის ზედაპირის შეკუთხედი თხუთმეტ გრადუსს არ აღემატებოდა. მაგრამ მისი საუცხოო, მოძრგუალებული ხერხემალი ტალღას ისე დაწეებოდა ხოლმე, თითქოს მიწებებულიაო. ხერხემალი გრიგალის შეტევას იგერიებდა. ხომალდის ცხვირის ნაწილს ფარანი ანათებდა. ოკეანეზე ღრუბლები სულ უფრო დაბლა იწევდნენ. ღრუბლების ჩამოწოლასთან ერთად ქარიც ძლიერდებოდა. ქარი თანდათან ავიწროებდა და ნოჭავდა კარჭაპის ირგვლივ სივრცეს. არც ერთი თოლია, არც ერთ კლდეზე შებუდებული მერცხალი, არარა ჩანდა, გარდა თოვლისა. ხომალდის წინამოდან ფარნით განათებული წყლის ზედაპირის მცირე ნაგლეჯი თავზარდაცემი იყო. იქ სამ-ოთხი ბუმბერაზული ზვირთი აჭორიალებდა.

დროდადრო უშველებელი, წითელი ხავსუნასფერი ელვა აკრიალდებოდა და ზენიტად ჰორიზონტამდე შავ ფურებად ჩამოწოლილ წყვდიადს აპობდა. ალისფერი ელვის კვესება-ციმციმით გაპობილი ღრუბლების სისქე უფრო შემზარავად მოჩანდა. ელვის ხანძრის ალი, რომელიც უცბად შეეფინებოდა ხოლმე ღრუბლების სიღრმეს, წამიერად გაანათებდა წინა ღრუბლებს და მორის მათ ქაოსისებურ გროვას უძირო უფსკრულად გადამლიდა. ამ ცეცხლოვან ფონზე თოვლის ფიფქები ალგზნებულ ლუმელში შემოფრენილ შავ პეპლებად მოჩანდნენ. შემდეგ ყველაფერი ისევ ქრებოდა.

გრიგალი, პირველი შეტევისთანავე რომ მიაქროლებდა ხომალდს, ახლა ყრუ, ბოხი ხმით ალრიალდა. ეს იყო მეორე ფაზა, გრგვინვისა და თავტეხის ჩაყურების ფაზა. არაფერი ისეთი ამაფორიაქებელი არ არის როგორც ქარიშხლის ასეთი მონოლოგი. ეს პირქუში ზმუილი თითქოს დროებით აჩერებს იდუმალ მოწინაღმდეგეთა ბრძოლას და ადასტურებს იმას, რომ შეუცნობლობის სამყაროში ვილაც ჩამომდგარა სადარაჯოზე.

კარჭაპი წინანდებურად გახელებული სწრაფად მისრიალებდა. მისი ორივე მთავარი იალქანი უკიდურესობამდე დაჭიმულიყო, ცა და ზღვა მელნის ტბასავით ჩაშავდა, ქაფის წინწკლები ანძაზე ზევით სცემდნენ. წყლის ნიაღვარი მალი-მალ გემბანს ეხეთქებოდა, და ყოველთვის, როცა კი გვერდითი რყევის დროს ხომალდი ხან მარჯვნივ იხრებოდა და ხან მარცხნივ, კლიუზები, დაღებულ ხახასავით, ტალღა-ქაფებს უკანვე ზღვაში აქცევდნენ. დედაკაცები კაიუტას შეეფარნენ, ხოლო მამაკაცები ბაქანზე დარჩნენ. თოვლის გრიგალი ხილვადობას სპობდა. ტალღები პირდაპირ სახეში ეშხეფებოდათ. ირგვლივ ყოველივე გაშმაგებამ მოიცვა.

ამ წუთში კიჩოზე მდგომმა ბრბოს უფროსმა, ცალი ხელით რომ ვანტებს ებღაუჭებოდა, მეორე ხელით ქუდი მოიგლიჯა, ფარნის სინათლეზე გააქან-გამოაქანა, ქარისაგან თმაგაწეწილს, სახეზე სიამაყისა და სიხარულის შუქი დაჰფენოდა. მან ქარიშხლის ხუნთქვით მთვრალმა წამოიძახა:

— გავთავისუფლდით!

— თავისუფალნი ვართ! თავისუფალნი! თავისუფალნი! — მიაძახეს მას გაქცეულებმა.

და ბრბოს ყველა წევრი, ხომალდის აღკაზმულობაზე ხელმოჭიდებულნი, გემბანზე გაშწკრიალდა.

— ვაშა! — შესძახა წინამძღოლმა.

და ბრბომაც შეღრიალა ამ ქარიშხალში:

— ვაშა!

ეს ქარის ღმუილისაგან დახშული შეძახილები ჯერ კიდევ არ შეწყვეტილიყო, რომ ხომალდის მეორე მხრიდან მაღალი, მკაცრი ხმა გაისმა:

— ჩუმად!

ყველამ იქით მიიხედა.

დოქტორის ხმა იცნეს. ირგვლივ განუჭვრეტელი სიბნელე გამეფებულიყო. დოქტორი ანძას მიყრდნობოდა; მისი მაღალი და გამხდარი სხეული თითქოს ანძასვე შეერთებოდა, ისე რომ თვითონ სულაც ალარ ჩანდა.

მან კვლავ განაგრძო:

— ყური დაუგდეთ!

ყველანი დადუმდნენ.

წყვდიადში ზარის ხმა მკაფიოდ გაისმა.

IX

ზღვა, რომელზეც ქარიშხალი ბობოქრობს, აფრთხილებს

საჭეს ხელჩაკიდებულმა კარჭაპის პატრონმა ხარხარი ატუხა.

— ზღვის ხმა! ძალიან კარგი! ჩვენ მარცხენა გალხით მივდივართ. რას ნიშნავს ეს ზარი? მხოლოდ იმას, რომ ხმელეთი ჩვენს მარჯვნივაა.

დოქტორმა ნელა, მტკიცედ წარმოთქვა:

— ხმელეთი ჩვენს მარჯვნივ არ არის.

— არის! — შესძახა ხომალდის პატრონმა.

— არ არის.

— როგორ არა, ზარი ხომ ხმელეთიდან მოისმის.

— ეს ზარი ზღვიდან ისმის, — უპასუხა დოქტორმა.

ამ სიტყვაზე. გაქცეულებიდან ყველაზე უშიშარნიც კი შეკრთნენ. კაიუტის კართან თილისმური შელოცვით ამოძრავებული მოჩვენებებით გამოჩნდნენ შეშინებული ლედაკაცები. დოქტორმა ნაბიჯი წინ წადგა და მისი მაღალი, შავი სილუეტი ანძას მოშორდა. ღამის წყვდიადში ზარის რეკვა აშკარად ისმოდა.

— გაშლილ ზღვაზე, — განაგრძო დოქტორმა, — პორტლენდსა და ლამანშის არქიპელაგის შუა გზაზე მოწყობილია ტივტივა, რომელიც ხომალდებს ხიფათს აუწყებს და აფრთხილებს. ეს ტივტივა ჯაჭვით მიმაგრებულია წყალქვეშა მეჩეჩზე და ზღვის ზედაპირზე ცურავს. ზედ რკინის კიჩოზე ჩამოკიდებულია ზარი, უამინდობაში ზღვის ღელვისას ტივტივა ირწევა და ზარი წკარუნობს. თქვენ ახლა სწორედ ამ ზარის ხმა გესმით.

დოქტორმა შეიცადა, რომ ქარის შემოტევა ჩაყუჩებულიყო და როდესაც ზარის რეკვა ისევ მოისმა, განაგრძო:

— გრიგალის დროს, როდესაც ჩრდილოეთის ქარი უბერავს, ამ ზარის ხმა სასიკვდილო განაჩენს უდრის. ახლავე აგიხსნით, რატომ: ზარის ხმა მხოლოდ იმიტომ ისმის, რომ იგი ქარს მოაქვს. ქარი დასავლეთიდან მოქრის, ხოლო აღმოსავლეთისაკენ ორინის რიფები მდებარეობს. ზარის ხმა აქამდე ვერ მოაღწევდა, თქვენ ტივტივასა და რიფებს შუა რომ არ იყოთ ახლა მოქცეული. ქარი პირდაპირ რიფებისაკენ მიგაქანებთ, ისე რომ, ხიფათთან პირისპირ შესახვედრად მიიჩქარით. ხომალდი რომ თავის გეზს არ ასცდენოდა, ჩვენ ახლა შუა ზღვაში, მნიშვნელოვან სიღრმეში ვიქნებოდით გასული და ზარის ხმა ჩვენამდე ვერ მოაღწევდა; ქარი ჩვენკენ არ მოაქცევდა ზარის რეკვის ხმას. თქვენ ტივტივას გვერდზე აუვლიდით კარგა მანძილზე და ზარის არსებობა ფიქრადაც არ გაგივლიდათ. გზა აგვერია. ეს ზარი ჩვენთვის ხომალდის დაღუპვის მომასწავებელი ბუკია. მაშ ახლა თქვენ გადაწყვიტეთ, როგორ მოვიქცეთ!

ვიდრე დოქტორი ამას ამბობდა, ოდნავ დაწყნარებული ქარი ზარს ნელა არხევდა და მისი რეკვა იშვიათადღა ისმოდა. დროდადრო მოღწეული ხმა თითქოს მოხუცის სიტყვებს ადასტურებდა. გეგონებოდათ, სამგლოვიარო ზარი რეკავსო ზღვის უფსკრულში.

ყველანი სულგანაბულნი უსმენდნენ ხან მოხუცის ნათქვამს, ხან ზარის რეკვას.

X

ქარიშხალი მძვინვარე ველურია

კარჭაპის პატრონმა რუპორს სტაცა ხელი.

— ხალხო, ყველაფერი ჩამოუშვით! შკოტები მიუშვით! მოსაბრუნები მოხწიეთ! ქვედა იალქნების დრაიპერები დაუშვით! დასავლეთისკენ მოვიქცეთ! ზღვის შუაგულისკენ, ტივტივას მიმართულებით! ზარის მიმართულებით! ჩვენ იქიდან თამამად გავალთ საშველობოზე! ჯერ კიდევ არის იმედი!

— აბა, სცადეთ. — წარმოთქვა დოქტორმა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ზარიანი ტივტივა ერთგვარი სამრეკლოს მსგავსი რამ იყო ზღვაში. იგი 1802 წლის შემდეგ არავის უნახავს. ძველ მეზღვაურებს კიდევ ახსოვთ მისი ზარის რეკვა. იგი ხიფათის მოახლოებას იუწყებოდა ხოლმე, მაგრამ ცოტა დაგვიანებით.

ყველანი აქეთ-იქით გაიფანტნენ კარჭაპის პატრონის ბრძანების აღსასრულებლად. ლანგედოკელმა მეხამე მატროსის მოვალეობა იკისრა. მუშაობა გაცხოველდა. იალქნები ჩამოუშვეს, კიდევაც დაკეცეს და დაამაგრეს. ნოკ-გორდენები და ბაკ-გორდენები გამოსკვნეს; ბოლოები ვანტებზე დაახვიეს. ანძაზე კიბე მიამაგრეს. სულ მთლად გამოჭედეს თახჩები. ამნაირად, ხომალდი თითქოს კედლებით შემოიფარგლარ. თუმცა ყველაფერი აჩქარებულად კეთდებოდა, მაინც საკმაოდ გულმოდგინედაც, კარჭაპს ახლა ჩასაძირი ხომალდის ელფერი მიეცა. ხოლო რამდენადაც ის თავის ხელსაწყოებს საჭირო მდგომარეობაში ალაგებდა და თითქოს მოცულობით პატარავდებოდა, იმდენად ტალღები და ქარი უფრო გააფთრებით ეხეთქებოდა მას. ზვირთები თითქმის იმ სიმაღლემდე აღწევდნენ, როგორსაც პოლარული წრის იქით აღწევენ ხოლმე.

როგორც ჯალათი ისწრაფვის თავისი მსხვერპლის მოსპობას, ისე გლეჯდა გრიგალი კარჭაპს ნაწილ-ნაწილად. ხომალდი თვალის დახამხამების უმალ პარტახდებოდა. მარსელები უკვე მოიგლიჯა; ფალშბორტი ზღვამ გაიტაცა, ვანტები ნაფლეთებად იქცა, ანძა გადატყდა, ყოველივე ეს ჩახა-ჩუხითა და გრიალ-რახუნით აქეთ-იქით გადაცვივდა. მსხვილმა ბაგირებმაც კი ველარ გაუძლეს.

მაგნიტური დაჭიმვა, რაც ჩვეულებრივ თოვლიან ქარიშხლებს ახლავს თან, უფრო მეტად უწყობდა ხელს მოწყობილობათა დაგლეჯა-დამსხვრევას. ისინი ქარის მიძალებისაგან ისევე სკდებოდნენ და წყდებოდნენ, როგორც დენის ზემოქმედებისაგან. ბლოკებიდან ჩამოვარდნილი ჯაჭვები ქანდარას ველარ იჭერდნენ. პირველივე ტალღამ კომპასი ნაკტოუზიანად გაიტაცა. მეორე ტალღამ კანჯო მოიტაცა, კანჯო ძველი ასტორიული ჩვეულებისამებრ ბუშპრიტზე ეკიდა. მესამე ტალღამ ბლიდა-რეი მოსწყვიტა; მეოთხემ — ღვთისმშობლის ქანდაკება და ფარანი.

მხოლოდ და მხოლოდ საჭელა გადარჩა.

ფარნის მაგიერ დიდი ყუმბარა ჩამოკიდეს ფორშტევენზე; იგი ძენძითა და ანთებული კუპრით გამოავსეს.

შუაზე გადატეხილ ანძაზე წვერიდან ძირამდე იალქნების ნაფლეთები იყო აკინძული. სხვადასხვა მოწყობილობის ნაწყვეტებით, ბლოკების ნარჩენებით ზედ აკინძული, ძირს დაცემისას იგი ბაქანზე დაზროუდა და ნაპირის მარჯვენა გვერდიც დაამტვრია.

ხომალდის პატრონმა, როდესაც საჭის ოწინარისთვის არც ერთი წუთით ხელი არ გაუშვია, დაიძახა:

— ვიდრე ხომალდის მართვა შეგვიძლია, გადარჩენის იმედს ნუ დავკარგავთ. წყალქვეშა ნაწილი სულაც არ დაზიანებულა! მოიტათ ახლავე ცული! ცულები! ანძა ზღვაში გადავაგდოთ, გემბანი გავათავისუფლოთ!

ეკიპაჟიც და მგზავრებიც ისეთი აღგზნებით მოქმედებდნენ, როგორსაც ადამიანები სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში გამოიჩენენ ხოლმე. ცულის რამდენიმე მოქნევით საქმეს ბოლო მოეღო.

ანძა ზღვაში გადააგდეს, გემბანი გათავისუფლდა. — ახლა მოდით, საჭესთან მიმამაგრეთ. — დაიძახა ისევ ხომალდის პატრონმა.

იგი საჭის ოწინარზე მიამაგრეს.

ვიდრე მას თოკებით აბამდნენ, ხარხარებდა და ზღვას უყვიროდა:

— იღრიალე, ბებერო! იღრიალე! მაჩიჩაკოს კონცხთან უფრო უარესი ქარიშხლები ბობოქრობდა.

როცა მას მთლიანად შემოახვიეს ბაგირი, ორივე ხელით მოეჭიდა ოწინარს და ისეთი სიხარულით იყვირა, როგორსაც ადამიანში საშიშროებასთან ბრძოლა იწვევს ხოლმე.

— ყველაფერი კარგად მიდის, დიდება ბუგლოსის ღვთისშვ. ობელს! გეზი დასავლეთისკენ აეღეთ!

უცებ გვერდიდან უშველებელი ტალღა კიჩოზე შემოგორდა. ქარიშხლის დროს იშვიათად როდი აიქოჩრება ხოლმე ასეთი გაფთრებული ზვირთი. როგორც დაუნდობელი ვეფხვი, იგი ჯერ ზღვაზე ცურვით მოიპარება, შემდეგ ღმუილითა და ღრჭენით ეცემა დასალუპად განწირულ ხომალდს და ნაფოტებად აქცევს მას. „მატუტინას“ მთელი კიჩო ქაფმა დაფარა და იმავე წუთში ზღვის საქანელას თავდასხმათა შავ ქაოსში საშინელი სიკვდილის ხმა გაისმა. როდესაც ქაფი უკუიქცა და კიჩო კვლავ გამოჩნდა, მასზე უკვე აღარც ხომალდის პატრონი იყო და აღარც საჭე.

ყოველივე უკვალოდ გაქრა.

საჭეცა და მასზე მიბმული კაციც ტალღამ მგრგვინავ მორევში გაიტაცა. ბრბოს შეთაურმა დაკვირვებით მოათვალიერა ირგვლივ ჩამოწოლილი სიბნელე და შესძახა:

— TE BURLAS DE NOSOTROS?*

ამ აღშფოთებულ შეძახილს მეორე მოჰყვა:

— ღუზა ჩაეგდოთ, გადავარჩინოთ გემის პატრონი!

ეცნენ ოწინარსა და ღუზა ბაგირით ზღვას მისცეს. კარჭაპზე მხოლოდ ერთი ღუზაა ხოლმე. ამ ცდას ის მოჰყვა, რომ „მატუტინამ“ თავისი ერთადერთი ღუზაც დაკარგა. ფსკერი კლდოვანი იყო, ღელვა გააფთრებული. ბაგირი ძაფივით გაწყდა.

ღუზა ზღვის ფსკერზე დაეშვა.

წყალმჭრელიც აღარ იყო, მხოლოდ ანგელოზის გამოსახულება შერჩენოდა, რომელიც ჭოგრიტში იყურებოდა.

ამ წუთიდან კარჭაპი მთლად ტალღების მსხვერპლი შეიქნა. „მატუტინა“ უიმედოდ განძარცულიყო. ხომალდი, რომელიც ახლახან ფრთაშესხმული იყო და, შეიძლება ითქვას, მრისხანედ მიარღვევდა ტალღებს, ახლა მთლად უმწეო გახდა. კარჭაპი თითქოს გაჭვავდაო, ახლა მთლად უბრძოლველად დამორჩილდა ტალღების გააფთრებულ ჟინს. რამდენიმე წამის წინ მონავარდე არწივი ახლა მხოხავ ხეობრადღა იქცა. ასეთი მეტამორფოზები მხოლოდ ზღვაზე შეიძლება ხდებოდეს.

გრიგალის შემოტევა ყოველ წუთს მატულობდა, საზარელ ხა-

ძლიერეს იწუნდა. ქარიშხალს ბუმბერაზი ფილტვები აქვს, ის განუწყვეტლივ ახალ და ახალ ნაშინელებას გვატეხს, თანდათანობით შენელდება, თუმცა თითქოს არავითარ გრადაციებს არ დაუშვებს. ზღვის შუაგულში ზარი განწირულად გუგუნებდა, თითქოს ძან ეღიცის სასტიკი ხელი რეკავსო.

„მატუტინა" უკვე ტალღების ნებაზე დაჭრილა. ასე კორპის საცობი თუ დაჭრის ტალღის ფაფრიდან ფაფარზე ხტომით. კარჭაპი ბან ჩაყუინთავდა, ხან ზევითვე ამოტივტივდებოდა. ყოველ წამს შეიძლებოდა ხომალდი მკვდარი თევზივით აღმა გადაბრუნებულიყო. კარჭაპის დალუპვისაგან გადამრჩენი ერთადერთი მისი კორპუსის სიმკვიდრეა იყო, — კორპუსი წყალს არსად ითმისდენადაც არ უშვებდა. ქარიშხალმა ბევრიც მიაწყვიტ-მოაწყვიტა, მაგრამ მისი შიგნითა ჭედილობის ყველა ფიცარი თავის ადგილას დარჩა. არც გახეთქილა, არც ხვრელი გაჩენილა. არც ერთი წვეთი წყალი ტრიუმში არ შესულა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან წყლის სასრუტი ტუმბო გაფუჭდა და აღარ მოქმედებდა.

კარჭაპი ტრიალებდა, ხტოდა, ცეკვაედა რალაც უცნაურ ცეკვას. გემბანი თითქოს იკრუნჩხებაო, აიბურცებოდა და დაეშვებოდა, როგორც ადამიანის დიაფრაგმა, როშელსაც გულისრევა მოსძალებია. ხომალდი თითქოს ყოველნაირად ცდილობდა გადაეთხია მასში მიყუჟული ადამიანები. ხოლო თვით ის ადამიანები, როშელთაც ძალა აღარ ჰქონდათ რაიმე ეღონათ, მარტოღა ებღაუჭებოდნენ უკვე უმოქმედოდ მიყრილ-მოყრილ აღკაზმულობებს, ფიცრებს, წყლით გაჟღენთილ ტიხრების ნამტვრევებს, სულ უმნიშვნელო შეკრილებსაც ეჭიდებოდნენ და ლურსმნებზე ხელებს ახევდნენ. ცდილობდნენ ჩასჭიდებოდნენ ყველაფერს, რაც კატასტროფის შემდეგ დარჩენილიყო. დროდადრო ყურს იმახვილებდნენ ზარის გასაგონად, მაგრამ მისი გუგუნი თანდათან სუსტად მოისმოდა. თითქოს ზარიც სულმობრძავეაო, მისი თითოეული ჩამორეკვა მომაკვდავის ნაწყვეტნაწყვეტი ხრიალი გეგონებოდათ. და, აჰა, ეს ხმაც შეწყდა. მაშ სად იშურებოდნენ მგზავრები? ტიეტიევიდან რა მანძილზე იყვნენ დაშორებულნი?

ზარის რეკვამ ისინი შეაშინა, ხოლო როდესაც ზარის რეკვა შეწყდა, ელდა ეცათ. ჭარი მათ სწრაფად მიაჭანებდა — იქნებ იმ

მზარეს, საიდანაც აღარ ბრუნდებიან. გრძნობდნენ, რომ ახალი გააფთრებული გრიგალი მათ რალაც საშინელებისაკენ მიაქროლებს. „მატუტინას“ ჩონჩხი გამოუცნობი მიმართულებით მიიწევდა თვალით განუჭვრეტელ წყვდიადში. იმაზე საშინელი რა იქნება, რომ გაქანებული მიიღტვოდე ამოუცნობი მიზნისაკენ. მათ წინ, მათ უკან, მათ ქვეშ, — ყოველი მხრიდან გადახსნილი უფსკრული სუფევდა. მათი გაქცევა ახლა გაქცევა კი აღარ იყო, არამედ დაქცევა.

უცბად, თოვლბუქის მტკიცე ფარდის მიღმა წითელი შუქი აციმციმდა.

— შუქურა! — შესძახეს განწირულებმა.

XI

ᲙᲐᲡᲙᲔᲢᲘ

ეს მართლაც კასკეტის შუქურა იყო.

მეცხრამეტე საუკუნეში შუქურა მაღალ, კონუსისებური ქვითკირის ნაგებობას წარმოადგენდა. თავწვერზე გამაშუქებელი მოწყობილობა ჰქონდა დადგმული, მეცნიერული წესით ყოველმხრივ გამართლებული. კასკეტის შუქურა ჩვენს დროში სამმაგი გოდოლისაგან შედგება. სამი მბრუნავი ნათურა აქვს. სინათლის მოწყობილობანი მოძრაობაში საათის მექანიზმს მოჰყავს. მექანიზმები თავისი ღერძის ირგვლივ ისეთი სიზუსტით ბრუნავენ, რომ გაშლილ ზღვაზე მისი შუქის თვალყურის მადევნებელი გუშაგი გემბანზე ათი ნაბიჯის გადადგმას ასწრებს გამოშუქების დროს და ოცდახუთი ნაბიჯის გადადგმას ჩაბნელებისას. მთელი სისტემა ზუსტ გამოანგარიშებაზეა დამყარებული, როგორც ფოკუსური მანძილებისა, ისე მბრუნავი, რეაწახნაგიანი ბორბლისა. ეს უკანასკნელი გაკეთებულია რეაქციანი, ბრტყლად გამოდრეკილი შუშებისაგან. ამათ ზემოდან და ქვემოდან მოთავსებულია დიოპტრული სარკეები. ეს უზუსტესი მოწყობილობა ქარის მოძალებისა და ტალღების მოქცევისაგან სქელი შუშებითაა დაცული. მაგრამ ასეთ შუშებსაც კი ხანდახან ზღვის არწიევები ნისკარტით ამტვრევენ, როდესაც უშველებელი ჰეპლები-

ეთ მოაფრინდებიან ხოლმე შუქურას ბუმბერაზულ ფარნებს. შენობა, რომელიც ამ მექანიზმს ითავსებს და რომელიც თითქოს ჩარჩოა ამ მექანიზმისა, არანაკლებ მათემატიკური სიზუსტითაა ძოწყობილია. მასში ყოველივე მარტივი, თანახომიერი, მიზანშეწონილი და მკაცრად შეწყობილია. შუქურა იგივე რიცხვნიშანია.

მეჩვიდმეტე საუკუნეში შუქურა, ახე ეთქვათ, საეცხოო დამამშვენებელი სამკაული იყო ზღვისპირა ხმელეთისა. შუქურას გოლი ყურადღებას იქცევდა თავისი არქიტექტურის არაჩვეულებრივი ღელარჭნილობით. იგი დაზეინული იყო მრავალი ათვნით, კომკურით, თალხით, ფანჩატურით, ბალიუსტრადითა და ფლიუგერით. წვერიდან ძირამდე სხვადასხვა ნაძერწით იყო შემკული. საეცხოო თაუების, სტატუების, მესრების, გრეხილების, რელიეფების, წარწერიანი ფირფიტების სახით. „PAX IN BELLO" — „მშვიდობა ომის დროს" — ეწერა ედისტოუნის შუქურაზე. აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ მშვიდობის ამნაირი ღაღადისი იშვიათად თუ დაეშოშმინებდა ოკეანეს; უინსტენლიემ ეს წარწერა იმ შუქურაზე გააკეთა, რომელიც თვითონვე ააგო საკუთარი ხარჯით პლიმუთის ახლო, უდაბურ ადგილას. შენობის დამთავრებისას გოდოლში დაბინავდა, რათა პირადად შეემოწმებინა, როგორ გაუძლებდა ეს გოდოლი ქარიშხალს, მაგრამ ქარიშხალი ამოვარდა და ზღვაში გადაისროლა შუქურაც და თვით უინსტენლიეც. ეს მეტისმეტად ღვარძნილი ნაგებობანი, რომელთა გარეშე და ყოველი მხარე ღია იყო ქარებბის სათარეშოდ, თითქოს გრიგალების რისხვას იზიდავდა ხოლმე იმგვარადვე, როგორც ოქრომკედით ნაქარგ, ფერადმუნდირიანი გენერალი ბრძოლის დროს მიზანში უფრო ადვილად ამოსაღებია. ასეთ შუქურებზე ქვის შემკულობის გარდა იყო კიდევ რკინის, სპილენძისა და ხის შემკულობანიც. ლითონის ნაწილები მრავლად იყო რელიეფური სახით, ხის ნაწილები — მრავალნაირი ჩუქურთმებით. შუქურას გარეთა კედლებზე არაბესკების შუადაშუა ათასნაირი ჭერეი იყო დაყოლებული, სახმარად გამოსადეგი თუ უვარგისი: ჯალამბრები, ჭოჭონაქები, ბარკუბი, კაპები, ტეირთამწეები. გოდოლის ზენეერზე, ფარნის ირგვლივ ხელოვნურად ნაჭედ კრონშტეინებზე უშველებელი რკინის შანდლები იყო ჩამაგრებული. ამათში გაფისული ბაგირის ნაჭრებს ჩადგამდნენ ხოლმე; ამ მაშხალებს ქვეშ ძლიერი ქარიც ვერ ჩააქრობდა. გოდოლი თავკიდურიდან

ბალაურამდე სახლეთ ალშებით და დროშებით იყო დაშვენებული. ეს აჭრელებული ნარევი სხვადასხვაფერი დროშებისა, გერბებისა და სიგნალებისა, ქარიშხლის დროს მხიარულად აფურაფებული ნაჭრების სახით, მოგიზგიზე ალის ირგვლივ ფრიალებდა. შეუპოვარი ცეცხლის ალი უძირო მორევის ნაპირზე თითქოს იმუქრებოდა და მხნეობას ულოცავდა მგზავრებს, რომლებიც ზღვაში საშინელ გასაჭირში იმყოფებოდნენ. მაგრამ კასკეტის შუქურა სრულებითაც არ ჰგავდა ახეთ შუქურებს.

იმხანად ეს იყო უბრალო, ძველებური, სრულიად პრიმიტიული მოწყობილობის შუქურა. იგი აუშენებიათ ჰენრიხ პირველის ბრძანებით, „ბლანშნეფის“* დაღუპვის შემდეგ: აქ, კლდის მწვერვალზე, რკინის ბადურაში კოცონი ენთო — ნახშირ-ნაღვერდლის დიდი გროვა ზღუდეშემოვლებულ ადგილას ეყარა და ქარის შემობერვაზე ცეცხლის ალის ენები აგიზგიზდებოდა ხოლმე.

ამ შუქურას, რომელიც მეთორმეტე საუკუნეში მოენყოთ, ერთადერთი გაუმჯობესება ჰქონდა: ეს იყო სამჭედლო საბერველი. მას ამოძრავებდა დაკბილული ჩარხი, ზედ მოდებული ქვით. ეს უკანასკნელი მოწყობილობა რკინის ბადურას 1610 წელს შეუერთეს.

ძველებური შუქურები ზღვის ფრინველებისათვის ბევრად უფრო სახიფათო იყო ახლანდელებზე. ფრინველებს კაშკაშა სინათლე აბიდავდა; მოფრინდებოდნენ და პირდაპირ კოცონში ცვიოდნენ. შიგნე ხტოდნენ ჯოჯოხეთის სულებივით და მომაკდავივით აკლაკნებოდნენ. ხან გაყარყარებული ბადურადან გამოფრთხიალდებოდნენ და კლდეზე დაენარცხებოდნენ დამწვარ-დასისხლიანებულნი, დაკრუნჩხულნი და თვალებდამწვარნი, ისე როგორც ლამპის ალზე შეტრუსული ღამის ფარვანა.

კარგად აღაბჭულ ხომალდს, შესაჭის მტკიცე ხელით წარმართულს, კასკეტის შუქურა ხშირად ეხმარება, აცნობებს: „აფრთხილდი“, წყალქვეშა კბოდე-მეჩეჩები ახლოაო; მაგრამ იმ ხომალდისათვის, რომელმაც ტაკელაჟიც დაკარგა და საჭეც, კასკეტი მხოლოდ საზარელია. ხომალდის გაშიშველებული ხერხემალი ტალღების გააფთრებული შემოტევისას უძლურია და უსაშველო. გრიგალთან შეხლაში იგი თავს ველარ იცავს. იგიცეა, რაც თევზი უფარფლებოდ და ფრინველი უფრთებოდ. ახეთი ხომალდი მხოლოდ იმ გეზით მიცურავს, საითაც ქარი მიაქანებს. შუქურა მას სა-

გულისწორო ადგილსა ანიშნებს, სადაც მას აუცილებელი დაღუპვა მოელის, — საფლავსა უნათებს. შუქურა მისთვის სასიცოცხლოდე მიცილებელი მაშხალაა.

აუშორებელ მოშავალს გაუნათო გზა, თაყდაულწეველი დასახრული წინასწარ აცნობო — რა ღვარძლიანი დაცინვაა!

XII

ორთაბრძოლა კბოდე-მეჩეჩთან

უბედური განწირულები „მატუტინაზე" მაშინვე მიხვდნენ, რომ ბედი ფარულად დასცინოდა მათ. შუქურას დანახვაზე ისინი ჯერ გაშხვედნენ, შემდეგ სასოწარკვეთილებას მიეცნენ. აღარაფთარი გამოსავალი აღარ ჰქონდათ. აღარ შეეძლოთ რაიმე ელონათ. ტალღებზე საუსებით შეიძლება იგივე ითქვას, რაც მეფეებზეა ნათქვამი: ვინც მათ ძალაუფლებაში იმყოფება, მათივე მსხვერპლი ხდებათ. გინდა თუ არა, უნდა ითმინო ყოველი მათი უგუნურება. ქარი კარჭაპს კასკეტისაკენ მიაქანებდა. მეტი გზა არ იყო, ქარის ნებაზე უნდა ეცლოთ. წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი გახდა. ხომალდი სწრაფად მიექანებოდა კბოდესკენ. გაქცეულები გრძნობდნენ, რომ ზღვა თავთხელი ხდებოდა. ლოტით გაზომვას მათთვის რაიმე აზრი რომ ჰქონოდა, მაშინღა დარწმუნდებოდნენ, რომ ზღვის სიღრმის არა უმეტეს სამი, ოთხი ბრასის ზემოთ იმყოფებოდნენ. სმენად გადაქცეულებს მათ წყალქვეშა კბოდეს შუა ნაპრალებში ბრდღვინვით შეგორებული ზვირთების საზარელი ხმა აყრუებდა. თვალითაც არჩევდნენ შუქურას ძირას ორ პიტალო შეერილს შუა ბნელ ხოლს, ეიწრო სრუტეს, რომელიც ოკეანესთან აერთებს პატარა საშინელ ჯურეს; ამ ჯურეს ფსკერზე, როგორც სავარაუდოა, ადამიანებისა და დაშხვრეული ხომალდების მრავალი ჩონჩხი განისვენებდა. ის უცრო გამოქვაბულის დაღებულ ხახას მიაგავდა, ვიდრე ნაცადგურში შესასვლელს. შუქურას მწვერვალიდან რკინის ბადურაში გაჩალებული კოცონის ტკაცანი მოისმოდა. მისი ცეცხლოვანი ალება ქარიშხლის სურათს კუშტად აშუქებდა. ხეტყეისა და ცეცხლის ალის ურთიერთშეჯახება ნისლის ზეწარს არღვევდა. მაგი ღრუბელი, თითქოს გველი გველს გადახლართვიაო, წითელ კვა-

მლს ერკინებოდა. დაფრინავდნენ ქარისაგან ატაცებული პატარა ანთებული მუგუზლები და თოვლის ფიფქები ხტოდნენ კოცონის მაღლა, თითქოს ნაპერწკლების უეცარ მისვლას გაურბიანო. კბილების მოხაზულობა, ჯერ ოდნავ მოჩნინარენი, ახლა სრულიად გარკვევით მოჩანდნენ — კლდეების უწესრიგო დაზეინულობა, მათი წეროკინები, თხემებითა და გვერდითა შეკრილებით. კუთხე-ქიმების მოხაზულობა ღია ალისფერ ზოლებად ჩანდა, ხოლო თვით კლდეები ცეცხლოვან-ხასხლიან ფერად პრიალებდნენ. კბილებთან მიახლოებისას მისი გროვა, სიმაღლეზეც და სიგანეზეც სულ უფრო მზარდად მოშხირალი, მეტად საზარელი ხდებოდა.

ერთი, ელდისაგან გონდაკარგული დედაკაცთაგანი, ირლანდიელი, კრიალოსანს გაშმაგებით მარცვლაედა.

ლოცმანის მოვალეობა, ნაცნობად ხომალდის დალუპული პატრონისა, ახლა ბრბოს მეთაურმა იკისრა. ეს კაცი კაპიტანიც იყო. ყველა ბასკი, გამოუკლებლივ, შეუნიერად იცნობს მთებსა და ზღვას. მას არც უფსკრულებისა ეშინია და არც გემის დალუპვის მოლოდინშიც ებნევა თავგზა.

ხომალდი მალე კბილებს წაადგებოდა. სადაცაა მიაწყდებოდა კლდეებს. იგი უკვე ისე ახლოს აღმოჩნდა კასკეტების ჩრდილო დაჭანებასთან, რომ მათი პიტალო კლდეები უცბად წაეფარნენ კიდევაც შეეჭურას. მხოლოდ ფრიალოლა მოჩანდა და მას იქიდან ოდნავ მბეჟეტავი სინათლე. ნისლის ბურუსიდან გამოჩენილი კლდე შაოსან მანდილოსანს მოგაგონებდათ, ცეცხლოვან თავსაფრიანს.

ამ კლდეს, რომლის შესახებ ხალხში ცუდი ხმები დადიოდა, სახელად ბიბლეს უწოდებდნენ. იგი ადგილობრივი კბილებების უდიდესი ჩრდილო წერტილია, ამ კბილე-მეჩეჩებს სამხრეთით სხვა ფრიალო კლდე საზღვრავს, რომელსაც ეტაკ-ო-გილმე ჰქვია.

ბრბოს მეთაურმა ბიბლეს თვალი მოავლო და დაიძახა:

— აბა, ვინ გაიმარჯვებს და ბაგირით ვინ გაცურავს ფურთუნებამდე? ვინ იცის ცურვა?

ამ შეკითხვაზე პასუხი არავის გაუცია.

არავინ, ბაქანზე მყოფთაგან, თვით მატროსებმაც კი, ცურვა არ იცოდნენ. ასეთი რამ საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენაა მეზღვაურებში.

ბაქნის მოაჯირიდან ნახევრად მოწყვეტილი ლონგ-კარლინი

ცალ ანგამაზელა ქანაობდა. ბრბოს უყურისმა მას ორივე ხელი ჩა-ავლო და წარმოთქვა:

— აბა, მომეშველეთ!

ლონგ-კარლინსი მთლიანად ჩამოგლიჯეს; ახლა შეეძლოთ სურ-ვილისამებრ გამოეყენებინათ. თაფლაქვის იარაღიდან ახლა ის შე-ტევის იარაღად იქცა.

იგი საკმაოდ გრძელი, შუხის გულიდან გამოჭრილი კეტი იყო, მკვრივი და მსხვილი, თავდასხმისთვისაც და თავდაცვისთვისაც ერთნაირად გამოსადეგი. ტვირთის ასანევ ბერკეტადაც გამოდგე-ბოდა და გოდოლის შესანგრევ იარაღადაც.

— მწკრივში დადექით! — იყვირა მეთაურმა.

ექსიელე მწკრივში ჩადგა და რაც ძალ-ღონე ჰქონდათ მაწუნებ მოტეხილ ანძას. ყველა ჩაეჭიდა ლონგ-კარლინსს, ბაქანს აქით ჰო-რიზონტალურად მიმართეს და როგორც შუბი, ციცაბოს მკერდის-კენ გაიშვირეს.

ეს ძალიან საზიფათო ხერხი იყო. ციცაბო კლდეზე იერიშის მი-ტანა დიდი თავგამეტებაა. შეიძლებოდა, ექსიელე უკუქცევითი ბიძ-გის ძალით წყალში გადაეხრდნილიყო.

როდესაც კაცი ქარიშხალს ებრძვის, მას ყოველნაირი მოულო-დნელობა უდარაჯებს. გრიგალს მეჩეჩი მოხდეს, ქარს — პიტალო კლდე. ხან შეუცნობელთან გაქვს საქმე, ხან შეუმუსრავთან.

ეს ერთი იმ წუთთაგანი იყო, როცა ადამიანს თმა უცბად უთე-თრდება.

მეჩეჩი და ხომალდი ერთმანეთს პირისპირ უნდა შებმოდნენ.

ციცაბო გულგრილია, იგი მშვიდად უცდიდა ამ წუთებს.

მოგორდა ტალღა და მოლოდინს ბოლო მოუღო. ტალღამ ხო-მალდი ზედ შეიგდო, თავისსავე აქოჩრილ ზეართებზე ასწია და წამით ისე გააქან-გამოაქანა, როგორც შურდული გააქან-გამოაქა-ნებს ხოლმე ქვას.

— აბა, ეამეცურად! — დაიძახა მეთაურმა, — იქ მხოლოდ კლ-დეა, ჩვენ კი ადამიანები ვართ!

კეტი გაშხადებული ეჭირათ. ექსი კაცი თითქოს ზედ შეეხარ-დათ, ლონგ-კარლინსის წვეტიანი პოჭოჭაკები იღლიაში ერჭობო-დათ, მაგრამ ტკივილს ვერ გრძნობდნენ.

კარჭაპი ტალღამ კლდეს მიაბალა. ერთმანეთს შეაწყვეტა.

ამ შეხლა-შემოხლის სანახაობა ქაფის აძლერეულმა ღრუბელმა დაფარა თვალთახედვიდან.

როცა ქაფის ღრუბელი ზღვაშიეე ჩაიქცა და ტალღაც კლდეს დაეძგერა, გამოჩნდა, რომ ექვსივე კაცი გემბანზე წაქცეულიყო. სამაგიეროდ „მატუტინა" უკვე აქაფებულ ტალღებს გზაშეღვლით შორდებოდა. კეტმა მშვიდობით ჩააბარა გამოცდა და შეხლამ შედეგად ხომალდის გეზის შეცვლა გამოიწვია. რამდენიმე წუთში გაშმაგებული დინებით გატაცებულმა კარჭაპმა კასკეტები შორს, უკან მოიტოვა. „მატუტინა" დროებით უხიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ასეთი შემთხვევა ხშირია. ბუშპრიტის მიხლამ კლდეზე ტეს შესართავთან დალუპვისაგან გადაარჩინა ვუდ დე ლარგო. აგრეთვე, კაპიტანმა პამილტონმა კონცხ უინტურტონის მახლობლად, სახიფათო ადგილას, საშინელი ბრანოდუშის კლდისაგან კეტის კერით უკუაქცია და დალუპვას გადაარჩინა მის განკარგულებაში მყოფი ხომალდი „როიალ მერი", თუმცა იგი პატარა შოტლანდიური ტიპის ფრეგატი იყო. ტალღა ისეთი ძალაა, რომელიც წამიერად ისევ დაეშვება, დაცხრება ხოლმე; ამის გამო ადვილი, ან უფრო შესაძლო ხდება ხომალდის გეზი შეიცვალოს: თუნდაც წამიერად ძლიერი იყოს ტალღის მიხლა, ქარიშხალში რაღაც ცხოველური რამ არის. გრიგალი — ხარია: ის შეგვიძლია მოვატყუოთ.

მკვეთრი მოძრაობიდან მხებ მოძრაობაზე გადასვლა — ამაშია გემის გადარჩენის მთელი საიდუმლოება.

ანძის მონატეხმა კეტმა სწორედ ასეთი სამსახური გაუწია ხომალდს. მან ნიჩბის როლი შეასრულა და საჭის მაგიერობაც გასწია. მაგრამ ამნაირი ხერხით მხოლოდ ერთხელ იყო შესაძლებელი თავის გადარჩენა. მისი გამეორება უკვე შეუძლებელი გახდა: კეტი ზღვამ გაიტაცა. კლდისგან უკუქცევის ბიძგმა კეტი ხელიდან გააგდებინა ხალხს და გემბანის კიდურიდან გადაკარდნილი ტალღებში ჩაინთქა; ხოლო მეორე ლონგ-კარლინჰის საბიძგად მოგლეჯა ხომალდიდან არ შეიძლებოდა, რადგან ეს უკვე ძარას მოარყევდა.

გრიგალმა „მატუტინა" ისევ გაიტაცა. წამიც არ გასულა, რომ კასკეტები უკვე ჰორიზონტზე ლოდების უსწორმასწორო გრიეები

გეგონებოდათ. ამგვარ შემთხვევაში მეჩეჩებს შეწბილებული იერი ეძლევა. ბუნება ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ შესწავლილი არა გვაქვს, მაშინ თვალით ხილული თითქოს თავის დასასრულს თვალით უხილავში პოულობს და ისე გეჩვენება, რომ კლდეებიც დაღვრემილნი, გაშტერებით გამოიყურებიან, გულმწყრალნი იმის გამო, რომ მსხვერპლი ხელიდან გამოეცალათ.

სწორედ ასეთი სანახაობისა იყო კასკადები, რომლებსაც „მატუტინა“ მათგან შორს გარბოდა.

შუქურა რამდენადაც უკან რჩებოდა, იმდენად იცრიცებოდა, მკრთალდებოდა, შემდეგ სულ გაუჩინარდა.

მისი გაუჩინარებით სევდამ დაისადგურა. წყვდიადში ჩაღვრილი ალისფერი სინათლე ხშირი ნისლის ფარდაში გაეხვია. მისი სხივები წყლის სტიქიის განუსაზღვრელობაში გაზავდა. შუქმა ცოტათი ილივლივა ტალღებზე, შეებრძოლა მათ და შემდეგ დაეშვა, დაიფანტა და თითქოს დაიძრა კიდევაც. კოცონი ოდნავ მოციალე მკრთალ შუქად იქცა. მის გარშემო მღვრიე, გაშლილი რკალი ელვარებდა; თითქოს წყვდიადის მორევის ფსკერზე ანთებული ლამპარი ვიღაცას ფეხით გაუსრესიაო.

ზღვათის მაუწყებელი ზარი დადუმდა. საფრთხის მაუწყებელი შუქურა თვალს მიეფარა. როდესაც ერთიც და მეორეც გაქცეულებმა კარგა შორს ჩამოიტოვეს, ისინი მეტადრე შიშმა და ძრწოლამ შეიპყრო. ზარი ხმა იყო, შუქურა — ჩირაღდანი. მათში ადამიანური რამ იგრძნობოდა. უმათოდ მხოლოდ უფსკრულიღა რჩებოდა.

XIII

პირისპირ ღამის წყვდიადთან

კარჭაპს ხელახლა მიაწყდნენ უსაზღვრო წყვდიადის ტალღები.

კასკადებისაგან მშვიდობიანად თავდაღწეული „მატუტინა“ ახლა ბობოქარი წყლების ქოჩზე დახტოდა. ეს იყო ქაოსის ჟამს დასასრულის გახანგრძლივება. კარჭაპი აქეთ-იქით აწყდებოდა და თავისი მოძრაობით აქაფებული ზეირთების გაშმაგებულ გაქანებას იწვევდა. გემის ხერხემლის რყევა სულაც არ იგრძნობოდა, რაც

ხომალდის სულთმობრძაობის მრისხანე ნიშანია. აქარის დროს ხომალდი მხოლოდ გვერდით რყევას განიცდის. ხერხემლის რყევა კი შებრძოლების კრუნჩხვაა. მხოლოდ საჭეს შეუძლია ხომალდი ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით მიატრიალოს.

ქარიშხლისას, მეტადრე თოვლიანი ქარიშხლის დროს, ზღვა და წყვდიადი ბოლოს და ბოლოს ურთიერთს ერწყმიან, და ერთ განუყრელ მთლიანს შეადგენენ. ნისლი, ქარბუქი, უმიზნო წრიალი, ყოველგვარი საყრდენის უქონლობა, გზის გამოსწორება-შეცვლისა და ცოტაოდენი სულის მოთქმის შეუძლებლობაც, ერთი ჩაქცევიდან, მეორე ჩაქცევაში ჩავარდნა, თვალით დასანახი ჰორიზონტის სულმთლად უხილველობა უსინათლოდ, უიმედო მოძრაობა — აი, რას მიაღწია კარჭაპის სელა-ცურვამ.

კასკეტებიდან მშვიდობით თავდაღწევა, მეჩეჩების უკან ჩამოტოვება, ამ უბედურებისათვის ნამდვილი გამარჯვება იყო. მაგრამ ამ გამარჯვების მერე ახინი გაცბუნებულნი დარჩნენ. „ვაშას“ ძახილით მას აღარ შეეგებნენ. ზღვაში თავს ორჯერ ასე წინდაუხედავად მოქცევის ნებას არ აძლევენ. მოწინააღმდეგის გამოწვევა სცადო იქ, სადაც საძირავის ჩაგდება ვერ გაგიბედავს, საზიფათოა.

მეჩეჩებიდან უკუქცევა შეუძლებლიდან თავის დაღწევას ნიშნავდა. ამ მოვლენამ განწირულები შეაცბუნა. მაინც თანდათანობით ჩასახათ გულში იძვდი. ადამიანის სულს ყოველთვის აქვს მიდრეკილება რაიმე სასწაულის მოლოდინისა. არ არსებობს ისეთი უკიდურესი მდგომარეობა, რომელსაც ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი გულის სიღრმეში იმედის სხივი არ შეეჭრას. უბედურებს, როგორ სწყურიდათ წარმოეთქვათ „გადაურჩითო“, და უკვე შხად იყვნენ წამოეძახათ ეს სიტყვა.

მაგრამ უცბად ღამის წყვდიადში, ხომალდის მარცხენა მხარეს რალაც საზარელი ზვინი თუ გროვა გამოჩნდა, ნისლიდან წამოიმართა და მკაფიო დასანახი გახდა მაღალი, შავი ფრიალო კლდე, სწორკუთხიანი — ეს იყო უფსკრულიდან წამოშართული ოთხკუთხა გოდოლი.

გაქცეულები მას თავზარდაცემულები უმზერდნენ.

გრიგალი მათ სწორედ ამ კლდისაკენ მიაქანებდა.

არ იცოდნენ, რა იყო იგი. ეს იყო პიტალო კლდე, ორტაპი.

XIV

ორტაჲი

ისევ მეჩეჩი იწყებოდა, კასკეტების შემდეგ — ორტაჲი, ქარიშხალი ფანტაზიებით არ არის შემკული: უხეშია, მძლე და ყოველთვის ერთსა და იმავე ხაშუალებებს ხმარობს.

წყდიადი ამოუწურავი შინაარსისაა. ცრუგულად იყარავს თავის აურაცხელ ხაფანგ-მზაკვრობას. ადამიანი კი მალე ხარჯავს თავის ყველა ქონება-ხაშუალებას. ადამიანი იფიტება, ხოლო უფსკრული დაუშრეტელი.

განწირულებმა მათ ერთადერთ დამცველს, მეთაურს მიაპყრეს თვალი, მაგრამ მან, თავისივე უძლურებისადმი ზიზღით აღხავსებ, დაღვრემილმა, მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

ორტაჲი შუა ოკეანეში ვალეზე შემდგარი უზარმაზარი ლოდია. ორტაჲის მეჩეჩი მთლიანად მასივს წარმოადგენს; იგი მშფოთვარე ტალღების ზემოთ ორმოცი მეტრით არის შემაღლებული. მას ხედ შეემსხვრევიან ხოლმე ზღვის ზეირთებიცა და ხომალდებიც. გრანიტის უძრავი კუბი შეეულადაა ჩაშენებული მღელვარე ზღვის აურაცხელ გველურ ხრახნებში.

ღამით იგი უშველებელი საჯალათო მორი გეგონებათ, რომელიც თითქოს ფიცარნაგზე შაე მაუდს დასწოლია და დაუჭიუქნია. ქარიშხლის დროს, მსგავსად ცულის დარტყმისა, იგი მეხის დაცემას მოელის. მაგრამ თოლბუქს ჭეჭა-ქუხილი და მეხის ჩამოვარდნა არ მოსდევს.

ისიც მართალია, რომ ღამის სიბნელეში ხომალდი ისეთივე შეგომარეობაშია, როგორშიც ნაჭრით თვალებაბეეული ადამიანი. ამგვარ პირობებში ხომალდს ისევე, როგორც სიკვდილმისჯილს, სატანჯის მორი მოელის.

მაგრამ მას არავითარი იმედი არ უნდა ჰქონდეს ელვა-მეხისაგან უეცრად მოკვდინებისა.

ტალღების უსუსური სათამაშო „მატუტინა" ახლა ამ პიტალოტალღების ხასტ გაჭანდა, ისე, როგორც სულ ახლახან სხვა მეჩეჩისაკენ მიეჭანებოდა. უბედურები, რომელთაც განსაცდელი უკვე აცილებული ეგონათ, ისევ სასოწარკვეთილებას მიეცნენ, ისევ თვალწინ დაეშვნ

ფსკერიდან ისევ მეჩეჩი ამოტივტივდა. პირველ პიტალოს დაეჯახნენ და კეტის საშუალებით უკუაქცნენ, მაგრამ ამანაც ვერ უშველა.

კასტეტის მეჩეჩები ვაფლის ფიცარიეთ დანაოჭებულია. ორტაპი — მთლიანი კედელია. კასტეტებზე შეხლა ნაკუწ-ნაკუწ აქცევს; ორტაპზე შეწყვეტება სიბრტყეზე მისრესს.

კარჭაპის ბაქანზე მყოფთ კიდევ გააჩნდათ გადარჩენის შესაძლებლობა. შეეცალად აღმართული კლდისაგან — ხოლო ორტაპი სწორედ ასეთი კლდეა, — ტალღა ზარბაზნის ყუმბარასავით რიკოშეტად არ იქცევა, არამედ ქვევით სხლტება, ეს მიქცევ-მოქცევას ეკაგვის. აქ ტალღა აზვირთებული აწყდება, ხოლო უკუქცევისას ფრთონაჭაელებად იშლება. ასეთ შემთხვევაში ყოფნა-არყოფნის საკითხი შემდეგნაირად წყდება: თუ ზვირთი ხომალდს კლდეზე მიანეევს, მას ნამსხვრევებად აქცევს; ხოლო თუ ტალღა ხომალდის კლდესთან მიახლოებამდე უკუაქცევა, მაშინ ხომალდი გადარჩენილია.

განწირულები თრთოლას აეტანა. სიბნელეში გამახეილებული თვალით უკვე ორნავ არჩევდნენ მეცხრე ზვირთის მოახლოებას. რა სიშორეზე გაიტაცებს ეს ზვირთი მათ? თუ ტალღა გემბანის ჭიმნაპირს დაეჯახა, მაშინ ზედ მეჩეჩთან მიაგდებს მათ და სიკვდილიც არ ასცდებათ; ხოლო თუ იგი გემის ძარას ქვეშ გაეცალის...

მართლაც, ტალღა ძარას ქვეშ გასრიალდა.

განწირულებმა შვებით ამოისუნთქეს.

მაგრამ როცა ტალღა ისევ შემობრუნდება, მაშინ რალა მოეცათ? ტალღამ ისინი ზღვაში გაიტაცა.

რამდენიმე წუთის შემდეგ „მატუტინა" მეჩეჩს უკვე შორს გასცდა. ორტაპიც თანდათან თვალს ეფარებოდა, ისევე როგორც უწინ კასკეტი გაუჩინარდა. ეს მეორე გამარჯვება იყო. უკვე მეორედ წაადგა კარჭაპს ზედ თავზე დალუპვის აჩრდილი და მეორედაც, საბედნიეროდ, აიცილა.

XV

PORTEHTOSUM MARE*

ამასობაში უბედური ადამიანები, რომელთაც ჟინშორეული ტალღები აქეთ-იქით დააქანებდა, ყოველმხრივ ხშირმა ნისლმა მოიცვა. აღარ იცოდნენ სად იყვნენ, ძლივს ამჩნევდნენ იმას, რაც

კარჭაპიდან რამდენიმე კაბელტოვზე ხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მსხვილი სეტყვა თავ-პირში უშენდათ, დედაკაცებიც კი დატყდება, ურჩევნია ღია პაერზე, ცის კამარის ქვეშ დაღუპოს, როდესაც სიკვდილი უახლოვდებათ, სახლის ჭერი ზემოდან კუბოს თავეით ეხურებათ.

რამდენადაც ტალღები თანდათან სიმაღლეზე იქოჩრებოდნენ, იმდენად მოკლე-მოკლე მანძილზე სცემდნენ. ზვირთების ერთმანეთზე ხშირ-ხშირი მოხლა იმის მაჩვენებელი იყო, რომ ისინი ვიწროებიდან გამოსხლტდნენ: ტალღების ასეთი ბობოქრობა ყოველთვის იმას გვანიშნებს, რომ ახლოს ვიწრო სრუტეა. მართლაც, გაქცეულები თვითონ ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ ორინიის შემოვლით მიცურავდნენ. ორტაპისა და კასკეტების შუა დასავლეთით და ორინიის აღმოსავლეთით ზღვა ორ მწკრივ კბოდეებს შუა მოშწყვდეული და შეკიწროებული ბობოქრობს. ზღვა, როგორც სხვა ყოველივე ამ ქვეყნად, თავისუფალი არ არის ტანჯვისაგან. და იმ ადგილებში, სადაც ის ტკივილებსა გრძნობს, განსაკუთრებით დრტვინავს. ასეთი ვიწრო გასასვლელი ხომალდისათვის სახიფათოა.

„მატუტინა" სწორედ ამ ვიწრო გასასვლელში შეცურდა.

წარმოიდგინეთ წყალქვეშა პაიდ-პარკის*, ან ელისეს მინდვრებისოდენა* კუს ბაკანი, რომელზედაც თითოეული დანაკვალი წვრილი წყალგასავალია, ხოლო თითო ამონაბურცი — კლდე. ასეთია ორინიისთან დასავლეთის მხრიდან მისასვლელი. ზღვა იფარავს და ინახავს ამ მხარეს ხომალდებისათვის.

წყალქვეშა ლოდების წამახულ კუთხეებზე დაკუწულ-დანაღლებული ტალღები ხტიან და ქაფდებიან. წყნარ ამინდებში ეს მოელენა ოდნავ რხევას იწვევს, ხოლო ქარიშხლიან ამინდში ქაოსად იქცევა.

ხომალდზე მყოფებმა რალაც ახალი საშიშროება იგრძნეს, მაგრამ უცბად ვერ წარმოიდგინეს თუ რა იყო. მალე ყველაფერს მიხვდნენ. ცას ზენიტში პატარა ნათელი დააწდა. ზღვასაც გაცრეცილი, ბეწვნტი შუქი მოეფინა. ხომალდის მარცხენა გვერდიდან აღმოსავლეთისაკენ კლდეების გრძელი მწკრივი გაშორდა. ხელახლა საკლეთისაკენ კლდეების გრძელი მწკრივისაკენ გაძლიერებული ქარი კარჭაპს კლდეების ამ გრძელი მწკრივისაკენ მიაჭანებდა. სწორედ ეს კბოდეების ხოლი ორინიი იყო.

რას წარმოადგენდა ეს ზღუდე-დაბრკოლება? მგზავრები თრთოლამ აიტანა. ისინი უფრო მეტად შეძრწუნდებოდნენ, ვინმეს რომ ეთქვა: „ის ზღუდე ორინიაო“.

ადამიანისთვის ორინიზე უფრო მოულოდნელი კუნძული არ არსებობს. წყალზემოდან და წყალს ქვემოთაც მას მძვინვარე ყარაული იცავს. ამ საყარაულოს მოწინავე პოსტი ორტაპს უკავია. დასავლეთით: ბიურუ, სოტერიო, ანფროკი, ნიანგლი, ფონ-დოკროკი, ჟიუმელი, გროსი, კლანკი, ეგიონი, ერაკი, ფოს-მალერი; აღმოსავლეთით სოკე, ომო, ფლორო, ბრინბეტე, ქელენგი, კროკლოფურში, სო, ნუარ-პიუტი, კუპი, ორბიუ. რა ურჩხულებია ისინი? გველეშაპებია? დიახ, მხოლოდ მეჩეჩის ჯიშისანი.

ერთ-ერთ ამ ციცაბოს ბიუ (მიზანი) ეწოდება, თითქოს იმის ნიშნად, რომ აქაა დასასრული ყოველი მოგზაურობისა.

მეჩეჩის ეს გროვა, რომლისთვისაც წყვდიადსა და წყალს ერთად შეკრული სანახაობა მიეცათ, განწირულებს თვალწინ წარმოუდგათ მთლიანი შავი ზოლივით: მას თითქოს ჰორიზონტიც კი გადაუხაზა.

გემის დაღუპვის საშიშროება უსაშველობის უმაღლესი ხარისხია. ხმელეთთან, დედამიწასთან ახლოს იყო და არ შეგეძლოს მას მიაღწიო; ტალღებზე დასრიალებდე და შესაძლებლობა არ მოგეცეს მიმართულება შეირჩიო; ეყრდნობოდე რაიმეს, რაც მყარად გეჩვენება და ნამდვილად კი მერყევი და ფშვნიტი იყოს; ერთსა და იმავე დროს სიცოცხლით სავსეც იყო და სიკვდილითაც; პატიმარი იყო განუზომელი სივრცეებისა, დატუსაღებული ცისა და ოკეანის შუა; საპყრობილის თაღების მაგიერ ზემოდან უსაზღვროება გეყარებოდეს. ყოველი მხრიდან გარემოგიცვას ქარტეხილების გახელებულმა თარეშმა, შეგიპყროს, შეგბოჭოს და ლინე მიგზადოს — არა არის რა ასეთ მდგომარეობაზე უფრო მეტად დამბეჩავებელი და უფრო მეტად ალმაშფოთებელი. ასე გგონია მქირდავი ხარხარი გესმის უჩინარი მტრისა. შენ სწორედ ისა გბორკავს, რაც ფრინველებს ეხმარება ფრთაგაშლილთ ინავარდონ და თევზებს — თავისუფლად იმოძრაონ. პირველი შეხედვით ეს თითქოს არაფერია. მიუხედავად იმისა, ის ყველაფერია. სწორედ იმ ჰაერზე ხარ დამოკიდებული, რომელსაც შენი სუნთქვით არხევ; იმ წყალზე ხარ დამოკიდებული, რომელიც შეგიძლია მუჭში ჩაიგუბო. აავსე ჭიქა ამ ქარიშხლიანი წყლით, და-

ლეს და პირში მხოლოდ სიმწარეს თუ იგრძნობ. მისი ერთი ყლუპი მხოლოდ გულისრევას იწვევს, ტალღას კი შეუძლია დაგახრჩოს. ქვიშის მარცვალი უდაბნოში, ერთი ციცქნა ქაფი ოკეანეში — შემზარავი ფენომენებია. ყოვლადშემძლე ბუნებას საჭიროდ არ მიაჩნია დამალოს თვისი ატომები; იგი უსუსურებას სიძლიერედ აქცევს, არარას თავისი ძალებით ავსებს და უსასრულო მცირედიდან ქმნის ისეთ უსასრულოდ დიდს, რაც ადამიანს ანადგურებს. ოკეანე თავისი წვეთებით ჩვენი შემმუსვრელია. გრძნობთ, რომ მისი სათამაშო ხდებით.

სათამაშო! რა საშინელი სიტყვაა.

„მატუტინა“ ირონიიდან ცოტა ზემოთ იმყოფებოდა; ეს მისთვის კეთილსასურველი მდგომარეობა იყო, მაგრამ მას ტალღების ძალა ჩრდილოეთ ზოლის კიდურისაკენ მიაქანებდა, ეს გარემოება კი საბედისწერო დასასრულს უმზადებდა. ჩრდილო-დასავლეთის ქარი კარჭაპს ძალუმად დაჭიმული მშვილდიდან ნასროლი ისრის სისწრაფით მიაქანებდა. ეს კონცხი ნავსადგურ კორბელეს ცოტა აქეთ მდებარეობს. ამ ადგილს ნორმანდიის არქიპელაგის მეზღვაურებმა „მაიმუნი“ შეარქვეს.

მაიმუნი — SWINGE — ეს არის გახელებული დინება. მთელი რიგი ძაბრისებური ჩაღრმავებანი, მეჩეჩებს შუა ოკეანის ზედაპირზე მთელ რიგ მორევებს იწვევს. ერთ ასეთ მორევს რომ თავს დააღწევ, უმალ მეორეში ემწყვდევით. „მაიმუნის“ კლანჭებში მომწყვდეული ხომალდი ტრიალებს, ერთი მორევიდან მეორეში გადადის, ვიდრე კბოდეს არ დაეძგერება თავისი ძარათი. რაკი ხომალდს ნაჩვრეტი გაუჩნდება, ჩერდება და კიჩოთი ტალღებზე მაღლა აიწევს, ხოლო ცხვირით წყალში იყვინთება, მორევი მას უკანასკნელად ატრიალებს, კიჩოც წყალში ჩაეშვება და უფსკრულისაკენ მიეშურება. ხომალდის ჩაძირვის ადგილზე ქაფის პატარა კუნძული ჩნდება, ისიც თანდათან იშლება, დნება და მალე ზღვის ზედაპირზე მხოლოდ რამდენიმე ბუშტიღა ამოტივტივდება, იმის მაჩვენებელი, რომ წყალქვეშ ვიღაცას სული შეუგუბდა.

ლამანშის ყველაზე სახიფათო მორევები სამ ადგილას მდებარეობს. ერთი მათგანი ყბადაღებული გერდლერ-სენდის ქვიშიან მეჩეჩთან, მეორე — ჯერსის მახლობლად, პინონესა და ნუარმონის კონცხს შუა, მესამე კიდევ ორინიის მახლობლად.

„მატუტინას“ ბაქანზე რომ ლოცმანი ადგილობრივ შეხვედრიათ, ის წინასწარვე გაფრთხილებდა ამ ახალი საშიშროების შესახებ. ულოცმანოდ უბედურები ალღოთიღა ხელმძღვანელობდნენ: კრიტიკულ მომენტში ადამიანს რაღაც მეორე მხედველობის მსგავსი გამოაჩნდება ხოლმე. გამჭვირვალული ქარი ქაფის მთელ მადრევნებს აშხეფებდა პაერში და მთელი სანაპიროს გასწვრივ აბნევდა. ეს იყო „მაიმუნის“ გადაფურთხება. მრავალი ხომალდი დალუპულა ამ მხარეში. გაქცეულები თავზარდაცემულნი უახლოვდებოდნენ ამ ადგილს; თუმცა არ იცოდნენ, რას წარმოადგენდა იგი.

როგორ უნდა აეცილებინათ გზა მრისხანე კონცხისათვის? ეს შეუძლებელი იყო.

ისევე როგორც ამას წინათ, მათ თვალწინ კასკეტი აიმართა, ხოლო შემდეგ ორტაპი, ახლა მათ წინ ორიონის მალალი მთები გამოჭიმა. ერთ უზარმაზარ პიტალოს მეორე მოსდევდა, მთელი რიგი საზარელ მოპირდაპირეთა. ქარიბდა და სცილა მხოლოდ ორი იყო; კასკეტი, ორტაპი და ორიონი — სამი მოწინააღმდეგე მტერია.

იგივე სურათი — პორიზონტის თანდათანობითი ჩამალვა კლდეებს იქით — იმ დიდებული ერთფეროვნებით მეორდებოდა, როგორც მხოლოდ უფსკრულს სჩვევია. ოკეანესთან ბრძოლაში გუბეები განმეორებები.

ყველა ტალღა და ტალღების მთელი გროვა, უიმისოდაც ნისლში საოცრებამდე გადიდებულად რომ ჩანდა — რამდენადაც გაქცეულებს კონცხთან აახლოებდა, იმდენად უფრო მაღლა, ათ მეტრამდე იწევდა. კარჭაპსა და ფრიალო კლდეს შუა მანძილი სამიმ ისწრაფით მოკლდებოდა. ისინი უკვე მორევის მიჯნაზე იმყოფებოდნენ. პირველივე ჭაელი აუცილებლად გაიტაცებდა. კიდევ ერთი ტალღაც და ყველაფერი გათავდებოდა.

უცბად კარჭაპი უკუიქცა, თითქოს მაგარი მუშტი პკრესო. ტალღა ხომალდის ძარას ქვეშ აბორგდა, მერე გადატრიალდა და კარჭაპი გადააგდო, თან ქაფის მხეფები მიაყარა. ამ ბიძგით „მატუტინა“ ორიონიისაგან უკუაქციათ.

იგი ისევ გაშლილ ზღვაში აღმოჩნდა.

ვინ დაეხმარა ახლა კარჭაპს? — ქარი.

გრიგალმა უეცრად იცვალა მიმართულება.

აქამდე გაქცეულები ტალღების სათამაშოდ ქცეულიყვნენ, ახლა ისინი ქარის სათამაშონი გახდნენ. კასკეტებს მათ თვითონ დააღწიეს თავი. ორტაპისგან ტალღამ იხსნა, ხოლო ორიონიახგან ქარმა გაარიდა.

ჩრდილო-დასავლეთის ქარი უცბად სამხრეთ-დასავლეთისამ შეცვალა.

დინება — ეს არის ქარი წყალში; ქარი — ეს არის დინება ჰაერში; ორი ძალა დაეჯახა ერთმანეთს და ქარმა რატომღაც მოისურვა დინებისთვის მსხვერპლი წაერთმია.

ოკეანის უეცარი ხუმტური მოუწვდომელია: იგი დაუსრულებელი „ვაითუ“ არის. როდესაც საუსებით მასზე ხარ დამოკიდებული, არ შეიძლება ან იმედი იქონიო, ან სასოწარკვეთილებას მიეცე. ოკეანე იმით ერთობა, რომ თავის ნაშუშვარს თვითონვე ანადგურებს. თვალმიუწვდენელ, დაღვრემილ ზღვას, რომელსაც ტან-ბარტი* „უხეშ ცხოველს“ ეძახდა, მტაცებლის ყველა თვისება აქვს. იგი მჭრელ ბრჭყალებს ხან გამოაჩენს და ხან ხაყურდღეან თათებში იფარავს. ქარიშხალი ხომალდს ხან ადვილად სძირავს, ხან კიდევ გულმოდგინედ, მოფიქრებით ცდილობს მის ჩაძირვას. შეიძლება ითქვას, რომ ყოველ წერილმანს თავს ეცლება. ზღვას დრო საკმაოდ მოეპოვება. ამაში უკვე ბევრჯერ დარწმუნებულან მისი მსხვერპლნი.

ხან სასჯელის ვადის გადადება მომაკვალი პატიების ნიშანია. მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათია. როგორც უნდა იყოს, ზღვაზე დასალუპად განწირულებს ადვილად სჯერათ, რომ გადარჩებიან: თუკი ქარიშხალი ცოტაოდნავ ჩადგა. მათ უკვე ეწვენებათ, რომ საშიშროება ასცდათ. იმის შემდეგ, როცა ისინი თავს ზღვის ფსკერზე დამარხულად თვლიდნენ, ახლა ათრთოლებულნი აჩქარებით ებღაუჭებიან იმას, რაც ჯერ ბედს მათთვის არ მიუზღავს. ყოველივე ცული უკვე გადაიტანეს; არაფერი ეჭვი. ისინი სრულებით დაემყოფილდნენ. ისინი გადარჩნენ და უკვე აღარაფერს ხიხვენ ღმერთს. არასოდეს მეტისმეტად არ უნდა აეჩქარდეთ და ამოუცნობს არ უნდა მიეცეთ ხელწერილი იმაზე, რომ მასთან ანგარიში საბოლოდ გასწორებული გვაქვს.

სამხრეთ-დასავლეთის ქარბორბალა დაიწყო. ვინც კი ჩასაძირად განწირულ ხომალდზე მყოფთ ეხმარება, მეტისმეტი თავაზიანობით რიდი გამოირჩევა. გრიგალი „მატუტინას“ იალქნების ნახეთქებში ჩაცხრა, როგორც წყალში დამხრჩვალს თმებში მოუჭიდებიან ხოლმე და სწრაფად გაათრია გაშლილ ზღვაში. ამგვარი რამ ტიბერიუსის სულგრძელობას ემსგავსებოდა: ტიბერიუსი ხომ მხოლოდ იმ ტყვე ქალებს ანიჭებდა სიცოცხლეს, რომლებისთვისაც შის მოძალადეებს ნაშუსი უნდა ავხადათ. ქარი დაუნდობლად ატყდებოდა თავს იმათ, ვის გადარჩენასაც თვითონ ცდილობდა. ქარი განწირულებს ამგვარ სამსახურს გააფთრებული ბორიტებით უწევდა. ეს ისეთი დახმარება იყო, რომელმაც შებრალება არ იცის.

ამგვარი სასტიკი გადარჩენის შემდეგ კარჭაპი საბოლოოდ ნამხვრევებად იქცა.

მსხვილი, ტყვიისოდენა და მასავით მაგარი სეტყვის მარცვლები ლამის დაცხრილვას უპირებდა ხომალდს. ყოველი გვერდზე გადახრისას ხომკაკლები ისე მოგორავდნენ გემბანზე, როგორც საფანტის მრგვალი ტყვიები. წყლის სტიქიონისაგან ზევიდან და ქვევიდან ნაფატრი კარჭაპი, მასზე გადაბმული ტალღებისა და ქაფის შადრევანში ძლივსლა მოჩანდა. თითოეული მხოლოდ თავის თავზეღა ფიქრობდა.

ადამიანები, რაც მოხდებოდათ, იმას ებღაუჭებოდნენ. ყოველი შენჯღრევის მერე ისინი გაკვირვებით მიმოიხედავდნენ ხოლმე, რათა დაენახათ, რომ ზღვაში გატაცებული არც ერთი მათგანი არ იყო. ყოველ მხრით გადაცვენილი ნაფოტებისაგან ბევრ მათგანს სახე დაკაწვროდა.

საბედნიეროდ, სასოწარკვეთილება ორმაგად აძლიერებს ადამიანის ძალ-ღონეს. შიშით შეპყრობილი ბავშვის ხელი ბუმბერაზის ხელზე სუსტი რიდია. შიშის ზარის წუთებში დედაკაცის თითები ნამდვილ მუხრუჭებად იქცევა: ყმაწვილ ქალს შეუძლია იმ დროს თავისი ვარდისფერი ნაზი ფრჩხილები თუნდაც ქვას ჩაუჭიროს. დასალუპად განწირულები მთელი ძალ-ღონით ცდილობდნენ ადგილზე დარჩენას, მაგრამ ყოველი ტალღა მათ გემბანიდან ნალეკვას უქადდა.

უცბად იხვე შეუბით ამოისუნთქეს.

XVI

იდუმალი მიწყნარება

გრიგალი უცბად ჩადგა.

აღარც ჩრდილოეთის ქარი უბერავდა და აღარც სამხრეთისა. შეწყდა ქარიშხლის გააფთრებული ღმუილი. ყოველგვარი გადასვლისა და შენელების გარეშე ქარ-ხეტყვა ერთ წამში გაქრა სადღაც, თითქოს უფსკრულებში ჩაინთქაო. ვერც მოისაზრებდი, საით გადავარდა. ხეტყვის მაგიერ ჰაერში ისევ თეთრი ფიფქები წამოვიდა, ნელ-ნელა დაიწყო თოვა.

ღელეაც დაცხრა, ზღვა სუფრასავით გადასწორდა.

თოვლბუქმა იცის ასეთი უეცარი დაწყნარება.

როგორც კი ელექტრონის დენი შეწყდება, ყველაფერი მშვიდდება, ტალღებიც კი, რომლებიც ჩვეულებრივ ქარიშხლების შემდეგ ჯერ ისევ განაგრძობენ ხოლმე ღელვა-ხეთქებას. აქ კი პირიქით, აღარავითარი კვალი ახლანდელი მძვინვარებისა. ზღვაც ისე, როგორც მძიმე სამუშაოს შემდეგ მშრომელი კაცი, უცბად იძინებს; ეს თითქოს ეწინააღმდეგება სტატისტიკის კანონებს, მაგრამ სულაც არ აკვირვებს ძველ მეზღვაურებს, რადგან იციან, რომ ზღვა ყოველგვარი მოულოდნელობით არის აღსავსე.

ამგვარი მოვლენები, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც ჩვეულებრივი ქარიშხლების დროსაც თავს იჩენს ხოლმე. ასე მაგალითად, ჩვენი მოხსენებისას იმ დაუვიწყარი გრიგალის დროს, 1867 წლის 27 ივლისს ჯერსიზე რომ ამოვარდა, თოთხმეტი საათის განმავლობაში უწყვეტლივ მბორგავი ქარი უცბად სამარისებურმა მდუმარებამ შეცვალა.

კარჭაპის ირგვლივ რამდენიმე წუთის შემდეგ მიძინებული წყლის უსაზღვრო ზეწარი გადაჭიმულიყო. ამასთან ერთად, რადგან ქარიშხლის უკანასკნელი ფაზა პირველის მსგავსია, სრული სიბნელე ჩამოწვა. ყოველივე, რასაც კი თვალით ხედავდნენ ოდნავ მაინც, ვიდრე სათოვარი ღრუბლები ცაზე ქულებად ტრიალებდა, ახლა ისევ გაუჩინარდა. მიმქრალი სილუეტები გაიმალა, გალხვა და ხომალდი ისევ ყოველი მხრიდან უსაზღვრო წყვდიადმა მოიცვა. ამ უკუნეთ ღამის კედელს, ამ შავად მოგარსულ რკალს მოეცვა

„მატუტინა“. ხიბნელე ყოველ წუთს ვიწროვდებოდა და აუბედითად ნელ-ნელა მკვრივდებოდა ყინულივით. ზენიტში არც ცის პატარა ნაგლეჯი ჩანდა, არც ერთი ვარსკვლავი. მხოლოდ ჩამობურული ნისლის ჭერი იყო. კარჭაპი თითქოს ღრმა ჭის ძირში ჩავარდა.

ამ ჭაში ზღვა გამდნარ ტყვიას დაემსგავსა. წყალი პირქუშმა უძრაობამ გათოშა. ოკეანე არასდროს ისეთი დაღვრემილი არ არის, როგორიც მაშინ, როდესაც იგი გუბესავით მდორდება.

ირგვლივ ყოველივე დუმილს, სიჩუმეს და ღრმა წყვდიადს მოეცვა.

სიწყნარე ბუნებაში ხშირად მრისხანე დუმილია ხოლმე.

მიწყნარებული ღელვის უკანასკნელი შხეფები იშვიათადღა ხწვდებოდა ხომალდის ნაპირებს. გემბანმა ისევ ჰორიზონტალური მდგომარეობა მიიღო და ოდნავღა გვერდულაობდა ხან ერთ და ხან მეორე მხარეს.

აქა-იქ ძლივს შესამჩნევად ტორტმანებდა ხომალდიდან აგლეჯილი აღკაზმულობის ნაწილები. ფარნის მაგივრად ბუშპრიტზე ჩამოკიდებული ყუმბარა, რომელშიც გაფისული ძენძი ენთო, უკვე აღარ ქანაობდა და მისგან ზღვაში ცეცხლიანი წვეთები აღარ ცვიოდა. ღრუბლებში მოთარეშე ქარი ჯერ კიდევ არ ხმაურობდა, ხშირი, ფაფუკი თოვლი ოდნავი დაცურებით ცვიოდა. აღარც მეჩეჩებთან ისმოდა ტალღების ჩოჩქოლი. სამარისებური მდუმარება ჩამოწვა.

ველურობამდე გახელებული სასოწარკვეთილების შემდეგ ტალღებზე უსაშველოდ მოქანავე უბედურებს ეს უეცარი გაყუჩება ენით გამოუთქმელ ბედნიერებად ეჩვენათ. მათ ასე ეგონათ, რომ ტანჯვა-წამებას ბოლო მოეღო. თითქოს ყოველივეს მათ გადასარჩენად უსიტყვოდ პირი შეუკრავსო. მათ ხელახლა მიეცათ იმედი. რაც აქამდე გააფთრებული იყო, ახლა სიწყნარედ იქცა. ეს იმის უტყუარ ნიშნად მიიღეს, რომ მშვიდობა ჩამოვარდა. განამებულმა ადამიანებმა ბოლოს თავისუფლად ამოისუნთქეს. ახლა შეეძლოთ ხელი გაეშვათ ბაგირის ნაწყვეტის, ან ფიცრის ნატეხისათვის, რომლებსაც აქამდე ებღაუჭებოდნენ. შეეძლოთ ფეხზე დამდგარიყვნენ, წელში გაშლილიყვნენ, ევლოთ, ემოძრავათ. სიმშვიდის გამოუთქმელი გრძნობა დაეუფლა მათ. უფსკრულის წყვდიადში არის ხოლმე ხანდახან სამოთხისებური ნეტარების ასეთი წუთები. ისინი

რაღაც სხვა მოელენას წინამორბედობენ. ცხადი იყო, რომ ამ ადამიანს აღარც გრიგალი ეშუქრებოდა, არც აჭაფებული ზეირთები, არც ქარის გახელებული მიძალება — ამ ყოველივეს უკვე თავი დაღწეულ.

ამიერიდან ყოველივე კეთილსასურველად წარიმართებოდა. სამ-ოთხ საათში განთიადიც მოატანს, მათ რომელიმე გამელული ხომალდიდან დაინახავენ და თავისთან გადასხამენ. რაც ყველაზე საშინელი იყო, უკვე გადაიარა. ახლა სიცოცხლეს უბრუნდებოდნენ. ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწეულია: ქარიშხლის ჩადგომამდე ხომალდზე შერჩნენ. თავისთვის ასე ამბობდნენ: „მორჩა და გათავდაო".

უცებ დარწმუნდნენ, რომ ნამდვილად დასასრული დადგა.

ერთი მატროსთაგანი, ჩრდილოელი ბასკი, სახელად გალდეაზუნი, ტრიუმში ბაგირისათვის ჩავიდა და უკან დაბრუნებისას გაიცხადა:

— ტრიუმი სავსეა.

— რით? — შეეკითხა მეთაური.

— წყლით, — უპასუხა მატროსმა.

მეთაურმა იფეირა:

— ეს რაღას ნიშნავს?

გალდეაზუნმა უპასუხა:

— ეს იმას ნიშნავს, რომ კიდევ ნახევარი საათი და ჩაეძირებით.

XVII

უკანასკნელი საშუალება

ძირი შეტეხილი აღმოჩნდა. ხომალდში წყალმა იწყო დენა. როდის მოხდა ეს? ამ შეკითხვაზე პასუხს ვერავინ გასცემდა. როცა ისანი ტალღამ კასკეტებთან მიაგდო, მაშინ მოხდა, თუ როცა ორტაპის მახლობლად გაჩნდნენ, მაშინ? ან იქნებ მაშინ, როცა ორიანიის დასავლეთით კინალამ მორევმა შეიტაცა? უფრო სარწმუნო ისაა, „პიმუნთან" რომ სულ ახლო მივიდნენ, იქ წამოეცვა წუალქვეშა ღრიბის წამახულ თავზე. ეს ბიძგი ვერ შეამჩნიეს, რადგან ქარი ამ

დროს აქეთ-იქით ახეთქებდა მათ. როცა გაშტერება შეეცვალა, ჩხელეტას ველარ გრძნობ.

ტრიუმში მეორე მატროსიც ჩავიდა, სამხრეთელი ბასკი, რომელსაც ავე-მარიას უძახდნენ. დაბრუნებულმა გააშხილა:

— ტრიუმში წყალი ორი ვარის სიმაღლეზეა.

ეს, დაახლოებით, ექვს ფუტს უდრის.

ავე-მარიამ დასძინა:

— ორმოც წუთში ჩვენ ჩავიძირებით.

მაინც საიდან იწყო წყალმა დენა ხომალდში? ნახვრეტი არ ჩანდა, მას ტრიუმში შესული წყალი ფარავდა. შეტეხილი ნაწილი სადღაც ძირძეში, კარჭაპის წყალქვეშა ნაწილში იქნებოდა. მისი მოძებნა შეუძლებელი იყო; შეუძლებელი იყო აგრეთვე მისი დაცობაც. სადღაც ჭრილობა იყო და მისი შეხვევა კი ვერ ხერხდებოდა. თუმცა წყალი ტრიუმში არც ისე სწრაფად მატულობდა.

— წყალი უნდა ამოვხაპოთ! — შესძახა მეთაურმა.

— წყალშემსრუტები არა გვაქვს, — უპასუხა გალდეახუნმა.

— მაშინ ნაპირისკენ უნდა გავცუროთ, — შესძახა ისევ მეთაურმა.

— აბა, საით არის ნაპირი?

— არ ვიცი.

— არც მე ვიცი.

— მაგრამ სადმე ხომ უნდა იყოს?

— უეჭველია.

— ვინმემ წაგვიყვანოს ნაპირისაკენ. — განაგრძობდა მეთაური.

— ჩვენ ლოცმანი აღარა გვყავს, — შეესიტყვა გალდეახუნი.

— შენ მოკიდე ხელი რუმპელს.

— ჩვენ ხომ აღარა გვაქვს რუმპელი.

— კეტიდან გავაკეთოთ; ლურსმნები, ჩაქუჩი! იარაღი! სწრაფად!

— მთელი სადურგლო იარაღი წყალმა წაიღო, აღარაფერი აღარ დაგვრჩა.

— სულერთია, როგორმე უნდა ვმართოთ საქმე.

— რით ვმართოთ?

— სად არის ჩვენი კანჯო? იმაში გადავსხდეთ და ნიჩბები მოვუსვათ.

— კანჯო სადღა გვაქვს.

— მაშ, ისევ კარჭაპზე მოვიშველიოთ ნიჩაბები.

— ალარც ნიჩაბები გვაქვს.

— მაშინ აფრები ავუშვათ.

— ჩვენ ხომ არც აფრა გვაქვს და არც ანძა.

— ანძა ლონგ-კარლინსიდან გავაკეთოთ, აფრა ბრეზენტიდან... აქედან გავალწიოთ, ქარს მივენდოთ.

— ქარიც რომ ჩადგა.

მართლაც, ქარი სულ მთლად ჩაყუჩდა. ქარიშხალი შორს გადაკარგა. მაგრამ დაწყნარება, რომელიც მათ თავის გადარჩენად ჩთვალეს, მათთვის დამღუპველი აღმოჩნდა. სამხრეთ-დასავლეთის ქარს ისევ წინანდებური გაშმაგებით რომ ეკროლა, იგი ტრიუმის წყლით გავსებამდე რომელიმე ნაპირთან მიაგდებდა ხომალდს; ან იჭნებ მის დაძირვამდე ქვიშოვან მეჩეჩზე გაერიყა. გრიგალი ხმელეთამდე მიღწევაში დაეხმარებოდათ, მაგრამ ქარი ალარ ქროდა და ალარც იმედი უნდა ჰქონოდათ. ისინი ახლა იმიტომ იღუპებოდნენ, რომ გრიგალი ჩადგა.

გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა.

ქარი, სეტყვა, გრიგალი, ქარბორბალა — აულაგმავი მტრები არიან, მაგრამ მათ შეიძლება თავი გაართვა; ქარიშხალზე შეიძლება გაიმარჯვო, რადგან ის საკმაოდ შეიარაღებული არ არის. იმგვარ მტერთან, რომელიც თვითონვე ამღვრევს თავის განზრახვებს, ჯენტლთვის შეგიძლია გამონახო ბრძოლის საშუალება. ის აქეთ-იქით უშედეგოდ აწყდება და ხშირად მარჯვე ჯუთითაც ვერ სარგებლობს, მაგრამ მყუდროებასთან საბრძოლველად არაფითარი იარაღი არ მოიპოვება. აქ ხელის ჩასაჭიდი ალარაფერია.

ქარები იგივეა, რაც ცხენოსანთა შეტევა: მედგრად დაუხვდით და მთელი გროვა დაიშლება. ხოლო მყუდროება ჯალათის მარწუხებია.

მძიმე და დაუძლეველი წყალი ნელა და თანაც შეუწყვეტლივ შემოდიოდა ტრიუმში. რამდენადაც ტრიუმში წყალი მატულობდა, იმდენად კარჭაპი უფრო ღრმად ეშვებოდა ზღვაში, თუმცა ეს ძალიან ნელა ხდებოდა.

„მატუტინაზე“ მყოფნი გრძნობდნენ, როგორ ნელ-ნელა ახლოვდებოდა შეშხარავი დაღუპვა, დაღუპვა უბრძოლველად. მათ უკვე

დაეუფლა აუბედითად შმეიდი რწმენა იმისა, რომ ბრმა სტიქიონის ზეიმი აუცილებელია. ჰაერი ოდნავადაც კი არ იძვროდა, წყალზე მცირედი ჭავლიც არ ჩანდა. უძრაობაში რაღაც ულმობელია დაფარული. მორევი სრული დუმილით შთანთქავდა მათ. დამუნჯებული წყლის საშუალებით, უდრტვინველად, უშფოთველად, უმიზნოდ, უანგარიშოდ და უგრძნობლად იზიდავდა თავისკენ დედამიწის სფეროს ცენტრი. მორევი მათ სრული სიმშვიდით ძირავდა. უკვე აღარ იყო აღარც დაღებული ხახა ტალღებისა, არც გრიგალის და ზღვის გაავებული მუქარა, არც ქარბორბალას ქშენა, არც აქოჩრილი ზვირთები ქაფებისა, მსხვერპლის მოლოდინში წინასწარვე რომ გახელებულიყვნენ. ახლა განწირულნი თვალწინ მხოლოდ უსაზღვროების უფსკრულსღა ხედავდნენ, უკვე გრძნობდნენ, რომ მშვიდ სივრცეში იძირებოდნენ, სადაც სიკვდილის გარდა არაფერია. წყალსა და ხომალდის ფერდს შუა მანძილი თანდათან იკლებდა, ეს იყო და ეს. შეიძლებოდა სწორად გამოეანგარიშათ, თუ რამდენი წუთის შემდეგ სულ აღარ იქნებოდა ეს მანძილიც. ახლანდელი სანახაობა სრულიად საწინააღმდეგო იყო ზღვის მოქცევის სანახაობისა: ახლა წყალი კი აღარ იწევდა მათკენ, არამედ ისინი ჩადიოდნენ იმავე წყალში. თვითონ ითხრიდნენ სამარეს. მათი მესაფლავე თვითონ მათივე საკუთარი სიმძიმე იყო.

მათთვის სასჯელი მზადდებოდა არა ადამიანთა კანონის ძალით, არამედ საგანთა კანონის ძალით.

უწყვეტლივ თოვდა და რადგან ზღვის სიღრმისაკენ ჩამავალი ხომალდი სრულებით არ ირხეოდა, თოვლის თეთრი ფიფქები მის გემბანზე ზეწარივით იშლებოდა და კარჭაპს თითქოს სუდარას აფარებდა.

წყალი ტრიუმს თანდათან ავსებდა. არავითარი საშუალება არ იყო წყლის შეკავების, საზაპავიც არ ჰქონდათ. თუმცა ისიც ვერაფერს უშველიდა ამ მდგომარეობას — კარჭაპი გემბანიანი ხომალდი იყო. სამი, ოთხი მაშხალა სადაც მოხვდათ, იქ ჩაარჭვეს და გაანათეს. გალდეაზუნმა რამდენიმე ძველი ტყავის ხაპი მოიტანა. ტრიუმიდან წყლის გადაღვრა განიზრახეს, ჯაჭვურად გამწკრივდნენ, მაგრამ ხაპები უვარგისი გამოდგა. ზოგი ნაკერებზე ირღვეოდა, ზოგი ძირგავარდნილი იყო და წყალი გზადაგზა იღვრებოდა. უთა-

ნაპრობა ხომალდში შემოდენილ წყალსა და იქიდან ამოხაპულს შორის, ბედის დაცინვას წააგავდა, შემოდიოდა მთელი კასრი, იდ-ჯრებოდა ერთი ჭიქა. ყოველგვარი ცდა უშედეგო იყო. ეს სანახაობა იმ ძუნწს მოგაგონებდათ, რომელსაც სურს მილიონი დახარჯოს დღეში, მხოლოდ თითო სუს გაცემით.

მეთაურმა წარმოთქვა:

— ხომალდი სიმძიმისაგან უნდა გავათავისუფლოთ.

ქარიშხლის დროს გემბანზე მდგარი რამდენიმე ყუთი ბაგირე-ბით ანძაზე მიებათ და ისინი გადამტვრეულ ანძას ისევ მიბმული შერჩენოდა. ახლა საბმელები აუშვეს და ხომალდის ბაქნის მოაჯი-რის ერთ-ერთი გადამტვრეული ნაწილიდან ბიძგის კვრით ზღვაში გადაყარეს. ერთი ამ ზანდუკთაგანი ბასკ დედაკაცს ეკუთვნოდა. იმ უბედურს მწუხარებით აღსავსე წამოძახილი აღმოხდა:

— ოჰ! მაგ ყუთში ხომ ჩემი ახალი წითელხარჩულიანი მოსასხა-მია და ჩემი ჩივინიანი წინდები! ის ვერცხლის საყურეებიც, რომლე-ბსაც ღვთისმშობლის დღეს წირვაზე წასვლისას ვიკეთებდი!

გემბანი გაათავისუფლეს, რჩებოდა კაიუტა, იქ ბევრი რამ იყო დაგროვილი. იქ, როგორც მკითხველს ეხსომება, მგზავრების ბარ-გი იყო და მატროსების ნაკრაულები.

ბარგი ამოაჩოჩეს და ხომალდის ბაქნის ფერდის იმავე გადა-მტვრეული ადგილიდან გადაყარეს.

ახვევ მოექცნენ ნაკრაულებსაც.

შეუდგნენ კაიუტის სრულებით დაცლას: ფარანი, ეზელგოფი, კასრები, ჩანთები, სასმელი წყლის ჭურჭელი, ქვაბი საჭმლით, ყვე-ლაფერი წყალს მისცეს.

თუჯის ღუმელს, უკვე დიდი ხნის ჩამქრალს, ქანჩები მოუშვეს, ცემენტის ქვესადებიდან ახსნეს, აიტაცეს გემბანზე, გადამტვრეულ მესერთან მიიტანეს და ისიც წყალში გადაუძახეს. რაც კი შეი-ძლებოდა ხომალდის შიგნითა ადგილიდან დაეძრათ და მოეხსნათ, ყველაფერი ზღვას მისცეს. გადაყარეს ვანტები, რიფერსები, ანძის მონატეხები. დროდადრო ბრბოს უფროსი, ანთებული მაშხალით ხელში, კარჭაპის ცხვირთან განათებულ ციფრებს დააცქერდებო-და, ჩაძირვის სიღრმეს ამოწმებდა. ცდილობდა გამოერკვია, ხო-მალდი კიდევ რამდენ ხანს გაძლებდა ზღვის ზედაპირზე.

XVIII

უკიდურესი საშუალება

ტვირთისაგან განთავისუფლებული „მატუტინა“ ცოტათი უცრონელა, მაგრამ მაინც იძირებოდა.

საზარელ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, უკვე აღარაფრის იმედი აღარ ჰქონდათ. უკანასკნელი საშუალებაც ამოიწურა.

— ხომ აღარაფერია მანდ კიდევ ზღვაში გადასაგდები? — გახძახა მეთაურმა.

დოქტორი, რომელიც ახლა აღარავის ახსოვდა, გუშბანის კაიუტიდან გამოვიდა და წარმოთქვა:

— არის.

— რა არის, აბა? — შეეკითხა უფროსი.

— ჩვენი დანაშაული.

ყველა შეკრთა და ერთხმად შესძახეს:

— ამინ!

დოქტორი მთელი ტანით აიმართა, სახეზე მკვდრისფერი დაედო, მაღლა ცისკენ მიუთითა და წარმოთქვა:

— მუხლი მოიდრიკეთ!

ყველანი შეტორტმანდნენ, პირქვე დამხობას ლამობდნენ.

დოქტორმა განაგრძო:

— ჩვენი დანაშაული მივცეთ ზღვას. ჩვენი მთავარი ტვირთი ის არის. იმისი მიზეზით იძირება ხომალდი. რაღა საჭიროა საცოცხლის შერჩენაზე ვიდარდოთ! სჯობს, სულის გადარჩენაზე ვიფიქროთ. მოვისმინეთ, უბედურნო! ყველაზე უმძიმესია ჩვენი უკანასკნელი დანაშაული, ის, რომელიც ახლახან ჩავიდინეთ, ან უკეთ რომ ვთქვათ, რომლითაც დავასრულეთ ჩვენი დანაშაულობანი. დიდი მკრეხელობაა ზღვის მორევიდან თავის დაღწევა გიდოდეს, როდესაც წარსულში წინასწარ განზრახული მკვლელობის ცოდვა მოგიძღვის. ბავშვისადმი მიყენებული ბოროტება შეცოდებაა წინაშე ღვთისა. ჩვენი წამოსვლა აუცილებელი იყო, ვიცი, მაგრამ ეს აუცილებელ დაღუპვას უდრიდა. ჩვენი ბნელი საქმეების ჩრდილმა ქარიშხალი დაგვატეხა. სწორედ ასეც უნდა ყოფილიყო. ჩვენ დასანანებელი არა გვაქვს რა. აქ, ჩვენს მახლობლად, ამ თევ-

ლით განუმეორებელ წყვილადში ვიყოლის ქალწულობა მეჩვენა და კონცხი პუგი, მაშასადამე, საფრანგეთი. ჩვენთვის ერთი თავშესაფარია რჩებოდა — ესპანეთი. საფრანგეთი ჩვენთვის ნაკლებად სახიფათო რიგია, ვიდრე ინგლისი. თუ ზღვაზე დაღუპვას გადარჩებოდით, სახრჩობელა არ აგცდებოდა. ან ზღვაში ჩაძირვა, ან სახრჩობელაზე ჩამოხრჩობა — სხვა არჩევანი ჩვენთვის აღარ იყო. მას უფალი საფლავს ზღვის ძირეში გვანიჭებს და ღრეც იქ ჩვენ თვითონ ახლახან რაც შეგვეძლო, ყველაფერი მოვემზადეთ, იმისათვის, რომ უბიწო არსება, ბავშვი, დაღუპულიყო. და იქნებ ამ ღუმში მაღლა ცაში მისი უცოდველი სული ბრალსა გვდებს წინაშე ცეცხლშაჯულისა, რომელიც ზეციდან დაგვცქერის. მაშ ვისარგებლოთ უკანასკნელად დარჩენილი მცირე დროით: ვცადოთ, თუ ეს კიდევ შესაძლებელია, ჩვენთვის მისაღწევ ფარგლებში გამოვასწოროთ ჩვენგან ჩადენილი ბოროტება. თუ ის ბავშვი ჩვენი დაღუპვის შემდეგ ცოცხალი დარჩება, დაეხმაროთ მას. თუ ეგი მოკვდება, ყველა ღონე ვიღონოთ, რომ მისგან პატიება დავიმსახუროთ. გავთავისუფლდეთ დანაშაულის სიმძიმისაგან. ძოვიხსნათ ის ტვირთი, რომელიც ხიდიხს გვიქნევნის. ვცადოთ, ჩვენი სულები ღმერთმა არ უგულებელყოს, რადგან ეს ყველაზე საზარელი დაღუპვა იქნებოდა. მაშინ ჩვენი სხეულები თევზების კბილად დარჩებოდა, ხოლო სულებს დეპონები დაეპატრონებოდნენ. შეიბრალეთ თქვენი თავი! შეხვიდრეკით-შეთქი, გეუბნებით! მონანიება ის ნავია, რომელიც არასოდეს იძირება. თქვენ კომპასი ალარ გაგაჩნიათ? ცდებით, ახლა თქვენი კომპასი ლოცვაა.

მგლები კრავებად გარდაიქმნენ. ამგვარი გარდაქმნა გარდაუვალი სასწარკვეთის წუთებში ხდება. ახალი შემთხვევებიც არის ხოლმე, როცა ვეფხვები ჯვარცმას ლოკავენ. როდესაც ამოუცნობის კარი შეიხსნება, გწამდეს — ძნელია, არ გწამდეს — შეუძლებელია. რამდენადაც ნაკლოვანი არ უნდა იყოს აწ არსებული ან წინათ არსებული რელიგიების ცდა, შეეხმაროთ საქმის სურათი, და თუნდაც მაშინაც კი, როდესაც ადამიანის რწმენა გაურკვეველი სახისაა, და ის დოგმატებიც, რომლებსაც მას სთავაზობენ, არ ეთანხმება მის ბუნდოვან წარმოდგენებს მარადისობაზე, მაინც

უკანასკნელ წუთებში ადამიანის სულს უნებლიეთ ძრწოლა მოიცავს. სიცოცხლის მიჯნის იქით რაღაც ამოუცნობი გველის. აი ეს გვქენჯნის, როდესაც სიკვდილის პირას ვიმყოფებით.

სიკვდილის ჟამი სიცოცხლესთან განწირების წუთებია. ამ საბედისწერო წამში ადამიანები მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობის მთელ სიმძიმეს გრძნობენ. რაც უკვე მოხდა, თავისთავად ართულებს იმას, რაც ახლა უნდა აღსრულდეს. წარსულში ბრუნდება და აწმყოში იჭრება. ყოველივე ნახულ-განცდილი თვალწინ ისეთივე უფსკრულად წარმოდგება, როგორც განუცდელი და ეს ორივე უფსკრული, ერთი — შეცდომებით, მეორე — მოლოდინით აღსავსე, ურთიერთის ანარეკლს წარმოადგენს. ამ ორი მორევის შერწყმა თავზარსა სცემს მომაკვდავს.

გაქცეულებმა აქ, მიწიერ სიცოცხლეში გადარჩენის უკანასკნელი იმედიც დაკარგეს. სწორედ ამის გამო დაუბრუნდნენ ისინი საპირისპირო განწყობას. მხოლოდ იქ, უკუნეთი ღამის წყვდიადში, მათ კიდევ შეეძლოთ რაღაცისადმი სასოება მიეპყროთ. თვითონვე მიხვდნენ ამას. მწუხარების წუთებში გონება გაეხსნათ. ამას ისევ ელდა მოჰყვა. რაც სულის ამოხვლის წუთში შეიცნობა, იმასა ჰგავს, რასაც ელვის აღგზნებისას ვხედავთ: ჯერ ყველაფერი, შემდეგ — არაფერი. ხედავ კიდევაც და ამავე დროს ვეღარცა ხედავ. სიკვდილის შემდეგ ჩვენ თვალები ისევ აგვეხილება და რაც ელვა იყო, ახლა მზედ იქცევა.

მათ დოქტორს შესძახეს:

— შენ! შენ! მხოლოდ შენღა გვყავხარ ახლა. რასაც შენ გვიბრძანებ, შევასრულებთ. რა უნდა ვიღონოთ, გვითხარი!

დოქტორმა უპასუხა:

— ახლა ამოუცნობ წიაღს უნდა გადავაბიჯოთ და ცხოვრების სხვა, მეორე ნაპირს მივაღწიოთ. იგი საფლავთა მიღმა მდებარეობს. რადგან მე ყველა თქვენგანზე მეტი ვიცი, ამიტომ სწორედ მე მელის უდიდესი საფრთხე. თქვენ გონივრულად იქცევით, როდესაც ხიდის არჩევას იმას ანდობთ, ვისაც ყველაზე მძიმე ტვირთი აწევს.

და მანვე დასძინა:

— ჩადენილი ბოროტების შეცნობა სინდისსა ქენჯნის.

შემდეგ იკითხა:

— კიდევ რამდენი დრო გვაქვს?

გალდაზუნმა ჩაბარეის სიღრმის მაჩვენებელ რიცხვებს შეხედა და უპასუხა:

— საათის მეოთხედზე ცოტა მეტია.

— კარგი, — წარმოთქვა დოქტორმა.

გემბანის კაიუტის დაბალი ჭერი ერთგვარ მაგიდის მსგავს რაღაცას წარმოადგენდა. ამაზე მიეყრდნო დოქტორი. ჯიბიდან ამოიღო ფანქარი და საქალალდე ამოიღო. საქალალდიდან პერგამენტი. ხნორად ის პერგამენტი, რომელზედაც რამდენიმე საათის წინ ოცითოდე სტრიქონი დაწერა თავისი გარკვეული, მიუხრილი ხელით.

— სინათლე! — გასცა მან განკარგულება.

შეუჩერებელმა თოვლმა, რომელიც წყალჩანჩქერის ქაფის წინწკლებივით ეცემოდა, ყველა ჩირაღდანი მიყოლებით ჩააქრო, გარდა ერთისა. აეე-შარიამ ეს ჩირაღდანი აიღო საბუდიდან, ხელში დაიჭირა და დოქტორს გვერდში ამოუდგა.

დოქტორმა საქალალდე ჯიბეში ჩაიდო, ამოიღო კაიუტის სხვენზე დადგა, კალამიც დადო, პერგამენტი გაშალა და თქვა:

— მოისმინეთ!

და აი, შუა ზღვაში, ფსკერისკენ თანდათანობით მიმავალი ხომალდის ჩონჩხზე, რომელიც ღია საყლაპავზე გადებულ მოქანავე ფიცარს მოგაგონებდათ, დოქტორი გამეხებული ხმით შეუდგა კითხვას, თითქოს ირგვლივ მოჯარული წყვდიადი უსმენსო.

სასიკვდილოდ განწირულნი თავდახრილნი შემოხვეოდნენ ამ მოხუცს. ჩირაღდნის ალი მათ მკრთალ სახეებს უფრო აფერმკრთალებდა. რასაც დოქტორი კითხულობდა, ინგლისურ ენაზე იყო დაწერილი. ხანგამოშვებით, როცა ვისმე საბრალო შხერას თვალს მოკრავდა, რაც ახსნა-განმარტების დუმილით მოთხოვნას ნიშნავდა, დოქტორი კითხვას წყვეტდა და უთარგმნიდა ფრანგულ, ესპანურ, ბასკურ ან იტალიურ ენებზე. ყრუ ქვითინი ისმოდა და მკერდში მუდის ცემის ბაგუნი. ზღვაში ჩასაძირი ხომალდი ისევ და ისევ იყვინთებოდა.

დოქტორმა კითხვა დაამთავრა, პერგამენტი პატარა კაიუტის ჭერზე გაშალა, კალამი აიღო და ხელმოსაწერად დატოვებულ ქალალდის სუფთა ადგილას, ტექსტის ქვეშ, თავისი სახელი გამოიწერა:

დოქტორი გერნარდუს გუსტემიუნდე.

შემდეგ მის ირგვლივ თავმოყრილ ხალხს მიუბრუნდა და უთხრა:
— მოდით და ხელი მოაწერეთ.
პირველად ბასკი დედაკაცი მივიდა, აიღო კალამი და მიაწერა: ასუნსიონ.
შემდეგ ირლანდიელ დედაკაცს გადასცა კალამი, ეს დედაკაცი წერა-კითხვის უცოდინარი იყო და ამიტომ ჯვარი დაუსვა.
დოქტორმა ჯვართან შემდეგი მიაწერა: „ბარბარა ფურმიი, ებუდაში მყოფი კუნძულ ტირიფადან".
კალამი ახლა ბრბოს მეთაურს გაუწოდა.
მან ასე მოაწერა: გაიზდორა, კაპტალი.
ამის ქვეშ გენუელმა თავისი სახელი დაწერა: ჯანჯირატე.
ლანგედოკელმა მოაწერა: ეკ კატურზი, შერჭეული სახელი — ნარბონელი.
პროვანსელმა მოაწერა: ლიუკ-პიერ კაპპარუპი. მაპონის საკტორლო საპატიმროდან.
ამ ხელმოწერების ქვეშ დოქტორმა შენიშვნა გაუკეთა:
„კარჭაპის ეკიპაჟის შემადგენლობაში სამი კაციდან ხომალდის პატრონი ტალღამ გაიტაცა, დანარჩენი ორნი ქვემოთ აწერენ ხელს".
ორივე მატროსმა შენიშვნის ქვეშ თავიანთი სახელები აღნიშნეს. ჩრდილოეთელმა ბასკმა მოაწერა: გალდეაზუნი. სამხრეთელმა ბასკმა: ავე-მარია, ქურდი.
ეს საქმე რომ დასრულდა, დოქტორმა დაიძახა:
— კაპპარუპ!
— აქა ვარ, — გამოეხმაურა პროვანსალელი.
— პარდკვანონეს, მათარა შენა გაქვს?
— დიახ!
— აბა, მოშუცი აქ!
კაპპარუპემ არყის უკანასკნელი ყლუპიც გადაკრა და მათარა დოქტორს მიაწოდა.
ტრიუმში წყალი ყოველ წუთს მატულობდა. ხომალდი თანდათან უფრო მეტად იძირებოდა ზღვაში.
გემბანის დაცარიელებული ნაპირები ნელ-ნელა ინთქმებოდა ზედ თხლად შემოღვრილ ტალღაში.
ყველანი გემბანის შემაღლებულ კუთხეში შეგროვდნენ.

დოქტორმა ჩარაღდნის ალზე შეაშრო ჯერ ისევ სველი ხელწერება. პერგამენტი წერილად დაახვია, რომ მათარის ყელში ჩატენილიყო და შიგნით ჩააჭრინა. შემდეგ მოითხოვა:

— საცობი!

— საცობი რა იქნა, არ ვიცი, — უპასუხა კაპარუპემ.

— აი გვარლის ნაჭერი, — მიაგება ტაკ კატურჩიმ.

დოქტორმა მათარას გაუფისავი გვარლი დაუცო და ბრძანა.

— ფიხი!..

გალდაზუნი ხომალდის ცხვირისკენ გაეშურა, ყუმბარაში ანთებული ძენძი ჩააქრო, ეს მისადაგებული ფარანი ჩამოხსნა და დოქტორს მიუტანა. ყუმბარაში ნახევრამდე კიდევ იყო გაცხელებული ფიხი.

დოქტორმა მათარის ყელი კეპრში ჩაყო, შემდეგ ამოიღო; ახლა მათარა, რომელშიც ყველას მიერ ხელმოწერილი პერგამენტი ინახებოდა, უკვე თაფდაცობილი და დაფისული იყო.

— მზად არის! — წარმოთქვა დოქტორმა.

პასუხად ყველა იქ მყოფთაგანს სხვადასხვა ენაზე გაურკვეველი ლელლული აღმოხდა, რაც აკლდამათა შაებნელ გუგუნს ემსგავსებოდა.

— დაე, აღსრულდეს!

— MLA CILPA! — ცოდვილი ვარ! (ლათ.)

— ASI SEA! — დაე, აღსრულდეს! (ესპან.).

— ARO RAI! — გზა მშვიდობისა (ბასკ.).

— AMEN! — ამინ! (ლათ.).

ეს შეძახილები წყვდიადმა ისევე ჩანთქა, როგორც ცის დუმილით დაშინებული, ბაბილონის გოდოლის მშენებელთა მწუხარე ხმა, რადგან ცამ მათი ღაღადისი არ შეისმინა.

დოქტორმა ზურგი შეაქცია დანაშაულშიც და უბედურებაშიც თავის თანაშოძმეებს და რამდენიმე ნაბიჯი ბაქნის ნაპირისაკენ გადგა. ზედ ნაპირს წაადგა, თვალი უსაზღვრო სივრცეს მიაპყრო და გრძნობით წარმოთქვა:

— შენ ჩემთან ხარ?

ის ალბათ რომელიღაც ვანდს მიმართავდა.

ხომალდი სულ ძირს-ძირს იწვდა.

დოქტორის ზურგს უკან მდგომნი თავ-თავიანთ ფიქრს მისცე-

მოდნენ. ლოცვა უძლეველი ძალაა. ლოცვაში ქედდახრილნი კი არ იყვნენ, თითქოს გადატყდნენ მისი სიმძიმის ქვეშ. მათი მონანიება ერთგვარად უნებლიე იყო. თავს მიწამდე ხრიდნენ ისე, როგორც უქარო ამინდში აფრა იხრება. ერთ კგუფად მიგრიალნი, დაღრეჯილნი და თავდახრილნი, ლოცვისთვის გულზე ხელდაკრეფილნი, სხვადასხვანაირად მწუხარენი, ნელ-ნელა, მაგრამ მაინც სახოწარკვეთილებასა და სასოებაში ცვიოდნენ. თვალწინ პირდაღებული უფსკრულის ანარეკლი იყო და მათ ავაზაკურ სახეებს ახლა მშვიდი ღირსების ბეჭედი დაჩნდა.

დოქტორი ისევ მათთან მივიდა. როგორიც უნდა ყოფილიყო ამ მოხუცის წარსული, იგი საბედისწერო წუთის დასასრულს დიდებული გეჩვენებოდათ. თუმცა მის ფიქრებში ხომალდის გარეშემცველი შავი სივრცე აჭრებოდა, მაგრამ ძრწოლას მაინც არ აეტანა. ეს კაცი არასდროს დაბნეულა. მის სიმშვიდეს თვით შიშის ზარიც ვერ დაარღვევდა. თითქოს სახეზე ჰქონდა ალბეჭდილი, რომ ღმერთის სიდიადე შეიცნო.

მოხუცის გამომეტყველებაში, ამ თავის შინაგან განცდებში ჩანთქმული დამნაშავის გარეგნობაში მოძღვრის ძლევამოსილება იგრძნობოდა.

თუმცა ამას თვითონ ვერც ამჩნევდა

მან წარმოთქვა:

— ისმინეთ!

წუთით სივრცეს გაუსწორა თვალი და დასძინა:

— ჩვენი სიკვდილის ჟამმა დაპკრა!

ავე-მარიას ჩირაღდანი გამოართვა და ჰაერში გააქნია.

ნაპერწკლები მოსწყდა ალს, აიშალა და წყვდიადში გაიბნა.

დოქტორმა ჩირაღდანი ზღვაში გადაისროლა.

ჩირაღდანი გაქრა და მასთან ერთად გაქრა უკანასკნელი სინათლეც. სამარესავით განუჭვრეტელმა წყვდიადმა დაისადგურა.

სიბნელეში დოქტორის ხმა გაისმა.

— ვილოცოთ!

ახლა ისინი თოლზე კი არა, წვალში იდგნენ.

რამდენიმე წუთის სიცოცხლეღა დარჩენოდათ.

მხოლოდ დოქტორი არ დაწოქილა. თოლიის ფიფქების თეთრი ფანტელები, ღამის შავ ფონზე მოშრიალარენი, მის სხეულს ცრემლ-

ბას მსგავსად ეფინებოდნენ. იგი ამეტყველებული ქანდაკება იყო წყლიადობა.

მან პირჯვარი გამოისახა და ხმა აღიმაღლა; იმავე დროს მის ფეხქვეშ გემბანი უკვე ირყეოდა, რაც იმას მოასწავებდა, რომ ხომალდის ჩაძირვას აღარაფერი უშლიდა. დოქტორმა წარმოთქვა:

— PATER NOSTER QUI ES IN COELIS.*

პროვანსელმა იგივე გაიმეორა ფრანგულად:

— NOTRE PERE QUI ETES AUX CIEUX.

ირლანდიელმა დედაკაცმა ბასკელი დედაკაცისათვის გასაგებ ენაზე გაიმეორა:

— AR NATHAIR ATA AR NEAMH.

დოქტორი განაგრძობდა:

— SANCTIFICETUR NOMEN TUUM.*

— QUE VOTRE NOM SOIT SANCTIFIE. — თარგმნა პროვანსელმა.

— NAOMHTHAR HAINM, — წარმოთქვა ირლანდიელმა დედაკაცმა.

— ADVENIAT REGNUM TUUM,* — განაგრძობდა დოქტორი.

— QUE VOTRE REGNE ARRIVE, — გაიმეორა პროვანსელმა.

— TIGEADH DO RIOGHACHD, — წარმოთქვა ირლანდიელმა დედაკაცმა.

დაჩოქილებს წყალი მხრებამდე სწვდებოდა.

დოქტორი განაგრძობდა:

— FIAT VOLUNTAN TUA.*

— QUE VOTRE VOLONIE SOIT FAITE, — ძლივს-ღა წაილუღლუღა პროვანსელმა.

ორივე დედაკაცს მხოლოდ გმინვა აღმოხდა:

— DEUNTAR DO THOIL AR AN HHALAMB!

— SICUT IN COELO, ET IN TERRA,* — წარმოთქვა დოქტორმა.

მას არავინ გამოეხმაურა.

დოქტორმა დაბლა დაიხედა. ყველანი თავებამდე დაეფარა წყალს. დაჩოქილთაგან ფეხზე არავინ წამომდგარა. დაჩოქილნივე უწინააღმდეგოდ დანებდნენ წყალს ჩასანთქმელად.

დოქტორმა კაიუტის სახურავიდან მათარა გადმოიღო და მარჯვენა ხელით მაღლა ასწია.

ხომალდი იძირებოდა და დოქტორიც ჩურჩულით ამთავრებდა ლოცვის უკანასკნელ სიტყვებს.

წყალს ზევით ჯერ კიდევ მოჩანდა მისი გულ-მკერდი, მერე თავი, ბოლოს მაღლა ამართული ხელი, რომელშიც მათარა ეჭირა, თითქოს ეს მათარა მან მარადიულობას უნდა აჩვენოსო.

მაგრამ აი ეს ხელიც გაუჩინარდა. იმ ადგილას ზღვის ზედაპირი კასრში ჩასხმული ზეთივით გადასწორდა.

კვლავ თოვდა და თოვდა.

რაღაც ნათელი წერტილი ამოტივტივდა ზღვის მორევიდან და წყვდიადში ტალღებს შეერია. ეს იყო დაფისული მათარა. იგი მჭიდროდ შემოწნული ტირიფის წნელების წყალობით არ ჩაძირულა.

წიგნი მესამე

ბაშვი წყვდიადში

I

ჩეს-პილი

ჯამაარი ხმელეთზედაც არანაკლებ მძიმეარებდა, ვიდრე ზღვაზე.

იმავე კვლევრ მძიმეარებას გარემოეცვა მიტოვებული ბავშვი. სუსტ, გამოუცდელ არსებას თვითონვე უხდება გამოძებნოს ბრძოლის საშუალებანი ბრმა სტიქიონის გაიფთრებულ თარეშთან. წყვდიადი არაფერს ინდობს. ბუნება არც ასე ხანია, როგორც ჰგონიათ.

მართალია, ზღვის ნაპირზე ქარი თითქმის სულ არ იგრძნობოდა; რაღაც უცნაურად წითდა. სეტყვა არ მოდიოდა, მაგრამ, ხშირი თოვლი ბარდნიდა.

სეტყვა თავ-პირში გიშენს, გაწეალებს, გაგაბრუებს, დაგბეგვავს, გაგსრესს, მაგრამ თოვლის ფიფქები სეტყვაზე უარესია. რბილი, ულმობელი ფიფქები თავის საქმეს უწყრომად აკეთებენ. ხელს თუ შეახებთ, დნებიან. მათი ხიფაქიზე იგივეა, რაც პირმოთნე ადამიანის გულწრფელობა. თეთრი ფიფქები ცვივა, ფენა-ფენაზე ლაგდება და ხვადება, ხოლო პირმოთნე ადამიანი ტყუილს ტყუილს უმატებს იმ ხომალდე, რომ ბოროტმოქმედებასაც აღწევს.

ბავშვი კლავე გზას განაგრძობდა ეხოდენ სქელ ნისლში გაბუეულ მიდამოში. ნისლი პირველად ადეილად დასაძლევ დაბრკოლებად გეჩვენებათ, მაგრამ სწორედ ესაა სახიფათო; იგი უკან იწვევს, მაგრამ როდი იფანტება. ისევე, როგორც თოვლში, ნისლშიც რალაც მუხანათური რამ არის. თუმცა ბავშვს, ბედის უცნაური ვინიანობა-უკულმართობის გამო, ყველა ამ დაბრკოლების წინააღმდეგ უნდა ებრძოლა, მაინც, როგორც იყო, დალმართი ჩაიარა და ჩეს-პილზე გავიდა. თვითონაც არ იცოდა, რომ ახლა ხმელეთის ყველზე იმფოფებოდა; მარჯვნივ და მარცხნივ ოკეანის უსაზღვრო სივრცე გადაშლილიყო. საკმარისი იყო ამ ნისლიან ღამეში და ქარბუქში რა-

მდენიმე უსწორმასწორო ნაბიჯი წაედგა წინ, რომ მარჯვნივ, ღრმა ყურის წყალში ჩაინთქმებოდა, ხოლო თუ მარცხნივ გადაუხვევდა გზას, — გაშლილი ზღვის გაავთრებული ტალღები შთანთქავდნენ. ეჭვიც არა ჰქონდა, რომ ორ უფსკრულს შორის ვიწრო ხმელეთზე მიდიოდა.

იმხანად პორტლენდის ყელი მეტისმეტად სასტიკ, უდაბურ სანახაობას წარმოადგენდა. ახლა ეს ყელი სულაც არა ჰგავს წინანდელს. მას შემდეგ, რაც პორტლენდის ქვიდან რომანული ცემენტის კეთება დაიწყეს, მთელი ეს კლდე-ხიპი წვერიდან ძირამდე გათხარეს: ამით სრულებით შეიცვალა მისი პირვანდელი სახე. მართალია, იქ ჩვენს დროშიც მოიპოვება კირქვები ლიასური ფენებისა, ფიქლები და ტრაპები, რომლებიც სხვადასხვა ქანებს შორის მწკრივად, წვეროკინებად, ღრძილებში ჩამსხდარი კბილებივით გამოსჩანან. მაგრამ წერაქვს სულ გადაუთხრია და მიწასთან გაუსწორებია ეს წამახული, ხიპი ქვის გორაკები, სადაც ორბები იკეთებდნენ თავიანთ უმსგავსო ბუდეებს. სადღაა ის მწვერვალები, რომელზედაც გუნდ-გუნდად დასხდებოდნენ ხოლმე მტაცებელი თოლიები, ან სხვა ზღვისპირა ფრინველები, რომლებსაც მოშურნე ადამიანებივით ეხალისებათ წაბილწონ ყოველივე მაღალი. ამაოდ დაუწყებდით იქ ძებნას უზარმაზარ მონოლითსაც, გოდოლფინად წოდებულს, რაც ძველი უელსელების ენით „თეთრ არწივს" ნიშნავს. ზაფხულობით ამ გადათხრილ, ზღვის ღრუბელივით ნახვრეტებიან ნიადაგზე კიდევ პოულობენ როზმარინს, პიტნას, ზღვის კამას, რომლის ნაყენი სახარგებლოა ჯანის გასამაგრებლად, პოულობენ აგრეთვე კვლანჭა ბალახსაც, რომელიც პირდაპირ ქვიშიან ნიადაგზე ამოდის და, რომელსაც ჭილობების დასაწნავად იყენებენ. მაგრამ იქ ველარ ნახავთ ველარც რუხ ამბრას, ვერც შავ კლდესა და ვერც სამნაირი სახეობის ფიქალს — მწვანეს, ციხფერსა და სალბის ფოთლის ფერს. გადაშენდნენ აგრეთვე მელიები, წავები, ავაზები, კვერნები. პორტლენდის პიტალო ქიმებზე, ისევე როგორც კორნუელის მწვერვალებზე, წინათ ქურციკებიც, არჩვებიცა და ჯიხვებიც დანავარდობდნენ, ახლა უკვე აღარ არიან. ზოგიერთ ადგილას იქ კიდევ ხვდებიან პალტუსებსა და სარდინებს; მაგრამ დამფრთხალი ორაგულები, მთავარანგელოზობა დღიდან დაწყებული, ქრისტეშობის დღემდე აღარ ამოდიან მდინარე უეის სათავემ-

ღვ ქვირითის დასაყრელად. ახლა აღარც ის უცნობი, ქორისლფენა ფრინველები ჩანან, რომლებიც კამლს შუაზე გაკორტნიან ხოლმე და მარტო თესლსა ჭამენ. ძველად, ელისაბედის დროს აქ მოფრინდებოდნენ ხოლმე, აღარც ის ყვითელნისკარტიანი მაღრანები უნახავს კაცს, რომლებსაც ინგლისურად CORNISH CLOUGH-ს და ლათინურად **PYRROCORAX-ს** უწოდებენ და რომლებიც ისლით დახურულ სახლებზე ვაზის ანთებულ შტოებს ჩამოყრიდნენ ხოლმე. არა ჩანს აგრეთვე, შოტლანდიის არქიპელაგიდან აქ გადმობუდებული ჯადოსანი გრიგალა, რომელიც ნისკარტიდან ისეთ ზეთს აწვეთებს, რომ კუნძულის მცხოვრებნი ნათურებში საწვავად ხმარობენ. ვეღარც იმ ძველ, ლეგენდარულ ფრინველს შეხედებით, ზღვის მოქცევისაგან ნაპირზე ჩამდგარ გუბეებში დარჩენილთ, რომლებსაც ფეხები ლორის ფეხებს მიუგავდათ და ხმა — ხბოს ბღავილს. ზღვის მოქცევა აღარა რიყავს ნაპირზე კბილწვეტიან ულვაშა სელაპებს, რომლებიც ფარფლ-თითებით ცოცავენ. პორტლენდი ჩვენს დროში სრულიად შეცვლილია და აღარც კი იცნობა, იქ ბულბულები არასდროს ბუდობდნენ, იმიტომ, რომ ტყე არ იყო; მაგრამ ქორები, გედები და ზღვის ბატები იქ შედარებით გვიან გადაშენდნენ. პორტლენდში ახლად მომრავლებული ცხვრების ხორცი ცხიმიანია და მატყლი რბილი; ხოლო იმ არცთუ მრავალრიცხოვან, დაბალი ტანის ცხვრებს, რომლებსაც აქ ორი საუკუნის წინ აძოვებდნენ და ზღვის სანაპიროზე მარილის შემცველი ბალახით კვებავდნენ, ხორცი მაგარი ჰქონდათ და მატყლიც უხეში. ახეთიც უნდა ყოფილიყო კელტების პირუტყვი, რომელთაც ოდესღაც მწყემსავდნენ ნივრის მოყვარული მეცხვარეები, ისინი ხომ ას წელიწადს ცოცხლობდნენ და თავიანთი გრძელი ისრებით ნახევარ მილზე ამსხვრევდნენ აბჯარს. სადაც მიწა გადამუშავებული არ არის, იქ მატყლიც უხეშია. ახლანდელი ჩეს-ჰილი არაფრით ჰგავს წინანდელ ჩეს-ჰილს: იმ ზომამდეა აქ ფურნაცვალი ყოველივე ადამიანის ხელითა და იმ მეტად გახელებული ქარებისაგანაც, რომელიც ქვასაც კი არღვევს.

ჩვენს დროში ამ ვიწრო ყელზე რკინიგზა გადის ჩეზლტონამდე, ჩეზლტონში ახალი სახლებია ჭადრაკულად განლაგებული. იქვეა სადგური „პორტლენდი", სადაც ოდესღაც სელაპები ხოხავდნენ, ახლა ვაგონები მისრიალებენ.

ორასი წლის წინ პორტლენდის ყელი ზღვის ორივე მხარეს ნაპირებდაქანებული იყო, ხოლო მისი შუა ხაზი სიპი კლდის ხერხემალს წარმოადგენდა.

ბავშვის გარემომცველი ხიფათი და საშიშროება არ დასრულებულა, მან მხოლოდ სახე იცვალა. როცა ბავშვი მაღლობიდან ჩამოდიოდა, ყველაზე მეტად საშიში ის იყო, არ დაგორებულიყო და კლდის ძირას არ დაცემულიყო; რადგან აქ, ყელზე, მას რომელიმე ხრამში ან ფლატეში ჩავარდნა მოელოდა. წინათ უფსკრულთან ჰქონდა საქმე, ახლა კიდევ ჭანჭრობთან. ზღვის ნაპირთან ყველგან მახეა დაგებული: ფრიალო კლდეები, ლიპი და ფეხმოუკიდებელი; ქვიშა — მერყევი. რასაც კი დასაყრდენად ამოირჩევ, სულ ყველა გიმტყუნებს. თითქოს შუშაზე დადიხარ; ყოველ წუთს შესაძლოა ფეხქვეშ ნიადაგი გამოგეცალოს და უკვალოდ გაქრე. ოკეანის ნაპირს, კარგად მოწყობილ სცენასავით, თავისი მრავალსართულიანი ქვედა სათავსები აქვს.

გრანიტიანი მაღალი ფერდობები, რომელთაც ყელის ორივე მხარის დაღმართები ებჯინება, თითქმის მიუვალია. მათზე ძნელად შეიძლება მოიძებნოს ის, რასაც თეატრალურ ენაზე სცენაზე გასასვლელი ეწოდება. ადამიანს ოკეანისაგან სტუმართმოყვარეობის იმედი არ უნდა ჰქონდეს. არც პიტალო კლდეები და არც ტალღები მას გულითადად არ შეხვდებიან. ზღვა მხოლოდ ფრინველებსა და თევზებზე ზრუნავს. მისი ხმელეთის ყელი ყოველთვის გაშიშვლებულია და ქვარიყიანი. ტალღები ორივე მხრიდან ზეჩამორეცხს და ძირსაც უთხრის, რის გამოც ამ ყელს მკვეთრი მოხაზულობა ეძლევა. ყველგან წამახული შვერილებია: თავკიდურები, დაკბილული ხერხემლები, გარღვეული ლოდების ნატეხები, დაკბილულნაპირებიანი სიღრმეები, რაც წვეტიან კბილებჩაწიკწიკებულ ყბას მოგაგონებთ. იქვეა მგლის საჭერი ორმოების მსგავსი ქვაბულები, რასაც ნოტიოთი გაჟღენთილი ხავსი აფარია; კიდევ დახეთქილი ციცაბო კლდეები, ზღვის მოქცევას რომ ზედ დასცქერიან. ვთქვათ, კაცმა მიზნად დაისახა ამ ყელის შუა ხერხემალზე გადაიაროს, მას ყოველ ნაბიჯზე დაუხვდება უზარმაზარი, სახლისოდენა, უსწორმასწორო ჩამონატეხები პიტალო კლდისა, ზოგი ადამიანის თეძოს ან მაჯის, ან ხერხემლის მოყვანილობისა, ეს სანახაობა საზიზღარი ანატომიაა მოშიშვლებული ციცაბოებისა. ქვეითად მიმავალი მაშ-

ამს კახერი არ მოიტეხოს ამ ჩამონატეხების გროვაზე ფეხაკრეფით სიარულის დროს. ახლით სიარული თითქმის უზარმაზარი ჩიჩხის ხერხემალზე გაელას უდრის.

მაშ, აბა, წარმოიდგინეთ ბაეშვი, რომელიც მართლაც პერკულესივით გმირია!

დღის ნათელ შუქზე აქ სიარული რაც უნდა იყოს, მაინც უფრო ადვილი იქნებოდა, მაგრამ ირგვლივ სიბნელე ჩამოწოლილიყო. აქ მეგზურია საჭირო, ბაეშვი კი მარტოდმარტო იყო. აქ დიდ ადამიანსაც ძალზე გაუჭირდებოდა. ამ ასაკის ბაეშს ღონეც კი ცოტა ჰქონდა. მეგზურის მაგივრობას გასაჭირში ბილიკიც გაუწევდა, მაგრამ აქ არავითარი ბილიკები არ ჩანდა. ბაეშვი ალღოთი ერიდებოდა ჩამახული კლდეების ხრახნებსა და ცდილობდა, რაც შეიძლება ნაპირის ახლოს ეკლო, მაგრამ აქ მას სამნაირი სახის ხრამფლატეები ხვდებოდა: ზოგში წყალი იყო ჩამდგარი, ზოგი თოვლს ამოევსო, ზოგი კიდევ ლამსა და ქვიშას. ამ სხვადასხვაობიდან უკანასკნელი ყველაზე უფრო საშიშია, რადგან ქვიშა საფლობია. თუ ხიფათს წინასწარვე მოელი, მაშინ წუხხარ; თუ ხიფათი მოულოდნელად დაგატყდება — ელდა გეცემა. ბაეშვი მახვილის გაუგებარ, ჯერ უცნობ საშიშროებებს ებრძოდა. იგი ბრმასავით ისეთ რაღაცას უახლოვდებოდა, რაც შესაძლოა მისი საფლავი გამხდარიყო.

ბაეშვი უყოყმანოდ მიიწევდა წინ; კლდეებს გზას უქცევდა, ნაპრალებს ერიდებოდა; ალღოთი ცნობდა წყვდიადისაგან დაგებულ მახეებს. დაბრკოლებებს თანდათანობით სძლევდა და შეუპოვრად იკლევდა გზა-კვალს. თუმცა სწორ გზას არ ადგა, მაგრამ მაინც იმედიანად მიდიოდა.

საჭიროების შემთხვევაში ჯამით უკანვე იხევდა, ქვიშიან ფლატეებში ჩაფლული, დროულად ჩამოდგებოდა ზეზე, თოვლს ჩამოიბერტყავდა. არაერთხელ გუბე-წყალში მუხლამდე ჩამდგარს დაძონძილი ტანსაცმელი დასველებია, ზედ შემოყინვია ლამის ძლიერი ყინვისაგან, მაგრამ ამ ზედშემოყინული ტანსაცმლით იგი მაინც ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა; ამასთან იმასაც კი ახერხებდა, რომ თავისი მატრონული ქურთუკი არ დაესველებინა და გულისპირთან სითბოც შეენახა, მაგრამ მაშმილი ისევ წინანდებურად აწუხებდა.

უფსკრულში დაფარული მოულოდნელობები უსაზღვროა. აქ ყველაფერი შესაძლოა, თავის გადარჩენაც კი. მდგომარეობა თი-

თქოს უსაშველოა, მაგრამ გამოსავალი მაინც არსებობს. მაშ რაგორ მოხდა, რომ ბავშვმა, რომელსაც ქარბუქისაგან სუნთქვა უგუბდებოდა, უგზო-უკვლო ვიწრო აღმართზე ორად გაპობილ უფსკრულს შუა გზააბნეულმა, მაინც გადალახა ხმელეთის წვალი! ამას იგი ვერც თვითონ ამოიცნობდა. როდესაც ფეხი უსხლტებოდა, მაშინ მიცოცავდა, ისევ ზევით მიფოფხავდა; ძირს ეკეშოდა და ისევ ფეხზე დგებოდა. გზას ხელის ფათურით იგნებდა და შეუპოვრად წინ მიიწევდა — ეს იყო და ეს. ამაშია საიდუმლოება ყველანაირი გამარჯვებისა. ერთ საათსაც არ გაუვლია და ბავშვმა უკვე იგრძნო, რომ მთიან აღმართზე ადიოდა. მან ხმელეთის ყელის ბოლომდე მიაღწია, ჩეს-ჰილი უკან ჩამოიტოვა და ახლა უკვე ხმელეთის მყარ ნიადაგზე იდგა.

იმხანად ჯერ ის ხიდი არ არსებობდა, რომელიც ახლა სენდფორდ-ქესსა და სმოლმოუს-სენდს აერთიანებს. შესაძლოა ბავშვი სწორი აღლოთი ხელმძღვანელობდა, რაკი იმ თავთხემს მიაღწია, რომელიც სწორედ უპირ რეჯინის პირდაპირ ამართულიყო. მაშინ აქ, ისტ-ფლიტის ჯუარედინზე ქვიშნარიანი ბუნებრივი შარაგზა გადადიოდა.

ბავშვი თუმცა ხმელეთის ყელზე დალუპვას გადაურჩა, მაგრამ მას ჯერ კიდევ წინაღმდეგობას უწევდნენ ქარიშხალი, ზამთარი და ღამე.

მის წინ ისევ და ისევ წვედიადში თვალგადაუწედენელი ხევრცე იყო გადაჭიმული.

ბავშვი მიწას დააცქერდა, ბილიკს ეძებდა.

უცებ დაიხარა.

თოვლზე ფეხის ნაკვალევი რამ შენიშნა.

იქ მართლაც კვალი იყო, ადამიანის ფეხის კვალი. კვალის ანაბეჭდი აშკარად მოჩანდა თოვლის თეთრ საფარველზე, ბავშვი დააკვირდა: შიშველი ფეხის ნაკვალევი იყო. კვალი მამაკაცის ფეხზე მომცრო იქნებოდა, ხოლო ბავშვის ფეხზე უფრო დიდი.

როგორც ეტყობოდა, დედაკაცის ფეხი უნდა ყოფილიყო.

პირველ ნატერფალს მეორე მოსდევდა, მეორეს მესამე, ფეხის ნაკვალევი ერთ ნაბიჯზე თუ შორდებოდა ერთმანეთს და კაკობზე მარჯვნივ მიიმართებოდა. კვალი ახალი იყო, ზემოდან ოდნავ თოვლის ფიფქებით დაფარული. უეჭველია, აქ ახლახან დედაკაცს გაევლო.

დედაკაცი, როგორც ჩანდა, იქითკენ გაემართა, სადაც ბაშვმა კვამლის მოპკრა თვალი.

ბაშვიც ამ მიმართულებით წავიდა და თან ცდილობდა ფუხის ნაკვალევისათვის თვალი არ მოეშორებინა.

II

თოვლის ძალა-გაელენა

რამდენიმე ხანს იგი ამ ფეხის ნაკვალევს მისდევდა. სამწუხაროდ, ნაკვალევი თანდათან უფრო შეუმჩნეველი ხდებოდა. თოვლი ბარდნიდა და ბარდნიდა. ეს სწორედ იმ დროს ხდებოდა, როდესაც კარჭაპი ასეთსავე ხშირ თოვლში, გაშლილ ზღაზე გასული, თავის დასალუპად მიისწრაფოდა.

ბაშვიც იმ ხომალდივით სიკვდილს შებრძოლებოდა, თუმცა სხვა სახით; იგი ეერაფერს ხედავდა გარემომცველ, თვალშეუდგამ სიბნელეში, ეერაფერს, გარდა ამ თოვლზე ნაკვალევისა და ამ ნაკვალევს თვალს აღარ აშორებდა, როგორც გზის მაჩვენებელ ვეზს.

უცბად კვალი გაქრა; იქნებ იმიტომ, რომ იგი ნამქერმა სრულიად დაფარა, თუ სხვა რამ მიზეზის გამო? ირგვლივ ყოველივე ისევ გადასწორებული, თანაბარი გამოჩნდა; არსად აღარაუთარი ნიშანწყალი. დედამიწას მთლად თეთრი ზეწარი გადაჰფარებოდა, ცას კი შავი.

კაცი იფიქრებდა, აქ გაშვლელი დედაკაცი გაფრენილაო.

ძალღონეგამოლეული ბაშვი დაბლა დაიხარა და დააკვირდა, მაგრამ ამაოდ.

წელში გამართვაც ვერ მოასწრო, რომ რალაც გაუგებარი ხმაური შემოესმა; მაგრამ არა სჯეროდა, რომ ეს ხმა მოჩვენებითი არ იყო. ხმა ოხერას მიაგავდა, ოღონდ გასაგონ ფუჩეს; უფრო კი ადამიანის ფუჩეი იყო, ვიდრე პირუტყვისა. მაგრამ რალაც სამარისებური რამ ისმოდა ამ ხმაში, სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ასეთი ხმა ჩვენ მხოლოდ სიზმრად თუ მოგვსვენებია.

ბაშვმა ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ ვერა დაინახა რა.

მის ენინ უსაზღვრო, ხრიოკი, მკვდარი უდაბნო გადაჭიმულიყო. მან სმენა გაიმახვილა, მაგრამ ხმა უცბად შეწყდა. შეიძლება ეს

ყველაფერი მზოლოდ მოეჩვენა, კიდევ მოუგდო ყური; ყველაფერ დუმდა.

ალბათ ხშირ ნისლში რაღაც იყო ისეთი, რამაც სმენითი ჰალუცინაცია გამოიწვია. ბავშვი ისევ გზას გაუდგა.

ახლა იგი ალალბედზე მიაბიჯებდა.

რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ხმა კვლავ განმეორდა. ახლა იგი აღარ ეჭვობდა, ეს კუნესა იყო, თითქოს ქვითინი.

ბავშვი შეშინებულდა, თვალი გაუშტერა ღამის სიბნელეს, — არაფერი ჩანდა.

ხმაური ისევ განმეორდა.

თუ სალხინებელში მყოფ სულებს გმინვა შეუძლიათ, ისინი, უეჭველია, სწორედ ახე გმინავენ.

ძნელია, წარმოვიდგინოთ რაიმე უფრო გულის ამაჩუყებელი, შეშფოთებული და, ამასთანავე, უფრო სუსტი, ვიდრე ეს ხმა, ვინაიდან ეს იყო ვიღაც ადამიანის ხმა. ამ გაუგებარ ფურუნში სიცოცხლის ფეთქვა იგრძნობოდა. ეს იყო ტანჯული სულის ძახილი, თითქოს ის გვეუბნება, მიშველეთო, და თანვე თითქოს მისთვის შეუცნობელი იყო მისივე ტანჯვა და ვედრება. ეს ღაღადისი იქნებ პირველი ამოძახილი იყო, ან იქნებ უკანასკნელიც, სულერთია, ის მაინც მოგაგონებდათ მომაკვდავის სულის ამოსვლის ხრიალს და ახალშობილის ამოძახილს. ვიღაც სუნთქავდა, ვიღაცას სული ეხუთებოდა, ვიღაც ტიროდა, საიდანღაც ყრუ-ხმაური, ვედრება მოისმოდა.

ბავშვმა ყოველი მხარე ფხიზლად მოათვალიერა. შორსაც გაიხედა, თავის ახლოც მოაყოლა თვალი, მაღლაც აიხედა, დაბლაც: არც არავინ და არც არაფერი ჩანდა.

სმენა დაძაბა, ხმა კვლავ შეშოესმა. მან აშკარად გაიგონა ხმა, ეს ხმა ცოტათი ბატკნის ბღავილსა ჰგავდა.

ბავშვი შიშმა აიტანა და გაქცევა სცადა.

გმინვა კიდევ განმეორდა, ახლა უკვე მეოთხედ. მასში წარმოუდგენელი ტანჯვა და ვედრება გამოიხატებოდა; იგრძნობოდა, რომ ეს უკანასკნელი ძალ-ღონე მოკრიბა, უფრო უნებური, ვიდრე შეგნებული. იგრძნობოდა ისიც, რომ ეს ამოძახილი ალბათ მაშინვე სამუდამოდ უნდა ჩახშულიყო. იგი მშვენელს უხმობდა, ემუდარებოდა, მომაკვდავი უანგარიშოდ მიმართავდა სიერცეს; ამ სიერციდან მშ-

ვულული უნდა გამოჩენილიყო. ის იყო სიკვდილის პირას მისული უხილავი ბედისწერისადმი შევედრებული წუწუნი, ბავშვი სწორედ იმ მხარეს წავიდა, საიდანაც ხმა მოისმოდა.

მაგრამ იგი წინანდებურად ვერაფერს ხედავდა.

სმენა გაიმახვილა და კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

კვნესა გაურკვეველი და ძლივს მოსასმენი კი არ იყო, იგი ახლა უკვე გარკვევით, ხმამაღლა, სადღაც სულ ახლოდან მოისმოდა, მაგრამ საზუსტოდ საიდან?

ვიღაცის შესაბრალისი მუდარა, აცახცახებული ხმები აღწევდა მის ყურამდე. ადამიანის კვნესა-გმინვა სივრცეში გახმიანებული — აი რა ესმოდა ბავშვს თვალით განუჭვრეტელ სივრცეში. ყოველ შემთხვევაში, მას ასეთი შთაბეჭდილება დარჩა — ბუნდოვანი, როგორც ის ხშირი ნისლი, რომელშიაც თვითონ გზას ძნელად იკვლევდა.

ბავშვი გაქცევის სურვილსა და დარჩენის სურვილს შორის შეუცნობელ რყევაში იყო. უცბად შეამჩნია, რომ მისგან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, თოვლზე ტალღისებურად შემაღლებული ადგილი იყო, ადამიანის სხეულისოდენა, არცთუ მაღალი ბორცვი, მოგრძო და ვიწრო, რაღაც თითქოს საფლავის მიწის ყრილივით დათოვლილ სასაფლაოზე.

ახლა კვნესა-გმინვა შეკივლებამ შეცვალა.

კივილი ბორცვის ქვეშიდან მოისმოდა.

ბავშვი ჩაიკუნტა თოვლის ნამქერთან და აჩქარებით ორივე ხელით თოვლი გადაყარა. მის წინ ადამიანის სხეულის მოყვანილობა აისახა, აი, გადათხრილ ჩაღრმავებულში გაფითრებული პირისახე გამოჩნდა.

ნუთუ ეს არსება ყვიროდა? არა, მას თვალები დახუჭული ჰქონდა, პირი დაღებული, მაგრამ თოვლით გავსილი.

ბავშვმა სახეზე ხელი მოუთათუნა, ერთი კუნთიც არ შეტოკებია, არც შემკრთალა. ბავშვს თითები მოყინულ-გათოშილი ჰქონდა, მაგრამ ამ სახის სიცივე უფრო მეტად შეიგრძნო. ეს თავ-პირი დედაკაცისა უნდა ყოფილიყო: გაჩეჩილ თმებში თოვლი ჩატკეპნოდა, დედაკაცი მკვდარი იყო.

ბავშვმა ხელახლა ყარა, ყარა თოვლი და გამოჩნდა მიცვალებულის ყელი, შემდეგ ძონძმანძით მოსილი სხეულის ზემოთა ნაწილი, აქა-იქ შიშველი სხეული მოუჩანდა.

ბავშვმა ხელებზე ოდნავი მოძრაობა იგრძნო. თოვლის ნამქერის ქვეშიდან რაღაც პატარა ჩუჩუნებდა. ბიჭუნამ თოვლი სწრაფად მოგრძოვარა და რას ხედავს! დედის გაშიშვლებულ მკერდს მიაკრო და სრულიად ტიტველი პაწაწინა გოგონას საცოდავი სხეული; მისუსტებული, სიცივისაგან გალურჯებული, იგი ჯერ ისევ ცოცხალი იყო.

დახეული შუახვევები, რომლებშიც ეს ბალღი შეეფუთათ, მოძრაობაში გადასჭრიდნენ. მისი უსუსური სხეულის ხითხოხა და სუნთქვას თოვლი ცოტათი გაელხო. ძიძა ამ ბალღზე იტყოდა, ხუთი-ექვსი თვისა იქნებაო, მაგრამ ვარაუდით მას ერთ წელს ბევრი აღარ უკლდა. ცუდი პირობების გამო ხომ ბავშვებს რაქიტი უჩნდებათ, რაც ზრდასაც საშინლად აფერხებს. გამოჩნდა თუ არა თოვლიდან პაწაწას პირისახე, მისი გამწარებული ტირილი მკვეთრი კივილით შეიცვალა. დედა, უეჭველია, მკვდარი იყო, ამ გულამოსკვნილმა ტირილ-კივილმა რომ ვერ გააღვიძა.

ბიჭუნამ ბალღი ხელში აიყვანა.

გათოშილი დედა საშინელ შთაბეჭდილებას ახდენდა. მის პირისახეს რაღაცნაირი მოჩვენებითი შუქი ეფინა. მისი გაღებული პირი თითქოს ლამობდა აჩრდილების გაურკვეველი ენით ეპასუხა იმ შეკითხვებზე, როგორითაც იქ, მკვდრების უხილავ ქვეყანაში მიმართაედნენ. ხშირი შავი თმების ქვეშოთ ახალგაზრდული შუბლი და თითქმის მრისხანედ შეკრული წარბები, მიძგნაფული ნესტოები, დახურული ქუთუთოები, თრთვილისგან მიწებებული წამწამები და თვალთა კილოებიდან ბაგეთა უპვებამდე ჩამონადენი ცრემლთა კვალი მოუჩანდა. თოვლი მკრთალ ელვარებას აფენდა ამ მკვდარ პირისახეს. ზამთარი და საფლავი სულაც არ არიან ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილნი. გვამი მხოლოდ და მხოლოდ გაყინული ადამიანია. ამ გაშიშვლებულ გულ-მკერდს კი რაღაც ამაღელვებელი იერი მისცემოდა. მან თავისი დანიშნულება შეასრულა. ჭკნობის ტრაგიკული ბეჭედი, რაც მას აჩნდა, იმას ნიშნავდა, რომ ამ, ან უკვე უსიცოცხლო არსებას, სიცოცხლე მიენიჭებინა სხვა არსებისათვის; ქალწულებრივი სიფაქიზე დედობრიობის სიდიადით შეუცვლია. მის ცალ ძუძუზე თეთრი მარგალიტი ელავდა. ეს იყო მიყინული რძის წვეთი.

აქვე უნდა განვმარტოთ, რომ სწორედ იმ ველ-მინდორში გა-

ძველ გზაზე, რომელსაც ეს მიტოვებული ბიჭუნა დაადგა, ცოტა ადრე მოლასლასებდა თავშესაფრის მაძიებელი, გზააბნეული მათხოვარი ქალი, მას მკერდზე ბალღი მიეკრა. სიცივისაგან გათოშილი ქარის გახელებულმა წამოქროლამ წააქცია და წამოდგომა ვეღარც შეძლო. ქარბუქმა ნამქერი მიაყარა. უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა ქალმა და ბავშვი გულში ჩაიკრა, ჩაიკრა და მოკვდა.

პაწაწა ლამობდა ტუჩებით ამ მარმარილოს მიჰკონებოდა. იგი შეუცნობელი გულუბრყვილობით ეძებდა თავისთვის საზრდოს და ამაში ბუნების კანონების საწინააღმდეგო სულაც არა იყო რა, ვინაიდან დედას, რომელსაც ახლახან აღმოხდა სული, კიდევ შესძლება ბალღისთვის ძუძუს წოვება.

მაგრამ ბალღის პატარა ტუჩებმა ვეღარ მიაგნო, როგორც ჩანს, იმ ძუძუს, რომელსაც რძის წვეთი მიჰყინოდა. ამასთანავე, რაკი ბალღი აკვანს უფრო იყო შეჩვეული, ვიდრე საფლავს, ამიტომაც იყო, რომ მან თოვლის ქვეშიდან ამოიტირა.

მიტოვებულმა ბიჭუნამ განწირული ბალღის ამოძახილი რომ გაიგონა, მიყრილი თოვლი გადათხარა და ბალღი ამოიყვანა.

ბიჭუნა წელში გაიმართა და ბალღი ხელში აიყვანა.

ბალღმაც იგრძნო და დაჩუმდა. ორივე ბავშვის პირისახე ერთმანეთს შეეხო და ბალღის გალურჯებული ტუჩები ბიჭუნას ლოყას ისევე მიეკონა, როგორც დედის მკერდს.

პაწაწა იმ ზომამდე მისულიყო, როდესაც გაცივებული სისხლი გულის ცემას აჩერებს. დედას უკვე მოესწრო რამდენადმე მაინც შეეზიარებინა იგი თავის სიკვდილთან. გვამის სიცივე გარემოზეც ვრცელდებოდა: პატარა ბალღის ხელ-ფეხი თითქოს შეებოჭა ამ გამთოშველ სიცივეს. მისი სუნთქვა ბიჭუნამაც შეიგრძნო.

ბიჭუნას მშრალი და თბილი მხოლოდ მატროსული ქურთუკი ჰქონდა. მან ნამცეცა ბავშვი ისევ მკვდრის გულზე დადო, ქურთუკი გაიხადა, გოგონა შიგ გაახვია და ისევ ხელში აიყვანა. ახლა თვითონ ნახევრად შიშველი დარჩა, ნეტავ ამ გამძვინვარებული ქარტეხილიდან რას უნდა დაეცვა! მან ბალღს ხელი მოხვია, გულზე მიიკრა და ისევ გზას გაუდგა.

ბალღმა კვლავ მოძებნა ბიჭუნას ლოყა, ტუჩებით მიეკონა და უკვე გამთბარს ჩაეძინა. ეს იყო პირველი კოცნა წყვდიადში შეხვედრილი ორი ბავშვის სულისა.

დედა თოვლში დარჩა, მას სახე ჩამობნელებული ცისკენ მიეპყრო. მაგრამ იმ წუთში, როდესაც ბიჭუნამ ქურთუკი გაიხადა, რომ ბალღი შიგ გაეხვია, მიცვალებულმა შესაძლოა ეს დაინახა კი უსასრულობიდან, სადაც უკვე მისი სული იმყოფებოდა.

III

ყოველი მომქანცველი გზა ტვირთის გამო უფრო რთულდება

ოთხ საათზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც კარჭაპი პორტლენდის ყურეს გაშორდა და ბიჭუნა ნაპირზე მარტოდმარტო მიატოვა. იმ დროს, როდესაც ყველასაგან მიტოვებული ალალბედზე დაბორიალებდა, მას საზოგადოების მხოლოდ სამი წარმომადგენელი შემოხვდა. ამ წრეს იგი შესაძლოა მომავალში შეერთებოდა. ესენი იყვნენ: მამაკაცი, დედაკაცი და ბალღი — გოგონა კი მას ხელში აყვანილი მიჰყავდა.

დაღლილობისა და შიმშილისაგან იგი ფეხზე ძლივსღა იდგა, მაგრამ ახლა უფრო მხნედ მიიწევდა წინ, ვიდრე აქამდე; ძალ-ღონე საგრძნობლად დააკლდა. ახლა ხომ თითქმის მთლად გაშიშვლებული იყო; ის ძონძმანძიც, სხეულს რომ ოდნავ უფარავდა, ყინვას გაეშეშებინა, რის გამოც სხეულში შუშის ნატეხივით ესობოდა და კანს უხეხავდა. ბიჭუნა ითოშებოდა, სამაგიეროდ, გოგონა თბებოდა. იგი სითბოს ამაოდ როდი კარგავდა, უსუსური ბალღი თბებოდა ამით. ბიჭუნა გრძნობდა, რომ ნამცეცა ბალღის სხეულს სიცოცხლე უბრუნდებოდა, და შეუპოვრად განაგრძობდა გზას.

დროდადრო დაიხრებოდა ხოლმე, თან ცდილობდა, ბალღი ხელიდან არ დავარდნოდა, სავსე მუჭა თოვლს აიღებდა და ფეხის ტერფებს იზელდა, რომ მთლად არ მოყინვოდა და არ გაშეშებოდა.

ხან კიდევ, როცა ყელი ამოუშრებოდა, პირში ცოტა თოვლს ჩაიყრიდა და წუწნიდა; მაგრამ ეს დიდი ხნით არ უკლავდა წყურვილს და სიცივის ჟრჟოლასაც იწვევდა. წამიერი შეღავათი ტანჯვას უძლიერებდა.

ქარბუქი გახელებულიყო და მის მძვინვარებას უკვე საზღვარი

ალარა ჰქონდა. ბუნებაში იმგვარი მოვლენებიც შეიმჩნევა, რომელთაგანაც შეიძლებოდა თოვლის წარღვნა გვაწყობინა. ეს ხმაური თოვლი და ნამქერები სწორედ რომ თოვლის წარღვნა იყო. გაფითრებული ქარიშხალი მარტო ოკეანეს როდი დაატყდა, იგი სანაპიროზედაც მძვინვარებდა. ალბათ სწორედ ამ დროს იყო, რომ კარჭაპი აწყდებოდა ტალღიდან ტალღას და მჭიქებთან ორთაბრძოლაში კარგავდა თავისი აღკაზმულობის უკანასკნელ ნარჩენებს.

ამ ქარიშხლის პირისპირ ბაეშვი აღმოსავლეთისკენ მიდიოდა; მან თოვლიანი ფართო სივრცეები გადაიარა. რა დრო იყო, ვერ წარმოედგინა. უკვე დიდი ხანია, რაც კვამლს სულ ველარ არჩევდა. ასეთი ნიშნები ღამის წყვდიადში საკმაოდ მალე ქრება. ისიც უნდა ითქვას, რომ შუაღამე გადასული იყო და ცეცხლი დიდი ხანია ყველგან ჩაქრობოდა. ბოლოს და ბოლოს შეიძლება შეცდა კიდეც და იმ მხარეს, საითაც ის მიისწრაფოდა, არც ქალაქი იყო და არც სოფელი.

მაგრამ ამ ეჭვებს სრულებითაც არ შეუსუსტებია მისი სმტკიცე.

ნამცეცა ბალღმა ორჯერ-სამჯერ წამოიტირა. ბიჭუნა ნაბიჯის შეუფერხებლივ ანანავებდა მას; ბალღიც წყნარდებოდა და ჩუმდებოდა. ბოლოს კიდევაც დაეძინა მაგარი, უდრტვინველი ძილით. თვითონ სიცივისაგან კანკალებდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ბალღი იყო ჩათბუნებული.

იგი მალიმალ ბეჯითად ფუთნიდა მას ქურთუკში, ყელთან უსწორებდა, რომ შიგნით თოვლის ხორხოშელას არ ჩაეღწია და ბალღის ჩამთბარ სხეულს ცივი თოვლი ზედ არ დასდნობოდა.

ვაკობი ალაგ-ალაგ ტალღისებურად იყო აბორცვილი, ღარტაფებში ნამქერს იმდენი თოვლი ჩაეტანა, რომ ბიჭუნა თითქმის წელამდე ეფლობოდა შიგ; თოვლს ფეხებით აქეთ-იქით ყრიდა და ასე ძლივძლივობით იკვლევდა გზას.

ღარტაფიდან ამოსული ბიჭუნა ახლა გორაკის განიეზე მოხვდა, სადაც ქარს უკვე თავისუფლად ეთარეშა და თოვლის თხელი ფენა-და დარჩენილიყო, ისიც მოყინული.

გოგონას თბილ სუნთქვას ლოყაზე გრძნობდა, წუთიერად ათბობდა, საფეთქლთან თმას უორთქლავდა და ამ ორთქლისაგან ყინულის ლოლუები ჩნდებოდა.

ბიჭუნა გრძნობდა, რომ მისი მდგომარეობა კიდევ უფრო გარ-

თულდა. ახლა არ უნდა ჩაქცეულიყო, იცოდა, თუ ჩაიქცეოდა, შ-
ღარც ადგებოდა. დაღლილობისგან ძალ-ღონე აღარ ჰქონდა. წვ-
დიადი მას მძიმე ტყვიასავით მიწაზე დააკრავდა და იმ მკვდარ
დედაკაცივით ერთიც ცოცხლად მიჰყინავდა გათოშილ ნიადაგზე.
აქამდე იგი არაერთხელ იდგა უფსკრულის პირას, მაგრამ შვი-
დობიანად იკვლევდა გზას. არაერთხელ ჩაბორძიკებულა, ორჯ-
ერანტებში ჩავარდნილა, მაგრამ ისევ უენებელი ამოცოცებულა.
ახლა კი ჩაქცევა თითქმის საკვდილს უდრიდა. ფეხი რომ ჩას-
ცდენოდა, საკვდილს ვერ ასცდებოდა. ახლა, უბრალოდ, ფეხის
დასხლტომაც კი საშიში იყო; ღონე აღარ ეყოფოდა, მუხლებზე
მაინც წამომდგარიყო. ხოლო აქ ყოველ წუთს შეიძლებოდა ფეხი
დასცურებოდა, რადგან ირგვლივ, მთელ სივრცეს ყინულის ქერქი
გადაკვროდა.

ცოცხალ ტეირთს მაგრად იკრავდა გულში, მაგრამ იგი მეტის-
მეტად უძნელებდა სიარულს; ეს სიმძიმე ბიჭუნას ძალ-ღონეს
არა მარტო ალემატებოდა, თუ მხედველობაში მივიღებთ მის დაღ-
ლილობასა და შიმშილისაგან დასუსტებას, ეს ტეირთი მისთვის
დაბრკოლებაც იყო. ბალღი ორივე ხელით ეჭირა, მაშინ, როდეს-
აც მოყინულზე სიარულის დროს ხელებით უნდა შეინარჩუნო წო-
ნასწორობა.

ხელები აუცილებელი, ბუნებრივი საშუალებაა ამ დროს.

ამიტომ იგი ცდილობდა, მოყინულზე არ ჩაქცეულიყო.

მიდიოდა და აღარ იცოდა, თავისი ტეირთისთვის როგორ
მოეცლო.

ნამცეცა ბალღი ის წვეთი აღმოჩნდა, რომელმაც მისი სიმწრის
ფიალა პირამდე აავსო.

მეტად ფრთხილ ნაბიჯებს დგამდა. გეგონებოდათ, ფეხს გაჭი-
მულ თოკზე დგამსო. წონასწორობას ისეთი საოცრებით ინარჩუ-
ნებდა, როგორსაც ვერც ერთი სულიერი ვერ შეძლებდა. თუმცა,
ვიმეორებთ, ამ მწუხარებით აღსავსე მგზავრობაში შესაძლებელია
მას უსახრულობის წყვდიადიდან განჭვრეტდნენ დედის გამოხველ-
ილი თვალები და ღვთის თვალი.

ბაეშვს დაღლილობისაგან ნაბიჯი ერეოდა, წამიერად ბორძიკობ-
და ან ირყეოდა და ნაბიჯს გვერდულადღა დგამდა; მაინც ცდილობდა
არ ჩაქცეულიყო და სულ ნამცეცა ბალღზე ზრუნავდა — ქურთუკში

ჭიდრიდ აბუეედა, თაეზე აფარებდა. ისევ და ისევ ბორძიკობდა, მაგრამ მაინც არ ჩერდებოდა. ფეხი უსხლტებოდა და ისევ წელში სწორდებოდა. ხოლო ქარი მაინც კიდევ იმდენ სიმდაბლეს ძერწდა, რომ ზურგიდან უბერავდა და წინ უბიძგებდა.

ისიც სარწმუნოა, რომ ამ ბავშვს გზა აბნეული და ბევრი უხეტიალია; ყველაფრიდან ჩანდა, რომ ის ახლა იმ მინდვრიანზე იმყოფებოდა, სადაც შემდეგ ბინკლიეის ფერმა აშენდა, ახლანდელი სპრინგ-გარდენისა და პერსონეჯ-პაუხის გზათა კვეთაზე. ახლა იმ ადგილას ფერმები და კოტეჯებია გაშენებული; ხოლო მაშინ იქ მარტო გაეერანებული ადგილები იყო. იშვიათი მოელენა რიდი ყოფილა, რომ ეს წელზე ნაკლებ დროში ხრიოკი და უკაცური ეელი აყვაეებულ ქალაქად ქცეულა.

ძეელებამდე გამთოშეული ქარბუქი, თოელის ფანტელები ბიჭუნას თეალებს რომ ახუჭვინებდა, წუთით ჩადგა. ბავშვმა შორიახლოს შენიშნა თოელით დაფარული სახურაეები და საკვამურები — მთელი ქალაქი. ჰორიზონტის შაე ფონზე ქალაქი თეთრ ლაქასაით მოჩანდა. ეს იყო სილუეტი შებრუნებით. რაღაც ისეთი, რასაც ახლა ნეგატივს უწოდებენ.

სახლ-საცხოერებლები, ღმის გასათეეი!.. მაშასადამე, ბიჭუნა უკვე სადღაც მილასლასებდა. საოცარი მხნეობა გამოიჩინა, რომლისაც მხოლოდ იმედი ბადებს ადამიანში. გეზს აცდენილ ხომალდზე საგუშაგოს მორიგეც ასეთსაეე ძლეეარებას განიცდის, როდესაც თანამგზაერების გასაგონად შესძახებს: „დედამიწაო". ბავშვმა ნაბიჯს აუჩქარა.

მან ბოლოს და ბოლოს ხალხი იპოეა. მალე ცოცხალ ადამიანებს შეხედება! სადღა იყო შიში! რაკი თავი გადარჩენილად ჩათეალა, ხასხლი ძლიერად აუჩქროლდა ძარღეებში. ის, რაც ახლახან განიცადა, უკვე საბოლოოდ დამთაერებული ეგონა: აღარც ღმე იქნება, აღარც ზამთარი, არც ქარიშხალი. მისი აზრით, ყველაფერი, რაც ასე საშინელი იყო, უკვე წარსულს ჩაბარდა. ნამცეცა ბალღი თოფოლის სულაც აღარ აშძიმებდა, ბიჭუნა თითქმის გარბოდა.

ოგი მიშტერებოდა შორიახლოდან გამოჩენილ სახლების სახურაეებს. ამ სახურაეების ქეეშ ხომ სიცოცხლე დუღდა და ისიც მათ თეალს არ აშორებდა. ამგეარად მკედარი თუ მიაშტერებდა თეალს იმ ქეენიერებას, რომელიც მას ოდნაე ახდილი კუბოს სახურაეი-

დან წინ დაესახებოდა. რაც მან დაინახა, ეს სწორედ ის საკვირველი იყო, რომელთა კვალიც ადრევე შეუნიშნა შორიდან.

ახლა არც ერთი მათგანიდან კვამლი აღარ ამოდიოდა.

ბავშვმა სწრაფად მიაღწია მახლობელ სახლებს.

ამ გარეუბანში მივიდა, საიდანაც ქალაქში შესასვლელი იწყებოდა. იმხანად ღამღამობით ქალაქის ჭიშკრებს უკვე აღარ ხურავდნენ.

გარეუბანში ორი სახლი იდგა, მაგრამ ამ სახლებში არც ერთი სანთელი არ ენთო, არც ერთი ლამპარი. ასევე არც მთელ ქალაქში, არც მთელ ქუჩაზე, არც ერთგან სინათლის შუქი არ მოჩანდა.

მარჯვნივ სახლი იმდენად უბადრუკი იყო, რომ ის ფარდულს უფრო ჰგავდა, ვიდრე საცხოვრებელ შენობას. კედლები თიხით შელესილი და ისლით დახურული ჰქონდა, ეს სახურავი კედლებთან შედარებით არათანაზომიერად დიდი მოჩანდა. კედლთან იმსამალლე ჭანჭრები ამოსულიყო, რომ თითქმის ჭერსა სწვდებოდა. ამ ქოხის კარი კატის საძრომელას ჰგავდა. მხოლოდ ერთი პატარა ფანჯარა ჰქონდა, ისიც სულ მაღლა, თითქმის ჭერქვეშ. ქოხი დაბნელი იყო. იქვე გვერდით, ბოსელში, ღორი ღრუტუნებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ სახლში ვიღაც ცხოვრობდა.

მარცხნივ მაღალი, გრძელი შენობა მოჩანდა, ფიქლით დახურული. მდიდრის დარბაზები ლატაკთა ქოხის პირდაპირ წამოჭიმულიყო.

ბიჭუნა უყოყმანოდ გაემართა ამ დიდი სახლისკენ.

მძიმე, ლურსმნის თავებით მოჭედილი, მუხის ორკარედი, ეჭვს არა ბადებდა იმაში, რომ იგი რამდენიმე ურდულსა და ბოქლომზე იქნებოდა დაკეტილი. გარედან მძიმე სარკეცელა — ჩაქუჩი ეკიდა.

ბავშვმა ძლივს ასწია ეს ჩაქუჩი — მისი ყინულისგან გათოშილ-დაბუჟებული ხელები მონაჭერ ჯარგვალს დამსგავსებოდნენ. მან ჩაქუჩი კარზე მიარტყა.

არაფითარი პასუხი.

კიდევ ორჯერ დაჰკრა ჩაქუჩი კარზე მიჭედილ ყადალს.

სახლიდან არაფითარი ხმა და ჩქამი არ მოისმოდა.

მან მესამედაც დაჰკრა, არაფერ გამოეხმაურა.

ბავშვმა იფიქრა, რომ სახლის პატრონებს ან სძინავთ, ან ღვინიდან ადგომა ეზარებათო.

ახლა იგი ქოხს მიადგა, თოვლში ქვა მოძებნა და იმით მოუკაკუნა დახშულ კარებზე.

არავითარი პასუხი.

ფეხის თითებზე შედგა და პატარა სარკმელზე ქვით საკმაოდ ფრთხილად მიაკაკუნა, რომ შუშა არ გატეხილიყო, მაგრამ იმდენად ძლიერად კი, რომ კაკუნი გაეგონათ.

არავინ არც განძრეულა, არც გამოხმაურებია, არც ვინმეს სანთელი აენთო.

ბავშვი მიხვდა, რომ ლოგინიდან ადგომა არავის სურდა. რადგან როგორც ქვითკირის დარბაზების, ისე ისლით დახურული ქოხის მცხოვრებთაგან ბედუკუღმართის ვედრებას ყური არავინ ათხოვა.

ბავშვი იმედგაცრუებული გახდა. სხვაგან ეცადა ბედი და პირდაპირ მოუთმენლად ქალაქისკენ მიმავალ ვიწრო შუკას დაადგა. შუკა იმდენად ჩაწყვდიადებული იყო, რომ უფრო ორი პატარა კლდის შუა ხევს მოგაგონებდათ, ვიდრე ქალაქის ქუჩას.

IV

უდაბნოს სხვანაირი სანახაობა

ბავშვი იმ დასახლებულ უბანში მიხვდა, რომელსაც უეიმუთი ეწოდებოდა.

მაშინდელი უეიმუთი ისეთი პატივცემული და შესანიშნავი როდი იყო, როგორიც ახლანდელია.

ძველებურ უეიმუთში არ იყო უნაკლო, ისარივით სწორი სანაპირო ქუჩა. ამ სანაპიროზე ახლა გეორგ III-ის ძეგლია აღმართული, აქვე არის სასტუმრო, ამავე მეფის სახელობისა. ეს იმით აიხსნება, რომ იმ დროს, რომელსაც ჩვენ ვეხებით, გეორგ III ჯერ ქვეყნად არ დაბადებულიყო. ამავე მიზეზით უეიმუთის აღმოსავლეთით, მწვანით აბიბინებული ბორცვის ფერდობზე თავს იწონებდა მიწველ მიწაზე ამოზიდული, გადაკრეჭილი ბუჩქისაგან კვეცამდელ თეთრ ცხენზე მჯდომი ვინმე მეფის გამოსახულება — ახლა თითქმის მთელი არაპის* მანძილზე რომ გადაჭიმულა — რომელსაც იმავე გეორგ III-ის სტუმრობამდე პირი ქალაქისკენ მოებრუნებინა, სხვათა შორის, ეს სტუმრობა საჯაროდ დამსახურებული იყო: გეორგ მესამეს სიტყ-

რის დროს ჭკუა დაკარგა; თუმცა არც ახალგაზრდობაში შესწრებია მოძალებული გონება. ბრალი არ მიუძღვის იმ უბედურებაში, რაც მისი მეფობის დროს მოხდა. იგი ჩერჩეტი იყო და სულელი. მაგრამ რატომ არ უნდა ავგოთ მისთვის ძეგლები?

ოთხმოცი წლის წინათ უეიმეთი იმდენადვე სიმეტრიული იყო, როგორც უწესრიგოდ მიყრილი ჩილიკა-ჩხირები. ლეგენდარული ასტარითი ხანდახან გაისეირნებდა ხოლმე ზურგზე წამოკიდებული ტომრით, რომელშიც ყველაფერი ელაგა, კეთილ დიასახლისებიანი სახლებიც; თუ ამ ეშმაკურ-ქაჯური ტომრიდან ერთი გროვა ქოხები წამოცვივოდა, აქედან ზუსტად წარმოიდგენთ უეიმეთის საცხოვრებლების ქაოსურ მიყრილ-მოყრილობას და თვით მის კეთილ დიასახლისებსაც. მისი შენობების ნიმუშად შეიძლება დღემდე აქ დარჩენილი მესიკოსთა სახლი გამოდგეს. ჩუქურთმებით შემკული მრავალი ფიცრული ქოხი. ფიცრული ქოხები, ზოგიც წაგვერდებული და ბოძკინტშეყენებული იყო, ზოგიც დაგვერდებული და იქვე მდგომ ქოხს მიყრდნობილი, რომ ზღვიდან მონაბერ ქარს მთლად არ წაექცია. შუკები ვიწრო და დაცურებული, მიხვეულ-მოხვეული გასასვლელები, შესახვევები თუ გზაჯვარედინები, რომლებიც ხშირად ზღვის მოქცევისაგან წყალლამით ივსებოდა, დაძველებული ქოხმახები მიჭეჭყილი ძველებური საყდრით — აი, ასეთი სანახაობა იყო იმხანად უეიმეთი. ის იყო ერთგვარი ძველებური ნორმანდიული სოფლის მაგვარი, რომელიც თითქოს ტალღებმა გამორიყეს ინგლისის სანაპიროზე.

მაშინ მგზავრი რომ შესულიყო სამიკიტნოში, რომლის ალაგას ახლა სასტუმროა წამოჭიმული, იმის მაგიერ, რომ შემწვარი სკა და ბოთლი ღვინო მოეთხოვა, ამასთანავე მეფური ხელგაშლილობით ოცდახუთი ფრანკი გადაეხადა, უბრალოდ ორ სუდ ღორებულ თევზის შეჭამადსაც მოკრძალებით შეჭამდა ხოლმე.

მიტოვებულმა ბავშვმა ხელში აყვანილი გოგონათი გაიარა პირველი ქუჩა, მერე მეორე, მესამე. მაღლა იცქირებოდა, იქნებ ერთი ფანჯარა მაინც გაშუქებული იყოსო, მაგრამ ყველა მაგრად იყო ჩაკეტილი და ჩაბნელებული. ბავშვი ხანდახან რომელიმე კარს მიაკაკუნებდა ხოლმე, მაგრამ ჩამიჩუმიც არ ისმოდა საპასუხოდ. თბილ ლოგინს ის თვისება აქვს, რომ ადამიანის გულს ქვად აქცევს. ნამცეცა ბალღი კაკუნმა და ბიძგებმა გამოალევია. ბიჭუნა

ბალღის გაღვიძება იმით გაიგო, რომ ნამცეცამ მისი ლოყის წოვა დაიწყო. ბალღი არ ტიროდა, — ეგონა დედას ეჭირა ხელში.

შესაძლებელია დიდხანს ეხეტიალა და ეტრიალა ბიჭუნას სკრამბრიოჭის შუკების ლაბირინთებში, სადაც იმხანად ბოსტნები უფრო მეტი იყო, ვიდრე სახლები და ეკლიანი ძეძვის ღობეები უფრო მეტი, ვიდრე შენობები, ბედნიერი შემთხვევის გამო რომ არ წასწყდომოდა ერთ ვიწრო გასასვლელს, რომელიც ჩვენს დრომდე სამების ეკლესიის ეზოში არსებული სკოლის მახლობლად მდებარეობს. ამ გასასვლელიდან ბაუშვი დალმართიან სანაპიროზე გავიდა, სადაც სანაპიროს მოაჯირიანი ჯებირ-კედელი იყო გაყვანილი. აქ მარჯვნივ მან ხიდი დაინახა.

ეს ხიდი სწორედ ის იყო, მდინარე უეიზე რომ არის გადებული და ახლაც რომ აერთებს უეიმეთს მელკომბ-რეგისთან. ნავსადგური ამ ხიდის თაღების ქვეშიდან მდინარეს უკავშირდება; ხოლო მდინარე აქ კაშხალითაა შეგუბებული.

იმხანად უეიმეთი ზღვისპირა ქალაქ-ნავსადგურ მელკომბ-რეგისის გარეუბანი იყო. ხოლო ახლა მელკომბ-რეგი უეიმეთის ერთერთი სამწყსოთაგანია: გარეუბანმა ჩანთქა ქალაქი, რასაც მეტწილად ხიდმა შეუწყო ხელი. ხიდები ერთგვარად შემწოვი ტუმბოებია, რომლებიც მცხოვრებლებს ერთი ადგილიდან მეორეში იზიდავენ და თან ხელს სანაპიროზე მდებარე რომელიმე სოფლის ზრდასა და მოშენებას უწყობენ, მდინარის მეორე ნაპირას, მის მეზობლად მდებარე მოსახლეობის ხარჯზე.

ბიჭუნა ხიდისკენ გაეშართა, რომელიც მაშინ მხოლოდ ფიცრების ფარდულით გადახურული ბოგირი იყო. მან ამ ბოგირზე გაიარა.

ბოგირის ფიცრები დათოვლილი არ იყო. შშრალ ფიცრებზე ფეხშიშველა ბაუშვმა გაიარა, შვება იგრძნო, ნეტარება განიცადა.

ხიდზე გადავიდა და მელკომბ-რეგისში გაჩნდა.

მას აქ ხის სახლები ქვითკირისაზე უფრო ნაკლებ ხვდებოდა. აქ უკვე გარეუბანი კი არა, ქალაქი იყო. ხიდის ყური საკმაოდ ლამაზ წმ. თომას ქუჩას ებჯინებოდა. ბიჭუნა ამ ქუჩას გაყვა. ქუჩის ორივე მხარეს მაღალი, მორუჯურთმებული კოშკურებიანი სახლები ჩაწკრიალებულიყო. აქა-იქ დუქნის ფანჯრებიც ხვდებოდა. ბაუშვი ისევ ხან ერთ, ხან მეორე კარზე აკაკუნებდა. დაძახების ან დაყვირების თავი სადა ჰქონდა.

მელკომბ-რეჯისშიც, ისევე როგორც უეიმუთში, არავინ ეხმაურებოდა. კარი ყველგან მაგრად იყო ჩარაზული ურდულით, ფანჯრები დარაბებით ისე იყო დახურული, როგორც თვალები ქუთუთოებით. ყოველგვარი წინასწარი ზომები მიეღოთ უსიამოვნო, უეცარი გამოღვიძების საწინააღმდეგოდ.

პატარა მოხეტიალემ ენით გამოუთქმელი გავლენა განიცადა მძინარე ქალაქისა. ამ გაყუჩებული ჭიანჭველას ბუდის დუმილს შეუძლია თავბრუ დაახვიოს ადამიანს. უძრავად გათიშულ ადამიანთა ტვინში მოფუსფუსე მძიმე სიზმრების მაჯლაჯუნა კოშმარები თითქოს კვამლის ხვეულებად მოედინებიან. მძინარე ადამიანებს ბუნდოვანი აზრი დასტრიალებს, ხან მსუბუქი ნისლივით, ხან მძიმე, მხუთავ მახრჩობელასავით. ისინი ერთიანდებიან ადამიანთა განუხორციელებელ ოცნებებთან, რომლებიც ალბათ აგრეთვე სადღაც სივრცეში ნავარდობენ სიზმარსა და სინამდვილეს შუა. აქედან გამომდინარეობენ ჩვენი სიზმრების ეს გაუგებრობები. ოცნებები, ხან მეტად დაბურულ და ხან კი გამჭვირვალე ღრუბლებივით წინ ელობებიან, ჩრდილავენ იმ ვარსკვლავს, რომლის სახელია გონება. დახურული თვალის ქუთუთოების იქიდან, სადაც სიზმრებს მხედველობა გზიდან ჩამოუცილებიათ, მოჩვენებითი ლანდები მოძრაობენ; ცვალებადი სახეები, მთლიანად ცოცხლები, მაგრამ არა ხელშესახებნი; გვეჩვენება, რომ სადღაც სხვა ქვეყნებში გაფანტული საიდუმლო არსებანი ერთიანდებიან ჩვენს სიცოცხლესთან, სიკვდილის იმ საზღვარზე, რომელსაც სიზმარი ეწოდება. ამ ლანდებისა და სულების ფერხული ჰაერში ტრიალებს. ვინაც არ სძინავს, ისიც კი გრძნობს, თუ როგორ უხუთავს სულს მას ასეთ ავბედითი სიცოცხლით მოზღუდული წრე. მისი გარემომცველი ქიმერები, რომელშიც იგი რაღაც რეალურს შეიცნობს, მოსვენებას არ აძლევენ. მძინარე ქუჩებში გამვლელი ფხიზელი ადამიანი თავს ისე იგრძნობს, თითქოს სხვათა სიზმრების წყვდიადში ეხვევა და თანვე თითქოს შეუცნობლად ეწინააღმდეგება კიდევაც იმ ლანდებს, რომლებიც მას გარს ეხვევიან. იგი განიცდის, ანუ ყოველ შემთხვევაში ეჩვენება, რომ განიცდის ისეთ საშინელებას, რასაც უხილავ და საძულველ არსებებთან სიახლოვე-შეხება იწვევს. სიზმრად მუდამ ყოველ წამს რაღაც ამოუცნობს, აუხსნელსა ხედავს და ეხება, რაც მაშინვე უკვალოდ ქრება. ამ ღამის მოგზაურობაში

საზმარეულ-ზმანებათა მყრინავ ქაოსში არის რაღაც საერთო რამ დაბურულ ტყეში ხეტიალთან.

სწორედ ესაა ისეთი განცდა-მდგომარეობა, რასაც უსაფუძვლო შიში ეწოდება.

ბავშვს ეს გრძნობა უფრო ძლიერად დაეუფლება ხოლმე, ვიდრე დიდ ადამიანს.

ბიჭუნას საცალალო მდგომარეობის სიმძიმეს უფრო მეტად ართულებს ღამის მდუმარებისა და თითქოს გამოცარიელებული სახლების სანახაობით აღძრული შიშის ზარი.

კონიკერ-ლეინში შესვლისას ამ შუკის ბოლოს შეგუბებულ-შეტბორებული მდინარე დაინახა, რაც მას ოკეანე ეგონა. ახლა ვეღარ გაერკვეულიყო, რომელ მხარეს იყო ზღვა. ამიტომ უკანვე, წინანდელ ადგილზე დაბრუნდა, მარცხნივ, მეიდნ-ხოროთზე შეუხვია და სენტ-ალბენს-როუსკენ წავიდა.

იქ, სადაც კი მოხვდა, ყველა სახლის კარზე მიაკაკუნა განურჩევლად. უწესრიგოდ, ხანდაზმით მიყოლებულ რახუნში ბავშვი თავის უკანასკნელ ძალ-ღონეს ხარჯავდა და ცოტაოდენი შეყვერხების მერე სულ უფრო და უფრო მეტის მძვინვარებით ისევ ხელმეორედ ურახუნებდა სხვათა კარს. ეს მისი შემოლეული მოთმინება ურახუნებდა კარებს.

ბოლოს საპასუხო ხმაური მოისმა.

საათმა უპასუხა.

წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ძველებურ სამრეკლოზე ნელა ჩამოირეკა სამჯერ, ესე იგი, ღამის სამი საათი იყო.

შემდეგ ისევ ყოველივე დუმილმა მოიცვა.

შეიძლება არასარწმუნოდ მოგვეჩვენოს, რომ ქალაქის არც ერთმა მცხოვრებთაგანმა ფანჯარაც კი არ გამოაღო, მაგრამ ეს ერთგვარი მიზეზით აიხსნება: უნდა ითქვას, რომ 1690 წლის იანვარში კვლავ იყლო შავმა ჭირმა, რომელიც საკმაოდ ძლიერ მძვინვარებდა ლონდონში. შიშობდნენ, ვინმე ავადმყოფი მაწანწალა სახლში შეეშვათ, ამის გამო სტუმრის მიღებისას ყველა ფრთხილობდა. ფანჯრის ცოტათი გამოღებასაც ვერ ბედავდნენ, რომ მიაზმებით მოწამლული ჰაერი არ შეესუნთქათ.

ადამიანთა გულცივობა უფრო მძიმე ასატანი იყო ბავშვისთვის, ვიდრე ღამის სუსხი. ადამიანთა გულცივობაში ხომ ყოველთვის

წინასწარგანზრახულობა იგრძნობა. ბაეშვს გული მჭმუნარედ, მტკივნეულად შეეკუმშა. ახლა უფრო მეტ სასოწარკვეთილებას ძიეცა, ვიდრე იქ, უდაბურ ადგილებში. იგი თავის მზგავსთა საზოგადოებას შეუერთდა, მაგრამ ისევ მარტოდმარტო დარჩა, ეს მეტად სტანჯავდა მას. უდაბნოს შეუბრალებლობა მისთვის გასაგები იყო, მაგრამ ქალაქის შეუწყნარებელი გულგრილობა საშინლად ჭკუნებოდა. განცილი საათების ჩამოთვლელმა, ზარის თანაბარმა რეკვამ უფრო მეტ სასოწარკვეთილებაში ჩაგდო იგი. ზოგჯერ იმდენ სევდას არაფერი მოჰგვრის ადამიანს, როგორც საათის რეკვა. ეს არის თვითონ მარადისობა, რომელიც გვეცხადება: „ჩვენთვის სულერთია, რაც უნდა მოხდესო“.

ბაეშვი შეჩერდა. ვინ იცის, იქნებ ამ მწარე წუთებში იგი თავს შეეკითხა: იქნებ სჯობდა, ქუჩაში დაეწოლილიყავი და მოემკვდარიყავით. მაგრამ ამ დროს გოგონამ თავი მხარზე დაადო და ისევ დაიძინა. ბიჭუნას ისევ წინ წასვლის სურვილი გაელვება.

ირგვლივ მისთვის ყოველივე ინგრეოდა, მაგრამ იგრძნო, რომ თვითონ მასზე ვიღაცა იყო მინდობილი. ასეთ გარემოებას შეუძლია ადამიანში მოვალეობის გრძნობა გააღვიძოს.

მაგრამ არც ეს აზრები, არც ის მდგომარეობა, რომელშიც იგი ახლა იმყოფებოდა, მისი ასაკის შესაფერისი არ იყო. შესაძლებელია, ყოველივე ეს მისი გაგების დონეს აღემატებოდა. იგი შეუცნობლად მოჭმულებდა. თავისი თავისადმი ანგარიშმიუცემლად იქცეოდა.

ახლა ჯონსონ-როუსკენ გაემართა.

შკვე ველარც კი მიდიოდა, ფეხებს ძლივსლა მიათრევდა.

სენტ-შერი-სთრითი მარჯვნივ დატოვა, რამდენიმე ირიბი შუკა გაიარა და ორ ქოხმახს შუა, ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული გასახვლილიდან უცბად, საკმაოდ ფართო, დაუსახლებელ ველზე გაჩნდა. ეს უკაცრიელი მიდამო დაახლოებით იმ ადგილას იყო, სადაც ახლა ჩესტერფილდის მოედანია. აქ სახლები თავდებოდა. მარჯვნივ ზღვა მოჩანდა, მარცხნივ — გარეუბნის აქა-იქ მიფანტული ქოხმახები.

რა უნდა ექნა? ისევ ტოტველი მინდორი აწყებოდა. აღმოსავლეთისკენ თოვლით დაფარული რედიპოლის ფართო შელმართები მოჩანდა.

რა ქნას, ისევ იქით წაეიდეს, უკაცრიელი ადგილებისაკენ? თუ

დაბრუნდეს უკანვე ქალაქის ჭუჭებში? რომელი აირჩიოს? თოვლით დაფარული მინდვრების მდუმარება თუ დაცრუებული, უხულგული ქალაქი? ამ ორ ბორიტებას შორის რომელი აირჩიოს?

არსებობს ღუზა გადარჩენისა. არსებობს ერთი ისეთი გამოხედვაც, გადამარჩინეო, რომ გეუბნებათ. სწორედ ასე მიმოიხედა თაკის ორგულივ სახოწარკვეთილმა ბაგშვმა.

უცბად მუქარის ხმა მოესმა.

V

მიზანტროპის უცნაურობანი

სამნელეში რალაც უცნაური მუქარა და კბილთა ღრჭენა შეშოესმა.

ამის გაგონებაზე კაცი უკან დაიხევდა, მაგრამ ბიჭუნამ პირიქით, წინ გასწია.

ვინც კი ხანგრძლივ ღუმილს შეუწუხებია, მას ღრენაც კი სიამეს მოჰგვრის.

გააფთრებით დალებულმა ხახამ ბაგშვი გააშხვეპა კიდეგაც. მუქარა რაიმე გამოსაელის იმედს იძლეოდა. აქ მახლობლად ფხიზელი, ცოცხალი არსება ყოფილა, თუნდაც ის ტყის ნადირი იყოს. ბაგშვი იქითკენ გაეშართა, საიდანაც ღრენა-ბრდღვინვა მოისმოდა.

კეთხისკენ შეუხვია; ზღვისა და თოვლის მკრთალ განაშუქზე რალაც რუხი, შენობის მსგავსი რამ შენიშნა, ზედ კედელთან მიკუნჭული, არც თუ საზიდარი იყო, არც თუ ქოხი. იგი საგორაკებზე იდგა. მაშასადამე, საზიდარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჭერიც რომ ედგა სახლივით, მაშასადამე, ადამიანთა საცხოვრებული იქნებოდა. ჭერზე საკვამური მილი მოჩანდა და იქიდან კვამლი ამოდიოდა. კვამლი მოწითალო ფერისა იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ კერაში ცეცხლი გიზგიზებდა. გარედან კედელზე მიმაგრებული ჩანგალი და რაზა მოწმობდა, რომ აქ შესასელელი კარიც იქნებოდა; ხოლო კარის შეა ნაწილში ოთხკუთხედი სარკმლიდან სინათლე გამოკრთოდა. ბიჭუნა ამ ქოხს მიადგა.

მღრინავმა სულდგმულმა ყილაცის მიახლოება იგრძნო და ღრენა-მუქარა უფრო გაძვინვარდა. ახლა ყრუ ღრენა კი არ ისმოდა,

არამედ ხმამაღალი ბრდღვინვა. ბავშვს დაჭიმული ჯაჭვის ჭრაჭუნიც შემოესმა და უცბად საზიდარს უკან, საგორავებიდან, ზედ კარქვეშ, ორმწკრივმა თეთრმა ეშვებმა გაიელვა.

გამოჩნდა თუ არა მხეცის ყბა, იმავე ოთხკუთხა სარკმლიდან ვიღაცამ თავი გამოყო.

— ჩუმად! — დაიძახა მან.

ღმუილი თუ ღრენა შეწყდა.

თავმა იკითხა:

— არის აქ ვინმე?

— პო, — უპასუხა ბავშვმა.

— ვინ არის?

— მე ვარ.

— შენ ხარ? შენ ვინ ხარ? აქ საიდან გაჩნდი?

— დაღლილი ვარ, — წარმოთქვა ბავშვმა.

— ახლა რა დროა? რომელი საათია?

— გათოშილი ვარ.

— მანდ რას აკეთებ?

— მშია.

თავმა შეუძახა:

— ყველა ხომ ლორდივით ბედნიერი არ იქნება; დაიკარგე აქედან!

თავი გაუჩინარდა. სარკმელი მიიხურა.

ბიჭუნამ თავი ჩაქინდრა, მძინარე ნამცეცა ბალღი გულზე მიიკრა, უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ისევ გზას გაუდგა. იგი უკვე რამდენიმე ნაბიჯით დაშორდა საზიდარს.

მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც სარკმელი მიიხურა, კარი გაიღო და პატარა კიბე-საფეხური ჩამოეშვა, იმავე ადამიანმა, ახლახან რომ ელაპარაკებოდა, საზიდრის შიგნიდან გაჯავრებით დაუძახა:

— აბა, შემოდი, რას აყოვნებ?

ბავშვი ისევ მობრუნდა.

იმავე ადამიანმა განაგრძო:

— შემოდი, რაღა! არ ვიცი საიდან გამოჩნდა ჩემდა საუბედუროდ ეს საძაგელი, მშიერია, გათოშილი და შემოსვლაც თითქოს არ უნდა.

ბიჭუნა ისევ გაუნძრეველად იდგა, მას ხომ ერთ და იმავე დროს ტუქსავდნენ, თითქოს აგდებდნენ, მაგრამ მან შესელის ნებასაც ამლევდნენ!

— გეუბნები, შემოდი-მეთქი, შე ზანტო, შენა!

ბავშვმა ბოლოს გაბედა და კიბის პირველ საფეხურზე შედგა ფეხი.

ამ წუთში საზიდრის ქვეშიდან ღრენამ მოისმა.

ბავშვმა უკან დაიხია. საზიდრის ქვეშიდან დაფხვნილი ხახა გამოჩნდა.

— ჩემად! — დაუყვირა ადამიანმა.

ხახა გაუჩინარდა და ღრენაც შეწყდა.

— აბა, ამოდი, — განაგრძო იმავე ადამიანმა.

ბავშვი ძლივძლივობით ავიდა სამსაფეხურიან კიბეზე. ხელში აყვანილი ნამცეცა გოგონა მოძრაობას უშლიდა. თვითონ პანია გოგონაც მთლად გაითოშა, თუმცა ქურთუკში ისე მჭიდროდ იყო გაკოჭილი, რომ არც კი ჩანდა. ის რაღაც ოღრონოღრო ბოღჩა უფრო გეგონებოდათ.

სამივე საფეხური წვალებით აიარა ბავშვმა და ზღურბლთან შედგა.

ამ ხუხულაში არც ერთი სანთელი არ ენთო, ალბათ ღატაკნი იყვნენ და ეზოგავდნენ. ოგი მხოლოდ თუჯის ღუმლიდან გამომდინარე წითელი შუქის ანარეკლით იყო გაშუქებული. ღუმელში ტორფი ტკაცუნობდა. ღუმელზე მდგარ ჯამს ორთქლი ასდიოდა; გვერდზე ჭოთანი ედგა, რომელშიც ალბათ რაღაც საჭმელი ეზარშებოდა, რადგან სააშური სუნი მოდიოდა. ამ ხუხულას მთელ მოწყობილობას შეადგენდა სკივრი, სკამი და ჭერზე ჩამოკიდებული ფარანი, რომელიც ახლა არ ენთო. კედლებზე რამდენიმე თარო და კაჭოების მწკრივი იყო მიმაგრებული, იქ სხვადასხვა სახმარი ჭურჭელი ეკიდა. თაროებზე და, ცალკეც, ლურსმნებზე სპილენძისა და შუშის ჭურჭელი, გამოსახდელი ზარფუში, კოლბა, ცეილის ჩამოსაწვეთებელი ჭურჭლის მსგავსი, და კიდევ ბევრი სხვა ნივთი პრიალებდა, რომლის დანიშნულებას ბავშვი ვერ მიმხვდარიყო და, რომელიც ჭმეკოსის ხელსაწყოებს შეადგენდა. ოთახი მოგრძო იყო. ღუმელი სულ, უკან სიღრმეში მოჩანდა. ეს ფიცრული ხუხულა არც ისე დიდი იყო, მოზრდილ ყუთს მოგაგონებდათ. გარედან ამ ხუხულას

თოელის მუქზე უფრო უკეთ შეათვალიერებდით, ვიდრე მიწისა ლუმლის მუქზე. ნახევრად ჩამობნელებულ ხენაკში ყველაფერი დაბინდულიყო. მიუხედავად ამისა, ლუმლიდან გამომკრთალ მუქზე შეიძლებოდა ჭერზე ამოგკკითხათ მსხვილი ასოებით დაწერილი სიტყვები:

უ რ ს უ ს ი — ფ ი ლ ო ს ო ფ ო ს ი.

მართლაც, ბავშვი ჰომოსა და ურსუსის საცხოვრებელ ბინაში მოხვდა. ღრენა ერთისაგან მოისმოდა, ხოლო მოლაპარაკე მეორე იყო.

ზღურბლზე გადააბიჯა თუ არა ბავშვმა, ლუმელთან მდგარი მაღალი, წვრილი ულვაშებგაპარსული მოხუცი შეამჩნია. ტანთ რაღაც რუხი სამოსი ეცვა და, ფეხზე მდგომი, მელოტი თავით თითქმის ჭერს ებჯინებოდა. ეს კაცი ფეხის წვერებზე ვერ შედგებოდა, რადგან სწორედ ხენაკის სიმაღლისა იყო.

— შემოდი, — უთხრა ადამიანმა. იგი ურსუსი იყო.

ბავშვი შევიდა.

— ბოხჩა აგერ იქ დადე.

იმის შიშით, ნამცეცა ბავშვს არ გაღვიძებოდა, ბიჭუნამ თავისი ტვირთი ხკიერზე ფრთხილად დადო.

ბერიკაცი განაგრძობდა:

— რა არის ეგ, ასე ფრთხილად რომ დებ, წმინდა ნაწილები ხომ არა გაქვს? ან იქნებ გეშიანია შენი ძონძმანძი არ დაიხეს? ჰა, შე საძაგელო მაწანწალავ!.. ასე გვიან ღამით ქუჩა-ქუჩა რას დაბორიალობ! ვინა ხარ? აბა, მიპასუხე. თუმცა რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი! ჯერ რაც პირველ რიგშია საჭირო, ის გავაკეთოთ: სიცივეს გაუთოშიხარ, მოდი, გათბი.

ბავშვს მხრებში ხელი ჩაავლო და ლუმლისკენ უბიძგა.

— უჰ, რანაირად დასველებულხარ! რა ძალიან გათოშილხარ! განა უცხო სახლში ასე მისვლა შეიძლება? აბა, ახლავე გაიხადე ეგ ძველმანი, შე ავყიავ შენა!

და მან სწრაფად გააძრო ბავშვს ძველმანი, რომელიც ხელის შეხებისთანავე სულ ნაკუწ-ნაკუწ იხეოდა. იქვე ლურსმნიდან ჩამოიღო კაცის პერანგი და მოქსოვილი უსახელო ჯუბა.

— აბა, ახლავე ჩაიცვი!

მთელ გროვა ფანტიფუტებში შალის ნაჭერი ამოარჩია და ხელფეხის ხელა დაუწყო. შიშველსა და მოულოდნელობისაგან გაჩხვლეტილ ბავშვს თითქმის გული ეპარებოდა, მაგრამ როცა ხელში სითბომ დაუარა, თავი მეშვიდე ცაზე იგრძნო. ნეტარება განიცადა; კაცმა მთელი ტანი დაუბიძგა და ახლა ფეხის ტერფები მოუხინჯა.

— აპა, შე გაძვალტყავებულო! მაშ ხელ-ფეხი არ მოგყინვია. შე რეგვენს კი მეგონა, წინა ან უკანა თათები ყინვისაგან უკვე დამძრალი აქვს-მეთქი. ამჯერად ხეიბრობას გადარჩი. აბა, ჩაიცვი!

ბავშვმა პერანგი გადაიცვა, ხოლო ბერიკაცმა უსახელო ჯუბა წამოისხა.

— ახლა...

მან ფეხით პატარა სკამი მისწია, ბავშვს ისევ მხრებში წააცლო ხელი, სკამზე დასვა და ორთქლადენილ ჯამზე მიუთითა. ამ ჯამის შემხედვარე, ბავშვს ეგონა, ცა გაიხსნაო, თუმცა ამჯერად მხოლოდ ჭიქაში შემწვარი კარტოფილი დაინახა.

— რაკი მშიერი ყოფილხარ, მაშ ჭამე!

ბერიკაცმა თაროდან ხმელი პურის ყუა და ჩანგალი გადმოიღო, ბავშვს გაუწოდა, მაგრამ ეს უკანასკნელი გამორთმევას ვერ ბედავდა.

— იქნებ გნებავს, სუფრა გაგიშალო, — შეუბუზღუნა ბავშვს ბერიკაცმა და ჯამი მუხლებზე დაუდგა.

— შესანსლე ყველაფერი!

გაკვირვებას შიმშილმა აჯობა და ბავშვი ჭამას შეუდგა. საცოდავი კი არ ჭამდა, პირდაპირ ნთქავდა ამ უბადრუკ საჭმელს. ხვნაში ხმელი პურის მადიანი ხრაშუნი გაისმა. ბავშვი სიამოვნებით ილუკმებოდა. ხოლო მახინჯელი ისევ ბუზღუნებდა:

— აბა, რა გაჩქარებს, შე ღორშეცელავ! რა დაბარბებული ხარ, შე საძაგელო! ეს მუდრეგი დაშშეულები ისე ხარბად ჭამენ, რომ შებედვაც შეგზიზღდება. აი ღორდები სულ სხვაა, ისინი ისე ჭამენ, რომ შებედვა გესიამოვნება. მე მინახავს სუფრასთან მსხდარი პეროგები. ისინი სულაც არ ჭამენ. აი რას ნიშნავს კარგი აღზრდა. მართალია, ისინი სვამენ... აბა, ჭამე, ვიდრე გაძლები, შე გოჭო, შენა!

ასე ბუზღუნებდა ურსუსი თავისთვის:

— მე მინახავს მეფე იაკობი ვახშმობისას ბანკეტინგ-ჰაუსში, სადაც დარბაზის კედლებს განთქმული რუბენსის ნახატები ამშვენებს. მის უდიდებულესობას პირი არ დაუკარებია საჭმლისთვის. ეს გლახაკი კი ილოხნება. იმიტომ არის, რომ „ლოხნა“ და „ლხოვლი“ ერთნაირი ძირის მქონე სიტყვებია. რა ეშმაკმა შემაცდინა, რომ ამ უეიმეთში შემოვეხეტე. ფუი, დალახვროს წმ. გიორგიმ! დღეს დილიდან არაფერი გამიყიდია! თოვლის გასაგონად ვჭიკჭიკებდი რაღა! თუ ფლეიტაზე ქარბუქის სასიამოდ ვუკრავდი! დღეს არც ერთი ფართინგი არ მიშოვია და საღამოს, ან უფრო სწორად ნაშუაღამევს კი მათხოვრები კარს მომადგნენ! რა ვერანა ქვეყანაა! გზად გამვლელ ოხრებსა და ბრიყვებს უნდა შევკამათო; რომელი რომელს მოატყუებს — ეს არის აქ, სხვა არაფერია. ისინი ცდილობენ ორიოდე გროში გამომიგდონ და ამით მომიშორონ თავიდან; მე კი ვცდილობ მათ რაიმე წამალ-მალამო მივაჩეჩო, მაგრამ დღეს თითქოს განგებ, ვერაფერი, სულ ვერაფერი ვიშოვე! ამ მოედანზე არც ერთი ჩერჩეტი არ გამოჩნდა, რომ ჩემს სალაროში ერთი პენი მაინც გაჩენილიყო. ჭამე, შე ჯოჯოხეთის მაშხალავ! გამოიტენე ორივე ლოყა, გამოხარი, ყლაპე! ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, რომ მსუნაგი ჯამილოკიების ურცხვობა-თავხედობას არა შეედრება რა. გასუქდი ჩემს ხარჯზე, მუქთახორავ! ეს მშიერი ბავშვი კი არა და, კაციჭამია უფროა. ეს მადა კი არა და მხეცური სიხარბეა... ალბათ მუცელში რაღაც მჭამელი გიზის, ვინ იცის, მუცლის მგელია, თუ შავი ჭირი გჭირს? იქნებ, შე სალახანავ, შავი ჭირითა ხარ ავად, ჰა? ჰომოს რომ გადაედოს, რაღა მეშველება! ნურას უკაცრავად, შე გაიძვერავ, შენ თუ გინდა ჩაძაღლდი, ჩემი მგელი სასიკვდილოდ როდი მემეტება! ახლა მე თვითონაც რომ მომშივდა. მართალი უნდა ითქვას, რომ ეს შემთხვევა ფრიად სამწუხაროა. დღეს მე გვიან ღამემდე ვმუშაობდი. ისეთი ამბები ხდება ხოლმე ცხოვრებაში, როდესაც ადამიანს მეტისმეტად სჭირდება რამე საჩქაროდ. დღეს ვახშმად ჩემთვის რაიმე საჭმელი იყო აუცილებელი. მეც ავდექი, ცეცხლი ავანთე, და მივუწექი მარტო, ჩემი მარაგი სულ ორი კარტოფილი და პურის ყუა, პატარა ნაჭერი ქონი და ერთი ყლუპი რძე იყო. დავდგი ეს ყველაფერი ცეცხლზე გასათბობად და ვფიქრობდი: მაშ კარგი, ვეცდები ამით როგორმე დავნაყრდე-მეთქი; მაგრამ, ბრახ! უცებ ეს ჯოჯო არ დამატყდა თავზე. არც აცია, არც აცხე-

ლა და ჩემი საჭმელი ამან დაისაკუთრა. აჰა, ახლა ჩემს ტაბლაზე ბერიაც რომ გააგორო, არას მოხვდება. ჭამე, შე ჭარიყლაპიავ! ჭამე, ლოქოვ, ნეტავ იცოდე, რამდენი მწკრივი კბილები გაქვს პირში! ხეთქე, მგლის ლეკვო! არა, ამ სიტყვას მგლების პატივისცემით უკანვე ვიბრუნებ. შესანსლე ჩემი კერძი, მახრჩობელავ! ვიმუშავე, ვიმუშავე და კუჭი ისევ ცარიელი მაქვს; ყელი ამოშიხმა; კუჭის პირი მტკივა. ნაწლავები ფერდებზე მიმეკრა. ვიძუშავე ვიდრე შუადამე გადავიდოდა და აი, რითი დამაჯილდოვა ბედმა. რას ვიზამ, დე, ასე იყოს. ჩემს პატარა ეახშამს შუაზე გავიყოფთ: ამას პური, კარტოფილი და ქონის ნაჭერი, მე — რძე.

ამ დროს სენაკში გაბმული შესაბრალისი ჩხაველი გაისმა. ურსუსმა ყურები ცქვიტა.

— ყვირი კიდევაც, შე სალახანავ! რა გაღრიალებს?

ბიჭუნამ მისკენ იბრუნა პირი, ცხადი იყო, რომ ის არა ყვიროდა. მას პირი საჭმლითა ჰქონდა გამოტენილი.

ჩხაველი არ შეწყვეტილა. ურსუსი სკივრისკენ გაემართა.

— ნუთუ ეს შენი ბოლჩა ღრიალებს? იოსაფატის ულია! ესღა გვაკლდა! ბოლჩებიც აწბაულდნენ! ნეტავი ვიცოდე რას დაგეჩხავის?

ბერიკაცმა ქურთუკი გადაშალა, გამოჩნდა ტირიფისაგან დამანჭული ბალღის პირისახე.

ეს ვინღა არის აქ? ეს რაღას ნიშნავს? კიდევ მეორეც? — დააფარა კითხვები ურსუსმა, და განაგრძო:

— მაშ დასასრული აღარ ექნება! მიშველეთ რამე, ხალხნო და ჯამაათნო; იარაღი აისხით! განგაში, განგაში! ეს რაღა შემომიგდე, შე ავაზაკო! ვითომ ვერ ამჩნევ, რომ ამ ნამცეცას რძე უნდა! მაშასადამე, დავალევინოთ, მუტი საშველი აღარ არის. როგორც ჩანს ურძეოდაც ვრჩები.

თარიზე მიყრილი ფანტიფუნტიდან ბერიკაცმა ორიოდე ძველმანი ამოარჩია. შუშაც და ღრუბლის ნაჭერიც გამოძებნა, ჩამოიღო და თან გაალმასებული ბუზღუნებდა:

— რა შეჩვენებული ქვეყანაა!

შემდეგ მან ნამცეცა ბავშს ახედ-დახედა.

— გოგონაა, ნრიაინზედაც ეტყობა. ესეც სულ სველია.

ურსუსმა ხერხიანად მოაძრო ბალღს ის ძველმანი, რომელშიც შეხვეული იყო და ტილოს სუფთა, შრიალ ნაჭრებში შეახვია. სახ-

ჯვების უეცარი და სწრაფი გამოცვლის დროს ბალღი უფრო ჭეტად ატირდა.

— რა ძალზე ჩხაოს, ღმერთო, დაგვიფარე! — წაიბურტყუნა ისევ ურსუსმა.

მოგრძო ღრუბელს კბილით ცოტა მოაგლიჯა, სუფთა ტილოს ნაჭერს ოთხკუთხა ნაკუწი ჩაახია, მას ერთი ძაფი გამოაძრო, ღუმლიდან რძის ქოთანი გადმოდგა. რძე შუშაში ჩაასხა, ღრუბელი ნახევრამდე ჩაწო შუშაში, ზედ ტილოს ნაკუწი წააფარა, და შუშის ყელს ძაფით მაკრა; მერე შუშა ლოყაზე მიიდო, რომ დარწმუნებულიყო, რძე ძალიან ცხელი ხომ არ არისო. ამის შემდეგ შეუყოყნილი ბალღი იღლიაში ამოიჩარა, პატარა კი ამ დროს ისევ გახელებული ჩხაოდა.

— აპა, იეახშმე, საძაგელო არსებავ! აპა, ესეც შენი საწოვარა.

მან შუშის ყელი პირში ჩაუდო ბავშვს.

ნამცეცამ ხარბად დაუწყო წოვა.

ბერიკაცს შუშა დაბრეცით ეჭირა და ბუტბუტს განაგრძობდა:

— ყველა ამისთანები ერთნაირი ზნისანი არიან, საძაგლები! მიართმევ თუ არა, რაც მათ ეპრიანებათ, იმაე წუთში დაწუმდებიან.

ნამცეცა ისე სწრაფად ყლაპავდა რძეს და ისე ხარბად წოვდა ამ ხელოვნურ ძუძუს, განგებისაგან ბუზღუნით მისთვის მინიჭებულს, რომ რძე ყელში გადასცდა და წამოახველა.

გაჯავრებულმა ურსუსმა წაიბუზღუნა:

— ნელა, ნუ იხრჩობი! უყურეთ ერთი ამას, ესეც კაი ღორმუცელა ყოფილა!

საწოვარა პირიდან გამოაცალა, დაიცადა, ვიდრე ხველება გაუვლიდა, შემდეგ ღრუბელი ისევ პირში მისცა და თან ჩაილაპარაკა:

— წოვე, წოვე, შე უმსგავსო!

ამასობაში ბიჭუნამ ჩანგალი გვერდზე გადადო, იგი ნამცეცას შეპყურებდა და თვითონ დავიწყებოდა ჭამა. ერთი წუთის წინ, როცა შიშმილს იკლავდა, მისი გამომეტყველება მხოლოდ კმაყოფილებას გამოხატავდა, ხოლო ახლა მის გამოხედვაში მადლიერება ასახულიყო. ბიჭუნა ხედავდა, როგორ უბრუნდებოდა სიცოცხლეს ბაეშვი. ეს პაწია გოგონა, რომელიც მან სიკვდილს ხელიდან გამოსტაცა, ახლა საბოლოოდ გამოცოცხლებულიყო; ამან ბიჭუნას ენით გამოუთქმელი სიხარულის შეჭი მოჰფინა სახეზე. ურსუსი ისევ გა-

ჯერებული, კრიჭამკრული ბუზღუნებდა. დროგამოშვებით ბიჭუნა მას აცრემლებული გადახედავდა ხოლმე. საბრალო ქმნილება, იგი თუმცა ლანძღვა-გინებით აიკლეს, მაგრამ მაინც ძალიან გულჩუყებული იყო, რომ შეიბრალეს, შეიფარეს და დაასურეს. არ იცოდა მხოლოდ, როგორი სიტყვებით გამოეთქვა ეს გრძნობები, რაც მას ალელვებდა.

ურსუსი განრისხებული ეკა ბიჭუნას:

— ჭამ თუ არა, ბოლოს და ბოლოს!

— თქვენ? თქვენ რომ ალარაფერი დაგრჩებათ! — უპასუხა ბავშვმა; იგი მთელი სხეულით კანკალებდა და ცრემლს იწმენდდა.

— გეუბნები, შეჭამე-მეთქი, რაც არის, შე ეშმაკის კერძო! ეგ შენ არ გეკერა და მე რას გამაძღობს.

ბავშვმა ჩანგალი ისევ აიღო, მაგრამ ჭამას მაინც ვერ ბედავდა.

ურსუსმა იყვირა:

— ჭამე! მე რა შუაში ვარ? ჩემზე ხრუნვა რა შენი საქმეა! გეუბნები, სულ შეჭამე, რაც არის-მეთქი, აი, ჯიბეკარიელი მრეცლის ფეხშიშველა მედავითნე, შენ რაკი აქ, ჩემთან, მოუხეტე, ალბათ დარჩები, ჭამ, დალევ და დაიძინებ კიდევაც. თუ კრიჭას შეკრავ, გარეთ გაგაგდებ შენცა და შენს უმსგავსო ბალღსაც.

ასეთი მუქარის შემდეგ ბავშვი ისევ ჭამას შეუდგა. ხულ არ გაუჭირდებოდა, ბოლომდე შეესანსლა, რაც ჯამში დარჩენილიყო.

ურსუსმა ჩაიბურძგლუნა:

— ეს ჩემი ხუხულა არც ისე კაი შენობაა, სარკმლებიდან სიცივე უბერავს.

მართლაც, კარში ჩასმული პატარა ფანჯარა შემტვრეული იყო, ან შგზავრობაში ჯავჯაფისაგან გატყდებოდა, ან კიდევ ქუჩაში რომელიმე ქუასროლია ბიჭი შეამტვრევდა. ურსუსს ამ ღია ხვრელზე ოდესღაც ქალალდი მიეკრა, მაგრამ ასძრობოდა და ამ ფარდალალა ადგილიდან სიცივე თავისუფლად შემოდიოდა.

ურსუსი სკივრის ნაპირზე ჩამომჯდარიყო, ბალღისთვის ორივე ხელი მოეხვია და თავის მუხლებზე მიეწვინა, ხოლო თვითონ ნამცეცა ტკბილად წოვდა თავის ხაწოვარას. იგი ისეთ ნეტარებას მისცემოდა, როგორშიც ქვრებიძნი იმყოფებიან ხოლმე წინაშე უფლის ხატებისა, ან როგორც ჩვილი ბალღები დედის მკერდთან მიკრულნი.

— გამოძღა! — წარმოთქვა ურსუსმა და თან დასძინა: — მოდით და ამის შემდეგ თავშეკავება იქადაგეთ.

ქარმა უცბად სარკმელს ურსუსის მიერ მიკერებული საკერებელი ააგლიჯა; ქაღალდის ნაჭერი ჰაერში აფრიალდა და მთელ სენაკს ტრიალ-ხრიალით შემოუარა. მაგრამ ასეთი უმნიშვნელო რამ ბავშვების ყურადღებას ვერ მოაცილებდა იმ საქმიანობას, რამაც მათ ორივეს სიცოცხლე დაუბრუნა.

ვიდრე გოგონა სვამდა და ბიჭუნა ჭამდა, ურსუსი ისევ ბუზღუნებდა და წუწუნებდა.

— სიმთვრალე არტახუბიდანვე იწყება. ღირს კი ამის შემდეგ ეპისკოპოსი ტილოტსონი იყო და ლოთებს ელვა-მეხი დაატეხო! ოჰ, რა საძაგელი და გამჭოლი ქარია; ეს ღუმელიც სადაცაა დამენგრევა. კვამლმა ლამის თვალები ამომჭამოს. არ ვიცი, რა გავაწყო ამ სიცივესთან, ან ამ ცეცხლთან. ეს სიბნელეც ხომ საქმეს მიჭირვებს. ეს პირუტყვიც ჩემი სტუმართმოყვარეობით სარგებლობს და მე კი მისთვის სიფათზეც არ შემიხედავს.

დიახ, აქ, ჩემთან არავითარი ფუფუნების ნიშანწყალი არა ჩანს. იუპიტერსა ვფიცავ, მეცა მაქვს იმდენი გემოვნება, რომ დახვეწილი ნადიმი დავაფასო, ისეთ თბილ დარბაზში, სადაც ქარი ძვალსა და რბილში არ ატანს. მაგრამ მე ჩემს მოწოდებას ვღალატობ: მე ხომ ხორციელი სიტკბოებისათვის ვარ დაბადებული. ბრძენთა შორის უდიდესია ფილოქსენი*, მან გამოთქვა სურვილი წეროს ყელ-კისერი მქონდეს, რომ მეტხანს დავტკბე კარგი სასმელ-საჭმლითაო.

დღეს ვერც ერთი გროში ვერ ვიშოვე; ვერაფერი გავყიდე. ჩემთვის ეს კატასტროფაა. მობრძანდით, მცხოვრებნო, მოსამსახურენო, მოქალაქენო, აი, მკურნალი და სამკურნალო წამალ-მალამო! მაგრამ ამაოდ ირჯები, ბებერო; აბარგე ეგ შენი აფთიაქი, აქ ყველა ჯანმრთელად არის. ეს რა შერჩვენებული ქალაქია, ერთი ავადმყოფიც არ მოეპოვება. მარტოოდენ ცას დამართვია ფაღარათი. ერთი შეხედეთ, რანაირად თოვს. ანაქსაგორე* ამბობდა, თოვლი შავი ფერისაო; იგი მართალსა ბრძანებდა, სიცივე იგივე სიშავეა. ყინული იგივე ღამეა.

შეხედეთ, რა ქარბორბალაა! მე წარმომიდგენია, რამდენად სასიამოვნო იქნებოდა ახლა ზღვაზე მგზავრობა. ქარტეხილი და

თოვა-ნამქერი ეს იგივე ავი სულების ფერხულია. ვამპირების გახელებული წივილ-ხრიალია. ყველა ისინი თქვენს თავზე ხტიან და მალავს გადადიან. ისინი ხომ ღრუბლებშიც ცოცობენ. ზოგი ქუდიანია, ზოგიც რქებიანი; ზოგის პირში ენის მაგიერ ცეცხლის ალი გიზგიზებს. ამას ბრჭყალებიანი ფრთები აქვს, იმას ლორდ კანცლერივით დიდი ღიპი დასდებია. აგერ იმას კიდევ თავი აკადემიკოსის გოგრას მიუგავს. თითოეულ მათგანს მხოლოდ ხმით იცნობთ.

ქარის ყოველ შემოტევაზე ახალ-ახალ ჯოჯოხეთურ სულებსა ხედავთ და გესმით კიდეც მათი ხმა ერთსა და იმავე დროს, ვინაიდან ეს გუგუნი თვალნათლივაც ხდება. ეშმაკმა დალახვროს. ზღვაზეც ხომ იქნებიან ახლა ადამიანები. ჩემო მეგობრებო, როგორმე უჩუმოდ გაართვით თავი მაგ ქარიშხალს, თორემ მე ჩემდათავად ცხოვრებისათვის ისედაც ვერახგზით ვერ მომივლია. მე რა, თქვენი სასადილოს მომმარაგებელი ვარ თუ? რომელი საბუთის ძალით მომაწყდებიან ხოლმე მგზავრები? მთელ ქვეყნიერებაზე გავრცელებული გაჭირვება ჩემი უბადრუკი თავშესაფრის ზღურბლს მოაწყდება ხოლმე. ადამიანთა სილატაკის საზიზღარი წინწკლები პირდაპირ ჩემთან, ქოხში ცვივიან. მე მსხვერპლი ვარ შემთხვევითი გამვლელი ვიგინდარას გაუმაძღრობისა. მე მათთვის ერთგვარი ნაპოვნი დავლა ვარ, შიმშილისაგან სასიკვდილოდ განწირულთა დავლა. ზამთარი, ღამე, მეყაოს ქოხი, ბედუკუღმართი მეგობარი, გარეთ — ქარაშოტი, შიგნით სენაკში — კარტოფილი, ღუმელში მიფერფლილი ცეცხლი, მათხოვრები, ქარი ყველა ნახვრეტში ზუზუნით შემოჭრილი, ჯიბეში არც ერთი გროში და ამას ისიც ემატება, რომ ბოხჩებიდან უცბად ღმუილი და წივილი გაისმა. გახსნი ბოხჩას და შიგ ერთი ციდა მათხოვარი გოგონა აღმოჩნდება.

აბა, რა სიცოცხლეა! როგორ არ უნდა ითქვას, რომ აქ კანონის აშკარა დარღვევაა. ოპ, შე მაწანწალავ! ბილწო ჯიბგირო! უდღეურო დამნაშავევ! როცა სინათლე ყველგან ჩამქრალია, ქუჩებში ასე გვიან რას დაწანწალებ? ეს რომ ჩვენს კეთილ მეფეს გაეგო, იმავ წამს რომელიმე დილეგში ჩაგაყუდებდა, რომ ჭკუა ესწავლებინა შენთვის. ხუმრობა ხომ არ არის, ახალგაზრდა ღამღამობით თავის გოგონასთან ერთად სეირნობს! თხუთმეტ გრადუს ყინვაში ეს ვაჟბატონი უქუდო და ფეხშიშველი ბრძანდება. ეს ხომ აკრძა-

ლულაა! ამგვარ რამეზე განსაკუთრებული წესები და განკარგულებები არსებობს, შე მუამბოხევ, შენა!

ნუთუ არ იცი, რომ მაწანწალებს ხჯიან, მაშინ როდესაც ის ქვეთილგანშზრახველი ადამიანები, რომლებსაც თავიანთი საკუთარი სახლები აქვთ, სახელმწიფოსაგან მზრუნველობით და მფარველობით სარგებლობენ... იმიტომ არის, რომ მეფეები ხალხების მამებად ითვლებიან. მაგალითად, მე ბინადარი კაცი ვარ. შენთვის ხელი რომ ვტაცათ, ზედ შუა მოედანზე გაგამათრახებდნენ კიდევაც და ძალიან კარგსაც იზამდნენ; კეთილად მოწყობილ სახელმწიფოში წესრიგი აუცილებელია. მაშინვე კონსტებლთან უნდა დამებეზღებინე, მაგრამ რა, მე ასეთი გულისა ვარ; ვიცი რა არის კარგი, თუმცა ცუდს უფრო ვამჯობინებ ხოლმე.

ოჰ, შე თაღლითო! ასე ჩაცმულმა როგორ გაბედე აქ მოსვლა! თავიდან ისიც ვერ შევამჩნიე, რამდენი თოვლი შემოგიტანია აქ, ამ შენი ფეხებითაც და დაძონძილი ტანსაცმლითაც. ახლა სულ დამდნარა და აქა-იქ გუბეებად ქცეულა! წყალდიდობაა და ეგ არის. რამდენი ნახშირი უნდა დავწვა, რომ ეს ტბა დაშრეს, ნახშირს კი, საწყალს, თორმეტ ფარტინგზე ნაკლებად არ იძლევიან.

აბა, სამნი როგორ მოვთავსდებით ამ ხუხულაში? რაღა თქმა უნდა, რომ მე დღეიდან აქ საალმზრდელო ფარდული მექნება; ამასთანავე ჩემს ხელთ იქნება ინგლისის ყველა ღარიბ-ღატაკთა მომავალი ბედ-იღბალი, ისინი ჩემი ხარჯით უნდა შევინახო. დღეიდან ჩემს მოვალეობასა და ცხოვრების დანიშნულებას დიდი აკაზაკის, უდღეურთა გამოზრდა შეადგენს. მე უნდა გავაფაქიზო მცირეწლოვანი ჩამოსახრჩობნი. ახალგაზრდა გაიძვერანი ფილოსოფოსებად ვაქციო! აბა ერთი ვიფიქროთ: მე რომ ოცდაათი წლის განმავლობაში აი, ამისთანა მუდრეგები თავ-პირს არ მაჭამდნენ, ახლა მდიდარი კაცი ვიქნებოდი. ჩემი ჰომო ქონს მოიკიდებდა და მეც ავადმყოფთა მისაღები კაბინეტი მექნებოდა, ყოველნაირი საუცხოო მოწყობილობითა და ქირურგიული იარაღ-ხელსაწყოებით; ისე, მაგალითად, როგორც ჰენრიხ VIII-ის ქირურგს, დოქტორ ლაინეკრს ჰქონდა. მექნებოდა ფიტულები სხვადასხვა მხეცისა, ეგვიპტის მუმია და სხვა ამნაირი იშვიათობანი. დოქტორთა კოლეგიის წევრი ვიქნებოდი. უფლება მექნებოდა მესარგებლა იმ ბიბლიოთეკა-წიგნსაცავით, რომელიც 1652 წელს აგო განთქმულმა ჰარვეიმ*, და იქ

ვამუშავებდი იმ შუშის გუმბათის ქვეშ, საიდანაც მთელი ლონდონი ხელისგულივით მოჩანს. მაშინ შემეძლებოდა განმეგრძო შხის დაბნელებათა გამოანგარიშება და დავამტკიცებდი კიდეც, რომ ამ შნაოობისაგან თვალით უხილავი ორთქლი მოდის.

ამ აზრისაა იოჰან კეპლერი*, იგი ბართლომეს ღამემდე* ერთი წლით ადრე დაიბადა და როგორც მათემატიკოსი, იმპერატორის სასახლის კარზე მსახურობდა. შხე იგივე კერაა, რომელიც ხანდახან ბოლავს კიდეეც ჩემი ღუმელივით. ჩემი ღუმელი შხეზე უკეთესი რიდია. დიახ, მე ქონებას შეეძენდი, სულ სხვა ადამიანი ვიქნებოდი და არა ასეთი უბამსი. ყოველ გზაჯვარედინზე და მოედანზე აღარ დავამცირებდი მეცნიერის ღირსებას; ხალხი ღირსი არ არის, რომ მათში განათლება შეიქონდეთ, ვინაიდან ხალხი — ეს არის ორივე სქესის უგუნურთა ბრბო. ხალხი სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა ზნეობისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის პირთა ბრბოა, რომელიც ყველა დროის ბრძენ ადამიანებს ამკარად სძულდა, მისი მძვინვარება და დამთხვეულობა სამართლიანად ეზიზღებათ ბრძენთა შორის ყველაზე უფრო თავშეკავებულთაც კი.

ოჰ, ყველაფერი მომბეზრდა მე ამქვეყნად. ჩემნაირი გრძნობების პატრონს სული დიდხანს არ შერჩება.

ამბობენ, ადამიანი მოკლე დღისააო; მე კი სიცოცხლე უკვე მომძულებია. ჩვენ რომ მთლად სახოწარკვეთილებაში არ ჩავცვივდეთ, რომ იძულებული გავხდეთ ჩვენიეე სურვილით ვათრიოთ ეს სულიერი არსებობა, რომ ჩვენ არ ვისარგებლოთ ასეთი შესანიშნავი შემთხვევით, როგორიცაა უცებ თავის ჩამოხრჩობა პირველი შემთხვევისთანავე ხელსატაც კახოზე და ოყით, ამიტომ ბუნება დროდადრო იხე თვალთმაქცობს, თითქოს იგი არ უგულებელყოფდეს ადამიანზე ზრუნვას, — მე ამღამინდელ ღამეზე ვერაფერს ვამბობ.

ეს პირქუში ბუნება ხან თავთავებით სავსე ყანას აღმოაცენებს, ხან შხის შუქითა და ტკბილი წვენით სავსე ყურძენს დაამწიფებს, ხან ბულბულს ასტვენს. ხან განთიადის შუქი ან ერთი ჭიქა შარბათი ჩვენში მაცდუნებელ ოცნებებს იწვევს ბედნიერებაზე. სიკეთის ეიწრო ზოლს ბოროტების უშველებელი სუდარა აქვს გარს მოვლებული. ჩვენი ბედ-იღბალი მთლიანად ავი სულისაგან არის ნაქსელი, ღმერთს მხოლოდ ნაწიბური შემოუკერებია. ოჰ, შე პა-

ტარა ჭურდბაცაცაე! ვიდრე მე აქ ვმახლაათობდი, შენ მთელი ჩემი ვახშამი ჩაგინთქავს!

ამ ლაპარაკში ნამცეცა ბალღი მას ფრთხილად ეჭირა ხელში და მეუხედავად ვითომდა მუტისმეტი განრისხებისა, ცდილობდა არ შეეწუხებინა იგი; ხოლო ბალღი თანდათან თვალებს ნაბავდა, მაგ ეს პატარა არსება ახლა ყველაფრით კმაყოფილი იყო. ურსუსმა შეშას შეხედა და ნაიბურტყუნა:

— რაც რძე იყო, სულ გამოუწოვია ამ უსინდისოს!

ნამცეცა მას მარცხენა ხელში ეჭირა, ადგა, მარჯვენა ხელით სკივრს საბურავი ახადა და იქიდან დათვის ტყავი ამოიღო. მკითხველს ალბათ ახსოვს — იგი ამ ტყავზე იტყოდა ხოლმე: „ჩემი ნამდვილი ტყავი ეს არისო".

ამ საქმიანობის დროს იგი ცერად გახედავდა ხოლმე უცრის ბავშვს, რომელიც ისევ ჭამით იყო გართული.

— ამ ღორმუცელას გამოკვება ძალიან გამიჭირდება. ეს ნამდვილი სოლიტერი იქნება.

თავისუფალი ხელით ცდილობდა დათვის ტყავი სკივრზე გაეშალა, თან მეორე ხელის იდაყვს იშველიებდა, თან ფრთხილად მოძრაობდა. შემდეგ ტყავი ღუმლის ახლოს გაშალა დ ნამცეცა ზედ დაწვინა.

ამ საქმეს რომ მორჩა, ცარიელი შეშა ღუმელზე დადგა და წარმოთქვა:

— ოჰ, რა ძალიან მწყურია!

ქოთანში ჩაიხედა, იქ რამდენიმე ყლუპი რძე კიდევ დარჩენილიყო, მაგრამ ამ დროს პატარა გოგონას დახედა, ქოთანი ისევ ღუმელზე დადგა, შეშა აიღო, რძის ნარჩენი ჩაასხა. ღრუბელი ისევ დაუცო, ნაჭერი დააფარა და ძაფით მოაკრა.

— მე მაინც მშია და მწყურია კიდეც, — თქვა ისევ ბერიკაცმა და დასძინა: — როდესაც პური არა აქვთ, წვალება სჯამენ.

ღუმელს უკან პირმოტეხილი ლიტრა იდგა.

მან აიღო და ბიჭუნას მიაწოდა, დალიეო.

ბავშვმა წყურვილი მოიკლა და ისევ ჭამას შეუდგა.

ურსუსი მისწვდა ლიტრას და პირთან მიტანა. წვალი ღუმელთან ახლოს იდგა და არათანაბრად შემობარიყო. რამდენიმე ყლუპი რომ მოსვა, დაიღმიჭა:

— ოჰ, ვითომ შენც წმინდა წყალი ხარ... უფრო ცრუ მეგობარსა ჰგავხარ. ზემოდან თბილი ხარ და ძირში კი საცრად ცივი.

ამხობაში ბიჭუნამაც მოითავა ვახშამი. ჯამი არამცთუ მოაცარეულა, პირწმინდად მოლოკა. ბაშვი რალაცაზე დაფიქრებულიყო, თან მუხლებზე დაცვენილ პურის ნამცეცებს კრეფდა და ჭამდა.

ურსუსი ახლა მას მიუბრუნდა:

— კუჭი რომ გაიძღე, ეგ არა კმარა; აბა ახლა ვილაპარაკოთ. პირი ადამიანს მარტო იმისთვის როდი აქვს, რომ ჭამოს, არამედ იმისთვისაც, რომ ილაპარაკოს, ხომ გაიგე, გამოძახე, ახლა აქ მიკურე, შე პირუტყვო, შე ვიცი შენი! რასაც შეგეკითხები, უნდა მიპასუხო. აბა მითხარი, აქ საიდან გაჩნდი?

ბაშვმა უპასუხა:

— არ ვიცი.

— როგორ თუ არ იცი?

— წუხელ სალამოს მარტო მიმატოვეს ხლების პირას.

— ოჰ, შე საძაგელო! კაი რამეც იქნები, თუ შშობლებმაც ხელი აიღეს შენზე.

— შე შშობლები არა მყავს.

— შენ ჩემს გემოვნებას უნდა გაუწიო ანგარიში: იცოდე, მე ტყუილები ძალიან მძულს; რაკი ახ, ეს პატარა და გყავს, მაშასადამე, შშობლებიც გყოლება.

— ეგ ჩემი და არ არის.

— შენი და არ არის?

— არა.

— მაშ ვისია?

— მე ეგ გოგონა უპოვე.

— იპოვე?

— ჰო.

— სად იპოვე? ნუ ხტყუი, თორემ მოგკლავ.

— მკლდარი დედაკაცი თოვლში იწვა და ეს ბაშვი გულში ჰყავდა ჩაკრული.

— როდის იპოვე?

— ერთი საათი იქნება მას შემდეგ.

— რა ალაგას იპოვე?

— აქედან ერთი ლიე იქნება.

ურსულამ წარბები მოღუშა, ასე იციან ფილოსოფოსებმა, როცა ღელავენ..

— მაშ ის დედაკაცი მოკვდა? ბედნიერება სწყევია. დევ, ისევ თოვლში იწვეს. იქ ურჩევნია. მაგრამ მაინც რა ადგილას იქნება ის მკვდარი დედაკაცი?

— აქედან ზღვისკენ მიმავალ გზის პირას უნდა იყოს.

— ხიდზე გადმოიარე?

— პო.

ურსულამ უკანა კედლის სარკმელი გამოაღო და ეზოში გაიხედა. ამინდი სულ არ გამოცვლილიყო. ისევ ბარდნიდა და ადამიანის გულს ხევდით ავსებდა.

ურსულამ სარკმელი ისევ მიხურა.

მეორე კედლის გატეხილ სარკმელში ჩვარი შეჩურთა. ღუმელში ტორფი შეუკეთა.

დათვის ტყავი რაც შეეძლო ფართოდ გაშალა საწოლზე. კუთხიდან სქელი წიგნი აიღო, ბალიშის მაგიერ სასთუმლად დაუდო და მძინარე ბავშვს თავი ზედ დაადებინა.

ახლა ბიჭუნას მიუბრუნდა:

— დაწექი, დაიძინე!

ბავშვი მორჩილად მიუწვა ნამცეცა ბავშვს გვერდით და საწოლის მთელ სიგრძეზე გაიჭიმა.

ურსულამ ორივე ბავშვი დათვის ტყავში კარგად შეახვია და ფეხებს ქვეშ ნაპირი ამოუკეცა.

შემდეგ თაროდან ტილოს სარტყელი გადმოიღო, წელზე შემოიკრა, სარტყელს ზედ დიდი ჯიბე ეკერა, რაშიც, უეჭველია, ქირურგიული ხელსაწყოები ეწყო და წამლის შუშა იდგა.

ახლა ჭერზე დაკიდებული ფარანი მოხსნა, აანთო, ფარანი მოფარდული იყო და მისი შუქი ბავშვებს თვალებში არ მიანათებდა.

ურსულამ კარი გამოაღო და უკვე ზღურბლზე მდგომმა წარმოთქვა:

— მე მივდივარ. არ შეგეშინდეთ. მალე დავბრუნდები. დაიძინეთ.

კართან ახაწევ-დახაწევი სამსაფეხურიანი კიბე დაუშვა და პომოს გაეხმაურა:

— პომო!

მგელმა ღრენით უპასუხა.

ურსუს ფარანი ხელში ეჭირა. იგი დაბლა ჩაეიდა, პატარა კიბე ისევ ზეასწია. კარიც ისევ მიხურა. ბავშვები მარტო დარჩნენ.

გარედან ურსუსის ხმა მოისმა; მან იკითხა:

— შენ ეი, ჩემი ვახშმის შემჭმელო ბიჭუნა, ჯერ არ დაგიძინია?

— არა, — უპასუხა ბიჭუნამ.

— მაშ, აი, რა, თუ ბალღი აღნაულდეს, რაც შუშაში რჩება დარჩენილი, მიეცი.

ჯაჭვის ჩხარუნი მოისმა, ურსუსმა ჰოლო აუშვა და თან გაიყოლა. ადამიანისა და ნადირის ფეხის ხმა თანდათან მიწყდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ბავშვები უკვე ღრმა ძილს მიეცნენ.

მათი სუნთქვა ერთიანდებოდა და ამაში რალაც ამოუცნობი სიტკბოება იყო. მათი ბავშვური ხიზმრები, რომლებიც თითქოს თავს დატრიალებდნენ და ურთიერთს სცვლიდნენ, შესაძლოა, მათსავე დაბუჟულ თვალებში ვარსკვლავებად კიაფობდნენ. თუ სიტყვა „შეუღლენი“ ამ შემთხვევაში დასაშვებია, მაშინ ესენი ამ აზრით იყვნენ შეუღლენი, როგორი აზრითაც შეიძლება იყვნენ ანგელოზნი. ასეთი უბინაობა ცხოვრების ასეთ წყვდიადში, ხვეინის ამნაირი სიტკბოება, ციური სიყვარულის ამგვარი წინასწარდაბედება მხოლოდ ბავშვობაშია შესაძლებელი.

ყოველივე, რაც კი ცხოვრებაში დიდებულია, ბავშვთა დიდებულებას ვერ შეედრება. ყოველ უფსკრულზე ულრმესი ეს არის. არც ჯაჭვზე დაკიდებული ჩამოხრჩობილის საშინელი ხვედრი, არც გაფთრებული მძვინვარება ოკეანეში, სადაც ხომალდი იღუპებოდა, არც თოფლის სითეთრე, რომლის ციებ ზეწრის ქვეშ ცოცხალი ადამიანი იყო დამარხული, არაფერი არ შეედრება ბავშვთა ბაგეების ღვთიური შეხების გულისამაჩუყებელ სანახაობას, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს კოცნასთან. რა არის ეს? იქნებ დაწინდვაა? რა ეიცით, იქნებ საბედისწერო შედეგის წინათმაუწყებელია? ამ ორ ერთმანეთის გვერდით მწოლიარე პატარა სხეულზე ამოუცნობი მომავალი ჩამობურულიყო. მათი ძილი მომაჯადოებელი რამაა, მაგრამ განა ეს საშიში არ არის? გული შიშისაგან უნებურად იკუმშება. უბინაობა სათნოებაზე მაღლა დგას. უბინაობა უცოდველთა წმინდა ნაყოფია. მათ ეძინათ. მშვიდად იწვნენ ერთმანეთის გვერდით, თბილად. მათი სხეულის სიშიშვლე ისეთივე უმანკო იყო,

როგორც მათი უცოდველი სული. თითქოს უფსკრულში დაკიდებული ბუდისთვის შეეფარებინათ თავი.

VI

გამოღვიძება

იმ დღით დილა აებედითად მოღრუბლული გათენდა. სენაკში მკრთალმა, სევდიანმა სინათლემ შემოაჭყიტა. განთიადი ყინვა-თოვით დაიწყო. მღვრიე მოთეთრო შუქმა თანდათანობით გამოაჩინა სენაკში საგნების ჩაწყვდიადებული მოხაზულობა, რაც ღამით ლანდებივით მოჩანდა.

ბავშვებს არ გაუღვიძიათ, ისევ ეძინათ ერთად მიკუნჭულებს. ხუხულაში თბილოდა. მძინარეთა სუნთქვა ერთიმეორეს მოსდევდა, როგორც ნელი-ნელ მოქცევა ხან ერთი და ხან მეორე ტალღისა. გრიგალი ჩადგა. განთიადი აუჩქარებლად ეფინებოდა ცის ტატნობის თანდათან უფრო მეტ სივრცეს. ვარსკვლავთა ხომლი მიყოლებით ქრებოდა, თითქოს სანთლებს აქრობენო. მხოლოდ რამდენიმე დიდი ვარსკვლავი უძალიანდებოდა და ისევ კიაფობდა. ზღვიდან დაუსრულებელი შხუილი და უწვეტი გუგუნი მოისმოდა.

ღუმელი ჯერ კიდევ მთლად არ ჩამქრალიყო. დილის ბინდბუნდს თანდათან დღის სინათლე სცვლიდა. ბიჭუნას ისე ღრმად არ ეძინა, როგორც გოგონას. იგი თითქოს ძილშიაც ფხიზლობდა და მფარველობდა ნამცეცა ბალღს. რაწამს პირველმა ნათელმა სარკმელში შემოიჭვრიტა, ბიჭუნამ მაშინვე თვალები დააჭყიტა. ბავშვი, ვიდრე სრულიად გამოფხიზლდებოდეს, ერთხანს ჩვეულებრივ გამოურკვეველობაში რჩება. ჯერ ისევ ბურანში მყოფი ბიჭუნა ვერ გარკვეულიყო, ან სად იმყოფებოდა, ან ვის ეძინა მის გვერდით. და არცთუ ცდილობდა მაინცდამაინც გახსენებას. ის ჭერს შეჰყურებდა და მეცნებებსავით ათვალიერებდა წარწერას: „ურსუსი ფილოსოფოსი“. თუმცა მისი შინაარსი არ ესმოდა, რადგან კითხვა არ იცოდა.

კარის კლიტეში გასაღების გაჩხაკუნების ხმაზე თავი ასწია.

კარი გაიღო, კიბურა-საბიჯულა ძირს დაეშვა. ურსუსი შემოვიდა. საფეხურებს ნელ-ნელა ამოჰყვა. ხელში ჩამქრალი ფარანი ეჭირა.

ამავე დროს მოისმა ოთხი თათის ნელი დარტყმის ხმა; ასე ჩუმქად პოძო ამოდიოდა საფეხურებზე. ის პატრონთან ერთად სახლში დაბრუნდა.

ბიჭუნა გამოფხიზლდა და შეკრთა.

მგელს ალბათ ნალამევიდან მოშიებოდა, ხახა გააღო და თოვლივით თეთრი ღრუღლები გადმოყარა. კიბის საფეხურზე შედგა და წინა თათები კარის ზღურბლზე ჩამოაწყო, როგორც კათედრაზე ხვლებადგრდნობილ მქადაგებელს სჩვევია. სკივრი შორიდან დაუნახა. წინათ იქ უცხო არავინ ენახა. სწორკუთხოვან, მოგრძო ღია კარში დილის ცის ნათელ ფონზე მგლის ზედატანი შავ სილუეტად ახახებოდა, ბოლოს მგელი, თითქოს ახლალა გაბედაო, შიგნით შეეიდა.

ბიჭუნამ მგელი რომ დაინახა, დათვის ტყავიდან ამოძვრა და მბნარე ნამცეცას წინ აეფარა.

ურსუსმა ფარანი ისევ ჭერზე ჩამოკიდა. ჩუმად, აუჩქარებლივ, ჩვეულებრივი მოძრაობით მოიხსნა სარტყელი და თარიზე დადო. აქეთ-იქით არ იყურებოდა, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა. მისი თვალები შუშებს დამსგავსებოდნენ. ეტყობოდა, რაღაცას გულის სიღრმეში აელელვებინა. ბოლოს მისმა ნაფიქრალმა სწრაფი ნაღვარევით ამოხეთქა:

— ნამდვილად ბედნიერია! მკვდარია, მკვდარი!

ღუმელთან ჩაეკუნტა, გადმოვარდნილი წიდა შიგ შეაგდო, მაშა დაატრიალა და თან ბურდღუნებდა:

— მისი მოძებნა ადვილი არ იყო, რალაც ავ სულს იგი ორ ფუტამდე ჩაემარხა თოვლში. პოძო რომ თან არა მყოლოდა — ამას ქრისტეშობის შორსმჭვრეტელობაზე ნაკლები ცნობა რომ აქვს, — მე ალ მარტოდ მყოფი, აქამდე სიკვდილთან დაბალობანას თამაშით ნამჭერებში ჩაფლული ვიბორიალებდი. დიოგენე* ღვინით ანთებული ფარნით ადამიანს ეძებდა; მე კიდევ ღამით ანთებული ფარნით მკვდარ დედას ვეძებდი. დიოგენე ამ ძებნამ სარკაზმამდე მიიყვანა, მე კიდევ სიკვდილთან მიმიყვანა. ოჰ, რა ცივი იყო ის მკვდარი დედა! ხელზე შევეხე და ქვა მეგონა. რა მდუმარება აღბეჭდილა თვალებში! რა უგუნურებაა მოკვდე მაშინ, როდესაც იცი, რომ ბალღს სტოვებ ამქვეყნად. ამ კოლოფში ჩვენ, სამივე არცთუ მოხერხებულად ვიცხოვრებთ. გჭონიათ ასეთი შემთხვევა! ისე გამოდის, რომ მე ოჯახი გავიჩინე. გოგონაცა მყავს და ბიჭუნაც.

ვიდრე ურსუსი ამას ამბობდა, პოპო ზედ ღუმელთან მიაპარა, მძინარე ბავშვს ხელი ღუმლისაკენ გადაეგდო. მგელმა ბალღის ხელს ლოკვა დაუწყო.

ისე ფრთხილად ლოკავდა, რომ გოგონას არც კი გაუგია.

ურსუსი პოპოს მიუბრუნდა:

— მაშ ასე, ჩემო პოპო, მე მამა ვიქნები, შენ კიდევ ბიძა იყავი.

ურსუსი თავის მონოლოგს განაგრძობდა, თან ფილოსოფიური ღრმა აზრებით ღუმელში ტორფს ასწორებდა:

— მაშასადამე, ვიშვილებ. ეს გადაწყვეტილია. აი, თვითონ პოპოც არ ამბობს უარს.

ახლა ის წელში გასწორდა და თავის თავს ასე ეკამათებოდა:

— საინტერესოა ვიცოდეთ, ვისი ბრალია ეს საკვდილი? ხალხისა თუ.....

მან თვალი სადღაც მაღლა მიაპყრო და ოდნავ გასაგონად დაამთავრა:

— ... თუ შენი?

და ამ მძიმე ფიქრებში გართულმა თავი ჩაქინდრა.

— ღამე გაისარჯა, ღამემ იდო კისრად ამ დედაკაცის საკვდილი. — წარმოთქვა ისევ ურსუსმა.

ბიჭუნა ჯერ უგდებდა მის ლაპარაკს. ურსუსმა ისევ თავი ასწია, ბიჭუნას შეხედა და მკვახედ ჰკითხა:

— რა გაცინებს?

ბიჭმა უპასუხა:

— არ ვიცინი.

ურსუსი შეკრთა, კარგად დააკვირდა ბავშვს და წარმოთქვა:

— არ იცინი? მაშ, რა საშინელი რამ ყოფილხარ!

ღამით იქ ისე ბნელოდა, რომ ურსუსს ბავშვისთვის სახეში არ შეუხედავს. ახლა, დღის სინათლეზე, მან პირველად შეამჩნია მისი სახიჩრობა.

ორივე ხელი მხრებზე დაუწყო და მის სახის ნაკეთებს უფრო მეტი ყურადღებით დააკვირდა. ბოლოს დაუყვირა:

— ნუ იცინი-მეთქი, გესმის!

— არ ვიცინი, — გაიმეორა ბავშვმა.

ურსუსს მთელ სხეულში ერუანტელმა დაუარა.

— გეუბნები, იცინი-მეთქი!

და მან ბავშვს გააფთრებით დაუწყო ნუკლრუა. იქნებ სიბრაზის გამო, ან იქნებ სიბრალულის გამოც. ახლა ისევ შეკითხვები დაადგა:

— მაშ ასე ვინ დააშუშაა შენი ხახე?

ბავშვმა უპასუხა:

— ვერ გავიგე თქვენი ნათქვამი.

ურსუსმა განაგრძო:

— რამდენი ხანია, რაც ასე იცინი?

— მე ყოველთვის ასეთი ვიყავი, — უპასუხა ბავშვმა.

ურსუსმა ხახე სკიერისკენ იბრუნა და ხმადაბლა წარმოთქვა:

— მე მეგონა, ახლა ამას ალარ სჩადიოდნენ.

მძინარე ნამცეცას რომ არ გაღვიძებოდა, თავქვეშიდან ფრთხილად გამოუღო წიგნი, რომელიც წუხელ ბალიშის მაგიერ ამოუდო.

— ვნახოთ, რას ამბობს ამის შესახებ კონკესტი, — წაიბუტბუტა მან.

ეს იყო სქელი ფოლიანტი, რბილი პერგამენტის ყდაში ჩასმული. ურსუსმა ცერით გადაშალა ტრაქტატი, სათანადო გვერდი მოძებნა, წიგნი ღუმელზე დადო და ლათინურად წაიკითხა:

„ცხვირმოჭრილ ადამიანზე". სწორედ აქ უნდა იყოს.

და განაგრძო:

„პირი ყურებამდე გახეული, ღრძილები გამოჩენილი, ცხვირი დამახინჯებული, ნიღაბი გაბდები და სულ მუდამ იცინებ".

— დიახ, სწორედ ასეა, — წარმოთქვა ურსუსმა და წიგნი თავის ადგილას, თაროზე დადო, თანაც რაღაცას ბუტბუტებდა:

— ასეთი შემთხვევის აზრს რომ ღრმად ჩაუკვირდეთ, მეტად მაუწყებელი იქნებოდა. მაშ ამ მოვლენას ზერელედ უნდა შევეხოთ. აბა, იცინე, პატარავ!

გოგონამ გაიღვიძა, მისი დილის სალამი ყვირილ-ჭყივილით გამოიხატა.

— აბა, ძაძავ, ძუძუ მოაწოვე ერთი მაგას, — წარმოთქვა ურსუსმა.

ნამცეცა ბავშვი წამოუდგა თავის საწოლზე. ურსუსმა ღუმლიდან შუშა აიღო და გოგონას პირში ჩაუდო.

ამ წუთში შუბმაც გამოაჭყიტა, პორიზონტზე ამოცურდა; მისი ალისფერი სხივები სარკმელში შემოიჭრა და ხახე გაუნათა ნამცეცას.



ცას, რომელმაც სწორედ იმ წუთში ფანჯრისკენ მიიხედა. მის გუნებაში მზითვის ალისფერი დისკო ისე ალიბეჭდა, როგორც სარკეში. მაგრამ გუგები ბალღს არ დაუპატარავდა. მას არც ქუთუთოები დაუხშირებია.

ურსუსმა შესძახა:

— ეს რალაა, გოგონა ბრმაა!

ნაწილი მეორე

მეფის ბრძანებით

წიგნი პირველი

წარსული არა კვდება;
ადამიანში ისახება ადამიანი

I

ლორდი კლენჩარლი

1

ამ ხანებში კიდევ შემორჩენილიყო წარსულის ერთი ნამსხვრევი. ეს ნამსხვრევი ლორდი ლინეუს კლენჩარლი გახლდათ.

კრომველის* თანამედროვე ბარონი ლინეუს კლენჩარლი იყო, აქვე უნდა დაუმატოთ, ინგლისის ერთი იმ იშვიათ პერთაგანი, რომელთაც თავის დროზე რესპუბლიკა ალიარეს. ამას კი თავისი მიზეზები ჰქონდა და ეს იმითაც აიხსნება, რომ რესპუბლიკა რამდენიმე ხანს მაინც გაძარჯვებული იყო. სრულებითაც არ იყო საკვირველი, რომ უიდრე რესპუბლიკა ძალაუფლებით სარგებლობდა, ლორდი კლენჩარლი რესპუბლიკელთა პარტიას ეკუთვნოდა. მაგრამ ლორდი კლენჩარლი იმის შემდეგაც დარჩა რესპუბლიკელად, რაც რევოლუცია დამთავრდა და საპარლამენტო მმართველობა დაემხო. მაღალი ჩამომაელობის პატრიცს არ გაუმწესდებოდა ახლად აღდგენილი ლორდთა პალატის წევრი გამხდარიყო, რადგან რესტავრაციების დროს მონარქები ყოველთვის ხალისით შეიერდომებდნენ ხოლმე მომხანიებელთ. თვით კარლოს II მოწყალე ხელმწიფე იყო მათ მიმართ, ვინც მას უბრუნდებოდა. მაგრამ ლორდმა კლენჩარლმა ალღო აუღო, თუ რას ითხოვდა მისგან ახალი მოელენება. ამ დროს, როდესაც ინგლისში აღტაცებული შეძახილებით ხვდებოდნენ მეფეს, რომელიც ხელახლა უნდა დაჰპატრონებოდა ქვეყანას, როდესაც ერთგულნი ქვეშევრდომნი მონარქს ერთსულოვნად ეფიცებოდნენ და რესპუბლიკური იდეების ერთხმად დაგმობის შედეგად

დინასტია აღადგინეს, როდესაც წარსული მომავალში მოექცა და მომავალი წარსულში, ლორდმა კლენჩარლიმ დამორჩილება არ მოისურვა. იგი განზე გაუდგა ამ ზეიმსა და თავისი ნებით დატოვა სამშობლო. შეძლო, პერი გამხდარიყო, მაგრამ ირჩია განდევნილი ყოფილიყო. ასე გაიარა წლებმა, იგი დაბერდა და ბოლომდე დარჩა ერთგული უკვე აღარ არსებული რესპუბლიკისა. ასეთი ყმაწვილური საქციელის გამო იგი ყველასთვის სასაცილო გახდა.

ის შვეიცარიაში წავიდა და ჟენევის ტბის ნაპირას მონგრეულ, მაღალ სახლში დაბინავდა. ეს საცხოვრებელი მან სულ მიყრუებულ, მეუდრო სანაპიროზე აირჩია შილონსა*, სადაც ბონივარი იყო დამწყვდეული, და ვევეს* შორის, სადაც ლუდლოუ დაკრძალული*. იგი გარემოეცვა მრუმე ღრუბლებით დაბურულ სასტიკ ალპებს, სადაც მუდმივი ქარები დაქროდნენ. ცხოვრობდა აქ, ღრმა მთების ჩრდილში მიკარგული. გზად გამვლელიც მას იშვიათად თუ შეხვდებოდა. ეს ადამიანი თავისი ქვეყნის გარეთ ცხოვრობდა და თითქმის თავისი ეპოქის გარეშეც. იმხანად, ვინც მოვლენების კურსში იყო და ერკვეოდა მათში, ისიც ესმოდა, რომ დამყარებული წესწყობილებისადმი წინააღმდეგობის გაწევას არავითარი გამართლება არა აქვს. ინგლისი ბედნიერი იყო; რესტავრაცია იგივე მეუღლეთა შერიგებაა: მეფე და ერი ისევ ერთდებიან ქორწინებით. ამაზე უფრო სასიამოვნო და თვალისთვის საალერსო სანახავი არა არის რა. აღფრთოვანებული დიდი ბრიტანეთი ზეიმს მისცემოდა: მეფის ყოლა ბევრ რამეს ნიშნავს, მით უფრო ასეთი მომხიბლავი მეფისა. კარლოს II თავაზიანი ადამიანი იყო. კარგად ეხერხებოდა ცხოვრებისგან მეტი სიამოვნების მიღება; სახელმწიფოს მართვაც გამოსდიოდა. თავისი მედიდურობით ლუდოვიკო მეთოთხმეტეს მოგაგონებდათ. იგი თავისი ბუნებით ჯენტლმენი იყო და რაინდი. ქვეშევრდომები აღტაცებულნი იყვნენ მისით. იგი ჰანოვერს ეომებოდა და უთუოდ კარგად იცოდა, რისთვის, თუმცა მარტო მან იცოდა ეს. მან დიუნკერკი* საფრანგეთს მიჰყიდა. ამ საქმეს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. იმ დემოკრატიულად განწყობილ პერებს, რომლების შესახებაც ჩემბერლენმა თქვა: „წყეულმა რესპუბლიკამ თავისი გამხრწნელი სუნთქვით ზოგიერთი არისტოკრატიც კი დააავადაო", სალი აზროვნება შერჩათ, რომ უმალ შეეწყვნენ გარემოებას, დროს არ ჩამორჩნენ და თავიანთი ადგილები დაიკავეს

ლორდთა პალატაში; ამისთვის მათ მხოლოდ მეფის ერთგულებაზე ფიცის დადება დასჭირდათ.

როდესაც ხალხი ყველა ამ სინამდვილეზე ფიქრობდა, ამ მშვენიერ მეფობაზე, ამ შესანიშნავ მეფეზე, ამ უავგუსტოეს პრინცებზე, რომლებიც ღვთის მოწყალებით ხალხს დაუბრუნდნენ; როდესაც ახლა იმაზე ფიქრობდნენ, რომ ისეთი მნიშვნელოვანი პიროვნებანი, როგორიც მონკი* და ცოტა გვიან ჯეფრისი, შეუერთდნენ მეფის ტახტს და სამართლიანად დაჯილდოვდნენ თავიანთი ერთგულების და თავდადების გამო; მათ მიიღეს ყველაზე საპატიო თანამდებობები და შემოსავლიანი ადგილები, რაიც არ შეიძლება არა სცოდნოდა ლორდ კლენჩარლის, ხალხმა ისიც იცოდა, რომ მხოლოდ ამ უკანასკნელზე იყო დამოკიდებული ზეიმით დაეკავებინა თავისი ადგილი ზემოთა ხსენებულთა შორის და თვითონაც გაენაწილებინა მათთვის უხვად ნაწყალობევი პატივ-დიდება. როდესაც იმაზე ფიქრობდნენ, რომ ინგლისი მეფის წყალობით აყვავების მწვერვალზე მოექცა, რომ ლონდონში დღესასწაულები ერთიმეორეს ცვლიან, რომ ახლა ყველანი მდიდრდებიან და აღტაცებას ეძლევიან, რომ სასახლის კარზე მეტი თავაზიანობა, მხიარულება და საზეიმო განწყობილებაა და მაშინ თუ მოაგონდებოდათ შემთხვევით განდევნილი, ყველა ამ ბრწყინვალებას მოკლებული და შორს, სიძაბუნეში მყოფი, დამწუხრებული და დაღვრემილი, მდაბიურად ჩაცმული მოხუცი, გაფითრებული, მხრებში მოხრილი, შესაძლოა უკვე სამარის კარს მიახლოებული, ტბის პირას მდგომი, რომელიც თითქმის ვერც კი ამჩნევდა სიცივესა და უამინდობას, ქარისაგან თმებაწეწილი, მდუმარე და მარტოობაში მყოფი, ფიქრებში ჩანთქმული, ასეთ სანახაობაზე ძნელი იყო ღიმილის შეკავება.

ეს მოხუცი უგუნურობის განხორციელება იყო.

როდესაც ადამიანები დაფიქრდებოდნენ იმაზე, თუ ლორდი კლენჩარლი რა შეიძლებოდა გამხდარიყო, და რა გახდა, ამ წუთში მათი ღიმილი, რასაკვირველია, შეწყნარებლობას ნიშნავდა. ზოგნი აშკარად დასცინოდნენ, ზოგნი კი აღშფოთებულნი იყვნენ.

გასაგებია, რომ დინჯ ადამიანებს ასეთი განმარტოება ეჩოთირებოდათ.

ლორდ კლენჩარლის დანაშაულის შემარბილებელ გარემოებად ის უნდა ეცნოთ, რომ იგი დიდი ჭკუით არასდროს გამოირჩეოდა. ასეთი იყო საერთო მსჯავრი.

რაიმეზე გაჯიუტებული ადამიანების ნახვა არასასიამოვნოა. რეგულუსის მაგალითის მიმდევრებისადმი სიმპათიურად არ არიან განწყობილნი და საზოგადოებრივი აზრი მათდამი ირონიას გამოხატავს. ამგვარი ჯიუტობა საყვედურების მსგავსია და საღად მოაზროვნე ადამიანები არ არიან გასამტყუნარნი, როდესაც ასეთ რამეს დასცინიან.

ბოლოს და ბოლოს, განა ასეთი გაკერპება, ასეთი მოუდრეკელობა სიქველეა? განა კაცმა რომ თავისი თავდადებულობა და პატიოსნება სააშკარაოზე მეტისმეტად გამოიტანოს, ამაში დიდი პატივმოყვარეობა არ არის დაფარული? ასეთი რამ უბრალოდ თავმომწონეობაა. რისთვისაა საჭირო ასეთი უკიდურესობა, როგორც თავისი ნებით განმარტოება და განდევნილობა? არაფერი არ უნდა გავაზვიადოთ, ასეთია ბრძენთა წესი. შეგიძლიათ შეეკამათოთ, დაუწუნოთ თუ გნებავთ, მაგრამ ეს წესიერ ფარგლებში უნდა აკეთოთ და თან განუწყვეტლივ იძახოთ: „გაუმარჯოს მეფეს!". ნამდვილი სიქველე — კეთილგონიერებაა. ის, რაც დაეცა, უნდა დაცემულიყო, რაც წარემატა, ის უნდა წარმატებულიყო. განგებას თავისი მიზნები აქვს; იგი ღირსეულს აჯილდოებს. ნუთუ გგონიათ, რომ ამ საქმეში თვით განგებაზე უკეთ ერკვევით? როდესაც გარემოებანი სრულიად აშკარად გამომჟღავნდა, როდესაც ერთმა რეჟიმმა მეორე შეცვალა, როდესაც თვითონ წარმატებასვე დაუდგენია, სად არის სიმართლე და სად ტყუილი, სად არის კატასტროფა და სად ზეიმი — არავითარ ეჭვს და რყევას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს; კეთილგონიერი ადამიანი იმ მხარეს უერთდება, რომელმაც გაიმარჯვა, და თუნდაც ეს სასარგებლო იყოს მისთვისა და მისი ნათესავებისათვის, იგი ამიტომ კი არ იქცევა ასე, არამედ მხოლოდ საზოგადოებრივი სარგებლიანობისთვის, რადგან მთლად უთმობს თავის თავს გამარჯვებულ მხარეს, რათა ამ უკანასკნელმა გამოიყენოს იგი საჭიროებათა მიხედვით.

რა დაემართებოდა სახელმწიფოს, არავინ რომ არ დათანხმებულიყო მის სამსახურზე? ყველაფერი შეჩერდებოდა, ყოველი წესიერი მოქალაქე თავის ადგილზე უნდა დარჩეს. უნდა გქონდეთ უნარი, დათმოთ თქვენი საიდუმლო სიმპათიები. თანამდებობანი იმიტომ არსებობენ, რომ ისინი დაიკავონ. საჭიროა თავის მსხ-

ვერპლად შეწირვა; საზოგადოებრივ მოვალეობას არ უღალატო, აი ესაა ჭეშმარიტი ერთგულება. მოხელეების მიერ თვითნებურად თანამდებობის მიტოვება სახელმწიფოს დაუძლურებაა. თქვენი ნებით მიდიხართ გადასახლებაში? მეტად საწუხარია. თქვენ გინდათ მეგალითი უჩვენოთ? რა პატივმოყვარეობაა! თქვენ მოპირდაპირეს გამოწვევასაც არ ერიდებით! რა თავხედობაა! ვინა გგონიათ თქვენი თავი? იცოდეთ, რომ ჩვენ თქვენზე ნაკლები არა ვართ, მაგრამ არ გავრბივართ. თუ მოვისურვებდით, ჩვენც შეგვეძლო ვყოფილიყავით მოურიდებელი და ქედმოუხრელი, შეგვეძლო იმაზე უარესი საქმეები ჩაგვედინა, რაც თქვენ ჩაიდინეთ, მაგრამ ჩვენ კეთილგონიერება ვიხმარეთ. თქვენა გგონიათ, რაკი მე ტრიმალქიონი ვარ, ამის გამო უნარი არ შემწევს კატონი ვიყო? რა უგუნურებაა!

3

საქმეთა ვითარება არასოდეს ისე ნათელი და გარკვეული არ ყოფილა, როგორც 1660 წელს იყო. კეთილგანზრახული ადამიანის საქციელი არასოდეს აღნიშნულა თავისთავად ასე გარკვევით.

ინგლისი კრომველისგან გათავისუფლდა. რესპუბლიკის დროს ბევრი რამ არაკანონზომიერი გაკეთდა. ბრიტანეთმა პირველობა მოიპოვა ევროპაში; 30-წლიანი ომების შედეგად დაპყრობილ იქნა გერმანია, ფრონდის წყალობით საფრანგეთი დასუსტდა; ბრაგანსის ჰერცოგის დახმარებით ესპანეთი დამცირებულ იქნა. კრომველმა მაზარინი* დაიმორჩილა; ყველა ხელშეკრულებაში ინგლისის პროტექტორი თავის ხელმოწერას საფრანგეთის მეფის ხელმოწერაზე წინ ათავსებდა. რვამილიონიანი კონტრიბუცია დაედო შეერთებულ პროვინციებს; ალჟირსა და ტუნისს ჩაგრავდნენ; დაიპყრეს იამაიკა; ჩანელეს უკმაყოფილება ლისაბონში; ხელი შეუწყვეს ბარსელონაში ესპანეთისა და საფრანგეთის მეტოქეობას; ნეაპოლში კი მაზანიელოს* ამბოხებას; ინგლისს შეუერთეს პორტუგალია; გიბრალტარიდან კანდიამდე ზღვა ბერბერთაგან გაწმინდეს; ზღვაზე მფლობელობა ორნაირად განამტკიცეს: იარაღისა და ვაჭრობის ძალით; 1653 წლის 10 აგვისტოს მარტინ ჰაპერც ტრომპი*, რომელმაც 33 ბრძოლაში გაიმარჯვა, კაი ხნის ადმირალი თავის თავს რომ „მატროსების პაპად" მოიხსენიებდა, რომელმაც ესპანეთის ფლოტი დალეწა, ინგლისის ფლოტმა დაამარცხა; ინგლისმა ატლანტიკის

ოკეანე წაართვა ესპანელებს; წყნარი ოკეანი — პოლანდიელებს, ხმელთაშუა ზღვა — ვენეციელებს, და ნაოსნობის აქტიო* თავისი ბატონობა განამტკიცა ყველა ზღვის სანაპიროზე. ოკეანის ხელში ჩაგდებით მთელი ქვეყნიერება დაიპყრო. პოლანდიის დროშა ზღვაში თავშდაბლად ესალმებოდა ინგლისის დროშას. საფრანგეთმა თავისი ელჩის, მანსინის სახით მუხლი მოიდრიკა ოლივერ კრომველის წინაშე, ხოლო კრომველი კალესა და დიუნკერკს როგორც ბერის, ისე ათამაშებდა. მის წინაშე მთელი კონტინენტი თრთოდა. შფოთობას კარნახობდა და ომებსაც აცხადებდა. ყველგან ინგლისის დროშა ფრიალებდა. ამ პროტექტორის მარტო ერთი აბუჩად აგდებული პოლკი ევროპას ისეთ შიშის ზარსა სცემდა, როგორსაც მთელი არმია. კრომველი ამბობდა: „მე მინდა, ინგლისის რესპუბლიკას ისე სცემდნენ პატივს, როგორც რომის რესპუბლიკას". ალარა დარჩა რა წმინდა და დაურღვეველი; თავისუფალი იყო სიტყვა, თავისუფალი იყო პრესა. ქუჩაში, რაც უნდოდათ, იმას ლაპარაკობდნენ; ყველაფერს ბეჭდავდნენ ყოველგვარი ცენზურისა და კონტროლის გარეშე. ტახტები შეირყა. შეირყა მთელი ევროპის მონარქიული წყობილებაც, რომელთა ნაწილს სტიუარტებიც წარმოადგენდნენ. დიახ, შეირყა და დარღვევას მიეცა. მაგრამ აი, ბოლოს ინგლისმა დააშხო ეს საძულველი რეჟიმი და პატივიც მიიზღო.

შემწუნარებელმა კარლოს II-მ ბრედას დეკლარაცია* გამოსცა. ამ დეკლარაციის წყალობით ინგლისმა ის დრო დაიწყო, რომელსაც პენტინგდონელი ლუდისმხდელის შვილი* ფეხით სოელაედა ლუდოვიკო XIV-ის თაეს.

ინგლისმა მოინანია თავისი მძიმე შეცოდებანი და თავისუფლად ამოისუნთქა. როგორც უკვე ვთქვით, სახარულმა მოიცვა ყველას გული; მეფის მკელელთათვის აღმართული სახრჩობელები უფრო აძლიერებდნენ მხიარულებას. რესტავრაცია — ღიმილია, და რამდენიმე სახრჩობელაც შთაბეჭდილებას ვერ აქარწყლებს. ხომ საჭიროა საზოგადოებრივი სინდისის დამშვიდება! დაუმორჩილებლობის სული განიბანა, მონარქისადმი ერთგულება აღდგა. ერთგულ ქვეშევრდომად ყოფნა — ახალი გახდა ამიერიდან ყველას პატივმოყვარე მისწრაფება. ყველა გონს მოეიდა და გამოერკვა პოლიტიკური გახელებისაგან, აუგად იხსენიებდნენ რეკოლუციას, აბუჩად იგდებდნენ რესპუბლიკას. იმ უცნაურ დროს ყველას პირზე ეკერა დიდებული

სიტყვები: უფლება, თავისუფლება, პროგრესი. ამ სიტყვების მაღალ-ფარდოვნებაზე ახლა იცინოდნენ. სალი აზროვნებისაკენ დაბრუნება ალტაცების ღირსი იყო. ინგლისმა გამოიღვიძა. რა ბედნიერებაა ამ შეცდომებისაგან თავის დაღწევა! იმაზე მეტი უგუნურება შეიძლე-ბოდა კიდევ სხვა რამე ყოფილიყო? აბა, რა იქნებოდა, თუ ყველა გამქელელსა და გამომქლელს სრულ უფლებას მიანიჭებდნენ. აბა, თქვენ წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა, უცბად ყველა რომ მმართველი გამხდარიყო? ჭკუაში ვის მოუვა, რომ ქვეყანას მოქალაქენი მართა-ვდნენ. მოქალაქეები, ეს არის შებმული ეტლი, და შებმული ეტლი ხომ მეეტლე ვერ იქნება. კენჭისყრითა თუ ხმის მიცემით საკითხის გადაწყვეტა იგივე არ იქნება, რომ საითაც ქარი უბერავდეს, იქით გაცურო?! ნუთუ თქვენ მოინდომებდით სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობისთვის ღრუბლის მერყეობა მიგეცათ. არეულობა წესრიგს არა ქმნის. თუ ზუროთმოძღვარი ქაოსია, შენობა ბაბილონის გოდო-ლი გამოვა. არა, ეგ ყბადაღებული თავისუფლება განსახიერებული ტირანია. მე ის კი არ მინდა, სახელმწიფო ვმართო, არამედ მინდა ვიმხიარულო... მე მომბეზრდა ხმის მიცემა, მე ცეკვა მსურს. რა ბედ-ნიერებაა, რომ არის მეფე და ამ ყველაფერს ის უძღვება. მართლაც, რა სულგრძელია მეფე, რომ მარტო თვითონ კისრულობს მთელ ამ შრომას. გარდა ამისა, მას სათანადო აღზრდა აქვს, ამიტომ შეუძლია გაუძღვეს ყოველივეს. ეს მისი ხელობაა! მშვიდობა, ომი, კანონმდე-ბლობა, ფინანსები, რა საქმე აქვს ყველა ამასთან ხალხს? რა თქმა უნდა აუცილებელია, რომ ხალხი გადასახადს იხდიდეს, სახელ-მწიფოს ემსახურებოდეს. იგი ამით უნდა დაკმაყოფილდეს კიდეც. ხალხს შესაძლებლობა ეძლევა მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკა-ში: მისი წიაღიდან გამომდინარეობს ორი მთავარი ძალა სახელმწი-ფოსი — არმია და ბიუჯეტი. გადასახადის გაღება და ჯარისკაცად ყოფნა, განა ეს ცოტაა! ხალხს მეტი რაღა უნდა? იგი სამხედრო და-საყრდენია და იგივე ხაზინის დასაყრდენიცაა. შესანიშნავი როლია! მას მაგიერ კიდევ, სხვა მეფობს. ასეთი სამსახურისთვის მან ხომ ჯილდო უნდა მისცეს? გადასახადები და ცივილური ფურცელი*, აი ჯამაგირი, რომელსაც ხალხი მეფეებს უხდის მისი შრომის საფა-სურად. ხალხი თავის სისხლსა და ფულს იმისთვის აძლევს, რომ მართონ იგი. რა შეუსაბამო იდეაა — თვითონვე განაგონ საკუთარი თავი! ხალხს აუცილებლად უნდა ჰყავდეს მძღოლი. ხალხი უმეცა-

რაა და, მამასადამე, ბრმა. ბრმას ძაღლი ჰყავს მძღოლად, ხოლო ხალხს — ლომი. ე.წ. მეფე, რომელიც თანხმდება ხალხისთვის — ბრმისათვის ძაღლი იყოს. რაოდენ გულკეთილობაა. მაგრამ რატომ არის ხალხი უმეცარი? იმიტომ, რომ ასე უნდა. უმეცრება სიქველის, კეთილმოქმედების დარაჯია. ვისაც არავითარი იმედი არა აქვს, მას არც პატივმოყვარეობა გააჩნია. უმეცარი ნეტარ წყვდიადში იმყოფება, რაც მას დანახვის შესაძლებლობას და ყოველგვარ სურვილსწრაფვასაც უსპობს. ვინც კითხულობს, ის აზროვნებს, ხოლო ვინც აზროვნებს, იგი მსჯელობს კიდევაც. მაგრამ საკითხავია, რისთვის უნდა ხალხს მსჯელობა? არ იმსჯელოს, აი, რა არის მისი მოვალეობა, და ამავე დროს ბედნიერებაც. ჭეშმარიტებანი უდავოა; ამაზეა დამყარებული საზოგადოება.

ამგვარად, ინგლისში ჯანსაღი სოციალური დოქტრინები ხელახლა შეიმოსა ძველით, ამით ერმა თავისი ადრე დაკარგული პატივი დაიბრუნა. ამავე დროს გაიღვიძა სიტყვაკაზმული მწერლობისადმი ინტერესმა. შექსპირი მოიძულეს და დრაიდენს* უძღვნენ გუნდრუკს; „დრაიდენი უდიდესი პოეტია ინგლისისა და თავისი საუკუნისა", — ამბობდა ეტერბერი, „აქიტოფელის" მთარგმნელი. ეს ის დრო იყო, როდესაც ავრანშის ეპისკოპოსი გიუე სომეზს სწერდა, რომელიც ცილისწამებითა და გინებით მიაგებდა პატივს „დაკარგული სამოთხის" ავტორს: „როგორ ჰკიდებთ ხელს თქვენ იმგვარ არარაობას, როგორიცაა ეს მილტონი".* ყველაფერი ალორძინებას ეძლეოდა. ყველაფერი ისევ თავის ადგილს იკავებდა. დრაიდენი მაღლა, შექსპირი დაბლა; კარლოს II ტახტზე, კრომველი სახრჩობელაზე. ინგლისი ცდილობდა წარსული წლების სამარცხვინო საქმეები გამოესწორებინა. დიდი ბედნიერებაა ერისათვის, როდესაც მონარქია სახელმწიფო საქმეებში წესრიგს აღადგენს და კარგ ლიტერატურულ გემოვნებასაც ნერგავს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი კეთილმოქმედებანი არ ფასდებოდეს. კარლოს II-ისადმი ზურგის შექცევა იმას ნიშნავს, — უმადურობით მიუგო სამაგიერო იმაზე, რომ მან სულგრძელობა გამოიჩინა და დაბრძანდა აღდგენილ ტახტზე. — ეს ხომ სულმდაბლობაა! ლორდმა კლენჩარლმა დიდი შეურაცხყოფა მიაყენა ყველა წესიერ ადამიანს. რა აღმაშფოთებელია უკმაყოფილო იყო, სამშობლოს ბედნიერს რომ ხედავ!

ცნობილია, რომ პარლამენტმა 1650 წელს დაადგინა ფიცის შემდეგი ტექსტი: „ფიცსა ვდებ, დაეიცვა რესპუბლიკის ერთგულება უმეფოდ, უმონარქოდ, უხელმწიფოდ". ლორდმა კლენჩარლიმ ეს სახარელი ფიცი რომ დადო, სახელმწიფოს სახღვრებს გარეთ ცხოვრობდა; როდესაც ყველა ლხენასა და ნებიერ ცხოვრებას მიეცა, მას სამართლიანად მიაჩნდა უკმაყოფილო ყოფილიყო. იგი იმის საკალალო ხსოვნას არ კარგავდა, რაც უკვე დამხობილიყო. უცნაურია, ასეთი ერთგულება უკვე არარსებულის მიმართ!

მისი გამართლება არ შეიძლებოდა; მის მიმართ რამდენადმე კეთილი სურვილებით განწყობილმა ადამიანებმაც კი ზურგი შეაქციეს. შეგობრები დიდხანს მიაგებდნენ პატივს, რადგან დასაშვებად გაჩნდათ, ვითომც ლორდი კლენჩარლი რესპუბლიკელთა რიგებში იმიტომ შესულიყო, რათა ახლოდან უკეთ გაეგო რესპუბლიკის სუსტი მხარეები, ხოლო როდესაც დრო დადგებოდა, უფრო სწორად ჩაეგო მისთვის სასიკეთილო მახვილი და ამით დაეცვა მეფის წმინდა ინტერესები. ზურგიდან მტერზე დარტყმის ლოდინი ლოიალობის ერთერთი გამჭვანებაა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ლორდ კლენჩარლის მხოლოდ ეგ განზრახვა ჰქონდა და მხად იყვნენ ამაში მისი საქციელის უკეთესი მხარე დაენახათ. მაგრამ რესპუბლიკისადმი მისი უცნაური ერთგულების გამო, უნებურად შეიცვალეს ეს კეთილი აზრი მის მიმართ. ცხადი გახდა, რომ ლორდი კლენჩარლი მტკიცედ, შეგნებული რესპუბლიკელი იყო, ე.ი. სულელი.

შეწუხარებელი ადამიანები მერყეობდნენ. არ იცოდნენ, რითი აეხსნათ მისი საქციელი — ბავშვური სიკერპით თუ მოხუცებულის ჯიუტობით.

სასტიკი, სამართლიანი ადამიანები უფრო შორს მიდიოდნენ, ახალი განდგომილს სამარცხვინო დაღს ასვამდნენ. გონებაჩლუნგობა შესაძლოა დაჰკვეს ადამიანს, მაგრამ სახლვარი ხომ უნდა ჰქონდეს მას. შეიძლება იყო გაუთლელი, ხეპრე, მაგრამ არ შეიძლება იყო მეამბოხე. ბოლოს და ბოლოს ვინ არის ეს ლორდი კლენჩარლი? გადახვეწილი. მან არისტოკრატიის ბანაკი მიატოვა, რომ მოპირდაპირე ბანაკს, ხალხს, შეერთებოდა. მაშასადამე, რესპუბლიკის ეს ურყევი მოძრე — მოღალატეა. მართალია, მან ულალატა მოშენებულად ძლიერს და ერთგული დარჩა მოშენებულად სუსტისა, მართალია, მისგან მიტოვებული ბანაკი გამარჯვებული იყო,

ხოლო ის ბანაკი, რომელსაც იგი მიეშურა — დამარცხდა. მართალია, ამ „ღალატისთვის“ იგი ყველაფერს კარგავდა; თავის პოლიტიკურ პრივილეგიებსა და თავის საკუთარ კერას, თავის საჭერსა და თავის სამშობლოს, ხოლო რა მოიგო? ახირებული კაცის სახელი დაუვარდა და იძულებული გახდა დეკნილობაში ეცხოვრა. რას ამტკიცებს ეს? იმას ამტკიცებს, რომ იგი ჩერჩეტია! ეს უდავოა.

მოღალატე-გამცემი და ამაყი დროს, მოხულელი. ასეთებიც არსებობენ.

იყავი რეგენი, თუ გინდა, მაგრამ ცუდ მაგალითს ნუ იძლევი, ჩერჩეტებს არას სთხოვენ, გარდა კეთილი ზრახვებისა; მაშინ მათ შეეძლებათ თავი მონარქიის საყრდენად ჩათვალონ. ეს კლენჩარლი უჩვეულოდ გონებაშეზღუდული ადამიანი ყოფილა, იგი წინანდებურად ისევ რევოლუციური ფანატიზმით დაბრმავებული აღმოჩნდა. იგი რევოლუციამ მოხიბლა და ამიტომ ახლა გარიყული დარჩა. მან თავის ქვეყანას პატივი აჰყარა. მის მიერ არჩეული პოზიცია ნამდვილი მუხანათობა იყო. მისი განდგომა შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა. იგი ისე გაექცა თავისი მემამულეების ბედნიერებას, როგორც შავ ჭირს. მის ნებაყოფლობით განდეგნაში იყო რალაც პროტესტი საერთო კმაყოფილების წინააღმდეგ. როგორც ჩანს, მეფის ხელისუფლება მას ხენად მიაჩნდა. მაშინ, როცა მონარქია ზეიმობდა, ის რალაც აებედითად დაღერძილი ჩანდა, როგორც თალხი ბაირალი შავი ჭირის ბარაკზე. როგორ, მოლუშული სახე მიიღო ალდგენილი წესიერების წინაშე, როდესაც ერი ისევ წელში გაიმართა და რელიგიაც კვლავ გამარჯვებას ზეიმობს? გინდა ჩრდილი მიაყენო ამ ალუშფოთველობას? გულმწყრალად იყო განწყობილი ბედნიერი ინგლისის მიმართ! შავი ლაქა გახდე მოწმენდილ, მტრედისფერ ცაზე! მუქარა გინდა შენით გამოხატო! ერის სურვილს წინ აღუდგე? იძახო „არა“, როდესაც ამდენი ხალხი „კის“ გაიძახის! ეს დიდი საძაგლობა იქნებოდა, სასაცილო რომ არ იყოს. ამ კლენჩარლის ვერ შეიგნო, რომ შესაძლოა, შესცდე კრომველთან ერთად და რომ მართებულია ისევ მობრუნდე მონკთან ერთად. შეხედეთ მონკს. იგი რესპუბლიკელთა არმიას მეთაურობდა; კარლოს მეორემ დეკნილობაში ყოფნისას მონკს წერილი მისწერა, რადგან იცოდა, რომ მონკი საიდუმლოდ ისევ ტახტის ერთგული იყო, მონკი ახერხებდა ცბიერებასთან სახელოვნების შეხამებას და ჯერ თავის განზრახ-

ვებს ფარავდა, შემდეგ კი, მოულოდნელად, ჯარით თავს დაატყდა ქვემოთ პარლამენტს. მეფე ტახტზე აიყვანა და საზოგადოების გადარჩენისათვის ჯილდოდ ოლბემარლის ჰერცოგის ტიტული მიიღო. მან სიმდიდრე შეიძინა. თავის ეპოქას საუკუნოდ მოუხვეჭა სახელი და როგორც ლეკვერთხის ორდენის კავალრის ხარისხის მქონეს, სრული იმედი აქვს, რომ ვესტ-მინსტერის სააბატოში და-ასაფლავებენ. ასეთია სახელი და დიდება ერთგული ქვეშევრდომი ინგლისელისა. ლორდმა კლენჩარლიმ ვერ შეძლო ამაღლებულიყო მოვალეობის ეგზომ მაზვილ შეგნებამდე. მან ყოველივეს უმოქმედო განდევნა ამჯობინა. დაკმაყოფილდა ცარიელი ფრაზებით. სიამაყემ შემოჭა. სიტყვები, „სინდისი", „ღირსება" და მისთანანი ბოლოს და ბოლოს მხოლოდ სიტყვებია. საქმეში უფრო ღრმად ჩავიხედოთ.

აი, სწორედ ეს შორსმჭვრეტელობა არ გააჩნდა ლორდ კლენჩარ-ლის, — იგი ბეცი იყო. ვიდრე რომელიმე საქმეში მონაწილეობას მიიღებდა, მას ყოველთვის უნდოდა ჯერ კარგად დაჰკვირვებოდა ამ საქმეს, გაეგო რისი სუნი ასდიოდა. აქედან გამომდინარეობდა ყველა მისი შეუსაბამო, წინასწარ დარწმუნებულის თვისება. ასეთი მოთაკილე კაცი არც შეიძლება სახელმწიფო მოღვაწე იყოს. რო-დესაც სინდისი ასე მომთხოვნია, ის უკვე სნეულებაში გადადის. მორცხვი კაცი ცალხელაა, ის უფლებას ვერ მოიხვეჭს, ის საჭუ-რისაა — ფორტუნას ვერ დაეპატრონება. მოერიდეთ მოთაკილეო-ბას, იგი თქვენ ბნელ კუნჭულში შეგაკუნჭავთ. ბრმა რწმენისადმი უგუნური ერთგულება დაბლა ისე ჩაგიყოლიებთ, როგორც კიბე სარდაფში. ჯერ ერთი საფეხური, მერე მეორე, მესამე და თქვენ სიბნელეში ჩაინთქმებით. საზრიანი ადამიანები დაბლიდან მაღლა ადიან, მიამიტები დაბლა რჩებიან. არ უნდა მისცე შენს სინდისს ნება, რომ მოუდგომელი, შეურყეველი იყოს. პოლიტიკურ რწმენათა ურყეობას შეუძლია თანდათანობით უკიდურესად ჩაწყვდიადებული ჭლექური მიიღოს. მაშინ თქვენ დაიღუპებით. სწორედ ასე მოუვიდა ლორდ კლენჩარლის.

პრინციპები ბოლოს და ბოლოს ადამიანს უფსკრულში ნთქავენ.

პოდა, ახლა ისეირნე ზურგს უკან ხელებდაწყობილმა ჟენევის ნაპირზე — მშვენიერი ხელობაა დროის ტარება!

ლონდონში ხანდახან იგონებდნენ ხოლმე ამ განდევნილს. კე-თილშობილი საზოგადოების თვალში იგი რაღაც დამნაშავესავით

მოჩანდა. ზოგნი მას ამართლებდნენ, ზოგნი ამტყუნებდნენ, როდესაც საქმეს ასე არჩევდნენ, მხედველობაში ჰქონდათ, რომ მოხუცებულია და ამიტომ დანაშაული იმდენად მძიმე აღარ ჩაეთვლებათ.

რესპუბლიკის ყოფილ მომხრეთაგან ბევრი გადავიდა სტიუარტების მხარეზე. მერე რა, ამის გამო მათ ქება დაიმსახურეს. ბუნებრივია, რომ ესენი, ცოტა არ იყოს, ავად იხსენიებდნენ ლორდ კლენჩარლის. ის ჭკვიანი ადამიანები, რომელთაც სასახლის კარზე კარგი მდგომარეობა აქვთ და რომელთაც მოაბეზრებდათ ლორდ კლენჩარლის ასეთი გამომწვევი საქციელი, ასე ამბობდნენ: „ეგ ჩვენ მხოლოდ იმის გამო არ მოგვემხრო, რომ მეტისმეტად მცირე სასყიდელი შეაძლიეს", მას კანცლერის ადგილის დაკავება სურდა, მაგრამ მეფემ ეს ადგილი ლორდ ჰაიდს შესთავაზაო, და სხვა ამგვარი. ერთი მისი „ძველი მეგობართაგანი" ამტკიცებდა: „ეს მან თვითონ გამიმჟღავნაო". მიუხედავად იმისა, რომ ლინეუს კლენჩარლი განდეგილობაში მეტად განმარტოებით ცხოვრობდა, განზე გაწეული, უკარებელიც იყო, მაინც ზოგიერთი ხმა მის ყურამდე აღწევდა. იგი ხან დევნილებს ხვდებოდა, მაგალითად, როგორიც იყო მეფის მკვლელი ენდრიუ ბრუტონი, რომელიც ლოზანაში ცხოვრობდა. კლენჩარლი პასუხად მხოლოდ მხრებს იჩეჩდა, ნიშნად სრული გამოშტერებისა.

ერთხელ მან ეს ჟესტი ხმადაბლა წარმოთქმული სიტყვებით დაამთავრა: „მებრალებიან ისინი, ვისაც ეს სჯერა".

4

კარლოს II-ს, ამ კეთილ ადამიანს, ლორდ კლენჩარლის საქციელი შეზიზღდა. ინგლისის კეთილდღეობა კარლოს II-ის დროს ჩვეულებრივ კეთილდღეობაზე მეტი იყო. ეს იყო ჯადოსნური რამ. რესტავრაცია დროთა ვითარებისაგან ჩამუქებულ სურათს ემსგავსებოდა, რომელსაც ხანდალოზით ახლად აპრიალებენ. ყოველივე წარსული უკვე ისევ ამოტივტივდა, დაუბრუნდნენ ძველ, კარგ ზნე-ჩვეულებებს. ლამაზი მანდილოსნები განაგებდნენ სახელმწიფოს, ეს ევლინმა* აღნიშნა კიდეც. აი, რას ვკითხულობთ მის დღიურში: „გარყვნილება, მკრეხელობა, ღვთის მოძულეობა. კვირა საღამოთი მეფე თავის გარყვნილ დიაცებთან ერთად ვნახე. ესენი იყვნენ: პორტსმუთი, კლივლენდი, მაზარინი და კიდევ ორი-სამი

სხვანი, — ყველა ასინი ნახევრად მიშველნი სათამაშო ტალახში შეკრებილივნენ!" ამ აღწერილობაში აშკარა უკმაყოფილება გამოსჭვივის, მაგრამ ეველანი ბუზღუნა პურიტანი იყო, რესპუბლიკური იდეებით გაელენთილი. მან არ დააფასა აშგარი მაგალითის მთელი მნიშვნელობა, როგორსაც მეფეები იძლევიან თავიანთი ბაბილონური ღვესასწაულებით, ამის შედეგად ხომ ფუფუნებას უფრო მეტად ეტანებიან. ბიწიერების სარგებლიანობა მას არ ესმოდა. არსებობს წესი: თუ გინდათ მშვენიერი დიაცები იყოლიოთ, ნუ აღმოფხვრით ბიწიერებას, თორემ დაემსგავსებით ისეთ ბრიყვებს, რომლებიც პალების მოყვარულნი არიან და იმავე დროს მუხლუხოებს სძაბენ.

კარლოს მეორეს, როგორც უკვე ვთქვით, თითქმის არ შეუმჩნევია მეამბოხე კლენჩარლის არსებობა; მაგრამ იაკობ მეორე უფრო ყურადღებიანი აღმოჩნდა. კარლოს მეორე რბილი, ღიმობიერი ხასიათისა იყო, მას ასეთი თვისება ჰქონდა. უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოს მართვა ამ გარემოებას არ დაუზიანებია. მეზღაურიც ხომ ქარის მიმართულების სამართავი ხელსაწყოების დაჭიმვისას ერთ ნასკვს მოფონებულსა ტოვებს, რათა თვითონ ქარმა დაჭიმოს იგი. ამაში მელავნდება უგუნურება ქარიშხლისა და უგუნურება ხალხისა.

კარლოს მეორის მმართველობა სწორედ ისეთი მოფონებული ნასკვი იყო, რომელიც, ყველაფერის მიუხედავად, ძალიან მალე მაგრად დაიჭიმა.

იაკობ II-ის დროს ეს ნასკვი საბოლოოდ დაიჭიმა; სასტიკი რეპრესიები დაიწყო. იაკობმა იმისი თანამიმდევრობითი აღმოფხვრა მოინადინა, რაც რევოლუციის შედეგად დარჩა. მის თვალში კარლოს II-ის მეფობა რესტავრაციის მხოლოდ შვიდ მოხაზეის ცდა იყო. იაკობ II-ს უნდოდა სრულად აღედგინა ძველი წესები. 1660 წელს ნანობდა კიდეც, რომ მეფის მკვლელთაგან მხოლოდ ათი ჩამოახრჩო. მან მართლაც აღადგინა „მტკიცე ხელისუფლება". ამ დროს ფრთა შეისხა სერიოზულმა პრინციპებმა. გამეფდა ნამდვილი მართლმსაჯულება, რომელიც გრძნობიერ ლაქლაქზე მაღლა იდგა და პირველ რიგში საზოგადოებრივ ინტერესებზე ზრუნაედა.

ეს მკაცრი დაცვითი ზომები მოასწავებდნენ, რომ იგი სახელმწიფოს ნამდვილი მამა იქნებოდა. მან მართლმსაჯულების წარმოება ჯეფრისს მიანდო, ხოლო ხმალი კორკს. ამ თავგამოდებულმა

მა პოლკის უფროსმა გააძრაველა დამაშინებელი მაგალითება. კრა რესპუბლიკელს რომ ჩამოკიდებდა სახრჩობელაზე, საშვილ ზედ ისევ ჩამოაძრობდა ყულფიდან და თან ეკითხებოდა: „უარს ამბობ რესპუბლიკაზეო?“ უკეთური უცელელად იმეორებდა: „არაო!“ და მაშინ უკვე ჩამოახრჩობდნენ. „მე ოთხჯერ ჩამოეკიდე იყიო“, კმაყოფილებით ამბობდა კირკი. განახლებული სასჯელები ძლიერი ძალაუფლების უეჭველ ნიშანს იძლეოდა. დასჯას ელოდა ილი, რომელმაც თავისი შვილი თუმცა მონშუთის წინააღმდეგ ომში გაგზავნა, მაგრამ ორი მეამბოხე თავისთან დამალა. მეორე მეამბოხე, რომელმაც იძდენი კეთილშობილება გამოიჩინა, რომ ელიარებინა, მოხუც ანაბაპტისტ დედაკაცთან ვაფარებდი თავსაო, — შეიწყნარეს, სასჯელი მოხსნეს, ხოლო დედაკაცი კოცონზე ცოცხლად დაწვეს. ერთ ქალაქს კირკიმ კარგად შეაგნებინა, ყველაფერი ვიცი თქვენი რესპუბლიკური ცოდვების შესახებო. მან იქ ცხრამეტი მოქალაქე ჩამოახრჩო. სრულიად კანონიერი შურისძიებაა, თუ გავიხსენებთ, რომ კრომველის დროს ეკლესიებში წმინდანთა ქვის ქანდაკებებს ცხვირებსა და ყურებს ამტვრევდნენ. იაკობ II, რომელმაც ჯეფრისი და კირკი აირჩია, ღრმად მორწმუნე ხელმწიფე იყო. იგი თავის საკუთარ ხორცს იმით ეწამებდა, რომ საყვარლებად მახინჯ დიაცებს ირჩევდა. უსმენდა მამა ლა-კოლომბიერის ქადაგებას. ეს ქადაგება მამა შემინიეს მოთავფლულ სიტყვებს არცთუ ჩამოუვარდებოდა. მაგრამ მასზე მეტი მგზნებარება ახასიათებდა. ამ მღვდელმსახურმა სახელი იმით გაითქვა, რომ თავისი სიცოცხლის პირველ ნახევარში იაკობ II-ის მრჩეველი იყო, ხოლო სიცოცხლის მეორე ნახევარში მარიამ ალაკოკის* მთამაგონებელი გახდა. ასეთი რელიგიური საზრდოს წყალობით იაკობ მეორე ცოტა მოგვიანებით ღირსეულად იტანდა განდევნას. სენ-ჟერმენში განმარტოებით სულით მტკიცე მეფის მაგალითი გვიჩვენა მან, მშვიდად შეხვდა ბედის ცვალებადობას და იეზუიტებთან საუბარში ატარებდა დროს.

გასაგებია, რომ ამ მეფეს ერთგული ყურადღება უნდა გამოეჩინა იხეთი მეამბოხის მიმართ, როგორიც ლორდი ლინდსეს კლენჩარლი იყო. და ვინაიდან ჩამომავლობით პერობას დიდი შესაძლებლობებიც გააჩნდა, ამიტომ ისიც გასაგებია, რომ იაკობ II მზად იყო, უყოყმანოდ, ყოველგვარი ზომები მიეღო ლორდი კლენჩარლის საწინააღმდეგოდ.

II

ლორდი დევიდ დარი-მორი

1

ლორდი ლინეს კლუბარლი ფრედერიკის მიხედვით და განდეგილი რიდი იყო. იდენტიკა ახალგაზრდა ისიც იყო და ენებათა ლექსის ასეც გაიარა. პირისთანა და პრიალის სიტყვებიდან ცნობილია, რომ ერთმანეთის ახალგაზრდობაში ქალები უყვარდა და თავის სამოსებზეც ფიქრობდა, ზოგ შემთხვევაში მსგავსი გატაცებანი (ქალთა საკითხის შორეს მხარე) ამას ამტკიცებს, რომ ახალგაზრდობაში მოსული შეშლილა იყარება.

მან ასე, ლორდ კლუბარლის, მსგავსად ერთმანეთა, შეცდომებიც მოსდიდა და მცდარ გზასაც ადგა. ყველამ იცოდა, რომ მას უკანონო ვაჟიშვილი ჰყავდა. ბავშვი რესპუბლიკის დაცემის დღეს დაიბადა ინგლისში, სწორედ იმ დღეს მამამისი განდეგილობაში მეფეზავრებოდა. ამიტომ იყო, რომ ბიჭუნამ მამამისი ცერემონის ნახა. უკანონოდ შობილი ლორდი კლუბარლის ნამდვილ კარლის ბერის სახელის კარზე გაიზარდა, როგორც ჰავი. მას ლორდ დევიდ დარი-მორის უძახდნენ. ვაჟს ლორდის ტიტული „თავაზიანობისათვის" დაუტოვეს, რადგან დედამისი მალალი წრის მანდილოსანი იყო. ამ დროს, როდესაც ლორდი კლუბარლი შვილობაში განსრულებით დადარდიანებული ცხოვრობდა, ამ ღამეს დაეცა გადაწყვეტა უფრო დაფიქრდა ვითარებას და ამას მიაღწია, რომ პირველი, მეამბოხე-რესპუბლიკელის საფარლობა მეორის გამო შეენდეს, რომელიც, უეჭველია, უფრო კეთილგანწყობილი რიალისტი იყო, რადგან ეს პიროვნება თვით მეფე პრანდებოდა. იგი კარლის მეორის საფარველი დიდხანს არ ყოფილა, მაგრამ ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ, რესპუბლიკელისთვის ისევ ღამაზმანის წარმოჩენით ბედნიერ მეფეს, პატარა ლორდი დევიდ, თავის მიერ დაჯერებული მანდილოსნის ვაჟიშვილი, თავისივე პირად ცხენოსან ამალაში ჩარიცხა. ჭორწინების გარეშე დაბადებულმა ბავშვმა ოფიცრის წოდება და სახელის კარზე ხეტიალის წერილის უფლებაც მიიღო. თანაც საწინააღმდეგოდ თავისი მამისა, სტიუარტების თავგამოდებული დაცველი გახდა. ერთმა-

ნად იგი, როგორც მისი უდიდებულესობის ამალის ოფიცერი, ას სამოცდაათ მახვილოსანთა შორის იმყოფებოდა. შემდეგ პენსიონერად გადაიყვანეს და ერთი ამ ორმოცთაგანი გახდა, რომელსაც უფლება ჰქონდათ ოქროს ტაბარძნით ყოფილიყვნენ შეჭურვილნი. გარდა ამისა, რაკი პენრიხ მერვეს მიერ დაარსებულ პირად მცველთა კეთილშობილურ დანაყოფში შედიოდა, ის უპირატესობა მიეცა, რომ მეფის სუფრაზე კერძები მიეტანა.

ამგვარად, იმ დროს, როდესაც უკვე მოხუცი მამამისი, განდეგილობაში იტანჯებოდა, ლორდი დეკიდი კარლოს მეორის სასახლის კარზე დღეებს ბედნიერად ატარებდა.

უფრო გვიან იგი იაკობ II-ს სასახლის კარზედაც იყო განცხრომაში. მეფე გარდაიცვალა, გაუმარჯოს მეფეს! ეს არის „NON DEFICIT ALTER, AUREUS".* იორკის ჰერცოგის* ტახტზე ასვლისას ნებართვა მიიღო მისთვის ლორდ დეკიდ დერი-მოირი ეწოდებინათ, იმ ადგილ-დედულის სახელწოდების მიხედვით, რომელიც მომავალშია დედამ უანდერძა. ეს ადგილ-მამული შოტლანდიაში, დიდ ტყეში იყო, სადაც ფრინველი კრაგი ბუდობს. ეს ფრინველი ბუეს შუხის ხეში ითხრის ნისკარტით.

2

იაკობ II მეფე იყო და სარდლის სახელ-დიდებას იჩემებდა. იგი თავის ირგვლივ ახალგაზრდა ოფიცრებს იკრებდა და ცხენზე ამხედრებული დიდი ხალისით ჩაუყლიდა ხოლმე ხალხს ზურგთა და ბექთრით აღკაზმული, თან უშეელებელი ფრიალა პარიკი ქვეთა, რომელიც ზურის ქვეშიდან ბექთრამდე ჩამოშლილიდა. ასე მოკაზმული იგი უაზრო ომის ცხენოსან ქანდაკებას ჰგავდა. მას ახალგაზრდა ლორდ დეკიდის მოხდენილი მიხრა-მოხრა მეტად ხიბლავდა. ერთგვარ მაღლიერებასაც კი გრძნობდა ამ როიალისტის მიმართ, იმის გამო, რომ იგი რესპუბლიკელის შვილი იყო: მეამბოხე მამის უარყოფა სასარგებლოა სახელის კარზე წარმატებების მისაღწევად. მეფემ ლორდ დეკიდ დერი-მოირი თავის მესაწოლედაც გაიხადა და ათასი ლიერი დაუნიშნა ჯამაგირად.

ეს ძალიან დიდ დაჯინაურებას ნიშნავდა: მესაწოლეს მეფის საწოლ ოთახში სძინავს. მისი საწოლი მეფის საწოლის გვერდითაა დადგმული. სულ თორმეტი მესაწოლე ჰყავს მეფეს, ოსანი რიგრიგობით იცავენ მას.

ამასთან ერთად, ლორდ დევიდ მეფის მეგობრობასაც დაიმსახურა, რომლის მოვალეობას მეფის ცხენოსნებისათვის შერის კეტის შეალგენდა. მეგობრობაზე ორას ორმოცდაათ ლიერს იღებდა წლიურ ჯამაგირად. მის ხელქვეითებად ითვლებოდნენ მეფის ხუთი მეტლე, ხუთი ფიორეტორი, მეფის ხუთი მეგობარი, მეფის მგზავრობაში თორმეტი მხლებელი ლაქია და ოთხი მებარგული. მასვე ევალებოდა თვალყური ედევნებინა დიდის ექსი ცხენისათვის, რომლებსაც მეფე ჰეიმარკეტში ინახავდა და რომლებიც მის ალმატებულებას წელიწადში ექსახი ლიერი უჯდებოდა. მის სრულ განკარგულებაში იყო მეფის საგარდერობე, ეს საგარდეროში საზეიმო კოსტიუმებით ამარაგებდა ლეკერთხის ორდენის კავალრებს. მას მეფის მეკარე, შავი კერთხის ბოქაული მოწიფებით ახლდა სალაშს. იაკობ მეორის დროს ეს თანამდებობა კავალერ დუპას ეკავა. ლორდ დევიდს პატივისცემით ხელებოდნენ მეფის ლერკი ბატონი ბაკერი და პარლამენტის კლერკი ბატონი ბროუნი. ინგლისის მეფის სასახლე ბრწყინვალებისა და სტუმართმოყვარეობის იმედით მაგალითი იყო. ზეიმებისა და სასახლეში მიღების დღეებში ლორდ დევიდ თორმეტ დიდებულს მუსაურობდა. მისი სამეთო მოვალეობა იყო აგრეთვე მეფის უკან დგომა „შეწირვის დღეებში", რომელსაც მეფე ოქროს ბეზანტს, BYZANTIUM-ს, წირავდა ეკლესიას; აგრეთვე „ორდენის დღეებში", რომელსაც მეფე თავისი ორდენის ძენკს ნამოკიდებს ხოლმე. „ზიარების დღეებშიც" სწირავდა, რომელსაც მეფისა და სისხლით პრინცების შეტი ეერავინ ეზიარებოდა. დიდ ხუთშაბათს ის შეუძლებოდა ხოლმე მეფესთან ორმეტ ღატაკს, რომელთაგან თითოეულს მეფე იმდენ ეერცხლის ბენის აჩუქებდა, რამდენი წელსაც იყო მეფე, აგრეთვე იმდენ შილინგსაც, რამდენ წელსაც მეფობდა თვითონ. იმავე ლორდ დევიდის მოვალეობას ისიც შეადგენდა, რომ ორი წარჩინებული სასულიერო პირი უნდა მოეწვია, რომელსაც მეფე ავად გახდებოდა, მათ მეფესთან უნდა მოეყლოთ და მკურნალები არ მიეშვათ მასთან, ვიდრე სახელმწიფო საბჭო ნებართვას არ გასცემდა. გარდა ყოველივე ამისა, იგი იყო ლეიტენანტ-პოლკოვნიკი მეფის გვარდიის შოტლანდიის პოლკისა. ეს პოლკი შოტლანდიის მარშს ასრულებს ხოლმე.

ეს ლეიტენანტ-პოლკოვნიკი რამდენიმე ლაშქრობაში მონაწილეობდა და, როგორც გულადმა მებრძოლმა, დამსახურებული სახე-

ლიც მოიხვეჭა. იგი ღონიერი ვაჟკაცი იყო, ტანად კარგი მოყვანილობისა, ლამაზი და გულუხვი: კეთილშობილური გარეგნობითა და საუცხოო ქცევა-თავდაჭერით. მისი გარეგნობა მის მდგომარეობას უფარდებოდა. ტანადობითაც მაღალი იყო და წარმოძაულობითაც.

დერი-მოირს აღარა უკლდა რა იმას, რომ მეფის პირადი გარდუვალობის მცველობა — GROOM OF THE STOLE მიეღო, რაც უფლებას მიანიჭებდა მეფისათვის პერანგი მიერთმია: მაგრამ, ამიტომ საჭირო იყო პრინცი ან პერი გამხდარიყო.

ვინმე რომ პერი გახადო, ეს დიდი საქმეა. ეს იმას ნიშნავს, რომ საპერო უნდა შექმნა, რასაც მოშურნეების შეძენა მოჰყვება. ეს წყალობა იქნებოდა, ხოლო ამ წყალობით მეფე ერთ მეგობარს და ას მტერს გაიჩენდა; ისიც უნდა ითქვას, რომ მეგობარიც მერე უმადური გახდება ხოლმე. იაკობ II პოლიტიკური მოსაზრების გამო ძნელად თუ ვინმეს მიანიჭებდა პერობას, ერთიდან მეორეზე გადაცემას კი ადვილად ახერხებდა. ამ სახით გადაცემული პერობა მღელვარებას არ იწვევდა. ასეთი რამ იმ მიზნით კეთდებოდა, რომ წარჩინებული სახელი არ დაკარგულიყო. თან — ამგვარი გადაცემა ლორდებსაც არ მიაჩნდათ თავისთვის საზიანოდ.

მეფე წინააღმდეგი არ იყო, ლორდი დევიდ დერი-მოირი პერების პალატაში შეეყვანა, ოღონდ ეს უნდა პერობის გადაცემის შეკვეთად მოძხდარიყო. მისი დიდებულება მხოლოდ შესაფერის შემთხვევას უცდიდა, რომ დევიდ დერი-მოირი, „თავაზიანობისთვის“ ლორდად წოდებული, უფლებამოსილ ლორდად ექცია.

3

ასეთი შემთხვევაც მოეცა.

ერთ შშვენიერ დღეს ცნობილი გახდა, რომ მოხუც განდეგილს ათასი რამ დაშართნია; ამათგან მთავარი ის იყო, რომ იგი გარდაცვლილა. საკვდილი იმით არის კარგი, რომ ხალხს გარდაცვლებაზე აალაპარაკებს ხოლმე. მეფის კარზე მყოფნი ამბობდნენ, რომ მათ ყველაფერი იცოდნენ ლორდ ლინეუსის სიცოცხლის უკანასკნელი წლების შესახებ. ცხადია, ეს ცოდნა მათგან გამოგონილი და მოჭრილი იყო. თუ მათ ნალაპარაკევს დაუჯერებდით, რაც უმეტესია, მეტად შორს იყო სინამდვილისგან, ვითომც ლორდ კლენჩარლის, მისი სიცოცხლის ბოლო ხანს, რესპუბლიკური გრძნობები იმ-

ღონად გასძლიერებოდა, — რა უცნაური საკვირველი განდევნილისა! — რომ მეფის ერთ-ერთი მკვლელთაგანის ქალიშვილი — ანა ბრადშოუ* შეირთო ცოლად. სახელსაც დანამდვილებით ამბობდნენ, მაგრამ ეს ქალი მას მერე მოკვდარიყო, როცა ბავშვი — ბიჭი — ეშვა; და, მაშასადამე, თუ ეს ნალაპარაკევი მართალი იყო, ის ბიჭი კანონიერი შვილი და მემკვიდრე იქნებოდა ლორდი კლენჩარლისა. ეს ბუნდოვანი ცნობები უფრო მითქმა-მოთქმას ჰგავდა, ვიდრე ფაქტებს. იმ დროს, რაც შვეიცარიაში ხდებოდა, ინგლისისათვის ისეთივე შორეული იყო, როგორიც ახლანდელი ინგლისისათვის ის, რაც ჩინეთში ხდება. ლორდი კლენჩარლი თითქოს ორმოცდაცხრამეტი წლისა იყო, როდესაც ცოლი შეირთო და სამოცისა, როდესაც მას ვაჟი ეყოლა; ამბობდნენ, რომ ცოტა ხნის შემდეგ ისიც მოკვდა და ბიჭი დედ-მამით ობოლი დარჩაო. მერე რა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ ძნელად დასაჯერებელი. ამ ამბებს იმასაც უმატებდნენ, რომ ეს ბავშვი „მზესავით მშვენიერიაო", როგორც ჯადოსნურ ზღაპრებშია ნათქვამი. მეფე იაკობმა ამ უსაფუძვლო მითქმა-მოთქმას ბოლო მოუღო. ერთ მშვენიერ დილას ყოვლადმოწყალემ გამოაცხადა, რომ დევიდ დერი-მოირი ერთადერთი და უდავო მემკვიდრეა თავისი უკანონო მამის, ლორდ ლინეუს კლენჩარლისა, „რადგან მას კანონიერი მემკვიდრე არ ჰყავს, და რამდენადაც დადგენილ იქნა, არც ვინმე სხვა ნათესავთაგანი და შთამომავალთაგანი დარჩენია". სიგელი ამა განცხადებისა შეტანილ იქნა ლორდთა პალატის რეესტრში. ამ სიგელით მეფე ლორდ დერი-მოირს განსვენებული ლორდ ლინეუს კლენჩარლის ტიტულს, ხარისხს, უფლებებსა და უპირატესობებს ანიჭებდა. მხოლოდ ერთადერთი პირობით, რომ ლორდი დევიდი შეირთავდა იმ ქალს, რომელსაც მეფემ აკვანშივე ჰერცოგის ასული უწოდა. დევიდი შეირთავდა, როდესაც ის ქალი სრულწლოვანი გახდებოდა; რადგან ქალი იმხანად ჯერ ისევ ბალღი იყო, სულ რამდენიმე თვისა. პატარა სასძლოს ჰერცოგის ასულ ჯოზიანას ეძახდნენ. ინგლისში მაშინ ესპანურ სახელებს არქმევდნენ. კარლოს მეორის ერთ-ერთ უკანონო შვილსაც კარლოსი ერქვა, მას პლიმუთის გრაფის ტიტულიც მიენიჭა. შესაძლოა, სახელი ჯოზიანა ორი შემოკლებული სახელისგან: ჯოზეფისა და ანასაგან შეადგინეს. ან იქნებ არსებობდა კიდეც სახელი ჯოზიანა. მაგალითად, ხომ არსებობს სახელი ჯოზია. ჰენრიხ II-ის [illegible] ჯოზია თუ ჰახაჯს ეძახდნენ.

აი, სწორედ ამ პატარა პერცოგის ასულს უბოძა მეფემ კლენჩარლის პერობა; იგი იყო პერესა და პერს ელოდა. პერი მისი მომავალი ქმარი უნდა გამხდარიყო, საპერო ორი საბარონოსაგან შედგებოდა: კლენჩარლის საბარონოსა და ჰენკერვილის. გარდა ამისა, ლორდი კლენჩარლები რომელიღაც ბრძოლაში გმირობის გამოჩენისათვის უმაღლესად ნაწყალობევნი იყვნენ სიცილიის კორლეონის მარკიზის წოდებით. როგორც საერთოდ წესია, ინგლისის პერებს არ შეუძლიათ უცხოური ტიტულები ატარონ, მაგრამ გამონაკლისიც ხდება. მაგ: ჰენრი ერანდელი, ერანდელ-ვარდურის ბარონი, ისევე როგორც ლორდი ქლიფორდი, რომის წმინდა იმპერიის გრაფიც იყო, რომლის თავადიც ლორდი კაუპერი გახლდათ. პერცოგი ჰამილტონი საფრანგეთში შატერლოს პერცოგის ტიტულსაც ატარებს. ბეზილ ფეილინგი, გრაფი დენბისა, გერმანიაში ჰაბსბურგის, ლაუფენბურგისა და რეინფელდენის გრაფის ტიტულსაც ფლობს. პერცოგი მალბორო შვედეთში მინდელჰეიმის თავადი იყო, ისევე როგორც პერცოგ ველინგტონს ბელგიაში ვატერლოოს თავადად იცნობენ. იგივე ლორდი ველინგტონი ესპანეთის პერცოგი სიუდად როდრიგო და პორტუგალიის ვიმიერის გრაფიც იყო.

ინგლისში უკვე იმ დროში არსებობდა სააზნაურო და არასააზნაურო ადგილ-მამულები. ეს მიწები, ციხე-დარბაზები, საიჯარო ადგილები, ალოდები და საპეროს სამფლობელოები სააზნაურო იყო და დროებით ლედი ჯოზიანას ეკუთვნოდა.

მეფემ გამოაცხადა, რომ, როგორც კი ლორდი დევიდ დერი-მოირი ჯოზიანას შეირთავდა, მაშინვე ბარონი კლენჩარლი გახდებოდა.

გარდა კლენჩარლის მემკვიდრეობისა, ლედი ჯოზიანას თავისი საკუთარი ქონებაც ჰქონდა. მის მფლობელობაში იყო დიდი მამულები, რომელთა ნაწილი ოდესღაც იორკის პერცოგისთვის ეჩუქებინა MADAME SANS QUEUE*-ს. ეს სახელი იმავე MADAME-ს ნიშნავს, ასე უწოდებდნენ ჰენრიეტა ინგლისელს, ორლეანის პერცოგის მეუღლეს, დედოფლის შემდეგ პირველ ქალს საფრანგეთში.

4

კარლოსისა და იაკობის მეფობის დროს წარმატებული ლორდი დევიდისთვის წარმატებას ზურგი არც უილიამ* ორანელის

მმართველობის ტამს უქცევია. ის იაკობთან ახე ახლოს არ ყოფილა, რომ განდევნილობაშიც თან გაჰყოლოდა მას. მართალია, თავისი კანონიერი მეფე უყვარდა, მაგრამ მან კეთილგონიერება გამოიჩინა და უზურპატორთან მსახურებაზე უარი არ თქვა. ისიც უნდა ითქვას, რომ ლორდი დეივდი დისციპლინით არ გამოირჩეოდა, თუმცა ჩინებული ოფიცრის სახელი ჰქონდა დაკარდნილი. მან ხმელეთზე საშსახური ზღვაზე საშსახურით შეცვალა და „თეთრ ესკადრაში“ გამოიჩინა თავი. ლორდი დეივდი, როგორც მაშინ ეძახდნენ, „მსუბუქი ფრეგატის კაპიტანი“ გახდა. საბოლოოდ მაღალი საზოგადოების წევრობა მოიპოვა. წესიერი ყოფაქცევით შინაგან ბიუროებას ფარავდა. როგორც ყველანი იმხანად, ისიც ცოტა-ცოტას პოეტობდა. კარგი ყმა-მსახური იყო მეფისა და სახელმწიფოსი. უცილობელი მონაწილე დღესასწაულებისა, ზეიმებისა, „მეფის მცირედ გამოსვლებისა“, ცერემონიალებისა, მაგრამ არც ბრძოლებს გაურბოდა, საკმაოდ თავაზიანი კარისკაცი და ამავე დროს მეტად ზეადი წარჩინებული, გარეშოების მიხედვით ხან ბეცი, ხან მორსმჭვრეტელი გახლდათ; ბუნებით პატიოსანი იყო. ზოგთა მიმართ თავშებალი, ზოგთა მიმართ ქედმაღალი. პირველი შთაბეჭდილების გაელენით, წრფელი და გულმართალი, მაგრამ შეეძლო წაბეერადვე, როგორსაც ისურვებდა, იმგვარი ნიღბით გჩენებოდათ. იგი მშვენიერად ითვალისწინებდა და გამოიყენებდა ხოლმე მეფის კარგსა თუ ცუდ გუნებაზე ყოფნას; გულმშვიდად, დაუდევრად დადგებოდა მისკენ მიმართული მახვილის პირდაპირ; მისი უდიდებულესობის ერთ ნიშანზე მზად იყო თუნდაც უპირობოდ, უმიზნოდ, გმირულად გაეწირა თავისი სიცოცხლე; ყოველნაირი უსაქციელობის ჩადენა შეეძლო, მაგრამ უზრდელად არასოდეს მოიქცეოდა. ეტიკეტისა და თავაზიანობის მონა-მორჩილი იმით ამაყობდა, რომ საზეიმო შემთხვევაში შეეძლო მუხლი მოედრიკა მონარქის წინაშე. მხიარული და გულადი, ჭეშმარიტი ჯარისკაცი, თავისი შესახედაობით, სულით რაინდი, მიუხედავად უკვე ორმოცდახუთი წლის ასაკისა, ჯერ ისევ ქალწულ ქალად გამოიყურებოდა.

ლორდი დეივდი ფრანგულ საძღერებს მღეროდა ხოლმე, მისი შთიანი მხიარულება კარლოს II-ს მეტად ხიბლავდა.

მას უყვარდა აგრეთვე მჭევრმეტყველება, აფასებდა მაღალ სტილს და აღტაცებული იყო უპისკოპოს ბოსუეს სახელგანთქმუ-

ლი, მაგრამ მეტად მოსაწყენი „დასაფლავებაზე წარმოთქმული სიტყვებით“.

დედისაგან პატარა მემკვიდრეობა დარჩა, დაახლოებით ათი ათასი გირვანქა სტერლინგის, ანუ ორას სამოცდაათი ათასი ფრანკის წლიური შემოსავალი. ეს ძლივს ჰყოფნიდა საცხოვრებლად. იგი ახე თუ ახე ახერხებდა ვალებით ცხოვრებას. განცხრომასა და სიახლეებში ბადალი არა ჰყავდა. დაიწყებდნენ თუ არა მის შიბძვას, რაიმე ახალს მოიგონებდა. ცხენით გასეირნებისას განიერ, ორმაგად გამოქნილდეზებიან იუხტის ჩექმას იცვამდა, არავის ჰქონდა ისეთი ქუდები, ისეთი იშვიათი ჩიგინები და ისეთი ყელსახვევები, როგორიც მას.

III

ჰერცოგის ასული ჯოზიანა

1

თუმცა 1705 წელს ლედი ჯოზიანა უკვე ოცდაათი წლისა იყო, ხოლო ლორდი დევიდი ორმოცდათხისა, ისინი მაინც არ იყვნენ დაქორწინებულნი — და ძალიანაც საფუძვლიანი მიზეზების გამო. იქნებ ერთმანეთი სძულდათ? სრულებითაც არა. მაგრამ ის, რაც თქვენ სულერთია, არ აგცდებათ, არავითარ ხერხეულს არ გიღვიძებთ, რომ საჩქაროდ დაისაკუთროთ. ჯოზიანას უნდოდა თავისუფლება შეუნარჩუნებინა; ხოლო ლორდ დევიდს — ახალგაზრდობა. მას ეგონა, რომ ახალგაზრდობა მით უფრო დიდხანს შერჩებოდა, რაც უფრო გვიან შეებმებოდა ქორწინების უღელში. იმ სახიფათოლო თავგადასაელებით ესოდენ მდიდარ ეპოქაში მამაკაცები ცოლის შერთვას არა ჩქარობდნენ. ჭაღარა თმა ხელს არ უშლიდათ, ქალების მუსუსები ყოფილიყვნენ. ჭაღარას პარიკი ჰფარავდა. უფრო გვიან პუდრიც მოიშველიეს. ორმოცდათხუთმეტი წლის ლორდ ჩარლზ ჯერარდის, ბრომლეელი ჯერარდების შტოიასა, დიდი წარმატება ჰქონდა ლონდონელ ბანოვანთა შორის. კოვენტრის გრაფინია, ახალგაზრდა და ლამაზი ჰერცოგინია ბეკინჰემი გაგიჟებით იყო შეყვარებული ფალკობერგის ვიკონტზე, სამოცდაათი წლის პატივცემულ თომას ბელასაიზზე. იმხანად სახოგადოებაში ზეპირად ამ-

ბობდნენ სამოცდაათი წლის მოხუცი კორნელის განთქმულ ლექსს „მარკიზა, თუ ჩემი სახე", რომელიც მან ოცი წლის მანდილოსანს მიუძღვნა. ხანდაზმული მანდილოსნებიც იპყრობდნენ მამაკაცთა გულებს. გავიხსენოთ თუნდაც ნინონი და მარიონი. მოკლედ, მისაბაძი საქმედ იყო.

ჯოზიანასა და დევიდის ურთიერთობა განაზებულ კოპწიაობაში, ტრფიალის თამაშში გამოიხატებოდა. მათ კი არ უყვარდათ, არამედ მხოლოდ მოსწონდათ ერთმანეთი. ასეთი სიახლოვე მათთვის სრულიად დამაკმაყოფილებელი იყო. რა საჭირო იყო აჩქარება? მაშინდელი რომანები შეყვარებულებს იმას შთააგონებდა, რომ ამგვარი ცდუნება კარგი ტონის გამომჟღავნება იყო. ამასთანავე, ჯოზიანა თავისი, თუმცა უკანონო, მაგრამ მაინც მაღალი შთამომავლობით ამაყობდა, თავს პრინცესად მიიჩნევდა და მეტად გოროზად იქცეოდა. მას ლორდი დევიდი მოსწონდა. ლორდი დევიდი ლამაზი იყო, მაგრამ, რაც მთავარია, ჯოზიანა მის შნოიანობა-ლაზათიანობასაც ამჩნევდა.

მოხდენილობა — ეს ყველაფერია. შესანიშნავ და მოხდენილ კალიბანს უკან ჩამორჩება საბრალო არიელი. ლორდი დევიდი ლამაზი იყო — მით უარესი: ლამაზი მამაკაცი ხან ისევე შეეზიზღებათ ხოლმე, როგორც მეტისმეტი სიტკბო. ეს მათთვის საზიანოა. მაგრამ ლორდი დევიდი სულაც არ იყო ასეთი. მას კრივი უყვარდა ძალიან. უყვარდა აზარტული თამაშიც და ისე იყო გახვეული ველში, როგორც შალში. ჯოზიანას მისი ცხენები და ძაღლები ართობდა და აინტერესებდა, ასევე ართობდა და აინტერესებდა მისი სანაძლეოებში წაგებული ფულები და საყვარლები. ლორდ დევიდსაც თავის მხრივ ჰერცოგის ასულ ჯოზიანას მომხიბვლელობა იმორჩილებდა. ეს ქალი უძრახველი ზნეობისა იყო, მაგრამ ამავე დროს თავისუფალი ყოველგვარი ცრუმორწმუნეობისაგან, იყო ქედმაღალი, უკარება და უტიფარი. ლორდი დევიდი მას სონეტებს უძღვნიდა, ჯოზიანაც მათ ხანდახან ალირსებდა ხოლმე წაკითხვას. ამ სონეტებში ლორდ დევიდი არწმუნებდა, რომ ჯოზიანას დასაკუთრება მას ცამდე აამაღლებდა, მაგრამ ამ ამაღლებას წლიდან წლამდე სდებდა. ლორდი დევიდი ჯოზიანას გულის ჭიშკართან იდგა და ეს მათ ორივეს მოსწონდათ. მათი ურთიერთობის სინატიფით აღტაცებულნი იყვნენ სასახლის კარზე. ლედი ჯოზიანა ამბობდა:

— რა საწყენია, რომ ლორდ დევიდს უნდა მოეთხოვდე, მე ვისურვებდი მხოლოდ შეყვარებული ვყოფილიყავი მისი.

ჯოზიანა ხორციელი სილამაზის განსახიერება იყო. მასზე უფრო შესანიშნავი ალბათობის სხეულს ვერ წარმოიდგენდით. ტანად იგი ძალიან ლამაზი იყო, თითქმის მეტისმეტად მაღალიც. მის ოქროსფერ თმას ძოწეულის ელფერი დაჰკრავდა. ეს ტანსავსე, ჭორფა, პირმშვენიერი ქალი მეტად გამბედავი და ჭკუამახვილიც იყო. მისი თვალები მრავლისმეტყველად გამოიყურებოდნენ; მას საყვარლები არა ჰყავდა, მაგრამ არც კმეხმოხილება ახასიათებდა. გარნა თავისი სიამაყე იცავდა ყოველი ცთუნებისაგან. მამაკაცი? რა სათქმელია? ის ან ღვთაებას დაემორჩილება, ან ურჩხულს. თუ სიქველე-კეთილმყოფელობა მიუკარებლობაში გამოიხატება, მაშინ ჯოზიანა სიქველის და კეთილმყოფელობის იდეალი იქნებოდა, მაგრამ იგი სულაც არ იყო უბიწოების განხორციელება. იმდენად გორდზი იყო, რომ სახიყვარულო თავგადასავლებს ერიდებოდა. მაგრამ სულაც არ გაბრაზდებოდა, თუ მას ასეთ რასმე დასწამებდნენ; ოღონდ ორიგინალური რამ ყოფილიყო და მისი პირადი ღირსებისათვის საკადრისიც. საბელის გატუხაზე ის არ წუხდა, მაგრამ პირად საბელდიდებას მეტად ესწრაფოდა. ცოტა ცუნდრუკად მოაჩვენო თავი და ამავე დროს მიუწვდომელი იყო, ეს იშვიათი რამ ხელოვნებაა. ჯოზიანას შეგნებული ჰქონდა თავისი სიდიადე და თავისი მიმზიდველობა. მისი სილამაზე გიმორჩილებდა და უფრო გაჰყრობდა, ვიდრე გაჯადოებდა. ეს ქალი გულებს თითქოს ფეხს ადგამდა. იგი სრულიად მიწიერი ქალი იყო. მას რომ ეგრძნო, გულში სულიც მაქვსო, არანაკლებ გაიკვირვებდა, ვიდრე იმის შეცნობით, მხრებზე ფრთები გამოსხმიაო. აღზრდა კარგი ჰქონდა მიღებული. ლოკზეც* კი მსჯელობდა. ამბობდნენ, არაბული ენა იცისო.

იყო ქალის ცოცხალი სხეული, და იყო დედაკაცი, ორი სხვადასხვა რამეა. დედაკაცის ხუსტი მხარე — სიბრალული, რაც ხშირად საკუთარულში გადაიზრდება ხოლმე, ჯოზიანას არ ახასიათებდა. იმიტომ კი არა, რომ ის უგრძნობი ადამიანი იყო; სხეულს ძველად მარმარილოს რომ ადარებდნენ, მეტად მცდარია. ლამაზი სხეული სულაც არ უნდა იყოს მარმარილოს მსგავსი. იგი უნდა თრთოდეს, კრთოდეს, წითლდებოდეს, ფერდეს. მკერდი უნდა იყოს და არა უხეში. თეთრი, მაგრამ არა ცივი. უნდა განიცადოს სიტკბოება და ტკივი-

ლი, უნდა ცოცხლობდეს, და მარმარილო ხომ მკვდარია. მშვენიერი სხეული თითქმის უფლებამოსილია იყოს გამოშიშვლებული. მისი სრულყოფილება უწევს მას ტანისამოსის მაგივრობას. ვინც ჯოზიანას შიშველს დაინახავდა, მხოლოდ მისი სხეულიდან ანარეკლი ელვარების შუქში თუ განჭვრეტდა. ჯოზიანა შიშველი ურცხვად წარმოსდგებოდა სატირის წინაშეც და საჭურისის წინაშეც. მას ქალღმერთის თეთრწმენა ჰქონდა. ახალი ტანტალოსი რომ გამოჩენილიყო, დიდი სიამოვნებით გამოიყენებდა თავის სილამაზეს ტანჯვა-წამებისათვის. მეფემ მას ჰერცოგის ასულის ტიტული უბოძა, ხოლო იუპიტერმა — ნერეიდობა მიანიჭა. ორმაგი შარავანდედით იყო მოსილი ეს არსება. ყველა, ვინც კი მისი ცქერით ტკბებოდა, იმავე დროს გრძნობდა, რომ წარმართი და მისი მონა ხდებოდა. ეს ქალი სიყვარულის ნაყოფი იყო და ოკეანის ფერია, ზღვის ქაფისაგან გამოყვანილი. მას ბედად ცხოვრების დინებაზე ხრიალი დაჰყოლოდა, მაგრამ მხოლოდ მეფურ წრეში. მასში რაღაც გამოურკვეველიც იყო: ცვალებადი, დამმორჩილებელი, თავგამეტებული. ის განათლებულიც იყო და ჭკვიანიც; არც ერთი ენებათაღელვა მას არ შეხებია, მაგრამ გონებაში კი ყველა განიცადა. იმის ფიქრი, რომ შეეძლო ბიწიერ ოცნებათა განხორციელება, კიდეც აძაგებდა თავს და კიდევაც იზიდავდა. მას რომ ხანჯლით თავი მოეკლა, ამას მხოლოდ ლუკრეციასავით ბიწიერების ჩადენის მერე იზამდა. მისი ქალწულებრივი წარმოდგენები უკვე შერყვნილი იყო. დიანაში ასტარტა იფარებოდა. იგი თავისი მაღალი ჩამომავლობით სარგებლობდა, გამომწვევიც იყო და მიუკარებელიც გასართობად ეჩვენებოდა თუ თვითონვე ამზადებდა თავისი დაცემის ნიადაგს. სახელ-დიდებამ იგი ნათელ სიმაღლეზე ასწია, მაგრამ ცთუნება აწუხებდა, რათა იქიდან დაშვებულიყო და ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი იქნებ ძირამდეც ჩანთქმულიყო. ღრუბლებისთვის ცოტათი მძიმე იყო და დაცემა მიმზიდველად ეჩვენებოდა. დიდებულთ ამა ქვეყნისა შემმართებლობა სჩვევიათ, — უტიფრობა მათ ნებას აძლევთ როგორც სურთ, ისეთი ცდები ჩაატარონ. ის, რაც ჩვეულებრივ მოქალაქე ქალს დაღუპავდა, ჰერცოგის ასულისთვის მხოლოდ გართობა იყო. მაღალი ჩამომავლობა, ირონიული ჭკუა, მეუფეენი სილამაზე ჯოზიანას თითქმის დედოფლობას ანიჭებდა. ერთხანს იგი აღტაცებაში მოდიოდა ლუი დე ბუფლერის გამო, რაკი ეს ძალოსანი მოკუმული ხელით ნალს ამტვრევდა. ჯოზიანა იმასაც ნანობდა, ჰერკუ-

ლესი უკვე მკვდარიაო. ცხოვრებაში ის მოულოდნელად რაღაც მაღალ და იმავე დროს ენებით დამტკბარ სიყვარულს. ჯოზიანას ხსენებით სახე მოვაგონებათ პიზონებისადმი* გაგზავნილი უსტარიდან ლექსს: DESINIT IN PISCEM*.

„დიაცის შვენიერი ტანი და გველთევზას ფარფლ-კუდი-ფხანი".

კეთილშობილი ტანი, მეფური გულისკვეთით ამობურცული მკლავი გულ-მკერდი, ცოცხალი და ნათელი მზერა, ფაქიზი, ზეადი ნაკეთები; ხილი იქ, წყალქვეშ, მღერიე ტალღებში, ვინ იცის? იქნებ გველეშაპის არაბუნებრივად მოქნილი და სახიჩარი, სანელი კუდიც იმალებოდეს. მიუწვდომელი სათნოება, რაშიც ბინერი ოცნებებია დაფარული.

2

ჯოზიანა ამავდროულად პრანჭიაც ბრძანდებოდა. ასეთ რაჭეს მოდა მოითხოვდა. გაეიხსენოთ ელისაბედი. ელისაბედი იმ ტიპის დედაკაცი იყო, რომელსაც ინგლისში სამი საუკუნის მანძილზე ჰქონდა უპირატესობა: მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში. ელისაბედი არა მარტო ინგლისელი, არამედ ანგლიკანიც იყო. აი რითი აიხსნება ის ღრმა პატივისცემა, რომლითაც საეპისკოპოსო ეკლესია ეპყრობოდა ამ დედოფალს. უნდა ითქვას, რომ ამ პატივისცემას ის კათოლიკური ეკლესიაც იზიარებდა, რომელმაც განკვეთა იგი თავისი ეკლესიიდან. როდესაც ელისაბედს ანათემაზე გადასცემდნენ, სიქსტ მეხუთის ბაგენი შეჩვენების მაგიერ მადრიგალს წარმოთქვამდნენ. „დიდი ჭკუის ხელმწიფეაო", — ამბობდა იგი.

მარიამ სტიუარტი*, რომელიც ნაკლებ ზრუნავდა რელიგიურ საკითხებზე და მეტწილად ქალურ განცდებზე ხარჯავდა დროს, არცთუ დიდ პატივსა სცემდა თავის დას ელისაბედს და მას სწერდა კიდეცაც, როგორც დედოფალი დედოფალსა და როგორც კეთილი ქალი უკარებას: „თქვენი უარის თქმა ქორწინებაზე იმას ნიშნავს, რომ არა გსურთ ხელი აიღოთ თავისუფალ სიყვარულზე". მარიამ სტიუარტს მარაო არხეინებდა, ელისაბედს — ნაჯახი. ეს არაღირსი თანაბარი არ არის. ორივენი ლიტერატურაში შეჯიბრებულნი იყვნენ. მარიამ სტიუარტი ფრანგულ ლექსებს წერდა. ელისაბედი პორაციუსს თარგმნიდა. ულამაზესი ელისაბედი თავს ულამაზესად თვლიდა, უყვარდა კატრენები, აკროსტიქები. მისი სურვილით ქა-

ლაჭის გასალებებს კუპიდონები მოართმევდნენ ხოლმე. ტუჩბაგეებს ატლასელი ქალღით კუმავდა და თვალებს ისე გადაატრიალებდა, როგორც ესპანელ ქალთა სჩვევიათ. სამი ათასი კაბა ჰქონდა; მათ შორის რამდენიმე მინერვასა და აფროდიტეს კოსტიუმი. ირლანდიელებს განიერი მხრების გამო აფასებდა. ბრჭყვიალა კოლიტებით ნაკერ ჩახორას იცვამდა. ვარდები მეტისმეტად უყვარდა. გიჟებას, აუგისტყვაობას, ფეხების ბრახუნს არ ერიდებოდა. სცემდა თავის სეფექალებს. დედლეის წეველიდა, კანცლერ ბერლეის ისე სცემდა, რომ საბრალო ტიროდა ხოლმე. მეთიუს სახეში აფურთხებდა. პეთონს საყელოთი აუკანჭლარებდა. ესექსს ახილაქებდა. ბახომპერთან ფეხებს გამოარჩენდა ხოლმე და მიუხედავად ამისა, ქალწულობას მაინც არ კარგავდა.

მან ბახომპერს იგიეე გაუკეთა, რაც საბაის დედოფალმა სოლოშონს. ეს უწესობად არ ითვლებოდა, რადგან ამგვარ შემთხვევას საღმრთო წერილი იხსენიებს. ის, რაც ბიბლიაში იყო დაშვებული, დასაშვები ხდებოდა ანგლიკანური ეკლესიისთვისაც. ამბავი, რომელზეც ბიბლია მოგვითხრობს, ბავშვის დაბადებით დასრულდა და მას ვენეკიძი ან მელილეტექი დაარქვეს, რაც „ბრძენის შვილს“ ნიშნავს.

გარყვნილი ზნე-ჩვეულებანია. დიახ, მაგრამ პირმოთნეობა ცინიზმზე უკეთესი რიდია.

თანამედროვე ინგლისი, რომელსაც უელსის სახით ლითიუმა ჰყავს, ცოტა არ იყოს, დარცხვენილია თავისი წარსულით. იგი გულნაკლულიც არის მასზე და ამაყობს კიდევაც მისით.

ამჟამად სახიჩრობა მოსწონდათ, განსაკუთრებით ქალებს, და ისიც ლამაზ ქალებს. აბა, განა ღირს ლამაზი იყო, თუ სახიჩარი თან არ გაბლავს? განა ღირს ფეოდალი იყო, თუ რომელიმე სასაცილო ხალხთხობელა არ გყავს და „შენობით“ არ გელაპარაკება? მარიამ სტიუარტი კუზიან რიჩის“ სწყალობდა“. ამარია-ტერეზია ესპანელი „ცოტა შინაურულად“ იყო განწყობილი ერთ ხანგთან. ამ შინაურულობის შედეგად „შაჟი აბატი“ გაჩნდა. „დიდებული საუკუნის“ გულითქმათა ისტორიებში კუზიანობა დამაბრკოლებელი არ იყო; ამის მაგალითს იძლევა მარშალი ლუქსემბურგელი. ლუქსემბურგელზე ადრე კი — კონდე, ეს „პატარა ლამაზი ძაბაკაცი“.

ლამაზ ბანოვანთაც უნდა ჰქონოდათ ნაკლოვანებანი. ეს და-

საშვები იყო: ანა ბოლეინს* ძუძუმკერდი ცალ მხრივ უფრო დიდი ჰქონდა, ხელზე — ექვსი თითი და პირში — ერთით მეტი კბილი მეორეზე შეხრდილი. ლაკალიერს* მოღრეცილი ფეხები ჰქონდა. ყოველივე ეს ხელს როდი უშლიდა, რომ ჰენრიხ VIII-ს გადარჩენამდე ჰყვარებოდა ანა ბოლეინი, ხოლო ლუდოვიკო მეთოთხმეტეს — გონი დაეკარგა ლაკალიერეს სიყვარულით.

ბუნებრიობიდან ასეთი გადახრები მორალურ სფეროშიც ხდებოდა. მაღალი წრის თითქმის ყველა ქალს ზნეობრივი სიმახინჯე ახასიათებდა. აგნესებში მელიუზინები იფარებოდნენ. დღისით ახანა ქალები იყვნენ, ხოლო ღამით მაგნე მაჩქათელები. ახანა სამხკვერო მოედანზე გადიოდნენ და რკინის პალოებზე დაცმულ ახალმოჭრილ თავებს კოცნიდნენ. მარგარიტა ვალუას,* ამ ყველა მანჭაის წინაპარს, სარტყელთან კორსეტზე მიკერებული, კლატით დაკეტილი თუნუქის კოლოფები ეკიდა, რომლებშიც თავის უკვე მკვდარ შეყვარებულთა გულებს ინახავდა. მის ფარიო კაბის კალთებში ჰენრიხ IV იმალებოდა.

მეთვრამეტე საუკუნეში ბერიის ჰერცოგის ასული, საფრანგეთის სამეფოს რეგენტის ქალიშვილი ამგვარი ტიპის დიაცების მრავალფეროვანი განსახიერება იყო.

ყოველივე ამასთან ერთად იმავე ბანოვანებმა ლათინური ენა იცოდნენ. მეჩვიდმეტე საუკუნიდან ლათინური ენის ცოდნა ქალთა დამაშვენებლად ითვლებოდა. ჯეინ გრეის სინატიფე-შნოიანობა იქამდე აღწევდა, რომ მან ძველი ებრაული ენა შეისწავლა.

ჰერცოგის ასულმა ჯოზიანამ ლათინური იცოდა. გარდა ამისა, მას ერთი უპირატესობაც გააჩნდა: იგი კათოლიკე იყო, მართალია, ფარულად და უფრო იმგვარად, როგორც ბიძამისი კარლოს II იყო, და არა როგორც მამამისი იაკობ II. იაკობმა კათოლიციზმის მიკერძოების გამო დაკარგა ტახტი; ხოლო ჯოზიანას სრულებითაც არ სურდა თავისი საპერო დაეკარგა. ამიტომ იყო, რომ მხოლოდ მისი ინტიმური, შინაურული წრის ადამიანებმა იცოდნენ დაწვრილებით, რომ იგი კათოლიკურ ეკლესიას ემხრობოდა, ხოლო დანარჩენთათვის, მდაბიო ხალხისთვის იგი პროტესტანტობას აღიარებდა.

რელიგიის აღიარების ამგვარი ხერხი ხელსაყრელია. თქვენ სარგებლობთ ყველა იმ უპირატესობით, რომლებსაც ოფიციალური, საეპისკოპოსო ეკლესია განიჭებთ. ხოლო რიდესაც კედები,

ეთარება გრიცეულსი, — კათოლიციზმის მართლმორწმუნე აღმოჩნდებით და მამა პეტრო თქვენთვის განსახკუნებელ მესას ასრულებს.

ჯოზიანა სიცოცხლით სავსე იყო, ღაღადა სახისა, მაგრამ, ეტყობათ, მაინც მანჭვა-გრეხა და განაზება უყვარდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ხანდახან მისი ზანტი და ენებამტკბარი საქციელი, რაც ფრანზის ბოლოს გაგრძელებით ითხატებოდა, გაბარდულ ტყვეში ჩასაფრებული ძუ ვეფხვის მოქნილ, ნელ მოძრაობას მოგაგონებდათ.

პრანჭიებს ურჩევნიათ კაცობრიობა მათგან განსაზღვრულ ხარისხზე რჩებოდეს.

თუ ოლიმპის მთა არ იქნება, შეიძლება რამბულიეს სასტუმროთი დაკმაყოფილდნენ. იუნონა არამინტად გარდაიქმნება ხოლმე.

ღვთაებრიობის დარჩება მათგან მხოლოდ პრანჭიებსა ქმნის. ცეცურ ჭეკა-ქუხილს იგი უტიფრობითა ცვლის. ტაძარი მცირდება და ბუდუარად გარდაიქმნება. რაკი ასეთ ბანოვან ღვთაებად ყოფნის შესაძლებლობა არ აქვს, იგი კერპის როლით კმაყოფილდება.

პრანჭვაში ერთგვარი პედანტობაცაა, რაც ქალებს სიამოვნებთ ხოლმე.

კოპწია ქალი და პედანტი ხომ კარის მეზობლები არიან. მათი სულიერი ნათესაობა მათივე ქარაფშუტულ ბასიათში ჩანს. ნებიერობა ავხორცობისგან წარმოსდგება. ვინც კერძებს არჩევს, ის თავის ლორმუცელობას ფარავს.

სიხარბეს ზიზღით სახის დალმეჭა უხდება.

გარდა ამისა, ქალებისთვის დამახასიათებელი სისუსტე თავს კარგად გრძნობს თავაზიანობის კაბუისტიკით დაფარული და ეს თავაზიანობა სინდისის ადგილს იკავებს. ის მანჭვებს მოსალოდნელი სამაშროებისგან იცავს.

ჯოზიანა მოუხვენარიც იყო. თავაშვებულობისადმი ისეთ მიდრეკილებას გრძნობდა, რომ წმინდანეთით იქცეოდა. თუ სიამაყე მე გვაიძულებს თავი შევიკავოთ ბიწიერებისაგან, იგივე სიამაყე გვიბიძგებს ჩვენ სხვა საწინააღმდეგო ბიწიერებისაკენ. ჯოზიანას მეტისმეტი თავგამოდება — უბიწო ყოფილიყო, მას მიუკარებელს ხდიდა. მუდმივი სიფრთხილე იდუმალ სურვილს აძლიერებს, ვინმე დაეუფლოს. ვინც მიუწედომელია, მას არ სჭირდება ხიბლაცრით შეიარაღება.

იგი გონიზად შემოიფარგლა თავისი მაღალი წარმომავლობით და განსაკუთრებული მდგომარეობით. თან, როგორც უკვე მოგახსენეთ, იმაზე ფიქრს განაგრძობდა, ეგებ, მოულოდნელ შემთხვევას ეხსნა ამ მდგომარეობიდან.

მეთვრამეტე საუკუნის განთიადი დგებოდა. ინგლისი რევოლუციის დროინდელი საფრანგეთის მიბაძვას იწყებდა. ულპიოლი ცოტათი განსხვავდება დიუბუასაგან. მალბორო თავისი ყოფილი მეფის იაკობის II-ის წინააღმდეგ იბრძოდა, რომელსაც, როგორც ამბობენ, მან თავისი და ჩერჩილი მაყიდა. ბოლინგ-ბროკი ბრწყინავდა, რიშელიეს ვარსკვლავი ამოდიოდა. წოდებათა რამდენადმე ურთიერთშერევამ ნოყიერი ნიადაგი მოუმზადა სასიყვარულო ინტრიგებს. ბიწიერება საზოგადოების სხვადასხვა ფენის ადამიანებს ათანასწორებდა, უფრო გვიან კი ამას იდეები სჩადიოდნენ. მდაბიოებთან დამეგობრებით არისტოკრატიამ დასაბამი მისცა იმას, რაც შემდგომ რევოლუციამ დაასრულა. უკვე შორს აღარ იყო ის დრო, როდესაც ტელიოტს შეეძლო დღისით-შუქისით, დაუფარავად, შარკიზა დ'ეპინეს საწოლზე დაბრძანებულიყო. თუმცა, ერთი საუკუნის ზნე-ჩვეულებანი მეორე საუკუნეშიც გადადის, ან გადაატყო ხოლმე. მეთექვსმეტე საუკუნეს შეეძლო დაეშოშმინებინა, რომ სმეტონის სალამური თაეჩაჩი ანა ბოლეინის ბალიშზე იდო.

თუ დედაკაცი და ცოდვა ერთი და იგივეა, როგორც რომელიღაც საეკლესიო კრებაზე ამტკიცებდნენ, მაშინ დედაკაცი არასდროს ყოფილა დედაკაცი, როგორც იმ ხანში. თავის დაუდგრომლობას მომხიბლაობით ფარავდა, ხოლო სისუტეს — ყოველდღიურობით იქარწყლებდა. ევამ თუ აკრძალული ნაყოფი ნებადართულ ხილად აქცია, ეს მისი დაცემა იყო. საშაგიეროდ, მისი ზეიმი ნებადართული ნაყოფის აკრძალულ ხილად ქცევა გახლდათ. მეთვრამეტე საუკუნეში დედაკაცი თავის მეულლეს საწოლი ოთახის კარს არ უღებს, ევა ედემში სატანასთან ერთად იკეტება. ადამი საოთახის კარს მაღმა რჩება.

3

ჟოზიანას ინსტინქტები თავისუფალ სიყვარულს უფრო კარნახობდა, ვიდრე კანონიერ ქორწინებას. თავისუფალ სიყვარულს რაღაც საერთო აქვს ლიტერატურასთან, იგი მინალკიასა და ამარილისის ისტორიას გვაგონებს. თითქმის განსწავლულობას მოწმობს

თუ გამოვრიცხავთ იმას, რომ სიმახინჯე სიმახინჯეს იზიდავს, მამ მადმუაზელ სკიუდერის სხვა საფუძველი არა ჰქონია პერისონისთვის დაეთმო.

ქალიშვილი საქმროს იმორჩილებს, ხოლო ცოლი ქმრის მონა ხდება — ასეთია ძველთაძველი ინგლისური ადათი. ჟოზიანა ცდილობდა თავისი დამონების ჟამი რაც შეიძლება დიდი ხნის შემდეგ დამდგარიყო. რასაკვირველია, მეფის ნებას უნდა დაჰყოლოდა, და აუცილებლად მისთხოვებოდა ლორდ დევიდს. მაგრამ რაოდენ არასასიამოვნო იყო ეს მისთვის. ჟოზიანა არ ეუბნებოდა უარს ლორდ დევიდს, მაგრამ ერთგვარად შორს ეჭირა მისგან თავი. მათ შორის უსიტყვო თანხმობა არსებობდა: არც დაქორწინებულიყვნენ და არც დაშორებოდნენ ერთმანეთს. ისინი ერთმანეთთან შეხვედრას ერიდებოდნენ. სიყვარულის ამგვარი ილეთები, ერთი ნაბიჯის წინ წადგმა და ორის — უკან, იმ დროის ცეკვებში გამომჟღავნდა: მენუეტსა და გავოტში. დაქორწინება არავის უხდება; მის გამო კაბის მამშვენებელი ბაფთები ხუნდება. ნაქორწილევნი თითქოს უკვე დაბერდნენო. ქორწინება მეტად აშკარად სწყვეტს საკითხს: ქალი მამაკაცს ნებდება ნოტარიუსის შუამდგომლობით, — რა ურცხვობაა! ქორწინების ამ უხეშ მხარეს გამოუსწორებელი მდგომარეობა მოსდევს. იგი ნების თავისუფლებას ანადგურებს, არჩევანის საშუალებას სპობს, გრამატიკის მსგავსად, ურთიერთობათა თავის საკუთარ სინტაქსს ადგენს, ალმაფრენას ორთოგრაფიით ცვლის, სიყვარულს კარნახად აქცევს, მას ყოველგვარ იდუმალებას აცლის, ქალის სახე ციდან მიწაზე ჩამოჰყავს. ქმარს ბატონად ხდის და ცოლს კიდევ მსახურად. სარეცელი როგორ უნდა აქციო იმდენად პროზაულ რამედ, რომ იგი სრულიად წესიერი იყოს? მასზე მეტად უფრო ვულგარული, მდარე რამ წარმოუდგენელია! სისულელე არ იქნება ასეთ უგემურ, უმარილო სიყვარულს ესწრაფოდე?

ლორდმა დევიდმა სრული დავაჟკაცების ასაკს მიაღწია. ორმოცი წელი ხუმრობა როდია! ის თვითონ ვერც ამჩნევდა ამას. მართლაც, იგი მხოლოდ ოცდაათი წლისა გეგონებოდათ. მას ერჩივნა სურვილი და მისწრაფება ჰქონოდა ჟოზიანასადმი, ვიდრე დაემორჩილებინა იგი. ის სხვა ქალებთან იყო სასიყვარულო ურთიერთობაში; საყვარლები ჰყავდა.

ხოლო ჟოზიანა ოცნებებს ეძლეოდა, ეს ხომ უფრო ცუდი იყო!

ჯერაგის ასულ ჯოზიანას ერთი განსაკუთრებული თვისება გააჩნდა, რაც უფრო ხშირად ხდება ხოლმე, ვიდრე ჰგონიათ: მას ცალი თვალი ცისფერი ჰქონდა, მეორე — შავი. ამ თვალებში ფეთქებდა სიყვარული და სიძულვილი, ბედნიერება და უბედურება. მის გამოხედვაში დღე და ღამე შერწყმულიყო.

ამ ქალის პატივმოყვარეობა იმდენად დიდი იყო, რომ უსდიდა რაიმე შეუძლებელი ჩაედინა.

ერთხელ მან სვიფტს უთხრა:

— თქვენ გგონიათ, რომ თქვენგან მოძულება ღირს რამედ?

ამ „თქვენის“ თქმით ადამიანთა მთელი მოდგმა იგულისხმებოდა.

იგი პაპის მიმდევრებს ეკუთვნოდა, მაგრამ ეს მიმდევრობა მხოლოდ ზერელე იყო. მისი კათოლიკური რელიგიისადმი მიდრეკილება იმ საზღვარს არა სცილდებოდა, რასაც მხოლოდ ელეგანტობა მოითხოვდა. ჯოზიანა მძიმე ხავერდის, ატლასისა ან შუარის კაბებს იცვამდა, იქრომკერდით ან ყვრცხლის ხორშებით ნაქარგს. ზოგი კაბა თხუთმეტი-თექვსმეტი წყრთის სიგანისა იყო. ამ ქალის სართყელი უამრავი მარგალიტითა და ძვირფასი ქვებით იყო მოჭედილი. ხან მაუდის კამზოლსაც იცვამდა, ბაკალავრების მსგავსად ბუზმენტებ შემოვლებულს. ცხენზე კაცურად ჯდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისში რიჩარდ მეორის ცოლმა ანამ ჯერ კიდევ მეთოთხმეტე საუკუნეში შემოიღო საქალებო უნაგირი. კასტილიური ადათის მიხედვით ჯოზიანა ყველ-გულსა დ ხელ-პირს შაქარყინულის ხსნარში არეული ყვრცხის ცილით იბანდა. როდესაც რაიმე უნამახვილ შენიშვნას მოისმენდა, საპასუხოდ მეტად მომხიბლავად ჩაიცინებდა ხოლმე დაფიქრებული.

ერთი სიტყვით, ბოროტი არა და უფრო კეთილი იყო.

IV

MAGISTER ELEGANTIARUM*

ჯოზიანა, რა თქმა უნდა, მოწყენილი იყო.

ლორდ დეკიდ დერა-მოირს ლონდონის მხიარულ, მოქეიფე საზოგადოებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. თავადაზნაურობა მას ღრმა პატივისცემით ეპყრობოდა.

აქ აღვნიშნავთ ლორდ დევიდის ერთ სახელოვან გმირობას: მხოლოდ მან გაბედა თავისი საკუთარი თმით გამოჩენილიყო. პარიკების წინააღმდეგ რეაქცია უკვე დაიწყო. ისევე როგორც 1824 წელს ეგენ დევერიამ* პირველმა გაბედა წვერის მოშვება. ამავე 1702 წელს პრაის დევერეც პირველი გამოცხადდა საზოგადოებაში თავისი საკუთარი, ხელოვნურად დახუჭუჭებული თმით. ასეთ შეხვედვაში თქვენს საკუთარ თმა-ჭოჭორს ისეთივე ხიფათი მოელოდა, როგორც მთლიანად თქვენ. პრაის დევერს საყოველთაო რისხვა არ ასცდა, თუმცა იგი პერფორდის ვიკონტი იყო და ინგლისის პერი. შეურაცხყოფას აყენებდნენ და ჰქონდათ კიდეც საბუთი. ამ გახელებული დევნის მომენტში ლორდი დევიდიც მოულოდნელად უპარიკოდ გამოჩნდა, თავისი საკუთარი თმის ამარა. ამნაირი საქციელი ერთგვარი ნიშანია განსაზღვრული საზოგადოებრივი წეს-ადათების დარღვევისა. ლორდ დევიდს უფრო გაკაპასებული შეურაცხმყოფელთა გუნდი მეხსია, ვიდრე ვიკონტ პერფორდს, მაგრამ იგი ოდნავაც არ გაწბილებულა. პრაის დევერე პირველი იყო, დევიდ დერი-მოირი მეორე გახლდათ, თუმცა, მეორე ხომ ხშირად უფრო მეტ დევნას განიცდის ვიდრე პირველი. მეორეს გამბედაობა მეტად სჭირდება, თუმცა გენიალობა — ნაკლებად. პირველი, სახლით გატაცებული, შესაძლოა ვერც ამჩნევს მის მიმართ მუქარასა და ხიფათს, ხოლო მეორე უკვე ხედავს წინააღმდეგობათა უფსკრულს და კიდეც უახლოვდება მას. აი, სწორედ ამ უფსკრულში გადაიჩეხა დევიდ დერი-მოირი, რაკი იგი მეორე იყო, ვინც საზოგადოებაში უპარიკოდ გამოვიდა. შემდეგში ამ ორ გაბედულს მიმბაძველებიც გამოუჩნდნენ, რომელთაც გაბედეს და საკუთარი თმა-ჭოჭორი დაიყენეს. ამ უკანასკნელთადმი მიმართული რისხვა ცოტათი პუდრმა შეარბილა.

ვხედავ მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი უფრო სწორად რომ გავაშუქოთ, უნდა ვალიაროთ, რომ ამ პარიკების წინააღმდეგ ომში ნამდვილი პირველობა შვედეთის დედოფალ ქრისტინას მიეძღვის, რომელიც მამაკაცურ ტანისამოსს იცვამდა, და 1680 წლიდან დაწყებული თავისი საკუთარი წაბლისფერი თმით გამოდიოდა საზოგადოებაში; მხოლოდ თმა მას დაუდრეკელი და აწეწილ-დაწეწილი ჰქონდა. თუმცა მისხინის სიტყვით, ამ ქალს „ნიკაპზე რალაც წვერების მსგავსი ბუსუსებიც მოუჩანდა". რომის პაპიც ერთგვა-

რი პარიკების ხმარების წინააღმდეგი გახდა. მან 1694 წელს ბეჭედი გამოსცა, რითაც უპასკოპოსებსა და მღვდლებს ეკრძალებოდათ პარიკებით თაეშორთა; ამასთანავე, ყველა მღვდელმსახურების აღმსრულებელს ვალდებულებად დაუწესა, რომ თავიანთი თმა გაეზარდათ.

ამგვარად ლორდ დეიდს პარიკი არ სწამდა და, გარდა ამისა, ძროხის ტყავის ჩექმებით დაბრძანდებოდა.

ასეთმა გმირობამ, საერთო აღტაცება გამოიწვია. არ იყო არც ერთი არისტოკრატიული კლუბი, რომლის წევრიც ლორდ დეიდი არ ყოფილიყო. მოკრივეთა არც ერთ შეკიბრებას ისე არ ჩაუვლია, რომ ლორდი დეიდი აქ REFEREE არ ყოფილიყო. REFEREE — მსაჯს ნიშნავს.

მან მონაწილეობა ლონდონის მაღალი საზოგადოების რამდენიმე კლუბის წესდების შედგენაშიც მიიღო. მანვე დაიარსა მთელი რიგი შესანიშნავი დაწესებულებანი, რომელთაგან ერთი, სახელდობრ, „ლედი გინეა“ 1772 წლამდე არსებობდა პელ-მელში. აქ ოქროს ფულზე თამაშობდნენ. ყველაზე მცირე გამოსაღები იყო ორმოცდაათი გინეის მწკრივ-სვეტი, ხოლო მოთამაშეთა მაგიდაზე ოცი ათას გინეაზე ნაკლები არასდროს იდო. ყოველი მოთამაშის გვერდით პატარა მრგვალი მაგიდა იდგა ჩაისთვის და მოვარაყებული ხის ფიალახათვის; ამ უკანასკნელში გინეები ეწყო. როგორც დანების წმენდის დროს ლაქიები, ისე ეს მოთამაშეები ტყავის საგულისპირეებსა და სამკლავეებს აკეთებდნენ, რომ მათი მაქმანებიანი საყელო-მაჯები არ შელახულიყო. ჭაეილებით შემკული განიერფარფლებიანი ჩალის ქუდები სინათლეს უჩრდილავდა და ხვეულ თმასაც კარგად ინახავდა. ყველანი ნიღაბაფარებულები იყვნენ, რათა მღელვარება სახეზე არ შესტყობოდათ. მით უფრო, როდესაც „თხუთმეტიანს“ თამაშობდნენ. კამზოლებს უკულმა იცვამდნენ, რადგან ამბობდნენ, „ასეთი რამ მოთამაშეს ბედს სწევსო“.

ლორდი დეიდი იყო წევრი „ბიფშტექს-კლუბისა“, „სპლიტ-ფარტინგ-კლუბისა“, „ბუზღუნათა კლუბისა“, „წუწურაქთა კლუბისა“, „დაბეჭდილი კვანძის კლუბისა“ („სილდ-ნოტ“), „ჩოთალისტების კლუბისა“, „მარტინ სკრიბლერის კლუბისა“, რომელიც სვიფტის დაარსებული იყო, მილტონის მიერ დაარსებული „როტას კლუბის“ სანაცვლოდ.

მუხლებად მოხდენილი, ღამაზი გარეგნობისა, ლორდი დეველ „მახინჯთა კლუბის“ წევრად ითვლებოდა. ეს კლუბი სიმახინჯისადმი იყო მიძღვნილი. იქ პირობას სდებდნენ ებრძოლათ არა ლამაზი ქალებისათვის, არამედ სახიჩარი კაცებისათვის. კლუბის დარბაზში გამოფენილი იყო მახინჯ ადამიანთა სურათები: თერსიტის,* ტრიბულესი,* დუნსის,* ჰუდიბრასისა* და სკარონისა.* იქვე ბუხართან ორი ბრუელიანის, კოკლესის* და კამოენსის* შუა, ეზოპეს* სახება იდგა. კოკლესი ბრუციანი იყო მარცხენა თვალით, ხოლო კამოენსი — მარჯვენით. თითოეული მათგანის ბრუციანი თვალი მაყურებლისკენ იყო მიქცეული, ხოლო მათივე ბრმა პროფილები ურთიერთისკენ — მიმართული. იმ დღით, როდესაც მშვენიერ ქალბატონ ვიზარს ყვაელი გამოაჩნდა, „მახინჯთა კლუბში“ მისი კარგად ყოფნის სადღეგრძელო დალიეს. ეს კლუბი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე კიდევ არსებობდა. კლუბმა მირაბოს* სპატიო წევრის დიპლომი გაუგზავნა.

კარლოს II-ის ტახტის აღდგენისთანავე ყველა რესპუბლიკური კლუბი გაუქმდა. მურფილდსის გვერდით მდებარე ჭუჭაზე მოისპო ის სამკიტნო, სადაც „ბჭოს თაეის კლუბის“ წევრნი სხდომებს მართავდნენ. ეს სახელწოდება იქიდან წარმოდგა, რომ 1649 წლის 30 იანვარს, იმ დღით, როდესაც ეშაფოტზე კარლოს პირველის ხიხლი დაიღარა, ამ სამკიტნოში კრომველის სადღეგრძელოდ წითელ ღვინოს ბჭოს თაეის ჭალადან სვამდნენ.

რესპუბლიკური კლუბების ნაცვლად მონარქიული კლუბები გაჩნდა.

მაგალითად, დაფუძნდა „უტიფართა კლუბი“, სადაც მეტად „წესიერ“ გართობას მიხდევდნენ. ჭუჭაში აჭერდნენ რომელიმე მოქალაქე გამვლელ ქალს, შედარებით არცთუ ხნიერს და არცთუ ულამაზოს, ძალით შეათრევდნენ ხოლმე კლუბში და აიძულებდნენ ფრანზე, ხელებზე შეძდგარს ეცეკვა. ფეხები ჰაერში ჰქონდა აშვერილი, ქვედატანისამოსი სახეზე ეყარებოდა; თუ იგი გაუჯიუტდებოდა, ერთ-ორჯერ შოლტსაც შემოჰკრავდნენ ხოლმე იმ ნაწილზე, რომლებსაც კაბა აღარა ფარავდა. შენიეე ბრალია, ინებე და დაეშორჩილეო. ამ თაეისებური მანეთის მოღვაწენი „მხტუნაეებად“ წოდებოდნენ.

იყო „ცხელი ელეების“ კლუბიც; მას ერქვა, ავრეთვე, „მხია-

რულ ცეკვათა კლუბი". იქ ზანგებსა და თეთრკანიან ქალებს აძულებდნენ შეესრულებინათ პრუეული პიკანტების და ტიმტირობასების ცეკვები, კერძოდ, „მოზამალა" (ცუდო გოგონა). მოცეკვავე ქალი ცეკვის ბოლოს ქატოს გროვაზე უნდა დამჯდარიყო. ხოლო ადგომისას ქატოზე დარჩებოდა ხოლმე ანაბეჭდი სხეულის იმ ნაწილისა, რომლის დასახელება უხერხულია. იმავე კლუბში დგამდნენ ცოცხალ სურათს, რომლის შესახებ ლუკრეციუსის ლექსში ნათქვამია:

TUNC VENUS IN SYLVIS JUNGEBAT CORPORA AMANTUM.*

იყო კიდევ „კლუბი ჯოჯოხეთის ალისა", სადაც ღვთის გმობას მისდევდნენ. ამ კლუბის წევრები ბილწსიტყვაობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ჯოჯოხეთს იმას უთმობდნენ ჯილდოდ, ვინც ბილწსიტყვაობაში მეტ წარმატებას მოიპოვებდა. იყო აგრეთვე „თავით დაჯახების კლუბი", რადგან იქ ადამიანებს თავით ეჯახებოდნენ. გამონახავდნენ რომელიმე მტვირთავს, მკერდგანიერსა და შესახედავადაც ყეყეჩს. დაიყოლიებდნენ, ხან ძალადაც აიძულებდნენ ერთი ტოლჩა პორტერი დაელია და დათანხმებულიყო ოთხჯერ დაჯახებოდნენ მკერდზე თავით. შემდეგ მასზე სანაძლეოს სდებდნენ. ერთი ველიელი, სახელად გოგანჯერდი, ზორბა ვაჟკაცი, მესამე დაჯახების მერე მოკვდა. საქმე მეტად გართულდა, გამოძიება დაიწყო და კომისიამ დაადგინა, რომ „გული გაუსკდა, მაგარი სასმლის ჭარბად დალევის გამო". გოგანჯერდს, მართლაც ერთი ტოლჩა პორტერი ჰქონდა დალეული.

იყო კიდევ ე.წ. „ფან-კლუბი". ეს ტერმინი FUN, როგორც CANT ან HUMOUR, თითქმის არ ითარგმნება; ხუმრობა FUN იგივეა, რაც პილპილი მარილის მიმართ. ვისიმე სახლში შეპარვა, ძვირფასი სარკის გატეხა, წინაპართა სურათების მაჭრა-მოჭრა, ძაღლის მოწამლვა, ფრინველების გალიაში კატის შეგდება, — ყველა ამას FUN-ი ეწოდება. ხმის გავრცელება ვისიმე სიკვდილის შესახებ, — რათა მკვდრის ნათესავებს ტყუილად თალხები ჩაეცვათ — ესეც FUN-ი იყო. ვინც ჰოლბეინის ნახატში ჰემპტონ-კორტში დიდი ოთხკუთხა ნახვრეტი ჩასჭრა, იმანაც FUN ჩაიდინა. ყველაზე შესანიშნავი FUN-ი იქნებოდა ვენერა მილოსელისთვის ხელის მომტვრევა. იაკობ II-ის დროს ერთმა ახალგაზრდა ლორდმა, მო-

ლონდონმა, გართობის მიზნით ვიღაცის ქოხს ცეცხლი წაუკიდა და მთელი ლონდონი აცინა: ის ლორდი FUN-ის მეფედ გამოაცხადეს, ხოლო ქოხში მცხოვრები უბედურები საცვლების ამარა გამოცვივდნენ ცეცხლწაკიდებული ქოხიდან, მთელი თავიანთი ქონება-საბზარიც დაკარგეს. ღამით, როცა მოქალაქეთ ეძინათ, „ფან-კლუბის" წევრები — მაღალი არისტოკრატიის წარმომადგენლები მთელ ლონდონში დახეტიალებდნენ. ფანჯრის დარაბებსა ჰგლეჯდნენ, სახანძრო მილებს ჭრიდნენ, კასრებს ძირს აგდებდნენ, სავაჭრო დუქნებიდან აბრებს ხსნიდნენ, ბოსტნებში ნათესს ფეხით თელავდნენ, ქუჩაში ფარნებს აქრობდნენ, ძველი შენობის კედლებზე შეყუდებულ ბოძკინტებს შუაზე ხერხავდნენ, ფანჯრის შუშებს ამტვრევდნენ. ყოველივე ეს განსაკუთრებით ღარიბთა უბნებში ხდებოდა. ასე ექცეოდნენ ღარიბებს მდიდრები. წუწუნიც შეუძლებელი იყო. თუმცაღა, ყოველივე ეს ხუმრობად ითვლებოდა. ამგვარი ჩვეულება ჯერაც მთლიანად არ გადავარდნილა ინგლისის სხვადასხვა ნაწილში, ანუ ინგლისის მფლობელობაში მყოფ ადგილებში, მაგალითად, კუნძულ გერნსიზე, დროდადრო თქვენს სახლს ღამით თავს დაესხმიან, „ხუმრობით" ღობეს დაგიქცევენ, კარს ჩაქუჩ-ზარს მოსტეხენ და სხვა. ეს რომ ღარიბ-ღატაკებს ჩაედინათ, მათ კატორღაში უკრავდნენ თავს, მაგრამ მშვენიერი ახალგაზრდობა ამით ერთობოდა.

ყველაზე უფრო არისტოკრატულ კლუბს სათავეში ედგა თავმჯდომარე, იგი შუბლზე ნახევარმთვარეს ატარებდა და ეწოდებოდა „დიდ მოჰოკად." მოჰოკი FUN-საც კი წინ უსწრებდა. ჩავიდინოთ ბოროტება ბოროტების მიზნით — ასეთი იყო მისი პროგრამა. „მოჰოკ-კლუბს" მაღალი მიზანი ჰქონდა: ზიანის მიყენება. ამ მიზნის მისაღწევად ყველა საშუალებას იყენებდნენ. ის ვინც, მოჰოკი ხდებოდა, ფიცს სდებდა, რომ ყველას მიაყენებდა ზიანს, რადაც უნდა დასჯდომოდა, სულერთია როდის, ვის ან რა სახით, — ეს მათ მოვალეობად გამხდარიყო. „მოჰოკ-კლუბის" ყველა წევრს რაიმე ნიჭი უნდა ჰქონოდა; ზოგი „ცეკვის მასწავლებელი" იყო; გლეხკაცს მახვილით წვივებში სჩხვლეტდა და აიძულებდა ეხტუნა, მეორეს შეეძლო „ოფლის მოდენა"; ამის შესასრულებლად რომელიმე მოხეტიალეს გააჩერებდნენ, 6-8 მახვილით შეიარაღებული ჯენტლმენი დაძონძილ მაწანწალას გარს შემოეხვეოდა. რომლის-

კენაც ეს მსხვერპლი ზურგით მოექცეოდა ის ჩხვლეტდა მახვილის წვერით; ეჩხვლიტებოდა თუ არა, საბრალო მოტრიალდებოდა, – ახლა მეორე უჩხვლეტდა ზურგში, ეს ახალი ჭრილობა აგრძნობინებდა, რომ ახლა სხვა ჯენტლმენისკენ მიბრუნებულიყო. როცა გამრთობნი მიხვდებოდნენ, რომ დაჩხვლეტილი კაცი უკვე საკმაოდ ატრიალეს და ახტუნავეს, შემდეგ ლაქიებს უბრძანებდნენ კარგად ეცემათ, რომ მათგან ნაწამებს ხსოვნაში მხოლოდ ეს ცემა-ტყეპალა დარჩენოდა. ზოგნი „ლომის ცემას თამაშობდნენ", ესე იგი, სიცილ-ხარხარით გააჩერებდნენ ქუჩაში გამვლელს, მუშტს ცხვირში ჩასცემდნენ და ორივე ცერს თვალებში მაგრად მიაჭერდნენ; თუ მათი მსხვერპლი დაბრმავდებოდა, ცოტაოდენი ფულით აჯილდოებდნენ.

აი, ასე საამურად ერთობოდა მეთვრამეტე საუკუნის დამლევს ლონდონის მდიდარი, თავაწყვეტილი ახალგაზრდობა, ხოლო პარიზის უსაქმურები სხვანაირად, თავისებურად ერთობოდნენ. გრაფი დე შაროლე თავისი სახლის ხლურბლზე მდგარი დამბაჩას ესროდა გამვლელებს. ახალგაზრდობას მუდამ პყვარებია მხიარული დროს ტარება. ლორდ დევიდ დერი-მოირს ყველა ამ გახართობ-სამხიარულო დაწესებულებაში მისთვის დამახასიათებელი დიდებული გულგაშლილობა შეპქონდა. როგორც ყველანი, ისიც მხიარულად წაუკიდებდა ცეცხლს ჩალით დახურულ ფიცრულ ქოხს და ცოტათი შებრაწავდა კიდევაც ამ ქოხში მცხოვრებლებს, ოღონდ, სამაგიეროდ, თვითონვე ქვითკირის სახლს აუშენებდა. ერთხელ „უტოფართა კლუბში" მან თავდაყირა მდგომი ორი დედაკაცი აცეკვა. ერთ მათგანს, ქალიშვილს, ამის მერე კარგი მზითვი მისცა. მეორე გათხოვილი იყო და მისი ქმარი კაპელანის ადგილზე დაანიშნინა.

მანვე მამლების ბრძოლაში მართლაც ქების ღირსი ცვლილებები შეიტანა: როგორ შეიძლებოდა სიამოვნებით არ გეცქირა, როდესაც მამალს ბრძოლისთვის ამზადებდა, როგორც ადამიანს შეიძლება თმაში ჩააფრინდე, ისე მამალს შეეძლებოდა ფრთა-ბუმბულებში ჩასჭიდებოდა მოწინააღმდეგე მამალი. ამიტომ ლორდი დევიდი თავის ფალავან მამალს შეძლებისამებრ გაამელოტებდა ხოლმე. იგი თვითონ, თავის ხელით სჭრიდა მას ფრთა-ბუმბულს მაკრატლით და თავიდან მხრებამდეც ატიტვლებდა. „უფრო ნაკლები დარჩება მოწინააღმდეგის ნისკარტსო", ამბობდა იგი. შემდეგ ფრთებს შეუსწორებდა მამალს და წვერმოკვეცილ ბუმბულებს ერთმანეთზე

ასე დაულაგებდა, რომ თითოეული ბუშტულ-ფრთის წაწევტილი ბოლოები მახვილიეით მჭრელი ყოფილიყო. „ეს მოწინააღმდეგის თვალში სატკებლადო“ — განმარტავდა იგი. შემდეგ ფეხებს უგხვდა, კალთის დანით ულესავდა ფრჩხილებს. დეზებზე ნამახულ ფოლადის სადებებს აცვამდა; თავსა და კისერზე აფურთხებდა და ასე გადაუგლესავდა ზედ, როგორც მძლეოსან მოჭიდავეთა კანს ზეთით უზელდნენ ხოლმე. ასე დაამახინჯებდა თავის ფალავან მამალს და თან დასძენდა: — აი, ასე უნდა გამოიყვანოთ მამლისგან არწივი და საქათმის მინადრისგან მთის ფრინველიო.

ლორდი დუვიდი კრიესაც ესწრებოდა და სპორტის ამ სახეობის ჯერა წესის შესანიშნავ მცოდნედ მიიჩნეოდა. დიდი შეჯიბრების დროს მისი მეთვალყურეობით არჩობდნენ პალოებს და მათ შუა თოკებს აბამდნენ. ის გამოხომავდა ხოლმე მოედნის ფართობს, სადაც შებრძოლება უნდა მომხდარიყო. როცა სეკუნდანტად დანიშნავდნენ, მაშინ იგი ყოველ ნაბიჯზე თვალს აღევნებდა თავის მხრუნველობაში მყოფს. ცალ ხელში ბოთლი ეჭირა, მეორეში — ღრუბელი: თან მოკრიველს უყვიროდა, „მაგრა ურტყიო“, სხვადასხვა ილეთს კარნახობდა, რჩევას აძლევდა, სისხლს წმენდდა თუ წაიქცეოდა. ააყენებდა, მუხლებზე დაიწვენდა, წყალს დაალევინებდა, პირში წყალს ჩაიყენებდა და სახეზე ასხურებდა, თვალებსა და ყურებს მოპბანდა და ასე სულს მოუბრუნებდა ხოლმე მომაკვდავსაც კი. როდესაც მსაჯად დანიშნავდნენ, ყოველთვის თვალყურს აღევნებდა, რომ დარტყმები სწორი ყოფილიყო. სეკუნდანტების გარდა ყველას უკრძალავდა, მებრძოლებს მიშველებოდნენ. დამარცხებულად აცხადებდნენ იმ ჩემპიონს, რომელიც მოწინააღმდეგეს არასწორ პოზიციაში ჩაუდგებოდა. თვალყური ეჭირა, რომ შებმისთვის მზადება ნახევარ წუთზე მეტს არ გაგრძელებულიყო. ნებას არ აძლევდა, კვანტი გამოედოთ, უკრძალავდა თავით დასჯახებოდნენ ან ნაქცეულისათვის დაერტყათ. ყოველივე ეს და ამგვარი დიდ სიბრძნე მას პედანტად მაინც არ აქცევდა და სულაც არ იყო მისთვის, როგორც მაღალი წრის ადამიანისთვის, საზიანო.

როდესაც ის კრიეში მსაჯად იყო, რომელიმე მოკრივის ქომაგი გარეულა, ფერიმჭამელებიანი, თმაგაწეწილი ახალგაზრდა ცერ გაბედავდა შემოლობილზე გადმოძრომას ან მოედანზე გადმოხტომას. არავის შეეძლო თოკი გაეწვეტა, პალოები დაეგლიჯა და ჭი-

დაბაში ჩაბმულიყო, რათა დასუსტებულ მოკრიველს მიშველებოდა და ბედის სასწორი მისკენ გადაეხარა. ლორდი დეივი ამ მცირერიცხოვან მსაჯთა შორის ირაცხებოდა, რომელთაც ყურ გაუბედავთ, ქიმუნჯი გეკრათ ან სალა გაგეწვათ.

არაეის ისეთი გაწვრთნა არ შეეძლო, როგორიც მას; რომელი მოკრიველც ლორდი დეივიდის ხელმძღვანელობით გაიელიდა ვარჯიშს, ის წინდაწინვე დარწმუნებული იყო, რომ გამარჯვებული გამოვიდოდა. ლორდი დეივიდ ამოარჩევდა ხოლმე ჰერკულესს, ძალღონით სავსეს, კლდესავით მაგარს, კოშკივით მაღალს და ასეთ ფალავანს წვრთნიდა საკუთარი შვილიეთ. მთელი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ამ ქვაღქცეული ადამიანისათვის ესწავლებინა და ჩაეგონებინა, როგორ უნდა გადასულიყო თავდაცვის მდგომარეობიდან თავდასხმის მდგომარეობაში. ლორდი დეივიდ ბრწყინვალედ გადაჭრიდა ხოლმე ამ საკითხს. რაკი ამ ბუმბერაზ კაცს ამოარჩევდა, ამიერიდან მას აღარ შორდებოდა. მისი ძიძა ხდებოდა. ღეინოს გადაურწყავდა, ხორცსაც წინით აძლევდა. ძილის საათებს უთვლიდა. მან ათლეტისათვის ის შესანიშნავი რეჟიმი დაადგინა, რომელიც შემდეგ მოსლეიმ განაახლა: დილით უმი კვერცხი და ერთი ჭიქა ხერესი, შუადღისას ცერიანი ბიფშტექსი და ჩაი, ოთხ საათზე დაბრაწული პური და ჩაი, საღამოთი მაგარი ლვინო და ისევ დაბრაწული პური. ამის შემდეგ დეივიდ ტანთ ხდიდა თავის აღსაზრდელს, დაბელდა და ლოგინში აწვენდა დასაძინებლად. ჭუჭაიც თვალყურს ადევნებდა, რომ ხიფათი არა შემთხვეოდა რა. საიდანმე გამოჭენებული ცხენი არ დასჯახებოდა, გაქანებული ეტლის თვლებს არ ჩავარდნოდა, მთვრალი ჯარისკაცები არ გადაყროდნენ, ან თვითონ ლამაზ ქალებს არ ასდევნებოდა. მის ზნეობრივ საქციელსაც აკონტროლებდა. დედობრივი მზრუნველობით სულ ახალ-ახალი გაუმჯობესებანი შეჰქონდა თავის მეურვეობაში მყოფი სპორტსმენის წვრთნაში. აჩვენებდა მას, თუ როგორ უნდა ჩაეტვრია მუშტით კბილები, როგორ ჩაეშრიტა ცერით თვალი; ძნელია წარმოგედგინათ ამაზე უფრო გულამაჩუყებელი რამე.

ამგვარი საშუალებებით ემზადებოდა იგი პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, რასაც ის მომავალში უნდა შესდგომოდა. აბა, ასე ადვილი როდია ჯენტლმენად გახდომა.

ლორდ დეივიდ დერი-მოირს გატაცებით უყვარდა ჭუჭის სა-

სანახაობების, თეატრისა და ცირკის ცქერა, ფიცარნაგებზე სხვადასხვა წარმოდგენის, იშვიათი მხეცების ბალაგანების, მასხარების, ჯამბაზების, მოედნებზე ხუმარების წარმოდგენის ნახვა, ბაზრების თვალთმაქცების ყურება. ნამდვილი არისტოკრატი არ უკადრისობს უბრალო ადამიანების გასართობში ჩაებას. ამიტომ იყო, რომ ლორდი დევიდი ლონდონის სამიკიტნოებისა და „ხუთი ნავსადგურის"* დუქნების ხშირი სტუმარიც იყო. ამასთანავე, თეთრცხენიანთა ესკადრის ოფიცრის სახელი რომ არ შეერცხვინა, ნიღაბს ატარებდა ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მატროსებთან ან მებაგირეებთან ჩხუბი ან ხელჩართული შეხლა-შემოხლა მოუხდებოდა. მას ღარიბი უბნების მდაბიოთა შორის ყოველთვის მატროსის ქურთუკში ხედავდნენ. ასე ტანსაცმლის გამოცვლა მოსახერხებელი და ადვილი იყო იმიტომაც, რომ იგი უპარიკოდ გამოდიოდა. თუმცა უნდა ითქვას, რომ თვით ლუდოვიკო მეთოთხმეტის დროსაც ხალხი საკუთარ თმას ისე არ ჰკიდებდა ხელს — როგორც ლომი თავის ფაფარს. მდაბიურად ჩაცმული ლორდი დევიდი თავს უფრო ლაღად გრძნობდა, მდაბიო ხალხი, რომელთა შორის იგი ტრიალებდა, პატივისცემით ეპყრობოდა, თუმცა არც იცოდნენ, რომ ლორდი იყო. მას უბრალოდ თომ ჯიმ-ჯექს უწოდებდნენ. ამ მეტსახელით ძალიან მიღებული და განთქმული იყო ლატაკ-შიშველთა შორის. იგი მოხერხებულად ჰბაძავდა მდაბიოებს და საჭიროებისას მუშტიკრივსაც არ ერიდებოდა.

მისი განსაკუთრებულად ნატიფი ცხოვრების ეს მხარე ლედი ჯოზიანამ იცოდა და ძალიანაც აფასებდა.

V

დედოფალი ანა*

I

ამ წყვილზე მაღლა ბედმა ინგლისის დედოფალი ანა დააყენა. დედოფალი ანა ჩვეულებრივი ქალი იყო. მხიარული და კეთილი გულის, გარეგნობით თითქმის წარმოსადეგი. მისი დადებითი თვისებებიდან არც ერთს სათნოებამდე არ მიუღწევია და არც ერთი მისი ნაკლოვანება ბიწიერებამდე არ დაცემულა. მისი სიმსუქნე

შეშუპებას ჰგავდა, მხიარულება — სიტლანქეს, ხოლო გულკეთილობა — სისულელეს. ჯიუტი იყო და ზანტი. ქმრის ერთგული იყო და მოღალატეც რადგან გულსა და გრძნობას თავის ფავორიტებს უზიარებდა, ხოლო სარეცელს მეუღლისათვის იცავდა. როგორც ქრისტიანი, იგი ფანატიკოსიც იყო და ერეტიკოსიც. მას ნეობეიას მკვრივი კისერი ჰქონდა, გარეგნობით არ ბრწყინავდა. მის კეკლუცობას უხერხულობა და მიამიტობა აჩნდა. რაკი იცოდა, რომ სხეულის კანი ნაზი და თეთრი ჰქონდა, მკერდღია კაბების ჩაცმა უყვარდა. მან მოდად შემოიღო ყველაზე მჭიდროდ მოხვეული მსხვილი მარგალიტების მანიაკი. შუბლი დაბალი ჰქონდა: ტუჩ-ბაგე მსხვილი, მგრძნობიარე, ლაწვები ხორციანი, თვალები გადმოკარკლული და ბეცი, ჭკუაც ბეცი ჰქონდა; ხანდახან, თუმცა იშვიათად, მხიარულება მოეძალებოდა, რაც მის კარზე მყოფთ ისევე აწუხებდა, როგორც მისი განრისხება. დანარჩენ დროს იგი მდუმარე უკმაყოფილების ატმოსფეროში და ფარულ ბუზღუნში ატარებდა. ისეთ სიტყვებს წამოისროდა ხოლმე, რომელთა აზრს მალე ვერ მიხვდებოდით. მასში შერეული იყო გულკეთილი დედაკაცი და ავი ქალი. მოულოდნელი ამბები უყვარდა, რაც ზუსტად ქალური თვისებაა. მას, პირველყოფილი ტიპის წარმომადგენელს, თანამედროვეობის ყალამი ოდნავ ეხებოდა. ეს მორგვი შემთხვევით იჯდა ტახტზე. სმაც უყვარდა. მისი ჯიშიანი ქმარი წარმოშობით დანიიდან იყო.

ანა თორების მომხრე კი იყო, მაგრამ ვიგების* საშუალებით მართავდა სახელმწიფოს. მართავდა ქალურად, უგუნურად. ხან გაცოფდებოდა და მაშინ ყველაფერი ხელიდან უცვიოდა. ძნელად წარმოსადგენია სახელმწიფოს მართვისათვის მასზე უფრო ნაკლებად შესაფერი პიროვნება. ხელიდან უშვებდა მოვლენებს. მთელ მის მმართველობას ნაპრალი მისდევდა. მისი უთაურობის გამო უბრალო შემთხვევები კატასტროფამდე იზრდებოდა. როდესაც რაიმე შემთხვევის დროს მოისურვებდა თავისი უფლება გამოემჟღავნებინა, იტყოდა ხოლმე „საჩხრეკით შევახურეო". ღრმააზროვანი გამომეტყველებით ასეთ ფრაზებს წარმოთქვამდა ხოლმე.

— ვერც ერთი პერი, გარდა კურსისა, კინსელის ბარონისა, ირლანდიის პერისა ვერ გაბედავს მეფის წინაშე ქუდმოუხდელი წარსდგეს.

ან კოლეჯ.

— მაშინვე ლორდ-ადმირალი იყო და ჩემი ქმარი რატომ არ უნდა ატარებდეს იმავე წოდებას? ეს ხომ უსამართლობა იქნებოო.

და მან, გეორგ დანიელი ინგლისისა და მისი უდიდებულესობის კოლონიების გენერალ-ადმირალი გახადა. მუდამ ავ გუნებაზე იყო, თუმც აზრებს კი არ გამოთქვამდა, არამედ წარმოსთქვამდა ხოლმე. ეს დედალი ბატი რალაცით სფინქსს მოგაგონებდათ.

იგი არ იყო მოძულე, მოწინააღმდეგე FUN-ისა — ბოროტი, დამკერებელი ხუმრობისა, რომ შესძლებოდა, ამოლონს სიხარულით გადააქცევდა კუზიანად, თან ღმერთადაც დატოვებდა. როცა გულკეთილობის ხუმტური მოუვლიდა, მისი ოცნება იყო არავისთვის ეწყინებინა, მაგრამ ისე იქცეოდა, რომ უფრო თავს აბეზრებდა ყველას. ხშირად უხეშ სიტყვებს წამოიძახებდა ხოლმე. ცოტა აკლდა, რომ უწმაწური, ჭუჭური გინება არ დაეწყო, ისე როგორც ელისაბედს სწყეოდა. დროგამოშვებით იგი ბოლოკაბის ჯიბიდან პატარა, მრგვალ ეკრცხლის კოლოფს ამოიღებდა, რაზედაც ორ ასოს — Q-სა და A-ს შუა მისი პროფილი იყო ამოტვიფრული; ჩაყოფდა შიგ ნეს, ცოტაოდენ საცხს ამოიღებდა და ტუჩებს შეიღებავდა. რაკი ტუჩ-ბაგეს წესრიგში მოიყვანდა, აკისკისდებოდა ხოლმე, მისი საყვარელი პირის ჩახატკბარუნებელი ზედანდიური ბრტყელი თაფლაკვერები იყო. იგი თაეიხი ჯიშიანობით ამაყობდა კიდეც.

ანა დედოფალი, თუმცა უფრო პურიტანობის მიმდეკარი იყო, მაგრამ სანახაობანი უყვარდა. ძალიან უნდოდა დაეარსებინა საფრანგეთის მსგავსად მუსიკალური აკადემია. 1770 წელს ერთმა ფრანგმა, სახელად ფორტერიშმა მიზნად დაისახა პარიზში აეშენებინა „სამეფო ცირკი", რაც ოთხასი ათასი ფრანკი ჯდებოდა, მაგრამ ამას წინ მინისტრი დ'არჯანსონი აღუდგა. ფორტერიში ინგლისში ჩამოვიდა და თაეისი გეგმა ანა დედოფალს წარუდგინა. იგი წამეურად გაიტაცა იმ იდეამ, რომ ლონდონში აეშენებინა მანქანებითა და ოთხსართულიანი ლუკებით აღჭაზული თეატრი, რომელიც ბრწყინვალებით დაჩრდილავდა საფრანგეთის მეფის თეატრს. ანა დედოფალს მგზავრობაში სისწრაფე უყვარდა, ისე როგორც ლუდოვიკო მეთოთხმეტეს. ხანდახან მის მგზავრობას კარეტით ვინძორიდან ლონდონამდე საათისა და თხუთმეტი წუთის მეტი არ სჭირდებოდა, მაუბედურად ყველა გაჩერებისა გზაში.

2

ანა დედოფლის დროს ყოველგვარი თავყრილობა აკრძალული იყო. თუ ორი მომრიგებელი მოსამართლე ნებას არ დართავდა, თორმეტი კაცი რომ შეკრებილიყო, თუნდაც იმისათვის, რომ ხამანწკა შეეჭამათ და პორტერი დაელიათ, მათ უკვე შეთქმულებად გამოაცხადებდნენ.

ამ შედარებით მშვიდი მმართველობის დროს ფლოტში ძალდატანებით გაყვანა განსაკუთრებული სისასტიკით ხდებოდა, რაც სამწუხაროდ, იმას ამტკიცებდა, რომ ინგლისელი მეტწილად უფრო ქვეშევრდომი იყო, ვიდრე მოქალაქე. ამ შემთხვევაში ინგლისის მეფეები ასეული წლების მანძილზე ისე იქცეოდნენ, როგორც ტირანები, რითაც თავისუფლების ყველა უძველეს ქარტიას არღვევდნენ.* ეს გარემოება საფრანგეთში მეტისმეტ აღშფოთებას და ნიშნისგებას იწვევდა. ეს ნიშნისგების ზეიმი ნაწილობრივ იმით ნელდებოდა, რომ თუ ინგლისში მეზღვაურებს კრებდნენ ძალდატანებით, სამაგიეროდ საფრანგეთში ჯარისკაცების მოკრება ხდებოდა ძალით. საფრანგეთის ყველა დიდ ქალაქში თუკი ჯანსაღი ვაჟკაცი თავისი საქმისათვის ქუჩაში გამოვიდოდა მას შემკრები მოხელე დაიჭერდა და გაგზავნიდა ერთ-ერთ სახლში, რომელსაც ღუმელს ეძახდნენ. აქ მის მსგავსებს უყრიდნენ თავს. მათ შორის ვარგისებს ამოარჩევდნენ სამხედრო სამსახურისათვის და ოფიცრებს მიჰყიდდნენ. 1695 წელს პარიზში ასეთი „ღუმელი" ოცდაათიც კი იქნებოდა.

ანა დედოფლის მიერ ირლანდიის წინააღმდეგ გამოცემული კანონები საზარელი იყო.

ანა დედოფალი 1664 წელს დაიბადა. ეს ორი წლით ადრე მოხდა, ვიდრე ლონდონს ხანძარი გაუჩნდებოდა. ანას დაბადების გამო ასტროლოგებმა (ეს ვარსკვლავთმრიცხველები მაშინ კიდევ არსებობდნენ. ლუდოვიკო მეთოთხმეტის დაბადებასაც ასტროლოგი შეესწრო, რომელმაც მას ჰოროსკოპი* შეუდგინა) იწინასწარმეტყველეს, „როგორც უფროსი და ცეცხლისა", ეს ქალი დედოფალი გახდებაო. ასტროლოგიისა და 1688 წლის რევოლუციის* შეოხებით ანა მართლაც დედოფალი გახდა. ანა თავს დამცირებულად გრძნობდა იმის გამო, რომ მხოლოდ კენტერბერიის არქიეპისკოპოსის ჯილბერტის ნათლული იყო. ინგლისში უკვე აღარ შეიძლებოდა პაპი ნათლიად ჰყოლოდათ. თვით უავგუსტოესი პა-

რენებისათვის ეპისკოპოსთა შორის უმთავრესიც სახარბიელოდ ალარ ითვლებოდა, ხოლო ანა ამ მხრივ იძულებული გახდა რად გახდა პროტესტანტობის მიმდევარი. მას ქალწულებრივ უწოდებდნენ, დანია უხდიდა ექვსი ათას ორას ორმოცდაათ გირვანქა სტერლინგს ყოველწლიურად და სამუდამოდ. ამ თანხას ის კარდინბურგიდან და კუნძულ ფერმარნიდან იღებდა.

ანა დელფიალი არა რწმენით, არამედ ჩვეულების მიხედვით მახდიდა უილიამ ორანელის ტრადიციებს. ამ უკანასკნელის მმართველობისას, რომელიც რეფორმაციამ წარმოშვა, ინგლისელები თავისუფლებით სარგებლობდნენ ტოლერიდან, სადაც ორატორებს ამწყდეულდნენ, — სამარცხვინო ბოძიდან, რომელზეც მწერლებს მაკრაედნენ ხოლმე. ანა ცოტათი დანიურ ენაზეც ლაპარაკობდა — ქმართან განმარტოებისას, ხოლო ფრანგულ ენაზე — როდესაც ბოლინგბროკთან რჩებოდა მარტო. ფრანგულს შეუბრალებლად ამახინჯებდა, მაგრამ ინგლისში, განსაკუთრებით მეფის კარზე, ფრანგულად ლაპარაკი მოდად იყო შემოღებული. სხვა ენაზე არაკითარი მახვილსიტყვაობა იმდენად წარმტაცი არ იქნებოდა. ანა დელფიალი დიდ ყურადღებას აქცევდა ფულს — მონეტებს, განსაკუთრებით წერილ, სპილენძის ფულს, რომლებიც მუტ ბრუნვაში იყო. მათზე თავისი თავის ამოხატვა აინტერესებდა. მისი მეფობის დროს ექვსნაირი სახის ფარტინგები ამობეჭდეს. პირველ ხაზე მან ბრძანა, სამეფო ტახტი ამოეტვიფრათ, მეოთხეზე სატრიუმფო ეტლი, ხოლო მეექვსეზე ქალღმერთი, რომელსაც ცალ ხელში ხმალი ეჭირა, მეორეში კი ზეთისხილის შტო. ამ შტოზე ეწერა: „BELLO ET PACE". გულუბრყვილო და სასტიკი იაკობ მეორის ქალიშვილი უხეშობას იჩენდა.

ამასთანავე, იგი არსებითად მშვიდი დედაკაცი ჩანდა, რაც მხოლოდ მოწყენებითი შეუთავსებლობაა. განრისხება მას სრულიად გარდაქმნიდა ხოლმე. შაქარი რომ გაეცხელოთ, ახიც კი ადულდება.

ანა ხალხში პოპულარობით სარგებლობდა. ინგლისს საერთოდ შეყვარებული ქალები. რატომ? იმიტომ, რომ საფრანგეთი არ გააშენებს მეფე ქალები. ეს უკვე საკმაოდ საფუძვლიანი მიზეზია. ხოლო სხვა მეფეს ქალს.

მაზეზები თითქმის არ არსებობს. თუ ინგლისის ისტორიკოსებს დაეკვირვებთ, ელისაბედ დედოფალი სიდიადის განსახიერება იყო, ხოლო ანა დედოფალი — გულკეთილობისა. დაეშვათ, რომ ეს ასეა, მაგრამ ამ ორივე ქალის მეფობის დროს მოხდენილობის ნასახიც არ მოიპოვებოდა. იყო მხოლოდ მოუქნელი ხაზები: ტლანქი სიდიადე და ტლანქი გულკეთილობა. რაც ამ მეფე ქალების შეცმწიკლავ ხიქველს შეეხება, რასაც ასე დაბეჯითებით აღნიშნავს ინგლისი, ჩვენ მას არ უარვყოფთ. ელისაბედი ქალწული იყო, მაგრამ მის უბიწოებას რამდენადმე ეხეჭის* ჩრდილი ამცირებს, ხოლო ანას ერთგულებას მეუღლისადმი ჩირქს ბოლინგბროკის მახლობლობა სცხებს.

3

ხალხებს იდიოტური ჩვეულება აქვთ შემორჩენილი, საკუთარ ღვაწლს მეფეებს მიაწერენ ხოლმე. ხალხი იბრძვის, სახელი კი ვის რჩება? მეფეს. ხალხი ფულს იხდის, ვინ ცხოვრობს ამ ფულით ფუფუნებაში? მეფე. და ხალხსაც მოსწონს, რომ მისი მეფე ასეთი მდიდარია. მეფე ღარიბებისაგან ეკეს* აგროვებს, ხოლო სამაგიეროდ ლიარს* უბრუნებს. რაოდენ გულუხვია იგი! გოლაითი კვარცხლბეკად დაედგარა და შეეხარის მასზე მდგომ ჯუჯას. რა დიდებული ვინმეა ეს გვაჯა, ის ჩემს ზურგზე აცოცებულაო! ჯუჯა კაცს მშვენიერი შესაძლებლობა აქვს ბუმბერაზზე მაღლა იდგეს, მას მხოლოდ ბუმბერაზის მხრებზე აცოცება დასჭირდება. საკვირველია, რომ ბუმბერაზი ამის ნებას აძლევს, მაგრამ აღტაცებასაც რომ ეძლევა ჯუჯას მორჭმულობით, ეს დიდი სისულელეა. კაცობრიობა ძალიან გულუბრყვილოა.

მეფის პატივსაცემად დადგმული ცხენის ქანდაკება მშვენიერი სიმბოლოა მონარქიისა; ცხენი ხალხია, მხოლოდ ეს ცხენი თანდათანობით ხახეს იცვლის: ჯერ იგი სახედარია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ლომად გადაიქცევა. მაშინ მხედარს გადმოაგდებს, და ინგლისში 1642 წელი განმეორდება, ხოლო საფრანგეთში 1789 წელი; ისიც ხდება, რომ ლომი შეჭამს ხოლმე მხედარს. მაშინ ინგლისში 1649 წლის ამბები დატრიალდება, ხოლო საფრანგეთში 1793 წლის ამბები.*

ხან ლომი ისევ სახედრად იქცევა: უცნაური კია, მაგრამ ასეც

ხდება. სწორედ ასე მოხდა ინგლისში. მონარქიულ კერპთაყვანისმცემლობაში გადაჩეხილი ხალხი ისევ სატვირთავ პირუტყვად გადაიქცა. დედოფალი ანა, როგორც ვთქვით, პოპულარობით სარგებლობდა ხალხში, მაგრამ რა გააკეთა მან საამისოდ? არაფერი. არაფრის გაკეთება, ეს არის და ეს, რაც ინგლისის მეფეს მოეთხოვება. ამის გამო იღებს ინგლისის მეფე ოცდაათ მილიონს წელიწადში. თუ ინგლისს ელისაბედის დროს ოცდაათი სამხედრო ხომალდი გააჩნდა და იაკობ მეორის დროს ოცდათექვსმეტი, სამაგიეროდ, 1705 წელს ასეთმა ხომალდებმა რიცხვით ას ორმოცდაათს მიაღწია. ინგლისელებს სამი არმია ჰყავდათ, — ხუთი ათასი კაცი კატალონიაში, ათი ათასი პორტუგალიაში, ორმოცდაათი ათასი ფლანდრიაში. გარდა ამისა, იგი წელიწადში ორმოც მილიონს უხდიდა მონარქიულ და დიპლომატიურ ევროპას, ამ მრუშ დიაცს ყოველთვის ინგლისი ინახავდა ხალხის ფულებით. როდესაც პარლამენტმა ოცდათოთხმეტი მილიონის პატრიოტული სესხი გამოაცხადა, რაც მუდმივ რენტას იძლეოდა, მსურველები ამაზე ხელის მოსაწერად ხაზინას მიაწყდნენ. ინგლისმა ერთი ესკადრა ინდოეთში გაგზავნა, მეორე, ადმირალ ლიკის მეთაურობით, ესპანეთის სანაპიროებისაკენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სათადარიგო ფლოტილიას, რომელიც ოთხასი აფრიანი ხომალდისაგან შედგებოდა და რომელსაც ადმირალი შოველი მეთაურობდა. ინგლისმა სწორედ იმ დროს შემოიერთა შოტლანდია. ეს იყო ჰოხშტეტისა და რამილის დროს, როდესაც პირველმა გამარჯვებამ შესაძლებელი გახადა მეორე გამარჯვების გათვალისწინება. ჰოხშტეტთან ინგლისმა შემოიმწყვდია და ტყვედ ჩაიგდო ოცდაშვიდი ბატალიონი და ოთხი დრაგუნთა პოლკი, ას ორი ლიე ტერიტორია ჩამოაცალა და დაბნეულებს დუნაიდან რეინამდე დაახევინა. ინგლისი სარდინიასა და ბალეარის კუნძულებსაც ეპოტინებოდა. მან ზეიმით შემოიყვანა თავის ნავსადგურში ათი ესპანური სახაზო გემი, და მრავალი გალიონი* ოქროთი დატვირთული. ლუდოვიკო მეთოთხმეტემ ჰუდსონის ყურე და სრუტე თითქმის სულ მიატოვა. იგრძნობოდა, რომ ის აკადიასაც ადვილად დასთმობდა და წმ. ქრისტეფორესა და ახალი მიწის კუნძულებსაც. კიდევაც ბედნიერი იქნებოდა საფრანგეთი, თუ ინგლისი წყალობას მოიღებდა და ნებას დართავდა მას ბრეტონის კონცხთან ვირთევზა დაეჭირა. ინ-

გლისი იმისათვის ეშზადებოდა, რომ საფრანგეთის მეფე იძულებით დაეცილებინა საშარცხვინო საქციელის ჩადენაზე — საფრანგეთს თვითონვე დაენგრია დიუნკერკის ციხესიმაგრე.

ხოლო ჯერჯერობით ინგლისს გაბრალტარი ჰქონდა დაპყრობილი და ბარსელონას დასაპყრობადაც ეშზადებოდა. რაოდენ დიდი ქმედებანია! როგორ არ უნდა ყოფილიყვნენ აღტაცებულნი დედოფალ ანათი, რომელმაც კუთილ ინება, ასეთ დროში ეცხოვრა.

ზოგ შემთხვევაში ანას მეფობა ანარეკლია ლუდოვიკო მეთოთხმეტის მეფობისა. ანა, ისტორიად წოდებულმა შემთხვევამ ზემოხსენებული მეფის თანამედროვედ გახადა, მათ შორის კი მეტად მკრთალი მსგავსება იყო.

ლუდოვიკო მეთოთხმეტის დარად იგი „დიდ ხელმწიფობანას" თამაშობდა. მახაც გააჩნდა თავისი ძეგლები, თავისი ხელოვნება, თავისი გამარჯვებანი, თავისი მხედართმთავრები, თავისი მწერლები, თავისი თანხები, საიდანაც პენსიებს აძლევდა გამოჩენილ, სახელგანთქმულ პიროვნებებს; ჰქონდა ხელოვნების ნაწარმოებთა თავისი გალერეა;. ჰყავდა აგრეთვე ბრწყინვალე ამალა. საკუთარი ეტიკეტი და საკუთარი მარში. მის სახახლეში აღდგენილი იყო ვერსალის ყველა „დიდი ადამიანი", რომელნიც თვით ორიგინალში არ იყვნენ იმდენად დიდებულნი, როგორც ამ მინიატიურებში. აქ ერთგვარად თვალს იტყუებდა კაცი, ხოლო თუ ამას მუსიკასაც მიუმატებდით: „ღმერთო, ჰფარიდე დედოფალსო!", რომელიც ლიულიდან* არის ნასესხები, ყველაფერი ეს მსგავსების ილუზიას ჰქმნიდა. ყველა საჭირო პერსონაჟი იქვე იყო თვალსაჩინოდ წარმოდგენილი: ქრისტეფორ რენი* — სრულიად შესაფერი მანსარი იყო; სომერსი* — არანაკლები ლამუანიოზე.* ანას თავისი რასინი ჰყავდა — დრაიდენი, თავისი ბუალო* — პოპი*, თავისი კოლბერი* — გოდოლფინი.* თავისი ლუვუა — პებრიკი და თავისი ტიურენი — მალბორო. საჭირო იყო მხოლოდ პარიკების გადიდება და შუბლების დაპატარავება. საერთოდ ყველაფერი ზეიმის და ბრწყინვალების სახეს ატარებდა. ვინძორიც ხომ იმხანად არანაკლები იყო მარლიზე,* მაგრამ ყოველივეს ქალური ელფერი დაჰკრავდა. თვით საერთოდ, ყველაფერი ზეიმისა და ბრწყინვალების სახეს ატარებდა, მაგრამ ამ დროისათვის მაინც ჩნდებოდა ლიტერატურაში ირონია, რომელიც ოცდაათი წლის შემდეგ ფილოსოფიაში განსაბიერდა და სვიფტში

ახალა პროტესტანტული სამყაროს ტარტიუფი, ისევე, როგორც ბოლოერი აშხელდა კათოლიკე ტარტიუფს. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი ამ დროს საფრანგეთის ებრძოდა და ჯობნიდა კიდეცაც, მაინც მას პბაძავდა და მისგანვე იღებდა განათლების მაგალითს. კეთილშობილური, რაც ინგლისის ფასადს ამშვენებს, საფრანგეთის სხივებით არის გაშუქებული. სამწუხაროა, რომ ანას მეფობა მხოლოდ თორმეტ წელს გაგრძელდა. ასე რომ არ ყოფილიყო, ინგლისელები დაუფიქრებლივ ილაპარაკებდნენ „ანას საუკუნეზე", ისე როგორც ფრანგები ლაპარაკობდნენ „ლუდოვიკო მეთოთხმეტის საუკუნეზე". ანა პორიზონტზე ჩნდება 1702 წელს, როდესაც ლუდოვიკო მეთოთხმეტე უკვე მზის დასავალს უახლოვდებოდა. მკრთალი მნათობის პორიზონტზე აბოხელი ჭახჭახა მნათობის დაქანებას დაემთხვა, როდესაც საფრანგეთში მეფობდა შე ხელმწიფე, ინგლისს განაგებდა მთვარე დედოფალი.

აი, ერთი საინტერესო ისტორიული ფაქტი: ინგლისში ლუდოვიკო მეთოთხმეტეს დიდად სცემდნენ პატივს, მიუხედავად იმისა, რომ მასვე ეომებოდნენ. „სწორედ ასეთი მეფეა საჭირო საფრანგეთისთვის", ამბობდნენ ინგლისელები. საკუთარი თავისუფლებისადმი საფვარული ინგლისელებს ხელს არ უშლის, სხვა ხალხების მონობას ურიგდებოდნენ. მეზობელი ხალხის შემბორკავი ჯაჭვებისადმი კეთილმოსურნეობით ინგლისელები იქამდე მიდიან, რომ ალტაცებით თაყვანს სცემენ დესპოტებს.

როგორც ბიევრელის წიგნის ფრანგულად მთარგმნელი ამბობს: ანამ თავისი ხალხი გააბედნიერა, რასაც ხსენებული პირი დაბეჯითებით საჭურ იმეორებს თარგმანთან თავის მიერ დართულ მეექსე და მეცხრე გვერდებზე და აგრეთვე წინასიტყვაობის შესაშე გვერდზედაც.

4

დედოფალი ანა მაინცდამაინც არა სწყალობდა ჯოზიანას. ამას ორი მიზეზი ჰქონდა:

ჯერ ერთი იმის გამო, რომ ჰერცოგის ახალი ჯოზიანა ლამაზი იყო.

მერეც იმიტომ, რომ ჰერცოგის ახალ ჯოზიანას საქმროც ლამაზი ჰყავდა.

ქალში რომ შური აღძრა, საჭიროა ორი მიზეზი, ხოლო დედოფლისათვის ერთი მიზეზიც კმარა.

იგი ჯოზიანაზე კიდევ იმიტომ ჯავრობდა, რომ ჯოზიანა და იყო მისი.

ანა ლამაზი ქალების წინააღმდეგ იყო განწყობილი. იგი ფიქრობდა, რომ სილამაზე ხნეობრივ ალერსახსნილობას უწყობდა ხელს.

რაც შეეხება პირადად მას, იგი ულამაზო იყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, თავისდა უნებურად.

ნაწილობრივ ანას არამიმზიდველობით აიხსნება მისი რელიგიური განწყობილება.

ჭკუიანი და ლამაზი ჯოზიანა ანას ნერვებს უშლიდა.

მშვენიერი პერცოგის ასული სასურველი დაიკო რიდია ულამაზო დედოფლისათვის.

ამ უკმაყოფილებას კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა: ჯოზიანას ჩამოშავლობა.

ანა დედოფლის დედა ანა პაიდი, უბრალო ლედი იყო, რომელიც იაკობ მეორემ შეირთო, თუმცა შეუფერებელი არჩევანით, მაგრამ სრულიად კანონიერი გზით. ეს მოხდა მაშინ, როცა იაკობი ჯერ კიდევ იორკის პერცოგი იყო. რაკი ანამ იცოდა, რომ მის ძარღვებში ნაბერვრად არამეფური სისხლი სდიოდა, ამიტომ ნაბერვალეც გრძნობდა თავს დედოფლად. ხოლო ჯოზიანა, რაკი მთლად უკანონოდ იყო ამქვეყნად მოვლენილი, თითქოს უფრო შესაძლებლობა ხდებოდა დედოფლის არცთუ იმდენად ბრწყინვალე ჩამოშავლობას. უთანასწორო ქორწინების შვილს, არ სიამოვნებდა ქორწინების გარეშე ნაყოლი მისივე მამის შვილი პყოლოდა გვერდით. ეს რაღაცნაირ უსიამოვნო შედარებას იწვევდა. ჯოზიანას უფლება ჰქონდა ანასთვის განეცხადებინა: „დედაჩემი არაფრით დაბლა არა დგას დედათქვენზეო". სახახლეში ამის შესახებ არაფერს ამბობდნენ, მაგრამ უეჭველია ასე ფიქრობდნენ. ეს აღიზიანებდა მის მეფურ უშალესობას. რა უნდა აქ ამ ჯოზიანას? რა ეშმაკმა გააჩინა? ვის რად უნდა ჯოზიანა?

ზოგიერთი ნათესაური კავშირი დამამცირებელია ხოლმე.

თუმცა, ანა სხვის შესახედად ჯოზიანასადმი გულკეთილად იყო განწყობილი.

იქნებ შეპყვარებოდა კიდეეც. მისი და რომ არ ყოფილიყო.

მეტად სასარგებლოა იცოდე, რას აკეთებს ახლობელი ადამიანი. კეთილგონიერება მოითხოვს თვალი ადევნო შენს ირგვლივმყოფთ.

ჯოზიანამ ლორდი დევიდის თვალთვალი თავის ერთგულ კაცს დაავალა, რომელსაც იგი ენდობოდა და რომელსაც ბარკილფედროს ეძახდნენ.

ლორდმა დევიდმაც ერთგულ კაცს მიანდო ჯოზიანასათვის თვალყურის დევნება. ამ კაცის ერთგულებასა და სიფრთხილეში მას ეჭვი არ ეპარებოდა და ამ კაცს ბარკილფედროდ უხმობდნენ.

დედოფალმა ანამაც, თავის მხრივ, მოინდომა სცოდნოდა თავისი ნართაული დის, ჯოზიანასა და მომავალი სიძის, ლორდი დევიდის ყოველი ქცევისა და მოქმედების შესახებ; ეს მან აგრეთვე იმ ერთგულ კაცს დააკისრა, რომელსაც სრულიად ენდობოდა და რომელსაც ბარკილფედრო ერქვა.

ამგვარად ბარკილფედროს ხელთ სამი კლავიში ჰქონდა: ჯოზიანა, ლორდ დევიდი და დედოფალი. მამაკაცი და ორი დედაკაცი! რამდენი შესაძლო მოდულაციაა! როგორი შეფარდებაა ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობებისა!

ბარკილფედროს ყოველთვის როდი ჰქონდა ასეთი ბრწყინვალე შესაძლებლობა, სამი წარჩინებული პირისთვის ყურში ჩურჩულით მიეტანა ამბავი.

იგი ძველად იორკის პერცოგს ემსახურებოდა. ერთხანს სამღვდელო პირად გახდომას ეცადა, მაგრამ ხელი მოეცარა. იორკის პერცოგს ინგლისისა და რომის პრინცს, რომელიც პაპის მხარდამჭერი და იმავე დროს, ოფიციალურად, ინგლისის ეკლესიის მომხრეც იყო, შეეძლო აემაღლებინა ბარკილფედრო იერარქიის ამა თუ იმ საფეხურზე, მაგრამ პერცოგი მას არა თვლიდა არც საკმაოდ გულმოდგინე კათოლიკედ, რომ მღვდლად გაეშვებინა და არც საკმაოდ თავგამოდებულ პროტესტანტად, რომ კაპელანობა ებოძებინა. ამგვარად, ბარკილფედრო ორი რელიგიის შუა აღმოჩნდა და სული მისი ციდან მიწაზე დაქანდა.

ქეშმარიტ სულთათვის ეს არცთუ ცუდი მდგომარეობაა.

არის ასეთი გზები, რომლითაც წინსვლა მხოლოდ ხიხვით შეიძლება.

მსახურის უხილავი, მაგრამ მაძღარი თანამდებობა ბარკალფედროსათვის დიდხანს იყო არსებობის ერთადერთი წყარო. ასეთ თანამდებობას შეიძლება რაღაცას გამორჩეს კაცი, მაგრამ იგი ძალაუფლებისკენაც მიისწრაფოდა. იქნებ კიდეცაც გაეკაფავდა გზას, იაკობ მეორე რომ არ დაემხოთ. ყველაფრის ახლად დაწყება იყო საჭირო. ძნელი იყო რისამე მიღწევა უილიამ შესამის დროს, რადგან მისი მმართველობა სიმკაცრით იყო აღსავსე, რაც თვითონ პატრონებად მიაჩნდა. ბარკალფედრო მისი მმართველის — იაკობ მეორის დამხობის შემდეგ უმალვე რიდი ჩაეარდა სიღარიბეში. ზოგი რამ, რაც გვირგვინახდილი მონარქების შემდეგ გადარჩება, მათ პარაზიტებს ერთხანს კიდევ ასულდგმულებს ხოლმე, როგორც მოჭრილ ხის ტოტებზე საკვები წვენის ნარჩენები ფოთლებს სიმწვანეს ორსამ დღეს კიდევ უნარჩუნებს, მერე ფოთლებიც უცბად ჭკნებიან და ყვითლდებიან. იგივე ემართებათ მეფის კარისკაცებსაც.

ბალზამირების შეხებით, რასაც ტახტზე მემკვიდრეობის უფლება ეწოდება, მონარქი, თუნდაც ტახტიდან ჩამოგდებული და ქვეყნის საზღვრებიდან განდევნილი მაინც განაგრძობს არსებობას. ხელმწიფის კარისკაცების საქმე კი ასე არ არის. ისინი უფრო მეტად მკვდრად ჩაითვლებიან, ვიდრე მეფეები. მეფე უცხო მხარეში შეიძაა, კარისკაცი კი თავის სამშობლოშიც აჩრდილია. ხოლო აჩრდილის აჩრდილად ყოფნა სიგამხდრის უმწვერვალესი ხარისხია. ბარკალფედრო მთლად შეიბერტყა, დაიშშა. მაშინ ადგა და მწერლობას მიჰყო ხელი.

მაგრამ მას საკუჭნაოებიდანაც კი აგდებდნენ. ისიც კი არ იცოდა ზოგჯერ, ღამე სად გაეთია. „ვინ შემიფარებსო", ეკითხებოდა თავის თავს და ჯიუტად იბრძოდა, როგორც სასწარკეთილებამდე მისული ადამიანი. გარდა ამისა, მას განსაკუთრებული უნარი გააჩნდა ტერმიტისა, ხეს რომ ძირიდან კენწერომდე უჭამს გულს. იგი სარგებლობდა იაკობ მეორის სახელით, მასზე მოგონებებით, გაიხსენებდა ხოლმე თავის ერთგულებას, და გულს უწუებდა მშვენიერებს, ასე გაიკვლია გზა პერცოგის ასულ ჯოზიანამდე.

ჯოზიანამ წყალობის ხელი გაუწოდა კაცს, რომელიც ღარიბი იყო და ჭკვიანი. ასეთი რამ ხშირად იწვევს ხოლმე ჩვენში თანა-



— თანამდებობა მიბოძეთ.

— თანამდებობა? შენა?

— დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ.

— ეგ რა ფანტაზია მოგსვლია თავში, თანამდებობას ითხოვ? შენ ხომ არაფრის უნარი არა გაქვს.

— სწორედ ამიტომა გთხოვთ.

ჯოზიანამ გაიცინა.

— მაშ რომელ სამსახურს ინებებდი, სადაც მაინც არ გამოდგებოდი?

— ოკეანის ბოთლების საცობთა ამხდელის ადგილი მინდა.

ჯოზიანას უფრო მხიარულად გაეცინა.

— აბა ეგ რა სამსახურია? ხუმრობ თუ?

— არა ვხუმრობ, თქვენო ბრწყინვალებავ.

— მაშ კარგი. გასართობადაც კმარა ეს ამბავი, ახლა კი სერიოზულად გეკითხები: რა სამსახური გინდა, აბა ერთხელ კიდევ გაიმეორე.

— ოკეანის ბოთლების საცობის ამხდელისა.

— ნუთუ ასეთი თანამდებობაც არსებობს? თუმცა მეფეთა სახლეში ყველაფერი შესაძლებელია.

— დიახ, არსებობს თქვენო ბრწყინვალებავ.

— ჩემთვის ეს ახალი ამბავია. განაგრძე.

— არსებობს ასეთი თანამდებობა, როგორც მოგახსენეთ.

— მაშ, აბა, სული დაიფიცე, თუმცა სული არა გაქვს და რას დაიფიცავ?

— ვფიცავ...

— არა, შენ კაცი ვერ დაგიჯერებს.

— მადლობას მოგახსენებთ, თქვენო ბრწყინვალებავ.

— მაშ, შენ გინდოდა... აბა კიდევ გაიმეორე.

— საცობი ავხადო, ლუქი ავხსნა ზღვის ბოთლებს.

— ასეთი თანამდებობა ალბათ არც იმდენად მოჭანცველია; ეგ თითქმის იგივეა, რომ ბრინჯაოს ცხენს ფაფარი ვარცხნო.

— დიახ, თითქმის.

— არაფერი საქმე არ არის. ასეთი ადგილი მართლაც შენთვის არის შესაფერი. ამ ადგილზე გამოდგები.

— ბედავთ, ზოგ რამეში თურმე მეც გამოვდგები.

— ხუმრობას თავი დაანებე. მართალი მითხარი, ასეთი თანამდებობა არსებობს?

ბარკილფედრო თავაზიანად წელში გაიმართა.

— ნება მიბოძეთ, განვაგრძო. თქვენი უკეგუსტოესი მამა, მეფე იაკობ მეორე ჯერ თვითონ იყო ლორდ-ადმირალი ინგლისისა, შემდეგ თქვენი სიძე — სახელოვანი გეორგ-დანიელი, პერცოგი კემბერლენდისა, მას ხომ დღესაც ეს თანამდებობა აქვს მინდობილი.

— რა ახალ ამბავს მატყობინებ. მე უშენოდაც ყველაფერი ძალიან კარგად ვიცი.

— მაგრამ, თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენ კიდევ აი რა არ იცით ჯერ: ზღაში სამნაირ რამეს პოულობენ — იმას, რაც სულ ზღვრებში მდებარეობს — ლეგონი, იმას, რაც ზღვის ზედაპირზე ტივტივებს, ფლოტსონი და იმას, რასაც ზღვა ნაპირზე გამორიყავს — ჯეტსონი.

— მერე, რა გინდა მაგით თქვა?

— ეს სიტყვები, ლეგონი, ფლოტსონი და ჯეტსონი გენერალ-ადმირალის საკუთრებას შეადგენს.

— მერე?

— ახლა გასაგებია, თქვენო ბრწყინვალებავ?

— მე ვერაფერს მივხვდი.

— ყველაფერი, რაც ზღაში იმალება, რაც ჩაძირულია, რაც ამოტივტივდება, რაც ნაპირზე გამორიყება, ყველა ესენი გენერალ-ადმირალის საკუთრებაა.

— დავუშვათ, რომ ასეა, მერე რა გამოვიდა?

— ყველაფერი, გარდა თართისა, რომელიც მეფეს ეკუთვნის.

— მე კი მეგონა, ეგ ყველაფერი ნეპტუნის კუთვნილება იყო, — უპასუხა ჯოზიანამ.

— ნეპტუნი სულელია, მან ყველაფერი ხელიდან გაუშვა და ინგლისელებს ყველაფრის დაპატრონების უფლება მისცა.

— კმარა, მორჩი!

— ამას ზღვის ნადავლს უწოდებენ.

— ძალიან კარგი.

— მას დახარული არა აქვს; ზღვის ზედაპირზე ყოველთვის რამე იტივტივებს. ტალღა ყოველთვის გამოაგდებს რამეს ნაპირზე. ეს ის კონტრიბუციაა, რომელსაც ზღვა იხდის. ამგვარად ინგლისელები ზღვისგან გადასახადს იღებენ.

— ჰოდა, ძალიან კარგი, მერე?

— თქვენო ბრწყინვალებავ, ამგვარად ოკეანემ მთელი სამართველო შექმნა.

— სად?

— საღმრალოში.

— რის სამმართველო?

— ზღვაში ნაპოვნთა სამმართველო.

— ნუთუ?

— ეს სამმართველო შედგება სამი განყოფილებისაგან: ლეგორნი, ფლოტსონი და ჯეტსონი. ყოველ განყოფილებაში მოხვედრ ზის.

— მერე?

— დავუშვათ, მაგალითად, თუ შუა ზღვაში გასული რომელიმე ხომალდი მოისურვებს გაგზავნოს ცნობა, რომ იგი ამა და ამ განიებე იმყოფება ან ზღვის ურჩხული გადაეყარა, ან რომელღაც ხმელეთის ნაპირი შენიშნა, ან ხიფათში ჩავარდა, იძირება, იღუპება და სხვა, ხომალდის პატრონი აიღებს ბოთლს, შიგ ჩასდებს ქაღალდის ნაგლეჯს, რომელზედაც ეს შემთხვევაა დაწერილი, პირს დაუცობს — დაულუქავს და ზღვაში ჩააგდებს. თუ ეს ბოთლი ჩაძირება, მაშინ მას ლეგორნის განყოფილების უფროსი განაგებს; თუ იგი ზღვის ზედაპირზე ამოტივტივდება, მაშინ ეს ფლოტსონის განყოფილების უფროსს ეხება, ხოლო თუ ტალღები მას ხმელეთზე გამორიყავენ, მაშინ ამ საქმეს ხელი უნდა მოჰკიდოს ჯეტსონის განყოფილების უფროსმა.

— მაშ შენ გინდა, რომ ჯეტსონის განყოფილებაში იმსახურო?

— სწორედ ასე გახლავთ.

— ესე იგი, შენ ამბობ, რომ ოკეანის ბოთლების გახსნა თანამდებობაა?

— არსებობს ასეთი თანამდებობა.

— ეს ადგილი შენ პირველ ორ თანამდებობაზე უფრო მეტად რატომ მოგწონს?

— იმიტომ, რომ იგი ამჟერად არავის უკავია.

— რაში გამოიხატება ეს მოკალეობანი?

— თქვენო ბრწყინვალებავ, 1598 წელს ერთმა მებადურმა, რომელიც გულთევზებს იჭერდა ეპიდუმის ქვიშოვან მცურვებში, დალუქული ბოთლი იპოვა და ის ბოთლი დედოფალ ელიზაბედს მიუ-

ტანეს. ამ ბოთლიდან გამოღებულმა პერგამენტმა ინგლისს ამის შესახებ აუწყა, რომ პოლანდიამ ხელთ ისე იგდო უცნობი მხარე, რომ არავითარი გაუმჟღავნებია, რომ ამ მხარეს ახალი მიწა ეწოდება, რომ ეს მოხდა 1596 წლის ივნისში, რომ ამ მხარეში დათვები ადამიანებს ჭამენ, რომ ამ ქვეყანაში გატარებული ზამთრის აღწერა შენახულია მუშკების ქარქაშში, რომელიც ფიცრული ჭიხის საკვამლე მილზეა ჩამოკიდებული, რომ ეს ჭიხა პოლანდიელებს აუშენებიათ. მათ დაღუპვის შემდეგ ჭიხა მიტოვებულია და რომ ეს მილი ძირგაყარდნილი კასრისგანაა გაკეთებული და მიმაგრებულია ჭიხის სახურავზე.

— ვერ გამიგია, რას ნიშნავს ეგ აბდაუბდა.

— ელისაბედ დედოფალმა კი გაიგო, რომ პოლანდიას ერთი ქვეყნით უფრო მეტი აქვთია, მაშასადამე ინგლისს ერთი ქვეყნით ნაკლები. ამ ცნობის შემცველი ბოთლი მნიშვნელობის მქონე ნივთი გამოდგა. გამოიცა დადგენილება იმის შესახებ, რომ ამიერიდან ყველა, ვინც ნაპირზე დალუქულ ბოთლს იპოვის, მოვალეა იგი ინგლისის გენერალ-ადმირალს ჩააბაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჩამოხრჩობა მოელის. ადმირალი განსაკუთრებულ მოხელეს ავალებს ბოთლის ახდასა და თუ „მასში რაიმე არის საყურადღებო", ამის შესახებ მის უდიდებულესობას უნდა აცნობოს.

— განა ხშირად მოაქვთ ასეთი ბოთლები საადმირალოში?

— იშვიათად, მაგრამ ეგ არაფერსაც არ ნიშნავს. თანამდებობა არსებობს და ამ თანამდებობის კაცისთვის საადმირალოში სპეციალურად გამოყოფილია საჭუჭო ოთახი; მას აგრეთვე სახელმწიფო ხარჯზე ეძლევა საცხოვრებელი ბინა.

— აბა, ისიც მითხარი, სასყიდელს რამდენს აძლევენ ამგვარ არაფრის კეთებაში?

— ას გინეას წელიწადში.

— ნუთუ ასეთი უმნიშვნელო რამისთვის მაწუხებ?

— ამ თანხით ცხოვრება შეიძლება.

— მეტად ხელმოკლედ.

— ჩემისთანა ადამიანი ამასაც იმყოფინებს.

— ასი გინეა? ეს ხომ თითქმის არაფერია.

— ის, რასაც თქვენ ერთ წუთში ფლანგავთ, ჩვენ, მდაბიოთ, ერთ წელიწადს გვეყოფა, ამაშია ღატაკთა უპირატესობა.

— შენ მიიღებ ამ ადგილს.

რვა დღის შემდეგ ჯოზიანას სურვილის მეოხებით და ლორდ დენედ დერი-მოირის ნაცნობ-მეგობართა საშუალებით ბარკილფედრო, იმ დღიდან სიღატაკისგან ხსნილი, დროებით დაბრკოლებებს მოცილებული, ყოველმხრივ შზაშხარეულზე მოქნეო. მიიღო უფასო საცხოვრებელი ბინა და ყოველწლიურ ჯამაგირად ასი გინეა.

VII

ბარკილფედრო გზას იკაფავს

ადამიანები უპირველესად იმას ცდილობენ, რომ უმადურობა გამოიჩინონ.

ეს არც ბარკილფედრომ დააყოვნა.

ჯოზიანას წყალობით კეთილდღეობას მიღწეული მხოლოდ იმას ფიქრობდა, სიკეთის სამაგიეროდ ავი მიეზღო.

გაეხსენოთ, რომ ჯოზიანა ლამაზი იყო, ტანად მაღალი, ახალგაზრდა, მდიდარი, გაელენიანი, სახელოვანი; ხოლო ბარკილფედრო გონჯი, ჩია, ბებერი, ლატაკი, დამოკიდებული და უსახელო კაცი. გასაგებია, რომ ყოველივე ამისათვის შური უნდა ეძია.

წყვდიადისაგან შექმნილი არსება სხვას ვერ აპატიებს ბრწყინვალებას.

ბარკილფედრო ირლანდიელი იყო და ირლანდიელობაზე ხელაღებული მეტად საძაგელი კაცი გახლდათ.

ბარკილფედროს მხოლოდ ერთი დადებითი თვისება ჰქონდა, ეს გახლდათ დიდი სტომაქი.

დიდი მუცელი, ჩვეულებრივ, გულკეთილობის ნიშანია, მაგრამ ბარკილფედრო მთლად პირმოთნე, ბოროტი ადამიანი იყო.

რამდენი წლის იყო ბარკილფედრო? ძნელი სათქმელია. იმდენი წლისა იყო, რამდენსაც გარეშოება მოითხოვდა. სახეზე ნაოჭები და თმაში ჭაღარა მას ხიბერის იერს აძლევდა, ხოლო ახალგაზრდისა ჰქონდა. იგი მოქნილიც იყო და ტლანქიც: რაღაც საშუალოს მოგვაგონებდა მაიმუნსა და პიპოპოტამს შორის. როიალისტი იყო? რა თქმა უნდა. იქნებ რესპუბლიკელი იყო? ვინ იცის. კათოლიკე იყო? შეიძლება. იქნებ პროტესტანტი? უეჭველი.

სტიუარტების მომხრე იყო? შესაძლებელია. ბრაუნშვაიგის დინასტიის მომხრე? ალბათ ასეა. მხოლოდ მაშინაა სახეირო — „მომხრე" იყო, როდესაც იმავე დროს „წინააღმდეგი" ხარ. ბარკილფედრო ამ ბრძნულ წესს ემორჩილებოდა.

„ოკეანის ბოთლების ამხსნელის" თანამდებობა მართლაც ისეთი უხამსობა როდი იყო, როგორიც ბარკილფედროს სიტყვებიდან გეჩვენებოდათ. გარსიაა ფერანდესი თავის „საზღვაო მეგზურში" პროტესტს აცხადებდა დალუპული გემების გაძარცვის გამო, სანაპიროზე მცხოვრებთაგან ზღვის მიერ გამორიყული ნივთების მიტაცების გამოც. ეს ჩვენს დროში ფუჭ ენამჭევრობად ჩაითვლებოდა, მაგრამ ინგლისში სენსაცია მოახდინა და დაძირულ გემზე დალუპულთ ის სარგებლობა მოუტანა, რომ ამის შემდეგ მათ ქონებას უკვე გლეხები კი არ იტაცებდნენ, არამედ, თვით ლორდ-ადმირალი უკეთებდა კონფისკაციას.

რასაც კი ზღვა ინგლისის ნაპირებზე გამორიყავდა — სავაჭრო საქონელი იქნებოდა თუ ხომალდის ჩონჩხი, ყუთები თუ სხვა, — ყველაფერი ლორდ-ადმირალს ეკუთვნოდა (სწორედ ამაში იყო იმ თანამდებობის მნიშვნელობა, რომელსაც ბარკილფედრო ითხოვდა); საადმირალოს ყურადღებას განსაკუთრებით ზღვაზე მოტივტივე ჭურჭელი იქცევდა, რომელშიც ყველანაირი ამბები და ცნობები იყო მოთავსებული. ხომალდების ჩაძირვა მეტად საზრუნავი საკითხი იყო ინგლისისათვის. ინგლისის ცხოვრება მეზღვაურობაშია და ამიტომ ხომალდთა ჩაძირვის აცილება, მისი მუდმივი საზრუნავია. ჩასაძირად განწირული ხომალდიდან ზღვაში გადაგდებული მუშის პატარა მათარაში ყოველმხრივ მნიშვნელოვანი და საყურადღებო ცნობები ინახება. ეს ცნობები შეეხება თვით ხომალდს, მის ეკიპაჟს. არის ცნობები ჩაძირვის დროისა და მიზეზების, იმ ქარიშხლების გზის შესახებ, რამაც ხომალდის ჩაძირვა გამოიწვია, ზღვის მოქცევაზე, რასაც მათარა ნაპირთან უნდა გამოერიყა. ის თანამდებობა, რომელიც ახლა ბარკილფედროს ეჭირა, ას წელზე მეტი ხნის წინ იყო გაუქმებული, მაგრამ თავის დროზე მართლაც სარგებლობა მოჰქონდა. „ოკეანის ბოთლების საცობის ამხდელი" უკანასკნელად უილიამ პესი იყო, ლინკოლნის დოდინგტონიდან. ამ მოვალეობის ამსრულებელი კაცი ერთგვარად მომხსენებლადაც გამოდიოდა ყოველივე იმისა, რაც ზღვაზე ხდებოდა. მასთან მოჰქონდათ ყველა

დალუქული ჭურჭელი, ბოთლები, მათარები, ქოთნები, რაც კი ინგლისის სანაპიროზე გამოირიყებოდა, მხოლოდ ოკეანის ბოთლების საცობის ამხდელს ჰქონდა უფლება ეს ჭურჭელი აეხადა. ბოთლში ჩადებული ხელნაწერის საიდუმლოებას ის პირველი იგებდა. პერგამენტს ამოიღებდა თითოეული ჭურჭლიდან, გაარჩევდა მათ, ყველას იარლიყს დააკრავდა, დაარეგისტრებდა... აქედან წამოვიდა ლამანშის კუნძულებზე დღემდე არსებული გამოთქმა „ლერწამმოწნული მათარა სამდივნოში ჩაბარეო". მართალია, მიღებული იყო ერთი გამაფრთხილებელი ზომა: ყველა ამ ჭურჭელზე ლუქის მოძრობა და იქიდან პერგამენტის ამოღება შეიძლებოდა მხოლოდ საადმირალოს ორი წარმომადგენლის თანდასწრებით. ისინი ფიცსაც დებდნენ, არ გამოემჟღავნებინათ ჭურჭლიდან ამოღებული საიდუმლოება. ესწრებოდა, აგრეთვე, ჯეტსონის განყოფილების გამგე. ყველა მათგანი ხელს აწერდა ოქმს მათარის გახსნისა და შინაგანის ამოღების შესახებ. რადგან ორივე „ნაფიცს" ევალებოდა ფიცის გაუტეხლობა, ამიტომ თვით ბარკილფედროს ერთგვარად გზა ხსნილი ჰქონდა თავისუფალი მოქმედებისათვის. მხოლოდ მასზე იყო დამოკიდებული, საიდუმლოდ დაიცავდა ამა თუ იმ ფაქტს, თუ გამოაქვეყნებდა.

ეს მაღალი ჭურჭლები, არცთუ იშვიათად, უვარდებათ ხელში და არც ისე ნაკლებ მნიშვნელოვანნი იყვნენ, როგორც ბარკილფედრო მოახსენებდა ჯოზიანას. ეს ჭურჭლები ხან მალე მიაღწევდნენ ხოლმე ხმელეთს, ხან წლობით დატიეტივებდნენ ზვირთებზე. ყველაფერი დამოკიდებული იყო ქარტეხილების მიმართულებასა და ზღვის დინებაზე. ზღვაში ასეთი ბოთლის გადაგდების ჩვეულება თითქმის გადავარდა. ისევე გადავარდა ჩვეულება EX VOTO* წმინდანთა ხატების წინ ჩამოკიდებისა. იმ დროის ადამიანებს, რომლებსაც სიკვდილი თვალწინ წარმოუდგებოდათ, უყვარდათ ხოლმე ამ სახით გაეგზავნათ ღმერთებისათვის და ადამიანებისათვის თავიანთი უკანასკნელი ფიქრები. ამიტომ საადმირალოში ასეთი გზავნილებიც მრავლად გროვდებოდა.

იაკობ პირველის დროს ინგლისის ლორდ-ხაზინადრის გრაფ ხემოლკის მიერ ხელმოწერილ პერგამენტში, რომელიც დაცულია ოდლენის ციხე-დარბაზში, ნათქვამია, რომ მხოლოდ 1615 წლის მანძილზე საადმირალოში მოიტანეს და ლორდ-ადმირალის სამდივნოს სიაში ჩაიწერა ორმოცდათორმეტი დალუქული შუშა, ქილა,

პოლი და მათარა, რომლებშიც წერილობითი ცნობები აღმოჩნდა ნაბრული ხომალდის შესახებ.

სახლის კარის თანამდებობანი ზეთის წვეთს ჰგვანან, ორანი ნელ-ნელა იხსნებიან და შედეგად სულ უფრო მეტ ფართობს აჭერენ. ამ გზით ვინმე მეკარე კანცლერი ხდება, ხოლო შეგინაბე კონტაბლი. იმ თანამდებობაზე, რომელიც გამოითხოვა და მიიღო კიდეც ბარკალფედრომ, ჩვეულებრივ, ნდობით აღჭურვილი პირი ითვლებოდა. ასე მოისურვა ელისაბედ დედოფალმა. სასახლის კარზე ნდობაში ნაგულისხმევია ინტრიგა, ხოლო ინტრიგას მოხელე მალალ თანამდებობამდე აჰყავს. ეს მოხელე ბოლოს და ბოლოს მნიშვნელოვანი პირი ხდება. იგი ჯერ კიდევ კლერკი, სასახლის კარის იერარქიაში უშუალოდ უკან მისდევს ხოლმე მოწყალების გამცემ ორ მოხელეს. მას ენიჭება სასახლეში შესვლის უფლება, ძირითალია თავმდაბლური შესვლისა (HUMILIS INTROITUS), მაგრამ მის წინაშე მეფის საძინებელი ოთახის კარიც კი ღია იყო. ჩვეულება მოითხოვდა, რომ მას ზოგიერთ შემთხვევაში მეფისათვის ეუწყებინა ზღვაზე ნაპოვნის შესახებ, რაც ხშირად მეტად საინტერესო გამომდგარა. ასეთ ნაპოვნებში აღმოჩნდებოდა ანდერძი ისეთი ადამიანებისა, რომელთაც სიცოცხლის ყოველივე იმედი დაკარგოდათ; ანდა გამოშშვიდობების წერილი ნათესავ-მშობლებთან; ავრეთვე ტვირთის გატაცებაზე; ზღვაზე მომხდარი ბორტმოქმედების შესახებ ცნობები; სახელმწიფოს მიმართ შეწირვის საბუთები და სხვა. „ზღვის ბოთლების საცობის ამხდელი" უშუალო ურთიერთობაში იყო სასახლესთან და დროგამოშვებით მეფეს აბარებდა ანგარიშს მის მიერ აღმოჩენილის შესახებ; ეს იყო „შავი კაბინეტი" ოკეანის საქმეებისა.

როდესაც ელისაბედ დედოფლის დროს ამ თანამდებობის მოხელე, ბერგშირის მკვიდრი კოლექტი ტემფიელდი მიართმევდა ხოლმე მას ზღვის მიერ გამორიყულ ასეთ გზავნილებს, დედოფალი, რომელსაც ლათინური ლაპარაკი კარგად ემარჯვებოდა, ასე კითხულობდა ლათინურად: „რას მწერს მე ნეპტუნი?"

ხერელი გაყუჩებული იყო. ტერმიტმა თავისას მიაღწია. ბარკალფედრომ დედოფლამდე გზა გაიკვლია.

მან ჯეელაფერს მიაღწია, რისკენაც კი მიისწრაფოდა.

რათა თავისთვის კეთილდღეობა მოეპოვებინა?

არა.

რათა სხვისი ბედნიერება დაერღვია?

ეს უფრო მეტად სახიამოვნო იყო.

მახლობელს აენო — სააშური რამ არის.

ყველა რიდი განიცდის ბუნდოვან, მაგრამ გადაულახავ სურვილს მიაყენოს სხვას ზიანი და არც ერთ წუთს არ ავიწყდებოდეს თავისი ასეთი განზრახვა. ბარკალფედრო საოცრებამდე უჭიათი კაცი იყო; თავისი განზრახვის შესრულება იხე ემარჯვებოდა, როგორც ბულდოგის ჯიშის ძაღლს მიპარვით კბენა.

თავისი უჯიათობით კმაყოფილი იყო. ოღონდ კი ხელში მოეგდო მსხვერპლი, ან თუნდაც დარწმუნებულიყო, რომ მისგან თვალში ამოღებულ ადამიანს უეჭველად დაატყდებოდა რისხვა და ამაზე მეტი არა უნდოდა რა.

მზად იყო სიცოცხლეზე თვითონაც ეკანკალა, ოღონდ იმავე სიცივეს სხვები გაეყინა. იყო ბოროტი — ეს ფუფუნებაა. ბოროტ ადამიანს, რომელიც ღარიბად ითვლება და მართლაც ღარიბია, ერთი განძი აქვს — ეს მისი ბოროტებაა. საქმე ის არის, რომ იგი კმაყოფილია, როდესაც ვინმეს მიმართ ბოროტებას ჩაიდენს. სხვა ვინმეს ხასაძაგლე აკადროს და ამით თვითონ ისიამოვნოს, მისთვის ყოველგვარ სიმდიდრეზე ძვირფასია. რაც მსხვერპლს უსიამოვნებას მიაყენებს, — სიამოვნებაა მისთვის, ვინც ეს ჩაიდინა. პაპისტების დენთის შეთქმულებაში* გაი ფოქსის თანაზრახველი კეტსბი ამბობდა: „მე ერთ მილიონ გირვანქა სტერლინგს არ დავზოგავდი, ოღონდ მენახა, როგორ აფეთქდებოდა და ჰაერში გაიბნეოდა პარლამენტიო".

ვინ იყო ბარკალფედრო? ყოველად მდაბალი და ყოველად საშინელი არსება — მოშურნე.

სასახლის კარზე შური ყოველთვის მონახავს თავის ადგილს.

იქ ბევრია თავხედი, უსაქმური, მდიდარი, ცულლუტი, ჭორების მოყვარული, სხვის თვალებში ბეწვის მძებნელი, ავსიტყვა, აყუია, თვითონ დასაცინი და სხვისი დამცინავი, მოსულელო ენამახვილები, ჰოდა, ამათ ყველას ესაჭიროებათ მოშურნის დახმარება.

რა სახიამოვნოა მახლობელზე ძრახვა-გმობა მოისმინო!

შურიანი ადამიანებისგან კარგი ჯაშუშები გამოდიან.

დაბადებიდანვე თანდაყოლილ ენის, შურიანობასა და საზოგა-

ლებაში ფეხმოკიდებული ერთგვარი ხელობის ჯაშუშობას შორის დიდი მსგავსებაა.

ჯაშუში მსხვერპლს ძალღივით სჩვისთვის უთვალთვალებს, მოურნე მსხვერპლს კატასავით თავისთვის უთვალთვალებს.

ნადირისებური ეგოიზმი — ასეთია შურიანის ბუნება.

ბარკალფედრო მოკრძალებულიც იყო, ჩუმჩუმა; მაგრამ ყოველთვის გარკვეულ მიზანს ისახავდა: ყველაფერს ჩუმად, თავისთვის ინახავდა და ბოროტებას გულში იხვევდა. უზომო სიმდაბლე ხელიხელჩაკიდებული მიდის უზომო პატივმოყვარეობასთან ერთად. ბარკალფედროსადმი კეთილად იყვნენ განწყობილი ისინი, ვისაც ის არიობდა, დანარჩენებს კი სძულდათ; მაგრამ ის იმასაც გრძნობდა, რომ მოძულენი მას არად აგდებდნენ, ხოლო კეთილგანწყობილნი ზიზღით ეპყრობოდნენ.

ბარკალფედრო მუდამ თავს იკავებდა. გააცებული მორჩილების ნიღაბქვეშ შეურაცხმყოფელი გრძნობები უდუღდა. იგი აღშფოთებასაც ირჩენდა ხოლმე, თითქოს მისთანა უკეთურებს ამის უფლებაც ჰქონდათ. მძიმეარება მას არც ერთ წუთს მოხვენებას არ აძლევდა, მაგრამ არასოდეს იმჩნევდა. მას შეეძლო ყოველგვარი შეურაცხყოფა აეტანა. გახელებული შავბნელი ბოროტება გულს უფატრავდა. მის სულს მგზნებარე სიავის ალი მუდამ აბედიით სწვავდა, მაგრამ ამის შესახებ უჭვიც არავის აუღია. იგი ქოლერიკი იყო, მაგრამ ყოველთვის იღიმებოდა. დამთმობი იყო, თავაზიანი, მორჩილი და პირმოთნე. ესალმებოდა განურჩევლად ყველას. ცოტაოდენი ქარის მობერვა მიწამდე თავს დააკვრევინებდა. ბედნიერებას ადვილად ის მოიპოვებს, ვისაც ხერხემლის მაგიერ მოქნილი ლერწამი აქვს. ასეთ ქვეყნიერებაში და შხამიანი ადამიანები გაცილებით მეტნი არიან, ვიდრე ჩვენ გვგონია. ისინი აებედითად დაძერებიან ჩვენს ირგვლივ. რისთვის არსებობენ ისინი ქვეყნად? რა ამოუცნობი, შემაძრწუნებელი კითხვაა! მეოცნებე მუდამ ამგვარად ეკითხება თავის თავს, მაგრამ მოახლოვებულ საფრთხეს გადაუწყვეტია იგი. ამიტომ არის, რომ ფილოსოფოსთა სევდიანი თვალები მუდამ მიპყრობილია იმ წუდიადისკენ, რომელსაც ბედისწერას უწოდებენ და რომლის სამალლიდან ბოროტების უზარმაზარი ლანდი მუქით ეფინება გვერდებს მიწაზე.

ბარკალფედრო ჩასკვნილი იყო, სამაგიეროდ, სახე გამხდარი ჰქონდა. გასუქებული ტანი და ხეხერა სახე. ფეხები მოკლე და დაპრიალებული ჩექმებით ჰქონდა შეკაზმული. ეცვა ფართო ფრაკი, ქვემოთ ჩამოშვებული ორი ფართო ფრთით. ეხურა ფართოფრთიანი ქუდი. ხელში ეჭირა ხის ხრტილი, რომელსაც ხშირად ატრიალებდა ხოლმე. ეს ხრტილი ბარკალფედროს ერთგვარ ეგზოტიკურ იერს აძლევდა.

ჯირკვლებული, თითები კოჟოჟებიანი, გაფშვილი თმა, თვალები ერთმანეთისაგან შორა-შორს მსხდარნი, შუბლი დაბნაშავისა, განიერი და დაბალი. ელამ ცბიერ თვალებს გაფართხალებული წარბები უფარავდა. გრძელი წაწვეტილი, კუხიანი ცხვირი თითქმის ტუჩებამდე ეხებოდა. ბარკილფედრო, რომის იმპერატორის ტანსაცმლით რომ შეეშოსათ, დიმიციანეს* დაემსგავსებოდა. მისი ყელიანი პერანგის რალაც წებოვანი გუნდიდან გამოძერწილი გეგონებოდათ, ხოლო გაქვავებული ლოყები ცვილისგან. ნოჭებით დასერილი სახე ადასტურებდა მის ყველანაირ ბინძურებას. ქუდა ყბა განიერი ჰქონდა, ნიკაპი ხორციანი, ყურები დიდი; როდესაც იგი დუმდა, შუაზე აწეული ზედა ტუჩიდან, გვერდიდან შეხედვისას ორი კბილი მოუჩანდა; გეგონებოდათ, ეს კბილები გაიცქერიანო. კბილებსაც ხომ შეუძლიათ ცქერა ისე, როგორც თვალებს კბენა...

მოთმინება, თავშეკავება, ზომიერება, სიფრთხილე, თავშებალობა, თავაზიანობა — დათმენა, თვინიერება, ზრდილობა, სიფხიზლე და კდემა — ყველა ეს თვისება ამთაურებდა და ხრულყოფდა ბარკილფედროს სახეს. რომ გეთქვათ ყველაფერი ეს გააჩნიაო — ცოლისწამება იქნებოდა.

სულ მოკლე ხანში ბარკილფედრომ სასახლის კარზე საკუთარი განმტკიცა მდგომარეობა.

VIII

INFERI*

სასახლის კარზე მდგომარეობის განმტკიცება ორნაირი გზით შეიძლებოდა. ან ღრუბელცათამდე უნდა იფოთ ასული, და მაშინ დიდება მოგელით, ან მწიკლურ ტალახში ცურავდეთ — და ძალა თქვენს ხელთ იქნება.

პირველ შემთხვევაში თქვენ ოლიმპზე იმყოფებით, მეორე შემთხვევაში — საპირფარეშოში.

ოლიმპზე მცხოვრების განკარგულებაში მხოლოდ ჭექა-ქუხილია, ხოლო საპირფარეშოს არეზე მობინადრენი პოლიციის დახმარებით სარგებლობენ.

აქ, საპირფარეშოში, ხელისუფლების ყველა აუცილებელ ნი-

ვან იხილავთ; აქვე ნახავთ დამსჯელ იარაღებს, რადგან ეს ადგილი გამცემლურია; პელეოგაბელები* ზოგჯერ აქ პოულობენ ალსარულს. ამ შემთხვევაში საპირფარეშოს ფუნისადგილი ჰქვია. მაგრამ ჩვეულებრივ ეს იმდენად საშინელი არ არის; ალბერონი იქ ალტაცებაში მოჰყავს ვანდომის პერცოგს; გვირგვინოსანი პირები დიდი საამოვნებით იღებენ საუდიენციოდ მოსულებს. ეს ადგილი სატახტო დარბაზის მაგიერობას სწევს. ლუდოვიკო მეთოთხმეტე აქ მიიღებდა ხოლმე ბურგუნდიის პერცოგის შეულლეს, ფილიპე V* აქ წამოიჭიმებოდა ხოლმე დედოფლის გვერდით. მეფის საპირფარეშოში შესვლის ნება მღედელსაც ეძლევა. ხანდახან საპირფარეშო აღსარების განყოფილების ფუნქციასაც ითავსებს.

ეი რატომ არის, რომ სასახლის კარზე, სულ უმნიშვნელო მდგომარეობის მქონესაც შეუძლია კარიერა გაიკეთოს და ძალიან კარგი კარიერაც.

თუ თქვენ გსურთ ლუდოვიკო მეთერთმეტის კარზე დიდებული გახდეთ, იყავით პატარა როპანი, მარშალი საფრანგეთისა, თუ გინდათ გავლენიანი პირი იყოთ, უნდა გახდეთ ოლივიე ლედენი — დალაქი, თუ გინდათ მარიამ მედიჩის* კარზე სახელი მოიხვეჭოთ, კანცლერი სილერი* გახდით, თუ გინდათ მნიშვნელობა გქონდეთ, — იყავით პანონი, ფარეშის დიაცი. თუ გინდათ ლუდოვიკო მეთხუთმეტის კარზე სახელი გაითქვათ, იყავით შუაზელი, მინისტრი, თუ გინდათ მრისხანე იყოთ, გახდით ლებელი, ლაქია. ბონტანი, ლუდოვიკო მეთოთხმეტის ლოგინის გამსწორებელი, უფრო ბევრის შემძლე იყო, ვიდრე ლაეეა,* რომელმაც ამ მეფეს არმია შეუქმნა, და ვიდრე ტიურენი, რომელმაც ამდენი გამარჯვება მოუხვეჭა მასვე. გამოცანები რიშელიეს მამა ჯოზეფი და რიშელიესგან თითქმის არაფერი დარჩება. ყოველივე იდუმალებაც კი გაქარწყლდება. წითელი კარდინალი დიდებულია, რუხი კარდინალი საშინელია. რაოდენი ძალა იფარება ჭიპ-მატლში! ყველა ნარვაესი, ო'დონელებთან რომ გაიერთიანო, იმდენს მაინც ვერ შეძლებს, რამდენსაც რომელიმე დაი — პატრონინო.

ასეთი შემძლებლობის საწინდარი არარაობაა. თუ გინდათ ძლიერი იყოთ, იყავით უხილავი, იყავით ფუჭი. რგოლად მოკეცილი გველი ერთსა და იმავე დროს სიმბოლოა დაუსრულებლობისაც და წელისაც.

ასეთი გველური წარმატება ბევრ ნილად ბარკილუედრონსაც

ის გახდება იქით, საითაც მიისწრაფოდა.

ბრტყელი პარაზიტები ყველგან დაძრებიან, ლუდოვიკო მეთოთხმეტის სანოლში ბაღლინჯოები ბუდობენ, ხოლო მის პოლიტიკაში დიდ როლს იეზუიტები თამაშობდნენ.

ჩვენს დედამიწაზე არაფერი შეუთავსებელი არ არის.

ცხოვრება ჭანჭარას გაგონებს. რაიმესკენ მიზიდულობა გჭონდეს, მაშასადამე, აქეთ-იქით ირყეოდე. ერთი პოლუსი მეორისაკენ მიისწრაფვის. ფრანცისკ I-ს ტრიბულე სჭირდება, ლუდოვიკო მეთოთხმეტეს — ლებელი. „უმაღლეს დიდებულებასა" და უკიდურეს არარაობას შორის ღრმა ნათესაური კავშირია.

მშრომელი არარაობა. ეს სულ ადვილი გასაგებია. სადაურები იმას უჭირავს ხელში, ვინც დაბლაა.

მას ყველაზე მოხერხებული პოზიცია უკავია. მას თვალებიც აქვს და ყურებიც.

ის მთავრობის თვალია.

მის განკარგულებაში მეფის ყურია.

თუ თქვენს სიტყვებს ყურს უგდებს მეფე, თქვენ როგორც გნებავთ, ისე გამოიყენებთ მის ყურადღებას. ყველაფერი გადმოულაგეთ, რასაც კი თქვენი კეთილგონიერება გიკარნახებთ. მეფის ჭკუა და გონება თქვენი კარადაა. თქვენ თუ მეჩვრე ხართ, ის თქვენთვის ამ ჩვრების ჩასავრელი კარადა გახდება. მეფეებს თავიანთი ყურები თვითონ არ ეკუთვნით. პირდაპირ შესაბრალისნი არიან. ერთი სიტყვით, ისინი სრულებით არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ მოქმედებაზე. ის, ვინც თავისი აზრების ხელისუფალი არ არის, არც თავისი მოქმედების განკარგულია.

ვის ემორჩილება?

რომელიმე არაშზადას, რომელიც ყურში ჩაბზუის. ემორჩილება შავ ბუზს, ქვესკნელის ნაშიერს.

ამ ბზუილში ბრძანებაა. ყოველი მეფობა მხოლოდ კარნახია, სხვა არაფერი.

მონარქი ლაპარაკობს ხმამაღლა; ნამდვილი მფლობელი — ჩურჩულით.

ისინი, ვისაც უნარი აქვთ, ყურთასმენა გაიმახვილონ და გაიგონონ, — რასაც ეუბნებიან მეფეს ჩურჩულით, რომელიც თავის მხრივ ხმამაღლა იმეორებს, — ნამდვილი ისტორიკოსები არიან.

IX

სიკვდილი ისევე ძლიერია, როგორც სიყვარული

დედოფალ ანას მრავალი ენატანია ჩასჩურჩულებდა ყურში, მათ შორის ბარკლეფუდროც.

გარდა დედოფლისა, ბარკლეფუდრო ლედი ჯოზიანასაც ეშახურებოდა და ლორდ დევიდსაც, ცდილობდა ისინი შეუმჩნეველად მოექცია თავისი გაელენის ქვეშ. როგორც უკვე ვთქვით, ის ერთსა და იმავე დროს სამ ადამიანს ჩასჩურჩულებდა ყურში. ბარკლეფუდროს სამი ადამიანის ყური უსმენდა, ერთი ყურით მეტი დანერეზე, რადგან დანერე მხოლოდ ორ ადამიანს ჩასჩურჩულებდა. დანერეს თავი ამოეყო ლედიეკო მეთოთხმეტესა და, რომელიც თავის ცოლისადმი — პენრიეტაზე იყო შეყვარებული, და პენრიეტას შორის, რომელიც ლედიეკო მეთოთხმეტეს პყვარობდა. ამასთანავე, პენრიეტასთვის არ გაეშხილა და ლედიეკოს მდივნად გამხდარიყო ისე, როგორც, ლედიეკოსგან მალულად, პენრიეტას მდივანიც იყო. ამგვარად, ორი მარიონეტის სასიყვარულო ინტრიგებს შორის მოქცეული, თვითონ აძლევდა მათ შეკითხვებსა და თვითონ პასუხობდა.

არაფერი საკვირველი არ არის იმაში, რომ ბარკლეფუდრო ესოდენ მხიარული, დამყოლი, ვისიმე გამოხარჯვების ნიათს მოკლებული, არსებითად არც არავისი ერთგული, გონჯი და ღვარძლიანი ბოლოს და ბოლოს დედოფლისათვის საჭირო კაცი გახდა. რა დროიდანაც ანამ ბარკლეფუდრო გაიცნო, მას შემდეგ სხვა პირთხეებს აღარ უსმენდა. ბარკლეფუდრო დედოფლის წინაშე ისე პირმოთნეობდა, როგორც ლედიეკო მეთოთხმეტის წინაშე პირთხეობდნენ. იგი თავისი შხამიანი ენით სხვებს გესლავდა. „მეფე უშეცარია, იტყოდა ჭალბატონი დე მონშევრეული,* ამიტომ აუცილებელია მეცნიერები სასაცილოდ ავიგდოთ".

ხანდახან შხამის შეშხაპუნება სხეულში უმაღლესი ხელოვნებაა. ნერონი სიამოვნებით უცქერდა ლოკუსტის საქმიანობას.

მუცელა სასახლეებში შელწევა ძნელი არ არის. ამ მარჯვის ნაგებობებში შესასვლელ-გამოსასვლელებია დაფოლებული. სასახლის კარზე მიღებული პოლიცია ამ შესასვლელ-გამოსასვლელში სულ მალე ერკვევა, მიაგნებს მათ, გამოთხრის. ხოლო, თუ დასჭირდა

და ახალ შესასვლელ-გამოსასვლელსაც გაიყვანს, ოღონდ კი სასახლეში ფეხის შესადგმელად რაიმე საბაბი მიეცეს და მისთვის ესეც კმარა.

ბარკილფედრომ ასეთ საბაბად თავისი სამსახური გამოიყენა და სულ მოკლე დროში დედოფლისთვისაც გახდა ის, რაც ჰერცოგის ასულ ჯოზიანასთვის იყო — ჩვეულებრივი გასართობი, შინაური ცხოველი. რაკი ერთხელ დედოფლის წინაშე ენამახვილი სიტყვა წამოსცდა, ამით უკვე მიხვდა, რით უფრო დაიმსახურებდა მისი უდიდებულესობის წყალობას, ან რითი უფრო ასიამოვნებდა მას. დედოფალს ძალიან უყვარდა თავისი ლორდ — მმართველი, უილიამ ქავენდიში, ჰერცოგი დევონშირისა. კაცი მეტისმეტად გამოთაყვანებული. ეს ლორდი, რომელსაც ოქსფორდის ყველა სამეცნიერო ხარისხი ჰქონდა და მართლწერა კი არ იცოდა, ერთ მშვენიერ დილას მოკვდა. სასახლის კარის დიდებული დიდ გაუფრთხილებლობას სჩადის, რომ კვდება, რადგან იმ დღიდან მის კილვას აღარავინ ერიდება. დედოფალმა ბარკილფედროს თანდასწრებით გლოვის ნიშნად მცირე ხანს მოიდარდიანა თავი და ბოლოს ამოოხვრით წარმოთქვა:

— რაოდენ სანანურია რომ ესოდენ სათნო ადამიანი მაინცდამაინც დიდი ჭკუის პატრონი არ იყო.

— უფალმა მიიღოს სული თავისი სახედრისა, — დაბალი ხმით ჩაილაპარაკა ფრანგულად ბარკილფედრომ.

დედოფალმა გაიღიმა, ბარკილფედრომ შენიშნა ეს ღიმილი და გადაწყვიტა: დედოფალს ენამწარე ადამიანი მოსწონსო.

ბარკილფედროსათვის ნებადართული იყო ენამწარეობა.

იმ დღიდან მან სადავე მიუშვა თავის ცნობისმოყვარეობასა და ავყიობას. დატუქსვას ვეღარავინ უბედავდა. ყველას ეშინოდა მისი, ის, ვინც მეფეს ან დედოფალს აცინებს, ამხიარულებს, დანარჩენებისათვის რისხვის მომასწავლებელია.

ბარკილფედრო ყოვლისშემძლე მასხარა გახდა.

იგი ყოველდღე წინ იწევდა თავისი მიწისქვეშა ხვრელით. ბარკილფედრო სჭირდებოდათ. ზოგიერთი დიდებული მას იმდენად ნდობით ეპყრობოდა, რომ საჭიროების შემთხვევაში ამა თუ იმ თავის ბილწ საქმესაც ავალებდა.

სასახლე ერთგვარი სისტემაა დაკბილული ბორბლებისა. ამ სის-

ტყეში ნაბმული ბარკალფედრო კბილოვანი ბორბლის მამოძრავებელი გახდა. თქვენ თუ მიგიქცევიათ ყურადღება, რომ ზოგიერთ მექანიზმში მამოძრავებელი ბორბალი ძალიან პატარაა?

ჯოზიანა, როგორც უკვე ვთქვით, ბარკალფედროს ჯამუშურ უნარს იყენებდა და იმდენად ენდობოდა, რომ უყოყმანოდ მისცა თავისი განსასვენებელი დარბაზების გასაღები, რისი საშუალებითაც ბარკალფედროს მასთან ნებისმიერ დროს შეეძლო შესვლა.

ასეთი წრეგადასული ნდობა, რაც უცხო ადამიანის თვალში ინტიმური ცხოვრების სურათად ისახებოდა, მეჩვიდმეტე საუკუნეში ერთობ გავრცელებული იყო. ამას „გასაღების გაწუქება" ერქვა. ჯოზიანამ ორი საიდუმლო გასაღები გააწუქა. ერთი ლორდ დეივის მისცა, მეორე ბარკალფედროს.

თუმცა, ძველ დროში არავინ გაიკვირვებდა იმას, თუ რომელიმე პიროვნებას საწოლ დარბაზში შესვლის ნებას მისცემდნენ. ხანდახან ამას ზოგიერთი მოულოდნელობანიც მოსდევდა. მაგალითად, ლაფერემ რომ უეცრად გადასწია მადმუაზელ ლაფონის საწოლის ფარდა, იქ შავ მუშკეტერს, სენსონს წააწყდა.

ბარკალფედროს განსაკუთრებული უნარი გააჩნდა საიდუმლოს გამოძვალვნებისა, რაიცა იმორჩილებს ხოლმე დიდებულთ ამ ქვეყანისა და ისინი პატარა ადამიანებს უვარდებიან ხელში. ბარკალფედრო უხმაუროდ მიიპარებოდა საბნელეში მიხვეულ-მოხვეული გზებით, როგორც ყველა კარგ მეთვალყურეს სჩვევია, შას ჯალათის სისასტიკეც ახასიათებდა და მეკროგრაფის მოთმინებაც. მას დაბადებითვე დაჰყვა კარისკაცის უნარი. ხოლო ყველა კარისკაცი მთავრულია. ისინი ღამღამობით დაბორიალებენ, ხელში უჩინმაჩინის ფარანი უჭირავთ, ამ ფარნის სხივით მხოლოდ იმას ამუქებენ, რაც თვითონ სურთ, თვითონ ჩრდილში რჩებიან. ასეთი ფარნით კარისკაცი ეძებს არა ადამიანს, არამედ ცხოველს, რომელიც ადამიანში იმალება; ასეთს პოულობს მეფეში.

მეფეებს არ მოსწონთ, როდესაც მათ ამალაში მყოფთ წარჩინება სურთ. მეფეები აღტაცებაში მოდიან, როცა თვით მეფეებს კი არა, სხვას დასცინიან. ბარკალფედროს ნიჭი ამაში მდგომარეობდა, რომ განუწყვეტლივ ამცირებდა ლორდების და პრინცების ღირსებას, რის გამოც დედოფლის სიდიადე უფრო იზრდებოდა.

ბარკალფედროსათვის ნაწუქარ გასაღებს ორიოდე ბოლოში წვე-

როკინები ჰქონდა, და ამიტომ ამ გახალებით შეიძლებოდა ჯოზიანას ორივე საყვარელ რეზიდენციაში საძინებლის კარების გაღება — ლონდონში ჰენკერვილ-პაუსსა და ვინძორში — კორლეონელოჩში. ეს ორივე სახლი ლორდ კლენჩარლის მემკვიდრეობას შეადგენდა. ჰენკერვილ-პაუსი ოლდგეითის მიჯნაზე მდებარეობდა, ხოლო თვით ოლდგეითი ის ალაყაფის კარები იყო, რომლითაც პარეიკიდან ლონდონში შედიოდნენ. იქვე იდგა კარლოს მეორის ქანდაკება, რომელსაც თავს დასცქეროდა შეფერადებული ანგელოზის გამოსახულება. ქანდაკებას ფერხთით ლომისა და მარტორქის ფიგურები ედგნენ. ჰენკერვილ-პაუსში აღმოსავლეთის ქარს სენტ-მელიბონიდან ეკლესიის ზარების რეკვის ხმა მოჰქონდა. ვინძორში სახახლე კორლეონ-ლოჯი ფლორენციული სტილით — ქვითა და აგურით იყო ნაგები. მარმარილოს სვეტ-თაღებიანი ეს შენობა ხიმინჯებზე იყო შედგმული. მისასვლელებში ფიცრის ხიდი იყო გადებული. ამ სახახლის წინა ეზო ერთ-ერთ უშშვენიერესად ითვლებოდა ინგლისში.

ეს სახახლე ვინძორის ციხე-დარბაზის მახლობლად მდებარეობდა და ჯოზიანა დედოფლისგან თვალყურის დევნებას მოკლებული არ იყო. მიუხედავად ამისა, მაინც მოსწონდა აქ ცხოვრება.

ბარკილფედროს გავლენა დედოფალზე სხვისთვის შეუმჩნეველი რჩებოდა, მაგრამ მან ღრმად გაიდგა ფესვები. სახახლეში ასეთი ღვარძლის აღმოფხვრა ძალიან ძნელია. მათ ღერძები თითქმის არ ამოსდით და გარედან ვერაფერზე მოეჭიდები ამოსაგლეჯად. როკლორის,* ტრიბულეს ან ბრემელის ამომარგვლა თითქმის შეუძლებელია.

დედოფალი ანა ბარკილფედროსადმი დღითი დღე უფრო მეტ კეთილგანწყობას იჩენდა. სარა ჯენინგსი სახელგანთქმულია, ხოლო ბარკილფედრო ცნობილი სულ არ არის. ვინ რა იცის, რომ ანა დედოფალი მისი მწყალობელი იყო. მის სახელს ისტორიამდე არ მიუღწევია. ყველა თხუნელა ხომ არ უვარდება ხელში თხუნელების დამჭერს.

მღვდელმსახურების უიღბლო კანდიდატს, ბარკილფედროს ყველაფერი ესწავლა ცოტ-ცოტათი, და ამიტომ, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, არაფერი იცოდა. ასე შესაძლოა მოჩვენებითი ყოვლისმცოდნეობის მსხვერპლი გახდე. რამდენია ქვეყნად ისეთი,

შეძლება ითქვას, სწავლული, ვისაც მხრებზე თავის მაგიერ დანადების კახრი* ადგას. რითი არ იჭედავდა თავს ბარკალფუდრო, მაგრამ სულ ამაოდ, — მისი თავი მაინც ცარიელი რჩებოდა.

ადამიანის ჭკუა, ისევე როგორც ბუნება, სიცარიელეს ვერ იტანს. ბუნება სიცარიელეს სიყვარულით ავსებს, მაგრამ ჭკუა ამის გამო ხან მძულვარებას მიმართავს ხოლმე, სიძულვილში პოულობს იგი თავის საზრდოს.

არსებობს მძულვარება მძულვარებისათვის. ეს არის თავისებური ხელოვნება ხელოვნებისათვის. ასეთი რამ ადამიანის ბუნებას უფრო მეტად ახასიათებს, ვიდრე ჩვეულებრივ ფიქრობენ.

ადამიანებს ბევრი ვინმე სძულთ. თავშესაქცევად მაინც.

უმიზეზო მძულვარება საშინელია, ეს არის სიძულვილი, რომელიც თავის თავში კმაყოფილებას იწვევს.

დათვი იმითი ცხოვრობს, რომ თავისივე თათსა წუწნის.

მაგრამ ასეთი რამ დიდხანს ვერ გაგრძელდება. თათსაც საზრდო უნდა მიაწოდო.

დათვს საკვები სჭირდება.

მძულვარება თავისთავად დამატებელია და ერთხანს საკმარისიც არის საამისოდ, მაგრამ ის რომელიმე განსაზღვრული არსებაში უნდა იყოს მიმართული.

გაბოროტება თუ ყოველივე არსებულის მიმართ ვრცელდება, ბოლოს მაინც ამოქრება, როგორც სხვა ყველა განმარტოებითი დატკბობა; უსაგნო მძულვარება გაუტენავი ეაზნებით სროლის მგავსია. ეს თამაში მხოლოდ მაშინ არის წარმტაცი, თუ ლახვარი ვინმეს გულს მოხვდება.

არ შეიძლება მძულვარე იყოთ მხოლოდ იმისათვის, რომ მოძულეს სახელი გაითქვათ. საჭიროა მიზანი — კაცი იქნება თუ ქალი, — რომ ვინმე მათგანი დალუპოთ.

ჯოზიანამ თავისდა უნებურად გაუწია ბარკალფუდროს ეს შესანიშნავი და საშინელი სამსახური. მან ეს თამაში საინტერესო გახადა და მიზანიც გაუჩინა.

მან სიძულვილი გააცხოველა, გეზი მისცა და გააღიზიანა მოლეკ ცოცხალი მსხვერპლის მიზანში ამოღებით. ჩასაფრებულ ბრბედრეს იმედი ჩაუნერგა, რომ მალე თბილი სისხლი დაიღვრებოდა. ფრინველის დამჭერი გაახარა, თითქოს ფრთაფარფატით

ტოროლას მამაცობის გამო; მონადირეში მხეცი გაეღვიძა; ვინადან ბარკილფედრო თვითონაც ვერ გრძნობდა, რომ იგი სხვათა დასაღუპად იყო შექმნილი.

აზრი, ეს სატყორცნი იარაღია, ბარკილფედრომ პირველი დღიდანვე მიზანში ამოიღო ჯოზიანა იმ შავბნელი მოსაზრებების აღსასრულებლად, რომლებიც მის ტვინში ირეოდნენ. განზრახვასა და შურდულს შორის ერთგვარი მსგავსება არსებობს. ბარკილფედრო საფარში მიიმალა და მთელი თავისი ფარული სიძულვილი პერცოგის ასულს დაუმიზნა. თქვენ ეს გაკვირვებთ? მაშ რად უმიზნებთ თოფს იმ ფრინველს, რომელსაც თქვენთვის არა დაუშავებია რა? ჩვენ ის შესაჭმელად გვინდაო, ასე გვიპასუხებთ. ბარკილფედროსაც შესაჭმელად უნდოდა პერცოგის ასული.

ჯოზიანას გულს ვერ დაკოდავდნენ, რადგან ძნელია იმ ადგილის დაზიანება, სადაც ამოცანა იფარება. მაგრამ შეიძლებოდა რაიმე თავს დაეტეხათ და ამით მისი სიამაყე შეელახათ.

სწორედ სიამაყე მიაჩნდა ჯოზიანას თავის ძლიერებად.

სინამდვილეში ეს მისი სისუსტე უფრო იყო.

ბარკილფედრო ამას მიხვდა.

ჯოზიანა რომ ჩასწვდენოდა ბარკილფედროს სულს და გარკვეულიყო მის შავბნელ ზრახვებში, თუ გაიგებდა, რა იფარებოდა მის ღიმილში, მაშინ ამ გოროზი, მაღალი წრის სულიერს ძრწოლა აიტანდა; მაგრამ ჯოზიანას მშვიდად ეძინა, რადგან მას ეჭვი არა ჰქონდა რა იფარებოდა იმ კაცში, რომელსაც გულუბრყვილოდ ენდობოდა.

მოულოდნელობა არ იცი საიდან დაგატყდება. ცხოვრების სიღრმეები შემზარავია. მცირეოდენი მძულვარება არ არსებობს. მძულვარება ყოველთვის დიდია. იგი თავის მოცულობას სულ უმნიშვნელო ქმნილებაშიც არ კარგავს და საზარლადვე რჩება. ყოველგვარი სიძულვილი იმიტომაა ძლიერი, რომ იგი სიძულვილია. სპილოსაც, რომელიც თუნდაც ჭიანჭველას სძულს, საფრთხე ემუქრება.

ბარკილფედროს მსხვერპლი ჯერ კიდევ უვნებელი იყო და წინასწარვე განიცდიდა სიხარულს მომავალში ბოროტების ჩადენის გამო. მან ჯერ არ იცოდა, რა ზომებს მიმართავდა ჯოზიანას წინააღმდეგ, მაგრამ მისი განზრახვა მტკიცე იყო — ეს კი ცოტა როდი ნიშნავს.

ჯოზიანას განადგურება მეტად დიდი გამარჯვება იქნებოდა. ამის

იქდა ბარკილფედროს არა ჰქონდა, მაგრამ მისთვის შეურაცხყოფის მიყენება, მისი დამცირება, მწუხარების მიყენება, დანახვა მისა, თუ როგორ დაუწითლდებოდა ჯოზიანას ესოდენ მშვენიერი თვალები მეტისმეტი სიბრაზისგან, — აი, რა მიაჩნდა მას გამარჯვებად. ჰქონდა კიდეც ამის იმედი. ამაოდ როდი დააჯილდოვა იგი ბუნებამ ასეთი სიჯიუტით. ბარკილფედრო დარწმუნებული იყო, რომ ჯოზიანას ოქროს აბჯარზე რაიმე მდარე ადგილს აღმოაჩენდა და ამ ოლიმპზე მსუყვავი ქალის სისხლს დალევდა. რა ჯილდო ელოდა ამისთვის ბარკილფედროს? ძალიან დიდი: სიხარული, რომ სიკეთე სავით გადაუხადა.

ვინ არის მოშურნე, უმადური არსება. მას სძულს მზე, რომელიც მასვე ანათებს და ათბობს. ასე სძულს ჰომეროსი ბოილსაც.

თუ ჯოზიანას მიაყენებდა ისეთ რამეს, რასაც ახლა ვივისექციას უწოდებენ, თუ დაინახავდა, როგორ დაიკრუნჩხებოდა იგი ანატომიურ სადგამზე ტკივილებისგან, როცა აუჩქარებლად დასჭრიდა მას ცოცხლად ნაჭერ-ნაჭერ, აი ასეთ ოცნებებს ელოლიავებოდა ბარკილფედრო.

ამის მისაღწევად თვითონაც კი სიამოვნებით აიტანდა ცოტაოდენ უსიამოვნებას. შეიძლება კაცი თავისივე საკუთარ მარწუხებში მოემწყვდეს. დანის მოკეცვაში შეიძლება თითები დაიჭრას კაცმა. რა დიდი საქმეა! თუ ჯოზიანასადმი ტანჯვის მიყენებისას ბარკილფედრო თავის თავსაც რაიმე ტკივილს მიაყენებდა, ამას არავითარ ყურადღებას არ მიაქცევდა. ჯალათი გახურებული შანთის ზმარებისას თვითონაც იწვავს ხელს, მაგრამ არ აქცევს ამას ყურადღებას. თქვენ არაფერს არა გრძნობთ, რადგან სხვა უფრო მეტად იტანჯება. როცა ხედავთ როგორ წამებაშია ის, ვისაც ტანჯავენ, თქვენ საკუთარ ტკივილს ველარ გრძნობთ.

რაც კი შეიძლება ბევრი ზიანი მიაყენე და რაც იქნება, იქნება!

მოყვასისათვის ბოროტების მიყენებით თქვენ პასუხისმგებლობას კისრულობთ. სხვას რომ ხიფათში აგდებთ, თქვენს თავსაც განსაცდელში აყენებთ, რადგან სხვადასხვა გარემოების დამთხვევამ შესაძლოა, თქვენი ბედიც უკუღმა დაატრიალოს. ჭეშმარიტად ბოროტი ადამიანი არც ასეთი რამის წინ იხევს უკან. მას ტანჯულის წამებაახარებს. ავის მოქმედი სიხარული საშინელია. ტანჯვა-წამების მაცქერალი იგი თავს მშვენივრად გრძნობს. ჰერცოგი ალბა* ხელს ითბობდა იმ კოცონზე, რომელზედაც ადამიანებსა წვავდნენ.

ცეცხლი — წამებაა, მისი მუქი სიხარულია. უჩვეულოდ მშვენიერია, როცა გაიფიქრებ, რა დასკვნების გამოტანა შეიძლება ასეთი დაპირისპირებიდან. სულის შავი ჯურღმულები მიუწვდომელია. ისეთ „დახელოვნებულ ტანჯვა-წამებასაც", რომელიც ბოდლერის* გამოთქმებში გვხვდება, შესაძლოა სამგვარი საშინელი აზრი გააჩნდეს: ნატიფი წამება, მსხვერპლის ტანჯვა, მწვალებლის სიტკბოება.

„სიხარბე", „პატივმოყვარეობა", ეს სიტყვები იმას ნიშნავს, რომ ვიღაც ეწირება მსხვერპლად. თუკი ვინმეს მიმართ მალვით ბოროტებით ხართ აღსავსე, მაშასადამე, მისთვის ბოროტების მიყენება გწადიათ. რატომ სიკეთე არა გსურთ? იქნებ იმიტომ, რომ ჩვენი ნებისყოფა განსაკუთრებით მიმართულია ბოროტებისაკენ. ყველაზე მძიმე ამოცანაა მუდამ ცდილობდე შენს სულში ჩაახრჩო ავი სურვილი, რომელთან ბრძოლა ესოდენ ძნელია. თუ ჩვენს სურვილებს კარგად დავუკვირდებით, თითქმის ყველაში არის ისეთი რამ, რისი გამომჟღავნებაც არ შეიძლება, მაგრამ ვინც ბოროტებით აღსავსეა, — ასეთი სრულყოფილი გაიძვერანი დიახაც რომ არსებობენ, — მათთვის დადგენილია წესად: რაც უფრო ცუდია სხვებისთვის, მით უფრო კარგია ჩვენთვისო. მათი სინდისი ჩაწყვდიადებული ბუნაგია.

ჯოზიანას ჭარბად ჰქონდა ის უზრუნველობა, რომელსაც ყველაფრის მიმართ გოროზი ზიზღიანობა — ათვალწუნება წარმოშობს და ამპარტავნული დაუდევრობა ასაზრდოებს. ქალს ათვალწუნების საოცარი უნარი გააჩნია. ჯოზიანას შეუცნობელი თვითრწმენით გოროზობა ახასიათებდა. ბარკილფედრო მის თვალში თითქმის ნივთი იყო. მას ძალიან გაუკვირდებოდა, რომ ვინმე ეთქვა: ბარკილფედროც სულიერი არსებააო.

ჯოზიანა დარბაზში ბოლთას სცემდა, იცინოდა; სულაც არ აქცევდა ყურადღებას იმ კაცს, რომელიც ჩუმ-ჩუმად თვალყურს ადევნებდა.

თავის ფიქრებში ღრმად წასული ბარკილფედრო მხოლოდ ხელსაყრელ შემთხვევას ელოდა. იცდიდა, და თან მასში მტკიცდებოდა ის გადაწყვეტილება, რომ ამ ბანოვანის ცხოვრება რითიმე დაეძნელებინა.

რა ულმობლად ჩაუსაფრდა!

თუმცა, როდესაც ჩაფიქრდებოდა, ფრიად სარწმუნო დასკვნა გამოჰქონდა თავისი საქციელიდან. არ იფიქროთ, რომ უკეთურ ადამიანებს თავისი თავისადმი პატივისცემა არ გააჩნიათ. ისინი თავს

ამართლებენ თავიანთი საქციელის გამო, მაღალფარდოვან მონოლოგებს წარმოთქვამენ და ირგვლივმყოფთაც მედიდურად დასცქერიან. როგორ თუ ჯოზიანამ მოწყალება გადაუგდო! თითქოს მათხოვარი იყოს, ისე გადაუყარა მას რამდენიმე ლიარი, თავისი აურაცხელი სიმდიდრიდან. ჯოზიანამ იგი დაიმონა.

და ისიც რის გამო? — ამ შეუსაბამო თანამდებობის გამო! ბარკილფედრო, რომელიც თითქმის სასულიერო პირია, თანაც ასეთი დიდი და მრავალფეროვანი ნიჭითაა დაჯილდოებული, სწავლული კაცია, რომელსაც ყველანაირი საბუთი გააჩნია, რათა მათი მაღალ ღირსების ხარისხი მიიღოს, — იძულებულია აღწეროს თიხის თუ ჭიქის ნატეხები, იმნაირი ნატეხები, როგორითაც იობი თავისი მუწუკებიდან ჩირქს იღენდა. თუ ის იძულებულია თავის სიცოცხლეს საზიზღარ სინამდვილეში ახშობდეს, თავმომწონედ ხსნიდეს საცობებს ზღვის ნაშთით და ლოკოკინების ბუდეებით დაფარულ რაღაც ბოთლებს, თუ იძულებულია იკითხოს დაობებული პერგამენტები, უაზრო, დაობებული წერილები, ანდერძების ჭუჭყიანი ნაფლეთები — ეს ერთგვარად ძნელად ამოსაკითხი ჩმახვა — ყოველივე ამაში ჯოზიანაა დამნაშავე.

და ეს სულიერი იმასაც ბედავს, რომ შენობით ელაპარაკება!

ნუთუ შურს არ იძიებს ამისთვის? ჭკუას არ ასწავლის იმ არარაობას?

არა, მოიცადე, ქვეყნად სამართლიანობა კიდევ არსებობს!

X

ალი, რომლის დანახვა შესაძლებელი იქნებოდა, ადამიანი რომ გამჭვირვალე ყოფილიყო

როგორ? ეს გადარეული დედაკაცი, ეს ავხორცი მეოცნებე, რაღაც გაუგებრობით ქალწული, ეს ადამიანის ხორცის ნაჭერი, რომელსაც ჯერ მომხმარებელი ვერ უპოვია, ეს უსირცხვილო ხუშტურიანი დიაცი, რომელიც პერცოგის გვირგვინით მოვლენილა, ეს დიანა, რომელიც ჯერ რომელიმე შემთხვევით მოხეტიალეს არ გადახვევია მხოლოდ იმიტომ, რომ ქედმაღალია, ან იქნებ სულაც შემთხვევითი მოვლენის გამო, ეს უკანონო შვილი, ნაბიჭვარი იმ

ქალების მუსუსი მუდრეკი მეფისა, რომელმაც იმდენი ჭკუა ვერ გამოიჩინა, რომ ტახტიდან არ ჩამოეგდოთ, ეს ვინ იცის, რომელი ბუდიდან გადმოფრენილი ქალბატონი, მხოლოდ თავისი კარგი მდგომარეობის წყალობით, ლმერთქალის როლს რომ თამაშობს, მაგრამ თუკი სიღარიბეში აღმოჩნდება ქუჩაში ნათრევი გომბიო გახდება, ეს ვითომდა ლედი, ეს ქურდი, რომელმაც განდევნილის ქონება მოიპარა, ეს ქედმაღალი ბრიყვი იქამდე გათავხედდა, რომ როდესაც იგი, ბარკილფედრო, ულუკმაპუროდ და უსაფროდ დარჩა, მან თავისი სუფრის სულ ბოლოში დასვა და თავშესაფარი თავისი მოძაგებული სასახლის ერთ-ერთ კუთხეში მიუჩინა. თითქოსდა სულერთი იყო, სად იქნებოდა — სხვენზე თუ სარდაფში! ახლა ბარკილფედრო მხოლოდ ცოტათი უკეთ ცხოვრობს, ვიდრე ლაქია სამოსამსახურო ნაგებობაში, მაგრამ ცოტაოდენ უფრო ცუდ პირობებში, ვიდრე ცხენის საჯინიბოში. ჯოზიანამ ისარგებლა მისი, ბარკილფედროს, გამოუვალი მდგომარეობით და სასწრაფოდ აღმოუჩინა ისეთი მუხანათური დახმარება, როგორსაც საერთოდ მდიდრები სჩადიან ხოლმე, რათა ღარიბნი დაამცირონ და თავისი ერთგულნი გახადონ, როგორც გოშიები, რომლებიც თასმამობმულები დაჰყავთ თან. განა რა დაუჯდა მას ის დახმარება? დახმარების ფასი ეხმარება ხოლმე მსხვერპლის ფასს. სასახლეში ჯოზიანას აუარება ოთახი აქვს. ხედავთ, ვითომ დაეხმარა ბარკილფედროს! წარმოგიდგენიათ რამდენად ძნელი იქნებოდა მისი მხრიდან ეს დახმარება? განა ამის გამო მან ერთი კოვზით მაინც ნაკლები კუს შექამადი მიირთვა? და განა თავისი დაწყეულილი სიმდიდრის სულ მცირე ნაწილი დაკარგა ამისათვის? არა, მან თავის ულევ საუნჯეს კიდევ ერთი საბუთი მიუმატა პატივმოყვარეობისა და განდიდების მიზნით. კიდევ ერთი ფუფუნების საგანი მიიმატა. კეთილი საქმის გაკეთებით მან თავისთვის სამკაული მიიმატა, ისე როგორც თითს ბეჭდით დაიმშვენებენ ხოლმე, დახმარება აღმოუჩინა ჭკვიან კაცს, თავის მფარველობის ქვეშ აიყვანა სასულიერო პირი! შეიძლება ახლა იქადის კიდეც: „მე კეთილმოქმედებას ვეძლევი, პურს ვაჭმევ მწერლებსო!" ჯოზიანას სურს თავი ისე ეჭიროს, როგორც მის კეთილისმყოფელს: „ეს საცოდავი ახლა ბედნიერია, რაკი მე აღმოვჩნდი; მე ხომ ხელოვნების მეგობარი ვარო". და ყველა ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჯოზიანამ მას ერთი უბრალო საწოლი მიუჩინა საძაგელ საკუჭნაოში, სულ

მაღლა, ჭურჭელში. რა თქმა უნდა, საადმირალოში თანამდებობა ბარკილფედრომ ჯოზიანას მეოხებით მიიღო. მშვენიერი თანამდებობაა, ჯამაგიც დასწყევლოს! რასაც ახლა ბარკილფედრომ მიაღწია, ეს სულ ჯოზიანას წყალობით. დავუშვათ, რომ მან შეუქმნა ბარკილფედროს ასეთი მდგომარეობა, მაგრამ ეს ხომ არარაობაა! არარაობაზე უფრო მეტიც. ამ სასაცილო თანამდებობაზე ბარკილფედრო ხელფეხშეკრულივით, დაბლა დაცემულივით გრძნობდა თავს. რითია იგი ჯოზიანას მოვალე? იქნებ ის უნდა იყოს მისი მადლიერი, როგორც კუზიანი ემადლიერება თავის დედას, რომელმაც იგი ასე მახინჯი დაბადა. აი, ასეთები არიან ეს უპირატესობაში მყოფნი, ყველა სიკეთით სავსე ადამიანები. ეს თავნება ნებიერნი, იმ ფლიდი ბედისაგან გათამამებულნი, რომელიც ჩვენთვის დედინაცვალია! ხოლო ნიჭიერი კაცი, ბარკილფედრო, იძულებულია გამოეჭიმოს მათ კიბის ხარიხებზე, თავს უკრავდეს მათ ლაქიებს, სალამოთი სულ ზევით, ჭერამდე აფოფხდეს. თავაზიანობა, წინდახედულობა, თვინიერება და ზრდილობა გამოიჩინოს; ყველას ასიამოვნოს და სახეზე მუდმივად თავმდაბლური ღიმილი დასთამაშებდეს.

აბა, როგორ არ აგიტანს სიბრაზისგან კბილთა ღრჭენა! ის კი ამ დროს ყელზე მარგალიტის მანიაკს იკიდებს და თავისი სულელი ლორდის დევიდ დერი-მოირის წინაშე იპრანჭება. ო, ის საძაგელი, ისა! არავისგან არასოდეს დახმარება არ უნდა მიიღოთ, თორემ ანკესზე წამოგაგებენ. ნუ ჩაუვარდებით იმ დროს კეთილისმყოფლებს ხელში, როცა არაქათგამოცლილს ფეხზე დგომის თავი აღარ გაქვთ; მას, ბარკილფედროს, პური არ ჰქონდა, ამ ქალმა გამოკვება, ამიერიდან ბარკილფედრო მისი მონა-მორჩილი გახდა! კუჭის სიცარიელის დროებით გრძნობა და თქვენ საბოლოოდ დაგაბამენ! ვისიმე მიმართ მოვალეობაში ჩავარდნა, მონურ დამოკიდებულებაში ყოფნას ნიშნავს. ბედნიერი ხელისუფალნი მომენტით სარგებლობენ და როდესაც თქვენ ხელს გაიწვდით, გროშს მოგაჩეჩებენ. ისინი იმ წუთით სარგებლობენ, როდესაც თქვენ დაუძლურებულსა გხედავენ და თავიანთ მონად უნდათ გაგხადონ. თქვენ ბევრნაირი დამამცირებელი მონობა მოგელით; მოწყალეობის ძალით კეთილდღეობაში ჩავარდნილი მონა ხდებით, თანაც ისეთი მონა, რომ მოვალეობად გაწევთ, თქვენი მწყალობელი გიყვარდეთ! რა სამარცხვინოა! რა უზრდელობაა! რანაირ მახეს უგებენ თქვენს

სიამაყეს! და აქ ყველაფერი მთავრდება: თქვენ მოვალე ხდებით მუდმივად აქოთ და ადიდოთ ამ ადამიანის გულკეთილობა, ამ ქალის სილამაზე-სიმშვენიერეზე ილაპარაკოთ, უკანა რიგებში იდგეთ, ყველაფერში დაეთანხმოთ, ყველაფერზე ტაში დაუკრათ, ალტაცება გამოხატოთ, გუნდრუკი უქნიოთ; მუდმივად დაჩოქილებს მუხლებზე ტყავი გადაგძვრეთ, ენატკბილობა გამოიჩინოთ, მაშინ, როდესაც ბრაზი უნდა გაბრჩობდეთ, როდესაც მზად ხართ, ილრიალოთ გააფთრებულმა, როდესაც გახელებულს გული ბრაზისგან გისკდებათ და თქვენს გულში მწარე ქაფი ისე ბრუნავს, როგორც ოკეანეში.

აი, ახე გაქცევენ ხოლმე მდიდრები თავიანთ ტყვედ ღარიბებს.

თქვენ სამუდამოდ ვერლობით თქვენთვის გაწეული სიკეთის წებოვან კუპრში, რომლის მწიკვლის მთელ სიცოცხლეში ველარ ამოირეცხავთ.

მოწყალება ერთგვარი გამოუსწორებელი რამეა.

მადლიერება იგივე დამბლა დაცემაა. მათი სიქველე თქვენ ისე მოგუნებებათ, რომ თავისუფლად ველარ იმოძრავებთ. ეს კარგად ესმით საძულველ მდიდრებს, რომელთაც თავს დაგატეხეს თავიანთი სიბრალული. საქმე გაკეთებულია, თქვენ ნიეთად იქეცით, მათ შეგისყიდეს. რითი? იმ ძალით, რომელიც თავიანთ ძაღლს მოაკლეს და თქვენ გადმოგიგდეს. ეს ძალი თავში მოგარტყეს და უფრო მეტი ტკივილი მოგაყენეს, ვიდრე გიშველეს, ხოლო სულერთია, გამოხატით თქვენ ეს ძალი თუ არა. ადგილიც ბუნაგში გამოგინახეს, მაშ მადლობა გადაუხადეთ. მთელი თქვენი სიცოცხლე მადლიერი უნდა დარჩეთ, გააღმერთეთ თქვენი ბატონები, ფეხქვეშ ჩაუკარდით მათ. ქველობა იმას გულისხმობს, რომ შენს კეთილისმყოფელს შენის ნებით დაემორჩილო, ქველმოქმედნი იმას მოითხოვენ თქვენგან, რომ თქვენი თავი არარაობად მიგაჩნდეთ, ხოლო ისინი ღმერთად. თქვენი დამცირება მათ აამაღლებს. თქვენ წელში მოდრეკილს რომ გხედავენ, ისინი უფრო იმართებიან. მათ ხმაში უფრო ამპარტავნობა ისმის. მათი ოჯახის თავგადასავალი, — ქორწილი, ნათლობა, ორსულობა, მათი მემკვიდრის დაბადება — ეს ყველაფერი თქვენ გეხებათ. მათ დაებადათ მგლის ლეკვი, ძალიან კარგი, დაწერეთ ლექსი ამ შემთხვევის გამო. პოეტი იმიტომ ხართ, რომ ყოველგვარი გაცვეთილი ამბები შეთხზათ. აბა, ამის მერე, როგორ არ

გამჟღავნდებით? ცოტაღა უკლიათ, რომ თავიანთი გამონაცვალი ძველი ფეხსაცმელები გადმოგიყარონ: აპა, ჩაიცვით.

„ეს ვინ გყავთ, ჩემო სასურველო? რა გონჯია! საიდან გაჩნდა აქ?" „მეც არ ვიცი, ვიღაცა მკლაბნელია, უბრალოდ პურს ვაჭმევ" — ასე ლაპარაკობენ ერთმანეთში ეს დედალი ინდაურები და ისიც ხმამაღლა. თქვენ გესმით ეს და ამავე დროს მათ თავაზიანად ელოლიავებით. თუმცა თუ ავად გახდებით, თქვენი ბატონები მკურნალს გამოგიგზავნიან, მხოლოდ არა თავიანთ მკურნალს, თუ შემთხვევა ექნებათ, იკითხავენ კიდევაც თქვენს ამბავს, რადგან ისინი სულ სხვა ჯიშისა არიან, ვიდრე თქვენ და თქვენთვის მიუწვდომელ სიმაღლეზე დგანან, ამიტომ ალერსიანად გეპყრობიან. მათი მაღალი მდგომარეობა ხდის მათვე მისაწვდომს თქვენთვის. კარგად იციან, რომ თქვენ მათ მდგომარეობით ვერ გაუთანასწორდებით. სძულხართ და იმავე დროს ზრდილობიანად გეპყრობიან. სუფრასთან ოდნავ დაგიკრავენ თავს. ხან ისიც იციან, როგორ იწერება თქვენი სახელი. შეიძლება, გაგრძნობინონ კიდეც, რომ გმფარველობენ, ეს მხოლოდ გულუბრყვილოდ მოუვათ, რათა ფეხით გათელონ ყველა ის, რაც კი მტკივნეული და სათუთი გაგაჩნიათ. ამდენად, გულკეთილნი არიან თქვენდამი.

განა ეს მეტისმეტი სისაძაგლე არ არის? რა თქმა უნდა, აზრი ექნებოდა, რაც შეიძლება მალე დაეხაჯა ჯოზიანა. მას უნდა ეგრძნო, ვისთანაც ჰქონდა საქმე. აა, ბატონო მდიდრებო, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ ძალა არ შეგწევთ ჩანთქათ ყოველივე, რაც გაქვთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ზედმეტს კუჭი ვერ მოინელებს (ვინაიდან თქვენი კუჭები ჩვენსაზე დიდი არ არის), დაბოლოს მხოლოდ იმიტომ, რომ სჯობს ნარჩენები მშიერებს დაურიგოთ, ვიდრე სანაგვეში გადაყაროთ — დიდი სიამოვნებით გადაუგდებთ ხოლმე ლუკმებს, მათთვის შეთითხნილ სალაფავს. ო-ო, თქვენ პურს გვაჭმევთ, თავშესაფარს გვიჩენთ, ტანსაცმელს გვაძლევთ, სამუშაოს, ხელობას აღმოგვიჩენთ ხოლმე და ამის გამო თქვენი თავხედობა, უგუნურობა, თქვენი სისასტიკე, თქვენი სისულელე და შეუსაბამობა იქამდე მიდის, რომ გჯერათ, ვითომც ჩვენ მოვალეობა გვაკისრია თქვენდამი. ეს ჩვენი პური მონობის პურია, ეს თავშესაფარი, რომელიც თქვენ აღმოგვიჩინეთ, მსახურთა სადგომია, თქვენს მიერ მოწყალი ტანისამოსი ლაქიის ლივრეაა, თანამდებობა — აბუჩად აგდებაა;

მართალია, ჩვენ ამ თანამდებობაში ჯამაგირს გვაძლევენ, მაგრამ ასეთი ჯილდო ჩვენ პირუტყვის მდგომარეობამდე გვამცირებს. ამ, თქვენ მიგაჩნიათ, რომ უფლება გაქვთ უპატივცემლობა გამოიჩინოთ ჩვენ მიმართ, იმის გამო, რომ მოვალენი ვართ თქვენი, რაც ჩვენია მადლობის იმედი გაქვთ. ძალიან კარგი! ჩვენ კიდევ შიგნეულს გამოგჭამთ თქვენ. ძალიან კარგი, ჩვენ გამოგშიგნავთ, ლამაზი დიაცო, ცოცხალს ჩაგყლაპავთ! გადავხრავთ მთელ თქვენს გულს.

ოჰ, ეს ჯოზიანა! პირდაპირ ურჩხულია. რა დამსახურება მიუძღვის? დიდი რამ მომხდარა, თქვენმა შხემ: ქვეყნად გაჩნდა, რომ დაეშტკიცებინა მამამისის სისულელე და დედამისის უსირცხვილობა, თითქოს ჩვენ პატივი დაგვდო იმით, რომ თავისი არსებობის თანახმა გახდა, და კიდევ იმით, რომ თავაზიანად ინება საქვეყნო სირცხვილის საგანი ყოფილიყო. მას მილიონები გაუჩანს, მინაწყალი უწყალობს, ციხესიმაგრეები და ნაკრძალები, სანადირო მიდამო-ველები, ტბები, ტყეები — ყველაფერი ვერ ჩამოითვლება! ამ ყოველივეს პატრონი კიდევ პრანჭიაც არის. მას ლექსებს უწერენ! ხოლო ბარკილფედრო, რომელმაც ესოდენი სწავლა მიიღო და შრომა გასწია, რომელსაც ამდენი უშუშავია თავის სიცოცხლეში, აუარებელი ფოლიანტი ჩაუნთქავს, ამდენი ქალალდით გამოუტენია ტვინი, მეცნიერული ტრაქტატების გროვაში დაობდა, ის, არაჩვეულებრივი გონების კაცი, ხოდა ის, რომელსაც შშვენიერად შეეძლო მთელი არმიის წინამძღოლი ყოფილიყო, და თუ მოინდომებდა, ტრაგედიებსაც დაწერდა, მსგავსად ოტვეისა და დრაიდენისა, ის, იმპერატორად დაბადებული, ახლა იძულებულია იმაზე დათანხმდეს, რომ ამ კაბოსანმა არარაობამ შიშველისაგან საკვდილს გადაარჩინოს! ამაზე კიდევ შორს შეიძლება განიერცოს მდიდრების უზურპატორული საქმიანობანი? მოგვეჩვენო სულგრძელ ადამიანად, მფარველობას გვინეძდე და გეღიმოდე ჩვენ, ჩვენ, რომელნიც შზადა ვართ თქვენნაირთა სისხლი დაგლიოთ და ტუჩებიც გაგილოკოთ! განა ეს საზარელი უსამართლობა არ არის, რომ ვილაც ნამუსგარეცხილი, შეფის სასახლეში მყოფი მანდილოსანი, უფლებამოსილია თავის თავს თქვენი კეთილისმყოფელი უწოდოს; ხოლო ის კაცი, რომელიც ყველაფრით მასზე უკეთესია, იძულებული ხდება ამგვარი დიაცის ხელიდან დაცვენილი ნამუსრევი აკრიფოს? განა აქ შეიძლება სუფრას არ დასტაცო ხელი ოთხივე კუთხეში და

ჭერში არ იხროლო — სულ მთლიანად: მათი ორგიებით, გაუმაძღრობითა და ლოთობით, თავის სტუმრებიანად, რომლებიც მაგიდაზე დაგრდნობილან გალეშილნი, ზოგნი კი მაგიდის ქვეშ დათხილნი ბობღაენ, ყველა იმ თავხედებიანად, რომლებიც მათხოვრებს ჰწყალებას გადაუგდებენ ხოლმე, იმ ყყეჩებიანად, რომლებიც ამ ჰწყალებას ხელს უშვერენ, ყოველივე ეს ღმერთს უნდა შეაფურთხო პირდაპირ სახეში, ცას მიაზიდო მთელი ჩვენი მიწა! ჰოდა, მანამდე ჯერ ჯოზიანას ჩავურჭოთ ბრჭყალები.

ასე მსჯელობდა ბარკილფედრო; ველური ბრდღეინვა გრგვინავდა მის სულში. მეშურნე თავის გასამართლებლად პირად წყენასა და საზოგადოებრივ ბოროტებას ერთმანეთში ურევს. სისხლისმსმელის გულში გახელებით ღელაენ გაავებული ვნების ყველანაირი ხორკლები. მეთხუთმეტე საუკუნის გეოგრაფიულ რუკებზე კუთხეში ხატაენ დიდ უსახელო სივრცეს, რომელზედაც წარწერილი იყო სამი სიტყვა: HIE SUNT LEONES — აქ ბუნაგობენ ლომები. ასევითვე გამოუკვლეველი ადგილები ადამიანის სულშიც არის. სადღაც ჩვენ შიგნით ღელაენ და დულან ვნებები და ჩვენი სულის ამ ბნელ კუნჭულზედაც შეიძლება ასევე ითქვას, რომ „აქ ბუნაგობენ ლომები".

მაგრამ განა მთლად შეუსაბამო იყო ამ ველური აზრების ქაოსი? განა იგი მოკლებული იყო ყოველგვარ ლოგიკას? უნდა ვაღიაროთ, რომ არა.

გაფიქრებაც კი საზარელია, მაგრამ ჩვენი გონება სამართლიანობის ხმა რიდია. გონება არის ერთგვარი პირობითი, შეფარდებითი რამ, ხოლო სამართლიანობა — აუცილებელი რამ. აბა დაუფიქრდით იმას, თუ რა განსხვავებაა სამხვავროსა და მართლმსაჯულებას შორის.

ბოროტმოქმედნი თავის ნებაზე ატრიალებენ თავიანთ სინდისს. სიცრუის ყველანაირი ვარჯიში არსებობს. სოფისტი ფალსიფიკატორია; შემთხვევა თუ მოიტანს, ის ჯანსაღი აზრის წინააღმდეგაც წავა. გარყვნული ლოგიკა მეტად მოქნილია. იგი დაუნდობელი და დახვლეპილია. ყოველთვის მზად არის სიავეს ეშახუროს. იგი განსაკუთრებული ხერხით გამოამეღავნებს ხოლმე ჩრდილში მიმალულ ჭეშმარიტებას. სატანა ღმერთს მაგარ მუშტებს ურტყამს თავში.

ზოგიერთ სოფისტს სულელები აღტაცებაში მოჰყავს და სახე-

ლოვანი სწორედ იმითი ხდება, რომ ადამიანის სინდისს ჩალურჯებამდე ქექავს.

ბარკილფედროს ყველაზე მეტად ის აწუხებდა, რომ განზრახული საქმე არ ჩაშლოდა. ძალიან დიდ შრომას ეწეოდა და იმასღა ფიქრობდა, ვაითუ, ბოლოს იმდენად ვერ დავაზიანოო. გულში ყოვლისჩანმთქმელი, ალმასივით უდრეკი სიავკაცე და სიმძულვარე ედო.

რკინის ნებისყოფის იყო, ქინმორჩულად გწყუროდეს ყველაფერი ააფეთქო და ბოლოს — არც არა დასწვა, არც არავის თავი მოსჭრა და არც არავინ გაანადგურო! იყო ისეთი, როგორიც არის ის, ბარკილფედრო, — დამანგრეველი ძალა, ყოვლის ჩანმთქმელი მტრობა, სხვისი ბედნიერების ჯალათი, იყო შექმნილი (ვინაიდან შემქმნელი ყოველთვის არის ღმერთი ან სატანა) მხოლოდ იმ ყაიდაზე, როგორც ბარკილფედროა შექმნილი და მთელი შენი ენერგია მხოლოდ უსუსურ წკიპურტზე დახარჯო, განა ეს შეიძლება! ბარკილფედრო განა მიზანს ასცდება? გრძნობდე შენში დამანგრეველ ძალას, რომელიც კლდეებს ჰაერში ასტყორცნის და მხოლოდ და მხოლოდ შუბლზე კოპიჭილა დაასხა იმ მანჭია დიაცს! იყო ქვემეხი და ტყუილად შეარყიო ჰაერი, სიზიფეს შრომა გასწიო და ეს შრომა ჭიანჭველას ნაცოდვილარს დაემსგავსოს! სიმძლავრის მთელი მარაგი ამოანთხიო და თითქმის არავითარი შედეგი არ მოჰყვეს! განა ეს დამამცირებელი არ არის მაშინ, როდესაც გრძნობ, რომ ისეთი გაავებული ძალა ხარ, რომელსაც შეუძლია მთელი სამყარო მტვრად აქციოს. აამოძრავო კბილანებიანი ბორბლების მთელი სისტემა, აგრიალო წყვდიადში როგორც მარლის მანქანა მხოლოდ იმიტომ, რომ ვარდისფერი თითის წვერი დაძგკო! ლოდები ატრიალო იმისთვის, რომ მეფის კარის ჭაობის ზედაპირზე ოდნავი ჭავლი გამოიწვიო! ძალ-ღონის შეუსაბამოდ ხარჯვა მხოლოდ ღმერთებს შეეფერება. მთის ჩამონგრევა ხან იმით მთავრდება, რომ თხუნელას სორო იცვლის ადგილს.

გარდა ამისა, ისეთ თავისებურ ბრძოლის ველზე, როგორიც მეფეთა სასახლეა, იმაზე მეტად სახიფათო არა არის რა, როცა მტერს მიზანში ამოიღებ და ისარს ან ტყვიას კი ააცდენ... ჯერ ერთი, თქვენი მტრის წინაშე უკვე გამჟღავნდება თქვენი ზრახვები და მისი რისხვა დაგატყდებათ თავს. მეორეც (რაც არსებითია), მიზანში

ელების გამო თქვენი ბატონის უკმაყოფილებას იწვევთ. მეფეებს რადგან მოსწონთ სიმარჯვეს მოკლებული ადამიანები. ფრთხილად, ა, არც ნაკვალევი დაამჩნიოთ და არც უმსგავსო ჩაჭყლეტილი აყვავილები! შეგიძლიათ ყველას ყელი გამოსჭრათ, მაგრამ ცხვირი არ გაუტეხოთ და სისხლი არ ადინოთ. ვინც მოკლავს — ყოჩაღია, ვინც მხოლოდ დასჭრის, ის დოყლაპიაა. მეფეებს არ უყვართ, როცა მათ მსახურებს ამახინჯებენ. ისინი ჯავრობენ, როცა თქვენ ბუხრის თავზე დადგმული ფაიფურის ჭურჭელი გაგიტყდებათ და ან მათი ძაღლიდან რომელიმეს დაამახინჯებთ.

სასახლეში უნდა იყოს სისუფთავე, სიფაქიზე. გატეხეთ, მაგრამ გატეხილი ახლით შეცვალეთ. მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება.

უნდა ითქვას, ასეთი რამ მშვენივრად ეთანხმება დიდკაცობის შეხედულებებს ავსიტყვაობაზე. აგინეთ, მაგრამ მუჯლუგუნის გკვრა არ გაბედოთ. თუ არადა, რაკი ხელი გექავებათ, სცემეთ, ვიდრე სულს ამოხდიდეთ.

ხანჯალი ჩაახვით, მაგრამ არ კი უჩხვლიტოთ. ჩხვლეტა მხოლოდ მოშხამული ქინძისთავით შეიძლება. ეს გარემოება დანაშაულს შეგიმსუბუქებთ. აი ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა ბარკილფედრო.

ყოველი ავყია ქონდრისკაცი ის ჭურჭელია, რომელშიც ზღაპრული გველეშაპია მოთავსებული. ნამცეცა ჭურჭელი და ბუმბერაზი ურჩხული; იგი მეტად შეკუმშული უცდის მომენტს, რომ ძალიან გაფართოვდეს. ჯერ ნაღვლიანი, მომავალ აფეთქებაზე ფიქრით ინუგეშებს თავს. მისი შიგთავსი მისსავე სათავსზე დიდია. ჩასაფრებული გოლიათი, განა ეს უცნაური არ არის? ჭიაყელა, რომელსაც სტომაქში გველეშაპი ჰყავს. იყო საშინელი ყულაბა იმგვარი მოულოდნელობისა, სადაც ფარულად ლევიათანია ჩამალული. ჯუჯა კაცისთვის ეს წამებაც არის და ტკბობაც.

მაშ ასე, ბარკილფედრო არასდიდებით არ აიღებდა ხელს თავის განზრახვაზე. იგი მხოლოდ შესაფერის დროს უცდიდა. დადგება კი ეს დრო და ჟამი? რა ენაღვლება! მოიცდის. გახელებულ ავისმოქმედ ადამიანებს ყოველთვის და ყველაფერში თან სდევს პირადი თავმოყვარეობა. ორმო გაუთხარეთ მეფის სასახლის დიდებულის წარმატებას, როცა ის თქვენზე მაღლა დგას. ამ წარმატების აფეთქება განიზრახეთ ისე, რომ თავი ხიფათში არ ჩაიგდოთ. ვინძლო

თქვენვე არ მოჰყვეთ აფეთქებული ნანგრევის ქვეშ, — ვიმეორებთ, რომ საინტერესო საქმეა. ასეთმა თამაშმა შეიძლება მთლად ჩაგითრიოთ. ამან შეიძლება ისე გაგიტაცოთ, როგორც ეპიკური პოემის შეთხზვამ. იყო არარა და ისეთ არსებას შეეჯახო, რომელიც თქვენზე ათასჯერ უფრო ძლიერია — ბრწყინვალე შემმართებლობაა, საამურია ლომის სხეულზე რწყილად იჯდე.

გოროზი მხეცი კბენას რომ იგრძნობს, თავის ბრაზს, თვალით უხილავ ატომზე დაატეხს. ვეფხვს რომ გადაჰყროდა, იმდენ უკმაყოფილებას არ განიცდიდა. და აი, ასე შეიცვალა როლები. დამცირებული ლომი მწერის ნესტარსა გრძნობს ტანში ჩასობილს, რწყილს კი შეუძლია განაცხადოს: „ჩემში ლომის სისხლი ჩქეფსო".

მაგრამ ბარკილფედროს სიამაყე ამით ნახევრად თუ კმაყოფილდებოდა. ეს მხოლოდ ოდნავი ნუგეში იყო. გაღიზიანება სასიამოვნოა, მაგრამ უკეთესი იქნებოდა ეწამებინა. მომაბეზრებელი აზრი ბარკილფედროს არ ასვენებდა: ეშინოდა, რომ ჯოზიანას მხოლოდ ოდნავ აწყენინებდა, ზერელედ გაფხაჭნიდა. მეტი რისი იმედი უნდა ჰქონოდა, თვითონ ხომ არარაობა იყო შედარებით იმ ბრწყინვალე ბანოვანთან? გაფხაჭნა რა მცირე რამეა, როდესაც მას უნდოდა გაეტყავებინა, გაეშიშვლებინა ცოცხალი, სისხლმჩქეფარე ხორცი; როდესაც მას უნდოდა იმ ქალის საზარელი ღრიალი, ქვითინი გაეგონა. უნდოდა, არა მხოლოდ გაეშიშვლებინა, არა, უკანასკნელი საფარველი — საკუთარი ტყავიც გაეძრო! რა საშინელია შენი უსუსურობა იგრძნო, როდესაც გულში ასეთ იდუმალ მისწრაფებას ინახავ! ვაგლახ, ქვეყნად არარა არის სრულყოფილი.

ასე იყო თუ ისე, ბარკილფედრო ბედს დამორჩილდა, ახლა კი თავისი გულისნადები მთლიანად ვერ შეასრულა, ახლა ოცნებობდა ნახევრად მაინც განეხორციელებინა იგი. თამაშ-თამაშით სიავკაცე ჩაიდინო, ესეც მიზანია.

სიკეთისთვის სიავკაცით გადამხდელი კაცი არაჩვეულებრივი ფიგურაა და ბარკილფედრომაც აქ გოლიათობა გამოიჩინა. ჩვეულებრივ, უმადურობა დავიწყებაში ჩანს; ხოლო ამ ბოროტებაში რჩეულ კაცს უმადურობა გამძვინვარების სახით გამოაჩნდა. უმადური კაცის გულში მხოლოდ ფერფლია დარჩენილი. რითი იყო მაშ სავსე ბარკილფედროს გული? გაღვივებული ნაღვერდლებით. მძულვარება, შრისხანება, ჯავრი, ბოროტება — უჩუმრად აჩაღებდნენ აქ იმ ცეცხლს, რომელ-

საც წერილად უნდა ექცია ჯონიანა. მამაკაცს დედაკაცისადმი ასეთი უპიზნო მძულვარება ჯერ არასდროს განუცდია. რა საშინელებაა! ჯონიანა მისთვის უძილობის მიზეზი, მისი ერთადერთი საზრუნაო გახდა. მისი ნაღელიანობისა და გაბრაზების მიზეზი იყო.

შეიძლება ბარკილფედროს ცოტათი უყვარდა კიდეც ჯონიანა.

XI

ჩასაშრომებული ბარკილფედრო

ეპოვა ჯონიანას ყველაზე სათუთი ადგილი და იქ ჩაეცა მახვილი, ასეთი იყო ბარკილფედროს განუხრელი სურვილი, იმ მიზეზების გამო, რომელზეც ჩვენ ზევით ვილაპარაკეთ.

არ კმარა გინდოდეს, საჭიროა, შეგეძლოს.

და როგორ უნდა შეძლო?

ამაშია მთელი ამოცანა.

წერილმანი არაჩვეულებრივ დეტალურად შეიმუშავებენ ხოლმე იმ მზაკვრულ გეგმას, რის შესრულებასაც აპირებენ. მათ საკმაო ძალა არ გააჩნიათ, რომ პირველსავე შესაძლებლობას სტაცონ ხელი, დაეუფლონ ნებით თუ არა ძალით და თავიანთ მიზანს დაუმორჩილონ. ამით აიხსნება მათი წინასწარი კომბინაციები, რასაც ნამდვილი ბოროტმოქმედნი უგულებელყოფენ. გაუნელი ბოროტმოქმედნი თავიანთ ავისმოქმედების უნარს ემყარებიან უმთავრესად, იარაღდებიან, რითაც კი შეიძლება, იმარაგებენ ყოველი შემთხვევისათვის სხვადასხვანაირ ხელსაწყოსა და ბარკილფედროს მსგავსად, შესაფერ მომენტს ელიან. მათ იციან, რომ წინასწარ გამომუშავებული გეგმა შესაძლოა არ დაემთხვას მოსალოდნელ გარემოებას.

მოქმედების განსაზღვრული პროგრამით შებოჭილი ბოროტმოქმედი შესაძლოა, მოულოდნელმა რაიმემ დააბნიოს და მიზანსაც ვერ მიაღწიოს. ბედ-იღბალს წინასწარ მოლაპარაკებას არ უმართავენ. ხვალინდელი დღე ჩვენს ძალაუფლებაში არ არის. შემთხვევა ჯ განსაკუთრებულ დისციპლინას არ ემორჩილება. ამიტომ არის, რომ ბოროტმოქმედნი შემთხვევას უდარაჯებენ, ჩაებღაუჭებიან ბრჭყალებით, და უცბადვე, ულაპარაკოდ აიძულებენ ააღორძინონ თავიანთი სურვილისამებრ.

არც გვგმა, არც ნახაზი, არც მოდელი არაფერი ისეთი წინასწარ მოსაზრებული, რაც უვარგისი გამოდგებოდა მოულოდნელობის შემთხვევაში, ისე როგორც, მაგალითად, ხომის აულებლად შექმნილი ფეხსაცმელი. ისინი, ბოროტმოქმედნი, თავპირისმტვრევით გადაიჩხებიან ხოლმე ბნელ უფსკრულში. რა მდგომარეობაც უნდა შეხვდეს, — დაუყოვნებლივ სწრაფად გამოიყენოს იგი თავის სასარგებლოდ, ასეთია ნამდვილი ბოროტმოქმედების ხელოვნება, რის გამოც თაღლითი დემონად იქცევა ხოლმე.

ნამდვილი ბოროტმოქმედი მოულოდნელად დაგვატყდება თავს, შურდულით უცბად ნასროლ, იქვე ნაპოვნ ქვასავით.

ნამდვილი ბოროტმოქმედნი ყოველთვის მოულოდნელობას ემყარებიან, ყოველი ბოროტმოქმედების ამ მუნჯ თანაშემწეს.

შემთხვევის დაჭერა, მის ზურგზე შეხტომა, აი რა არის ერთგვარი „ART POETIQUE" — „პოეტური ხელოვნება". — ამდაგვარი ტალანტებისა.

ხოლო მანამდე მათთვის აუცილებელია გამოიძიონ, ვისთან აქვთ საქმე, ნიადაგი მოსინჯონ.

ბარკილფუდროსათვის ეს ნიადაგი იყო დედოფალი ანა.

ბარკილფუდრო ნელ-ნელა მიეხმაურდა დედოფლისაკენ.

მას ნებას რთავდნენ ახე ახლო ხლებოდა დედოფალს, რომ ზოგჯერ, ეწევნებოდა, თითქოს მისი დიდებულების ფიქრებიც კი ესმოდა.

ხან კიდევ იგი, როგორც ისეთი პიროვნება, რომელსაც არაფრად აგდებენ, ესწრებოდა ხოლმე ორიკე დის საუბარს. მას არ უკრძალავდნენ, თავისი სიტყვაც ჩაერთო ორთა საუბარში... ისიც სარგებლობდა ამით, რათა თავი დაემდაბლებინა. ასეთი საშუალებით კიდევ უფრო დიდ ნდობას იმსახურებდა.

მაგალითად, ერთხელ პემპტონ-კორტში, ბაღში, დედოფლის ზურგს უკან მდგომმა ბარკილფუდრომ გაიგონა, რომ ანამ, იმ დროის მოდისამებრ გაბღენძილმა, გაჭიანურებით ასეთი სენტენცია წარმოთქვა:

— პირუტყვები რა ბედნიერები არიან, ისინი ხომ ჯოჯოხეთში არ მოხვდებიან.

— ისინი იხედაც ჯოჯოხეთში არიან, — უპასუხა ჯოზიანამ.

ამ პასუხმა რელიგია უცბად ფილოსოფიით შეცვალა, რაც დე

ლოცვის გემოვნებას არ შეეთანხმა. პასუხი დიახაც ღრმაზროვანი იყო, მაგრამ ანას მაინც ეწოთირა.

— ჩემო კარგო, — მიმართა მან ჯოზიანას, — ჯოჯოხეთზე ჩვენ, ორივეს, სულელურად ემსჯელობთ. ბარკილფედროსა ვკითხოთ, როგორია ან რას წარმოადგენს ჯოჯოხეთი; მას უფრო კარგად უნდა გაეგებოდეს ჯოჯოხეთის ამბავი.

— როგორც სატანას? — შეეკითხა ჯოზიანა.

— როგორც პირუტყვს, — უპასუხა ბარკილფედროშ.

და თავი დაუკრა.

დედოფალი ჯოზიანას მიუბრუნდა და უთხრა:

— ეს კაცი, ქალბატონო, ჩემზეც ჭკვიანია და თქვენზეც.

ბარკილფედროსთანა კაცისთვის დედოფალთან დაახლოებულ პირად ყოფნა იმას ნიშნავდა, რომ გაეღება ჰქონოდა მასზე. ბარკილფედროს სურდა ეთქვა: „ეგი ჩემს ხელთაა", ახლა მას მხოლოდ ისღა სჭირდებოდა, შესაფერი საშუალება ან ხერხი უხმარა, რომ დაეყოლიებინა დედოფალი თავისი პირადი მიზნების შესასრულებლად.

სასახლის კარზე მან განსაზღვრული ადგილი დაიჭირა. სასახლის კარზე განმტკიცებას რა სჯობია, ოღონდ ხელსაყრელი შემთხვევა გამოჩნდეს და ის ახლა ხელიდან აღარ გაუშვებს. რამდენჯერმე მან დედოფლის ბაგეზე ბოროტი ღიმილი გამოიწვია. ეს იმას ნიშნავდა, რომ ბარკილფედროს ნება დართეს, უნადირა.

მაგრამ იქნებ სასახლის კარზე აკრძალული იყოს რომელიმე ფრინველზე ნადირობა? ნებართვა ბარკილფედროს აძლევდა კი უფლებას ან ფრთაში დაეჭრა ან ფეხში, თუნდაც ღეიძლი დაი მისი უდიდებულესობისა?

პირველ რიგში ის უნდა გაეგო, უყვარდა თუ არა დედოფალს თავისი და?

შვდარ ნაბიჯს შეეძლო საქმე მთლად ჩაეშალა. ბარკილფედროშ თვალყურის დევნება დაიწყო.

მოთამაშე ეიდრე ბანქოს ჩაეიდღეს, ჯერ თავის ქალალდებს თვალიერებს: რა და რა კოზირი გააჩნია. ბარკილფედროშ პირველ რიგში ორივე მანდილოსნის ასაკი შეადარა ერთმანეთს: ჯოზიანა ოცდასამი წლისა იყო, ანა — ორმოცდაერთისა. ძალიან კარგი. მისი სათამაშო ქალალდები არცთუ ახე ცუდია.

რა დღიდანაც ქალი წლების დათვლას უკვე გაჩაფხულობით აღარ მიხდევს, არამედ ზამთრებით თვლის, ის დღე მას გააუხნებულ გუნებაზე აყენებს. მასში ყრუ ბრაზი იღვიძებს დრო-ჟამის გაცვლის შედეგად იმ უწყალო რღვევის მიმართ, რასაც იგი თავის თავზე გრძნობს. ახალგაზრდანი, ნორჩი ტურფანი, სხვათათვის რომ სურნელებას აფრქვევენ, მისკენ მხოლოდ უკლებს იშვერენ; და ეს ვარდები სათითაოდ ჩხვლეტენ მას. ეჩვენება, თითქოს მათ წაართვეს სინორჩე, ხოლო მისი საკუთარი სიტურფე მხოლოდ იმისთვისა ჰკლებია, რომ სხვებში გაიფურჩქნოს.

ბარკილფედროს ამოცანა ის იყო, რომ ესარგებლა დედოფლის ამ იდუმალი გულნაკლულობით, გაელრმავებინა ნაოჭები ორმოცი წლის ქალბატონის სახეზე.

შური საუცხოო საშუალებაა ქიშპობა-მეტოქეობაზე ეჭვის გასაღვივებლად. შური მეტოქეობის შესახებ ეჭვს ისევე გამოააშკარავებს, როგორც ვირთაგვა გამოაგდებს ხოლმე ჯოჯოს ბუნაგიდან.

ბარკილფედრომ მთელი ყურადღება დედოფლისაკენ გადაიტანა.

დედოფალს ისე აცქერდებოდა, როგორც უძრავი წყლის სიღრმეს ჩააცქერდებიან ხოლმე. ჭაობი ხანდახან საკმაოდ გამჭვირვალეც კია. ჭუჭყიან წყალში ბიწიერებანი ჩანს. მღვრიე წყალში უაზრობა-სისულელე მოჩანს. ანა მღვრიე წყალი იყო.

მის ჩლუნგ ტვინში გრძნობების ჩანახატები და აზრის ჭუპრები ჩურჩულებდნენ.

აქ ყველაფერი ბუნდოვანი იყო, ყველაფერი ოდნავ ჩასახული, მიუხედავად ამისა, იგი მაინც რეალური რამ იყო, თუმცა რაღაც უფორმო; დედოფალი ამას და ამას ფიქრობდა, დედოფალს სჯა და ეს სურდა. ზუსტად დადგენა იმისი, თუ რას ფიქრობდა იგი, ან რა სურდა, შეტად ძნელი იყო, დამდგარ წყალში მოძხდარი ოდნავ შესამჩნევი ცვლილებები არცთუ ისე ადვილი გამოსაკვლევია.

დედოფალი ჩვეულებრივ ზანტი იყო, მაგრამ ზოგჯერ უბოდიშო, სულელურ, ტლანქ საქციელს იჩენდა. სწორედ ამ აფეთქებებით უნდა ესარგებლა ჩახაფრებულს; ან უნდა დაეჭირა იგი.

რა სურდა თავის გულის სიღრმეში ანას ჯოზიანასთვის, სიკეთე თუ საპყრ?

ეს იყო ამოცანა. ბარკილფედრომ მიზნად დაისახა ამის ამოცნობა.

თუ ამაზე პასუხს მიაგნებდა, მაშინ მომდევნო ნაბიჯსაც გადადგამდა.

ბარკილფედროს რამდენიმე შემთხვევა დაეხმარა, მაგრამ უმთავრესად მუდმივმა მზადყოფნამ და დადარაჯებამ უშველა.

ანა თავისი ქმრის მხრივ შორეული ნათესავი იყო პრუსიის ახალი დედოფლისა, რომლის მეუღლეს ასი კამერჰერი ჰყავდა. ანას ხსენებული დედოფლის მეუღლის მინანქარზე ნახატი, ტურკე დე მაიერნისებურ ყაიდაზე შესრულებული სურათი ჰქონდა. პრუსიის დედოფალსაც ჰყავდა უკანონოდ შობილი უმცროსი და, ბარონესა დრიკა.

ერთხელ, ბარკილფედროც რომ ესწრებოდა, ანამ პრუსიის ელჩს დრიკას შესახებ დაუწყო გამოკითხვა.

— ამბობენ, მდიდარიაო.

— ძალიან მდიდარია, — უპასუხა ელჩმა.

— სასახლეები აქვს?

— აქვს და უფრო საუცხოონიც, ვიდრე მის დას — დედოფალს.

— ვის მიჰყვება ცოლად ეს ქალი?

— სახელოვან დიდკაცს, გრაფ გორმოს.

— ის კაცი ლამაზია?

— მეტისმეტად წარმტაცი.

— თვითონ ქალი ახალგაზრდაა?

— მთლად ახალგაზრდა.

— ისეთივე ლამაზია, როგორიც დედოფალი?

ელჩმა ხმადაბლა უპასუხა:

— უფრო მეტად.

— რა თავხედობაა! — წაიჩურჩულა ბარკილფედრომ.

დედოფალი წამიერად დადუმდა, შემდეგ შესძახა:

— ოჰ, ეს უკანონოდ შობილები!

ბარკილფედროს ყურს არ გამოეპარა ეს მრავლობითი რიცხვი.

სხვა დროს, სამლოცველოდან გამოსვლისას, სადაც ბარკილფედრო ორი მოწყალების გამცემის უკან, მაგრამ მაინც საკმაოდ ახლოს იდგა დედოფალთან, იქვე ლორდი დევიდ დერი-მოირი დედოფლის ამალას შორის მიდიოდა; მან ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა თავისი მშვენიერი გარეგნობით დედოფლის მხლებელ მაღალი წრის მანდილოსნებზე. ქალბატონებმა მას თან მიაყოლეს მთელი რიგი შეძახილები:

— ოჰ, რა შშეენიერია!
— რა თავაზიანია!
— რა დიდებული გარეგნობისაა!
— რა ლამაზი ვაგაცია!
— ოჰ, ეს მეტად არასახიამოვნოა! — წაიჩურჩულა დედოფალმა. ბარკილფედრომ ესეც გაიგონა.
ახლა მან უკვე იცოდა, რა უნდა მოეხერხებდა.
შეიძლებოდა პერცოგის ახალისთვის უსიამოვნება მიეყენებინა და ამით მას დედოფლის მხრივ არავითარი უკმაყოფილება არ მოელოდა.
პირველი ამოცანა უკვე გადაწყდა.
ახლა მეორე ამოცანის ჯერი დადგა.
რა საშუალებით აენოს პერცოგის ახალს?
ესოდენ ძნელი მიზნის მისაღწევად რა გზა უნდა გაეხსნა, ან რა საშუალება მიეცა მისთვის იმ უბადრუკ თანამდებობას, რომელიც მას ეკავა?
ცხადია, არავითარი.

XII

შოტლანდია, ირლანდია და ინგლისი

ერთი დაწვრილებითი ცნობაც უნდა ალვნიშნოთ: ჯოზიანას „გააჩნდა დისკო".
ეს გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ იგი დედოფლის და იყო; მართალია, ნართაული, უკანონო, მაგრამ მაინც მეუღლის სისხლის პიროვნება.
„გააჩნდეს დისკო!" — რას ნიშნავს ეს?
ეკონტი სენტ-ჯონი (სხვანაირად ბოლინგბროკი) თომას ლენარდს, სესექსის გრაფს სწერდა: „ორი სავანი უქმნის ადამიანს მაღალ მდგომარეობას, ინგლისში TOUR და საფრანგეთში POUR.*. POUR საფრანგეთში ნიშნავდა შეძლებს: როდესაც შეეძლო მოგზაურობდა, გაჩერებებზე, სალამოობით, კარის ფერხული მისი უშალესობის მხლებლებს სადგომებს უნაწილებდა. ზოგიერთ ამ დიდკაცთაგანს, სხვებთან შედარებით, უდიდესი უპირატესობანი გააჩნდა.

„მათ გააჩნიათ „POUR" — ვკითხულობთ 1694 წლის „ასტრონულ ლექსიკონში", მეექვსე გვერდზე. ესე იგი, სადგომების განკუთვნილებელი ამ პირთა სახელების წინ წერს სიტყვას „POUR" (თვის). მაგალითად, „პრინც სუბიზისათვის". ამასთანავე, როდესაც სამეფური ჩამომავლობის პირისათვის დანიშნავდა სადგომს, მაშინ ამ სიტყვის წინდებულ POUR-ს ალარ იხმარდა და წერდა მარტივად: „პერცოგი დე ქვერი, პერცოგი მაზარინი და სხვა". წინდებული POUR, სადგომის კარებს რომ აშენებდა, იმის მაჩვენებელი იყო, რომ აქ მეფური ჩამომავლობის პრინცს, ან ფაურიტს ელის ბანა; ფაურიტი უფრო უარესია, ვიდრე პრინცი. მეფე უფლებას ამას POUR-ზე უწყალობებდა, ვისაც მოისურვებდა, ისე, როგორც ორდენის კავალრის ბადგთას ან პერობას.

„დისკოს უფლება" (TOUR) ინგლისში უფრო ნაკლებად სპატიო იყო, მაგრამ უფრო დიდად სახეირო. ეს იყო გვირგვინოსანთან ნაძდები სახლოვის ნიშანი. ვისაც ჩამომავლობა-დაბადების უფლებით, ან მონარქის კეთილგანწყობის მეოხებით შეეძლო მისგან უშუალოდ მიელო ცნობები, მას თავის სამინებელ ოთახში დისკო ჰქონდა, მასზე მისადგებული ზარაკით. ზარაკი ანკარუნდებოდა, დისკო პატარა კარიეთ გაიღებოდა და ოქროს ლანგარზე ან ხავერდის ბალიშზე მეფის ან დედოფლის ეპისტოლე გამოწნდებოდა, რის შემდეგ დისკო დაიხურებოდა. ეს ინტიმური და დიდებული იყო. საიდუმლოება ჩვეულებრივი ხდებოდა. დისკოს სხვა დანიშნულება არ გააჩნდა. ზარი მხოლოდ მეფის გზავნილების შესახებ ამცნობდა. ვისაც ეს ეპისტოლე მოჰქონდა, უჩინარი რჩებოდა, თუმცა ჩვეულებრივ ეს იყო პაჟი მეფის თუ დედოფლისა. ელისაბედის მეფობისას დისკო ჰქონდა ლესტერს.* იაკობ I-ის დროს — ბუკინგემს.* ჯონათან „დისკოს" უფლება ანას მეფობისას მიიღო, თუმცა ანა დედოფალი მისადმი განსაკუთრებულად კეთილგანწყობილი არ იყო. ამ უპირატესობით დაჯილდოებულს თითქოს უშუალო ურთიერთობა ჰქონდა ცასთან და დროგამოშვებით წერილებს ღმერთისაგან იღებდა მისი ფოსტალიონის საშუალებით. არაფერი ისე არ შურდათ, როგორც რწმენის ნიშანი. ხოლო ეს უპირატესობა მონურ მორჩილებას ამლევებდა. მისი მცდობელი სხვებზე უფრო ქედმოდრეკილი ხდებოდა. მეფის სასახლეში ყოველგვარი ამაღლება ამდაბლებს კიდევაც. „უფლება დისკოზე" ალინიშნებოდა ფრანგული ტერმინით: „AVOIR LE

TOUR". ეს ინგლისური ეტიკეტის თავისებურება უფრო საინტერესოა, რომ ფრანგული რომელიმე წარსული ჩვეულებიდან მომდინარეობდა, რაც ძველთაგანვე უნდა ჰქონოდათ წესად.

ლედი ჯოზიანა ქალწული-პერესა იყო იმისდაგვარად, როგორც ელისაბედი იყო ქალწული — დედოფალი. იგი წლის დროთა მიხედვით ხან ქალაქად ცხოვრობდა და ხან სოფლად. მას თითქმის მეფური გარემოება ჰქონდა. თავისი საკუთარი სახლის ამალა ჰყავდა, რომელთა შორის ლორდი დევიდი სხვა პირებთან ერთად სახლის დიდებულის როლში გამოდიოდა. თუმცა ლორდი დევიდი და ლედი ჯოზიანა ჯერ კიდევ არ შეუღლებულიყვნენ, მაინც ყოველგვარი მითქმა-მოთქმის გარეშე ერთად გამოჩნდებოდნენ ხოლმე ხალხში და საამოუნებითაც სარგებლობდნენ ასეთი შემთხვევით. ხშირად ერთი ეტლით მიეშგზავრებოდნენ თეატრში ან ცხენების დოღზე და ლოჟაშიც ერთად ისხდნენ. მათ დაქორწინების ნება ჰქონდათ და ეს ქორწინება ადრევე იყო დადგენილი, და თუმცა ამაზე ფიქრი ანელებდა მათ ურთიერთდამოკიდებულებას, ისინი მაინც საამოუნებით ხვდებოდნენ ერთმანეთს. დანიშნულთა ურთიერთშორის თავისუფალ ქცევას საზღვარი გააჩნია, რომლის გადალახვა ადვილია, მაგრამ ისინი თავშეკავებულნი იყვნენ, ვინაიდან წრეგადასული ხითამაშე ნიშანია ცუდი გარემოებისა.

ამხანად ყველაზე სახელგანთქმული შეჯიბრებები კრიეში ლამბერტის საძრველოში იმართებოდა, სადაც კენტერბერიის მთავარეპისკოპოსის სასახლე იყო, თუმცა ამ განაპირა უბნის პარი ჯანმრთელობას არ უხდება. იქვე თავსდებოდა თვით ეპისკოპოსის ბიბლიოთეკა, რომელიც განსაზღვრულ საათებში ღია იყო ყველა წესიერი ქცევის ადამიანისათვის. ერთხელ, ზამთარში, ღობით შემოფარგლულ ველზე ორ მოკრივეს შორის შეჯიბრება გაიმართა. ამ შეჯიბრებას ჯოზიანაც დაესწრო, რომელიც დევიდმა ეტლით მოიყვანა. ჯოზიანა, სხვათა შორის, შეეკითხა დევიდს:

— განა ქალებსაც ეძლევათ კრიეზე დასწრების ნება?

— SUNT FAEMINAE MAGNATES — უპასუხა დევიდმა, რაც თავისუფლად თუ ვთარგმნით, ნიშნავს: „მდაბიო დედაკაცების გარდა", ხოლო ლიტერატურულ თარგმანში — „ძალალი წრის მანდილოსნებს კი". ჰერცოგის ასულებს სადაც სურთ იქ შეელენ. აი, ამიტომ დაესწრო ლედი ჯოზიანა ამ სანახაობას.

მან მხოლოდ ერთი რამ გააკეთა წესიერად. მამაკაცის ტანსაცმელი ჩაიცვა, მაგრამ ეს ჩვეულება შემოღებული იყო იმხანად. ქალები მამაკაცის ტანსაცმელს იცვამდნენ და ისე მოგზაურობდნენ. ვინძორის დილიჟანსში ექვსი კაცის ადგილზე თითქმის ყოველთვის ერთი ან ორი მანდილოსანი მგზავრობდა მამაკაცის ტანსაცმლით. ეს იყო ერთ-ერთი ნიშანი აზნაურთა წოდების მანდილოსნისა. ლორდი დევიდი, რაკი მანდილოსანს ახლდა, შეჯიბრებაში უშუალო მონაწილეობას ვერ მიიღებდა და იძულებული გახდა, უბრალო მაყურებლად დარჩენილიყო.

ლედი ჯოზიანა თავის მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობას იმით ამჟღავნებდა, რომ ლორნეტით იცქირებოდა. ამის უფლება მხოლოდ წარჩინებული საგვარეულოს პირთ ენიჭებოდათ.

„კეთილშობილ ორთა ბრძოლა" ლორდ ჯერმენის უფროსობით მიმდინარეობდა. იგი იყო პაპის მამა თუ ბიძაშვილი, პაპა იმ ლორდ ჯერმენისა, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს პოლკის მეთაურად მსახურობდა, ბრძოლის ველიდან გამოიქცა, ხოლო შემდეგ სამხედრო მინისტრი გახდა. მტრის ტყვიას იმიტომ გაარიდა თავი, რომ შერიდანის* სარკაზმების მსხვერპლი გამხდარიყო. სარკაზმებისა, რომელიც ყოველგვარ ტყვიაზე საშინელი გამოდგა. ბევრმა ჯენტლმენმა სანაძლეო დადო: კარლტონელი პარი ბელიუ, რომელიც ბელა-აკვას უკვე ჩაფერფლილ პერობაზე აცხადებდა პრეტენზიას, სანაძლეოს დებდა ლორდ ჰენრი ჰაიდთან, რომელიც პარლამენტის წევრი იყო, როგორც დეპუტატი დაბა დუნჰაიველიდან, მას ლაუნსესტონიც ეწოდება. მაღალპატივსაცემი პერეგრინ ბერტი პარლამენტის წევრი და დაბა ტრუროდან წარმოგზავნილი, ნაძლევს სდებდა სერ თომას კოლპეპერთან, მაიდსტონიდან არჩეულ პარლამენტის წევრთან. ლოთიანის ეპარქიიდან ლორდი ლემორბი დაენაძლევა სამუელ სტრეფუზის დაბა პენრანის წარმომადგენელს. სერ ბართოლომეო გრეისდიუ დაბა სენტ-ივსიდან დაენაძლევა დიდად პატივცემულ ჩარლზ ბოდვილს, რომელსაც ლორდ რობერტსის წოდება ჰქონდა და KUSTOS ROTULORIUM — მიმრიგებელი მოსამართლეც იყო კორნუელის საგრაფოში. კიდევ ბევრი სხვანიცა სდებდნენ სანაძლეოს.

ორ მოკრივეთაგან ერთი, ირლანდიელი იყო ტიპერერიდან ჩამოსული. მას მშობლიური მთის სახელი ფილემ-გე-მედონ ერქვა.

მეორე შოტლანდიელი იყო, სახელად პელმსგეილი. ამგვარად აქ ორი ერთგული თავმოყვარეობა შეეჯახა. შებრძოლება არდადეგას და შოტლანდიას შორის უნდა მომხდარიყო. ამიტომ სანაძლეოს ჯამი ორმოც ათას გინეას აღემატებოდა; თუ არ ვიანგარიშებთ ყარულ, გამოუმუშავნებელ სანაძლეოებს.

ორივე მებრძოლი წელამდე გაშიშვლებულიყო, მხოლოდ თეძოებთან შეკრული მოკლე შარვალი და ლურსმნებით ძირებმოჭედილი ფეხსაცმელი ეცვათ, კოჭებთან ზონრით შესკვნილი.

შოტლანდიელი პელმსგეილი, დაბალი ტანის ახალგაზრდა, ცხრამეტი წლისა თუ იქნებოდა, მეტის არა, მაგრამ შუბლზე უკვე ბრძოლებში დაშავების იარა ეტყობოდა. გასულ თვეში მან ნეკა გადაუმტვრია და ორივე თვალი გაბოსიბარა მოკრივე სიქსმაილუ უოლტერს. ამან ხალხი აღაფრთოვანა. მასზე სანაძლეოს ახლა ორმაგად ჩამოდიოდნენ. ხოლო მაშინ მისმა მომხრეებმა სანაძლეოში თორმეტი ათასი გირვანქა სტერლინგი მოიგეს. გარდა შუბლზე გაკერილი იარისა, პელმსგეილს ყბა ჰქონდა დაზიანებული. ის წინით მსუბუქი იყო და მოძრაობაში სწრაფი. დედაკაცზე მაღალი არც იქნებოდა. ჩასკვნილი იყო და ჯმუხი. მისი აღნაგობა რალაც მუქარისებურს გამოხატავდა. ბუნებას თითქოს რალაც განსაკუთრებული ცომისაგან გამოეძერწა. მისი თითოეული კუნთი მუშტი-კრივისთვის იყო თითქმის გამზადებული. მის მაგარ, პრიალა ბრინჯაოსავით მიხაკისფერ ტანში რალაცნაირად თავმოყრილი სიმკურივე იგრძნობოდა. გაღიმებისას ჩანდა, რომ წინა სამი კბილი აკლდა.

მისი მოწინააღმდეგე უზარმაზარი იყო და განიერი. სხვანაირად რომ ვთქვათ სუსტი ძალის. ეს კაცი ორმოცი წლის იქნებოდა. სამაღლე ექვსი ფუტისა ჰქონდა, გულმკერდი პიპოპოტამისას მოუგავდა და სახეზე სიმშვიდის, უწყინარობის იერი დაკრავდა. ის ერთი მუშტის დარტყმით ხომალდის ბაქანსაც კი ჩაანგრევდა, მაგრამ დარტყმის ხერხი არ იცოდა. ირლანდიელი ფილემ-გე-შელონი უმთავრესად მოწინააღმდეგისთვის წარმოადგენდა ძალან სახურხო მიზანს და როგორც ეტყობოდა, კრივში მონაწილეობას იმდენად რიდი ეღებდა, რომ თვითონ დაერტყა, რამდენადაც იმისათვის, რომ ეს დარტყმები მიეღო, მაგრამ იგრძნობოდა, რომ დიდხანს გაუძლებდა შეტევას. იგი უფრო ისეთ არასაკმაოდ შეჭნეარ როსტბიფს მი-

გაურნებდათ, რომლის გალეჭვა ძნელია და ჩაყლაპვა შეუძლებელი. მოკრივეები ასეთ ფალავნებს RAW FLESH — უმ ხორცს ეძახიან. თვალები ულამი ჰქონდა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ თავის ბედს შერიგებოდა.

ამ ორ ადამიანს წინა ღამით გვერდიგვერდ ეძინა, ერთ ლოგინში. ორივემ ერთი ჭიქიდან შესვა სამ-სამი დიდი ყლუპი პორტვეინი. ერთსაც და მეორესაც თავიანთი ქომაგები ჰყავდათ, დაღვრემილი, სისტიკო სახის ადამიანები, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში შეეძლოთ ამ კრივის მსაჯიც დაესაჯათ. ჰელმსგეილის მხარდამჭერთა ჯგუფში ყველაზე მეტად ჯონ გრუმენი შეიმჩნეოდა, რომელმაც ამით გაითქვა სახელი, რომ მთელი ხარი აიკიდა და ატარა. გამოირჩეოდა, აგრეთვე, ვინმე ჯონ ბრუი, რომელსაც ერთხელ მხრებზე მოეკიდა ათი ტომარა ფქვილი, თითო თხუთმეტგალონიანი და ამასთან დამატებით მეწისქვილეც. ასე დატვირთულს ორას ნაბიჯზე მეტი გაევლო. ფილემ-გე-მელონის ქომაგთა რიცხვში ლორდ ჰაიდის მიერ ლაუნსესტონიდან მოყვანილი ვინმე კილტერი იყო, რომელიც მწვანე ციხესიმაგრეში ცხოვრობდა და ოცგირვანქიან ქვას ხელის მოქნევით ამ ციხესიმაგრის უმაღლეს ქონგურამდე აგდებდა ხოლმე. სამივე: კილტერი, ბრუი და გრიმენი წარმოშობით კორნუელიდან იყვნენ, — ასეთი გარემოება პატივსა სდებს ამ საგრაფოს.

ორივე მოკრივის დანარჩენი გულშემატკივრები ჯან-ღონით სავსე ჭაბუკები იყვნენ, მხრებგანიერნი, ფეხმრუდენი, დიდრონნი, დაკოჟრილხელებიანები. მათ სახეზე სიძლიერე ეტყობოდათ. ტანთ დაფლეთილი ძველმანები ეცვათ. თითქმის ყველა მათგანი დანაშაულის გამო სასჯელმოხდილი იყო, მაგრამ მთელ ქვეყნიერებაზე არაფრის შიში არა ჰქონდათ. ბევრ მათგანს მშვენივრად ეხერხებოდა პოლიციელების დათრობა. ყველა პროფესიას თავისი ტალანტი უნდა გააჩნდეს.

ამ შერკინებისათვის შერჩეული ვაკობი დათვების ბაღს იქით გასდევდა, იქ, სადაც ოდესღაც დათვებს, ხარებს და დოგებს აჭიდებდნენ ხოლმე. ეს ადგილი ქალაქის გარეუბნის ჯერ ისევ დაუმთავრებელი შენობების ცოტა მოშორებით იყო, ჰენრიხ მერვის* მიერ დანგრეული წმინდა მარიამ ოვერ-რეის სახელობის მონასტრის ნანგრევთა გვერდით. ჩრდილოეთის ქარი უბერავდა

და წვიმა სცრიდა, ყინავდა კიდეცაც, იქ შეგროვილ ჯენტლმენთა შორის, ქოლგებამოფარებულებში, ადვილად იცნობდით ცოლშვილიან მაყურებლებსაც.

ფილემ-გე-მედონის მხარეზე იყო პოლკის უფროსი მონქრიფი, როგორც არბიტრი, აგრეთვე კოლტერიც, რათა მუხლი შეშველებოდა. პელმსგეილის მხარეზე იყო ლირსპატივსაცემი პიუგო, ბიუმერი, როგორც არბიტრი და კოლკელერი, ლორდი დეზირტემი, რათა მუხლი შეეშველებინა.

რამდენიმე წუთს, ვიდრე საათებს შეამოწმებდნენ, ორივე მოკრივე უძრავად იდგა მოლობილთან. შემდეგ მოწინააღმდეგენი მიუახლოვდნენ ერთმანეთს და ხელი ჩამოართვეს. ფილემ-გე-მედონმა პელმსგეილს უთხრა:

— ეჰ, კარგი იქნებოდა, შინ წავსულიყავით.

პელმსგეილმა როგორც წესიერი ზნის კაცმა, მიუგო:

— აქ მოგროვილ კეთილშობილ საზოგადოებას იმედს ხომ ვერ გავუცრუებთ.

გაშიშვლებული იყვნენ და სციოდათ. ფილემ-გე-მედონი მთლად კანკალებდა, კბილს კბილზე აცემინებდა.

იორქის არქიეპისკოპოსის დისწულმა დოქტორმა ელინორ შარპმა დაიყვირა:

— ერთმანეთს მუშტები დაარტყით, ჩერჩეტებო, და უმალვე გათბებით.

ამ თავაზიან სიტყვებზე ისინი შეიშმუშნენ, ეცნენ ერთმანეთს.

მაგრამ ჯერ არ გახელებულიყვნენ. პირველმა სამმა შეჭიდებამ უხალისოდ ჩაიარა. ღირსეულმა დოქტორმა გუმდრაიდმა, რომელიც „ყველას სულების კოლეგიის" წევრებიდან ერთი ორმოცდაათთაგანი იყო, იყვირა:

— ჯინი მიუტანეთ, ჯინი!

მაგრამ ორხივე მსაჯი მტკიცედ იცავდა წესრიგს, თუმცა მეტად ციოდა.

მოისმა შეძახილები „FIRST BLOOD!" — „პირველ სისხლს" ითხოვდნენ.

მოწინააღმდეგენი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

ისინი მიუახლოვდნენ ერთიმეორეს, ხელები წინ გაიწოდეს, ერთმანეთს მუშტები მოუსინჯეს. მერე ორივემ უკან დაიხია. უცბად

დაბლა ტანის პალმსგელი წინ გაჭრდა. დიწყო ნამდვილი ბრძოლება.

ფილემ-გე-მელნმა პირდაპირ შუბლში, წარბებს შუა მიიღო პრძოლ შესძახა:

— პალმსგელმა წითელი ღვინო დალია.

მაისს გაბერვებული ტანი. ფილემ-გე-მელნმა ხელები წინ ქვემოთ დაატრიალა და მუშტებს ხელმა ქვემან, სდიც ე ბუნდა, ღირსსახსოვარ პერეგრინ ბერტიმ შეძახა:

— თვალით კვლარაა ხედავს, მაგრამ ჯერ არ დაბრმავებულა.

პალმსგელს იმავე წუთს მოესმა ყოველი მხრიდან წაქეზების შემახილება:

— გაბრისხარე ეგ გადმოკარკლული თვალები!

ერთი სიტყვით, ორივე მებრძოლი ძალიან კარგად შეკრიათ. და თუმცა ამ შერკინებას ამინდი ხელს არ უწყობდა, მაინც ყველა ხედავდა, რომ მებძა უშეცდომოდ არ ჩაივლიდა. ერთ გოლიათი ფილემ-გე-მელნი თავისი უპირატესობის მხნეურალი გახდა: დიდი ტანი და მძიმე წონა სწრაფი მოძრაობის საშუალებას არ აძლევდა. მისი ხელები ნამდვილ კეტ-ლომბალებს მოგაგონებდათ, მაგრამ ტანი უხეილ ტეხითავით უმოძრაო ჰქონდა. პატარა მოტლანდიელი დარბოდა და უტევდა, ხტოდა, კბილებს აკრაჭუნებდა, სწრაფი მოძრაობით არეკლებდა თავის ძალ-ღონეს, ყველანაირ ხერხს იგონებდა. ერთი მხრივ — პირველყოფილი, ველური, შკვლტური, უცილის მუშტის დარტყმა; მეორე მხრივ — ცივსისხლიანი დარტყმა. პალმსგელი იძლეოდა იგებდა ნერვებით, რამდენსაც კუთვნით. იგებდა არა მარტო ღონით, არამედ გააფთრებითაც. ფილემ-გე-მელნი უფრო ხანგრძლივად ებრძოდა, ვინაიდან დარტყმით დარეტიანებულს. აქ ბუნების წინააღმდეგ ხელოვნება გამოდიოდა, გამძვინვარებული ადამიანი ცივსისხლიანის წინააღმდეგ.

ცხადი იყო, რომ დამარცხებული გამოვიდოდა ბრძოლიდან, მაგრამ არც ისე მალე. სწორედ ეს იწვევდა ინტერესს.

პატარა ტანის კაცი გოლიათის პირისპირ, უპირატესობა პირველ მხარეზე იყო. კეტა ლომს იგერიებდა. გოლიათის ყოველ მხრივ ამოდიოდნენ.

პალმსგელის წაქეზებელი შემახილები მაყრულს:

— ეაშა, პელმსგეილ! ძალიან კარგია! შესანიშნავია, მილორდ! შენი ჯერია, ფილემ!

პელმსგეილს მეგობრები კეთილგანზრახვით ურჩევდნენ:

— გამოსთხარე ეგ დაჭყეტილი თვალები!

პელმსგეილი უკეთ მოიქცა: უცებ დაიხარა, სწრაფად ისევე გასწორდა, გველისებური მოძრაობით ფილემ-გუ-მედონს გულის კოჭზე მუშტი ჰკრა და ბუმბერაზი წაბარბაცდა.

— დარტყმა სწორი არ იყო! — იყვირა ვიკონტმა ბერნარდმა.

ფილემ-გუ-მედონი კილტერის მუხლებზე დაეშვა და წარმოთქვა:

— მე ახლა ვთბები.

ლორდი დიზერტები ერთ-ერთ მსაჯს მოეთათბირა და გამოაცხადა:

— ხუთწუთიანი შესვენება.

ფილემ-გუ-მედონს თითქმის გული მიხდიოდა. კილტერმა ფლანელით მოსწმინდა სისხლი თვალებზე და ოფლი მთელ ტანზე. მერე პირში მათარის ყელი ჩაუყო. ეს მეთერთმეტე შებმა იყო მებრძოლებისა. ფილემ-გუ-მედონს შუბლზე დაშავებულის გარდა გულ-მკერდი პქონდა დაგეცლილი, მუცელი დასივებული და კეფა დაზიანებული. პელმსგეილი სრულიად უვნებელი იყო.

ჯენტლმენთა შორის ერთგვარი ჩოჩქოლი ატყდა.

ლორდმა ბერნარდმა გაიმეორა:

— დარტყმა სწორი არ იყო!

— სანაძლეო არავის მხარეზე არ არის! — თქვა ლორდმა ლუმირბომ.

— მე უკანვე მოვითხოვ ჩემს სანაძლეოს! — მოპყვა სერ თომას კოლპეპერის შეძახილი.

ხოლო პარლამენტის ღირსსაპატიოცემულო წევრმა, დაბა სენტ-ივსის წარმომადგენელმა სერ ბართოლომეო გრეიხდიუმ დაუმატა:

— აბა, დამიბრუნონ ჩემი ხუთასი გინეა, მე მიედივარ.

— შეწყვიტეთ შეჯიდება! — შესძახეს არბიტრებმა.

მაგრამ ფილემ-გუ-მედონი წამოდგა, მთვრალივით წაბარბაცდა და თქვა:

— განვაგრძოთ შერკინება, მაგრამ ერთი პირობით, მეც უფლება მეძლევა ერთი არასწორი დარტყმისა.

ყველა მხრიდან შესძახეს:

— სწორია, თანახმანი ვართ!

პელმსგეილმა მხრები აიჩეჩა. ხუთი წუთის დასვენების შემდეგ შებმა განახლდა. ბრძოლა, რომელიც ფილემ-გე-მედონისათვის მთლიანად ტანჯვა იყო, პელმსგეილისათვის გასართობი გეგონებოდა.

აი რას ნიშნავს ცოდნა! პატარა კაცმა მიაგნო ისეთ ხერხს, რითაც ბუმბერაზი IN CHANCERY, ე.ი. საჭირო კუნჭულში მიაგდო: პელმსგეილმა უცებ მოიგდო ფილემ-გე-მედონის უზარმაზარი თავი მარცხენა მკლავში, რომელიც ფოლადის ნახევარმთვარესავით მოეხარა; ეჭირა იღლიაში თავადმა, მარჯვენა მუშტს თავში ისე ურტყამდა, თითქოს ჩაქუჩით ლურსმნებს ამაგრებსო. სცემდა გვერდიდანაც, ვიდრე მთლად არ დაასახიჩრა. როდესაც ფილემ-გე-მედონმა ბოლოს შეძლო თავი წამოეწია, მას პირ-სახე აღარ ჰქონდა.

ცხვირ-პირის და თვალის ნაცვლად ახლა რაღაც შავი ღრუბელივით მოჩანდა, ისიც სისხლში ამოვლებული. მან გადმოაფურთხა, მიწაზე ოთხი კბილი დავარდა.

მერე თვითონაც დაეცა. კოლტერმა მუხლი მიაშველა და ზედ მიისვენა. პელმსგეილი თითქმის სრულებით არ დაშავებულიყო, მხოლოდ რამდენიმე ადგილას ეტყობოდა დალურჯებული და ლავიწი გაეხაჭნოდა.

სიცივეს უკვე აღარავინ გრძნობდა. პელმსგეილის მომხრეები ახლა თექვსმეტს და მეოთხედს ჩამოდიოდნენ ფილემ-გე-მედონის წინააღმდეგ.

კარლტონელმა პარიმ შესძახა:

— ფილემ-გე-მედონი აღარ არის. პელმსგეილის მხარეზე ჩამოვდივარ სანაძლეოს — ჩემს საპეროს ბელა-აკვასა და ჩემს ხარისხს ლორდ ბელიუსისა. ამ სანაძლეოს კენტერბერის მთავარეპისკოპოსის ძველი პარიკის გულისთვის ჩამოვდივარ.

— მაჩვენე შენი ცხვირ-პირი, — უთხრა კოლტერმა ფილემ-გე-მედონს და ბოთლიდან ჯინი გადმოასხა, სისხლიანი ფლანელი დაასველა და ასე მობანა სახე. პირი გამოჩნდა. ფილემ-გე-მედონმა ცალი თვალის ქუთუთო ასწია. საფეთქლები თითქოს დახეთქილი ჰქონდა.

— კიდევ ერთი შეჭიდება, მეგობარო, — უთხრა კოლტერმა. — ქვემო ქალაქის სახელისათვის.

უელსელები და ირლანდიელები ერთმანეთს მიუხედებიან ხოლმე, მაგრამ ფილემ-გე-მედონი არაფრით ამჟღავნებდა, რომ მას კიდევ

შეეძლო რამის მოსაზრება, იგი კილტერის დახმარებით წამოდგა. ეს იყო ოცდამეზუთე შებმა იმის მიხედვით, თუ ციკლოპი (ვინაიდან ცალი თვალი მას ალარ ჰქონდა) რა სახით დადგა პოზიციაზე, მაცქერალნი მიხვდნენ, რომ ველაფერი დასრულდა, ალარავის შეეძლო ჰქონდა, რომ ფილემ-გე-მედონს მარცხი არ ასცდებოდა.

თავდაცვის დროს მან ხელი ნიკაპს ზემოთ ასწია. ეს იყო მომაკვდავის უკანასკნელი უხერხული მოძრაობა. პელმსგეელმა, მხოლოდ ოდნავ შეოფლიანებულმა, შესძახა:

— ჩემზე ედებ სანაძლეოს, ათასი ერთის წინააღმდეგ.

და მოქნეული ხელი დაკრა მოწინააღმდეგეს, მაგრამ უცნაური რამ მოხდა: ორივენი წაიქცნენ, მხიარული ბღავილი გაისმა. ეს ფილემ-გე-მედონის ხმა იყო, — თავისი კმაყოფილება ასე გამოხატა.

მან ისარგებლა პელმსგეელისგან თავში მოხვედრილი შუშტით და თვითონაც მიუხედავად წესის დარღვევისა, მას მუცელში ჩარტყა

პელმსგეელი გრძნობადაკარგული იწვა და ბრიალებდა.

არბიტრებმა რაკი პელმსგეელი წაქცეული დაინახეს, წარმოთქვეს:

— ხერდა სრულად მიიღო.

ველამ ტაში დასცხო, სანაძლეოში წაგებულებმაც კი.

ფილემ-გე-მედონმა არასწორ დარტყმაზე არასწორი დარტყმითვე უპასუხა. ამის ნება მას მისცეს.

პელმსგეელი საკაცით გაიტანეს, ველა დარწმუნებული იყო, რომ ის უნებელი ვერ გადარჩებოდა.

ლორდმა რობერტმა შესძახა:

— მე ათას ორასი გინეა მოვიგე.

ფილემ-გე-მედონი როგორც ჩანდა, მთელ თავის სიცოცხლეში ხეიბრად დარჩებოდა.

წასვლისას ჯოზიანა ლორდი დევიდის ხელს დაეყრდნო, დანიშნულებისათვის ეს ნებადართული იყო, დაეყრდნო და წარმოთქვა:

— საუცხოო სანახაობაა, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— მეგონა, ჩემს მოწყენილობას ეს მაინც გაფანტავდა, მაგრამ არაფერი მეშველა.

ლორდი დევიდ შედგა, შეხედა ჯოზიანას, ტუჩები მოკუმა, ლო-

ჯმა გამობუშტა, თავი გაიქნია, რაც ნიშნავდა „მხედველობაში მო-ვიღებო“, მერე ჰერცოგის ასულს უპასუხა:

— მოწყენილობის წინააღმდეგ მხოლოდ ერთი წამალი არსე-ბობს...

— რა წამალი?

— გუინპლენი.

ჰერცოგის ასული შეეკითხა:

— ეგ გუინპლენი რაღა არის?

წიგნი მეორე

გუინპლენი და დეა

I

ამ თავში გამოჩნდება სახელი იმ კაცისა, რომელსაც აქამდე მხოლოდ თავისი საქციელით ვიცნობდით

ბუნებამ გუინპლენისათვის სიკეთე არ დაიშურა. ამ ბუნების ძალით პირი ისეთი ჰქონდა, რომ ყურებამდე იღიმებოდა. გადმოხრილი ყურები თვალებამდე ეფინებოდა. ცხვირი მთლად უფორმო და იმისათვის შექმნილი ჰქონდა, რომ ზედ ჯამბაზის სათვალეს ეხტუნა. ხოლო მთლიანად სახეზე ისე ვერ შეხედავდით, რომ არ გაგვეცინათ.

მე მოგახსენეთ, რომ ბუნებამ თავისი სიკეთე დააბერტყა-მეთქი გუინპლენს, მაგრამ ეს მხოლოდ ბუნების ნამოქმედარი იყო?

იქნებ ვინმე დაეხმარა ბუნებას ამაში?

თვალები ორ ვიწრო ნახვრეტს მიუგავდა. პირის მაგიერ ღია ხვრელი მოუჩანდა. ნესტოების ადგილას ორნახვრეტიანი ბნელი კოჟოჟი იყურებოდა, ხოლო პირისახის მაგიერ ბრტყელი კვერი. საერთოდ, რაღაც მეტად სასაცილო რამ იყო. აშკარაა, რომ ბუნება ვისიმე დაუხმარებლად ვერ შექმნიდა ხელოვნების ასეთ სრულყოფილ ნიმუშს.

მაგრამ სიცილი განა ყოველთვის მხიარულებას გამოხატავს?

გუინპლენი ფიგლიარი იყო. თუ ამ ფიგლიართან პირველი შეხვედრის შემდეგ, როდესაც მის შემხედავს პირველი შთაბეჭდილებით გამოწვეული მხიარულება გაუვლიდა, და უფრო ყურადღებით დააკვირდებოდა სახეზე, უეჭველად შეამჩნევდა ოსტატის ნამუშევართა ნიშნებს. ასეთი პირისახე ბუნების შემთხვევითი თამაში კი არ იყო, არამედ ვიღაცის შეგნებული გარჯის ნაყოფი. ასეთი დასრულებული მოპირკეთება ბუნებას არა სჩვევია. ადამიანი უძლურია სამისოდ, რომ თავისი სილამაზე შექმნას, მაგრამ თავისი სახე-ტანის დამახინჯებაში მას წინ არა უდგას რა. ჰოტენტოტის პროფილს თქვენ რომაელის პროფილად ვერ გარდაქმნით, მაგრამ ბერძნულ

ცხვირიდან თავისუფლად გააკეთებთ ყალმუხის ცხვირს. ამისათვის საკმარისია ჩაზნიქოთ ცხვირის ძაღლი და გაფარჩხოთ ნესტოები. კანადელმა საშუალო საუკუნეების ლათინურმა ტყუილად კი არ შექმნა ზმნა DENASARE*. იქნებ გუინპლენი ბაეშვობაში იმდენად ცურადღების ღირსი იყო, რომ ვილაცას მისი სახის შეკუმშვა ეცადა? შესაძლებელია! თუნდაც იმ მიზნით, რომ საჭვენებლად გამოეყენებინათ და ამით ფული ეშოვნათ. ყველაფრიდან ჩანდა, რომ ამ სახეზე დამახინჯების დახელოვნებულ ფაბრიკანტებს ეშუშავათ. ცხადია, რომელიღაც იდუმალმა, უფრო საფიქრებელია, რომ საიდუმლო მეცნიერებამ, დაკავშირებულმა ქირურგიასთან, ისეყე როგორც ალქიმია ქიმიასთანაა დაკავშირებული, პატარა ბაეშვის ბუნებრივი ნაკეთები დაამახინჯა და ასეთი საგანგებო სახე შექმნა, რომ ამგვარ ჭრაზე დახელოვნებულ მეცნიერებაზე დაყრდნობით, ქსოვილის შეხორცებით, მიჭრილ-მოჭრილი ნაწილების განკურნებით შეიძლებოდა პირბაგის გაგანიერება, ტუჩების ჩასერვა, ღრძლების გამოჩენა, ყურების წამოჭიმვა, კანატელების აძოლება, წარბებისა და ლოყების აღგილგადანაცვლება, ჩანების კუთხების გაგანიერება, გაუჩინარება-გადალესვა გაკერილი ნაწილებისა და კანის სულ ახლად გადაკერა გადატყავებულ ნაწილზე, იმიტომ, რომ სახეს არ მოშორებოდა განიერად გაღებული ტურ-ბაგის ღიმილი. ასეთ საქმეებში მეტისმეტად დახელოვნებული მოჭანდაკის სახელოსნოში შეიქმნა ეს ნიღაბი — გუინპლენი.

ადამიანები ასეთი სახისანი არ იბადებიან.

ახე იყო თუ ახე, ის ნიღაბი შესანიშნავი გამოვიდა. გუინპლენი განგებამ საჩუქრად მოუვლინა ყველა მოწყვნილ ადამიანს. რომელმა განგებამ? იქნებ ღვთის განგების გვერდით ჯოჯოხეთის განგებაც არსებობს? ჩვენ ამ საკითხს მხოლოდ ვაყენებთ, თუმცა არა ვწყვეტთ.

გუინპლენი მასხარა იყო. იგი მაყურებელთა წინაშე გამოდიოდა. მისგან გამოწეული შთაბეჭდილება ყველაფერს აღემატებოდა. აბოჭილდრიას მარტო თავისი სახის ჩვენებით არწყდა. მგლოვიარე, ოცხებით მოხილი ადამიანები გუინპლენს ეროდებოდნენ, რაღგან შეხედავდნენ თუ არა, მაშინვე ისეთი სიცილი ატყდებოდათ, რომ თავს უხერხულად გრძნობდნენ. ერთხელ გუინპლენის დანახვისას ბაეშვი ხარხარით აეტყდა. მაყურებელნი სიცილ-ხარხარისაგან კი ხარხარი აეტყდა.

გან ქანცგაწყვეტილნი ფერდებზე ხელებს იჭერდნენ. პირს გაღებდა თუ არა გუინპლენი, ყველას სიცილისაგან შეხლები შეეშვებოდა. გუინპლენი ნაღელიანობა-მწუხარების მოპირდაპირე პოლუსი იყო. ერთ მხარეზე რომ სპლინი იყო, მეორე მხარეზე გუინპლენი. ამის გამო ყველა ბაზარსა და მოედანზე არაჩვეულებრივი გონების სახელი გაუვარდა.

გუინპლენი მაყურებელთა სიცილს თავისი საკუთარი სიცილით იწვევდა. ხოლო თვითონ იგი არ იცინოდა, იცინოდა მხოლოდ მისი სახე. მას არაფერი ჰქონდა სამხიარულო, იცინოდა მხოლოდ მისი საზარელი ფიზიონომია, რომელიც რალაც შემთხვევას, ან კიდევ განსაკუთრებულ ხელოვნებას შეექმნა. თვითონ გუინპლენი აქ არაფერ შუაში იყო. მისი გარეგნული გამომეტყველება მისგან სრულიად არ იყო დამოკიდებული. არანაირად არ შეეძლო მოეშორებინა თავისი შუბლიდან, წარბებიდან, ლოყებიდან, ტუჩებიდან ეს უნებური სიცილი. სიცილი სამუდამოდ იყო აღბეჭდილი მის სახეზე. ეს სიცილი ავტომატური იყო და განსაკუთრებით გადამღებად მოჩანდა, რადგან ასე უწყვეტ, მუდმივ სიცილად შეხორცებულიყო მის სახეზე. ამ ღრუღლებგამოჭენილ პირს რომ შეხედავდნენ, არ შეიძლებოდა, არ გაეცინათ. პირის ორი კრუნჩხვითი მოძრაობაა გადამდები: ერთია სიცილი და მეორე მთქნარება. იმ საიდუმლო ოპერაციის შედეგად, რომელიც გუინპლენს, როგორც საფიქრებელია, ბავშვობაში გადაატანინეს, მისი სახის ყველა ნაკეთი სიცილის გამომეტყველებას შეეპყრო, იმისდაგვარად, როგორც ბორბლის ყველა წკირი მორგეში იკრიბება. რა მღელვარე გრძნობებსაც არ უნდა მისცემოდა გუინპლენი, ასეთი განცდები უფრო აძლიერებდნენ მხიარულების ამ ბეჭედს. უფრო სწორად რომ ითქვას, მხიარულების ბეჭედს უფრო მეტ მნიშვნელობას აძლევდნენ. განცვიფრება, ტანჯვა, მრისხანება თუ სიბრალული მხოლოდ უფრო მკვეთრ გამომეტყველებას სძენდა ამ კუნთების მხიარულ მანჭვას. თუნდაც ეტირა, მისი სახე სიცილს განაგრძობდა. რაც უნდა გაეკეთებინა, რაც უნდა მოესურვებინა გუინპლენს, რაზედაც უნდა ეფიქრა, მაინც საკმარისი იყო თავი აეწია და სახე გამოეჩინა, რომ ხალხი, თუ ის იმ დროს მის მახლობლად იმყოფებოდა, სიცილ-ხარხარს ველარ იკავებდა.

აბა, მხიარული შეხედეთ თავი წარმოიდგინეთ.

მოულოდნელი სანახაობა ხალხში ჩვეულებრივ ფიქრთა დენას წყვეტდა და უნებურად სიცილს იწვევდა.

ოდესღაც ძველ საბერძნეთში თეატრის ფრონტონები ბრინჯაოს მოცინარე ნიღბით იყო შემკული. ასეთ ნიღაბს კომედია ერქვა. ბრინჯაოს ნიღაბი თითქოს იცინოდა და სიცილს იწვევდა, მაგრამ, ამავე დროს, ჩაფიქრებული სახის შთაბეჭდილებასაც ახდენდა. პაროდია — შეშლილობამდე მისული, ირონია — სიბრძნეში გადასული, თავს იყრიდნენ და ერთიანდებოდნენ ამ სახეზე. ზრუნვა და იმედგაცრუება, შეზიზღება ცხოვრებისა, სევდა-ნაღველი კრთოდა ამ აუღელვებელ სახეზე, და შედეგად, სავალალოდ, მხიარულებას გამოხატავდა. ტუჩის ცალი კუთხე, კაცობრიობისკენ მიქცეული, დაცინვის კილოთი იყო აწეული; მეორე კუთხე, ღმერთებისაკენ მიქცეული — მკრეხელობას გამოხატავდა. ადამიანები სარკაზმის ამ იდეალურ სახეს უტოლებდნენ ირონიის იმ მარაგს, რომელიც თითოეულ ჩვენგანს გააჩნია; და ამ მარადიულად მოცინარე ნიღბის წინ განუწყვეტლივ მომდინარე სხვადასხვა ხალხი, ამ მკვდარივით უძრავი, დამცინავი ღიმილის შეხედვაზე აღტაცებისაგან ყურდებოდა. თუ ამ სამარისებურად ჩაწყვდიადებულ ანტიკურ ნიღაბს ცოცხალი კაცის სახეზე მოვაკრავდით, მაშინ საკმაოდ სწორი წარმოდგენა გვექნებოდა გუინპლენის სახის გამომეტყველებაზე. მის მხრებზე ისეთ თავ-პირს დაინახავდით, რომელიც დემონისებრ მოცინარე ნიღაბს წარმოადგენდა. რა საშინელი ტვირთია ადამიანის მხრებზე ასეთი მარადიული სიცილი!

მარადიული სიცილი. განმარტება მივცეთ. თუ მანიქეველებს* დავუჯერებთ, კეთილი საწყისი ადგილს უთმობს მის მოპირდაპირე — მოძულე ბოროტ საწყისს. თვით ღმერთსაც კი თავის არსში წყვეტები გააჩნია. იმაზედაც შევთანხმდეთ, თუ რა არის ნება. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ნება ყოველთვის უძლური იყოს. ყოველივე არსებობა იმ წერილს ემსგავსება, რომლის აზრი პოსტსკრიპტუმის გამო იცვლება; გუინპლენისათვის პოსტსკრიპტუმს შემდეგი წარმოადგენდა: ნებისყოფის უდიდესი დაძაბვა, რაზედაც გუინპლენი მთელ თავის ყურადღებას შეაჩერებდა ხოლმე, როდესაც კი არავითარი მღელვარება მის ყურადღებას თავისკენ არ მიმართავდა და არ შეასუსტებდა. ძალ-ღონის დაძაბვით იგი ხანდახან იმას ახერხებდა, რომ სახიდან იცილებდა ამ უწყვეტ სიცილს და ერთგვარ

ტრაგიკულ იერს იღებდა. ასეთ წუთებში მისი სახის ნაკვთები მის ირგვლივმყოფთა შორის უკვე სიმხიარულეს კი ალარ იწვევდა, არამედ შემაძრწუნებელ შიშს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ გუინპლენი ძალიან იშვიათად შიმართავდა ამგვარ ძალ-ღონის დაძაბვას, ვინაიდან მისთვის მეტად მტკივნეული იყო ასეთი ძალდატანებით დაჭიმვა ღონისა და აუტანელი დაძაბვა უზომო ტკივილებს იწვევდა. ამასთანავე საკმარისი იყო სულ მცირე უყურადღებობა, დაბნეულობა, სულ მცირე მღელვარება, რომ წუთიერად მოცილებული, ზღვის მოქცევასავით შეუკავებელი სიცილი ისევ აღიბეჭდებოდა მის სახეზე და იმდენად უცრო მკვეთრი ხდებოდა, რამდენადაც ძლიერი იყო გუინპლენის გულზე მოწოლილი მღელვარება.

ასეთი შემთხვევის გამოკლებით გუინპლენის სიცილი მარადიული იყო.

მისი მაცქერალი ადამიანები იცინოდნენ, მაგრამ სიცილით რომ გულს მოითხებდნენ, ზურგს შეაქცევდნენ ხოლმე. განსაკუთრებით მეტისმეტ ხიხლს ქალებში იწვევდა. მართლაც, ეს კაცი საზარელი იყო. მაცქერალთა გახელებული სიცილი თავისებური გადასახადი იყო და მას მხიარულად იხდიდნენ, მაგრამ თითქმის შეუცნობლად, მხოლოდ, როცა სიცილის ტალღა ჩაყუჩდებოდა, გუინპლენისადმი ცქერა, განსაკუთრებით ქალებისათვის, სრულიად აუტანელი ხდებოდა. მაცქერალნი უშალ თვალებს დახრიდნენ და ცდილობდნენ, არ ეცქირათ მისთვის.

გუინპლენი ტანად მაღალი იყო, კარგად მოვაჭილი, მოჭილი აგებულების და სრულებითაც არ იქნებოდა მახინჯი, თუ არა მისი პირისახე. ეს კიდევ ერთი ნიშანი იყო იმ ვარაუდის დასამტკიცებლად, რომ ის სახე ადამიანის ხელით იყო დამახინჯებული და არა ბუნებით შექმნილი. გუინპლენის ტანის მოხდენილობას რომ სახის სიშვენიერეც უნდა შეთანხმებოდა, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა ახალდაბადებული, უეჭველია, ისეთივე იქნებოდა, როგორიც ვინ ლა სხვა ბალღი. მისი სხეულისათვის ხელი არ უხლიათ; მხოლოდ სახე მოუჭრა-მოუჭრეს. გუინპლენი, ჩანს, განზრახ დაამახინჯეს.

ყოველ შემთხვევაში, ეს აზრი ჭეშმარიტებას უახლოვდება.

კბილები მისთვის არ დაუგლეჯიათ, სიცილისთვის კბილები საჭიროა. კბილები მკვდრის გამხმარ კუნჭებიც რჩება.

ალბათ ეს ოპერაცია საშინელი იყო. მას ამ ოპერაციის შესახებ არა ახსოვდა რა, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ იგი ხსენებული ოპერაციის მსხვერპლი არ გამხდარიყო. ქირურგ-გამომქანდაკებლის ასეთი ნამუშევარი წარმატებით დასრულდებოდა ამ შემთხვევაში, თუ მისი ობიექტი ბალღი იქნებოდა, რომელსაც არ შეეძლო შეეცნო, რას უშვრებოდნენ მას და ტკივილიც შესაძლოა, ისე მწვავედ არ ეგრძნო, როგორც ჩვეულებრივი ავადმყოფობა. ამასთანავე, როგორც მკითხველს ახსოვს, დამაძინებელი და ტკივილების დამაყუჩებელი საშუალებანი უკვე ცნობილი იყო. ის იყო მხოლოდ, რომ აქ აღწერილ ეპოქაში ჯადოსნობას ეძახდნენ. ჩვენს დროში კი ამას ანესთეზია ეწოდება.

რაკი გუინპლენს მისმა გამზრდელმა ადამიანებმა ასეთი ნიღაბი გაუკეთეს და მასში მრავალი მძლეოსნის და ტანმოვარჯიშის ჩვევები განავითარეს შესაფერისად შერჩეული აკრობატული ვარჯიშით, მისი სახსრები შეაჩვიეს ყველა მხარეზე მოტრიალ-მოტრიალებას. სხეულმა რეზინისებური მოქნილობა შეიძინა და სახსრები თავისუფლად მოძრაობდნენ. ყველაფერი გააკეთეს, რომ ბავშვობიდანვე ჯამბაზობაში დაეხელოვნებინათ.

თმები სამუდამოდ ჟანგმიწისფრად შეუღებეს. ეს საიდუმლო ჩვენს დროში ხელახლა აღმოაჩინეს. ამას ლამაზი ქალები მიმართავენ და რაც ოდესღაც სიმახინჯედ ითვლებოდა, ახლა ის სილამაზის ნიშანია. გუინპლენს წითური თმა ჰქონდა, ხოლო საღებავი, როგორც ჩანს, მწვავე იყო, რადგან თმა უხეში და მოუდრეკავი გაუხადა. ეს წითური ფაფარი ჯაგარს უფრო ჰგავდა, ვიდრე თმას, მაგრამ მის ქვეშ მშვენივრად განვითარებული თავის ქალა იფარებოდა, — აზრის ღირსეული შემცველი. როგორიც უნდა ყოფილიყო გუინპლენის ოპერაცია, რომელმაც სახის ჰარმონია მოსპო და მისი კუნთები დაამახინჯა, ის მაინც ულონო გამოდგა გადაესხვაფერებინა ქალა-თავის ფორმა. გუინპლენის სახის კუთხე გაგაოცებდათ თავისი ძალოვანებით. როგორც სხვა ყველა ადამიანის, ისე ამ მოცინარე ნიღბის იქითაც იფარებოდა ოცნებისადმი განწყობილი სული.

გუინპლენისათვის სიცილი ნამდვილი ნიჭი იყო. მას არ შეეძლო თავი დაეხსნა ამ სიცილისგან და ამიტომ მისი გამოყენება დაიწყო. ამ სიცილით ის საზრდოს შოულობდა.

მკითხველები ალბათ უკვე მიხვდნენ, რომ გუინპლენი სწორედ ის ბავშვი იყო, რომელიც ზამთრის სალამოს მიატოვეს პორტლენდის ნაპირზე და რომელმაც უეიჟუთში მიაგნო თავშესაფარს, ეს თავშესაფარი თვლებზე შედგმული ღარიბი ჭობურა იყო.

II

დეა

ათას შვიდას მეხუთე წელი იდგა. თხუთმეტი წელიწადი გასულიყო. ბავშვი დავაკაცდა. გუინპლენს ოცდახუთი წელი უნდა შესრულებოდა. ურსუსმა ორიოდე ბავშვი თავისთან დაიტოვა. შეეჭნა პატარა, მოხეტიალე ოჯახი. ურსუსი და პოძო დაბერდნენ. ურსუსი მთლად გაძელოტდა, მგელი გაჭაღარავდა, მგლების სიცოცხლის ხანგრძლივობა ისე ზუსტად არ არის დადგენილი, როგორც ძაღლებისა. მოლუნის დასკვნით ზოგიერთი მგელი ოთხმოც წელიწადსაც ცოცხლობს. მათ შორის პატარა კუპარა, CAVIAE VORUS და მყრალი მგელი, CANIS NUBILIUS, რომელიც სულ აღწერა.

მკვდარი დედაკაცის გულზე ნაპოვნი გოგონა ახლა თექვსმეტი წლის გამხდარიყო. მის მკრთალ სახეს მუქი თმა ამშვენებდა. საკმაოდ მაღალი და წერწეტი ტანისა იყო. იმდენად წელწვრილი, რომ გეგონებოდათ, ერთ მოკარებაზე გადატყდებაო. ქალი საოცრად ლამაზი იყო, მაგრამ ელვარებით სავსე მისი თვალები ვერაფერს ბედავდნენ. — ის ბრძა იყო. საბედისწერო ზამთრის ღამემ, რომელმაც მათხოვარი დედაკაცი და მისი ბალღი მინამქრა, ერთბაშად ორი უბედურება დაატრიალა: დედა მოკვდა და გოგონა დაბრმავდა.

შავმა წყალმა ბავშვის გუგები საშუალოდ უძრავი გახადა, ის ბავშვი ახლა მოზრდილი ქალი გამხდარიყო. ცხოვრების მწარე უკმაყოფილება, სახეზე, ტუჩ-ბაგეთა კუთხეებში ნაღვლიანად ჩამოწოლილი ნაკეცით ეხატებოდა. მისი დიდი, ნათელი თვალები უცნაური თვისებით გამოირჩეოდა. პატრონისათვის ჩამქრალებს, სხვათათვის სხივოსნობა შეენარჩუნებინათ. იდუმალი სანათურები, მხოლოდ გარემო ქვეყნის მაცისკროვნებელი, თვითონ სინათლეს მოკლებულნი, სინათლის სხივებსა ჰფენდა. ჩამქრალი თვალები ელვარებით იყო აღსავსე. ეს წყვდიადის ტყვე იმ სიბნელეს აშუქებ-

და, რომელშიც ცხოვრობდა. გამოუვალი სიბნელის სიღრმიდან, იმ შავი კედლის იქიდან, რომელსაც სიბრმავე ეწოდება, იგი სიზმრებში ნათელ სხივებს გზავნიდა. იგი ვერა ხედავდა ჩვენს მზეს, მაგრამ მასში მზის არსის ანარეკლი მოჩანდა. მის მტრულ გამოხედვას ცის მნათობებისებური მოძრაობა მიელო. იგი ღამე იყო და მის საკუთარ სტიქიად გამხდარი განუჭვრეტელი სიბნელის ფონზე ენთო როგორც ვარსკვლავი.

ლათინური სახელებით გაგიჟებულმა ურსუსმა სახელად დეა დაარქვა. იგი წინასწარ მოეთათბირა მგელს და უთხრა:

— შენ ადამიანს წარმოადგენ, მე ცხოველს. მე და შენ მიწიერ არსებათა წარმომადგენელნი ვართ; მაშ დაე, ეს პატარა, ციური ქვეყნის წარმომადგენელი იყოს. მისი სისუსტე სინამდვილეში მისივე ყოვლისშემძლეობაა. ამ სახით ჩვენს ქოხში მოთავსებული იქნება მთელი მსოფლიო: ადამიანთა სამყარო, ცხოველთა სამყარო და ღვთიური სამყარო.

მგელს საწინააღმდეგო არა ჰქონდა რა.

ამ თათბირის შემდეგ ნაპოვნ ბალღს სახელად დეა დაარქვეს.

რაც შეეხება გუინპლენს, ურსუსს ბევრი ფიქრი არ დასჭირდა, რომ მისთვის სახელი მოეგონა. სწორედ იმ დილით, როდესაც ურსუსმა შეამჩნია, რომ ბიჭუნა დასახიჩრებული იყო და გოგონა ბრმა, ბიჭუნას შეეკითხა:

— სახელად რას გეძახიან, პატარავ?

— მე გუინპლენს მეძახიან, — უპასუხა ბავშვმა.

— მაშ, რაკი გუინპლენს გეძახიან, გუინპლენადვე დარჩები, — თქვა ურსუსმა.

საჯარო გამოსვლებში გუინპლენს დეა ეხმარებოდა. თუკი შესაძლებელი იქნებოდა, რომ ადამიანის უბედურებათა მთელი ერთობლიობის შედეგი გაგვეთვალისწინებინა, ამის განხორციელება გუინპლენსა და დეაში გამოიხატებოდა, თითქოს ორივენი აჩრდილთა ქვეყნიდან მოვლენილიყვნენ მიწაზე. გუინპლენი აჩრდილთა ქვეყნის იმ არედან, სადაც საშინელება სუფევს, დეა იმ არედან, სადაც სიბნელე სუფევს. მათი არსებობა სხვადასხვაგვარი წყვდიადისაგან იყო შექმნილი და გადმოღებული მარადიული ღამის სადისაგან ზარული პოლუსებიდან. დეა ამ წყვდიადს თავის შინაგან არსებაში ატარებდა, ხოლო გუინპლენი თავის პირისახეზე. დეაში იყო რაღაც

ლანდისებური, ხოლო გუინპლენი მოჩვენებასა ჰგავდა. დეა მაგიუფსკრულით იყო გარემოცული, ხოლო გუინპლენი უფრო უარესრამმე გარემოეცვა. მხედველობის მქონე გუინპლენს საშინელი შესაძლებლობა გააჩნდა, შესაძლებლობა, შეედარებინა თავისი თავისხვებთან, სხვა ადამიანებთან. გუინპლენის მდგომარეობაში, თუდავუშვებთ, რომ იგი ცდილობდა გარკვეულიყო, შედარება ნიშნავდა თავისი თავის ამოცნობის უნარის დაკარგვას. გქონდეს დეასმსგავსი თვალები, რომლებშიც გარემო არ აღიბეჭდება, — დიდიუბედურებაა. მაგრამ ბევრად ნაკლები, ვიდრე იყო ამოცანა შენისაკუთარი თავისათვის: გრძნობდე ვიღაცის არსებობას და ეს შენთვითონ იყო; უცქეროდე სამყაროს და შენს თავს შიგ ვერ ხედავდე. დეას თვალებზე წყვდიადის ფარდა იყო ჩამოფარებული, გუინპლენის სახეზე კიდევ ნიღაბი იყო გაკეთებული. როგორ უნდა გამოუხატოთ ეს სიტყვები? გუინპლენის სახეზე ნიღაბი მისივე ცოცხალი სახიდან იყო გამოჭრილი. მან თავისი საკუთარი სახის ნამდვილი ნაკვთებისა არა იცოდა რა. ისინი გაქრნენ. ისინი სხვა ნაკვთებმა შეცვალეს. მისი ნამდვილი სახე უკვე აღარ არსებობდა. თავი ცოცხლობდა, მაგრამ სახე მოკვდა. გუინპლენს აღარ ახსოვდა, ენახა კი ოდესმე თავისი პირვანდელი სახე? დეასათვის ადამიანთა მოდგმა ისევე, როგორც გუინპლენისათვის გარეშე მოვლენა იყო; რაღაც შორეული რამ იყო მათგან. დეა მარტოდმარტო იყო, გუინპლენიც ასევე. დეას მარტოობა წყვდიადით იყო მოსილი, ვერაფერს ხედავდა. გუინპლენის მარტოობა შესაზარი იყო — ის ყველაფერს ხედავდა. დეასათვის მთელი ქვეყანა მხოლოდ მისი სმენით და შეხებით იფარგლებოდა. ყველაფერი, რაც არსებობდა, მისთვის შემოფარგლული იყო. სივრცე თითქოს არც გააჩნდა. სივრცე დეასათვის ორიოდე ნაბიჯზე წყდებოდა, მხოლოდ სიბნელე ეჩვენებოდა მას დაუსრულებლად. გუინპლენისათვის ცხოვრება იმას ნიშნავდა, რომ მუდმივად მის წინ შეკრებილ ბრბოს ჩვენებოდა. მასში გარევას კი არასოდეს ბედი არ არგუნებდა. დეა სინათლის სამყაროდან გამოდევნილი არსება იყო. გუინპლენი დევნილი იყო ცოცხალ არსებათაგან. მათ ორივეს ყველა საფუძველი ჰქონდათ სასოწარკვეთილებას მისცემოდნენ. მათ დამნახავს, ყველას, ვინც კი ამას დაუფიქრდებოდა, მეტისმეტად შეებრალებოდა ორივე. რა ტანჯვას განიცდიდნენ თვითონ ისინი?! მათ ავი ბედისწერა დაუ-

ღელავდა. ბედისწერას ასეთი იშვიათი ხელოვნებით არასდროს გაუხდია უზომო წამებად და ჯოჯოხეთურ ტანჯვად ყოვლად უდანაშაულო ორი არსების სიცოცხლე.

მიუხედავად ამისა, ისინი სამოთხეში ცხოვრობდნენ.

მათ ერთმანეთი უყვარდათ. გუინპლენი აღმერთებდა დეას. დეა თაყვანს სცემდა გუინპლენს.

— შენ ისეთი მშვენიერი ხარ! — ეუბნებოდა დეა გუინპლენს.

III

OCULOS NON HABET, ET VIDET
(თვალისჩინი არა აქვს, მაგრამ ხედავს)

ამქვეყნად მხოლოდ ერთი ქალი ხედავდა ნამდვილ გუინპლენს. ეს იყო უსინათლო დეა.

დეამ ურსუსის ნაამბობიდან იცოდა, რამდენად მადლიერი უნდა ყოფილიყო იგი გუინპლენისა. გუინპლენმა ხომ ურსუსს უამბო, თუ რა სიძნელეები გადალახა, პორტლენდიდან უეიმუთში რომ გადმოსულიყო, უამბო ყველა ის საშინელება, რაც კი გადაიტანა მან ნაპირზე მიტოვების შემდეგ. ქალმა იცოდა, რომ, როდესაც ის, ჯერ ისევ ჩვილი ბავშვი, სიკვდილის ბრჭყალებში მყოფი, მკვდარი დედის გულმკერდს ჩაკრული ძუძუს ისევ სწოვდა, სხვა ბავშვმა იპოვა. რომ თვითონ იმ, ყველასგან მიტოვებულმა ბავშვმა, თითქმის დასამარებულმა საყოველთაო გულგრილობის წყვდიადში, მისი ტირილი გაიგონა და, თუმცა თვითონ მის მიმართ ყველას ყური მოეყრუებინა, მან არ მოიყრუა ყური ამ პაწია არსების მიმართ; რომ ამ მიტოვებულმა სუსტმა ბავშვმა, რომელსაც ქვეყნად არავითარი საყრდენი არ გააჩნდა, თვითონ უდაბნოში არაქათგამოცლილმა, ისე, რომ ფეხის გადადგმის ძალა აღარ შესწევდა, დაქანცულმა, დაღლილობისაგან ღონემიხდილმა, წყვდიად ღამეში მიტოვებულმა, ამ წყვდიად ღამეს გამოაცალა და თვითონ იტვირთა მძიმე ტვირთი. ხელში აიყვანა სხვა ბავშვი, რომ უბედურმა არსებამ, ცხოვრების საშუალებათა გაუგებარი განაწილების გამო უწილხვედროდ დარჩენილმა, რასაც ბედ-იღბალს უწოდებენ, ასეთმა

არსებამ იკისრა ზრუნვა სხვა არსების ბედზე. როდესაც თვითონ გაჭირვების, მწუხარების და სასოწარკვეთილების მსხვერპლი იყო, სასიკვდილოდ განწირულ მისგან ნაპოვნ ნამცეცა ბალღს იგი განგებად მოევლინა. დეამ იცოდა, რომ, როდესაც მისთვის ცამ პირი შეკრა, პატარა გუინპლენმა თავისი გული გაუღო, როცა თვითონ ილუპებოდა, ის დალუპვას გადაარჩინა, რომ თვითონ უსახლკარო და შეუსაფარი, მისთვის საფარველი გახდა; რომ გუინპლენმა მას დედობაც გაუწია და მისი მასაზრდოებელიც გახდა. რომ გუინპლენმა, თვითონვე უთვისტომომ, მის მარტოდმარტოდ მიმტოვებელს იმით უპასუხა, რომ იშვილა სხვა ბავშვი; თვითონ დაკარგულმა და ბნელ ღამეში გზადაბნეულმა, ასეთი მაღალსულოვნება გამოიჩინა, თითქოს საკმაოდ ტვირთმძიმე არ იყო იგი თავისი პირადი უბედურებებით — მან სხვისი უბედურება იტვირთა; რომ ამ დედამიწაზე, სადაც მას თითქმის აღარავითარი სიკეთე აღარ ელოდა, — მან მოვალეობის არსებობა აღმოაჩინა; და რომ იქ, სადაც ყველა ჭოჭმანს დაიწყებდა, იგი გაბედულად წავიდა წინ. რომ სადაც სხვები დაიხევდნენ უკან, ის არ შემდგარა; რომ მან ღია სამარეში ჩააწვდინა ხელი და იქიდან ამოიყვანა უმწეო ბალღი — დეა; რომ თვითონ ნახევრად შიშველმა, ბავშვი თავის ძველმანებში შეახვია, ვინაიდან მას, პატარა ბალღს, სიცივე აწუხებდა; რომ თვითონ მშიერი ეცადა, ბალღი გამოეკვება; რომ მისი გულისთვის, ჯერ თვითონაც ბალღი, სიკვდილს შეებრძოლა; სიკვდილს სხვადასხვა სახისას: ზამთრის სახისას — თოვლბუქს, მარტოობის სახისას — შიშის ზარს, სიცივეს, შიმშილს და წყურვილს; გრიგალის სახისას — რომელსაც მისი გულისთვის, დეას გულისთვის, ეს ათი წლის გოლიათი ღამის უსაზღვრო წყვდიადს შეერკინა. დეამ იცოდა, რომ გუინპლენმა ყველა ეს გმირობა ჩაიდინა ჯერ ისევ ბავშვობაში. და რომ ახლა ის, დიდი ვაჟკაცია, მისთვის, ულონოსათვის, საიმედო საყრდენი. მისთვის, არაფრის მქონესათვის, იგი სიმდიდრეა. მისთვის, ავადმყოფისათვის, იგი მკურნალ-წამალია. მისთვის, უსინათლოსათვის, იგი თვალისჩინია. დეა ბნელი ფარდის მიღმა, რის გამოც იგი დაშორებული იყო ცხოვრებას, ნათლად ამჩნევდა გუინპლენის თავდადებასა და თავგანწირვას, მის გამბედაობს. დეა ალღოთი ამჩნევდა, გუინპლენის კეთილშობილურ შინაგან ღირსებას. ამას იგი ამჩნევდა თავის

შინაგან უხილავ არსებაში, სადაც აზრი ცოცხლობს, და გრძნობა-გონებით სწვდებოდა ამ კეთილშობილების იდუმალ ანარეკლს. უსინათლო დეა, ყოველმხრივ გარემოცული მისთვის შეუცნობელი, ჭედამ მოძრავი საგნებით, ყოველთვის რომ ყურადღებით ელოდა მოსალოდნელ ხიფათს; როგორც ყველა უსინათლო, ისიც თავს უმწეოდ გრძნობდა ამ ქვეყნად. მაგრამ იგი ამასთანავე სადღაც თავის სიახლოვეს ნათლად გრძნობდა, რომ გუინპლენი მფარველობდა მას. გუინპლენი, რომელმაც დაღლა არ იცოდა, ყოველთვის თვის მახლობლად მიაჩნდა; ყოველთვის ფხიზელი მეთვალყურე იყო მასი. გუინპლენი მოალერსე იყო და გულკეთილი. ყოველთვის მზად იყო მას დახმარებოდა. დეა ყოველთვის სიხარულით თრთოდა ხოლმე დარწმუნებული, რომ გუინპლენი მუდამ მზრუნველობით ეპყრობოდა მას. ამის გამო დეა მისი მადლიერი იყო. ასეთ წუთებში დეას წუხილი და ხიფათისადმი შიში გაუქარწყლებოდა და სიხარულის ალტაცებად ექცეოდა. თავის წვდიადით ალხაზე თვალებით დეა იდუმალ განჭვრეტდა ამ გულკეთილობის ჩაუქრობელ ელვარებას.

ადამიანის შინაგან არსებაში გულკეთილობა მზე არის და გუინპლენიც თავისი გულკეთილობით დეას მზე იყო.

ბრბოსათვის, რომელსაც მეტად ბევრი თავი აქვს საიმისოდ, რომ რამეზე დაფიქრდეს და ძალიან ბევრი თვალი აქვს — რომ რაიმეს კარგად დაუკვირდეს, იმ ბრბოსათვის, რომელიც თვითონ ზერელეა და მოვლენებსაც მხოლოდ ზერელედ უყურებს, იმათთვის გუინპლენი მხოლოდ მახინარა იყო, ფიგლიარი, თვალთმაქცი, ხეშარა, ჯამბაზი, რომელიც პირუტყვისაგან ცოტათი თუ განსხვავდებოდა. მაყურებელთა ბრბო მხოლოდ მის სახე-ნიღაბს იცნობდა.

დეასათვის გუინპლენი მხსნელი იყო, რომელმაც იგი სამარიდან ამოიღო და დღის სინათლეზე გამოიტანა. მისი მანუგეშებელი იყო, რაც დეას სიცოცხლის უნარს აძლევდა. ბნელი ლაბირინთების ტყვე დეა გუინპლენის ხელს თავის ხელზე გრძნობდა ხოლმე. გუინპლენი მისთვის ძმა იყო, მეგობარი, ხელმძღვანელი, საყრდენი, ცური სახის მსგავსი, ფრთაასხმული, სხივთა მფრქვეველი მეულე იყო და, თუ ხალხი გუინპლენს ურჩხულს ამსგავსებდა, უსინათლო ყმაწვილ ქალს იგი მთავარანგელოზი ეგონა.

უსინათლო დეა გუინპლენის სულსა ხედავდა.

ფილოსოფოს ურსუსს ეს ჭეშმარიტი ესმოდა. დეას სიბრძნეს იგი ამნაირად ადასტურებდა:

— ბრძა უხილავსა ხედავსო.

ასე ამბობდა:

— შეცნობა იგივე ხილვააო.

გუინპლენის მაცქერალი თავისთვის ბურტყუნებდა:

— ნახევრად ურჩხულია, ნახევრად ღმერთიო.

გუინპლენიც თავის მხრივ მოკადრებული იყო დეათი. არსებობს უხილავი თვალი — გუგა. გუინპლენი დეას ხილული თვალებით უცქეროდა. დეა მოხიბლული იყო იდეალური გამოხატულებით, გუინპლენი — რეალურით. გუინპლენი მხოლოდ უბრალო სახიჩარი როდი იყო, იგი საზარული რამ იყო. დეაში თავის საწინააღმდეგოს ხედავდა: რამდენადაც თვითონ გუინპლენი საზარელი იყო, იმდენად იყო დეა მომხიბვლელი. გუინპლენი სამახინჯის განსახიერება იყო, დეა კი სინარნარის. დეა განხორციელებულ ოცნებად მოჩანდა, რომელსაც სხეულებრივი ფორმები მიეღო. მთელ მის არსებასა და პაეროვან სხეულში, მის წერწეტ და მოქნილ, ლერწამივით მორთოლვარე აღნაგობაში, მის შესაძლოა უხილავად ფრთებშესხმულ მხრებში, მისი ფორმების მსუბუქ სიმკვრივეში, რაც მისი სქესის შესახებ იმდენად გრძნობას არას ეუბნებოდა, რამდენადაც სულს, მისი ტანის თითქმის გამჭვირვალე სითეთრეში, მისი უსინათლო მზერის დიდებულ სიმშვიდეში, რაც ღვთაებრივი უარყოფა იყო ყოველივე მიწიერისა, მისი ღიმილის წმინდა უბიწობაში იყო ისეთი რამ, რაც მას ანგელოზებთან ანათესავებდა, მაგრამ ის ხომ ქალი იყო!

გუინპლენი, როგორც უკვე ვთქვით, თავის თავს სხვებს ადარებდა, ასევე ადარებდა იგი დეასაც.

გუინპლენის არსებობა თითქოს გაუგონარი შეფარდება იყო ორი დაპირისპირებისა. იგი იყო გადაჯვარედინების წერტილი ორი სხვეისა: შავისა და თეთრი სხეისა, რომელთაგან ერთი ქვეყიდან ზეყით მისდევდა, მეორე ზეყიდან ქვეყით ჩამოსდევდა. ერთი და იგივე

ნამცეცი შეიძლება ერთდროულად ორმა ნისკარტმა კენკოს: ბოროტებისა და სიკეთის ნისკარტმა, პირველი წიწკნიდეს, ფატრავდეს, მეორე ელოლიავებოდეს. გუინპლენი ასეთი ნამცეცი იყო, ატომი, რომელსაც წიწკნიდნენ, ფატრავდნენ და ელოლიავებოდნენ, ეალერსებოდნენ კიდევაც. გუინპლენი იყო საბედისწერო შემთხვევის ქმნილება, განგების ჩარევის გამო გართულებული. უბედურების ხელიც შეხებოდა მას და ბედნიერებისაც. ორი მოპირდაპირე ხვედრის შეფარდებამ წარმოშვა მისი არაჩვეულებრივი ბედისწერა. მასზე თითქოს რისხვაც მოულო განგებას და დალოცვაც. ის იყო დარისხული რჩეული. ვინ იყო იგი? თვითონაც არ იცოდა. როდესაც თავის თავს სარკეში უყურებდა, უცნობსა ხედავდა და ეს უცნობი ურჩხული იყო. გუინპლენისათვის თითქოს თავი მოუკვეთიათო, რადგან მას ისეთი სახე ჰქონდა, რომელიც არ შეეძლო თავისად ეცნო, ეს სახე ისე იყო დასახიჩრებული, რომ მხოლოდ სასაცილო გასართობს წარმოადგენდა. იმდენად საშინელი და სასაცილო იყო, რომ სიცილს იწვევდა. ადამიანის სახე გამქრალიყო; იგი მხეცის სახეს ჩაენთქა. ჯერ არასდროს არავის ენახა ასე მთლიანად ჩანთქმა ადამიანის სახის ნაკვთებისა. ჯერ არასდროს სიზმრად მოჩვენებულ მაჯლაჯუნასავითაც არავის მოსჩვენებია ასეთი შემაზრზენი მოცინარე სიფათი.

ისეთი რამ, რაც კი ქალს ზიზღს აგრძნობინებს, ჯერ არასოდეს ასეთი ერთობლიობით, ასე შემზარავად არ გამოკვეთილა მამაკაცის სახეზე. ამ ნიღბის პატრონის საბრალო გული, ამ ნიღბისგანვე შეურაცხყოფილი, ალბათ განწირული იქნებოდა მუდმივად მარტოდმარტო, უთანაგრძნობო დარჩენილიყო. ასეთი პირისახე გუინპლენისათვის ნამდვილი კუბოს ფიცარი იყო, მაგრამ არა, არა! იქ, სადაც უცნობმა ბოროტებამ თავისი შხამის მარაგი ბოლომდე დახარჯა, იქვე თავის მხრივ თავისი ნიჭი დააფრქვია უხილავმა სიკეთემაც. მან უცბად აღადგინა უფსკრულს ჩანთქმული მეხდაცემული და რაც მასში შემზარავი, საზიზღარი იყო, ამ ყოველივეს სრული მიმზიდველობის იერი მიანიჭა: ბრაგაში ანდამატი ჩააქსოვა. იყო სხვა სული, რომელსაც განგებამ სურვილი შთააგონა, რაც შეიძლება სწრაფად ენუგეშებინა უჭირისუფლო, უთვისტომო. მტრედს დაავალა განეკურნა მეხდაცემული, სიმშვენიერეს ჩააგონა სიმახინჯისადმი ტრფიალი.

სამისოდ აუცილებლად საჭირო იყო, რომ მშვენიერებას არ შესძლებოდა სიგონჯის დანახვა. ბედნიერებისათვის საჭირო იყო უბედურება. განგებამ დააბრმავა დეა.

გუინპლენი ბუნდოვნად გრძნობდა რომ იგი მსხვერპლი გამხდარიყო, მაგრამ რისი, ან ვისი დანაშაულისა? რის გამო დასაჯა ბედმა, ეს მან არ იცოდა. ვინ და რისთვის მიაყენა მას სასჯელი? ესეც მისთვის ამოცანა იყო. მას, სამუდამოდ დაღდასმულს უცბად შარავანდედის შუქი მოეფინა. ეს იყო და ეს, რაც მან იცოდა. როდესაც გუინპლენი იმ ხნისა გახდა, რომ ბევრი რამ შეიგნო, ურსუსმა წაუკითხა და განუმარტა სათანადო ადგილი დოქტორ კონქესტის თხზულებიდან: „DE DENASATIS~* და კიდევ სხვა ფოლიანტიდანაც, მიუგო პლაგონის ტრაქტატიდან ნაწყვეტი, რომელიც იწყებოდა სიტყვებით: „NARES HABENS MUTILAS~*. ამასთანავე, ურსუსმა განზრახ თავი შეიკავა იმისგან, რომ გუინპლენს გამოეტანა ყოველგვარი დასკვნა, ან მიხვედრილიყო რასმე. შესაძლო იყო ეფიქრა კიდევაც, რომ სხვადასხვა მიზეზით მომხდარიყოს რაიმე მოვლენა მის ბავშვობაში, რასაც ეს ფაქტი გამოუწვევია. მაგრამ გუინპლენისათვის ცხადი იყო მხოლოდ ერთი რამ — შედეგი. მას ბედად ის დაჰყოლოდა, რომ მთელი თავისი სიცოცხლე ასეთი დაღდასმული სახით ევლო. სად, რის გამო დაედაღათ იგი, ამაზე პასუხს ვერავინ გაგცემდათ. დუმილი და მარტოობა დაპატრონებოდა გუინპლენს. ყოველი გუმანი ან რაიმე მიხვედრილობა ამ ტრაგიკულ სინამდვილესთან დაკავშირებულ ამოცანად რჩებოდა. ხოლო თვით ეს საზარელი ფაქტი სახიჩრობისა სრულიად სარწმუნო იყო და აი ამ მძიმე მწუხარების ჟამს გამოჩნდა დეა, როგორც ციური ნუგეში გუინპლენის სასოწარკვეთილების გასაქარვებლად. ამ მშვენიერი არსების ალერსიანი მოპყრობა მას, სახიჩარს, ესალბუნებოდა, და სულიერ სითბოს აგრძნობინებდა. ამ ურჩხულის სახის ნაკვთები ნაკლებ საზარელნილა მოჩანდნენ იმ ბედნიერი განცვიფრების წუთებში, რასაც გუინპლენი განიცდიდა დეას ალერსიანი მოპყრობით. ის ხომ ასეთი სახიჩარი და მხოლოდ შემზარავი იყო, მაგრამ დეას შუქმფენი ალერსი რაღაც სასწაულით ალაფრთოვანებდა და ალერსიანს ხდიდა. ურჩხული გრძნობდა, რომ მას სიყვარულით შესცქეროდა ვარსკვლავი.

გუინპლენი და დეა შესანიშნავ წყვილს შეადგენდნენ. ეს მგრძნობიარე, სათუთი სულები აღმერთებდნენ ერთმანეთს; ბუდეში ორი

ჩვენ, ასეთი იყო მათი ისტორია. ისინი იმ კანონს დაემორჩილნენ, რომელიც საყოველთაოა მთელი ქვეყნიერებისათვის. კანონს, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ უფლართა, უძიონ და ძლიერს ეომებიან.

ამგვარად, მძულვარებას თავისი განზრახვა ჩაეშალა. გუინპლენის დაღუპვის მსურველებმა, ვინც უნდა ყოფილიყვნენ ისინი, სადღაც მტრობამ გუინპლენისადმი, უისგანაც უნდა ყოფილიყო ეს მტრობა, მაინც მიზანს ვერ მიაღწია. უნდოდათ მისთვის დაესჯათ სასონარკვეთილება ერგუნებისთვის, მაგრამ იგი ზღაპრულ ბედნიერებას აწვიეს. იგი ადრეულ დაწინდეს განზრახულებულ საბუსთან, რომელიც სამკურნალო სალბუნად მოეწონა მის თარებს. გუინპლენს წინასწარვე არგუნეს სევდა-მწუხარება, მაგრამ ჯალათის მარწუხები შეუმჩნეველად შეეცალა ქალის მოალერსე ხელებმა. გუინპლენი საზარელი იყო, მაგრამ საზარელი არა დაბადებიდან, არამედ ადამიანთაგან დასახიჩრებული. მათ განიზრახეს მოეკალებინათ იგი ოჯახიდან, თუკი მას ოდესმე ოჯახი ჰქონდა, შემდეგ უნდოდათ იგი მთელი კაცობრიობისათვის ჩამოეშორებინათ. ჯერ ისევ ბავშვობიდან იგი დაამსხვრიეს და ნანგრევებად აქციეს. მაგრამ ბუნებამ გააცოცხლა ეს ნანგრევი, ისევე როგორც, ყოველივე დაქცეულს იგი ხელახლა გააცოცხლებს ხოლმე. გუინპლენი მხოლოდ ბუნებამ ანუგეშა. როგორც საერთოდ ანუგეშებს ხოლმე იგი ყველა მარტოდ დარჩენილს, ბუნება ყოველთვის დახმარებას უწევს ბედისგან დევნილთ. იქ, სადაც ყველაფერის ნაკლოვანება არსებობა, ბუნება თავის წყალობას უხვად დააბერტყავს ხოლმე. ნანგრევებს იგი მწვანით ამოსთენებს და ყვავილებით დააშვენებს. ქვასა და ლოდზე სურის ხალიჩას აფენს, ხოლო ადამიანს სიყვარულით ასაზრდოებს.

უსაზღვრო დიდსულოვნება გააჩნია ბუნების ფარულ ძალებს.

V

ლაჭვარდი ფუძიადის სამყაროში

ასე ცხოვრობდნენ სულით მონათესავე უბედურები: დეა, რომელსაც მფარველი გამოესჩნოდა, და გუინპლენი, რომლის მფარველობას სახარულით ხედებოდა ეს ქალი.

ორივეს ორივე გულდაში ამოსდგომოდა. მას სახიჩარი მზრუნველობდა.

ორივე უბედური შეხვდა ურთიერთს.

ორივე ბედდაკარგული გამოურკვეველ მადლიერებას გრძნობდა ურთიერთისადმი. ისინი მადლიერნი იყვნენ.

მაგრამ ვისი?

იდუმალი უსაზღვროებისა.

თუ ცხოვრებაში ამგვარად მადლიერი ხარ, სრულიად საკმარისია. მადლიერება ფრთაშესხმულია და ის იქით მიფრენს, საითაც ჯერ არს. თქვენმა ლოცვამ თქვენზე უკეთ იცის საით უნდა ისწრაფოს.

რამდენ ხალხს ეგონა, რომ იგი იუპიტერისადმი ალაპლაპდა ლოცვას, მაგრამ თურმე იეჰოვას მიმართავდნენ ლოცვებით!... რამდენ ავგარიზის მორწმუნეს უსმენს მარადისობა! რამდენი ათეისტი ვერ მიმხვდარა, რომ მისი გულკეთილობაც და სვედიანობაც იგივე ლოცვაა ღვთის მიმართ.

გუინპლენი და დეა ბედის მადლიერნი იყვნენ.

სიმახინჯე — განდეგილობაა, საბრძავე — უფსკრული, და აჰა განდეგილ-განრისხებულმა ნავსაყუდელს მიაგნო. უფსკრულში სიცოცხლემ დაისადგურა.

გუინპლენი ხედავდა, რომ ბედისწერამ ინება და მასზე, როგორც ცხადლივ ნახულ სიზმარში, ციდან სხივმოსილი მშვენიერი თეთრი ღრუბელი გადმოეშვა, და ამ ღრუბელმა ქალის სახე მიიღო. იგი შუქოსანი რამ სახიერებელია და მას გული უცემს. ეს ღრუბლისებური ლანდი ამაყი დროს ქალია. იგი ხელებგაწვდილა ისწრაფვის მისკენ. ეს მოწვევნება ეხვევა მას. ეს გული მიილტვის მისკენ. გუინპლენს ამ საყვარულის ალმურში თავისი სიმახინჯე ავიწყდებოდა. ვარდმა მოისურვა ჭუპრთან ექორწინა, რადგან იგი გონების თვალით მას შიგნით საოცარ პეპელას ხედავდა. გუინპლენი, განდეგილი და უთვისტომო არსება, ახლა მოხიყვარულე გულმა რჩეულად არჩია.

თუ მოხიყვარულე გული გეგულება, ეს გველაფერს ნიშნავს. გუინპლენს ასეთი აუცილებელი რამ — მოხიყვარულე გული — უკვე ეგულებოდა. დეასაც ჰყავდა მანუგეშებელი მფარველი გული — გუინპლენი.

საკუთარი სიმახინჯის დამამცირებელი შეგნება აღარ ჰქონდა გუინპლენს. იგი თანდათან ქარწყლდებოდა, მას სხვა გრძნობა სცვლიდა, გრძნობა დატკბობისა, აღტაცებისა, რწმენისა. ხოლო უსინათლო დეას გამწარებულ უსაშველობას, მის ირგვლივ გამეფებული წყვდიადიდან განგება დახმარების ხელს უწვდიდა.

ორმა მწუხარებამ ერთიმეორე შთანთქა და იდეალურ ყოფამდე ამაღლდა. ორმა გაუბედურებულმა იცნო ერთმანეთი, გაძარცულნი შეერთდნენ, რათა გაემდიდრებინათ ერთმანეთი. თითოეულ მათგანს ერთიმეორესთან ის აკავშირებდა, რაც მისთვის განგებას წაერთმია. ერთის უბედურება მეორისთვის საგანძურად გამხდარიყო. დეა რომ ბრმა არ ყოფილიყო, განა გუინპლენს შეირჩევდა? გუინპლენი რომ დასახიჩრებული არ ყოფილიყო განა სხვა ქალებს დეას ამჯობინებდა? დეა უეჭველად არ შეიყვარებდა სახიჩარს, ისევე როგორც გუინპლენი დაბრმავებულს. რა ბედნიერება იყო დეასათვის, რომ გუინპლენი საზიზღარი იყო, რა ბედნიერება იყო გუინპლენისათვის რომ დეა ბრმა იყო. მათი სისასტიკის ხვედრი რომ ასეთი თანაბრად მსგავსი არა ყოფილიყო, მათი ტრფიალი შეუძლებელი გახდებოდა. მათ სიყვარულს საფუძვლად ურთიერთისადმი მისწრაფების აუცილებელი სურვილი ედო. გუინპლენი დეას მხსნელი იყო, დეა გუინპლენის მშველელი. ორი უბედურის შეხვედრამ ურთიერთისადმი მიზიდულობა გამოიწვია. ეს იყო მორევისგან ჩანთქმული ორი არსების ურთიერთჩახვევნა. არა არის რა ამაზე უფრო დამაახლოებელი და უფრო მეტად წარმტაცი.

გუინპლენი ყოველთვის ასე ფიქრობდა:

„რა მეშველებოდა, დეა რომ არ ყოფილიყო".

დეა ყოველთვის ასე ფიქრობდა:

„რა მეშველებოდა, გუინპლენი რომ არ ყოფილიყო".

ორმა განდევნილმა სამშობლო მოიპოვა. ორი საბოლოო, საბედისწერო უბედურება, — გუინპლენის პირსახის დაღი და დეას სიბრმავე, მათი შემაერთებელი გახდა და ორივესათვის სრული კმაყოფილების წყაროდ გადაიქცა. მათ სხვა არა უნდოდათ რა, ოღონდ ერთმანეთის მახლობლად ყოფილიყვნენ. უერთმანეთოდ ყოფნა ვეღარ წარმოედგინათ. ერთმანეთში საუბრით ტკბებოდნენ. ერთურთის გვერდით ყოფნა ნეტარებას ანიჭებდათ. რადგან თითოეული მათგანი მეორის ოდნავ სულიერ მოძრაობასაც კი ყურს უგდებდა,

ამიტომ სრულად ერთი და იმავე ოცნებით სუნთქავდნენ. ერთსა და იმავე დროს, ერთი და იგივე აზრი გაუელვდა ხოლმე ორივეს თავში. გუინპლენის ნაბიჯის ხმაზე დეას ეგონა ღვთაების ფეხის ხმა ესმისო. ერთმანეთს ეკვროდნენ და თავი ვარსკვლავებიან ნათელბინდში წარმოედგინათ, იქ სადაც სურნელი იფრქვეოდა — ბრწყინვალება სუფევდა, მუსიკის ჰანგები მოისმოდა და ოცნების ბურუსში თვალისმომჭრელი არქიტექტურული ფორმები მოჩანდა. ერთმანეთის კუთვნილება გამხდარიყვნენ და იცოდნენ, რომ მათთვის სიხარული და ალტაცება სამუდამოდ საერთო იყო. ამ სამოთხეზე უფრო მეტად უცნაური აღარაფერი იქნებოდა და ეს სამოთხე წამებისათვის განწირულ ორ არსებას შეექმნა.

ისინი ენით გამოუთქმელ ბედნიერებას განიცდიდნენ.

თავიანთი ჯოჯოხეთი მათ ციურ ედემად ექციათ: ასეთია შენი ყოვლადშემძლეობა, სიყვარულო!

დეას გუინპლენის სიცილი ესმოდა; გუინპლენი დეას ღიმილსა ხედავდა.

ამგვარად მოიპოვეს მათ იდეალური ნეტარება. სიცოცხლით სრულად დატკბობა ცხადად განხორციელდა. ასე გადაწყდა ბედნიერების იდუმალი პრობლემა და ისიც ვისგან? ორი გაუბედურებულისგან.

გუინპლენისათვის დეა განსახიერებული შუქნათელი იყო. დეას კიდევ გუინპლენი წარმოედგინა, როგორც უზენაესი, ციური არსების მოვლინება.

ასეთი მოვლინება ღრმა საიდუმლოებით იყო მოცული და ეს გარემოება უსინათლოს ღვთაებრივ თვისებებს უმჟღავნებდა გუინპლენისას და მისადმი ნდობითაც ავსებდა. ყველა რელიგიაში მხოლოდ და მარტო ნდობაა აუცილებელი და ეს სრულიად საკმაოა: დაუსაბამო არსს, რომელსაც მორწმუნენი ვერ უარყოფენ, უხილველად სუფევს; ამისდა მიუხედავად მორწმუნენი მას განიცდიან.

გუინპლენი დეასათვის ღვთაება იყო.

ხან უსაზღვრო სიყვარულით აღგზნებული დეა გუინპლენის წინაშე მუხლს მოიყრიდა ხოლმე ისე, როგორც ინდოეთის პაგოდაში მშვენიერი ქურუმი ქალი კერპთაყვანისმცემლობისას.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ უფსკრული და ამ უფსკრულში ნა-

ეული ოაზისი; ხოლო ამ ოაზისში ცხოვრებისაგან გარიყული ორი არსება, ერთიერთით ასულდგმულებული.

ამ სიყვარულზე ფაქიზი აღარა იქნებოდა რა. დეამ არ იცოდა, რა იყო კოცნა, თუმცა შესაძლოა სწყუროდა კიდევაც იგი, ვინაიდან სიბრმავე, განსაკუთრებით ქალებში, ზმანება-ოცნებას იწვევს. ბრმას, როგორც უნდა ეშინოდეს გამოუცნობის მიკარებისა, მაინც არ ერიდება ასეთ მიკარებას. რაც შეეხება გუინპლენს, მისი მთრთოლარე სიჭაბუკე ფიქრებისადმი იყო განწყობილი; რამდენადაც ძლიერად ეხვეოდა იგი სიყვარულის ბურუსში, იმდენად უფრო მორცხვი ხდებოდა. მას იქნებ ყველაფრის ნება მიეცა თავისი თავისივე ბავშვობის ამხანაგთან, რომელმაც ჯერ არ იცოდა, რა იყო ცოდვა; ისევე არ იცოდა, როგორც არ იცოდა, რა იყო სინათლე. ამ ბრმა ქალმა მხოლოდ ის იცოდა, რომ ეთაყვანებოდა მას — გუინპლენს. მაგრამ გუინპლენი როგორ წაართმევდა დეას იმას, რასაც იგი თუნდაც თავის ნებითვე დაუთმობდა. გუინპლენი თანახმა იყო მხოლოდ სულიერი სიყვარულით ჰყვარებოდა დეა. ხოლო თავისი სახიჩრების შეცნობის გამო უფრო აღმატებულად უბიწო რჩებოდა.

ეს ბედნიერი მოყვარულნი თითქოს იდეალურ ქვეყანაში ცხოვრობდნენ და იქ ციური სფეროების მსგავსად, შორ მანძილზე მყოფ მეუღლენი იყვნენ. ისინი ცის ლაჟვარდში იმ ემანაციას იზიარებდნენ, რაც უსაზღვროებაში მიზიდულობაა, ხოლო დედამიწაზე სქესია. ისინი მხოლოდ სულთა მიკარება-ალერსით, სულიერი კოცნით აჯილდოებდნენ ერთმანეთს.

ისინი ყოველთვის საერთო სიცოცხლით ცოცხლობდნენ და სხვანაირი სიცოცხლე ვერც წარმოედგინათ. დეას ბავშვობაში გუინპლენი ყრმა იყო. ისინი ერთად იზრდებოდნენ, მათ დიდხანს ერთად ლოგინში ეძინათ, რადგან საგორავებზე შედგმული ფიცრული სახლაკი არცთუ იმდენად ხალვათი საძინებელი ოთახი იყო. ისინი სკივრზე თავსდებოდნენ, ხოლო ურსუსი იატაკზე. ასეთი წესი იყო შემოღებული. შემდეგ ერთ მშვენიერ დღეს, — დეა მაშინ ჯერ ისევ სულ ბავშვი იყო, — გუინპლენმა იგრძნო, რომ იგი უკვე დიდია და მასში სირცხვილმა გაიღვიძა. მან ურსუსს განუცხადა: „მეც იატაკზე დავიძინებო“. და საღამოთი მოხუცის გვერდით დათვის ტყავზე დაწვა. დეამ ტირილი დაიწყო, თავისთან მოუხმობდა ლოგინის გამზიარებელს, მაგრამ გუინპლენის გულში უკვე სიყვარულს გაეღვიძა და

აღელვებულმა თავისი გადაწყვეტილება ცალკე ძილის შესახებ მტკიცედ დაიცვა. მას შემდეგ იატაკზე ეძინა, ურსუსის გვერდზე. ზაფხულობით, თბილ ღამეებში ისიც ეზოში იძინებდა, როგორც ჰომო. დეა უკვე ცამეტი წლისა გახდა და ჯერ კიდევ ვერ შეჰგუებოდა ამ გარემოებას. საღამოობით ხშირად ეუბნებოდა ხოლმე: „მოდი ჩემთან, რომ უფრო მალე დამეძინოსო". გუინპლენის გვერდით ყოფნა მისი უცოდველი ძილისათვის აუცილებელი იყო. სიშიშვლის შეცნობა მხოლოდ მას ძალუძს, ვინც თავის თავს შიშველადვე ხედავს. ამიტომ დეამ არ იცოდა სიშიშვლე რას ნიშნავდა — არკადიისეური ან ტაიტისეური უმანკოება. ხანაც დეა, უკვე მოწიფული ქალი ლოგინზე ჩამომჯდარი პერანგის ამარა, რომლის ჩახსნილი საკინძიდან უკვე აბურცული გულ-მკერდი მოჩანდა, თმას ივარცხნიდა და დაჟინებით ეძახდა ხოლმე გუინპლენს, აქ მოდიო. ასეთ შემთხვევაში გუინპლენი წითლდებოდა, თვალს არიდებდა, არ იცოდა საით გასცლოდა ასეთ უმანკო სიშიშვლეს. რაღაცას ჩაიბურტყუნებდა, თვალს ხრიდა და შეშინებული გარეთ გარბოდა. წყვდიადისაგან შობილი დაფნისი გაურბოდა ბნელეთში ჩაძირულ ქლოას.

ასეთი იყო ეს იდილია, ესოდენ ტრაგიკულ გარემოში გადაშლილი. ურსუსი მათ ეუბნებოდა ხოლმე:

— პატარა პირუტყვებო, ეტრფიალეთ ერთმანეთს.

VI

ურსუსი აღმზრდელ-დამრიგებელი და ურსუსი მზრუნველი

ურსუსი თან დასძენდა:

— ამ დღეებში ვუჩვენებ თამაშს! მე მათ დავაქორწინებო.

ურსუსი სიყვარულის თეორიას უხსნიდა ხოლმე გუინპლენს:

— სიყვარული! იცი კი, უფალი ღმერთი როგორ აგიზგიზებს ხოლმე ამ ცეცხლს? იგი ქალსა და კაცს აახლოებს და მათ შორის კიდევ ეშმაკს მოათავსებს; ისე, რომ მამაკაცი ეშმაკს შეეყვარება ხოლმე. ერთი ნაპერწკალი, სხვანაირად რომ ითქვას, ერთი შეხედვაც კმარა, რომ აღეგზნოს ყოველი.

შეხედვა აუცილებელი არ არის, — უპასუხებდა გუინპლენი, რაკი დეა ჰყავდა მხედველობაში.

ხოლო ურსუსი შეეკამათებოდა:

— აჰა, შე მიამიტო, განა სულებს თვალები სჭირდებათ, რომ ერთმანეთს უცქირონ?

ურსუსი კეთილი გულით ხუმრობდა ხოლმე, ისეც ხდებოდა, რომ დეას ტრფობით თავგზააბნეული გუინპლენი დალურჯებული დადიოდა და ურსუსს, როგორც მოწმეს, თვალს არიდებდა. ერთხელ ურსუსმა ასე უთხრა:

— ჰაჰ, რისა გრცხვენია, შეყვარებული მამალი როდის იმალება!

— მაგრამ არწივი უცხო თვალს ერიდებაო, — უპასუხებდა გუინპლენი.

სხვა დროს ურსუსი თავისთვის ბუტბუტებდა:

— კეთილგონიერება მოითხოვს, ჯოხები გავურჭოთ ვენერას ეტლში. ჩემს მტრედებს ალგზნებით უყვართ ერთმანეთი; საჭიროა მათი გულების ცეცხლი ცოტა ჩავანელოთ.

და როცა დეას ეძინა, გუინპლენს მიმართავდა ხოლმე, ხოლო როცა გუინპლენი რაიმე საქმით იყო გართული მაშინ დეას აფრთხილებდა ასე:

— დეა, შენ მეტისმეტად არ უნდა შეეჩვიო გუინპლენს. იგი დიდი მოწონებით სარგებლობს. შენ ვერ წარმოიდგენ როგორ მოსწონთ იგი! იცხოვრო სხვა ადამიანში საშიშია. ეგოიზმი ყველაზე საიმედო საყრდენია ბედნიერებისათვის. მამაკაცები ადვილად გაურბიან ქალებს, და მერე გუინპლენი შეიძლება გაამაყდეს.

ანდა გუინპლენს ეტყოდა ხოლმე:

— გუინპლენ, ასეთი შეუსაბამობა არაფრად ვარგა, მეტისმეტად სიმახინჯე ერთი მხრივ და სრული სილამაზე მეორე მხრივ დამაფიქრებელია. დააცხრე შენი გულის ალგზნება, ჩემო ბიჭო, ნუ ხარ ასე ალტაცებული დეათი. ნუთუ შენ სერიოზულად ფიქრობ, რომ მისთვის ხარ გაჩენილი? შეხედე შენს სიმახინჯეს და მის სილამაზეს. შეხედე, ხომ უფსკრულია თქვენ შორის. ჩვენი დეა მართლაც მშვენიერია. თეთრი სახისა, საუცხოო თმა, ტუჩ-ბაგე მარწყვივით, ფეხები, ხელები, მერე რა მხრები აქვს, სახე მშვენიერი, სიარული ნარნარი იცის, ხმა წარმტაცი, სიტყვა გონიერი; კარგია, მაგრამ სულელი არ არის, რომ ანგელოზი ასა იფიქრე — ქალია. იმდენად სულელი არ არის, გირჩევნია გული დაიმშვიდო. იყოს, იგი სრულყოფილი სილამაზეა. გირჩევნია გული დაიმშვიდო გუინპლენისა და

ასეთი შეგონებები მხოლოდ აძლიერებდნენ გუინპლენისა და

დას ტრფიალს. ურსუს უკვირდა, რომ მისმა დარიგებამ არ გასჭრა. ისეთ ადამიანს მოგაგონებდათ, რომელიც ამგვარ შემთხვევაში თავისთვის ამბობს ხოლმე:

— საოცარა, რამდენ ზეთს ვასხამ ცეცხლზე, მაგრამ მაინც ვერ ჩამიქრია.

განა მართლა სურდა ურსუს მათი გულების გზნება ჩაექრო? ან ცოტათი მაინც ჩაენელებინა? რა თქმა უნდა, არა; ეს რომ მოხდარიყო, ურსუსისათვის არასასიამოვნო, მოულოდნელი რამ იქნებოდა. ეს საყვარული, ახალგაზრდებისათვის რომ მგზნებარე ალი იყო, მოხუც ურსუსსაც ათბობდა, სიხარულს აგრძნობინებდა.

მაგრამ ის, რაც ჩვენ გვხიბლავს, ხანდახან ხომ უნდა დავტუქსოთ კიდეცაც. აი ეს ბუხლუნაა სწორედ ის, რასაც ადამიანი კეთილგონიერებას უწოდებს.

ურსუსი გუინპლენისა და დეახთვის შამაც იყო და დედაც. მან ბუხლუნით და ბურტყუნით დახარდა ისინი. ტუქსავდა, მაგრამ კვებავდა კიდეცაც მათ. რაკი ურსუსმა გუინპლენი და დეა იშვილა, მისი ერიკაც უფრო დაძმიდა. ამიტომ ურსუსი ჰომოს გულდით ულელში ებმოდა.

აქვე უნდა ვთქვათ, რამდენიმე წლის მერე, როდესაც გუინპლენი მოიხარდა, ხოლო ურსუსი ძალიან დაბერდა, ახლა გუინპლენის ჯერი დადგა — ერიკაში ის შეებმოდა ხოლმე და ურსუსი და დეა მიჰყავდათ მას და ჰომოს.

ურსუსი რომ უკვე წამოზრდილ გუინპლენს უცქეროდა, მისი სახიჩრობის გამო უწინასწარმეტყველა კიდეცაც შესაფერი მომავალი: „შენს გამდიდრებაზე უხრუნიათო", — უთხრა მან გუინპლენს. ამ მოგზაურობისას ბერიკაცი, ორი ბავშვი და მგელი სულ უფრო შეტად დაახლოვდნენ და მტკიცე ოჯახის იერი მიიღეს.

მოხეტიალე ცხოვრება ხელს არ უშლიდა აღზრდას. „ხეტიალი ზრდას ნიშნავსო", ამბობდა ურსუსი, რადგან ის სახიჩრობა ბაზრობაზე ხალხის ბრბოსათვის სანახაობა გამხდარიყო, ურსუსმა იგი მოამზადა კიდეცაც ჯამბაზად, თანაც, რამდენადაც კი შესაძლებელი იყო, მთელი თავისი ცოდნა და სიბრძნე მას, გუინპლენს გადასცა. ხანდახან დიდხანს აკვირდებოდა ურსუსი მის საზარელ ნიღაბს და ბუტბუტებდა: — დასწყისი კარგი მოუციათო.

ამიტომ ურსუსმა ეს დასწყისი იმით დააშთავრა, რომ ჯამბაზის

აზრებს მრავალნაირი ფილოსოფიური და მეცნიერული სამკაულიც მოემატა.

იგი გუინპლენს ხშირად უმეორებდა.

— იყავი ფილოსოფოსი და ბრძენი და ვერას გავნებენ. აბა, მოცქირე, მე არასდროს მიტირია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ბრძენი ვარ. შენ როგორ გგონია, მე რომ ტირილი მინდოდეს, მიზეზი არა მქვს ამისთვის?

ურსუსი თავის მონოლოგებში, რომელსაც მგელი უსმენდა, ამბობდა:

— გუინპლენს მე ყველაფერი ვასწავლე, სხვათა შორის ლათინურიც. ხოლო დეასათვის არაფერი მისწავლებია, რამეთუ მუსიკა არ ითვლება.

ურსუსმა ორივეს სიმღერა ასწავლა. თვითონ გვარიანად უკრავდა პატარა ძველებურ ფლეიტას. უკრავდა, აგრეთვე, მრავალსიმიან ჩანგს, რომელსაც ბერტრან დიუგესკლენის ქრონიკები „მათხოვრების საკრავს" უწოდებდნენ, და რომლის გამოგონებამ ბიძგი მისცა სიმფონიური მუსიკის განვითარებას. ასეთი კონცერტები ურსუსის ირგვლივ თავს უყრიდა ხალხს. ურსუსი მათ უჩვენებდა თავის მრავალსიმიან ჩანგს და უხსნიდა:

— ლათინურად ამას ORGANISTRUM (ორგანისტრუმ) ეწოდება.

იგი დეასა და გუინპლენს ორფეუსისა და ეგიდია ბინშუას მეთოდით ასწავლიდა მუსიკას; თავის გაკვეთილებს ხანდახან აღმფრთოვანებული შეძახილით შეწყვეტდა ხოლმე:

— ორფეუსი საბერძნეთის მომღერალია! ბინშუა — პიკარდიისა.

ამგვარი დაბეჯითებით აღზრდის ეს რთული სისტემა მაინცდამაინც არც იმდენ დროს ართმევდა ბავშვებს, რომ მათ ერთმანეთისადმი ტრფიალი გაებათილებინა. ამ ზრდაში მათ თავიანთი გულები გააერთიანეს, ისე როგორც ორი ერთმანეთთან ახლოს დარგული ხეხილი შემდეგი ზრდისას შტოებით გადაეწნება ხოლმე ერთმანეთს.

— სულერთია, მე მათ დავაქორწინებ, — ბუტბუტებდა ურსუსი. თანაც ბუზღუნებდა:

— თავი მომაბეზრეს ურთიერთტრფიალით.

წარსული, ისე მახლობელი წარსულიც კი, რაც მათ უკვე გა-

ელით, აღარ არსებობდა, არც გუინპლენისათვის და არც დეასთვის. თავიანთ წარსულზე მათ მხოლოდ ის იცოდნენ, რასაც ურსუსი ეტყოდათ, ურსუსს ისინი მამას ეძახდნენ.

გუინპლენს თავისი ადრე ბავშვობის ხანიდან მხოლოდ ერთი რამ ახსოვდა: რაღაც დემონების გუნდის მსგავსი რამ მის აკვანს რომ დააფრინდა. მას ისეთი შთაბეჭდილება შემორჩენოდა მეხსიერებაში, თითქოს ვიღაც მახინჯი ფეხები სიბნელეში ზედ შესდგომოდნენ და წიხლით სთელავდნენ. განგებ მომხდარიყო ასეთი რამ თუ შემთხვევით, მან ეს არ იცოდა. გუინპლენს ნათლად და დაწვრილებით მხოლოდ იმ ღამის ტრაგიკული ამბები ახსოვდა, როდესაც იგი ზღვის პირად მიატოვეს. იმ ღამეს მან პატარა დეა იპოვა; ამ ნაპოვნი ბალღის გამო საზარელი ღამე მას სხივოსანმა დღემ შეუცვალა.

დეას მეხსიერება უფრო ხშირი ბინდით იყო მოცული, ვიდრე გუინპლენისა. ამ ბინდში ყველაფერი გამქრალიყო მისი მეხსიერებიდან. მას ბუნდოვნად ახსოვდა თავისი დედა, ისიც, როგორც ცივი სხეული. მისთვის თუ შეუხედავს ოდესმე? იქნებ შეუხედავს კიდეც. ქალი ყოველნაირად ცდილობდა აღედგინა მეხსიერებაში ის სიცარიელე, რაც წარსულში მოჩანდა. მზე, რა არის მზე? მას ბუნდოვნად რაღაც ნათელი და თბილი აგონდებოდა, მის ადგილას ახლა გუინპლენი ეგულებოდა.

ისინი ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ. ღუღუნი უეჭველია ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმეა ამ ქვეყნად. დეა ეუბნებოდა გუინპლენს:

— სინათლე ჩემთვის შენი ხმა არისო.

ერთხელ გუინპლენმა დაინახა მარმაშის სახელოდან დეას ხელი, თავი ველარ შეიკავა და ტუჩებით შეეხო. დასახიჩრებული ტუჩ-ბაგე და ასეთი ფაქიზი კოცნა! დეა აღტაცებამ შეიპყრო, ლაწვები სიწითლემ შეუყირმიზა. ურჩხულის კოცნამ ღამის სიბნელით მოცული მშვენიერი შუბლი გაუცისკროვნა. ამასობაში შიშით შეპყრობილ გუინპლენს სული ეხუთებოდა. თავს ველარ იკავებდა, რომ ამ სამოთხისეური სანახაობისათვის აღარ შეეხედა, რადგან დეას გადახსნილი, გადაღეღილი დეკოლტედან თეთრი მკერდი მოუჩანდა. დეამ სახელო იდაყვის ზედამდე აიმკლავა, გუინპლენს გაშიშვლებული მკლავი გაუწოდა და უთხრა:

— ერთიც, კიდევ ერთიც!

გუინპლენმა თავს გაქცევით უშველა.

მეორე დღეს ასეთი თამაში განახლდა. მართალია, ზოგიერთი პარამეტრი დამატებულ უუსკრულში წარმტაცი ჩაცრება, რასაც სვეარული ეწოდება.

სწორედ ეს არის ის სვეარული, რომელსაც უყალი ლერწია, ჯიუტი ფილოსოფოსივით, ღიმილით დასცქერის.

VII

სიბრმავე ნათლად ხილვის გაკვეთილებს იძლევა

გუინპლენი ხან თავის თავს საყვედურობდა: პირადი ბედნიერება მასში ერთგვარად ხინდოსის ქნარის ისეთი. რაკი ამ ქალს ნებას ვეძლევ ვეყვარდე, რადგან იგი ჩემს სახიჩრობას ვერ ხედავს, მასადამე, ვატყუებ. რას იტყვის დეა, უცბად რომ თვალი ეახილოს. რა ზიზღს იგრძნობს იგი ჩემდამი, რაც მას ახლა ასე იზიდავსო! როგორ დაიბეჭს უკან თავისი ხაზარული ანდამატისგან! როგორ შეკრთება, როგორ მოიფარებს სახეზე ხელებს! რა სისწრაფით გაიქცევა. ასეთი ეჭვები ფატრავდნენ გუინპლენს. იგი თავის თავს ეუბნებოდა, რომ ასეთ ურჩხულს, როგორიც თვითონ იყო, უფლება არა ჰქონდა ჰყვარებოდა. ეშმაკი მზაობისაგან გაღმერთებული! თვის მოვალეობად მიაჩნდა ჭეშმარიტება გაეშჭლაუნებინა ამ ბრმა ვარსკვლავისათვის.

ერთხელ მან უთხრა დეას;

— იცი, მე ძალიან ულამაზო ვარ.

— მე ვიცი, რომ შენ მშვენიერი ხარ, — უპასუხა დეამ.

გუინპლენი განაგრძობდა:

— შენ ხომ გესმის, როდესაც ქველანი იცინიან, ისინი მე დამცინიან, იმიტომ, რომ მე მახინჯი ვარ.

— მე მიყვარხარ, — უპასუხა დეამ.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ დასძინა:

— მე ვკვდებოდი და შენ სიცოცხლე დამიბრუნე. როცა შენ ჩემს გვერდითა ხარ, ჩემს მახლობლად ცახა ვგრძნობ. მოშვება შენი ხელი. მინდა ღმერთს შევვხო!

და ხელებმა ერთიმეორე მოძებნეს და მაგრად მოუჭირეს. არც

ერის ხმა არ ამოულია. არც ერთი სიტყვა არ უთქვამთ. ერთიერთს ტრფიალით აღსავსენი დუმდნენ.

დაღრეჯილ ურსუს ესმოდა ეს ლაპარაკი. მეორე დილით, როცა სამეყნო ერთად შეკრიბნენ, ურსუსმა თქვა:

— დეაც ხომ ძალიან ულამაზოა.

ამ სიტყვებმა თაეის მიზანს ცერ მიაღწია. დეას და გუინპლენს ეთხომ არც გაუგონიათ ახლა ეს ნათქვამი. ერთმანეთის ტრფიალით ყურადღებადაფანტულნი ამჟამად უკვირდებოდნენ ურსუსის ნათქვამის შინაარსს. ასე რომ, ურსუსის მთელი სიბრძნე ამაოდ იბნეოდა.

მაგრამ ამჯერად ურსუსის გამაფრთხილებელმა შენიშვნამ: „დეაც ძალიან ულამაზოაო", ის გამოამჟღავნა, რომ ამ მწიგნობარ ადამიანს საკმაოდ ცნობია ქალთა თვისებანი. უეჭველია, როდესაც გუინპლენი პატრონსნად მოიქცა და დეას თავისი სიგონჟე გაუმჟღავნა, ამით წინდაუხედაობა გამოიჩინა. სხვა ბრძა ქალისთვის რომ ეთქვა გუინპლენს: „შე ძალიან ულამაზო ვარო", ეს ძალიან სახიფათო იქნებოდა. ბრძა იყოს და ამავე დროს შეყვარებულიც — ეს ორმაგ სიბრძაეეს ნიშნავს. ასეთ მდგომარეობაში განსაკუთრებული სიძლიერით იღვიძებს მეოცნებობა. ილუზია ოცნების საარსებო საზრდოა. სიყვარულს რომ ილუზია წაართვა, იგივეა, რომ საზრდო მოუსპო. სიყვარულის აღმოსაცენებლად აუცილებელია სხვადასხვანაირი აღფრთოვანება. საჭიროა როგორც სულიერ ღირსებათა, ისე ხორციელ ღირსებათა გამო აღფრთოვანებაც. გარდა ამისა, ქალს ისეთი არაფერი უნდა უთხრა, რაც მისთვის ძნელი გასაგებია. ამოცანა ოცნების მთლიანობას არღვევს. ხან ისიც ხდება, რომ უნებურად წამოცდენილი ფრაზის გაგებით გული შეუმწნეელად ცარიელდება. შეყვარებული არსება გრძნობს, რომ ის ბედნიერი აღარ არის. საბედნიეროდ, დეა სულ სხვაგვარი თვისებისა იყო. სხვა ქალთაგან ბევრად განირჩეოდა. ამჟამად ბუნების მჭონეს, ხათუთი სხეულის პატრონს, დეას, გული იმდენად სუსტი როდი ჰქონდა. მისი მთავარი თვისება ის იყო, რომ მტკიცე სიყვარული შეეძლო.

ეაეის სიტყვებით გამოწეეულ აზრი იქამდე მიეიდა, რომ ერთხელ მან ასეთი ლაპარაკი გაუბა გუინპლენს:

— ულამაზო რომ იყოს ადამიანი, ეს რას ნიშნავს? იმას ნიშნავს,

რომ ვისმე ბოროტება მიაყენოს. გუინპლენი მხოლოდ კეთილ საქმეებს აკეთებს, მაშასადამე, ის მშვენიერია.

შემდეგ ისევე კითხვითი ფორმით, — ჩვეულებრივ ასე მიმართავენ ბავშვები და ბრძენი, მან განაგრძო:

— ხედავდე? რა გინდათ ამ სიტყვებით გამოხატოთ თქვენ, ვისაც მხედველობა გაქვთ? მე ვერ ვხედავ, მაგრამ მე ვიცი. მე რომ მკითხონ, ვინც თვალხილულია, იგი ბევრ რამეს ვერ ამჩნევს.

— მაგით რას თქმა გინდა? — შეკითხა გუინპლენი.

— მხედველობა ადამიანს ჭეშმარიტების დანახვას უშლის.

— არა, — უთხრა გუინპლენმა.

— უშლის, — შეედავა დეა, — შენ ხომ ამბობ, ულამაზო ვარო.

წუთიერი დუმილის მერე დაუმატა:

— მატყუარავ!

გუინპლენს ისღა დარჩენოდა, რომ გახარებული ყოფილიყო. მან ალიარა და არ დაუჯერეს. ახლა მისი სინდისიც დამშვიდებული იყო და ხელსარულიც.

ასე მიაღწიეს მათ იმ დრომდე, როცა დეას თექვსმეტი წელი შეუსრულდა, ხოლო გუინპლენი ოცდაშვიდე წელში გადადგა.

ამ დროისათვის მათი პირველი შეხვედრის დღიდან, როგორც ახლა იტყვიან ხოლმე, მათი მდგომარეობის „წინსვლა არ მოშხდარა". მკითხველს ახსოვს, რომ მათ პირველად ერთად ეძინათ. როცა დეა ცხრა თვის იყო, ხოლო გუინპლენი ათი წლისა. ახლა მათი სიყვარული თითქოს გაგრძელება იყო მათივე უცოდველი ბავშვობისა. ასევე ხდება, როდესაც ბულბული ხანდახან განთიადისასაც განაგრძობს ხოლმე სტვენას.

მათი ალერსი ხელიხელგადაჭდობაში ახატებოდა მხოლოდ. გუინპლენი ამჟამად, ისიც ოდნავ თუ წაეკარებოდა ტუჩებით დეას მიშველ მხარს.

ოცდაოთხი წლის ვაჟი და თექვსმეტი წლის ქალი. ჰოდა, რადგან ურსუსს თავის განზრახვაზე ხელი არ აელო — „ვაჩვენებ მათ თამაშსაო", — ერთ დილას მათ გამოუცხადა:

— ამ დღეებში თქვენ მოგიხდებათ სარწმუნოების არჩევა.

— რა საჭიროა, — შეკითხა გუინპლენი.

— იმისათვის, რომ უნდა იქორწინოთ.

— ჩვენ ხომ უკვე ვიქორწინეთ! — შესძახა დეამ.

მას წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ ცოლქმრობა მათი ურთიერთობისაგან ბევრით იყო განსხვავებული.

არსებითად ეს გულუბრყვილო კმაყოფილება ქალისა, ეს მიამიტი სიამე ორი ახალგაზრდისა, რომლებიც იმაზე მეტს არას ეკებდნენ, რაც ახლა მათ შორის იყო, ურსუსს მოსწონდა კიდეც. თუ ის ამაზე რამეს იტყოდა ხოლმე, მხოლოდ იმიტომ, რომ ბუზღუნი სწყეოდა, მაგრამ როგორც შეიცინის მცოდნე კაცს, დეა მას მიაჩნდა, თუ ჯერ მეტად უახალოდ არა, ყოველ შემთხვევაში მეტად საოთახო აგებულებისად; მეტად სუსტადაც იმისთვის, რასაც ის ხორციელ სიყვარულს ეძახდა. ამიტომ ურსუსი ფიქრობდა:

მაინც ჯერ ადრეა.

თუმცა გაინპლენი და დეა სულით და გულით უკვე დაწყვილებულნი იყვნენ.

თუ ქვეყნად განუყრელი ურთიერთობა არსებობს, ამის განხორციელებას გაინპლენი და დეა წარმოადგენდნენ. ეს შესანიშნავი ურთიერთობა წარმოეშვა იმ უბედურებას, რომლის გამო ახალი ურთიერთის შეეთვისნენ. რა ძალა გაწყვეტდა რკინის ჯაჭვს, რომელიც ყვავილების გრეხილით იყო შეკრული.

რა თქმა უნდა, ამ წყვილს ვერარა დააშორებდა ურთიერთს.

დეას სილამაზე ჰქონდა, გაინპლენს მხედველობა. ეს იყო თითოეულის მხითვი. ეს ორი არსება უბრალო წყვილი კი არა და საუცხოოდ შერჩეული წყვილი იყო. მათი გამყოფი უბიწოების მიჯნა იყო მხოლოდ.

მაგრამ რამდენადაც უნდა ცდილიყო გაინპლენი, რათა საყვარული ოცნებით შემოეფარგლა, მხოლოდ დეას ცქერითა და ტრფიალით დაკმაყოფილებული, ის მაინც ვაჟკაცი იყო. საბედისწერო კანონების აცილება შეუძლებელია. გაინპლენში ის ძალა დუღდა, რაც შემოქმედს ადამიანისთვის მიუნიჭებია. ხან, როდესაც ხალხის წინაშე წარმოდგენებზე გამოდიოდა, იქ მყოფ ქალებს დააცქერდებოდა ხოლმე, მაგრამ უმალვე ისევ თვალს ააშორებდა მათ და სულში სინანულით ცდილობდა მაცქერალთაგან გაცლას. მალე წასულას.

უნდა ითქვას, რომ მას თანაგრძნობით არ უპასუხებდნენ. ეისაც კი ის შეხედავდა, ყველა ქალის სახეზე ბიბლის, ანტაკითიას და სიძულვილს ამოიკითხავდა ხოლმე, როგორც ბილწისადმი. ცხადი იყო, რომ გარდა დეასი, მას არც ერთი ქალი არ გაეკარებოდა.

რამდენ სიმართლეს შეიცავენ ზღაპრები, სატანას მწველი, უხილავი შებება, ეს იგივე ქენჭნაა სინდისისა. მას ჩვენში ცუდი ფიქრები აწვევენ.

გუინპლენს ცუდი ფიქრები არ აწუხებდა და ამიტომ არც სინდისი ქენჭნიდა. მაგრამ დროგამოშვებით იგი უკმაყოფილებას გრძნობდა თავისი თავისადმი.

ეს იყო სინდისის ბუნდოვანი გამოძახილი.

რა იყო იგი? არაფერი.

გუინპლენი და დეა ბედნიერებით აღსავსენი იყვნენ და ღარიბადაც უკვე აღარ ჩაითვლებოდნენ.

1689 წელსა და 1704 წელს შუა მათ მდგომარეობაში ცვლილებები მოხდა.

1704 წელს, ხანდახან რომელიმე სანაპირო ქალაქში შედიოდა მოზრდილი, ფურგონი, რომელშიც ორი კარგა ღონიერი ცხენი იყო შებმული. ფურგონი ჭირაზე გადაბრუნებულ ხომალდს მოგაგონებდათ, ოთხ საგორაე თვალზე შედგმულს, ძარა-ხერხემალი ჭერის მაგიერ და გემბანი იატაკის მაგიერ. საგორაე თვლები ოთხივე ერთი ზომისა იყო. სწორედ დასატვირთავი ურმის თვლებს მიაგავდა. ფურგონი თვლებიანად და ხელნებიანად მწვანედ იყო შეღებილი, რაც თანდათანობით ღია ფერში გადადიოდა: თვლები შუქ მწვანედ, ფურგონი მკვეთრ მწვანედ, ხოლო მისი ზედა ფარდული — საბურავი უფრო მკრთალ მწვანედ. ამ საგორებელზე შემდგარი საზიდარ-სახლაკის მწვანე ფერმა ყურადღება მიიქცია და ბაზრებზე უკვე სახელიც გაითქვა. მას „მწვანე ყუთი“ შეარქვეს. „მწვანე ყუთს“ მხოლოდ ორი სარკმელი ჰქონდა. ორთავე მხრიდან თითო. უკანა მხრიდან კარები იყო ძირს დასაშვები მცირე საფეხურებიანი კიბით. ჭერს ზემოთ აზიდული მილიდან, რომელიც ასევე მწვანედ იყო შეღებილი, ბოლი ამოდიოდა. ამ საგორაებიანი სახლაკის კედლები შუდამ ახალი სანდალოზით იყო შეპრიალებული და სუფთად გარეცხილი. ფურგონს — კოფოდან სარკმელი ჰქონდა, რაც აგრეთვე ფურგონში მყოფთა და კოფოზე მჯდომთა დასაკაშირე-

ბლად კარების მაგიერობასაც სწევდა. ცხენების სადაგები კედელზე მჯდომ მოხუცს ეჭირა. მის გვერდით ორი ბოშა ქალი იჯდა. ასანი ქალღმერთებად მოკაზმულნი ლორიტორის უკრავდნენ. მოქალაქენი პირდაღებულნი უცქერდნენ ამ მოზრდილ ჯოხურას, რომელიც თავმოწონებულ აქეთ-იქით ქანაობდა, მიგოგმანობდა მალალ თელებზე შემდგარი. მასზე მითქმა-მოთქმაც გახშირდა მაყურებელთა შორის.

ურსუსის წინანდელი კარავი — ბალაგანი ახლა უკეთეს ნაგებობას შეეცვალა, სწორედ ნამდვილ თეატრად ქცეულიყო. ამ მოხაზულე თეატრ-სახლაკის ქვეშ, საგორაკებს შუა, ჯაჭვით დაბმული იყო რალაც, არცთუ ძალლი, არცთუ მგელი. ეს პოძო იყო.

მოხუცი მეუტლე ცხენების გამრეკი ვინ იქნებოდა, თუ არა ჩვენი ფილოსოფოსი.

რამ გამოიწვია უბადრუკი ურიკის შეცვლა ასეთი ოლიმპიური ეტლით?

გუინპლენის სახელგანთქმულობამ.

ურსუსმა ნამდვილად ალღო აუღო იმას, რასაც ხალხში წარმატებას ეძახიან, როდესაც მან გუინპლენს უთხრა:

— შენს სიმდიდრეზე უზრუნიათო.

როგორც მკითხველს ახსოვს, ურსუსმა გუინპლენი თაყვის მოწაფედ გაიხადა. უცნობმა ადამიანებმა ბავშვის სახე ხელახლა ჩამოაყალიბეს; ხოლო ურსუსი ეცადა მისი გონებაც ცხადად ჩამოეყალიბებინა; ეცადა ვსოდენი წარმატებით გამოჭრილი ნიღბის მიღმა მოეთავსებინა რაც შეიძლება მეტი აზრების მარაგი. ურსუსმა როგორც კი შეატყო მოზრდილ ბიჭუნას, კომედიანტის როლში გამომადგებაო, გამოიყვანა კიდეკაც სცენაზე. ესე იგი, თაყვისი ბალაგანის დერეფნის ფიცარნაგზე. გუინპლენის გამოსულამ არაჩვეულებრივი გავლენა მოახდინა. მაყურებელნი უმალვე ალტაცებაში მოვიდნენ. ჯერ არაყის არასდროს ენახა ამ საოცარი სიცილის ნიღბის მსგავსი რამ. არავინ იცოდა, რა საშუალებით მოეხდინათ ასეთი სასწაული.

ზოგნი ამ სიცილს, რომელიც ესოდენ გადამდები იყო მაცქერალთათვის, ბუნებრივად მიიჩნევდნენ, ზოგს კი ხელოვნურად მოაწყობინამდვილეს სხვადასხვა დასკვნა და ეჭვი შეეზარდა და ყველგან, გზაჯვარედინებსა თუ მოედნებზე, ბაზრებზე თუ სადღესასწაულო სეირნობებზე ხალხი მიისწრაფოდა გუინპლენის სანახავად. ასეთი

ბრწყინვალე ატრაქციონის“ წყალობით მოხეტიალე ჯამბაზების ცარიელ ქისაში ჯერ ლიარები მოზღვავდა ქვიშასავით, შემდეგ მრავალი სუ და ბოლოს, უხვად, შილინგებიც აწკრიალდა. რაკი ხალხის ცნობისმოყვარეობას ერთ ადგილას დააკმაყოფილებდნენ, ახლა სხვა ადგილას მიემგზავრებოდნენ ფურგონით. ქვის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაგორებას არაფერი სარგებლობა არ მოაქვს, მაგრამ ბორბლებიანი სახლაკი ასეთ მოგზაურობაში რამდენადაც წლები გადიოდა, იმდენად უფრო მდიდრდებოდა. ხოლო ქალაქიდან ქალაქში მოხეტიალე გუინპლენი ვაჟკაცდებოდა და უფრო სახიჩარი ხდებოდა. ბოლოს, ურსუსის მიერ ნაწინასწარმეტყველევი სიმდიდრეც მოვიდა.

— რა კარგი სამსახური გაუწევია შენთვის, შვილიკო, ვინც ასე აგზატ-ჩაგზატა! — იტყოდა ხოლმე ურსუსი.

ამ „სიმდიდრემ“ მისცა საშუალება გუინპლენის წარმატების ხელმძღვანელ ურსუსს, იმნაირი ცხენის ურემი მოეწყო, რომელზედაც მუდამ ოცნებობდა, ესე იგი, იმდენად ფართო ფურგონი, რომ შიგ თეატრი მოთავსებულიყო. ნამდვილი თეატრი, რომელიც ყველა გზაჯვარედინზე მეცნიერებისა და ხელოვნების კეთილმყოფელ თესლს დათესავდა. ურსუსს საშუალება მიეცა თავისი დასისათვის, რომელსაც შეადგენდნენ ჯერ მხოლოდ თვითონ, ჰომო, გუინპლენი და დეა, ახლა უკვე შემოემატებინა ორი ცხენი და ორი დედაკაცი. ეს უკანასკნელნი, როგორც უკვე ვთქვით, ღმერთქალებისა და, ამასთან ერთად, მსახურთა როლებსაც ასრულებდნენ. იმ ხანებში ჯამბაზების ბალაგანებისათვის სასარგებლო იყო მითოლოგიური აბრა ჰქონოდათ.

— ჩვენ მოგზაურ ტაძარს წარმოვადგენთ, — ამბობდა ურსუსი.

ორი ბოშა დედაკაცი, რომლებიც ფილოსოფოსმა ქალაქ-დაბებში მოხეტიალე ჭრელი ბრბოს წევრთაგან გამოარჩია, ახალგაზრდები იყვნენ, მაგრამ ულამაზონი. ერთს ურსუსის შერჩევით სახელად ფებე ეწოდა, მეორეს ვენერა. ან კიდევ რამდენადაც საჭიროა ინგლისურ გამოთქმებს შევუთანხმდეთ, — ფები და ვენუს.

ფებე საჭმელს ამზადებდა, ხოლო ვენერა ასუფთავებდა ტაძარს ხელოვნებისას.

გარდა ამისა, წარმოდგენის დღეებში ისინი დეას ტანთჩაცმაში შველოდნენ.

ამ დღეების გარდა, როდესაც მიმოსი-მასხარები ხელმწიფეების მსგავსად „ხალხს ესეენებოდნენ" ხოლმე, დეას ისევე, როგორც ფებისა და ვენუსს, ფლორენციული დაჩითული ბოლოკაბა ეცვა და ზემოდან მოკლე, უსახელო ზედატანი. ურსუსსა და გუინპლენს მამაკაცის ჟილეტები, ტყავის შარვლები და ყელმაღალი ჩექმები, როგორიც სამხედრო ხომალდის მატროსებს აცვიათ ხოლმე. გუინპლენი ამის გარდა, მუშაობისა და ტანვარჯიშის დროს, ტყავის წინსაფარსაც იფარებდა. ის ხომ ცხენებსაც უვლიდა. ურსუსი და ჰომო ისევ ისე ერთმანეთის ზრუნვაში იყვნენ გართულნი.

დეა იმდენად შეეჩვია „მწვანე ყუთს", რომ შიგ ისე მიდი-მოდიოდა და დასეირნობდა, როგორც თვალხილული ადამიანი. თუ ვინმე დაინტერესდებოდა ამ მოგზაურობაში მყოფი ნაგებობის შიდა მოწყობილობით და შეიხედავდა, დაინახავდა კედლის ერთ კუთხეში მიმაგრებულ ურსუსის წინანდელ ფიცრულა ურიკას, ის ახლა გზებზე აღარ მიჯაყჯაყებდა. ისევე როგორც ჰომო, რომელიც ჭაპანში აღარ იყო შებმული და საგორავებზე შედგმული ფიცრულას ზიდვა არ უწევდა.

ფურგონის ბოლოში მიდგმული ეს დანჯღრეული ფიცრულა ახლა ურსუსისა და გუინპლენის საძინებლად და მსახიობთა საგარდერობოდ იყო გამოყენებული. ახლა იქ ორი საწოლი იდგა და მათ გვერდით კუნჭულებში სამზარეულო ქურა მოჩანდა. თვით ხომალდზედაც ძნელად თუ შეხვდებოდით უფრო მოფიქრებულსა და მიზანშეწონილ განლაგებას საგნებისას, როგორც ეს „მწვანე ყუთში" სუფევდა. იქ ყველაფერი თავის ადგილზე იყო, ზუსტად გათვალისწინებული და წინასწარ გამოზომილი. ფურგონი წვრილი სალტეებით სამად იყო გადატიხრული. გასასვლელში კარი არ ჰქონდა, მხოლოდ ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული. უკანა განყოფილებაში კაცები თავსდებოდნენ, წინაში — ქალები, შუა განყოფილება თეატრს ეჭირა. საკრავები სპექტაკლებისათვის და სხვა საჭიროებანი სამზარეულოში ინახებოდა. დეკორაციები ფიცარნაგის ქვეშ ამოედოთ. ფიცარნაგზე მოწყობილი კიბის აწევისას დაინახავდით ლამპებს, რომელთა დანიშნულება იყო „მაგიური შუქნათელის" ეფექტის შექმნა.

ამ „მაგიურ ეფექტებს" ზემთაგონებული ურსუსი აზდენდა ხოლმე. პიესებსაც თვითონვე თხზავდა.

ურსუსი მრავალნაირი ნიჭის პატრონი იყო. სხვადასხვა იშვიათ ოვალობას ურჩენებდა მაყურებლებს. გარდა იმისა, რომ იგი ქვლანაირ ხმებს პბაძავდა, აგრეთვე სანათლისა და ჩრდილის გაკლენით ყველანაირ მოულოდნელ ილეთებს აკეთებდა. უცებ ცხლოვან ციფრებს გამოხატავდა, ან რომელიმე სიტყვებს, მაცქრალთა სურვილის მიხედვით, ბნელ ბურუსში სხვადასხვა სახეების გამოჩენა-გაუჩინარებას ახდენდა და სხვა ამგვარი უცნაური საკნაობებით აკვირვებდა ირგვლივ მოჯარულ მაყურებლებს. ამასთანავე, თვითონ ყურადღებას არ აქცევდა ხალხის აღტაცებას და თითქოს ღრმა ფიქრებში იყო წასული.

ერთხელ გუინპლენმა უთხრა:

— მამა, თქვენ ჯადოქარს ჰგავხართ.

ურსუსმა უპასუხა:

— მერე რა, შეიძლება მე მართლაც ჯადოქარი ვარ.

„მწვანე ყუთი“ ურსუსის ნახაზების მიხედვით იყო ნაგები. მას საკმაოდ გონებამახვილური მოწყობილობა ჰქონდა. ფურგონის მარცხენა კედლის მთელი შუა ნაწილი, წინა და უკანა თვლებს შორის, სახსრებით იყო დამაგრებული. ჯაჭვებისა და ჭახრაკების საშუალებით სურვილისამებრ გადმოუშვებდნენ ასაწევ-დასაწევი ხიდივით. როდესაც გადმოუშვებდნენ ხოლმე, ანჯამებით ზედ მიმაგრებული სამი ბოძკინტი ვერტიკალურად გასწორდებოდა და მიწაზე დადგმულნი მაგიდის ფეხებივით ზედ იმაგრებდა ფურგონის კედელს, რომელიც ახლა თეატრალურ ფიცარნაგად ქცეულიყო. მაყურებლების წინაშე გაჩნდებოდა სცენა, რომლის გადაშვებული კედელი ავანსცენას წარმოადგენდა. ამ ხერელს მის ახლო გამვლელი, დაფეთებული პურიტანი მჭადაგებლები თვალს არიდებდნენ და ამბობდნენ: სწორედ ჯოჯოხეთში შესასვლელ კარს გვაგონებსო. საფიქრებელია, რომ ასეთივე უმართებულო გამოგონებისათვის მიუსაჯა სოლომონმა თესპიოსს გაჯოხვა.

სხვათა შორის, თესპიოსის გამოგონებამ უფრო ხანგრძლივად იარსება, ვიდრე საერთოდ ფიქრობენ. თეატრი-ფურგონი დღემდე არსებობს. სწორედ ასეთ მოხეტიალე ფიცარნაგებზე მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეებში დგამდნენ ამნერისა და პილკინგტონის ბალეტებსა და ბალადებს, საფრანგეთში ჟილბერ კოლენის პასტორალებს, ფლანდრიაშიც ბაზრებზე დგამდნენ ორმაგ გუნდს

კლიმენტისას, რომელსაც ცრუ პაპის სახელი შეერქვა. გერმანიაში ამ სახითვე წარმოადგენდნენ თეილის მიერ შეთხზულ „ადამ და ევას", იტალიაში იდგმებოდა ვენეციური ინტერმედიები ანიმუჩისა და კაფოსის, აგრეთვე ვენუზის პრინცის ჯეზუალდოს სილვები, „სატირები" ლაურა გვიდიჩონის, „ფილენის სასოწარკვეთილება" და „უგოლინოს სიკვდილი" ვინჩენცო გალილეისა — ასტრონომის მამისა, ამასთანავე ვინჩენცო გალილეი თვითონვე მღეროდა თავის თხზულებებსა და თან ვიოლადა გამბას უკრავდა. ასევე მოხეტიალე თეატრალურ ფიცარნაგებზე წარმოადგენდნენ ხოლმე პირველ ცდებს იტალიური ოპერებისას, სადაც 1580 წლიდან თავისუფალმა ალმაფრენამ თანდათან მადრიგალური ჟანრი შეცვალა.

ფურგონი იმედისფრად იყო შეღებილი; იგი ურსუსსა და გუინპლენს ამოგზაურებდა მთელი მათი ავლადიდებით; ფები და ვენუსი, კოფოზე მსხდარნი, როგორც ზეიმ-დიდების მაუწყებელნი, ლოროტოტოს აძახებდნენ, ეს ფურგონი დიდებულ მოხეტიალე ლიტერატურულ ოჯახს ეკუთვნოდა: თესპიოსი ზურგს არ შეაქცევდა ურსუსს, ისევე როგორც კონგრივი ვერ დაგმობდა გუინპლენის მონაცემებს.

რომელიმე ქალაქში ან სოფელში შესვლისას ურსუსი ფებისა და ვენუსის ლოროტოტოს შეძახილებზე მოგროვილ ხალხს განუმარტავდა ამ მუსიკას თავისი დამრიგებლური სიტყვებით:

— ეს არის გრეგორიანული სიმფონია,* მოქალაქენო, გრეგორიანულ საგალობელს იტალიაში წინააღმდეგობას უწევდნენ ამბროზიანული,* ესპანეთში მოზარაბიული* კანონები, მაგრამ გრეგორიანულმა გაიმარჯვა, თუმცა დიდი სიძნელეების შემდეგ.

ამის მერე „მწვანე ყუთი" გაჩერდებოდა სადმე, ურსუსის მიერ შერჩეულ ადგილას და სალამოთი კედელი-ავანსცენა გადაეშვებოდა, თეატრი იხსნებოდა და წარმოდგენა იწყებოდა.

„მწვანე ყუთის" დეკორაციები ურსუსის მიერ დახატულ პეიზაჟებს გამოხატავდა. ფერადები გამოყენებული არ იყო, რის გამოც საჭიროების დროს პეიზაჟი ქვესკნელის გამოსახატავადაც გამოდგებოდა.

ფარდა შეკერილი იყო ოთხკუთხა, ჩალისფერი აბრეშუმის ნაკუწებისაგან.

მაყურებლები ღია ცის ქვეშ თავსდებოდნენ, ფიცარნაგის წინ,

ჭუჭაში ან მოედანზე ნახევარწრედ ჩამხდარნი მზეში თუ წვიმაში; ამის გამო იმ დროის თეატრს წვიმა გაცილებით მეტად აზარალებდა, ვიდრე ახლანდელ თეატრებს. თუ შესაძლებლობა გამოჩნდებოდა, წარმოდგენებს მართავდნენ სასტუმროს ეზოებშიც. მაშინ მაყურებელთა ლოჟების იმდენი სართული აღმოჩნდებოდა, რამდენსართულიანიც სასტუმრო იყო. ასეთ შემთხვევაში თეატრი უფრო დახურული შენობის მსგავსად ითვლებოდა და ხალხიც ადგილების ფასს უფრო მეტს იხდიდა.

ურხუსი ყველაფერში მონაწილეობდა: პიესის შეთხზვაში, მის შესრულებაში, ორკესტრში. ვენუსი ხის ციმბალს უკრავდა; ის ოსტატურად უკაკუნებდა ხის ჩაქუჩებით კლაეშებზე; ხოლო ფები ხიმებზე თითების გამოკვრით ერთგვარ გიტარისნაირ საკრავს უკრავდა. მგელიც კი საქმეში ჩააბეს; ისიც დასის შემადგენლობაში ირიცხებოდა და შეძთხვევისთანავე პატარა როლებს ასრულებდა. როდესაც ურხუსი და პომო სცენაზე ერთად გამოჩნდებოდნენ, — ურხუსი ტანზე მჭიდროდ შემოფუთნილი დათვის ტყავითა და პომო თავისი საკუთარი მგლის ტყავით, უფრო მჭიდროდ შემოკრულით, მაშინ მაყურებლებს ველარ გამოეცნოთ, რომელი მათგანი იყო ნამდვილი ნადირი; ეს გარემოება ურხუსს კმაყოფილებას მგვრიდა.

IX

უცნაურობანი, რასაც ცუდი გემოვნების ადამიანები პოეზიას უწოდებენ

ურხუსის პიესები ინტერლუდიის ხასიათისა იყო; ეს ლიტერატურული ჟანრი ჩვენს დროში გარკვეულწილად მოდიდან გადავიდა. ერთ ასეთ პიესას, რომელიც ჩვენამდე არ მოღწეულა, „URSUS RURSUS~* ეწოდებოდა. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ პიესაში ურხუსი მთავარ როლს ასრულებდა. მთავარი მოქმედი პირის მოჩვენებითი წასვლა სცენიდან და უცბადვე ისევ ახალი, ეფექტური გამოჩენა, ასეთი იყო, როგორც ჩანს, ამ პიესის მარტივი და საქებარი სიუჟეტი.

ურხუსის ინტერლუდიებს, როგორც მკითხველი ხედავს, ხოგერ ლათინური სახელწოდება ჰქონდა. შიგ ჩართული ლექსები

ესპანურ ენაზეც იყო. ურსუსის ესპანური ლექსები გარითმული იყო ხოლმე, როგორც საერთოდ, იმ დროის ყველა კასტილიური სონეტი. საზოგადოება ამით უხერხულობას არ გრძნობდა. იმ ეპოქაში ესპანური ენა საკმაოდ გავრცელებული იყო, და ინგლისელი მეზღვაურები კასტილიურ დიალექტზე ისევე თავისუფლად ლაპარაკობდნენ, როგორც რომაელი ჯარისკაცები კართაგენულზე. ნახეთ პლავტი*. ამასთანავე თეატრში და წირვაზედაც ლათინური ან სხვა რომელიმე ენა, რომელიც აუდიტორიისათვის გაუგებარი იყო, მაინც არავის დაბრკოლებას არ უქმნიდა. უცხო ენას ხან მხარულად ნაცნობ სიტყვებსაც ურთავდნენ. ეს გარემოება ნაწილობრივ ეხმარებოდა ძველი გალების საფრანგეთის ღვთისმოშიშობის დაცვაში. მორწმუნენი ეკლესიაში „IMMOLATUS–*-ის ხმაზე გალობდნენ, „მოდით ვიმხიარულოთ“, „SANCTUS–*-ის ხმაზე გალობდნენ, „მაკოცე, მეგობარო“. საჭირო გახდა ტრიდენტის კრების საგანგებო დადგენილება, რომ ამგვარ თავისუფლებას ბოლო მოეღებოდა.

ურსუსმა სპეციალურად გუინპლენისათვის შეთხზა ინტერლუდია, რომელიც თვითონაც ძალიან მოსწონდა. ეს იყო მისი საკუთარი ნაწარმოები. ამაში ჩააქსოვა ურსუსმა მთელი თავისი სული. თავის შემოქმედებაში მთლად თავისი თავი გამოხატოს, ამაზე მეტი ზეიმი განა იქნება შემოქმედისათვის? გომბეშო რომ მეორე გომბეშოს შობს, შედევრსა ქმნის. ეჭვი გაქვთ? თქვენ თვითონა სცადეთ ეს.

ურსუსი ბეჯითად აშალაშინებდა ამ ინტერლუდიას. მისი ქმნილების სახელი იყო „დამარცხებული ქაოსი“.

აი ჰიესის შინაარსიც:

ღამეა, ფარდა იხსნებოდა და „მწვანე ყუთის“ წინ მოგროვილი ბრბო ვერაფერს ხედავდა, გარდა სიბნელისა. ამ თვალით განუჭვრეტელ წვდიადში დაბლა დახოხავდა სამი, ოდნავ შესამჩნევი ფიგურა: მგელი, დათვი და ადამიანი. მგლის როლში გამოდიოდა მგელი, დათვისაში ურსუსი, ადამიანის როლს კი გუინპლენი ასრულებდა. მგელი და დათვი ბუნების ტლანქ ძალებს, შეუცნობელ მისწრაფებებს, ველურ უშეცრებას გამოხატავდნენ. ორივენი, დათვიც და მგელიც, გუინპლენს მიესეოდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქაოსი ებრძვის ადამიანს. სამივეს ბუნდოვანი მოხაზულობა სიბნელეს

ბოლება. სედარაში გახვეული გუინპლენი თავს იცავდა; ხშირი გრძელი თმა სახეზე ჩამოფარებოდა. მგელი კბილებს აღრაჭუნებდა, ადამიანი გუთრობდა. ადამიანი იღუპებოდა ნადირების თავდასხმისაგან, ადამიანი შველას ითხოვდა. მას ხსნა და დახმარება უნდოდა. გულისწამღები ძახილითა და მოწოდებით ხიერცეს მიმართავდა. ბოლოს მოისმოდა მისი ხრიალი. მაყურებლის წინაშე აშლებოდა სულთმობრძაობა პირველყოფილი ადამიანისა, რომელიც ბევრით არ განირჩეოდა ველური მხეცისაგან. ეს სანახაობა ავბედითი რამ იყო. ბრბო სულგანაბული შესცქეროდა სცენას. კიდევ ერთი წამი და მხეცები აზვიმებდნენ, ქაოსი ჩანთქავდა ადამიანს. ბრძოლა, კივილი, ღმუილი... და უცბად ყველაფერი წყნარდებოდა და დუმდებოდა. სიბნელეში სიმღერა მოისმოდა. იგრძნობოდა, რომ რაღაცამ გაიჭრილა, ნაზი ხმა კვლავ ისმოდა. უხილავი არსება მღეროდა და მასთან ერთად ჰაერში იდუმალი მუსიკის ბგერები ირხეოდა. უცებ საიდანღაც, როგორღაც თეთრი ღრუბელი გამოჩნდებოდა; ეს თეთრი ღრუბელი იყო სინათლე წყვდიადში; სინათლე კიდევ ქალად გამოკვლინდებოდა, ხოლო ქალი სულს წარმოადგენდა. გამოჩნდებოდა დეა — მშვიდი, ფაქიზი, მშვენიერი, სამინელი თავისი აღუშფოთველობისა და სიწყნარის გამო; გამოცხადდებოდა შუქით გარემოცული. დილის განთიადის ფონზე შუქმფენი სილუეტი. იგი მღეროდა. ეს იყო ნარნარი, ღრმა, გულიდან ამონადენი, გამოუთქმელად მომხიბლავი ხმა. უხილავიდან ხილული ხდებოდა და მღეროდა განთიადის სხივით მოსილი. ეს სიმღერა უფრო ანგელოზის ან ბულბულის გალობას ემსგავსებოდა. დეას გამოჩენისთანავე ადამიანი, ამ შუქოსნობით შეფოფინებული, უცბად აიმართებოდა, მუშტებს დაუშენდა მხეცებსა და მიწაზე დაანარცხებდა.

მაშინ შუქოსანი მოჩვენება სცენაზე რაღაც ხერხით დასრიალებდა, რაც მაყურებელთათვის ამოუცნობი იყო და რაც სწორედ ამ ამოუცნობლობის გამო იწვევდა მათში აღტაცებას; ეს მოჩვენება ეამოიწყებდა სიმღერას ესპანურ ენაზე; ამ სიმღერის სიფაქიზე მსმენელებში, ინგლისელ მატროსებში, არავითარ ეჭვს არ იწვევდა. აი მისი შინაარსი:

ORA! ILORA!
DE PALABRA
NACE RAZON

DE LUZ EL SON. *

შემდეგ დეა თვალებს ისე დახრიდა, თითქოს თავის ფეხთა ქვეშ უფსკრული დაინახაო და განაგრძობდა:

NOCHE QUITA TE DE ALLI.
EL ALBA CANTA HALLALI.*

რამდენადაც დეას სიმღერა ხმამაღლა გაისმოდა ადამიანიც თანდათან წელში სწორდებოდა: ის უკვე მიწაზე გართხმული მლოცავი აღარ იყო, ახლა მუხლებზე იდგა. დაჩოქილს მოჩვენებისკენ, შუქოსანი ქალისკენ ხელები გაეშვირა, თან მუხლებით თელავდა ორივე უძრავად დამხობილ, თითქოს ელვის ძალით წაქცეულ ნადირს, ხოლო მომღერალი ქალი მას, ადამიანს, ასე მიმართავდა:

ES MENESTER A CIELOS IR,
Y TU QUE LLORABAS REIR. *

მერე მიუახლოვდებოდა მას და მნათობის სიდიადით განაგრძობდა:

QUEBRA BARZON!
DEXA, MONSTRO,
A TU NEGRO
CAPARAZON. *

ამ სიმღერის დროს ლანდი ადამიანს შუბლზე ხელით შეეხებოდა.

მაშინ წყვდიადში სხვა ხმა გაისმოდა, უფრო დაბალი, მაგრამ უფრო ვნებიანი. ეს ხმა იყო მწუხარეც და აღტაცებულიც. ღრმად შემაძრწუნებელი თავისი ველური, მაგრამ მოწიწებული კილოთი. ეს იყო ადამიანის გალობა, პასუხად მნათობი ვარსკვლავის გალობისა. გუინპლენი ისევ მუხლებზე დაჩოქილი იყო: თავის მიერ დამარცხებულ მხეცებს მუხლებს აჭერდა და მიწაზე ართხობდა. გუინპლენის შუბლზე დეას ხელი ისევ ედო, თვითონ გუინპლენი ასე გალობდა:

O VEN! AMA!
ERES ALMA
SOI CORAZON.*

უეცრად ამ წყვდიადის აპკი განიბნეოდა და ნათელი შუქი დაადგებოდა გუინპლენის სახეს.

სიბნელიდან უეცრად ურჩხულის ნიღაბი გამოჩნდებოდა.

იმ დროს მაყურებლებს ისეთი მღელვარება იპყრობდა, რომლის

სრულყოფრად გადმოცემა შეუძლებელია. ბრბოში სიცილ-ხარხარი გაისმოდა. სიცილის ატეხას მოულოდნელობა იწვევს და განა ასეთ დამოლოდებაზე მეტად მოულოდნელი რამე კიდევ იქნება! იმ სინათლის სხივებისგან გამოწვეულ შთაბეჭდილებას, რომელიც მასხარის და ამავე დროს ურჩხულის ნიღაბს ეფინებოდა, ვერაფერს შეადარებდით. ყოველი მხრიდან ხარხარი ისმოდა: მაღლა, დაბლა, წინა და უკანა რიგებში; მამაკაცები, ქალები, მელოტი მოხუცები, ვარდისფერლოყებიანი ბავშვები. იცინოდნენ გულკეთილები, იცინოდნენ ავებიც, მხიარული ადამიანებიცა და ნაღვლიანებიც, ყველას სახე მხიარულებას გაეშუქებინა. ქუჩაში გამვლელნიც კი, რომელნიც აქ მომხდარს ვერაფერს ხედავდნენ, იმ ხმამაღალი სიცილ-ხარხარის გამგონენი, თვითონაც იცინოდნენ. მაყურებლები თავიანთ აღტაცება-ზეიმს ტაშით და ფეხების ბრახუნით გამოხატავდნენ. სცენას ფარდა ფარავდა, მაგრამ გუინპლენს მაინც იწვევდნენ გახელებით. მას უდიდესი წარმატება ჰქონდა. ხალხში ხმა ისმოდა: თქვენ „დამარცხებული ქაოსი" არ გინახავთ? ყველას მიეჩქარებოდა გუინპლენის სანახავად. აქ თავს იყრიდა უზრუნველ-უსაქმური ხალხი, რომ გაეცინათ და გამხიარულებულიყვნენ. მოდიოდნენ მელანქოლიით შეპყრობილნი, ისეთებიც კი, რომელთაც სინდისი ქენჯნიდათ. ეს შეუკავებელი ხარხარი ხან ავადმყოფურ მოვლენად გეჩვენებოდათ, მაგრამ, თუ ქვეყნად არსებობს ისეთი გადამდები რამ, რისაც ადამიანს არ ეშინია, ეს სწორედ გადამდები მხიარულებაა. მაგრამ გუინპლენს წარმატება მხოლოდ ღარიბ-ღატაკ მაყურებელთა შორის ჰქონდა. დიდი ბრბო პატარა ადამიანებისაგან შედგება. „დამარცხებული ქაოსის" ნახვა ერთი პენი ღირდა. წარჩინებულნი და მდიდარნი არ დადიოდნენ, სადაც სანახაობაზე დასწრების ფასი ერთი გროში იყო.

ურსუსი გულგრილად არ იყო განწყობილი თავისი დრამატული ნაწარმოების მიმართ, რომლის შეთხზვამდე იგი დიდხანს ფიქრობდა გუნებაში.

ეს ჩემი პიესა ვინმე შექსპირის პიესების ყაიდაზეა დაწერილიო, — თავმდაბლად აცხადებდა „დამარცხებული ქაოსის" ავტორი.

გუინპლენის დანახვისთანავე მაყურებელთა შთაბეჭდილებას უფრო აძლიერებდა კონტრასტი იმავე გუინპლენსა და მის პარტნიორს, დეას, შორის. სახიჩარი გუინპლენის გვერდით თეთრი ლან-

და ისეთ გრძნობას იწვევდა, თითქოს ქალღმერთის გამოცხადებამ გააკვირვაო. ხალხის ბრბო იდუმალი შემფოთებით შესცქეროდა ქალს. მასში რაღაც ამაღლებული რამ იყო. იგი იმგვარ ქალწულ ქურუმად მოჩანდა, რომლისთვისაც ჯერ უცნობია ადამიანური ვნებები, მაგრამ რომელმაც ღმერთი შეიცნო. კარგად ჩანდა, რომ ქალი ბრმა იყო, მაგრამ ისიც იგრძნობოდა, რომ იგი ყველაფერს ხედავდა. თითქოს იგი ზედ ბუნებრიობის მიჯნაზე იდგა და რაღაც არამიწიერი სინათლით იყო გაშუქებული. ის თითქოს ვარსკვლავეთის სფეროდან ჩამოსულიყო ისეთი გარჯისათვის, როგორც ირჯება ხოლმე ცა, რათა ირგვლივ შუქის ნათელი მოჰფინოს. მან, ამ ქალღმერთისებურმა არსებამ საზიზღარი ურჩხული ნახა და მას ადამიანის სული ჩაჰბერა. იგი იმ შემოქმედი ძალის შთაბეჭდილებას ახდენდა, რომელიც თავისი ქმნილებით კმაყოფილიც იყო და ამავე დროს შეძრწუნებულიც. მის მშვენიერ სახეზე ზეალმტაცი დარცხვენა იხატებოდა; აგრეთვე მტკიცე ნებისყოფა კეთილმოქმედების ჩასადენად, რის შედეგად მას განცვიფრებაც კი ეტყობოდა. ცხადი იყო, რომ ამ არსებას უყვარდა თავისი საზიზღარი; მაგრამ იცოდა კი, რომ იგი საზიზღარია? დიახ, იცოდა, იმიტომ, რომ ეხებოდა მას. არა, იმიტომ, რომ ეს ქალი მას არ უგულებელყოფდა. ამ ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენების, სიბნელისა და სინათლის შეთანაბრება მაყურებელთა შეგნებაში ერთგვარ ბუნდოვანებას ბადებდა, და ამ ბუნდოვანებაში უსაზღვრო სივრცეები ისახებოდა. რა გზით უერთდება ღვთაება პირველად ნივთიერებას? როგორ შეაღწევს სული მატერიაში? რატომ არის, რომ მზის სხივი მთავარი მაცოცხლებელი ძალაა? როგორ ეცვლება სახე უსახურს? როგორ იქმნება უფორმოდან სრულყოფილი მშვენიერება? ყველა ეს საიდუმლოებანი ბუნდოვან სახეებად წარმომდგარნი, თითქმის კოსმოსურ მღელვარებას უნერგავდა მაყურებლებს. და გუინპლენის ნიღბის მაცქერალთ კრუნჩხვის გამომწვევ ხარხარს უძლიერებდა. მაყურებელი თავს როდი იწუხებს, ღრმად ჩაუფიქრდეს ნანახის აზრს. ამიტომ მაყურებლები ავტორის ჩანაფიქრზე დაკვირვების გარეშე მაინც ხედებოდნენ, რომ აქ რაღაც უფრო დამაფიქრებელი, უფრო მეტი იყო იმაზე, რასაც სხვა ფიცარნაგების სანახაობებზე უჩვენებდნენ. ეს არაჩვეულებრივი სპექტაკლი ფარდას ხდიდა ადამიანის გარდაქმნის საიდუმლოებას.

რაც შეეხება დეას ძნელია მისი განცდების სიტყვიერად გადმოცემა. ის გრძნობდა, რომ გარს აუარება ხალხი ეხვია, მაგრამ არ იცოდა, რა იყო ეს ბრბო. მხოლოდ მათი ხმები ესმოდა, მეტი არაფერი. ბრბო მისთვის მხოლოდ შებერვა იყო და არსებითად ეს მართლაც ასეა. თაობათა ცვლაც სხვა რა არის, თუ არა მარადიულობის ამოსუნთქვა. ადამიანი ჩაისუნთქავს, ამოისუნთქავს და სულს განუტევებს. ბრბოში დეას თავი მარტოდმარტო ეგულებოდა და შიშით ძრწოდა, თითქოს მის ფეხქვეშ უფსკრული გადახსნილიყო. მაგრამ ასეთი შეშფოთებისა და მწუხარების მდგომარეობაშიც, როდესაც უდანაშაულო არსებას უფსკრულში ჩავარდნის მოლოდინში აღშფოთება იპყრობს და მზად არის საყვედური აღმოხდეს ამოუცნობი განგების მიმართ, ასეთ წუთებშიც დეა სულით არ დაეშვებოდა; თავისი მარტოობის გრძნობას სძლევდა; სძლევდა აგრეთვე ბუნდოვან შიშსაც ხიფათის წინაშე; უცბად ისევ სიმტკიცეს იჩენდა და საყრდენს პოულობდა; ხელჩასაჭიდს აგნებდა, წყვდიადის უსაზღვრო ქვეყანაში ხელებგაწვდილი, გუინპლენის ბრგე თავს ეყრდნობოდა. ენით უთქმელი სიხარული! იგი ვარდისფერ თითებს ვაჟკაცის ხშირ ხუჭუჭ თმაში აფათურებდა. ხვეულ თმასთან მიკარება ყოველთვის რაღაც ნაზ განცდას იწვევს. დეა ეალერსებოდა ხშირ საწმისს, მაგრამ იცოდა, რომ ეს ლომი იყო; მისი გული ენით გამოუთქმელი სიყვარულით ივსებოდა. ამ დროს ასე ეგონა, რომ ხიფათს არ გადაეყრებოდა. მან თავის გადამრჩენ-მფარველს მიაგნო. ხოლო მაყურებლებს სულ სხვანაირად წარმოედგინათ. მათთვის ხიფათს გადარჩენილი იყო გუინპლენი, ხოლო გადამრჩენი-მფარველი კი დეა. „არაფერია!“ — ფიქრობდა ურსუსი, რომელიც მიმხვდარიყო, რა ხდებოდა დეას გულში, ხოლო დეა დამშვიდებული და აღტაცებული მუხლს იდრეკდა მფარველი ანგელოზის წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ ბრბო იქ მხოლოდ ურჩხულსა ხედავდა და ისიც მოჯადოებული, თავისებურად, სხვანაირად განიცდიდა იმ ტიტანისებური ხარხარის ზეგავლენას.

ჭეშმარიტმა სიყვარულმა არ იცის, რა არის მოჭარბებულობა. იგი სავსებით სულიერია და არ შეიძლება გაცივდეს. გაღვივებულ ნაღვერდალს ფერფლი წაეფარება, ხოლო ცის მნათობს არასოდეს; წარმტაცი განცდები დეასათვის ყოველ საღამოს მეორდებოდა.

ნაზი განცდების გამო მზად იყო ეტირა მაშინ, როდესაც ხალხს სიცილისგან ქანცი უწყდებოდა. დეას ირგვლივ გახელებული მხიარულება გამეფებული იყო; ის კი ფაქიზ ბედნიერებას განიცდიდა.

თუმცა ეს ალვირახსნილი შეუკავებელი ხალისობა, რასაც ბუნკლენის შემაძრწუნებელი ნიღბის უცაბედი გამოჩენა იწვევდა, სულაც არ ეთანხმებოდა ურსუსის ვარაუდებს. მას ღიმილი ურჩევნია ამ ხარხარს. მას უნდოდა მაყურებელი სანახაობას უფრო ნაკლებ ტლანქი თვისებების აღტაცებით შეჰგებებოდა. მაგრამ ტრიუმფი ყოველთვის მანუგეშებელია და ურსუსიც ყოველ საღამოს ურიგდებოდა თავისი პიესის ასეთ, ცოტა არ იყოს, უცნაურ წარმატებას, რაკი ანგარიშობდა, თუ რამდენი შილინგი შედგებოდა შეგროვილი ფარტინგების მთელი წყებიდან და რამდენი გირვანქა სტერლინგი შილინგების მთელი წყებიდან. გარდა ამისა, იგი თავისთვის ამბობდა: როდესაც სიცილი დაცხრება, „დამარცხებული ქაოსი" მაინც თვალწინ წარმოუდგება მაყურებელს და აუცილებლად დატოვებს მათ გრძნობაზე გავლენასო. უნდა ითქვას, რომ თითქმის არ ცდებოდა. ხელოვნების ყოველი ნაწარმოები კვალს ტოვებს ადამიანთა შეგნებაზე. დიახაც, რომ მდაბიო ხალხი ყურადღებით აკვირდებოდა ამ მგელს, დათვს, ადამიანს, ამ მუსიკას, ამ ველურ ღმუილს, რომელზედაც ჰარმონია იმარჯვებს, ამ წყვდიადს, რომელსაც განთიადის სხივები განაბნევდა, ამ სიმღერა-გალობას, რომელიც სინათლეს გამოსცემდა. ყოველივე ამას ეს მდაბიო ხალხი მაინც თანაუგრძნობდა, თუმცა ბუნდოვნად, მაგრამ ღრმა სიმპათიით; კიდევაც ერთგვარი პატივისცემითა და სინაზითაც. თანაუგრძნობდა ამ დრამატულ პოემას, ამ „დამარცხებულ ქაოსს", ამ ნათლის საწყისის გამარჯვებას ბნელეთის ძალებზე, რაც ადამიანს სასიხარულო ზეიმს ანიჭებდა. აი ასეთნაირი იყო ტლანქი დროს ტარება-მხიარულება მდაბიო ხალხისა.

ისინი ამგვარი სანახაობით სავსებით კმაყოფილდებოდნენ. მათ არ ჰქონდათ საშუალება, დასწრებოდნენ „კეთილშობილ ორთაბრძოლას", რომელსაც კეთილშობილი ჯენტლმენების გასართობად აწყობდნენ. არც იმის საშუალება გააჩნდათ მსგავსად წარჩინებულ დიდკაცობისა, თავისი გინეის სანაძლეოს ჩამოსულიყვნენ ჰელმსგეილის საქომაგოდ და ფილემ-გე-მედონის საწინააღმდეგოდ.

X

ცხოვრებიდან გარიყული ადამიანის შეხედულებანი საგნებსა და ადამიანებზე

ადამიანს ყოველთვის აქვს იდუმალი ზრახვები, — შური იმის მიღებული სიამოვნების სამაგიეროდ, აქედან წარმოდგება სიძულვილი მსახიობისადმი.

ეს არსება მე მხიბლავს, მართობს, მანუგეშებს, მიზიდავს, ზნეობრივად მამაღლებს, მასიამოვნებს, მარგებელია ჩემთვის — მაშ, რა ბოროტებით გადავუხადო სამაგიერო? დამცირებით. სიძულვილი, ეს არის სილაქი შორიდან. მაშ სილა გავაწნათ. იგი მე მომწონს — მაშ, ის ბილწია. მან მე სამსახური გამიწია, სამაგიეროდ მძულს. სად ვიპოვო ქვა, რომ ვესროლო? მღვდელო, მომეცი შენი ქვა! ფილოსოფოსო, მომეხმარე! ბოსუე, განკვეთე იგი ეკლესიიდან! რუსო, აძაგე იგი! ორატორო, მიაყარე სიტყვასავით, რაც კი ავი და შავი მოგადგება პირზე!* დათვო, მისცზე იმას ერთი რიყის ქვა! ქვა და ლოდი ვესროლოთ ხეხილს, ნაყოფი დავთქვროთ და შევჭამოთ. „ვაშა!" და „ძირს"! პოეტის ლექსების თქმა — ჭირიანობას ნიშნავს. ჰეი, შენ, ჯამბაზო და ტაკიმასხარავ! მისი წარმატების საპატივცემლოდ ჩვენ რკინის საყელური შევაბათ და სამარცხვინო ბოძზე მივაჯაჭვოთ. მისი ტრიუმფი ჩვენ მის შევიწროება-დევნით დავასრულოთ. დეე, მოაგროვოს თავის ირგვლივ ხალხის ბრბო და ამითვე თავისი მარტოობა შექმნას. აი ამნაირად შეძლებული კლასის ადამიანებმა, ე.წ. მაღალი წრის ადამიანებმა გამოიგონეს კომედიანტისთვის განსაკუთრებული ფორმა საზოგადოებიდან გარიდება-განშორებისა. ეს არის აპლოდისმენტი.

მდაბიო ხალხი ასეთი სასტიკი არ იყო. მას არ სძულდა გუინპლენი და არ ეზიზღებოდა. მაგრამ მაინც ინგლისის ყველაზე უკანასკნელი ნავსადგურის ყველაზე მდაბიო მეძენძე-მჩურთავი თავის თავს აუცილებლად მაღლა აყენებდა ამ გამამხიარულებელ „ეიგინდარაზე" და ფიქრობდა, რომ მეძენძე-მჩურთავი იმდენად მაღლა იდგა მასხარა-ჯამბაზზე, რამდენადაც ლორდი — მეძენძე-მჩურთავზე.

მაშ ასე, როგორც ყველა სხვა კომედიანტი, გუინპლენიც, რომელსაც მაყურებლები ტაშს უკრავდნენ, მარტოდმარტო გრძნობდა

თავს. ამასთანავე ამ ჩვენს დალოცვილ დედამიწაზე ყოველივე წარმატება დანაშაულია, თუკი მისი გამოსყიდვა ხდება საჭირო. ყოველ მედალს მეორე მხარეც აქვს.

გუინპლენისათვის ეს მეორე მხარე არ არსებობდა. იმიტომ, რომ მისი წარმატების ერთიცა და მეორე შედეგიც მას ჭკუაში უჯდებოდა: ის კმაყოფილი იყო ტაშითა და კმაყოფილი იყო მარტოობითაც. ტაში მას სიმდიდრესა სძენდა; მარტოობა ბედნიერებას ანიჭებდა.

მდიდარი იყო საზოგადოების დაბალ ფენაში, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ღარიბად არ იყო. ტანსაცმელი დახეულ-გაცვეთილი არ გეცვას, კუჭის სიცარიელე არა გტანჯავდეს და არც უმეშობა გაწუხებდეს. საჭმელ-სასმელი ნებისად გაგაჩნდეს, გქონდეს ყოველივე აუცილებელი. ამასთანავე შესაძლებლობაც, რომ მათხოვარს ორიოდე გროში მიაწოდო. აი, ამ ზომიერ კმაყოფილებას მიაღწია გუინპლენმა, რაც რამდენადმე დამოუკიდებელ ცხოვრებას უქმნიდა.

მაგრამ სული მისი აურაცხელი სიმდიდრის მფლობელი იყო. ის ორმხრივი სიყვარულით ტკბებოდა. მეტი რა ისურვოს გულმა?

სხვა არც არაფერი სურდა.

მგონი, ერთადერთი, რაც შეიძლებოდა მისთვის შეგვეთავაზებინა, ის იყო, თუ სიგონჯისგან ვიხსნიდით. მაგრამ როგორი აღშფოთებით უარყოფდა იგი ასეთ წინადადებას! მოეშორებინა ნიღაბი, დაებრუნებინა თავისი ნამდვილი პირისახე, ისევ ისეთი გამხდარიყო, როგორიც შესაძლოა ოდესმე ყოფილიყო — ლამაზი და მიმზიდველი — არაფრის გულისათვის ამაზე არ დათანხმდებოდა! მაშინ დეას პურს ვინღა აჭმევდა? რა ეშველებოდა საცოდავ, უსუსურ ბრმას, რომელსაც ის უყვარდა? სიცილისაგან ასე რომ არ იმანჭებოდეს, რის მეოხებითაც იგი ერთადერთი თავისებური ყაიდის კომედიანტია, მაშინ უბრალო მასხარაღა იქნებოდა, ჩვეულებრივი ტანმოვარჯიშე, ქუჩასა და ეზოში გადმოგდებული გროშების ამკრეფი. მაშინ, შესაძლოა, დეასაც მუდამდღე არა ჰქონოდა პური. იგი ძლიერი, ღრმა და გულმოსაზვედრი სიამაყით გრძნობდა, რომ იმ უსაშველო ციური ქმნილების მფარველი იყო. წყვდიადი, მარტოობა, გაჭირვება, უსაშველობა, უმეცრება, შიმშილი და წყურვილი — შვიდი დაღებული ხახა სიღარიბისა — განრთხმულიყო მის წინაშე; ხოლო ის იყო წმინდა გიორგი, რომელიც ამ გველეშაპს ებრძოდა

და კიდეც ამარცხებდა სიღარიბეს. რითი? თავისი უსახურობით, თავისი სახიჩრობის წყალობით მას სარგებლობა მოჰქონდა, დახმარებას უწევდა, გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდა, სახელოვანი გახდა. ოღონდ კი გამოხულიყო მაყურებელთა ნინაშე და ფულებით ჯიბეს უვსებდნენ. იგი ბრბოზე ბატონობდა, მბრძანებელი იყო მისთვის, გუინპლენს, ყველაფრის გაკეთება შეეძლო დეას გულისთვის. ამაზედაც ზრუნავდა, რომ დეას აუცილებელი საჭიროებანი დაეკმაყოფილებინა. ასრულებდა მის ყოველ სურვილსა და ფანტაზიებსაც კი იმ ვიწრო ფარგლებში, როგორიც შეიძლებოდა ჰქონოდა ბრმა ქალს. გუინპლენი და დეა, როგორც ჩვენ ვამბობდით, ნამდვილად განგებას დაუნიშნა ერთმანეთისათვის. გუინპლენი გრძნობდა, რომ დეა მას აღაფრთოვანებდა. ქალიც გრძნობდა, რომ გუინპლენი მზად იყო ხელში ავეკანილი ეტარებინა. ამაზე უფრო სიამოვნება არაფერია, რომ საყვარელ არსებას მფარველობდე, მისცე ყველაფერი აუცილებელი იმას, ვინც ვარსკვლავებამდე გამაღლებს. გუინპლენმა შეიცნო ეს უმაღლესი ნეტარება. თავისი უსახურობით მისწვდა ამას. ეს უსახურობა სძენდა მას უპირატესობას ყველაფერზე. თავისი სიამახინჯის წყალობით ინახავდა თავის თავსაც და მახლობლებსაც. კმაყოფილიც იყო და ამაყობდა კიდეც ამით. სიგონჯე მას უნებელსა ხდიდა. ბედისწერა მას ველარას დააკლებდა: ის უკვე ამოიწურა, რადგან ახე მუხანათურად სასტიკი დღე დაასვა, ხოლო ამ დღემა გუინპლენს ზეიმი შეუქმნა. უბედურებათა მორევი ნათელი ბედნიერების მწვერვალად იქცა. გუინპლენი ტყვე გახდა საკუთარი სახიჩრობისა; მაგრამ ამ ტყვეობას მისას დეაც ინაწილებდა. როგორც ზევითაც ვამბობდით, საჭიროებილე სამოთხედ იქცა. დაპატიმრებულსა და დანარჩენ ქვეყანას შორის კედელი იყო აშართული. მით უკეთესი, ეს კედელი მათ სხვა ადამიანებისაგან აცალკევებდა, მაგრამ, სამაგიეროდ, იცავდა კიდეც. რა ზიანს მიაყენებდნენ დეას ან გუინპლენს, როდესაც ისინი ესოდენ დაშორებულნი იყვნენ ცხოვრების ორომტრიალს? გუინპლენისთვის წარმატების წართმევა? შეუძლებელი იყო. მაშინ გუინპლენისთვის სხვა პირისახე უნდა მიეცათ. მისთვის რომ დეას საყვარული წაერთმიათ? ეს შეუძლებელი იყო. დეა მას ცერა ხედავდა. დეას სიბრმაცე უკურნებელი იყო. მაშ რა უხერხულობას წარმოადგენდა გუინპლენისათვის მისი სახიჩრობა? — არაფერს. რა უპირატესობას აძლევდა

იგი მას? — ყველანაირს. მიუხედავად თავისი სახიჩრობისა, ან ალ-
ნებ თავისი სახიჩრობის წყალობით, იგი შეიყვარეს. სახიჩრობამ
და დაშავებულობამ ინსტინქტურად ერთიმეორისაკენ გაიწია და
კავშირი შეკრეს. უყვარდე, განა ეს ყველაფერს არ ნიშნავს? გუნ-
პლენი მხოლოდ მადლიერებას განიცდიდა თავისი სამხატვრის გა-
სენებაზე. დაღი მისთვის დალოცვა გამოდგა. მას უხაროდა, რომ ეს
სახიჩრობა აღმოუფხვრელი და საბოლოო იყო. რა ბედნიერება,
რომ ამ მადლს მას ვერასგზით ვერ წაართმევენ. ვიდრე არსებობენ
გზაჯვარედინები, საბაზრო მოედნები, შორი გზები, დაბლა ხალხი
და მაღლა ცა, გუინპლენი დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ
ხვალინდელი დღეც მას შემოსავალსა და საზრდოს არ მოაკლებდა.
დეას არაფერი გაუჭირდება და მათ ერთმანეთი ეყვარებათ. გუნ-
პლენი თავის გარეგნობას აპოლონის გარეგნობაზეც არ გაცვლიდა.
სახიჩრად ყოფნა — ამაში იყო მთელი მისი ბედნიერება.

სწორედ ამიტომაც ვამბობდით მოთხრობის დასაწყისში, რომ ბედმა უხვად დააჯილდოვა იგი; ეს ბედით დეკნილი არსება ამავე ბედის ნებიერიც იყო.

გუინპლენი იმდენად ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ ხან კიდეც ებრალებოდა სხვანი, მის ირგვლივმყოფი ადამიანები. მას თანაგრძნობა გული ჰქონდა. ამასთანავე შეუცნობლად მიისწრაფოდა გაეგო, რა ხდებოდა ირგვლივ, ვინაიდან ქვეყნად არ მოიძებნება სრულიად კარჩაკეტილი, განდგომილი ადამიანი. ბუნებაც კი არ არის განყენებული. გუინპლენს უხაროდა, რომ დანარჩენ ქვეყანას და მას შუა კედელი ამართულიყო; მაგრამ ხანდახან თავაწეულ გადაიხედავდა ხოლმე ზღუდე-კედელს იქით, ამის შემდეგ თავის მდგომარეობას სხვა ხალხის მდგომარეობას ადარებდა, და უფრო მეტი სიხარულით უბრუნდებოდა თავის მარტოობასა და დეას.

რას ხედავდა გუინპლენი თავის ირგვლივ? რას წარმოადგენდნენ ის არსებანი, რომელნიც მისი მუდმივი მოგზაურობის წყალობით, სულ სხვადასხვანაირი სახით წარმოდგებოდნენ მის წინაშე? ასე ყოველდღე სულ ახალ-ახალი არსებანი ცვლიდნენ ერთმანეთს, სულ მუდამ ახალი ადამიანები, მაგრამ იგივე ბრბო, უწყვეტლივ მუდამ ახალი სახეები, მაგრამ სულ მუდამ ერთი და იგივე უბედურებები. ყველა ჯურის ნამსხვრევები. ყოველ ხალამოს ყველა სახის აუცილებელი სოციალური უბედურებანი მჭიდრო რგოლად მოეჭდობოდნენ; ეს იყო გუინპლენის ბედნიერება.

„მწვანე ჯუთი“ პოპულარული იყო.

დაბალი ფასები დაბალ კლასებს იზიდავდა. გუინპლენთან მოდიოდნენ უხუსურნი, ღარიბნი, უძლურნი. მისკენ ისე მოიღტეოდნენ, როგორც ჭიქა ჯინისკენ. მოდიოდნენ რომ ორ გროშად თავდაუწყება ეყიდათ. გუინპლენი თავისი ფიცარნაგიდან თვალს ადევნებდა ამ დაღერებილ ბრბოს. მის შემცნებაში ერთიმეორეზე აღწევდნენ დაუსრულებელი ხიღარიბის სახეები, ადამიანის სახეზე აღბეჭდილი მისი სინდისი და მთელი მისი ცხოვრება: იგი ჯამია მრავალი საიდუმლოთა ზემოქმედებისა, რომელთაგან თითოეული თავის კვალს ტოვებს მასზე. არ ეოფილა ისეთი ტანჯვა, ისეთი სიავე და მრისხანება, ისეთი უპატიობა, ისეთი სასოწარკვეთილება, რომლის ანაბეჭდი არ დაენახოს გუინპლენს ამ სახეებზე. აი, ამ ბაშვებს დღეს არა უჭამიათ რა. აი, ეს კაცი მამაა, ეს დედაკაცი — დედა; მათ უკან დახალუპად განწირული ოჯახის სახეებია. აგერ, ის ამ კაცის პირისახეა, რომელიც ბიწიერებას შეუპყრია და დანაშაულის ჩადენას ლამობს; მიზეზი ცხადი იყო: უმეცრება და გაჭირვება. ისეთი პირებიც იყვნენ, რომელთაც სახეზე ბუნებრივი გულკეთილობის ბეჭედი აჩნდათ. მაგრამ სოციალური ჩაგვრის გამო ეს გულკეთილობის იერი წაშლილიყო და მძულვარება დაჩნეოდათ. ჭალარა, მოხუცი დედაკაცის შუბლზე სიტყვა „შიშილი“ აღბეჭდილიყო. ახალგაზრდა ქალის შუბლზე აღბეჭდილი იყო სიტყვა „მეძაობა“. ერთსა და იმავე ფაქტს ახალგაზრდა ქალისა და მოხუცისათვის სხვადასხვა შედეგი გამოეღო; მაგრამ რომელისათვის უფრო მძიმე იყო იგი? ამ ბრბოში იყო მშრომელი ხელები, მაგრამ შრომისათვის საჭირო იარაღი არ გააჩნდათ. ამ ხალხს მუშაობა უნდოდა და სამუშაო არ ჰქონდა. ხან მუშის გულრდით კარისკაცი ჩამოჯდებოდა, ხან ინვალიდი და გუინპლენის წინ ომის ლანდი ახახებოდა. აქ გუინპლენი უმუშევრობას ხედავდა, იქ — ექსპლუატაციასა და მონობას. ზოგიერთ სახეზე იგი აშკარა გადაგვარების ნიშნებს ამჩნევდა, ადამიანის თანდათანობით დაბრუნებას პირუტყვის მდგომარეობამდე, რაც საზოგადოების დაბალ ფენებში გამოწვეული იყო ნეტარებაში მყოფი ზედა ფენის მიერ მძიმე ჩაგვრის გამო. ამ თვალით განუჭვრეტელ წყვდიადში გუინპლენი მხოლოდ ერთ ნათელ წერტილსა ხედავდა: მან და დეამ მწარე ტანჯვა გაძოიარეს და ახლა ბედნიერები იყვნენ, ყოველიეე დანარჩენს წყველა-კრულვის

დალი აჩნდა. გუინპლენმა იცოდა, რომ მათ ზევით დგანან უფლებამოსილნი, მდიდარნი, სახელოვანნი, ბედისაგან განებივრებულნი და გრძნობდა კიდევაც, რაოდენ შეუცნობლად თელავდნენ მას; ხოლო ქვედა ფენაში იგი ამჩნევდა უბედურთა გაფითრებულ სახეებს. ამ ორ უკიდურეს მოვლენათა შორის ის ხედავდა თავის თავსა და დევს, თავის ნამცეცა და იმავე დროს უსაზღვრო ბედნიერებას. ზედა ფენაში იყვნენ თავისუფალი და უსაქმური ადამიანები, მხიარულნი და მროკავენი, სრულიად გულგრილად სხვათა ფეხით მთელავენი. ამავე დროს გუინპლენი ქვედა ფენაში იმ ადამიანთა წვებს ხედავდა, რომლებსაც ფეხით თელავდნენ. ბრწყინვალების საფეხურად ბნელეთია გამოყენებული: ეს იყო სამწუხარო ფაქტი, ნიშანი საზოგადოებრივი ღრმა დაავადებისა. გუინპლენს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ეს სამწუხარო მოვლენა. რა დამამცირებელი ხვედრია! ადამიანს შეუძლია ასე მუხლებზე ხოხვა. ასეთი ლტოლვა არარაობასა და სიბინძურისადმი, ასეთი საზიზღარი უარყოფა თავისი თავისა იწვევდა სურვილს, გაგეთელა ეს საზიზღარი ფეხით! რომელი პეპელას ჭუპრად არის ქცეული ეს მიწიერი არსებობა? ამ მშიერი, უვიცი ბრბოს თავზე, ყველგან, საითაც გაიხედავთ, დანაშაულის ან სახელგატეხილობის კითხვითი ნიშნები ჩანან. სინდისის გახრწნა ყოველი მათგანის აუშორებელი დასასრულია.

არ არის ამ ფენაში არც ერთი ბავშვი, რომელსაც მოზრდილობისას დამცირება არ ელოდეს, არ არის არც ერთი ყმაწვილი ქალი, რომელსაც თავისი ნამუსის გაყიდვა არ დასჭირდება! აქ არც ერთი ვარდ-ყვავილი არ მოიპოვება, რომელსაც არ შენერწყვავენ.

დროდადრო გუინპლენი მღელვარებით აშტერებდა ყოვლისგანმჭვრეტ თვალს ამ წყვდიადის სიღრმეს, სადაც უნაყოფოდ იღუპებოდა ესოდენი გულისწადილი; სადაც იმდენი არაქათგამოლეულ ძალ-ღონე იბრძოდა; იქ იგი ხედავდა მთელ ოჯახებს, საზოგადოებრივი პირობების გამო დაცემულებსა და ფსკერზე ჩაძირულთ. ხედავდა კანონების მიერ დამახინჯებულ ადათებს, ხედავდა წყლულებს, სისხლის სამართლის მეოხებით ჩირქოვან მუწუკებად გადაქცეულებს. ხედავდა ღარიბებს, გადასახადებისაგან წელში გაწყვეტილთ. ხედავდა გონიერ ადამიანებს, რომელნიც უმეცრების წყვდიადის მორევში ჩაეთრია. ფსკერზე გონების თვალით განჭვრეტდა დამხრჩვალთა სიმრავლეს, მშიერთა დამხობას, ომებისაგან

წალკოტ და საკვდილის თარეშს. ეს საერთო უბედურების გულისწადილი სურათი სულს უხუთავდა მას. იგი თითქოს ხედავდა ადამიანთა მწუხარების უკუნი ზღვის ზედაპირზე მოქცეულ უბედურებათა მთელ ამონადულს. თვითონ ვითომ ნაუსაფუძვლის შეფარებული, აქედან უთვალთვალებდა ხომალდის ჩაძირვას.

ხან ასეთ დროს ხელებში ჩამალავდა ხოლმე თავის დახაზირებულ სახეს და ღრმა ფიქრებს მიეცემოდა.

რა უგუნურებაა ბედნიერება! რაღა არ მოსდის აზრად! მის ტკივილში შეუსაბამო ფიქრები იბადებიან. ოდესღაც მან ჩვილი ბავშვი საკვდილს გადაარჩინა. ახლა მას შეუკავებელი სურვილი იპყრობდა, რომ ყველა უბედურისათვის დახმარება აღმოეჩინა. ბუნდოვანი აზრები ხან კიდევაც აცოცხლებდა ხოლმე რეალურ სინამდვილეს. ხომიერების გრძნობას იმ დონემდე სცილდებოდა, რომ თავის თავს ეკითხებოდა: „მაშ როგორ, რა გზით უნდა ეშველოს ყველა ღარიბ-ღატაკს?“ ხან ისეთ თავდავიწყებას ეძლეოდა, რომ ხმამაღლა იმეორებდა ამ სიტყვებს. მაშინ ურსუსი მხრებს აიჩეჩდა და დააშტერდებოდა გუინპლენს, ხოლო გუინპლენი ოცნებას განაგრძობდა:

— ოჰ, ძალაუფლება რომ ჩემს ხელთ იყოს, ისეთ როგორ დაეუხმარებოდი უბედურებს! მაგრამ მე რა ვარ? საცოდავი არარაობა! რა შემიძლია მოვიმოქმედო? არაფერი!

მაგრამ გუინპლენი ცდებოდა. ის ბევრ რამეს აკეთებდა უბედურთათვის. ის მათ აცინებდა.

და ჩვენც ხომ უკვე ვთქვით, ადამიანებს სიცილი დააწყებინო, იმას ნიშნავს, რომ დარდი დაავიწყო.

განა კაცობრიობის კეთილისმყოფელი არ არის ის, ვინც ხალხს დარდს ავიწყებს.

XI

გუინპლენი — სამართლიანობის მაუწყებელი, ურსუსი — ძვირფასეულობის მაუწყებელი

ფილოსოფოსი იგივე მეთვალყურეა. სხვისი ფიქრების ამოცნობის მოყვარული ურსუსი ფხიზლად ადევნებდა თვალყურს თავის ალბრდილს. ჩვენი ჩემი მონოლოგები ჩვენს სახეზე ალიბეჭდება,

რასაც ფიზიონომისტები სრულიად ნათლად ხედავენ. რაც გუინპლენის სულსა და გულს აღელვებდა, ურსუსის ყურადღებას არ გამორჩენია. ერთხელ, როდესაც გუინპლენი ფიქრებში იყო წასული, ურსუსმა კალთაზე ხელი ჩამოჰკრა და შესძახა:

— შენ, როგორც ვხედავ, გარემო მდგომარეობის დაკვირვება დაგიწყია, სულელო! ფრთხილად იყავი, ეს შენი საქმე არ არის! შენ სულ სხვა საზრუნავი გაგაჩნია, ეს დეასადმი სიყვარულია. ორმაგად ბედნიერი ხარ, სხვა რაღა გინდა! ჯერ ერთი, იმით ხარ ბედნიერი, რომ ბრბო ხედავს შენს სიმახინჯეს, მეორეც იმით, რომ დეა ამას ვერ ხედავს. ეს ბედნიერება შენ არ დაგიმსახურებია. არც ერთი ქალი, ვინც შენს პირისახეს დაინახავდა, არ მოინდომებდა შენს კოცნას; მაგრამ ეგ შენი კეთილდღეობის საწინდარი პირი, ეგ ცხვირ-პირი ხომ შენი არ არის. შენ მაგ პირსახით არ დაბადებულხარ. შენი ნამდვილი სახის ნაკვთები მაგ უფსკრულიდან ამოტივტივებული სიცილის მანჭვას დაუმახინჯებია. სწორედ სატანისათვის გამოგიტაცია მისი ნიღაბი. საზიზღარი ხარ და მაშ დაკმაყოფილდი შენი წარმატებული ხვედრით. ამ ჩვენს მეტად კეთილმოწყობილ ქვეყანაში არიან ბედნიერები, რომელთაც ამ ბედნიერების უფლება აქვთ და არიან შემთხვევით ბედნიერებიც. შენ შემთხვევამ გიწყალობა ბედი. შენ ხომ ქვესკნელში ცხოვრობ და შენს ბედზე ამ ქვესკნელში ვარსკვლავიც ჩამოშვებულა. ეს საბრალო ვარსკვლავი შენი ხვედრია. მაშ, ნუ ეცდები ქვესკნელიდან ზე ახვიდე და მაგრად, ორივე ხელებით გეჭიროს ეგ ვარსკვლავი, ობობავ! შენს ბადე-ქსელში ვენერა ალმასივით ელვარებს. მოილე მოწყალება და ნურას მიზეზობ. მე ვხედავ, შენ ოცნება გიტაცებს, ეგ სისულელეა. გამიგონე, მე შენ ნამდვილი პოეზიის ენით გელაპარაკები: დაე, დეამ რაც შეიძლება მეტი ძროხის ხორცი და ცხვრის კატლეტები ჭამოს. ექვსი თვის მანძილზე ის თურქის დედაკაცივით გასივდება. შეირთე, რაღა ბევრს ჭოჭმანობ. ბავშვს გააჩენს, ერთს კი არა, ორს, სამს... ბავშვების მთელ ჯოგს. აი, მე ასე მესმის ფილოსოფია. როდესაც ადამიანი ბედნიერად გრძნობს თავს, ძალიან კარგია. საკუთარ შვილებს რაღა სჯობია! გააჩინე ბალღები, არტახებით ჩააკარი ხოლმე, ცხვირი მოსწმინდე, აკვანში ჩააძინე, პირი დაბანე თხუპნიებს. დაე, მთელი ეს აჭალ-ბუჭულა ფუთფუთებდეს შენს ირგვლივ. როცა ეს წვრილფეხობა იცინის, კარგია, თუ ღრიალებენ, უფრო კარგი.

ჭეშმარიტი სიცოცხლის ნიშანია. თვალყური ადევნო, ექვსი თუხანი რომორა სწოვენ ძუძუს, ერთი წლიანი ოთხზე დახოხავენ, ორი წლიანი ფეხზე დადიან, თხუთმეტი წლიანი უკვე მოზრდილები ხდებიან. ოცი წლის ასაკში უკვე შეყვარებულნი არიან. ვისაც ყველა ეს სიხარული აქვს მას ყველა სიკეთეც გააჩნია, მე ასეთი ბედნიერება არა მრგებია, ამიტომ ვარ უხეში პირუტყვი. უფალი ღმერთი, შვენიერი პოემების მთხზველი, პირველი ლიტერატორი იყო მსოფლიოში; მან უკარნახა თავის მდივანს, მოსე წინასწარმეტყველს: „გამრავლდითო!“ ასე მოგვითხრობს სალმრთო წერილი. გამრავლდი შენცა, პირუტყვო! ჰოდა, ქვეყნიერება ყოველთვის ისეთივე იქნება, როგორიც არის. დედამიწაზე შენი ჩაურეველობის გარეშეც ყველაფერი ისევე ცუდად წავა; შენ მაგაზე ნუ ზრუნავ. იმ საქმეში ნუ ჩაერევი, რაც შენს ირგვლივ ხდება. შენ არაეთარი ქარიშხალი არ გამოიწვიო, კომედიანტი იმისთვისაა გაჩენილი, რომ მას უცქირონ და არა იმისათვის, რომ მან უცქიროს სხვებს. შენ იცი ქვეყნიერების სადავე ვის ხელშია? ვინ უდგას ქვეყანას სათავეში? უფლებით ბედნიერნი, შენ კი, ვიმეორებ, შემთხვევითა ხარ ბედნიერი. შენ თავლიერად მოიხვეჭე ბედნიერება, რაც არ გეკუთვნის. ისინი კანონიერი მფლობელნი არიან, შენ კი ქრები. შენ უკანონოდ დაგიჩემებია წარმატება. მეტი რალა გინდა. აჰა, ვხედავ თვალსაჩინო მაგალითი იმისა, რომ „უნახავმა რა ნახაო, ცხრა მთა გადალახაო“, ჰოდა დეასთან ქორწინება და ჩამომაელობის გაჩენა, ამაზე სასიამოვნო საქმე არა იქნება რა! ეს ისეთი ნეტარებაა, რომ თუ არ იცულლუტე, იქნებ მას ველარც კი მისწვდე. ვისაც ზეცისგან მინიჭებული აქვს მიწიერი ბედნიერება, მას არ უყვარს, რომ ასეთი სიხარულის უფლებას თავის თავს ისიც აძლევს, ვინც მასზე დაბლა დგას. შენ რომ გკითხო, რა უფლება გაქვს ბედნიერი იყო, ვერაფერს უპასუხებ; შენ არ გაგაჩნია უმაღლესი სიგელი ბედნიერებისათვის, როგორც იმათ. იუპიტერმა, ალაპმა, კრიშნამ თუ საბაოთმა — მე არ ვიცი, რომელმა მათგანმა უბოძა მათ ნებართვა ბედნიერებისა. გეშინოდეს მათი. ნუ ეჩრები მათ საქმეში, რომ შენი საქმეები არ გამოქექონ. იცი კი შენ, უბედურო, რა არის უფლების ძალით ბედნიერი? ეს არის საშინელი არსება; ეს არის ლორდი! ო, ლორდი! ჰოდა, ამ ლორდს ცოტა დავიდარაბა რომ გადახდა, ვიდრე ამ ეშმაკ-ქაჯური, ამოუცნობი წარსულის მქონე ქვეყანაში

შეხორძანდებოდა, სწორედ ამ ხვანჯების გზით გაღებული კარიდან. რა ძნელი იქნებოდა მისთვის ქვეყნად დაბადება! თუცა მას სხვა საზრუნავი არა ჰქონდა რა, მაგრამ, ღმერთო მართალო, რაოდენი შრომა დასჭირდა! გამოჰგლიჯო-გამოაღწიო ბედს, ამ ბრძა, თავნება რეგვენს, რომ მან უცბად, არტახებიდან გაგხადოს დანარჩენ ადამიანთა შეფე-მბრძანებელი. მოლარეს ქრთამავენ, რომ თეატრში საუკეთესო ადგილი დაიკავონ. აბა წაიკითხე ჩვენს ძველს აწ უხმარ, საგორაკ-სათრაულა ფიცრულაზე რა საზეპირო წერია; წაიკითხე ჩემი სიბრძნის ეს კურთხევანი და მაშინ გაიგებ, რა არის ლორდი. ლორდი ისეთი ადამიანია, რომელსაც ყველაფერი აქვს, და რომელიც თავისი არსებით ყველაფერს წარმოადგენს. ლორდი ისეთი არსებაა, რომელიც ადამიანის ბუნების კანონს ფუძითა თელავს. ლორდი ის არის, ვისაც ყრმობიდან მოხუცის უფლებები აქვს მინიჭებული, ხოლო მოხუცებულობისას ახალგაზრდობის ყველა უპირატესობანი გააჩნია. გარყვნილიც რომ იყოს, წესიერი ადამიანები პატივს სცემენ. მხდალიც რომ იყოს, გულადებსა მეთაურობს. მუქთამჭამელია და სხვათა შრომის ნაყოფსა ნთქავს. უვიციც რომ იყოს, მას მაინც დიპლომი აქვს მიღებული კემბრიჯის და ოქსფორდის უნივერსიტეტების. რეგვენი და სულელი რომ იყოს მას მაინც პოეტები ხოტბას ასხამენ. გონჯიც რომ იყოს, ქალები მაინც ღიმილით აჯილდოებენ. თერსიტია და აქილევსის ჩაჩანი პხურავს. კურდღელივით მშიშარა თუა, მაინც ლომის ფაფარი აშშვენებს. შენ რომ ჩემი სიტყვების აზრი სწორად გაიგო, იმასაც გეტყვი, რომ ყველა ლორდი უსათუოდ უვიცი როდია, ან მხდალი, გონჯი და ჩერჩეტი ბებერი. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ მას ყველა ეს ნაკლი რომ გააჩნდეს, მაინც ღირსეულია-შეთქი. პირიქით, ლორდები მბრძანებლებიც არიან. ინგლისის მეფეც ლორდია. ეგი პირველი დიდებულია დიდებულთა შორის. ეს ბევრ რამეს ნიშნავს. ეს ყველაფერია. წარსულ დროში მეფეებს ლორდებს უწოდებდნენ. ლორდი დანიისა, ლორდი ირლანდიისა, ლორდი შეერთებული კუნძულებისა. ნორვეგიის ლორდმა მხოლოდ სამასი წლის წინ მიიღო მეფის წოდება. ინგლისის უძველეს მეფე ლუციუსს წმინდა მამა ტელესფორი მილორდ ლუციუსს უწოდებდა. ლორდები — ეს პერებია, ე.ი. თანასწორნი ვისი? მეფისა. ლორდი სხვაა და პარლამენტი კიდევ სხვა. ერთმანეთში არ უნდა აურიოთ. პარლამენტი ხალხის

საკრებულოა, მას საქსები WITENAGEMOT-ს უწოდებდნენ, ვიდრე ნორმანდიელებს დაემორჩილებოდნენ, ხოლო დამპყრობი ნორმანდიელები PARLIAMENTUM-ს უწოდებდნენ. ხალხი თანდათანობით განდევნეს პარლამენტიდან. მეფის ბრძანებულებაში თემთა პალატის მოწვევის შესახებ ოდესღაც ნათქვამი იყო: AD CONSILIUM IMPENDENDUM.* ახლა კი ამ ბრძანებულებაში წერია, AD CONSENTIENDUM.* თემთა პალატას უფლება აქვს თავისი თანხმობა გამოთქვას. მას ნება ეძლევა თქვას, „დიახ", ხოლო პერებს შეუძლიათ თქვან „არა". მათ საქმით დაამტკიცეს, რომ ამის უფლება აქვთ. პერებს შეუძლიათ თავი მოჰკვეთონ მეფეს, ხოლო ხალხს ამის უფლება არა აქვს.

კარლოს პირველის დასჯა მეფის უფლებების დარღვევა კი არ იყო, არამედ პერების უპირატესობებისა და სწორადაც მოიქცნენ, რომ კრომველის ჩონჩხი სახრჩობელაზე ჩამოაკონწიალეს. ლორდები ყოვლადშემძლენი არიან. რადა? იმის გამო, რომ მათ ხელშია სამდიდრე. ვინმეს, ოდესმე თუ წაუკითხავს „DOOMSDAY-BOOK" — „წიგნი საზარელი განსჯისა"? ეს წიგნი იმის დამადასტურებელია, რომ ინგლისის ლორდების მფლობელობაში ეს რეესტრი შედგენილია უილიამ დამპყრობლის დროს, იგი წარმოადგენს ინგლისის ქვეშევრდომთა კუთვნილ მიწა-წყლის სიას. ეს სია ხაზინის ლორდ კანცლერს აბარია, ამ სიიდან რომ ამონაწერი დასჭირდეს ვინმეს, სტრიქონში ოთხი სუ უნდა გადაიხადოს. ძალიან საინტერესო წიგნია! შენ იცი, რომ მე ოდესღაც შინაური პირადი მკურნალი ვიყავი ვინმე ლორდ მარმედიუკისა, რომელსაც წლიური შენახვალი ცხრაასი ათასი ფრანგული ფრანკი ჰქონდა? აბა, ერთი ამაზე იფიქრე, ბრიყვო! შენ იცი, რომ, რაც გრაფ ლინდსეის ბაღებში კურდღლებია, ისინი საჭმელად ეყოფოდა ხუთი ნავსადგურის ყველა მშიერ-შიშველს. მაგრამ აბა, სცადე და ხელი ახლე მათ! სულ ყველა აღრიცხული ჰყავთ. ყველა ბრაკონიერ მონადირეს სახრჩობელა მოელის. მე ჩემი თვალით ვნახე, როგორ ჩამოჰკიდეს სახრჩობელაზე ექვსი შვილის მამა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი იაგდტაშიდან კურდღლის ორი გრძელი ყური მოჩანდა. ასეთები არიან დიდკაცები. ლორდის კურდღლები ადამიანის სიცოცხლეზე მეტად ფასობენ. მაგრამ, ლორდები არსებობენ ქვეყანაზე, გესმის, მე თაღლითო, ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მეტად კარგია. თუნ-

დაც დარწმუნებული ვიყოთ, რომ ეს ცუდია, ამას რა მნიშვნელობა ექნება მათთვის? ხალხი რაღაცის წინააღმდეგ მაინც ხმას იმაღლებს! აბა იფიქრე! დიახ, თვითონ პლატონის ნაწერებშიც ვერას ნახავთ ამაზე უფრო სასაცილოს. სასაცილო იქნებოდა ის ფილოსოფოსი, რომელიც ურჩევდა იმ უბადრუკ მდაბიო ხალხს ხმა აემაღლებინა ლორდების მხრივ ესოდენი ჩაგვრის წინააღმდეგ. ეს იგივეა, რომ ჭია-მატლი შეეკამათოს სპილოს ფეხს. მე ერთხელ ვნახე, თუ როგორ დაადგა ფეხი პიპოპოტამმა თხუნელას სოროს და მთლად მიწასთან გაასწორა. მაგრამ პიპოპოტამი არაფერში დამნაშავე არ იყო. ამ გულკეთილმა ბუმბერაზმა არც კი იცოდა, რომ ქვეყნად თხუნელები არსებობენ.

ჩემო კარგო, ის თხუნელები, რომელსაც სრესენ, ადამიანია მოდგმაა. ერთმანეთის გახრეშა ბუნების კანონია. იქნებ შენ გგონია, რომ თხუნელა არავის სრესს? ის ბუმბერაზია ტკიპასთან. ტკიპაც თავის მხრივ ბუმბერაზია ხელის მცენარის ბუგრთან შედარებით. მაგრამ ნუ წავალთ ღრმად ასეთ მსჯელობაში. ჩემო მეგობარო, არის ამ ქვეყნად დახურული ეტლები, რომლებითაც ლორდები დაბრძანდებიან. ფეხით მოსიარულენი თუ ფრთხილად არ იქნებიან, შეიძლება იმ ეტლმა გასრისოს, ხოლო კეთილგონიერი ადამიანი ცდილობს, მხარი აუქციოს და გვერდით ჩაუდგეს. ჩაუდექ და ეტლს გზა დაუთმე. რაც შემეხება მე, მე მიყვარს ლორდები, მაგრამ ვერიდები მათ. მე ერთ-ერთ მათგანთან ვცხოვრობდი და ეს სრულიად საკმარისია, რომ მათზე კარგი წარმოდგენა ბოლომდე შემრჩეს. მისი ციხე-დარბაზი ჩემს ცხოვრებაში ისე შთაბეჭდა, როგორც რაღაც ელვარება ღრუბელში. ჩემი ოცნებები წარსულისკენაა მიმართული. ასეთი შესანიშნავი არა არის რა, როგორც მარშედიუკ-ლოჯი; მხედველობაში მაქვს ამ შენობის დიდებული სანახაობა; მისი ცალკეული ნაწილები ისე თანაზომიერნი არიან, მისი მორთულობა-მოკაზმულობა პირდაპირ საზეიმოა და მდიდრული. მას მრავალი მინაშენიც აქვს. საერთოდ, ლორდების სახლები, აგარაკები, სასახლე-ციხე-გალავნები, ეს არის თავმოყრა ყოველივე იმისა, რაც კი ყველაზე უფრო დიდებული და მშვენიერია ჩვენს აყვავებულ სახელმწიფოში. მე მიყვარს ჩვენი დიდკაცობა; მაღლიერია ვარ მათი, რომ ამდენი სიმდიდრე აქვთ; ყოველად შეძლებული არიან, კეთილდღეობაც აქვთ. თუმცა მე ღრმა წყვდიადში ვითოშება,

მაინც აქედან ინტერესითა და სიამოვნებით შევცქერი ლაჟვარდოვანი ცის ნაჭერს, რომლის სახელია ლორდი. მარშედიუკ-ლოჯში ეტლით მობრძანებისას ჯერ უშველებელი სწორკუთხოვანი ეზო უნდა გაევლოთ, ეს ეზო კიდევ რვა ოთხკუთხედად იყო დაყოფილი. თითოეული მათგანი მოაჯირით იყო შემოფარგლული. მათ შორის განიერი გზა გაჭიმულიყო, რომლის შუა წარმოზიდულიყო ზეალმტაცი რვაკუთხოვანი შადრევანი, სადაც ორი აუზი თავსდებოდა და რომელსაც ზემოდან მშვენიერი მოჭრილი გუმბათი ედგა. ეს გუმბათი ექვს სვეტს ეყრდნობოდა. სწორედ იქ გავიცანი სწავლული ფრანგი აბატი დიუკრო; იგი სენ-ჟაკის ქუჩაზე მდებარე იაკობინელთა მონასტრის საძმოს ეკუთვნოდა. მარშედიუკ-ლოჯში ინახება ერპენიუსის ბიბლიოთეკის ნახევარი; მეორე ნახევარი ამ ბიბლიოთეკისა კემბრიჯის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველების ფაკულტეტს აქვს დაცული. მე იმ სასახლეში წიგნის ან ხელნაწერის კითხვის დროს, ღია ტალანში სვეტების შუა ვმჯდარვარ. ასეთი სანახაობანი ჩვეულებრივ მხოლოდ ზოგიერთი ცნობისმოყვარე მოგზაურის ყურადღებას თუ მიიქცევს. იცი, შე გადარეულო, რომ მათ ბრწყინვალებას უილიამ ნორთს, გრეი-როლსტონის ლორდს, რომელსაც ბარონების სავარძელზე მეთოთხმეტე ადგილი უკავია, რაც შენს საშინელ გოგრაზე თმებია, მას თავის ტყიან მთაზე უფრო მეტი მრავალწლოვანი ხე და მერქანი აქვს. შენ ალბათ გაგიგია, რომ ლორდ ნორის რაიკოთს, ებინგდონის გრაფს, ორასი წყრთის სიმაღლე ოთხკუთხა ბურჯი აქვს აღმართული, რომელსაც დევიზად აწერია: „VIRTUS ARIETE FORTIOR", რაც თითქოს ნიშნავს: „ბრწყინვალება უროზე მძლავრიაო", სინამდვილეში კი, შე რეგვენო, შენა, ასე უნდა ითარგმნოს: „სიმამაცე სამხედრო მანქანაზე ძლიერიაო". დიახ, მე პატივს ვცემ ჩვენს დიდებულებს. მე მუხლს ვიდრეკ მათ წინაშე. სწორედ ლორდები, და მათი უდიდებულესობა მეფე, ზრუნავენ, რათა უზრუნველყონ ერი ყოველმხრივი სარგებლიანობით. მათი ღრმა სიბრძნე ბრწყინვალედ ვლინდება ყველა დამაბრკოლებელ მდგომარეობაში. ნეტავ ერთი ნახავდე, რას იზამდნენ, პირველნი რომ არ ყოფილიყვნენ ყველგან და ყოველთვის! რა თქმა უნდა, ისინი პირველობენ ახლა და პირველობდნენ ადრეც. რასაც გერმანიაში თავადური ღირსება ეწოდება, ხოლო ესპანეთში გრანდის ღირსება, ინგლისსა და საფრანგეთში მას პერობა ჰქვია.

ვინაიდან ნათლად ჩანს, რომ ჩვენი ქვეყანა საკმაოდ ცუდად არის მოწყობილი, ამიტომ ღმერთმა შეამჩნია თუ არა ეს ნაკლი, გადაწყვიტა დაემტკიცებინა, რომ მან ბედნიერი ადამიანების შექმნაც იცის და ფილოსოფოსთა სანუგეშებლად ლორდების შექმნა. სწორედ ამით უფალმა ღმერთმა გამოასწორა თავისი თავდაპირველი შეცდომა, რითაც პირნათლად დაალწია თავი მცდარ მდგომარეობას. დიდებულნი წარჩინებულნი არიან. პერი რომ თავის თავს ახსენებს, ნაცვალსახელად ხმარობს NOS*. პერი თავისდათავად მრავლობითი რიცხვია. მეფე პერებს უწოდებს „CONSANGUINEI NOSTRI" — „ხისხლი ჩვენი თანასწორიაო".

პერებმა მრავალი ბრძნული კანონი გამოსცეს: მათ შორის ის კანონი, რომლის ძალით საკვდილით ისჯება ის, ვინც მათ ადგილმამულში მოჭრის სამწლოვან ჭადარს. ისინი იმდენად მაღლა დგანან ყველა სხვა ადამიანებზე, რომ ენაც საკუთარი აქვთ. მაგალითად, პერალდიკაში შავ ფერს უწოდებენ „ქვიშას", როდესაც ახნაურის გერბზეა ლაპარაკი, ხოლო თავადის გერბის აღწერისას, შავ ფერს ხატურნი ჰქვია. მაგრამ პერის გერბის აღწერისას — „ალმასი". ალმასის მტკვრი „ვარსკვლავიანი ღამე", აი, ბედნიერთა შავი ფერი. ამ დიდებულთა ურთიერთობაშიც კი მთელი რიგი ბარიერებია. ბარონს შეუძლია ხელი დაიბანოს საჭმლის მიღების წინ ვიკონტის თანდასწრებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვიკონტი ამის ნებას დართავს. ეს ყოველივე შესანიშნავად არის მოფიქრებული და საწინდარია ერის დაცვისა. რა ბედნიერებაა ხალხისათვის ჰყავდეს ოცდახუთი პერცოგი, ხუთი მარკიზი, სამოცდათექვსმეტი გრაფი, ცხრა ვიკონტი და სამოცდაერთი ბარონი, რაც მთლიანად შეადგენს ას სამოცდათექვსმეტ პერს, ამათგან ზოგს მიმართავენ: „თქვენო ბრწყინვალებავ", ხოლო ზოგ მათგანს „თქვენო უგანათლებულესობავ!" რა დიდი ბედნაა, ჩვენთვის რომ ვთქვათ, თუ ამათ გარდა აქა-იქ ძონძმანძიანი ლატაკებიც არიან. ხომ არ შეიძლება მოვითხოვოთ, რომ ყველგან მხოლოდ ოქრო იყოს. თუ არის ძონძმანძი, დაე, იყოს! სამაგიეროდ, აგერ, მათგან მოშორებით ძოწეულებია, ერთიმეორეს გამოსყიდის. რა დიდი ბედნაა, თუ ქვეყანაზე უპოვარნიც არიან; ისინი საჭირო სამშენებლო მასალად გამოიყენებიან მდიდართა ბედნიერებისათვის. ფუი ეშმაკს! ჩვენი ლორდები ჩვენივე სახელ-

ღირსებაა! ბარონ ჩარლზ მოპენის მხოლოდ მწყურვალის ერთი გროვა ღირს იმდენადვე, რამდენადაც კეთრიანთა სასნეულო ნურგეტში ან კიდევ ბავშვთა საავადმყოფო იესო ქრისტეს სახელობისა ედვარდ მეექვსის მიერ დაარსებული 1553 წელს. თომას ოსბორნი, პერცოგი ლიდსისა, ყოველწლიურად მარტო თავისი მოსამსახურეების ლივრეებზე ხარჯავს ხუთი ათას ოქროს გირვანქის გრანდებთან მიჩენილია მეფის მიერ დანიშნული მეთვალყურე, რომელიც ზედამხედველობს, რომ გრანდებმა არა ფლანგონ და არ ანიავონ თავიანთი სიმდიდრე. ეს უხამსობაა! ჩვენი ინგლისელი ლორდები შესანიშნავნი არიან თავიანთი დამთხვეულობით. მე ამას პატივს ვცემ. არ უნდა გაკიცხოთ ისინი, მსგავსად ვიღაცეებისა მეშურნეებისა. მე იმ მშვენიერი სანახავისაც მაღლიერი ვარ, რომელიც ჩემ წინ გაიელის. დაე, ჩემი არსება სინათლეს მოკლებული იყოს, მაგრამ იმ სინათლის ანარეკლი შუქი ხომ მეც მხვდება. შენ მეტყვი, რომ ჩემს წყლულსა ხვდება? დამეკარგე აქედან! მე, იობი, იმით ვარ ბედნიერი, რომ ტრიბალქიონსა ვჭვრეტ. მშვენიერო, სხივით მოხილო პლანეტავ, ცის სიმაღლეში მთვარის შუქით განათებული იყო, ესეც რამედ ღირს. გავანადგუროთ ლორდები! ასეთი აზრები თავში არ მოუვიდოდა ორესტესაც* კი, მიუხედავად იმისა, რომ იგი გადარეულზე გადარეული იყო. ლორდების მავნებლობის ან უსარგებლობის მტკიცება იმას უდრის, რომ ვამტკიცოთ, ვითომდა სახელმწიფო საფუძვლის შერყევაა აუცილებელი; ან კიდევ იმ მოურიდებელ აზრს უდრის, ვითომც ადამიანები იმიტომ კი არ არიან შექმნილნი, რომ მათ ცხვრებივით ბალახი ძოვონ და ითმინონ ძაღლების კბენა. ცხვარი ძოვს, ძოვს ბალახს მინდორზე და მოაშიშვლებს ხოლმე, ხოლო მწყემსი ცხვარს პარსავს და მატყლს იღებს. ამაზე სამართლიანი რაღა იქნება; ყველასა და ყველაფერზე პატრონობაა დაწესებული. რაც შეხება მე, ჩემთვის სულერთია; მე ერთი საბრალო ფილოსოფოსი ვარ და სულაც არ ვებღაუჭები ცხოვრებას. მიწიერი ცხოვრება მხოლოდ დროებითი ნაცხაურელია. აბა, ერთი ვიფიქროთ, მარტო ის რად ღირს, რომ პენრი ბოუს პოვარდს, ბერგშირის გრაფს თავის ეტლების ფარდულში ოცდაოთხი საბეიო დაბურული ეტლი უდგას. მათგან ერთს ცხენებისათვის ვერცხლის მოსართავები აქვს, მეორეს ოქროსი!.. ღმერთო ჩემო, მე მშვენიერად ვიცი, რომ

ყველას არ ჰყავს ოცდაოთხი საზეიმო დახურული ეტლი, მაგრამ ლორს კი ამაზე ბლაუელი! შენ ერთხელ ღამით გაითიშ-გაიყვანე, შე შენ გეტყვი, ეს დიდი უბედურებაა! განა ცოტანი არიან ამ ქვეყნად უსახლკარონი. სხვებიც იტანჯებიან სიცივისა და შიშმილისაგან. განა შენ არ იცი, ის ყინვა რომ არ ყოფილიყო, და არ დაბრმავდებოდა, და დეა ბრმა რომ არ ყოფილიყო, შენ არ შეუყვარდებოდი. ამაზე კარგად იფიქრე, ქერქეტო! მართლაცდა, აბა რა მუსიკა იქნებოდა, რომ ყველა უკმაყოფილოს ხმამაღლა გამოეთქვა საყვედური. დუმილი, აი, ასეთია სიბრძნის წესი. მე დარწმუნებული ვარ, რომ დუმილი უფალ ღმერთს დაუწესებია ყველა საუკუნო ტანჯვაში განწირულთათვის. ასე რომ არ იყოს, ის თვითონ დაისჯებოდა დაუსრულებელ გოდებათა მოსმენით. ოლიმპიური ნეტარება კოციტის დუმილის ფასად მოისყიდება. მაშ ასე, გაჩუმდით, ხალხნო! მე უკეთ ვიქცევი: მე ვუწონებ მათ ამ საქცეველს და აღტაცებული ვარ. მე ახლახან ჩამოგითვალე ლორდები, მაგრამ მათ კიდევ უნდა მიუმატო ორი არქიეპისკოპოსი და ოცდაოთხი ეპისკოპოსი. სწორედ რომ ხიტკოებას განიცდი, როდესაც ამაზე ვფიქრობ. ახლა მაგონდება, რაც მინახავს იმ ათეულების აკრეფთაგან, რომელიც ემსახურება მოციქულთასწორ — დეკან-რაფოეს; ეს პიროვნება ერთსა და იმავე დროს წარჩინებულთა წარმომადგენელიც არის და ეკლესიის მსახურიც. მინახავს უზარმაზარი ხვავები კარგი ხორბლისა, რაც გარეუბნის გლეხობისაგან შეუკრებიათ მისი უსამღვდელოესობის საჭიროებისათვის. დეკანს არ დასჭირდა გარჯილიყო ამ ხორბლის დასათესად, რის წყალობითაც მას დრო ბევრი რჩებოდა, რათა ლოცვა აღევლინა. შენ ის იცი, რომ ლორდი მარშედიუკი, რომლის სახახლეშიც მე ვმსახურობდი, ირლანდიის ლორდი-ხაზინდარი იყო და კნერსბურგის მთავარი სენეშალი იორკის საგრაფოში? იცი შენ, რომ ლორდი მთავარი კამერარიი (ეს თანამდებობა შთამომავლობით გადადის ანკასტერის პერცოგების საგვარეულოში) მეფეს ტანთ აცმევს დაგვირგვინების დღეს და ამ შრომისათვის ჯილდოდ ოც მეტრ შინდისფერ ხავერდს და იმ ლოგინსაც იღებს, რომელზედაც მეფეს სძინებია. ამ პიროვნებას მუდამ წინ უძღვის, როგორც მისი წარმომადგენელი, შავი კვერთხის ბოქაული. მინდოდა ერთი შეგეკითხებინა, რა წინააღმდეგობას გამოიწვევს იმის გამო, რომ

ინგლისის უხუცეს ვიკონტად აღიარებულია სერ რობერტ ბრენტი, რომელსაც ვიკონტობა ჰენრიხ მეხუთემ უწყალობა. ლორდების ყველა ტიტულ-ხარისხი იმის მაჩვენებელია, რომ ისინი უფლებამოსილნი არიან, ფლობდნენ ამა თუ იმ მიწა-წყალს, სახნავ-სათესს, ტყიანი სანადირო მთებითა და სათევზაო-სანაოსნო მდინარეებით. გამონაკლისს ლორდი რივერსი წარმოადგენს, რომლის გვარი იგივე ტიტულ-ხარისხია მისთვის. რა კარგია, რომ მათ უფლება აქვთ სხვებს გადასახადი დაიკისრონ და ახდევინონ, როგორც მაგალითად, ახლა ახდევინებენ: წლიური შემოსავლის გირვანქა სტერლინგიდან — ოთხ შილინგს, ისიც ერთი წლის ვადის გაგრძელებით. რა შესანიშნავი გამოგონებაა გადასახადი არაყზე, აქციზი ღვინოსა და ლუდზე, გადასახადი საქონლის აწონასა და გაზომვაზე, გადასახადი ქერის გამონახადზე, ქვანახშირზე და სხვა ამნაირი ბაჟები და გადასახადები. ქედი მოვიდრიკოთ არსებული წესების წინაშე! სასულიერო პირნიც კი ლორდებთან დამოკიდებულებაში იმყოფებიან. მენის ეპისკოპოსი გრაფ დერბის ქვეშევრდომია. ლორდებს საკუთარი მხეცები ჰყავთ და მათ თავიანთ გერბებზე ხატავენ. რადგან უფალ-ღმერთს საკმაო მხეცები არ შეუქმნია, ამიტომ ისინი ახალ სახეობას ქმნიან. მათ ჰერალდიკული ტახი შექმნეს. ეს ტახი იმდენად მაღლა დგას, ან უკეთესია ჩვეულებრივ ტახზე, როგორც ეს უკანასკნელი უკეთესია ლორზე; ანუ რამდენადაც წარჩინებული დიდებული მაღლა დგას მღვდელზე. მათ შექმნეს გრიფონი, ის არწივი ლომებს შორის და ლომი არწივებს შორის, რომელიც ლომებს აშინებს თავისი ფრთებით და არწივებს — თავისი ფაფარით. მათ გააჩნიათ ჰერალდიკური გველი, მარტორქა, ჯოჯო, გველეშაპი, ჰიპოგრიფი. ყოველივე ეს ჩვენ თავზარსა გვცემს, ხოლო მათთვის დამამშვენებელი სამკაულია. მათ სამხეცეც აქვთ, რომელსაც საგერბე ეწოდება და ამ სამხეცეში ჯერ თვალითუხილავი ურჩხულები ბრდღვინავენ. ვერც ერთ ტყეში ვერ გადაეყრებით ისეთ იშვიათობას, როგორებიც მათ ქედმაღლობას შეუქმნია. მათ თავმოწონეობას ყოვლანაირი მოჩვენებები წარმოუდგენია და ეს მოჩვენებები თითქოს დასეირნობენ დიდებულ წყვდიადში, შეიარაღებულნი ჩაჩქნით და აბჯრით; დეზებს აწკარუნებენ, ხელში იმპერიის კვერთხი უჭირავთ და მრისხანე ხმით ამბობენ: „ჩვენ ვართ წინაპრები"!

ჭიები ღრღნიან მცენარეთა ფესვებს, ხოლო გურბები ხალხის ქონებას. ასე უნდა, ღირს კი ამის გამო კანონების შეცვლა? თავადაზნაურობა არსებული წეს-წყობილებისათვის აუცილებელი ნაწილია. იცი შენ, რომ შოტლანდიაში არის პერსონა, რომელსაც შეუძლია ოცდაათი ლიე ისე აჭუნოს ცხენი ღარიანი გაჭიმულ გზაზე, რომ თავის მიწა-წყლის საზღვარს არ გასცილდეს. იცი შენ, რომ ლორდ არქიეპისკოპოსს კენტერბურიისას ყოველწლიური შემოსავალი მილიონი ფრანკი აქვს? იცი შენ, რომ მისი უდიდებულესობა ყოველწლიურად ცივილური ბრის მიხედვით შვიდასი ათას გირვანქა სტერლინგს იღებს, თუ არ ვითვალისწინებთ შემოსავალს ციხესიმაგრეებიდან, ტყეებიდან, მამა-პაპათაგან ნაანდერძევი ქონებიდან, ლემური ადგილ-მამულებიდან, ეჯარებიდან, იმ ადგილებიდან, რომლებიც თავისუფალია ყოველი ვალდებულებისაგან, კიდევ ჯარიმებიდან, ჩამორთმეული ადგილებიდან და ღალებიდანაც. ყველა ეს მილიონ სტერლინგს აღემატება. ისინი, ვინც ამით უკმაყოფილონი არიან, მხოლოდ თავიანთ თავს ამცილებენ.

— დიახ, — წაიჩურჩულა დაფიქრებულმა გუინპლენმა და დასძინა: — მდიდრების სამოთხე ღარიბთა ჯოჯოხეთისგან არის შექმნილი.

XII

ურსუს ფილოსოფოსს გაიტაცებს ურსუსი პოეტი

დღა შემოვიდა. გუინპლენმა შეხედა მას და უკვე ველარაფერს სხვას ველარ ხედავდა. ასეთია სიყვარული. ფიქრების ქარიშხალს შეუძლია წუთიერად დაგვიბნიროს, მაგრამ შემოდის საყვარელი ქალი და ყოველივე ქრება, რაც კი მასთან უშუალოდ არ არის დაკავშირებული; ამასთანავე ეს სათაყვანო არსება ეჭვსაც ვერ გაიელვებს, თუ რა ქარიშხალი დაატრიალა ჩვენს გულებში.

აქ უნდა გავიხსენოთ ერთი უმნიშვნელო რამ: „დამარცხებულ ქალში“ დღას სიტყვა MONSTRO (ურჩხული) არ მოსწონდა, რომლითაც მას გუინპლენისათვის უნდა მიემართა. ამიტომ, ზოგჯერ ესპანური ენის იმ მცირეოდენი ცოდნით სარგებლობდა ხოლმე, რომელსაც იმ ხანებში ყველა ფლობდა და თავისი ნებით იმ

სტენის მაგიერ სხვას ამბობდა, სახელდობრ, QUIERO-ს, რაც „სა-
ხურველს“ ნიშნავს; ურსუსს რამდენადმე არ სიამოვნებდა ტექსტის
ამგვარი შეცვლა. მას შეეძლო დეასთვის თავისუფლად განეცხად-
ებინა, როგორც ჩვენს დროში მოესარჩა* უთხრა ვისთს:

— შენ საქმაო პატივისცემით არ ეპყრობი რეპერტუარსო.

„კაცი, რომელიც იცინის“ — ამ შერქმეული სახელით გუინპლე-
ნმა სახელი გაითქვა. ნამდვილი სახელის ნაცვლად, რომელიც თი-
თქმის არავინ იცოდა, მეტსახელს ეძახდნენ; ისევე, როგორც მისი
ნამდვილი პირისახე გააქრო სიცილის ნიღაბმა. მისი პოპულარო-
ბაც ნიღაბი იყო.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ფართო აბრაზე დაწერილი მისი
სახელი აშშვენებდა „მწვანე ყუთის“ წინა კედლის ზემოთა ნაწილს.
აი, ურსუსის მიერ შეთხზული წარწერა:

„აქ შეგიძლიათ ნახოთ გუინპლენი, რომელიც ათი წლის ასაკში,
ღამით, 1690 წლის 29 იანვარს ბოროტმოქმედმა კომპრაჩიკოსებმა
ზღვის პირად მიატოვეს, პორტლენდში. იგი გაიზარდა და ახლა
მისი სახელია:

„კაცი, რომელიც იცინის“.

ამ ჯამბაზ-მასხარების არსებობა კეთრიანთა არსებობას ემსგა-
ვსებოდა ლეპროზორიუმში. რალაც ატლანტიდის ბინადრების ნე-
ტარ ცხოვრებას ჰგავდა.

ისინი ყოველდღიურად გამოდიოდნენ ხმაურიანი გამოსვლებით
ბაზრის მოედანზე შეკრებილი ბრბოს წინაშე, რომელიც გარე სამყა-
როსგან თითქოს სრულიად იყო განდგომილი. ყოველ საღამოს ისი-
ნი ამქვეყნიური აკვარიანობისგან განმარტოებულნი რჩებოდნენ,
ინთქმებოდნენ, ვითარცა მკვდარნი საფლავის საფარველში და მეო-
რე დღეს ისევ გამოცხადდებოდნენ. მსახიობი ერთგვარად შეჩვეულ
მბრუნავი ფარანია, რომელიც ხან ალეგზნება და ხან თვალთაგან
იკარგება, მაყურებელთათვის იგი მხოლოდ მოჩვენებაა, მხოლოდ
გაჭიატებაა ამ ქვეყნად, სადაც სინათლეს შუდამ სიბნელე შეცვლის
ხოლმე.

მოედანზე გამოსვლას ნებაყოფლობითი კარჩაკეტილობა მიაყვე-
ბოდა თან. როგორც კი სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მაყურე-

ბელთა შეთხზულებული ბრძო კმაყოფილების გუგუნით ახლო მდებარე ჭურისკენ დაიმლებოდა. „მწვანე ყუთი" გადაშენებულ დარაბას ასწევდა, თითქოს ციხესიმაგრის ასაწევი ხიდი ყოფილიყოს და მთელ დანარჩენ კაცობრიობასთან ურთიერთობა წყდებოდა. ცალ მხარეზე მსოფლიო სუფევდა, მეორე მხარეზე მოძრაობა ბარაკი და ამ ბარაკში ნათელ ხიმლად ბრწყინავდნენ: თავისუფლება, სუფთა სინდისი, მხნეობა, თავგანწირულება, უბიწოება, ბედნიერება, საყვარელი.

ნათლადმხილველი ბრმა ქალი და მისი შეყვარებული სახიჩარი ერთად დასხდებოდნენ ხელიხელჩაკიდებულნი, შუბლი შუბლს ეხებოდა და ამ სიახლოვეთ გაბრუებულნი ჩურჩულებდნენ.

„მწვანე ყუთის" შუა ნაწილს ორგვარი დანიშნულება ჰქონდა: მაყურებელთათვის იგი სცენა იყო, აქტიორებისათვის სასადილო.

ურსუსი ხომ ყოველთვის ხალისით მიმართავდა ხოლმე შედარებებს და ახლაც ეს შუა ნაწილი ფურგონისა მან აბისინელთა ქოხს „არადაშს" შეადარა.

ურსუსი ჯერ ამოგებულ ფულს ითვლიდა, შემდეგ ვახშამს უკდებოდა. სიყვარული ყველაფერში რაიმე იდეალურს პოულობს. როდესაც შეყვარებულნი ერთად ჭამენ და სვამენ, ესა ქმნის მათთვის შესაძლებლობას სხვათაგან მალულად შეეხონ ურთიერთს, ნეტარება განიცადონ, რაც თითოეული მათგანისათვის ყოველი ლუკმის ჩაყლაპვა კოცნის ბადალია. ისინი სამშელს ერთი ჭიქიდან სვამენ. თითქოს ცის ნამი დაელიოთ ერთად სუმბულის ყვავილის გულიდან. ორი სულიერი ასეთ სერობაზე ორ მოხდენილ ფრინველს მოგაგონებთ. გუინპლენი დეას ეხმარებოდა, პურს და ხორცს თხელ ნაჭრებად უჭრიდა. სამშელს დაუსხამდა და სულ ახლოს იხრებოდა.

— ჰმ! — ბუზღუნებდა ურსუსი, მაგრამ ამ ბუზღუნს მისდა უნებურად ღიმილი ცვლიდა.

მგელი მაგიდის ქვეშ ვახშმობდა, ძვალს ხრავდა და მის ყურადღებას სხვა არაფერი იპყრობდა.

ვენუსი და ფები საერთო ტაბლას იზიარებდნენ და აქ მყოფთაგან არავის ავიწროებდნენ. ეს ორი ველური ქალი ჯერ კიდევ ეცხოლებდნენ ამ ადამიანებთან და ერთმანეთს ბოშურად ელაპარაკებოდნენ.

ნავახშმევს დეა ფებისა და ვენუსთან ერთად „ქალთა ნახევარში"

გადიოდა, ურსუსი ჰომოს „მწვანე ყუთის" ქვეშ ჯაჭვით აბამდა, ხოლო გუინპლენი ცხენებს უვლიდა, — შეყვარებული ჭაბუკი ახლა მეჯინიბე ხდებოდა, თითქოს ჰომეროსის გმირი ან კიდევ კარლოს დიდის* პალადინი* ყოფილიყოს. შუაღამისას ყველას ეძინა, გარდა ჰომოსი, რომელიც გრძნობდა რა მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას, დროდადრო ცალ თვალს ოდნავ გაახელდა ხოლმე.

მეორე დილით ყველანი ისევ თავს იყრიდნენ. ჩვეულებრივ პურით და ლორით ერთად საუზმობდნენ, თან ჩაის აყოლებდნენ, რომელიც ინგლისურ სამზარეულოს 1678 წლიდან შეემატა. შემდეგ დეა, ესპანური ჩვეულების მიხედვით, რამდენიმე საათით იძინებდა. ამას თვით ურსუსი ურჩევდა, რადგან ხედავდა, რომ ქალი სუსტი აგებულებისა იყო. ამასობაში გუინპლენი და ურსუსი შიგ ფურგონში, თუ გარეთ ყველანაირ წვრილმან საქმეს ეჭიდებოდნენ, რასაც კი მათი მოხეტიალე ცხოვრება მოითხოვდა.

გუინპლენი იშვიათ შემთხვევაში თუ შორდებოდა „მწვანე ყუთს", რომ ცოტა გაევლ-გამოევლო, ისიც უკაცრიელ გზებზე, იმ ადგილებში, სადაც ხალხი კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდა. ქალაქებში ყოფნისას მხოლოდ ღამღამობით გაივლიდა ხოლმე; განიერფარფლებიან ქუდს წინ წამოიწევდა, რომ მისი სახე ქუჩაში მოსიარულეთაგან თვალში არავის მოხვედროდა.

მის პირისახეს მთლიანად მხოლოდ სცენიდან ხედავდნენ მაცქერალნი.

თუმცა „მწვანე ყუთი" არც ისე ხშირად სტუმრობდა ქალაქებს. ყველაზე დიდი ქალაქები, რაც ოცდაათხუთ წლის გუინპლენს ენახა, იყო ხუთი ნავსადგური. მიუხედავად ამისა, გუინპლენის სახელი უფრო ცნობილი ხდებოდა. იგი მდაბიო ხალხის საზღვარს გასცდა და უფრო მაღალ წრეებს მოედო. ბაზრების სანახაობათა მოყვარულების წრეში ხმა გავრცელდა, ხან აქ, ხან იქ გამოჩნდება ხოლმე უჩვეულო გარეგნობის კაციო. მასზე ალაპარაკდნენ, მისი ძებნა დაიწყეს, კითხულობდნენ. „სად არის? ნეტავ როგორმე გვაჩვენაო", „კაცი, რომელიც იცინის" მართლა სახელს იხვეჭდა. მისი სახელ-დიდების ანარეკლი შუქი რამდენადმე „დამარცხებულ ქაოსსაც" ეფინებოდა.

და აჰა, ერთხელ, პატივმოყვარეობის ჩანაფიქრებით აღსავსე ურსუსმა განაცხადა:

— ლონდონში უნდა წავიდეთ.

შენიშვნები:

გვ 7. **ბიუფონი** — ჟორჟ-ლუი ლეკლერი (1707-1788), ფრანგი ნატურალისტი.

გვ 8. **პლინიუსი** — კაიუს სეკუნდუს უფროსი (23-79), რომაელი მწერალი და მეცნიერი, ნატურალისტი და ისტორიკოსი, იმპერატორ ნერონის თანამედროვე.

გვ 9. **ჰიპოკრატე** — (460-337 ძვ. წ. აღ.) — მეცნიერული მედიცინის ფუძემდებელი ძველ საბერძნეთში.

პანდარე — (დაახლ. 518-442 ძვ. წ. აღ.) ძველი საბერძნეთის პოეტი ლირიკოსი.

რაპენი — ნიკოლა (1540-1608) ფრანგი პოეტი, რეაქციული კათოლიკური ლიგის ბელადების წინააღმდეგ მიმართული „მენიპოური სატირის" ერთ-ერთი ავტორთაგანი.

ვიდა — იტალიელი ეპისკოპოსი, პოეტი. წერდა ლათინურ ენაზე. ავტორი ტრაქტატისა „პოეტური ხელოვნების შესახებ" (1527).

ამფიმაკრი — სამმარცვლიანი ტაეპი ანტიკურ ლირიკაში, შედგებოდა ორი გრძელი მარცვლისაგან თავსა და ბოლოში და მათ შუა ჩართული მოკლე მარცვლისაგან.

სალერნოს სკოლა — ცნობილი სამედიცინო სკოლა შუა საუკუნეების იტალიაში, ქ. სალერნოში. დაარსებული იყო მეთორმეტე საუკუნეში.

გვ 12. **კარდანო** — ჯერონიმო (1501-1576) — იტალიელი ექიმი, მათემატიკოსი, ასტრონომი და ფილოსოფოსი.

პალენი (131-დაახლ. 201) — სახელგანთქმული რომაელი ექიმი-ქირურგი, დატოვა შრომები მედიცინასა და ფილოსოფიაში.

გვ 13. **ვიოლა-და-გამბა** — ძველებური სიმებიანი საკრავი.

გვ 16. **შერიფები, პრუდონები და მარშლები** — სასამართლო და ადმინისტრაციული ხელისუფლების წარმომადგენლები ინგლისში.

ჯეფრისი ჯორჯი — (1640-1689) სტიუარტების რესტავრაციის ეპოქის რეაქციული პოლიტიკური მოღვაწე. სტიუარტების დამხობის შემდეგ 1688 წ. გაქცევა დააპირა, მაგრამ შეიპყრეს და ტაუერის ციხეში დააწყვედეს, იქვე გარდაიცვალა.

გვ 17. **უელსის პრინცი** — ინგლისის ტახტის მემკვიდრის ტიტული.

ბილი — კანონპროექტი ინგლისში.

გვ. 18. **ედუარდ VI** — ინგლისის მეფე (1547-1553).

გვ. 18. CAETERIS FILIABUS ALUNDE SATISFACTIS — დანარჩენ ქალიშვილებს აკმაყოფილებენ შეძლებისდაგვარად (ურსულის შენიშვნა იქვე, კედელზე)

გვ. 19. **სერჟანტი** — სასამართლოს საპოლიციო მოხელე ინგლისში.

ტაუერი — ძველი ციხესიმაგრე ლონდონში, მეთექვსმეტე საუკუნემდე აქ ინგლისის მეფეები ცხოვრობდნენ. შემდეგში ტაუერი სახელმწიფო დამნაშავეთა საპატიმროდ გადააქციეს.

საბარონო სასამრთლო — ფეოდალთა უფლება მათ მამულებში მცხოვრებთა გასამართლების შესახებ.

ვესტმინსტერი — იგულისხმება ინგლისის პარლამენტის შენობა ლონდონში.

SUPPLICAVIT — ვედრება (ლათ.). ასე ეწოდებოდა თხოვნას, რომელიც მიმართული იყო მეფისადმი.

გვ. 20. **კაპელანი** — კათოლიკეთა მღვდელი, სამრევლო ან კარის ეკლესიაში.

გვ. 23. **აკროტერიონი** — შენობის ფრონტონის ზემოდან და ორივე მხრიდან ნაძერწი ჩუქურთმებითა და ფიგურებით შემკული ლავგარდანი.

გვ. 24. **სენ ჟერმენი** — საფრანგეთის მეფეთა ძველი ციხესიმაგრე ვერსალის მახლობლად.

გვ. 27. **იაკობ II** — სტიუარტების საგვარეულოს პირველი მეფე ინგლისში (1603-1625).

გვ. 29. **ყარაიბები** — სამხრეთამერიკელ ინდიელთა ტომები.

გვ. 31. **ტიურლუპენი** — ფრანგი კომიკოსი მსახიობის, ანრი ლეგრანის, ლუდოვიკო XIII-ის მასხარის შერქმეული სახელი. ახალგაზრდობაში ბაზრის ჯამბაზი იყო.

გვ. 32. **ვენსენ დე პოლი** (1576-1660) — ფრანგი მღვდელი, XVIს. ცნობილი იყო ქველმოქმედებით, მიგდებული და დასახიჩრებული ბავშვებისათვის პირველი თავშესაფრის დამაარსებელი.

ტიურენი ანრი — (1611-1675) — ფრანგი მხედართმთავარი, მარშალი.

გვ. 34. **პერკეო** — თოჯინაც კი, რომელიც მას გამოსახავს, ნა-

მქვილი საშინელებაა — ჰაიდელბერგის ერთ-ერთ მარანში, სადუმლო ყუთიდან ამოხტება ხოლმე.

სიქსტის კაპელა — რომის პაპის სასახლესთან ვატიკანში არსებული სამლოცველო.

გვ. 35. **კარლოს მეორე, სტიუარტი** — ინგლისის მეფე (1660-1685). სიკვდილით დასჯილი კარლოს I-ის შვილი. კრომველის სიკვდილის შემდეგ ინგლისის ტახტზე იგი მსხვილმა მემამულეებმა და ბურჟუაზიამ მიიწვიეს. მის გამეფებასთან ერთად ინგლისში გაბატონდა ფეოდალური რეაქცია. იგი ლუდოვიკო მეთოთხმეტისგან მუდმივად იღებდა ფულად სუბსიდიებს და მისივე საამებლად ინგლისის ბურჟუაზიისათვის არახელსაყრელ საგარეო პოლიტიკას ატარებდა.

კოკ — მამალს ნიშნავს ფრანგულად.

გვ. 36. **ბოსიუე** (1627-1704) — ფრანგი ეპისკოპოსი, აბსოლუტიზმის აპოლოგეტი ლუდოვიკო მეთოთხმეტის მეფობის წლებში.

გვ. 37. **ადამიანებით ვაჭრობა მეტად ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა, ჩვენს დროშიც კი ცდილობდნენ იარაღით შეენარჩუნებინათ ეს უფლება.** — ჰიუგო ლაპარაკობს სამოქალაქო ომის შესახებ ამერიკაში (1861-1865) მონათმფლობელობის მოწინააღმდეგე ჩრდილოეთის შტატებსა და მონათმფლობელურ სამხრეთ შტატებს შორის. 1863 წელს ზანგები გაათავისუფლეს მონობისაგან, რადგანაც სამხრეთის შტატებში მანამდე გავრცელებული მონური შრომა აფერხებდა ამერიკის მრეწველობის შემდგომ განვითარებას. იმპერიალისტურ ამერიკაში მონობის საზარელი და სამარცხვინო გადანაშთები გადაიზარდა ზანგთა რასობრივ დისკრიმინაციაში და მხეცურ ლინჩში, რაც ჩვენს დროში კიდევ უფრო გაძლიერდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

...ჰესენის კურფიურსტთან მეოდველი ისე მიდიოდა, როგორც ყასაბთან ხორცის საყიდლად. იგი საზარბაზნე ხორცით ვაჭრობდა — ამერიკის კოლონიების დამოუკიდებლობისათვის წარმოებული ომის წლებში (1775-1783) ინგლისი, რომელსაც არა ჰყავდა საკუთარი რეგულარული ჯარი, ამერიკაში გზავნიდა გერმანიის სათავადოებიდან შეგროვილ დაქირავებულ ჯარს.

„ჯეფრისის დროს, ჰერცოგ მონმუთის ტრაგიკული ავანტიურის შემდეგ" — ჰერცოგი ჯეიმს მონმუთი (1649-1685), კარლოს მეორის

ვანონი შეილი, ინგლისის ტახტის პრეტენდენტად ოპოზიციო-ნურად განწყობილმა ბურჟუაზიამ წამოაყენა, რომელსაც არ სურ-და ინგლისის მეფედ ეცნო კათოლიკე იაკობ მეორე. აჯანყებული მონმუთის ირგვლივ თავი მოიყარეს რამდენიმე ათასმა წვრილმა მიწათმფლობელმა, აგრეთვე მაუდის საწარმოოს მუშებმა, რომლე-ბმაც დაუჯერეს მონმუთის დაპირებას ერთგვარი დემოკრატიუ-ლი რეფორმების გატარების შესახებ. მთავრობის ჯარებმა ჩაქრეს აჯანყება. ამ მარცხს ხელი შეუწყო თვით მონმუთისა და ბურჟუა-ზიის მერყეობამ. მათ შეეშინდათ სახალხო მოძრაობისა. უმაღლესი მსაჯული ჯეფრისი სასტიკად გაუსწორდა აჯანყების მონაწილეებს. რამდენიმე ასეული ადამიანი, მათ შორის, თვით პერცოგი მონმუთი სიკვდილით დასაჯეს, დანარჩენები კოლონიებში გადაასახლეს.

უილიამ პენი — (1644-1718) — პენსილვანიაში (ჩრდილოეთი ამე-რიკა) ინგლისელთა კოლონიის დამაარსებელი. ეს კოლონია მან 280 გირვანქა სტერლინგად მიჰყიდა ინგლისის მთავრობას.

გვ. 40. **შრომანი** — საფრანგეთის ბურბონთა სამეფო საგვა-რეულოს გერბში გამოსახული ყვავილი.

გვ. 41. **ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ჰქონდა მჭიდრო კავშირს კათოლიკურ ირლანდიასა და კათოლიკურ ესპანეთს შორის. ასეთი მჭიდრო ურთიერთობა ბოლოს იმით დასრულდა, რომ ლონდონ-ში ჩამოახრჩვეს გელის ლორდი ბრანი, რომელიც თითქმის მეფე იყო ირლანდიისა.** — ისტორიაში ცნობილია ლორდ-მეფისნაცვალი ირლანდიაში თომას ფიცჯერალდი, რომელმაც 1534 წელს უარ-ყო ინგლისის მეფის უზენაესობა და აუჯანყდა მას; აჯანყებულებს მხარს უჭერდა ესპანეთი. 1535 წელს დამარცხებული ფიცჯერალდი ინგლისის ჯარებს დანებდა. იგი ირლანდიის სხვა აჯანყებულ ლორ-დებთან ერთად სიკვდილით დასაჯეს ლონდონში.

გვ. 46. **ალეგრი გრიგორიო** — (1580-1652) — იტალიელი, საე-კლესიო საგალობლების კომპოზიტორი, ცნობილი ქორალის „MI-SERERE“ („შეგვიწყალენის“) ავტორი.

გვ. 48. **NON JURORS** — ფიცის არმძლები.

გვ. 50. **არმადა** — საზღვაო ფლოტილია, რომელიც 1588 წელს ესპანეთის მეფე ფილიპე II-მ ინგლისის წინააღმდეგ გაგზავნა. არ-მადის ხომალდების დიდი ნაწილი დაიღუპა და დაზიანდა ზღვაში ქარიშხლის დროს. ინგლისის ფლოტთან შეტაკებისას არმადა სა-

ბოლოდ განადგურდა. არმადის დალუპვით ზღვაზე ესპანეთის ბატონობას ბოლო მოეღო.

გვ 54. **SEYMNUS GLACIALIS, SQUALUS ACANTHIAS და SQUALUS SPINAX NIGER** — სხვადასხვა სახეობის ზვიგენის ლათინური სახელწოდებები.

გვ 57. **კანტაბრები** — ჩრდილოეთ ესპანეთში ძველად მცხოვრები ტომები.

გვ 59. **ANDAMOS** — წავიდეთ (ესპ.)

გვ 72. **COMPELLE INTRARE** — აიძულე, შეაღწიოს. (ლათ)

გვ 90. **სიურკუფი რობერტი** — (1773-1827) — ფრანგი მეჯობრე, რომელიც ინგლისის საჯარო ხომალდებს ძარცვავდა. ნაპოლეონ I-ის იმპერიის ეპოქაში მას ბარონის წოდება მიენიჭა.

გვ. 92. **კარტუში** — ლეო ბურგინონი, მეტსახელად — კარტუში. ქურდების მეთაური პარიზში. სიკვდილით დასაჯეს 1721 წ.

გვ 93. **VASCONGADO** — ბასკი (ესპ).

გვ 94. **პუჩერო** — წინაკით უხვად შეზავებული ხორცის შეჭამადი (ესპან.).

ტონზურა — კათოლიკე მღვდლის კოსრიზე ამოპარსული ადგილი.

გვ 95. **ჩინელი მანდარინი** — საიმპერატორო ფეოდალური ჩინეთში მაღალჩინოსნის წოდება (შემდგომ კორეასა და ვიეტნამშიც) „მანდარინი" ევროპულ ენებში პორტუგალიურიდან შევიდა.

გვ 98. **ანტარესი** — კირჩხიბის თანავარსკვლავედის ცენტრში მდებარე პირველი სიდიდის ვარსკვლავი.

გვ 103. **ავგურები** — მკითხავი ქურუმები ძველ რომში.

პოლითეიზმი — მრავალღმერთიანობა, ბუნების ძალთა გაღმერთება.

ეგმენიდები — შურისძიების ქალღმერთნი.

ფურიები — ბოროტების ქალღმერთნი.

ჰიმერები — ქვესკნელის სამყაროს ურჩხულები (ბერძნ. მითოლოგიიდან).

გვ 121. **NIX ET NOX** — თოვლი და ღამე (ლათ.).

გვ 128. **TE BURLAS DE NOSOTROS** — მაშ, შენ გვეცდებ?

გვ 132. **ჰენრიხ I** — ინგლისის მეფე (1100-1135). ხომალდ ბლანშნეჟის ჩაძირვის შემდეგ გამეფდა. 1120 წელს ლამანშის სრუტეში კასკეტის კლდეებზე შეეჯახა ავაზო.

„ბლაშნეყის დალუპვის შემდეგ“ — მხედველობაშია ფრანგული გემი „ბლანშნეყი“, რომელიც ლამანშის ყურეში დაიღუპა.

გვ 140. **PORTEHTOSUM MARE** — ზღვა საზარლობის (ლათ.).

გვ 141. **ჰაიდ-პარკი** — დიდი პარკი ლონდონში.

ვლისეს მინდორი — ხეებითა და ნარგავებით გამწვანებული ფართო გაშხირი პარიზში, ეიფელის კოშკთან ახლოს.

გვ 145. **ჟან-ბარტი** — (1650-1702) — ფრანგი მეზღვაური და მეკობრე. ბოლოს ადმირალი, განთქმული სიმამაცით.

გვ 161. **PATER NOSTER QUI ES IN CEOLIS** — მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა (ლათ.).

SANCTIFICETUR NOMEN TUUM — წმინდა იყავნ სახელი შენი (ლათ.).

ADVENIAT REGNUM TUUM — მოვიდინ სუფევა შენი (ლათ.).

FIAT VOLUNTAN TUA — იყავნ ნება შენი (ლათ.).

SICUT IN COELO, ET IN TERRA — ვითარცა ცათა შინა, ჩრეცა ქუყანასა ზედა (ლათ.).

გვ 179. **არაპი** — მიწის ძველი ზომა.

გვ 194. **ფილოქსენე** — (435-380 ძვ. წ. აღ.) — ძველი საბერძნეთის მწერალი. ცხოვრობდა სირაკუზში (სიცილიის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო).

ანაქსაგორე (500-428 ძვ. წ. აღ.) — ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსი-მატერიალისტი. ცდილობდა აეხსნა ბუნების მოვლენები. ბრალი დაედო ურწმუნოებაში და განდევნილ იქნა ათენიდან.

გვ 196. **პარვეი უილიამი** (1578-1658) — ინგლისელი ექიმი, აღმოებდა სისხლის მიმოქცევის კვლევა-ძიებას.

გვ 197. **კეპლერი იოჰანი** — (1571-1630) — გერმანელი ასტრონომი, კოპერნიკის მიმდევარი.

ბართლომეს ღამე — 1572 წ. 24 აგვისტოს (წმ. ბართლომეს ღამეს) პარიზში მოწყობილი იყო კათოლიკეთა მიერ ფრანგი პროტესტანტების (ჰუგენოტების) მასობრივი გაჟლეტა.

გვ 203. **დიოგენე** (414-323 ძვ. წ. აღ.) — ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსი-მორალისტი. გადმოცემის თანახმად, იგი კასრში ცხოვრობდა და დღისით სანათურით დაეძებდა ხოლმე კეთილსინდისიერ ადამიანს.

გვ 207. **ოლივერ კრომველი** — (1599-1658) — ინგლისის რევოლუციის წლებში ინგლისის ბურჟუაზიის ბელადი.

გვ 208. — **შილონის ციხესიმაგრე** — აშენებულია ჟენევის ტბის შეაგულში მდებარე კლდეზე მე-14 საუკუნეში. ციხესიმაგრის სატყვეები გამოკვეთილი იყო წელით დაფარულ კლდეში და მათ სპეციალურად იყენებდნენ. ამ სპეციალურში ექვსი წლის მანძილზე კედელზე მიჯაჭვული იყო ჟენეველი პატრიოტი ბონივარი (1493-1579). ბანივარის თავგადასავალი საყვეტად დაედო ბაირონის პოემას „შილონის პატიმარი".

ჟენევა — ქალაქი შვეიცარიაში, ჟენევის ტბის მახლობლად.

ლედლო ჯმონდი — (1617-1692) ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის მოღვაწე და კარლოს I-ის ერთ-ერთი მოსამართლე. სტიუარტების სამეფოს რესტავრაციის დროს სამეფო ხელისუფლების მიერ დევნილმა თავი შეაფარა შვეიცარიას.

დიუნკერკი — ნაუსადგური ჩრდილოეთ საფრანგეთში. მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი პა-დე-კალეს სრუტეში. 1658 წ კრომველის დროს ინგლისმა იგი ნიდერლანდებს წაართვა და თავის ავანპოსტად გადააქცია ევროპის კონტინენტზე, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინგლისის ბურჟუაზიისათვის. პროფრანგული პოლიტიკის გამტარებელმა კარლოს მეორემ 1662 წელს დიუნკერკი საფრანგეთს მიჰყიდა.

გვ 209. **ჯორჯ მონკი** — პერკოგი ალბემარლი (1608-1689) — ინგლისელი გენერალი, უპრინციპო ავანტიურისტი. რევოლუციის დასაწყისში მონკი კარლოს პირველს მიეშველა, შემდეგ კი კრომველის მხარეზე გადავიდა. კრომველის სიკვდილის შემდეგ მონკმა სტიუარტების რესტავრაციის შეუწყო ხელი.

გვ 211. **მაზარინი ჯულიო** — (1602-1661) — კარდინალი, საფრანგეთის ფაქტობრივი გამგებელი ლუდოვიკო მეთოთხმეტის ბავშვობისა და ყრმობის წლებში; რიშელიეს მსგავსად ხელს უწყობდა აბსოლუტიზმის განმტკიცებას. კრომველსა და მაზარინს შორის წარმოებდა ხანგრძლივი დიპლომატიური ბრძოლა. კრომველი საფრანგეთის მეფეთა საწინააღმდეგოდ ფრანგ პუგენოტებს მფარველობდა.

მაზანიელო ტომაზო ანიელო — მეთევზე, ესპანეთის ბატონობის წინააღმდეგ სახალხო აჯანყების (1647) ბელადი. მოკლეს მეგზავნილმა მკვლელებმა. მისი დაღუპვის შემდეგ ნეაპოლში ესპანელთა ძალაუფლება აღადგინეს.

ტრომპი — მარტინ ჰაპერცი (1597-1653) — გამოჩენილი ჰოლანდიელი ადმირალი. ჰოლანდიის მიერ ზღვაზე ბატონობისათვის წარმოებულ ომებში რამდენჯერმე დაამარცხა ინგლისისა და ესპანეთის ფლოტები.

გვ. 212. **ნაოხნობის აქტი** — გამოიცა 1651წ. ხანგრძლივი პარლამენტის მიერ. თანახმად ამ აქტისა, ინგლისში შესატანი საქონელი გადატანილი უნდა ყოფილიყო ან თვით ინგლისის, ანდა იმ ქვეყნის ხომალდებით, სადაც ეს საქონელი მზადდებოდა. აქტი მიმართული იყო ჰოლანდიის მიერ წარმოებული საშუამავლო ვაჭრობის წინააღმდეგ.

ბრედას დეკლარაცია — კარლოს მეორის მიერ ჯერ კიდევ გაძევებამდე, 1660წ. ხელმოწერილი აქტი ჰოლანდიის ქალაქ ბრედაში. დეკლარაციაში კარლოს მეორე ამნისტიას პირდებოდა ავანტიურებს, პირობას იძლეოდა გამოეჩინა სარწმუნოებრივი შემწყნარებლობა და ელიარებინა რევოლუციის მხლეელობაში მომხდარი მიწების კონფისკაცია. მაგრამ მან დანაპირები არ შეასრულა. რევოლუციის მონაწილენი სასტიკად დასაჯეს. კრომველის გვამი სამარიდან ამოთხარეს და სახრჩობელაზე ჩამოკიდეს.

პენტინგდონელი ლუდის მხდელის შვილი — იგულისხმება ოლივერ კრომველი. ინგლისის რევოლუციის ეპოქის რეაქციონერი ისტორიკოსები კრომველს დამცირების მიზნით, ლუდის მხდელის შვილს უწოდებდნენ.

გვ. 213. **ცვილური ფერცელი** — სახელმწიფო ბეჭედიდან გამოყოფილი და პარლამენტის მიერ დამტკიცებული მეფის სარჩოდ განკუთვნილი თანხების საბუთი.

გვ. 214. **ჯონ დრაიდენი** — (1631-1700) ინგლისელი მწერალი, პოეტი და დრამატურგი. ინგლისის არისტოკრატიის მსოფლმხედველობის გამომხატველი. თუმცა ახალგაზრდობაში რესპუბლიკელი იყო.

ჯონ მილტონი — (1608-1674) მეჩვიდმეტე საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის პოლიტიკური მოღვაწე. მან, უპირველესი მოხუცმა, შექმნა პოემა „დაკარგული სამოთხე", რომელშიც უხვად აისახა რევოლუციური მოსაზრებანი.

გვ. 218. **ჯილინ ჯონი** (1620-1706) — ინგლისელი მწერალი, ავტორი საინტერესო „დღიურებისა", რომელშიაც აღწერა იმდროინდელი ადათ-წესულება.

გვ. 220. **ალაკოკი მარგარიტა-მარიამი** — (1647-1690) — ფრანგი მონაზონი ქალი, ფარისველი და მრეში.

გვ. 222. **იორკის ჰერცოგი** — მეფე იაკობ II-ის ტიტული, მისი ტახტის მემკვიდრედ ყოფნის წლებში.

NON DEFICIT ALTER, AUREUS — ერთი ოქროს შტო მეორემ შეცვალა (ლათ.).

გვ. 225. **ჯონ ბრადშოუ** (1602-1659) — ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე, რესპუბლიკელი, სასამართლოს თავმჯდომარე, რომელმაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა კარლოს პირველს. კრომველის სიკვდილის შემდეგ პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოსცილდა.

გვ. 226. **უილიამ ორანელი** (1650-1702) — ჰოლანდიელი შტატჰალტერი, რომელიც ინგლისის ბურჟუაზიამ 1688 წელს მიიწვია სტიუარტების ტახტზე და რომელმაც დაამხო იაკობ მეორე.

MADAME SANS QUEUE — ქალბატონი შემდგომი განმარტების გარეშე (ფრანგ.) **MADAME** — საფრანგეთის მეფის უფროსი ქალიშვილის, დოფინის ქალიშვილის ან მეფის ძმის ცოლის ტიტულია.

გვ. 230. **ჯონ ლოკი** — (1632-1704) — ფილოსოფოსი-მატერიალისტი (სენსუალისტი), საზოგადოებრივი თვალსაზრისით იდეალისტი. ზომიერი ბურჟუაზიულ-კონსტიტუციური მონარქიის იდეოლოგი.

გვ. 232. **მიმართვა პაზონებს** — რომაელი პოეტის, ჰორაციუსის (65-8 ძვ. წ. აღ.) ნაწარმოები.

მარიამ სტიუარტი — (1542-1587) — შოტლანდიის დედოფალი, ინგლისის დედოფალ ელისაბედის წინააღმდეგ მოწყობილი ფეოდალურ-კათოლიკური შეთქმულების ჩაფუშვის შემდეგ 1587წ. ინგლისის სასამართლოს გადაწყვეტილებით სიკვდილით დასაჯა.

DESINIT IN PISCEM — ბოლოვდება თევზის კუდით

გვ. 233. **დაეით რიჩო** — სამეფო კარის მუსიკოსი, მარიამ სტიუარტის ფავორიტი.

გვ. 234. **ანა ბოლეინი** — (1507-1536) — ინგლისის დედოფალი, ჰენრიხ მერვეს მეორე ცოლი.

ფრანსუაზა ლაველიერი — ლუდოვიკო მეთოთხმეტის ფავორიტი ქალი.

მარგარიტა ვალუა — (1552-1615) — საფრანგეთის მეფე ჰენრიხ მეოთხის პირველი ცოლი.

გვ 238. **MAGISTER ELEGANTIARUM** — მოხდენილობის კანონმდებელი (ლათ.).

გვ 239. **ეჟენ დელაკრუა** (1805-1865) — ფრანგი მხატვარი რომანტიკოსი.

გვ 241. **თერსიტი** — „ილიადას" ერთ-ერთი მოქმედი პირი, რიგით ბერძენი ჯარისკაცი. პომეროსი აღწერს მას, როგორც უაღრესად მახინჯ ადამიანს.

ტრიბულე (1528-1558) — ფრანგ მეფეთა — ლუდოვიკო მეთოთხმეტისა და ფრანცისკ პირველის კარის მასხარა. მისი სახელი პოპულარული გახადა თვითონ ჰიუგომ, თავის დრამაში „მეფე ერთობა" (ოპერა „რიგოლეტო").

დუნს სკოტი (1268-1305) — შუა საუკუნეების ინგლისელი ფილოსოფოსი-მატერიალისტი.

ჰუდიბრასი — ინგლისელი სატირიკოსის, ბეტლერის (1612-1680) ამავე სახელწოდების პოემის გმირი.

სკარონი (1610-1660) — ფრანგი მწერალი-სატირიკოსი. სენით დახახირებული და დაავადებული ლოგინად იყო ჩაკარდნილი.

კოკლესი — პორაციუსი (მეექვსე საუკუნე ძვ. წ. აღ.) — რომის ლეგენდარული გმირი. ბრძოლაში ცალი თვალი გამოსთხარეს და მეტსახელად კოკლესი — ცალთვალა უწოდეს.

ლუის კამოენსი — (დაახლ. 1524-1580) — პორტუგალიის ეროვნული მგოსანი. ავტორი „ლუზიადისა". თვალი გამოსთხარეს ბრძოლაში.

ეზოპე — (მეექვსე საუკუნე ძვ. წ. აღ.) — ძველი საბერძნეთის იგავ-არაკების ავტორი. გათავისუფლებული მონა.

მირაბო — (1749-1791) — საფრანგეთის მეთვრამეტე საუკუნის ბურჟუაზიული რევოლუციის დროინდელი ორატორი და პოლიტიკური მოღვაწე, კონსტიტუციური მონარქიის მოშხრე. მეფის მიერ მოსყიდული, გამოირჩეოდა მახინჯი, ნაყვავილარი სახით.

გვ 242. **TUNC VENUS IN SYLVIS JUNGEBAT CORPORA AMANTUM** — „იქ, ტყეებში ვენერა ყველა საყვარელს გადაეკვეთება ხოლმე" (ლათ.).

გვ 247. **ხუთი ნასადგური** — ასე ეწოდებოდა უილიამ დამპიერის (1066-1087) ხუთ ნასადგურს: ჰასტინგს, სენდვიჩს, დუვრს, რომნეის და ჰაიტს, რომელნიც მდებარეობენ ინგლისის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე.

გვ 247. **დედოფალი ანა** — იაკობ მეორის ქალიშვილი, ვილჰელმ ორანელის სიკვდილის შემდეგ ინგლისის ტახტი დაიკავა (1702-1714).

გვ 248. **თორები და ვიგები** — ინგლისის ორი პოლიტიკური პარტია XVII-XVIII საუკუნეებში. ამ პარტიების სახელწოდება წარმოდგება სალანძღავი სიტყვისაგან (თორები — ირლანდიელი მძარცველები, ვიგები — შოტლანდიელი ყაჩაღები). თორები გამოხატავდნენ მსხვილ მემამულე თავადაზნაურთა ინტერესებსა და წარმოადგენდნენ ინგლისის თანამედროვე იმპერიალისტთა კონსერვატული პარტიის წინამორბედს. ვიგები, ინგლისის თანამედროვე ლიბერალური პარტიის წარმომადგენელნი, ცდილობდნენ მცირემიწა, მდიდარ ვაჭრებს, ბანკირებს და მანუფაქტურათა მფლობელთა იმ ნაწილს, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული სხვადასხვაგვარ ფინანსურ და კოლონიურ დაწესებულებებთან.

გვ 250. **თავისუფლების ქარტია** — 1215 წელს ინგლისის მეფე იოანე უმიწყლო აუკანებელ მოქალაქეთა, ბარონთა და რაინდთა ზეგავლენით იძულებული იყო, გამოეცა „თავისუფლების დიდი ქარტია", რომელიც მეფეს უფლებას ართმევდა აღნიშნული წოდების წარმომადგენელთათვის თავისუფლება ალეკვეთა გარეშე განაჩენისა და ძიებისა. აგრეთვე ზღუდავდა მის უფლებებს დაეკისრებინა მათთვის გადასახადები. მომავალში ბურჟუაზიულ ისტორიულ ლიტერატურაში ამ ქარტიის შესახებ წარმოიშვა ლეგენდა, თითქოს იგი იყო ძირითადი კანონი, რომელმაც ინგლისში პარლამენტური წყობილება დაამყარა.

პროსკრიპცია — ცნური მნათობების განლაგების რუკა, რაც ითვლის ადამიანის დაბადებისას განსაზღვრავდა მის ბედ-იღბალს.

1688 წლის რევოლუცია — ინგლისის ბურჟუაზიის მიერ „სახელოვნად" წოდებული. განახორციელა ამ დროისათვის უკვე კონტრრევოლუციურად განწყობილმა ბურჟუაზიამ და მასთან მოკავშირე თავადაზნაურობამ. ამ რევოლუციამ მოსპო სტიუარტების მონარქია იაკობ მეორის სახით, მაგრამ არაფერი მოუტანია ხალხთა მასებისათვის. ეს უკვე რევოლუცია კი არ იყო, არამედ გაბატონებული კლასის მიერ ხალხის ზურგს უკან მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალება.

გვ 251. **VIRGINITAS EMPTA** — ქალწულებრივი უბიწობის საფასური (ლათ.), ომი და შშვიდობა (ლათ.).

გვ. 252. **ესექსი** — რობერტი (1566-1601) — დელოფალ ელისაბედის ფავორიტი. 1601 წელს იგი შეეცადა მოწყვო აჯანყება ლონდონში ელისაბედის წინააღმდეგ, მაგრამ შეიპყრეს, გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს.

ვკოუ — ძველებური ფრანგული ოქროსი და ვერცხლის ფული.

ლიარი — ბრინჯაოს წვრილი ფული.

„ისიც ხდება, რომ ლომი შეჭამს ხოლმე მხედარს, მაშინ ინგლისში 1649 წლის ამბები დატრიალდება, ხოლო საფრანგეთში 1793 წლის ამბები". — იგულისხმება ინგლისის 1649 წლის ამბები, როდესაც ბურჟუაზიულმა რევოლუციამ აღმავლობის უმაღლეს წერტილს მიაღწია და ხალხთა მასების ზეგაულენით ბურჟუაზია იძულებული იყო კარლოს პირველისათვის მსჯავრი დაედო და სიკვდილით დაესაჯა იგი, როგორც სამშობლოს მოღალატე. 1793 წელს საფრანგეთში იაკობინელებმა სიკვდილით დასაჯეს ლუდოვიკო მეთექვსმეტე.

გვ. 253. **გალიონები** — XVI-XVII საუკუნეებში იალქნიანი ხომალდები, რომლებითაც ესპანელები ამერიკიდან ეზიდებოდნენ ინდოელთაგან ნაძარცვ ოქროს.

გვ. 254. **ლიულლი ჟან ბატისტი** — (1633-1687) — ფრანგი კომპოზიტორი, რომელიც დიდი წარმატებით სარგებლობდა ლუდოვიკო მეთოთხმეტის სამეფო კარზე.

ქრისტეფორ რენი — (1632-1723) — ინგლისელი არქიტექტორი.

ფრანსუა მანსარი — (1598-1666) — ლუდოვიკო მეთოთხმეტის არქიტექტორი.

ჯონ სომერსი — ლორდი (1651-1716) ინგლისელი მწერალი. ვიგების პარტიის ერთ-ერთი ლიდერთაგანი.

გილომი ლამუანიო — (1617-1677) — პარიზის სასამართლოადმინისტრაციული დაწესებულების თავმჯდომარე.

ნიკოლა ბუალო — (1636-1711) — ფრანგი პოეტი და კრიტიკოსი, კლასიციზმის თეორიტიკოსი, ავტორი ტრაქტატისა ლექსად: „პოეტური ხელოვნების შესახებ".

ალექსანდრე პოპი — (1688-1744) — ინგლისური კლასიციზმის დიდი პოეტი.

ჟან-ბატისტი კოლბერი — (1619-1683) — საფრანგეთის აბსოლუტიზმის გამოჩენილი მოღვაწე. ლუდოვიკო მეთოთხმეტის პირველი

მინისტრი. იმდროინდელი საფრანგეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ფაქტობრივი ხელმძღვანელი.

სიდნეი გოდოლფინი — (1645-1712) — სახელმწიფო მოხელის პირველი ლორდი ანა დედოფლის დროს.

„ეინჰორიც ხომ იმხანად თითქმის არანაკლები იყო მარლიზე" — მეფის სასახლე მდებარე მდინარე თემზის ნაპირას, აშენდა ელვარედ მესამის მეფობისას მეთოთხმეტე საუკუნეში.

გვ 254. **მარლი** — ვერსალის მახლობლად მდებარე სასახლე, აშენდა ლუდოვიკო მეთოთხმეტის განკარგულებით დაანგრიეს მეთვრამეტე საუკუნეში, საფრანგეთის რევოლუციის დროს.

გვ 266. **EX VOTO** — აღთქმით საწირავი (ლათ.).

გვ 268. **დენთის შეთქმულება** — ინგლისელი კათოლიკე რევოლუციონერების ამაო ცდა აეფეთქებინათ პარლამენტის შენობა. აფეთქება უშუალოდ უნდა განეხორციელებინა ოფიცერ გაი ფოქსს.

გვ 270. **დომიციანე** — რომის იმპერატორი (81-96).

გვ 271. **ჰელიოგაბალი** — რომის იმპერატორი (218-222). მისმა უკიდურესმა სისასტიკემ და გარყვნილებამ რომში აჯანყება გამოიწვია, აჯანყების დროს იგი მოკლეს.

ფილიპე V — ესპანეთის მეფე (1683-1746) ლუდოვიკო მეთოთხმეტის შვილიშვილი. ესპანეთის ტახტზე ავიდა 1700 წელს; ესპანელთა ჰაბსბურგების საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენლის სიკვდილის შემდეგ, რამაც საფუძველი დაუდო ესპანეთის მემკვიდრეობისათვის გაჩაღებულ ომს (1701-1713 წწ.).

გვ 271. **INFERI** — ქვესკნელი.

მარიამ მედიჩი — (1573-1642) — საფრანგეთის დედოფალი, ჰენრიხ მეოთხის მეორე ცოლი. ჰენრიხ მეოთხის სიკვდილის შემდეგ საფრანგეთის გამგებელი.

სილერი — საფრანგეთის კანცლერი მარიამ მედიჩის დროს.

ლაუა — შიშელ ლა ტელე მარკიზი, ლუდოვიკო მეთოთხმეტის საშინაო მინისტრი.

გვ 272. **იეზუიტები** — იეზუიტთა ორდენი დაარსდა 1534 წელს, ესპანელ იგნაციო ლოიოლას მიერ, რათა მხარი დაეჭირა კათოლიკური ეკლესიისათვის რეფორმაციასთან ბრძოლაში. ისტორიის ჯერ ეტაპზე იეზუიტები ასრულებდნენ უაღრესად რეაქციულ

როლს. როგორც ლუდოვიკო მეთოთხმეტის უშუალო მრწველებმა, მათ საფრანგეთის ეკონომიურ დაქვეითებას ძლიერ შეუწყეს ხელი მეთრამეტე საუკუნეში.

გვ 273. **ჭალბატონი დე მონშევრეილი** — სარგებლობდა ლუდოვიკო მეთოთხმეტის ფავორიტისა და შემდეგ ფარული ცოლის ჭალბატონი დე მენტენონის კეთილგანწყობით.

გვ 276. **როკლორი** — პასტრონ-ჟან-ბატისტი (1617-1676) — ფრანგი გენერალი, ითვლებოდა ანეკდოტთა კრებულის ავტორად.

გვ 277. **დანაიდების კასრი** — მეფე დანაის ორმოცდაათ ქალიშვილს სასჯელად მიუზღეს მუდმივად წყლით ავსება უძირო კასრისა მიცვალებულთა სამყაროში (ბერძნული მითოლოგიით).

გვ 279. **ჰერცოგი ალბა** — ნიდერლანდების ესპანელი განმგებელი (1567-1573), რომელიც დაუნდობელი სიმკაცრით ახშობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ნიდერლანდებში.

გვ 280. **ჟანი ბოდენი** — (1520-1596) ფრანგი ფილოსოფოსი და ეკონომისტი.

გვ 296. **POUR** — ფრანგულში ნიშნებულია (რად. შენიშვნა).

რობერტ ლესტერი — (1532-1588) — ინგლისის დედოფლის ელისაბედის ერთ-ერთი ფავორიტი.

გვ 297. **ბუკინჰემი ჯორჯი** — ინგლისელი ადმირალი, იაკობ პირველის ყოველისშემძლე ფავორიტი, ინგლისის ფაქტობრივი განმგებელი კარლოს პირველის დროს. 1628 წელს ფანატიკოსმა პროტესტანტებმა მოკლეს.

გვ 299. **შერიდანი** — რიჩარდ ბრინსლი (1751-1816) — ინგლისელი დრამატურგი, სატირიკოსი, ვიგების მეშარცხენე ფრთის მომხრე, პოლიტიკური მოღვაწე.

გვ 301. **ჰენრიხ მეფე** — ინგლისის მეფე, ტიუდორთა საგვარეულოდან (1509-1547). მოახდინა კათოლიკური ეკლესიის რეფორმაცია, გამოაცხადა თავისი თავი ახალი ანგლიკანური ეკლესიის მეთაურად, ჩაატარა კონფისკაცია სამონასტრო მამულებისა, რომელიც შემდგომ ინგლისის თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის ხელში გადავიდა.

გვ 309. **DENASARE*** — ცხვირის დაკარგვა (ლათ.).

გვ 311. **მანიქეველები** — სექტანტები აღმოსავლეთში მეოთხე-მეხუთე საუკუნეებში, რომელთაც მიაჩნდათ, რომ სამყაროში წარ-

მოებს ბრძოლა ორი საწყისისა — სიკეთისა და ბოროტებისა, სინათლისა და წყვდიადის შორის.

გვ. 322. **DE DENASATIS** * — უცხვირო ადამიანებს (ლათ).

NARES HABENS MUTILAS * — ცხვირის ნესტოებშეჭრილი (ლათ).

გვ. 342. **გრეგორიანული სიმფონია** — კათოლიკური მღვდელმსახურებისათვის მეხუთე საუკუნეში რომის პაპის გრიგოლ I მიერ შემოღებული მუსიკა.

ამბროზიანული კანონი — მილანელი ეპისკოპოსის ამბროსის მიერ მეოთხე საუკ. შემოღებული საეკლესიო საგალობელი.

მოზარაბული კანონი — ეს სახელწოდება წარმოსდგა ესპანეთში მცხოვრებ არაბთა მიერ დაპყრობილი ქრისტიანი მოზარაბელებისაგან.

გვ. 343. **URSUS RURSUS*** — დათვი უკუღმა. (ლათ).

გვ. 344. **პლავტო ტიტე მარციუსი** (დაახლ. 254-184 ძვ. წელთაღ.) — რომაელი მწერალი, რომაელი მდიდარი ვაჭრების გამკილავი და მამხილებელი, მრავალი კომედიის ავტორი.

გვ. 344. **IMMOLATUS** * — დაკლული კრავი. (ლათ).

SANCTUS * — წმინდაო უფალო. (ლათ).

გვ. 345. **ORA! ILORA! DE PALABRA NACE RAZON DE LUZ EL SO** — ილოცე! იტირე! სიტყვა შობს გონებას, სიმღერა სინათლეს (ესპ.)

გვ. 346. **NOCHE QUITTA TE DE ALLi. EL ALBA CANTA HALLA LI** — ღამევ, გაგვშორდი, გამარჯვებას გალობს ცისკარი. (ესპ.)

ES MENESTER A CIELOS IR, Y TU QUE LLORABAS REIR — ალხდექ აწ, ამაღლდი ცათამდე, იცინე, მტირალო აქამდე (ესპ.)

QUEBRA BERZON! DEXA, MONSTRO, A TU NEGRO CAPARAS ON. — ულული გადაიგდე, უკუაგდე, მახინჯო, ეგ შავი საბუდე (ესპ.)

O VEN! AMA! ERES ALMA SOI COSAZON — მომიახლოვდი! მეტრფიალე! შენა ხარ სული, მე — გული (ესპ).

გვ. 351. **„ორატორო, მიაყარე სიტყვასავით, რაც კი ავი და შავი მოგადგება პირზე"** — იგულისხმება დემოსთენე (დაახლ. 384-322), ძველი საბერძნეთის პოლიტიკური მოღვაწე და ბრწყინვალე ორატორი.

გვ 361. **AD CONSILIUM IMPENDENDUM** — მოძველი საათბაროსთვის. (ლათ.).

AD CONSENTIENDUM. — შესათანხმებლად.

გვ 364. **NOS.** — ჩვენ (ლათ.).

გვ 365. **ორესტე** — ძველ ბერძნულ მითოლოგიაში მეფე აგამემნონისა და დედოფალ კლიტემნესტრას ვაჟიშვილი. ორესტემ შური იძია თავის დედაზე მამის მოკვლისათვის. შურისმაძიებელი ქალღმერთების, ერინიების დევნის შედეგად ორესტემ გონება დაკარგა.

გვ 369. **მოესარი სამონ-პიერი** (1781-1851) — ცნობილი ფრანგი მსახიობი კომედიებში.

გვ 371. **კარლოს დიდი** — ფრანგთა მეფე (768-814) ფეოდალური ურთიერთობათა დამყარების ეპოქაში. 800 წელს რომის პაპის მიერ კურთხა ხელმწიფე-იმპერატორად.

პალადინი — დასავლეთის შუა საუკუნეების ეპოქაში რაინდთა სახელწოდება.

ვიქტორ ჰიუგო

კაცი, რომელიც იცინის

მეორე ნაწილი

ბაბილინა ხოსიტაშვილის თარგმანი

წიგნი მესამე

ნაპრალის დასაწყისი

I

ტედკასტერის სასტუმრო

ლონდონში იმხანად მხოლოდ ერთი ხიდი იყო, ლონდონის ხიდი, რომელიც შენობებს გარემოეცვა. ეს ხიდი ლონდონთან გარეუბან საუთვორქს აერთებდა. საუთვორქის ქუჩები მდინარე თემზიდან ამოღებული ხვინჭით მოფენილი, მიხვეულ-მოხვეული და მეტად ვიწრო, ბევრგან ძნელად გასასვლელი შუკებითაც მთავრდებოდა. საუთვორქი ერთმანეთზე უწესრიგოდ მიჭეჭყილი სხვადასხვა შენობის, საცხოვრებელი სახლების და ფიცრული ქოხმახების გროვას წარმოადგენდა, რაც ხანძრის გაჩენას უქმნიდა ნიადაგს. 1666-მა წელმა ეს კიდევაც დაამტკიცა.

სიტყვა საუთვორქს მაშინ გამოთქვამდნენ ხოლმე როგორც **სოუდრიქ;** ჩვენს დროში გამოთქვამენ დაახლოებით **სოუზვორქ**. თუმცა ინგლისური სახელების წარმოთქმისთვის საუკეთესო საშუალება ისაა, რომ სრულად არ წარმოითქვას ისინი. მაგალითად, სიტყვა სოუთჰემპტონიდან მხოლოდ თანხმოვანი ასოები — **სთჰნტნ** რჩება.

იმ ეპოქაში ჩეტენს გამოთქვამდნენ, როგორც JE T'AIME*.

მაშინდელი საუთვორქი ისევე ჰგავდა ახლანდელს, როგორც ვოჟირარი* მარსელს. ახლა იგი ქალაქია, ხოლო მაშინ დაბას წარმოადგენდა და ამასთანავე საკმაოდ ახმაურებულ ნავსადგურსაც. ზედ თემზის ნაპირზე ძველადვე აღმართული იყო ციკლოპისებური ნაგებობის მსგავსი გრძელი, უზარმაზარი სიმაღლის კედელი. შიგ რკინის რგოლები იყო ჩამაგრებული, რომელზეც სამდინარო გემებს ამაგრებდნენ ბაგირებით. ამ კედელს ეფროქის კედელს ანუ, ეფროქ-სთოუნს უწოდებდნენ. როდესაც იორკი ჯერ ისევ საქსონიისა იყო, მას ეფროქი ერქვა. გადმოცემა იუწყება, რომ ამ კედლის ძირას თავი ეფროქის რომელიღაცა ჰერცოგმა დიხრჩო. აქ მართლაც მდინარე საკმაოდ ღრმა არის საიმისოდ, რომ ჰერცოგი

ადვილად დაეხრჩო. წყლის მოქცევის დროსაც კი მდინარის სიღრმე ექვს ბრასზე ნაკლები არა ყოფილა. ეს ადგილი საუკეთესო იყო ღუზის ჩასაშვებად და გემის დასაყენებლად, რის გამოც ზღვის ხომალდებსაც იზიდავდა იგი. ძველებური ჰოლანდიური, გვერდებგამობერილი, ორანძიანი ნავი „ვოგრაატი“ ჩვეულებრივ, ჩერდებოდა ხოლმე ეფროკ-სითოუნში. „ვოგრაატი“ ყოველკვირეულად დადიოდა პირდაპირი რეისით ლონდონიდან როტერდამში და როტერდამიდან ლონდონში. სხვა ნავ-ხომალდები აქედან დღეში ორ-ორჯერ გადიოდნენ, ზოგი დეტფორდში, ზოგიც გრინჩსა ან გრევსენდში. მიდიოდნენ წყლის მიქცევისას და ბრუნდებოდნენ უკუქცევისას. გრევსენდამდე გადასვლას ექვსი საათი სჭირდებოდა. თუმცა მანძილი ოცი მილიც არ იყო.

„ვოგრაატი“ იმგვარი ხომალდი იყო, როგორსაც ახლა მხოლოდ საზღვაო მუზეუმებშიღა შეხვდებით. მისი მეტისმეტად გამობერილი კორპუსი პატარა მდინარეებში სახმარ, ჩინურ ორაფრიან ნავს — ე.წ. ჯონკას მოგაგონებდათ. იმ ეპოქაში საფრანგეთი საბერძნეთს ჰბაძავდა, ხოლო ჰოლანდია ჩინეთს. „ვოგრაატს“, მძიმე, ორანძიან ნავს, ტრიუმში პერპენდიკულარული წყალშეუვალი გარიგი ჰქონდა; შუაში ღრმა კაიუტა მოჩანდა, ხოლო ცხვირსა და კიჩოზე ბაქანს გვერდის შესერი არ ჰქონდა, ისევე, როგორც ახლანდელ ქონგურებიან გემებზეა მოწყობილი. გვერდის ნაპირებზე მესრის უქონლობას ერთი ის უპირატესობა გააჩნდა, რომ ქარიშხლის დროს ტალღების მოძალება ნაკლები იყო; მაგრამ, ამავე დროს ხომალდის ეკიპაჟი ხიფათში ვარდებოდა. აზვირთებულ ტალღას შეეძლო ხალხი ზღვაში გაეტაცა, რაკი არაუთარ დაბრკოლებას არ წააწყდებოდა. ადამიანების ზღვაში გადავარდნისა და დაღუპვის შემთხვევები კიდევაც ხშირი იყო; ამის გამო ასეთი ტიპის ნავ-ხომალდების გამოყენებაზე ხელი აიღეს. „ვოგრაატი“ ჩვეულებრივ, პირდაპირ მიდიოდა ჰოლანდიაში, ისე რომ გრევსენდშიც არ ჩერდებოდა.

ეფროკ-სითოუნს ძირს უძველესი ქვითნაგები ლავგარდანი გახდევდა, ნაწილობრივ თეთრ კლდისაგე შვერილიდან და ნაწილობრივ მინაშენი, კიბურად გამოწეული, რაც იქვე, რკინის რგოლებზე ხომალდ-ნავების გაგირით მიმაგრებას აადვილებდა, მიუხედავად იმისა, რა სიმაღლეზედაც უნდა ყოფილიყო წყლის დონე. ამ კლდიდან

რამდენიმე ადგილას ქვითკირის კიბეები ასდევდა ნაპირისაკენ და საუთვორქის სამხრეთ ნაწილსაც ასევე კედელი ესაზღვრებოდა. სანაპიროზე მიწაყრილი იმ დონეზე იყო კედელთან, რომ გამვლელებს შეეძლოთ ეფროქ-სთოუნის თხემს ისე დაყრდნობოდნენ, როგორც სანაპიროს მოაჯირს. აქედან თვალწინ იშლებოდა მდინარე თეშზის სანახაობა. ამ ადგილიდან, მდინარის მეორე ნაპირზე, ლონდონის შენობები უკვე თავდებოდა და შემდეგ მინდვრიანი გასდევდა.

ეფროქ-სთოუნის მახლობლად, თეშზის მოსახვევებში, თითქმის სენტ-ჯეიმსის სასახლის პირდაპირ, ლამბეთ-პაუსის უკან, იმ სასეირნო ადგილის მახლობლად, რომელსაც ფოქს-ჰოლს უწოდებდნენ ხოლმე, სადაც ფაიფურის ჭურჭელს და შუშის ფერად ბოთლებს აშხადებდნენ, ერთი იმ ცარიელ ადგილთაგანი მდებარეობდა, ბალახბულახითა და ეკალნარით გაბარდნილი, რომელთა მსგავსს საფრანგეთში სათარეშო-სალაღობო ვაკიანს უწოდებდნენ, ხოლო ინგლისში რგოლ-ბურთთა საგორებელ მწვანე მდელოს „BOWLING-GREEN“. ჩვენ ეს სიტყვა „BOULINGRIN“-ად ვაქციეთ. ჩვენს დროში ასეთი პატარა მდელოები უკვე სახლებში გავიჩინეთ, მხოლოდ ისინი მაგიდებზე მოვაწყვეთ, მწვანე მოლის მაგივრობას მწვანე მაუდი სწევს, ამ ყოველივეს კი ბილიარდი ეწოდება.

სხვათა შორის, სრულიად გაუგებარია შემდეგი გარემოება: როდესაც უკვე გვაქვს სიტყვა ბულვარი („BOULEVARD-BOULEVERT“), რომელიც თავისი მნიშვნელობით სავსებით ეფარდება სიტყვა „BOULINGGREEN“-ს, რატომ გამოვიგონეთ კიდევ „BOULINGRIN“. საკვირველია, რომ ისეთი პატივსაცემი რამ, როგორიც ლექსიკონია, ამას დასაშვებად მიიჩნევს.

საუთვორქის „მწვანე მდელოს“ ტარიწზოფილდი ერქვა, ვინაიდან ოდესღაც იგი ბარონ ჰასტინგსებს ეკუთვნოდა, რომლებიც აგრეთვე ტარიწზონ-მოკლაინის ბარონების ტიტულსაც ატარებდნენ. ტარიწზოფილდი, ბარონ ჰასტინგსებისგან, ბარონ ტედკასტერებს გადაეცათ, რომლებიც ამ ადგილს იჯარით გასცემდნენ ხოლმე, როგორც სახალხო სეირნობის ადგილს, ისევე, როგორც შემდეგ დროში ერთმა ორლეანის ჰერცოგთაგანმა თავისი საშემოსავლო საგნად პალეროიალი აქცია. დროთა განმავლობაში ტარიწზოფილდი, როგორც ბეითალმანი მამული, სამრევლოს მიეკუთვნა.

ტარიწზოფილდი ერთგვარ, მუდმივ საბაზრო მოედანს წარმოად-

გენდა, სადაც თავიანთ კარვებს ჩააწყრიევებდნენ ხოლმე თვალთმაქცები, ჯამბაზები, ტაკიმასხარები, სხვადასხვა საკრაეის მაჭყრალნი და სადაც თავს იყრიდნენ სეირის მაყურებელნი, რათა „ეშმაკეულ-კუდიანებისთვის ეშხირათ“ — როგორც ამბობდა მთავარეპისკოპოსი შარპი. „კუდიან-ეშმაკეულების შხერა“ ნიშნავდა წარმოდგენის ცქერას.

ამ სადღესასწაულოდ მორთული მოედნის პირას რამდენიმე დუქანი წამოედგათ. ისინი ბაზრის თეატრებს ხან მუშტარს ეცილებოდნენ, ხანაც ამ სამიკიტნოს მუშტრებით თეატრის მაყურებლადაც გამოდიოდნენ. საერთოდ, ამ სამიკიტნოებსა და ბაზრის წარმოდგენებს მუშტარი და მაყურებელი მთელი წლის მანძილზე არ აკლდა. სამიკიტნოები მხოლოდ დღისით იყო ღია. საღამოთი პატრონი დარაბებს ხურავდა, გასაღებს ჯიბეში იდებდა და მიდიოდა. მხოლოდ ერთი სამიკიტნო იყო გამოყენებული სასტუმროდ. უნდა ითქვას, რომ მთელ ამ „მწვანე მდელოზე“ მხოლოდ ეს ერთი შენობა იყო საფუძვლიანად ნაგები და საცხოვრებლად ვარგისი. ხოლო ბაზრის ბალაგანებსა და ფიცარნაგებს, როცა კი მოისურვებდნენ, დაშლიდნენ და სადაც უნდოდათ, გადაიტანდნენ. ამ მოგზაურ-კომედიანტებს რომელიმე განსაზღვრულ ადგილზე დასახლებისათვის არავითარი საფუძველი არ გააჩნდათ. ტაკიმასხარები და ჯამბაზები ყოველთვის მოხეტიალენი არიან.

ხსენებული სამიკიტნო, რომელიც ამავე დროს სასტუმროც იყო, თავისი ყოფილი პატრონის სახელს ატარებდა — „ტედკასტერის სასტუმრო“. იგი ღამის გასათევი ბაკების შთაბეჭდილებას ტოვებდა: არც სამიკიტნო იყო, არც სასტუმრო.

მისი განიერი ბჭისკარის შიგნით საკმაოდ ფართო ეზო იყო გაშლილი. ეს ბჭისკარი მოედნის პირას იყო აღმართული და „ტედკასტერის სასტუმროში“ ერთგვარ სეფეკარს — საზეიმო შესასვლელს წარმოადგენდა. იქვე გვერდით მეორე შესასვლელიც იყო, რომლითაც მიმსვლელნი უფრო მეტად სარგებლობდნენ. ყველაფერი მეორეხარისხოვანი, ყველაფერი ოფიციალურობას მოკლებული უფრო იზიდავს უმრავლესობის სიმპათიებს. მხოლოდ და მხოლოდ ამ კარის საშუალებით იბმოდა კავშირი სასტუმრო-სამიკიტნოსა და მოედანს შორის. ამ კარიდან უშუალოდ შეხვიდოდით დუქანში — იგი იყო ფართო, მაგრამ არა ნათელი სათავსი, დაბალჭერიანი, კედლებშე-

მოჭვარტლული, ყველგან მაგიდები ელაგა. სამიკიტნოს კარს ზევით, მეორე სართულზე ფანჯარა იყო ჩატანებული და მის რკინის პატარ მოაჯირზე სასტუმროს აბრა იყო მიმაგრებული. ხოლო ურდულით მაგრად მიკეტილი მთავარი ჭიშკარი არასდროს იღებოდა.

ეზოში რომც შესულიყავით, ჯერ სამიკიტნო უნდა გაგევლოთ.

„ტედკასტერის სასტუმროს“ პატრონი და მოსამსახურე ჰყავდა. პატრონს ნიკლსს ეძახდნენ, მოსამსახურეს გოვიკემს. სასტუმროს პატრონს ალბათ ნიკოლოზი ერქვა, მაგრამ ინგლისური გამოთქმის წყალობით ნიკლსი გამხდარიყო. იგი ქვრივი გახლდათ და მეტად ძუნწი ვინმე იყო. კანონის წინაშე მუდამ ქედდადრეკილი; ხშირწარბიანი და მზრებბანჯგვლიანი კაცი იყო. რაც შეეხება იმ თოთხმეტი წლის ბიჭუკელას, რომელიც სტუმრებს ემსახურებოდა და „გოვიკემის“ დაძახებისთანავე უმალ წარდგებოდა. დიდთავა მოზარდი იყო. მას ყოველთვის წინსაფარი ეფარა და თავი გადახოტრიალი ჰქონდა. რაც იმას ნიშნავდა, რომ სხვაზე იყო დამოკიდებული.

ამ ბიჭს დაბლა სართულზე ეძინა ხოლმე, პატარა საკუჭნაოში, სადაც წინათ ძაღლს ამწყვდევდნენ. ეს კუნჭული ერთ ადგილას, ფანჯრის მაგიერ, მრგვალად იყო ამოჭრილი, საიდანაც „მწვანე მდელო“ მოჩანდა.

II

მჭევრმეტყველება თავისუფალ ჰაერზე

ერთხელ, ცივსუსხიან და ქარიან საღამოს, როდესაც თითქოს ქუჩაში შემოგვიანებას არავინ მოიხალისებდა, ვიღაც კაცი ტარინზოფილდზე გავლისას უცბად ტედკასტერის სასტუმროს გალავანთან შეჩერდა. 1704-1705 წლის ზამთრის დასასრული იყო. ეს კაცი, თუ მისი ტანისამოსის მიხედვით განვსჯით, მატროსი უნდა ყოფილიყო. კარგი, მოსაწონი გარეგნობისა, ტანადობით მაღალი იყო, რაც აუცილებელია მეფეთა კარზე დაახლოებულთათვის, ხოლო არც მდაბიოთათვის არის დასაგმობი. რატომ გაჩერდა ეს კაცი? ყურის დასაგდებად. რას უგდებდა ყურს? ეზოდან ლაპარაკის ხმა ისმოდა. სადღაც, გალავანს იქით მოხუცი ლაპარაკობდა და ისიც იმდენად ხმამაღლა, რომ გზად გამვლელიც კარგად გაიგონებდა.

ამასთანავე იმ ეზოდან, სადაც უცნობ კაცს გაება ლაპარაკი, ბრბოს ბუბუნიც მოისმოდა. უცნობის ლაპარაკიდან მგზავრმა შემდეგი გაიგონა:

— ლონდონის მცხოვრებო მამაკაცებო და მანდილოსნებო, აი მე უკვე აქ, თქვენთან ვარ! სულით და გულით გილოცავთ იმას, რომ თქვენ ინგლისელები ხართ. თქვენ წარმოადგენთ დიდებულ ერს, უფრო მეტსაც ვიტყვი, — თქვენ დიდი ნაყარნუყარი ვინმეცა ხართ. თქვენ მუშტი-კრივი უფრო გეხერხებათ, ვიდრე ხმლით შებრძოლება. მადა საუცხოო გაქვთ, თქვენ ისეთი ერის შვილები ხართ, რომელიც სხვა ერს ხრავს და ნთქავს. შესანიშნავი საქმიანობაა. ყველა დანარჩენი ერის ჩანთქმის ასეთი უნარის გამო ინგლისს განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მსოფლიოში, — მაღალი ადგილი. პოლიტიკასა და ფილოსოფიაში, კოლონიების მართვასა და სხვადასხვა ხალხის დამონების ხელოვნებაში არავინ შეგედავებათ. თუნდაც მრეწველობასა და სხვადასხვა ხელოვნებაში, იმ სხვათათვის ზიანის მიყენების უნარშიც, რომელსაც თქვენთვის სარგებლობა მოაქვს, და აქაც არავინ შეგეცილებათ! საოცარი უნარის ერი ხართ! უკვე შორს არ არის ის დღე, როდესაც მთელი დედამიწის ზურგს მხოლოდ ორი განცხადება დააშვენებს: ერთზე ეწერება „ხალხთა სამფლობელო“, მეორეზე — „ინგლისელთა სამფლობელო“. მე ამას ვამტკიცებ თქვენი დიდებისათვის. თუმცა მე თვითონ არც ინგლისელებს ვეკუთვნი, არც ადამიანებს, ვინაიდან მაქვს პატივი ვიყო დათვი, აგრეთვე დოქტორი; ჯენტლმენებო, რჩევა-დარიგებას ვიძლევი და ვასწავლი მსმენელებს. რას ვასწავლი? ორ რამეს — იმას, რაც ვიცი და იმას, რაც არ ვიცი. წამლებსაც ვყიდი და აზრებსაც ვუნერგავ მსმენელებს. მოდით ახლოს და მომისმინეთ. მეცნიერება მოგიწოდებთ! ყურები დაცქვიტეთ, ყურები თუ პატარა გაქვთ, ცოტაოდენ ჭეშმარიტებას შეუშვებენ, თუ დიდყურება ხართ, მრავალ აბდაუბდას მოისმენთ. მაშ ასე, ყურადღება: მე ვასწავლი მეცნიერებას, რომლის სახელია PSEUDODOXIA EPIDEMICA. ჩემი ამხანაგი ყველას აცინებს ხოლმე, მე კიდევ ყველას აზროვნებას ვასწავლი. მე და ჩემი ამხანაგი ერთად ვცხოვრობთ ფიცრულა ყუთში, ვინაიდან სიცილიც ისეთივე კეთილშობილი წარმოშობისაა, როგორიც ცოდნა. როდესაც დემოკრიტესა* ჰკითხეს: „როგორ შეიცნობ ჭეშმარიტებასო“, მან უპასუხა: „მე ვიცინიო“.

მაგრამ თუ მკითხავენ: „რატომ იცინიო“, ვუპასუხებ: „იმიტომ, რომ ჭეშმარტება შევიცანიო“. სიმართლე გითხრათ, მე სულ არ ვიცინი. მე ვცდილობ აღმოვფხვრა ცრურწმენა. მე ვცდილობ თქვენი ტვინი გავწმინდო, რადგან იქ უსუფთაობაა. ღმერთი იმის წინააღმდეგი როდია, რომ ხალხი თვითონაც ტყუვდებოდეს და მასაც ატყუებდნენ. ცრუ მორიდებულობას თავი ვანებოთ. გულახდილად ვაღიარებ, რომ ღმერთი მწამს მაშინაც კი, როდესაც თვითონ ღმერთი ცდება. მაგრამ, როდესაც უსუფთაობასა ვხედავ, რადგან ცრურწმენა სხვა რა არის, თუ არა უსუფთაობა, ვცდილობ აღმოვფხვრა იგი. რა იყო ჩემი ცოდნის წყარო? ან საიდან ვიცი ის, რაც ვიცი? ეს უკვე ჩემი პირადი საქმეა. ყველა თავისებურადა სწავლობს. ლაკტანციუსი* შეკითხვებით მიმართავდა ვირგილიუსის ბრინჯაოს თავს, და ის თავიც მას პასუხს აძლევდა. სილვესტერ მეორე* ფრინველებს ესაუბრებოდა. განა ფრინველებს ლაპარაკი შეეძლოთ? ან პაპმა ჭკუჭიკი იცოდა? ეს საკითხი გამოურკვეველია და ბუნდოვნადვე დარჩება. რაზინ ელიაზარის მკვდარი ბავშვი წმინდა ავგუსტინეს ელაპარაკებოდა. ჩვენ შორის რომ ვთქვათ, მე არა მჯერა ამ ყოველივეს ჭეშმარიტება, გარდა უკანასკნელისა.

დავუშვათ, რომ მკვდარი ბავშვი ლაპარაკობდა, მაგრამ მას ენის ქვეშ ოქროს ფირფიტა ედო, ზედ ამოტვიფრული სხვადასხვა თანავარსკვლავედით, მაშასადამე, აქ თაღლითობაა. საქმეს აქ კაცი სულ ადვილად გაიგებს. როგორც ხედავთ, მე მიუკერძოებელი ვარ. მხოლოდ სიმართლესა და სიცრუეს ვარჩევ ერთმანეთისაგან. მე თქვენ სხვა მცდარ აზრებზედაც მიგითითებთ. თქვენი უვიცობით ამ ცრურწმენებს მისდევთ ალბათ და მე მინდა გიხსნათ ამ ცრურწმენათაგან. დიოსკორიდე* ფიქრობდა, რომელიღაც ლენცოფაში უჩინარი სუფევსო. ქრიზიპეს* აზრით, ღვთაება შავ მოცხარში სუფევდა. იოსებს* ბოლოკში ეგონა. ჰომეროსი ნიორში ეძებდა ღვთაებას. მაგრამ ისინი ყველანი ცდებოდნენ. ამ მცენარეებში ღმერთი კი არ სუფევს, არამედ სატანა ბუდობს. მე ეს სინამდვილეში შევამოწმე. ისიც ტყუილია, რომ ევას შემცდენელი გველი ადამიანის სახისა იყო, კადმუსის* მსგავსი. გარსია და ჰორტო კადამოსტო და ტრევის ეპისკოპოსი ჟან ჰიუგო უარყოფდნენ იმ აზრს, ვითომც საკმარისია ხე ძირში გადახერხო და სპილოს დაიჭერ. მე ვეთანხმები მათ აზრს, მოქალაქენო, შემცდარი შეხედულებები ლუციფერის მცდელობის

მეოხებით ჩნდება. ამ ბნელეთის მოციქულის ბატონობის გამო დამღუპველი შეცდომების გამანადგურებელი მაგალითები არ აგვცდება. კეთილო ადამიანებო, კლავდიუს პულხრი* იმის გამო კი არ მოკვდა, რომ ქათმებმა არ მოინდომეს საქათმიდან გამოსულიყვნენ, ჭეშმარიტება აქ იმაში მდგომარეობს, რომ ლუციფერმა წინასწარ განჭვრიტა კლავდიუს პულხრის სიკვდილი და ქათმებს საკენკის კენკვა აუკრძალა. როდესაც ბელზებელმა იმპერატორ ვესპასიანეს* ხეიბრების გაჯანსაღებისა და ბრმების თვალის ახელის ძალა შთაუნერგა, მან თავისთავად საქები საქმე ჩაიდინა, მაგრამ ბელზებელის განზრახვები დანაშაული იყო. ჯენტლმენებო, ნუ უნდობით იმ თაღლითებს, რომლებიც სამკურნალო წამლების სახით თქვენ თეთრი ლეშურას ძირკვებს გაჩეჩებენ; ან კიდევ თვალებზე დასადებ სალბუნს მამლის სისხლში არეული თაფლიდან გიმზადებენ. დროა იცოდეთ, როგორ დააღწიოთ თავი ამ მატყუარებს. არც ის არის მართალი, ვითომც ორიონი* იმიტომ დაიბადა, რომ იუპიტერმა* ბუნებრივი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილა. სინამდვილეში ეს მნათობი მერკურმა* წარმოშვა, თუმცა იმავე საშუალებით. არ არის მართალი, რომ ადამს ჭიპი ჰქონდა. როდესაც წმინდა გიორგიმ გველეშაპი მოჰკლა, იქ სიახლოვეს არანაირი წმინდა ასული არ იმყოფებოდა. წმინდა იერონიმეს კაბინეტში ბუხარზე საათი არ ედგა. ჯერ ერთი, იმის გამო, რომ მის მღვიმეში კაბინეტი არ იყო. მეორეც, იმიტომ, რომ აქ არც ბუხარი იყო; მესამეც, კიდევ იმის გამო, რომ იმ დროს ჯერ საათი არ იყო გამოგონილი. ყველაფერი უნდა შეამოწმოთ! შეცდომები უნდა გამოასწოროთ. ჩემო კარგო მსმენელებო, თუ თქვენ გეუბნებოდნენ, ვინც კატაბალახას დასუნავს, იმას ტვინში ხვლიკი შეუძვრებაო, ეს ტყუილია. რომ მკვდარი ხარის გახრწნილი ლეში ფუტკრებად გადაიქცევა და ცხენის ლეში კიდევ კრაზანად, ესეც ტყუილია. არც მიცვალებულია ცოცხალ ადამიანზე უფრო მძიმე. არც ისაა სიმართლე, რომ ზურმუხტი თხის სისხლში დაიშლება, რომ ჭუპრი, ბუზი და ობობა ყველა ერთ ხეზე თუ შენიშნეთ, მომავალ შიშშილობას, ომსა და შავ ჭირსა ნიშნავს, — ყველაფერი ეს ტყუილია. კიდევ ვითომც ბნედა შეიძლებოდეს მოვარჩინოთ შელის თავში ნაპოვნი მატლით, არც ეს დაიჯეროთ; ეს ყველაფერი მცდარია, მაგრამ მე თქვენ ჭეშმარიტებას გაუწყებთ: სელაპის ტყავი რომ წამოისხათ, მეხი ვერაფერს დაგაკლებთ. გომ-

ბეშო მიწით იკვებება და ამიტომაც სწორედ თავში ქვა უჩნდება. იერიქონის ვარდი შობის წინადღეს ყვავდება. გველები იფნის ჩრდილს ვერ უძლებენ. სპილოს სახსრები არ აქვს და ამიტომ ფეხდგომელა იძინებს, ხეს მიყრდნობილი. თუ დაკრუხებული გომბეშო ქათმის კვერცხზე დაჯდება, მორიელს გამოჩეკს, და ის მორიელი კი სალამანდრას გააჩენს. ბრმა თუ ცალ ხელს მარცხნივ კანკელზე დაადებს და მეორე ხელს თვალებზე მიიფარებს, განიკურნება და მხედველობა დაუბრუნდება. ქალწული შეიძლება დედა გახდეს. კეთილო ადამიანებო, შეითვისეთ ეს ნამდვილი ჭეშმარიტებანი! ჰოდა, შეგიძლიათ ღმერთი კიდევ სხვადასხვანაირად გწამდეთ. ან ისე გწამდეთ, როგორც მწყურვალესა სწამს ფორთოხალი; ან ისე, როგორც სახედარს სწამს შოლტი. ახლა მე თქვენ გაგაცნობთ ჩემი თეატრის მსახიობებს.

ამ წუთში ქარმა ისე ძლიერად წამოუქროლა, რომ სხვა შენობებიდან განცალკევებით მდგარი სასტუმროს დარაბები და ფანჯრის ჩარჩოები შეანჯღრია. ასე გეგონებოდათ, ციდან ქუხილის ხმა მოისმაო. ორატორმა ერთი წუთით შეიცადა და მერე ისევ განაგრძო.

— შესვენება. არა უშავს. დაე, აკვილონმა ილაპარაკოს. ჯენტლმენებო, მე ამაზე არ გავჯავრდები. ქარსაც ისე უყვარს საუბარი, როგორც ყველა განდეგილ ბერს. იქ, ზევით, არავინ ეგულება, რომ მასთან ილაქლაქოს, ჰოდა, სულს აქ ითქვამს. მაშ ასე, განვაგრძობ: თქვენს წინაშე მსახიობთა დასია. ჩვენ ოთხნი ვართ. A LUPO PRINCIPIUM — ვიწყებ ჩემი მეგობრისაგან, მგლისაგან. ის არც მალავს, რა ჯიშისაც არის. აბა შემოხედეთ, იგი ნასწავლია, მედიდური და გამჭრიახი. ეტყობა, განგებას უნდოდა ჯერ მეცნიერებათა დოქტორი გამოეყვანა, მაგრამ ამისთვის რამდენადმე გონებაჩლუნგობაა საჭირო, ხოლო ეს ცხოველი არც იმდენად შტერია. უნდა დავძინო, რომ ეს ნადირი არც ცრურწმენისაა, და არც კიდევ არისტოკრატი. თუ შემთხვევა ექნება, ძალლთა ნაცნობობას არ მოერიდება, თუმცა სრული უფლება აქვს ძუ მგელსაც დაუმეგობრდეს. ამ მგლის შთამომავალნი, თუკი მას ასეთები ჰყავს, ალბათ მეტად საამურად იღრინებიან; ჰბაძავენ დედის წკავწკავსა და მამის ყმუილს, ვინაიდან ეს მგელი ყმუის ხოლმე. „მგლის მგლობა წესიაო და ადამიანი უარესიაო“. ეს მგელი ცივილიზაციის ხათრით არა მარტო ყმუის,

არამედ ყეფს კიდევაც. ასეთი მოქნილობა მაღალსულოვნების ნიშანია. ჰომო გაუმჯობესებული ძაღლია! ძაღლს პატივი უნდა ვცეთ. რა უცნაური ცხოველია ძაღლი! ენა უოფლიანდება და კუდი უღიმის. ჯენტლმენებო, ჰომო ჭკუით არ ჩამოუვარდება მექსიკურ უბალნო მგელს, თან კიდევ მასზე უფრო გულჩვილია. ამასთანავე ეს მგელი წყნარია და თავშეკავებული, მას ადამიანისათვის სარგებლობა მოაქვს. თანამგრძნობიცაა და მუდამ მზად არის, დაეხმაროს ადამიანს. ამ სათნო საქმეს იგი ჩუმად ასრულებს. მისმა მარცხენა თათმა არ უწყის, რასა იქმს მარჯვენა. ასეთია მისი ღირსებები. ჩემს მეორე მეგობარზე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ იგი ურჩხულია. თქვენ თვითონ შეხედეთ და დატკბით. ოდესღაც იგი ზღვის მეკობრეებმა მიატოვეს ოკეანის უდაბურ ნაპირზე. აი, ეს კიდევ ბრმა არის. განა ცოტანი არიან ამისთანანი? არა, ჩვენ, ყველანი, ბრმები ვართ. ბრმა არის ძუნწიც: იგი ოქროს ხედავს, მაგრამ ვერა ხედავს სიმდიდრეს. ბრმა არის მფლანგველიც: ის ხედავს დასაწყისსა და ვერ ხედავს დასასრულს. ბრმა არის კეკლუცი ქალი: იგი ვერა ხედავს თავისი სახის ნაოჭებს. ბრმა არის სწავლული: იგი ვერა ხედავს საკუთარ უმეცრებას. პატიოსანი ადამიანიც ბრმა არის, იგი ვერა ხედავს თაღლითს. თაღლითიც ბრმაა, ის ვერ ხედავს ღმერთს. ღმერთიც აგრეთვე ბრმაა — რა დღესაც მან ქვეყნიერება შექმნა, ვერ შეამჩნია, რომ მის ქმნილებას სატანაც შეეტმასნა. თუმცა მეც ხომ ბრმა ვარ: მე თქვენ გესაუბრებით და ვერ ვამჩნევ თქვენს სიყრუეს. ბრმა ქალი ჩვენი თანამგზავრია. იგი ქურუმია საიდუმლო კულტისა. ქალღმერთ ვესტას* შეეძლო სრული ნდობით მიეცა მისთვის თავისი ლამპარი. ამ ქალს რაღაც ამოუცნობი და ამასთანავე სათუთი ახასიათებს, ისე ვითარცა საწმისი კრავისა. მე ეს ქალი მეფის ასული მგონია, მაგრამ ამას არ ვამტკიცებ. ბრძენი ადამიანის თვისებაა ადვილად არ დარწმუნდეს, ეს საქები თვისებაა. რაც შემეხება მე, ვასწავლი კიდევაც და ვმკურნალობ კიდევაც — CHIRURGUS SUM*.

მე ციებ-ცხელებიანსაც ვარჩენ, შავი ჭირისაგანაც და სხვა გადამდებ სნეულებათაგანაც ვკურნავ. თითქმის ყველა გართულებანი და ანთებები გარეთ გამოიტანენ ხოლმე სნეულებასა და დაახლასებენ ხოლმე კიდევაც კარგი მოვლით ადამიანის ჯანს. უარესი ტანჯვისგან ათავისუფლებენ. მიუხედავად ამისა, მე თქვენ არ გი-

სურვებთ ძირმაგარა გაგიჩნდეთ, ესე იგი, კარბუნკული. ეს სამაგალი ავადობაა, მისგან არავითარი სარგებლობა არაა. ამ სნეულებისაგან იხოცებიან მხოლოდ. მე ჩემი თავი უვიცად და უხეშად არ მომაჩნია, დიდად პატივს ვცემ მჭევრმეტყველებასა და პოეზიას. თანაც ამ ქალღმერთებთან ახლო ურთიერთობაში გახლავართ, თუმცა სრულიად უბიწოდ ვასრულებ ჩემს მოვალეობას თქვენდამი. ბოლოს გირჩევთ, მოწყალეო ხელმწიფეო, მამაკაცებო და მანდილოსნებო, განავითარეთ თქვენი სულის ნათელ კუთხეში კეთილმოქმედება, თავმდაბლობა, პატიოსნება, სამართლიანობა და სიყვარული. ამგვარად, თითოეულს ამ ქვეყნად შეუძლია თავის ფანჯარაზე ქოთანში ვარდი ხარდოს. მილოცავდეთ და ბატონებო, მე დავასრულე, ახლა წარმოდგენა დაიწყება.

მატროსი, რომელიც ამ ბრძნულ მჭევრობას ყურს ქუჩიდან უგდებდა, ახლა სამეკიტნოს დაბალჭერიან დარბაზში შეიდა, მაგიდებს შუა გაიარა, შესასვლელი გადასახადიც გადაიხადა და უცბად ხალხით სავსე დიდ ეზოში გაჩნდა. ეზოს სიღრმეში მან თვალი საგორავებზე შედგმულ ბალაგანს მოჰკრა. ის მოძრავი თეატრი გახლდათ. შუა კედელი ძირს გადმოეშვათ და სცენა მოეწყოთ. აქ, ფიცარნაგზე, დათვის ტყავწამოსხმული ბერიკაცი გადმოძგარიყო. იქვე მოჩანდნენ ყმაწვილი კაცი, დამახინჯებული ნიღბის მსგავსი სახისა, ბრმა ქალი და მგელი.

— ფუი ეშმაკს, რა შესანიშნავი მსახიობები არიან! — შესძახა მატროსმა.

III

ის გზად გამვლელი აქ ისევ გამოჩნდება

„მწვანე ყუთი“, რომელიც, რასაკვირველია, მკითხველებმა იცნეს, ლონდონში მოვიდა. იგი საუთოროში გაჩერდა. ურსუსს „მწვანე მდელო“ მოეწონა, რადგან ამ ადგილს ის უპირატესობა ჰქონდა, რომ აქ ბაზარი არასდროს იხურებოდა, ზამთრობითაც კი. ურსუსს ესიამოვნა წმინდა პავლე მოციქულის ტაძრის გუმბათის ხილვა.

ბოლოს და ბოლოს ქალაქ ლონდონში ბევრი რამ არის კარგი. იმისთვის, რომ წმინდა მოციქულ პავლეს სახელობაზე ტაძარი აე-

გოთ, ხომ დიდი გამბედაობა იყო საჭირო. ჭეშმარიტად, ტაძრის წმინდანი მოციქული პეტრეა. პავლე ერთგვარად საეჭვოა, რადგან მეტისმეტად გადაჭარბებული პირადი მოსაზრება-წარმოდგენებისაა; ხოლო საეკლესიო საკითხებში პირადი წარმოდგენები და მოსაზრებანი მწვალებლობას უდრის. მოციქული პავლე წმინდანად მხოლოდ დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებათა წყალობით ჩაითვალა. იგი ციურ სამოთხეში უკანა კარიდან შეიპარა.

ტაძარი იგივე აბრაა, პეტრე მოციქულის ტაძარი — აბრაა რომისთვის, დოგმების ქალაქისათვის. პავლე მოციქულის ტაძარი აბრაა — ლონდონისათვის, მწვალებელთა და განდგომილთა ქალაქისათვის.

ურსუსის მსოფლმხედველობა იმდენად ფართო იყო, რომ ყველაფერს სწვდებოდა და მოიცავდა. ამიტომ ამ სარწმუნოებრივი ნაირფერობის შეფასებაც კარგად შეეძლო. ამგვარად ლონდონისადმი მისი მიზიდულობაც შესაძლოა აიხსნებოდეს პავლე მოციქულისადმი განსაკუთრებული სიმპათიით.

ურსუსი ტედკასტერის სასტუმროს ფართო ეზოში დაბინავდა, რომელიც თითქოს „მწვანე ყუთისთვის“ იყო განკუთვნილი და თავისთავად სრულიად მზაშზარეულ თეატრს წარმოადგენდა. ოთხკუთხა ეზო სამი მხრივ შემოზღუდული იყო საცხოვრებელი სახლებით. მეოთხე მხარეზე გალავნის კედელი იყო ამართული. აი, ზედ ამ კედელთან მიადგეს „მწვანე ყუთი“, რომლის შემოგორება ეზოში მხოლოდ განიერი ჭიშკრის გავლით მოხერხდა. სასტუმროს, ეზოს მხრიდან, ხის სვეტებიანი, ჩარდახწამოხურული აივანი სამი მხრივ გასდევდა, პირადაპირ, მარჯვნივ და მარცხნივ. ეს მხარე, წინამო, ეზოს დასცქეროდა. პირველი სართულის ფანჯრები ბენუარლოჟებად გამოიყენეს. უშველებელი მოკირწყლული ეზო — პარტერად; ხოლო აივნები ბელეტაჟად გამოდგა. გალავანთან მიდგმული „მწვანე ყუთი“ თავისი გადასაშვები კედლით ამ მხარეს, ესე იგი მაყურებლისკენ იყო მიქცეული. ეს სანახაობა ძალიან ჰგავდა „გლობუსს“, სადაც პირველად დაიდგა „ოტელო“, „მეფე ლირი“ და „ქარიშხალი“.

„მწვანე ყუთის“ უკან, კუნჭულში საჯინიბო მოეთავსებინათ.

ურსუსი ყველაფერზე მოურიგდა სამიკიტნოს პატრონს, ნიკლსს, რომელიც კანონის პატივისცემის გამო დათანხმდა მგელიც შეეშ-

ვა თავის სამფლობელოში, მხოლოდ უფრო მოუმატა საფასური. აბრა-განცხადება: „გუინპლენი — კაცი, რომელიც იცინის“ „მწვანე ყუთიდან“ მოხსნეს და სასტუმროს აბრასთან ჩამოჰკიდეს. დუქნის დარბაზს, როგორც მკითხველმა უწყის, შიგნითა კარი ჰქონდა და იქიდან პირდაპირ ეზოში იყო გასასვლელი. ამ კარის გვერდით, ეზოში ძირგამოვარდნილი დიდი კასრი იდგა. რაც „მოლარის“ ჯიხურის მოვალეობას ასრულებდა. მოლარის მოვალეობას ჯერ-ჯერობით ასრულებდნენ ფები და ვენუსი. ყველაფერი დაახლოებით ისევე მოეწყო, როგორც ჩვენს დროში ხდება ხოლმე. თითოეულ მაყურებელს ფასი გადაახდევინეს. აბრის ქვეშ წარწერით: „კაცი, რომელიც იცინის“, ორი ლურსმნით მიაკრეს თეთრად შელესილი ფიცარი, რომელზედაც დიდი ასოებით ნახშირით დაეწერათ ურსუსის განთქმული პიესის სახელწოდება — „დამარცხებული ქაოსი“.

აიენის ცენტრში, სწორედ „მწვანე ყუთის“ პირდაპირ „კეთილშობილი საზოგადოებისათვის“ ლოჟა მოეწყოთ; მას ორივე მხრიდან ფიცრებით გადატიხრული და შუშაბანდიანი შესასვლელი კარი ჰქონდა.

ამ ლოჟაში, ორმწკრივად დამსხდარნი, ათნი მოთავსდებოდნენ.

ურსუსმა თქვა:

— ჩვენ ლონდონში ვიმყოფებით, ამიტომ, შესაძლოა, კეთილშობილი საზოგადოებაც გვესტუმროს.

ურსუსის განკარგულებით ამ „ლოჟაში“ საუკეთესო სკამები დადგეს, თუკი ასეთები სასტუმროს მოეპოვებოდა; ხოლო შუაზე დიდი სავარძელი ჩაიდგა, უტრეხტის ხავერდგადაკრული, ოქრომკედითა და ალუბლისფერი ნაყშებით შემკული, იმ შემთხვევისათვის, თუ სპექტაკლს რომელიმე წარჩინებულის ცოლი დაესწრებოდა.

წარმოდგენა დაიწყო.

ხალხი უმალ მოაწყდა.

მაგრამ დიდკაცთა განყოფილებაში არავინ ჩანდა.

თუ ამ გარემოებას არ ჩავთვლით, სპექტაკლი ისეთი წარმატებით მიმდინარეობდა, რომ კომედიანტთაგან არც ერთს ამისი მსგავსი რამ ჯერ არ ენახა. მთელი საუთვორქი ჯგუფ-ჯგუფად გამორბოდა, რათა შეეხედა, როგორი იყო „კაცი, რომელიც იცინის“.

ტარინზოფილდის ჯამბაზებ-ოინბაზები გუინპლენმა მთლად ააფორიაქა, თითქოს ქორი შეფრინდაო ჭივჭავების გალიაში და

მათი საკენკი სულ გადასანსლაო. გუინპლენმა მაყურებელი სულ თავისკენ მიიზიდა.

იმ უბადრუკი წარმომადგენლების გარდა, რომელსაც ტაკი-მასხარები და მახვილის ჩამყლაპავნი აწყობდნენ, ამ ბაზრის მოედანზე ნამდვილი წარმოდგენებიც იმართებოდა. აქ ცირკიც აჩვენებდა ხოლმე ცხენებზე მოჯირითე ქალებსა და ბაგირზე მოცეკვავე ჯამბაზების ილეთებს. აქედანვე, დილიდან გვიან ღამემდე, სხვადასხვა საკრავის ხმა მოისმოდა. აქ ჟღერდა: ბარბითის, დოლის, ვიოლინოს, ბობღანის, დაირის, ეუენების, სტვირის, საყვირის, სალამურის, სასტვენისა და ფლეიტის ჰანგები.

დიდ მრგვალ კარავში გამოდიოდნენ მხტუნავები, რომლებსაც ვერ შეეჯიბრებოდნენ თანამედროვე პირუნეელი სწრაფმარბენალნი — დულმა, ბორდენავი და მაილონგა; თუმცა ესენი პიერფიტის წვერწამახული მწვერვალიდან ეშვებიან ლიმასონის პლატოზე, რაც ჩამოვარდნასაც კი უდრის. აქვე ყოფილა მოხეტიალე სამხეცე, სადაც ჰყავდათ ვეფხვი-ხუმარა; მწვრთნელი მას შოლტითა სცემდა, ვეფხვი კი ცდილობდა ეს შოლტი გამოეგლიჯა და მისი წამახული ბოლო ჩაეყლაპა, მაგრამ, მგონი ეს მბრძღვინავი კომიკიც კი, მისი საშინელი, დაღებული ხახისა და ბრჭყალების მიუხედავად, ერთობ დაჩრდილა გუინპლენმა.

ცნობისმოყვარეობა, ტაში, შემოსავალი, მაყურებელთა ბრბო, ყველა მიიზიდა მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებულმა სანახაობამ — „კაცმა, რომელიც იცინის“. ეს მოხდა თვალის დახამხამებაში. გარდა „მწვანე ყუთისა“ აღარც ერთი გასართობი აღარ იზიდავდა მაყურებელს.

ურსუსი ამბობდა:

— „დამარცხებული ქაოსი“ გამარჯვებული გამოვიდაო. — და ის გუინპლენის წარმატებებს ნახევრად თავის თავსაც მიაწერდა, ანუ როგორც მსახიობები იტყვიან ხოლმე: „სუფრის წვერს თავისკენ ეწეოდა“.

გუინპლენს არაჩვეულებრივი წარმატება ჰქონდა, მაგრამ ეს წარმატება აქვე რჩებოდა. სახელ-დიდებას ეძნელება წყალ-მდინარის თუ ზღვის საზღვრების გადალახვა. ას ოცდაათი წელიწადი გახდა საჭირო, ვიდრე შექსპირის სახელი ინგლისიდან საფრანგეთამდე მიაღწევდა. წყალი იგივე კედელია და ვოლტერს რომ არ ეზრუნა

შექსპირის სახელის განთქმაზე* (რასაც იგი შემდგომ მეტად ნანობდა), შესაძლოა შექსპირი ჩვენს დროშიც ისევე კედელს მიღმა, ინგლისშივე დარჩენილიყო, მხოლოდ და მხოლოდ ამ კუნძულზე დატყვევებული სახელ-დიდებით.

გუინპლენის დიდება ლონდონის ხიდს არ გადასცილებია. მას ისეთი ფართო აღიარება არ მოუპოვებია, რომ დიდი ქალაქის გამოძახილი გამოეწვია. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო პირველ ხანებში, მაგრამ მასხარა-ოინბაზისთვის საუთვორჭიც კმაროდა. ურსუსი ამბობდა:

„შემოსვლის ტომარა, შემცოდე ქალწულივით, ჩვენ თვალწინ გამოიბერაო".

ჯერ თამაშობდნენ „URSUS RURSUS"-ს, მერე „დამარცხებულ ქაოსს".

ანტრაქტებში ურსუსი მაყურებლებს თავისი გასაოცარი „ენგასტრიმიტის" უნარით ართობდა. მუცლით მეზღაპრის სეანსებს ატარებდა. ზოგიერთი მაყურებელივით ლაპარაკობდა, მღეროდა, აოცებდა მას, ზედმიწევნითი მსგავსებით, სიმღერის თუ სხვადასხვანაირი ხმაურის მიბაძვით. ხან მთელი ბრბოს ხმაურსაც ისე ბაძავდა და ხმამაღლა ბუბუნებდა, გეგონებოდა, ამ ერთი კაცის ხმაში მრავალი ხალხია ამეტყველებულიო. ნიჭიც ამას ჰქვია!

გარდა ამისა, როგორც უკვე ვნახეთ, ურსუსი ციცერონზე* ნაკლებად როდი მჭევრმეტყველებდა. იგი წამლეულობასაც კი ყიდდა. მკურნალობდა კიდეცაც და თითქმის კურნავდა ავადმყოფებს.

საუთვორჭი მოჯადოებული იყო.

საუთვორჭში „მწვანე ყუთის" გულთბილი მიღება ურსუსს სასიანოვნოდ მიაჩნდა, მაგრამ გაკვირვებით, მას არ გაჰკვირვებია.

— ეს ძველი ტრინობანტებია, — ამბობდა იგი. — რაც შეეხება მათი გემოვნების სინატიფეს, — განაგრძობდა ურსუსი — მე მას არ შევადარებ ატრობატებს,* რომლებიც ბერკსში ბინადრობენ, არც სომერსეტის მცხოვრებ ბელგებსა* და არც პარიზიანებს,* რომლებმაც იორკი დააარსეს.

წარმოდგენის დროს პარტერად გადაქცეული სასტუმროს ეზო ღარიბულად ჩაცმული, მაგრამ აღფრთოვანებული ხალხით ივსებოდა. აქ იყვნენ მენავეები, ხომალდის დამტვირთველ-გადმომტვირთველნი, ხომალდის მშენებელ-შემკეთებელი დურგლები,

მდინარეზე მოსრიალე ნავ-ხომალდების მესაჭენი, მატროსები, რომლებიც ახლახან გადმოსულიყვნენ ხმელეთზე და თავიანთ ჯამაგირს ქეიფსა და ქალებთან დროს ტარებაში ხარჯავდნენ. აქვე იყვნენ მეეტლეებიც და სამიკიტნოს მუდმივი მუშტრებიც. იყვნენ ჯარისკაცები, რომელთათვისაც წესრიგის დარღვევის გამო მსჯავრი დაედოთ — შავსარჩულიანი წითელი მუნდირები გადმობრუნებული ეტარებინათ, რის გამოც მათ „შავი გვარდიელები" შეერქვათ. ყველა ეს ხალხი ქუჩიდან თეატრში მიედინებოდა, ხოლო თეატრიდან სამიკიტნოში მიისწრაფოდა. სამიკიტნოში გამოცლილი ტოლჩები არას ენებდნენ სპექტაკლის წარმატებას.

ასეთ ხალხს საზოგადოების ნაძირალებს ეძახიან. მათ შორის ერთი სხვებზე მაღალი, უფრო ზორბა, უფრო ღონიერი და მხრებში გაშლილი კაცი გამოირჩეოდა. ეტყობოდა, ის ისეთი ღარიბი არ იყო, როგორიც სხვები. თუმცა ტანისამოსი ისეთივე ეცვა, როგორიც უბრალო მდაბიოთ აცვიათ, მაგრამ მისი ტანისამოსი არც ჭუჭყიანი იყო და არც დახეული. იგი წარმოდგენის ყურების დროს უსაზღვრო აღტაცებას ეძლეოდა. მუჯლუგუნების კვრით წინა რიგებში იწევდა და იგინებოდა, ყვიროდა, იკრიჭებოდა, არც თვალში მუშტის კვრას მორიდებია. თუმცა მისგან დაზიანებულს იქვე ლიტრ ღვინოზე პატიჟებდა. ეს კაცი, გასართობების მუდმივი დამსწრე, სწორედ ის გზად გამელელი იყო, რომელსაც, როგორც გვახსოვს, ეზოდან ხმაური შემოესმა და ქუჩაშივე აღტაცებული წამოძახილი აღმოხდა.

ის, როგორც ხელოვნების კარგი მცოდნე, უცბადვე დაიპყრო გუინპლენის თამაშმა, და ღირსეულადაც დააფასა „კაცი, რომელიც იცინის". ის ყველა წარმოდგენას არ ესწრებოდა, მაგრამ, როდესაც კი მოვიდოდა, მაყურებლების მეთაური ხდებოდა. ტაში ოვაციებში გადადიოდა, წარმატების ბობოქარი ტალღები სწვდებოდნენ თუ ჭერამდე არა (ჭერი ხომ არც ჰქონდა ამ თეატრს), ღრუბლამდე მაინც და ღრუბლები ხომ მოსდებოდა ცას (ამ ღრუბლებიდან ხან წვიმა მოდიოდა, რაც შეუბრალებლად ზედ ესხმოდა ურსუსის გენიალურ ნაწარმოებს, რადგან მას საფარველი არ გააჩნდა).

ბოლოს და ბოლოს ურსუსმა ეს კაცი შეამჩნია და გუინპლენმაც ყურადღება მიაქცია.

როგორც ჩანდა, იგი საიმედო მეგობრად მიიჩნიეს.

ურსუსმა და გუინპლენმა მოინდომეს გაეცნოთ ეს კაცი, ან გაეგოთ მაინც, ვინ იყო იგი.

ერთ საღამოს ურსუსი როგორღაც სასტუმროს პატრონს, ნაკლსს გადაეყარა და საშხარეულოს კარიდან (საშხარეულო კულისები იყო) მიუთითა ამ უცხო კაცზე:

— იცნობთ თქვენ ამ კაცს?

— როგორ არა!

— ვინ არის?

— მატროსი.

— რა ჰქვია? — ჩაერია ლაპარაკში გუინპლენი.

— ტომ-ჯიმ-ჯეკი, — უპასუხა სასტუმროს პატრონმა.

ნაკლსი „მწვანე ყურის“ ასაწევ-დასაშვები კიბისკენ წავიდა, რომ თავის დუქანში ჩასულიყო და მიმავალს მეტად ღრმააზროვანი შენიშვნა წამოსცდა:

— აფსუს, რომ ის კაცი ლორდი არ არის, კაი ოხერი ვინმე კი იქნებოდა!

თუმცა „მწვანე ყურის“ დასი სასტუმროს ეზოში გაჩერდა, მაგრამ მას სრულებითაც არ შეუცვლია თავის ზნე და წინანდებურად ყველასგან განცალკევებით ეჭირა თავი. მხოლოდ ხანდახან სასტუმროს პატრონს თუ გამოელაპარაკებოდნენ, თორემ არც სასტუმროში ხანგრძლივ მცხოვრებლებთან, არც მოკლე დროით დაბინავებულებთან არავითარ ურთიერთობას არ აბამდნენ და თავისებურ განდეგილ ცხოვრებას ეწეოდნენ.

მას შემდეგ, რაც საუთჰორჭში დაბინავდნენ, გუინპლენმა ჩვეულებად შეიძინა ერთი რამ: სპექტაკლის დასრულების შემდეგ, როდესაც უკვე ყველა, ადამიანებიც და ცხენებიც, ივაზშებდნენ, ხოლო ურსუსი და დეა თავ-თავიანთ განყოფილებაში დასაძინებლად წავიდოდნენ, გუინპლენი გამოეიდოდა „მწვანე მოედანზე“, თერთმეტიდან თორმეტ საათამდე, ცოტა ხნით სუფთა ჰაერზე გასაელელად. საუცხოო გუნებაზე ყოფნა ადამიანს ვარსკვლავიან ღამეში სეირნობას მოანატრებს. ყრმობა-ახალგაზრდობა რალაც იდუმალს ელის მომავლისგან. ამიტომ არის, რომ ახალგაზრდებს ასე ეხალისებათ გვიან ღამით ქუჩაში უმიზნოდ ხეტიალი. ახლაც უკვე გვიან იყო და ბაზრის მოედანზე კაცის ჭაჭანება არ ჩანდა. იქ მხოლოდ რამდენიმე ღვინით გალეშილი დაბარბაცებდა, რომელთა მოქანავე სი-

ლუეტები ოდნავ ისახებოდა სიბნელეში. დაცარიელებულ სამიკიტნოებს კეტავდნენ. ტედკასტერის სასტუმროს დაბალ დარბაზშიც სინათლეს აქრობდნენ. მხოლოდ მოედნის სადმე კუნჭულშიღა თუ ბჟუტავდა სანთელი, რომელიც უკანასკნელ მუშტარს აცილებდა. ზოგან ოდნავ მოხურული ფანჯრის დარაბებიდან მკრთალი სინათლე იჭყიტებოდა. ამ დროს გუინპლენი დაფიქრებული, კმაყოფილი და ოცნებაში ჩანთქმული მიდი-მოდიოდა გამოღებული კარის წინ. მისი გული გამოუთქმელი ნეტარებით ივსებოდა. რაზე ოცნებობდა? დეაზე, ყველაფერზე და იმავე დროს არც არაფერზე. ყველაფერზე უფრო იდუმალ რამეზე. იგი არასოდეს დიდ მანძილზე არ შორდებოდა სასტუმროს, თითქოს რალაც შემაერთებელი ძაფი აკავებდა დეას მახლობლად. სასტუმროს ეზოში გავლაც მისთვის სრულიად საკმაო იყო.

შემდეგ გუინპლენი ბრუნდებოდა და რაკი ყველას, „მწვანე ყუთში“ მყოფთ, უკვე ეძინა, თვითონაც იძინებდა.

IV

სიჯულვილი სხვადასხვა ზნის ადამიანებს აახლოებს

სხვისი წარმატება აუტანელი ხდება განსაკუთრებით იმათთვის, ვისთვისაც ეს წარმატება საზიანოა. იშვიათად თუ ხდება, შთანთქმულს თავისი შთანმთქმელი უყვარდეს. „კაცი, რომელიც იცინის“ მართლაც გაუგონარი ამბავი იყო. გარეუბნის ჯამბაზ-ხუმრები აღშფოთდნენ. თეატრალური წარმატება ისეთი ქარბორბალაა, რომელიც მთელი ხალხის ბრბოს თავისკენ მიიზიდავს, დანთქავს და ირგვლივ ადგილს მოაცარიელებს. პირდაპირ მდგომ ბალაგან-ფიცარნაგთა პატრონები აფორიაქდნენ. „მწვანე ყუთის“ შემოსავლის გადიდებამ უცბადვე გამოიწვია შემოსავლის დაკლება შეზობლად დაბანაკებულ ჯამბაზებში. ამ სამასხარაო ქუჩურ გასართობებს, რომელთაც ბლომად ესწრებოდა მაყურებელი, უცბად ჩამოშორდა ყველა მუშტარი. ყველა თეატრისთვის ცნობილია ასეთი მოზღვავება და უკუქცევა მაყურებლისა: წყალდიდობა ერთგან გამოწვეულია წყალდაშრალობით, მეორეგან კი, ბაზარში, ჭიანჭველებივით მოფუსფუსე იქვე ფიცარნაგებზე გასართობების მომწყობნი ნიჭსა და

უნარს არ ზოგავდნენ მაყურებელთა მისატყუებლად. ღორიტოტოებსაც აყვირებდნენ, რათა გამვლელის ყურადღება მიეხიდათ. თუმცა ხედავდნენ, რომ ისინი მთლად უშემოსაველოდ დატოვა „კაცმა, რომელიც იცინის“, და სასოწარკვეთილებაშიც ჩაცვივდნენ, მაგრამ, ამასთანავე, გუინპლენის წარმატებამ მათ თვალი მოსტაცათ. თან ყველა მასხარა-ხუმარები და ჯამბაზები გუინპლენისადმი შურით აღივსნენ. ხედავთ, რა ბედნიერია ის მხეცის ცხვირპირიანი ვაჟბატონიო? კომედიანტი დიაცები და თოკზე მოცეკვავე ჯამბაზები გულდაწყვეტილნი უცქეროდნენ თავიანთ ლამაზ ბალღებს, გუინპლენზე უთითებდნენ და ამბობდნენ:

— რა საწყენია, რომ შენც ისეთი პირისახე არა გაქვსო!

ზოგი მათგანი სილაქსაც წამოჰკრავდა ხოლმე თავის ბალღს, გულაღრენილი იმის გამო, რომ ბალღი ლამაზი იყო. ბევრი დედა, რომ სცოდნოდა ამის საიდუმლოება, გუინპლენის მსგავსად დაასახიჩრებდა თავის შვილს. ანგელოზებრივი პირისახე, რომელსაც არავითარი შემოსავალი არ მოაქვს, არაფრად ღირს იმ სატანისებურ პირისახესთან, რომელიც თავის თავს ამდიდრებს.

ისიც მოხდა, რომ ერთმა დედამ, რომლის შვენიერი, ქერუბიმის მსგავსი ბალღი სცენაზე კუპიდონის როლში გამოჰყავდათ, შესძახა:

— ბედი სულ არა გვქონია, რომ ჩვენი ბალღები ასეთები დაიბადნენ; აი, გუინპლენს თან ქუდბედი დაჰყოლია, ასეთი პირისახისა რომ დაიბადაო.

მერე თავის ბავშვს მუშტი მოუღერა:

— რომ ვიცოდე, ვინ იყო მამაშენი, ერთ აყალმაყალს ავუტეხდიო.

გუინპლენი ოქროს კვერცხისმდებელი ქათამი გახდა. „რა საოცარი სასწაულია!“ მხოლოდ ესღა ისმოდა ყველა ჯამბაზ-ხუმარათა კარავ-ფარდულებში. მასხარა-ქილიკები აღტაცებულნი, იმავე დროს სასოწარკვეთილნი კბილთა ღრჭენით აცეცებდნენ თვალებს გუინპლენზე. როცა გაბოროტებული აღტაცებას გამოხატავს, ამას შური ჰქვია, სხვა არაფერი. ასეთ შემთხვევაში მოშურნის ხმა ღმუილად იქცევა. „მწვანე ყუთის“ მეზობლები ეცადნენ ჩაეშალათ „დამარცხებული ქაოსის“ წარმატება. ურთიერთს შეუთანხმდნენ და წარმოდგენაზე სტვენა, ბუბუნი და ღმუილი ატეხეს. ამან საბაბი მისცა ურსუსსა და მან საყვედურით მიმართა საზოგადოებას,

ბრალდებაც წარუდგინა მსგავსად პორტენზიუსისა;* ხოლო, ამ ამბით წაქეზებულმა ტომ-ჯიმ-ჯეკმა კარგა მაგარი მუშტები არ დაიშურა, რომ წესრიგი აღედგინა. ტომ-ჯიმ-ჯეკის მუშტების დატრიალებამ მისკენ მიმართა გუინპლენის ყურადღება. ხოლო ურსუსის მხრივ, პატივისცემა გამოიწვია. მაგრამ ყველაფერი მხოლოდ შორიდან ხდებოდა, რადგან „მწვანე ყუთის“ დასი არ ცდილობდა ვინმესთან ნაცნობობა გაება და განმარტოებულად იმყოფებოდა. მაგრამ, რაც შეეხება ტომ-ჯიმ-ჯეკს, ის ბევრად განსხვავებულად მოჩანდა იმ ნაყარნუყართაგან, რომელთა მოთავეობა ამჯერად მას ეკისრებოდა. ამასთანავე ისიც ეტყობოდა, რომ არც ერთ მათგანთან დაახლოებულ-დამეგობრებული არ იყო. ის, შლეგი და ჩხუბისთავი, ყველანაირი აყალმაყალის მონაწილე ხან გამოჩნდებოდა ასეთ მდაბიოთა თავყრილობებში, ხან თვალს მიეფარებოდა. თითქოს სულ ყველას მეგობარი იყო, მაგრამ სინამდვილეში არც არავის ამხანაგი აქ ის არ იყო.

გუინპლენის გაგულისებულ მეშურნეებს თავი დამარცხებულად არ ჩაუთვლიათ იმ რამდენიმე დარტყმის შემდეგაც, რომელიც მათ ტომ-ჯიმ-ჯეკისაგან მოხვდათ. როცა პიესას სტვენითა და ხმაურით ვერა დააკლეს რა, მაშინ ტარიწზოფილდის კომედიანტებმა საჩივარი აღძრეს. მათ ხელისუფლებას მიმართეს. ასეთი საქციელი ჩვეულებრივი ხერხია. თუ ვისმეს წარმატება ჩვენ გზას გვიღობავს, ჯერ მათ ბრბოს მივუსევთ ხოლმე და მერე პოლიციას ჩავრევთ.

ფიგლიარ-თვალთმაქცებს მღვდლებიც შეუერთდნენ. „კაცი, რომელიც იცინის“ მჭადაგებლებსაც აზარალებსო. დაცარიელდა არა მარტო თვალთმაქცთა ბალაგან-ფარდულები, არამედ ეკლესიებიც. საუთვორქის ხუთ სამლოცველოს თავისი მრევლი ჩამოსცილდა. ხალხი ქადაგებას გაურბოდა, რომ გუინპლენისათვის შეეხედა. „დამარცხებული ქაოსი“, „მწვანე ყუთი“, „კაცი, რომელიც იცინის“, ყველა ეს საძაგლობა იმარჯვებდა საეკლესიო მჭევრმეტყველებაზე. ასეთ შემთხვევაში ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა VOX CLAMANS IN DESERTO, უკმაყოფილების გამო, ადვილად მიმართავს დახმარებისათვის ხელისუფალთ. ხუთი მრევლის წინამძღოლებმა საჩივარი აღძრეს ლონდონის ეპისკოპოსთან. ხოლო ამ უკანასკნელმა თავის მხრივ მის უდიდებულესობასთან, დედოფალთან იჩივლა.

კომედიანტები თავის საჩივარში სარწმუნოებრივ თვალსაზრისს იყენებდნენ საბუთად. ისინი აცხადებდნენ, სარწმუნოება შეურაცხყოფილიაო. გუინპლენს ჯადოსნობასა სწამებდნენ, ურსუსს კი ღვთისმგმობელობას.

მღვდლები, პირიქით, საბუთად საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე უთითებდნენ. საეკლესიო საკითხებს არ ეხებოდნენ და პარლამენტის აქტების დარღვევას ასახელებდნენ. ეს უფრო ეშმაკური ფანდი იყო, ვინაიდან ეს საქმე ფილოსოფოს ლოკის ეპოქაში ხდებოდა; მხოლოდ ექვს თვეს გაეელო მას შემდეგ, რაც ლოკი 1704 წლის 28 ოქტომბერს გარდაცვლილიყო და სკეპტიციზმი, რომელიც ბოლინბროკმა* მალე ვოლტერსაც შთაუნერგა, უკვე თავის გავლენას ახდენდა მოაზროვნეთა შორის. უფრო მოგვიანებით უესლის დასჭირდა ისევ ბიბლიას დაბრუნებოდა, მსგავსად იმისა, როგორც თავის დროზე ლოიოლამ პაპიზმი აღადგინა.

ამნაირად, „მწვანე ყუთს“ ორი მხრიდან შეუტიეს: თვალთმაქცებმა ბიბლიის სახელით და სასულიერო მამებმა პოლიციური წესების სახელით. ერთმხრივ ცა და ღმერთი; მეორე მხრივ გზათა წესდება. ამგვარად, მღვდლებს თავი გამოედოთ ქუჩაში წესრიგის დარღვევის გამო, ხოლო ტაკიმასხარები ცაზე წესრიგის დარღვევას ჩიოდნენ. მაღალღირსი მამები ამტკიცებდნენ, „მწვანე ყუთი“ გზებზე თავისუფალ მოძრაობას აბრკოლებსო. ხოლო ჯანაოზები საჩივარში ღვთის გმობას ასახელებდნენ მიზეზად.

იყო კი რაიმე საამისო საბაბი? იძლეოდა რაიმე საფუძველს „მწვანე ყუთი“ ბრალდებისათვის? რაში გამოიხატებოდა მისი დანაშაული? აი რაში: დასში მგელი ჰყავდათ; ხოლო ინგლისში მგელს აკრძალული აქვს ცხოვრება. ძაღლს შეუძლია ინგლისში ცხოვრება, მგელს არა. ინგლისი წინააღმდეგი არ არის მყეფარი ძაღლისა; მაგრამ ძაღლი თუ ღმუის, ინგლისი ასეთ ძაღლს ძაღლად არ თვლის: ამით იმიჯნება საზღვარი შინაურ პირუტყვთა ბუნაგებსა და ტყის ნადირთა შორის. საუთეორქის ხუთი მრეველის წინამძღოლნი და მღვდელთმთავარნი თავიანთ საჩივრებში იმოწმებდნენ მეფისა და პარლამენტის მრავალ დადგენილებას, რისი ძალითაც მგელი კანონგარეშე იყო გამოცხადებული. საჩივრის დასკვნით ნაწილში ისინი მოითხოვდნენ გუინპლენის ციხეში ჩასმას; აგრეთვე მოითხოვდნენ მგლის გალიაში დამწყვდევას, ან არადა ინგლისის საზღვრე-

ბიდან გაძევებას. მათი სიტყვით, ამას მოითხოვდა საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესები, რათა გზად გამვლელებს ხიფათი ასცილებოდათ. გარდა ამისა, ისინი მეცნიერების ავტორიტეტს იმოწმებდნენ. ისინი ლონდონის ოთხმოც ექიმთა კოლეგიის დადგენილებიდან ამონაწერსაც იშველიებდნენ. ეს სამეცნიერო დაწესებულება ჰენრიხ მერვის დროიდან არსებობდა, სახელმწიფოს მსგავსად თავისი ბეჭედიც ჰქონდა. ავადმყოფებს ბრალდებულად თვლიდნენ და აპატიმრებდნენ ყველას, ვინც მათ დადგენილებებს არღვევდა, არ ემორჩილებოდა. მისი დებულებანი ეხებოდა აგრეთვე მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვას. იქ მეცნიერულად დამტკიცებული იყო შემდეგი უდავო ფაქტი: „თუ პირველად მგელი შეხედავს ადამიანს, მაშინ ადამიანს ხმა ჩაეხრიწება და მთელ თავის სიცოცხლეში ასეთი ხრინწიანი დარჩება. გარდა ამისა, მგელმა შეიძლება დაკბინოს ადამიანი“.

ამგვარად, შეეიწროება-დევნის მიზეზი ჰომო გამოვიდა.

ურსუსმა სასტუმროს პატრონის წყალობით ამ ხრიკების შესახებ უკვე იცოდა. ის შეწუხდა, რადგან სახიფათოდ მიაჩნდა პოლიციისა და მართლმსაჯულების ბრჭყალები. დამნაშავეც რომ არაფერში იყო, მაინც სასამართლოს მოხელეების გახსენებაზე შიში გიპყრობს. ურსუსს სრულებითაც არა სურდა რაიმე ურთიერთობა გაება შერიფებთან, პრევოებთან და მოსამართლეებთან. იგი სულ არ ცდილობდა, რომ ამ თანამდებობის პირნი ახლოდან დაეთვალიერებინა. მას ისევე სწყუროდა სასამართლოს უწყების წარმომადგენელთა გაცნობა, როგორც კურდღელს მწევრების ნახვა.

ახლა უკვე ნანობდა ლონდონში ჩამოსვლას.

— უკეთესი კარგის მტერიაო, — ბუტბუტებდა თავისთვის ურსუსი, — მე ამ ანდაზას ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ შევცდი; სულელური ჭეშმარიტებანი ნამდვილად სწორი აღმოჩნდება ხოლმეო.

ამდენ გაერთიანებულ ძალას, ჯანაოზებს, რომელნიც სარწმუნოებას გამოესარჩლნენ, სულიერ მოძღვართ, რომელნიც მედიცინის გამო აღშფოთდნენ, წინ რა დაუდგებოდა. „მწვანე ყუთს“ გუინპლენის გამო ჯადოქრობასაც სწამებდნენ; ჰომოს სახით კი — HYDROPHOBIE-ს (ცოფს). მხოლოდ ერთი რამ აიმედებდათ: ეგებ ადგილობრივი ძალაუფლების უმოქმედობას ეხსნა; ისინი ხომ

ინგლისში დიდ ძალას წარმოადგენდნენ. სწორედ ამ უმოქმედობის წყალობით აღორძინდა ინგლისური თავისუფლება. ინგლისში თავისუფლება იმ ზღვასავით იქცევა, რომელსაც ინგლისი გარემოუცავს. იგი ზღვის მოქცევას ჰგავს. ზნე-ჩვეულებანი თანდათან ზევით იწევენ და მკაცრ კანონმდებლობას თითქოს უფსკრულში ჩანთქავენ. მაგრამ მძვინვარე კოდექსი დღევანდლამდე გამოსჭვივის თავისუფლების გამჭვირვალე აპკიდან — აი, ასეთია ინგლისი.

„კაცი, რომელიც იცინის“, „დამარცხებული ჭაოსი“ და ჰომო შესაძლოა, თავის წინააღმდეგ მართლაც განაწყობდა ყველას: თვალთმაქცებს, მქადაგებლებს, ეპისკოპოსებს, თემთა პალატას, ლორდთა პალატას, მის უდიდებულესობას, ინგლისს, მაგრამ მაინც დაშშვიდებულნი დარჩებოდნენ, ვიდრე საუთვორქი მათ მხარეზე იყო. „მწვანე ყუთი“ ძალიან მიმზიდველ გასართობად მოევლინა გარეუბანს. განა თვით ადგილობრივი ხელისუფლება ამას უყურადღებოდ ტოვებდა. ინგლისში ხელისუფალთა გულგრილი დამოკიდებულება თითქმის მფარველობას უდრიდა. ვიდრე სერეის საგრაფოს შერიფი უყურადღებობას იჩენდა, რადგან საუთვორქიც ამ საგრაფოს ნაწილი იყო, ურსუსი ჯერ ისევ თავისუფლად სუნთქავდა და ჰომოც მშვიდად იძინებდა.

რამდენადაც „მწვანე ყუთისადმი“ სიძულვილი თავის მიზანს ვერ აღწევდა, იმდენად იგი უფრო ხელს უწყობდა მის წარმატებას. „მწვანე ყუთი“ ჯერჯერობით წინანდელზე უფრო ცუდ მდგომარეობაში როდი იყო; პირიქით: ხალხში ხმები დადიოდა, რომ „მწვანე ყუთს“ ხვანჯებს უგებდნენ და ძირს უთხრიდნენ; ამის წყალობით „კაცი, რომელიც იცინის“ უფრო პოპულარული გახდა. ხალხი ალღოთი იგებს დაბეზღებას და მსხვერპლად გამხდარს ეძხრობა. ვინც დევნის მსხვერპლი ხდება, იგი თანაგრძნობას იწვევს. ხალხი ყოველთვის იმას მფარველობს, ვისაც ძალაუფლება დაღუპვას უქადის. დაბეზღების მსხვერპლი აკრძალული ნაყოფია და ამიტომ იგი უფრო მიმზიდველი მოჩანს. თვით ის ტაში და ვაშა, რაც დიდებულ უფროსებს არ მოსწონთ, მდაბიურთათვის საესებით საამურია. საღამო სიამოვნებაში გაატარო, თანაც შეეწროებულთ თანაგრძნობა გამოუცხადო, კიდევ აღშფოთება გამოთქვა შემავიწროებელთა მიმართ, აბა, ეს ვის არ მოეწონება. დაჩაგრულს მფარველობდე და ამასთან ერთობოდე კიდევაც, ამას რა ჯობია! უნდა დავუმა-

ტოთ, რომ ბალაგან-ფარდულებიდან მოსული თვალთმაქცნი, ურთიერთშეთქმულნი, სტვენას და სისინს მაინც არ იშლიდნენ „ქაცი, რომელიც იცინის“ მიმართ. ამაზე მეტად კიდევ რა შეუწყობდა ხელს მის წარმატებას! როდესაც მტრები ხმაურს ასტეხენ, ამით უფრო მეტად ძლიერდება და მკვეთრდება გამარჯვების ზეიმი. მეგობარი უფრო მალე იღლება ხოლმე ქებით, ვიდრე მტერი ძაგებით; მაგრამ ძაგება ვერ აზიანებს ადამიანს. მტრებს ეს როდი გაეგებათ. მათ არ შეუძლიათ არ შეურაცხყონ; თავს ვერ იკავებენ ცილისწამებისაგან და ამით უფრო ხალხის ყურადღებას თავიანთი მსხვერპლისაკენ მიაქცევენ. ხალხის ბრბო ზვირთივით აწყდებოდა და მიიწევდა „დამარცხებული ქაოსის“ სანახავად.

ურსუსი არავის უმხელდა, რასაც ნიკლსი ეტყოდა ხოლმე მტრებისგან მაღალ ხელისუფლებასთან მათი დაბეზღებისა და ხვანჯების შესახებ. ურსუსი არც გუინპლენს უმხელდა რამეს; არ უნდოდა, მასაც წუხილი დაუფლებოდა ან სიმშვიდე დაეკარგა, რაც ესოდენ საზიანო იქნებოდა აქტიორისთვის. თუ უბედურება დაგვატყდა, ამის გაგებას ხომ მაშინაც მოასწრებსო.

V

კვერთხისმტვირთველი

თუმცა ერთხელ ურსუსმა საჭიროდ ჩათვალა ხელი აეღო ამ სიფრთხილეზე და უფრო მეტი სიფრთხილის გამო სათანადოდ მიიჩნია გუინპლენიც აეფორიაქებინა; მართლაც ამ შემთხვევაში, ურსუსის აზრით, საქმე ბაზრის ოინბაზთა და ეკლესიის მსახურთა ხრიკებთან შედარებით უფრო მნიშვნელოვან საკითხს ეხებოდა. ერთხელ, შემოსული თანხის დათვლისას იატაკზე ფარტინგი დავარდა და გაგორდა; ის გუინპლენმა აიღო და ათვალიერებდა: გუინპლენი გააოცა კონტრასტულმა განსხვავებამ: ამ მცირე მონეტაზე, რომელიც სიმბოლურად ხალხის სილატაკეს გამოხატავდა, ამოტვიფრული იყო დედოფალ ანას სახე, რაც სამეფო ტახტის პარაზიტული ბრწყინვალების სურათს იძლეოდა. გუინპლენმა ეს სატუმროს პატრონის თანდასწრებით აშკარად გაიცხა. ეს სიტყვები ნიკლსმა გაიტან-გამოიტანა, ბოლოს ფებიმ და ვენუსმა ურსუსის

ყურამდეც მიიტანეს. ურსუსი ამის გამო ციებ-ცხელებამ აიტანა. მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვები! მისი უდიდებულესობის, დედოფლის შეურაცხყოფა! და ურსუსმა გუინპლენი დატუქსა:

— საცობით დაიხშე ბილწი ბაგენი შენნი, რეგვენო! ამქვეყნიურ ძლიერთა კანონი უქმად ყოფნაა. მდაბიო ადამიანთა კანონი დუმილია. დუმილი ღარიბის ერთადერთი მეგობარია. ღარიბმა მხოლოდ მარტივი სიტყვა „დიახ“ უნდა წარმოთქვას. ყველაფერი უდავოდ მიიღოს, ყველაფერზე დაეთანხმოს, აი, მისი ერთადერთი უფლება, მოსამართლეს უნდა უპასუხოს, „დიახ“, მეფეს უნდა უპასუხოს, „დიახ“. წარჩინებული ადამიანები თუ მოისურვებენ, შეუძლიათ გვცემონ. მე თვითონ რამდენჯერ მცემეს. ეს არის მათი უპირატესობა და ისინი სრულიადაც არ ამცირებენ თავიანთ ღირსებას, როდესაც ჩვენ ძვლებს გვიმტვრევენ. სკიპტრის, სამეფო კვერთხის წინაშე ქედი უნდა მოვიხაროთ. იგი ყველა ჯოხზე უპირველესია, პატივისცემა სხვა არა არის რა, თუ არა სიფრთხილე. უდრტვინველი მორჩილება — თავდაცვაა. მეფეთა შეურაცხმყოფელი ისეთსავე ხიფათში ვარდება, როგორშიც ის ქალწული, რომელიც გაბედავს ლომს ფაფარი მოჭრას. მე მითხრეს, ვითომც შენ რაღაც სისულელეები წამოგიროშავს ფარტინგის გამო, რომელიც არსებითად იგივე ლიარია. შენ უპატიოდ მოგიხსენებია ის მონეტა, რომელზეც მისი უმაღლესობის, დედოფლის სახეა ამობეჭდილი. ამ მონეტით ბაზარზე გირვანქის მეოთხედის ნახევარ ქაშაყს ვყიდულობთ. გაფრთხილდი, დაუფიქრდი ცხოვრებას. არ დაგავიწყდეს, რომ ქვეყნად სასჯელი არსებობს. კანონის პატივისცემა შეითვისე, შენ იმ ქვეყანაში იმყოფები, სადაც სამი წლის ხის მოჭრის გამო კაცს სახრჩობელა მოელის. სადაც ცრუ ფიცის მოყვარულებს ფეხებზე ბორკილს ადებენ. ლოთს ძირგაგდებულ კასრში სვამენ; იმ კასრს თაეის ამოსაყოფი ნახვრეტი და გვერდებში ხელების გასაყოფი ნახვრეტები აქვს. ასე რომ, კასრში მყოფს შეუძლია იაროს, დაწოლით კი ვერ დაწვება. თუ ვესტმინსტერის სააბატოს დარბაზში ვინმე ხელით შეურაცხყოფს ვინმეს, შეურაცხმყოფელს სამუდამო პატიმრობას მიუსჯიან და მთელ ქონებას ჩამოართმევენ. ხოლო ვინც ასეთ რამეს მეფის სასახლეში ჩაიდენს, მარჯვენა ხელს მოჰკვეთენ. ვისმეს რომ ცხვირში წკიპურტი ჰკრა და სისხლი წამოადინო, მორჩა, უკვე ხელს მოგკვეთენ. ვინც სარწმუნოებიდან განდგება, მწვა-

ლებლობას შესწამებენ და ეპისკოპოსის სასამართლოს ბრძანებით კოცონზე დაწვავენ. უბრალო დანაშაულისათვის ბორბალზე დაფლითეს კეთბერტ სიმპსონი. ამ სამი წლის წინ, 1702 წელს, სამარცხვინო ბოძზე ააკრეს ვინმე ავაზაკი, რომელსაც დანიელ დეფო* ერქვა, იმის გამო რომ გათავხედდა და თემთა პალატის იმ წევრების სახელები დაბეჭდა, რომელნიც წინა დღით პარლამენტში სიტყვით იყვნენ გამოსულნი. იმ კაცს, რომელიც მის უდიდებულესობას გასცემს, მკერდს გაუჭრიან, გულს ამოაცლიან და ამ გულს მასვე ურტყამენ ლოყებზე. მაგრად ჩაიჭედე თავში ეს მთავარი ცნებები უფლისა და სამართლიანობისა. არასოდეს ზედმეტი სიტყვის თქმის ნება არ მისცე თავს. ოდნავი განგაშისთანავე გაფრენისთვის მზად ვიყო — ამაშია მთელი ჩემი სიბრძნე. გირჩევ, შენც ასევე მოიქცე. იყავი მამაცი, როგორც ფრინველი და მოლაყბე, როგორც თევზი. გახსოვდეს, ინგლისი იმითაა კარგი, რომ მისი კანონმდებლობა გასაოცარი ლმობიერებით გამოირჩევა.

ამ შთაგონების შემდეგ ურსუსი დიდხანს ვეღარ დამშვიდებულიყო. გუინპლენი კი სრულებითაც არ აღელვებულა: ახალგაზრდობა გამოუცდელია, ამიტომ შიში არ იცის. თუმცა გუინპლენი უფრო მართებულად მოიქცა, რომ სიმშვიდე არ დაურღვევია. ვინაიდან რამდენიმე კვირამ უდავიდარაბოდ, სიწყნარეში გაიარა და გუინპლენის სიტყვებს დედოფლის შესახებ თითქოს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

ურსუსს, როგორც ცნობილია, უზრუნველობა არ ახასიათებდა. იგი შვლის მსგავსად მუდამ ყურდაცქვეტილი, ფხიზლად ათვალიერებდა გარემოს.

რამდენიმე დღე გაეიდა მას შემდეგ, რაც ურსუსმა გუინპლენი დატუქსა და რჩევა-დარიგებით ყურები გამოუჭედა, იგი სარკმელთან იდგა, მოედანს გაჰყურებდა. უცბად სახის ფერი დაკარგა.

— გუინპლენ!

— რა არის?

— გადაიხედე.

— სადა?

— მოედანზე.

— მერე რა არის?

— ხედავ იმ გამვლელს?

— შავებით მოსილ კაცს?
— დიახ.
— ხელჯოხიანს?
— დიახ.
— მერე რა არის?
— ის კაცი, WAPENTAKE-ია.
— რას ნიშნავს WAPENTAKE?
— ეს კვერთხისმტვირთველია, ოლქის ბოქაულია.
— რას ნიშნავს ოლქის ბოქაული?
— ეს ნიშნავს PRAEPOSITUS HUNDRED-ი.
— ვინ არის ეს PRAEPOSITUS HUNDRED-ი?
— ძალიან საშიში თანამდებობის პირია, ასეულის უფროსია.
— ხელში რაღა უჭირავს?
— ეს IRON WEAPON-ია. რკინის კვერთხი.
— რისთვის აქვს ეგ კვერთხი?
— პირველ ყოვლისა, ფიცი აქვს მასზე დადებული, იმიტომაც ეძახიან კვერთხისმტვირთველს.
— მერე?
— მერე, კვერთხისმტვირთველი იმ რკინის კვერთხით შეეხება ვისმე.
— რითი?
— რკინის კვერთხით.
— კვერთხისმტვირთველი კვერთხით შეეხება?
— დიახ, შეეხება.
— ეს რას ნიშნავს, ნეტა?
— იმას ნიშნავს, მომყევიო.
— და უნდა გაჰყვეს ის, ვისაც შეეხება?
— უნდა გაჰყვეს.
— სად უნდა გაჰყვეს?
— აბა მე რა ვიცი.
— მაგრამ თვითონ ხომ ეტყვის, საითაც უნდა გაიყოლოს.
— არა, არაფერს ეტყვის.
— ხომ შეიძლება ჰკითხოს კაცმა?
— არა, არ შეიძლება.
— მაშ როგორ?

— ის თვითონ ხმას არ იღებს და არც სხვა უნდა შეეკითხოს რასმე.

— ნუთუ...

— ის შეგეხება რკინის კვერთხით და ამით ყველაფერი ცხადი ხდება, შენ მას უნდა გაჰყვე.

— მერედა საით?

— საითაც წაგიყვანს.

— მაინც საით?

— საითაც მოისურვებს, .

— უარი რომ უთხრას კაცმა?

— ჩამოახრჩობენ.

ურსუსმა ისევ სარკმელში გაყო თავი, მიიხედ-მოიხედა, ღრმად ამოიოხრა და წარმოთქვა:

— მადლობა ღმერთს, აქაურობას გაშორდა! მაშ, ჩვენთან არ მოდიოდა.

ურსუსს, როგორც ეტყობოდა, დაბეზღების და მითქმა-მოთქმის მეტისმეტი შიში ჰქონდა. მართლაც, შესაძლო იყო გუინპლენის გაუფრთხილებელ სიტყვებს ხიფათი მოჰყოლოდა.

ნიკლსი, რომლის თანდასწრებითაც ითქვა ის სიტყვები, არაფრით იყო დაინტერესებული, რომ ხელისუფლებას ეჭვი მიეტანა „მწვანე ყუთის“ საბრალო ოჯახზე. „კაცი, რომელიც იცინის“ მასაც ხომ საკმაოდ ასარგებლებდა. „დამარცხებული ქაოსი“ ორნაირი წარმატების საწინდარი გახდა.

იმ დროს, როდესაც „მწვანე ყუთში“ ხელოვნება ზეიმობდა, დუქანში ამის წყალობით გახელებული სმა და ღრეობა იყო.

VI

თაგვი კატებთან დაკითხვაზე

ურსუსი ერთ ამაღელვებელ რამეს კიდევ წააწყდა და საკმაოდ საშიშსაც. ამჯერად საქმე პირდაპირ მას ეხებოდა. მას აუწყებდნენ, რომ უნდა გამოცხადებულიყო ბიშოფსგეიტში, იმ კომისიის წინაშე, რომელიც შედგებოდა სამი არასასიამოვნო პიროვნებისაგან: ეს სამი პიროვნება დოქტორები იყვნენ, წესრიგის ოფიციალური

მეთვალყურენი. ერთი მათგანი იყო ღვთისმეტყველების დოქტორი, ვესტმინსტერის დეკანის წარმომადგენელი; მეორე — მედიცინის დოქტორი, ოთხმოცთა კოლეგიის წარმომადგენელი; მესამე — ისტორიულ მეცნიერებათა და სამოქალაქო უფლებათა დოქტორი, გრეშემის კოლეგიის წარმომადგენელი. ამ სამ ექსპერტს IN OMNI RE SCIBILI* ეკისრებოდა თვალყურის დევნება საჯაროდ წარმოთქმულ სიტყვებზე, ლონდონის მთელი ას ოცდაათი მრევლის ტერიტორიაზე, მიდლსექსის საგრაფოს სამოცდაცამეტ მრევლში და ამასთანავე საუთვორქის ხუთ მრევლშიც. ეს ღვთისმეტყველთა სამსჯავროები ინგლისში დღესაც არსებობენ და უმოწყალოდ სჯიან დამნაშავეებს. 1868 წლის 23 დეკემბერს არჩის სასამართლოს დადგენილებითა და ლორდთა საიდუმლო თათბირის დადასტურებით ღირს მამა მაკონოჩის გაკიცხვა გადაუწყვიტეს და სასამართლოს ხარჯებიც აზღვევინეს იმის გამო, რომ სანთლები უბრალო ტაბლაკზე დაანთო. ლიტურგიას ხუმრობა არ უყვარს!

ურსუსი ერთ შშვენიერ დღეს სამმა სწავლულმა დოქტორმა წერილობით მიიწვია სასამართლოში. საბედნიეროდ, უწყება პირადად მას ჩააბარეს; ასე რომ შეეძლო ეს საქმე არ გაეშჟღავნებინა. არც ერთი სიტყვა არ უთქვამს, ხმის ამოუღებლივ დაემორჩილა ამ ბრძანებას და წავიდა შიშისგან გულაჩქროლებული; თანაც ფიქრობდა: ნეტა რა ჩავიდინე ისეთი, რომ ეჭვი აიღეს ჩემს უმართებულობაზეო. ის თვითონ სხვებს ურჩევდა, დუმილი დაიცავითო, და ახია მასზე, GARRULE, SANA TE IPSUM*.

კანონის ოფიციალური მცველები, სამი დოქტორი ესწრებოდა ბიშოფსგეიტში სასამართლოს; ისინი პირველი სართულის დარბაზის სიღრმეში შავი ტყავის სავარძლებში ისხდნენ. მათ ზურგს უკან თავს წამოსდგომოდა ბიუსტები მინოსისა,* ეაკისა* და რადამანტისა*. მოსამართლეთა წინ მაგიდა იდგა, ხოლო ფეხთ ქვეშ პატარა სკამ-საფერხეები.

ურსუსი უკან მიჰყვებოდა დინჯსა და მკაცრი გამომეტყველების ბოქაულს. ის დარბაზში შევიდა, სწავლულნი დაინახა და მაშინვე თავის გუნებაში თითოეულ მათგანს იგივე სახელი უწოდა, რაც ქვესკნელის სამყოფელის საშინელ მსაჯულს ეწოდება და რომლის გამოხატულება ამ ინკვიზიტორთა თავზე წამომდგარი მოჩანდა.

სამთაგან პირველმა, მინოსმა, ღვთისმეტყველების ოფიცია-

ლურმა წარმომადგენელმა, მედიდურად ანიშნა: გრძელ სკამზე ჩამომჯდარიყო.

ურსუსმა თავი დაუკრა მოწიწებით, ესე იგი, წელში მოიხარა და თაყვანი სცა. და, რაკი იცოდა, რომ დათვის მოთვინიერება თაფლით შეიძლებოდა, ხოლო დოქტორისა ლათინურით, მათი პატივისცემის გამო, წელში არც გამართულა ისე წარმოთქვა:

— TRES FACIUNT CAPITULUM*.

და ასე თავდახრილი ჩამოჯდა გრძელ სკამზე.

სამივე დოქტორის წინ, მაგიდაზე, ქაღალდების გროვა ელაგა, ისინი ამ ქაღალდებს ფურცლავდნენ.

მინოსი დაკითხვას შეუდგა:

— თქვენ ხალხის წინაშე სიტყვებით გამოდიხართ?

— დიახ, — უპასუხა ურსუსმა.

— რა უფლების ძალით?

— მე ფილოსოფოსი ვარ.

— ეგ თქვენ მაინც უფლებას არ განიჭებთ.

— გარდა ამისა, მე ქილიკიცა ვარ, ხუმარა.

— ეგ სხვა საქმეა.

ურსუსმა შვებით ამოისუნთქა, მაგრამ ოდნავ გასაგონად მინოსი განაგრძობდა:

— როგორც ქილიკსა და ხუმარას, თქვენ შეგიძლიათ ილაპარაკოთ, მაგრამ როგორც ფილოსოფოსს, თქვენ დუმილი გმართებთ.

— ვეცდები, — უპასუხა ურსუსმა.

და თან გაიფიქრა: „შემიძლია ვილაპარაკო, მაგრამ დუმილი მმართებს. რთული ამოცანაა".

ურსუსი ძალიან შეშინდა.

ღვთისმეტყველების წარმომადგენელმა განაგრძო:

— თქვენ გამოთქვამთ არაკეთილგანზრახულ მსჯელობებს, რელიგიას შეურაცხყოფას აყენებთ. უარყოფთ უდავო ჭეშმარიტებებს. ავრცელებთ აღმაშფოთებელ, მცდარ შეხედულებებს. მაგალითად, თქვენ გითქვამთ, რომ სიქალწულე გამორიცხავს დედობრიობასო.

ურსუსმა მოწიწებით აიხედა.

— მე ეგ არ მითქვამს. მე მხოლოდ ვამტკიცებდი, რომ დედობრიობა გამორიცხავს სიქალწულეს.

მინოსი ჩაფიქრდა და წაიბურძღუნა:

— მართლაცდა ეს რაღაც ურთიერთსაწინააღმდეგო რამაა.

ეს ერთი და იგივე იყო, მაგრამ ურსუსმა მოიგერია პირველი დარტყმა.

მინოსი, ურსუსის პასუხზე ჩაფიქრებული, საკუთარი ჭკუის სიჩლუნგის უფსკრულში ჩაიძირა, რის გამოც დუმილი ჩამოვარდა.

ისტორიის ოფიციალური წარმომადგენელი, რომელსაც ურსუსმა რადამანტი უწოდა, ეცადა, დაეჩქმალა მინოსის მარცხი და ურსუსს მიმართა:

— ბრალდებულო, ყველა თქვენი უტიფრობა და მცდარი შეხედულება უთვალავია; თქვენ, მაგალითად, უარყოფდით იმ ფაქტს, რომ ფარსალის ბრძოლის* წაგების მიზეზად ბრუტუსისა* და კასიუსის* მიერ გზაში ზანგის შეხვედრა იქცა.

ურსუსმა ძლივს წარმოთქვა:

— მე ვამბობდი, რომ ბრძოლის წაგება შეიძლებოდა იმითაც აეხსნას, რომ კეისარი უფრო ნიჭიერი მხედართმთავარი იყო.

ისტორიის წარმომადგენელი უცებ მითოლოგიაში შეიჭრა.

— თქვენ ამართლებდით აქტეონის* მდაბალ საქციელს.

ურსუსი ფრთხილად შეედავა:

— მე მგონია, მამაკაცისთვის შემარცხვენელი არ არის შიშველი ქალის შეხედვა.

— თქვენ სცდებით, — მკაცრად მიუგო მოსამართლემ.

რადამანტი ისევ ისტორიას დაუბრუნდა.

— მითრიდატეს* ცხენოსანთა დასს რომ უბედურება შეემთხვა, ამასთან დაკავშირებით თქვენ უარყოფდით ზოგიერთი ბალახის და მცენარის საყოველთაოდ აღიარებულ თვისებებს. თქვენ ამტკიცებდით, რომ SECURIDAKA ბალახის გავლენით არ შეიძლება ცხენებს ნალები დასცვივდეს.

ურსუსმა უპასუხა:

— უკაცრავად, მე მხოლოდ იმას ვამბობდი, რომ ნალებს დააყრევინებს მხოლოდ SFEZRA-CAVALLO ბალახი და არც უარვყოფ იმ ღირსებებს, რომლებიც ამა თუ იმ მცენარეშია დაფარული.

თან დაბალი ხმით დაუმატა:

— არც იმ ღირსებებს უარვყოფ, რაც რომელიმე ქალშია დაფარული.

უკანასკნელი სიტყვებით ურსუსს უნდოდა თავის თავისთვის

დაემტკიცებინა, რომ მიუხედავად მღელვარებისა, ის მთლად უმედო მდგომარეობაში არ იყო. მართალია, შიში დაუყლებოდა, მაგრამ მხნეობას არ კარგავდა, არ იბნეოდა.

რადამანტი განაგრძობდა:

— მე ისევ ჩემსას ვიმეორებ: თქვენ განაცხადეთ, რომ სციპიონი სულელურად მოიქცა, როდესაც კართაგენის კარიბჭის გასაღებად ბალახ AETHIOPIS-ს მიმართა, ვინაიდან, თქვენი აზრით, ამ ბალახს არ გააჩნია ძალა კლიტეთა სამტვრევად.

— მე მხოლოდ ისა ვთქვი, რომ სციპიონი უფრო უკეთ მოიქცეოდა, ბალახი LUNARIA რომ გამოეყენებინა.

— ეს საკითხი ჯერ კიდევ გამოსარკვევია, — ჩაიდუდღუნა შეცბუნებულმა რადამანტმა და დადუმდა.

ღვთისმეტყველების წარმომადგენელი მინოხი ამასობაში გამოერკვა და ისევ დაეკითხა ურსუსს. მან კი რვეულში ჩანიშნულ ადგილებს გადახედა.

— თქვენ აურიპიგმენტი დარიშხანათა შენაერთებად ჩათვალეთ და ამბობდით, აურიპიგმენტი შეიძლება საწამლავად გამოდგესო. ბიბლია ამას უარყოფს.

ურსუსმა ამოიოხრა და უპასუხა:

— ბიბლია უარყოფს, სამაგიეროდ, დარიშხანა ამტკიცებს.

ის პიროვნება, რომელსაც ურსუსმა თავის გუნებაში ეაკი უწოდა, და რომელსაც მედიცინის ოფიციალური წარმომადგენლის სახით აქ დასწრებულს ჯერ არც ერთი სიტყვა არ წამოსცდენოდა, ახლა ჩაერია საუბარში. მან ქედმაღლურად დახარა თვალები და ღირსეულად დაეთანხმა ურსუსს:

— პასუხი ჭკვიანურია.

ურსუსმა მადლობა გადაუხადა ეაკს პირფერი ღიმილით.

მინოსმა შუბლი შეიკრა და წარმოთქვა:

— მე განვაგრძობ დაკითხვას, მიპასუხეთ. თქვენ ამბობთ, რომ ტყუილია ის შეხედულება, ვითომც ბასილისკო ბატონობდეს გველებზე კოკატრიქსის სახელწოდებით.

ურსუსმა უპასუხა:

— თქვენო მაღალღირსებავ, მე სულაც არ მინდოდა დაშემცირებინა ბასილისკოს დიდება, არამცთუ ესა, ვამტკიცებდი კიდეც, მას თავი ადამიანისა აქვს-მეთქი.

მინოსი მკაცრად შეეკამათა:

— ვთქვათ ასეა, მაგრამ თქვენ უმატებდით, რომ ვითომ პერიუსს ენახა ერთი ბასილისკო, რომელსაც შევარდნის თავი ჰქონდა. შეგიძლიათ დაამტკიცოთ?

— გამიძნელდება, — უპასუხა ურსუსმა.

აქ მან იგრძნო, რომ ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა.

მინოსმა ისარგებლა მისი დაბნეულობით და განაგრძო:

— თქვენ გითქვამთ, რომ გაქრისტიანებულ ებრაელს ცუდი სუნი ასდის.

— მაგრამ მე ისიც დავუმატე, რომ იუდეველთა სარწმუნოებაზე გადასული ქრისტიანი ამყრალებულია.

მინოსმა თვალი მოავლო რვეულს, სადაც ბრალდებათა ჩანაწერები იყო თავმოყრილი.

— თქვენ, თქვენს სულელურ ბოდვებსა და ჩმახვებს ავრცელებთ; ისიც გითქვამთ, ვითომ ელიანმა* დაინახა, რომ სპილო იგავებსა წერდა.

— არა, თქვენო მაღალღირსებავ, მე მხოლოდ ისა ვთქვი, რომ ოპიანემ* გაიგონა, ჰიპოპოტამი როგორ მსჯელობდა ფილოსოფიურ პრობლემებზე.

— თქვენ განაცხადეთ, რომ წიფლის ხის ტაბაკზე, თავისთავად ვერ დაიწყობა ნაირ-ნაირი სანოვაგე.

— მე ვთქვი, რომ ნაირ-ნაირი სანოვაგე თავისუფლად დაიწყობა მხოლოდ იმ ტაბაკზე, რომელიც თქვენ სატანამ გაჩუქათ.

— მე მაჩუქა?

— არა, მე, თქვენო ყოვლადღირსებავ, არა, არავის! მე უნდა მეთქვა, რომელიც სატანას ყველასთვის უჩუქებია.

და ურსუსმა თავისთვის გაიფიქრა: „მე თვითონაც აღარ ვიცი, რას ვამბობ“. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ღელავდა, არაფრით ამჟღავნებდა ამ მღელვარებასა და განაგრძობდა ბრძოლას.

მინოსი კიდევ შეედავა:

— ყოველივე ეს ნაწილობრივ იმას მოასწავებს, რომ თქვენ ეშმაკები და დემონები გწამთ.

ურსუსი არ დაბნეულა:

— თქვენო მაღალღირსებავ, დიახ, მე მწამს. თუ ერთი მხრივ

სატანა სწამს ადამიანს, მეორე მხრივ ღმერთი ეწამება, დეშონების არსებობა ღმერთის არსებობას ამტკიცებს. ვისაც ოდნავ მაინც არა სწამს სატანა, მას არცთუ ძალიან ღმერთი სწამს. ვინც შხის არსებობას აღიარებს, მან სიბნელის არსებობაც უნდა აღიაროს. სატანა არის ღმერთის მიერ გაჩენილი ღამე. რა არის ღამე? ღამე არის დღის არსებობის დამამტკიცებელი საბუთი.

ეს იყო ურსუსის იმპროვიზაცია, იგი თავის მოსამართლეებს ფილოსოფიისა და რელიგიის იგავმიუწვდომელ ნარევსა სთავაზობდა. მინოსი ისევ დაფიქრდა და ისევ დუმილმა მოიცვა...

ურსუსმა ისევ შვებით ამოისუნთქა.

მაგრამ უცბად მასზე მოულოდნელი იერიში მიიტანეს. ეაკი, მედიცინის ოფიციალური წარმომადგენელი, ახლახან რომ ასე გოროზად დაიცვა ღვთისმეტყველისაგან, უცბად მოკავშირის მაგიერ თავდამსხმელი გახდა. მან მუშტი დაადო ჩანაწერებით აჭრელებულ ქაღალდებსა და პირდაპირ ეძგერა ურსუსს:

— დამტკიცებულია, რომ ბროლი ბუნებრივად გამოხდილი ყინულის შედეგია, ალმასი შედეგია ბროლის ამგვარივე გამოხდისა. დადგენილია, რომ ყინული ათასი წლის მერე ბროლად გადაიქცევა, ხოლო ბროლი ალმასად გარდაიქმნება ათასი საუკუნის მერე.

ურსუსი მელანქოლიურად შეეკამათა:

— არა, მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ათასი წლის შემდეგ ყინული შეიძლება დადნეს, და რომ ათასი საუკუნის დათვლა-გამოანგარიშება არც ისე ადვილია.

დაკითხვა გრძელდებოდა. კითხვა-პასუხი ხმლების დარტყმასავით ზრიალებდა.

— თქვენ იმასაც უარყოფთ, რომ მცენარეებს ლაპარაკი შეუძლიათ.

— სრულებითაც არა, მაგრამ თუ გვინდა, მცენარეები ავალაპარაკოთ, ისინი საბრჩობელას ქვეშ უნდა გავზარდოთ.

— გწამთ თქვენ, რომ მანდრაგორა* ყვირის?

— არა, მაგრამ ის მღერის.

— თქვენ უარყოფდით, რომ მარცხენა ხელის უსახელო თითის საშუალებით გულის დაავადებათა განკურნება შეიძლება.

— მე მხოლოდ ისა ვთქვი, რომ მარცხნივ მიბრუნებით ცხვირის დაცემინება ცუდის ნიშანია.

— თქვენ თავხელურად და შეურაცხყოფით იხსენიებდით ფენიქსს*.

— განათლებულო მსაჯულო, მე მხოლოდ და მხოლოდ იმას ვამბობდი, რომ პლუტარქემ* მეტად შორს შესტოპა, როდესაც ამტკიცებდა, რომ ფენიქსის ტვინი გემრიელი საჭმელია, მაგრამ თავს ატკივებსო, ვინაიდან ვიცით, რომ ფენიქსი არ არსებობდა.

— აღმაშფოთებელი სიტყვებია. ფრინველი კანაშალაკი, რომელიც დარიჩინის რტოებისაგან იკეთებს ბუდეს, მერე ხეკაკუნა, რომლისგანაც პარიზატიდა* თავის საწამლავებს აშხადებდა, მანუკოდიატი, რომელიც სამოთხის ფრინველია, და სემენდა, რომელსაც საშმაგი ნისკარტი აქვს, ყველა ეს ფრინველი ფენიქსი ეგონათ, მაგრამ ფენიქსი მაინც არსებობდა.

— მე არ უარვყოფ.

— შენ ვირი ყოფილხარ.

— გმადლობთ პატივისცემისათვის.

— თქვენი რწმენით, დიდგულა გულის მანკს არჩენს, მაგრამ აქ იმასაც უმატებთ, რომ ვითომც ეს არა ხდებოდეს ამ ხის ჯირკზე ჯადოსნური მინაზარდის გამო.

— მე დიდგულას სამკურნალო თვისება იმით დავადასტურე, რომ მასზე იუდამ ჩამოიხრჩო თავი.

— ეს მსჯელობა ჭეშმარიტებასთან ახლოა, — წაიდუდღუნა კმაყოფილებით მინოსმა, რადგან ამით მან წასჩხელიტა მედიცინის დოქტორ ეაკსა და სამაგიერო მიუხლო.

ქედმაღლობას თუ შეეხებიან, ეს უცბად განრისხებას იწვევს. ეაკი გაბრაზდა.

— მაწანწალავ! თქვენი გონება ისევე აცაბაცა დაბორიალებს, როგორც თქვენივე ფეხები. საეჭვო, უცნაურ მიდრეკილებებს გამჩნევეთ, ალბათ ჯადოქარი იქნებით. რაღაც გამოუცნობ ნადირებთან გაქვთ საქმე. თქვენ, მდაბიო ხალხს თქვენივე ფანტაზიებს უყვებით, რომელთა ბუნება არავისთვის არის ცნობილი. მაგალითად, ჰემოროუსის შესახებ.

— ჰემოროუსი ჭრელი გველია, რომელიც ტრემელიუსმა* ნახა.

ამ პასუხმა, ცოტა არ იყოს, შეაცბუნა გამძვინვარებული დოქტორი ეაკი.

ურსუსმა დასძინა:

— პემოროუსის არსებობაში ეჭვი არ უნდა გქონდეს, ისე რო-
გორც იმ აფთრის არსებობაში, რომელიც კასტელუსმა აღწერა.

ეაკმა ახლა გადამწყვეტი შეკითხვა დაუმიზნა:

მან ჩანაწერებში ჩაიხედა:

— აი, აქ წერია თქვენი პირით ნათქვამი ჭეშმარიტად სატანისე-
ბური რიშვა, აბა მისმინეთ!

„ორი მცენარე, თალაქსიგილი და აგლაფოტისი, ანათებენ და-
ბინდების მერე, დღისით ისინი ყვავილებია, ღამე ვარსკვლავები".

და მან შიგ თვალებში ჩახედა ურსუსს.

— რითი შეგიძლიათ, თავი გაიმართლოთ?

ურსუსმა უპასუხა:

— ყოველი მცენარე ლამპარია, მისი სურნელება სინათლეა.

ეაკმა რამდენიმე გვერდი გადაფურცლა.

— თქვენ იმასაც უარყოფდით, რომ წავის ჯირკვლებიდან გამო-
დენილი სითხე იგივეა, რაც თახვიდან გამონადენი ნაკადი.

— მე მხოლოდ ის შევნიშნე, რომ იქნებ სჯობდეს ამ საკითხში
ავეციუსს არ დავერწმუნოთ.

ეაკი გამძვინვარდა.

— თქვენ მედიცინაში პრაქტიკულ მუშაობას აწარმოებთ?

ურსუსმა თავშეკავებით ამოიოხრა და უპასუხა:

— ამ დარგში მეც მაქვს პრაქტიკა.

— ცოცხალ ადამიანებზე?

— ვამჯობინებ ცოცხლებზე, ვიდრე მკვდრებზე, — უპასუხა ურ-
სუსმა.

ურსუსი სერიოზულად პასუხობდა და ამავე დროს გამომწვე-
ვადაც; ამ ორი ინტონაციის საკვირველ შეთანხმებაში რაღაც
შემპარავი უფრო მეტი იყო; ურსუსი იმდენად გულჩვილად ლაპა-
რაკობდა, რომ ეაკს საღერღელი აეშალა, უნდოდა შეურაცხყოფა
მიეყენებინა მისთვის.

— რას ღუღუნებთ მანდ? — უხეშად შეეკითხა იგი.

ურსუსი დაიბნა და ასე უპასუხა:

— ღუღუნებენ ახალგაზრდები, ხოლო მოხუცები მარტოლა კრუ-
სუნებენ. ვაი, რომ მეცა ვკრუსუნებ.

ეაკი განაგრძობდა:

— გაფრთხილებთ: თუ თქვენ ხელს მოჰკიდებთ ავადმყოფს,

მკურნალობას დაუწყებთ და ავადმყოფი მოკვდება, სიკვდილით დაისჯებით.

ურსუსმა გაბედა და შეეკითხა:

— თუ ავადმყოფი გამოჯანსაღდება, მაშინ?

დოქტორმა უფრო ლმობიერად უპასუხა:

— ასეთ შემთხვევაში თქვენ მაინც სიკვდილით დაგსჯიან.

— განსხვავება არცთუ დიდია, — შენიშნა ურსუსმა.

დოქტორი განაგრძობდა.

— თუ ავადმყოფი მოკვდება, თქვენი უვიცობისთვის დაისჯებით, თუ გაჯანსაღდება, მაშინ თქვენი კადნიერებისათვის, ორივე შემთხვევაში სახრჩობელა არ აგცდებათ.

ურსუსმა წაიჩურჩულა:

— მე ეგ ასე დაწვრილებით არ ვიცოდი. გმადლობთ, რომ ამიხსენით. ყველა ხომ არ იცნობს ასე ზედმიწევნით ჩვენს შესანიშნავ კანონმდებლობას.

— ფრთხილად იყავით!

— წმინდად და ფრთხილად დავიცავ თავს, — ჩაილაპარაკა ურსუსმა.

— ჩვენ ვიცით, რასაც საქმიანობთ.

ურსუსმა გაიფიქრა:

მე თვითონ ყოველთვის არც კი ვიცი, რას ვაკეთებო.

— ჩვენ შეგვიძლია საპატიმროში მიგაბრძანოთ.

— მჯერა, მოწყალეო ხელმწიფევ.

— თქვენ ვერ უარყოფთ იმ შეცდომას და თავნება მოქმედებას, რაც მიგიძღვით.

— გთხოვთ, მაპატიოთ, როგორც ფილოსოფოსს.

— თქვენ ბრალად გედებათ მთელი რიგი თავხედური მსჯელობანი.

— ეგ საოცრებამდე მცდარი ბრალდებაა.

— ამბობენ, ავადმყოფებს არჩენხო.

— მე ცილსა მწამებენ.

ურსუსს სამი წყვილი მოლუშული წარბი მუქარით მიაჩერდა. სამი სწაელულის პირისახე ურთიერთისკენ გადაიხარა. გაისმა ჩურჩული; ურსუსს ისე მოეჩვენა, თითქოს სამი ოფიციალური წარმომადგენლის სამივე თავზე ბრიყვის ერთი ჩაჩი გამოჩნდა. ამ

სამების მრავალმნიშვნელოვანი საიდუმლო ბუტბუტი რამდენიმე წუთს გაგრძელდა; ამ ხნის განმავლობაში ურსუსს შიშისაგან ხან გააცხელებდა, ხან ძაგძაგი აიტანდა. ბოლოს თავმჯდომარე მინოსი მისკენ მობრუნდა და მრისხანედ დაისისინა:

— მოშორდი აქედან!

ურსუსმა ისეთივე განცდა გადაიტანა, როგორსაც დაახლოებით ბიბლიური იონა გადაიტანდა, როდესაც იგი ვეშაპმა თავისი სტომაქიდან გამოაგდო.

მინოსმა განაგრძო:

— ჯერჯერობით გაგიშვებთ.

ურსუსმა გაიფიქრა:

„მე ამათ ხელში მეტად აღარ ჩავუვარდები, მშვიდობით, მედიცინავ!“

და გუნებაში დაუმატა:

„ამიერიდან ავადმყოფებს სრულ თავისუფლებას ვაძლევ, უწამლოდ და უმკურნალოდ ამოსძვრეთ სული“.

ურსუსი ორად მოიკეცა, ყველა მხარეს თავი დაუკრა დოქტორებს, ბიუსტებს, მაგიდებს, კედელს და უკან-უკან წავიდა, კარებს მიადგა, რომ გამქრალიყო მსგავსად ჰაერში განზავებული ჩრდილისა.

დარბაზიდან იგი ნელი ნაბიჯით გამოვიდა, როგორც წმინდა სინდისის მქონე ადამიანი. მაგრამ რა წამს ქუჩაში გაჩნდა, ისეთი სისწრაფით გაიქცა, როგორც დანაშაულზე წასწრებული ბოროტმოქმედი გაიქცევა. მართლმსაჯულების წარმომადგენელნი ახლოს გაცნობისას ისეთ საშინელსა და გაურკვეველ შთაბეჭდილებას ტოვებენ, რომ თუნდაც გამართლებული იყოს ადამიანი, ცდილობს სასწრაფოდ გასცილდეს იმ არემარეს.

ურსუსი გარბოდა და თავისთვის ბუზღუნებდა:

— კიდევაც ადვილად დავაღწიე თავი. მე სწავლული ვარ ეულურად, ისინი მოთვინიერებული მეცნიერები არიან. დოქტორები ნამდვილად სწავლულებს დევნიან. ცრუმეცნიერება — ჭეშმარიტი მეცნიერების ნარჩიელია, და ამით სარგებლობენ ფილოსოფოსთა დასაღუპად. ფილოსოფოსებმა წარმოშვეს სოფისტები და ამით თვითონვე გაითხარეს სამარე. შაშვის სკინტლზე ფითრი ამოდის, რომლის წვენიდან შაშვების დასაჭერ წებოს ამზადებენ: TURDUS SIBI MALUM CACAT*.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ურსუსი მეტად მორიდებული ბრძანდებოდა. ის უსირცხვილოდ გამოთქვამდა ისეთ სიტყვებს, რაც ზუსტად გამოხატავდა მათ მნიშვნელობას. ამ მხრივ ის ისევე არ მორცხვობდა, როგორც ვოლტერი.

„მწვანე ყუთში“ დაბრუნებისას ურსუსმა თავისი დაგვიანების მიზეზი ნიკლსს არ უთხრა: ქუჩაში ვიღაც ლამაზ ქალს გადავეყარეო, თავისი ავბედითი თავგადასავლის შესახებ არც ერთი სიტყვა არ წამოსცდენია.

მხოლოდ საღამოთი ჰომოს ყურში წასჩურჩულა:

— იცოდე, მე გამარჯვებულმა გამოვაღწიე სამთავიან ძაღლს, ცერბერსაო.

VII

რა მიზეზებით ჩაერევა ოძროს ფული სპილენძის ფულებში?

მოულოდნელი რამ მოხდა.

ტედკასტერის სასტუმრო სულ უფრო სიცილ-ხარხარის კერად იქცა. ვერსად შეხვდებოდით უფრო მეტ მხიარულებასა და ხორხოცს. სასტუმროს პატრონი და მისი მსახური წელში წყდებოდნენ ამდენი საქმიანობით. ველარ ასწრებდნენ მოზღვავებული მუშტრებისათვის ელი, სტაუტი და პორტერი დაესხათ. საღამოობით დაბალ დარბაზში ყველა ფანჯარა განათებული იყო და არც ერთი მაგიდა აღარ რჩებოდა თავისუფალი. მღეროდნენ, ყაყანებდნენ. ძველებური, რკინისმოჯირიანი ბუხარი, ქვანახშირის გროვით გამოვსებული, ცეცხლის ალს გაეჩაღებინა. სამიკიტნო ცეცხლისა და ხმაურობის შემცველი არე გეგონებოდათ.

ეზოში, ესე იგი თეატრში, უფრო შემჭიდროებული ბრბო მოჩანდა.

მთელი გარეუბნის ხალხი, საუთვორქის მთელი მოსახლეობა ერთბაშად აწყდებოდა „დამარცხებულ ქაოსს“ ისე, რომ ფარდის ერთბაშად აწევისას, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, როდესაც „მწვანე ყუთის“ გადმოსაშვებ-ასაწევ კედელს ძირს დაუშვებდნენ, ყველა ადგილი უკვე დაკავებული იყო. ფანჯრებიცა და აივანიც მთლად გა-

ვსებულიყო. ფილაქნით მოგებულ ეზოში არც ერთი ფილა აღარ ჩანდა. აუარებელ მაყურებელს ყოველი კუთხე-კუნჭული დაეკავებინა.

მხოლოდ წარჩინებულთათვის მოწყობილი ლოჟა წინანდებურად ცარიელი იყო.

ამის გამო, აივნის შიგ შუაგულში შავი ღრუ მოჩანდა; ამას აქტიორული, ხატოვანი ენით, „ჩასავარდნი“ ეწოდება.

და აჰა, ერთ საღამოს იქ ვიღაც გამოჩნდა.

ეს მოხდა შაბათს, ამ დღეს ინგლისელები გართობას ეწაფებიან, რათა მეორე დღის, კვირა დღის მოწყენილობა-მყუდროებას წინ გაუსწრონ. მაყურებელთა დარბაზში ნემსი არ ჩაიგდებოდა.

ჩვენ ვამბობთ, „დარბაზშიო“, შექსპირიც თავის წარმოდგენებს დიდხანს სასტუმროს ეზოში მართავდა და ამ ეზოს დარბაზს უწოდებდა.

ფარდა გადაიწია, „დამარცხებული ქაოსის“ პროლოგი დაიწყო, ურსუსი, ჰომო და გუინპლენი სცენაზე გამოჩნდნენ, ურსუსმა ჩვეულებისამებრ თვალი მოავლო ხალხს და გაოცებული დარჩა.

„წარჩინებულთა“ განყოფილება ახლა დაკავებული იყო.

ლოჟაში, შუა ალაგას, უტრეხტის ხავერდგადაკრულ სავარძელში ქალი იჯდა.

მის გვერდით არავინ ჩანდა, მთელი ლოჟა მხოლოდ მას დაეკავებინა.

ზოგიერთი არსებანი ისე ჩანან, თითქოს ნათლის შუქისგან არიან ნაქსოვნიო. ეს ქალი ისე ბრწყინავდა, როგორც დეა, მაგრამ კიდევ სხვა რაღაც აცისკროვნებდა. დეა ფერმკრთალი იყო, ეს ქალი ლოყებღაღაა. დეა ადრიანი განთიადი იყო, ეს ქალი მეწამული აისი. დეა მშვენიერი იყო, ეს ქალი ბრწყინვალე, დეა უბიწო, კდემამოსილი, თეთრი, ალებასტრი; ის ქალი კი ძოწეული; და იგრძნობოდა, რომ გაწითლებისა არ ეშინოდა. მისგან ლოჟას მართლაც განსხვავებული შუქი ეფინებოდა. ხოლო თვითონ ის უძრავად იჯდა, სახეგაბრწყინებული, ვითარცა კერპი.

ჭუჭყიან ბრბოში ისე ელავდა, როგორც ძვირფასი ლალი. თავის ირგვლივ ისეთ შუქს ჰფენდა, რომ დანარჩენს ყოველივეს ბინდი ეფინებოდა. გარშემომყოფთა ჩატეტკილ პირისახეებს მისი შუქით ბნელი ეფინებოდა. მისი საუცხოო გარეგნობა ყველაფერს ჩრდილავდა.

ყველას თვალები მისკენ მიეპყრო.

მაყურებელთა შორის ტომ-ჯიმ-ჯეკიც იყო. ისიც სხვა მაყურებელივით, ბრწყინვალე უცნობი ქალის შარავანდედში იკარგებოდა.

ქალმა თავისკენ მიიზიდა საზოგადოების ყურადღება, ჩამოაცილა იგი სპექტაკლს და რამდენადმე ზიანიც მიაყენა „დამარცხებული ქაოსის“ წარმატებას.

მიუხედავად იმისა, რომ მის ახლოს მჯდომ ხალხს ზმანებად ეჩვენებოდა, იგი ნამდვილი ქალი იყო. იქნებ უფრო მეტად ქალიც; ტანად მაღალი და ხორცსავსე. მხრები და გულმკერდი ისე გაეშიშვლებინა, როგორც წესი და რიგი მოითხოვდა. მომსხო მარგალიტის საყურე უელავდა. ამ საყურის უცნაურ საკიდურებს „ინგლისის გასაღები“ ეწოდა. კაბა ოქრონემსული, სიამის მარმაშისა ეცვა. მეტისმეტი ფუფუნება და ბრწყინვალება ეტყობოდა; ვინაიდან ასეთი კაბა მაშინ სულ ცოტა ექვსასი ეკიუ ღირდა. პერანგის საკინძე დიდი ალმასის ქინძისთავით დაემაგრებინა. იმ დროის მეტად მოურიდებელი მოდის ბრალია, რომ პერანგის ღრმად ამოღებული საყელო ოდნავ უფარავდა გულმკერდს. ეს პერანგი მეტად წმინდა, სიფრიფანა ფრისლანდიური ტილოსგან იყო შეკერილი. ანა ავსტრიელს ასეთი წმინდა ტილოსგან ზეწრებს უკერავდნენ, რომელთა ბეჭედში გაძვრენაც ადვილად ხერხდებოდა. ეს უცნობი ქალი შეჯავშნული გეგონებოდათ, ისე იყო ლალის თვლებით მისი კაბის ზედატანი შემკული. ამ თვლებიდან ზოგი დაუკუთხველიც კი იყო. ქვედაკაბაზეც მრავალი ძვირფასი თვალი უელავდა. წარბები ჩინური სალამითა ჰქონდა შეღებილი, ხოლო ხელის მტევნები, იდაყვები, ნიკაპი, ნესტოები, თვალის კილოები, ყურის ბიბილოები, ხელისგულები, თითების ნუნები ჭიაფრით შეეღება. და ეს უხვი წითელი ფერი ამ ქალს რაღაც ხორციელი სიტკბოებისა და გამომწვევი გარეგნობის ელფერსა სდებდა. მთელ მის გარეგნობაში მხოლოდ ის შეუკავებელი სურვილი ჩანდა, რომ მშვენიერი ყოფილიყო; იგი მართლაც საშინელებამდე მშვენიერი იყო. ის იყო ავაზა, რომელსაც შეეძლო თავი მოლაციცე კატასავით მოეჩვენებინა. ცალი თვალი მას ცისფერი ჰქონდა, მეორე შავი.

გუინპლენიც და ურსუსიც ამ ქალს უყურებდნენ.

„მწვანე ყუთი“ რამდენადმე მაინც ფანტასტიკურ სანახაობას წარმოადგენდა. „დამარცხებული ქაოსი“ უფრო სიზმარეულ მოლანდებას მოგაგონებდათ, ვიდრე თეატრალურ პიესას.

ურსუსი და გუინპლენი უკვე შეეჩვივნენ იმას, რომ მაყურებლისათვის ისინი სანახაობას წარმოადგენდნენ, ახლა კი მოჩვენება თვითონ მათ გამოეცხადა. მსახიობებს დაუდგათ ჯერი, რომ რაღაც შიშის მსგავსი განეცადათ. ისინი, რომლებიც სხვებს აჯადოებდნენ, ახლა თვითონვე მოჯადოებულიყვნენ.

ისინი თვალს არ აცილებდნენ ერთმანეთს. იმ მანძილის წყალობით, რომელიც იმ ქალს აშორებდა, და იმ ნახევრად სიბნელის გამო, „თეატრის დარბაზში" რომ სუფევდა, ურსუსსა და გუინპლენისათვის იმ ქალის ნაკვთები ნათელ-ბურუსში განზავებული ჩანდა. ქალი მათ ჰალუცინაციად ეჩვენებოდა. ის, რა თქმა უნდა, ქალი იყო, მაგრამ იქნება მოეჩვენათ? მათ ირგვლივ გამეფებულ სიბნელეში ამ სინათლის შემოჭრამ ორივე გააოცა. ის ქალი უფრო უცნობი პლანეტის გამოჩენას ჰგავდა, ნეტარი ქვეყნიდან შემოფრენილს. ეს ქალი მისი ელვარების წყალობით უფრო დიდი მოჩანდა. ისე ციმციმებდა, როგორც ირმის ნახტომი ცაზე. ტანზე ძვირფასი თვლები ვარსკვლავებივით უბრწყინავდა. ალმასის ქინძისთავი თითქოს ერთ-ერთი პლეადათაგანი იყო. ქალის გულმკერდის შესანიშნავი მოყვანილობა ზეშთაბუნებრივად მოჩანდა. ამ არამიწიერი არსების მხოლოდ გარეგნობა იწვევდა მარადიული ნეტარების ქვეყნებთან წამიერი ამაზრზენი სიახლოვის შეგრძნებას. ეს განუსჯელად ნათელი სახე რომელიღაც სამოთხისებური სიმაღლიდან გადმოსცქეროდა უბადრუკ „მწვანე ყუთს" და მის საცოდავ მაყურებლებს. ამ ციური არსების სახეზე აღბეჭდილიყო ცნობისმოყვარეობა იმისადმი, რასაც ხედავდა. იმავე დროს ბრბოსაც ცნობისმოყვარე მოწყალე თვალით უყურებდა. მთათა მწვერვალებიდან ძირს ჩამოსული მიწიერ ქმნილებებს ნებას აძლევდა მისთვის ეცქირათ.

ურსუსი, გუინპლენი, ვენუსი, ფები, ხალხი — ყველა ჟრუანტელმა აიტანა, ისე მოსჭრა თვალი ამ ბრწყინვალებამ; მხოლოდ სამარადისო ღამეში მყოფი დეა ვერაფერს მიხვედრილიყო.

ის ქალი მოლანდება ეგონათ, თუმცა მის გარეგნობაში არაფერი იყო ლანდის მსგავსი; მის არსებაში იდუმალი არა იყო რა, თითქმის არც პაეროვანი; ეს იყო ვარდისფერი არსება, ნორჩი, გაფურჩქნილი, ჯანსაღი, მაგრამ მაინც, ურსუსსა და გუინპლენს იგი რაღაც არარეალური ეჩვენებოდათ. ხომ არიან მოჩვენებები ხორცშესხმულნი, რომელთაც ვამპირებს, მაჩქათელებს უწოდებენ. რომელიმე

შვენიერი დედოფალი, რომელიც ხალხისთვის მხოლოდ მოჩვენებაა, გაღატაკებულ ხალხს სისხლსა სწოვს და წელიწადში ოცდაათ მილიონს სანსლავს. ისიც ამ ქალივით ჯანითა და სისხლითაა სავსე.

ამ ქალის უკან, ნახევრად ბნელში მისი EL MOZO * იდგა. პატარა კაცი იყო, სახეც ბავშვური ჰქონდა, გაფითრებული, მიმზიდველი ფერისა და შშვიდი, წყნარი გამომეტყველების. იმხანად მოდაში იყო ყმაწვილი, სულ ყრმა მსახურები და ამასთანავე დინჯიც. მსახურს თავიდან ფეხებამდე ალისფერ-წითელი ხავერდის ტანისამოსი ეცვა. მისი ბუზმენტშემოვლებული ქუდი მთიულას ბუმბულით იყო შემკული; ეს იყო განმასხვავებელი ნიშანი დიდებულთა შინამსახურებისა, აგრეთვე ადასტურებდა მისი ქალბატონის მაღალკეთილშობილურ მდგომარეობას.

ლაქია განუყრელი მხლებელია ბატონისა, ამიტომ ქალბატონის ჩრდილთანვე ამ შლეიფის ამწევ პაჟსაც შეამჩნევდით. ჩვენი მეხსიერება ხშირად ბევრ რამეს ინახავს, რაც ჩვენ არცა გვგონია. გუინპლენი რას იფიქრებდა, რომ გამობუშტული, დინჯი სახე და ბუზმენტებშემოვლებული, ბუმბულებიანი ქუდი პატარა პაჟისა, მის მეხსიერებაში ჩაიბეჭდებოდა. თუმცა გრუმი სულაც არ ცდილა თავისკენ მიეზიდა ვისიმე შემოხედვა: მსახურმა ყურადღება არ უნდა მიიპყროს, ეს უზრდელობას ნიშნავდა. გრუმი მშვიდად იდგა ლოჟის სიღრმეში, კარის ახლოს, რაც შეიძლებოდა შორს თავისი ქალბატონისგან.

მიუხედავად იმისა, რომ მისი MUCHACHO,* შლეიფის ამწევი იქვე იდგა, ქალი მარტო გეგონებოდათ თავის ლოჟაში. მსახურები აბა რა სათვალავში ჩასაგდებნი არიან!

ამ პიროვნებისგან გამოწვეული შთაბეჭდილება, მართლაც რომ, დიდად შესამჩნევი იყო, რადგან ისე გეჩვენებოდათ, თითქოს იგიც მონაწილეაო ამ პიესისა, მაგრამ „დამარცხებული ქაოსის“ დაბოლოებამ უფრო მეტად შეაძრწუნა მაყურებლები.

ეფექტი, როგორც ყოველთვის ახლაც შეუდარებელი იყო; შესაძლოა იმის წყალობით, რომ დარბაზში ბრწყინვალე მაყურებელიცა ბრძანდებოდა (მაყურებელი ხომ ხანდახან სპექტაკლის მონაწილეც ხდება). საზოგადოება განსაკუთრებით იყო აფორიაქებული. ის სიცილი ამ საღამოს უფრო გადამდები ჩანდა, ვიდრე სხვა დროს.

ყველა აქ მყოფთ დიდი სიმხიარულისა და სიცილისაგან არაქათი უწყდებოდათ. ამ ხმებში ტომ-ჯიმ-ჯეკის შეუკავებელი ხარხარი განსაკუთრებით მკვეთრად ისმოდა.

არ იცინოდა მხოლოდ ის უცნობი ქალი, იჯდა გაუნძრევლად, როგორც ქანდაკება და როგორც მოჩვენება ყოველივეს ისე უცქეროდა. მაგრამ ეს მოჩვენება ისეთი ნათელი იყო, როგორც სპექტრი შხისა.

წარმოდგენის დასრულების მერე, როდესაც ფურგონის კედელი ასწიეს და „მწვანე ყუთის" მცხოვრებნი ჩვეულებრივ შეიკრიბნენ, ურსუსმა უკვე სავახშმოდ გაშლილ მაგიდაზე წამოყარა სპექტაკლის მთელი შემოსავალი. სპილენძის მონეტებში ესპანური ოქროს უნციაც აბზრიალდა.

— ეს იმ ქალმა გადაიხადა! — შესძახა ურსუსმა.

დაჟანგულ სპილენძის გროშებში ოქროს უნცია მართლაც ისე ბზინავდა, როგორც ის ქალი გახუნებულ მდაბიოთა ბრბოში.

— იმ ქალმა თავის ლოჟაში კვადრუპლი გადაიხადა, — განაგრძობდა აღტაცებული ურსუსი.

ამწუთას „მწვანე ყუთში" სასტუმროს პატრონი შემოვიდა, მან ფურგონის უკანა ფანჯრის პატარა სარკმელი გამოაღო, და რადგან აქედან, როგორც ზევითა ვთქვით, მთელი მოედანი მოჩანდა, უსიტყვოდ დაუქნია ხელი ურსუსსა და ანიშნა, მოდი, გადაიხედეო. დუქნის წინა ეზოდან საჩქაროდ გაგოგმანდა მდიდრულად შემკული დახურული ეტლი, კოფოზე ლაქიები ისხდნენ, რომელთაც ბუმბულებით მოკაზმული ქუდები ეხურათ და ანთებული ჩირაღდნებით გზას ანათებდნენ.

ურსუსს მოწიწებით ცერი და საჩვენებელი თითი წაევლო კვადრუპლისთვის, ნიკლსს უჩვენებდა და ეუბნებოდა:

— ეს იმ ღმერთქალს დაუტოვებია.

მერე ურსუსმა დახურულ ეტლს გახედა, რომელიც ამ დროს მისახვევს უნდა მიფარებოდა. მან ჩირაღდნების შუქზე გაარჩია ეტლის სახურავზე რვაწახნაგოვანი გვირგვინი.

ურსუსმა შესძახა:

— არა, არამცთუ ქალღმერთი, ჰერცოგის ასული ყოფილა!

დახურული ეტლი თვალს მიეფარა. ეტლის თვლების რახრახი დიდხანს ისმოდა.

რამდენიმე წუთს ურსუსი გაუნძრევლად იდგა და ხელი, რო-

მელშიც კეადრუპლი ეჭირა, აღტაცებით აღეპყრო მაღლა, თითქოს სანაწილე ფეშხუმი უჭირავსო. სწორედ ასევე აღაპყრობენ ეკლესიაში მღვდელმსახურნი ხელს, რომელშიც ფეშხუმის წმინდა ნაწილები უპყრიათ.

შემდეგ მონეტა მაგიდაზე დადო, მაგრამ მისთვის თვალი არ მოუშორებია და თან იმ „ქალბატონზე“ დაიწყო ლაპარაკი. სასტუმროს პატრონი შეკითხვებზე პასუხობდა. დიახ, ის ქალბატონი ჰერცოგის ასულია; მისი ტიტული ცნობილია. მისი სახელი? სახელი არავინ იცის; მაგრამ ნიკლსმა ახლოდან ნახა გერბიანი ეტლი და ოქრომკედმოვლებული ლივრეებიანი ლაქიები. მეეტლეს სწორედ ისეთივე პარიკი უკეთია, როგორიც ლორდ-კანცლერსო, ამბობდა ნიკლსი. დახურული ეტლი სანახავად იშვიათი და შესანიშნავად შემკული იყო, სახურავზე გერბით; ასეთ ეტლს ესპანეთში ეტლ-აკლდამას უწოდებენ. გრუმი იმდენად პატარა იყო, რომ თავისუფლად თავსდებოდა ეტლის საფეხურზე. ეს ლამაზი ყმაწვილები ჩვეულებრივ წარჩინებულ ბანოვანთა კაბის ბოლოს — შლეიფის დამჭერნი არიან. ხანდახან მათვე ანდობენ ხოლმე სასიყვარულო ეპისტოლეების გადაცემას. მის ქუდზე თუკი ვინმემ მთიულას ბუმბულების კონა შენიშნა, აჰა, ეს უკვე უდავო ნიშანია მისი ქალბატონის წარჩინებულობისა.

ვისაც უფლება არა აქვს, მაგრამ მაინც თავისი მსახურის ქუდს ასეთი ბუმბულებით შეამკობს, ყველას ჯარიმას ახდევინებენ. ნიკლსმა თვითონ ის ბანოვანიც ახლოდან ნახა. ნამდვილი დედოფალია. ასეთმა მდიდრულმა ჩაცმულობამ შეუძლებელია არ დააშშვენოს ადამიანი. მისი კანიც თეთრად ქათქათებს და გამომეტყველებაც ამაყი აქვს, სიარულიც კეთილშობილური, მოძრაობაც რწმენით სავსე. არაფერი შეედრება მუდმივად უსაქმური ხელების ესოდენ ზვიად მოხდენილობას. ნიკლსი ლაპარაკობდა ამ ბანოვანის ცისფერძარღვებიან, შესანიშნავ ტანზე, ყელ-კისერზე, მხრებზე; აღწერდა მის ჭიაფრით შელამაზებულ სახის ნაკვთებსა და მარგალიტის საყურეებს.

ლაპარაკობდა მის ოქროს ფხვნილით დაფრქვეულ ნაწნავებზე, აურაცხელ ძვირფას თვლებზე, ლალებსა და ალმასებზე.

— იმ ძვირფას თვლებზე მეტად მისი თვალები ელავდნენ, — წაიდუდუნა ურსუსმა.

გუინპლენი დუმდა.

დეა ყურს უგდებდა.

— იცით უფრო მეტად რა მაოცებს? — წარმოთქვა მიკიტანმა.

— რა? — შეეკითხა ურსუსი.

— მე დავინახე, ის ბანოვანი ეტლში რომ ჯდებოდა.

— მერე, რა გინდა მაგითი თქვა?

— ის მარტო არ ჩამჯდარა ეტლში.

— როგორ?

— მასთან კიდევ ერთი კაცი ჩაჯდა.

— ვინ კაცი?

— აბა, გამოიცანით, ვინ იქნებოდა.

— მეფე? — წარმოთქვა ურსუსმა.

ნიკლსმა შენიშნა:

— ჯერ ერთი, ჩვენ ახლა მეფე არა გვყავს; ჩვენს ქვეყანას დედოფალი მართავს. აბა, გამოიცანით, ვინ ჩაუჯდებოდა დახურულ ეტლში. ჰერცოგის ასულს?

— იუპიტერი? — იკითხა ურსუსმა.

სამიკიტნოს პატრონმა უპასუხა:

— ტომ-ჯიმ-ჯეკი!

გუინპლენს აქამდე ხმა არ ამოუღია, ახლა კი უცბად წამოიძახა:

— ტომ-ჯიმ-ჯეკი?

ყველანი დადუმდნენ განცვიფრებულნი და უცბად დეას წყნარი ხმა მოისმა:

— არ შეიძლება, რომ ის ქალბატონი აქ არ შემოუშვათ?

VIII

მოწამვლის ნიშნები

ეს „მოჩვენება“ მეტად აღარავის უნახავს.

იგი ლოჟაში აღარ გამოჩენილა, მაგრამ გუინპლენს თვალწინ ედგა მუდამ.

გუინპლენი ახლა რამდენადმე მაინც შეძრწუნებული იყო.

ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს ქალი თავის სიცოცხლეში ახლა პირველად დაინახაო.

უცბადვე გაიტაცა იგი ამ არაჩვეულებრივმა ზმანებამ და თითქოს ნახევრად უკვე ცოდვაც ჩაიდინა. ჩვენ თავს უნდა ვიცავდეთ, ვიშორებდეთ ისეთ ზმანებებს, რომელნიც ჩვენდა უნებურად გვეუფლება. ოცნება რაღაც იდუმალებითა და უჩინარი არომატით გვიზიდავს. ოცნება ისე დათენთავს ადამიანს, როგორც შხამიანი ტუბეროზის არომატი და ფიქრშიც ისე შეაღწევს, როგორც მწუთხი. ზმანებებით ისევე შეიძლება მოიწამლოს ადამიანი, როგორც ყვავილებით. ოცნება ტკბილად წარმტაცი თვითმკვლელობაა, ალმაფრთოვანებელი და თან საშინელი.

ცუდი ფიქრები სულის დამლუპველია. ამ ცუდ ფიქრებშია სწორედ საწამლავი. ოცნება გაჯადოებთ, წაგიტყუებთ, თაყის ბადეში გაგხვევთ, შემდეგ თაყის თანაშზრახველად გაგხდით. ჯერ გაგაბრუებთ და მერე უშართებულობას ჩაგადენინებთ. ზმანების შესახებ შეიძლება ითქვას იგივე, რაც აზარტულ თამაშზე. ჯერ ადამიანი თალლითობის მსხვერპლი ხდება და ბოლოს თვითონვე ამთავრებს თალლითობით.

გუინპლენი ოცნებამ გაიტაცა.

მას აქამდე ქალი არც ენახა.

მას მდაბიო დედაკაცის სახით ოდენ აჩრდილი ენახა ქალისა. დეას სახით კი ქალის სულს ხედავდა მხოლოდ.

ახლა კი გუინპლენმა ნამდვილი ქალი იხილა.

გუინპლენმა დაინახა ქალის თბილი და სათუთი კანი, სადაც ძარღვებში მგზნებარე სისხლი ჩქეფდა. გამოთლილი მარმარილოსი და ტალღების სრიალა ხვეულების მსგავსი, მომხიბლავი სხეულის ნაკვთები; გორობი და უგრძნობი პირისახე, ერთსა და იმავე დროს გამომწვევიცა და უკარებაც. პირისახე თვალისმომჭრელი, შშვენიერი ნაკვთებით. თმა თითქოს ხანძრის ანარეკლით გაცისკროვნებული. მორთულ-მოკაზმულობის ისეთი მოხდენილობა, რაც ენებით დატკბობის თრთოლას აღვიძებს. ნახევრად შიშველი, ამპარტავნული ჟინი იმისა, რომ მოხიბლულ ადამიანებში ენება აღაგზნოს, მაგრამ მხოლოდ შორიდან თვალწარმტაცი სიკეკლუცე, წარმტაცი მიუკარებლობა, ცდუნება, რომელსაც თან დაღუპვის წინათგრძნობა ხდევს: გრძნობისთვის წარმტაცი და გონებისთვის წარმწყმედი. აფორიაქების რთული გრძნობა, რაც წარმოშობილია ენებიანი გუ-

ლისთქმისა და შიშისგან. გუინპლენმა ყოველივე ეს დაინახა. მან ქალი იხილა.

მან დაინახა რაღაც მეტი და რაღაც ნაკლებიც, ვიდრე ქალი. მან განსხვავებულ ავხორცობას ჰკიდა თვალი.

და, ამასთანავე, ოლიმპიური არსება.

ხორციელი სიყვარულის ხატებაც და ზეციური არსების მსგავსი სილამაზეც.

გუინპლენს თვალწინ დაესახა სქესის საიდუმლოება.

ისიც სად? მისაწვდომ საზღვრებს მიღმა.

დაუსრულებელი სივრცით მისგან დაშორებული.

როგორი უკუღმართობაა ბედისა! ციური არსი, სული მის ხელთ იყო, მისი იყო, ეს იყო დეა. ხოლო მიწიერი არსი, სქესი მან დაინახა სადღაც, ცის ტატნობზე. ეს კიდევ ის ბანოვანი იყო.

ჰერცოგის ასული!

„ღმერთქალზე მეტია“, ასე თქვა მასზე ურსუსმა.

რა მწვერვალია!

თვით ოცნებაშიც კი შეგზარავდათ ასეთ ციცაბომდე აღწევა.

ნუთუ იგი იმდენად უგუნურია, რომ იმ უცნობ ბანოვანზე იფიქროს? გუინპლენი თავის ვნებათაღელვას ებრძოდა.

გუინპლენს ახსენდებოდა ყოველივე, რასაც კი ურსუსი უამბობდა ამ მაღალი წრის, თითქმის მეფური სისხლის ბანოვანთა შესახებ. ფილოსოფოსის ლაქლაქს, აქამდე რომ ყურადღების ღირსად არ მიაჩნდა, ახლა ფიქრიდან ვერ იშორებდა. ჩვენს მეხსიერებას ხშირად დავიწყების სულ სიფრიფანა აპკი აქვს ხოლმე წაფარებული, რომელიც საჭირო წუთში ჩვენთვის ხილული ხდება. გუინპლენი ცდილობდა თვალწინ წარმოედგინა მაღალი საზოგადოება; წარჩინებულთა ის სამყარო, რომელსაც ახლახან ნანახი, უცნობი ბანოვანი ეკუთვნოდა, და რომელიც ასე მაღლა იდგა მდაბიოთა სამყაროზე, იმ მდაბიო ადამიანებზე მაღლა, რომელთაც გუინპლენი ეკუთვნოდა. მაგრამ ეკუთვნოდა კი იგი ამ ხალხს? იქნებ ის ქილიკი და მასხარა იმათზე უფრო მდაბიოა, რომელნიც სულ მეტად მდაბიონი არიან. გუინპლენი ხომ წინათაც ეძლეოდა ფიქრებსა და აზრთა დენას, მაგრამ ამ წუთში თავისი დამცირებული მდგომარეობის გამო პირველად იგრძნო გულის ქენჯნა, იმის გამო, რასაც ჩვენ ახლა საკუთარ უბადრუკობას ვუწოდებდით. გუინპლენის მეხსიე-

რებაში იღვიძებდა ურსუსის მიერ ნაამბობი, მისი აღფრთოვანებული, ლირიკული აღწერა ციხე-დარბაზებისა, წალკოტებისა, შადრევნებისა და კოლონადებისა. ახსენდებოდა ურსუსის დაწვრილებითი მონათხრობი წარჩინებულთა სიმდიდრესა და მძლეთამძლეობაზე. გუინპლენის მეხსიერებაში იღვიძებდა ყველა ეს სურათი: სინამდვილე და ფანტაზია ერთმანეთს ერწყმოდა. გუინპლენი მთლად შეეპყრო ამ ციური სიმაღლეების ოცნებით ჭვრეტას. მას ქიმერად მიაჩნდა, თუ შეიძლებოდა რომ ადამიანი ლორდი ყოფილიყო. თუმცა ასეთი ადამიანები არსებობდნენ. დაუჯერებელია, სწორედ, დაუჯერებელი! ნუთუ ქვეყნად ლორდები არიან! არა! გუინპლენი გრძნობდა, რომ ღრმა წყვდიადში იმყოფებოდა, ყოველმხრივ შემოზღუდული იყო კედლით, და თითქოს ჭის სიღრმეში მდგომი, თავის თავს პირდაპირ ზემოდან დასცქეროდა. იგი იქ ზენიტში ხედავდა თვალისმომჭრელ ქაოსს, ლაჟვარდის, სინათლისა და მოჩვენების ერთად შერწყმას, და ის იყო ოლიმპიელთა სამყარო; ამ სხივოსანი ქვეყნის შუაგულში ელვარებდა ჰერცოგის ასული.

გუინპლენი რალაც უცნაურ მიზიდულობას განიცდიდა ამ ბანოვანისადმი და ამასთანავე გრძნობდა, რომ იგი სავსებით მიუწვდომელი იყო.

იგი ისევ და ისევ სრულ შეუსაბამობას უბრუნდებოდა. სული თავის სიახლოვეს ეგრძნო, თავის გვერდით, ყოველ ნაბიჯზე ახლოს შეხებოდა მას; ხოლო ხორციელი მარტო იდეალურ სფეროში, მიუწვდომელ არეში ეხილა.

ამ ფიქრებიდან არც ერთი მის თავში ნათლად არ ლაგდებოდა. იგი რალაც ბურუსში იმყოფებოდა, სადაც ყოველივე მერყევი იყო, ყველაფერი ყოველ წუთს იცვლიდა სახეს. ასეთი მდგომარეობა სულის ღრმა მწუხრს უდრიდა.

სხვათა შორის, მას არც ერთხელ აზრად არ მოსვლია ჰერცოგის ასულთან მიახლოება. საბედნიეროდ, ოცნებითაც კი თავის თავს ნებას არ აძლევდა ასწვდენოდა იმ მწვერვალს.

ამ კიბის საფეხურზე ერთხელ ფეხის შედგმაც საკმარისია, რომ მისმა ზანზარმა ჭკუა შეგირყიოს. გგონია, რომ ოლიმპზე ადიხარ, მაგრამ ბედლამში* ხვდები. აშკარა გულისთქმა გუინპლენს თავზარს დასცემდა, მაგრამ არაფერს ამის მსგავსს ის არ განიცდიდა.

ამასთანავე, განა კიდევ ოდესმე ნახავს იგი იმ ბანოვანს! ცხადია,

რომ აღარასოდეს. ჰორიზონტზე ამობრიალებული ცისკარი შეგიყვარდეს? ასეთ უგუნურობას არავინ ჩაიდენს. ნამდვილმა ვარსკვლავმა გაგიტაცოს, ეს კიდევ გასაგებია, რადგან მას არაერთხელ დაინახავ, ის ვარსკვლავი კიდევ გამოჩნდება ცაზე იმავე ადგილას, მაგრამ განა შეიძლება ვნებით აღეგზნო წამიერად გამომკრთალ ელვის მიმართ?

გუინპლენის გონებაში ერთ ოცნებას მეორე სცვლიდა. ლოტის სიღრმეში ქანდაკებასავით დიდებულად დაბრძანებული, მდიდრულად მოკაზმული ქალის სახე მკაფიოდ იხატებოდა მის ბუნდოვან ზმანებებს შორის, შემდეგ ისევ იკარგებოდა. გუინპლენი ხან ფიქრობდა მასზე, ხან ივიწყებდა, სხვა რამისკენ მიიმართებოდა მისი ყურადღება; კვლავ ახლად უბრუნდებოდა იმავე ფიქრებს. ეს ფიქრები თითქოს ნანასავითაც ჩაესმოდა მას, მაგრამ მშვიდ ძილს უფრთხობდა.

რამდენიმე ღამე ძილი წაართვა ამ ზმანებამ. ადამიანს უძილობაშიც, ისევე როგორც ძილში, მრავალნაირი სიზმარ-ლანდი ეჩვენება.

თითქმის არავითარი შესაძლებლობა არ არის სიტყვიერად გამოიხატოს ის ბუნდოვანი პროცესები, რაც თავში ხდება. სიტყვების უხერხულობა სწორედ იმაში გამოიხატება, რომ მკვეთრად არიან გამონაკვეთნი, ვიდრე ფიქრები. რაკი ფიქრებს იმდენად გამოკვეთილი კონტურები არ გააჩნიათ, ამიტომ ხშირად ერთმანეთს ერწყმიან. სიტყვები სულ სხვა საქმეა. ამის გამო ჩვენი სულის ბუნდოვანი მოძრაობა სიტყვიერად არ გამოითქმის. სიტყვას საზღვრები გააჩნია, ფიქრი კი უსაზღვროა.

ჩვენი შინაგანი სამყარო იმდენად საიდუმლო სივრცისაა, რომ გუინპლენი ვერც კი უკავშირებდა ურთიერთს დეაზე ფიქრსა და ყოველივე იმას, რაც მის სულსა და გულში ხდებოდა. დეა მისი ფიქრების ისევე შუა ბირთვად რჩებოდა და ის ერთი იყო რაღაც წმიდათაწმიდა, რომელსაც ვერარა შეეხებოდა.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ასეთი წინააღმდეგობანი ადამიანებს ახასიათებთ. გუინპლენი შინაგან რყევას განიცდიდა. ხვდებოდა კი ამას? მეტად ბუნდოვნად.

გულის ყველაზე უფრო მეტად მტკივნეულ კუნჭულში, სულის სიღრმეში, სადაც კი შესაძლოა ყველა ადამიანს ნაპრალი აღმოაჩნდეს, გუინპლენი ორი მოწინააღმდეგე სურვილის ურთიერთდამთხ-

ვეცას გრძნობდა. ურსუსისთვის ყველა ეს განცდა ნათელი იქნებოდა; ხოლო გუინპლენი ყოველივე ამაში ძნელად ერკვეოდა.

ორი ინსტინქტი იბრძოდა მასში: მიზიდულობა იდეალისადმი და მიზიდულობა ქალისადმი. ხშირად არის ხოლმე, რომ უფსკრულზე გადებულ ხიდზე მსგავსი ორთაბრძოლა იმართება თეთრ ანგელოზსა და შავ ანგელოზს შორის.

სულ ბოლოს მაინც შავი ანგელოზი გადაიჩეხა უფსკრულში.

როგორღაც მოხდა, რომ გუინპლენმა უცბად მიატოვა ფიქრი უცხო ბანოვანზე.

ორი საწყისის ბრძოლა, გუინპლენის არსის ციურობასა და მიწიერებას შორის პირისპირ შეხვედრა მისი სულის საიდუმლო ხვეულებში მოხდა, სულის ისეთ სიღრმეში, რომ მის შემეცნებამდე ვერარ მიაღწია.

მხოლოდ ერთი რამ იყო ეჭვმიუტანელი: გუინპლენის გულსა და გრძნობას არც ერთი წუთით არ განშორებია დეასადმი ტრფიალი.

მას ეჩვენებოდა, თითქოს დიდი ხნით ადრე განიცადა რაღაც აფორიაქება, სისხლი აუჩქროლდა, მაგრამ ახლა ყოველივე ამას ბოლო მოელო. დარჩა მხოლოდ დეა.

გუინპლენს ძალიან გაუკვირდებოდა, მისთვის რომ ეთქვათ, დეა ერთი წუთით მაინც ხიფათში ჩავარდაო.

ის მოჩვენება, რომელიც ამ ორ არსებას თითქოს ხიფათს უქადდა, ერთი, ორი კვირის მერე გაუჩინარდა.

გუინპლენის გული მხოლოდ დეას სიყვარულით ენთო.

ამასთანავე, როგორც ჩვენ უკვე ვთქვით, ჰერცოგის ასული მეტად აღარ გამოჩენილა.

ურსუსმა ეს მოვლენა ჩვეულებრივად მიიჩნია. „კვადრუპლის მჭონე ბანოვანი“ არაჩვეულებრივი მოვლენაა. ასეთი არსება ერთხელ მოვა, ადგილის საფასურად ოქროს ფულს გადაიხდის და მერე უკვალოდ გაქრება. ცხოვრება მეტისმეტად სააშური იქნებოდა, ეს რომ ხშირად ხდებოდეს.

რაც შეეხება დეას, მას აღარც გახსენებია ის ქალი, რომელიც წარსულს ჩაჰბარდა. დეა, როგორც ჩანს, ყურს უგდებდა ლაპარაკს; ესმოდა ურსუსის ოხვრა და დროდადრო მისგანვე წამოსროლილი მრავალმნიშვნელოვანი წამოძახილები „ყოველდღე ხომ ოქროს უნციებს არ მივიღებთო!“. ამგვარმა სიტყვებმა დეას ბუნდოვანი

შიში აღუძრა. თვითონ ის არასოდეს ხმას არ იღებდა ამ უცნობ ქალზე. აქედანაც მოჩანდა მისი ღრმა ინსტინქტი. ზოგჯერ სული ანგარიშმიუცემლად მიმართავს წინასწარ გამაფრთხილებელ ზომებს, იმის წინააღმდეგ, რის საიდუმლოება მისთვის ხშირად ნათელი არც არის ხოლმე. როდესაც ხმას არ იღებ ვინმეზე, გგონია, რომ ამით მას თავიდან იცილებ. მასზე გამოკითხვაც არ გინდა, შიშობ, ამით არ მოიახლოვო იგი. დუმილით ისევე შეიძლება თავი დაიცვა, როგორც კარის მიკეტვით დაიცავდი.

და ის მოვლენაც დავიწყებას მისცეს.

განა უნდა მიეცათ კი იმისთვის რაიმე მნიშვნელობა? განა სინამდვილეში კი მოხდა იგი? შეიძლებოდა თქმულიყო, რომ გუინპლენსა და დეას შორის რაღაც ჩრდილი გასხლტა? დეამ არა იცოდა რა ამის შესახებ; ხოლო გუინპლენმა უკვე დაივიწყა. არა, არაფერი მოშხდარა. თვით ხატება ჰერცოგის ასულისა შორს გაიფანტა. თითქოს მხოლოდ მოელანდათო. გუინპლენი მხოლოდ წუთიერ ოცნებებს მიეცა და ახლა უკვე გამოერკვა ზმანებიდან. გამქრალ-გაბნეული ოცნებები არავითარ კვალს არა ტოვებდა, ისევე როგორც, გაბნეული ბურუსი. ჰოდა, მას მერე, როდესაც ცა ღრუბელს გადაეყრის, სიყვარული გულში ისევე, როგორც შხე ცაზე, არავითარ ზიანს არ განიცდის.

IX

ABYSSUS ABYSSUM VOCAT*

მეორე პიროვნებაც გაქრა. ტომ-ჯიმ-ჯეკმაც უცბად შეწყვიტა ტეტკასტერის სასტუმროში სიარული.

ის ადამიანები, რომელთაც საზოგადოებრივი მდგომარეობა საშუალებას აძლევდა დაენახათ ლონდონის მაღალი წრის წარჩინებული ცხოვრების ორივე მხარე, ალბათ შეამჩნევდნენ, რომ სამრეველოს მეტრიკული წიგნების ორ ამონაწერს შორის „ყოველკვირეულ გაზეთში“ დაიბეჭდა განცხადება მისი უდიდებულესობის დედოფლის ბრძანებისამებრ, „ლორდ დეიდ დერი-მოირის ხელახლა გაწვევის“ შესახებ. ამ უკანასკნელს კვლავ უნდა მიელო

უფროსობა იმ ფრეგატისა, რომელიც „თეთრი ესკადრის“ შემადგენლობაში დაცურავდა ჰოლანდიის ნაპირებთან.

ურსუსმა შეამჩნია, რომ ტომ-ჯიმ-ჯეკი უკვე აღარ მოდიოდა „მწვანე ყუთის“ წარმოდგენებზე. ამ გარემოებამ ძალიან შეაფიქრიანა იგი; რაც ტომ-ჯიმ-ჯეკი კვადრუპლის გადამხდელ ბანოვანთან ერთად ეტლით წავიდა, იმ დღიდან აღარ გამოჩენილა. ალბათ, ის ტომ-ჯიმ-ჯეკი, ჰერცოგის ასულების გამტაცებელი, ვინმე გამოუცნობი პირია! რა საინტერესო იქნებოდა ასეთი ამბის გამოკვლევა! რამდენი კითხვა წარმოიშვა ამ ამბის ირგვლივ! რამდენი სხვადასხვა აზრისა და შენიშვნის გამოთქმა შეიძლებოდა ამაზე! სწორედ ამიტომ ურსუსს არც ერთი სიტყვა არ წამოსცდენია.

ურსუსს იმდენი თავგადასავალი გადახდენოდა თავის სიცოცხლეში, რომ კარგად იცოდა, რა სახიფათო იყო ასეთი უტიფარი ცნობისმოყვარეობა. ცნობისმოყვარეობა ყოველთვის უნდა ეთანხმებოდეს ცნობისმოყვარეს. მალულად ყურისგდებისათვის შეიძლება ყურები დაგაჭრან. მალულად თვალის დევნებისათვის შეიძლება თვალები გამოგთხარონ. ყველაზე ჭკვიანურია არც არაფერი გაიგონო და არც არაფერი დაინახო. ტომ-ჯიმ-ჯეკი თავადის ეტლში ჩაჯდა. სასტუმროს პატრონმა დაინახა, როცა ის ჯდებოდა. მატროსი რომ ლედის მიუჯდა გვერდით ეს რაღაც სასწაულებრივ არსებად ხდიდა მას და ამის გამო იყო, რომ ურსუსმა ყური ცქვიტა. წარჩინებულთა თავნებობას, დაბალი წოდების პირი მოწიწებით უნდა მოეპყროს. ყველა ამ მტკვერში მხოხავ არსებებს, რომელთაც მაღალკეთილშობილი ადამიანები მდაბიოთ უწოდებენ, იმაზე მეტი აღარა დარჩენიათ რა, რომ თავის სოროში შეძვრნენ, როდესაც რაიმე არაჩვეულებრივს შეიტყობენ. ხიფათი მხოლოდ იმას ასცდება, ვინც თავისთვის წყნარად ზის. თუ თქვენ იმდენად ბედნიერი არ იყავით, რომ ბრმად შობილიყავით, მაშინ თვალი უნდა დახუჭოთ. თუ თქვენი ბედუკუღმართობის გამო ყრუ არა ხართ, მაშ, ყურებში თითით დაიცვით. თუ თქვენ თავიდანვე მუნჯი არ დაბადებულხართ, მაშინ ენას კბილი დააჭირეთ. დიდებულნი ამა ქვეყნისანი როგორსაც მოისურვებენ, ისეთ მდგომარეობას შეიქმნიან თავისთვის; ხოლო დამცირებულნი ამა ქვეყნად — რასაც კი შეძლებენ, რომ მიაღწიონ, იმ მდგომარეობაში რჩებიან. მაშ ჩამოვეცალოთ გზიდან იმას, რაც ჩვენთვის გამორკვეული არ არის. ნურც მითოლოგიაში

გადავიჭრებით; ნურც ხილულ მოვლენათა აზრში გარკვევას შეცდებით. მოწიწებით მოვიხაროთ ქედი მოვლენათა ხილული სახის წინაშე. თავი ვანებოთ მაღალ სფეროებში ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო მნათობთა გამოჩენის ან ჩაქრობის შესახებ მითქმა-მოთქმას, რაც ჩვენთვის, უჩინარ ადამიანთათვის, მეტ შემთხვევაში ოპტიკური მოლანდებაა. მეტამორფოზები ღმერთების საქმეა; შემთხვევით თვალმოკრული მაღალი წრის ბანოვანნი უცბად რომ გამოჩნდებიან და ისევ გაქრებიან, სადღაც, ჩვენ ზემოთ ციურ სიმაღლეებში რომ ფრენენ, ეს ისეთი ბუნდოვანი მოვლენაა, რომ ჩვენ ვერ მივხვდებით და მათი შესწავლა ჩვენთვის სახიფათოა. ჩვენი ზედმეტი ყურადღება აღიზიანებს ოლიმპიელებს, რომლებიც თავის გართობასა და ხუშტურიანობას მოუცავთ. გაფრთხილდით, თორემ თქვენი სიტყვების გამო თავს მეხი არ აგცდებათ და ეს აგიხსნით, რომ ის ხარი, რომელსაც თქვენ მიშტერებიხართ, ოუპიტერია. მაშ ნუ გავშლით ნაცრისფერი ქლამინდის ნაკეცებს, რომლითაც შემოსილნი არიან ჩვენთა ბედისწერათა საზარელნი მეუფენი. გულგრილობა კეთილგონიერებაა. არ გაინძრეთ. და თქვენ გადარჩებით. თავი მოიმკვდარუნეთ და აღარ მოგკლავენ. ამასვე დაასკვნის კეთილგონიერება მწერისა. ურსუსიც ამ ცნებას მისდევდა.

მეტისმეტად ცნობისმოყვარეობააღძრულმა სასტუმროს პატრონმა ერთხელ ურსუსს მიმართა:

— იცით თქვენ, რომ ტომ-ჯიმ-ჯეკი რატომღაც აღარ გამოჩნდა ჩვენთან?

ურსუსმა უპასუხა:

— ნუთუ მართლა? მე არც კი შემიმჩნევია.

ნიკლსმა რაღაც წაიბურდღუნა, ალბათ არცთუ იმდენად პატივსაცემი რამ ტომ-ჯიმ-ჯეკის მიმართ, რაკი ის ჰერცოგის ასულის კარეტის ახლოს დაინახა; მაგრამ რადგან ურსუსს ნიკლსის სიტყვები მეტად გაუფრთხილებლად ეჩვენა, ამიტომ ყური მოიყრუა, ვითომც ნიკლსის ნათქვამი არც კი გაუგონია.

ხოლო ურსუსი იმდენად არტისტული არსება იყო, მას არ შეეძლო სინანული არ ეგრძნო ტომ-ჯიმ-ჯეკის გაუჩინარების გამო. ძალიანაც წუხდა, მაგრამ თავისი შთაბეჭდილებები მხოლოდ ჰომოს გაუზიარა. ჰომო იყო მისი ერთადერთი მეგობარი, რომლის თავშეკავებულობა სწამდა კიდეც, ამიტომ ეს წასჩურჩულა:

— მას შემდეგ, რაც ტომ-ჯიმ-ჯეკი აღარ გამოჩენილა, მე, როგორც ადამიანი, სიცარიელესა ვგრძნობ და როგორ პოეტი — სიცივეს.

რაკი თავისი მწუხარება მეგობარს გაუმხილა, ურსუსს ახლა ნაწილობრივ გულზე მოეშვა.

გუინპლენთან სიტყვაც არ დასცდენია, ხოლო თვით გუინპლენმაც თავის მხრივ არც ერთხელ აღარ ახსენა ტომ-ჯიმ-ჯეკი.

მართლაც, გუინპლენი მთლად დეასადმი ყურადღებით იყო შეპყრობილი და ტომ-ჯიმ-ჯეკი სულაც არ აინტერესებდა. გუინპლენი დღითი დღე უფრო მეტად იკიწყებდა უცნობ ბანოვანს. რაც შეეხება დეას, მას ეჭვიც არ აუღია, რომ მის სატრფიალო გუინპლენს ერთხანს სული აუფორიაქდა და გული აუძგერდა. იმ დროისათვის შეწყდა კიდეეაც ხმები იმ შეთქმულებასა და საჩივრებზე, რასაც „კაცი, რომელიც იცინის“ ხიფათში უნდა ჩაეგდო. მოქიშპე-მოძულენი, ეტყობოდა, დაცხრნენ. ყოველივე მღელვარება, როგორც „მწვანე ყუთში“, ისე მის ირგვლივ, მიწყდა, ქუხილის უკანასკნელი გრგვინვაც ჩაყუჩდა. მოხეტიალე დასის წარმატებას აღარავითარი ხიფათი არ ემუქრებოდა. ადამიანის ცხოვრებაში ხანდახან უცბად დგება აღუშფოთებელი სიმშვიდის ხანა. გუინპლენისა და დეას სრული ბედნიერება ამ დროს არაფრით დარღვეულა. მათმა ბედნიერებამ თანდათანობით უმაღლეს წერტილამდე მიაღწია. ასეთ მდგომარეობას ერთი სიტყვა — აპოგეა — გამოხატავს. ბედნიერება ზღვის მოქცევასა ჰგავს, ერთხანს იგი თავის მაღალ დონეს აღწევს. ერთადერთი, რაც სრულ ბედნიერებაში მყოფ ადამიანს შეაწუხებდა, არის დაფიქრება მიქცევაზე, რაც აუცილებლად მოსდევს მოქცევას.

ხიფათის თავიდან აცილება ორნაირი საშუალებით შეიძლება: უნდა იდგე ან ძალიან მაღლა, ან ძალიან დაბლა. მეორე საშუალება, ვფიქრობთ, პირველზე უმჯობესია. ინფუზორიის გასრესა უფრო ძნელია, ვიდრე არწივის ისრით დაჭრა. თუკი ამ ქვეყანაზე ვინმე თავს უშიშრად გრძნობდა თავისი მეტად უბრალო მდგომარეობის წყალობით, ასეთნი, როგორც ჩვენ უკვე ვთქვით, გუინპლენი და დეა იყვნენ; ამასთანავე, ეს მდგომარეობა არასდროს ასეთი სრული არა ყოფილა, როგორც იმხანად. ეს ორი ახალგაზრდა ერთიმეორის არსებობით სუნთქავდა. გული ისე იჟღინთებოდა სიყვარულით,

თითქოს მისი მაცოცხლებელი რაიმე ღვთაებრივი მარილიაო. ამით აიხსნება ორი ისეთი არსების განუწყვეტელი კავშირი, რომელთაც ერთმანეთი თავიანთი სიცოცხლის განთიადზე შეჰყვარებიათ და ამითვე აიხსნება ამ სიყვარულის სიახლის მარადიულობა. სიყვარული თითქოს ბალზამირებულია. დაფნისი და ქლოა* გადაქცევიან ფილემონად და ბაუკიდედ*. ასეთი სიბერე ელოდა ალბათ გუინპლენსა და დეას, როდესაც სალამოთი მზის ჩასვლა დილის ცისკარს ემსგავსება. მაგრამ ჯერჯერობით ხომ ისინი ისევ ახალგაზრდები იყვნენ.

ურსუსი ისე ადევნებდა თვალყურს ამ სიყვარულს, როგორც მედიკოსი კლინიკაში ახდენს დაკვირვებას, მას, როგორც იმხანად იტყოდნენ, „ჰიპოკრატეს შეხედულება“ ჰქონდა ამის შესახებ. იგი თავის ყოვლისგამჭვრეტ თვალს დეას მიაშტერებდა ხოლმე და ბუტბუტებდა:

— რა ბედნიერებაა, რომ ეს ქალი ბედნიერად გრძნობს თავს.

სხვა დროს ის იტყოდა ხოლმე:

— დეა ბედნიერად გრძნობს თავსა და ეს კარგია, სასარგებლოა მისი სუსტი ჯანმრთელობისთვის.

ურსუსი თავს გააქნევდა ხოლმე და ხან ავიცენას* კითხვასაც მიჰყოფდა ხელს. ეს წიგნი ვოპუსკუს ფორტუნატუსმა თარგმნა და ლუვენში 1650 წელს გამოიცა. ამ უძველეს ფოლიანტში ურსუსს „გულის სნეულებათა“ შესახებ მსჯელობა აინტერესებდა.

დეა მალე იღლებოდა ხოლმე, ხშირად ოფლიანდებოდა, ძილი ადვილად ეუფლებოდა და, როგორც მკითხველს ახსოვს, ხშირად ისვენებდა დღისით. ერთხელ, როცა მას დათვის ტყავზე ეძინა, ხოლო გუინპლენი შინ არ იყო, ურსუსი ფრთხილად დაიხარა მისკენ და ყური მკერდზე მიადო; რამდენიმე წამს უსმინა გულისცემასა და მერე წელში გამართულმა წარმოთქვა:

— ცოტაოდენი შეშფოთებაც კი სახიფათოა ამ ქალისათვის, რომ ავადმყოფობა მკვეთრად არ გაუუარესდეს.

ხალხის ბრბო ისევ აწყდებოდა „დამარცხებული ქაოსის“ წარმოდგენას. „კაცი, რომელიც იცინის“ ისევ დაუსრულებელ წარმატებაში იყო. ყველა ისწრაფოდა გუინპლენის სანახავად. მარტო საუთუორქი როდი იყო აღტაცებული; გარკვეულწილად ლონდონიც კი დაიმორჩილა ამ არაჩვეულებრივმა სანახაობამ. ახლა მაყურე-

ბელთა შორის მარტო მატროსები და მტვირთავები როდი იყვნენ; ნიკლსი ყველანაირ ნაყარნუყარ ხალხს იცნობდა და ახლა, მისი ხიტყვით, მაყურებელთა შორის აზნაურებიც იყვნენ და ბარონეტებიც მდაბიო ხალხის ტანსაცმელში გამოწყობილნი. უბრალო ადამიანთა ტანსაცმელში გამოწყობა დიდკაცთათვის ერთ-ერთი გასართობია: იმხანად ეს დიდ მოდაშიც იყო. მდაბიოთა შორის არისტოკრატის გამოჩენა კარგ ნიშნად ითვლებოდა და იმას მოასწავებდა, რომ „კაცი, რომელიც იცინის“ ლონდონის ყურადღებასაც იქცევდა. ცხადი იყო, რომ ის სახელი მაღალკეთილშობილ საზოგადოებაშიც ცნობილი ხდებოდა. ამაში არავითარი ეჭვი არ იყო. „კაცი, რომელიც იცინის“ ლონდონში ხშირი მითქმა-მოთქმის საგანი გახდა. ამაზე ალაპარაკდნენ „მოჰოკ კლუბშიც“, სადაც მხოლოდ ლორდები დადიოდნენ.

„მწვანე ყუთის“ მცხოვრებლებმა არა იცოდნენ რა ამის შესახებ. ისინი კმაყოფილნი იყვნენ თავიანთი ბედით და ყოფა-ცხოვრებით. დეა ყოველ საღამოს ტკბებოდა გუინპლენის ხვეულ, მაგრამ უხეშ თმაში ხელის ფათურით. სიყვარულისთვის მთავარია მიჩვევა. შხის ყოველდღე გამოჩენა — სამყაროს ჩვეულებაა. სამყარო შეყვარებული ქალია; მისი სიყვარულის საგანი შხეა.

სინათლე თვალისმომჭრელი ბალავარია, რომელზეც მთელი მსოფლიო ეყრდნობა. ყოველი დღე მხოლოდ ერთი ღვთიური წამია. დედამიწა ჯერ ისევ ღამის ბურუსში მყოფი, ამომავალ შხეზეა დაყრდნობილი. ბრმა დეა ასევე განიცდიდა სითბოს დაბრუნებას და იმედის გამართლებას იმ წუთში, როდესაც გუინპლენის თავს ხელით ეხებოდა.

ორი სრულიად განმარტოებული, სხვათათვის უჩინარი არსება ერთმანეთს ეთაყვანებოდა, სრული დუმილის წუთებში ერთმანეთის სიყვარულით ტკბებოდა. აი, ასე თუნდ მთელი საუკუნე გასულიყო შეუმჩნეველად.

ერთ საღამოს სპექტაკლის დასრულების შემდეგ მეტისმეტი ნეტარების განცდით მოთენთილი გუინპლენი, რაც ისეთნაირად თავბრუდამხვევია, როგორც ყვავილების გამაბრუებელი არომატი, ჩვეულებრივად დაეხეტებოდა იქვე მინდვრიანზე, „მწვანე ყუთის“ შორიახლო. არის ხოლმე წუთები, როდესაც გული იმდენად ივსება ყველანაირი გრძნობებით, რომ ისინი თავისთავად იფრქვევიან.

ღამე უღრუბლო იყო და ბნელი, ხოლო ცაზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ. მოედანი უკაცრიელი იყო და ტარინზოფილდის სიერცეზე აქა-იქ გაფენილ ფიცრულ ბარაკებშიც ყველგან ძილი და თავდავიწყება სუფევდა.

მხოლოდ ერთ ალაგს ენთო სინათლე. ეს იყო ტედკასტერის სასტუმროს ფარანი. სასტუმროს კარი ნახევრად ღია იყო — გუინპლენი უნდა დაბრუნებულიყო.

საუთვორჩის ხუთი ეკლესიის სამრეკლოზე ის იყო შუაღამის ზარი დაირეკა; თითოეული სამრეკლოს ზარი საათის დროს ზუსტად ვერ უთანხმდებოდა და მათი ხმის სხვადასხვაობაც განირჩეოდა. გუინპლენი დეაზე ფიქრობდა; თუმცა სხვა რაზე უნდა ეფიქრა? მაგრამ ამ საღამოს რაღაც უცნაურად იყო აფორიაქებული; მომაჯადოებელ გრძნობას შეეპყრო და თან ერთგვარ შიშსაც დეაზე ფიქრით. ახლა იგი დეაზე სხვაგვარად ფიქრობდა. ფიქრობდა ისე, როგორც მამაკაცი ფიქრობს ხოლმე ქალზე. თუმცა თავის თავს ამის გამო საყვედურობდა კიდეც. მას ეგონა, რომ ამით ამცირებდა თავის სიყვარულს დეასადმი. გუინპლენი გრძნობდა, რომ მასში ბუნდოვნად ჩქროლავდა სურვილი. ეს საამური და ძალუმი მოუთმენლობა იყო. იგი უხილავი საზღვრის გადასასვლელს წასდგომოდა, რომლის ერთ მხარეს უბიწო ქალწული იყო, მეორე მხარეს — დედაკაცი. გუინპლენი ათრთოლებული ეკითხებოდა თავის თავსა და გუნებაში წითლდებოდა. წინანდელი გუინპლენი თანდათან გამოიცვალა; თავისდა შეუმჩნევლად დავაჟკაცდა. მორცხვი ყმაწვილი კაცი ბუნდოვან მღელვარე გულისთქმას განიცდიდა. ჩვენი ყური ერთი მხრივ სინათლისკენაა მიპყრობილი, რომლითაც გონების ხმას ვუსმენთ, მეორე მხრივ ჩვენი ყურადღება მიპყრობილია სიბნელისკენ, რითაც ჩვენ იმას ვუსმენთ, რასაც ინსტინქტი გვეუბნება. სწორედ ამ ყურით, სიბნელის ხმის ჩასაძახებელი ყურით უცნობი ხმები რაღაცას დაჟინებით ჩასჩურჩულებდნენ გუინპლენს. ახალგაზრდა, რაც უნდა ფაქიზი სულის პატრონი იყოს, თუ იგი სიყვარულზე ოცნებობს, მასა და ოცნებას შუა ბოლოს და ბოლოს ერთგვარი ხორციელი სახე წარმოსდგება ქალისა. მისი ზმანებები უცოდველნი აღარ არიან. მას ისეთი მისწრაფება იპყრობს, რაც ბუნებისგანაა შთაგონებული, და რასაც იგი თავის თავსაც არ უმხელს. გუინპლენი ისეთ ვნებიან გულისთქმას შეეპყრო, რომე-

ლიც ქალის ცოცხალი, ხორციელი მშვენიერებისკენ იზიდავდა. იგი ხომ ყველა ჩვენი ცდუნების წყაროა; ხოლო ასეთ რამეს, გუინპლენის წარმოდგენით, დეას უსხეულო ხატება მოკლებული იქნებოდა. გახელების წუთებში, რაც გუინპლენს სახიფათოდ ეჩვენებოდა, იქნებ ერთგვარი შიშითაც, იგი დეას ანგელოზურ გარეგნობას მიწიერი ქალის, დედაკაცის სახითაც წარმოიდგენდა. და ქალი ხომ სასურველია! აუცილებელიც.

სამოთხისებური უბიწოების სიჭარბე ბოლოს და ბოლოს სიყვარულს აღარ აკმაყოფილებს. სიყვარულს მხურვალე ხელი, მთრთოლარე სიცოცხლე, ამაღელვებელი კოცნა სწყურია, რომელიც წარუხოცელ კვალსა სტოვებს; მას აწეწილი, ჩამოშლილი თმები, ენებიანი ხვევნა ენატრება. ვარსკვლავებიანი მაღალი სიერცე უკვე გვეიწროება. ეთერი მეტად გვემძიმება, ჰაერი აღარა გვყოფნის. სიყვარულში ციური სიფაქიზის სიჭარბე იგივეა, რაც კერაში სითბოს მომცემი შეშის სიჭარბე: იქ ალი ვერ აღეგზნება. გუინპლენი გონებას კარგავდა, იმდენად შეეპყრო საამურ ვნებიან ხილვას. მას თვალწინ დაუდგა დეა ისეთი სახით, რომლის დაუფლება ხორციელად შეიძლებოდა. დეა მორჩილი, რომელიც დანებდებოდა სიახლოვის იმ თავბრუდამხვევ წუთში, რაც ორ არსებას ახალი სიცოცხლის ჩასახვის საიდუმლოებით აკავშირებს. „ქალი!“ გუინპლენს ესმოდა ეს შინაგანი ძახილი, რომელიც თვით ბუნების წიაღიდან ამოდიოდა, ვითარცა ახალი პიგმალიონი,* ლაჟვარდისაგან გალათეას შემქმნელი, გუინპლენი თავის გუნებაში, სულის სიღრმეში თვითნებურად ცვლიდა დეას კდემამოსილ ხატებას. ეს ხატება ხომ მეტად ციური იყო, თანაც არასაკმარისად სამოთხისებური; ვინაიდან სამოთხე — ევაა, ხოლო ევა დედაკაცი იყო, რომელიც სურვილს იწვევდა და დედა, მასაზრდოებელი მიწიერისა, მის კურთხეულ წიაღში ჩაისახა მთელი მომავალი შთამომავლობანი, მის ძუძუ-მკერდში დაუშრალი იყო რძე, მისი ხელი არწევდა ახალშობილი ქვეყნის აკვანს. დედაკაცის გულმკერდი შეუთავსებელია ანგელოზის ფრთებთან. სიქალწულე მხოლოდ აღთქმაა დედობრიობისა. მაგრამ გუინპლენის ოცნებებში დეა აქამდე ყოველივე ხორციელებაზე მაღლა იდგა. ხოლო ახლა იგი აფორიაქებული, თავის გუნებაში ცდილობდა დეა ძირს, მიწიერ არსებად წარმოედგინა, რაკი იგი იმ ძაფს მოეჭიდა, რომელიც ყოველ ქალწულს მიწასთან აკავშირებს. ეს ძაფი სქესია.

ვერც ერთი ეს ფრთამალი ფრინველი ვერ ინავარდებს თავისუფლად, დეაც, როგორც ყველა სხვა, ბუნების კანონების გავლენის გარეშე ვერ დარჩებოდა; და გუინპლენი მხოლოდ ნახევრად უმხელდა თავის თავს, რომ მას სწყუროდა, დეა ამ კანონებს დამორჩილებოდა. გუინპლენს ეს სურვილი მისდა უნებურად აღძროდა და იგი სულ ებრძოდა ამ სურვილს. თავის წარმოსახვაში დეას მიწიერ ქალად წარმოიდგენდა, იქამდეც მივიდა, რომ შეუძლებელი რამ წარმოიდგინა: ვითომც დეა მხოლოდ აღგზნებას კი არა და ვნებათაღელვასაც იწვევდა. წარმოიდგინა, ვითომც დეა მის ბალიშზე დებდა თავს. მასვე რცხვენოდა ამ შეურაცხმყოფელი ფიქრებისა. ეს რაღაც ძალა იყო მასში, რომელიც ცდილობდა დეას ხატება დაემცირებინა. გუინპლენი ეწინააღმდეგებოდა ასეთი ფიქრების თავდასხმას, ცდილობდა წარმოსახვით აღარ ეხილა ამგვარი სურათები; მაგრამ მერე ისევ უბრუნდებოდა ასეთ ფიქრებს. მას ისიც ეჩვენებოდა, რომ იგი ქალწულის უმანკოების შელახვას ეტანებოდა. დეა მისთვის თითქოს ცათა ღრუბლების არსება იყო. გულის კანკალით ლამობდა იგი ამ ღრუბლების შეხებას, თითქოს საფარველი უნდა აეხადა. გაზაფხული იყო და აპრილის თვე იდგა.

ზურგის ტკივილიც თავისებურ ზმანებას ეძლევა.

გუინპლენი უაზროდ დაბორიალებდა, — დაბნეული; ის ოდნავ აქეთ-იქით ირწეოდა, აუჩქარებლივ, როგორც ხანდახან მარტოდ მოსეირნე იქცევა ხოლმე; ასეთი მდგომარეობა უაზრო ოცნებებს იწვევს. საით მიისწრაფოდა გუინპლენის აზრი? ის თავის თავსაც ვერ გაუმხელდა ამას. ცისკენ? საქორწილო სარეცლისკენ. და თქვენ, ვარსკვლავებო, ნუთუ უყურებდით ამას ამ დროს?!

რატომ ამბობენ „შეყვარებულიო“, უნდა თქვან ხოლმე „შეპყრობილიო“. დემონისაგან შეპყრობილი იყოს კაცი, ეს იშვიათი მოვლენაა; ქალისგან შეპყრობილი საერთო წესია. ყოველ მამაკაცს ემართება, რომ საკუთარ პიროვნებას კარგავს. რა ჯადოქარია მშვენიერი ქალი! სიყვარულის ნამდვილი სახელი ტყვეობაა.

ქალი მამაკაცს სულიერი გრძნეულებით ატყვევებს, აგრეთვე ხორციელი თილისმითაც. ხშირად ხორციელი თილისმა სულიერზე ძლიერია. სული შეყვარებულია, ხორცი საყვარელია!

სატანას ცილსა სწამებენ. ევა მას არ შეუცდენია. ის ევამ შეიყვანა ცდუნებაში. დედაკაცი იყო დამწყები.

ლუციფერი მშვიდად მიდიოდა თავისი გზით, მაგრამ დაინახა დედაკაცი და სატანად გადაიქცა.

სხეული გარეგანი ჩარჩოა უცნობისა და რაც უცნაურად გვეჩვენება, იგი თავისი მორცხვობით ხიბლავს ადამიანს. ამაზე მეტად ამაღლებული აღარა არის რა. აბა იფიქრეთ: ის (ე.ი. სხეული) უსირცხვილოა და მორცხვობს კი.

ამ წუთში გუინპლენს ხორციელი სილამაზისადმი სწორედ ასეთი გადაულახავი გულისთქმა აღელვებდა და იმორჩილებდა. საშინელი წამია, როდესაც ჩვენ სიშიშვლე მოგვესურვილება. სულ ადვილია, ფეხი აგვისხლტეს და დავეცეთ. რამდენი წყვდიადია დაფარული ვენერას სითეთრეში!

რაღაც შინაგანი ხმა გუინპლენისა ხმამაღლა მოუწოდებდა დეას, დეას — ქალწულს, დეას — მეგობარს, დეას — ხორციელსა და მგზნებარეს, დეას — მკერდგაშიშვლებულს. გუინპლენი მზად იყო ანგელოზი გაეძევებინა; ეს იყო იდუმალი კრიზისი, რომელსაც ყველა შეყვარებული განიცდის, და რომელიც იდეალს დაღუპვას უქადის. მარადიული კანონი სამყაროსი ის წამია, რომ სულში ციური ნათელი ჩაწყვდიადდება.

გუინპლენის სიყვარული დეასადმი მეუღლის სიყვარულში გადადიოდა. კდემამოსილი სიყვარული მხოლოდ გარდამავალი საფეხურია. აუცილებელი წუთი დადგა. გუინპლენს იზიდავდა ქალი.

გუინპლენი ქალისკენ მისწრაფებას განიცდიდა.

მის წინ ჩაღმართი გადახსნილიყო, და ის პირველსავე ნაბიჯზე ჩავარდნას უქადდა.

ბუნების გაურკვეველი ძახილი მოუგერიებელია.

ქალი რაოდენ უფსკრულია!

გუინპლენის საბედნიეროდ, მის მახლობლად სხვა ქალი არ იყო გარდა დეასი: ეს ერთადერთი ქალი იყო, რომელიც მას ეწადა. დეაც ერთადერთი იყო, რომელსაც გუინპლენი სურდა.

გუინპლენი მთლად გამოურკვეველ თრთოლას აეტანა. თვითონ სიცოცხლე ძალუმად ითხოვდა მასში თავის უფლებებს.

ამას მიუმატეთ გაზაფხულის გავლენა. გუინპლენი თითქოს შეისუნთქავდა გამოუცნობ დენს ვარსკვლავიანი ღამისას. ის მიდიოდა და უმიზნოდ, რაღაცნაირი დამატკბობელი თავდავიწყებით. ჰაერში გაბნეული არომატი გაზაფხულის სილბოსი, დამათრობელი სურ-

ნელებანი, რომლითაც გაჟღენთილია ღამის ბინდი; ღამით გაფურჩქნილი ყვავილები, შორით მონაბერი ამო სურნელი, შეთანხმებული ჟღურტული, რომელიც აქვე სადღაც, პატარა ბუდეებიდან ისმოდა. წყაროთა ლიკლიკი და ფოთოლთა შრიალი, სუნთქვა ყოვლის მხრიდან. სინორჩე, სითბო, ყველა ეს საიდუმლო გაღვიძება ბუნებისა სხვა რა არის, თუ არა ვნებებზე ჩურჩულით მოლაპარაკე გაზაფხულის მძლეთამძლე ხმა, თავბრუდამხვევი მოწოდება; და სულიც მას მხოლოდ ენაბრგვილი ფუჩუნით აძლევს პასუხსა და თვითონაც უკვე ვეღარ ერკვევა საკუთარი სიტყვების აზრში. ვინც კი ამ წუთში გუინპლენს დაინახავდა, ყველა იფიქრებდა: „ვერ ხედავთ, მთვრალიაო!“.

მართლაც, გუინპლენი ფეხზე ძლივს იდგა, ისე დამძიმებულიყო თავისი მღელვარე გულის, გაზაფხულისა და ღამისაგან.

ირგვლივ უკაცურობა და დუმილი სუფევდა. გუინპლენი, უბრალოდ, თავისთავად ლაპარაკობდა. როდესაც იცი, რომ ყურს არავინ გიგდებს, თავისუფლად ელაპარაკები შენს თავს.

ის ნელა მისეირნობდა, თავი ჩაექინდრა, ხელები ზურგზე შემოეწყო, მარცხენა ხელით მარჯვენა ეჭირა.

უცბად იგრძნო, რომ ხელს რაღაცა ჩაუსხლტა.

სწრაფად მოტრიალდა.

ხელში მას ქაღალდი შერჩა და მის წინ კიდევ ვიღაც კაცი იდგა.

ცხადი იყო, რომ ეს კაცი კატასავით მიეპარა უკნიდან და ხელში ქაღალდი ჩაუდო.

ეს ქაღალდი წერილი იყო.

მისი მომტანი კაცი, რამდენადაც შეიძლებოდა ვარსკვლავთა შუქზე მისი შეთვალიერება, ტანად პატარა იყო, პირმრგვალი და სულ ახალგაზრდა. მაგრამ ძალიან თავმომწონე. ტანთ ალისფერი ლივრეა ეცვა, რაც ნაცრისფერი გრძელკალთებიანი ლაბადის, ღამის მოსასხამის ქვეშიდან მოუჩანდა. თავზე ღია ჟოლოსფერი, კარდინალის კუნკულის მსგავსი ქუდი ეხურა, მაგრამ ბუზმენტებშემოვლებული. რაც იმის ნიშანი იყო, რომ ამ ქუდის პატრონი ლაქია გახლდათ. ეს მოხდენილი ქუდი მთიულა ფრინველის ერთი კონა ბუმბულით იყო შემკული.

ბიჭუნა გაუნძრევლად იდგა გუინპლენის წინ, სიზმარში მოლანდებული სილუეტის მსგავსად.

გუინპლენმა იცნო, ეს პერცოგის ასულის მსახური იყო.

გუინპლენმა გაკვირვებისაგან შეკრთომაც ვერ მოასწრო, რომ უმალ პაჟის წვრილი, არცთუ ქალის, არცთუ ბავშვის, ხმა მოესმა.

— ხვალ ამ დროს ლონდონის ხიდთან მოდი! მე დაგიცდით იქ და მიგაცილებთ.

— სად მიმაცილებ?

— იქ, სადაც თქვენ გელოდებიან.

გუინპლენმა ახლა წერილს დახედა, რომელიც ანაზდეულად ხელში შერჩენოდა, როცა ისევ აიხედა, გრუმი იქ ალარ იყო. შორს, ბაზრის მოედანზე ბუნდოვნად მოჩანდა პატარა მსახურის სილუეტი, რომელიც სწრაფად პატარავდებოდა. მალე იგი კუთხეში შებრუნდა და თვალს მიეფარა.

გუინპლენმა თვალი გააყოლა შორს მიმავალ გრუმს და მერე წერილს დახედა. ადამიანის ცხოვრებაში არის ხოლმე ისეთი წამები, როდესაც რაიმე შეემთხვევა და თითქოს არც შემთხვეოდეს. გაშტერებულა და ერთხანს ვერ გარკვეულა მომხდარ გარემოებაში. გუინპლენმა წერილი თვალებთან მიიტანა, თითქოს წაკითხვა უნდოდა, მაგრამ ვერ წაიკითხავდა ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, კონვერტი ისევ დაბეჭდილი იყო და მეორეც იმიტომ, რომ ბნელოდა. რამდენიმე წუთი გავიდა, ვიდრე გუინპლენმა მოისაზრა, რომ სასტუმროში ფარანი ენთო, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მაგრამ გვერდით, რადგან არ იცოდა საით წასულიყო. ასე მხოლოდ მთვარეული იმოძრავებდა, წერილი მოჩვენებას რომ მიეცა.

ბოლოს გამოერკვა განცვიფრებისგან და სასტუმროსკენ თითქმის გაიქცა. გამოლებული კარის წინ შეჩერდა და სინათლის შუქზე ერთხელ კიდევ დახედა დაბეჭდილ წერილს. ბეჭედზე არავითარი ტეიფრი არ იყო, ხოლო კონვერტზე მარტო ერთი სიტყვა ეწერა: გუინპლენს. მან ბეჭედი აამტვრია, კონვერტი გახია, წერილი გაშალა, სინათლესთან ახლოს მიიტანა და წაიკითხა:

„შენ საოცრებამდე სახიჩარი ხარ, მე კი ულამაზესი. შენ ტაკი-მასხარა ხარ, მე კი პერცოგის ასული. მე პირველი ვარ, შენ უკანასკნელი. მე შენ მსურხარ, მე შენ მიყვარხარ. მოდი“.

წიგნი მეოთხე

მიწისქვეშა საწამებელი

I

ცდუნება წმინდა გუინპლენისა

ზოგი ცეცხლი ოდნავ გაკრთება სიბნელეში; ზოგს კიდევ შეუძლია ვულკანი აღაგზნოს.

ნაპერწკლებიც კი ხანდახან უშველებელ ხანძარს აჩენენ.

გუინპლენმა წერილი მეორედ წაიკითხა, კიდევ წაიკითხა, ის ნათლად ხედავდა ამ სიტყვებს: „მე შენ მიყვარხარ".

მის გონებაში ერთიმეორეს მისდევდნენ საზარელი ფიქრები.

შეძრწუნებულს პირველად ეგონა ვგიჟდებიო. ჭკუაზე შეშალა, ამაში ეჭვი არ არის. ისეთ რამეს ხედავს, რაც სინამდვილეში არ არსებობს. ღამის ზმანებებმა ის უბედური თავის სათამაშოდ აქციეს. წითელი კაცუნა მას მხოლოდ მოელანდა. ღამით ხანდახან ჭაობის ორთქლი შეკუშშვისას მოფარფატე შუქად იქცევა და იტყუებს ადამიანს. აი, ახლაც მცდარმა მოლანდებამ ჯერ დასცინა, მერე ისევ გაქრა და გუინპლენი ჭკუაზე შეშლილი დატოვა. წყვდიადს შეუძლია ასეთი ოინები ჩაიდინოს.

შემდეგ, რადგან დარწმუნდა, რომ სრულ ჭკუაზე იყო, უფრო შეძრწუნდა.

მოლანდება? რას ისულელებ! მაშ ეს წერილი საიდანაა? წერილი ხომ ხელში უჭირავს. აი კონვერტიც, ბეჭედი, ქაღალდი, ვილაცის ხელით დაწერილი. მან ხომ იცის, ვისგანაც არის წერილი! ამ თავგადასავალში არაფერი ამოუცნობი არ არის. აუღიათ კალამი, მელანი და დაუწერიათ წერილი. აანთეს სანთელი და კონვერტი ლუქით დაბეჭდეს. განა კონვერტზე არ აწერია მისი სახელი: გუინპლენს? ქაღალდი სურნელოვანია. ყველაფერი ცხადია. იმ კაცუნასაც იცნობს. ის ცეროდენა გრუმია. მოფრიალე ცეცხლი ლიერეა იყო. გრუმმა გუინპლენს პაემანი დაუნიშნა. ხვალ, სწორედ ამ დროს ლონდონის ხიდის მისასვლელთან. განა ლონდონის ხიდიც გრძნობათა მცდარობაა? არა! არა! ყოველივე ეს ერთიმეორეს შეე-

საბამება. ეს სულაც არ არის ბოდვა. ეს სინამდვილეა. გუინპლენი სრულ ჭკუაზეა. ეს არ არის მოლანდება, რომელიც თანდათანობით იშლება და ჰაერში უკვალოდ ქრება. ეს სრულებით რეალური რამაა. გუინპლენი გიჟი არ არის, არც ცხადლივ ზმანებაშია. და გუინპლენი ისევ და ისევ განმეორებით კითხულობდა წერილს.

ჰო, დიახ, რა თქმა უნდა. მაგრამ რა არის ეს? მაშინ ხომ... ეს იგავმიუწვდომელი რამაა.

ქალს სურდა გუინპლენი! თუ ასეა, დაე ამიერიდან აღარავინ თქვას სიტყვა: „დაუჯერებელი". ქალს სურს იგი! ქალს, რომელმაც დაინახა მისი პირისახე. ქალს, რომელიც ბრმა არ არის. მაშ ვინ არის ის ქალი? გონჯი? არა, ულამაზესია. ბოშა ქალია? არა, პერცოგის ასულია.

მაშ, ეს რას მოასწავებს? ან რას ნიშნავს ეს? რა სახიფათოა ასეთი ზეიმი! და მაინც როგორ არ უნდა გაესწრაფოს კაცი რაც შეიძლება მალე მის შესახვედრად?

როგორ? ეს ის ქალია? სირინოზი, მოჩვენება, ლედი, ის მაყურებელი, ლოჟაში რომ იჯდა! წყვდიად-შუქში მოელვარე ლანდი. დიახ! სწორედ ის არის! რა თქმა უნდა, ის არის!

გუინპლენის გულში ხანძარი აგიზგიზდა, ის არის, ის, ის უცნაური უცნობი ქალი! სწორედ ის, რომელმაც სიძვიდე დაუკარგა. გუინპლენს ხელახლა დაესია ამაღელვებელი ფიქრები. თითქოს ამ ბნელმა ცეცხლმა გააცხოველა ისინი, იგივე ფიქრები, რომლებიც პირველად აეშალა მას ამ ქალის დანახვაზე. დავიწყება იგივე პალიმფსესტია. შემთხვევა არის საჭირო და უკვე საუკუნოდ წაშლილი, უცბად ისევ ამოტივტივდება განცვიფრებული მეხსიერების სტრიქონებს შუა. გუინპლენს ეგონა, გულიდან ამოვიგდეო ის ხატება, და აჰა, იგი ისევ მის თვალწინ წარმოუდგა. ის ხატება მასში ალიბეჭდა. გუინპლენის ტვინში გუინპლენისავე სურვილის წინააღმდეგ დატოვა მან წარუხოცელი კვალი. მისდა უნებურად იმ ქალის ნაკვთები ღრმად ჩაიჭრნენ მის სულში. გამოუსწორებელი ბოროტება ახლა უკვე მომხდარი იყო და გუინპლენი ხელახლა გატაცებით დანებდა თავიდან მოუცილებელ ზმანების ძალას.

როგორ! ის, გუინპლენი, ვნების საგანი გახდა? როგორ! პრინცესა ტახტის საფეხურებიდან დაეშვა, კერპი საკურთხევლიდან ჩამოვიდა, ქანდაკება — თავისი კვარცხლბეკიდან, მოჩვენება — ღრუბ-

ლებიდან! როგორ! შეუძლებლობის წიაღიდან ქიმერა აღმოცენდა! როგორ! ეს პლაფონიდან მოვლენილი ფერია, განხორციელებული სხივოსნება, ეს ნერეიდა, მთლად ძვირფასი თვლების სამკაულით აელვარებული, მიუწვდომელი, დიდებული, ულამაზესი ქალი თავისი თვალისმომჭრელი სიმაღლიდან გუინპლენამდე ეშვებოდა. როგორ? მან თავისი ავრორას ეტლი, რომელშიც გვრიტსაც აბამდნენ და გველეშაპსაც, დაბლა მდგომთანაც გააჩერა და უთხრა: „მოდიო!“ როგორ! გუინპლენს საშინელი და თან მშვენიერი ბედი ხვდა — დაამციროს, მიწიერი გახადოს ემპირიუმი*? ეს ქალი, თუ შეიძლება, რომ ქალი ეწოდოს სხვა, მეტად აღმატებული პლანეტის მცხოვრებს, ეს ქალი გუინპლენს თავის თავსა სთავაზობდა? მთლად ეძლეოდა? შეუძლებელია ის, ოლიმპის ღმერთქალი მოუწოდებს სიყვარულის სარეცელზე! და მერე ვის? მას, გუინპლენს, თავისუფალი ქცევის ქალი ხვეენა-ალერსს ჰპირდებოდა... იგიეე, შარავანდედით მოსილი ღმერთქალი, მას გულ-მკერდში ჩაიკრავდა. და ამის სულაც არ რცხვენოდა იმ ქალს. იმ მაღალი წრის სულიერებს არავითარი მწიკვლი არ შეეხებათ. ისინი ღმერთები არიან ნათელში განბანილნი. და ამ ღმერთქალმაც, გუინპლენამდე რომ უნდა ჩამოქვეითებულიყო, იცოდა, რასაც სჩადიოდა. მან კარგად იცოდა, რა საშინელი სახიჩარი იყო გუინპლენი. იმ ქალმა ნახა ნიღაბი, გუინპლენს რომ პირისახის მაგიერ ჰქონდა და ეს ნიღაბი მას არ შეეზიზღა. გუინპლენი შეუყვარდა, მიუხედავად მისი სახიჩრობისა! ეს ყველაზე უფრო უტიფარ ოცნებებსაც კი აღემატებოდა. გუინპლენი შეიყვარეს მისი სახიჩრობის გამო. ნიღაბი არ ეზიზღებოდა ღმერთქალს, პირიქით, ნიღაბი მას იზიდავდა. გუინპლენი არა მხოლოდ უყვარდათ, არამედ იგი ვნებათაღელვასაც იწვევდა. ქალი არა მარტო ჩამოქვეითდა გუინპლენამდე, არამედ გუინპლენი მან თავისი რჩეული გახადა. გუინპლენი მისი რჩეულია!

როგორ! ამ ქალის ირგვლივ არსებულ მეფურ წრეში, ბრწყინვალე, უზრუნველ და ყოვლადშემძლე ადამიანთა წრეში ხომ პრინცები იყვნენ. იმ ბანოვანს შეეძლო პრინცი აერჩია. იყვნენ ლორდები, შეეძლო ლორდი აერჩია, იყვნენ ლამაზი, მომხიბლავი, შესანიშნავი ვაჟკაცები, — იმ ბანოვანს შეეძლო ადონისი* აერჩია. მაგრამ ვისით მოიხიბლა იგი? გნაფრონით?* იქ, სადაც მხოლოდ მეტეორები და ელვაა, იმ ბანოვანს შეეძლო ექვსფრთიანი სერაფიმი ამოერჩია,

მაგრამ წუმპეში მღოღავი მატლი კი ამოირჩია. ერთი მხრივ მთლად აღმატებულნი, ბრწყინვალენი, დიდებულება, სახელგანთქმულება — მეორე მხრივ ოინბაზი და ოინბაზი იმარჯვებს ყველაზე. ნეტავი რა სასწორი ჰქონდა გულში ამ ბანოვანს, რითი სწონიდა იგი თავის სიყვარულს? ამ ბანოვანმა მოიხსნა ჰერცოგის ასულის ჯიღა და ჯამბაზის ფიცარნაგზე დაანარცხა. ამ ბანოვანმა მოიხსნა თავიდან შარავანდედი ოლიმპის ღმერთქალისა და გნომს ჯაგრიან თავზე დაადგა! ეს არის ქვეყნიერების ყირაზე გადაბრუნება, სადაც მწერები მეშვიდე ცის სფეროში აღმოჩნდნენ, ხოლო თანავარსკვლავედები დაბლა მოექცნენ. ამის გამო ჩაიძირა გუინპლენი: იგი დაიბნა მასზე მოვარდნილ შუქთა ნიაღვრის გამო, სადაც მდაბიოთა უბადრუკ ყოფაში ნათელი სხივი მოეფინა. სილამაზისა და ფუფუნების წინააღმდეგ ამხედრებული ბანოვანი თავს იმეტებდა საუკუნოდ წყვდიადში განწირულისათვის. ანტონიუსს* უარყოფდა და გუინპლენს რჩებოდა. სიბნელის დამნახავი ცნობისმოყვარეობას შეეპყრო და იგი იძირებოდა ამ სიბნელეში. ღმერთქალისგან სიბნელეების ასეთ უარყოფას არარაობაში მყოფი არსება მეფურ სიმაღლეზე აჰყავდა.

სასწაულებრივად მეფურ გვირგვინს ადგამდა. „შესაზარლად სახიჩარი ხარ, მე შენ მიყვარხარ“, ეს სიტყვები გუინპლენის სიამაყე-თავმოყვარეობას აღაგზნებდა, მაგრამ არა დადებითად. სიამაყე ყოველი გმირისათვის აქილევსის ქუსლია. გუინპლენმა შეიტკბო უსახურის პატივმოყვარეობა. ის სწორედ მისი უსახურობის გამო შეუყვარდათ. ისიც ისევე გამონაკლისი იყო, როგორც იუპიტერი და აპოლონი, ან იქნებ იმათზე მეტად. იგი თავს ზეკაცურ არსებად მიიჩნევდა და ჯერ კიდევ არნახული სიმახინჯის წყალობით, თავი ღვთაების სწორად მიაჩნდა. საშინელი სიბრმავეა.

მაინც რას წარმოადგენდა თვითონ ეს ბანოვანი? რა იცოდა გუინპლენმა მასზე? ყველაფერი და არც არაფერი. ის ქალი ჰერცოგის ასული იყო. ეს იცოდა გუინპლენმა, იცოდა, რომ იგი ლამაზია, მდიდარია, რომ მას ლივრეიანი ლაქიები ჰყავს, პაჟები და მემაშხალე შიკრიკები, რომლებიც მის გვირგვინით შემკულ ეტლს ახლდნენ. გუინპლენმა იცოდა, რომ იმ ბანოვანს შეჰყვარებია; ყოველ შემთხვევაში ასე სწერდა მას. დანარჩენი მან არა იცოდა რა; გუინპლენმა იცოდა იმ ბანოვანის ტიტულ-ხარისხი, მაგრამ მისი სახელი არ იცოდა. იცოდა მისი აზრი, მაგრამ მის ცხოვრებას არ იცნობდა.

ვინ იყო იგი? გათხოვილი ქალი, ქვრივი თუ ქალწული? თავისუფალია იგი თუ შებორკილია რაიმე მოვალეობით. როგორ ოჯახს ეკუთვნის? იქნებ გუინპლენს აქ რაიმე საფრთხე ელის, მახეს უგებენ. საიდუმლოდ ძირს უთხრიან. გუინპლენმა ეჭვადაც არ იცოდა, როგორი თავაშვებულობა სუფევს საზოგადოების მაღალ, მთლად უსაქმურ ფენებში. მან არ იცოდა, რომ ამ მწვერვალებზე არის ბუნაგები, სადაც სასტიკი გრძნეული ქალები სახიფათოდ გატაცებების ზმანებებს ეძლევიან. ვერ მიმხვდარიყო, მოწყენილობის გამო მაღალი წრის ქალი რა საშინელ ცინიკურ ცდებს ალევს თავის უქმ დროსა და ენერგიას, და კიდევ ამ ქალებს ჰგონიათ, რომ მამაკაცებზე მაღლა დგანან. გუინპლენს არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდა ამაზე, რადგან საზოგადოების დაბალ წრეებში ბევრი რამ არ იციან იმის შესახებ, რაც მაღალ სფეროებში ხდება. მიუხედავად ამისა, ანუ ამიტომაც გუინპლენი წინასწარ გრძნობდა რაღაც ავის მომასწავლებელს. იგი თითქოს ვარაუდობდა იმ ბრწყინვალების პირქუში ბუნების შესაძლებლობაზე; იყო კი ამაში დარწმუნებული? არა. ან მიხვედრილი თუ იყო? ძალიან ნაკლებად. რა იფარებოდა ამ წერილის მიღმა? ფართოდ გაღებული კარი და იმავე დროს რაღაც წუხილის ჩამსახველი დაბრკოლება. ერთი მხრივ გულის გადახსნა, სიყვარულის გამოცხადება, — მეორე მხრივ ამოცანა.

გულის გადახსნა და ამოცანა იმავე დროს — ორი ხმაა: ერთი იზიდავს, მეორე იმუქრება. მაგრამ ორივე ერთსა და იმავე სიტყვას იმეორებს. „გაბედეო“! არასდროს ასე მარჯვედ არ უმოქმედია ცბიერ შემთხვევას; არასდროს ცდუნება ასე დროულად არა სწვეოდა ადამიანს; საგაზაფხულოდ გამოღვიძებული შუშხუნა წვენის ათქვერებული ბუნებით ამღელვარებული გუინპლენი მთლად გულისთქმათა ოცნებას შეეპყრო. წარუხოცელი ინსტინქტი, ისეთივე უძველესი, როგორიც თვით ქვეყანაა; ალღო, რომლის დათრგუნვა დღემდე ვერც ერთ ჩვენგანს ვერ მოუხერხებია — ამ ჭაბუკში ახლა იღვიძებდა; მას ხომ ოცდაოთხი წლის ასაკამდე დაეცვა ყრმის უმანკო სიფაქიზე. სწორედ ასეთ წუთებში, კრიზისის უმძიმეს ჟამს მიიღო მან სახიფათო აღიარება და მას თვალწინ წარმოუდგა თვალისმომჭრელი შიშველი გულმკერდი სფინქსისა. ახალგაზრდობა დაქანებული დაღმართია; გუინპლენი ამ დაღმართზე მისრიალებდა. მას ვიღაცა უქიმუნჯებდა. ვინა? გაზაფხული. ვინა? ღამე. ვინ და — ის

ბანოვანი ქალი. აპრილი რომ არა ყოფილიყო, ადამიანები ბევრად უფრო სათნონი იქნებოდნენ. აყვავებული ბუჩქები თანაშზრახველთა გუნდია. სიყვარული მპარავია. გაზაფხული მისიეე მფარველი.

გუინპლენს გული უჩქროლავდა.

ცულ საქციელს თან უძღვის რაღაც ბოროტების აორთქლების მსგავსი რამ, რისგანაც სინდისს სული ეხუთება. ცდუნებაში მყოფ პატიოსნებას ქვესკნელის ცუდი სუნისაგან გულს აზიდებს. იქიდან ამოვარდნილი ანაორთქლი მტკიცე ნებისყოფის ადამიანთათვის წინასწარ გამაფრთხილებელია; ხოლო სუსტი ნებისყოფის ადამიანთათვის გამაბრუებელი. გუინპლენი ამ იდუმალ ღონემიხდილობას განიცდიდა.

მას გონების თვალწინ სწრაფად, ერთურთის მომდევნოდ წამოეჭრებოდნენ მომაბეზრებელი შეკითხვები, დაჟინებით აქეზებდნენ, რათა ცდუნებას უფრო გარკვეული სახე და გეზი მიეღო. ხვალ შუალამისას, ლონდონის ხიდი, პაჟი. წავიდე? „ჰო“! — იძახდა ხორცი. „არა“! — იძახდა სული.

თუმცა ერთი შეხედვით უცნაური კია, მაგრამ გუინპლენი არც ერთხელ მკაფიოდ არ შეჰკითხვია თავის თავს: წასულიყო თუ არა? ცდუნებანი შეპარვით, სინდისის მალულად იზიდავენ ადამიანს. ისინი ემსგავსებიან მეტისმეტად მაგარ არაყს, რომელსაც ერთი სულის მოთქმით ვერ დალევს ადამიანი. ფიალას გადადგამს: ცოტა ხნის მერეო; უკვე პირველი ყლუპისაგან კი თავბრუსხვევას გრძნობს.

ერთი რამ იყო უდავო: გუინპლენი გრძნობდა, რომ რაღაც უბიძგებდა, იმ ამოუცნობთან პირისპირ წარმდგარიყო.

იგი მთლად თრთოლას აეტანა, ხედავდა, რომ უფსკრულის წინაშე იდგა. უკან იხედებოდა, რაკი ყოველი მხრიდან მომდგარ ხიფათს გრძნობდა, თვალებს ხუჭავდა, ყოველნაირად არწმუნებდა თავის თავს, ვითომც არა მომხდარიყოს რა. ცდილობდა ისევ ჩაეგონებინა თავისთვის, რომ ჭკუაზე შეიშალა და ყოველივე მოჩვენება იყო. რა თქმა უნდა, ასეთი მდგომარეობიდან ეს ყველაზე უკეთესი გამოსავალი იქნებოდა. ყველაზე კეთილგონიერია, კაცმა ჭკუაზე შეშლილად ჩათვალოს თავისი თავი.

საბედისწერო დაავადება! ვინც ერთხელ მაინც ყოფილა მოულოდნელობის მსხვერპლი, განუცდია ასეთი შავბნელი შეშფოთება. როდესაც კაცი შეგნებულად დაუკვირდება იმას, რა ხდება მის

თავს, შეძრწუნებული დაუგდებს ყურს უროს ყრუ ბაგაბუგს და დარტყმებს, რომლებსაც ბედი უცბად თავს დაატეხს მის სინდისს.

ეჰ, გუინპლენი მერყეობდა, მაგრამ იქ, სადაც ყოველივე ეჭვს გარეშეა, რყევა უკვე მარცხის მომასწავებელია.

თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, წერილის მოურიდებელი გულახდილობა, რაც ალბათ ყველა წამხდარ კაცსაც კი შეაცბუნებდა, გუინპლენს მთლად გამორჩა ყურადღებიდან. მან არ იცოდა, რა იყო ცინიზმი. გარყვნილება იმ ფორმით, რაზედაც ზევით ითქვა, გუინპლენს ფიქრად არ მოსდიოდა; მისთვის ეს გაუგებარიც კი იყო. იგი იმდენად ფაქიზი იყო, რომ ასეთი სირთულით ვერც წარმოიდგენდა მომხდარ ამბავს. იმ ბანოვან ქალში გუინპლენი მხოლოდ სიდიადეს ხედავდა. ეჰ, იგი ამაყობდა იმ ბანოვანის ყურადღებით. პატივმოყვარეობამ მხოლოდ ასეთ გამარჯვებაზე მიაქცევინა ყურადღება. ხოლო იმისათვის, რათა შეემჩნია, რომ ის იმდენად სიყვარულის საგანი არ იყო, რამდენადაც ურცხვი ცნობისმოყვარეობისა, საამისოდ გუინპლენს ის გამოცდილება უნდა ჰქონოდა, რაც სრულებით არ ახასიათებს უმანკოებას. იმ სიტყვების გვერდით:

„მე შენ მიყვარხარ“, გუინპლენმა უყურადღებოდ დატოვა საშინელი მინაწერი: „მე შენ მსურხარ“. ღვთაების ცხოველური არსი მას გამოეპარა.

გონებაზე ხანდახან თავდასხმაც ხდება; სულს თავისი ვანდალები გააჩნდა, ცუდი ფიქრები, რომელთა შემოსევა ანადგურებს ჩვენს სიქველეს. გუინპლენს ათასობით ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი ერთიერთმანეთზე თავს ესხმოდა. ხან ყველა ისინი ერთად დაატყდებოდნენ თავს და ბოლოს მასში ყველაფერი მშვიდდებოდა. მაშინ იგი თავზე ხელებს მოიჭერდა. დაღვრემილი ყურს უგდებდა ყოველივე იმას, რაც მის შინაგან ბუნებაში ხდებოდა, თითქოს ღამის პეიზაჟს მისჩერებიაო.

უცბად შენიშნა, რომ უკვე აღარაფერზე ფიქრობდა. ფიქრებში წასულმა თანდათან იმ შავ უფსკრულამდე მიაღწია, რომელშიც ყოველივე ქრება.

გუინპლენს გაახსენდა, რომ უკვე დიდი ხანია შინ უნდა დაბრუნებულიყო. ღამის ორი საათი სრულდებოდა.

მან პაჟის მიტანილი წერილი უბეში ჩაიდო, მაგრამ გაიფიქრა, პირდაპირ გულზე დამედოო და ეპისტოლე უკანვე ამოიღო, დაუდე-

ერად დაჭმუჭნა, შარვლის ჯიბეში ჩაიდო და სასტუმროსკენ წავიდა. სულ უხმაუროდ შევიდა, რომ გოიკეში არ გაელვიძებინა; ამ პატარა ბიჭს გუინპლენის მოლოდინში მაგიდასთან თავქვეშ ხელებამოდებულს დასძინებოდა. გუინპლენმა კარი დაკეტა, დუქნის ლამპარზე სანთელი აანთო, კარს ურდულები გაუყარა და კლიტეში გასაღები გადაატრიალა. ალღოთი ისეთ სიფრთხილეს იჩენდა, როგორიც შინ გვიან დაბრუნებულ კაცს სჩვევია. შემდეგ „მწვანე ყუთის“ კიბეზე ავიდა და ფეხაკრეფით შეიპარა იმ ძველ საზიდარში, სადაც ახლა იძინებდა: მძინარე ურსუსს დახედა. სანთელი ჩააქრო, მაგრამ არ დაწოლილა.

ასე მთელი საათი გავიდა, ბოლოს დაქანცულმა, თითქოს ლოგინი და ძილი ერთი ყოფილიყოს, გაუხდელად მიდო თავი ბალიშზე, სიბნელეს დანებდა და თვალები დახუჭა. მაგრამ გრძნობათა დაუცხრომელი ქარიშხალი არც ერთ წუთს არ ასვენებდა. უძილობა ღამის მოძალადეობაა ადამიანზე; გუინპლენი მეტად იტანჯებოდა; თავის სიცოცხლეში პირველად იყო იგი უკმაყოფილო თავისი თავისა. მის დაკმაყოფილებულ პატივმოყვარეობაში იდუმალი ქენჯნა, გულისტკივილი შეპარულიყო. რა უნდა ექნა? არც დილამ მოუტანა გუინპლენს მოსვენება. გაიგონა, ურსუსი რომ ადგა ლოგინიდან, მაგრამ თვალები არ გაუხელია. ფიქრს მისცემოდა. წერილის ყველა სიტყვა ქაოსური უწესრიგობით ირეოდა მეხსიერებაში. ძლიერი სულიერი აფორიაქებისას ჩვენი ფიქრი ტალღას ემსგავსება, იგი ბრდღვინავს, სადღაც მიილტვის და ზღვის ყრუ ზრიალისნაირ ბგერებს წარმოშობს: მოქცევა, მიქცევა, მოხეთქება, მორევები, ხანგამოშვებით ფრიალო კლდის ნაპირთან შეჩერება, ღრუბლები, სეტყვა და წვიმა, და უცებ ბნელ ბურუსში სხივი გამოჭიატდება. ქაფის უსუსური წინწკლები. გახელებული ზეაფრენა ზვირთებისა, რასაც უმალვე ქვედამხობა მოსდევს. ამდენი ძალ-ღონე ამაოდ დახარჯული. ხომალდის დაღუპვის საშიშროება, ყოველი მხრიდან წყვდიადი და დაღუპვის ნიშნები. ყოველივე, რასაც ჩვენ ზღვის წიაღსა და მორევში ვხედავთ, ადამიანის სულშიც იგივე ხდება. გუინპლენი ასეთ ქარიშხალს განიცდიდა.

როცა გუინპლენის გულის გამფატრავმა წუხილმა უმაღლეს წერტილს მიაღწია, როდესაც ისევ თვალდახუჭული იწვა, მახლობლად მას ტკბილი ხმა მოესმა:

— გუინპლენ, შენ ისევ გძინავს?

გუინპლენმა უცებ გაახილა თვალი და ლოგინზე წამოჯდა. მისი საწოლის კარ-ფარდა ნახევრად შეხსნილი იყო და ზღურბლზე დეა იდგა. მისი თვალები და პირბაგე ენით გამოუთქმელ ღიმილს გაენათებინა. დეა გამოცხადდა, როგორც დამატყვევებელი მოჩვენება, სხივთამფრქეველი შარავანდედით მოსილი, თუმცა ამას თვითონ დეა ვერც ამჩნევდა. ღვთაებრივი წამი იდგა. გუინპლენი თვალს არ აშორებდა დეას. ქალის თვალისმომჭრელმა სინარნარემ ჟრუანტელა მოჰგვარა და უცბად გამოერკვა. რისგან? ძილისგან? არა, უძილობისგან. ეს ხომ ის იყო, დეა! და გუინპლენმა უცბად შინაგან არსებაში იგრძნო ენით გამოუთქმელი და სიტყვით აუწერელი დაშვებება ქარიშხლისა და გამარჯვება კეთილისა ბოროტზე. ციდან მისკენ მომართულმა გამოხედვამ სასწაული მოახდინა. მშვიდმა, სულიერი ნათელის მქონე ბრმა არსებამ, მხოლოდ თავისი გამოცხადებით განაბნია გუინპლენის სულში გამეფებული წყვდიადი. ის სულიერ ხილვაზე ჩამოფარებული ბნელი ფარდა ისე ჩამოვარდა, თითქოს უხილავმა ხელმა ჩამოგლიჯაო. და ოჰ, ღვთაებრივო აღტაცებავ! გუინპლენმა იგრძნო, რომ მას კვლავ დაუბრუნდა აქამდე წარხოცილი გარკვეულობა და სიმშვიდე. ამ ანგელოზის წყალობით, ის კვლავ ძლიერი, კეთილი და უცოდველი გუინპლენი გახდა. ადამიანის სულში, ისევე როგორც მთელ სამყაროში მოხდება ხოლმე წინააღმდეგობათა ასეთი იდუმალი ურთიერთშეხლა. ორივენი დუმდნენ: დეა — ნათელი სული, გუინპლენი — უფსკრულ-მორევი; დეა — სახიერი სიკეთე, გუინპლენი — დაოკება. და გუინპლენის აბობოქრებულ გულს დეა, ვითარცა ვარსკვლავი ზღვათა, შუქს აფრქვევდა ენით გამოუთქმელი ელვარებით.

II

სიტკბოებიდან სიმკაცრისაკენ

რაოდენ უბრალოდ ხდება ხანდახან სასწაული! „მწვანე ყუთში“ საუზმის დრო დადგა და დეაც მიამიტად მივიდა გუინპლენთან, რომ ეკითხა, რატომ სუფრას არ მიუჯდებიო.

— შენა ხარ! — შესძახა გუინპლენმა და ამით ყველაფერი ითქვა.

მისთვის უკვე აღარ არსებობდა არავითარი სხვა ჰორიზონტი; არაფერი სხვა, გარდა იმ ცისა, სადაც დეა ეგულებოდა.

ვისაც არ უნახავს ზღვის ღიმილი, რომელიც უშუალოდ ქარიშხალ-თავსხმას მოსდევს, მას არ შეუძლია წარმოიდგინოს ასეთი დამშვიდება. ისე სწრაფად არაფერი მშვიდდება, როგორც ზღვის მორევისებური ბრუნვა. ეს იმით აიხსნება, რომ იგი ყოველივეს ადვილად ითქავს. ასეთია ადამიანის გულიც. თუმცა ყოველთვის არა.

გამოცხადდა თუ არა დეა, ყოველივე, რაც კი გუინპლენის სულში ნათელი იყო, მისკენ გაეშურა. და ყველა მოჩვენებაც შორს განიბნა გაბრუებული გუინპლენისაგან. ასეთია ძალა სიყვარულისა!

რამდენიმე წუთის შემდეგ ორივე ერთმანეთის პირდაპირ იჯდა, ურსუსი — მათ შუა. ჰომო მათ ფეხებთან იწვა. მაგიდის ზემოთ პატარა ლამპარი ენთო. მის ქვეშ ჩაიდანი იდგა. ფები და ვენუსი ეზოში რაღაცას საქმიანობდნენ.

საუზმობისას და ვახშამზეც ისინი ფურგონის შუა ნაწილში იკრიბებოდნენ. ვიწრო მაგიდას რომ მიუჯდებოდა დეა, ზურგს „მწვანე ყუთის" ფანჯარას მიუშვერდა, ხოლო პირისახეს კარს.

გუინპლენმა დეას ჩაი დაუსხა. მათი მუხლები ერთმანეთს ეხებოდა.

დეა მოხდენილად უბერაგდა თავის ფინჯანს. უცბად მან დააცემინა; ეს სწორედ იმ წამში მოხდა, როდესაც ლამპის ზემოდან ცოტაოდენი ბოლი აიშალა და რაღაც ქაღალდის ფურცლისნაირი დაიფერფლა. სწორედ ამისი ბოლისაგან დააცემინა დეას.

— რა არის ნეტავ? — იკითხა ქალმა.

— არაფერია, — უპასუხა გუინპლენმა და გაიღიმა.

გუინპლენმა ეს-ეს იყო ჰერცოგის ასულის წერილი დაწვა.

მოსიყვარულე ვაჟკაცის სინდისი იმ ქალის მფარველი ანგელოზია, რომელიც მას უყვარს.

წერილის დაწვის შემდეგ გუინპლენმა საოცარი შვება იგრძნო. მან ისევე შეიგრძნო თავისი პატიოსანი საქციელი, როგორც არწივი შეიგრძნობს თავისი ფრთების სიძლიერეს.

გუინპლენს ეგონა, დამწვარი ბარათის ბოლთან ერთად ცდუნებაც განიბნაო, რომ იმ ქალალდის ნაჭერთან ერთად თვითონ ჰერცოგის ასულიც ფერფლად იქცა.

მათ ერთმანეთის ფინჯნები ერეოდათ; გუინპლენი დეას ფინჯნი-

დან სვამდა ჩაის, დეა გუინპლენის ფინჯნიდან. თან განუწყვეტლივ ლაპარაკობდნენ. შეყვარებულთა ტიტინი ბელურების ჟღურტულია. ბავშვური საქციელია, რაც საკადრისია დედა ბატისათვისაც* და ჰომეროსისთვისაც. ორი შეყვარებული გულის საუბარი პოეზიის მწვერვალია, კოცნათა გახმიანება — მუსიკის მწვერვალი.

— იცი რა?

— არ ვიცი.

— გუინპლენ, მე მესიზმრა, თითქოს ჩვენ ნადირები ვიყავით და ფრთები გვესხა.

— რაკი ფრთები გვესხა, მაშ, ფრინველები ვყოფილვართ, — წასჩურჩულა გუინპლენმა.

— ნადირი, სიზმრად, ანგელოზს ნიშნავს, — წაიბუზღუნა ურსუსმა.

საუბარი გრძელდებოდა.

— შენ რომ არა ყოფილიყავ ამ ქვეყნად, ...

— მაშინ რა იქნებოდა?

— მაშინ ვიფიქრებდი, რომ ღმერთი არ არის.

— ჩაი ძალიან ცხელია, პირი არ დაიწვა, დეა.

— შეუბერე ჩემს ფინჯანს,

— რა კარგი ხარ დღეს, დეა!

— იცი, რამდენი რამე მაქვს შენთვის სათქმელი?

— მითხარი.

— მიყვარხარ!

— მეც შენი მოტრფიალე ვარ, დეა!

ურსუსი თავისთვის ბუტბუტებდა:

— რა საუცხოო არსებანი არიან, ღმერთსა ვფიცავ!

როდესაც გიყვარს, დუმილი განსაკუთრებით ალმაფრთოვანებელია; ამ წუთებში, თითქოს თავს იყრის ის სინაზე, რომელიც შემდეგ დამატკბობელ სიტყვებად გადმოიღვრება ხოლმე.

ცოტაოდენი დუმილის შემდეგ დეამ შესძახა:

— შენ რომ იცოდე! სალამოთი წარმოდგენის დროს, როდესაც მე შენს შუბლს ვეხები, ო, შენ ისეთი კეთილშობილი თავი გაქვს! იმ წუთში, როდესაც მე თითებით შენს თმას ვეხები, თრთოლა ამიტანს ხოლმე. ენით აუწერელ სიხარულს განვიცდი და ჩემს თავს ვეუბნები: ჩემს ირგვლივ გამეფებულ ამ მარადიულ ღამეში, ამ სამყაროში,

სადაც მე მარტოდმარტო დარჩენილს არავინ გამაჩნია, ამ დაუსრულებელ წყვდიად ქაოსში, სადაც ყოველივე ჩემშიც და ჩემს გარეშეც მაცდუნებელი და ბუნდოვანია, ჩემთვის მხოლოდ ერთი საიმედო დასაყრდენი შენა ხარ, გუინპლენ, შენა.

— ოჰ, დეა, გიყვარვარ და იმიტომ! — წარმოთქვა გუინპლენმა. — მეც არავინ გამაჩნია ამ ქვეყნად, შენ გარდა; დეა! შენ ხარ ჩემთვის ყველაფერი, რაც გინდა შეგისრულებ! რაც გინდა მომთხოვე, რასაც მოისურვებ, ყველაფერს შეგისრულებ. მითხარი მხოლოდ.

დეამ უპასუხა:

— არ ვიცი, მე ისე ბედნიერი ვარ.

— ოჰ, მართალია, ჩვენ ბედნიერები ვართ! — შესძახა გუინპლენმა.

ურსუსი ხმამაღლა მკაცრად შეედავა მათ:

— ჰოო, ასეა! თქვენ ბედნიერები ხართ? ეგ ხომ თითქმის დანაშაულია. მე ხომ უკვე გაგაფრთხილეთ. მაშ, ბედნიერები ხართ? თუ ასეა, გაფრთხილებთ, არავინ შეგნიშნოთ; რაც შეიძლება პატარა ადგილი გეჭიროთ ამ ქვეყნად. ბედნიერება სულ ვიწრო კუთხეში უნდა მიიკუნჭოს. მოიკუნტეთ, რაც შეიძლება მეტად, გაუჩინარდით, რაც შეიძლება. ადამიანი რამდენადაც უმნიშვნელოა, ღმერთი მას უფრო მეტ ბედნიერებას არგუნებს, თავიანთი ბედით კმაყოფილი ადამიანები ქურდებივით უნდა იმალებოდნენ. თქვენ კი გაბრწყინებულ ხართ, საცოდავო ციცინათელებო. კარგი, მაშ, გაგთელავენ ფეხებით და ძალიან კარგადაც იზამენ! ეს რა სულელური ლაციცობაა? მე დუენია ხომ არა ვარ, რომ ვალდებული ვიყო ვუცქირო შეყვარებული მტრედების კოცნას? ბოლოს და ბოლოს რა თავი მომაბეზრეთ, დამეკარგეთ აქედან!

ურსუსი გრძნობდა, რომ მისი მკაცრი ხმა თანდათან ტკბილი, თითქმის ნაზიც ხდებოდა, მაშინ ეცადა მღელვარება არ შესტყობოდა და უფრო ხმამაღლა აბუზღუნდა.

— მაშა, ასე გაჯავრებით რატომ გვიყვირით? — უთხრა დეამ.

— იმიტომ, რომ მე არ მიყვარს, როდესაც ადამიანები მეტად ბედნიერები არიან, — უპასუხა ურსუსმა.

აქ ურსუსს ჰომომაც დაუდასტურა: შეყვარებულთა ფეხებთან მგლის ღრენა გაისმა.

ურსუსი დაიხარა და ჰომოს თავზე ხელი დაადო.

— რა იყო, ჰომო! გუნებაზე არა ხარ! რას გვიღრენ? როგორ აგბურძგნია ჯაგარი მაგ შენს მგლურ თავზე! შენც არ მოგწონს, როდესაც შეყვარებულები ღულუნებენ? ეგ იმას ნიშნავს, რომ შენ ჭკვიანი მყავხარ. მაგრამ სულერთია, ახლა ჩუმად იყავი. შენი აზრი ხომ გამოთქვი, გამოგვეხმაურე. ახლა სუ, — ხმა ჩაიკმინდე.

მაგრამ მგელი ისევ იღრინებოდა.

ურსუსმა მაგიდის ქვეშ შეიხედა.

— დაწყნარდი-მეთქი, ჰომო. აბა, ნუ ჯიუტობ, ფილოსოფოსო!

მაგრამ მგელი ზეზე წამოიჭრა, კარებს მიაჩერდა და პირდაღებულმა ღრჯოლები გადმოყარა.

— რა დაგემართა! — დასძახა ურსუსმა ჰომოს და ქეჩოში ხელი ჩასჭიდა.

დეა ყურადღებას არ აქცევდა მგლის ღრენას; მთლად თავის ფიქრებში წასული, გუინპლენის ლაპარაკით და ხმით ტკბებოდა, დუმდა, რაც მხოლოდ ბრმებს ემართებათ, და რაც მათ შესაძლებლობას აძლევს თავისივე გულიდან ამონამღერ სიმღერას მოუსმინონ. ეს უხმო, იდუმალი მუსიკა ბრმებს სინათლის მაგივრობას უწევს; სიბრმავე ქვესკნელის წყვდიადია, საიდანაც ღრმა, მარადიული ჰარმონია მოისმის.

ურსუსმა ჰომოს დასამშვიდებლად მაგიდის ქვეშ შეიხედა, გუინპლენმა კარისაკენ გაიხედა.

მან ის იყო ფინჯანი პირთან მიიტანა, მაგრამ არ დაულევია. მოშვებული ხრახნივით ნელინელ დაუშვა ხელი და ფინჯანი ისევ მაგიდაზე დადგა. თითები ასევე გაშლილი დარჩა, მთლად გაშეშდა, სუნთქვაშეკრული ერთ წერტილს მიაჩერდა.

კარში, დეას ზურგს უკან, ვიღაც კაცი იდგა.

უცნობს გრძელი შავი თავჩაბალახიანი ლაბადა ეცვა, პარიკი თითქმის წარბებამდე დაეშვა, ხელში რკინით შეჭედილი კვერთხი ეჭირა, რომლის თავსა და ბოლოში მეფის გვირგვინი იყო ამოკვეთილი.

კვერთხი მოკლე იყო და მკვრივი.

თუ წარმოიდგენთ მედუზას*, რომელსაც სამოთხის ხის ორ ტოტს შუა თავი გამოუყვია.

ურსუსმა იგრძნო, რომ ვიღაც შემოვიდა, ჰომოსთვის ხელი არ გაუშვია, ისე გაიხედა კარისკენ, საშინელი სტუმარი დაინახა და მთელი ტანით ათრთოლდა.

— ეგ კვერთხისმტვირთველია, — წასჩურჩულა ყურში გუინპლენს. გუინპლენსაც გაახსენდა.

გაკვირვებულმა კინაღამ შეჰყვირა, მაგრამ თავი შეიკავა.

რკინის კვერთხი, თავსა და ბოლოში გვირგვინი რომ ჰქონდა, IRON-WEAPON იყო.

ეს ის განთქმული კვერთხი იყო, რომელზედაც ქალაქის მოსამართლენი თანამდებობებზე დანიშვნისას ფიცსა დებდნენ და რომლის გამოც ადრინდელ პოლიციელებს ინგლისში მიულიათ თავისი სახელი.

ამ პარიკიანი კაცის უკან, ოდნავ სიბნელეში სასტუმროს პატრონის შეშინებული სახე მოჩანდა.

კაცმა უსიტყვოდ, ძველი ქარტიების თემიდას მსგავსად მარჯვენა ხელი გაიწოდა დეას მოლიმარი სახის ზემოდან, რკინის კვერთხით გუინპლენს მხარზე შეეხო და იმავე დროს მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი „მწვანე ყუთის“ კარისკენ გაიშვირა. კვერთხისმტვირთველის დუმილის გამო, ეს ორნაირი ნიშანი უფრო მეტად მბრძანებლური იყო. იგი ნიშნავდა: „მომყევით“.

კანონის ძალით „ადექ და წამოდი“ — ნათქვამია ნორმანდიის მონასტრის გუჯართა კრებულში.

ის, ვისაც კვერთხს დაადებდნენ, ყოველ უფლებას ჰკარგავდა, მხოლოდ დამორჩილების უფლებაღა რჩებოდა. უსიტყვო ბრძანების წინააღმდეგ არავითარი შეკამათება არ შეიძლებოდა. ურჩობისათვის ინგლისის კანონმდებლობა უკიდურესობამდე დაუნდობლად სჯიდა.

გუინპლენმა იგრძნო რა კანონის სასტიკი ხელი, ჯერ შეკრთა, მერე თითქოს გაქვავდა.

თავში რომ მძიმე რამე დაერტყათ, ისე არ დაარეტიანებდა, როგორც ამ რკინის კვერთხის უბრალო შეხებით დაემართა. მიხვდა, რომ უბრძანებდნენ გაჰყოლოდა პოლიციელს, მაგრამ რადა? ეს აღარ ესმოდა.

ურსუსი თავზარდაცემული იყო, მაგრამ მაინც საკმაოდ ნათლად წარმოიდგინა რაც ხდებოდა. ის ამ დროს ფიქრობდა თავის მოქიშპე ოინბაზებსა და მჭადაგებლებზე. ფიქრობდა, „მწვანე ყუთის“ დამბეზღებლებზე, დამნაშავე მგელზე. აგონდებოდა თავისი შეკამათება ბიშოფსგეიტის სამ ინკვიზიტორთან; და იქნებ, რაც უფრო საში-

ნელი იყო, ფიქრობდა კიდევ გუინპლენის მიერ ნათქვამ უწესო და საამბოხო სიტყვების შესახებ, მეფის ძალაუფლების წინააღმდეგ რომ წამოსცდენოდა. ურსუსი მეტად შეშინებული ჩანდა.

დეა ისევ იღიმებოდა.

არც გუინპლენსა და არც ურსუსს სიტყვა არ დაუძრავთ. ორივეს ერთი აზრი დაუფლებოდა: დეა არ შეეწუხებინათ. მგელსაც ალბათ გადაეწყვიტა, ასევე მოქცეულიყო, ვინაიდან ღრენა შეწყვიტა. თუმცა, ურსუსს იგი ისევ ქეჩოში ხელჩაკიდებული ეჭირა.

თვით ჰომო ზოგიერთ შემთხვევაში თვითონაც სიფრთხილეს ირჩევდა. ვის არ შეუმჩნევია, რაოდენ თავშეკავებით ამჟღავნებენ ხოლმე პირუტყვები თავის წუხილს.

რამდენადაც მგელს შეუძლია ადამიანთა განზრახვა გაიგოს, იქნებ ჰომო იმდენად თავს დამნაშავედ გრძნობდა.

გუინპლენი ადგა.

მან იცოდა, რომ წინააღმდეგობის გაწევა უაზრობა იყო. კარგად ახსოვდა ურსუსის სიტყვებიც, რომ არავითარი შეკითხვების მიცემა არ შეიძლებოდა და კანონის წარმომადგენლის წინაშე წელში გაიმართა.

ბოქაულმა მოაშორა მის მხარს რკინის კვერთხი და ბრძანების ნიშნით წინ გაიწოდა. იმ ხანებში პოლიციელის ასეთი ნიშანი ყველასათვის გასაგები იყო.

„მხოლოდ ეს კაცი გამომყვეს, დანარჩენები ადგილიდან არ დაიძრნენ, არც ხმა ამოიღონო“.

შეკითხვები დაუშვებელი იყო. ყოველი დროის პოლიცია დიდის გულმოდგინებით კრძალავდა ამაო ლაპარაკს.

ამ სახით დაპატიმრებას „პიროვნების სეკვესტრი“ ეწოდებოდა.

ბოქაული მექანიკურად მომართულ ტიკინასავით, ერთბაშად მიტრიალდა, მედიდურად გაბღენძილი თანაბარი ნაბიჯით გაემართა გასასელელი კარისაკენ.

გუინპლენმა ურსუსს შეხედა. ურსუსმა მას რთული მიმიკით უპასუხა: მხრები აიჩეჩა, იდაყვები ფერდებზე მიიჭირა, ხელები გაშალა და წარბები მაღლა აჭიმა. რაც ალბათ ნიშნავდა: „უნდა დავეშორჩილოთ უცნობ ბედსაო“.

გუინპლენმა დეას შეხედა, რომელიც რაღაცაზე ჩაფიქრებულიყო, პირისახეზე ისევ ღიმილი დასთამაშებდა.

გუინპლენმა თითები ბაგესთან მიიტანა და დეას სიტყვით გამოუთქმელი ნაზი კოცნა გაუგზავნა.

როგორც კი ბოქაულმა ზურგი შეაქცია ურსუსს, მან მხნეობა მოიკრიბა, ისარგებლა ამ წამიერი დროითა და გუინპლენს ყურში ჩასჩურჩულა:

— თუ გინდა ცოცხალი გადარჩე, ხმა არ ამოიღო, არა სთქვა რა, ვიდრე არ შეგეკითხებიან.

გუინპლენი ისე ფრთხილად მოეშზადა წასასვლელად, ისე უხმაუროდ გადადგა ნაბიჯი ქუდისა და მოსასხამის ჩამოსახსნელად, თითქოს ოთახში ავადმყოფი ეგულება და ამის გამო ფრთხილობს, ხმაურით არ შეეაწუხოო. მოსასხამში კარგად გაეხვია, ისე რომ თვალებიღა უჩანდა; ქუდიც შუბლზე წარბებამდე ჩამოიფხატა. რადგან წინა საღამოს ტანისამოსგაუხდელი მიწვა ლოგინზე, ახლაც ისევ სამუშაო ტანსაცმელი ეცვა, ტყავის გულსაფრით. მან ერთხელ კიდევ შეხედა დეას. როცა ბოქაული „მწვანე ყუთის" გასასვლელ კართან მივიდა, მან კვერთხი მაღლა აღმართა და გადასაშვები კიბის ორიოდ საფეხურზე ჩაეიდა. გუინპლენი ისე მიჰყვებოდა, თითქოს უხილავი ჯაჭვით არის გამობმულიო. ურსუსმა მიმავალ გუინპლენს თვალი გააყოლა. ამწუთას მგელმა შესაბრალისი ღმუილი ატეხა, მაგრამ ურსუსმა უცბადვე დაუყვავა, წესრიგის დაცვა გაახსენა და უჩურჩულა: „გუინპლენი მალე დაბრუნდებაო".

ეზოში მყოფ ნიკლსს ალბათ უნდოდა, პოლიციელისთვის ვამებინა და შიშისაგან აკივლებულ ვენუსსა და ფების მრისხანედ ანიშნა, ახლავე გაჩუმდითო. ისინი თავზარდაცემულნი შეჰყურებდნენ, როგორ მიჰყავდა გუინპლენი შავმოსასხამიან და რკინისკვერთხიან კაცს.

ეს ქალები გაქვავებულებივით იდგნენ, თითქოს უცბად სტალაქტიდებად იქცნენო.

გაცბუნებული გოვიკემი თვალებგადმოკარკლული იცქირებოდა ნახევრად ღია ფანჯრიდან.

ბოქაული უკან მოუხედავად წინ მიუძღოდა გუინპლენს. სახეზე ისეთი გულცივი სიმშვიდე აღბეჭდვოდა, როგორიც კანონის სახელით მოქმედ ადამიანებს აღებეჭდებათ ხოლმე.

სრულ სიჩუმეში მათ გაიარეს ეზო, შემდეგ სამიკიტნოს სასტუმრო-სასადილო და მოედანზე გავიდნენ. სასტუმროს კართან

გამელელების მთელი გუნდი შეგროვილიყო, იქვე იდგა პოლიციელების ჯგუფი, რომელსაც სასამართლოს ბოქაული მეთაურობდა. ამ სანახაობით განცვიფრებული და თან შემკრთალი ყველა სეირის მაყურებელი უსიტყვოდ გადგა უკან და გზა დაუთმო კვერთხიან კონსტებლს — ასეთი დისციპლინისაა ყოველი ინგლისელი. ბოქაული ვიწრო შუკებით თეშზის სანაპიროს გაუყვა. გუინპლენს ორიეე მხრიდან პოლიციელთა რაზმის ბადრაგი მისდევდა; გადაფითრებული ფეხს ადგამდა მხოლოდ, სხვა მოძრაობას როგორ გაბედავდა! იგი მოსასხამში სუდარასავით გახვეული ნელ-ნელა შორდებოდა სასტუმროს. მდუმარე კაცს თვითონაც უსიტყვოდ მისდევდა იმგვარად, როგორც ქანდაკება გაჰყვებოდა მოჩვენებას.

III

LEX, REX, FEX*

დაპატიმრება მიზეზის აუხსნელად, რაც ერთობ გააკვირვებს დღევანდელ ინგლისელს, იმ დროის დიდი ბრიტანეთის პოლიციის საქმიანობაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ასეთი რამ, HABEAS CORPUS-ის* მიუხედავად, ჯერ კიდევ გეორგ II-ის მეფობის დროს ხდებოდა, თან ისეთ საჩოთირო შემთხვევებშიც კი, როცა საფრანგეთში საიდუმლო დავალებები — ე.წ. LETTRES DE CACHET გაიცემოდა ხოლმე დაპატიმრებაზე. უოლპოლისთვის* წაყენებული ერთ-ერთი ბრალდებაც ხომ იმაში მდგომარეობდა, რომ მან თავად მისცა ნება ან განკარგულება ნეიჰოფის* ასეთი სახით დატუსაღებაზე. ეს ბრალდება, როგორც ჩანს, არც მთლად დასაბუთებული აღმოჩნდა, რამეთუ ნეიჰოფი, კორსიკის მეფე, თავისმა კრედიტორებმა დააპატიმრებინეს.

უსიტყვო დაპატიმრებანი, რომელთაც ფემპერიხტის* პრაქტიკაში პოვეს ფართო გამოყენება, გერმანიაში ჩვეულებად ქცეულიყო და ერთი მხრივ ინგლისური კანონმდებლობის დადებითი ნაწილის ფუძესაც წარმოადგენდა, მეორე მხრივ კი ნორმანდიელთა სულისკვეთება იგრძნობოდა, რაც ხსენებული კანონების ნეგატიურ მხარეს ასაზრდოებდა.

იუსტინიანეს* სასახლის მცველთა უფროსს „საიმპერატორო

დუმილის მცველს" უწოდებდნენ, ინგლისის მაგისტრატურა, რომელიც ამნაირ დაპატიმრებას მიმართავდა, მრავალრიცხოვან ნორმანდიულ ტექსტებს ემყარებოდა. CANES LATRANT, SERGENTES SILENT. — SERGENTER AGERE, ID EST TACERE*. იგი ლანდულფუს საგაქსის სტატუსის მე-16 პარაგრაფს მიუთითებდა: FACIT IMPERATOR SILENTIUM*. მოჰყავდა ციტატები მეფე ფილიპეს 1307 წლის ქარტიიდან — MULTOS TENEBIMUS BASTONERIOS QUI, OBMUTESCENTES, SERGENTARE VALEANT*. იძოწმებდა ადგილებს ინგლისის მეფე ჰენრიხ პირველის სტატუსის LIII თავიდან: SURGE SIGNO JUSSUS. TACITURNIOR ESTO. HOC EST ESSE IN CAPTIONE REGIS*. განსაკუთრებით ბეჯითად სარგებლობდა იმ განკარგულებით, რომელსაც იგი ინგლისის უძველეს ფეოდალურ პრივილეგიად მიიჩნევდა და რომელშიც ნათქვამი იყო: „ვიკონტებს ექვემდებარებიან სამხედრო სერჟანტები, რომელნიც ვალდებულნი არიან დასჯონ კანონის სასტიკი მსჯავრით ყველა, ვისაც ბრალად დაედება რაიმე მძიმე დანაშაული; რომელნიც გამოქცეულან და ერთხელ უკვე მისჯილი ჰქონიათ ქვეყნიდან განდევნა... მოვალენი არიან გამოიყენონ შთამაგონებელი ზომები, რათა მშვიდობიან მოსახლეობას შეეძლოს უშიშრად ცხოვრება. ხოლო ბოროტგანმზრახველნი გახადონ უვნებელნი". ამ დადგენილებით დაპატიმრება გულისხმობდა შეიარაღებული მცველების მიერ დაპატიმრებას (VETUS CONSUETUDE NORMANNIAE MS.,* ნაწ. I, განყ. I, თავი II) იურისკონსულტებს კი ამას გარდა, მოჰყავდათ თავი SERVIENTES SPATHAE-ს შესახებ CHARTA LUDOVICI HITINI PRO NORMANIS-დან*, რაც ვულგარული ლათინური ენის თანამედროვე სალაპარაკო ენასთან დაახლოების შედეგად SERVIENTES SPATHAE გადაიქცა SERGENTERS SPADAE-დ*.

უსიტყვოდ დაპატიმრებების გარდა იყო კიდევ დაპატიმრებები შეძახილით: „არა!" რაც სამართალში მიცემის სიტყვიერ გამოცხადებას ნიშნავდა; თან იმასაც აუწყებდა დაპატიმრებულთ, რომ უნდა დაეცვათ დუმილი, ვიდრე არ გამოირკვეოდა ზოგიერთი გარემოება.

ეს იყო გაფრთხილება: არავითარი შეკითხვები!

პოლიციისგან ასეთი დაპატიმრებები იმის მაჩვენებელი იყო, რომ ეს სახელმწიფოებრივი მოსაზრებით ხდებოდა.

ასეთი დაპატიმრებების განხილვის პროცესს სამოსამართლო ტერმინ PRIVATE-თი აღნიშნავდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ დახურულად, ხალხის დაუსწრებლად უნდა მომხდარიყო.

ზოგიერთ ქორონიკონთა დამოწმებით, სწორედ ამნაირად დააპატიმრა ედუარდ III-მ მორტიმერი,* რომელიც თავისი დედის, ფრანგი იზაბელის ლოგინში შეიპყრო; თუმცა ეს ფაქტი უდავო არ არის, რადგან მორტიმერი, ვიდრე მას შეიპყრობდნენ, თავის მშობლიურ ქალაქში იყო ალყაშემორტყმული.

„მეფეების მკეთებელი" უორიკიც* ხშირად მისდევდა ხალხის ამგვარ „მიცემას სამართალში"

კრომველიც იყენებდა ასეთ დაპატიმრებებს, განსაკუთრებით კონაუტში. ამგვარად დააპატიმრეს კილმეკოში გრაფ ორმონდის ნათესავი ტრეილი არკლო.

მართლმსაჯულების წარმომადგენლის მიერ უსიტყვო მინიშნებით შეპყრობა უფრო სასამართლოში გამოძახებას ნიშნავდა, ვიდრე დაპატიმრებას.

ხან ასეთი შეპყრობა მხოლოდ და მხოლოდ გამოკითხვის მიზნით ხდებოდა; ხოლო იქ მყოფთა დუმილი ერთგვარად დაპატიმრებულის ინტერესების დაცვისათვის წარმოებდა.

მაგრამ ხალხი კანონებში ასე ფაქიზად ვერ ერკვეოდა და ეს უსიტყვო დაპატიმრებები მეტისმეტად საშინლად ეჩვენებოდა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ 1705 წელს და ამაზე ბევრად ადრეც ინგლისი ისეთი არ იყო, როგორიც ახლაა. მთელი მისი შინაური წყობილება არეულ-დარეული იყო და მოსახლეობისათვის ხან მეტისმეტად მძიმე ასატანიც. დანიელ დეფომ პირადად განიცადა, თუ რა არის სამარცხვინო ბოძი; ამიტომ თავის ერთ-ერთ ნაწარმოებში ინგლისის საზოგადოებრივ წყობილებას შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: „კანონის რკინის ხელებიო". არა მხოლოდ კანონი მეფობდა, არამედ თვითნებობაც მძვინვარებდა. გავიხსენოთ თუნდაც მარტო სტილი, მისი პარლამენტიდან გაძევება, ლოკი, კათედრიდან ჩამოგდებული, ჰობსი და გიბონი, რომლებიც იძულებულნი გახდნენ გაქცევით ეხსნათ თავი. ჩარლზ ჩერჩილი, ჰიუმი და პრისტლი, რომლებსაც სდევნიდნენ, ჯონ უილკსი, რომელიც ტაუერში დააპატიმრეს. ყველა მსხვერპლს თუ ჩამოვთვლიდით, მეტად გრძელი სია შედგებოდა. ინკვიზიციამ ევროპის ყოველ მხარეში შეაღწია. ინკვი-

ზიცის მიერ წარმოებული ძიების ხერხები ბევრისთვის სკოლად გადაიქცა. ინგლისში ადგილობრივი მოსახლეობის უმთავრესი უფლებები სრულიად შელახული იყო. გაიხსენონ თუნდაც „მეგა-ზეთე ჯავშნოსანი“. მეთვრამეტე საუკუნის ნახევარში ლუდოვიკო მეთხუთმეტის ბრძანებით პიკადილიზე იჭერდნენ მისთვის არასასურველ მწერლებს. ისიც მართალია, რომ გეორგ III-მ* საფრანგეთში, ოპერის დარბაზში დააპატიმრა ტახტის მოცილე*. ამ ორ მეფეს მეტისმეტად გრძელი ხელები ჰქონდა. საფრანგეთის მეფის ხელები ლონდონამდე სწვდებოდა, ხოლო ინგლისის მეფისა პარიზამდე. ასეთი იყო მას ჟამსა შინა თავისუფლება.

უნდა დავუმატოთ, რომ ხელისუფლება დასჯას ციხის შიგნითაც არ ერიდებოდა. დასჯა მოტყუებითაც ხდებოდა. მოქმედების ამ საზიზღარ ხერხს ინგლისი ჩვენს დროშიც არ ივიწყებს და მთელ ქვეყანას მეტისმეტად უცნაურ სანახაობას უჩვენებს: საუკეთესოს არჩევის მიზნით ეს დიდი სახელმწიფო ყველაზე უარეს საშუალებას ირჩევს, და მაშინ, როდესაც ერთი მხრივ წარსულისა და მეორე მხრივ მომავალ პროგრესს შორის არჩევნის წინაშე დგას, სასტიკად სცდება, რადგან ღამე ღლედ მიაჩნია.

IV

ურსუსი პოლიციას უთვალთვალებს

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმ დროის ინგლისში არსებული სასტიკი კანონების მიხედვით, ერთი პირისადმი მიმართული ბრძანება, რათა კვერთხისმტეხართველს გაჰყოლოდა, დანარჩენ იქ მყოფთ ავალებდა, ადგილიდან არ დაძრულიყვნენ.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ცნობისმოყვარე არ ემორჩილებოდა ასეთ მოთხოვნას. გუინპლენსა და მის წამყვანთ ზოგნი შორიახლო მისდევდნენ.

მათ შორის იყო ურსუსიც.

პირველ წუთში ურსუსი ისე გაქვავდა, რამდენადაც კი შეიძლება, რომ კაცი გაქვავდეს. მაგრამ მას იმდენჯერ შემთხვევია მოხეტიალე ცხოვრების მანძილზე მოულოდნელი უსიამოვნებანი, რომ სამხედრო ხომალდის მსგავსად, სადაც ხიფათის მომენტში მთელ

ეკიპაჟს საბრძოლო პოსტზე მოუწოდებენ ხოლმე, მანაც, ურსუსმაც, მთელი თავისი გონებრივი უნარიანობა მოიხმო საშველად.

იგი სასწრაფოდ გამოერკვა გაოგნებიდან და საგონებელს მიეცა. ხიფათის დროს კაცი პანიკას არ უნდა მიეცეს. შიშს პირდაპირ უნდა შეხედოს თვალებში. ეს ყოველი ადამიანის მოვალეობაა, თუ მშიშარა არ არის იგი.

დიდხანს კი არ უნდა ეჩხრიკოთ მომხდარი ამბის მიზეზები, არამედ უნდა ვიმოქმედოთ. დაუყოვნებლივ ვიმოქმედოთ. ურსუსი თავის თავს შეეკითხა:

— რა მოვიმოქმედო?

როგორც კი გუინპლენი წაიყვანეს, ურსუსის წინაშე ორი საშიშროება წამოიჭრა: გუინპლენის ხვედრით შეწუხებულს უნდოდა მის კვალს ასდევნებოდა. ხოლო თავისი პირადი უსაფრთხოების გამო ალღო კარნახობდა, ადგილიდან არ დაძრულიყო.

ურსუსს ბუზის შეუპოვრობა და მიმოზას შტოსნაირი სიმტკიცე ახასიათებდა. ენით აუწერელმა თრთოლამ აიტანა, მაგრამ მაინც გმირულად უკუაგდო ყოყმანი და წინააღმდეგ კანონის დადგენილებისა, გადაწყვიტა კვერთხისმტვირთველის კვალს გაჰყოლოდა. ის მეტისმეტად შეშფოთებული იყო. ფიქრობდა, ვინ იცის, რა დაემართებაო გუინპლენს. ცხადია, უაღრესად შეშინებული იქნებოდა, რაკი ასეთი გამბედაობა გამოიჩინა. რანაირ გაბედულებას არ იჩენს თვით კურდღელი, როცა მას ხიფათის დროს შიშის ზარი აიტანს ხოლმე! ელდისგან წაბიძგებული ჯეირანი ნაპრალზე გადახტება. შიშის გავლენით ხან ყველანაირ სიფრთხილეს უკუაგდებენ ხოლმე.

გუინპლენის წაყვანა უფრო მოტაცებას ჰგავდა, ვიდრე დაპატიმრებას. პოლიცია ისე სწრაფად მოქმედებდა, რომ ბაზრის მოედანზე, სადაც ადრიან დილით ცოტა ხალხი ირეოდა, გუინპლენის დაპატიმრება ჯერ არც კი შეემჩნიათ. ტარინზოფილდის ფარდულებიდან თითქმის არავის დაუნახავს როდის მოვიდა კვერთხისმტვირთველი, რათა „კაცი, რომელიც იცინის“ წაეყვანა. სწორედ ამიტომ არ მისდევდა დაპატიმრებულ გუინპლენს ბევრი ხალხი.

გუინპლენს განიერფარფლებიანი ქუდი თვალებამდე ჰქონდა ჩამოფხატული, ფართო მოსასხამში გახვეული, გამვლელებმა ვერც კი იცნეს.

ვიდრე გუინპლენის კვალის ძებნას შეუდგებოდნენ, ურსუს-

მა ერთ გამაფრთხილებელ ზომას მიმართა. მან გვერდზე გაიხმო ნიკლსი, ბიჭი გოვიკენი, ფები და ვენუსი, და სასტიკად აუკრძალა დეასთან სიტყვა დაეძრათ გუინპლენის დაპატიმრების შესახებ. დეა ეჭვითაც ვერ უნდა მიმხვდარიყო. ურსუსმა ყველა გააფრთხილა, ამაზე ხმა არ ამოელოთ. თუკი დეა მაინც შეეკითხებოდა, ეთქვათ მისთვის, ვითომც გუინპლენი და ურსუსი თავიანთი თეატრის საქმეებზე წავიდნენო. მალე დეა ჩვეულებრივ სადილის წინ დაიძინებდა და, ვინაიდან ყოველივე ეს სრული გაუგებრობაა, MISTAKE, როგორც ინგლისში ამბობენ, მის გაღვიძებამდე ურსუსი და გუინპლენი დაბრუნდებოდნენ კიდეც. ისა და გუინპლენი სულ ადვილად განუმარტავდნენ ყველაფერს სასამართლოსა და პოლიციას. ისინი დაუმტკიცებდნენ ხელისუფლებას მათ შეცდომასა და ორივენი მალე შინ დაბრუნდებოდნენ. ურსუსმა შეძლო გუინპლენს სრულიად შეუმჩნეველად ასდევნებოდა, რადგან ცდილობდა, რამდენადაც კი შეიძლებოდა, შორს მიჰყოლოდა; თუმცა შორს მიჰყვებოდა, მაგრამ მაინც თვალს არ აშორებდა მას. მალულად თვალყურის დევნება მშიშარა კაცის სიმამაცეა.

ბოლოს და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ გუინპლენი ესოდენ დიდის ამბით დააპატიმრეს, შესაძლოა იგი პოლიციაში რაღაც უმნიშვნელო ბრალდების გამო ყოფილიყო დაბარებული. ურსუსი თავს იმით იიმედებდა, საკითხი მალე გაუჭიანურებლივ გადაწყდებაო.

ზოგი რამ გზადაგზა გამოირკვევა იმის მიხედვით, საითკენ წავა პოლიციელთა რაზმი, როდესაც ტარინზოფილდის ბოლოს მიაღწევს და ლითლ-სტრენდის ერთ-ერთ შუკაში შეუხვევს.

თუ მარცხნივ მიტრიალდებიან, მაშინ გუინპლენი საუთვორქის რატუშაში მიჰყავთ. ამ შემთხვევაში რაიმე მნიშვნელოვანი არ მოხდება და არც უნდა ვშიშობდეთ. ქალაქის დადგენილებათა რაიმე უმნიშვნელო დარღვევაში თუ გვდებენ ბრალსაო, — ასე ფიქრობდა ურსუსი. — მოსამართლე დატუქსავს ან დაემუქრება, ორ-სამ შილინგ ჯარიმას გადაახდევინებენ და ამით გათავდება ყველაფერიო. გუინპლენს გამოუშვებენ და „დამარცხებული ქაოსის" წარმოდგენა ჩვეულებრივ დროს, იმავე საღამოს შედგება. ვერც ვერავინ შეამჩნევს, რა მოხდა.

მაგრამ თუ რაზმი მარჯვნივ შეუხვევს, მაშინ საქმე სერიოზული იქნება. ამ მხარეს საშინელი ადგილები იყო.

როცა გუინპლენის მობადრაგე ორმწკრივი პოლიციელების წინამძღოლი კვერთხისმტვირთველი ლითლ-სთრენდამდე მივიდა, ურსუსი სულშეხუთული მიაშტერდა. არის ხოლმე ისეთი მომენტები, როდესაც ადამიანი მთელ თავის ძალ-ღონეს თვალთახედვაში მოიკრეფს.

საით მიტრიალდებიან?

მიტრიალდნენ მარჯვნივ.

ურსუსი თავზარდაცემული წაბარბაცდა და კედელს მიეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო.

არის ხოლმე პირმოთნე სიტყვები, რომლითაც ზოგჯერ ადამიანი თავის თავს მიმართავს: „უნდა გავიგო, რაშია საქმე". გუნებაში ადამიანს ეს სულაც არ სურს. მას მხოლოდ შიში ალაპარაკებს. ადამიანი თავის თავს არ უმხელს, მაგრამ დიდი სიამოვნებით დაიხევდა უკან და ერთი ნაბიჯის წინ წადგმის მერე უკვე თავის თავს უსაყვედურებს.

სწორედ ასე ემართებოდა ურსუსსაც. იგი შეძრწუნებული ფიქრობდა, — საქმე ცუდად მიდის, მე მერეც შემეძლო გამეგო ეს უსიამოვნო ამბავი. რისთვის აველევნე გუინპლენის კვალსო.

ეს დაასკვნა ურსუსმა, მაგრამ, რადგან ადამიანს შინაგანი წინააღმდეგობანი ახასიათებს, ნაბიჯი აიჩქარა, შიში გულიდან გადაიგდო და გაეშურა, რომ პოლიციელებს დასწეოდა: ცდილობდა საუთვორჭის ქუჩების ლაბირინთში არ გამწყდარიყო ის ძაფი, რომელიც მას გუინპლენთან აკავშირებდა.

დაპატიმრებული გუინპლენისა და მისი ბადრაგის საზეიმო მსვლელობა ნელი ნაბიჯით მიემართებოდა.

მსვლელობას წინ კვერთხისმტვირთველი მიუძღოდა.

უკან სასამართლოს ბოქაული მისდევდა, ხოლო აქეთ-იქიდან პოლიციელთა რაზმეული.

ამ წესის გამო აჩქარებული სიარული არ შეიძლებოდა.

სასამართლოს ბოქაულს მედიდურობა აღბეჭდოდა გარეგნობაზეც. მისი ტანისამოსი ერთგვარად თითქოს საშუალოს წარმოადგენდა ოქსფორდის მუსიკის დოქტორის ბრწყინვალე ტანსაცმლისა და კემბრიჯის ღვთისმეტყველების დოქტორის უბრალო შავ სამოსელს შუა. მისი გრძელი, ნორვეგიული კურდღლის ტყავსარჩულიანი ქლამინდის ქვეშიდან აზნაურის კაშხოლი მოჩანდა. ამ კაცის

ჩაცმულობა ნაწილობრივ შუა საუკუნეებისას მოგაგონებდათ. თავზე პარიკი ლამუანონის მსგავსად დაედო, ხოლო სახელოები ისეთი განიერი ჰქონდა, როგორც ტრისტან განდეგილს*... მას დიდრონი მრგვალი თვალები ბუსავით მიეშტერებინა გუინპლენისათვის. გამოზომილ, თანაბარ ნაბიჯებს დგამდა. ამაზე უფრო მძვინვარე კაცს ვგონებ ვერც შეხვდებოდა ადამიანი.

ურსუსი მიხვეულ-მოხვეულ შუკებში სწორ გზას ცოტათი ასცდა, მაგრამ წმინდა მარიამ ოვერ-რეის ეკლესიასთან ისევ წამოეწია მსვლელობას, რომელიც, საბედნიეროდ, ბიჭებსა და ძაღლებს შორის ატეხილმა ჩხუბმა და ჩოჩქოლმა შეაფერხა. ასეთი სანახაობა ჩვეულებრივი იყო მაშინდელ ლონდონში.

იმ დროს ბადრაგის თანხლებით მოსამართლესთან კაცის წაყვანა სულ ჩვეულებრივი მოვლენა იყო, და რადგან ყველას, ვინც კი შეამჩნია ეს, თავიანთი საქმე ჰქონდა, ამიტომ ცნობისმოყვარეთა გროვა მსვლელობას მალე ჩამოშორდა; ისე რომ, გუინპლენის კვალს მხოლოდ ურსუსიღა მისდევდა.

გასცილდნენ ორ სამლოცველოს. ერთმანეთის პირდაპირ მდგარი ეს ორი სამლოცველო დღემდე არსებულ ორ სხვადასხვა სექტას ეკუთვნოდა: ერთი „სარწმუნოებრივი დასვენების“ თემსა თუ საზოგადოებას ემსახურებოდა, მეორე — „ალილუიას ლიგას“.

ამის შემდეგ მსვლელობა ხან ერთ შუკაში შეუხვევდა და ხან მეორეში. ცდილობდნენ, ჯერ ისევ ნაკლებად დასახლებული ქუჩებით ევლოთ. ადგილ-ადგილ ბალახმოდებული უკაცური გზები გადაჭრეს, მრავალჯერ მიტრიალ-მოტრიალება დასჭირდათ. ბოლოს მსვლელობა ერთ მიყრუებულ შუკაში გაჩერდა. აქ არავითარი საცხოვრებელი შენობები არ იყო; მხოლოდ შუკის დასაწყისში ორი-სამი ქოხმახი იდგა. ის იყო და ის, მეტი არაფერი. შუკას ორივე მხარეს კედელ-გალავანი ჩასდევდა: მარცხნივ დაბალი ქვიტკირის კედელი, ხოლო მარჯვნივ მაღალი ქვიტკირის გალავანი. ეს საქსონური ნაგებობის კედელი, კუწუბო-ქონგურებით თავმორთული, დროთა ვითარების გამო ჩაშავებულიყო. ზემოდან გადასვლა შეუძლებელი რომ ყოფილიყო, რკინის შუბებით — „მორიელებით“ გაემაგრებინათ. აქა-იქ ვიწრო სათვალთვალო ხვრელებს მსხვილი რკინის ბადე ჰქონდა აკრული. არც ერთი სარკმელი, მხოლოდ ზო-

გან სათოფურები მოჩანდა, ოდესმე ქვის სატყორცნად ან კაუჭიანი ძველებური თოფის სასროლად რომ იყენებდნენ. კედლის ძირას პატარა კარი ეკიდა, ისიც ბადიანი პატარა სარკმლით; კარი ჩასმული იყო ღრმათალიან, სქელ, მკვიდრ კედელში, რკინის მსხვილი ანჯამებით. იგი დაკეტილი იყო დიდი ბოქლომით და ზედ მძიმე სარეკელა ჩაქუჩი ეკიდა, მთლად ღურსმნებით მოჭედილი. ამგვარად, ლითონის ბალთებით თითქმის მოჯავშნული იყო ხის კარი, თუმცა ამდენ რკინეულში იქ ხე ალარც კი ჩანდა.

შუკაში სულიერი არავინ ჩანდა. აქ არც დუქანი იყო სადმე, არც გზად გამვლელი მოჩანდა, მაგრამ საიდანღაც მახლობლად მოისმოდა უწყვეტი ხმაური, თითქოს ამ შუკის გვერდით ნიაღვარი მოთქრიალებსო. ეს უფრო ხალხის ხმაური და საზიდრების რახრახი იყო. შესაძლებელია, ამ ჩაშავებულ კედელსა და მის შიგნითა შენობას იქიდან დიდი ქუჩა ჩასდევდა; ალბათ ეს საუთეორქის მთავარი ქუჩა იყო, რომლის ერთი ბოლო კენტერბერის გზას სწვდებოდა, ხოლო მეორე ლონდონის ხიდს ებჯინებოდა.

ამ შუკის მთელ გაყოლებაზე გარდა გუინპლენის გარემომცველი ბადრაგისა, შემთხვევითი მეთვალყურე მხოლოდ ერთ კაცს შეხვედებოდა, ეს იყო ურსუსი. მას სახეზე მკვდრისფერი დასდებოდა. იგი კედლის ძირას ჩრდილს მოფარებოდა და შიშით გამოიყურებოდა. შუკის ერთ-ერთ მოსახვევ კუთხეში მიკუნჭულს, ცქერაც უნდოდა და ეშინოდა კიდევაც.

რაზმეული გალავნის პატარა კართან ჩამწკრიედა.

გუინპლენი ბადრაგის შუა მოემწყედა, ხოლო კვერთხისმტვირთველი, თავისი რკინის კვერთხით გუინპლენს ახლა ზურგიდან ედგა.

სასამართლოს ბოქაულმა კარის სარეკელა ჩაქუჩი ასწია და სამჯერ დაჰკრა. პატარა სარკმელი გამოაღეს. სასამართლოს ბოქაულმა წარმოთქვა:

— მისი უდიდებულესობის დედოფლის ბრძანებით!

რკინით ნაჭედი მუხის მძიმე კარი ანჯამების ჭრიალით გაიღო და გამოჩნდა ბნელი, ცივი შეღრმავება, რაც გამოქვაბულში შესასვლელს მოგაგონებდათ. საშინელი ღრმა თაღი სიბნელეს მოეცვა.

ურსუსმა დაინახა, რომ გუინპლენი ამ ბნელი თაღის შიგნით შეიყვანეს.

V

საშინელი ადგილი

კვერთხისმტვირთველი შიგნით შეჰყვა გუინპლენს.
კვერთხისმტვირთველს სასამართლოს ბოქაული მიჰყვა.
მას — მთელი რაზმი.
პატარა კარი დაიხურა.

მძიმე კარი მტკიცედ მოიხურა. არც გამღები გამოჩენილა ამ კარისა და არც დამკეტავი. თითქოს ჩანგლები თავისთავად ჩაირაზნენო. უძველეს დროში ნაგებ ზოგიერთ დამაოკებელ სახლებს ჯერ კიდევ შერჩენია ამგვარი მექანიზმები. ძველად ეს შიშს მეტად უცხოველებდა დამნაშავეებს. ასეთი კარის მეკარე უჩინარი უნდა ყოფილიყო. ამგვარად, ციხის ჭიშკარი უფრო ჯოჯოხეთის კარს ემსგავსებოდა.

ეს პატარა კარი საუთვორქის ციხის უკანა მხრიდან შესასვლელი იყო.

ამ ჩამოქრუშულ შენობაში, რომელსაც ობი და ხავსი მოჰკიდებოდა, არ იყო არც ერთი დეტალი, რომელიც შესაფერისი არ ყოფილიყო ამ კუშტი ციხისათვის.

როგორი წარსული ჰქონდა საუთვორქის ციხე-საპატიმროს? ოდესღაც კატიუკლანებს აქ წარმართთა ტაძარი აეგოთ ინგლისის უძველეს ღვთაებათა, მოგონთა სახელზე. შემდეგში ეს შენობა ეთელულფის სასახლედ იქცა; ხოლო ედუარდ წმინდისათვის ციხესიმაგრედ გადაკეთდა. შემდეგ, 1199 წელს, იოანე უმიწაწყლომ იგი საპყრობილედ აქცია. აი, ასეთია საუთვორქის საპატიმროს ისტორია. ეს ნაგებობა ადრე ქუჩას თაღით გადასჭიმვოდა, ისევე როგორც შენონსო* გადადის თაღით მდინარეზე. ერთი თუ ორი საუკუნის განმავლობაში იგი ქალაქის გარეუბნის საყარაულო ბჭე იყო, რასაც ინგლისურად GATE-ს უწოდებენ, შემდეგ აქ თაღქვეშა ქუჩა, სატვირთავების გასატარებელი გზა, ამოქოლეს. ინგლისში ჯერ კიდევ არის ამგვარი ტიპის რამდენიმე საპატიმრო: ლონდონში — ნიუგეითი, კენტერბერიში — ვესთგეითი, ედინბურგში — ქენონგეითი. ფრანგული ბასტილიაც პირველ ხანებში გზის სადარაჯოს წარმოადგენდა.

ინგლისის თითქმის ყველა საპატიმრო გარეგნულად ასე გამოიყურებოდა. გარედან მაღალი კედლით შემომტკიცებული, შიგნიდან სკის უჯრედებივით ურიცხვი საკანი. ამ გოთური სტილის საპყრობილისნაირი ჩამოქურუხებული არა მოიძებნებოდა რა. იქ ობობა და მართლმსაჯულება ერთნაირად აბამდნენ თავიანთ ქსელ-მახეს. ამ ჯურღმულებში იმხანად, ვითარცა შხის სხივს, ჯერ არ შეეღწია ჯონ ჰოვარდს*. ყველა იმ საპყრობილეს, როგორც ბრიუსელის ძველებურ „გენია-საწამებელს“, შეიძლებოდა ერთი სახელი: „ცრემლთა დენის, გოდების სავანე“ შერქმეოდა.

ამ ჩაწყვდიადებული შენობის შემხედავი ადამიანები ისეთივე გულის შემხუთავ მწუხარებას გრძნობდნენ, როგორსაც ძველად მეზღვაურნი განიცდიდნენ მონათა ჯოჯოხეთის მახლობლად გაელისას. ამ მონათა ჯოჯოხეთს ასახელებს პლავტი, ვითომც იგი ყოფილიყოს რკინის ჟღარუნის კუნძულების მახლობლად, რომლის გვერდზე გავლისას ბორკილების ჩხარაჩხური ისმოდაო.

საუთვორქის საპყრობილეში ძველად ამწყვდევდნენ და აწამებდნენ უმთავრესად კუდიანებს, გრძნეულებს, მათგან ეშმაკეულის გამოსადენად. ამაზე მიუთითებს თვით პატარა ჭიშკრის მაღლა თაღზე ნახევრად წარხოცილი ორტაეპიანი ლექსი:

„ეშმაკეულად ჩაითვლება ის, მრავალმაცდურთა ვინც გახდა მონა.

შეპყრობილად კი ჩვენ იმას ჩავთვლით, მხოლოდ ერთ მაცდურს ვინც დაეძონა“.

ეს ლექსი ზუსტად ადგენდა ზღვარს ეშმაკეულსა და შეპყრობილს შორის.

ამ წარწერის ზემოდან მიჭედილ-მიმაგრებული იყო სახრჩობელას კიბე, რაც უმაღლესი მართლმსაჯულების სიმბოლო-ნიშანს წარმოადგენდა. იგი ოდესღაც ხისგან იყო ნაკეთები, მაგრამ როდესაც ეობურნის სააბატოს მახლობლად ასპლეი-ჰოვისში მიწაში ჩაეფლოთ, — გაქვავებულიყო. აქ ნიადაგი ყველაფერს ქვად აქცევს — ასეთია მისი თვისება.

ამჟამად უკვე დანგრეული საუთვორქის საპყრობილე ორი ქუჩის შუა მდებარეობდა, ამ ორ ქუჩას შორის ხალხის თუ საზიდრების მიმოსვლა თაღის ქვეშ გაელით ხდებოდა. ხოლო თვით საპატიმროს ორი შესასვლელი ჰქონდა. მთავარი ქუჩიდან სეფეკარი, სა-

დანაც ციხის ხელისუფალნი შედიოდნენ. მეორე შესავლელი კი, „მწუხარების კარი“, ვიწრო შუკიდან იყო. ამ მეორე შესასვლელს მოპატიმრეთათვის და მკვდართათვის იყენებდნენ, ვინაიდან, როდესაც ციხეში პატიმარი კვდებოდა, მისი გვამი ამ მცირე ჭიშკრიდან გამოჰქონდათ. აქ სიკვდილი გათავისუფლება იყო ბორკილთაგან.

სიკვდილი მარადისობისაგან მონიჭებული თავისუფლებაა.

გუინპლენი ამ „მწუხარების კარით“ შეიყვანეს ციხეში.

შუკა, როგორც ჩვენ უკვე ვთქვით, ქვით მოპირკეთებული ვიწრო გზა იყო. ორივე მხრიდან გალავნით შემოზღუდული. ბრიუსელში არსებობს ასეთი შუკა, რომელსაც ეწოდება: „ქუჩა ერთი გამვლელისთვის“. გალავანი ორივე მხრივ სხვადასხვა სიმაღლისა ჰქონდა. მაღალი გალავანი ციხისკენ იყო, დაბალი სასაფლაოს ფარგლავდა. ამ დაბალი გალავნის იქით უკვე ციხეშივე ნახევრად დაძაბუნებული სხეული საბოლოოდ მიწა-მტვრად იქცეოდა ხოლმე. ეს გალავანი კაცის სიმაღლისა თუ იქნებოდა, მეტი არა. მისი მთავარი ჭიშკარი სწორედ ციხის მცირე კარის პირდაპირ მდებარეობდა. მიცვალებული ამ ვიწრო შუკაზე უნდა გადაეტარებინათ. გალავნების გასწვრივ რამდენიმე ნაბიჯს გადადგამდა თუ არა ადამიანი, პირდაპირ სასაფლაოზე გაჩნდებოდა. ციხის მაღალ გალავანზე სახრჩობელას კიდე იყო მიჭედებული, პირდაპირ სასაფლაოს დაბალ გალავანზეც თავის ქალა გამოეკვეთათ, მეორე კედლის ამგვარ შაებნელ ნიშან-სანახაობას სულაც არ აქარწყლებდა მეორე, ციხის გალავნის სიმბოლური ნიშანი — სახრჩობელა.

VI

სასამართლოს როგორ მოხელეებს ფარავდა იმ დროის პარიკები

იმ დროს, როცა გუინპლენი ციხეში შეიყვანეს, ვინმეს საპატიმროს მეორე მხარეს, მისი ფასადისაკენ რომ გადაეხედა, საუთვორქის მთავარ ქუჩას და ამ შენობის მონუმენტურ სეფეკართან დახურულ სამგზავრო ეტლს დაინახავდა. კოფოც მას ახლანდელი კაბრიოლეტის მსგავსად წამოხურული ჰქონდა, ეტლს ცნობისმოყვარეთა მთელი გროვა შემოხვეოდა. დახურული ეტლი გერბებით

იყო შემკული. ამ ეტლიდან კაცი გადმოვიდა და საპატიმროს კარში შეუძახა. ალბათ მოსამართლეაო, გაიფიქრეს იქ მყოფებმა, ვინაიდან ინგლისში მოსამართლეებად აზნაურები ინიშნებოდნენ ხოლმე და მათ „გერბის უფლება“ გააჩნდათ. საფრანგეთში კი გერბი და მოსამართლის ქლამინდი ურთიერთს თითქმის ყოველთვის გაშორიცხავდა. ჰერცოგმა სენ-სიმონმა* მოსამართლეებზე ლაპარაკის დროს, როგორლაც წარმოთქვა: „ამ წოდების ხალხიო“. ხოლო ინგლისში სულაც არ შეურაცხყოფდა მოსამართლის წოდება.

ინგლისში არსებობს გამსვლელი მოსამართლეების, ეგრეთ წოდებული „საოლქო მოსამართლეების“ თანამდებობა და სულ ადვილად შეიძლებოდა ეს დახურული ეტლი ოლქების შემომსვლელი მოსამართლის ჰგონებოდათ. მაგრამ უჩვეულოდ ის ჩანდა, რომ მოსამართლედ მიჩნეული კაცი ეტლიდან კი არ გადმოვიდა, არამედ კოფოდან ჩამოვიდა, სადაც ჩვეულებრივ, საკუთარი გერბიანი ეტლის პატრონი არ ჯდება. აი მეორე უცნაურობა: იმ ეპოქაში ინგლისში მოგზაურობდნენ ან დილიჟანსით — თითო მილინგს იხდიდნენ ყოველი ხუთი მილის გავლაზე; ან ცხენით — რაშიაც თითო მილზე სამ-სამი სუ უწევდათ. ოთხ-ოთხი სუც ფორეიტორისთვის საჩუქრად უნდა მიეცათ ცხენების ყოველი გამოცვლის მერე, ვინც საკუთარი ეტლით მოგზაურობდა, ხოლო ცხენებს ყოველ სადგურზე ცვლიდა, ყოველ ცხენზე მანძილის მიხედვით იხდიდა იმდენსავე შილინგს, რამდენ სუსაც იხდიდა ცხენებით მოგზაური. საუთვორქის საპატიმროსთან მდგარ დახურულ ეტლში ოთხი ცხენი იყო შებმული და მათ ორი ფორეიტორი მართავდა. ეს უკვე თავადური ფუფუნება იყო. ბოლოს ყველაზე მეტად ცნობისმოყვარეობასა და დაბნეულობას ის იწვევდა, რომ ეტლი ყველა მხრიდან ბეჯითად იყო დახურული. ზედა სახურავი ახდილი ჰქონდა, ხოლო პატარა სარკმლები ორივე მხარეს დარაბებმიხურული. ყველა შესაჭვრეტ ადგილზე ჩამოეფარებინათ. გარედან შეუძლებელი იყო მისი დანახვა, რაც ეტლის შიგნით ხდებოდა. ალბათ შიგნიდანაც არა ჩანდა ის, რაც გარეთ ხდებოდა. თუმცა ყველაფერზე ეტყობოდა, რომ ამჯერად ეტლში არავინ იჯდა.

რადგან საუთვორქი სერეის საგრაფოს მიეკუთვნებოდა, ამიტომ საუთვორქის საპატიმრო სერეის შერიფის საუწყებოს ექვემდებარებოდა. გასამართლების ამგვარი განაწილება ინგლისში ჩვეულე-

ბრივი მოვლენა იყო. ასე მაგალითად: ლონდონის ტაუერი არც ერთი საგრაფოს ტერიტორიის ფარგლებში არ ითვლებოდა. ესე იგი იურიდიული თვალსაზრისით ისე მოჩანდა თითქოს ჰაერია დაკიდულიო. ტაუერი არავითარ სასამართლოს უფლებებს არ ცნობდა, გარდა თავისი კონსტებლისა, რომლის წოდება იყო CUSTOS TURRIS — ბურჯის მცველი. ტაუერს თავისი საკუთარი იურისდიქცია გააჩნდა, თავისი ეკლესია, თავისი სასამართლო, საკუთარი, თავისებური მმართველობა. უფლება კუსტოსისა, ანუ კონსტებლისა ლონდონს ფარგლებს იქითაც, სულ ოცდაერთ სოფელზე ვრცელდებოდა.

დიდ ბრიტანეთში მრავალი იურიდიული შეუსაბამობა არსებობს: ასე მაგალითად, ინგლისის მთავარი თოფჩის თანამდებობა ლონდონის ტაუერს ექვემდებარებოდა.

კიდევ სხვა ადათები, რომლებიც უკვე დაკანონებულია, უფრო მეტად უცნაურად მოჩანს. მაგალითად: ინგლისის საზღვაო სასამართლო თავის პრაქტიკაში ხელმძღვანელობს როდოსისა და ოლერონის კანონებით (ეს საფრანგეთის კუთვნილი კუნძულები ოდესღაც ინგლისელებს ეკუთვნოდათ).

საგრაფოს შერიფი მეტად მნიშვნელოვანი პირი იყო. მას ყოველთვის ესკვაირის* ხარისხი ჰქონდა ხოლმე, ხანდახან რაინდის ხარისხიც. ძველებურ ქარტიებში მას უწოდებდნენ ისეთ კაცს, „რომლისადმი ყურადღება სათანადო არს“. ეს ტიტული საშუალო იყო — ILLUSTRIS და CLARISSIMUS — აღმატებულსა და უგანათლებულესს შორის. იგი პირველზე დაბლა იდგა და მეორეზე მაღლა. საგრაფოს შერიფს ოდესღაც ხალხი ირჩევდა, მაგრამ მას შემდეგ რაც ედუარდ მეორემ* და მის მომდევნოდ ჰენრიხ IV-მ* ამ თანამდებობაზე დანიშვნა გვირგვინოსანთა უფლებას დაუქვემდებარეს, იქიდან უკვე შერიფები ხელმწიფის ძალაუფლების წარმომადგენლები გახდნენ. ყველა შერიფს მისი უდიდებულესობა ნიშნავდა, გარდა ვესტმორლენდის შერიფისა, რადგან ამ უკანასკნელის თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა. აგრეთვე გამონაკლისს შეადგენდნენ ლონდონისა და მიდლსექსის შერიფები, ამათ თვითონ მოსახლეობა ირჩევდა. უელსისა და ჩესტერის შერიფები ფისკალური ხასიათის ცნობილი უფლებებით სარგებლობდნენ. ყველა ეს თანამდებობა ინგლისში დღემდე არსებობს, მაგრამ თანდათანობით

ახალი ჩვეულების და ახალი იდეების გავლენას განიცდის, და შეკვე კარგავს თავის წინანდელ დამახასიათებელ თავისებურებებს. სა-გრაფოს შერიფი, სხვათა შორის, მოვალე იყო თან ხლებოდა გამს-ვლელ მოსამართლეებს, და თუ შემთხვევა მოიტანდა, ან საჭირო გახდებოდა, მფარველობა უნდა გაეწია მათთვის. ისევე როგორც ადამიანს ორი ხელი აქვს, შერიფსაც ორი თანაშემწე ჰყავდა საკუ-თრივ. თანაშემწე შერიფისა მარჯვენა ხელი იყო მისთვის, ხოლო სასამართლოს ბოქაული — მარცხენა ხელი. სასამართლოს ბო-ქაულს კვერთხისმტვირთველად წოდებულს, ოლქის ბოქაულის შე-მწეობით უფლება ჰქონდა დაეპატიმრებინა, დაეკითხა და ციხეში დაემწყვდია ქურდები, კაცისმკვლელნი, მეამბოხენი, მაწანწალები და ყოველნაირი თაღლითები თუ ავაზაკები, რომელნიც კი საოლქო მოსამართლეების გასამართლებას ექვემდებარებოდნენ. შერიფის თანაშემწე და სასამართლოს ბოქაული ორივე შერიფის მორჩილე-ბაში იმყოფებოდა. მათ შორის განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ თანაშემწე შერიფს თან ახლდა ხოლმე; ხოლო სასამართლოს ბოქაული შერიფს პირადად მისი მოვალეობის შესრულებაში ეხმა-რებოდა. შერიფი ორ სასამართლოს მეთაურობდა: მუდმივ საოლ-ქო სასამართლოსა და გამსვლელ სასამართლოს, ამნაირად იგი სასამართლო ხელისუფლების ერთიანობასა და ყველგანმყოფობას წარმოადგენდა. საეჭვო შემთხვევაში, მას, როგორც მოსამართ-ლეს, შეეძლო შემწეობა-განმარტება მოეთხოვა სწავლული იურის-ტისგან, ე.წ. ნაფიც კანონთა მცოდნისგან, რომელსაც შავი ქუდის ქვეშ თეთრი კემბრიკის ჩაჩი ეხურა. შერიფის უფლებებში შედიო-და აგრეთვე საპატიმროების „განტვირთვა“. როდესაც იგი თავის საუწყებოში მყოფ საგრაფოებში მიევლინებოდა, უფლებამოსილი იყო სასწრაფოდ, ერთბაშად გადაეწყვიტა ყველა დაპატიმრებ-ულის ბედი: ან მთლად გაეთავისუფლებინა ისინი, ან კიდევ სახრჩობელა-ზე გაეყვანინებინა, რასაც „ციხის გაწმენდა“ ერქვა. შერიფი თავის მიერ შედგენილ საბრალდებო ოქმს წარუდგენდა ოცდაოთხ ნაფიც მსაჯულს; თუ ესენი დაეთანხმებოდნენ, მაშინ აქტს მიაწერდნენ: BILLA VERA — სწორიაო, თუ არ ეთანხმებოდნენ დააწერდნენ: IGNORAMUS — არ ვუწყითო. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ბრალ-დება უარყოფილი გახდებოდა და შერიფსაც უფლება ჰქონდა მოეს-პო საბრალდებო ოქმი. თუ სასამართლო ძიების დროს ერთ-ერთი

ნაფიცი მსაჯული მოკვდებოდა, მაშინ შერიფს უფლება ეძლეოდა პასუხისმგებლობაში მიცემული გაენთავისუფლებინა პატიმრობიდან. შერიფის მიმართ განსაკუთრებული შიში და პატივისცემა იმით აიხსნებოდა, რომ მის მოვალეობას შეადგენდა „მისი უდიდებულესობის ყოველი ბრძანების შესრულება“. ეს მეტისმეტი ხელგაშლილობა იყო უფლებამოსილებისა. ასეთი ფორმულები თვითნებობის განუსაზღვრელ შესაძლებლობას იწვევენ. შერიფს თან ახლდნენ მოხელენი, რომლებიც VERDEORS-ად (მეტყეველებად) იწოდებოდნენ, და კორონერები. ვაჭართა ბოქაულები ვალდებულები იყვნენ დახმარება გაეწიათ მათთვის. გარდა ამისა, მას საუცხოო ამალა გააჩნდა ლივრეებში გამოწყობილი ცხენოსანი და ქვეითი მსახურებისა. ჩემბერლენი ამბობდა: „შერიფი სიცოცხლეა მართლმსაჯულებისა, კანონისა და საგრაფოსი“.

ინგლისში, დამრღვევი პროცესის შეუმჩნეველი დინების შედეგად, კანონები და ადათ-ჩვეულებები თანდათანობით წვრილმანდება და იხპობა. ვიმეორებთ, რომ ჩვენს დროში, ვერც შერიფი, ვერც კვერთხისმტვირთველი, ვერც სასამართლოს ბოქაული ვერ ან არ შეასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს ისე, როგორც წინათ ასრულებდნენ. ძველ ინგლისში ცალკეული სახის ხელისუფლების ერთგვარი შერევა და ამა თუ იმ უფლებამოსილების არა საკმარისი გარკვეულობა იწვევდა სხვის საქმეებში ჩარევას: ასეთი რამ ჩვენს დროში უკვე შეუძლებელია. პოლიციასა და მართლმსაჯულებას შორის მჭიდრო კავშირი აწ უკვე მოშსპარია. თანამდებობათა სახელწოდებები დარჩა, მაგრამ მათი ფუნქციები შეიცვალა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვით სიტყვა WAPENTAKE-მაც მნიშვნელობა შეიცვალა. წინათ იგი სასამართლო თანამდებობას ნიშნავდა, ახლა კი ტერიტორიულ დაყოფას აღნიშნავს; წინათ ასე კანტონის ბოქაულს უწოდებდნენ, ახლა კი თვით კანტონს.

ჩვენ მიერ აქ აღწერილ ეპოქაში საგრაფოს შერიფი თავისში აერთიანებდა ქალაქის ხელისუფლებასაც და ხელმწიფის წარმომადგენელსაც. თუმცა ზოგიერთი დამატებითი უფლებამოსილებითა და შეზღუდვითაც. ორი მოხელის მოვალეობათა აღმსრულებლის მაგალითს ოდესღაც საფრანგეთშიც ჰქონდა ადგილი. ქალაქ პარიზში მთავარი სამოქალაქო მოსამართლე და პოლიციის მოსამართლე ერთი და იგივე პიროვნება იყო. ქალაქ პარიზის მთავარ მოსამართ-

ლეს საკმაოდ ნათლად ახასიათებს იმ დროის ერთი საპოლიციო ჩანაწერი: „ბატონი სამოქალაქო მოსამართლე ოჯახური უკმაყოფილება-დავიდარაბების მტერი არ არის, იმიტომ, რომ მას აქ გამოსარჩენი და გამოსაგლეჯი ეგულება“ (1704 წლის 22 ივლისი). ხოლო რაც შეეხება პოლიციის მოსამართლეს, ეს სულიერი, თავისი ფუნქციების არაგარკვეულობისა და მრავალსახეობის გამო, მეტად საშიშია. ამ ტიპის უფრო სრულ გამოხატულებას წარმოადგენდა რენე დ'არჟანსონი,* რომლის პიროვნებაშიც, სენ-სიმონის სიტყვით, შეთანხმებული იყო ჯოჯოხეთის სამი მოსამართლე.

ეს მოსამართლეები, როგორც მკითხველმა დაინახა, ლონდონის ბიშოფსგეითის საპატიმროშიც არჩევდნენ საქმეებს.

VII

ძრწოლა

გუინპლენმა გაიგონა, რომ შესასვლელი კარი შეჭრაჭუნდა და ხმაურით მიიკეტა. იგი შეძრწუნდა. ისე ეჩვენა, თითქოს აი ახლა, მის ზურგს უკან მიკეტილი კარი საზღვარი გახდა სინათლესა და წყვდიადს შუა, მიწიერ სიამეთა და სიკვდილის სამეფოს შუა, და რომ ახლა, ყველა ის, რასაც კი მზე აშუქებს და ათბობს, უკან დარჩა. რომ მან სიცოცხლის საზღვარს გადააბიჯა, სიცოცხლის გარეშე დარჩა. გუინპლენს გული მტკივნეულად შეეკუმშა. რა აქვთ განზრახული? რას უზამენ? რას ნიშნავს ყოველივე ეს?

გუინპლენი ვერაფერს ხედავდა თავის ირგვლივ. იგი ყოველი მხრიდან უკუნეთ სიბნელეს მოეცვა; რაწამს მის ზურგს უკან კარი მიიხურა, იმწამსვე დაბრმავდა. სარკმელიც უმალვე მიიხურა. იქ არც სათვალთვალო იყო, არც ფარანი. ძველ დროში, ჩვეულებრივ, ასეთ გამაფრთხილებელ ზომებს მიმართავდნენ: აკრძალული იყო საპატიმროს შიგნითა საეალების განათება, რათა ახალმოსულები არ გარკვეულიყვნენ ამ მიხვეულ-მოხვეულში.

გუინპლენმა ხელები აქეთ-იქით გაიწოდა; მარჯვნივ და მარცხნივ კედლებს მიებჯინა, იგრძნო, რომ რაღაც ტალახი იყო. ამ მაღალთაღიან დიღეგში სადღაციდან ოდნავ შემოსერეტილ ბუნდოვან შუქზე გუინპლენმა, რომლის თვალის გუგები ცოტაოდენ

შეეჩვია სიბნელეს, გაარჩია მკრთალი მოხაზულობა უგრძესი ტანისა.

სასტიკი სადამსჯელო ზომების შესახებ გუინპლენმა მხოლოდ ურსუსის ნალაპარაკევიდან იცოდა. მაგრამ ურსუსი ხომ ყველაფერს აზვიადებდა. ახლა კი მას მოეჩვენა, თითქოს ვილაცის უჩინარმა, უზარმაზარმა ხელმა ჩაბოჭა იგი. საშინელებაა, როდესაც უცბად ჩვენთვის ამოუცნობი კანონის განკარგულებაში ჩავვარდებით. შეიძლება სულიერი სიმშვიდე ყოველნაირ მდგომარეობაში შეინარჩუნო, მაგრამ მართლმსაჯულების წინაშე კი მაინც დაიბნევი. რად ხდება ასე? იმიტომ, რომ ადამიანთა მართლმსაჯულება ბნელია და მოსამართლენი მასში ხელების ფათურით ეძებენ გამოსავალს. გუინპლენს ახსოვდა, რომ ურსუსმა გააფრთხილა — საჭიროა დუმილიო, მას უნდოდა ცოცხალი დაბრუნებულიყო დეასთან. გრძნობდა, რომ მავანნი მასზე თვითნებობას იჩენდნენ და ეშინოდა, გაელიზიანებინა ისინი, ვისზედაც ახლა მისი ბედი იყო მთლად დამოკიდებული. ზოგჯერ მდგომარეობის გამორკვევის სურვილი უფრო ართულებს საქმეს, მეორე მხრივ, ყოველივე ის განცდები, რაც მის შინაგან არსებაში აშლილიყო, ისე აწუხებდა, რომ ბოლოს მაინც ველარ მოითმინა და იკითხა:

— საით მიგყავართ, ბატონებო?

არავინ უპასუხა.

უსიტყვო დაპატიმრების ერთი უმთავრესი წესთაგანი სრული დუმილის დაცვა იყო, და ნორმანდიის კანონის ტექსტი ამ წესის არავითარ შესუსტებას არ დაუშვებდა.

ასეთი დუმილისაგან გუინპლენს ძარღვებში სისხლი გაეყინა. აქამდე მას თავი ძლიერად მიაჩნდა და არავის დახმარებას არ საჭიროებდა, თუ არავის დახმარებას კაცი არ საჭიროებს, მაშასადამე, ის დაუმარცხებელია. გუინპლენი მარტოხელა კაცი იყო და ფიქრობდა, მარტოხელა კაცს ვინ რას დაუშავებსო. და აი, ახლა იგრძნო, რომ ვილაც თუ რაღაც ძალა სჯაბნიდა. რა საშუალებით უნდა შეებრძოლოს ამ რაღაც საშინელს, ულმობელს, მკაცრს — კანონს? გუინპლენს ამ ამოცანის სიმძიმე ძალას უკარგავდა. შიში წინათ რომ უცხო იყო მისთვის, ახლა გულში შეეპარა. ამასთანავე მას წუხელ არც დაუძინია და არც დილას უჭამია რამე, მხოლოდ ცოტა ჩაი შესვა. მთელ ღამეს მოუსვენარ ზმანებაში ბორგავდა და ახლა

კიდევ ციების ერჟოლას აეტანა. წყურვილი ტანჯავდა და იქნებ შიშმილიც. ცარიელი კუჭი ადამიანს ცუდ გუნებაზე აგენებს. გუშინდელს აქეთ გუინპლენს მოულოდნელი შემთხვევები ერთიმეორეზე დაატყდა. სულით დაცემისაგან თავისავე მქენჯნავი მღელვარება იცავდა: თუ ქარიშხალი არ არის, აფრა ჩვარივით კიდია. გუინპლენი სწორედ ისეთ მოულოდნელ ფალასად გრძნობდა თავს, რომელსაც ქარი ალბათ იმდენს სძიძგნის, რომ მთლად დაფლეთს. გრძნობდა, რომ ძალ-ღონე ეცლებოდა. ნუთუ გონს დაკარგავს და აქ, ქვის ფილაზე დაეცემა? გულის შეღონებით ქალები თავს იცავენ, ხოლო მამაკაცთათვის შერცხვენაა იგი. გუინპლენი ცდილობდა თავი შეეკავებინა, მაგრამ მაინც კანკალებდა.

თავს ისე გრძნობდა, თითქოს ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა.

VIII

გმირვა

კვლავ მიდიოდნენ.

ტალანს გაჰყვნენ.

არავითარი წინასწარი გამოკითხვა. არავითარი კანცელარიული შეკითხვები და რეგისტრაცია. იმ დროის საპატიმროების უფროსებს ზედმეტად მიაჩნდათ ქაღალდზე ჯღაბნა. ისინი იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ კაცს კარს გამოუკეტავდნენ. ხშირად თვითონაც არ იცოდნენ, რისთვის ჰყავდათ ადამიანი დამწყვდეული, საპატიმრო სრულიად კმაყოფილი იყო იმით, რომ ის საპატიმრო იყო და მას ჰატიმრები ჰყავდა.

ტალანი ვიწრო იყო და ამიტომ თითქმის მწკრივად მიდიოდნენ: წინ კვერთხისმტვირთველი, მას მერე გუინპლენი, გუინპლენის შემდეგ სასამართლოს ბოქაული, სასამართლოს ბოქაულს ჰოლიციელები მიჰყებოდნენ; ასე ერთმანეთის მიყოლებით თითქმის მთელი ტალანის განსწვრივ მიდიოდნენ. გასავლელი სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა. ახლა გუინპლენი ორივე მხრივ კედელს უკვე იდაყვით ეხებოდა. წერილი კენჭით დაცემენტებულ თაღში ალაგ-ალაგ, თანაბარ მანძილზე, შეერილები იყო გრანიტისა, სადაც ჭერი უფრო დაბლდებოდა. გავლის დროს უნდა დაბრილიყვნენ. ტალანში

შეუძლებელი იყო სირბილი. ვისმე რომ აქედან თავის დაღწევა და გაქცევა განეზრახა, იმასაც კი ამ ადგილას ნელი ნაბიჯით უნდა გაეცლო. ამ ვიწრო ტალანში ხშირი იყო მისახვევ-მოსახვევები.

საპატიმროს შიგნეულიც ისევე დახლართული ყოფილა, როგორც ადამიანის შიგნეული. ადგილ-ადგილ, ხან მარცხნივ და ხან მარჯვნივ ჩაშავებული მოჩანდნენ მსხვილი ბადურებით გადაღობილი ოთხკუთხა შეღრმავებანი, უკან შეიმჩნეოდა კიბეები, ზოგი მაღლა ასასვლელი და ზოგი დაბლა ჩასასვლელი. გასაველელ კარს მიადგნენ. კარი გაიღო, ზღურბლზე გადააბიჯეს და კარი ისევ დაიხურა. შემდეგ კიდევ მეორე კარი შეხვდათ, ამ კარშიც შევიდნენ. შემდეგ მესამე, — ესეც ანჯამების ჭრიალით გაიღო. კარი თითქოს თავისთავად იღებოდა და იხურებოდა. რამდენადაც ტალანი ვიწროვდებოდა, იმდენად თაღი უფრო დაბლდებოდა; ასე რომ მხოლოდ წელში მოხრით შეიძლებოდა გავლა. კედლებზე სინესტეს გამოეყონა. თაღიდან წვეთავდა. დაბლა, თლილი ქვის ფილაქანი ნაწლავებივით ლიპი ლორწოთი იყო დაფარული. იქ სინათლის მაგივრად რაღაცნაირი, მკრთალი ბინდბუნდი იდგა. უკვე ჰაერი აღარ იყო, სუნთქვა ძნელდებოდა, მაგრამ ყველაზე უფრო საზარელი ის იყო, რომ ტალანი სულ ძირს ეშვებოდა.

თუმცა ამას მხოლოდ დიდი დაკვირვებით და ყურადღების შედეგად შეამჩნევდით. სიბნელეში დაქანებული დაღმართი რაღაც ავბედითი ხდებოდა. არაფერი იმაზე საზარელი არ არის, როდესაც არ იცი, რა მოგელის, როდესაც ძლივს შესამჩნევ დაღმართზე ჩადიხარ.

დაღმა სელა, ეს არის საშინელ სამყაროში შესვლა.

რამდენ ხანს იარეს ამნაირად, გუინპლენი ვერ გარკვეულიყო.

გულის ფანცქალით მოლოდინი თითოეულ წუთს ისე დაუსრულებლობამდე აგრძელებს, როგორც გაქანებული ზვირთი.

უცებ მსვლელობა გაჩერდა.

ირგვლივ აღარაფერი ჩანდა.

ტალანი აქ ცოტათი გაგანიერდა.

გუინპლენმა გვერდით რაღაც ხმაური გაიგონა, რაც ჩინური გონგის რეკვას უფრო ემსგავსებოდა; თითქოს უფსკრულის დიაფრაგმაზე* დაარტყესო.

თურმე კვერთხისმტვირთველმა დაჰკრა კვერთხი ფილაქანს.

აღმოჩნდა, რომ რკინის ფილაქანი კარი იყო.

ეს კარი კი არ იღებოდა, ასაწევ-დასაწევი იყო, როგორც ხარიხა.

გაისმა ჩანგლების მკვეთრი ჭრაჭუნი და გუინპლენის თვალწინ უცბად გამოჩნდა დაბლა ოთხკუთხიდან ოდნავი სინათლე, რადგან რკინის ფილა ზევით ასრიალდა და საგანგებოდ შელრმაებულ თაღში შეიჭედა; სწორედ ისე, როგორც სათაგურის კარი აიხდება ხოლმე.

გაიხსნა ძირს სიღრმე.

იქიდან სუსტი მოციმციმე შუქი დღის სინათლისა როდი იყო, არამედ ოდნავ მბჟუტავი სანათურისა.

მაგრამ გუინპლენს თვალის გუგები ისე გაფართოვებოდა, რომ ეს ოდნავი შუქი მას უცბად აპრიალებული ელვა ეგონა.

ერთხანს იგი ვერაფერს ხედავდა. თვალისმომჭრელ ელვარებაზე რისამე გარჩევა ისევე ძნელია, როგორც წყვდიადში.

შემდეგ, თანდათანობით მისი თვალის გუგები სინათლეს შეეგუა, ისევე, როგორც წინათ შეეჩვია სიბნელეს და გუინპლენი ძლიეძლიეობით არკვევდა რა იყო მის ირგვლივ. პირველად რომ თვალისმომჭრელად ეჩვენა, ახლა ის სინათლე თანდათან შესუსტდა და თითქმის სიბნელედ იქცა. გუინპლენმა გაბედა და მის წინ პირღია სიღრმეში ჩაიხედა. მართლაც საზარელი რამ დაინახა.

მის ფეხებთან, თითქმის სწორი დაქანებით, ღრმა დილეგში ჩასდევდა ოცამდე ვიწრო, დაბრეცილი, ჩაცვეთილი საფეხურები, ქვითკირის კედელშივე გამოკვეთილი; უმოაჯირო კიბის მსგავსი რამ. საფეხურები ძირამდე ჩადიოდა. დილეგი მრგვალი იყო, ისრისებრ წამახული თაღით. თაღი ზოგან ჩამოზნექილ, არასწორ სათავებს დაყრდნობოდა. ასეთია ხოლმე ჩვეულებრივ, მეტად დიდ, მკვიდრი შენობებისქვეშა დილეგები.

რკინის ფილა რომ აიწია, ჩახასელელი ქვითკირის თაღი გამოჩნდა, რომელიც იმ ალაგას იყო გამოთხრილი, საიდანაც ქვისავე კიდე იწყებოდა; ასე, რომ, ამ სიმაღლიდან ჩახედვისას მიწისქვეშა დილეგში თვალი ისე იკარგებოდა, როგორც ჭის სიღრმეში.

დილეგს დიდი ფართობი ეჭირა. და თუ იგი ოდესმე ჭის ძირი იყო, მაშინ ეს ჭა ციკლოპური სივრცისა იქნებოდა. ძველებური გამოთქმა „ორმო“ შესაფერი უნდა ყოფილიყო ამ ქვითკირის ხვრელისათვის, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას წარმოვიდგენდით,

როგორც ლომებისთვის ან კიდევ ვეფხვებისათვის ამოთხრილ ხაროდ.

დილეგი მოპირკეთებული არ იყო, არც ფილაქნითა და არც რიყის ქვით, აქ ნოტიო, ცივი მიწა იყო, როგორც ღრმა სარდაფებში არის ხოლმე.

დილეგის შუაგულს, ოთხ მრუდე დაბალ სვეტზე დაყრდნობილი იყო ქვითკირის წამახული ჩარდახი, რომლის ოთხივე მხარე ცენტრის სიმაღლეში ერთად შეკრულიყო; ამ სახით იგი ეპისკოპოსის მიტრას მოგაგონებდათ. ეს ჩარდახი, იმ ბალდახინების მსგავსად, რომლის ქვეშ ოდესღაც სარკოფაგები იდგმებოდა, თავისი მწვერვალით თვითონ თაღს ებჯინებოდა და ამგვარად დილეგში თითქოს ცალკე განსასვენებელსა ქმნიდა; თუკი შეიძლება, განსასვენებელი ვუწოდოთ იმ სამყოფელს, რომელიც ყოველი მხრიდან ღიაა და ოთხი კედლის მაგიერ ოთხი სვეტი აკავებს.

ჩარდახის შუა თაღზე მრგვალი სპილენძის ფარანი ეკიდა, ციხის სარკმელივით რკინის ბადით ზედმოწნული. ფარანი მკრთალ შუქს ჰფენდა სვეტებსა და ჭერს, ასევე სვეტებს იქიდან ოდნავ გამომკრთალ მრგვალ კედელს, რომელსაც ჩრდილოს ზოლები გასდევდა.

სწორედ ეს სინათლე იყო, რომელმაც პირველსავე წუთში თვალი მოსჭრა გუინპლენს; ახლა კი მოციმციმე წითელ შუქად ეჩვენებოდა.

სხვა არაფერი ანათებდა დილეგს, არც სარკმელი, არც კარი და არც სასულე.

ოთხ სვეტს შუა, სწორედ ფარნის ქვეშ, ყველაზე უფრო განათებულ ადგილზე, მიწაზე გაწოლილიყო რაღაც სილუეტი, თეთრი და საშინელი.

ის ზურგზე გაწოლილიყო, პირისახე ნათლად მოუჩანდა. თვალები დაეხუჭა. ტანი დაფარული ჰქონდა რაღაც უფორმო გრაივით, ჯვარედინად გაფარჩხული ხელ-ფეხი სვეტებზე იყო მიბმული ჯაჭვებით; ხოლო თვით ჯაჭვები ყოველი სვეტის ძირზე იყო მიმაგრებული რკინის რგოლებით. ამ ადამიანის სხეული უძრავად ეგდო. კანი გალურჯებოდა, გაფითრებოდა და უსულო გვამი გეგონებოდათ. ეს იყო მამაკაცის გაშიშვლებული სხეული.

გუინპლენი გაქვავებულივით იდგა კიბის ზემო საფეხურზე და შეჰყურებდა ამ სანახაობას.

უცბად ხრიალი შემოესმა.

მაშასადამე, იქ გვამი კი არ ეგდო, არამედ ჯერ ისევ ცოცხალი ადამიანი.

ამ აჩრდილის ცოტა მოშორებით, ჩარდახის ერთ-ერთი წამახული კამარის ქვეშ, ფართო ქვის საფეხურებზე ამართული დიდი სავარძლის ორივე მხარეს ორი კაცი იდგა, გრძელი, შავი ქლამინდებით მოსილი. ხოლო სავარძელში უძრავად იჯდა წითელი ქლამინდით მოსილი გადაფითრებული მოხუცი; სახეზე აებედითი გამომეტყველება აჩნდა და ხელში ვარდების თაიგული ეჭირა.

გუინპლენზე უფრო მცოდნე კაცი, თაიგულს დაინახავდა თუ არა, მაშინვე მოისაზრებდა, რაშიც იყო საქმე. გასამართლების უფლება იმ კაცს ჰქონდა, ვისაც ხელში ყვავილების კონა ეჭირა. ეს კაცი ერთსა და იმავე დროს მეფის ხელისუფლების წარმომადგენელიც იყო და მუნიციპალური ხელისუფლებისაც. ქალაქ ლონდონის ლორდ-მერს, ამჟამადაც, მოსამართლის ფუნქციების ასრულებისას, ხელში თაიგული უჭირავს. გაზაფხულის პირველად გაფურჩქნილი ვარდების დანიშნულება ის იყო, მოსამართლისთვის დახმარება გაეწია გასამართლება-მსჯავრდებაში.

სავარძელში მჯდომი მოხუცი სერეის საგრაფოს შერიფი იყო.

ეს მედიდური მოხუცი გაქვავებულივით იჯდა, მსგავსად უმაღლესი ხელისუფლებით აღჭურვილი რომაელისა.

სავარძლის გარდა დილეგში სხვა ჩამოსაჯდომი არ იყო.

სავარძლის გვერდით მაგიდა იდგა, ქაღალდებითა და წიგნებით სავსე. მაგიდაზევე იყო შერიფის გრძელი, თეთრი კვერთხი.

შერიფის სავარძლის ორივე მხარეს დოქტორები იდგნენ: ერთი მედიცინის დოქტორი იყო, მეორე სამართლის დოქტორი. უკანასკნელს პარიკზე ქუდი ეხურა და ამითაც იცნობოდა. ორივეს შავი ქლამინდი ემოსა; ამ ორივე პროფესიის წარმომადგენლები დათალხულები არიან, მათ გამო, ვისაც საიქიოსა გზავნიან.

შერიფის ზურგს უკან, ქვის ფილის საფეხურზე ჩამომჯდარიყო მრგვალპარიკიანი მდივანი; მას ხელში კალამი ეჭირა; როგორც ჩანდა, საწერად გამზადებულიყო. მუხლებზე საქაღალდე ედო, საქმის ქაღალდებითა და ზედ საქაღალდეზევე პერგამენტის ფურცელი დაედო. მის გვერდით, ფილაზე სამელნე იდგა.

ეს მოხელე იმათ რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც „ტომრის

შემნახველს“ უწოდებენ; ამას თვითონ ის ჩანთაც ამტკიცებდა, მოხელის ფერხთით რომ იდო. ასეთი ჩანთა ოდესღაც სასამართლო პროცესის აუცილებელი ატრიბუტი იყო და მას უწოდებდნენ „მართლმსაჯულების ტომარას“.

ერთ-ერთ სვეტს მიყრდნობოდა გულხელდაკრეფილი ტყავისტანისამოსიანი კაცი. ეს იყო ჯალათის თანაშემწე.

ასე გეგონებოდათ, მიჯაჭვული კაცის ირგვლივ, დაღვრემილ-გაქვავებული ადამიანები მოჯადოვებულნი არიანო. არც ერთი მათგანი არ ინძრეოდა და არც ხმას იღებდა.

დილეგში ავბედითი დუმილი გამეფებულიყო.

გუინპლენს თვალწინ სატანჯაო წარმოუდგა. ასეთი სატანჯაოები წინათ ინგლისში ბევრზებევრი იყო. ბიუჩემპის ტაუერის დილეგს დიდხანს იყენებდნენ ამ მიზნისთვის; ისევე როგორც ლოლარდის ციხის სარდაფებსაც, ჩვენს დრომდე მოაღწია ლონდონში არსებულმა დილეგმა, რომელიც ცნობილია „ლედი პლესის საძვალეს“ სახელით. ამ შენობაში არის ბუხარი, შანთების გასახურებლად რომ იყენებდნენ.

მეფე იოანეს დროს აშენებულ ყველა საპატიმროში არსებობდა სატანჯაოები, ხოლო საუთვორჭის საპატიმრო ტიპური იყო ამ ეპოქისათვის.

იმხანად ინგლისში ხშირად ხდებოდა ის, რაზედაც ახლა გვექნება საუბარი და მართალი რომ ითქვას, შეიძლება ახლაც ხდებოდეს, ვინაიდან იმდროინდელი კანონები დღემდე ძალაშია. ინგლისი იმ მხრივ საინტერესო მოვლენას წარმოადგენს, რომ ბარბაროსული კანონმდებლობა იქ მშვენივრად თავსდება თავისუფლებასთან ერთად. რაღა სათქმელია, რომ ეს სანიმუშო საქმეა.

კაცი შეიძლებოდა დაეჭვებულიყო. ინგლისი რომ ახლანდელი საერთო საზოგადოებრივი ძვრების ფარგლებში შესულიყო, მაშინ სასჯელთა ძველებური ფორმები, შესაძლოა, აღედგინათ. ინგლისის კანონმდებლობა მოშინაურებული ვეფხვია. მას თათი ხავერდოვანი აქვს, ხოლო ბრჭყალები მიმალული.

ამ ბრჭყალების დაჭრა სრულიად გონივრული იქნებოდა.

ინგლისის კანონები თითქმის სრულებით არ ცნობენ უფლებებს.

ერთ მხარეზეა დამსჯელი ზომების სისტემა; მეორე მხარეზე ადამიანური პრინციპები. ფილოსოფოსები ეწინააღმდეგებიან

ასეთ წესებს, მაგრამ ჯერ კიდევ ახლო არ არის ის დრო, როდესაც ადამიანთა სამართალი და სამართლიანობა ერთმანეთს დაეხვებიან.

კანონისადმი პატივისცემა ზედმიწევნით ახასიათებს ინგლისელებს. ინგლისში კანონებს იმდენად საპატიოდ მიიჩნევენ, რომ მათ არასოდეს აუქმებენ. თუმცა ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსაყვანს პოულობენ: კანონებს პატივსა სცემენ, მაგრამ არ ასრულებენ. მოძველებულ კანონებს გვერდს ისე აუვლიან ხოლმე, როგორც სიბერისაგან დაჩაჩანაკებულ ადამიანს. არავის მოსდის აზრად, რომ მოსპოს მათი არსებობა. მათ სულ უბრალოდ, მხოლოდ უყურადღებოდ ტოვებენ, ეს არის და ეს. ამ კანონებს ნება აქვთ, რამდენიც სურთ, თავი ისევე ახალგაზრდად და ძლიერად წარმოიდგინონ; არავინ თავს ნებას არ აძლევს თქვას, რომ ამ კანონებმა უკვე თავისი დრო მოჭამეს; ამგვარ თავაზიანობას კანონებისადმი პატივისცემას უწოდებენ.

ნორმანდიული საადათო სამართალი სიბერის ნაოჭებითაა დაფარული; მაგრამ ეს ხელს როდი უშლის ბევრ ინგლისელ მოსამართლეთაგანს, ამ მოძველებულ სატრფიალოს ელაციცოს. ინგლისელები სათუთად იცავენ ყველაზე უფრო მკაცრ იურიდიულ სიძველეს, თუ იგი ნორმანდიული წარმოშობისაა. სახრჩობელაზე საზარელი კიდევ თუ იქნება რამე? 1867 წელს ერთ კაცს შაყის კვრა მიუსაჯეს, ეს უფრო იმისათვის, რომ მისი გაგლეჯილი გვამი ქალისთვის — დედოფლისთვის მიერთმიათ*.

სხვათა შორის, ინგლისში სატანჯაონი არასოდეს არსებულაო, ამტკიცებს ისტორია. არადა, ისტორიას ხომ დიდი პლომბი აქვს.

ვესტმინსტერელი მეთიუ ასე დაასკვნიდა: „საქსონური კანონი ერთობ მოწყალეა და დამთმობი“, ამ კანონით დამნაშავეებს სიკვდილით არა სჯიდნენო, და თან უმატებდა: „მხოლოდ იმას სჯერდებოდნენ, რომ ცხვირსა სჭრიდნენ, თვალებსა სთხრიდნენ და სასქესო ნაწილებს აგლეჯდნენო“.

მხოლოდ ეს იყო!

გუინპლენი დაბნეული, შეცბუნებული გაჩერებულიყო კიბის ზემოთა საფეხურზე და მთლად კანკალებდა. მას ყველანაირი შიში დაუფლებოდა. ცდილობდა გაეხსენებინა, თუ რაიმე დანაშაული ჩაედინა ოდესმე. კვერთხისმტვირთველის დუმილი ტანჯვა-წამების

სურათმა შეცვალა. ეს თითქოს წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ ნაბიჯი მეტად ტრაგიკული. მის მიმართ მუქარით აღსავსე, შავბნელი კანონის სახე ახლა უფრო და უფრო ამოუცნობ ფარგლებში ემწყვდეოდა.

იატაკზე განრთხმულმა კაცმა ისევ ამოიხრიალა.

გუინპლენმა იგრძნო, რომ მხრებში ვიღაცამ ძალუმ უბიძგა.

ეს კვერთხისმტვირთველი იყო.

გუინპლენი მიხვდა, რომ ქვევით ჩასვლა უბრძანეს.

იგი დაემორჩილა.

სიბნელეში, ფრთხილად ჩადიოდა უმოავკირო კიბეზე.

საფეხურები ვიწრო იყო და დაქანებული; რვა-ცხრა დუიმის სიმაღლისა. ჩასვლა მხოლოდ დიდი სიფრთხილით შეიძლებოდა. გუინპლენს ორი საფეხურის დაშორებით უკან მისდევდა კვერთხისმტვირთველი, მას თავისი რკინის კვერთხი პირდაპირ წინ ამართული ეჭირა. ასევე ორი საფეხურის დაშორებით კვერთხისმტვირთველს უკან სასამართლოს ბოქაული მიჰყვებოდა.

კიბეზე ჩამავალი გუინპლენი გრძნობდა, რომ გადარჩენის უკანასკნელ იმედს კარგავდა. თითქოს ყოველ ნაბიჯზე სიკვდილს უახლოვდებოდა. თითოეული საფეხურის ჩავლით მის სულში სინათლის ნაპერწკალი ქრებოდა. ის სულ მეტად ფითრდებოდა და სახის ფერს კარგავდა. კიბე ასე ჩაიარა ბოლომდე.

მიწაზე განრთხმული და ოთხ სვეტზე მიჯაჭვული მოლანდება კვლავ ხრიალებდა.

ნახევრად ჩამობნელებულ დილეგში ხმა გაისმა:

— ახლოს მოდით!

შერიფის ხმა იყო.

გუინპლენმა ნაბიჯი წინ წადგა.

— უფრო ახლოს, — გაისმა იგივე ხმა.

გუინპლენმა ერთი ნაბიჯიც გადადგა.

— კიდევ ახლოს, — გაიმეორა შერიფმა.

სასამართლოს ბოქაულმა გუინპლენს ყურში რამდენიმე სიტყვა ისეთი შთამაგონებელი კილოთი წასჩურჩულა, რომ ჩურჩული დიდის ამბით გაისმა:

— თქვენ იმყოფებით სერეის საგრაფოს შერიფის წინაშე.

გუინპლენი სულ ახლოს მივიდა დილეგის შუაგულს მიწაზე

განრთხმულთან. კვერთხისმტვირთველი და სასამართლოს ბოქაული ცოტა მოშორებით გაჩერდნენ.

როდესაც გუინპლენი ჩარდახის ქვეშ გაჩერდა და ახლოდან დაინახა ის უბედური არსება, რომელსაც აქამდე შორიდან ხედავდა, შიში შემაზრზენ გრძნობად შეეცვალა.

მიწაზე მწოლიარე დაბორკილი კაცი მთლად გაეშიშვლებინათ, მხოლოდ საკრძალავ ნაწილზე პატარა ბინძური ჩვარი მიეფარებინათ. სხეულის იმ ადგილას მისაფარებელს ძველად რომაელები წამების ლელვის ფოთოლს ეძახდნენ. ჯვარზე გაკრულ იესოსაც სხეულის იმ ნაწილზე პატარა ქსოვილის ნაჭერი ჰქონდა მიფარებული.

ეს სიკვდილმისჯილი დამნაშავე, რომელსაც ახლა გუინპლენი დასცქეროდა, ორმოცდაათის ან სამოცი წლისა იქნებოდა. მელოტი იყო. ნიკაპზე თხელი ჭაღარა წვერი წამოშვეროდა. თვალები დაეხუჭა, პირი ფართოდ დაეღო და ყველა კბილი უჩანდა. გამხდარი, გაძვალტყავებული სახე მკვდრის კენჭხას მოგაგონებდათ. ხელ-ფეხი, ჯაჭვებით ქვითკირის ბოძებზე ჯვარედინად მიბმული, ასო X-ს გამოხატავდა. გულმკერდზე თუჯის ფიქალი დაედოთ და ზედ ხუთი, ექვსი ვეება ქვა დაეწყოთ. იგი ხან ოდნავ გასაგონად სუნთქავდა, ხან კი მხეცივით ბრდღვინავდა.

შერიფს ცალ ხელში ისევ ნორჩი ვარდების თაიგული ეჭირა, მეორე ხელით მაგიდიდან თეთრი კვერთხი აიღო, მაღლა აღმართა და წარმოთქვა:

— მორჩილება მის უდიდებულესობას!

შემდეგ კვერთხი ისევ მაგიდაზე დადო.

ამის შემდეგ შერიფმა ნელ-ნელა, თითქოს დასაფლავების დროს ზარს რეკავენო, ისევე უძრავად მჯდომმა, როგორც თვით სატანჯაოდ განწირულმა, ასე წარმოთქვა:

— ჯაჭვებით დაბორკილო კაცო, შეისმინეთ უკანასკნელად ხმა მართლმსაჯულებისა. თქვენ გამოგიყვანეს საპყრობილედან და აქ მოგიყვანეს კანონის ყველა ფორმალური წესის დაცვით. თქვენს მიმართ წამოყენებულ კითხვებზე პასუხს არ იძლევით; არ აქცევთ ყურადღებას იმ საბუთებს, რომელთაც განმეორებით კიდევ წარმოგიდგენენ. თქვენ შეუპყრიხართ ჯიუტობის ბოროტ განზრახვას, ადამიანის ბუნების საწინააღმდეგოს. გაკერპებული დუმხართ და

მოსამართლეს პასუხს არ აძლევთ. ეგ საზიზღარი თავნებობაა. ასეთი გამოუტეხლობა, უარზე დგომა, კანონით დასჯილს ახასიათებს.

შერიფის მარჯვნით მდგომმა ნაფიცმა კანონთმცოდნემ ავბედითად შეანყვეტინა სიტყვა შერიფს და წარმოთქვა:

— OVERHERNESSA. ალფრედისა და გოდრუნის კანონები. თავი მეექვსე.

შერიფმა განაგრძო:

— კანონს პატივსა სცემს ყველა, გარდა ავაზაკებისა, რომლებიც ანადგურებენ იმ ტყეს, სადაც ირმები უნდა მომრავლდეს.

როგორც ერთი ზარი აჰყვება ხოლმე მეორეს, კანონისმცოდნემ იმგვარადვე დაუდასტურა: QUI FACIUNT VASTUM IN FORESTA UBI DAMAE SOLENT FOUNINARE.

შერიფი ისევ განაგრძობდა:

— მოსამართლის შეკითხვებზე პასუხის გაუცემლობა ეჭვსა ბადებს, რომ დამნაშავე მრავალნაირი ბიწიერების ჩამდენია. მას ყველანაირი ბოროტება მიეწერება.

კანონთმცოდნემ ხელახლა დაადასტურა შერიფის ნათქვამი, და ჩამოთვალა მრავალნაირი ბიწიერებათა ჩამდენნი: ქონებათა გამტაცებელნი, მფლანგველი, მოქეიფე, ზნედაცემული, გარყვნილი, ლოთი, ნაძირალა, პირმოთნე, ჩამომავლობითი მემკვიდრეობის მომსპობი, ფულების ფანტია და ღორმუცელა.

შერიფმა ისევ განაგრძო:

— ყოველი ამ ბიწიერებასთან სხვადასხვა დანაშაული წარმოიშობა. ვინც ყოველივეს უარყოფს, ის ამით ყველაფერს აღიარებს. ვინც მოსამართლის შეკითხვებზე დუმს, ის მატყუარაა და მამის მკვლელი.

— MENDAX ET PARRICIDA — კიდევ დაუდასტურა კანონთმცოდნემ.

შერიფმა განაგრძო:

— კაცო, დუმილის საფარველი ვერ გიხსნის, ეგ აკრძალულია. სასამართლოსადმი თავის გამრიდებელნი მძიმე შეურაცხყოფას აყენებენ კანონებს. ასეთი საქციელით ემსგავსებიან დიომედეს, რომელმაც ღმერთქალს მიაყენა ჭრილობა. სასამართლოს წინაშე დუმილი ხელისუფლების წინააღმდეგობას ნიშნავს. მართლმსაჯულების შეურაცხყოფა იგივეა, რაც მისი უდიდებულესობის შეუ-

რაცხყოფა. ეგ ყველაზე საძაგელი და ყველაზე უკმეხი დანაშაულია. დაკითხვისადმი თავის ამრიდებელი ჭეშმარიტების მპარავია; ეს კანონით არის გათვალისწინებული.

ასეთი შემთხვევების დროს ინგლისელები ყოველთვის სარგებლობდნენ უფლებით დამნაშავეზე ემოქმედათ სატანჯაო საშუალებებით: დილეგში, ორმოში ჩაგდებით, ბორკილებითა და ხუნდებით.

— ინგლისის ქარტია ათას ოთხმოცდარვა წლისაა, — განმარტა კანონმდებელმა.

და ისევ საზეიმო კილოთი დაუმატა:

— რკინის ბორკილები, ორმო, ხუნდები და სხვა.

შერიფმა განაგრძო:

— ამის გამო, ადამიანო, რადგან თქვენ არ ინებეთ დუმილი დაარღვიოთ, თუმცა სრულ გონებაზე ხართ და მშვენივრად გესმით რასაც ითხოვს თქვენგან მართლმსაჯულება; რადგან თქვენ სატანისებური ჯიუტობა გამოიჩინეთ, მართებული იქნებოდა თქვენი ცოცხლად დაწვა, მაგრამ სისხლის დანაშაულის სტატუტის ზუსტი დაცვის გამო, მოგაყენეს წამება, ეგრეთ წოდებული დაკითხვა სიმძიმეების დადებით“, აი, რა სასჯელი მოგიყენეს. კანონი მოითხოვს, რომ ეს მე პირადად გაგაცნოთ. მოგიყვანეს ამ მიწისქვეშეთში, დილეგში, მთლად გაგაშიშვლეს, პირაღმა დაგაწვინეს, ხელ-ფეხი მიგიჯაჭვეს ოთხივე სვეტზე, — კანონის ბურჯებზე, გულზე თუჯის ფიცარი დაგადეს და ზედ იმდენი ქვა დაგაწყეს, რამდენის ატანასაც შეძლებდით, „თითქმის იმაზე მეტიც“, — როგორც ამბობს კანონი.

— იმაზე მეტიც, — დაადასტურა კანონთმცოდნემ.

შერიფმა განაგრძო:

— ვიდრე შემდგომ განსჯას მოგაყენებდეთ, მე, სერეის საგრაფოს შერიფმა, როცა თქვენ უკვე ამნაირ მდგომარეობაში იმყოფებოდით, მოგმართეთ და მეორედ მოგეცით წინადადება გეპასუხათ და გეთქვათ. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ შეჯაჭვული ხართ, ხუნდები გადევთ, მაინც დუმხართ სატანისებური სიჯიუტით. ამიტომ საყელურიც გადაგაცვეს და ხუნდებითაც შეგბორკეს.

— კანონით დადგენილი ხუნდებით, — წარმოთქვა კანონთმცოდნემ.

შერიფმა ისევ დაიწყო:

— თქვენი უარისა და გამოუტეხლობის გამო, აგრეთვე იმის გამოც, რომ სამართლიანობა მოითხოვს, რათა კანონის სიმტკიცე დამნაშავის გაჯიუტების წინაშე უკან არ იხევდეს, ედიქტებისა და კანონთა კრებულის დადგენილების თანახმად, განსჯა ისევ გაგრძელდა. პირველ დღეს თქვენთვის არც საჭმელი მოუციათ, არც სასმელი.

— სრული თავშეკავება ჭამა-სმისაგან, — განმარტა კანონთმცოდნემ.

მდუმარება გამეფდა, ისმოდა მხოლოდ საშინელი ხრიალი დარილი ქვებისაგან სულშეხუთული ადამიანისა.

კანონთმცოდნემ თავის განმარტებას დაუმატა:

— ჭამა-სმისგან კიდევ უფრო შეიკავოთ თავი, ნაკლები რაოდენობით მიეცეს; ბრიტანეთის საადათო სამართლის მიხედვით.

ორიეე, შერიფი და კანონთმცოდნე, რიგრიგობით ლაპარაკობდა. ძნელი წარმოსადგენია ამ აუღელვებელ ერთფეროვნებაზე უფრო ჩაშავებნელებული რამ; ავბედით ხმას ბოროტი ხმა მოსდევდა. კაცი იფიქრებდა, რომ მღვდელი და დიაკვანი, რომელიღაც სატანჯაოს კულტის ამსრულებლები, კანონის სისხლისმსმელ წირვას ასრულებენო.

შერიფმა ისევ დაიწყო:

— პირველ დღეს არც სასმელი მოგცეს, არც საჭმელი, მეორე დღეს საჭმელი მოგცეს, მაგრამ სასმელი არ მოუციათ. პირში ჩაგიდეს ქერის პურის სამი ლუკმა. მესამე დღეს მოგცეს სასმელი, მაგრამ საჭმელი არ მოუციათ. პირში ჩაგასხეს სამ ჯერზე სამი ჭიქით ერთი პინტა წყალი, ამოხაპული ციხის სადენი თხრილიდან. დადგა მეოთხე დღე, დღევანდელი დღე. თუ თქვენ ახლაც არ გვიპასუხებთ, აქ დაგტოვებთ იქამდე, ვიდრე არ მოკვდებით. ამას მოითხოვს მართლმსაჯულება.

კანონთმცოდნე შემთხვევას არ უშვებდა, რომ რეპლიკა არ ჩაერთო. მან მონოტონურად წარმოთქვა:

— ბოროტმოქმედის სიკვდილი კანონისადმი პატივისცემის საწინდარია.

შერიფმა კვლავ მიაშველა:

— და როცა თქვენ სიკვდილის პირას მიხვალთ, აი ასეთი, მეტად შესაბრალისი სახით, მაშინ არავინ მოვა თქვენს საშველად,

თუნდაც პირიდან სისხლი ამოასხათ, თუნდაც სისხლმა გამოჟონოს წვერებიდან, იღლიის ძირებიდან, ყველა ხვრელიდან, პირიდან დაწყებული წელსქვევითამდე.

— A THROTEBOLLA, — დაადასტურა კანონთმცოდნემ. —

შერიფმა განაგრძო:

— ადამიანო, ყურადღებით მომისმინეთ, ვინაიდან შედეგი უშუალოდ თქვენ შეგეხებათ. თუ თქვენ ბოლოს და ბოლოს დაარღვევთ მაგ ბილწ დუმილს და ყოველივე თქვენს დანაშაულს აღიარებთ, მაშინ მხოლოდ ჩამოგახრჩობენ და უფლება მოგეცემათ მიიღოთ MELDEFEOH, ე.ი. გარკვეული ფულადი თანხა.

კანონთმცოდნემ დაადასტურა:

— ვინც დანაშაულს იკისრებს, მიიღოს ფულადი თანხა, როგორც დაკანონებულია.

შერიფმა კანონმდებლის ნათქვამი უფრო ნათლად განმარტა:

— ამ ფულად თანხას თქვენ მიიღებთ დოიტკინსების, სუსკენსებისა და გალიჰალპენების სახით, რომელიც ჰენრიხ მეხუთემ* თავისი მეფობის მესამე წელს გამოცემული სტატუტის ძალით ჩვეულებრივი ხმარებიდან ამოაგდო; ხოლო ასეთ შემთხვევაში მათ გასავალი ეძლევათ. გარდა ამისა, თქვენ უფლება გექნებათ სიკვდილის წინ „სასიყვარულო პაემანი მოგენიჭოთ“, რის შემდეგაც ჩამოგახრჩობენ. ასეთი შეღავათები ეძლევა, ვინც დანაშაულს კისრულობს. გნებავთ უპასუხოთ სასამართლოს?

შერიფი პასუხის მოლოდინში დადუმდა.

მსჯავრდადებული არც განძრეულა.

შერიფმა განაგრძო:

— ადამიანო, დუმილი ვერ გიშველის; თავის გადასარჩენად დუმილი უფრო სახიფათოა, ვიდრე საიმედო. პასუხის გაუცემლობა დამღუპველია, როგორც დანაშაული. ვინც სასამართლოში დუმს, ის გვირგვინოსნის მოღალატეა. ნუ ჯიუტობთ და ნუ იჩენთ დაუმორჩილებლის თვითნებობას. გაიხსენეთ მისი უდიდებულესობა დედოფალი. ნუ ეწინააღმდეგებით ჩვენს ყოვლად მოწყალე დედოფალს. ჩემი სახით მას უპასუხეთ; იყავით ერთგული ქვეშევრდომი.

დასჯილმა ამოიხრიალა.

შერიფმა განაგრძო:

— მაშ ასე, სატანჯავი პირველი სამი დღე-ღამის გასვლის შემ-

დეგ მეოთხე დღე დადგა, ადამიანო, ეს დღე გადამწყვეტია. პირისპირ წაყენება კანონით გათვალისწინებულია მეოთხე დღეს.

— მეოთხე დღეს ინიშნება პირისპირ წაყენება, — ჩაილაპარაკა კანონმცოდნემ.

შერიფი განაგრძობდა:

— კანონმდებლის სიბრძნემ ეს უკანასკნელი ჟამი აირჩია, რათა მიეღო ის გადაწყვეტილება, რასაც ჩვენმა წინაპრებმა უწოდეს: „სიკვდილის სიცოცხლის გადაწყვეტილება“, რადგან ასეთ წამში სარწმუნოდ მიიღება საბუთების გარეშე დამტკიცება ან უარყოფა.

კანონმდებელმა ისევ განმარტა:

— მეფე ადელსტანის ქარტია; პირველი ტომის ას სამოცდამეცამეტე გვერდი.

შერიფმა ერთ წამს შეისვენა, მერე დასჯილისკენ დახარა თავისი მკაცრი სახე:

— მიწაზე განრთხმულო კაცო!

იგი ერთხანს კიდევ დადუმდა.

— ადამიანო, არ გესმის, რას გეუბნები? — ჩასძახა მან.

დასჯილი არ განძრეულა.

შერიფმა უბრძანა:

— კანონის ძალით, აახილე თვალები!

ტანჯულს თვალები არ გაუხელია.

შერიფი მიუტრიალდა მარცხნივ მდგომ ექიმს:

— დოქტორო, თქვენი დიაგნოზია საჭირო.

— PROBE, DA DIAGNOSTICUM, — გაიმეორა იგივე კანონმდებელმა.

ექიმი ქვის ქანდაკებასავით, კვლავ გადმოვიდა ფიქალის საფეხურებიდან, მიუახლოვდა მიწაზე განრთხმულს, დაიხარა, ყური დაადო პირზე, ძარღვის ფეთქვა მაჯაზე, იღლიაში და თეძოზე გაუსინჯა; შემდეგ ისევ წელში გასწორდა.

— როგორ არის საქმე? — შეეკითხა შერიფი.

— სმენა ჯერ არ დაუკარგავს, — უპასუხა ექიმმა.

— მხედველობა თუ აქვს?

— დანახვა შეუძლია, — უპასუხა ექიმმა.

შერიფმა ანიშნა, სასამართლოს ბოქაული და კვერთხისმტვირთველი მიუახლოვდნენ. კვერთხისმტვირთველი დასჯილის თა-

ვით მოთავსდა. სასამართლოს ბოქაული გუინპლენის უკან დადგა. ექიმმა უკან დაიხია და სვეტებს უკან დადგა.

მაშინ შერიფმა ისე ასწია ვარდების თაიგული, თითქოს მღვდელმა სახსურებელი ასწიაო და სატანჯველში მყოფს სახედაღმეჭილმა მიმართა:

— ხმა ამოიღე, უბედურო! ვიდრე კანონი გაგანადგურებდეს, ფიცით მოგმართავს. გინდა მოგეჩვენო მუნჯად, წარმოიდგინე დამუნჯებული საფლავი. გინდა დაყრუებულად მოგვაჩვენო თავი, აბა წარმოიდგინე საშინელი განცდის დღე, მეორედ მოსვლისა, სადაც შემცოდეს ვედრებას ყურად არ იღებენ. წარმოიდგინე სიკვდილი, რაც უარესია შენს ახლანდელ ყოფაზე. შეისმინე ჩემი სიტყვა, მსგავსო ჩემო, ვინაიდან მეც ადამიანი ვარ. მომისმინე, ძმაო ჩემო, ვინაიდან მე ქრისტიანი ვარ. გაიგე ჩემგან თქმული, შვილო ჩემო, ვინაიდან მე მოხუცი ვარ. გეშინოდეს ჩემი, ვინაიდან მე უფლებამოსილება მაქვს შენი წამებისა და შეუბრალებლად მოგეპყრობი. კანონის სახით განხორციელებული საზარლობა მოსამართლეს დიდებით მოსავს. დაუფიქრდი! მე თვითონ ვძრწი ჩემ წინაშე. საკუთარი უფლებები მე თვითონ შზარავს. ნუ მიმიყვან უკიდურესობამდე. მე ვგრძნობ ჩემში დამსჯელი მოსამართლის ღვთაებრივ მრისხანებას. მაშ, აღივსე, უბედურო, თავის გადარჩენისა და ღირსეული შიშით მართლმსაჯულების წინაშე და დამემორჩილე. პირისპირ წარდგენის ჟამი დადგა და ვალად გადევს გვიპასუხო. ნუ ჯიუტობ, ნუ დაუშვებ გამოუსწორებელ შეცდომას. გაიხსენე, რომ შენი სულის ამოხდომა ჩემს ხელთ არის. ისმინე ჩემი, ცოცხალ-მკვდარო! თუ არ გინდა, რომ აქ მრავალი საათის, დღეებისა და კვირების განმავლობაში კვდებოდე. თუ არ გინდა ნელ-ნელა მტანჯველ გენიაში ქრებოდე, თუ არ გინდა საკუთარ სიბინძურეში ამყრალდე. თუ არ გინდა შიმშილი და წყურვილი კუჭ-ნაწლავს გიგლეჯდეს, თუ არ გინდა ამ ქვების სიმძიმით სული ამოგერთვას მარტო მიტოვებულს ამ დილეგში, ყველასგან დავიწყებულს, უარყოფილს, ვირთაგვების საღრღნელად მიგდებულს, თუ არ გინდა ნაწილ-ნაწილ გაგფატროს ათასნაირმა სულდგმულმა, რაც კი ამ სიბნელეში ფუთფუთებს, მაშინ, როდესაც შენს ზემოთ ადამიანები იქნებიან, თავიანთ საქმეებში გართულნი; ზოგნი იყიდიან, როცა სურთ; ზოგნი გაყიდიან საუკეთესო სანუკვარს; ეტლები იქნებიან.

თუ არ გინდა, რომ სასოწარკვეთილებაში კბილთა ღრჭენით გმინაედე, ქვითინებდე, ღმერთსა გმობდე, არ გეყოლოს გვერდით არც ექიმი, რომელიც დააცხრობდა შენი იარების ტკივილს, არც მღედელი, რომელიც ღვთიური სასმლის ნუგეშით ჩაანელებდა შენი სულის წყურვილს. ო, თუ არ გინდა იგრძნო, როგორ გადმოგედინება ბაგეზე სულამოხდილის დუჟი, მაშ, გევედრები და გაფიცებ, ისმინე ჩემი! მოგიწოდებ, შენვე დაეხმარე შენს თავს; შეიბრალე შენი თავი, მოიმოქმედე ის, რასაც შენგან მოითხოვენ. დაუთმე მართლმსაჯულების დაჟინებით მოთხოვნას. დაგვემორჩილე, აქეთ მოაბრუნე სახე, თვალები გაახილე და გვითხარ, ცნობ თუ არა ამ კაცსა?

დასჯილს არც მიუხედავს, არც თვალები გაუხელია.

შერიფმა ჯერ სასამართლოს ბოქაულს შეხედა, მერე კვერთხისმტვირთველს.

სასამართლოს ბოქაულმა გუინპლენს ქუდი და მოსასხამი მოხადა, მხრებზე ხელები წაავლო და პირისახით სინათლისკენ ისე მიაბრუნა, რომ ჯაჭვით დაბორკილს დაენახა. სინათლეზე ნათლად გამოჩნდა მთელი მისი შემზარავი სახიჩრობა.

იმავე დროს კვერთხისმტვირთველი დაიხარა, ორივე ხელი საფეთქლებთან მოჰკიდა სატანჯველში მყოფს და სახე გუინპლენისკენ მიუბრუნა. დახუჭული თვალის ქუთუთოები აუხილა, გამოჩნდა ტანჯვაში მყოფის გაველურებული დაჭყეტილი თვალები.

მან გუინპლენი დაინახა.

მაშინ უკვე თვითონ ასწია თავი და თვალებდაჭყეტილი დააკვირდა გუინპლენს.

შეკრთა, რამდენადაც კი შეიძლებოდა შემკრთალიყო კაცი, რომლის გულზე მთელი გროვა სიმძიმე მთასავით დაეზვავებინათ და წამოიყვირა:

— ის არის! დიახ, ის არის!

და საზარელი ხარხარი ატეხა.

— ის არის! — გაიმეორა კიდევ.

თავი ისევ მიწაზე დაუვარდა, თვალები დახუჭა.

— მდიანო, ჩაწერეთ, — წარმოთქვა შერიფმა.

ამ წუთამდე გუინპლენი, მიუხედავად შიშისა, თავს მაინც იკავებდა, მაგრამ სატანჯაოში მყოფის წამოძახილმა: „ის არისო“,

შეაძრწუნა იგი; ხოლო შერიფის სიტყვაზე: „ძდიეანო, ჩაწერეთო“, მას სისხლი გაეყინა ძარღვებში. ისე მოეჩვენა, თითქოს მის თვალწინ გაწოლილი ბოროტმოქმედი მას ჯურღმულში თან ითრევდა, გუინპლენისათვის გამოუცნობი მიზეზების გამო, და მისთვის გაუგებარი ამ კაცის აღიარება, როგორც რკინის საკისრე, ისე მოეჭირა ყელში. გუინპლენმა წარმოიდგინა, რომ მათ, ორივეს, თვითონ მას და ამ კაცს, ერთად, ურთიერთის გვერდით მიაჭედებენ სამარცხვინო ბოძზე. შიშითა და ძრწოლით შეპყრობილმა, ფეხქვეშ ნიადაგგამოცლილმა სცადა თავი გაემართლებინა, მეტისმეტად ღელავდა, გრძნობდა რა, რომ მას არავითარი მონაწილობა არ მიუძღოდა რომელიმე ბოროტმოქმედებაში, რაღაცას გაურკვეველსა ბუტბუტებდა, მთლად აკანკალებული, უკანასკნელ თავშეკავებადაკარგული, ყველაფერს ყვიროდა, რაც ენაზე მოადგა, რაც სიკვდილის შიშმა უკარნახა. ისე გაჰკიოდა, თითქოს ზარბაზანს ისვრიანო:

— ტყუილია, მე ის არა ვარ! მე არ ვიცნობ მაგ კაცს. ეგ მე ვერ მიცნობს, იმიტომ, რომ მე მაგას არ ვიცნობ. შინ მელოდებიან; დღეს წარმოდგენა მაქვს. რა უნდათ ჩემგან? გამიშვით, გამათავისუფლეთ! ეს სულ შეცდომაა! რისთვის მომიყვანეთ ამ დილეგში? ნუთუ არ არსებობს არავითარი კანონები. ბატონო მოსამართლევ, ვიმეორებ, მე ის არა ვარ! მე სრულიად არაფერში ვარ დამნაშავე. ეს ნამდვილად ვიცი. მე მინდა აქედან წავიდე. რა უსამართლობაა! მაგ კაცსა და ჩემ შორის საერთო არა არის რა. შეგიძლიათ ყველგან იკითხოთ, შემამოწმოთ. მე ხომ დაფარულად არა ვცხოვრობ! ისე დამიჭირეს, თითქოს ქურდი ვიყო. რად დამაპატიმრეს? განა მე ვიცი, ვინ არის ეგ კაცი, ან რისი ჩამდენია? მე მოგზაური ხუმარაოინბაზი ვარ. ბაზრებსა და მოედნებზე წარმოდგენებსა ვმართავთ. მე ვარ „კაცი, რომელიც იცინის“. რამდენ ხალხს ვუნახივარ ჩემს სიცოცხლეში. ჩვენ ტარიწზოფილდზე ვართ დაბანაკებული. უკვე თოთხმეტი წელიწადია მას მერე, რაც ჰატიოსნად ვასრულებ ჩემს ხელობას. ახლა ოცდამეხუთე წელში გადავდექი ტედკასტერის სასტუმროში ვცხოვრობ. სახელად გუინპლენს მეძახიან. მოიღეთ მოწყალება, ბატონო მოსამართლენო, უბრძანეთ გამიშვან აქედან. არ უნდა დაჩაგროთ საწყალი ბეჩავი ხალხი, შეიბრალეთ ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია არც მფარველი და არც ქომაგი. თქვენს წინაშე საწყალი კომედიანტი დგას.

შერიფმა წარმოთქვა:

— ჩემ წინაშე დგას ლორდი ფემენ კლენჩარლი, ბარონი კლენჩარლისა და ჰენკერვილისა, სიცილიის კორლეონეს მარკიზი, ინგლისის პერი.

შერიფი წამოდგა, თავის სავარძელზე მიუთითა გუინპლენს და წარმოთქვა:

— მილორდ, ხომ არ ინებებს თქვენი ბრწყინვალება დაბრძანებას?

ზღვასაც და ბედსაც ერთი და იგივე მობერვა ალელვებს

I

სათუთი საგნების სიმკვრივე

ხანდახან ბედი უგუნურების ფიალას გვთავაზობს, ღრუბლებიდან გამოჩნდება ხელი და ბნელ თასს გვიწვდის, რომელშიც ჩვენთვის ჯერ უცნობი, გამაბრუებელი სასმელი ასხია.

გუინპლენი ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა მის ირგვლივ. მან უკან მიიხედა, რომ დაენახა, ვის მიმართავდა შერიფი. ძალიან ხმამაღალ ბგერას ყური ვერ იჭერს, მეტად ძლიერი მღელვარება მიუწვდომელია გონებისათვის: გონებით ჩახვედრისათვის, ისე როგორც ყურით შესმენისათვის, განსაზღვრული დონე არსებობს.

კვერთხისმტვირთველი და სასამართლოს ბოქაული გუინპლენს მიუახლოვდნენ, მხრებში ხელი მოჰკიდეს და მან იგრძნო, რომ იმ სავარძელში სვამდნენ, საიდანაც შერიფი წამოდგა.

იგი უწინაალმდეგოდ დაემორჩილა, რაკი ვერ მიმხვდარიყო, რას ნიშნავდა ყოველივე ეს.

როდესაც გუინპლენი დაჯდა, სასამართლოს ბოქაული და კვერთხისმტვირთველი უკუდგნენ რამდენიმე ნაბიჯით და საკარძლის უკან გაიჭიმნენ.

შერიფმა თავისი თაიგული ქვის ფიქლის ლავგარდანზე დადო, გაიკეთა სათვალე, რომელიც მდივანმა მიაწოდა, მაგიდაზე დაგროვილი ოქმიდან და სხვა წერილობითი საბუთებიდან გაყვითლებული, დალაქავებული, ობისაგან გამწუანებულ-გაცრეცილი და ალაგ-ალაგ დახეული პერგამენტი გამოარჩია, რომლის ცალ გვერდზე ხშირი ნაწერი იყო და მრავალი ნაკეცის შედეგად ბეერგან გადამტვრეულიყო. შერიფი ფარანს მიუახლოვდა, პერგამენტი თვალებთან ახლოს მიიტანა და კითხვა მედიდურად დაიწყო:

„სახელითა მამისათა და ძისათა და სულითა წმინდისათა.

ამას ოცდაცხრა იანვარსა, ათას ექვსას ოთხმოცდაათსა წელსა, ქრისტეს დაბადებიდან.

პორტლენდის უკაცურ სანაპიროზე ბოროტგანზრახვით მიატოვეს ათი წლის ბავშვი, იმ ვარაუდით, რომ შიმშილითა და სიცივით მოკვდებოდა ამ უდაბურ ადგილას.

ეს ბავშვი ორი წლისა გაყიდეს მისი უდიდებულესობის, ყოვლად მოწყალე მეფე იაკობ მეორის ბრძანებით.

ეს ბავშვი არის ლორდი ფერმენ კლენჩარლი, კანონიერი და ერთადერთი ვაჟიშვილი ან განსვენებულის ლორდ კლიანეუს კლენჩარლისა, კლენჩარლი-პენკერვილის ბარონისა, იტალიის კორლეონეს მარკიზისა, ინგლისის სამეფოს პერისა და მისი მეუღლის ანა ბრედშოუსი; ეს უკანასკნელი აგრეთვე გარდაცვლილია.

ეს ბავშვი მემკვიდრეა თავისი მამის ყველა სამფლობელოსი და ტიტულ-ხარისხებისა. სწორედ ამის გამო გაყიდეს, დაასახიჩრეს, დაამახინჯეს და თანახმად მისი უდიდებულესობის, ყოვლადმოწყალე მეფის სურვილისა, უკვალოდ დაკარგულად გამოაცხადეს.

ამ ბავშვს ზრდიდნენ და ასწავლიდნენ მსახიობობა-ოინბაზობას იმ მიზნით, რომ ბაზრებსა და სხვადასხვა მოედნებზე გამოეყვანათ ხალხის გასართობად.

ის გაყიდეს ორი წლის ასაკისა, მისი მამის, ლორდის სიკვდილის შემდეგ. ამასთანავე მეფეს ამ ბავშვის შესასყიდად და სხვაგვარი დათმობა-შელავათებისათვის, ათი გირვანქა სტერლინგი გადაუხადეს.

ორი წლის ასაკის ლორდ ფერმენ კლენჩარლი შევისყიდე, მე, ქვემორე ამის ხელისმომწერმა; ხოლო დაასახიჩრა და დაამახინჯა წარმოშობით ფლამანდიელმა, ფლანდრიის მკვიდრმა სახელად ჰარდკვანონემ, რომელმაც იცოდა დოქტორ კონკესტის დასახიჩრების საიდუმლოება.

ბავშვი ჩვენ მოვამზადეთ სიცილის ნიღბად, MASCA RIDENS.

ამ მიზნით ჰარდკვანონემ გაუკეთა მას ოპერაცია BUCCA FISSA USQUE AD AURES,* რამაც პირისახეზე მუდმივი სიცილი აღუბეჭდა.

იმ საშუალებით, რომელიც მხოლოდ ჰარდკვანონემ იცის, ბავშვი დავაძინეთ და ისე დავასახიჩრეთ, ამიტომ არაფერი იცის ხსენებული ოპერაციის შესახებ.

მან არ იცის, რომ იგი ლორდი კლენჩარლია.

ჩვენ მას „გუინპლენს“ ვეძახით სახელად.

რადგან ბაგშვი პატარა იყო და მეხსიერება ჯერ არ ჰქონდა ჩამოყალიბებული, მან არა იცის რა ზემოთქმულის შესახებ, ვინაიდან ამ დროს ორი წლისაც ძლივს იქნებოდა.

პარდკვანონე ერთადერთი დასტაქარია, რომელსაც BUCCA FISSA ოპერაციის გაკეთება შეუძლია და ეს ბაგშვიც ერთადერთია ჩვენს დროში, რომელსაც ამგვარი ოპერაცია გაუკეთდა.

ეს ოპერაცია იმდენად თავისებური და განუმეორებელია, რომ მრავალი წლის შემდეგ, ის ბაგშვი რომ დაბერებულიყო კიდეგაც და მისი შვილი თმა გაჭაღარაგებულიყო, პარდკვანონე მაინც მაშინვე იცნობდა მას.

პარდკვანონემ, რომელმაც ამ სტრიქონების წერის დროს, მისი უდიდებულესობის ორანის პრინცის, ან შეფე უილიამ მესამის ციხეში იმყოფება, დაწერილებით იცის აქ მოხსენებული ამბები, რადგან ამ საქმის მონაწილეა, როგორც მთავარი მოქმედი პირი. პარდკვანონე დააპატიმრეს და საპყრობილეში დაამწყვდიეს როგორც კომპრაჩისკოსთა, ანუ ჩეილოსთა ბრბოს მონაწილე და ბოროტმოქმედი. ის დამწყვდეულია ჩეთემის ციხეში.

ბაგშვი, თანახმად მეფის ბრძანებისა, გაიყიდა და ჩვენ ჩაგვბარდა, ლორდი ლინეუსის უკანასკნელი მსახურის ხელით, შვეიცარიაში, ჟენევის ტბის მახლობლად, ლოზანოსა და ვევეს შუა მდებარე საკუთრივ იმ სახლში, სადაც გარდაიცვალა ბაგშვის დედ-მამა. მსახურიც თავისი ბატონების შემდეგ მალე მოკვდა. ისე, რომ ეს ბოროტმოქმედება ახლა ყველასათვის საიდუმლოა, გარდა ჩეთემის ციხეში დაპატიმრებული პარდკვანონესი და ჩვენი; ხოლო ჩვენ ახლა დაღუპვა-სიკვდილი მოგველის.

ჩვენ, ქვემორე ამისა ხელისმოწერებმა, აღვზარდეთ ჩვენს მიერ შეფისაგან ნაყიდი პატარა ლორდი და ჩვენთან გვყავდა რვა წლის განმავლობაში, იმ მოსაზრებით, რაკი მისგან მომავალში სარგებლობასა და გამორჩენა-საშოვარს ველოდით.

დღეს ინგლისიდან გავედით იმის შიშით, რომ ჩვენც პარდკვანონეს ხვედრი არ დაგვტეხოდა; რათა თავიდან აგვეცილებინა ამგვარ მოქმედებაზე პარლამენტის მიერ დადგენილი მკაცრი სასჯელი, —

შებინდების დროს პორტლენდის ნაპირზე დავტოვეთ ხსენებული პატარა გუინპლენი — ლორდი ფერმენ კლენჩარლი.

ამ საქმის საიდუმლოდ დაცვის შესახებ ფიცი მივეცით მეფეს და არა უფალს.

ამ ღამით განგებამ ინება და ზღვაზე ქარიშხალი დაგვატყდა. ვიმყოფებით რა უკიდურეს სასოწარკვეთილებაში, მუხლს ვიდრეკთ მის წინაშე, ვისაც მხოლოდ და მარტო მას ძალუძს გადაგვარჩინოს დაღუპვას და შესაძლოა, როგორც ყოვლადმოწყალემან, ჩვენი სულებიც გადაარჩინოს წაწყმედას. რადგან უკვე აღარას ველით ამ ქვეყნად, ხოლო მოშიშარნი ღვთის რისხვისა, ვხედავთ რა უკანასკნელ ხსნას ღრმა მონანიებაში. ვურიგდებით სიკვდილსა და მზად ვართ მორჩილებით დავუხვდეთ მას, თუკი ციური მართლმსაჯულება ამით დაკმაყოფილებული იქნება. ჩვენ თავსა ვხრით მის წინაშე და გულში მჯიღის ცემით ვაღიარებთ რა ჩვენს საიდუმლოს, ვანდობთ მღელვარე ზღვას, რათა მან კეთილი გზა მისცეს ამ საიდუმლოს გამჟღავნებას, ნებითა ყოველ სახიერისა ღვთისა ჩვენისა იყოს შემწე ჩვენი ამა საქმეში ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი! ამინ! ამაზე ხელს ვაწერთ".

შერიფმა კითხვა შეწყვიტა და წარმოთქვა:

— აი ხელმოწერაც. ყველა სხვადასხვა ხელითაა მიწერილი.

და ხელახლა კითხვას შეუდგა:

„დოქტორი გერნარდუს გეესტემიუნდე, — „ასუნსიონი". — შემდეგ ჯვარია დასმული და მოსდევს: „ბარბარა ფერმოი ტირიფელი, ებუდაში რომაა, გაისდორა, კაპტალი, — ჯანჯირატე, — ჯაკ კატურზი, შერქმეული სახელით ნარბონელი, — ლიუკ-პიერ კაპგარუპე, მაჰონის კატორღელთა ციხიდან".

შერიფი ისევ შეჩერდა და წარმოთქვა:

— იმავე ხელით, რომლითაც ტექსტია დაწერილი, მიწერილია ალბათ პირველი ხელმომწერისაგან.

და წაიკითხა:

„კარჭაპის ეკიპაჟი სამი კაცისაგან შედგებოდა. თვითონ ხომალდის პატრონი ტალღამ გადაისროლა ზღვაში. დანარჩენმა ორმა ხელი მოაწერა აქვე: — გალდეაზუნი. ავე-მარია — ქურდი".

შერიფი შიგადაშიგ თავის შენიშვნებს ურთავდა და კითხვას განაგრძობდა:

— ფურცლის ბოლოში აღნიშნულია: „ხლვაზე. „მატუტინას“ ბაქანზე. ეს არის ბისკაური კარჭაპი, ზღვის ყურე პახახესიდან“.

შერიფმა დაუმატა:

— ეს ფურცელი სამდივნოს პერგამენტია, ზედ მეფე იაკობ მეორის ჭვილი ამწნეულა. კიდევ აქვს არშიებზე მინაწერი, იმავე პირველი ხელით:

„ეს ჩვენება ჩვენ დავწერეთ მეფის ბრძანების მეორე გვერდზე: ბრძანება ჩაგვბარდა, როგორც საბუთი ჩვენგან ბავშვის შესყიდვისა. ამ ფურცლის მეორე გვერდზე შეიძლება ბრძანების ამოკითხვა“.

შერიფმა პერგამენტი გადმოაბრუნა. მარჯვენა ხელით სინათლისაკენ გასწია, ყველამ დაინახა ფურცლის სუფთა გვერდი; თუკი შეიძლება „სუფთა გვერდი“ ეწოდოს ნახეცრად დამპალ ნაჭერს. შუაგულს სამი სიტყვის ამოკითხვა შეიძლებოდა; ორი ლათინურად: — JUSSU REGIS, „მეფის ბრძანებით“, და ხელისმოწერა: „ჯეფრისი“.

— მეფის ბრძანებით, ჯეფრისი, — წარმოთქვა შერიფმა ყველას გასაგონად, მაგრამ უკვე წყნარად.

გუინპლენი ისეთი გახდა, თითქოს ჯადოსნური კოშკის სახურავიდან თავზე კრამიტი დაეცაო.

მოგონების ბურუსში წასულმა ჩაილაპარაკა:

— გერნარდუსი... დიახ, მას დოქტორს უწოდებდნენ, ყოველთვის, დალვრემილი მოხუცი. მე მეშინოდა მისი. გაიხდორა, კაპტალი, ეს მეთაურს ნიშნავს. დედაკაცებიც იყვნენ. ასუნსიონი და ერთიც სხვა. მერე იყო კიდევ პროვანსალელი, კაპგარუპე; ის მობრტყელო მათაროდან სვამდა; ამ მათარაზე წითელი ასოებით სახელი ეწერა.

— აი ის მათარა, — წარმოთქვა შერიფმა.

და მაგიდაზე დადო რაღაც საგანი, რომელიც მდივანმა „მართლმსაჯულების ტომრიდან“ ამოიღო.

ეს იყო ტირიფის შტოებით მოწნული ყურებიანი მათარა. ეტყობოდა, ბევრი რამ გადახდენოდა და წყალშიც დიდხანს ეტივტივა. ზედ წყლის ბალახბულახი შემოხვეოდა და ლოკოკინის ბუდეები მიჰკვროდა. ოკეანეში ცურვისაგან, მთლად ჟანგით იყო მიხაზულ-მოხაზული. მათარის ყელზე შემხმარი ფისი მოწმობდა, რომ იგი ოდესღაც დალუქული ყოფილიყო და ეტყობოდა, რომ ფისი აეშტვრიათ და საცობი აეხადათ.

— ამ ბოთლში სასიკვდილოდ განწირულ ადამიანებს ჩაუდიათ ახლახან ჩემს მიერ წაკითხული ჩვენება, — თქვა ისევ შერიფმა, — ეს საბუთი მართლმსაჯულების მიმართ იყო გამიზნული და ზღვამაც პირნათლად შეუნახა და მიაწოდა მას.

შერიფმა კიდევ უფრო საზეიმო კილოთი განაგრძო:

— მსგავსად იმისა, როგორც ჰაროუს მთაზე საუკეთესო ხორბალი გვარობს, რომლისგანაც მშვენიერი ფქვილი გამოდის, ხოლო ამ ფქვილიდან პურს მეფის სუფრისათვის აცხობენ, სწორედ ასევე ზღვაც ინგლისს ყველანაირ დახმარებას უწევს და, როდესაც ლორდი უკვალოდ ქრება, ზღვა მას პოულობს და უკანვე აბრუნებს.

მანვე დასძინა:

— ამ ფიალაზე მართლაც წითელი ასოებით ვიღაცის სახელია გამოყვანილი.

შერიფმა მერე ხმა აიმაღლა და უძრავად გაწოლილ დამნაშავეს მიუბრუნდა:

— აქ თქვენი სახელია აღნიშნული, ბოროტმოქმედო! მიუწვდომელია ის გზები, რომლებიც ადამიანთა საქმიანობის მორევში ჩანთქმულ ჭეშმარიტებას კვლავ ზეცით ამოატივტივებს.

შერიფმა მათარა ისევ ხელში აიღო და სინათლეს სუფთა გვერდი მიუშვირა, ალბათ საგნობრივად დასაბუთების მიზნით. ტირიფის წნელში ჩაწნული იყო ლერწმის წითელი იკლიბაკლო ხოლი, რომელიც ზოგან ჩაშავებულიყო დროისა და წყლის გავლენით. მიუხედავად იმისა, რომ აქა-იქ იგი დაზიანებული იყო, სულ თავისუფლად გაირჩეოდა ათიოდე ასო: ჰარდკვანონ.

შერიფი ისევ დამნაშავეს მიუბრუნდა და კვლავ ისეთი კილოთი დაიწყო ლაპარაკი, როგორსაც შეიძლება მხოლოდ მართლმსაჯულების ხმა ეწოდოს.

— ჰარდკვანონ! როდესაც ეს მათარა, თქვენი სახელი რომ აწერია, ჩვენ, შერიფმა, პირველად წარმოგიდგინეთ, — თქვენ, თქვენის ნებით განაცხადეთ, რომ იგი თქვენია. შემდეგ, როდესაც მასში აღმოჩენილი პერგამენტი წაგიკითხეთ, თქვენ არ ისურვეთ დაგეპატებინათ რამე წინა ჩვენებაზე, და არც არაფერი გეიპასუხეთ არც ერთ შეკითხვაზე; ალბათ ვარაუდობდით, რომ დაკარგულ ბავშვს ვერ იპოვიდნენ და ამგვარად სასჯელი აგცილდებოდათ. აქედან გამომდინარე გარემოებით მე თქვენ მოგისაჯეთ „ხანგრძლივი გამო-

კითხვა, სიმძიმეების ზედ დადებით“ და თქვენ მეორედ წაგიკითხეს ზემოხსენებული პერგამენტი; იგი შეიცავს თქვენი თანამზრახველების ჩვენებას. ამითაც ვერაფერს მიეალწიეთ. დღეს მეოთხე დღეა და ამ დღეს კანონით პირისპირ წაყენება ინიშნება. როდესაც პირისპირ აღმოჩნდით იმასთან, ვინც ათას ექვსას ოთხმოცდაათი წლის ოცდაცხრა იანვარს პორტლენდში მიატოვეს, უკვე დარწმუნდით, რომ ყველა თქვენი ბიწიერი იმედი დაემხო; ამიტომ დაარღვიეთ დუმილი და აღიარეთ სიმართლე, — იცანით თქვენი მსხვერპლი...

ბოროტმოქმედმა თვალები გაახილა, თავი წამოსწია და მომაკვდავისთვის არაჩვეულებრივი მაღალი ხმით, რომელშიც სულთმობრძავის ხრიალთან ერთად რაღაცნაირი უცნაური სიმშვიდე ისმოდა, ავბედითი კილოთი რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა: თითოეული სიტყვის წარმოთქმაზე, სუნთქვის დროს, უნდა დაეძლია და გულისპირზე დაყრილი ქვების გროვა და რკინის ფიქალიც აეწია, რომლის სიმძიმის ქვეშ ის მიწაზე იყო განრთხმული.

— მე ფიცი დავდე საიდუმლოების დაცვაზე და ვიცავდი კიდეც უკანასკნელ შესაძლებლობამდე. ბნელი ხალხი ალალი ხალხია; პატიოსნება ჯოჯოხეთშიც არსებობს. ახლა დუმილი უკვე უაზრობაა. დაე, ასე იყოს. ამიტომ მე ვამბობ: ჰო, დიახ, ეგ სწორედ ის არის, ეგ ჩვენ ორივემ, მეფემ და მე დავასახიჩრეთ; მეფემ თავისი ნებასურვილით, მე ჩემი ხელოვნებით.

გუინპლენს შეხედა და დაუმატა:

— მაშ, იცინე სამუდამოდ!

და თვითონვე გადაიხარხარა.

ეს სიცილი პირველზე უფრო საზარელი იყო და ქვითინივით გაისმა.

სიცილი შეწყდა. ჰარდკვანონეს თავი უკან გადაუვარდა, თვალის ქუთუთოები დაეშვა.

შერიფმა ბოროტმოქმედს ლაპარაკი აცალა და მერე ისევ დაიწყო:

— ყოველივე ეს ოქმში უნდა აღინიშნოს.

მოიცადა, ვიდრე მდივანი ჩაწერდა, და განაგრძო:

— ჰარდკვანონე, კანონის ძალით, რაკი პირისპირ წაყენებამ შედეგი გამოიღო, მას შემდეგ, რაც მესამედ წაგიკითხეთ თქვენი თანამზრახველების ჩვენება და რადგან თქვენც დღეს პირადად, გუ-

ლახდილად აღიარეთ დანაშაული და მეორედაც დაადასტურეთ იგი, ახლავე გაგათავისუფლებენ ბორკილებისგან, რათა მისი უდიდებულესობის ნება-სურვილით ჩამოგახრჩონ, როგორც პლაგიატორი.

კანონთა მცოდნე გამოეხმაურა:

— როგორც პლაგიატორი, ესე იგი, როგორც ბავშვების შემსყიდველ-გამყიდველი. ვესტგოთური კანონი, წიგნი მეშვიდე, თავი მესამე, პარაგრაფი USURPAVERIT — მითვისა; და სალიური კანონი, თავი ორმოცდამეერთე, პარაგრაფი მეორე, და ფრიზების კანონი, თავი ოცდამეერთე — DE PLAGIO — უკანონოდ მითვისება. ალექსანდრე ნეკამიც ამბობს, „ბავშვების გამყიდველო, შენი სახელი პლაგიატორია“.

შერიფმა პერგამენტი მაგიდაზე დადო, სათვალე მოიხსნა, თაიგული ისევ აიღო და წარმოთქვა:

— მკაცრი, ხანგრძლივი დაკითხვა შეწყვეტილია. ჰარდკვანონე, მადლობა გადაუხადეთ მის უდიდებულესობას.

სახამართლოს ბოქაულმა ტყავისტანისამოსიან კაცს ანიშნა.

ეს კაცი, ჯალათის ხელქვეითი, ანუ როგორც ძველ ქარტიებში უწოდებდნენ, „სახრჩობელას მსახური“, დასჯილთან მივიდა. გადმოალაგა მის გულ-მკერდზე დაწყობილი ქვები, გადმოიღო თუჯის ფიქალი; გამოჩნდა ჩაზნექილი გვერდები უბედურისა; გაუთავისუფლა ხელები და ფეხის კოჭები ოთხ ბოძზე მიბმული ბორკილებისა და ხუნდებისაგან.

ყველა ტვირთისა და ხუნდისაგან უკვე განთავისუფლებული ბოროტმოქმედი ისევ უძრავად იწვა, თვალდახუჭული და გაფარჩხული, როგორც ჯვარცმული, თითქოს ჯვრიდან ეს-ეს არის ჩამოხსნესო.

— ადექით, ჰარდკვანონე! — წარმოთქვა შერიფმა.

ბოროტმოქმედი არ განძრეულა.

„სახრჩობელას მსახურმა“ მისი ხელი ასწია, ცოტა ხნის შერე გაუშვა, ხელი უსიცოცხლოდ დავარდა. შემდეგ მეორე ხელი ასწია, ისიც ასევე დავარდა. ჯალათის ხელქვეითმა ახლა ჯერ ცალი ფეხი ასწია ბოროტმოქმედისა, შერე მეორე და, როცა ხელი გაუშვა, ქუსლები მიწაზე დაენარცხნენ. არც ერთი ფეხის თითები არ შეურხევია, გაშეშებულივით ჰქონდა. ძირს გაწოლილ ადამიანს შიშველი ფეხები რაღაც უცნაურად გამოშვერილი რჩება.

ახლა ექიმი მივიდა, ჯიბიდან პატარა ფოლადის სარკე ამოიღო და ჰარდკვანონეს დაღებულ პირზე მიადო. მერე ქუთუთოები აუწია, — ქუთუთოები აღარ დაშვებულა. მინასავით უძრავი გუგები არ შემკრთალა.

ექიმი წელში გასწორდა და წარმოთქვა:

— უკვე მკვდარია.

შემდეგ დაუმატა:

— გაიცინა და სიცილმა მოკლა.

შერიფმა შენიშნა:

— ეგ არაფერია, რაკი დანაშაული აღიარა, მაგის სიკვდილ-სიცოცხლეს მნიშვნელობა აღარა აქვს.

თაიგული გაიწოდა ჰარდკვანონესკენ და კვერთხისმტვირთველს განკარგულება მისცა:

— გვამი აქედან ამაღამვე გაიტანეთ.

კვერთხისმტვირთველმა ისევ თავი დაუკრა.

შერიფმა დაუმატა:

— საპატიმროს სასაფლაო პირდაპირ არის.

კვერთხისმტვირთველმა ისევ თავი დაუკრა.

მდივანი ისევ ოქმსა წერდა.

შერიფს თაიგული მარცხენა ხელში ეჭირა, მარჯვენით თავისი თეთრი კვერთხი აიღო, ჯერ ისევ სავარძელში მჯდომი გუინპლენის პირდაპირ დადგა, მდაბლად თავი დაუკრა, შემდეგ ისევ მედიდურად წელში გამართულმა თვალი თვალში გაუყარა გუინპლენს და წარმოთქვა:

— თქვენ, აქა დამსწრეს, მე, კავალერი ფილიპ დენზილ პარსონსი, სერეის საგრაფოს შერიფი, ესკვაირის ობრი დომინიკეს თანხლებით, — ჩვენი კლერკისა და მდივნის, აგრეთვე ჩვენი ჩვეულებრივი თანაშემწეების თანხლებით, ვინაიდან წესისამებრ მივიღეთ სამისო პირდაპირი ბრძანება მისი უდიდებულესობის დედოფლისა, ჩვენთვის მონდობილი დავალების ძალითა და მისგან გამომდინარე ყველა უფლებითა და მოვალეობით, ჩვენს თანამდებობასთან დაკავშირებით და აგრეთვე ინგლისის ლორდ-კანცლერის ნებართვით, ოქმებზე, აქტებსა და იმ ცნობებზე დამყარებით, რაც ჩვენ საადმირალომ გადმოგვცა, საბუთების შემოწმებისა და ხელმოწერათა შემოწმების შედეგად, ჩვენების წაკითხვისა და მოსმენის დასასრულ-

დაპირისპირების მერე და კანონით ნაბრძანები ყველა პროცედურის ჩატარების შემდეგ, რამაც საქმე კეთილად და სამართლიანად დაასრულა და დააგვირგვინა — ვადასტურებთ და გიცხადებთ თქვენ, რომ უფლება გაქვთ დაეპატრონოთ ყველა თქვენდამი კუთვნილ სამფლობელოს; აგრეთვე ვადასტურებთ და გიცხადებთ, რომ თქვენ ბრძანდებით ფერმენ კლენჩარლი, ბარონი კლენჩარლისა და ჰენკერვილისა, მარკიზი სიცილიის კორლეონესი და ინგლისის პერი. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, თქვენო ბრწყინვალებავ!

შერიფმა კიდევ თაყვანისცა.

კანონთმცოდნემ, დოქტორმა, სასამართლოს ბოქაულმა, კვერთხისმტვირთველმა, მდივანმა, ერთი სიტყვით, ყველა იქ მყოფმა, გარდა ჯალათისა, შერიფის მაგალითს მიჰბაძეს და გუინპლენს თაყვანი სცეს, თანაც უფრო მეტი თავაზიანობა გამოიჩინეს, თითქმის მიწამდე დაუკრეს თავი.

— რა არის ეს? გამაღვიძეთ მაინც! — დაიძახა გუინპლენმა.

და სახეგადაფითრებული წამოიჭრა საკარძლიდან.

— მე სწორედ იმიტომ მოვედი, რომ გაგაღვიძოთ, — გაისმა ვიღაცის ხმა; ეს ხმა პირველად გაისმა.

და წინ წამოდგა კაცი, რომელიც აქამდე ქვითკირის სვეტს ეფარებოდა. რადგან იმ წუთიდან, რაც რკინის ფიქალი აიხადა, და სატანჯაოში პოლიციის მსვლელობა ჩაეშვა, დილეგში სხვა აღარავინ ჩასულა, ცხადი იყო, რომ ეს კაცი გუინპლენის მიყვანამდე ჩამოვიდა და მიიმალა. ცხადი იყო ისიც, რომ მას დავალებული ჰქონდა თვალყური ედევნებინა ყოველივე იქ მომხდარისათვის და რომ ამაში გამოიხატებოდა მისი მოვალეობა. სამგზავრო მოსასხამში გახვეულ ამ ჩასუქებულ კაცს სასახლის კარისკაცის პარიკი ეკეთა. ის უფრო ხნიერსა ჰგავდა, ვიდრე ახალგაზრდას. თავი წესიერად ეჭირა. მან გუინპლენს თავაზიანად და ისე მოხდენილად დაუკრა თავი, როგორც კარგად გამოწვრთნილმა შინამსახურმა და არა ისე უხერხულად, როგორც სასამართლოს მოხელეებსა სჩვევიათ.

მან წარმოთქვა:

— დიახ, მე მოვედი თქვენს გასაღვიძებლად; უკვე ოცდახუთი წელია, რაც გძინავთ. თქვენ სიზმარში ხართ და დროა გამოფხიზლდეთ. თქვენ გუინპლენი გგონიათ თქვენი თავი, ნამდვილად კი კლენჩარლი ხართ. თავი მდაბიოდ მიგაჩნიათ, როდესაც დიდებული

თავადი ბრძანდებით. თქვენი თავი უკანასკნელთა წრეში გგონიათ, როდესაც წარმოშობით უპირველესთა წრეს ეკუთვნით. თავს მასხარად თვლით, მაგრამ თქვენ სენატორი ბრძანდებით. თავი ღარიბ-ღატაკი გგონიათ, ხოლო სინამდვილეში უმდიდრესი ბრძანდებით. თავი არარად მიგაჩნიათ, ხოლო ეკუთვნით კი ძლიერთა ამა ქვეყნისათა. გაიღვიძეთ, მილორდ!

გუინპლენმა სუსტი ხმით წაიჩურჩულა, რომელშიც აშკარა შეშფოთება იგრძნობოდა:

— რას ნიშნავს ყოველივე ეს?

ჩასქელებულმა უპასუხა:

— იმას ნიშნავს, მილორდ, რომ მე ბარკილფედროს შეძახიან, რომ მე საადმირალოს მოხელე ვარ, რომ ის ჰარდკვანონეს მათარა, ტალღებისგან გამორიყული ზღვის პირას იპოვეს, რომ ის ჩემთან მოიტანეს, რადგან ასეთი ჭურჭლებისაგან ლუქის ახსნა ჩემს მოვალეობას შეადგენს, რომ მე ეს ჭურჭელი გავხსენი იმ ორი ნაფიცის თანდასწრებით, რომლებიც ჯეტსონის განყოფილებაში მსახურობენ; კიდევ პარლამენტის ორი წევრის თანდასწრებით; ქალაქ ბათის წარმომადგენლის, უილიამ ბლეთუაითისა და ქალაქ საუთჰემპტონის წარმომადგენლის თომას ჯევოისის თანდასწრებით, რომ მათ აღწერეს და შეამოწმეს ის, რაც აღმოჩნდა: შედგენილი ოქმი, თავიანთი ხელის მოწერით ჩემთან ერთად დაადასტურეს, რომ ნაპოვნი საბუთის შესახებ მე მოვახსენე მის უდიდებულესობას, დედოფალს, რომ დედოფლის ბრძანებისამებრ ყველაფერი კანონის ფარგლებში გაფორმდა და შესრულდა საჭირო საიდუმლოების დაცვით. საიდუმლოება საჭირო იყო ესოდენ საჩოთირო მოვლენის გამო, და რომ ამ ფორმალობიდან უკანასკნელი, რაც ახლახან მოხდა, ეს იყო პირისპირ წაყენება, ანუ დაპირისპირება. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი წლიური შემოსავალი მილიონს უდრის, რომ თქვენ დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ლორდი ბრძანდებით, რომ თქვენ კანონმდებელი და მოსამართლე ბრძანდებით, უმაღლესი მოსამართლე და უმაღლესი კანონმდებელი, რომ თქვენ ძოწეულითა და ყარყუმით შეიმოსებით, რომ თქვენ პრინცებთან თანასწორ ხარისხზე დგახართ და თითქმის იმპერატორთა თანასწორი ბრძანდებით, რომ თქვენ თავზე დაიდგამთ პერის გვირგვინს, და რომ თქვენ შეირთავთ მეფის ასულს, რომელიც ჰერცოგის ასულის ტიტულს ატარებს.

ბედის ასეთი გადატრიალებით შეძრწუნებულ გუინპლენს თითქოს მეხი დაეცაო, უცბად გული შეუღონდა.

II

რაც ზღვაზე დაცურავს, ნაპირს აღწევს

ყველაფერი, რაც მოხდა, იმის შედეგი იყო, რომ ვიღაც ჯარისკაცმა ზღვის პირად ბოთლი იპოვა.

გიამბობთ როგორ მოხდა:

ყოველ მოვლენას ისე უნდა შეეხედოთ, როგორც ჯაჭვში იმ რგოლს, რომელსაც სხვა შედეგი — რგოლი, ანუ გარემოება მოსდევს.

ისე მოხდა, რომ ქელშორის ციხის გარნიზონის ოთხი თოფჩითაგანიდან ერთმა ზღვის მოქცევის დროს ქვიშაზე ტირიფის პწკალებით მოწნული მათარა იპოვა, რომელიც ტალღას გამოერიყა. მთლად ობითა და ხავსით დაფარულ მათარას დაფისული ძენძი ჰქონდა დაცობილი. ჯარისკაცმა ნაპოვნი მათარა ციხესიმაგრეში პოლკის უფროსს მიუტანა, ხოლო ამ უკანასკნელმა ინგლისის ადმირალს გაუგზავნა. ადმირალს, მაშასადამე, საადმირალოში. საადმირალოში კიდევ ნაპირზე გამორიყული საგნები ბარკილფედროს გამგებლობაში იმყოფებოდა. ბარკილფედრომ მათარას ლუქი ააძრო, საცობი ახადა და მათარა დედოფალთან მიიტანა. დედოფალმა საქმეს მაშინვე ხელი მოჰკიდა. მან თავის ორ მრჩეველს აცნობა ნაპოვნის შესახებ და წინადადება მისცა, თავისი აზრი გამოეთქვათ. ამ მრჩევლებიდან ერთი იყო ლორდი კანცლერი, რომელიც კანონით „ინგლისის მეფის სინდისის დამცველი“ არის, მეორე — ლორდი მარშალი, „მცოდნე ჰერალდიკისა და გვარტომობისა“. ნორფოლკის ჰერცოგმა, თომას ჰოვარდმა პერმა-კათოლიკემ, ჩამომავლობით ინგლისის ჰოფ-მარშალმა თავისი წარმომადგენლის გრაფ-მარშალ ჰენრი ჰოვარდის ბინდონის გრაფის საშუალებით გადმოსცა, რომ იგი წინასწარვე ეთანხმება ლორდ კანცლერის აზრს. ლორდი კანცლერი მაშინ უილიამ კოუპერი იყო. ამ უკანასკნელის სახელი არ უნდა ავურიოთ მისივე თანამოგვარისა და სუხნიის უილიამ კოუპერის სახელთან, — ეს უკანასკნელი ანატო-

მი და ბიდლოუს* კომენტატორი იყო, მან ინგლისში გამოაქვეყნა თავისი „ტრაქტატი კუნთების შესახებ“, თითქმის სწორედ იმავე დროს, როდესაც საფრანგეთში ეტიენ აბეილმა დაბეჭდა „ისტორია ძლებისა“. ჭირურგსა და ლორდს შორის ერთგვარი განსხვავება არსებობს. ლორდმა უილიამ კოუპერმა სახელი იმ ფრაზით გაითქვა, რომელიც ლონგვილის ვიკონტის ტალბოტ იელვერტონის საქმეს შეეხებოდა; მან თქვა: „ინგლისის კონსტიტუციისათვის პერის უფლებებში აღდგენა უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე მეფის რესტავრაციაო“.

ქელშორში ნაპოვნმა მათარამ მეტისმეტად დააინტერესა ლორდი კანცლერი. ყველა, ვინც რაიმე პრინციპულ აზრს გამოთქვამს, მოხარული იქნება თუ მას განახორციელებს. ჰოდა, აი, სწორედ აქ შემთხვევამ მოიტანა, რომ პერი აღდგენილი ყოფილიყო თავის უფლებებში. დაიწყეს ძებნა იმ კაცისა, რომელიც გუინპლენის სახელით სცენაზე, თუ ფიცარნაგზე კომედიანტის როლში გამოდიოდა. მისი პოვნა ძნელი არ იყო. არც ჰარდკვანონეს პოვნა გაძნელებულა. ჰარდკვანონე ხომ ჯერ კიდევ ციხეში ჰყავდათ დამწყვდეული. ციხეში შეიძლება დაალპონ კაცი, მაგრამ ამასთანავე ციხე მაინც ინახავს მას. თუ კაცი დაპატიმრებული ჰყავთ, მაშასადამე ინახავენ. ციხეში დაპატიმრებულს იშვიათად აწუხებდნენ. საპყრობილეებს ისევე არ უცვლიდნენ პატიმრებს, როგორც მკვდრებს კუბოებს არ უცვლიან. ჰარდკვანონე ჯერ ისევ ჩეთამის გოდოლში იჯდა. მხოლოდ მისი იქიდან გამოყვანა დასჭირდებოდათ. ის გამოიყვანეს კიდევაც ჩეთამიდან და ლონდონში წაიყვანეს. იმავე დროს ცნობებსა კრებდნენ შვეიცარიაში. ყველა ფაქტი სრულიად დამტკიცდა. ლოზანასა და ვევეში სათანადო დაწესებულებებში აღმოაჩინეს ლორდ ლინეუს ქორწინების მოწმობა, რომელიც მისი განდევნის პერიოდს ეხებოდა. იპოვეს ასევე ბავშვის დაბადების მოწმობა. შემდეგ აქტები მამისა და დედის სიკვდილისა. ყველა ამ საბუთიდან გადაიღეს ორ-ორი შემოწმებული ასლი, ისე, სხვათა შორის, შეიძლება დაგეჭირდესო. ეს ყოველივე, სასტიკი საიდუმლოების დაცვით და მეტისმეტად მოკლე დროში შეასრულეს; როგორც მაშინ იტყოდნენ ხოლმე: „მეფური სისწრაფით“. თანაც უღრმეს „თხუნელასებურ დუმილში“, რომელსაც თვითონ მისდევდა და სხვასაც ურჩევდა ბეკონი; ცოტა უფრო შემდეგ ბლექსტონმა სავალდებულო წესად

დაადგინა ასეთი დუმილი უმაღლეს სამდივნოში, სახელმწიფო საქმის წარმოების დროს, და კიდევ იმ საქმეების გარჩევის დროს, რომლებსაც „სენატორთა“ საკითხებს უწოდებდნენ.

ზეწარწერა „JUSSU REGIS“ — მეფის ბრძანებით — და ხელმოწერა „ჯეფრის“ — ნამდვილად ცნეს იმისთვის, ვისაც შეუსწავლია პათოლოგიური ხასიათი მეფეების ჟინისა, იმ ჟინისა, რომელსაც უწოდებენ „მისი უდიდებულესობის კეთილ ნებას“, ეს „JUSSU REGIS“, სრულებითაც არ გახლავთ საკვირველი. იაკობ მეორემ, რომელსაც თითქოს ფარულად უნდა დაეცვა ამგვარი საქმიანობა, მაინც რატომ აღნიშნა იგი საბუთებში? და ამით ხიფათშიც კი ჩააგდო აქ ნაგულისხმები საქმიანობის წარმატება. ეს ხომ ცინიზმია, ქედმაღლური ზიზღია ყველაფრისადმი ამ ქვეყნად. აჰა, თქვენა გგონიათ, რომ მხოლოდ უწესო დიაცები არიან უსირცხვილონი? არც სახელმწიფოებრივ პოლიტიკას ახასიათებს მაინცდამაინც მორცხვობა. ბოროტმოქმედების ჩადენა და მერე ამით დატრაბახება — ამისგან შედგება მთელი ისტორია, მეფე თითქოს კატორღელიაო, სვირინგს იკეთებს. საჭირო იყო, თავი გადაერჩინა ჟანდარმისა და ისტორიის მსჯავრისგან, მაგრამ იმავე დროს დასანანია ასეთი საინტერესო ნიშანი დათმო: კარგია ყველა გიცნობდეს და ყველას ახსოვდე. შეხედეთ ჩემს მკლავს, მიაქციეთ ყურადღება ამ ნახატს, სადაც დახატულია სიყვარულის ტაძარი და მგზნებარე გული, ისარგაყრილი. ეს მე ვარ, ლარსნერი*. „JUSSU REGIS“ — „მეფის ბრძანებით“, — ეს მე ვარ, იაკობ მეორე. კაცმა ბოროტმოქმედება ჩაიდინოს და ზედ თავისი ბეჭედი დაჰკრას? იმდენი უსირცხვილობა გამოიჩინოს, რომ შეგნებულად გასცეს თავისი თავი, ყველას თვალწინ გადაუშალოს თავისი ბოროტი საქმე — ამაშია სწორედ თავხედური ტრაბახი ავის ჩამდენისა. ქრისტინა* ბრძანებს შეიპყრონ მონალდესკი,* აიძულებს მას ალიაროს ყველაფერი, შემდეგ უბრძანებს ჯალათებს მოკლან და თან ამბობს, „მე შვედეთის დედოფალი ვარ და საფრანგეთის მეფის სტუმართმოყვარეობით ვსარგებლობო“. ყველა ტირანი ერთნაირად როდი იქცევა: ზოგი იმალება, როგორც ტიბერიუსი,* სხვანი ქედმაღლურად ტრაბახობენ, როგორც ფილიპე მეორე. ერთნი მორიელს ემსგავსებიან, მეორენი — ავაზაკს. იაკობ II მეორე სახეობას ეკუთვნოდა. მის პირისახეზე აღბეჭდილი იყო პირდაპირობა და მხიარული ხასიათი.

ფილიპე II,* როგორ ცნობილია, პირიქით, დაღვრემილი და პირქუში იყო, იაკობ მეორე მხიარული იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი სიმკაცრეს იჩენდა. იაკობ მეორე გულკეთილი ვეფხვი იყო, მაგრამ ისევე, როგორც ფილიპე, გულგრილად სჩადიოდა დანაშაულებრივ ბოროტმოქმედებას. ის იყო მტარვალი „წყალობითა ღვთისათა“. სწორედ ამიტომ არცა ფარავდა, არც აქარწყლებდა თავის ბოროტ საქმეებს. მისი მკვლელობები გამართლებას პოულობდნენ მისივე „ღვთიური უფლებების გამო“. იგიც მზად იყო სიკვდილის შემდეგ დაეტოვებინა სიმანკახის არქივები,* რომელშიც დაცული იქნებოდა პერგამენტები, ყველა მისი ბოროტმოქმედებების დაწვრილებითი ჩამოთვლით, დანომრილები, აღრიცხულნი, განყოფილებებად განლაგებულნი, იარლიყებდაკრულნი, სრულ წესრიგზე, ყველა ცალკე თაროზე, როგორც მეაფთიაქის ლაბორატორიაში დაცული საწამლავები. თავის ბოროტმოქმედებაზე ხელის მოწერა, მეფის ღირსების მაჩვენებელი ნიშანია.

ყოველი შესრულებული ნამოქმედარი თამასუქია, რომელიც დიდ უცნობ მფლობელს შერჩება ხელში. ამ თამასუქის მიხედვით ავბედით წარწერას — „მეფის ბრძანებით“ დაუდგა ვალის გადახდის ვადა.

ქალთაგან უმრავლესობას საიდუმლოების დაცვა არ ეხერხება. დედოფალი ანა ამ შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენდა. შესანიშნავად იცოდა საიდუმლოების შენახვა. მან ლორდ კანცლერს წინადადება მისცა ამ მნიშვნელოვან საქმეზე საიდუმლო მოხსენება წარმოედგინა, ეგრეთ წოდებული: „მოხსენება ხელმწიფის ყურში საუწყებელი“. ასეთი მოხსენებები მეტად ხშირი იყო მონარქიულ ქვეყნებში. ვენაში „საგანგებო ყურის მრჩეველიც“ კი იყო; მას სასახლის კარის მრჩევლის წოდება ჰქონდა. ეს საპატიო თანამდებობა კაროლინგების დროს დაწესდა და დამბეზღებელს უდრიდა. ესე იგი, იმ პიროვნებას, რომელიც იმპერატორთან დაახლოებული იყო და უფლება ჰქონდა საიდუმლოდ, დაბალი ხმით, „ყურში ჩაეჩურჩულებინა“, გაეშუღავნებინა რაიმე საგანგებო ამბავი.

ინგლისის კანცლერს, უილიამ კოუპერს, დედოფალი ნდობით იმიტომ ეპყრობოდა, რომ იგი ბეცი იყო, როგორც თავად დედოფალი; ვგონებთ, უფრო მეტად ბეცი; მან შეადგინა მოხსენებითი ბარათი, რაც ასე დაიწყო: „სოლომონს ორი ფრინველი ემსახურე-

ბოდა, ოფოფი „ჰუდბუდი“ — ყველა ენაზე მოლაპარაკე და არწივი „სიმურღანკა“, რომლის ფრთების ჩრდილის ქვეშ ათასი კაცისაგან შემდგარი ქარავანი ეფარებოდა; სწორედ ასევე, თუმცა რამდენადმე სხვანაირი სახით“... და სხვ. ლორდ-კანცლერი დამტკიცებულად თვლიდა იმ ფაქტს, რომ პატარა მემკვიდრე პერი გაუტაციათ, დაუსახიჩრებიათ და რომ ბოლოს იგი უპოვიათ. კანცლერი არა გმობდა იმ იაკობ მეორეს, რომელიც, რაც უნდა იყოს, დედოფალ ანას მამა იყო. მან ზოგიერთი საბუთიც კი აღნიშნა მეფის გასამართლებლად. ჯერ ერთი, ძველი საუკუნეებიდანვე დაწესებულია ცნობილი მონარქიული პრინციპები: თავადაზნაურთა წრიდან გაძევებულნი, მდაბიოთა წრისანი ხდებიან. მეორე პრინციპი: მეფეს უფლება აქვს დაამახინჯოს თავისი ქვეშევრდომი. ამას ჩემბერლენიც ადასტურებს. „ჩვენი ქვეშევრდომული სიცოცხლეც და ქონებაც ჩვენ გვეკუთვნისო“, წარმოთქვა აღმატებულად სახელოვანმა და აღმატებულად კეთილად სახსენებელმა იაკობ მეფემ. „სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის“ თვალებსა სთხრიდნენ მეფური ჩამომავლობის ჰერცოგებს. ზოგიერთი პრინცი, რომელიც მეტად ახლო იმყოფებოდა გვირგვინოსანთან ნათესაობაში, იმავე გვირგვინოსნისა და ტახტის უშიშროების მიზნით ორ ლეიბს შორის მოუხრჩვიათ. ამასთანავე, მათ სიკვდილის წვეთის დაცემას, აპოპლექსიას აბრალებდნენ. მოხრჩობა ხომ უფრო სერიოზული საქმეა, ვიდრე დასახიჩრება. ტუნისის მეფემ თვალები გამოსთხარა თავის მამას მულეიასემს. მიუხედავად ამისა, მეფეს შეუძლია ბრძანება გასცეს, რომ მის ქვეშევრდომს მოჰკვეთონ სხეულის რომელიმე ნაწილი, ისევე, როგორც ქონების უფლებას ართმევენ და სხვა — ეს სრულიად კანონიერია. მაგრამ ერთი კანონიერი მოქმედება მეორე — ასეთსავე კანონიერ მოქმედებას ვერ სპობს. „თუ მეფის ბრძანებით დასახრჩობად წყალში გადააგდეს ვინმე და ეს კაცი ნაპირთან მოცურდა, — ცოცხალი გადარჩა, ეს მოვლენა იმას ნიშნავს, რომ მეფის გადაწყვეტილება ღმერთმა დაარღვია. თუ დაკარგული მემკვიდრეობითი პერი გამოჩნდება სადმე, მას უნდა დაუბრუნდეს პერის გვირგვინი. ასეთი თავგადასავალი შეემთხვა ლორდ ალას, ნორთუმბრის მეფეს. ისიც აგრეთვე ჯანაოზი და მასხარად ნამყოფი იყო. ასევე უნდა მოეპყრონ გუინპლენს, რომელიც აგრეთვე მეფეა, ესე იგი ლორდი. ის დაბალი ხელობა, რომელსაც იგი გადაუ-

ლახავი მდგომარეობის გამო მისდევდა, არ არცხვენს მაღალი წრის გერბს. ამის მოწმეა აბდოლონიმე,* რომელიც იყო მეფე და იმავე დროს მებაღეც. ანდა წმინდა იოსები, რომელიც დურგალი იყო. ან ბოლოს აპოლონი, რომელიც იყო ღმერთი და ამავე დროს მწყემსი". მოკლედ, სწავლული კანცლერი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ლორდი ფერმენ კლენჩარლი, ნატყუარი სახელით გუინპლენი, აუცილებლად უნდა აღედგინათ ყველა მისი ადგილ-მამულის სრულუფლებიან მფლობელად და დაებრუნებინათ აგრეთვე, ყველა მისი ტიტულ-ღირსებანი. მაგრამ „იმ აუცილებელი პირობების შემდეგ, როდესაც პირისპირ წარუდგენდნენ ბოროტმოქმედ ჰარდკვანონესა და თუ ეს ჰარდკვანონე ცნობდა მას და აღიარებდა დანაშაულს." ამ დასკვნით კანცლერმა, მეფის სინდისის კონსტიტუციურმა მცველმა, საბოლოოდ დააშვიდა ეს სინდისი.

ლორდ-კანცლერი განსაკუთრებულ მინაწერში ამბობდა, რომ თუ ჰარდკვანონე გაჯიუტდება და არ გამოტყდება, მაშინ მას „ხანგრძლივ დაკითხვას" მოუწყობენო. ამასთანავე პირისპირ წაყენება უნდა მოხდეს მხოლოდ მეოთხე დღეს, როდესაც ბოროტმოქმედისათვის დადგება ჟამი „სასიკვდილო სიცივისა", რომლის შესახებ ნათქვამია მეფე ადელსტანის ქარტიაში. ასეთ წესს, რა თქმა უნდა, ერთგვარი უხერხულობა ახლდა; სახელდობრ ის, რომ სატანჯველად განწირული შეიძლებოდა მეორე ან მესამე დღესვე მომკვდარიყო. მიუხედავად ამისა, კანონს უნდა დამორჩილებოდნენ. ამა თუ იმ კანონის გამოყენება ჩვეულებრივ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

თუმცა ლორდ-კანცლერის აზრით, სრულიად დარწმუნებულნი უნდა ყოფილიყვნენ, რომ ჰარდკვანონე ცნობს გუინპლენს და დანაშაულსაც აღიარებს.

ანას ერთი მხრივ საკმაო ცნობები ჰქონდა მიღებული გუინპლენის სახიჩრობის შესახებ. მაგრამ მეორე მხრივ არ უნდოდა ეწყენინებინა დისთვის, რომელსაც გადაეცა ყველა ადგილ-მამული კლენჩარლებისა და სიხარულით დაეთანხმა იმ აზრს, რომ ჯოზიანას უნდა ექორწინა ახალაღმოჩენილ ლორდთან, — ესე იგი გუინპლენთან.

ფერმენ კლენჩარლის ლორდის უფლებებში აღდგენას არაეითარი დაბრკოლება არ უნდა შეხვედროდა, ვინაიდან იგი პირდაპირ და

კანონიერ მემკვიდრეს წარმოადგენდა. საეჭვო შემთხვევაში, როდესაც ნათესაური კავშირის დამტკიცება ძნელი იყო ან კიდევ როდესაც პერობა გამოურკვეველ მდგომარეობას წარმოადგენდა და შორეული ნათესავები სადაოდ ხდიდნენ, ესე იგი, ასაჩივრებდნენ, მაშინ კანონი მოითხოვდა საკითხი გამოსარკვევად ლორდთა პალატაში გადაეტანათ. მეტად შორეული დროის შემთხვევებს რომ არ მივმართოთ, დავასახელებთ რამდენიმე, უფრო ახლობელ მაგალითს. 1782 წელს გადაწყვიტეს ელისაბედ პერის საკითხი სიდნეის საბარონოზე უფლებების შესახებ. 1789 წელს გაირჩა თომას სტეპლტონის საკითხი, ბიუმონის საგრაფოზე მისი უფლებების შესახებ. 1803 წელს ღირსპატივცემულ ტაიმველ ბრიჯესის საკითხი ჩანდოს ბარონობაზე. 1813 წელს გენერალ ლეიტენანტის ნოლისის საკითხი — ბენბერის საპეროსა და საგრაფოს უფლებებზე და სხვა. ხოლო ამ შემთხვევაში ასეთი რამ არ მომხდარა. არავითარი დავა არ ატეხილა. არ იყო საჭირო პალატის შეწუხება. ახალი ლორდის უფლებების დაბრუნებისთვის საკმარისი გახდა დედოფლის კეთილი ნება, ლორდ-კანცლერის თანდასწრებით.

ბარკილფედრო ავანჩავანობდა ამ საქმეს.

ბარკილფედროს წყალობით საქმეს ისეთი სიფრთხილით შეუდგნენ, საიდუმლოებას ისე ბეჯითად იცავდნენ, რომ არც ჯოზიანას, არც ლორდ დევიდს ეჭვიც არ აუღიათ, როგორ მოხერხებულად უთხრიდნენ მათ ძირს. ქედმაღალ ჯოზიანასთვის, რაკი ყველასაგან მორიდებით ეჭირა თავი, გზის აქცევა ძნელი არ იყო. რაც შეეხება ლორდ დევიდს, იგი ფლანდრიის სანაპიროებისკენ ზღვაზე სამოგზაუროდ გაგზავნეს, რომ მისთვის ლორდობის ტიტულის ჩამორთმევას აპირებდნენ, ამას ვერც კი მიხვედრილიყო. აქ ერთი დაწვრილებითი ამბავიც უნდა გაეიხსენოთ. იმ ფლოტილიის სადგომიდან, რომელსაც ლორდი დევიდი მეთაურობდა, ათი ლიეს დაშორებით კაპიტანმა ჰელიბერტონმა საფრანგეთის ფლოტი დაამარცხა. საბჭოს თავმჯდომარემ, გრაფმა პემბროკმა წინადადება შეიტანა კაპიტანი ჰელიბერტონი დაეჯილდოებინათ კონტრადმირალის ხარისხით. ანამ ჰელიბერტონის გვარი ამოშალა და მის მაგიერ სიაში ლორდ დევიდ დერი-მოირის სახელი შეიტანა. ეს იმიტომ, რომ ლორდი დევიდი იმ მომენტისათვის, როდესაც გაიგებდა, რომ პერობა დაკარგა, ადმირალის ხარისხით მაინც ინუგეშებდა თავს.

ანა სრულ კმაყოფილებას გრძნობდა: დას — სახიჩარი ქმარი. ლორდ დევიდს — შესანიშნავი ხარისხი. ერთი მხრივ — ნიშნის მოგება, სიავკაცე; მეორე მხრივ — წყალობა.

მისი უდიდებულესობა დატკბებოდა თავისივე გამოგონილი კომედიით. ამასთანავე, მან თავისი თავი დაარწმუნა იმაში, რომ ამით გამოასწორებდა იმ უსამართლობას, რომელიც მისმა უაგუსტოსმა მამამ ჩაიდინა. რომ ეს პერობის წოდებას ისევ დაუბრუნებს ერთერთ მის წევრთაგანს. ესე იგი, ისე მოქმედებდა, როგორც დიდ მონარქს, მეფე-ქალს შეეფერებოდა. რომ ნებითა ღვთისათა ის იცავდა უდანაშაულოს, რომ განგება თავის მიუწვდომელ და კეთილ გზებზე... და სხვა. იმაზე მეტად სასიამოვნო რა იქნება, თუ სამართლიანად მოიქცევი და იმავე დროს შენს მეტოქესაც გაამწარებ.

თუმცა დედოფლისათვის მარტო იმისი შეცნობაც კმაროდა, რომ მის ულამაზეს დას გონჯი ქმარი ეყოლებოდა. რამდენად გონჯია გუინპლენი, როგორი სახიჩარია იგი, ბარკილფედრომ საჭიროდ არა ცნო განემარტა დედოფლისათვის. ხოლო თვითონ დედოფალს არ უნებებია გამოკითხვა ამის შესახებ. ნამდვილი მეფური უგულებელყოფაა. და განა სულერთი არ არის? ლორდთა პალატა მხოლოდ მადლიერი იქნება. ლორდმა კანცლერმა, ოფიციალურმა ორაკულმა, საერთო აზრი გამოთქვა. პერის აღდგენა იმას ნიშნავდა, რომ ასე თუ ისე მხარი მისცეს პერების მთელ წოდებას. მეფის ხელისუფლება ამ შემთხვევაში გამოდიოდა როგორც ერთგული და საიმედო ქომაგი პერების პრივილეგიისა. ახალი პერი, გარეგნობით როგორიც უნდა იყოს იგი, არ გახდება დამაბრკოლებელი მიზეზი, რამდენადაც კანონი უფლებას ანიჭებს დაუბრუნდეს მას სამკვიდრებელი. თავისი საბუთებით და აღმოჩენებით სრულიად დაკმაყოფილებული ანა პირდაპირ შეუდგა მიზანს — დიადს, ქალისა და მეფურ მიზანს, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ სურვილისამებრ მოქცეულიყო.

დედოფალი იმ დროს ვინძორში ცხოვრობდა. ამიტომ იყო, რომ სასახლის ინტრიგები ისე მალე არ გაქვეყნებულა.

ახლო მომავლის ამბები მხოლოდ იმ პირებმა იცოდნენ, რომელთა ჩაურეველობა ამ საქმეში არაფრით არ შეიძლებოდა.

ბარკილფედრო ზეიმობდა და ეს მის სახეს უფრო აებედით იერს ჰფენდა. ხან სიხარულიც მეტად საძაგელი გრძნობაა ხოლმე.

მას პირველს ხედა წილად ის სიამოვნება, რომ პარდკვანონეს ფიალაზე საცობი აეხადა. ამ დროს მას განსაკუთრებული განცვიფრება არ შემჩნეულა, ვინაიდან გაკვირვება მხოლოდ გონებაშეზღუდულ ადამიანებს სჩვეოდათ. ამასთანავე ისიც ხომ მართალია, რომ ეს შემთხვევა მისთვის სრულიად დამსახურებული ჯილდო იყო. ის ხომ დიდი ხანია ელოდა ბედნიერ შემთხვევას. ბოლოს ხომ მაინც უნდა გახსნოდა ბედი.

„არაფერი არ გაკვირვებოდა“, ეს ბარკილფედროს საქციელის ერთ-ერთი გამასხვავებელი ნიშანი იყო. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ გულის სიღრმეში ის მაინც შეძრწუნებული იყო. ის, ვინც შესძლებდა ბარკილფედროსთვის ნიღაბი ჩამოეძრო, ნიღაბი, რომლის ქვეშ იგი თავის სულის ნამდვილ ხვაშიადს ღმერთის წინაშეც კი ფარავდა, მას თვალწინ ასეთი სურათი გადაეშლებოდა. სწორედ ამ დროს ბარკილფედრო რწმუნდებოდა, რომ ის მეტად უმნიშვნელო კაცი იყო, და ამასთანავე ასე ახლო მდგომი ბრწყინვალე ჰერცოგის ასულ ჯოზიანასთან, მას ძალა არ შესწევდა რამენაირი უსიამოვნება მიეყენებინა, გაემწარებინა ეს ბანოვანი. ასეთმა გარემოებამ გამოიწვია ბარკილფედროში ფარული მძულვარების გახელებული აფეთქება. იგი სრულ სასოწარკვეთილებამდე მივიდა. რამდენადაც მეტად კარგავდა იმედს, იმდენად უფრო ძლიერდებოდა მისი მძვინვარება. „ბრაზით ლაგამს ღრღნისო“, რა სწორედ გადმოსცემენ ეს სიტყვები იმ ავი ადამიანის სულიერ განწყობილებას, რომელსაც საკუთარი უძლურების გამო ახრჩობს ბრაზი. ბარკილფედრო თითქმის მზად იყო ხელი აეღო თუ ჯოზიანასთვის ზიანის მიყენებაზე არა, თავის შურისმაძიებლურ გეგმებზე მაინც; თუ ჯოზიანასადმი გაცოფებულ მტრობაზე არა, მისი დაშხამვა-დანესტვრის განზრახვაზე მაინც. მაგრამ რაოდენი თავის მოჭრა იყო მისთვის, რომ მსხვერპლი ხელიდან გაეშვა. თავის გულში ჩაემალა სიავკაცე, როგორც ქარქაშში ჩააგებენ ხოლმე მხოლოდ სამუზეუმოდ გამოსადეგ ხანჯალს! რა დიდი დამცირებაა!

და უცბად, სწორედ ამ დროს ჰარდკვანონეს მათარა ბარკილფედროს ჩაუვარდა ხელში. მსოფლიოში გაბატონებულ ქაოსს ასეთი ურთიერთდამთხვევა სჩვევია. ამოუცნობში დაფარულია რალაც ძალა, რომელიც მუდამ მზად არის შეასრულოს ბრძანება ბოროტებისა. ბარკილფედრომ ორი გულგრილად განწყობილი მოწმის,

საადმირალოს ორი მოხელის თანდასწრებით გახსნა მათარა, იპოვა მასში პერგამენტი. გაშალა, წაიკითხა თქვენ თვითონ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა სატანისებურმა სიხარულმა აიტანა.

საფიქრელადაც საზარელია, რომ ზღვა, ქარი, წყალთა სიერცენი, მოქცევები და მიქცევები, ქარიშხლები, დარი თუ თქეშები ამდენ ძალ-ღონეს მხოლოდ იმ მიზნით ხარჯავენ, რომ ბედნიერება მოუტანონ ავ ადამიანს. და აი, სწორედ ასეთი შეთქმულება ხორციელდებოდა თხუთმეტი წლის მანძილზე. მიუწვდომელი საიდუმლოებაა! თხუთმეტი წლის განმავლობაში ოკეანე სულ ამაზე ირჯებოდა, ტალღები ერთმანეთს გადასცემდნენ ზევით ამოტივტივებულ მათარას, ფსკერზე დაყრილი ქვებიც კი ცდილან არ გაეტეხათ იგი, არც შუშა გაბზარულა სადმე, საცობი ისევ მრთელი დარჩენილა, ზღვის ბალახ-კლერტებმა არ ჩაწყვიტეს ტირიფის წკნელები, ნიჟარებმა ვერ წაშალეს სიტყვა „ჰარდკვანონ“, წყალმა ვერ შეაღწია ჭურჭელში, ობმა არ დაფარა პერგამენტი, ნესტმა ვერ წაშალა ჩანაწერი. — აი, როგორ იზრუნა ზღვის მორევმა! და, აჰა, საბოლოო ანგარიშში, ის, რაც გერნარდუსმა სიბნელეში გადაისროლა, სიბნელემ ბარკილფედროს მისცა ხელში. უსაზღვრობამ ბოროტად გამოიყენა ნდობა ადამიანისა. ბედისწერის პირქუშმა ირონიამ ისე მოაწყო, რომ სამართლიანობის ზეიმი, ესე იგი, მიტოვებული ბავშვის, გუინპლენის ლორდ კლენჩარლად გადაქცევა ჯოჯოხეთურმა სიავემ გაართულა. ბედმა კეთილი საქმე შეასრულა, მაგრამ საამისოდ მან ცუდ საშუალებას მიმართა და მართლმსაჯულებაც აიძულა უსამართლობისათვის გაეწია სამსახური. იაკობ მეორეს წაერთვა მსხვერპლი და ბარკილფედროს გადაეცა. გუინპლენი უნდა აემაღლებინათ იმისათვის, რომ ჯოზიანა დაემცირებინათ. ბარკილფედრომ წარმატებას მიაღწია. მისთვის ამდენი წლის მანძილზე ტალღები, აბობოქრებული ზვირთები და ქარაშოტები აქეთ-იქით ახეთქებდნენ და იცავდნენ იმ მათარას, რომელშიც მჭიდროდ გადაიხლართა ამდენი ადამიანის სვე და ხვედრი! საამისოდ მოახდინეს გულითადი შეთანხმება ქარებმა, ზღვის მიმოქცევებმა და ქარიშხლებმა! მარად მღელვარე თვალუწვდენელმა ოკეანემ ეს სასწაული ბილწი კაცის საამებლად მოახდინა! უსაზღვროებამ დახმარება გაუწია ხარბ ჭიაყელებს! ბედისწერას ხანდახან ასეთი შაებნელი ჟინი მოუვლის ხოლმე!

ბარკილფედრომ გოლიათური სიამაყის მოზღვავება იგრძნო, მან გადაწყვიტა, რომ ყოველივე მხოლოდ მისი გულისთვის გაკეთდა. ეგონა, რომ იგი ცენტრი და მიზანი იყო იმისა, რაც მოხდა.

მაგრამ ბარკილფედრო ცდებოდა. შემთხვევა სამართლიანად უნდა ავწონ-დავწონოთ. ამ შესანიშნავი შემთხვევის ჭეშმარიტი აზრი იმაში როდი მდგომარეობდა, რითაც ბარკილფედრომ ისარგებლა თავისი ბოროტი ზრახვების შესასრულებლად. საქმე სულ სხვაფრივ იყო. ოკეანემ ქარიშხალი დაატეხა ბავშვის ჯალათებს და ობოლს მშობლების მაგივრობა გაუწია. ოკეანემ დაამსხვრია ის კარჭაპიც, რომელმაც ბავშვი ნაპირზე მიატოვა, ხოლო ვინც იმ ხომალდზე იმყოფებოდა, ყველა ჩანთქა. ქარიშხალმა სიკვდილის ხელით გირაო მიიღო. ბოროტმოქმედთა მტვირთველი გაძძლე ხომალდის მაგივრობა მათარამ გასწია. ამ მათარაში მოთავსდა საბუთი, რომელსაც უნდა აღედგინა პატივაყრილი სამართლიანობა. როგორც საკუთარი ძუძუთი გამომკვებავმა ავაზამ, ისე იკისრა ახალი როლი ზღვამ. მან ძიძობა გაუწია და თავის გულზე არწევდა არა თვითონ ბავშვს, არამედ მის წილხვედრს, სწორედ იმ დროს, როდესაც ბავშვი იზრდებოდა და არა იცოდა რა იმის შესახებ, რასაც მისთვის ზღვის წიაღი ასრულებდა, ის ტალღები, რომლებსაც ბოთლი გადაუგდეს, განუწყვეტლივ ფხიზლობდნენ წარსულის ამ ნამსხვრევის ირგვლივ, რომელშიც მომავალი ინახებოდა. გრიგალიც კი ფრთხილად გადაივლიდა ხოლმე ამ მსხვრევად ჭურჭელზე. ზღვის დინებებს იგი უფსკრულ-სიღრმეებს შორის ბობოქარი გზებით მიჰქონდა. ზღვის მცენარეებმა, შხეფებმა, ციცაბოებმა და ქაფებით მოთუხთუხე მეჩეჩებმა მფარველობა გაუწიეს ალალმართალ არსებას. ოკეანის ზვირთი ისეთი ურჟევი გამოდგა, როგორიც სინდისი. ქაოსი წესრიგის აღმდგენელი გამოვიდა. წყვდიადი ისწრაფოდა სინათლის ზეიმისაკენ. სიბნელე ყოველნაირად ეხმარებოდა ჭეშმარიტების მზის ამოსვლას. განდევნილს, უკვე საფლავში ჩასვენებულს ნუგეში მიანიჭეს, მემკვიდრეს — კანონიერი მემკვიდრეობა. მეფის დანაშაულებრივი გადაწყვეტილება უქმდებოდა. ცეცხლი განგების მიერ წინასწარ დადგენილი ბედისწერა სინამდვილეში ხორციელდებოდა. მიტოვებულ უსუსურ ბავშვს თვით დაუსრულებლობის სახით გამოუჩნდა მხრუნველი. აი რა უნდა დაენახა ბარკილფედროს იმ მოვლენებში, რის გამოც იგი აღტაცებაში მოვიდა.

მაგრამ მან ასეთი ვერაფერი დაინახა. მას აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ყოველივე ეს გუინპლენის გამო მოხდა. მან გადაწყვიტა, რომ ყველაფერი მისთვის, ბარკილფედროსთვის მოეწყო, და რომ მან სრულიად დაიმსახურა ყოველივე, რაც მოხდა, და რაც უნდა მოხდარიყო. ასეთი ბუნებისანი არიან სატანისებური არსებანი.

ვისაც გაუკვირდება, ისეთი მსხვრევადი საგანი, როგორიც შუშის მათარაა, როგორ გადაურჩა ოკეანეს მთელი თხუთმეტი წლის მანძილზე, ჩანს, მას ოკეანის თვისება კარგად არა სცოდნია. ოკეანე ხომ ძალიან მშვიდი ბუნებისაა. თხუთმეტი წელი, ეს არაფერია. 1867 წლის 4 ოქტომბერს, მორბიჰანში, ჰავრის ნახევარკუნძულის ბოლოწვერში მდებარე კუნძულ გრუასა და ყარიბთა კლდეს შუა პორტ ლუიდან ჩამოსულმა მეთევზეებმა იპოვეს რომაული ამფორა მეოთხე საუკუნისა; ზღვის კენჭები და ნიჟარის ნამტვრევები ისე მიწებებოდნენ, თითქოს არაბესკებიაო. ამ ამფორამ ოკეანეში თხუთმეტი საუკუნე იცურა.

ბარკილფედრო თუმცა ცდილობდა გულგრილად ეჩვენებინა თავი, მაგრამ მაინც მისი განცვიფრება და სიხარული ურთიერთს ეფარდებოდა.

მას ყველაფერი თავისთავად უვარდებოდა ხელში, თითქოს ყველაფერი საგანგებოდ მოეხადდაო. მოულენის ყველა შემადგენელი ნაწილი, რასაც კი უნდა გაეძღო მისი მძულვარება, — მთლად მის განკარგულებაში მოექცა. ბარკილფედროს ისღა დარჩენოდა, ურთიერთთან უფრო მეტად დაეახლოებინა და შეეერთებინა ისინი. ასეთი მომარჯვება-თავმოყრა საქმეებისა სასიამოვნო ხელობაა, ხალასი საქმეა.

გუინპლენი! ეს სახელი მისთვის ცნობილი იყო. MASCA RIDENS, სიცილის ნიღაბი. სხვებივით ბარკილფედროც დადიოდა, რომ ენახა „კაცი, რომელიც იცინის“. მას წაკითხული ჰქონდა ტედკასტერის სასტუმროზე მიკრული განცხადება, როგორც საერთოდ ყველა კითხულობს ხოლმე თეატრის აფიშას, რადგან ის ხალხის ყურადღებას იზიდავს. ბარკილფედროს დაამახსოვრდა ის განცხადება; ახლა უცბად გაახსენდა იგი და თვალწინ დაუდგა ყველა მისი წვრილმანი, რაც, სხვათა შორის, შემდეგში კიდევაც შეამოწმა. ამ აფიშამ ელექტრონის ნაპერწკალივით გაუქროლა თვალწინ და მის შემეცნებაში ბოთლში აღმოჩენილი პერგამენტის გვერდით დაიკავა ადგილი.

ეს თითქოს პასუხი იყო კითხვაზე, ამოცნობა იყო ამოცანისა. და განცხადებაზე ამოკითხული სიტყვები: „აქ შეიძლება ნახოთ გუინპლენი, რომელიც ათი წლის ასაკისა მიატოვეს ღამით, 1690 წლის 29 იანვარს, ზღვის პირას, პორტლენდში“, — ამ სიტყვებს მისთვის უცბად აპოკალიფსური შუქი მოეფინა. მის თვალწინ ბაზრის განცხადებაზე აპრიალდა უზარმაზარი ასოებით წარწერა: „მენე, თეკელ, ფარეს“. ყველა ის რთული ნაგებობანი, რისგანაც არსებითად შედგებოდა ჯოზიანას ცხოვრება, უცბად დაემხო. ზვავი ელვისებური სისწრაფით დაქანდა, დაკარგული ბავშვი ნაპოვნია. ლორდი კლენჩარლი ცოცხალია. დევიდ დერი-მოირი ყველაფერს კარგავდა: პერობას, სიმდიდრეს, ყოველშემძლეობას, მაღალ მდგომარეობას. ყველაფერი, რაც ლორდი დევიდისთვის მიეკუთვნებინათ, ახლა გუინპლენს უნდა გადასცემოდა. ყველაფერი — ციხე-გალავნები და სასახლეები, სანადირო მიდამოები, ტყეები, აგარაკები, ადგილ-მამულები, ყველაფერი, მათ შორის, ჯოზიანაც, ამიერიდან გუინპლენის ხვედრი ხდებოდა. მაგრამ ჯოზიანა! რითი ბოლოვდება საქმე! ვინ იქნება ახლა ჯოზიანას ქმარი? მას, სახელგანთქმულს, ქედმაღალ ჰერცოგის ასულს მოედნების მასხარა ეყოლება ქმრად. მას, სახელგანთქმულ ლამაზ ბანოვანს გონჯი ქმარი. აბა, ვინ მოიფიქრებდა, თუ ასეთი რამ იქნებოდა მოსალოდნელი? მართალი რომ ითქვას, ბარკილფედრო ალტაცებამ მოიცვა. ბედისწერის მოულოდნელი ეინიანობა, მისი ულეველი სატანისებური გამოგონებები ხანდახან ადამიანების უაღრესად ბოროტ ზრახვებს აღემატება. სინამდვილე ხან ჭეშმარიტ სასწაულს ახდენს. ბარკილფედროს ახლა სულელურად და საბრალოდ ეჩვენებოდა თავისივე ამასწინანდელი ფიქრები. მას ახლა უფრო უკეთესი რამ მოელოდა.

მომავალი ცვლილებები მისთვის საზიანო რომ გამხდარიყო, მაინც არ დაიშლიდა და ეცდებოდა საქმის დაბოლოებას. არიან ბოროტი მწერები, რომლებიც კბენასა თუ დანესტრვას არამცთუ სარგებლობა არ მოაქვს მათთვის, არამედ გრძნობენ კიდევაც, რომ ეს მათთვის მომაკედინებელია. ბარკილფედროც ასეთი ზნის სულდგმულთ მიეკუთვნებოდა.

ამჯერად ბარკილფედრო უანგაროდ როდი მოქმედებდა. ლორდი დევიდ დერი-მოირი დავალებული არაფრით იყო მისგან, მაშინ, როდესაც ლორდი ფერმენ კლენჩარლი მთელ თავის სიცოცხლეში მისი

მოვალე იქნებოდა. მფარველობაში მყოფი ბარკილფედრო ახლა თვითონ ხდებოდა მფარველი და ისიც ვისი მფარველი? ინგლისის პერისა. მას თავისი საკუთარი ლორდი ეყოლებოდა. მის მიერ აღმოჩენილი ლორდი! ბარკილფედრო ვარაუდობდა, რომ გუინპლენს პირველად ის დაადებდა ხელს და ის ლორდი დედოფლის ნართაული სიძე იქნებოდა! მისი სახიჩრობა იმდენადვე სასიამოვნო იქნება დედოფლისათვის, რამდენადაც შესაზიზღი იქნებოდა ჯოზიანასთვის.

მისი წყალობით თვითონ ბარკილფედროც სადა, დარბაისელ კაცს რომ შეეფერება, ისეთი ტანსაცმლით შემოსილი მნიშვნელოვანი პიროვნება გახდება. მას ყოველთვის სასულიერო კარიერისაკენ ჰქონდა მისწრაფება. ძალიან უნდოდა ეპისკოპოსი გამხდარიყო.

ჯერჯერობით კი აწმყოთიც ძალიან კმაყოფილი იყო.

რაოდენ ბრწყინვალე წარმატებაა! უბრალო შემთხვევამ რა საუცხოოდ მოაგვარა ყოველივე. ტალღებმა ნელ-ნელაობით, მაგრამ სისწორით მოუპოვეს მას ჯავრის ამოყრის შესაძლებლობა. ბარკილფედრო ამას თავის ჯავრის ამოყრას ეძახდა. ტყუილად ხომ არ უცდიდა და უდარაჯებდა მარჯვე დროს.

ბარკილფედრო თვითონ წყალქვეშა ფრიალოს ქიმი იყო და ჯოზიანა კიდევ მასზე წაწყვეტებული, დასაღუპად განწირული ხომალდი. ჯოზიანას ქედმაღლობას ბარკილფედრო მოულებს ბოლოს. იგი ენით აუწერელ ბოროტ აღტაცებას განიცდიდა.

მას, ეგრეთ წოდებული, შთაგონების უნარი გააჩნდა. რაც იმაში გამოიხატება, რომ სხვა ადამიანის ტვინში თითქოს ნაჭდევს აკეთებენ, სადაც საკუთარ აზრს ჩასჭედენ ხოლმე. ბარკილფედრო ვითომ საქმეში სულაც არ ერეოდა, მაგრამ ისე მოახერხა, რომ ჯოზიანა „მწვანე ყუთის“ სანახავად წავიდა და იქ გუინპლენი დაინახა. ეს სულაც არ დააზიანებდა ბარკილფედროს გეგმებს. პირიქით, ეჩვენებინა ჯანაზი მის ირგვლივმყოფ დამამცირებელ მდგომარეობაში, ეს ძალიან კარგი მოფიქრება იყო. და ეს სანახაობა ცოტა უფრო გვიან ცხარე საკაზმი უნდა გამომდგარიყო იმისა, რაც ჯოზიანას მომავალში ელოდა.

მან წინასწარვე ნელ-ნელა უხმაუროდ მოამზადა ყველაფერი; მას უნდოდა, რომ მოვლენები უმალ გამჟღავნებულიყო. მის მიერ ნამოქმედარი შეიძლებოდა განგვემარტა მხოლოდ როგორც

არაჩვეულებრივი რამ. ბარკილფედროს მისწრაფება ის იყო, რომ ჭეხის დაცემა გამოეწვია.

რაკი წინასწარი მოშზადება მოათავა, ახლა იმაზე იზრუნა, რომ კანონით გათვალისწინებული ყველა ფორმალური მხარე შესრულებულიყო. მაგრამ საქმე საქვეყნოდ არ გახმაურებულა, რადგან კანონის ძალით ასეთ შემთხვევაში სასტიკი საიდუმლოების დაცვა იყო საჭირო.

ჰარდკვანონე და გუინპლენი პირისპირ წაუყენეს ერთმანეთს. ბარკილფედრო პირადად დაესწრო ამ ფაქტს; თუ რითი გათავდა ეს ამბავი, მკითხველმა უკვე იცის.

იმავე დღეს ლონდონში მყოფ ლედი ჯოზიანას მოულოდნელად მიართვეს დედოფლის მიერ გამოგზავნილი დახურული ეტლი იმისათვის, რომ ვინძორში წაეყვანათ. თვითონ დედოფალი ანა იმ დროს ვინძორში ცხოვრობდა. ჯოზიანას თავისი გეგმები ჰქონდა და სიამოვნებით უარყოფდა მისი უდიდებულესობის ბრძანებას ან, ყოველ შემთხვევაში, წასვლას ერთი დღით მაინც გადადებდა, მაგრამ სასახლის წესრიგის მიხედვით ასეთი თავნებობა დაუშვებელი იყო. ჯოზიანა იძულებული გახდა, დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო და თავისი ლონდონის რეზიდენცია, ჰენკერვილ-ჰაუსი ვინძორის კორლეონ-ლოჯით შეეცვალა.

ჰერცოგის ასული ჯოზიანა სწორედ იმ დროს გაემგზავრა ლონდონიდან, რა დროსაც კვერთხისმტვირთველი ტედკასტერის სასტუმროში მივიდა გუინპლენის დასაპატიმრებლად და საუთვორჭის დილეგში წასაყვანად.

როდესაც ჯოზიანა ეტლით ვინძორში ჩაბრძანდა, დედოფლის მისაღები დარბაზის კართან მოდარაჯე შავი კვერთხის ბოქაულმა აცნობა, რომ მისი უდიდებულესობა, დედოფალი ლორდ-კანცლერის მოხსენებას ისმენდა და მის მიღებას მხოლოდ ხვალ შეძლებდა, ამიტომ ჯოზიანას კორლეონ-ლოჯში უნდა დაეცადა მისი უდიდებულესობის განკარგულებისთვის, რასაც პირადად მას ხვალ დილით გადასცემდნენ. ჯოზიანა მეტად განაწყენებული დაბრუნდა თავის სასახლეში. ვახშამზე ცუდ გუნებაზე ბრძანდებოდა; შაკიკის შეტევა იგრძნო და ყველა მოსამსახურე დაითხოვა, გარდა თავისი ჰაჟისა, შემდეგ ისიც გაუშვა და ჯერ ისევ შებინდებამდე დაწვა დასაძინებლად.

თავის სახახლეში მან გაიგო, რომ ხვალისთვის ვინძორში ლორდ დევიდ დერი-მორის ელოდნენ, რომ მას ზღვაზევე მიეღო დედოფლის ბრძანება, რათა დაუყოვნებლივ სასახლეში ხლებოდა.

III

ყველას, ვისაც უმცირივ გაისტუმრებენ ციმბირიდან სენეგალში,* გული შეუღონდება (ჰუმბოლდტი)*

გასაკვირი არაფერია იმაში, რომ ბედის მოულოდნელი ცვლილების გამო, ყველაზე უფრო ჯანიან და ამტან მამაკაცსაც გული შეუღონდება. მოულოდნელობა ისე დაარეტიანებს ადამიანს, როგორც ყასაბი ცულის ყუის თავში ჩარტყმით არეტიანებს ხარს. ფრანჩესკო დ'ალბესკოლა, სწორედ ის, თურქეთის ნავსადგურებში რომ შიშველი ხელებით რკინის ჯაჭვებს შუაზე წყვეტდა, მთელი დღე გულწასული იწვა, როდესაც გაიგო, რომ რომის პაპად აერჩიათ. ხოლო მანძილი, რომელიც კარდინალსა და პაპს შორისაა, უფრო ნაკლებია, ვიდრე მანძილი მასხარა-შემაქცეველსა და ინგლისის პერს შორის.

ისე ძლიერად არაფერი მოქმედებს, როგორ წონასწორობის დაკარგვა.

როდესაც გუიპლენმა თვალები გაახილა და გონს მოვიდა, უკვე ღამე იყო. ის ფართო დარბაზის შუაგულში სავარძელზე იჯდა. დარბაზის კედლებსა და ჭერზე ძოწეულისფერი ხავერდი იყო გაკრული; ხოლო იატაკზე რბილი ხალიჩა ეფინა. იქვე გვერდით იდგა სამგზავრო წამოსასხამში გამოწყობილი უქუდო, დიდმუცელა კაცი, სწორედ ის, რომელიც საუთვორქის დილეგში სვეტს ამოფარებულიყო და მხოლოდ ბოლოს გამოჩნდა. ამ კაცის და გუინპლენის გარდა დარბაზში სხვა არავინ იყო. სავარძლის აქეთ-იქით ორი მაგიდა იდგა, ისე ახლოს, რომ გუინპლენი ხელს მიაწვდენდა; მაგიდაზე იდგა ექვს-ექვსი ანთებული სასანთლე. ერთ-ერთ მაგიდაზე რაღაც ქაღალდები ეწყო და ყულაბა იდო. მეორეზე — მოოქრული სინი საუზმით: ცივად შემწვარი ნანადირევი, ღვინო და არაყი.

იატაკიდან ჭერამდე ამართულ მაღალ სარკმელში აპრილის ღამის ცის ნათელ ფონზე ნახევარწრედ მოჩანდა მთავარი ეზოს სვე-

ტოვანი. ეზოს სამი ჭიშკარი ჰქონდა, ერთი ძალიან განიერი და ორიც ცოტათი უფრო ვიწრო, ეტლების შემოსასვლელი შუა ჭიშკარი ძალიან მაღალი იყო. მარჯვენა ჭიშკარი ცხენოსანთა შემოსასვლელად იყო განკუთვნილი, ის შუა ჭიშკარზე ცოტათი პატარა იყო. ხოლო ქვეითად მომსვლელთათვის განკუთვნილი მარცხენა ჭიშკარი, მარჯვენაზე მცირე იყო. ყველა ეს ჭიშკარი რკინის ბადურიანი კარებით იკეტებოდა. ჭიშკრებს ზემო ნაწილები ისრისებრ წამახული და მოელვარე ჰქონდათ. შუა ჭიშკრის ზედა ნაწილი ქანდაკებებით იყო დამშვენებული. ეზოს სვეტები, როგორც ჩანდა, თეთრი მარმარილოსი უნდა ყოფილიყო. თოვლივით ქათქათა ფილებით იყო მოფენილი მთელი ეზო. ეს მოელვარე ფილაქანი თეთრი ველივით გარს ერტყა რაღაც მოზაიკურ მოხატულობას, რომელიც ნახევრად ბნელში იყო და ოდნავ მოჩანდა. დღის სინათლეზე ეს მოხატულობა, ფლორენციულ ყაიდაზე სხვადასხვაფერი ფილებით მოპირკეთებული, ალბათ გერბი აღმოჩნდებოდა. ბალუსტრადები იმ კიბის მოაჯირი იყო, რომელიც ტერასებს აერთებდა ერთმანეთს. ეზოს დასცქეროდა ეს უშველებელი ციხე-დარბაზი. მისი მოხაზულობანი ღამის წყვდიადში ბუნდოვნად იშლებოდა. ზემოთ, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ფონზე, ჭერ-სახურავის მკვეთრი სილუეტი მოჩანდა: დაინახავდით უშველებელ სახურავს, ხრახნილებიან შუბანებს, ჩაფხუტიანი მუზარადის მსგავს მანსარდებს, კოშკების მსგავს ბუხრის მილებს, სახურავის ლავგარდანებს ღმერთებისა და ქალღმერთების ქანდაკებებით. ბინდბუნდში სვეტებს შუა მაღლა მისრიალებდნენ ერთ-ერთი იმ ჯადოსნური შადრევნის წინწკლები, რომელიც ნელი ჟღურტულით ერთი აუზიდან მეორეში იღვრებოდნენ და ხან წვიმის წვრილ-წვრილ წვეთებად ეშვებოდნენ ძირს, ხან ერთობლივ ჩანჩქერებად, თითქოს ძვირფასი ქვების კოლოფიდან უაზრო სიუხვით ფანტავსო თავის ალმასებსა და მარგალიტებს, ვითომდა იმისთვის რომ მის ირგვლივ ქანდაკებებს მოწყენილობა გაუფანტოსო. გრძლად გამწკრივებულ სარკმლებს შუა კედლებზე ფარებ-საჭურველიანი ბარელიეფები და კვარცხლბეკზე ბიუსტები მოჩანდა. ფრონტონის ბალავარებზე ჯიღიანი, ქვისტუჩებიანი ღმერთების ქანდაკებები და სამხედრო ტროფეები ცვლიდნენ ერთმანეთს.

იმ დარბაზის სიღრმეში, სადაც გუინპლენი იმყოფებოდა,

სარკმლის პირდაპირ, ერთ მხარეს უშველებელი, ზედ ჭერს მი-
ბჯენილი ბუხარი იყო დატანებული, მეორე მხარეს, საჩრდილო-
ბლის ქვეშ ერთი უზომოდ მაღალი და განიერი საწოლი იდგა, შუ-
საუკუნეების სტილისა, რომელზედაც კვარცხლბეკის საფეხურე-
ბით ავიდოდა და გარდიგარდმო თავისუფლად დაწვებოდა კაცი. ამ
საწოლის კვარცხლბეკთან პატარა სკამი იყო მიდგმული. საყარ-
ძლების მთელი რიგი კედლის გასწვრივ და მათ წინ დადგმული სკა-
მები შეადგენდნენ დარბაზის დანარჩენ ავეჯეულობას. ჭერს გუმბა-
თის მოყვანილობა ჰქონდა. ფრანგული ყაიდის ბუხარში ცეცხლი
ღუღუნებდა. ჩაღი ალისა და მისი მოვარდისფრო-მომწვანო ენების
მიხედვით მცოდნე გაარკვევდა, რომ კოპიტის შეშა იწვოდა — რაც
იმ დროისათვის დიდ ფუფუნებას ნიშნავდა. დარბაზი იმდენად დიდი
იყო, რომ ორი, მრავალსანთლიანი შანდალი მას ოდნავ ანათებდა.
აქეთ-იქით დარბაზში გასასვლელ კარებს ფარდაკები ზოგს დაშვე-
ბული ჰქონდა, ზოგსაც აწეული. მთელი მოწყობილობა, მკვიდრი
და მკვრივი, რამდენადმე მოძველებული იყო, მაგრამ იაკობ პირვე-
ლის დროის შესანიშნავი სტილისა. ისევე როგორც ამ დარბაზების
კედლები და ხალიჩა, წითელი ხავერდით იყო მოკაზმული საჩრ-
დილობელი, საწოლის ზეწარსაგები, ფარდები, სუფრები, საყარ-
ძლები, სკამები. მოვარაყებული არაფერი იყო, გარდა ჭერისა. იქ,
ჭერის ზედ შუაგულზე უშველებელი, ჩუქურთმიანი მრგვალი ფარი
ბრწყინავდა თვალისმომჭრელი ჰერალდიკური შემკულობით; მათ
შორის ორ, ერთმანეთის გვერდით ამოტვიფრულ გერბზე ბარონის
სალტისნაირი გვირგვინი და მარკიზის გვირგვინი მოჩანდა. რისგან
იყო გაკეთებული ყოველივე ეს გვირგვინი? მოოქრული სპილენძი-
საგან? მოოქრული ვერცხლისაგან? ძნელად თუ გამოარკვევდით,
რადგან ისე ბრწყინავდნენ, როგორც ოქრო. შესანიშნავი ჭერის
ბნელი თაღიდან ეს მოელვარე ფარი სხივებს აფრქვევდა, გეგონე-
ბოდათ ღამით ცაზე მზე გასხივოსნებულაო.

ლაღად გაზრდილი კაცი, რომელსაც თავისუფლება ყველაფერს
ურჩევნია, სასახლეში თითქმის ისეთსავე წუხილსა გრძნობს, რო-
გორც ციხეში მყოფი. ეს მდიდრული სანახაობა შიშსა და მღელ-
ვარებას იწვევდა. ყოველივე ბრწყინვალება კაცს რალაცნაირ შიშს
უნერგავს. ვინ არის ამ მეფური ციხე-დარბაზის მცხოვრები? რო-
მელ ბუმბერაზს ეკუთვნის მთელი ეს ფუფუნება? რომელ ლომს

უწევს ბუნაგობას ეს სასახლე? გუინპლენი ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო და მას გული ეკრუნჩხებოდა.

— სადა ვარ? — წარმოთქვა მან ხმამაღლა.

მის წინ მდგომმა კაცმა უპასუხა:

— თქვენს საკუთარ სახლში ბრძანდებით, მილორდ.

IV

თილისმა

ფსკერიდან ზემოთ ამოსატივტივებლად დროა საჭირო. სწორედ ამიტომ გაჭირვების ჯურღმულში ჩავარდნილი გუინპლენიც ჯერ გონს ვერ მოსულიყო. შეუძლებელია უცნობი ერთ წამში შეითვისო. ხანდახან აზრებიც ისე იბნევიან ხოლმე, როგორც ჯარი ომში და მათი წესისამებრ შეკრება ისევე ძნელია, როგორც აქეთ-იქით გაფანტული ჯარისკაცებისა. ადამიანი თავს ისე გრძნობს, თითქოს ახო-ახო დაშლილაო. იგი საკუთარი პიროვნების უცნაური დარღვევის მომსწრეა.

ღმერთი ხელია, შემთხვევა შურდულია, ადამიანი ქვაა. აბა სცადეთ და გაჩერდით, როდესაც თქვენ აღმა აგისროლეს. დე, გვაპატიონ ასეთი შედარება, მაგრამ გუინპლენი თითქოს ერთი განსაცვიფრებელი მოვლენიდან მეორისაკენ აისროლესო — ჰერცოგის ასულისაგან სასიყვარულო წერილის მიღების მერე საუთვორქის დილეგში ახალი აღმოჩენა! ხომ სულისშემძვრელია. როდესაც თქვენ მოულოდნელობის ფარგალში მოექცევით, მზად უნდა იყოთ საიმისოდ, რომ ასეთი მოულოდნელობანი ერთიმეორეზე თავს დაგატყდებათ. გაიღება თუ არა თქვენ წინაშე ეს საშინელი კარი, უცბადვე შემოცვივდებიან შიგ ყველანაირი მოულოდნელობანი. თუ კედელში პატარა ხვრელი უკვე შეინგრა, მოვლენები არეულ ბრბოსავით შეცვივდებიან ამ ხვრელში. უჩვეულო რამ მხოლოდ ერთხელ არ ხდება ხოლმე.

არაჩვეულებრივი რამ, ეს არის წყვდიადი. გუინპლენიც წყვდიადს მოეცვა. ის, რაც მას შეემთხვა, მიუწვდომლად მოჩანდა. გუინპლენის თვალში ყველაფერი ნისლის ბურუსს დაეფარა, რომელიც ჩვენს შემეცნებას, ჩვენ მიერ განცდილი ღრმა შეძრწუნების

შედეგად გარს შემობურვია. მსგავსად იმისა, როდესაც კლდის შემონგრევის შემდეგ ჰაერში კიდევ ირევა მტვრის კორიანტელი. ეს მართლაც ძლიერი შეძრწუნება იყო. გუინპლენი ვერ ერკვეოდა, რა ხდებოდა მის ირგვლივ.

მაგრამ ჰაერი თანდათანობით უფრო გამჭვირვალე ხდება. მტვერი გაიფანტება. განცვიფრება ყოველ წუთს მცირდება. გუინპლენი თვალხილულ მძინარე ადამიანს მოგაგონებდათ, რომელიც თითქოს ცდილობს გაარჩიოს, დაინახოს, რა ემართება სიზმარში. გუინპლენი ხან თავს აღწევდა ამ გამოურკვეველობის ბურუსს, ხან კი ამ ბურუსში ეხვეოდა, ხან კარგავდა გონს და ხან ისევ გონს მოდიოდა. მოულოდნელობათა გაელენით იგი გონების იმ რყევას განიცდიდა, რომელიც ჩვენ ხან ერთ მხარეს მიგვაწყვეტდა ხოლმე და ხან მეორე მხარეს. რომელიც ჩვენს გამოფხიზლებულ გონებას ისევ სრულ დაბნევამდე მიიყვანს. ვის არ უდევნებია თვალყური საკუთარ ტვინში ქანქარის გაქან-გამოქანებისათვის? გუინპლენის აზრი თანდათანობით ეთვისებოდა გამოსაცნობი მოვლენის წყვდიადს. სწორედ ისევე, როგორც ამას წინათ მისი თვალი საუთვორქის დილეგის წყვდიადს შეეთვისა. სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ საჭირო იყო როგორმე გამოგება ყველა ამ ერთ გორგალში არეული შთაბეჭდილებებისა. იმისათვის, რომ კაცი მოვლენათა გროვას შეეგუოს, საჭიროა დასვენება; აქ კი ადამიანი ვერ დაისვენებს. მოვლენები ერთიმეორეზე დაატყდნენ. არც დასვენების საშუალება მისცეს და არც დრო. საუთვორქის საშინელ დილეგში ჩასვლისას გუინპლენი მოელოდა, რომ მას ბორკილებს დაადებდნენ, როგორც საკატორღე დამნაშავეს, მაგრამ მას პერის გვირგვინი დაადგეს. როგორ მოხდა, ეს? რისაც გუინპლენს ეშინოდა და რაც ნამდვილად მოხდა ამათ შუა მეტად მცირე დროის მანძილი იყო; ყველაფერი მეტად სწრაფად მოსდევდა ერთმანეთს. მისი შიში მეტად ადრე შეცვალა სხვა გრძნობებმა და ის მაინც გონს ვერ მოდიოდა. ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენები მეტად გასაოცარი იყო, რამაც გუინპლენის გონებას მარწუხები მოუჭირა. იგი მთელი ძალით ცდილობდა გაეთავისუფლებინა თავისი აზრები ამ მარწუხებისგან.

იგი დუმდა. ჩვენ საკმაოდ არ ვუკვირდებით ჩვენს თავს, თუ რამდენად ძლიერია ის ალღო, რომელიც ჩვენში დუმილს იწვევს მაშინ, როდესაც გულის გამგმირავი რამ დაგვატყდება. ის, ვინც არაფერს

ამბობს, შეუძლია ყველაფერს წინ აღუდგეს. ერთმა შემთხვევით წამოცდენილმა სიტყვამ ზოგჯერ შეიძლება ყველაფერი გააფუჭოს. ღატაკი ყოველთვის იმას შიშობს, მთლად არ გავისრისოო. ხალხს ყოველთვის იმის ეშინია, უფლებამოსილნი ფეხს დაგვაჭერენ და გაგვანადგურებენო. ხოლო გუინპლენი ბავშვობიდანვე ამ ღატაკი ხალხის ნაწილი იყო.

არის ხოლმე რაღაც წუხილის განცდა, რაც სიტყვიერად ასე გამოითქმება, „ალბათ უსიამოვნო რამ შემთხვევა მომელისო“; გუინპლენი სწორედ იმგვარ გუნებაზე იყო, როდესაც ადამიანი გრძნობს, რომ მდგომარეობა ჯერ საბოლოოდ არ გამორკვეულა, ელოდება კიდევ, რომ რაღაც უნდა მოხდეს. ბუნდოვნად იმახვილებს ყურადღებას. „რაღაც შემემთხვევაო“. რა? ეს კი გაურკვეველია. ვინ? შორეთს უშტერებს თვალს.

დიდმუცელა კაცმა გაიმეორა:

— თქვენს საკუთარ სახლში ბრძანდებით, მილორდ!

გუინპლენი აქეთ-იქით იცქირებოდა. როდესაც ადამიანი განცვიფრებულია, ის ჯერ გარშემო მიიხედ-მოიხედავს, რომ შეამოწმოს, ყველაფერი წინანდებურად თავის ადგილზეა თუ არა; მერე თავის თავს დააკვირდება, რათა დარწმუნდეს, რომ იგი ისევ ისეა, როგორც აქამდე იყო; დიახ, მას ეუბნებიან, მაგრამ ის რომ ისეთი აღარ არის, როგორიც ადრე იყო! გუინპლენს აღარც თავისი სამუშაო ტანსაცმელი ეცვა, აღარც ტყავის გულსაფარი ეფარა. მას ახლა ვერცხლისფერი ფარჩის კამზოლი აცვია და ოქრომკედით ნაკეთსი ატლასის ხიფთანი. კამზოლის ჯიბეში პირამდე სავსე ქისა უდევს. ჯანაზის ვიწრო ტრიკოზე განიერი ხავერდის შარვალი ამოუცმეჟიათ. ფეხებს მალალქუსლა წითელი ფეხსაცმელები უმშვენებს, ის არა მარტო სასახლეში მოუყვანიათ, არამედ თავიდან ფეხებამდე ახალ ტანსაცმელში გამოუწყვიათ.

მის წინ მდგომი კაცი განაგრძობდა:

— კეთილ ინებეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, და დაიმახსოვრეთ, რომ მე ბარკილფედროს მეძახიან. მე ვარ საადმირალოს მოხელე. მე გაგხსენი პარდკვანონეს მათარა და იქიდან თქვენი ხვედრი და ბედი ამოვიღე. ასეა არაბულ ზღაპრებშიც, მეთევზე-მებადური ბოთლიდან გოლიათს ამოაძვრენს ხოლმე.

გუინპლენმა თვალი მიაშტერა ამ კაცის მოღიმარ სახეს.

ბარკილფედრო განაგრძობდა:

— ამ სახახლის გარდა, მილორდ, თქვენ გეკუთვნით ჰენკერვილ-ჰაუსი; იგი ამაზე უფრო მდიდრული სახახლეა. თქვენვე გეკუთვნით კლენჩარლი-კასლი, რომელიც პერის ხარისხს განიჭებთ. იგი წარმოადგენს ედუარდ მოხუცის* დროის ციხესიმაგრეს. თქვენს მფარველობაშია ცხრამეტი ოლქი, თავიანთი სოფლებითა და გლეხებით. როგორც ლორდი და თავადი, თქვენ შეძლებთ, თქვენს სადროშოში თავი მოუყაროთ ოთხმოცი ათასამდე ვასალსა და ბეგარის ხალხს. თქვენ კლენჩარლის სრულუფლებიანი მოსამართლე და მთელი ქონების და ადამიანების ბატონ-პატრონი ბრძანდებით. იმ თქვენს საბარონოში შეგიძლიათ სამართალიც დააწესოთ. მეფეს თქვენთან შედარებით მხოლოდ ის უპირატესობა აქვს, რომ ის ფულს ჭრის. მეფე ნორმანდიულ კანონებში მთავარ სენიორად ითვლება, მას უფლება აქვს გასამართლებისა და ფულის მოჭრისა. ფულის მოჭრას თუ არ ჩავთვლით, თქვენ ისეთივე მეფე ბრძანდებით თქვენს ადგილ-მამულში, როგორიც ის თავის სამეფოში. როგორც ბარონს, თქვენ ინგლისის ტერიტორიაზე უფლება გაქვთ ოთხ ბოძზე ალმართოთ სახრჩობელები; ხოლო როგორც მარკიზს — სიცილიაში სახრჩობელასთვის შვიდი ბოძის ალმართვის უფლება გეძლევათ. უბრალო აზნაურს უფლება აქვს ალმართოს სახრჩობელასათვის ორი ბოძი, შატელენს — სამი, ჰერცოგს — რვა.

ნორთუმბრიის უძველეს ქარტიებში თქვენ გეწოდებათ ხელმწიფე. თქვენ ენათესაებით ვალენშიის ეიკონტებს ირლანდიაში, იგივე პოუკრებს და ემფრევილის გრაფებს შოტლანდიაში, იგივე ანგუსებს. თქვენ ბრძანდებით საგვარტომოს მეთაური, ისევე, როგორც კემპბნელი, არდმანახი და მაქქალუმორი. თქვენ რვა საგვარტომო სამფლობელო გაქვთ: რიკლევერი, ბექსტონი, ჰელ-კერ-ტერსი, ჰომბლი, მორიკემბი, გემდრეითი, ტრენუორდრეითი და კიდევ სხვებიც. თქვენ უფლება გაქვთ ტორფის საბადოების დამუშავებისა პილინმორში და ალებასტრის მოპოვებისა ტრენტში. გარდა ამისა, თქვენს მფლობელობაშია მთელი პინეტჩის ოლქი და ის მთა, რომელზედაც უძველესი ქალაქი მდებარეობს. ამ ქალაქს ეწოდება ვაინკაუნტონი. მთას კი მოინ-ენლი. ყოველივე ეს თქვენ ორმოცი ათას გირვანქა სტერლინგს გაძლევთ ყოველწლიურ შემოსავალს.

ესე იგი, ორმოცჯერ უფრო მეტს, იმ ოცდახუთი ათას ფრანკზე, რასაც საკმარისად თვლის რომელიმე ფრანგი მარკიზი.

ბარკილფედრო განაგრძობდა ლაპარაკს. გუინპლენის განცვიფრება კიდევ მატულობდა, მას ბევრი რამ გაახსენდა; მოგონება ის მორევია, რომელიც შეიძლება ერთმა სიტყვამ ძირამდე ააღელვოს. ბარკილფედროს მიერ ჩამოთვლილი ყველა ციხე-დარბაზისა და ადგილ-მამულის სახელი გუინპლენმა ადრევე იცოდა. მათ რამდენიმე სტრიქონი ეჭირათ ორი წარწერის ქვემოთ იმ საზიდრის კედელზე, რომელშიც მან ბავშვობა გაატარა. წლების მანძილზე უნებლიეთ კითხულობდა ამ ნაწერს და თითქმის ზეპირადაც დაიხსომა. ურსუსის სამოგზაურო ბალაგანში მიტოვებულმა ბავშვმა მომავალი მემკვიდრეობის აღწერას მიაგნო. დილით გამოიღვიძებდა თუ არა საბრალო ბიჭუნა, უზრუნველ და უყურადღებო თვალებს ამ თავისი სამფლობელოებისა და ტიტულ-წარჩინებათა ჩამოთვლას მიაპყრობდა. რა საკვირველი ურთიერთდამთხვევაა, რომელიც ზედ დაერთო ყველა იმ მოულოდნელობას, რაც მას ბედმა არგუნა: თხუთმეტი წლის განმავლობაში იგი მოედნიდან მოედანზე დაეხეტებოდა. დასის კომედიანტი, რომელიც დღიურად ძლივს შოულობდა ლუკმაპურისთვის გროშებს და კუჭს ვერც კი იძღებდა; იგი უსახლკარო მგზავრობაში ლევდა დროს, თავისი ქონება-სიმდიდრის სია კი თურმე თვალწინ ედგა.

ბარკილფედრომ საჩვენებელი თითი მიადო მაგიდაზე დადგმულ ყულაბას.

— მილორდ, ამ ყულაბაში ორი ათასი გინეაა, ამას თქვენ პირველი ხარჯებისათვის გიგზავნით მისი უდიდებულესობა, ყოვლადმოწყალე დედოფალი.

გუინპლენი შეინძრა და წარმოთქვა:

— ეგ მამაჩემის ურსუსისთვის გადადეთ.

ბარკილფედრომ უპასუხა:

— ძალიან კარგი, მილორდ! იმ ურსუსისთვის, ტედკასტერის სასტუმროში რომ ცხოვრობს. ნაფიცი კანონთმცოდნე, რომელიც ჩვენ ამ სახახლემდე მოგვყვა, ახლა უკვე ბრუნდება, ის მიუტანს ურსუსს ამ ფულს. შეიძლება მეც წავიდე ლონდონში, მაშინ მე შეუსრულებდი მაგ დავალებას.

— მე თვითონ წავალ და წავიღებ, — შეედავა გუინპლენი.

ბარკილფედრომ სერიოზულად წარმოთქვა:

— შეუძლებელია.

არის ხოლმე სიტყვის ისეთი კილო, რომელიც მას თავისებურ აზრს აძლევს. ბარკილფედრომ სწორედ ასეთი კილო გამოიყენა. პირველი სიტყვის მერე შეჩერდა, თითქოს იმისათვის, რომ წერტილი დაესვა, შემდეგ ისეთი პატივისცემით და მნიშვნელოვნად განაგრძო, როგორითაც მსახურნი ლაპარაკობენ, საკუთარი თავი რომ მბრძანებლად მიაჩნიათ.

— მილორდ, თქვენ ახლა ლონდონიდან ოცდასამი მილის მანძილზე იმყოფებით, კორლეონ-ლოჯში, თქვენი სასახლის რეზიდენციაში; აქვე, გვერდით მდებარეობს დედოფლის ვინძორის სასახლე. არავინ იცის, რომ თქვენ აქ ხართ. სწორედ იმ დახურული ეტლით მოგიყვანეს, რომელიც საუთვორქის საპატიმროს ჭიშკართან გელოდათ. ის ხალხი, ვინც თქვენ აქ მოგიყვანათ, არ გიცნობენ, მაგრამ მე მიცნობენ და ესეც საკმარისია. ამ სასახლის კარი მე ჩემი საიდუმლო გასაღებით გავაღე. სახლში ყველას სძინავს და ახლა უხერხულია მსახურთა გაღვიძება. ამიტომ მე დროს ვიხელთებ, ზოგ რამეს გეტყვით, მით უმეტეს, რომ სათქმელი ბევრი აღარ დამრჩა. ახლავე აგიხსნით საქმის მდგომარეობას, ეს მისმა უდიდებულესობამ დედოფალმა დამავალა.

ბარკილფედრო განაგრძობდა ლაპარაკს და თან ყულაბის გვერდით ქაღალდების შეკრულას ფურცლავდა.

— მილორდ, აი თქვენი პერობის ხარისხ-წოდების სიგელი. აი მეორე გუჯარი სიცილიის მარკიზობის ტიტულის შესახებ. აი საბუთები თქვენი რვა საბარონოს შესახებ, — დამტკიცებული თერთმეტი მეფის ბეჭდით, დაწყებული კენტის მეფე ბალდრეტიდან, ვიდრე იაკობ მეექვსისა,* იმავე ინგლისისა და შოტლანდიის პირველი მეფისა. აი საბუთი სხვადასხვა დაწესებულებაში თავმჯდომარეობის შესახებ, აი საიჯარო ხელშეკრულებანი შემოსავლის მიღების შესახებ. აქტები საშფლობელოებზე უფლებების შესახებ და დაწვრილებითი აღწერა თქვენი სალენოებისა, ადგილების, მიწებისა და დედულ-მამულისა. აგერ, თქვენ ზემოთ, ფარზე გამოსახულია ორი გვირგვინი, ბარონისა სალტე-მარგალიტებით და კუნუბოებიანი გვირგვინი მარკიზისა. ამ დარბაზის გვერდით მეორე, სატანთასამოსო დარბაზში თქვენი ძოწეულის ქლამინდია, პერის ხარისხის

აღმნიშვნელი; იგი წითელი ხავერდისაა და გარს ყარყუმი აქვს შემოვლებული. დღეს, ამ ორიოდე საათის წინ, ლორდ-კანცლერმა და დეპუტატმა გრაფ-მარშალმა გაიგეს რა თქვენი პირისპირ წარდგენა კომპრაჩიკოს ჰარდკვანონესთან, მისი უდიდებულესობის დედოფლის დავალება მიიღეს. მისმა უდიდებულესობამ თავისი ხელმოწერით განამტკიცა სათანადო ბრძანება, რაიც თანასწორია კანონისა. ყოველი ფორმალური მხარე შესრულებულია. არა უგვიანეს ხვალინდელი დღისა, თქვენ, როგორც სრულუფლებიანი წევრი, ლორდთა პალატაში სხდომებს დაესწრებით. იქ უკვე რამდენიმე დღეა მიმდინარეობს თათბირი გვირგვინოსნის მიერ წარდგენილი ბილის ირგვლივ, რათა ასი ათასი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით, ესე იგი ორ-ნახევარი მილიონი ფრანგული ლივრით გაუდიდდეს წლიური ჯამაგირი კემბერლენდის ჰერცოგს, დედოფლის მეუღლეს. თქვენ შეგეძლებათ მონაწილეობა მიიღოთ კამათში.

ბარკილფედრო შეჩერდა, ნელ-ნელა სული მოითქვა და განაგრძო:

— მაგრამ საქმე ჯერ არ დაბოლოებულა. ინგლისის პერად გახდომა ისე არ შეიძლება, თუ პირადად ამისი სურვილი არ გექნებათ. თუ თქვენ არ მოისურვებთ გაიგოთ, რასაც თქვენგან მოითხოვენ, შეიძლება ყველაფერი დაემხოს და საბოლოოდ დაიღუპოს. პოლიტიკაში არის ხოლმე ისეთი შემთხვევები, როდესაც კარზე მომდგარი მოვლენა მაინც ცხოვრებაში არ ხორციელდება. მილორდ, თქვენი მდგომარეობის შეცვლის შესახებ ჯერ არავინ არაფერი იცის. ლორდთა პალატა ამის შესახებ მხოლოდ ხვალ გაიგებს. ყველა ის ამბავი, რაც თქვენ გეხებათ, საიდუმლოდ იყო დაცული სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და წესების დაცვის მიზნით. ეს მოსაზრება იმდენად სერიოზულია, რომ ის მცირეოდენი მაღალი წრის პირნი, რომელთაც ამ ჯერზე უწყიან თქვენი არსებობისა და უფლებების შესახებ, — დაუყოვნებლივ დაივიწყებენ ყველაფერს, თუკი ამას სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს. რაც დღეს საიდუმლოდ არის დაცული, შესაძლოა იგი საშუალოდ დარჩეს დაფარულად. თქვენი ჩამოშორება სულ ადვილია. ეს უფრო იმიტომ არის მოსახერხებელი, რომ თქვენ გყავთ ძმა, უკანონო შვილი მამათქვენისა და იმ ქალისა, რომელიც მამათქვენის განდევნის მერე მეფის, კარლოს მეორის საყვარელი გახდა, რის მეოხებითაც იმ თქვენს ძმას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სასახლის კარზე;

თუმცა ის ქორწინების გარეშეა ნაყოლი, მაგრამ შეიძლება თქვენი საპერო და ტიტული მას გადაეცეს; განა თქვენ გინდათ, რომ ასე მოხდეს? არა მგონია. მაშ ასე. ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული. უნდა დაემორჩილოთ დედოფალს. თქვენ ამ სასახლიდან მხოლოდ ხვალ გაბრძანდებით, და მისი უდიდებულესობის დახურული ეტლით პირდაპირ ლორდთა პალატაში გაემგზავრებით. მილორდ, გსურთ იყოთ ინგლისის პერი? გსურთ თუ არა? დედოფალს თქვენ მხედველობაში ჰყავხართ. მას განზრახვა აქვს გაქორწინოთ ჩამოშავლობით თითქმის მეფური სისხლის ქალთან. ლორდო ფერმენ კლენჩარლი, დადგა გადამწყვეტი წუთი თქვენს ცხოვრებაში. ბედი ერთს ისე არ გაუხსნის კარს, რომ მეორეს არ მიუხუროს. რამდენიმე ნაბიჯით წინ წასვლის მერე უკვე აღარ შეიძლება არც ერთი ნაბიჯით უკან დახევა. ახლად განსახიერება აუცილებლად მოითხოვს წინანდელი პიროვნების გაქრობას. მილორდ! გუინპლენი მოკვდა. ხომ გაიგეთ, რასაც მოგახსენებთ?

გუინპლენი მთელი ტანით აცახცახდა, მერე თავი შეიკავა და უპასუხა:

— დიახ!

ბარკილფედრომ გაიღიმა, თავი დაუკრა, ყულაბა მოსასხამის ქვეშ ამოიდო და დარბაზიდან გავიდა.

V

ადამიანს ჰგონია, რომ აგონდება, მაგრამ მას ავიწყდება

რა უცნაური ცვლილებები ხდება ხანდახან ადამიანის სულში!

გუინპლენი ერთსა და იმავე დროს მწვერვალზედაც აისროლეს და უფსკრულშიაც ჩააგდეს.

მას თავბრუ ეხვეოდა.

ორმაგად ეხვეოდა თავბრუ.

თავბრუ ესხმოდა ზეაღმავლობისგანაც და ძირს დაცემისგანაც.

საბედისწერო შეფარდება.

იგი გრძნობდა აღმასვლას, მაგრამ იმას კი ვერ გრძნობდა, როგორ ეშვებოდა დაბლა.

ახალი ჰორიზონტი ჩვენ ყოველთვის გვაშინებს.

პერსპექტივა გვეხმარება მიმართულებას მივაგნოთ, მაგრამ არა ყოველთვის სწორს.

გუინპლენის წინაშე ღრუბლებს შორის ჯადოსნური სინათლის შუქი გამოჩნდა. იქნებ მას მახე დაუგეს? და სინათლის შუქის იქიდან ლურჯად ჩამუქებული ცაც მოჩანს. ისეთი მუქი, რომ შეიძლებოდა ბნელ ბურუსად მოგჩვენებოდათ.

გუინპლენი ისეთ მთაზე იდგა, საიდანაც ყველა მიწიერი სამეფო მოჩანს. ეს მთა მით უფრო საშინელია, რომ იგი სინამდვილეში არ არსებობს. ვინც ამ მწვერვალზე იმყოფება, ის ღრმა ძილს არის მიცემული. აქ უფსკრული ცდილობს შეაცდინოს და მიიზიდოს მწვერვალზე მდგომი. მაცდური ერთობ ძლიერია, იმდენად, რომ ჯოჯოხეთი იმედოვნებს შეაცდინოს სამოთხე და სატანას ამოჰყავს ამ მაღლობზე ღმერთი... მარადისობის შეცდენა — რა უცნაური იმედია! როგორ უნდა იბრძოლოს ადამიანმა იქ, სადაც სატანა იესოს შეცდენას ლამობს? სასახლეები, ციხე-დარბაზები, მძლეობა, სიმდიდრე, ყოველგვარი ამქვეყნიური სიკეთე, უსაზღვრო დატკბობა, ლხენით აღსავსე ცხოვრება. თითქოს სამყაროს ორივე ნახევარსფეროს გასხივოსნებული რუკააო, რომლის შუაგულს შენ წარმოადგენ, — რა სახიფათო ზმანებაა!

აბა წარმოიდგინეთ იმ არსების შეძრწუნება, ვისაც ასეთი ზმანება დაესახა თვალწინ ესოდენ უცბად, წინასწარ განვლილი საფეხურების გარეშე, გაუფრთხილებლად და სრულიად მოუმზადებლად.

გუინპლენი თხუნელას სოროში მიძინებულ იმ კაცს ჰგავს, რომელსაც სტრასბურგის ტაძრის სამრეკლოს შვეულ ოწინარზე გაულვიძია.

თავბრუსხვევა თავისებური ნათლად ხედვაა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ორი უკიდურესი მოვლენის ორომტრიალი ერთსა და იმავე დროს სინათლისკენაც გიტაცებთ და წყვდიადისკენაც.

ხედავ ძალიან ბევრსაც და ძალიან ცოტასაც.

ხედავ ყოველივეს და ვერც ვერაფერს ამჩნევ.

ისეთ მდგომარეობას განიცდი, რომელსაც ამ წიგნის ავტორმა სადღაც „სინათლით დაბრმავებული ბრძის“ მდგომარეობა უწოდა.

მარტო დარჩენილმა აღელვებულმა გუინპლენმა დარბაზში გაიარ-გამოიარა. აღგზნებას ყოველთვის აფეთქება მოსდევს.

მოხლეჩებული ფიქრებით აფორიაქებულს ერთ ადგილას ჯდომა აღარ შეეძლო. ამ აღგზნებამ მოსპო მთელი მისი წარსული. ის ცდილობდა მეხსიერებაში აღედგინა განვლილი სურათები. უცნაურია, მაგრამ თურმე ჩვენ მშვენივრად გავიგონებთ ხოლმე იმას, რასაც თითქმის ყურს არ ვუგდებთ. შერიფის მიერ საუთვორჭის დილეგში წაკითხული კარჭაპზე დაღუპულთა ჩვენება ახლა სულ დაწვრილებით ამოტივტივდა მის ტვინში. ყოველი სიტყვა მოაგონდა. იმ საბუთმა თავისი ბავშვობის საიდუმლოება გაუმჟღავნა.

უცბად შედგა, ხელები ზურგზე შემოიწყო, ჭერს შეხედა თუ ცას, სადღაც ზევით კი აიხედა.

— სამაგიეროს მიზღვა! — შესძახა მან.

გუინპლენი წყლიდან ამოყვინთულ ადამიანსა ჰგავდა. მას ისე ეჩვენა, თითქოს განგების თვალით ყველაფერს ხედავდა: წარსულსაც, აწმყოსაც და უცაბედი სინათლით გასხივოსნებულ მომავალსაც.

„ოჰ, — შესძახა მან თავის გუნებაში. გუნებაში მართლაც შეიძლება შესძახოს კაცმა. — მაშ ასეა საქმე! მაშ მე ლორდი ვყოფილვარ დაბადებიდან. ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელია: მე მომიტაცეს, გამყიდეს, მემკვიდრეობა მომისპეს, მიმატოვეს, სასიკვდილოდ გამწირეს! ჩემი ბედის ნაშთი თხუთმეტი წელიწადი დაცურავდა ზღვაზე. უცბად მიაღწია ხმელეთამდე; გამოცოცხლდა და ამეტყველდა. მე აელორძინდი, მე ხელახლა დავიბადე. ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ჩემი ძველმანი ტანსაცმელი უბრალო ჯანაოზის გულს როდი ფარავდა. როდესაც ხალხს მივმართავდი ხოლმე, ვგრძნობდი, რომ თუ ისინი სამწყსოა, მე ძაღლი კი არა, მწყემსი ვარ! ხალხის მწყემსნი, წინამძღოლნი, მმართველნი და მფლობელნი — აი რანი იყვნენ ჩემი წინაპრები. და მეც შემიძლია ვიყო ის, რანიც ისინი იყვნენ! მე თავადი ვარ და ხმალი მაქვს. ვარ ბარონი და მუზარადი მახურია, ვარ მარკიზი და ბუმბულებიანი ქუდი მახურავს, პერი ვარ და გვირგვინი მადგას. ოჰ, ყოველივე წაურთმევიათ ჩემთვის. დაბადებული ვიყავი სინათლისთვის და წყვდიადში კი ჩავუგდივართ. მამა გააძევეს და შვილი გაუყიდეს. როდესაც მამაჩემმა სული დალია, მას სასთუმლიდან ქვა გამოაცალეს, მე ჩამომკიდეს კისერზე და ნარცხთა საგუბარში ჩამაგდეს. ის ავაზაკები, ბავშობიდან რომ მტანჯავდნენ, ცოცხლებივით მიდგანან თვალწინ. მე მათ

ისევ ვხედავ. მე ხორცის ნაჭერი ვიყავი, რომელსაც სასაფლაოზე ყვავების გროვა სძიძგნიდა. სისხლად ვიცლებოდი, საშინელებისგან ვკიოდი იმ მაჯლაჯუნადაწოლილი ზმანების წინაშე. მაშ ახე! აი თურმე სად გადამაგდეს! რომ ყველა გამვლელს, ვინც კი არ დაიზარებდა, ფეხით ვეთელე. უკანასკნელზე უკანასკნელი გამხადეს; ყმაზე მეტად დამამდაბლეს; მსახურზე მეტად, კატორღელზე, მონაზე მეტად დამამცირეს. იქით გამისროლეს, სადაც ქაოსი აშმორებული სიბინძურის ორმოდ იქცევა. სადაც ყველაფერი ინთქმება და აი, მე იქიდან ამოვდივარ! მე მკვდრეთით უნდა აღვდგე! მე აქა ვარ! აჰა, ეს სამაგიეროს მიზღვაა!“

გუინპლენი დაჯდა, მერე ისევ ზე წამოიჭრა. თავზე ხელები მოიჭირა, ისევ დარბაზში გაიარ-გამოიარა და ისევ განაგრძო ეს ამაფორიაქებელი მონოლოგი: „სად ვიმყოფები? მაღლობზე! საით ავქანდი? მწვერვალისკენ! ეს მწვერვალი, ეს გუმბათი ქვეყნისა, ეს დიდება, და ყოვლად შემძლეობა ჩემი მშობლიური სახლია. მე ღმერთთაგანი ვარ ამ ჰაეროვან მიუწვდომელ ტაძარში მყოფი. მე ამ ტაძარში ვცხოვრობ. ამ მწვერვალს დაბლიდან შევცქეროდი; მისი სხივოსნობა თვალსა მჭრიდა და იძულებული ვიყავი თვალები დამეხუჭა. ეს მტერთაგან აულებელი ციხესიმაგრეა. ეს ხომ შეუმუსრავი გოდოლია, ბედნიერთა სამყოფელო, და მე ამ სიმაგრეში შემოვდივარ! აქამდე ამოვაღწიე! მე აქ ვიმყოფები... ოო, ბედის ბორბლის გადამწყვეტო ტრიალო! ძირს ვიყავ და მაღლა გავჩნდი. და იქ სამუდამოდ დავრჩები. ახლა ლორდი ვარ. ძოწეულის ქლამინდით შევიმოსები, თავზე კუწუბოებიან გვირგვინს დავიდგამ, მეფეების კურთხევას დავესწრები, მათ ფიცს მივიღებ, მინისტრებს და პრინცებს გავასამართლებ, ბრწყინვალე ცხოვრებით ვიცხოვრებ. იმ უფსკრულიდან, სადაც ბალღობისას ჩამაგდეს, ახლა ზენიტზე ვმაღლდები. ახლა მე სასახლეები მაქვს ქალაქში და ქალაქგარეთ, ბაღები, სანადირო ტყეები, ბრწყინვალე ეტლები, მილიონები. შემიძლია ნადიმები ვმართო. შემიძლია კანონები დავადგინო. დავტკბე ცხოვრების ყოველნაირი სიამით. მაწანწალა გუინპლენი, რომელიც მინდვრის ყვავილსაც კი ხელს ვერ ახლებდა, ახლა ციდან ვარსკვლავების მოწყვეტასაც შეძლებს“.

სამწუხაროა წყვდიადის შეჭრა ადამიანის სულში. იმ გუინპლენში, რომელიც წინათ გმირი იყო და ახლაც კი თითქმის ისევ გმი-

რად რჩებოდა — მატერიალური სიდიადის წყლულმა მორალური სიდიადის განდევნა მოახდინა. დამღუპველი ცვლილებაა. დეშინების გუნდის ჩამოფრენამ სათნოება გაანადგურა. მოულოდნელობა შეშხარავად დაატყდა ადამიანს სწორედ ზედ მტკივნეულ ადგილას. ყოველი სიმდაბლე, რაც ჩვეულებრივად მაღალხარისხოვნად ითვლება, — პატივმოყვარეობა, ბიწიერი ინსტინქტები, ენებათაღლვანი, ხორციელი სიტკბოებისკენ სწრაფვა, რაც უბედურების კეთილმყოფელი გავლენით განდევნილი იყო გუინპლენის გულიდან და სულიდან, ახლა გაშმაგებული ბრბოსავით მიესივნენ და დაიპყრეს მისი მაღალსულოვანი გული და გრძნობები. ვის ან რას მიუძღოდა ამაში ბრალი? ინგლისის სანაპიროზე გარიყულ მათარაში ნაპოვნ პერგამენტს. მოულოდნელი წარმატების შედეგად სინდისის გახრწნა საკმაოდ ხშირი მოვლენაა.

გუინპლენი ტკბებოდა თავისი ქედმაღლობით და სული მისი თანდათან უფრო წყვდიადით იმოსებოდა. ასეთი გავლენა აქვს ამ სასმელს.

მას თავბრუ ესხმოდა. გამაცბუნებელმა ბედის ცვალებადობამ მთელი მისი არსება შებოჭა, იგი ტკბებოდა ამ მდგომარეობით. მეტად დიდხანს იყო ისეთ მდგომარეობაში, როდესაც წყურვილს ვერ იკლავდა. განა ჩვენის ნებით არა ვკარგავთ გონს, როდესაც გახელების ფიალას ვეწაფებით? გუინპლენი ყოველთვის ბუნდოვნად გრძნობდა ასეთ სურვილს. ყოველთვის აკვირდებოდა დიდებულთ ამა ქვეყნისათა. ხოლო თვალის მიშტერება ნიშანია ძლიერი სურვილისა. ტყუილად ხომ არ არის, რომ არწივის ბარტყი არწივის ბუდეში იბადება.

ის ლორდი გახდა. გუინპლენს ახლა ეს სრულებით ბუნებრივად მიაჩნდა.

სულ მხოლოდ რამდენიმე საათი გავიდა და რაოდენ შორს დარჩა მისგან ყველაფერი, რაც გუშინ იყო!

გუინპლენს გზაზე მახე დაუხვდა: უკეთესი კარგის მტერი გამოდგა.

ვაი მას, ვისზედაც იტყვიან ხოლმე: „ბედნიერიაო!"

უბედურებისგან უფრო ადვილია თავის დაღწევა, ვიდრე ბედნიერებისგან. გასაჭირი იმდენად დამღუპველი არ არის ადამიანისთვის, რამდენადაც კეთილდღეობა. სიღარიბე ქარიბდაა, სიმდიდრე

სცილა*. ვინც მეხის დაცემას ცოცხალი გადაურჩა, მას პირქვე დაარ უშინდებოდი უფსკრულებს, გეშინოდეს იმისა, რომ ფრთაშესხულმა ოცნებათა მთელმა ლეგიონმა ღრუბლებამდე არ აგიტაცოს. სიმაღლემ შეიძლება დაგამციროს. აპოთეოზში ქვედანარცხების ავბედითი ხიფათია მიმალული.

ბედნიერი კაცი თავის თავს ძნელად თუ შეიცნობს. შემთხვევა ყოველთვის მზად არის ნიღბით მოგეჩვენოს. ამაზე მეტად უფრო მაცდუნებელი და ცვალებადი არა არის რა. რა არის იგი? განგება თუ ავი სული?

ყოველი ცეცხლი სინათლე როდია; ვინაიდან სინათლე ჭეშმარიტებაა, ხოლო ცეცხლი ხშირად დაუნდობელია. თქვენ ფიქრობთ, ცეცხლი აშუქებსო, მაგრამ იგი ნაცარ-ფერფლად აქცევს.

ღამეა. ვიღაცის ხელი სიბნელეში გაღებულ სარკმელზე ანთებულ სანთელს დგამს. უბადრუკი ქონის სანთელი წყვდიადში ვარსკვლავი ეგონება ფარვანას და ზედ მიაფრინდება.

განა ეს მისი ბრალია?

ცეცხლი ისე აჯადოებს ფარვანას, როგორც გველი ჩიტს ნუსხავს.

განა შეუძლიათ ფარვანასა და ჩიტს გაუძლონ ან თავი აარიდონ ამას? განა ფოთოლს შეუძლია ქარის დაბერვაზე არ დაირხეს? განა ქვას შეუძლია არ დაემორჩილოს მიზიდულობის კანონს?

ყველა ეს კითხვა მატერიალური ხასიათისაა, მაგრამ მათ მორალური მნიშვნელობაც აქვთ.

ჰერცოგის ასულის წერილის შემდეგ გუინპლენმა შეძლო თავის შეკავება. მას საკმაო ძალა აღმოაჩნდა, რომ ცდუნებას არ აჰყოლოდა; მაგრამ ჰორიზონტის ერთ მხარეზე ჩანელებული ქარიშხალი ახლა მეორე მხრიდან მძვინვარებდა. ბედი ნაკლებ სიმკაცრეს როდი იჩენს, ვიდრე ბუნება. ქარის პირველი მიწყვეტება ხეს შეარყევს; მეორე მას ძირფესვიანად ამოგლეჯს.

ვაჰ! განა ამგვარად არ წამოიქცევა ხოლმე მძლეთამძლე მუხაც?

და აი, ის, ათი წლის ბავშვი, მარტოდმარტო დარჩენილი პორტლენდის კლდეზე, უშიშრად რომ უსწორებდა თვალს მოწინააღმდეგეს, რომელთანაც მაშინ ხელჩართული ბრძოლა მოელოდა, რომლითაც მას უნდა ემგზავრა, უსწორებდა თვალს ზღვის მორე-

ვს, რომელმაც ჩანთქა მისი უკანასკნელი იმედი გამგზავრებისა, უსწორებდა თვალს უდაბურ, ვრცელ მანძილს, იმდენად მრისხანეს, რომ ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე უფრო უსასრულო ჩანდა, კიდევ დედამიწას, რომელიც თავშესაფარს არ აძლევდა, ზენიტსაც, რომელმაც გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი დაიშურა მისთვის, შეუბრალებელ მარტოობას, თვალით განუჭვრეტელ წყვდიადს, ოკეანეს, ცას, ყველა ძალას ერთ უსაზღვროებაში მოთავსებულთ, და ყველა იმ ამოცანას, მეორე უსაზღვროებაში რომ თავსდება; ის, ვინც, არ თრთოდა ამოუცნობი ბედისწერის ულმობელი სიავის წინაშე, ის სულით არ ეცემოდა, ის ვინც ჯერ პატარა ბალღი არ უშინდებოდა ღამეს, ვით უძველესი ჰერკულესი არ უშინდებოდა სიკვდილს, ვინც ამ უსწორო ბრძოლაში შეუპოვრობას იჩენდა და მეორე ბალღზე მხრუნველობა გამოიჩინა, ვინც, მიუხედავად დაღლილობისა და სისუსტისა, ზედმეტი ტვირთი აიკიდა და უფრო ადვილად უნდა დამარცხებულიყო, მაგრამ მან საკუთარი ხელით ჩამოგლიჯა იმ წყვდიადის ურჩხულების საფარი, ურჩხულებს, რომელნიც ყოველმხრივ უდარაჯებდნენ, ის, ვინც თითქმის აკვნიდანვე ჩაება თავის ბედთან ხელჩართულ ბრძოლაში და გარეული მხეცები მოათვინიერა, ვისაც მოწინააღმდეგე ძალების ცხადზე უცხადესმა სიჭარბემ მაინც ხელი ვერ შეუშალა ბედს შებმოდა, ვინც მიუხედავად იმისა, რომ ყველასგან მიტოვებული მარტოდმარტო აღმოჩნდა, მაინც მარტოდმარტო შეება ამ ბედს და ამაყად განაგრძობდა თავის გზას, ვინც ვაჟკაცურად ებრძოდა სიცივეს, შიმშილსა და წყურვილს, ის, ვინც ტანით ცეროდენა, სულით ბუმბერაზი გამოჩნდა; სწორედ ის გუინპლენი, რომელმაც ორპირი უფსკრულის — ქარიშხლისა და უბედურების მძვინვარე სუნთქვა დაამარცხა, ის გუინპლენი ახლა პატიჟმოყვარეობის მობერვაზე რყევას განიცდიდა.

და აჰა, როცა ბედისწერამ ადამიანს თავს დაატეხა ყველა უბედურება და განსაცდელი, ქარიშხლები, კატასტროფები და მოსაკვდინებელი ტანჯვა-წამება და დაინახა, რომ ადამიანმა მაინც გაუძლო, მაშინ ამ ბედისწერამ გაუღიმა კიდევაც და ადამიანიც, უცბად სიმთვრალეში შესული, ძალასა კარგავს და ძირს ეშვება.

ბედისწერის ღიმილი! ამაზე უფრო საშიშარს კაცი ვერას წარმოიდგენს. ეს უკანასკნელი საშუალებაა, რომელსაც მიმართავს ადამიანთა სულების ულმობელი მაცდუნებელი. ბედი, ხან მსგავსად

ეუფხეისა, ხაერდის თათს გიწვდის, ცბიერი წინასწარი შხადებაა, საზიზღარი ალერსიანობა ურჩხულისა.

ყველა შეამჩნევდა თავის თავს, თუ როგორ თანდათან ეცლება ძალა, რამდენადაც იგი სიმაღლეებს სწვდება. მეტად სწრაფი ზრდა წონასწორობას არღვევს და ციებ-ცხელებას იწვევს.

გუინპლენის ტვინში გახელებული სისწრაფით დასხლტოდნენ ახალ-ახალი აზრები. მასში იდუმალი გადასხვაფერებანი ხდებოდა. შეუცნობელი შეხლა წარსულისა მომავალთან. ეს იყო ორი გუინპლენის შეხვედრა. ეს იყო თითქოს პიროვნების გაორება; უკან ძონძებით მოსილი ბავშვი, წყვდიადიდან გამოსული, უსახლკარო, შმაგი მაწანწალა, სიცივისაგან რომ კანკალებდა და ადამიანებში მხოლოდ სიცილს იწვევდა; ხოლო წინ — ბრწყინვალე, აბაყი, მდიდარი დიდებული, რომელიც თავისი ბრწყინვალე შშვენიერებით მთელ ლონდონს თვალსა ჭრის. გუინპლენი იშორებდა ძველ გარსს და ახალს ითვისებდა. ის ჯანაოზ-კომედიანტს ემიჯნებოდა და ლორდი ხდებოდა. გარეგანი სახის შეცვლა ხან სულიერ შეცვლასაც იწვევს. ყოველივე ეს ადამიანს უცბად უფრო სიზმარი ეგონებოდა, ვიდრე ცხადი, ეს კარგიც იყო და ცუდიც. გუინპლენი საკუთარ მამაზე ფიქრობდა, რა მტანჯველია ფიქრი მამაზე, რომელიც არც კი გახსოვს! გუინპლენი ცდილობდა წარმოედგინა, როგორი უნდა ყოფილიყო მამამისი. ფიქრობდა ძმაზეც, რომლის შესახებ ესეს იყო მოახსენეს. მაშ ასე, მას ოჯახის წევრებიც ჰყოლია. როგორ? მას, გუინპლენს, ოჯახის წევრები! გუინპლენი ველარ ერკვეოდა ამ ფანტასტიკურ მიხვედრებში. წარმოსახვა მას შესანიშნავ სურათებს მოაჩვენებდა. მის თვალწინ ღრუბელივით მიედინებოდნენ დიდებული მსელელობანი. მას ბუკ-საყვირის ხმები ეზმანებოდა.

„ამასთანავე მე მჭევრმეტყველიც ვიქნები“, ასე ფიქრობდა იგი. და მან წარმოიდგინა თავისი საზეიმო შესვლა ლორდთა პალატაში. რომ ის ახალი იდეებით აღსავსე შევა ლორდთა პალატაში. რამდენი რამ აქვს სათქმელი! რა აზრებით არა აქვს გამოჭედილი თავი! რამდენად დიდი უპირატესობა აქვს სხვა ლორდებთან შედარებით. რამდენი რამ ნახა ამ ადამიანმა, რამდენი გამოსცადა, რამდენი რამ გადაიტანა, რამდენი იტანჯა. ამ ადამიანს შეეძლო ასეთი შეძახილით გამოსულიყო: „ყველაფერი ის, რაც თქვენთვის შორეულია და უცნობი, ჩემთვის ახლობელი იყო და გამოვცადე

კიდეც!“ ამ ხელოვნურ, ყალბ გარემოში მცხოვრებ პატრიციებს იგი სახეში მიაყრის შიშველ სიმართლეს და ისინი შეძრწუნდებიან, ვინაიდან არაფერს დამალავს და ისინი ტაშსაც დაუკრავენ, რადგან გუინპლენი უკვე ცნობილი იქნება. ის უფრო მაღლა იდგება იმ ყოველისშემძლე ადამიანებზე, ყველა მათზე უფრო მძლეთამძლე. ის წარდგება მათ წინაშე, როგორც სინათლის ჩირაღდანი, რადგან ჭეშმარიტების მაუწყებელი იქნება მათთვის, აგრეთვე წარდგება როგორც მახვილოსანი, რადგან სამართლიანობის მაუწყებელი იქნება მათთვის. რა საზეიმო ამბავია!

იმ დროს, როდესაც გუინპლენს თავში ასეთი აზრები უტრიალებდა, მიუხედავად ძლიერი აფორიაქებისა, სრულიად ნათელი გონება შერჩენოდა. მაინც ისე მოქმედებდა, თითქოს ძილ-სიზმარეულშიაო: ხან ერთ სავარძელში ჩაეშვებოდა, ხან მეორეში. წუთიერ თავდავიწყებას ეძლეოდა და უცბად ისევ წამოიჭრებოდა. დარბაზში ბოლთასა სცემდა. ჭერს შესცქეროდა. გვირგვინებს ათვალიერებდა. გერბზე გაუგებარ გამოსახულებათა შესწავლასა ცდილობდა. კედლებზე ხავერდის გაკრულობას ხელითა სინჯავდა. სკამებს მისდგამ-მოსდგამდა. სიგელ-გუჯრების გრაგნილებსა შლიდა. არჩევდა ტიტულებს — ბეკსტონი, ჰომბლი, გემდრეითი, ჰენკერვილი, კლენჩარლი. ერთმანეთს ადარებდა მეფის ბეჭდების ლუქზე ამოტვიფრულს. ხელით ეხებოდა სიგელ-ბეჭდის შემაერთებელ აბრეშუმის ზონარს. სარკმელს მიადგებოდა, შადრევნების შხუილს ყურს უგდებდა. შესცქეროდა აღალმებს, მთვარეულის მოთმინებით ითვლიდა მარმარილოს სვეტებსა და თან ამბობდა: „დიახ, ყველაფერი ეს ცხადიაო“.

თავის ატლასის ხიფთანსაც ხელს უფათურებდა და თავის თავს ეკითხებოდა:

— ეს მე ვარ თუ არა?

და თვითონვე პასუხობდა:

— დიახ, მე ვარ!

მის სულში ისევ ქარიშხალი ბორგავდა.

გრძნობების ამ ქარიშხალში, რაც მთელ მის არსებას მოსდებოდა, იმჩნეოდა კი სისუსტეს ან მოქანცულობას? ან შიშისა და წყურვილს თუ იკლავდა? ან თუ ეძინა? თუ ჰო, ისიც მისდა შეუცნობლად. ადამიანი ძლიერი სულიერი ძრწოლის დროს უაზროდ იკმა-

ყოფილებს თავის ფიზიკურ მოთხოვნილებებს. გუინპლენს აზრები კვამლივით დაეფანტება, როდესაც კრატერიდან ამოხეთქილი ცეცხლის შავი ალის ღველფები ირგვლივ კალთებზე გუგუნით გადმოიღვრება, განა ვულკანი იმ წუთს იმას დარდობს, ამ მწვერვალის დაღმართებზე ცხვრის ფარა არ ბალახობდესო?

საათები საათებს მისდევდა.

ცისკარი ამოვიდა და დილა გათენდა. სინათლის სხივმა დარბაზშიც შეაღწია და იმავე დროს გუინპლენის შემეცნებაშიც.

სინათლის ამ სხივებმა გუინპლენს დეა გაახსენა:

— დეა? მერე დეა?

წიგნი მეექვსე

ურსუსის მრავალსახეობა

I

რას ამბობს კაცთმოძულე

ურსუსმა დაინახა, რომ გუინპლენი საუთოურქის ციხის კარში შეიყვანეს, იგი შუკიდან გონებააბნეული ადევნებდა თვალყურს მომხდარ ამბავს. კლიტეების ჩხარუნი და ურდულების ჭღარუნი ყურებში ისე გაუჯდა, რომ კიდევ დიდხანს ესმოდა. თითქოს ციხის გახარებული წრიპინი ყოფილიყოს, რაკი მან ერთი უბედური კიდევ გადასანსლა. ურსუსი ელოდა, მაგრამ რას? ის უთვალთვალებდა, მაგრამ რას? ეს ულმობელი კარი რაკი ერთხელ მიიკეტა, ისე მალე აღარ გაიღება. ციხის კარი უფრო გაქვავებულს ჰგავს. მუდმივ უძრაობაში, წყვდიადში გაშეშებულა თითქოს და თავის ანჯამებზე მეტად ძნელად მოსატრიალებელი გამხდარაო; განსაკუთრებით მაშინ უფრო ძნელად იღება, როდესაც იქიდან ვინმეა გამოსაშვები. შესვლა შეიძლება, მაგრამ გამოსვლა ძნელი საქმეა, ურსუსმა იცოდა ეს, მაგრამ ადამიანი ისეთი გუნებისაა, რომ ხანდახან სულ თავისდა უნებურად ელის. გრძნობები, რომელიც ჩვენ რომელიმე მოქმედებისკენ გვიბიძგებს, საკუთარი თავის გამომჟღავნებას განაგრძობს. თითქოს ინერციის ძალით, მაშინაც კი, როდესაც ის საგანი, რომლისკენაც ისინი უმიზნებდნენ, უკვე აღარ არის, და გვაიძულებენ კიდევაც, რომ განსაზღვრული დროის მანძილზე მივისწრაფოდეთ უკვე არარსებული მიზნისაკენ. როდესაც ყურადღება მიჯაჭვულია ისეთ საგანზე, რომელიც თვალს მიეფარება, იქ უსარგებლო მოლოდინი, უაზრო დგომა დროის დაკარგვაა მხოლოდ, ასეთი რამ ყველას გამოუცდია და ისიც არაერთხელ. ადამიანი განგრძობს ლოდინს, უაზროდ, ჯიუტად. თვითონაც არ იცის, რადა მაგრამ ერთსა და იმავე ადგილზე დგას უძრავად. შეგნებულად დაწყებული, უკვე ინერციის ძალით გრძელდება. ეს სიჯიუტე არაქათს აცლის ადამიანს და მთლად თენთავს. თუმცა ურსუსი ძალიან განსხვავდებოდა სხვა ადამიანებისაგან, მაგრამ იგი ისევ

ერთ ადგილას გაშეშებულივით იდგა. ყური გაემახვილებინა და თან ისეთ ფიქრებში ჩანთქმულიყო, როგორიც მნიშვნელოვანი მოვლენის დროს მოგვიცავს ხოლმე და რომლის წინაშეც ჩვენ უძლურნი ვართ. ურსუსი შესცქეროდა შავ კედლებს; ხან მაღალ კედელს შეხედავდა, ხან დაბალს. უცქეროდა პატარა კარსაც, მის ზემოთ მიჭედილ სახრჩობელას კიბესაც. უშხერდა ჭიშკარს, რომლის თაღზე თავის ქალა იყო გამოსახული. იგი საპატიმროსა და სასაფლაოს შუა თითქოს მუხრუჭში იყო მომწყვდეული. ამ უკაცურ ქუჩაში გამვლელი მეტად ცოტა იყო და ურსუსსაც თვალს არავინ ადევნებდა.

ბოლოს ურსუსი მოშორდა იმ თაღს, საიდანაც უთვალთვალებდა და ნელი ნაბიჯით წაფრატუნდა უკანვე; უკვე ღამდებოდა. კარგა დიდხანს ყოფილა აქ. ხანდახან უკანვე მოტრიალდებოდა და იმ საშინელ მცირე კარს შეხედავდა ხოლმე, რომელშიც გუინპლენი შეეყვანეს. იგი უაზროდ და გაოგნებულად გამოიყურებოდა. შუკის ბოლომდე მიღანღალდა, კუთხეში შეუხვია, გაიარა ერთი შუკა, შემდეგ მეორე და ძლივძლივობითღა გაიგნო გზა. ურსუსი ხანდახან უკან იხედებოდა, თითქოს უნდოდა კიდევ ერთხელ დაენახა საპატიმროს მცირე კარი, თუმცა იმ ქუჩას, სადაც საპატიმრო იმყოფებოდა, უკვე კარგა ხანია გასცდენოდა. იგი თანდათან ტარიწზოფილდს უახლოვდებოდა. ბაზრის მოედანთან ახლომდებარე შუკები ბაღების აქეთიქითა ორღობეებს შუა მდებარე ვიწრო უდაბურ ბილიკებს წარმოადგენდნენ. ურსუსი ჩახრამული ბილიკებით წელში მოხრილი მისდევდა მოლობილებს, აქ იგი უცბად შეჩერდა და შესძახა:

— ახია, ასე მოუხდება!

მან ორჯერ შუბლზე იტკიცა ხელი და ორჯერ თქოებზე; ეს იმას ნიშნავდა, რომ ბოლოს მოიფიქრა, რაშიც იყო საქმე. მიდიოდა და ხან თავისთვის ბუტბუტებდა, ხან ხმას უმაღლებდა.

— კარგადაც მოგივიდა! ახ, შე საძაგელო! ავაზაკო! სალახანავ! უქნარავ! მეამბოხევ! ეს სულ მისი სულელური ლაპარაკის, პოლიტიკაზე ლაპარაკის წყალობით მოხდა. რასაკვირველია, ეჭვი არ არის, რომ იგი მეამბოხეა! კატორღაში უკრავენ თავს და ძალიან კარგსაც იზამენ. კანონები რისთვის არის. ოჰ, ის უმადური! მე კი აღზრდას ვცდილობდი. რა ტყუილად გავრჯილვარ! რა ძალა ადგა, რომ ლაქლაქებდა! ისიც ვითომ მარაქაში გაერია! რას ეჩხირებოდა სახელმწიფო საქმეებში! ერთი იმას უყურეთ! ჯიბეში გახვრეტილი

გროშიც არ უგდია და გადასახადებზე ლაპარაკობს; რა მისი საქმეა ასეთი რამეები. ჯარიმების შესახებ მსჯელობს! მეფის განკარგულებით მოჭრილ სპილენძის ფულს აბუჩად იგდებს. მის უდიდებულესობას, დედოფალს შეურაცხყოფას აყენებს. განა ფარტინგი იგივე დედოფალი არ არის? მასზე ხომ დედოფლის გამოსახულებაა? დასწყეველოს ეშმაკმა! დედოფლის წმინდა გამოსახულებაა! გვჯავს თუ არა ჩვენ დედოფალი? ჰოდა, მაშ ინებე და პატივი ეცი მის გამწვანებულ სპილენძის გროშებს. სახელმწიფოში ყველაფერი ერთიმეორეზეა დამოკიდებული; ეს კარგად უნდა ახსოვდეს კაცს. მე კარგა დრო მოვჭამე და ცხოვრებასაც კარგად ვიცნობ. შეიძლება მითხრან: მაშ თქვენ პოლიტიკას უარყოფთო? დიახ, რა თქმა უნდა. პოლიტიკა, ჩემო მეგობრებო, პოლიტიკა მე იმდენადვე მაინტერესებს, როგორც შარშანდელი თოვლი. ერთხელ ერთმა ბარონეტმა ჯოხი დამარტყა და მაშინვე ჩემს თავს ასე ვუთხარი: „ჩემთვის ესეც კმარა, ახლა მე ვიცი-მეთქი რაც ყოფილა პოლიტიკა“. დედოფალი ხალხს უკანასკნელ გროშსართმევს და ხალხი მას მადლობას ეუბნება. ეს სულ უბრალო რამაა. დანარჩენი ყველაფერი ლორდების საქმეა. მათი ბრწყინვალებანი, დიდებულნი, სასულიერო პირნი და საერონი განაგებენ ქვეყანას. გუინპლენი კი ცხრაკლიტულშია! გუინპლენს კატორღა მოელის! ახია მასზე, სამართლიანი საქციელია. სრულიად წესიერად დაიმსახურა და კანონიერიც არის მისი დასჯა. თავისი ბრალია, რას ლაქლაქებდა, ვინ ეკითხებოდა! რა, ლორდი ხომ არა ხარ, შე ბრიყვო შენა; კვერთხისმტვირთველმა დაეპატიმრა, სასამართლოს ბოქაულმა წაიყვანა, შერიფმა ბრჭყალები ჩაასო და აღარ უშვებს. ახლა ალბათ რომელიმე კანონთმცოდნე ისე ბდღვნის მას, როგორც ქათამი იბდღვნება. ო, ისინი მარჯვე ხალხია — ისე გაგაცურებენ, ვერც კი გაიგებ. პირში ბურთი ხომ ჩაგჩარეს, ჩემო მტრედო! ასე ეკადრებოდა შენისთანას და ასეც მიიღე. ჩემთვისაც ასე სჯობს. ღმერთმანი, ძალიან მოხარული ვარ. სინდისის ქვეშ უნდა ითქვას, ბედი მჭონია. რა სისულელე ჩაიდინე, რომ შეეიკედლე ეს ბიჭი და გოგო. მე და ჰომო ისე მშვიდად ვცხოვრობდით, რისთვის მომადგნენ კარზე ეს საძაგლები. ჯერ კიდევ პატარებს რამდენი ვუარე. ვათრიე თან... ღირდა კი მათი გადარჩენა? ბიჭი სულ დასახიჩრებული და გოგონა კიდევ ორივე თვალით ბრმა. მე ყველაფერს ვიკლებდი, ვშიმშილობდი მათი გულისთვის; მერე ეს

საძაგლები დაიზარდნენ და ერთმანეთი შეუყვარდათ! ორი შეყვარებული ხეიბარი. აი რას მივაღწიეთ! გომბეშო და თხუნელა — რა იდილიაა! და ეს ყველაფერი ჩემ თვალწინ ხდება! მართლმსაჯულების ჩარევით სწორედ ასეც უნდა დამთავრებულიყო, — ეს გომბეშო პოლიტიკაზე აყოყინდა, ძალიან კარგი! ახლა მე თავისუფალი ვარ. როცა კვერთხისმტვირთველი გამოცხადდა, პირველად დავიბენი. უცბად არ დავიჯერე, რას ვიფიქრებდი, რომ ასეთი ბედნიერება მეწვია. მე მეგონა მელანდებოდა, მეგონა ეს შეუძლებელი იყო, მეჩვენებოდა, სიზმრად მეგონა ჩემი თავი. მაგრამ არა, რის მოლანდება, ეს სწორედ ასეა. გუინპლენი ნამდვილად ციხეში ზის. თვითონ განგებამ ასე მოისურვა. ამ სახიჩარმა იმდენი ხმაური ატეხა, რომ ხელისუფლებამ ყურადღება მიაქცია ჩემს დაწესებულებას და ჩემს საბრალო მგელს. და აჰა, გუინპლენი აღარ არის: მე შემიძლია ორივესაგან ერთბაშად გათავისუფლებულად ჩავთვალო ჩემი თავი. ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლეს. დეა ხომ მოკვდება, ყველაფერს ამას რომ გაიგებს, როცა გუინპლენს ველარ დაინახავს, — ვითომდა ხედავდეს ის შტერი ისა! — უკვე გადაწყვეტს, რომ სიცოცხლე აღარ უნდა. მაშინ იტყვის: „რაღა დამრჩენია ამ ქვეყნადო?“ და ისიც მოშშორდება. გზა მშვიდობისა! ჯანდაბას თქვენი თავი! მე ყოველთვის მძულდნენ ისინი. სულიც ამოგძერომია, დეა! ოჰ, რა კმაყოფილი ვარ!

II

და როგორ იქცევა იგი

ურსუსი ტედკასტერის სასტუმროში დაბრუნდა.

საათმა შვიდის ნახევარი ჩამოჰკრა. ანუ „ექვსის შემდეგ ნახევარი“, — როგორც ინგლისელები ამბობენ. ბინდდებოდა.

ნიკლსი შესასვლელი კარის ზღურბლზე იდგა. მან ვერა და ვერ მოიშორა დილით განცდილი შიშის კვალი სახიდან.

ურსუსი შორიდანვე შენიშნა და გამოეხმაურა:

— აბა, რა გაიგე?

— როგორ თუ... რა გავიგე?

— გუინპლენი ხომ დაბრუნდება? უკვე დროა, სადაცაა ხალხი

შეგროვდება. დღეს არ უნდა გამოვიდეს „კაცი, რომელიც იცინის“?

— „კაცი, რომელიც იცინის“ — ეს მე ვარ, მე. — უთხრა ურსუსმა.

შეხედა დუქნის პატრონს და ხმამაღლა გადაიხარხარა.

შემდეგ ავიდა მეორე სართულზე, ფანჯარა გააღო, გადაიწია, ხელი გადაყო და ააგლიჯა ის აბრა, რომელზედაც ეწერა: „გუინპლენი — კაცი, რომელიც იცინის“ და „დამარცხებული ქაოსი“, აბრა იღლიაში ამოიდო და ისევ დაბლა ჩავიდა. ნიკლსი თვალს ადევნებდა.

— რატომ მოხსენით? — შეეკითხა.

ურსუსმა ისევ გადაიხარხარა.

— რა გიხარიათ, რაშია საქმე? — შეეკითხა ისევ სასტუმროს პატრონი.

— გადავწყვიტე მარტოდმარტო ვიცხოვრო, ჩემთვის.

ნიკლსი მიხვდა, რაშიც იყო საქმე და თავის თანაშემწე გოვიკემს უბრძანა: ვინც მოვა, ყველას უთხარი, რომ დღეს საღამოს წარმოდგენა არ შედგებაო. თვითონ მოლარის ჯიხურის მაგიერ კართან მიდგმული კასრი აიღო და დაბალჭერიანი დარბაზის შორეულ კუთხეში მიაგორა.

ერთი წუთის შემდეგ ურსუსი თავის „მწვანე ყუთში“ შევიდა. ორივე აბრა კუთხეში მიაყუდა და ახლა იმ განყოფილებაში გაეიდა, რომელსაც ქალთა ნახევარს ეძახდა.

დეას ეძინა.

ლოგინზე ჩაცმული იწვა, მხოლოდ კაბა გაეხსნა, დღისით დასვენების დროს, ჩვეულებრივ, ასე იცოდა.

მის ახლოს ისხდნენ ფიქრებში წასული ვენუსი და ფები. ერთი სკამზე იჯდა, მეორე პირდაპირ იატაკზე.

თუმცა უკვე დრო იყო, მაგრამ ჯერ არ ჩაეცვათ იმ ღმერთქალების ტანსაცმელი, რომლითაც სცენაზე გამოდიოდნენ, ისევ ღრმად დამწუხრებულნი იყვნენ. ისევ ისე უხეში მატყლის კორსაჟები და ხეშეში ქსოვილის ბოლოკაბები ეცვათ.

ურსუსმა დეას დახედა და ჩაიჩურჩულა:

— ეს ქალი უფრო დიდი ხნის ძილისთვის ემზადება.

შემდეგ ფებისა და ვენუსს მიუბრუნდა:

— ეჰეი, თქვენ! გესმით! გათავდა მუსიკა; შეგიძლიათ თქვენი საყვირ-ლორნეტოტოები ყუთებში ჩააწყოთ. კარგია, რომ ღმერთქალთა ტანსაცმლით არ მოკაზმულხართ; რა თქმა უნდა, თქვენს ბუნებრივ მორთულობაში საკმაოდ გონჯები ხართ, მაგრამ მაინც ჭკვიანურად მოქცეულხართ. ისევ თქვენსავე ძონძმანებით იკეკლუცეთ. წარმოდგენა აღარ შედგება არც დღეს, არც ხვალ, არც ზეგ, არც მაზეგ. გუინპლენი აღარ არის, თვითონ სატანაც ველარსად მიაგნებს ახლა მას.

და ურსუსმა ისევ დეასკენ გაიხედა.

— რა მეხივით დაეცემა ეს ამბავი თავზე! უცბად გაჭრება, სანთელივით.

ურსუსმა ჯერ ჰაერი ჩაისუნთქა, მერე ამოთქვა:

— ფუჰაა, და გათავდა, ერთი შებერვით გათავდა!

მან უხმოდ ჩაიცინა.

— გუინპლენი აღარა გვყავს, აღარც წარმოდგენები გვექნება. ვითომც ჰომო დამკარგვოდეს. არა, უფრო მეტიც, უსინათლო დეა უფრო მეტად იგრძნობს მარტოობას, ვიდრე სხვა ვინმე თვალხილული იგრძნობდა. უსინათლოსთვის მწუხარება უფრო მეტად ძნელი ასატანია, ვიდრე ჩვენთვის.

ურსუსი ფურგონის სიღრმეში ფანჯარასთან მივიდა.

— როგორ გადიდდა დღე! უკვე შვიდი საათია და ჯერ რიგიანად არც კი შებინდებულა. მაინც სანთელი ავანთოთ.

მან კვესი დაჰკრა დანის ყუას, ნაპერწკლიდან ალი აბეჭს წაუკიდა და „მწვანე ყუთის“ ჭერზე ჩამოკიდებული ფარანი აანთო. მერე დეასკენ დაიხარა.

— დეა გაციებდება, გოგოებო, ეს რა თხელი კაბა ჩაგიცმევიათ მისთვის. ფრანგები ამბობენ:

აპრილის თვეს მაისს ხომ არ ადრიან, -

სათბუნებელს ნუ გაიხდი, ადრეა.

ურსუსმა იატაკზე ქინძისთავი დაინახა, აიღო და სახელოზე დაიბნია. შემდეგ ხელების ქნევით წინ და უკან სიარულს მოჰყვა ფურგონში.

— მე არ შევშინებულვარ, სულით არ დავცემულვარ. მე ჩემს სრულ გონებაზე ახლა უფრო ვარ, ვიდრე ოდესმე. ჩემი აზრით, ეს მოვლენა სწორია და მეც ვეთანხმები იმას, რაც ხდება. დეა რომ

გაიღვიძებს, მაშინვე ყველაფერს დაუფარავად ვუამბობ. კატასტროფა დაუყოვნებლივ იფეთქებს. გუინპლენი აღარ არის, მაშასადამე, დეასაც უნდა გამოვეშვიდობოთ! რა კარგად მოეწყო ყველაფერი. გუინპლენი ციხეშია, დეა სასაფლაოზე. სწორედ ერთმანეთის პირდაპირ იქნებიან. ნამდვილი როკვაა სიკვდილისა. ორი ადამიანის ბედი სცენას მოსცილდება. შევინახოთ კოსტიუმები. დავხუროთ ჩემოდანი, ესე იგი, კუბოს თავი. ეს ხომ გაუბედურებულთა წყვილი იყო. დეა უსინათლო, გუინპლენი უსახური. იქ, ცათა შინა, ღმერთი დაუბრუნებს დეას მხედველობას და გუინპლენს სილამაზეს. სიკვდილი ყველაფერს ათანასწორებს. ყველაფერი საუცხოოდაა. ფუბი, ვენუს, ჩამოკიდეთ კედელზე დაფდაფები. თქვენი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მუსიკალური ნიჭი ახლა დაჭკნება, ჩემო მშვენიერებო. არც თამაში, არც საყვირი აღარ იქნება საჭირო. „დამარცხებული ქაოსი!“ დამარცხებულია. „კაცი, რომელიც იცინის“ მახეში გაება. დიდი აყალმაყალითა და ბრახიბრუხით დასრულდა. დეას კი ისევ სძინავს და სძინავს, ჰოდა, ძალიან კარგია, რომ სძინავს. მაგის ადგილას მე არც გავიღვიძებდი. თუმცა მაგას ისევ მალე დაეძინება. მაგისთანა გაკნაჭულს სიკვდილი მალე მოერევა. აი რას ნიშნავს პოლიტიკაში გადავარდნა. როგორი გაკვეთილია! მთავრობა სრულიად მართალია. გუინპლენს შერიფი მოუვლის. დეას მესაფლავე მიხედავს. სამაგალითო თანაზომიერებაა. იმედი მაქვს დუქნის პატრონი კარს მაგრად მიხურავდა. დღეს ჩვენ ვიწრო ოჯახურ წრეში მოვკვდებით. თუმცა მე არა, არც ჰომო. მხოლოდ დეა... მე ძველებურად ისევ ფურგონით ვიმოგზაურებ. დაბადებიდანვე მაწანწალა ვარ. მე ქალებს ორივეს დავითხოვ; აღარც ერთს ჩემთან აღარ დავტოვებ. სიბერის დროს ქალებთან ქეიფს ხომ არ მოვყვები. შორს ჩემგან, მაცდურო. ბერიკაცის აცუნდრუკება სამარცხვინოა. ახლა ისევ მარტოხელა ვიხეტიალებ; მხოლოდ ჰომო იქნება ჩემი თანამგზავრი. ჰომოს ხომ გაუკვირდება და გაუკვირდება. სადღაა გუინპლენი? სად არის დეა? ჩვენ ისევ ორნი დავრჩით, ჩემო ძველო მეგობარო. მე აღტაცებული ვარ, ეშმაკსაც წაუღია ყველანი. თვალებში მეჩხირებოდა მათი იდილია. მაშ ის საძაგელი გუინპლენი აღარ უნდა დაბრუნდეს? მიგვატოვა განა! ძალიან კარგი. ახლა ჯერი დეაზე მიდგა. ვიცი, ის დიდხანს ვერ გაძლებს. მე მიყვარს, როცა დაწყებული საქმე კიდევაც დამთავრდება ხოლმე. ხელსაც

არ გაუანძრევ, რომ სიკვდილისგან ვიხსნა. თუ სასიკვდილო ხარ, მოკვდი, გესმის? ფუი, ეშმაკო! დეა იღვიძებს.

დეამ თვალები გაახილა, ბრმები ხშირად ძილის დროს თვალებს ხუჭავენ. მის ნარნარ, უბიწო სახეზე ღიმილის შუქი მოიფინა.

— დეას ელიმება, მე კიდევ ვიცინი, მაშ ყველაფერი კარგად ყოფილა. — წაიჩურჩულა ურსუსმა.

დეამ ფებისა და ვენუსს გასძახა:

— ვგონებ, დრო არის, წარმოდგენა დავიწყოთ. მე ალბათ ძალიან დიდხანს მეძინა. აბა, ჩამაცვით!

არც ფები და არც ვენუსი არ განძრეულან.

ამასობაში ურსუსს დეამ ისე შეხედა, როგორც უსინათლოს ახასიათებს, ბერიკაცი შეკრთა.

— აბა, რას უყურებთ, ფები, ვენუს, არ გესმით, რას გეუბნებათ დეა; — უთხრა მან, — დაყრუვდით თუ რა მოგივიდათ! აბა, მალე! წარმოდგენა ახლავე დაიწყება.

ორივენი გაკვირვებულნი მიაშტერდნენ ურსუსს.

ურსუსმა დაიყვირა:

— ნუთუ ვერა ხედავთ, რომ ხალხი გროვდება? ფები, ჩააცვი დეას! ვენუს, დაჰკარი დაფდაფი!

ფები გამგონი იყო, ვენუსიც, — რასაც ეტყოდნენ, ასრულებდა. ორივენი უსიტყვოდ, უწინააღმდეგოდ ასრულებდნენ მოვალეობას. მათთვის პატრონი ყოველთვის საიდუმლოებით იყო მოცული. ოდითგან ასეა: ვისაც ვერ უგებენ, მის განკარგულებას მუდამ ბრმასავით, უსიტყვოდ, უწინააღმდეგოდ ასრულებენ. ამჯერად მათ იფიქრეს, ალბათ ჩვენი პატრონი გაგიჟდაო, მაგრამ ბრძანება ჩვეულებრივ შეასრულეს. ფებიმ კაჩოდან ტანსაცმელი ჩამოიღო. ვენუსმა დაფდაფს წაატანა ხელი.

ფები დეას აცმევდა. ურსუსმა „ქალთა განყოფილებას“ ფარდაგი ჩამოაფარა და უკვე გარედან განაგრძობდა:

— აბა, გაიხედე, გუინპლენ! ეზო თითქმის სავსეა ხალხით. შემოსასვლელთან ლამის ერთმანეთი მისრისონ. რა აუარებელი ბრბო მოაწყდა! ეს ფები და ვენუსი ხომ შტერები არიან, რა ენაღვლებათ; რა სულელები არიან ეს ბოშა გოგოები! ეგვიპტეში ასეთი ჩერჩეტები ცხოვრობენ? ფარდას ნუ ასწევ, შეგრცხვეს, დეას აცმევენ.

ურსუსი დადუმდა და უცბად წამოძახილი მოისმა:

— რა ლამაზია დეა!

ეს გუინპლენის ხმა იყო. ფები და ვენუსი შეკრთნენ და მიიხედნენ. ურსუსი გუინპლენს ჰბაძავდა.

ურსუსმა ფარდაში შეიხედა და ანიშნა, რომ თავიანთი გაკვირვება ხმამაღლა არ გამოეთქვათ.

შემდეგ ისევ გუინპლენის ხმით განაგრძო:

— ანგელოზია!

და უკვე თავისი ხმით შესძახა:

— ვინ არის ანგელოზი? დეა? შენ ხომ არ გადაირიე, გუინპლენ! ძუძუმწოვართაგანნი მხოლოდ ღამურები არიან ფრთოსნები და მხოლოდ ისინი ფრენენ.

მერე დასძინა:

— იცი რა, გუინპლენ, წადი ერთი, ჰომო აუშვი, ეს უფრო ჭკვიანური იქნება.

და ურსუსმა თვითონვე გუინპლენისებურად მსუბუქად ჩაირბინა „მწვანე ყუთთან“ მიმაგრებულ კიბეზე. ის იმიტომ ბაძავდა გუინპლენს, რომ დეა ამ ბაკაბუკს გაიგონებდა, და მისი სატრფო ეგონებოდა.

ეზოში მან გოვიკემი დაინახა, ბიჭი იმდენად გართულიყო თავისი საქმით, რომ სხვა აღარაფრისკენ იხედებოდა.

— მოიტა ორი მუჭა. — ჩურჩულით უთხრა ურსუსმა.

და მთელი მუჭა სპილენძის ფული ჩაუჩხრიალა.

ასეთმა სიუხვემ გოვიკემს გული აუჩუყა.

ურსუსმა მას ყურში ჩაუჩურჩულა:

— ეზოში იყვირე და იხტუნე, იცეკვე, არახუნე, იმღერე, იღრიალე, უსტვინე, იბღავლე, ტაში დაუკარ, იხარხარე, ფეხები აბრახუნე, გატეხე რამე.

ნიკლსი უგუნებოდ იყო, სწყინდა, რომ ხალხი, რომლებიც „კაცი, რომელიც იცინის“ სანახავად მოდიოდა, უკანვე ბრუნდებოდა და ამავე ბაზრის მოედანზე სხვა გასართობ-ბალაგანებისაკენ მიემართებოდა. მან დუქნის კარი დაკეტა, რომ მომაბეზრებელი გამოკითხვები თავიდან აეცილებინა, ამ საღამოს სასმელების გაყიდვაზეც კი უარი თქვა. ახლა უსაქმოდ დარჩენილი ტალანში დამდგარიყო, ხელში ანთებული სანთელი ეჭირა და ეზოს ათვალიერებდა. ურ-

სუსმა ორივე ხელი პირზე აიფარა და მისი ხმა მხოლოდ ნიკლსს რომ გაეგონა, უთხრა:

— ჯენტლმენ! მიჰბაძეთ თქვენს მსახურსა და იჭყივლეთ, იბღავლეთ, იგრგვინეთ.

„მწვანე ყუთში“ დაბრუნებისას ახლა მგელს უბრძანა:

— ჰომო, რაც კი შეგეძლოს, იღმუვლე!

მერე ხმამაღლა წარმოთქვა:

— მეტად ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი, ეშიშობ კედლები ვერ გაუძლებენ.

ვენუსმაც ამ დროს დაფდაფს დაჰკრა.

ურსუსი განაგრძობდა:

— დეა ჩაცმულია, შეიძლება ახლავე დავიწყოთ. ამდენი ხალხი არ უნდა შემოგვეშვა, რა ვიწროობაა. აბა, ერთი გაიხედე, გუინპლენ, ნახე რა ვიწროობაა; სანაძლეოს ჩამოვდივარ, რომ დღეს ყველაზე მეტი შემოსავალი გვექნება. აბა უქნარებო, დასცხეთ მუსიკა! აქ მოდი, ფები, აიღე ჩემი საყვირი! კარგი, ვენუს, დაჰკარი დაფდაფს. შეანჯღრიე, რაც შეგეძლოს. ფები, აბა ერთი დიდების ქალღმერთის პოზა მიიღე. მოწყალეო ქალბატონო, თქვენ ცოტათი რომ მკლავმკერდი გამოიჩინოთ, ურიგო არ იქნება. საზოგადოებას ეამება მოყვანილი, ტანწერწეტა ქალის დანახვა. დეე, მორალისტებმა მეხი და მედგარი დაგვატეხონ. ეშმაკმა დალახვროს, ცოტაოდნავ თავს ნება უნდა მივცეთ. მეტი გრძნობიერება! დაე, ჰაერში გახელებული მელოდიები გაისმას. საყვირი აყვირეთ, დაფი დაუკარით, დუდუკი და სალამური, ყველა საკრავები აახმაურეთ! რამდენი ხალხია!

აქ ურსუსი შეჩერდა და მერე კვლავ განაგრძო:

— მომეხმარე, გუინპლენ, აბა დავუშვათ ეს კედელი ძირს.

ამ დროს მან ცხვირსახოცი გაშალა.

— მოიცა ჯერ ცხვირი კარგად მოვიწმინდო.

და ურსუსი ენერგიულად შეუდგა ცხვირის წმენდას, იხვინა, — ეს იყო აუცილებელი საშხადისი მუცლით მეზღაპრისათვის.

ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიდო, კედლის ძირს დაშვებისათვის მოწყობილი ბლოკები აამოძრავა, ისინი ჩვეულებრივ აჭრიალდნენ და ურსუსმა ფურგონის კედელი ძირს დაუშვა.

— გუინპლენ, ფარდას ნუ გადაწევ! დაშვებული იყოს წარმოდგენის დაწყებამდე, თორემ ყველანი დაგვინახავენ. ფები, ვენუს, გა-

დით ორივე ავანსცენაზე; აბა ქალბატონებო, მუსიკა! ბუჰ, ბუჰ, ბუჰ! ხალხი ბლომად მოგროვდა; ყველა ნაძირალას აქ მოუყრია თავი. ღმერთო ჩემო, ამდენი ხალხი რა ამბავია!

ბოშა ქალები ჩვეულებისამებრ, მორჩილად ჩამოსხდნენ გადაშვებული კედლის ორივე მხარეს.

აქ ურსუსმა თავის თავს გადააჭარბა: მან თავისი ხელოვნება, მუცლითმეზღაპრეობა გამოიყენა, — ესე იგი, პირმოკუმული ლაპარაკი დაიწყო! ერთი კაცისა კი არა მთელი ბრბოს ლაპარაკი ისმოდა. მიზნად დაისახა ხალხით სავსე ეზოს ხმაური გამოეხატა, მაშინ, როდესაც ეზო სულ მთლად უკაცრიელი იყო და იქ სრული დუმილი სუფევდა. ურსუსის წყალობით ყველა მხრიდან გაისმა ხალხისა და პირუტყვთა ხმაური. ერთი ურსუსი მთელ ლეგიონს გამოხატავდა. თვალდახუჭულ ადამიანს ეგონებოდა, რომელიმე დღესასწაულზე, ხალხით სავსე მოედანზე, ან კიდევ შფოთიან ბრბოს შორის ვიმყოფებიო. ურსუსის ამოძახილები ხან სიმღერასა ჰგავდა, ხან ყეფას, ხან ყვირილს, ხველას, ხრანტალს, გაძახილ-გამოძახილს, ხან ბურნუთის წევას ჰბაძავდა და აცემინებდა, ხან ვითომ ვისმეს გაელაპარაკებოდა და პასუხობდა. დიალოგს ასახიერებდა: ჰკითხავდა ვისმე და პასუხს თვითონვე იძლეოდა. ყველაფერ ამას ერთდროულად ახერხებდა. ფრაზები ერთმანეთს აწყდებოდნენ. იმ უკაცურ ეზოში კაცების ხმებიც ისმოდა, ქალებისაც, ბავშვებისაც. ამ ბუნდოვან ჩუჩუნში და ხმების არეულ გუგუნში თითქოს ბურუსის მიღმიდან გამოისმოდა უცნაური კაკაფონია, კაკანი, კნავილი, ძუძუთა ბავშვების ტირილი, ლოთების ჩახლეჩილი ლაპარაკი, მუქარით შელრენა, ძაღლების ღრენა, რომლებსაც ვითომ მაყურებლებმა ფეხზე ფეხი დააბიჯეს, ან წიხლი ჰკრეს. ხმები ახლოდანაც ისმოდა და შორიდანაც, მაღლიდან, ქვემოდან, მარცხნიდან და მარჯვნიდან. ყველაფერი ეს ერთად ქუხილსა ჰგავდა. თითოეული ბგერა კივილივით გაისმოდა. ურსუსი მუშტებს არტყამდა, ფეხებს აბრახუნებდა. ხან თითქოს ეზოს სიღრმიდან ისმისო, ისე ყვიროდა, ხან თითქოს ქვესკნელიდან ისმისო მისი ხმა. ეს რაღაც ქარიშხლისებური იყო, თანაც უკვე ნაცნობი. ხმაური ჩურჩულიდან შრიალში გადადიოდა, შრიალიდან რახუნში, რახუნიდან ნიაღერის ხრიალში. ურსუსი თვითონ მარტო იყო და იმავე დროს მრავალ სხვას ასახიერებდა. იგი ხან მონოლოგს კითხულობდა, ხან მთელი

გუნდის ხმაურს გამოხატავდა. ისევე, როგორც ხილვადი მოჩვენება არსებობს, აგრეთვე არსებობს სმენითი მოჩვენებაც. რაც პროთუსი იყო თვალისთვის, ის ურსუსი იყო ყურისთვის. ბრბოს ხელოვნურად მასზე უკეთ ვერავინ მიჰბაძავდა. ხანგამოშვებით ურსუსი ფარდას გადასწევდა და დეას შეხედავდა ხოლმე. დეა ყურს უგდებდა ამ ხალხის ხმაურს.

გოვიკემიც ეზოში გახელებულიყო.

ვენუსი და ფები რაც შეიძლებოდა, კეთილსინდისიერად უბერავდნენ საყვირს და თავგამოდებით სცემდნენ დაფდაფს.

ამ გოგოებსაც და ერთადერთ მსმენელს ნიკლსსაც ეგონათ, ურსუსი ჭკუაზე შეირყაო. ეს უსიამოვნება ზედ ერთვოდა სასტუმროს პატრონის მელანქოლიას. „რა საძაგლობააო", — ბურდღუნებდა თავისთვის ეს წესიერი ადამიანი, ის ისე თავშეკავებით იქცეოდა, როგორც ყველა ამგვარი კაცი, რომელსაც არ ავიწყდება, რომ კანონს ფხიზელი თვალი აქვს.

ამ ხმაურში მონაწილეობის გამო აღტაცებული გოვიკემი ურსუსზე ნაკლებად კი არ იყო გახელებული, როლში შესულიყო, ეს გასართობად გაეხადა, ამას გარდა, მან ხომ ფული მიიღო ამისთვის.

ჰომო დაფიქრებული იყო.

ურსუსი იმასაც ახერხებდა, რომ ცალკე ფრაზებს გამოსთქვამდა.

— აი, გუინპლენ, ახლაც, როგორც ყოველთვის, ჰირი შეუკრავთ ჩვენს წინააღმდეგ. კონკურენტები ისევ ცდილობენ ჩაშალონ ჩვენი წარმატება, მაგრამ მათი სტვენა-სისინი უფრო აცხოველებს ჩვენს წარმოდგენას. გარდა ამისა, აქ იმდენი ხალხი მოგროვდა, რომ ნემსიც არ ჩავარდება. მეზობელი იდაყვით გიქიმუნჯებს, ეს რა სასიამოვნოა. ნეტავი სკამები მაინც არ დაგვიმტვრიონ! აჰ, ჩვენი მეგობარი, ტომ-ჯიმ-ჯეკი აქ რომ ყოფილიყო! თუმცა მან დაგვივიწყა. რამდენი თავი მოჩანს. ამ ფეხზე მდგომ საზოგადოებას კმაყოფილება სულაც არ ეტყობა სახეზე. თუმცა დიდი სწავლულის გალენის სიტყვით, ფეხზე დგომა ორგანიზმს ამაგრებს. ჩვენ სპექტაკლი უნდა შევამოკლოთ, რადგან აფიშაზე მხოლოდ „დამარცხებული ქაოსია" აღნიშნული. მეტს არაფერს არ ვითამაშებთ. არც „URSUS RURSUS"-ი გვინდა. რა თავზე ხელაღებულია ეს აღვირახსნილი ბრბო! რალაცას იზამენ მგონია; მაგრამ, კმარა, ასეთი ამბავი რა მო-

საწონია; ასეთ ხმაურობაში სცენაზე თამაშს ყურს ვინღა უგდებს. მოდი, სიტყვით მივმართავ, რომ დავამშვიდო მაინც. გუინპლენ, გადასწიე ცოტათი ფარდა.

— მოქალაქენო!..

და ურსუსმა მკვეთრი, გამკიეანი ხმით შესძახა:

— არ გვინდა ბერიკაცი, ძირს ბერიკაცი!

მერე თავისი ხმით განაგრძო:

— მგონია საზოგადოება შეურაცხყოფას მაყენებს. ციცერონი მართალს ამბობს, „მდაბიო ხალხი სატახტო ქალაქის ნაძირალააო". არა უშავს, ვცადოთ ამ ბრბოს დაწყნარება. როგორ ვაიძულოთ, რომ მოგვისმინონ, მაგრამ მე მაინც ვეცდები. კაცმა თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს. ერთი აი, იმ მეგერას შეხედე, გუინპლენ! აი, იმ როკაპს, როგორ აკრაჭუნებს კბილებს.

ურსუსი ცოტა ხანს დადუმდა და კბილები გააკრაჭუნა. ჰომო შეცდა, სხვა რამ ან ვინმე ეგონა და მანაც ღრენით კბილები დააკაკუნა. გოვიკემმაც კბილები აკრაჭუნა.

ურსუსმა განაგრძო:

— ქალები უფრო აჭარბებენ მამაკაცებს. ხელსაყრელი მომენტი არ არის. მაგრამ სულერთია, ვცადოთ, ეგებ სიტყვამ გასჭრას. მჭევრმეტყველება არასდროს ზედმეტი არ არის. გუინპლენ, შენ ყური უგდე, რა რჩევას მივცემ მე მათ. ბატონებო და ქალბატონებო, მოქალაქენო! მე დათვი ვარ, მაგრამ თქვენთან მსურს ლაპარაკი და ჩემს თავს, დათვის თავს მოვიხსნი და ისე გელაპარაკებით. უმორჩილესად გთხოვთ, დაიცავით სიჩუმე.

ურსუსმა, თითქოს გაძახილ-გამოძახილი გაისმაო, თქვა:

— აი, შე, ბუზღუნავ, ღმეჭიავ!

შემდეგ განაგრძო:

— მე ღრმა პატივსა ვცემ ჩემს აუდიტორიას. ბუზღუნა და ღმეჭია, ასეთი მომართვა სულაც არ არის სხვა რომელიმე მომართვაზე უარესი. ჩემი სალამი გახელებულ ბრბოს! მე არავითარი ეჭვი არა მაქვს, რომ თქვენ ყველანი არაშხადები ხართ. მაგრამ ამის გამო ჩემი პატივისცემა თქვენდამი სრულებით არა მცირდება. ამასთანავე, სრულიად შეგნებულად გცემთ პატივს. მე გულწრფელი პატივისცემით ვეპყრობი ბატონ თაღლითებს, რაკი პატივი დამდეს და მობრძანდნენ. თქვენ შორის გონჯები და უსახურები, რა თქმა უნდა,

უნდა იყუნენ, მაგრამ ეს ჩემთვის სულერთია. კოჭლობა და კუზიანობა ბუნებრივი მოვლენაა. აქლემი კუზიანია, ბიზონს ზურგზე კუზი აქვს წამოზრდილი, მაჩვს ორივე მარცხენა ფეხი მარჯვენაზე მოკლე აქვს; ამაზე ჯერ კიდევ არისტოტელემ ილაპარაკა თავის ტრაქტატში ცხოველთა სიარულის შესახებ: თქვენგან, ვისაც ორი ჰერანგი აქვს, ერთი ზედ აცვია, მეორე მევახშესთან აქვს დაგირავებული. მე ვიცი, რომ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ალბუკერკი* თავის ულვაშებს აგირავებდა, ხოლო წმინდა დენისი თავის შარავანდედს. მევახშეები შარავანდედის გირაოშიც კი ასესხებდნენ ფულს; ღირსეული მაგალითებია. თუ ვალი გაქვს, მაშასადამე, რაღაცა მაინც გაბადია. თქვენი სახით მე სიღარიბის პატივისმცემელი ვარ.

ურსუსმა თავისი მჭევრმეტყველება შეწყვიტა და დაბალი, ბოხი ხმით იყვირა:

— სამგზის ვირი ხარ!

მერე ზრდილობიანად დაუმატა:

— თანახმა ვარ. მე ვარ სწავლული, ამაზე ბოდიშს ვიხდი თქვენთან. მეცნიერული თვალსაზრისით მე თვითონაც მძულს ცოდნა-მეცნიერება. უმეცრობა ისეთი რამ არის, რითაც საზრდოს მოიპოვებს ადამიანი; ხოლო მეცნიერების მიმდევარნი შიმშილით იხოცებიან. საერთოდ არჩევანი არსებობს: გნებავთ სწავლული გახდით და გაძვალტყავდით, გნებავთ, ვირად დარჩით და ბალახი ძოვეთ, მოქალაქენო, ბალახი მოძოვეთ! ცოდნა-მეცნიერება არც ერთ გეშრიელ ლუკმად არა ღირს. მე მირჩევნია ვჭამო სუკი, ვიდრე ვიცოდე, რომ მას წელის კუნთი ჰქვია. მე მხოლოდ ერთადერთი ღირსება გამაჩნია: ის რომ თვალები მშრალი მაქვს. არასდროს მიტირია. მაგრამ ისიც უნდა გითხრათ, რომ ცხოვრებით კმაყოფილი არასდროს ვყოფილვარ, არასდროს. ჩემი თავითაც კი არა ვარ და არცა ვყოფილვარ არასდროს კმაყოფილი. მე ჩემი თავი მძულს, მაგრამ აქ დამსწრე ოპოზიციის წარმომადგენლებსა ვთხოვ, მხედველობაში მიიღონ, რომ თუ ურსუსი მხოლოდ და მხოლოდ სწავლულია, სამაგიეროდ, გუინპლენი ნამდვილი მსახიობია.

მან ისევ წაიფრუტუნა:

— ბუზღუნავ!

შემდეგ განაგრძო.

— კიდევ ბუზღუნაო, მესმის, ეგ უკვე სერიოზული შეკამათებაა,

მიუხედავად იმისა, უყურადღებოდ ეტოვებ. ხოლო გუინპლენის გვერდით, მოწყალეო ხელმწიფენო, მანდილოსნებო და მამაკაცებო, თქვენ სხვა მსახიობსაც დაინახავთ, ბანჯგვლიან, ქვითლშობილ პიროვნებას, ჩვენთან ერთად მოხეტიალეს, ბატონ ჰომოს. იგი ოდესმე გარეული ძაღლი ყოფილა, ახლა ცივილიზებული მგელია და მისი უდიდებულესობის დედოფლის ქეციშვერდომი. ჰომო შესანიშნავი ნიჭით დაჯილდოებული მიმიკური აქტიორია. ყურადღება იქონიეთ და თვალი ადევნეთ; მალე თქვენ ნახავთ გუინპლენისა და ჰომოს თამაშს, ჰოდა, ხელოვნებას პატივისცემით უნდა მოეპყრათ; ეს უნდა ახასიათებდეს დიდ ერს. ტყეში ხომ არ დაიზარდენით: იმედი მაქვს რომ არა; თუნდაც ასე იყოს, — „ტყე კონსულთა ღირსი უნდა იყოსო" — ამბობს ლათინური გამოთქმა და ორი მსახიობი ხომ ერთ კონსულს უდრის. ძალიან კარგი, თქვენგან ვიღაცამ კომბოსტოს მურკი მესროლა, მაგრამ არ მომხვედრია და ვერც ლაპარაკს დამიშლის. პირიქით, რაკი ადამიანი ხიფათს გადაურჩება, ლაპარაკის გუნებაზე მოდის. GARRULA PERICULA , ამბობს იუვენილი,* ჩემო მაყურებლებო, თქვენ შორის ბევრი ლოთობას მისდევს — კაცებიცა და ქალებიც. კარგი, მაგრამ მთვრალი კაცები ხომ საძაგლები არიან და არიან, მთვრალი დედაკაცები კიდევ უფრო საზიზღარნი არიან. მართალია, ბევრი თქვენგანი საპატიო მიზეზების გამო მოვიდა აქ; ეს მიზეზებია: უსაქმურობა, ზარმაცობა; ორი ან სამი ქურდობის მერე თავისუფლად დროს ტარება ხომ გინდათ. გინდათ დალიოთ პორტერი, ჯინი, არაყი; ქალ-ვაჟთა შორის ტრფიალი ხომ აუცილებელია, შესანიშნავია. ისეთი ჭკუის პატრონი კაცი, ვისაც სიტყვათა თამაში უყვარს, აქ, თქვენ შორის ბევრ მასალას იპოვიდა. მაგრამ მე თავს ვიკავებ. ხორციელი დატკბობააო! მაგრამ სიამეთა მიმდევარმაც ერთგვარი წესიერება უნდა დაიცვას. თქვენ ძალიან მხიარულ გუნებაზე ხართ, თუმცა მეტისმეტად ხმაურობთ. სხვადასხვა ცხოველივით შშვენიერად ყვირით და ბღავით, მაგრამ, აბა, რას იტყოდით მაშინ, მე რომ სადმე მყუდრო კუთხეში თქვენი სასიყვარულო კურკური შემეწყვიტა რომელიმე ლედისთან, — მოვსულიყავი იქ და ძაღლივით ყეფა დამეწყო? ეს ხომ თქვენ რამდენადმე მაინც ხელს შეგიშლიდათ? ჰოდა, აი, ეგ თქვენი ერთმანეთს შორის გადაძახილ-გადმოძახილიც ჩვენ ხელს გვიშლის. მაშ გაჩუმდით. ხელოვნებას ნაკლები პატივისცემით რომ ეპყრობიან,

ვიდრე თავაშვებულ საქციელს. მე თქვენ გელაპარაკებით, როგორც წესიერი ადამიანი.

ურსუსმა ახლა თავის თავს შეუტია:

— ციებ-ცხელებასაც წაუხრჩვიხარ შენი წარბებიანად, ჭვავის თავთავებივით რომ ჩამოგფხავებია.

თან უმალვე პასუხიც მიაყოლა:

— მოწყალეო ხელმწიფევ, თავი დავანებოთ ჭვავის თავთავებს. ცოდვაა მცენარეების აბუჩად აგდება და მათი ადამიანებთან, ან ცხოველებთან შედარება. გარდა ამისა, ციებ-ცხელებამ წახრჩობა არა და, ცახცახი-თრთოლა კი იცის. ეგ კარგი მეტაფორა არ იყო. გთხოვთ გაჩუმდეთ. მაპატიეთ ამ გულახდილობისთვის, მაგრამ თქვენ გაკლიათ ის სიდიადე, რომელიც ნამდვილ ინგლისელ ჯენტლმენს უნდა ახასიათებდეს. მე ვამჩნევ, რომ ზოგიერთები, თუმცა გახეული ფეხსაცმლიდან ცერა თითი გამოსჩრიათ, მაინც ცდილობენ ფეხები მათ წინ მსხდომთა მხრებზე შეაწყონ. ეგ უფლებას აძლევს მანდილოსნებს დაასკვნან, რომ ფეხსაცმელი ყოველთვის წინატერფის საჩენ ადგილას ცვდება. ფეხები რაც შეიძლება ნაკლებად გამოაჩინეთ და ხელები კიდევ რაც შეიძლება მეტად. მე აქედან იმ თაღლითებს ვხედავ, რომლებიც მარჯვედ უყოფენ ხელებს ჯიბეში თავიანთ გვერდში მდგომ თუ მჯდომ გამოშტერებულ მეზობელთ. ძვირფასო ჯიბგირებო, ცოტათი მაინც გვიხათრეთ; თუ მაინცდამაინც გინდათ, მუჯლუგუნები ჰკარით თქვენს მახლობლებს, ოღონდ ნუ გაძარცვავთ. თავ-პირში რომ სცემოთ და დაალურჯოთ, უფრო ნაკლებად იჯავრებენ, მაგრამ თუ უკანასკნელ გროშს ამოაცლით, მაშინ ვაი თქვენი და მისი ბრალიც. მაშ ასე, თუგინდ ცხვირები მიუსრისეთ, მოქალაქეს ფული ურჩევნია, ვიდრე სილამაზე. თუმცა გწამდეთ, რომ მე თქვენდამი გულწრფელადა ვარ განწყობილი. სრულებითაც არა ვარ ისეთი პედანტი, რომ თაღლითები დავგმო. ბოროტების მეტი ქვეყნად რა არის! ამ ბოროტებისგან ყველა იტანჯება, მაგრამ ხელს მაინც არ იღებენ მისგან. ყველა ჩვენგანს ცოდვები ამძიმებს. ახლა მე იმ ცოდვაზე მოგახსენებთ, რომელზედაც ადრე ვლაპარაკობდი. განა ყველა ჩვენგანი არა გრძნობს ამ საჩოთირო ქავილს? ღმერთი რომ ღმერთია, იმასაც ქავილი აუტყდება, როცა მას სატანა დანესტრავს. მე თვითონაც არაერთხელ მომსვლია შეცდომა. ტაში, მოქალაქენო!

ურსუსმა დიდი ბრბოს აურზაური გამოხატა, მერე თავისი მჭევრმეტყველება შემდეგი სიტყვებით დაასრულა:

— მილორდებო და ბატონებო, მე ვხედავ, რომ ჩემს სიტყვას ბედნიერება ჰქონდა, არ მოგწონებოდათ, ერთ წუთს მე მოვცილდები თქვენს სტვენასა და ხითხს, ისევ დათვის თავს დავიდგამ და წარმოდგენასაც დავიწყებთ.

ახლა მან ორატორობას თავი ანება და ჩვეულებრივი ხმით დაიწყო.

— ფარდა გასწი, დავისვენოთ; მე კარგად, ტკბილად ვლაპარაკობდი. მილორდები და ბატონები ვუწოდე, შემპარავი ენაა, მაგრამ უსარგებლო. შენ რას იტყვი ამ არაშზადებზე, გუინპლენ! ამ გააფებულ და გაღიზიანებულ ადამიანებს რომ შეხედავს კაცი, ადვილად მიხვდება, რამდენ ტანჯვას გამოიწვლიდა ინგლისი უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე. ძველად ინგლისელები მეომარი ხალხი იყო. ახლა ისინი დაღვრემილ-დაფიქრებულნი არიან და თავიც მოაქვთ თავიანთი სიძულვილით კანონისა და მეფის ხელისუფლების მიმართ. მე ყველაფერი მოვიმოქმედე, რასაც კი ადამიანის მჭევრმეტყველება შეძლებდა. გულუხვადაც ვიმეტებდი ისეთ მშვენიერ მეტონიმებს, როგორიც ყრმათა ღაჟღაჟა ლოყებია, მაგრამ მოარბილა კი ამან მათი გულები? არა მგონია. რას უნდა ელოდე იმ ადამიანებისგან, რომლებიც აუარებელ საჭმელსა ნთქავენ და თამბაქოთი ისე იწამლებიან, რომ თვითონ მწერლებიც კი, თავიანთი თხზულების წერის დროს ჩიბუხს პირიდან არც იღებენ. აბა, იყო და არა იყო რა, დავიწყოთ პიესა.

ფარდის გასაწევ-გამოსაწევმა რგოლებმა გაისრიალეს მავთულზე. ბოშა ქალებმა თავი ანებეს დაფდაფზე დაკვრას. ურსუსმა კედლის კაჩოდან ჩამოიღო თავისი საკრავი, პრელუდია დაუკრა და დაბალი ხმით წარმოთქვა:

— როგორ მოგწონს, გუინპლენ? ხედავ, რაოდენი იდუმალებაა ამაში!

შემდეგ მგელს დაუწყო დავა.

ურსუსმა გაჩეჩილი პარიკიც მოხსნა კედლიდან და თავის გვერდით იატაკზე დააგდო.

„დამარცხებული ქაოსის“ წარმოდგენა თითქმის ისევე მიმდინარეობდა, როგორც სხვა დროს. მხოლოდ ცისფერი განათება და

„შაგიური ეფექტები“ აკლდა. მგელი საკმაოდ კეთილსინდისიერად თამაშობდა. თავის დროზე დეაც გამოცხადდა და თავისი საუცხოო მართოლარე ხმით გუინპლენს გასძახა; თან ხელი გასწია, რომ გუინპლენს თავზე შეხებოდა... ურსუსი პარიკს ეცა, თმა ერთმანეთში გადახლართა, მერე ჩამოიცვა, სუნთქვაშეკრული მივიდა და დეას მახლობლად ჩამოჯდა.

მერე მთელი თავისი ხელოვნური უნარი მოიხმარა, გუინპლენის ხმას მიჰბაძა და მთელი გრძნობით შეასრულა არია, — ეს იყო ურჩხულის პასუხი ნათელი სულის ძახილზე.

ურსუსი ისე ოსტატურად ჰბაძავდა, რომ ახლაც ორივე ბოშა ქალმა თვალების ცეცება დაიწყო — გუინპლენს დაეძებდნენ, თან სახეზე შიში ეტყობოდათ იმის გამო, რომ მას ვერა ხედავდნენ და მისი სიძლერა კი ესმოდათ.

ალტაცებული გოვიკემი აქეთ-იქით ეცა, გაქან-გამოქანდა, ტაში შემოჰკრა; მარტოკამ წარმოუდგენელი ხარხარი და ისეთი ხმაური ასტეხა, თითქოს ყველა ღმერთს თავი აქ მოუყრიაო. ვიმეორებთ, ეს ბიჭი მეტად უნარიანი მაყურებელი გამოდგა.

ფები და ვენუსი თითქოს ურსუსის ხელით მომართული ორი ავტომატიაო, რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, საყვირს აყვირებდნენ, დაფდაფსა სცემდნენ. ამ გამაყრუებელი ხმაურით თავდებოდა საერთოდ სპექტაკლი და ხალხიც იშლებოდა.

ურსუსი ფეხზე წამოდგა, მთლად ოფლად გაღვრილიყო.

მან პომოს წასჩურჩულა:

— გესმის, დრო უნდა მოგვეგო; მგონი, მოვახერხეთ კიდევაც, მეც ამ ძნელ მდგომარეობას მშვიდობიანად დავაღწიე თავი, თუმცა ამ გარემოებაში თავგზა დაებნეოდა ადამიანს, გუინპლენი შეიძლება ხვალ დაბრუნდეს. რაღა საჭირო იყო დეასთვის ადრევე გული გაგვეხეთქა? შენ კი გაგიმჟღავნებ ყველაფერს.

ურსუსმა პარიკი მოიხსნა და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. თან წაიჩურჩულა:

— მე ხომ გენიალური მუცლითმეზღაპრე ვარ, შესანიშნავი უნარი გამოვიჩინე; თითქმის გადავაჭარბე კიდევაც ბრაბანტს, რომელიც საფრანგეთის მეფე ფრანცისკ პირველთან* მსახურობდა მუცლითმეზღაპრედ. დეა დარწმუნებულია, რომ გუინპლენი აქ არის.

ამ დროს დეამ იკითხა:

— ურსუს, გუინპლენი სად არის?

ურსუსი შეკრთა და დეასკენ მიიხედა.

დეა ისევ სცენის სიღრმეში იდგა, ჭერზე ჩამოკიდებული ფარნის ქვეშ. სახეზე მკვდრისფერი დასდებოდა.

ქალი კვლავ ურსუსს მიმართავდა და მის ღიმილში ღრმა სასოწარკვეთილება იხატებოდა:

— მე ვიცი, რომ მან მიგვატოვა. ის გაქრა. ისედაც კარგად ვიცოდი, რომ ის ფრთოსანი იყო...

დეამ თავისი უსინათლო თვალები ზეცას მიაპყრო და ჩაიჩურჩულა:

— ჩემი ჯერი როდისღა დადგება?

III

გარდასახვა

ურსუსი მთლად დაიბნა.

მან დეას მოტყუება ვერ შეძლო.

ნუთუ მას თავისმა ხელოვნებამ უმტყუნა? რა თქმა უნდა, არა. მან შეცდომაში შეიყვანა თვალხილული გოგოები, ფები და ვენუსი, მაგრამ ბრმა დეას მოტყუება ვერ შეძლო. საქმე ისაა, რომ ფები და ვენუსი მხოლოდ თვალებითა ხედავდნენ, ხოლო დეასი გული ხედავდა.

ურსუსმა ვერაფერი უპასუხა, მან გაიფიქრა: BOS IN LINGUA,* დაბნეულ კაცს თითქმის ხარი ჰკიდია ენაზე.

როდესაც ადამიანი რთულ მდგომარეობაშია, თითქოს განადგურებულად გრძნობს თავს. ურსუსი ასეთ სამწუხარო დასკვნამდე მივიდა:

"რა ტყუილად დავხარჯე ამდენი ენერგია, გუინპლენის ხმას რას ვბაძავდი, ან მაყურებლებს რას ვუქადაგებდიო!"

როგორც ყველა იმედგაცრუებულ მეოცნებეს ემართება, ისიც მწარე სინანულს მიეცა:

— მთლად დაიღუპა ყველაფერი. რა ტყუილად დავიღალე, არ ვიცი, ახლა რა გვეშველება.

დეას შეხედა, დეა უძრავად იდგა, ხმას არ იღებდა, მხოლოდ სულ უფრო და უფრო ფითრდებოდა. მისი უმოძრაო, უსინათლო თვალები სიერცეს მისჩერებოდა.

ურსუსს ერთი შემთხვევა დაეხმარა.

ეზოში ნიკლსი დაინახა. მას ხელში ანთებული სანთელი ეჭირა და ურსუსს რაღაცას ანიშნებდა.

ნიკლსს ბოლომდე არ მოუსმენია ის ფანტასტიკური კომედია, რომლის ერთადერთი შემსრულებელი ურსუსი იყო, რადგან ვილაცამ დუქნის კარზე მოუკაკუნა და ისიც კარის გასაღებად გავიდა. კარზე ორჯერ მოუკაკუნეს და ნიკლსმაც „წარმოდგენა“ ორჯერ დატოვა. ურსუსი თავისი ასხმიანი მონოლოგით იყო გატაცებული და სხვა არაფერი შეუმჩნევია.

ახლა ურსუსი ეზოში ჩავიდა.

სასტუმროს პატრონს მიუახლოვდა.

ტუჩებზე თითი მიიდო.

ნიკლსმაც ტუჩებზე თითი მიიდო.

ორივემ ერთმანეთს შეხედა.

ორივენი თითქოს ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „მოდი, გავუმკლავნოთ ერთმანეთს, რაშია საქმე, მხოლოდ მყუდრო ადგილასაო“.

ნიკლსმა ნელა გამოაღო დუქნის კარი და შევიდა, ურსუსიც შეჰყვა. იქ მათ გარდა არავინ იყო. ქუჩიდან შესასვლელი კარი და ფანჯრები მაგრად იყო მიკეტილი.

ეზოს კარი დუქნის პატრონმა ზედ ცხვირწინ მიუხურა ცნობისმოყვარე გოვიკემს.

შემდეგ სანთელი მაგიდაზე დადგა.

დაიწყეს ხმადაბალი, თითქმის ჩურჩულით ლაპარაკი.

— მისტერ ურსუს!

— მისტერ ნიკლს!

— ბოლოს მე მივხვდი!

— რას მიხვდით!

— თქვენ გინდოდათ დაგერწმუნებინათ ის საბრალო ბრმა ქალი, რომ ვითომც არაფერი მომხდარა.

— მუცლითმეზღაპრეობა კანონით აკრძალული არ არის.

— თქვენ ნამდვილად ნიჭიერი ხართ.

— სრულებითაც არა.

— საკვირველია, როგორ ახერხებთ იმ ხმების მიბაძვას, რომელსაც კი მოისურვებთ.

— დამერწმუნეთ, რომ ვერც ისე კარგად ვახერხებ.

— ახლა მინდა ერთ რამეზე მოგელაპარაკოთ.

— პოლიტიკაზე?

— იქნებ პოლიტიკაც იყოს, არ ვიცი.

— პოლიტიკაზე არც ერთი სიტყვა არ გამაგონოთ.

— აი, რაშია საქმე: იმ დროს, როდესაც თქვენ ხან მსახიობის როლს ასრულებდით და ხან მაცქერალთა ბრბოს გამოხატავდით, მე კარზე მომიკაკუნეს.

— მოგიკაკუნეს?

— დიახ.

— მე ეგ არ მომწონს.

— არც მე მომწონს.

— მერე, რა მოხდა?

— მე კარი გავაღე.

— ვინ აკაკუნებდა?

— ის კაცი, რომელმაც მოლაპარაკება დამიწყო.

— რაზე ილაპარაკეთ?

— მე მხოლოდ მოვუსმინე.

— მერე, რა უპასუხეთ?

— არაფერი, დავბრუნდი და ისევ თქვენს თამაშს ვუყურებდი.

— მერე?

— მერე კარზე მეორედ მომიკაკუნეს.

— ვინა, ისევ იმან?

— არა, სხვამ.

— ისიც გელაპარაკათ?

— არა, იმას არც ერთი სიტყვა არ უთქვამს.

— მე ეგ უფრო მომწონს.

— მე კი არ მომწონს.

— რაშია საქმე, ამიხსენით, მისტერ ნიკლს!

— აბა გამოიცანით, ვინ მელაპარაკა პირველად.

— მე ახლა ოიდიპოსის* როლს ვერ შევასრულებ, მაგისთვის არა მცალია.

— პირველი — ცირკის პატრონი იყო.
— ჩვენ გვერდით რომ ცირკია?
— დიახ, ჩვენს გვერდით რომაა.
— აი, ის, ახლა რომ გახელებული მუსიკა გრიალებს?
— ჰოდა, მისტერ ურსუს, ის თქვენ წინადადებას გაძლევთ.
— წინადადებას?
— წინადადებას.
— რის წინადადებას?
— იმის წინადადებას...
— რატომ?
— იმიტომ.
— თქვენ, მისტერ ნიკლს, ერთი უპირატესობა გაქვთ ჩემს წინაშე, თქვენ ახლახან გამოიცანით ჩემი ამოცანა, ხოლო მე თქვენი ვერასგზით ვერ ამომიცნია.
— ცირკის პატრონმა დამავალა გადმოგცეთ, რომ მან დაინახა აქ მოსული პოლიციელები, მას სურს დაგიმტკიცოთ თავისი მეგობრობა და წინადადებას იძლევა შეისყიდოს თქვენგან ორმოცდაათ გირვანქა სტერლინგ ნაღდ ფულზე თქვენი ფურგონი „მწვანე ყუთი“, ორივე ცხენი და საყვირები, მათში ჩამბერავ დედაკაცებიანად; აგრეთვე თქვენი პიესა, იმ ბრმა ქალიანად, რომელიც ამ პიესაში თამაშობს. თქვენი მგელიც და თქვენც, ზედვე დამატებით.

ურსუსმა ამაყად გაიღიმა.

— ტედკასტერის სასტუმროს პატრონო, გადაეცით ცირკის პატრონს, რომ გუინპლენი დაბრუნდება.

ტრაქტირის პატრონმა სკამიდან რაღაც შავი აიღო და ურსუსს მიუბრუნდა; ორივე ხელი ასწია, ერთში მოსასხამი ეჭირა, მეორეში ტყავის წინსაფარი, მოთელილი ქუდი და სამუშაო ქურთუკი.

და თან უთხრა:

— მეორედ რომ კარი მოაკაკუნა, ის კაცი პოლიციელი იყო, ისე შემოვიდა და გავიდა, რომ არც ერთი სიტყვა არ უთქვამს. მხოლოდ აი, ესენი გადმომცა.

ურსუსმა იცნო გუინპლენის სამუშაო ქურთუკი, ტყავის გულსაფარი, ქუდი და მოსასხამი.

IV

MOENIBUS SURDIS, CAMPANA MUTA*.

ურსუსმა თექის ქუდი, მაუდის მოსასხამი, სარჟის ქურთუკი და ტყავის გულსაფარი ხელში აიღო და გასინჯა. არავითარი ეჭვი არ იყო, რომ ეს ყველაფერი გუინპლენს ეკუთვნოდა. მან ნიკლსს სატუმროს კარზე უსიტყვოდ ანიშნა.

ნიკლსმა კარი გააღო.

ურსუსი შურდულივით გავარდა ქუჩაში.

ნიკლსი თვალყურს ადევნებდა. ურსუსი სწრაფად გარბოდა იქითკენ, საითაც დილით გუინპლენი წაიყვანეს. თხუთმეტი წუთის შემდეგ აქაქანებული ურსუსი უკვე იმ შუკაში გაჩნდა, სადაც საუთვორქის საპატიმროს მცირე კარი იყო და სადაც დილით მან იმდენი ხანი დაჰყო.

ამ შუკაზე კაცი ღამით კი არა, დღისითაც არ ჩანდა. თუ დღისით ეს შუკა სევდის მომგვრელი იყო, ღამით იგი შიშის ჟრუანტელს იწვევდა. განსაზღვრული დროის შემდეგ აქ გავლას ყველა ერიდებოდა: თითქოს ყველას ეშინოდა, რომ კედლები შეერთდებიან და თუ საპატიმრო და სასაფლაო ერთმანეთის გადახვევას მოისურვებენ, ისინი შუაში გასრესენ აქ შემთხვევით გამვლელსო. ამგვარ შიშს ღამე იწვევდა. პარიზში, ვოვერის ქუჩაზე ტოტებშეკვეცილი ტირიფისაც კი ეშინოდათ; ამბობდნენ, ვითომ ღამღამობით შტოებგასხლული ხის ტოტები დიდრონ ხელებად გადაიქცეოდნენ და გამვლელებს სწვდებოდნენ დასაჭერადო.

საუთვორქის მცხოვრებნი, როგორც უკვე ვთქვით, ინსტინქტურად ერიდებოდნენ საპატიმროსა და სასაფლაოს შუა მოქცეულ შუკას, წინათ ამ ქუჩის დასაწყისში გარდიგარდმო რკინის ჯაჭვს გააბამდნენ ხოლმე, ეს ზედმეტი გაფრთხილება იყო, ვინაიდან ყველაზე უკეთესი გზის გადამლობი ჯაჭვი ამ შუკაში უფრო მისგანვე გამოწვეული შიშის ზარი იყო.

ურსუსი გულდაგულ შეეიდა ამ შუკაში.

რამ მოიყვანა აქ ან რა უნდოდა?

თვითონაც არ იცოდა.

მაგრამ ფიქრობდა, იქნებ გავიგო რამეო. ხომ არ აპირებდა საპა-

ტიმროს კარზე მიეკაკუნებინა? რა თქმა უნდა, არა. ეს საშინელი და უსარგებლო საშუალება მას აზრადაც არ მოსვლია. საპატიმროში შესვლას ეცადოს, რომ გუინპლენის ამბავი გაიგოს? აბა, რა საფიქრებელია. საპატიმროს კარი იმათთვისაც ისე ძნელად იღება, ვისაც იქ შესვლა უნდა, როგორც იმათთვის, ვისაც იქიდან გამოსვლა უნდა. საპატიმროს კარი მხოლოდ კანონის ძალითა და ბრძანებით იღება. ურსუსმა ეს კარგად იცოდა, მაშ, რაღად მოვიდა აქ? უნდოდა ენახა. რა უნდა ენახა? თვითონაც არ იცოდა. რასაც კი თვალს მოჰკრავდა. ოღონდ ქუჩაბანდში იმ კარის პირდაპირ დამდგარიყო, სადაც გუინპლენი შეიყვანეს და მეტს აღარას ინატრებდა; ისიც კარგი იყო. მეტისმეტად ჩაშავბნელებული და დაღვრემილი კედელი ხან მეტყველი ხდება, ისე რომ მის ქვებს შუა პატარა ღრუებიდან თუ ჭუჭრუტანებიდან სინათლის სხივები გამოიჭვრეტენ ხოლმე. მაგრამ ჩაკეტილი, ჩამობნელებული შენობიდან ზოგჯერ ოდნავი სინათლე გამოსჭვივის. იდუმალების გარსი რომ ყურადღებით მოისინჯოს, დრო მაინც დაკარგულად არ ჩაითვლება. ჩვენ, ყველანი, ინსტინქტურად ვცდილობთ ახლოს ვიყოთ ჩვენთვის საინტერესო მოვლენებთან. აი, ამიტომ დაბრუნდა ურსუსი იმ შუკაში, სადაც საპატიმროს გალავანში პატარა კარი ეგულებოდა.

იმ წუთში, როცა ის შუკას მიადგა, ზარმა ჯერ ერთხელ გაიწკარუნა, მერე მეორეჯერ.

„ნუთუ უკვე შუაღამეა“, გაიფიქრა.

და თავისდა უნებურად თვლას შეუდგა.

„სამი, ოთხი, ხუთი“.

თან ეჭვობდა:

„რა ნელ-ნელა რეკავს. ნეტავი ასე ნელა რას რეკავს ეს საათი? – ექვსი, შვიდი“.

შემდეგ თავის თავს უთხრა:

— რა სევდიანი ზარის რეკვაა! რვა, ცხრა. თუმცა ყველაფერი გასაგებია. ციხეში საათის ზარსაც კი ნაღვლიანი ხმა აქვს. აქ ხომ სასაფლაოც ახლოა. — ათი, — ეს ზარი ცოცხლებს დროს უზომავს, ხოლო მკვდრებს მარადისობას. — თერთმეტი, ვაჰ! ვისაც თავისუფლება მოუსპეს, იმათაც მარადისობას უზომავს. — თორმეტი.

ურსუსი გაყუჩდა.

„დიახ, შუაღამე ყოფილა!“

ზარს მეცამეტედ ჩამოჰკრეს.

ურსუსი შეკრთა:

„ცამეტი!“

გაისმა მეთოთხმეტედ, მერე მეთხუთმეტედ ზარის წკრიალი.

„ეს რას ნიშნავს?“

ხანდაზმით ზარის რეკვა გრძელდებოდა. ურსუსი ყურს უგდებდა.

„ეს საათის რეკვა არ ყოფილა, ეს ზარი MUTUS რეკავს, — მუნჯი ზარი, მეც მიკვირდა, რა ნელა რეკავს-მეთქი შუაღამის ზარი; თურმე საათის რეკვა კი არა, ეკლესიის ზარი ყოფილა. ნეტა რას მოასწავებს ეს სევდისმომგვრელი ზარი?“

იმხანად ყველა საპატიმროს, ისე როგორც ყველა მონასტერს, ეგრეთ წოდებული MUTUS — მუნჯი ზარი ჰქონდა, ისიც მხოლოდ სამწუხარო ამბის დროს ირეკებოდა. ეს „მუნჯი“ ზარი ისე ნელა რეკავდა, თითქოს ცდილობს, არ გაიგონონო.

ურსუსი ისევ იმ კუნჭულს დაუბრუნდა, რომელიც მოხერხებული იყო თვალყურის სადევნებლად და სადაც ამ დილას დიდხანს იდგა და საპატიმროს პატარა ჭიშკარს თვალს არ აშორებდა.

ზარს კვლავ რეკავდნენ, მხოლოდ საკმაო ხანდაზმით.

მიცვალებულის გასვენებაზე სამგლოვიარო ზარის რეკვა თითქოს ამოოხვრის ავბედით ნიშნებს ანაწილებდეს მანძილიდან მანძილზე. ის პირქუშად აღნიშნავდა წითელ ზოლებს ჩვენი ყოველდღიური ზრუნვის გაშლილ გრაგნილზე. სამგლოვიარო ზარი მომაკვდავი ადამიანის ხრიალს ემსგავსებოდა. იგი მოასწავებს სიკვდილს, სულის ამოსვლის მტანჯველ წუთებს. იმ სახლებში, სადაც ეს ზარის ხმა ისმის, თუ ვინმე საოცნებო მომავალზე ფიქრობს, ან მოლოდინის ოცნებაშია, ამ ზარის ჩამორეკვა უცებ გააწყვეტინებს მას ოცნებას. ბუნდოვანი ოცნებები თითქოს ერთგვარი ნუგეშია; სევდით მოცულ ადამიანს ის რაღაც იმედს აძლევს. მაგრამ ზარის მგლოვიარე ხმა ყოველგვარ იმედს სპობს. იგი ფანტავს იმ ბუნდოვან საფარველს, სადაც ვცდილობთ თავი შევაფაროთ; ჩვენს სულში მწუხარე შეშფოთებას იწვევს. სამგლოვიარო ზარის რეკვა ყველას მოაგონებს ადამიანთა ტანჯვას და რაღაც საშინელებას. ეს სევდიანი ხმა ყველა ჩვენგანს მოგვმართავს და გვაფრთხილებს. იმგვარი სევდისმომგვრელი და მგლოვიარე სხვა არა არის რა, როგორც ეს

გამოზომილი მონოლოგი. ერთმანეთს სწორი დროის შუალედებით დაშორებული ეს თითოეული ჩამორეკვა თითქოს რაღაც მიზანს ისახავს. რას სჭედავს ზარის ჩაქუჩი ჩვენი ფიქრების გრდემლზე?

ურსუსი თავისდა უნებურად ითვლიდა ზარის თითოეულ ჩამორეკვას, თუმცა ამას აღარავითარი აზრი აღარა ჰქონდა. რაკი იგი თავს უფსკრულის წინაშე გრძნობდა, ახლა უკვე ცდილობდა არავითარი წინასწარი მოსაზრებები აღარ მიეღო მომხდარის შესახებ. წინასწარი მოსაზრებები ისეთი დაქანებული დაღმართია, რომელზეც შეიძლება ძალიან ღრმა უფსკრულში ჩავარდე. მაგრამ მაინც რას ნიშნავდა ეს ზარი?

ურსუსი იქით იცქირებოდა, სადაც, როგორც მან უკვე იცოდა, საპატიმროს მცირე ჭიშკარი იყო.

უცბად, სწორედ იმ ადგილას, სადაც ამ პატარა კარის ადგილი შავი ხვრელივით მოსჩანდა, მოწითალო შუქი გამოჩნდა. სულ უფრო მეტად შუქდებოდა და ბოლოს სინათლედ გადაიქცა.

ამ სინათლემ სიბნელეში მკვეთრად გამოსახა ოთხკუთხედი ხვრელი. საპატიმროს კარი მიტრიალდა ანჯამებზე; მოწითალო სინათლემ ნათლად გააშუქა კარის ბჭე და თამასა.

კარი მხოლოდ გამოიღო. საპატიმრო თავის ჭიშკარს ფართოდ არ აღებს. ის მხოლოდ ნახევრად აღებს თავის ხახას, თითქოს მოწყენისაგან ამთქნარებსო.

მცირე კარიდან კაცი გამოვიდა ხელში მაშხალით.

ზარი ისევ ირეკებოდა.

ურსუსი ყურს უგდებდა ზარის რეკვას, იმავე დროს მაშხალას თვალს არ აშორებდა.

კაცის გამოსვლის შემდეგ ნახევრად შეღებული კარი ფართოდ გაიღო, და კიდევ ორი კაცი გამოვიდა. შემდეგ მეოთხეც გამოჩნდა. ეს უკანასკნელი კვერთხისმტვირთველი იყო; ურსუსმა ის მაშხალის სინათლეზე იცნო, მას ხელში კვერთხი ეჭირა.

კვერთხისმტვირთველის კვალს წყვილად მოჰყვნენ ვიღაც ადამიანები, მდუმარედ მოძრაობდნენ და ფიცრის კერპებივით წელში გაძართულნი მიაბიჯებდნენ.

ამ ღამის მსვლელობის მონაწილენი მომნანიებელთა პროცესიას მოგაგონებდათ.

ისინი პირქუშა ზეიმით, წყვილ-წყვილად გადმოდიოდნენ ციხის

კარის ზღურბლზე, თითქოს ცდილობდნენ არავითარი ხმაური არ გამოეწვიათ. ასეთი სიფრთხილით ამოძვრება ხოლმე გველი თავისი სოროდან.

მაშხალა აშუქებდა მძვინვარე სახეებსა და შავბნელ სხეულებს.

ურსუსმა იცნო ის პოლიციელები, რომლებმაც დილით გუინპლენი წაიყვანეს.

არავითარი ეჭვი არ არის, ეს ადამიანები სწორედ ისინი იყვნენ. ახლა ისინი ციხიდან გამოდიოდნენ.

მაშ ახლა გუინპლენიც გამოვა.

აქ ამათ მოიყვანეს გუინპლენი, ესენივე გამოიყვანენ აქედან.

ეს ცხადია.

ურსუსი უფრო ბეჯითად აცეცებდა თვალებს. ნუთუ გუინპლენს გაათავისუფლებენ?!

პოლიციელები დაბალი თაღიდან ორ-ორნი გამოდიოდნენ, ძალიან ნელა, როგორც კედლიდან წვეთ-წვეთად ჩამოჟონილი წყალი. ზარის რეკვა არ შეწყვეტილა, თითქოს პროცესიაში მომავალთა ნაბიჯთან შეთანხმებით რეკავსო. საპატიმროდან გამოსული ადამიანები ურსუსისკენ ზურგით მოტრიალდებოდნენ ხოლმე, და მარჯვნივ, შუკის მოპირდაპირე მხარის კუთხისკენ მიემართებოდნენ.

კარში მეორე მაშხალამ გამოაშუქა.

მაშასადამე, მსვლელობა ახლა მოთავდება.

ურსუსი დაინახავს, ვის მიჰყვებიან ესენი, დაინახავს პატიმარს, კაცს.

აი, ამ წუთში გუინპლენს დაინახავს.

აი, ბოლოს ისიც გამოჩნდა.

ეს იყო კუბო.

ოთხ კაცს მოჰქონდა შავმაუდგადაფარებული კუბო.

კუბოს უკან მესაფლავე მოაბიჯებდა, მას მხარზე ნიჩაბი გაედო.

მსვლელობის ბოლოს მესამე მაშხალიანი კაცი გამოვიდა; ცალ ხელში მას წიგნი ეჭირა და კითხულობდა; — როგორც ეტყობოდა, საპატიმროს მღვდელი უნდა ყოფილიყო.

კუბო პოლიციელების კვალდაკვალ მიჰქონდათ მარჯვნივ მისახვევისკენ.

იმავე დროს წინ მიმავალი ადამიანები შეჩერდნენ.

ურსუსმა გაიგონა, რომ კლიტეში გასაღებმა გაიჩხაკუნა.

მაშხალამ მეორე კარი გაანათა, ეს იყო საპატიმროს პირდაპირ, დაბალი გალავნის კედელში, რომელიც შუკას მეორე მხრით ჩასდევდა.

ეს კარი, რომლის ზემოთ თავის ქალა იყო გამოსახული, საფლაოს გალავნის კარი იყო.

კვერთხისმტვირთველი შევიდა ამ კარში, მას სხვები მიჰყვნენ. მეორე მაშხალაც კარს მიეფარა. მსვლელობა ისე დამოკლდა, რომ უჩინარში შეცურებულ გველის კუდს მოგაგონებდათ. პოლიციელების მთელი მწკრივი სიბნელეში შთაინთქა. მას კუბო მიჰყვა, მერე სიბნელეს შეერია ნიჩბიანი მესაფლავე და წიგნიანი მღვდელი. კარი მოიხურა.

ყველაფერი გაუჩინარდა, მხოლოდ გალავანს შიგნიდან კიდევ ოდნავ კრთოდა სინათლე.

მოისმა მოწუწუნე ხმა, შემდეგ ყრუ, თითქოს რაღაც დაცვივდაო.

ალბათ კაპელანი და მესაფლავე უკანასკნელად აცილებდნენ კუბოს, პირველი ფსალმუნს კითხულობდა, მეორე საფლავში ჩაშვებულ კუბოს მიწას აყრიდა.

წუწუნი აღარ ისმოდა, ყრუ, მძიმე ხმაურიც შეწყდა.

ისევ ნაბიჯების ხმა მოისმა. მაშხალამ გამოაშუქა; სასაფლაოს გალავნის პატარა კარის ზღურბლზე კვლავ გამოჩნდა კვერთხისმტვირთველი; თავისი კვერთხი მაღლა აეწია. მას კაპელანი, მესაფლავე და პოლიციელები მოჰყვებოდნენ. ყველანი გამოჩნდნენ კუბოს გარდა. პროცესია ისევ წყვილ-წყვილად, იმავე გზით ისევ კუშტი დუმილით დაბრუნდა. სასაფლაოს ჭიშკარი დაიხურა. საპატიმროს კარი გაიღო. კვლავ ჩირაღდნებით განათებული თაღიანი ტალანი წამიერად მოწითალო ანარეკლმა გააშუქა; ურსუსმა დაინახა საპატიმროს ჩაწყვდიადებული შინაწიაღი, შემდეგ ისევ ყველაფერი სიბნელემ შთანთქა.

ზარი დადუმდა, ღამემ თავისი თქვა და ზედ დუმილის ავბედითი ფარდა დაუშვა.

სანახაობა უკვალოდ გაქრა.

ყველა ლანდი გაიფანტა.

შემთხვევით მსგავსებაში ჩვენ ხშირად რაიმე აზრს ვპოულობთ, და ამის საფუძველზე რაღაც ვითომდა სინამდვილის მსგავსი დასკვნები გამოგვაქვს.

გუინპლენის ესოდენ გაუგებარ, საიდუმლოებით მოცულ დატოვებას, პოლიციელისგან მოტანილ მის ტანსაცმელსა და სამგლოვიარო ზარის რეკვას იმავე საპატიმროდან, სადაც გუინპლენი მიიყვანეს, ეს ტრაგიკული დასასრული მოჰყვა — ქუბოს ჩასვენება საფლავში.

— გუინპლენი მოკვდა! — შესძახა ურსუსმა და ღონეშიხდილი დაეშვა ქვაზე. — მოკვდა! ამათ მოკლეს! ჩემო აღზრდილო! ჩემო შვილო! — და იგი აქვითინდა.

V

სახელმწიფოებრივი ინტერესები უდიდესშიც მჭლავნდება და უმცირესშიც

ეჰ, ურსუსი ამაოდ იქადდა, არასდროს მიტირია და არც ვიტირებო. ახლა მას ცრემლები ახრჩობდა. ცრემლები გულში წვეთ წვეთობით უგროვდებოდა — მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. პირამდე ავსებული ფიალა ერთ წუთში ვერ დაიცლება. ურსუსი დიდხანს ქვითინებდა.

პირველი ცრემლი მომდევნოს გზას უკაფავს. ურსუსი გუინპლენს დასტიროდა, დასტიროდა დეას, თავის თავს, ჰომოს. ტიროდა, როგორც ბავშვი. ტიროდა, როგორც მოხუცი. დასტიროდა ყოველივეს, რასაც კი წინათ სიცილს აყრიდა. მან წარსულს ახლა გადაუხადა ვალი. ადამიანს უფლება აქვს დაგვიანებითაც აფრქვიოს ცრემლი თავისი წარსული უბედურების გამო.

სინამდვილეში, სამარეს ჰარდკვანონეს ცხედარი მიაბარეს, მაგრამ ურსუსს ეს აბა საიდან ეცოდინებოდა!

გავიდა რამდენიმე საათი.

გათენდა. ბაზრის მოედანს დილით სინათლის მკრთალი ლეჩაქი მოეფინა. იგი აქა-იქ კიდევ ებრძოდა ღამის ჩრდილებს. განთიადის სხივებში ტედკასტერის სასტუმროს თეთრი ფასადი გამოჩნდა. ნიკლსი არც დაწოლილა დასაძინებლად. ხშირად ერთი და იგივე მოვლენა რამდენიმე ადამიანს უკარგავს ძილს.

ყოველივე კატასტროფა ბევრნაირ შედეგს იწვევს. გადააგდეთ ქვა წყალში და სცადეთ წრეების დათვლა.

ნიკლსი გრძნობდა, რომ გუინპლენის დაპატიჟრებას შეეძლო მისთვის ზიანი მიეყენებინა. მეტად არასასიამოვნოა, როდესაც თქვენს სახლში ასეთი მოვლენები ხდება. ამით შეფიქრიანებული და მომავლის სხვადასხვა გართულების მოლოდინში, ნიკლსი სულ ვდიან ფიქრებს მისცემოდა. ახლა ნანობდა, რომ „ამ ხალხს“ ბინა მისცა. რატომ წინათვე არ იფიქრა. ბოლოს და ბოლოს ესენი რაღაც ხიფათს გადაჰკიდებდნენ. მაგრამ ახლა როგორღა მოიშოროს თავიდან? ურსუსთან ხომ ხელშეკრულება ჰქონდა დადებული. რა ბედნიერი იქნება ასეთ მდგომარეობას რომ დააღწევდეს თავს! რა მიზეზს უნდა ჩასჭიდოს ხელი, რომ აქედან გაყაროს ისინი?

უცბად სამიკიტნოს კარზე ძლიერ დააბრახუნეს, რაც ინგლისში მნიშვნელოვანი პირის მობრძანებას მოასწავებს.

დაკაკუნების სხვადასხვაობაც იერარქიული კიბის, ანუ ხარისხების შესადარია.

ეს კაკუნი წარჩინებული ლორდისა კი არ იყო, არამედ სასამართლოს მოხელისა.

შიშისაგან აკანკალებულმა მიკიტანმა სარკმელი გამოაღო.

და მართლაც სასამართლოს მოხელე აბრახუნებდა. განთიადის შუქზე ნიკლსმა კართან პოლიციელთა რაზმი დაინახა. მათ ორი კაცი მეთაურობდა; ერთი მათგანი სასამართლოს ბოქაული იყო.

სასამართლოს ბოქაული ნიკლსმა გუშინ დილით ნახა და ამიტომ მაშინვე იცნო.

მეორე კაცს ის არ იცნობდა.

ის იყო ჩასქელებული ჯენტლმენი, სახეზე ცვილის ფერი ედო, სასახლის კარისკაცის პარიკი ეხურა და სამგზავრო მოსასხამი ჰქონდა წამოხურული.

სასამართლოს ბოქაულისა ნიკლსს ძალიან ეშინოდა. ნიკლსს რომ რაიმე ურთიერთობა ჰქონოდა მეფის სასახლესთან, მაშინ მას მეორე მომსვლელისა უფრო მეტად შეეშინდებოდა, რადგან ეს მეორე ბარკილფედრო ბრძანდებოდა.

ერთმა პოლიციელთაგანმა კიდევ უფრო ძლიერად მიაბრახუნა კარზე.

მიკიტანს შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა, მან კარი საჩქაროდ გამოაღო.

სასამართლოს ბოქაულმა, წესრიგის დამცველს როგორც შეე-

ფერება, ხმა აიმაღლა და მოხეტიალეთა ცხოვრებაში კარგად ჩახედულმა, მკაცრი გამომეტყველებით იკითხა:

— სად არის ურსუსი, ბალაგანის პატრონი?

სასტუმროს პატრონმა ქუდი მოიხადა და უპასუხა:

— აქა ცხოვრობს, თქვენო პატიოსნებავ.

— ეგ მე უშენოდაც ვიცი, — უპასუხა ბოქაულმა.

— უეჭველია, თქვენო პატიოსნებავ.

— დაუძახე, მოვიდეს.

— ახლა შინ არ გახლავთ, თქვენო პატიოსნებავ.

— მაშ სად არის?

— არ ვიცი.

— როგორ თუ არ იცი?

— ჯერ არ დაბრუნებულა.

— მაშ ძალიან ადრე წასულა აქედან?

— არა, ძალიან გვიან.

— ოჰ, ეს მაწანწალები! — შენიშნა ბოქაულმა.

— აგერ, მოდის, თქვენო პატიოსნებავ, — დაბალი ხმით წაილაპარაკა ნიკლსმა.

მართლაც, ამ წუთში ქუჩის მოსახვევიდან ურსუსი გამოჩნდა. სასტუმროსკენ მოდიოდა. მან თითქმის მთელი ღამე გაატარა იმ საპატიმროსა და სასაფლაოს შუა, სადაც გუშინ შუადღისას გუინპლენი მიიყვანეს და სადაც წუხელ შუაღამისას მკვდარი დაასაფლავეს, რაც მან კარგად გაიგონა და დაინახა. მწუხარებისაგან გაფითრებული მისი სახე დილის რიჟრაჟზე უფრო მეტად გაცრეცილიყო.

ადრიანი დილა დღის ნათელის წინამორბედია, მაგრამ იგი ჯერ ისევ საგანთა ღამეულ ბუნდოვან მოხაზულობას, მათ შორის მოძრავსაც კი, სახეს ვერ უცვლის.

ურსუსი ნელი ნაბიჯი მოდიოდა. მისი გაფითრებული სახე და მთელი სხეული გათენების ბინდბუნდში ოდნავ მოჩანდა. იგი მოჩვენებას მოგაგონებდათ.

წინა საღამოს ელდანაკრავი, უქუდოდ გაიქცა სასტუმროდან. არც კი შეუმჩნევია, რომ ქუდის დახურვა დაავიწყდა. შეთხელებული ჭაღარა თმა ქარისგან გასწეწოდა. ელდისგან გაფართოვებული თვალებით თითქოს ველარას ხედავდა. ჩვენ ხშირად თითქოს ვფხი-

ზლობთ ძილში და ფხიზლობისას კიდევ თითქოს გვძინავს. ურსუსი გიჟს დამსგავსებოდა.

— მისტერ ურსუს, — დაუძახა მიკიტანმა, — აბა მოდით აქ; მათ პატიოსნებას თქვენთან რალაც საქმე აქვს.

ნიკლსი მთლად იმ ფიქრს მიეცა, ეგების როგორმე ეს უსიამოვნო ინციდენტი ჩავანელოო, ამიტომ თქვენობით მიმართა ურსუსსა და თან შიშობდა, „მათმა პატიოსნებამ“ არ მიწყინოს, რომ ქეშეერდომსაც მათ თანაბრად მივმართეო.

ურსუსი ისე შეტორტმანდა, თითქოს ღრმა ძილში წასული ლოგინიდან გადმოაგდესო.

— რა ამბავია? — იკითხა.

და მან დაინახა პოლიციელები, რომელთაც სასამართლოს ბოქაული მეთაურობდა.

ეს კიდევ ახალი, მძიმე ელდა იყო.

სულ ახლახან კვერთხისმტვირთველი დაადგა თავზე, ახლა კიდევ სასამართლოს ბოქაული. ჯერ ერთის ხელში ჩავარდა, ახლა მეორისა. იგი იმ ხომალდს მოგაგონებდათ, რომელიც, როგორც ძველ გადმოცემებშია ნათქვამი, ორ საზარელ კლდის შუა გაჩხერილა.

სასამართლოს ბოქაულმა შინ შედიო, ანიშნა.

ურსუსი დაემორჩილა.

გოვიკემს ახლახან გაელვიძა და დარბაზს ასუფთავებდა. ის შეჩერდა, ცოცხი მიაყუდა, თვითონ მაგიდებს მიეფარა და სული განაბა. კეფას იფხანდა, რაც დაძაბულ ყურადღებას ნიშნავდა.

სასამართლოს ბოქაული მაგიდასთან ჩამოჯდა. ბარკილფედრომაც სკამი აიღო. ურსუსი და ნიკლსი მათ წინ გაჩერდნენ, პოლიციელები გარეთ, ქუჩაში, დახურულ ჭიშკართან მოგროვდნენ.

სასამართლოს ბოქაული, როგორც კანონის დაცველს შეეფერება, მკაცრად დააცქერდა ურსუსსა და შეეკითხა:

— თქვენ მგელი გყავთ თან?

ურსუსმა უპასუხა:

— მთლად ასე როდია.

— ამას მგელი ჰყოლია თან, — „მგელი“ მკვეთრად გამოთქვა სასამართლოს ბოქაულმა.

— საქმე ის გახლავთ, რომ... — წამოიწყო ურსუსმა და გაჩუმდა.

— სისხლის სამართლის დანაშაულია, დაისჯებით, — წარმოთქვა ბოქაულმა.

ურსუსმა სცადა თავის დაცვა:

— ეს შინაური ცხოველია.

ბოქაულმა ხელი მაგიდაზე დადო, ხუთივე თითი გაფარჩხა, — ასეთი ჟესტი შეეფერება ხელისუფლების წარმომადგენელს.

— კომედიანტო, ჯანაოზო, ხვალ ამ დროს თქვენი მგლიანად ინგლისი უნდა დატოვოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მგელს წაიყვანენ საგანგიოში და მოკლავენ.

ურსუსმა იფიქრა, „ერთ მკვლელობას მეორე უნდა მიაყოლონო", მაგრამ ხმა არ ამოუღია, მხოლოდ თრთოლამ დაუარა მთელ ტანში.

— გესმით თუ არა? — განაგრძობდა ბოქაული.

ურსუსმა თავი დაუქნია, ნიშნად თანხმობისა.

ბოქაულმა გაიმეორა:

— მოკლავენ.

სიჩუმე ჩამოვარდა

— თოკით მოახრჩობენ ან წყალში გადააგდებენ.

სასამართლოს ბოქაულმა ურსუსს შეხედა და განაგრძო:

— თქვენ კიდევ ციხეში ჩაგსვამენ.

ურსუსმა წაიჩურჩულა:

— ბატონო მოსამართლევ...

— უნდა წახვიდეთ ხვალ დილამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრძანება შესრულებული იქნება.

— ბატონო მოსამართლევ...

— რას იტყვით?

— ორივემ უნდა დავტოვოთ ინგლისი?

— ორივემ.

— დღესვე?

— დღესვე.

— მაგრამ როგორ მოხერხდება?

ნიკლსი ბედნიერებას ეწია. სასამართლოს ბოქაულმა, რომლისაც ასე ეშინოდა, თვითონ იხსნა ხიფათისაგან. პოლიცია მას დაეხმარა, გაათავისუფლა იგი „ამ ხალხისაგან". პოლიციამ თვითონ იზრუნა ნიკლსისათვის და თავიდან მოაშორა ისინი. ნიკლსი ფიქრობდა გაეგდო ურსუსი, მაგრამ პოლიცია თვითონ აძევებს ურ-

სუს ინგლისიდან. შეურყეველი ძალაა. აბა შეედავე! ნიკლსი აღტაცებული იყო.

იგი ლაპარაკში ჩაება:

— თქვენო პატიოსნებავ. ეს კაცი...

მან ურსუსზე მიუთითა.

— ეს კაცი გეკითხებათ, როგორ უნდა წავიდე დღესვე ინგლისიდანო. მაგრამ სულ ადვილი საქმეა: თეშზაზე, ლონდონის ხიდის ორივე მხარეს, დღისითაც და ღამითაც დგას ხომალდები, რომლებსაც ყველა მიმართულებით მიჰყავთ მგზავრები: დანიაში, ჰოლანდიაში, ესპანეთში; ყველგან, გარდა საფრანგეთისა, რომელთანაც ჩვენ ახლა ომი გვაქვს გაჩაღებული. ბევრი ამ ხომალდთაგანი, როგორც კი ზღვის მიქცევა დაიწყება, ამაღამ პირველ საათზე ღუზას აუშვებს. მათ შორის როტერდამის შხუნა „ვოგრაატიც“.

სასამართლოს ბოქაულმა ურსუსისკენ მიიხედა და მხრები აიჩეჩა.

— კარგი. რომელი ხომალდითაც გინდათ, იმით იმგზავრეთ, თუნდაც „ვოგრაატი“ იყოს.

— ბატონო მოსამართლევ! — დაიწყო ურსუსმა.

— აბა, რას იტყვით?

— ბატონო მოსამართლევ, ეს შეიძლებოდა მე რომ წინანდებურად მარტო მგელი მყავდეს, მას ხომალდით თან წავიყვანდი, მაგრამ...

— მაგრამ რაღა?

— მაგრამ მე ახლა „მწვანე ყუთი“, უშველებელი ფურგონი მაქვს ორი ცხენით, ის დიდ ხომალდზეც არ მოთავსდება.

— აბა, ეგ რა ჩემი საქმეა, თუ ასეა, მგელს მოგიკლავენ.

ურსუსი ცახცახმა აიტანა, იგრძნო, რომ ვიღაცის ყინულივით ცივმა ხელმა თითქოს გული შეუკუმშა. მან გაიფიქრა: „მტარვალები, მკვლელობა მათთვის სახალისო საქმეაო“.

სამიკიტნოს პატრონმა ურსუსს ღიმილით მიმართა:

— მისტერ ურსუს, შეგიძლიათ გაყიდოთ თქვენი „მწვანე ყუთი“.

ურსუსმა მას შეხედა.

— მისტერ ურსუს, თქვენ ხომ წინადადებით მოგმართეს.

— რომელი წინადადებით?

— წინადადებით ფურგონის შესყიდვაზე, ცხენების, ორივე ბოშა ქალისა და...

— ვის უნდა ყიდვა?

— მახლობელი ცირკის პატრონს.

ურსუსს გაახსენდა:

— დიახ, მართალია.

ნიკლსი სასამართლოს ბოქაულს მიუბრუნდა.

— თქვენო პატიოსნებავ, დღესვე შეუძლიათ მორიგდნენ. აქვე, მეზობლად რომ ცირკია, მისი პატრონი იყიდის ფურგონსა და ცხენებს.

— ცირკის პატრონი ჭკვიანურად მოიქცევა, — თქვა ბოქაულმა, — იმიტომ, რომ ფურგონი და ცხენები მას შეიძლება გამოადგეს. დღეს ისიც აქედან უნდა აიბარგოს. საუთვორქის სამრეკლოს მღვდლებმა საჩივარი შეჰოიტანეს: ტარინზოფილდში უწესობა და აურზაური ხდებაო. შერიფმა სათანადო ზომები მიიღო. დღეს საღამოთი ამ მოედანზე აღარც ერთი ბალაგანი აღარ იქნება. ფეელა ამ უმსგავსობას ბოლო მოეღება. ამ პატივცემულმა ჯენტლმენმა ღირსი გაგვხადა და მობრძანდა...

სასამართლოს ბოქაული დადუმდა და ბარკილფედროს მდაბლად თავი დაუკრა. უკანასკნელმა ისევე თვის დაკვრით უპასუხა.

— პატივცემული ჯენტლმენი, რომელმაც ღირსი გაგვხადა და დღეს აქ მობრძანდა, ვინძორიდან არის საგანგებოდ გამოგზავნილი: მისი უდიდებულესობის, დედოფლის განკარგულებაა: „გაიწმინდოს მოედანი“.

ურსუსი, რომელმაც მთელი ღამე ფიქრებში გაატარა, ახლაც გუნებაში თავის თავს ბევრ რამეს ეკითხებოდა. ბოლოს და ბოლოს მან ხომ მარტო კუბო ნახა. საიდან იცოდა, რომ იმ კუბოში ის გვამი იდო? საპატიმროში რამდენი ტუსაღი კვდება. კუბოზე ხომ მიცვალებულის სახელს არ აღნიშნავენ. გუინპლენის დაპატიმრების შემდეგ ვიღაცას მარხავდნენ. ეს კიდევ არაფერს არ ნიშნავს, POST HOC, NON PROPTER HOC* და სხვა. ურსუსი ისევ ეჭვებმა შეიპყრო. ჩვენი მწუხარების დროს იმედი გაღვივდება და აციმციმდება ხოლმე, როგორც ნავთი ენთება წყალზე. ადამიანის მწუხარების ზედაპირზე იმედის შუქი ყოველთვის ამოტივტივდება ხოლმე. ურსუსმა ბოლოს და ბოლოს ასე გადაწყვიტა: „შეიძლება მართლაც გუინპლენს მარხავდნენ, მაგრამ ეს კიდევ სარწმუნო არ არის, რა ვიცი, იქნებ გუინპლენი ისევ ცოცხალია?“

ურსუსმა ბოქაულს თავი დაუკრა.

— დიდად პატივცემულო მოსამართლევ, მე წავალ, ჩვენ წავალთ ჯელანი, „ეოგრაატით“ როტერდამში. მე გემორჩილებით. გავყიდი „მწვანე ყუთს“, ცხენებს, საყვირებს, ბომა ქალებს. მაგრამ მე მყავს ამხანაგი, მას აქ ვერ დავტოვებ. გუინპლენს ვერ დავტოვებ.

— გუინპლენი მოკვდა, — წარმოთქვა ვიღაცამ.

ურსუსი შეკრთა, თითქოს გველის ცივი შეხება იგრძნო.

ეს სიტყვები ბარკილფედრომ წარმოთქვა.

იმედის უკანასკნელი სხივი ჩაქრა. აღარაეითარი იმედი აღარ იყო. გუინპლენი მოკვდა.

უცნობს ნამდვილად უნდა სცოდნოდა. მას ისეთი ავბედითი გამომეტყველება ჰქონდა.

ურსუსმა მასაც თავი დაუკრა.

ნიკლსი, სწორედ რომ ითქვას, კეთილი კაცი იყო, როცა შიშს არ ეძლეოდა. შიშმა მასში სისასტიკე აღძრა. დაშინებული მხდალი მეტად შეუბრალებელია.

მან წაიჩურჩულა:

— ეს შემთხვევა საქმეს ამარტივებს.

და იგი ურსუსის ზურგს უკან ხელების ფშვნეტას შეუდგა. უხაროდა, როგორც ყველა ეგოისტს სჩვევია; ის თავის გუნებაში ფიქრობდა, „მე აქ არაფერ შუაში ვარო“. მსგავსად პონტოელი პილატესი, რომელმაც ხელი დაიბანა.

ურსუსმა სევდიანად თავი ჩაქინდრა. მაშ სიკვდილი გადაუწყვიტეს და სისრულეშიც მოიყვანეს ეს გადაწყვეტილება. ხოლო მას, ურსუსს, როგორც ახლა გამოუცხადეს, განდევნა აქვს მისჯილი. აღარაეითარი გამოსავალი აღარ იყო, უნდა დამორჩილებოდა. ურსუსი ჩაფიქრდა.

უცბად იგრძნო, რომ ვიღაცამ იდაყვზე ხელი წაავლო. ეს იყო სასამართლოს ბოქაულის თანამგზავრი.

ურსუსი შეკრთა.

იმ კაცმა, რომელმაც უთხრა, „გუინპლენი მოკვდაო“, ახლა ყურში წასჩურჩულა:

— აი, ათი გირვანქა სტერლინგი, ამას გიგზავნით თქვენი კეთილსმყოფელი, — და ბარკილფედრომ ურსუსის წინ, მაგიდაზე პატარა ქისა დადო.

მკითხველს, რა თქმა უნდა, ახსოვს, რომ ბარკილფედრომ სახლიდან ყულაბა გაიტანა. ათი გინეა — ორი ათასიდან. ეს იყო და ეს, რაც ბარკილფედრომ ურსუსს უწყალობა. სიმართლე ითქვას და, ეს საკმარისიც იყო; მას რომ ურსუსისთვის მეტი მიეცა, თვითონ დაზარალდებოდა. მან ხომ დიდი შრომა გასწია ლორდის მოსაძებნად და ახლა იგი ნაპოვნის გამოყენებას შეუდგა. სამართლიანობა მოითხოვდა, რომ მის მიერ აღმოჩენილი ოქროს მადნიდან პირველი ნადავლი მასვე რგებოდა. დაე, ზოგმა ასეთ რამეს მდაბალი საქციელი უწოდოს, ეს მათი საქმეა, მაგრამ აქ საკვირველი არა არის რა. ბარკილფედროს უყვარდა ფული, განსაკუთრებით, მოპარული. ყოველი მეშურნე იმავე დროს ვერცხლის მოყვარულია. ბარკილფედროსაც ჰქონდა თავის წილად ნაკლულოვანებანი. ბოროტნი, ან ავის მოქმედნი მრავალ წვრილმან მანკიერებას არ არიან მოკლებულნი. ვეფხვებსაც კი ჰყავთ მკბენარები.

გარდა ამისა, აქ ბეკონის სკოლის გავლენაც იგრძნობოდა.

ბარკილფედრო სასამართლოს ბოქაულს მიუბრუნდა და უთხრა:

— ბატონო ჩემო, მოიღეთ მოწყალება და დროზე მოათავეთ საქმე. მე ძალიან მეჩქარება. რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავრეკოთ ეტლის ცხენები, რომ ვინძორში ორ საათში მივაღწიოთ. ყველაფერი უნდა მოვახსენო მის უდიდებულესობას და შემდგომი ბრძანება-განკარგულება მივიღო.

სასამართლოს ბოქაული წამოდგა.

ის მივიდა ურდულით მიკეტილ კართან, ურდული გამოსწია, კარი გააღო. ხმის ამოუღებლად გადახედა პოლიციელებს, თითი დაუქნია. მთელი რაზმი შემოვიდა დარბაზში, ასევე ჩუმად, რაც მრისხანების დასაწყისს მოასწავებდა.

ნიკლსი კმაყოფილი იყო, რომ ყველაფერი ასე სწრაფად გამოირკვა და არაფერი გართულებულა. ალტაცებას ეძლეოდა, რომ ხიფათს თავი დააღწია, მაგრამ მწკრივში ჩამდგარ პოლიციელთა დანახვაზე შიშმა აიტანა, ურსუსი აქ, ჩემს სახლში არ დააპატიმრონო. მის სასტუმროში თანმიყოლებით ორი დაპატიმრება! ჯერ გუინპლენისა და მერე ურსუსისა, ეს ხომ ზიანს მიაყენებდა მის სასტუმროს; იმიტომ, რომ მუშტრებს ის სამიკიტნო არ უყვართ, სადაც პოლიცია დაიარება ხოლმე ხშირად. დადგა მომენტი, როდესაც თავაზიანად უნდა ჩარეულიყო და იმავე დროს ქედმაღლობაც

გამოეჩინა. ნიკლსი ბოქაულს ღიმილით მიუბრუნდა, მის სახეზე ხან თვითრწმენა იხატებოდა, ხან პირფერობა.

— თქვენო პატიოსნებავ, მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს შევნიშნო, რომ პატივცემული ბატონი სერჟანტები ახლა აღარაფრისთვის საჭირონი არ არიან, რადგან უკვე გამოირკვა, რომ დამნაშავე მგელს წაიყვანს ინგლისიდან, ხოლო კაცი, რომელსაც სახელად ურსუსი ჰქვია, უკვე წინააღმდეგობას აღარ იჩენს და თქვენი პატიოსნების ბრძანების ზუსტად ასრულებას გვპირდება. კეთილ ინებეთ, თქვენო პატიოსნებავ, მართალია, პოლიციის მოქმედება ყოველნაირად პატივისცემის ღირსია და ესოდენ აუცილებელიც სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის, მაგრამ მხედველობაში მიიღეთ, რომ ამან შესაძლოა ჩემი დაწესებულება დააზიანოს, მიუხედავად იმისა, რომ იგი არაფერ შუაშია. როგორც კი მოედანი მისი უდიდებულესობის დედოფლის ბრძანების თანახმად გაიწმინდება, მაშინ „მწვანე ყუთის“ ჯამბაზ-კომედიანტებიდან აქ აღარავინ დარჩება და არავითარი დამნაშავე სხვა ელემენტი აღარ იქნება. ჩემი აზრით, კანონიერების დარღვევად არ ჩაითვლება არც ბრმა ქალი, არც ის ორი ბოშა დედაკაცი, ამიტომ გევედრებით, თქვენო პატიოსნებავ, იკმარეთ თქვენი აქ კეთილი მობრძანება და უკანვე დააბრუნეთ ეგ ღირსეული ბატონები, რომლებიც ახლა აქ შემოვიდნენ, რადგან მათ ჩემს სახლში არავითარი საქმე არა აქვთ, თუ, თქვენო პატიოსნებავ, ნებას მომცემდით ჩემი სიტყვების სამართლიანობა დამედასტურებინა, მე დავამტკიცებდი, რომ ამ პატივცემული ბატონების აქ ყოფნა უსარგებლოა და შეგეკითხებოდით, თქვენო პატიოსნებავ, რამდენადაც კაცი, რომელსაც სახელად ურსუსი ეწოდება, ეძორჩილება გადაწყვეტილებას, მაშ მათ აქ ვისი დაპატიმრება განუზრახავთ?

— თქვენი, — უპასუხა ბოქაულმა.

მახვილის დარტყმით შუაზე რომ გაკვეთონ, ველარას შეეკამათებით. ნიკლსი მის ახლო რაღაც ნივთზე დავარდა მეხდაცემულივით. ის ნივთი არცთუ მაგიდა იყო, არცთუ სკამი.

სასამართლოს ბოქაულმა ხმა ისე აიმაღლა, რომ მოედანზეც კი გაიგონებდნენ:

— მისტერ ნიკლს პლემპტრი, სამიკიტნოს პატრონო, ჩვენ კიდევ ერთი საქმეც უნდა მოვათაოთ. ეს მასხარა-მოქალაქე და მგელი

მაწანწალები არიან, მათ განეძევნით ინგლისიდან, მაგრამ მთავარი დამნაშაულე თქვენა ხართ! თქვენი თანხმობით აქ, თქვენს სახლში ქანონი ირღვეოდა. რაკი თქვენ ნება მოგეცათ სასტუმრო გქონოდათ, მაშ პასუხსაც თქვენ აგებთ იმაზე, რაც ამ სასტუმროში ხდებოდა. თქვენს დაწესებულებაში უმართებულობასა ჰქონდა ადგილი და ამის ნებას თქვენ აძლევდით, მისტერ ნიკლს, დღეიდან ჩამოგერთმევათ პატენტი, გადაიხდით ჯარიმას და ციხეში ჩაგსვამენ.

პოლიციელები სამიკიტნოს პატრონს შემოეხვივნენ.

სასამართლოს ბოქაულმა გოვიკეშზე ანიშნა.

— ეს ბიჭიც დაპატიმრებულია, როგორც თქვენი თანამოაზრე.

ერთმა პოლიციელმა კისერში სტაცა ხელი გოვიკეშს, რომელმაც ცნობისმოყვარეობით შეხედა წესრიგის დამცველს. ბიჭს ძალიან არც კი შეშინებია, რადგან ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა. მას ყველანაირი უცნაურობანი ენახა აქ და გუნებაში თავის თავს ეკითხებოდა, — იქნებ ისევ კომედია უნდა ითამაშონ და მეც მათა-მაშებენო.

სასამართლოს ბოქაულმა ქუდი თავზე ჩამოიფხატა, ხელები მუცელზე დაიწყო, რაც დიდებულებას გამოხატავდა და დაასკვნა:

— მაშ ასე, მისტერ ნიკლს, თქვენცა და ამ ბიჭსაც წაგიყვანთ საპატიმროში და რკინის ბადურის შიგნით გამყოფებთ. თქვენი დაწესებულება — ტედკასტერის სასტუმრო — დაიხურება, დაიკეტება და ყადაღა დაედება, დაე, სხვები, ამის მნახველნი გაფრთხილდნენ. აბა, ახლა მოგვყევით უკან!

ქალი-ტიტანი

I

გამოღვიძება

— მაგრამ დეა?

როდესაც ტედკასტერის სასტუმროში აღწერილი ამბები ხდებოდა, გუინპლენს კორლეონ-ლოჯში გაუთენდა დილა. მას ეგონა, ეს ამოძახილი გარედან შემომესმაო, ნამდვილად კი მისი არსების სიღრმიდან იყო ამოხეთქილი.

რომელ ჩვენგანს არ გაუგონია ჩვენი სულის იდუმალ კუნჭულებში აბგერებული ხმა?

დილა თენდებოდა და განთიადის სინათლე ეფინებოდა არემარეს. დილის ცისკარი აფხიზლებს ადამიანს.

რა სარგებლობას მოგვიტანდა მზე, ღრმა ძილში წასულ სინდისს რომ არ აღვიძებდეს!

სიმართლე და სათნოება ერთნაირი ბუნებისანი არიან.

ღმერთად ქრისტეს ვაღიარებთ თუ ამურს, მაინც ყველა ჩვენგანს, ჩვენ შორის უკეთესთაგანსაც კი, ცხოვრებაში გვიდგება ისეთი დრო და ჟამი, როდესაც ვივიწყებთ იმ ჩვენს ღმერთს: მაშინ ყოველ ჩვენგანს, ალალმართალ კაცსაც კი სჭირდება გახსენება, რომ გამოერკვეს თავდავიწყებიდან, ამიტომ განთიადი აღვიძებს ჩვენში სინდისის გონივრულ ხმას. ეს ხმა წინამორბედია ჩვენი მოვალეობის გრძნობის გამოფხიზლებისა, იმის მსგავსად, როგორც მაშლის ყივილი წინ უსწრებს გათენებას.

ადამიანის გულის ქაოსში გაისმის შეძახილი: FIAT LUX*

გუინპლენი (ჩვენ მას წინანდებურად ეს სახელი უნდა ვუწოდოთ, ვინაიდან კლენჩარლი მხოლოდ ლორდია, ხოლო გუინპლენი — ადამიანი.) თითქოს მკვდრეთით აღდგა.

გაწყვეტილი არტერია დროზე უნდა შეხვეულიყო, თორემ იგი ქეთილშობილების უკანასკნელ წვეთსაც დაკარგავდა.

— მაგრამ დეა? — წარმოთქვა გუინპლენმა.

ამაყე წუთში მან იგრძნო, რომ სისხლმა დაუწყო ჩქეფა. თითქოს გამამხნევებელმა, ამაღლებულმა ტალღამ გადაურბინაო.

კეთილი ძრების ამაფორიაქებელი მოზღვავება შინ დაბრუნებულ კაცს გეგონებს, რომელსაც გასაღები დაუკარგავს და სახლის კარის შემტვრევას აპირებს. ეს არის ძალდატანებითი შესვლა, მაგრამ სიკეთის შესვლაა. ეს ძალმომრეობაა, მაგრამ ძალმომრეობა დამპყრობელი ბოროტების მიმართ.

— დეა! დეა! დეა! — იმეორებდა გუინპლენი.

თითქოს გულში ინერგავდა იმას, რასაც გრძნობდა.

მან ხმამაღლა იკითხა:

— სადა ხარ, დეა?

და თითქმის გაუკვირდა, რომ პასუხი არ მიიღო.

ათვალიერებდა ჭერსა და კედლებს, თითქოს ჭკუაზე შერყეული გონზე მოდისო.

— სად არის დეა? ან მე სადა ვარ? — ეკითხებოდა იგი თავის თავს.

ისევ დარბაზში სიარულს შეუდგა. აქეთ-იქით აწყდებოდა გალიაში დამწყვდეული ნადირივით.

— მე სადა ვარ? ვინძორში! შენა? საუთვორქში. ოჰ, ღმერთო ჩემო! პირველად დავშორდით ჩვენ ერთმანეთს. ვინ დაგვაშორა, ვინ? მე აქა ვარ, შენ კიდევ იქ. ო, არა, ეს შეუძლებელია, არ უნდა მოხდეს. ეს რა დამემართა?

იგი შეჩერდა.

— ვინ მელაპარაკებოდა დედოფალზე? საიდან ვიცი ეს ამბები? გამოვიცვალე! მე გამოვიცვალე? რამ გამომცვალა, იმან, რომ ლორდი გავხდი? დეა, იცი კი, რა მოხდა? შენ ახლა ლედი ხარ, საოცარი რამ ხდება. ჰო, მართლა! გზა ხომ არ ამებნა? სწორ გზაზე უნდა გავაღწიო როგორმე. ვიღაც კაცი რაღაც გაუგებარს მელაპარაკებოდა. ჰო, მომაგონდა: „მილორდ, ბედი ერთ კარს რომ გაუღებს ადამიანს, მეორეს მიუხურავსო, რაც უკან დარჩა, ის უკვე აღარ არსებობსო“. სხვანაირად რომ ითქვას, გამლანძღა: „არაშხადა ხარო“. ის საძულველი კაცი, როცა მე ისევ თავდავიწყებაში ვიყავი, ასეთ რამეებზე მელაპარაკა, ისარგებლა იმით, რომ გაბრუებული, დარეტიანებული ვიყავი. ხელში ჩამიგდო. სად არის ის კაცი? საკა-

დრისი პასუხი უნდა გაეცა! მისი ცბიერი ღიმილი თითქოს სიზმარში მოჭელანდა. მაგრამ, ოჰ! ისევ მიბრუნდება გონება ძალიან კარგი! ახლა სცდებიან, თუ ფიქრობენ, რომ ლორდი კლენჩარლი მათი სათამაშო ბურთი იქნება და საითაც უნდათ, იქითკენ გადაისვრიან. მე ინგლისის პერი ვარ, დიახ! და ჩემს მეუღლედ დეას ვალიარებ! პირობა! რა პირობა? მე არავითარ პირობას მათ არ მივცემ. დეღოფალი? მე რა საქმე მაქვს დედოფალთან. მე ის თვალითაც არ მინახავს. ლორდად იმიტომ ხომ არ დავიბადე, რომ მონა ვიყო. მე თვითონ გავხდები ხელისუფალი, მაგრამ ჩემს თავისუფლებას არავის დავანებებ. ბორკილები იმიტომ ხომ არ მომაშორეს, რომ... მე დამამახინჯეს, — ეს იყო და ეს. დეა, ურსუს, მე თქვენთანა ვარ. მე ხომ ისეთივე ვიყავი, როგორიც თქვენ ხართ ახლა. თქვენც ისეთი ბედი გეწევათ, როგორიც მე. მოდით აქ! არა, მე მოვდივარ თქვენთან! ახლავე, დაუყოვნებლივ, ისედაც ძალიან დიდხანს დავრჩი აქ. რას იფიქრებენ, ამდენ ხანს რომ არ დავბრუნდი? ოჰ, ის ფულები! რამ გამაგზავნინა ფული? მე თვითონ უნდა წავსულიყავი მათთან საჩქაროდ. ისიც მახსოვს, რომ იმ კაცმა მითხრა — აქედან ველარ გახვალთო. ვნახოთ! ეჰეი, ეტლი! მომართვან დახურული ეტლი! მე თვითონ წავალ მათ მოსაყვანად. სად არიან მსახურნი? მსახურნიც ხომ აქ უნდა იყვნენ, როდესაც ბატონი, ესე იგი, მე აქა ვარ. ეს ხომ ჩემი სახლია. კლიტეს დავამტვრევ. საკეტებს მოვაძრობ. ფეხებით გავამტვრევ კარებს. მახვილსა ვკრავ იმას, ვინც გზას გადამიღობავს. დიახ, მე ახლა მახვილი მაქვს. აბა სცადონ და წინააღმდეგობა გამიწიონ. ჩემი ცოლი დეაა, მამა კი ურსუსი. ჩემი სახლი სასახლეა და მე ეს სასახლე ურსუსს უნდა ვაჩუქო. ჩემი ხარისხი გვირგვინოსნობაა და მე მას დეას გადავცემ. ჩქარა! მალე! დეა, აი, მე აქა ვარ. ერთ წამში დავფარავ ამ ჩვენს დამშორებელ მანძილს!

მან პირველსავე მოფარდაგებულს აჰკრა ხელი და სწრაფად გასხლტა დარბაზიდან.

ტალანში გაჩნდა, გზა შეუჩერებლივ განაგრძო.

წინ მეორე ტალანი შემოხვდა.

ყველა კარი ღია დახვდა.

ის ალალბედზე მიდიოდა, დარბაზიდან დარბაზში, ტალანიდან ტალანში, გასასვლელს ეძებდა.

II

ტყის მსგავსი სასახლე

კორლეონ-ლოჯში, როგორც ყველა იტალიური გემოვნებით ნაგებ სასახლეში, კარი ბევრი არ იყო. კარის მაგივრობას ფარდები და ხალიჩები ეწეოდა.

იმ დროის სასახლეებს, უკლებლივ ყველას, საოცრად ბევრი შესანიშნავი დარბაზი და ტალანი ჰქონდა, ისიც ვარაყებითა და მარმარილოთი შემკული, მოჩუქურთმებული, ლავგარადნებით დაშვენებული და მყუდრო განსასვენებლები, რომელთაც აღმოსავლური ფარჩით ჰქონდათ კედლები მოკაზმული, ზოგან საიდუმლოებით მოცული ფერებით და ზოგან მკვეთრად ნათელი ფერებით. იქვე იყო მხიარული ფერებით შემკული და მდიდრულად მოწყობილი სანებივრო დარბაზები. ჰოლანდიური ქაშანურის ფილაქნებითა და პორტუგალიური სახიანი შორენკეცებით, მაღალი სარკმლების თაღები, რომლებიც ანტრესოლებს ემიჯნებოდა; იქვე ნახავდით ფერადი შუშებით მოჭვილ კაბინეტებს, რომლებიც დიდ, ლამაზ ფარანს მოგაგონებდათ. სქელ კედლებში შელრმავებული თახჩები თუ წალოები საცხოვრებელ-საძილედ გამოდგებოდა. თითქმის ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებოდათ ტანსაცმლის კარადები, ბონბონიერის მსგავსად მოჭვილი. ამათ „შიგნითა განსასვენებლები“ ეწოდებოდა. სწორედ აი აქ ხდებოდა ყველანაირი ბოროტმოქმედება.

ეს „შიგნითა განსასვენებლები“ მეტად მოხერხებულნი გამოდგნენ, როდესაც ჰერცოგ გიზის* მოკვლა დასჭირდათ, ანდა პრეზიდენტ სილვეკანის ლამაზი ცოლის გაუპატიურება.

ასეთი სასახლეები და განსასვენებლები სახეირო იყო თუნდაც იმათთვის, რომ ზემოთქმულზე ცოტა უფრო გვიან იმ ყმაწვილი ქალების კივილი ჩაეხშოთ, რომლებიც ასეთ „განსასვენებლებში“ ლებელს მოჰყავდა. დიახ, ასეთი იყო ის, ეშმაკ-ქაჯური შენობები, სადაც მიუჩვეველი კაცი გზას ვერ გაიგნებდა. ასეთ სასახლეებში სულ ადვილი იყო ადამიანის მოტაცება და ყოველგვარი კვალის დაფარვა. ამ ნატიფად შემკულ ბუნაგებში პრინცები და დიდკაცობა თავიანთ ნადავლს მალავდნენ. გრაფი შაროლე იქ მალავდა ქალბატონ კურშანს, საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარის მეულლეს.

ეს მიხვეულ-მოხვეული, ყრუ მისასვლელ-გადასასვლელები თამაშს მოგაგონებდათ: ახვეულ თვალებს, ხელებს, რომლებიც კარის ძებნაში ფათურობდნენ, შეკავებულ სიცილს, თვალჭუტულო-

ბას, მალულობასა და იმავე დროს გაგახსენდებოდათ ატრიდები,* პლანტაგენეტები,* მედიჩები,* ელცის მძვინვარე რაინდები, რიჩო, მონალდესკი, მახვილამოწვდილი ხალხი, რომლებიც ოთახიდან ოთახში მარბენალს მისდევდნენ.

უძველეს დროშიც ცნობილი იყო ასეთი თავშესაფრები, სადაც ბრწყინვალება-ფუფუნება ბოროტმოქმედებას ფარავდა. ამის ნიმუშს იძლევა ეგვიპტეში მიწის წიაღში დაცული სამარხები, როგორც მაგალითად, პასალაკის გათხრების შედეგად აღმოჩენილი მეფე ფსამეტიკუსის საძვალე. ძველი დროის პოეტები შიშით შეპყრობილნი აღწერდნენ ამ საიდუმლოებით მოცულ შენობებს: ERROR CIRCUMFLEXUS LOCUS IMPLICITUS GYRIS*.

გუინპლენი კორლეონ-ლოჯის „შიგნითა განსაცხრომლებში“ იმყოფებოდა.

იგი აქედან გასვლის სურვილს აღეგზნო, აქედან განთავისუფლება სწყუროდა: ისევ დეასკენ ისწრაფოდა. ეს გაუგნებელი ტალანები, დარბაზები, საიდუმლოდ დაფარული კარები, მოულოდნელი გასასვლელები მას აბრკოლებდა, სიჩქარეს უნელებდა. გაქცევა უნდოდა, მაგრამ იძულებული იყო, გზა რომ გაეგნო, ნელა ევლო. ეგონა, აი, ამ კარს გამოვაღებ და გავალ, აქედან გავთავისუფლდებიო, მაგრამ იმ კარს სხვა კარი მოსდევდა, კიდევ და კიდევ. გუინპლენი ლაბირინთებში დაფათურობდა.

ერთ ოთახს მეორე მოსდევდა; დარბაზს კიდევ სხვა დარბაზი. არსად სულიერი არსება, არც ხმა, არც ჩქამი.

ხან ისე ეჩვენებოდა, თითქოს ერთ ადგილას ვტრიალებო.

ხან ელანდებოდა, ვითომ ვილაც მოდის ჩემკენო, ნამდვილად კი არავინ იყო. ის სარკეში თავის ანარეკლს ხედავდა. მაგრამ დიდებულისა და წარჩინებულის ტანსაცმელში თავის თავს ალარ ჰგავდა, ამიტომ ერთხანს დააკვირდებოდა და მერე ცნობდა საკუთარ თავს.

გუინპლენი დიდხანს დაბორიალობდა. „შიგნითა განსასვენებლების“ რთულ განლაგებაში, მას გზა ერეოდა. ხან მყუდრო კაბინეტში მოხვდებოდა, სადაც ფაქიზად ნაკეთებ ჩუქურთმასა და მხატვრობას ნახავდით. თუმცა, ცოტა არ იყოს, უხამსი მხატვრობა კი იყო. ხან რაღაც საეჭვო სამლოცველოებში შევიდოდა, სადაც კედლები სადაფითა და მინანქრით იყო მოოჭვილი. იქვე იყო სპილოს ძვლისგან გაკეთებული სხვადასხვა გამოსახულებანი სწორედ

სათუთუნეს სახურავიანი ნატიფი ნაკეთობისა, რაც გამადიდებელი შუშით უნდა გასინჯულიყო. ხან ფლორენციული გემოვნებით მოკაზმულ პატარა სასტუმროში მოხვდებოდა, იგი თითქოს განგებ დამთხვეულიყო, იპოქონდრიულ გუნებაზე დამდგარი ქალებისთვის იყო განკუთვნილი. მერე ასეთმა ოთახმა სწორედ მსგავსი სახელიც მიიღო: „ბუდუარი“. ჭერი, კედლები და იატაკი დაფარული იყო ლითონზე მოხატული ფრინველებითა და ხეებით, ფანტასტიკური მცენარეებით; მარგალიტებით გადაწნული, მოვარაყებულ-მოოქრული რუსტები, სუფრები, კილიტებითა და მძივებით აელვარებული, დედოფლები და მხედრები, ქალ-ტრიტონები, გველეშაპის ქიცვებიანი კუდებით. ნათალი ბროლი შუქს ირეკლავდა და ცისარტყელასებრ ყველა ფერს ისეროდა, ბროლის ჭურჭელი ძვირფას თვლებს ელვარებაში ეტოქებოდა, კუთხის კარადებში რალაცა ნაპერწკლებს აკვესებდა და ალეგზნებოდა ხოლმე. ძნელი სათქმელი იყო, რას წარმოადგენდნენ ეს მოციალე ელვარებანი, რომლებშიც ზურმუხტის სიმწვანე ამომავალი მზის ოქროს სხივებს უერთდებოდა, და რომლებსაც თითქოს მტრედისფერი ღრუბლები ეფინებოდა. იქნებ ისინი ნამცეცა სარკეები იყო, ან იქნებ უზარმაზარი აკვამარინებიც. აქ იყო სათუთი და იმავე დროს დიდად დიდი ბრწყინვალება. ეს სასახლე სათუთიც იყო და იმავე დროს უზარმაზარი ზარდახშაც — ძვირფასეულთა საცავი. ეს იყო ფერია მაბის* პატარა სახლი, ანდა გეოს სათამაშო რამ.

გუინპლენი აქედან გასასვლელს ეძებდა.

ეძებდა გასასვლელს და ვერ პოულობდა. ის დაიბნა. ისე არა შეაძრწუნებს რა ესოდენ ძლიერად ადამიანს, როგორც ბრწყინვალება და ფუფუნება, როდესაც ასეთი რამ ადამიანის თვალწინ პირველად, უჩვეულოდ წარმოსდგება. ამასთანავე აქ ხომ ლაბირინთიც იყო. ყოველ ნაბიჯზე რომელიმე შშვენიერი, შესანიშნავი რამ ელობებოდა წინ. თითქოს მის გაქცევას აქ ყველაფერი ეწინაღმდეგებაო. ჩანდა, რომ სასახლეს მისი გაშვება არ უნდოდა. გუინპლენი სწორედ ტყვედ ჩაუვარდა ყოველივე ამ საოცრებას. ის გრძნობდა, რომ შეიპყრეს და მაგრადაც შებოჭეს.

„რა საზარელი სასახლეაო“, — გაიფიქრა გუინპლენმა.

დაბორიალებდა დაუსრულებლად გასასვლელ-გამოსასვლელებში და თან თავის თავს ეკითხებოდა, რას ნიშნავს ყოველივე ეს,

იქნებ სახლისაკენ დაბრუნებულიყო. მას ბრალი ეწერება და გამგებლებისა ამყოფებდა ერთი დარბაზიდან მეორეში. ეიხებოდა ფეხის ქვეშ, სველია პირზე გახედვას. მაგრამ ამჯერად თან ამყოლებდა: „ადექ! წადი!“ ამ სახლის ახე ეშინოდა, ჩიოდეს გზის მანუგეშებელ ძაფს. თითქოს მიხვდა, არ გაუცდებოდეს იგი, რადგან მხოლოდ მას შეეძლო აქედან გაეყვანა, ეხმია იგი.

— ეჰე, არავინ ხარო?! — დრიდიდრი გასძახებდა იგი.

არავინ გაიხმაურებია.

ეიხებსა და დარბაზებს დასასრული არ ჰქონდათ. ყველგან შეკუნშულობა სუფევდა, სულიერი არსება აქ არ ჩანდა, იყო მხოლოდ სრული დუმილი, მდიდრული ფუფუნება და ამასთანავე ავბედითობა.

ასეთივე წარმოდგენა გაუჩნდა ჩვენ ზღაპრულ, ჯადოსნურ ციხე-კოშკებზე.

ფაღრული სამყარო მიდიოდეს მოდუნებული პირის გამო ამ ტალანებსა და ეიხებში ზაფხულის ტემპერატურა იდგა. თითქოს ვილაც ჯადოქარი დაეპატრონა იქაურობას და ამ ლაბირინთებში დაამწყვდიათ. დრიდიდრი გუნებაზეც საეცხოო სურნელებას გრძნობდა. მის ირგვლივ ასეთი არომატიც ეფუნებოდა, თითქოს აქ სადღაც მახლობლად უზომოდ ყვავილები სამო სურნელს აფრქვევენ. ცხელოდა. ყველგან ძვირფასი ხალიჩები ეფინა. აქ მაშველიც შეძლებოდა ყოფილიყავი.

გუნებაზეც ფანჯრებში იყურებოდა. სანახაობანი იცვლებოდა. ის ხან ზაფხულის დიდას ახლად გადაფურჩქნილ ბაღებს გადასცქეროდა, ხან ახალ ფასადებს, ახალი აღაღმებით; ხან ცხპანურ ეიხეკუთხა ქხოებს, ფიღაქნებით მოპირკეთებულს, სადაც სინესტე და ხიეკე იდგა, რაკი მრავალსართულიან კედლებს შუა იყვნენ მოქცეულნი. ხან თეშხის წყლის დინება გაიელვებდა მის თვალწინ, ხან ვინძორის ციხე-დარბაზის მაღალი გოდოლი.

ქხოში ამ ადრიან დილით არავინ ჩანდა.

გუნებაზეც შეჩერდა და სმენა გაიმახვილა.

— ო, მე წავალ აქედან! — შესძახა მან. — მე დეპოსთან დავბრუნდები. აქ ძალით ვერ გამამჩერებენ. ვაი იმას, ვინც აქედან გასვლას დაიშალოს. აგერ, ის რა გოდოლია, აქედან რომ მოჩანს? ვინც უნდა ცხოვრობდეს აქ, ბუმბერაზი თუ ჯოჯოხეთის ქოფაკი, თუგინდ ტა-

ტაკო*, რომელიც ამ მომაჯადოებელი კოშკიდან გასასვლელს და-
რაჯობს, ხელ ურთია, მე მოვკლავ, ვინც კი გადამეღობება. მთელ
ლეგიონს გავუსწორდები. დეა! დეა!

უცბად შემოესმა ნელი, ოდნავ გასაგონი ხმა, რომელიც წყაროს რაკრაკს, ჟღურტულს ჰგავდა.

გუინპლენი ამ დროს ვიწრო ბნელ ტალანში იმყოფებოდა. ორიოდე ნაბიჯს იქით ფარდა იყო ჩამოფარებული.

ის ამ ფარდისკენ გაეშურა, გადასწია და შევიდა.

თვალწინ მოულოდნელი სანახაობა გადაეშალა.

III

ევა

მან დაინახა რვაკუთხიანი დარბაზი, თაღებს ნახევრად ოვალური კამარები ამშვენებდა. სინათლე დარბაზში ზემოდან ჩამოდიოდა. კედლები, იატაკი და კამარა ატმისფერი მარმარილოთი იყო მოპირკეთებული. დარბაზის შუა, ამაღლებულზე შავი მარმარილოს ბალდახინი იდგა, ელისაბედ დედოფლის დროინდელი, ცოტა მძიმე, მაგრამ წარმტაცი სტილის გრეხილ სვეტებზე დაყრდნობილი. ბალდახინის ქვეშ აბაზანა-აუზი მოჩანდა, ისეთივე შავი მარმარილოსი. აუზში წვრილ ნაკადად მორაკრაკებდა თბილი, სურნელოვანი წყალი და ნელ-ნელა ავსებდა. აბაზანის შავი მარმარილო სხეულის სითეთრეს უფრო მეტ ელვერს აძლევს და თვალისმომჭრელად აელვარებს.

აი, ამ ნაკადის ლიკლიკი მოესმა გუინპლენს. გარკვეულ დონეზე გაჭრილი ხვრეტილი აბაზანაში წყალს საშუალებას არ აძლევდა ნაპირიდან გადაღვრილიყო. აბაზანიდან ოდნავ შესამჩნევი ორთქლი ამოდიოდა და მარმარილოზე წვრილ-წვრილად ეფინებოდა. წყლის წვრილი ნაკადი მოქნილი ფოლადის ლევეს ჰგავდა და ჰაერის ოდნავი რხევისაგან იკლაკნებოდა.

დარბაზში ავეჯი თითქმის სულ არ იყო; მხოლოდ აბაზანის ახლოს იდგა ტახტი ბალიშებით. ტახტი საკმაოდ გრძელი იყო სამისოდ, რომ მწოლიარე ბანოვანის ფეხთით მისი პატარა ძაღლი ან მისი საყვარელი მოთავსებულიყო. ამიტომ ასეთ ტახტებს

უწოდებდნენ CAN-AL-PIE-ს,* რომელიც ჩვენ გადავაკეთეთ „ქანაპედ.“

ვერცხლის ფეხებისა და ვერცხლისავე ჩარჩოს მიხედვით ეს იყო ესპანური შეზლონგი. შეზლონგს თეთრი ატლასი ჰქონდა გადაკრული და თეთრი ბალიშები ეყარა ზედ.

აბაზანის მეორე მხარეს, კედელთან იდგა სხმული ვერცხლის მაღალი ტუალეტი, თავისი მოწყობილობით. ტუალეტის შუა ნაწილი შემაღლებული იყო რაღაც ფანჯრისნაირად. იგი შედგებოდა რეა მომცრო ვენეციური სარკისაგან. სარკეები ერთმანეთს ვერცხლის კილოებით უერთდებოდა.

შეზლონგის ახლოს, კუთხეში ოთხკუთხედი სახსარი იყო გამოჭრილი; იგი სათვალთვალო სარკმელსა ჰგავდა და ვერცხლის პატარა კარით იხურებოდა. ეს პატარა კარიც ანჯამებზე ეკიდა და მოძრაობდა. მასზე ოქროთი და სევადით დაფერილი მეფის გვირგვინი იდო. ამ პატარა კარს ზემოთ, კედლის სიღრმეში პატარა ზარი ეკიდა. ზარი ვერცხლისა ჩანდა, ოქროში ნაფერი, ან იქნებ ოქროსიც იყო.

იმ კამარის პირდაპირ, საიდანაც გუინპლენი შემოვიდა, მოჩანდა ისეთივე მრგვალი კამარა-გასასვლელი. ზედ ჭერიდან იატაკამდე ვერცხლსფერი ქსოვილი ეკიდა.

აბლაბუდასავით თხელი გამჭვირვალე ქსოვილის იქით ყველაფერი ჩანდა.

ამ აბლაბუდის შუაგულში, სწორედ იმ ადგილას, სადაც ჩვეულებრივი ობობა ბის ხოლმე, გუინპლენმა რაღაც საშინელება — შიშველი ქალი დაინახა.

უნდა ითქვას, რომ ქალი მთლად შიშველი არ იყო. ის ჩაცმული იყო, თავით ფეხებამდე ჩაცმული. მას ეცვა ძალიან გრძელი პერანგი, იმნაირი, როგორშიც ანგელოზებსა ხატავენ, მაგრამ იმდენად თხელი იყო, რომ სველი გეგონებოდათ. ასეთი სიშიშვლე უფრო მეტად მაცდურია და მეტად სახიფათოც, ვიდრე ნამდვილი სიშიშვლე. ისტორიიდან ჩვენ ვიცით, რომ პრინცესები და დიდებულთა ოჯახის მანდილოსნები მონაწილეობდნენ მომნანიებელთა პროცესიაში, მათ უნდა გაეკლოთ ბერების ორ მწკრივს შუა; ერთ ასეთ პროცესიაში ჰერცოგის მეუღლე მონპანსიე, ვითომ თვითდამდაბლების საბაბით, მთელ პარიზს ეჩვენა გამჭვირვალე ბაბთის

რაც კარგა მოდიდო სარკით იყო დაფარული. ეს სარკე ფარშევანგებითა და გედებით მოეხატათ. თვითონ ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში ყველაფერი ელვარებდა. შუშებსა და ოქროს ჩარჩოებს შორის მანძილები დაფარული იყო იმ მოელვარე შენადნობით, რომელსაც ვენეციაში „შუშის ნალეველს" ეძახიან.

საწოლის თავთან ვერცხლის საწიგნე იყო მიმაგრებული, მისი ფიცარი ბრუნავდა ყოველმხრივ, ხოლო ზედ შანდლები — უძრაოდ იდგა. საწიგნეებზე გადაშლილი წიგნი იდო. მის პირველსავე გვერდზე, ტექსტის ზემოთ წითელი ასოებით ეწერა: AL CORANUS MAHUMEDIS*

გუინპლენს არაფერი შეუნიშნავს, იგი მხოლოდ ქალს ხედავდა.

იგი გაშეშდა და იმავე დროს სულის სიღრმემდე აღელდა. ეს ურთიერთსაწინააღმდეგო, არაჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ხდება კი ცხოვრებაში.

გუინპლენმა იცნო ეს ბანოვანი.

თვალებდახუჭულს, სახე გუინპლენისკენ ჰქონდა მიქცეული.

გუინპლენი ჰერცოგის ასულს შეჰყურებდა.

დიახ, ის იყო, გამოუცნობი არსება, რომელიც იდუმალებით აღსავსე სიმშვენიერეს მოიცავდა. რომელმაც გუინპლენს ესოდენ ბიწიერი ოცნებები გაუღვიძა, რომელმაც ისეთი უცნაური წერილი მისწერა! ეს იყო ერთადერთი ქალი ამ ქვეყნად, რომლის შესახებ გუინპლენს შეეძლო ეთქვა: „მან დაინახა ჩემი პირისახე და მაინც უნდა ჩემი გახდესო", მაგრამ ეს ზმანებანი ხომ ჩაიხშო უკვე. წერილიც დაწვა და თავისი აზრებიდან განდევნა, თავისი მეხსიერებიდანაც. გუინპლენი აღარც ფიქრობდა მასზე, დაივიწყა კიდეც. და, აჰა, ის ქალი ისევ მის წინ იდგა. უფრო მრისხანე, ვიდრე წინათ!

შიშველი ქალი შეიარაღებულია, დამპყრობია.

გუინპლენმა სუნთქვა შეიკრა. თვალისმომჭრელმა ღრუბელმა მიიზიდა იგი და თან წარიტაცა. უცქეროდა და ხედავდა, რომ მის თვალწინ სწორედ ის ბანოვანი იწვა. ნუთუ მართლა?

თეატრში ის ჰერცოგის ასული იყო, აქ — ნერეიდა, ნაიადა, ფერია. და ყველგან ისაა — აჩრდილი!

უნდოდა გაქცეულიყო და ადგილიდან ვერ იძვროდა. მისი მზერა ამ სანახაობას მიეჯაჭვა.

ვინ არის ეს ბანოვანი? უწესო ქცევის დიაცია თუ ქალწული

ქალია? ისიც არის და ისიც. მის ბრწყინვალე სილამაზეს რაღაც მოუწედომლობაც ახლდა. მისი სხეულის კდემამოსილებრივ სწორ ნაკვთებს სიფაქიზით არაფერი შეედრებოდა. იმ თოვლს, რომელსაც ადამიანის ფეხი არასოდეს მიჰკარებია, უმალვე ყველა იცნობს. ეს ქალი იუნგფრაუს მწვერვალის საღვთო სითეთრით ბრწყინავდა. მისი მშვიდი შუბლიდან, ოქროსფერი ჩამოშლილი თმიდან, დაფნილი წამწამებიდან, ბაც-მოცისფრო წვრილი ძარღვებიდან, მისი შემრგვალებული გულმკერდიდან, მოქანდაკის საჭრისით ნაქანდაკევს რომ მოგაგონებდათ, თეძოებსა და მუხლთაგან, რომლებიც გამჭვირვალე პერანგიდან ვარდისფრად მოსჩანდნენ, — მძინარე ღმერთქალის სიდიადე მოჰბერავდა. მის უსირცხვილობას ელვარება აქარწყლებდა. ეს შიშველი ქალი ისე მშვიდად იწვა, თითქოს უფლება ჰქონდა ოლიმპიური ცინიზმისა. მას იმ ღმერთქალის გულდაჯერებულობა ემჩნეოდა, რომელიც ზღვაში გადაშვებამდე ოკეანეს ეტყვის ხოლმე: „ჩემო მამაო“. ისე ამაყად მისვენებულიყო ამ საწოლზე, როგორც ვენერა აქაფებული ზღვის კალთებზე.

საღამოს დაწოლილიყო დასაძინებლად და აქამდე ეძინა უშფოთველად; ის გულწრფელი ნდობა, რომლითაც საღამოს ბინდს შეხედა, ახლაც, დღის სინათლეზეც არ გამქრალიყო მისი სახიდან.

გუინპლენი თრთოდა, უყურებდა ამ ბანოვანს აღტაცებული.

არაჯანსაღი, დახარბებული აღტაცება დამღუპველია.

გუინპლენი შიშმა მოიცვა.

ბოლო აღარა აქვს ხოლმე იმ მოულოდნელობებს, რომლებითაც ადამიანს ბედი აჯილდოებს. გუინპლენს ეგონა, ზღვარს მიეაღწიეო, მაგრამ უცებ ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყო. რას ნიშნავდა ყველა ეს ერთმანეთზე მომდევნო, ბედის თავზარდამცემი ჭექა-ქუხილი? და ეს უკანასკნელი ელვაც — უცბად მის თვალწინ მძინარე ქალღმერთის გამოჩენა? რას ნიშნავდა ყოველივე ეს? ბოლოს საიდან, რომელი ციდან გადმოეშვა მისი სასურველი და ამავე დროს მრისხანე ოცნება? რას ნიშნავდა მისთვის უცნობი და უხილავი მაცდურისაგან ასეთი მოფერება: თანდათანობითი განხორციელება მისი ბუნდოვანი ზმანებებისა, გაურკვეველი მისწრაფებებისა, ასეთი ხორცშესხმა მისი ცუდი ფიქრებისაც კი, რას ნიშნავდა ყველა ეს სინამდვილედ ქცეული ფანტაზია, ასე მტანჯველად რომ ათრობდა და აბრუებდა მას? იქნებ მის წინააღმდეგ, საბრალო ადა-

მიანის წინააღმდეგ, ბნელეთის ყველა ძალა შეერთდა! სადამდე მიყვანდნენ მას ეს გაღიმებანი ავბედითი იღბლისა? ნეტავ ვინ დასახა მიზნად, რომ მას თავბრუ დაახვიოს? ამ ბანოვანმა? რატომ არის ეს ქალი აქ? რატომ? გაუგებარია. რატომ არის თვითონ იგი აქ? რატომ? იქნებ ინგლისის პერად ამ ჰერცოგის ასულის გულისთვის გახადეს? ვინ მოაწყო ეს შეხვედრა? ვინ უნდათ გაასულელონ ამით? ვინ არის მსხვერპლი? ვისი ნდობა გამოიყენეს ბოროტად? ნუთუ ღმერთს ატყუებდნენ? ყველა ეს აზრი, თითქოს შავი ღრუბლებით მოცული, უტრიალებდა გუინპლენს თავში. ან რა იყო ეს მოჯადოებული, ავბედითი სავანე, ეს უცნაური სასახლე, საიდანაც თავის დაღწევა, გასვლა ისევე შეუძლებელი იყო, როგორც საპატიმროდან. თუ აქ შეთქმულებაა, თვითონაც მონაწილე ხომ არ არის? ირგვლივ ყველაფერი თითქოს ნთქავდა და ძირავდა მას. ყოველი მისი ნაბიჯი აქ რაღაც ბნელ ძალებს შეებოჭათ. მისი ნებისყოფა სულ უფრო მეტად სუსტდებოდა, დუნდებოდა და ეცლებოდა მას. რაღას ჩასჭიდოს ხელი? თავგზააბნეული და მოჯადოებული იყო. ისე ეჩვენებოდა, რომ უკვე ნამდვილად გიჟდებოდა, გონს კარგავდა. ამ მომაკვდინებელი ელდით შეპყრობილი, პირდაღებული უფსკრულისაკენ მიექანებოდა.

ამ ბანოვანს კი მშვიდად ეძინა.

გუინპლენი თითქოს უფრო მეტად ღელავდა. ახლა მის თვალწინ მწოლიარე ლედი როდი იყო, არც ჰერცოგის ასული და არც მაღალი წრის მანდილოსანი, იგი იყო მხოლოდ ქალი.

ცუდი მიდრეკილებანი ჩვენში ფარულადაა ჩასახული. ჩვენთვის შეუცნობლად, ჩვენსავე ორგანიზმში არსებობს შხა ნიადაგი ბიწიერებისათვის. მისგან თავისუფალი არ არის არც მეტად უმანკო და ერთი შეხედვით ფაქიზი ადამიანიც კი. თუ ადამიანი არაფრით შეწიკვლული არ არის, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი უმანკოა. საყვარული კანონია, ავხორცობა მახე. დათრობა და ლოთობა სულ სხვადასხვა რამეა. ქალისაკენ მისწრაფება სხვა რა არის, თუ არა დათრობა. ხოლო საერთოდ, განურჩევლად მისწრაფება ქალისადმი – ლოთობაა.

გუინპლენი თავს ველარ იკავებდა. მთლად ცახცახებდა.

როგორ გაუძლოს ამ ახლად შეხვედრას? აქ არც აბრეშუმის ტანსაცმელია, არც ნაოჭები ჰაეროვანი ქსოვილებისა, არც მძიმე ფარ-

ჩის კაბის ნაკეცები, არც მდიდრული საქალუცო ტუალეტი, რაც ესოდენ მოხერხებულად დაფარავდა და იმავე დროს გააშიშვლებდა კიდეც ქალის სხეულს, არავითარი საფარველი. სიშიშვლე, მთელი თავისი საშინელი უბრალოებით. იდუმალი და შეუპოვარი ძახილი, ჰოწოდება იმ არსებისა, რომელმაც არ იცის, რა არის სირცხვილი. ჰოწოდება ყველა იმ ბნელი სურვილებისა, რაც კი ადამიანში არის. ქვა უარესია თვით სატანაზე — ადამიანური შეხამებული ზებუნებრივთან. შშფოთვარე აღტაცება, სადაც უხეში ინსტინქტი მოვალეობას ამარცხებს. სილამაზის დამაშშვენებელი ძალა, როდესაც სილამაზე იდეალი აღარ არის და ხორციელი სიტკბოების ცდუნება გახდება, მაშინ მისი სიახლოვე დაძლეუპველია ადამიანისათვის.

ჰერცოგის ასული ხან შეუმჩნეველად იცვლიდა პოზას, ისე როგორც მსუბუქი ღრუბელი იცვლის ხოლმე თავის მოხაზულობას ცის ლაჟვარდში. მისი სხეულის ნაკეთები ახალ, შშვენიერ, ჭაღლისებურ მდებარეობას იღებდნენ, ქალის ლივლივა, მოქნილ მოძრაობაში იგივე ცვალებადობაა, რაც ტალღის მოძრაობაში; ხოლო მასში რალაც თვალით უხილავი, შეუმჩნეველი რამ არის. საოცარია! — გუინპლენი უშზერდა შშვენიერ სხეულს და არავითარი ეჭვი არ იყო, რომ ეს სინამდვილეში, რეალობაში ხდებოდა, მაგრამ იმავე დროს, იგი რალაც ზღაპრულადაც ეჩვენებოდა. მიუხედავად ესოდენ საგრძნობი სიახლოვისა, ეს ქალი მაინც დაუსრულებრივ შორეული იყო. გუინპლენი გაფითრებული, დარცხვენილი უცქერდა მას და თვალს ვერ აშორებდა. ის ყურს უგდებდა ქალის გულმკერდის ოდნავ მოძრაობას და სუნთქვას, და ეგონა, ეს სუნთქვაც კი მეზმანებაო. ამ ბანოვანისკენ მისწრაფება ტანჯავდა. ებრძოდა ამ მისწრაფებას. როგორ გაუძლოს? როგორ შეიკავოს თავი? როგორ დაიბრუნოს სიშშვიდე და ნების სიმტკიცე.

გუინპლენი ყველაფერს ელოდა, მხოლოდ ამას კი არა. მას ეგონა, მძინარე დარაჯებთან მომიწევსო ბრძოლა, აქედან გასასვლელად განლტოლვილს წინ რომ გადამიდგებიანო; ან რომელიმე გააფთრებული ურჩხული დამხვდება, ან მრისხანე მცველიო ამ ციხისა. ის მოელოდა, რომ ცერბერი* დახვდებოდა გასასვლელ კართან, და, სამაგიეროდ, აი, ეს ღმერთქალი ჰებე* დაინახა.

შიშველი ბანოვანი, მძინარე ქალი.

ო, რა მძიმე ბრძოლას წააწყდა!

გუინპლენი თვალებს ნაბავდა; მეტად ჩაღი სინათლე თვალება. სა სტკენდა, ამიტომ თვალებს ნაბავდა, მაგრამ, მაინც ხედავდა ამ ქალს; თუმცა ნაკლებად თვალისმომჭრელს, მაგრამ მაინც მშვენიერს.

გაქცევა ყოველთვის როდია შესაძლებელი; გუინპლენი ცდილობდა, მაგრამ ნაბიჯის გადადგმაც არ შეეძლო. თითქოს ადგილზე მიუჭედავთო, ისე, როგორც ხანდახან სიზმრად ხდება ხოლმე, როდესაც გვინდა ცდუნებას გავექცეთ, ის კი იმავე ადგილზე გაგვაშუებს. პირისპირ შესახვედრად წასვლა შესაძლებელია, მაგრამ უკან დახევა არ შეიძლება. ცოდვას მიწის წიაღიდან უხილავი ხელები გამოუშვერია ჩვენკენ. ის გვეჭიდება და თან გვითრევს ჯურღმულში.

საერთოდ ფიქრობენ, რომ ყოველგვარი შეგრძნება თანდათანობით ჩლუნგდება, დუნდება. მცდარი აზრია. ეს იგივეა, რომ ამტკიცონ, აზოტის მჟავა ჭრილობაზე წვეთებად დასხმული ტკივილს აყუჩებსო. ან კიდევ, რომ ვითომც დამიენი,* შაყის კვრით დასჯისას, შეეჩვიაო ასეთ ტანჯვა-წამებას.

ნამდვილად კი, ყოველი ახალი ბიძგი მხოლოდ ამახვილებს, ამწვავებს შეგრძნებას.

გუინპლენი სულ მეტად და მეტად ეძლეოდა განცვიფრებას. ბოლოს გააფთრებამდე მივიდა. ახალი მოულოდნელობით შეცბუნებული მისი გონება პირამდე აღვსილ ფიალას დაემსგავსა. მასში რაღაც უცნობმა და საშინელმა გაიღვიძა.

მან დაჰკარგა გზის მაჩვენებელი გეზი. ახლა მხოლოდ ერთი რამ იყო მისთვის ნათელი და სარწმუნო, — ეს იყო ქალი-ბანოვანი, მის თვალწინ მწოლიარე. მის წინ ყოვლის შთანმთქმელი რაღაც გადაიხსნა, — ისე როგორც ზღვის მორევი. თავის შეკავება აღარ შეეძლო. გადაულახავი დინება იტაცებდა მას წყალქვეშა კლდეებისაკენ. მაგრამ ეს წყალქვეშა კლდე ტინი კი არ აღმოჩნდა, არამედ სირინოზი. უფსკრულის ძირში ანდამატი ყოფილა ჩამალული. გუინპლენს უნდოდა წინააღმდეგობა გაეწია მისი მიმზიდველი ძალისათვის, მაგრამ როგორ? იგი უკვე საყრდენს ვეღარ პოულობდა. ადამიანს ხანდახან ქარიშხალი დაეძგერება და გაიტაცებს ხოლმე. როგორც ხომალდი, ადამიანიც კარგავს მთელ თავის აღკაზმულობას. ადამიანის ღუზა სინდისია. თუმცა ეს მეტად საშინელია, მაგრამ ღუზაც ხომ შეიძლება მოსწყდეს ხომალდს.

გუინპლენი თავის თავს ვერც კი ეტყოდა: „ჰე, სახიჩარი გარ, საშინელი, ეს ქალი ხელის მკრავსო.“ ქალი ხომ სწორად, მოყვარული.

არის ხოლმე წამები, როდესაც ჩვენ თითქოს უფსკრულის პირას ვდგავართ. როდესაც კეთილს ვშორდებით და ბოროტს ვუახლოვდებით. ჩვენი არსების ის ნაწილი, რომელიც ღრუბებისაკენ გვიბიძგებს, ზეიმობს ჩვენზე გამარჯვებას და ბოლოს უფსკრულშიაც გვნთქავს. იქნებ გუინპლენისთვის ასეთი საკვალიო წუთი დადგა.

როგორ გადაირჩინოს თავი!

მაშ ასე, ეს ქალი ის ბანოვანია! პერცოგის ასული! ის აქ ყოფილა, ამ ოთახში. მყუდრო ადგილას. მარტოდმარტო. მძინარე. უქონაგო. ქალი მის ხელთ იყო და თვითონაც მთლად მის განკარგულებაში აღმოჩნდა.

აქ სადღაც, ცის ტატნობზე თქვენ ვარსკვლავი შენიშნეთ და აღფრთოვანებას განიცდით მის გამო. თუმცა ის შორს არის! რა შიშის შთანერგვა შეუძლია ჩვენში უძრავ ვარსკვლავს? მაგრამ ერთ დამეს ის ვარსკვლავი ადგილს გადაინაცვლებს და თქვენ ამჩნევთ, რომ ის ვარსკვლავის ირგვლივ მოციმციმე შუქია. მნათობი, რომელიც თქვენ უგრძნობ-უგუნებო გეგონათ, ამოძრავებულა. არა, ეს ვარსკვლავი კი აღარ არის, არამედ კომეტაა. ის დაუდეგარია და ხანძარს აჩაღებს ცაში. აი, ეს მნათობი მოახლოვდა, შეგაძრწუნათ თავისი ცეცხლოვანი თმებით; გადიდდა, გადიდდა და თქვენკენ გამოემართა. ოჰ, საშინელებავ! პირდაპირ თქვენკენ გამოქანდა. მოისწრაფვის. კომეტამ გიცნოთ, აღგზნებულია თქვენდამი ტრფობით. კომეტას თქვენთან სიახლოვე სწყურია. საშინელია ცოცხალი სხეულის მოახლოება. ის, რაც გიახლოვდებათ იმდენად კაშკაშაა, რომ შეიძლება დაგაბრმავოთ. ეს უკვე მოჭარბებულ სიცოცხლეს ნიშნავს, მას სიკვდილი მოსდევს. თქვენ უარს ეუბნებით ზენიტის ძახილს; უარყოფთ სიყვარულს, რომელსაც უფსკრული გთავაზობთ. თვალებზე ხელებს იფარებთ, იმალებით, გარბიხართ, თავს გადარჩენილად თვლით, თვალებს გაახელთ და... საოცარი ვარსკვლავი ისევ თქვენ თვალწინაა; და არა მარტო ვარსკვლავია იგი, არამედ მთელი სამყარო; ამოუცნობი ქვეყანა ცეცხლისა და ღვთაებისა. მორევიდან შობილი ფოთლის ჩანმთქმელი სასწაული. კომეტამ მთლად დაიპყრო ცისიერი. მის იქით აღარა არსებობს რა. ღრმა, დაუსრულებელ სა-

ერცეში იგი ლალიით ანათებდა. შორიდან ალმასივით ბრჭვინავდა, ხოლო ახლოს კი ცეცხლის ბრძმედად გადაიქცა. თქვენ ცეცხლის ალით ხართ გარემოცული.

და თქვენ გრძნობთ, რომ ეს სამოთხის სითბო გწვავთ.

IV

სატანა

მძინარე ბანოვანმა უცბად გაიღვიძა. სწრაფად და ამასთანავე მედიდურად წამოიწია თავისი საწოლიდან. ოქროსფერი, აბრეშუმივით ხასხასა, მშვენიერი თმა ჩამოეშალა ტანზე. პერანგის ღილკილო ჩამოხსნოდა და მხარი გაშიშვლებოდა. მან ნარნარი ხელი ფეხის ტერფს შეახო და ერთხანს დააცქერდა თავის შიშველ ფეხს. ეს ფეხი პერიკლესაც* აღტაცებაში მოიყვანდა და ფიდიუსის* საჭრისის ღირსიც იყო. შემდეგ გაიზმორა და დაამთქნარა, მსგავსად ძუ ვეფხვისა, რომელმაც მზის ამოსვლისას გაახილა თვალი.

ალბათ გუინპლენი მძიმედ სუნთქავდა. ყოველთვის ასე ხდება, როდესაც ადამიანი ცდილობს მღელვარება შეიკავოს.

— არის აქ ვინმე? — იკითხა ბანოვანმა და ტკბილად დაამთქნარა.

გუინპლენმა პირველად გაიგონა მისი ხმა. ხმა დამატყვევებლისა, რომელშიც რაღაც მიმზიდველი და ქედმაღლური ჟღერდა. ამ ხმის მბრძანებლურ თვისებას მოალერსე ინტონაცია არბილებდა.

უცბად მუხლისთავებზე წამომდგარი, ანტიკურ ქანდაკებას დაემსგავსა, რომელსაც თითქოს ტანსაცმლის ათასობით გამჭვირვალე ნაკეცი ატყვია. მან დილის ხალათისკენ გაიწოდა ხელი, წამოიზიდა იგი. გადმოხტა საწოლიდან და ელვისებური სისწრაფით გადაიცვა დილის ფორა კაბა, რამაც წამსვე თავიდან ფეხებამდე დაბურა ქალი. გრძელმა სახელოებმა ხელის მტევნებიც კი დაუფარა. კაბის კალთიდან მხოლოდ ბავშვის ფეხებივით პაწაწინა, თეთრი ფეხის თითები მოუჩანდა, ვიწრო, ვარდისფერი ფრჩხილებით.

ქალმა ხალათის საყელოდან ამოიკრიბა საუცხოო თმის ჭაველი და წალოს სიღრმეში მოხატულ სარკესთან მიირბინა. სარკის უკან ალბათ კარი იყო, რომ ქალი სარკეს მიეყრდნო.

საჩვენებელი თითი მოღუნა და სარკეზე დააკაკუნა.

— ვინ არის მანდ? თქვენა ხართ, ლორდო დევიდ? ასე ადრე რამ მოგიყვანათ? რომელი საათია? ბარკილფედრო ხარ თუ?

ბანოვანი მობრუნდა.

— არა, აქედან არ არის. ხმაური მეორე მხრიდან ისმის, — მანდ, აბაზანის ოთახში არის ვინმე? მიპასუხეთ! ვინ არის? თუმცა, არა, აქიდან ვერავინ მოვიდოდა.

ბანოვანი ვერცხლისფერი მარმაშის ფარდისკენ გაეშურა. დაბლა ფეხი მიჰკრა და გვერდზე გასწია. ზემო ნაწილს მხარი გაჰკრა და მარმარილოს დარბაზში შევიდა.

გუინპლენს სამარისებურმა სიცივემ დაუარა ტანში. სად უნდა დამალულიყო? გაქცევაც გვიანღა იყო; თანაც ადგილიდან დაძერის ძალ-ღონე აღარ ჰქონდა. იგი მოხარული იქნებოდა, თუ მის ფერხთით მიწა პირს იზამდა და თან ჩაიტანდა. გუინპლენი დარბაზის შუაგულში იდგა. ქალს არ გაუჭირდებოდა მისი დანახვა. და, აჰა. დაინახა და იცნო კიდეც.

მეტად გაოცებულმა შეხედა, მაგრამ სრულებითაც არ შემკრთალა. მის გამოხედვაში სიხარულიც ამოიცნობოდა და სიძულვილიც.

— აჰა, გუინპლენი! — შესძახა ბანოვანმა.

და უცბად ეს კატა ჯიქად გადაიქცა, ეცა გუინპლენსა და კისერზე ჩამოეკიდა.

სწრაფი მოძრაობისაგან განიერი სახელოები იღლიებამდე ჩაიკეცა, გაშიშვლებული ხელები ქალმა მაგრად მოხვია და გულში ჩაკრა.

შემდეგ ხელი ჰკრა, წაწყვეტილფრჩხილებიანი თითებით მხრებში ჩაებღაუჭა და პირდაპირ მდგომს რაღაც ყურადღებით დააცქერდა.

დააცქერდა საბედისწეროდ, თავისი სხვადასხვა ფერის, ალმასის ალდებარანივით* ანთებული თვალებით. იმ თვალებში აღბეჭდილი იყო რაღაც ქვენა და იმავე დროს მაღალი გრძნობაც. გუინპლენიც უცქეროდა მის ორივე თვალს, ცისფერსაც და შავსაც. უცქერდა და გონსა ჰკარგავდა ამ ციურისა და ჯოჯოხეთისადმი ცქერის გამო. ეს მამაკაცი და დედაკაცი თვალსა სჭრიდნენ და აჯადოებდნენ ერთმანეთს. მამაკაცი თვალისმომჭრელი და მომაჯადოებელი იყო თავისი სახიჩრობით, ქალი — თავისი მშვენიერებით. ორივე ურთიერთს შეეძრწუნებინა.

გუინპლენი დუმდა, თითქოს აუტანელ ჩაგვრას დაუჯაბნიაო. ქალმა შესძახა:

— მაშ შენ მოხვედი! კარგია, ჭკვიანურია. ალბათ გაიგე, რომ მაიძულეს ლონდონიდან წამოვსულიყავი და შენც აქეთ წამოხვედი. ძალიან კარგი! საოცარია, ამ სახახლეში როგორღა გაჩნდი?

როდესაც ორი არსება ერთმანეთის უფლება-გავლენაში ეცდება, მათ შორის ელვა აპრიალდება. გუინპლენში შინაგანმა გამოაფხიზლებელმა ალღომ გაიღვიძა. გაიღვიძა ბუნდოვანი შიშისა და სინდისის ხმამაც. იგი უკუდგა, მაგრამ ვარდისფერი ფრჩხილები მხრებში მაგრად ჩასჭიდებოდნენ და ძალით აკავებდნენ. რაღაც ულმობელი ახლოვდებოდა. მაძრი ცხოველი მდედრი ცხოველის ბუნაგში მოხვდა.

ქალი განაგრძობდა:

— შენ წარმოიდგინე, იმ სულელმა დედოფალმა ანამ გამომითხოვა აქ, ვინძორში; რისთვის, თვითონაც არ იცის; ახლა კი, როდესაც მე უკვე აქ მოვედი, ის თავის გამოშტერებულ კანცლერთან ერთად კარდაკეტილში თათბირობს. მაგრამ შენ როგორ მოახერხე ჩემთან შემოსვლა? ძალიან კარგია. მაშასადამე, შენ ნამდვილი მამაკაცი ხარ. ნამდვილი მამაკაცი დაბრკოლებებს არ ერიდება. მას ეძახიან და მოდის კიდევაც. შენ ჩემ შესახებ გაიგე რამე? ალბათ გაიგე, რომ მე ჰერცოგის ასული ჯოზიანა ვარ. ამ სახახლეში ვინ შემოგიძღვა? უეჭველია ჩემი გრუმი იქნებოდა. გონიერი ბიჭუნაა. მე მას ას გინეას ვაჩუქებ. აბა მითხარი, როგორ მოაგვარე ეს ყველაფერი? არა, სჯობს ნუ მეტყვი. არც მინდა ვიცოდე. ადამიანი რომ თავის გაბედულ მოქმედებაზე ალაპარაკდება, ამით უფრო აკნინებს მას. მე ის უფრო მესიამოვნება, შენში ამოუცნობ არსებას ვხედავდე. შენ იმდენად საბიჩარი ხარ, რომ სასწაულს მიგამსგავსებს ადამიანი. ციდან ჩამოვარდი თუ ჯურღმულიდან ამოხტი? ან ჭერი თუ გადაიხსნა ან იატაკი გაირღვა? მაშ როგორ შემოხვედი? ან ღრუბლებიდან ჩამოეშვებოდი, ან ჯოჯოხეთიდან ანთებული გოგირდის ალი ამოგიტაცებდა. შენ ღირსი ხარ იმისა, რომ ღმერთიეით გამოცხადდე ხოლმე. გადაწყდა. შენ ჩემი საყვარელი იქნები!

გუინპლენი დაბნეული უსმენდა; გრძნობდა, რომ გონებას კარგავდა. ყველაფერი დასრულდა, ამაში ეჭვიც აღარ იყო. ეს ქალი ადასტურებდა ყველაფერს, რაც კი იყო ნათქვამი წინა ღამით მიღებულ

წერილში. გუინპლენი საყვარელი გახდება ჰერცოგის ასულისა, სათაყვანებელი საყვარელი. გუინპლენის უბედურ გულში უსაზღვრო სიამაყე ისე შეირხა, როგორც შავი, ათასთავიანი გველეშაპი.

პატიჟსყვარეობა ის საშინელი ძალაა, რომელიც ჩვენს შინაგან არსებაში მოქმედებს, მაგრამ ისევ ჩვენსავე საწინააღმდეგოდ.

ჰერცოგის ასული განაგრძნობდა:

— შენ აქა ხარ, მაშასადამე, ასეთია ბედისწერა. მე სხვა არა მინდა რა. ცამ ინება თუ ჯოჯოხეთმა, ჩვენ ერთმანეთის საალერსოდ დაგვაახლოვა. აი სტიქსისა და ავრორას საქორწინო კავშირი! ყოველივე კანონის გამანადგურებელი, უგუნური კავშირი. როგორც კი დაგინახე, მაშინვე გავიფიქრე: „ეს არის სწორედ. მე იგი ვიცანი. ეს სწორედ ის ურჩხულია, არაჩვეულებრივი, სასწაულებრივი არსება, რომელზედაც ვოცნებობდი და ჩემი უნდა გახდეს-მეთქი“. მაგრამ ბედისწერას ხელის წახმარებაც სჭირდება, აი, ამიტომაც მოგწერე წერილი. ერთი რამ უნდა გკითხო: შენ გწამს, რომ ადამიანის ბედი წინასწარვეა განგებით გადაწყვეტილი? მე მას მერე დავრწმუნდი, როდესაც ციცერონეს თხზულებაში წავიკითხე სცაჰითის სიზმრის შესახებ. აჰ, რატომ აქამდე ვერ შევნიშნე! როგორ თავადურად გაცვია. ასეც უნდა. მით უმეტეს, რომ მიმოსი ხარ, ოინბაზი, ესეც კარგი მიზეზია, რომ ასე მოკაზმულიყავი. კომედიანტი ლორდს უდრის. ანდა განა რა არის ლორდი! იგივე მასხარა-გასართობია. შენ როგორი კეთილშობილი ტანადობისა ხარ! საუცხოო ნაკვთები და ახოვანება გეშჩევა. მაინც დაუჯერებელია, როგორ მოხვედი აქ, ამ სასახლეში? როდის მოხვედი? დიდი ხანია აქა ხარ? შიშველი დამინახე? კარგი ვარ, ხომ? ახლა აბაზანა უნდა მივიღო. ოჰ, როგორ მიყვარხარ! ჩემი წერილი ხომ წაიკითხე? შენ თვითონ წაიკითხე, თუ სხვამ წაგიკითხა? იცი კითხვა, თუ არა? ალბათ მთლად გაუნათლებელი ხარ. მე კითხვებს დაგაყრი, შენ ნუ მიპასუხებ. შენი ხმა მე არ მომწონს; მეტად ნაზია. შენისთანა არსება კი არ უნდა ლაპარაკობდეს, უნდა გრგვინავდეს. შენი ლაპარაკი სიმღერასავით ჩამესმის. ეს არ მსიამოვნებს. მხოლოდ ეს ერთი რამ არ მომწონს შენში. დანარჩენი ყველაფერი შენში საშინელია და ამიტომ საუცხოოა! ინდოეთში შენ ღმერთად გაღიარებდნენ. ასე საშინლად რატომ გიცინის სახე, ასეთი დაიბადე? რა თქმა უნდა, არა! ალბათ დაგასახიჩრეს, რაიმე მიზეზის გამო დაგსაჯეს?

მე მგონია, რალაც ბორიტი საქმე ჩაიდინე და იმისათვის მოდი, ერთი მომეხვიე!

ბანოვანი შეხლონგზე დაეშვა და გუინპლენიც თან მიიწია. თვითონაც ვერ გაეგოთ, როგორ მოუსხდნენ ერთმანეთის მკერდზე. ქალის ნაალვარევით სწრაფი ლაპარაკი გუინპლენის ყურებში გააფთრებული ქარიშხალივით მიმხუოდა. კაცს უჭირდა ამ გადარეული, გახელებული სიტყვების აზრი გაეგო. ბანოვანის თვალებიკი ალტაცებული სიხარული ელავდა. იგი ლაპარაკობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ვნებიანად, ნაზი, ალერსებული ხმით. მისი სიტყვები მუსიკასავით ჟღერდნენ, მაგრამ ეს მუსიკა გუინპლენს ქარიშხალივით ჩაესმოდა.

ჰერცოგის ასული ისევ ჩააშტერდა გუინპლენს.

— შენს გვერდით მე დამცირებულად ვგრძნობ თავს — რა ბედნიერებაა! ჰერცოგის ასულად ყოფნა საშინლად მოსაწყენია. მყუდრო სიხლის არსება იყო, ამაზე მეტი მომქანცველობა შეიძლება? დამცირებით მე დავისვენებ. იმდენად მომბეზრდა პატივ-დიდება, რომ მინდა მოძულებული გავხდე. ჩვენ ყველანი ცოტათი დამთხვეულები ვართ! დაწყებული ვენერადან, კლეოპატრადან,* ქალბატონი დე შევრეზიდან* და ქალბატონი დე ლონგვილიდან, ჩემით დამთავრებული. მე არ დავმალავ ჩვენს სახიყვარულო ურთიერთობას, ამას წინასწარვე გეუბნები. ამ სახიყვარულო ინტრიგას არცთუ სახარბიელოდ მიიღებს სტიუარტების მეფური საგვარეულო, რომელსაც მე ვეკუთვნი. ოჰ, ძლივს მეც თავისუფლად ამოვისუნთქავ! ვიპოვე გამოსავალი! მხრებიდან გადავიგდებ სახელ-დიდებას. დავკარგავ ჩემი მდგომარეობის ყველა უპირატესობას. მაშასადამე, თავს გავითავისუფლებ ბორკილებისგან. ყველაფერი დავგმო, ყველაფერს წინ აღვუდგე, ყოველივე ჩემებურად გადავაკეთო. აი, ამაშია ნამდვილი სიცოცხლე. გესმის, მე შენ მიყვარხარ.

ქალი შეჩერდა. სახე აუფაკლდა. აებედითი ღიმილი აესახა.

— მე შენ მიყვარხარ არა მხოლოდ იმიტომ, რომ სახიჩარი ხარ, არამედ იმიტომაც, რომ შენ მდაბიო ხარ. მე შენში ეგ ურჩხულიც მიყვარს და მასხარა-კომედიანტიც. საყვარლად გვაელეს კაცი მოძულებული, განდევნილი, სასაცილო, საზიზღარი, ქვეყნის მასხარად გამომდგარი იმ სამარცხვინო ბოძთან, რასაც თეატრს უწოდებენ — ამაში რალაცნაირი განსაკუთრებული სიტკბოებაა.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჯოჯოხეთური უფსკრულის ნაყოფი იგემო. ასეთი საყვარელი, რომელიც არც ხვენს ბანოვანს, ო, ეს აღტაცებას იწვევს! ვიგემო ვაშლი არა ედემისა, არამედ ჯოჯოხეთისა, აი რა მიძღვავს მე. აი რა მწყურია. მე უფსკრულის ქვა ვარ. შენ, ალბათ თვითონაც არ იცი და — დემონი ხარ. მე შევინახე, დავიცავი ჩემი ქალწულობა ასეთი ურჩხულისათვის, როგორიც მხოლოდ სიზმრად თუ მოევლინება ადამიანს. შენ ჯოჯოხეთის დიდებული ხარხარის განხორციელება ხარ, შენ ის მბრძანებელი ხარ, რომელსაც მე ვე-ლოდი. ისეთი საყვარელი მჭირდება, როგორიც მხოლოდ მედეას შეეძლო, ან კადმას. დარწმუნებული ვიყავი, რომ თავს გადამხდე-ბოდა რაღაც საშინელი და არაჩვეულებრივი. შენ სწორედ ისა ხარ, ვინც მე მსურდა. მე ბევრ ისეთ რამე გეუბნები, რისაც შენ ალბათ არაფერი გაგეგება. მე ჯერ არავის დავნებებივარ. შენ გნებდები უძრახველად, უმანკო. შენ, როგორც ჩანს, არა გჯერა ჩემი ნათქვა-მი; მაგრამ რომ იცოდე, ეს ჩემთვის რამდენად უმნიშვნელოა.

ქალის სიტყვები ვულკანის ამოხეთქვასა ჰგავდა. ეტნას ფერ-დობზე რომ ხვრელი გაებურღლათ, იქიდან ისეთივე ალის ნიაღვარი ამოსკდებოდა.

გუინპლენმა წაიბურდღუნა:

— ქალბატონო...

ბანოვანმა პირზე ხელები მიაფარა.

— ჩუმად! მე ვტკბები შენი ცქერით. გუინპლენ, მე უბიწო ვარ და იმავე დროს თავნება-აშალლარა. მე ქალწული ბაქხანაკაც ვარ. ჯერ არც ერთ მამაკაცს არ დავნებებივარ და შემეძლო დელფო-სის პითია ვყოფილიყავი. შემეძლო შიშველი ქუსლით შევდგომო-დი ბრინჯაოს იმ ზედადგარს ტაძარში, სადაც ქურუმები პითონის ტყავზე მიყრდნობილნი ჩურჩულით მიმართავენ უხილავ ღვთაებას. მე ქვის გული მაქვს, მაგრამ იგი იმ იდუმალ რიყის ქვასა ჰგავს, როგორებსაც ზღვა მირიყავს ხოლმე ჰენტლი-ნაბის კლდის ძირას, თისას შესართავთან. ასეთი ქვა რომ გასტეხო, შიგნით გველი აღ-მოჩნდება. ეს გველი ჩემი საყვარულია, ყოვლად ძლიერი საყვარუ-ლი. ამან შეგაძლებინა შენ აქ მოსვლა. ჩვენ განუზომელი სივრცე გვაშორებდა ერთმანეთს. მე სირიუსზე ვიყავი, შენ ალიოთზე. შენ შეუძლებელი ნაბიჯი გადადგი, ძნელი გზა გადალახე, აი, აქა ხარ! გაჩუმდი! დამიმორჩილე! გნებდები!

ქალი გაჩერდა. ვაჟი თრთოლამ აიტანა. ბანოვანმა ისევ გაიღიმა.

— გაიგე, გუინპლენ, ოცნება იგივე შემოქმედებაა, სურვილი იგივე მონდება და ძახილია. საკუთარ წარმოსახვაში ქიმერის შექმნა იმას ნიშნავს, რომ მას სიცოცხლე მისცე. საშინელი, ყოველდღიურ წყვდიადი ნებას არ გვაძლევს უშედეგოდ მივმართოთ მას და შევეხოთ. ამიტომ მან მე სურვილი ამისრულა და აჰა, შენ აქა ხარ. მაშ მე გადაგწყვეტ, რომ პატივი ავხადო ჩემს თავს? დიახ, გადაწყვეტ, რომ შენი საყვარელი გავხდე, შენი ხასა, შენი მზეკალი და საგანი? დიახ, სიხარულით, გუინპლენ, მე დედაკაცი ვარ. ხოლო დედაკაცი თიხაა, რომელიც მოწყურებულია ტალახად იქცეს. ჩემთვის აუცილებელია თავის მოძულება. ეს საუკეთესო სანელებელია სიამაყისა. სიმდაბლე მშვენიერ ელფერს სძენს სიდიადეს. ისე არაფერია ურთიერთისადმი შეხამებული, როგორც ეს ორი უკიდურესობა. თუნდაც შენ, ყველასაგან მოძულებულო, შენც მომიძულე. დამცირებულის წინაშე თავის დამცირება, რა სიტკბოებაა! ეს არის ყვავილი ორნაირი პატივაყრილობისა. და მე მოვწყვეტ ამ ყვავილს. თუნდ ფეხით გამთელო, უფრო ძლიერი იქნება შენი საყვარული ჩემდამი. მე ეს ვიცი... გასაგებია შენთვის, რისთვის გაღმერთებ? იმისათვის, რომ მძულხარ. შენ იმდენად დაბლა დგახარ ჩემზე, რომ მე შემიძლია საკურთხევლის კანკელზე აღგამაღლო. ხმელეთის შეერთება ქვესკნელთან ქაოსის შექმნასა ნიშნავს, და ქაოსი მე მიზიდავს. ქაოსი ყველაფრის დასაწყისია და დასასრული. რა არის ქაოსი? უსაზღვრო სისაძაგლე. და ამ სისაძაგლიდან შექმნა ღმერთმა სინათლე. ტალახიდან რომ მნათობი გამოძერწო, ეს მე ვიქნები.

ამას ამბობდა ეს შეშხარავი ბანოვანი ქალი. იგი მოძრაობდა და აფრიალებული ფორა კაბა ქალწულ ტანს უჩენდა.

ბანოვანი ქალი განაგრძობდა:

— ყველასთვის ძუ მგელი ვარ, შენთვის კი ძაღლი გავხდები. ყველა განცვიფრებული დარჩება! იმაზე სასიამოვნო რაღა იქნება, რომ სულელები გააკვირვო! მე შესმის ჩემი გულის პასუხი; ვინ ვარ მე? ქალღმერთი? ამფიტრიტა ციკლოპს დანებდა. ვინა ვარ მე? ფერია? ურგილამ თავის სარეცელზე რვახელიანი ბუგრიქსი მიიღო. ნახევრად კაცი და ნახევრად ფრინველი, რომელსაც თითებს შუა აპკები ჰქონდა. ვინ ვარ მე? პრინცესა? მარიამ სტიუარტს რიჩო ჰყავდა. სამ ულამაზესს, სამი სახიჩარი ჰყავდა. მე მათ გადავაჭარ-

მე, რადგან შენ იმათ საყვარლებზე უფრო მახინჯი ხარ. გუინპლენ, ჩვენ ერთმანეთისთვის დავბადებულვართ. შენ სახით ხარ ურჩხული, მე სულით ვარ ურჩხული. აი, სწორედ ამისთვის მიყვარხარ. დე, ეს ჩემს ცინიანობას მოეწონოს. აბა რა არის ქარიშხალი? ის ხომ ქარების ჯინისაგან არის შექმნილი. ჩვენ შორის კოსმოსური მსგავსებაა. შენც და მეც, ჩვენ ორივე წყვდიადის შვილები ვართ. წყვდიადმა დაასვა დამღა შენს პირისახეს და ჩემს სულს. და შენც შენდათავად, მე წარმოიმშვი. შენმა მოსვლამ ჩემი სულის თვისება გამოამჟღავნა. მე თვითონ არ ვიცოდი ჩემი სულის თვისების რაობა. მე თვითონ მანცვიფრებს და თავზარს მცემს იგი. მე ღმერთქალი ვარ, მაგრამ შენმა მოახლოებამ გველეშაპად მაქცია. შენ გადამიხსენი და დამანახე ჩემი ნამდვილი ბუნება. შენი წყალობით მე ჩემი სულის სიღრმეში ჩავიხედე. ხედავ, რანაირად ვგავართ ერთმანეთს. შეგიძლია ჩაიხედო ჩემში, ისე როგორც სარკეში. შენი პირისახე ჩემი სულია. მე სულაც არ ვიცოდი, რომ ასეთი საზარელი ვიყავი; მაშასადამე, მეც იგივე ურჩხული ვყოფილვარ, ო, გუინპლენ, შენმა ნახვამ მოწყენილობა თითქმის სულ გამიქარვა.

ბანოვანმა გადაიკისკისა. რაღაც უცნაურად, ბავშვურად. მისკენ გადაიხარა და ყურში უჩურჩულა:

— ჭკუადამთხვეული ქალის ნახვა თუ გინდა? მაშ, აჰა, იგი შენ წინ არის.

მისი მზერა გუინპლენს აჯადოებდა. ასეთი მზერა იგივე თილისმური სასმელია. ქალის ფორა კაბა გადაფრიალდებოდა ხოლმე და გუინპლენი თვალით ხედავდა საშინელებამდე ლამაზ სხეულს. ბრმა, ცხოველური ჟინი მოერია გუინპლენს. ჟინი და იმავე დროს მომაკვდინებელი ტანჯვა.

ეს ქალი — ბანოვანი ლაპარაკობდა და მისი სიტყვები გუინპლენს ცეცხლად ეკიდებოდა. ის გრძნობდა, რომ გამოუსწორებელი რამ უნდა მომხდარიყო. ძალა არ შესწევდა ერთი სიტყვა მაინც ეთქვა. ქალი ხან ჩერდებოდა, აკვირდებოდა მას და ჩურჩულებდა: „ო, საზარელო!" ამ ქალში რაღაც მტაცებლური რამ იყო, იგი ხელებში მისწვდა გუინპლენს და ჩაეჭიდა, ჩაეჭიდა და განაგრძო:

— გუინპლენ, მე სამეფო ტახტისთვისა ვარ დაბადებული. შენ ბალაგანის ფიცარნაგზე კომედიანტობ. დე, ასე იყოს, მაგრამ ჩვენ მაინც სულ ერთად ვიქნებით. ჰა, რა ბედნიერებაა, რომ მე ასე

მარმარილოს ქანდაკებებია, კავალერ ბერნინის ნამუშევრები. ახლა ყვავილები რამდენია! მეტად ბევრია და ბევრზე ბევრი. ვარდები გაზაფხულობით ხანძარივით იგზნებიან. მე მგონი, უკვე გითხარი, რომ ლედოფალი ჩემი და არის! მაშ, როგორც გსურს, ისე მომეპყარი. მე იმისთვის გავჩენილვარ, რომ იუპიტერი ფეხებს მიკოცნიდეს და სატანა კიდევ სახეში მაფურთხებდეს. შენ რა სარწმუნოებას მისდევ? მე პაპის სარწმუნოების მიმდევარი ვარ. მამაჩემი, იაკობ მეორე, საფრანგეთში მოკვდა. მას იეზუიტების მთელი ჯგუფი გარს ევლებოდა. რასაც მე შენის სიახლოვით განვიცდი, ასეთი რამ არავისოდეს არ მიგრძნია. აჰ, როგორ მინდოდა საღამოთი ძოწეულის ფარდულიანი ნავით შენთან ერთად ბალიშზე მისვენებულს ზღვაზე გამესეირნა! თანვე მუსიკის ხმაზე, ზღვის უსაზღვრო სიმშვენიერით დავმტკბარიყავი. გინდა შეურაცხყოფა მომაყენე, გინდა დამკარი! სიყვარულის სამაგიერო მომიგე! ისე მომექეცი, როგორც უმართებულო საქციელის მდაბალ არსებას! მე შენ გაღმერთებ.

ბრდღვინვა-ღმუილი შეიძლება სიყვარულის ხმა იყოს. თქვენ ეჭვი გაქვთ? აბა ყური დაუგდეთ გალიასთან ლომებს. ეს ბანოვანი ქალი ერთსა და იმავე დროს საშინელიც იყო და ნაზიც. ძნელია ამაზე უფრო ტრაგიკული რამ წარმოიდგინო. ეს ქალი გულსაც უკოდავდა კაცსა და ალერსითაც აამებდა. იგი ველური კატასავით დააცხრებოდა კაცს და თან უმალვე უკუიხევდა. ამგვარ თამაშში მჟღავნდებოდა მისი ველური ინსტინქტები. მის თაყვანისცემას ერთგვარი გამომწვევი რამ ეტყობოდა. ამ ქალის გახელება გალაშქრება იყო. მისი საბედისწერო სიტყვები ტლანქადაც ჟღერდნენ და ნაზადაც. მისგან შეურაცხმყოფელი სიტყვები არ შეურაცხყოფდნენ ადამიანს. ხოლო მისი უსაზღვრო სიყვარული და თაყვანისცემა დამამცირებლად მოქმედებდნენ. მისგან სილაქის შემოკვრა მიუწვდომელ სიმაღლემდე აამაღლებდა ადამიანს. მისი ინტონაცია მისსავე გახელებულ, ვნებით აღსავსე სიტყვებს პრომეთესებურ სიმაღლეს სძენდა. ესქილეს* მიერ ხოტბაშესხმული დღესასწაულები დიდი ღმერთქალისადმი მიძღვნილი, ასეთივე ბნელ ეპიკურ გახელებას აღვიძებდნენ იმ დედაკაცთა შორის, რომლებიც ვარსკვლავიან ღამეში სატირებს დაეძებდნენ. ვნების ასეთი პაროქსიზმები თან სდევდა ხოლმე იმ იდუმალ ცეკვებს, რომლებიც დოდონას ტყეებში ხდებოდა. ეს ბანოვანი ქალი, თითქოს ფერიცვალებაში იყო,

თუკი ფერიცვალება შესაძლოა მათთვის, ვინაც ცას განუდგება, მისი თმა ფაფარივით ფრიალებდა. მისი ფორად გაშლილი კაბა ხან შეიკეცებოდა და ხან გადაიხსნებოდა. ამ ბანოვანის გულ-მკერდზე უშშვენიერესი აღარა იქნებოდა რა. ამ გულ-მკერდიდან ამოხეთქილა ხოლმე ველური ღალადისი. მისი ცალი, ცისფერი თვალის სხივები, მეორე, შავი თვალის ალმურს უერთდებოდა. ამ ქალში რაღაც არაადამიანური იყო. გუინპლენს ღონე გამოელია მისი სიახლოვისაგან. მთლად მის გავლენაში მომწყვდეული, გრძნობდა თავის დაშარცხებას.

— მე შენ მიყვარხარ! — შესძახა ჯოზიანამ.

და თითქოს კბენსო, ისე დააცხრა ბაგეებზე.

გუინპლენსა და ჯოზიანას მალე დასჭირდებოდათ ერთი იმ ღრუბელთაგანი, რომლებითაც ჰომეროსი ხანდახან დაბურავდა ხოლმე იუპიტერსა და იუნონას. შეუყვარდე თვალხილულ ქალს, რომელიც გხედავს, გრძნობდე შენს დასახიჩრებულ სახეზე მისი საუცხოო ბაგეების შეხებას, ეს გუინპლენისათვის მეტად მწველი ნეტარება იყო. გრძნობდა, რომ ამ არაჩვეულებრივი, ამოუცნობი ბანოვანის წინაშე ყველაფერი ქრებოდა მის სულსა და გულში. იქ დეას ხატება ოდნავღა კვნესოდა და უკვე აღარ შეეძლო შებრძოლებოდა ამ ბნელეთის მოზღვავებას. არის ანტიკური ბარელიეფი, სფინქსის გამოსახულებით, რომელიც ამურსა ნთქავს. და ეს ამური, ღვთაებრივი სინაზის ქმნილება, სისხლად იცლება. გააფთრებული და თან მოღიმარი საზარელი არსების კბილები ფატრავენ ამურის ფრთებს.

უყვარდა კი გუინპლენს ეს ბანოვანი ქალი? განა შეიძლება ადამიანს დედამიწის ბურთივით ორი პოლუსი ჰქონდეს? ნუთუ ჩვენც უძრავი ღერძის გარშემო ვტრიალებთ და შორიდან ვარსკვლავად მოვჩანვართ, ხოლო ახლოდან ტალახის გუნდად? იქნებ ჩვენ სფერო ვართ, სადაც დღეს ღამე ცვლის? ნუთუ გულს ორი მხარე აქვს, ერთი სინათლის მოყვარული, მეორე — სიბნელის? აქ, პირველ მხარეში ქალი — სხივია; იქ, მეორეში, ქალი — კლოაკაა? ანგელოზი აუცილებელია ადამიანისთვის, მაგრამ ნუთუ მას არ შეუძლია სატანას არ დაუკავშირდეს? სულს რად უნდა ღამურას ფრთები? ნუთუ ყველასთვის დგება საბედისწერო, შავბნელი საათი? ნუთუ ჩვენს ბედისწერას ცოდვა თან სდევს, როგორც განუყოფელი რამ

და მას ვერას გზით თავიდან ვერ ავიცილებთ? ნუთუ ჩვენს ბუნებაში არსებული ბოროტება ისე უნდა მივიღოთ, როგორც განუყოფლად დაკავშირებული მთელ ჩვენს არსებასთან? ნუთუ აუცილებელია ცოდვას თავისი ხვედრი მივხვდოს? ღრმად ამაღელვებელი საკითხია.

გარდა, რომელიღაც ხმა დაბეჯითებით ჩამოგვძახის, რომ სისუსტე დანაშაულია. გუინპლენი ენით გამოუთქმელ გრძნობას განიცდიდა. მის არსებაში ერთდროულად იბრძოდა ხორციელი გულისთქმა, სიცოცხლის წყურვილი, ავხორცობა, მტანჯველი მტკბარი ლრობა და ხარბხვილას ის ნატამალი, რომელიც მთლად არ ჩაეკლა პატივმოყვარეობას. ნუთუ იგი ცდუნებას დაემორჩილება?

ჯოზიანამ გაიმეორა:

— მე შენ მოგვარხარ!

და გაშმაგებით მიიკრა იგი გულზე.

გუინპლენს სული ეხუთებოდა.

უცბად იქვე, მათ ახლოს ზარი ხმამაღლა აწკარუნდა. ეს კედელში მისადაგებული პატარა ზანზალაკი რეკავდა. ჰერცოგის ასულმა იქით მიიხედა და წარმოთქვა:

— რა უნდა იმ ქალს ჩემგან?

უცბად რაკუნი გაისმა და თითქოს სახურავი დაჭიმული ზამბარისგან უკუაგარდაო, ისე გაიღო ვერცხლის პატარა კარი, მეფის გვირგვინიანით მოოჭვილი.

გამოჩნდა პატარა კოშკურა-ნიშის ცისფერი ხავერდით შემოფენილი შიგნითა კედლები, იქ ოქროს სინზე წერილი იდო.

მოსჭრა, ოთხკუთხედი კონვერტი ისე დაედოთ, რომ ალისფერი ლუქის დიდი ბეჭედი უცბად თვალში მოსახვედრი ყოფილიყო. ზანზალაკი ისევ რეკავდა.

ღია პატარა კარი თითქმის ეხებოდა იმ შეზლონგს, რომელზედაც ისხდნენ ჯოზიანა და გუინპლენი. ჰერცოგის ასულს ერთი ხელი გუინპლენისთვის შემოეხვია კისერზე. ის დაიხარა, მეორე ხელით წერილი აიღო და პატარა კარი მიხურა. თახჩა დაიხურა და ზანზალაკის რეკვაც შეწყდა.

ჰერცოგის ასულმა ბეჭედი გატეხა, კონვერტი გადახია, გამოიღო იქიდან ორი ფურცელი და კონვერტი იატაკზე, გუინპლენის ფერხთით დააგდო.

პეჭედი ისე გადატყდა, რომ გუინპლენმა შენიშნა მეფის გვირგვინი და მის ქვეშ ასო „ა".

კონვერტის მეორე მხარეს ეწერა, „მის ბრწყინვალებას ჰერცოგის ასულ ჯოზიანას".

ჯოზიანამ ამ კონვერტიდან გამოიღო პერგამენტის დიდი ფურცელი და პატარა ბარათი ველენის ქაღალდზე დაწერილი. პერგამენტზე სამდივანმწერლოს მწვანე ბეჭედი იყო დაკრული, დიდი ზომისა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ეს საბუთი დიდებული პიროვნებისა იყო. ჰერცოგის ასული, ჯერ ისევ აღტაცებით დამტკბარი და თვალებდაბინდული იყო; მას ოდნავ უკმაყოფილოდ დაემანჭა სახე.

— აჰ, ეს კიდევ რა არის! ისევ ქაღალდებს მიგზავნის. რა მომაბეზრებელი დედაკაცია! — წარმოთქვა ჯოზიანამ, პერგამენტი გვერდზე გადადო და ბარათი გაშალა.

— მისი ხელია, ჩემი დის ხელი. როგორ მომწყინდა ეს ყველაფერი! გუინპლენ, მე უკვე გკითხე: კითხვა იცი-მეთქი! იცი კითხვა?

გუინპლენმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

ქალი შეზლონგზე გაწვა, უცნაური მორიდებით დაიფარა ფეხებზე კაბის კალთა და მკლავებზე წამოიფარა განიერი სახელოები, თუმცა გულ-მკერდი მოშიშვლებული ჰქონდა და გუინპლენს, ისედაც ვნებისაგან მთვრალს, ცეცხლს უკიდებდა, ბარათის ფურცელი გუინპლენს გაუწოდა და უთხრა:

— ჰოდა, აი, გუინპლენ, შენ ახლა ჩემი საკუთრება ხარ. მაშ შევუდგეთ შენს სამსახურს. ჩემო საყვარელო, წაიკითხე, რასა მწერს დედოფალი.

გუინპლენმა გამოართვა წერილი, გაშალა და დაიწყო კითხვა; ათასნაირი გრძნობებით აფორიაქებულს, ხმა უკანკალებდა.

„ქალბატონო!

ყოვლადმოწყალედ გიგზავნით თქვენ ამასთან დართულ ოქმის პირს, რომელიც დამოწმებული და ხელმოწერილია მსახურისა ჩვენის კოუპერისაგან, ინგლისის სამეფოს ლორდ-კანცლერისაგან. ამა ოქმიდან ნათელი ხდება ფრიად ღირსსაყურადღებო გარემოება, სახელდობრ ისა, რომ ლორდ ლინეუს კლენჩარლის კანონიერი ვაჟი, აქამდე გუინპლენის სახელით ცნობილი, კომედიანტებისა და ოინბაზ-მასხარების წრეში მდაბალი, მოხეტიალე ცხოვრების მიმდევარი, აწ ნაპოვნია და მისი პიროვნება დადგენილია. ყველა მისი

კეთილი ქონების უფლება მან დაკარგა სულ მოლად მცირე ასაკამდე; თანახმად სამეფოს კანონებისა და საკუთარ მემკვიდრეობათა ძალით, ლორდი ფერმენ კლენჩარლი, ძე ლორდ ლინეუსისა დღესვე აღდგენილ იქნება თავის პირად წოდება-ღირსებებში და ლორდთა პალატის წევრთა შორის ჩაირიცხება. ამგვარ გარემოებათა გამო, გვნებავს რა გამოვხატოთ ჩვენი თქვენდამი კეთილგანწყობა და ადრევე თქვენთვის გადმოცემული კლენჩარლი-ჰენკერვილის ლორდების ადგილ-მამულების ისევე თქვენს უფლებებში დატოვება, ამიტომ ჩვენ გთხოვთ მას საქმროდ, ნაცვლად ლორდ დევიდ დერი-მოირისა. ჩვენ განკარგულება გავეცით მოეყვანათ ლორდი ფერმენი თქვენს რეზიდენციაში, კორლეონ-ლოჯში. ჩვენ ვბრძანებთ, აგრეთვე, როგორც და და დედოფალი ვაცხადებთ სურვილს, რათა ლორდი ფერმენ კლენჩარლი, დღევანდლამდე გუინპლენად სახელდებული, ქორწინებით შეუღლდეს თქვენთან და გახდეს თქვენი ქმარი. ასეთია ჩვენი ნება, ნება დედოფლისა".

ვიდრე გუინპლენი კითხულობდა და ხმაც თითქმის ყოველ სიტყვაზე ეცვლებოდა, ჰერცოგის ასული ბალიშიდან წამოწეული გაფაციცებით უსმენდა და თვალმოუშორებლივ უცქეროდა. როდესაც გუინპლენმა კითხვა დაასრულა, ჯოზიანამ წერილი ხელიდან გაიშოსტაცა.

— ანა დედოფალი, — წარმოთქვა დაფიქრებით, რა წამს ხელმოწერას დახედა.

ჰერგამენტი იატაკიდან აიღო, სწრაფად გადაპკრა თვალი; ეს იყო საუთვორქის შერიფისა და აგრეთვე ლორდ-კანცლერის დამოწმებული იმ საბუთის პირი, რომელშიც აღიარეს თავიანთი მოქმედება „მატუტინაზე" დალუპულმა კომპრაჩიკოსებმა.

შემდეგ ბანოვანმა ხელახლა გადაიკითხა დედოფლის წერილი და წარმოთქვა:

— კარგი.

მშვიდად მიუთითა გუინპლენს ტალანისკენ გასასვლელ ფარდაზე და ბრძანა:

— წადით.

გაქვავებული გუინპლენი ადგილიდან არ იძვროდა.

ქალმა გულცივად გაიმეორა:

— რაკი თქვენ ჩემი ქმარი ხართ, მაშ წადით.

გუინპლენი დამნაშავესავით თვალებდახრილი ხმაამოუღებლივ იჯდა.

ბანოვანმა დასძინა:

— თქვენ უფლება არა გაქვთ, აქ დარჩეთ. ეს ადგილი ჩემი საკარლიონეასა განკუთვნილი.

გუინპლენი ისევ ისე იჯდა, თითქოს ადგილზე მიულურსმავთო.

— კარგი, თუ ასეა, მე წავალ. — თქვა ისევ ბანოვანმა. — მაშ თქვენ ჩემი ჩარი ხართ? საუცხოოა! მე თქვენ მძულხართ.

ქალი ადგა, გამომშვიდობების ნიშნად, ქედმაღლურად ხელი სიკრცეში გააქნია და ოთახიდან გავიდა.

ტალანის ფარდა მისი გასვლისთანავე ჩამოეშვა.

V

ᲘᲪᲜᲔᲡ ᲛᲠᲝᲛᲐᲜᲔᲛᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲩᲜᲔᲜ ᲣᲪᲜᲝᲑᲜᲘ

გუინპლენი მარტო დარჩა.

მარტო, თბილ აბაზანასა და გაშლილ ლოგინთან.

მის თავში სრული ქაოსი იდგა. ის, რაც მის შემეცნებაში წარმოიშვა, აზრებს არც კი ჰგავდა. ეს იყო რაღაც ბუნდოვანი, დაუკავშირებელი, გაუგებარი და მტანჯველი. მისი გონების თვალწინ გუნდ-გუნდად მიქროდნენ კოშმარული სახეები.

ამოუცნობ სამყაროში ფეხის შედგმა ადვილი როდია.

გრუმის მიერ მოტანილი ჰერცოგის ასულის წერილიდან დაწყებული, გუინპლენს ერთიმეორის მიყოლებით თავს დაატყდა იმდენი მოულოდნელი, თანდათან უფრო მიუწვდომელი ამბები, რომ ამ წუთამდე თითქოს ეძინა, მაგრამ ყველაფერს კი ნათლად ხედავდა. ახლა ის თავის გონზე მაინც ვეღარ მოსულიყო და იძულებული ხდებოდა ვარაუდით ემოქმედა.

არც არას ფიქრობდა, არც რაიმე აზრად მოსდიოდა. მხოლოდ გარემოებათა დინებას ემორჩილებოდა, მეტი არაფერი.

ისევ შეზლონგზე იჯდა, სწორედ იმავე ადგილას, სადაც ჰერცოგის ასულმა მიატოვა.

უცბად ამ სრულ სიწყნარეში ვიღაცის ნაბიჯების ხმა მოისმა, უფრო მამაკაცის ნაბიჯსა ჰგავდა. ნაბიჯის ხმა გვერდიდან, ტალა-

ნას მოპირდაპირე მხრიდან მოისმოდა. იქიდან, საითაც ჰერცოგის ასული მოიმალა. ნაბიჯები ყრუდ, მაგრამ გარკვევით მოისმოდა; გუინპლენმა, მთლად ჩანთქმულმა თავის ამბებში, ყური ცქვიტა.

ჰერცოგის ასულის მიერ გადაწეული ვერცხლისფერი მარმაშის ფარდის იქიდან, საწოლის უკან, სწრაფად გამოიღო მოხატული, სარკით მოფარებული საიდუმლო კარი და სარკეებიანი ოთახი აახმაურა მხნე, მხიარულმა სიმღერამ, ძველებური ფრანგული მინამღერით:

და სამი გოჭი — ჭუჭყში ჩაფლული,
ტალახისაგან მთლად გალაფულნი,
სამთავ ცელქები, სამთავ ავები
იღრინებოდნენ, ვით მხიდავები.

შემოვიდა ვაჟკაცი, სარტყელზე ხმალი ეკიდა, ბუმბულებით დამშვენებული ქუდი ხელში ეჭირა. ოქრომკედით ნაკერ საზღვაო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი.

გუინპლენი ფეხზე წამოიჭრა, თითქოს ზამბარამ ააგდოო.

მან იცნო მოსული და მოსულმაც იცნო იგი.

განცვიფრებულებმა ერთდროულად შესძახეს:

— გუინპლენ!

— ტომ-ჯიმ-ჯეკ!

ბუმბულებით მორთული ქუდის პატრონი გუინპლენთან მივიდა, ხოლო გუინპლენმა ხელები გულზე დაიკრიფა.

— შენ აქ როგორ გაჩნდი, გუინპლენ?

— შენ როგორლა გამოცხადდი აქ, ტომ-ჯიმ-ჯეკ?

— ჰო, ახლა მესმის, ჯოზიანას მოეგუნება! კომედიანტი-მასხარა და ისიც სახიჩარი. მეტად მომხიბლავია მისთვის ასეთი არსება. მას გულმა აღარ გაუძლო, რომ არ მოეწვიე. შენ ტანსაცმელი გამოგიცვლია.

— შენც გამოგიცვლია, ტომ-ჯიმ-ჯეკ?

— გუინპლენ, რას ნიშნავს ეგ წარჩინებულის ტანსაცმელი?

— ეგ ოფიცრის ტანსაცმელი რაღას ნიშნავს, ტომ-ჯიმ-ჯეკ?

— მე პასუხს არ ვიძლევი კითხვებზე, გუინპლენ.

— არც მე ვიძლევი პასუხს ტომ-ჯიმ-ჯეკ.

— გუინპლენ, მე ტომ-ჯიმ-ჯეკი არა მქვია.

— ტომ-ჯიმ-ჯეკ, არც მე მქვია გუინპლენი.

— გუინპლენ, მე აქ ჩემს სახლში ვარ.

— ტომ-ჯიმ-ჯეკ, მე ვარ აქ ჩემს სახლში.

— მე გაკრძალავ ჩემი სიტყვების გამეორებას. შენ ირონია გეხერხება, მაგრამ მე ჯიხი მაქვს. კმარა ჩემი გამოჯავრება, უბადრუკო მასხარავ!

გუინპლენი გაფითრდა.

— შენ თვითონ მასხარავ! მაგ შეურაცხყოფისათვის პასუხს გამცემ.

— შენს ბალაგანში, მუშტებით, რამდენიც გნებავს.

— არა, აი აქ, ხმლით.

— ხმალი, ჩემო კეთილო, ჯენტლმენთა იარაღია; ხმალში მე მხოლოდ თანასწორთან გამოვდივარ. სხვაა მუშტი-კრივი, იმაში ჩვენ თანასწორნი ვიქნებით. ხმალი კი სულ სხვა საქმეა. ტედკასტერის სასტუმროში ტომ-ჯიმ-ჯეკს შეუძლია კრივში გამოვიდეს გუინპლენთან, ხოლო ვინძორში ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. იცოდე, მე კონტრ-ადმირალი ვარ.

— მე კიდევ ინგლისის პერი ვარ.

კაცმა, რომელიც გუინპლენს აქამდე ტომ-ჯიმ-ჯეკი ეგონა, ხმამაღლა გადაიხარხარა.

— რატომ მეფე არა ხარ? თუმცა მართალს ამბობ. მასხარა-კომედიანტს შეუძლია ყველანაირი როლი შეასრულოს. ბარემ პირდაპირ თქვი, რომ შენ ათენის მეფის ძე თეზევსი ხარ.

— ინგლისის პერი ვარ და ხმალში გიწვევ.

— გუინპლენ, თავს ნუ მაბეზრებ, ნუ მეხუმრები, თორემ ვუბრძანებ გაგწკეპლონ. მე ლორდი დევიდ დერი-მოირი ვარ.

— მე კიდევ ლორდი კლენჩარლი ვარ.

ლორდმა დევიდმა მეორედ გადაიხარხარა.

— ჭკვიანური მოფიქრებაა! გუინპლენი ლორდი კლენჩარლია! ეგ სწორედ ის სახელია, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ ჯოზიანაზე იქორწინო. მაშ კარგი, მე მიპატიებია შენთვის. მაგრამ იცი რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ორივე მისი საყვარლები ვართ.

ტალანისაგან გამყოფი ფარდა გაიწია და ვიღაცის ხმა მოისმა:

— თქვენ ორივენი, ბატონებო, მისი ქმრები ბრძანდებით.

ორივენი იქით მიტრიალდნენ.

— ბარკილფედრო! — შესძახა ლორდ დევიდმა.

მართლაც იქ ბარკილფედრო იდგა.

ის იღიმებოდა და მდაბლად თავს უკრავდა ორივე ლორდს.

მის ზურგს უკან, რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით იდგა აზნაური, მკაცრი გამომეტყველებისა. ხელში ამ უცნობს შავი კვერთხი ეჭირა.

უცნობი გუინპლენთან მივიდა, სამჯერ მდაბლად თავი დაუკრა და უთხრა:

— მილორდ, მე შავი კვერთხის ბოქაული გახლავართ; გამოვცხადდი თქვენს ბრწყინვალებასთან მისი უდიდებულესობის, დედოფლის ბრძანებით.

ქალაქელები და მისი მიდამოები

I

სანაპირო ტერიტორიაზე მდებარე ფერმის დანიშნულება

ამ სამხედრო ძალამ, რომელზეც გუინპლენი ამდენი ხნის განმავლობაში სულ მაღლა, მეტ სიმაღლეზე ამყვანდა გაბრუება და ვინძრში გაიტაცა, ხოლო ახლა იმავე ძალამ ღრიდანში მიიყვანა.

მის თვალწინ უწვავდ მწკრივად მიედინებოდა სიბნელის მსგავსი სანაპიროლის მიღლენები.

მათგან თავის დაღწევა შეუძლებელი იყო, ერთი რომ დასრულდებოდა, მას მეორე მიღლენა ცვლიდა.

ვინც ღონგლეიორიანეის შეექმნა, მას ადამიანის ბედი დაუნახავს თვალით: მსგავსად იმისა, როგორც ღონგლეიორი ისვრის ბურთებს ზევით, ქვევით, გვერდზე, — ასე ადამიანებიც ბედის ტრიალის სათამაშო ბურთები ხდებიან.

იმავე სალამოს გუინპლენი სრულიად უჩვეულო ადგილას გაჩნდა.

იგი ჰერალდიკური სუმბულებით შემკულ სკამზე იჯდა, მისთვის ოქრომკედით ნაკერი ატლასის ხიფთანის ზემოდან ძოწეულისფერი ხავერდის ქლამინდი წამოესხათ, თეთრ აბრეშუმისარწყულიანი და გარს ყარყუმშემოვლებული. ყარყუმითვე შემკულ სამხრეებს გარს ოქრომკედის ხირმა ჰქონდა შემოკერებული.

გუინპლენი ახლა სხვადასხვა ასაკის ადამიანთა, ახალგაზრდებისა თუ მოხუცების გარემოცვაში იმყოფებოდა. ისინიც ასევე ჰერალდიკური სუმბულებით შემკულ სკამებზე ისხდნენ და ასევე ძოწეული და ყარყუმი ემოსათ.

მის წინ რამდენიმე კაცი, შავი აბრეშუმის ქლამინდებით მოხელე, მუხლებზე დაჩოქილიყო. ზოგი მათგანი რაღაცას წერდა.

პირდაპირ, ცოტა დაშორებით გუინპლენი ხედავდა ალისფერი ხავერდით მოფენილი კვარცხლბეკისკენ ამავალ საფეხურებს; ბალდახინი იმ კვარცხლბეკისა ორ სვეტზე ეყრდნობოდა; ერთი სვეტი

ლომის სახეს გამოხატავდა, მეორე — მარტორქისას; ბალდახინის ქვემ კარუჭლაკუზე, განიერ მოედანზე მეურდხინიელი იდგა პრეზიდენტის საქეცი ტახტი.

დიდი ბრიტანეთის საქეცი ტახტი.

რადგან გუინპლენი პერი გახდა, ახლა იგი ინგლისის პერია პალატაში იმყოფებოდა.

რატომ მიხდა გუინპლენის შესვლა ლორდთა პალატაში?

მთელ დღეს, დილიდან სალამომდე, ვინძორიდან ლონდონამდე, პორტლენდ-ლოუიდან ვესტმინსტერის სახახლემდე მისი აღმასვლა ხდებოდა ხარისხიდან ხარისხამდე და ყველა ამ საფეხურზე მას ახლა, თავბრუდამხვევი მოულოდნელი ელოდა.

ვინძორიდან იგი დედოფლის ეტლით წააბრძანეს და თან პერის საკრძალი ამალა აახლეს. საპატიო ყარაული ძალიან მოაგონებს ადამს ტუსაღის მცველ ყარაულს.

ამ დღეს ვინძორიდან ლონდონში მიმავალი გზის ნაპირის მცხოვრებლებმა დაინახეს, რომორი ჭენებით გააქროლა ცხენები მისი უდიდებულესობის, დედოფლის პირადმა ამალამ; ისინი გაქანებით მიმავალ ორ დახურულ ეტლს ახლდნენ. პირველ ეტლში ბოქაული იჯდა და ხელში შავი კვერთხი ეჭირა. მეორეში მხოლოდ განიერფარფლებიანი, თეთრბუმბულებიანი ქუდი მოჩანდა, რომელიც ეტლში მჯდომ კაცს სახეზე მუქ ჩრდილს ჰფენდა. ვინ მიჰყავდათ ამ ეტლით; პრინცი თუ ტუსაღი?

გუინპლენი მიჰყავდათ.

ჭალაფრიდან ჩანდა, რომ ის, ვინც მიჰყავდათ, ლონდონის ტაუერში უნდა მიეყვანათ ან ლორდთა პალატაში.

დედოფალმა ყველაფერი კარგად მოაგვარა. თავისი დისათვის შერჩეული საქმრის მხლებლებად მან თავისი ამალა წარგზავნა.

საზეიმო მსვლელობის წინ დათხილ ცხენს მიაჭენებდა შავი კვერთხის ბოქაულის თანაშემწე.

პირველ დახურულ ეტლში, ბოქაულის წინ, გადმოხაწევ სკამზე შეცხლისფერი ფარჩის ბალიში იდო, ბალიშს ზედ შავი პორტფელი ედო, რომელზედაც მეფის გვირგვინი ეხატა.

ლონდონამდე უკანასკნელ სადგურ ბრაიტფორდში ორივე ეტლი ამალითურთ გაჩერდა.

აქ მათ უკვე ელოდებოდათ კუს ბაკნის სადაფით ინკრუსტირე-

ბული დახურული ეტლი; ეტლში ოთხი ცხენი უბა, სატერფულებზე ოთხი ლაქია იდგა, წინა ცხენებზე ორი ფორეიტორი იჯდა და კოფოზე პარიკიანი მეეტლე იდგა; ეტლს თვლები, საფეხურები, ხელნა და აღვირები მოვარაყებული ჰქონდა. ცხენების აღკაზმულობა მოვერცხლილი იყო.

ეს საპარადო ეტლი მორთულობითა და ფორმით თამამად დაიჭერდა ადგილს ორმოცდაათ განთქმულ ეტლს შორის, რომელთა ნახატები რუბომ დაგვიტოვა.

შავი კვერთხის ბოქაული ეტლიდან გადმოვიდა, მისი თანაშემწე ცხენიდან ჩამოხტა.

თანაშემწემ სამგზავრო ეტლის სკამიდან გადმოიღო ფარჩის ბალიში, რომელზეც გვირგვინის ნახატით შემკული პორტფელი იდო, ორივე ხელი წაავლო და ბოქაულის ზურგს უკან დადგა.

შავი კვერთხის ბოქაულმა ჯერ ცარიელი ეტლის კარი გამოაღო, მერე იმ ეტლისა, რომელშიც გუინპლენი იჯდა და ქედმოდრეკილმა გუინპლენს თავაზიანად შესთავაზა, საპარადო ეტლში გადაბრძანდითო.

გუინპლენი იმ ეტლში გადავიდა.

კვერთხისმტვირთველი ბოქაული და მისი თანაშემწე, ხელში ბალიშით, იმავე ეტლში წინა, ჩამოსაშვებ სკაშზე ჩამოსხდნენ, სადაც საერთოდ ძველებურ, საპარადო ეტლებში პაჟები სხდებოდნენ ხოლმე.

ეტლს შიგნით არშიებშემოვლებული და ვერცხლისფერფოჩებიანი სირმით შემკული თეთრი ატლასი ჰქონდა გამოკრული, ხოლო ჭერს გერბები ამშვენებდა.

სამგზავრო ეტლების მხლებელ ფორეიტორებს სასახლის კარის მცველთა ლივრეებიც ეცვათ, ხოლო საპარადო ეტლის ფორეიტორები, ლაქიები და მეეტლეც სხვანაირ, უფრო შემკულ ლივრეებში იყვნენ გამოწყობილნი.

გუინპლენმა მიუხედავად იმისა, რომ ბურანში იმყოფებოდა, ყურადღება მიაქცია ამ ზიზილებით მორთულ-მოკაზმულ მსახურთ და შავი კვერთხის ბოქაულს შეეკითხა:

— ვისია ეს ლივრეიანი მსახურნი?

შავი კვერთხის ბოქაულმა უპასუხა:

— თქვენი გახლავართ, მილორდ.

ამ დღეს ლორდთა პალატის სხდომა სალამოთი შეწყვეტილა. CURIA ERAT SERENA*, აღნიშნულია ძველ ოქმებში. ინგლისში პარლამენტს ღამით უფრო კარგად ეხერხება საქმიანობა. ცნობილია, რომ შერიდანს ერთხელ სიტყვის წარმოთქმის დაწყება შუაღამისას მოუხდა და შხის ამოსვლისას დაამთავრა იგი.

ორივე სამგზავრო ეტლი ვინძორში დაბრუნდა ცარიელი, ხოლო ის, რომელშიც გუინპლენი გადასვეს, ლონდონისკენ გაემართა.

ეს კუსბაკნიანი, ორცხენიანი ეტლი ბრაიტფორდიდან ლონდონისკენ ნელა დაიძრა, როგორც ამას პარიკიანი მეეტლის ღირსება მოითხოვდა.

ამ მნიშვნელოვანი პიროვნების სახით ცერემონიალმა თავისი უფლებები გამოიჩინა და გუინპლენს დაეპატრონა.

თუმცა, როგორც ეტყობოდა, ეტლის ნელი სვლა განსაზღვრულ მიზანს ისახავდა, შემდეგ ჩვენ დავინახავთ, რა მიზანს ისახავდა იგი.

ჯერ მთლად დალამებული არ იყო, მაგრამ უკვე გვიან სალამოს, კუსბაკნიანი ეტლი სამეფო ჭიშკართან გაჩერდა. დაბალ, მძიმე, ჭიშკარს აქეთ-იქიდან ორი გოდოლი ჰქონდა. ამ გოდოლების საშუალებით კავშირს ამყარებდნენ უაიტ-ჰოლსა და ვესტმინსტერს შორის.

ეტლს ამალა კარგა მოხდენილად, რკალივით შემოერტყა ირგვლივ.

ერთ-ერთი ლაქია გადმოხტა ეტლიდან და კარი გამოაღო.

შავი კვერთხის ბოქაული და თანაშემწე გადმოვიდნენ და ბოქაულმა გუინპლენს მიმართა:

— კეთილ ინებეთ, მილორდ, გადმობრძანდით! ქუდს, თქვენო მოწყალებავ, ნუ მოიხდით.

გუინპლენს სამგზავრო მოსასხამის ქვეშ ატლასის ტანსაცმელი ეცვა, რომელიც მას წინა დღით ჩააცვეს. ხმალი ზედ არ ერტყა.

მოსასხამი ეტლში დატოვა.

სამეფო ჭიშკრის კამარის ქვეშ, ეტლების მთავარი შესასვლელის გვერდით, პატარა კარი იყო, რამდენიმესაფეხურიანი კიბე უნდა აგეცლოთ, რომ ამ კარს მისდგომოდით.

საზეიმო ცერემონიალების დროს, იმ პიროვნებას, რომელსაც საპატიო დახვედრას უმზადებდნენ, წინ ამალა უძღოდა, ამიტომ

ახლაც შავი კვერთხის ბოქაული თანაშემწის თანხლებით წინ მიდიოდა.

გუინპლენი მათ მოჰყვებოდა.

ისინი აკიდნენ იმ ორიოდე საფეხურზე, გვერდით პატარა კარი გააღეს.

რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ფართო, მრგვალ დარბაზში გაჩნდნენ. დარბაზის შუაში მკვრივად ნაჭედი სვეტი იყო აღმართული.

დარბაზი კოშკის პირველ სართულზე იყო მოთავსებული და სინათლე მეტად ვიწრო ისრისებური ფანჯრებიდან შემოდიოდა, ისე რომ იქ შუადღისასაც კი ალბათ ნახევრად სიბნელე იქნებოდა. მკრთალი სინათლე ხანდახან საზეიმო ელფერს უფრო აძლიერებს, ამგვარ ნათლებნელში დიდებულება იგრძნობა.

ოთახში ცამეტი კაცი იდგა: წინ სამი, მეორე რიგში ექვსი და ოთხიც უკან.

წინ მდგომთაგანს, სამში ერთს, ალისფერი ხავერდის კაშხოლი ეცვა. დანარჩენ ორსაც ალისფერი კაშხოლები ეცვათ, მაგრამ არა ხავერდისა, არამედ ატლასისა. სამივე მათგანს მხრებზე ინგლისური გერბები ჰქონდა ამოქარგული.

მეორე რიგში მდგომ ექვს კაცს თეთრი მუარის დალმატიკები ეცვა. მათ გულისპირს ერთგვარი თავისებური გერბები ამშვენებდა.

უკანასკნელ რიგში მდგომ ოთხს, ყველას, შავი მუარის ტანისამოსი ეცვა და ერთმანეთისაგან ტანთჩაცმულობის რაიმე სხვადასხვაობით განირჩეოდნენ. პირველს ცისფერი მოსასხამი ებურა, მეორეს გულზე წმინდა გიორგის წითელი გამოსახულება ჰქონდა, მესამეს მკერდზე და ბეჭ-ზურგზე ოქროსფერი პატარა ჯვრები ჰქონდა ამოქარგული, მეოთხეს შავი ბეწვეულის საყელო-საკისრე ებურა. ყველანი პარიკებით იყვნენ და უქუდოდ, სარტყელზე ხმლები ეკიდათ.

ამ სიბნელეში ოდნავ თუ გაარჩევდა კაცი მათ სახეს, ვერც ისინი დაინახავდნენ გუინპლენის სახის ნაკვთებს.

ბოქაულმა თავისი შავი კვერთხი ასწია და წარმოთქვა:

— მილორდი ფერმენ კლენჩარლი, ბარონი კლენჩარლი-ჰენკერვილისა! მე, ბოქაული შავი კვერთხისა, პირველი თანამდებობის პირი მათი უდიდებულესობისა, ესე იგი, მესტუმრეთუხუცესი, გადაგცემ და გადაგაბარებ თქვენს ბრწყინვალებას ლეკვერთხის სარტყელის ორდენის კავალერს, ჰეროლდმეისტერს ინგლისისას.

ალისფერი ხავერდის კაშხოლიანი კაცი წინ წამოდგა, გუინპლენს მდაბლად დაუკრა თავი და წარმოთქვა:

— მილორდო ფერმენ კლენჩარლი, მე გახლავართ ლეკკერთხის ორდენის კავალერი, პირველი ჰეროლდმეისტერი ინგლისისა; ჩემი წოდება მივიღე მისი ბრწყინვალების ნორფოლკის ჰერცოგისაგან, მემკვიდრეობითი გრაფ-მარშლისაგან. მე ფიცი დავდე მეფისა და ჰერების წინაშე, აგრეთვე ლეკკერთხის ორდენის კავალერთა წინაშე, ჩემი ხელთდასხმის დღეს, როდესაც გრაფ-მარშალმა ინგლისამ ჩემს თავზე ფიალიდან ღვინო მოასხურა, მე საზეიმოდ სიტყვა მივეცი ვემსახურო თავადაზნაურობასა და ვერიდო ისეთ საზოგადოებას, რომელთაც ცუდი საქციელით თავიანთი სახელი შეუმწიკლია. აგრეთვე სახელოვანი ადამიანები უფრო ხშირად გავამართლო ხოლმე, ვიდრე გავამტყუნო. დავეხმარო ქვრივებს. ჩემს მოვალეობას აგრეთვე შეადგენს წესრიგი დავამყარო ჰერების დასაფლავების დროს და დავიცვა მათი გერბები. მე ვიმყოფები თქვენი ბრწყინვალების განკარგულებაში.

იმ ორთაგან პირველმა, რომლებიც ატლასის კაშხოლებში იყვნენ გამოწყობილნი, წარმოთქვა:

— მილორდ, მე გახლავართ კლარენსი, მეორე ჰეროლდმეისტერი ინგლისისა. მე ვალად მადევს წესრიგი დავამყარო იმ თავადაზნაურთა დასაფლავებაზე, რომელთაც პერის ტიტული არა აქვთ მინიჭებული. მეც თქვენი ბრწყინვალების განკარგულებაში ვიმყოფები.

შემდეგ მეორე წამოდგა წინ, თაყვანისცა და წარმოთქვა:

— მილორდ, მე გახლავართ ნოროი, მესამე ჰეროლდმეისტერი ინგლისისა, თქვენს განკარგულებაში გახლავართ, თქვენო ბრწყინვალებავ.

მეორე მწკრივის შემადგენელი ექვსი კაცი ნაბიჯით წინ წამოდგა სალმის მიუცემლად.

გუინპლენიდან მარჯვნივ პირველმა წარმოთქვა:

— მილორდ, ჩვენ, ექვსივე, ინგლისის ჰეროლდები გახლავართ, მე იორკი ვარ.

შემდეგ თითოეულმა ჰეროლდმა წარუდგინა თავისი თავი.

— მე ლანკასტერი გახლავართ.

— მე რიჩმონდი.

— მე ჩესტერი.

— მე სომერსეტი.

— მე კი ვინძორი გახლავართ.

გულ-მკერდზე მათ ამოქარგული ჰქონდათ იმ საგრაფოებისა და ქალაქის გერბები, რომელთაც აცხადებდნენ.

უკანასკნელი მწკრივის ოთხი კაცი, შავებით მოსილნი და ჰეროლდების უკან მდგომნი, დუმდა.

ჰეროლდმეისტერმა, ლეკვერთხის ორდენების კავალერმა, გუინპლენს წარუდგინა:

— მილორდ, აი ოთხი საჭურველმტვირთველი, ცისფერი ქლამინდი.

ცისფერმოსასხამიანმა კაცმა თავი დაუკრა გუინპლენს.

— წითელი გველეშაპი.

იმ კაცმაც, რომელსაც გულზე წმინდა გიორგი ეხატა, თავი დაუკრა გუინპლენს.

— წითელი ჯვარი.

წითელჯვრიანმა თავი დაუკრა.

— გისოსის მცველი.

ახლა შავბეწვიანმა კაცმა დაუკრა თავი.

ჰეროლდმეისტერმა პირველ საჭურველმტვირთველს, ცისფერ ქლამინდოსანს ანიშნა და უკანასკნელიც მივიდა ბოქაულის თანაშემწესთან, გამოართვა ფარჩის ბალიში, გვირგვინით შემკული პორტფელიანად.

ჰეროლდმეისტერმა ახლა შავი კვერთხის ბოქაულს მიმართა:

— ასე და ამგვარად, მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ თქვენ მე ჩამაბარეთ და მეც თქვენგან ჩავიბარე მათი მოწყალეობა.

მთელი ეს პროცედურა და აგრეთვე ზოგიერთი სხვაც, რომელთაც შემდეგ აღვწერთ, იმ ძველებური ცერემონიალის ნაწილს შეადგენდა, ჰენრიხ მერვეზე უფრო უადრეს რომ დაედგინათ. დედოფალი ანა ერთ დროს ეცადა ახლად აღედგინა ეს წესები. ახლა ყველა ამან თავისი დრო მოჭამა. მიუხედავად ამისა, ლორდთა პალატა ამ ძველი წესების ფარგლებში ყოველგვარი ცვლილებების წინააღმდეგია და თუ ამ უხსოვარი დროიდან შემორჩენილმა ჩვეულებამ კიდევ სადმე გაძლო, მხოლოდ და მხოლოდ იქ, ლორდთა პალატაში.

თუმცა მაინც განიცადა ცვლილება, E PUR SI MUOVE*.

მაგალითად, რა იქნა MAY POLE (მაისის ანძა), რომელსაც ქალაქ ლონდონი აღმართავდა ხოლმე პერების პარლამენტში მიმავალ გზაზე? უკანასკნელი ასეთი ანძა 1713 წელს აღიმართა, მას შემდეგ მის შესახებ აღარა ისმის რა. ეს ჩვეულება დავიწყებას მიეცა. გარეგნულად ბევრი რამ უცვლელად გვეჩვენება, ხოლო სინამდვილეში ყველაფერი იცვლება. ავიღოთ, მაგალითად, ოლბემარლეის ჰერცოგების ტიტული, ის მარადიულ კუთვნილებად გვეჩვენება, მაგრამ მიუხედავად ამისა, თანამიმდევრობით ექვს საგვარეულოზე გადადის: ოდოზე, მენდვილებზე, ბეტიუნებზე, პლატაგენეტებზე, ბოშანებზე და მონკებზე. ჰერცოგ ლეისტერის ტიტულიც აგრეთვე ჯერჯერობით ეკუთვნოდა ხუთ საგვარეულოს: ბიუმონტებს, ბრიუჯებს, დედლეის, სიდნეის და კოკებს, ლინკოლნის ტიტულით ექვსი საგვარეულო იწოდებოდა. ჰემბროკის ტიტულით შვიდი საგვარეულო სარგებლობდა და ა.შ. გვარები იცვლებოდა, ტიტულწოდებანი უცვლელი რჩებოდა. ზერელედ მოაზროვნე ისტორიკოსს სწამს ისტორიულ მოვლენათა ურყეველობა. ხოლო არსებითად მყარი ქვეყნად არაფერია. ადამიანი არის ტალღა, კაცობრიობა არის ზღვა.

არისტოკრატია სწორედ იმით ამაყობს, რაც ქალს დამამცირებლად მიაჩნია; თავისი მოხუცებულობით. მაგრამ მანდილოსნებსაც და არისტოკრატებსაც ერთი და იგივე იღუზია ასულდგმულებს: პირველთაც და მეორეთაც ჰგონიათ, რომ ისინი კარგად არიან შენახულნი.

აწინდელი ლორდთა პალატა შესაძლოა არ მოისურვებს, იცნოს თავისი თავი ჩვენს მიერ აქ აღწერილ სურათში, და არც იმ სურათში, რომელსაც შემდეგ აღვწერთ, მსგავსად იმისა, როგორც ყოველ ლამაზმანს, აწ უკვე ჩაყვავილებულ-დამჭკნარს არ სურს სარკეში იცნოს თავისი სახის ანარეკლი. სარკეც მიეჩვია, რომ ყველაფერში მას სდებენ ბრალს, მაგრამ იგი სიმართლეს არ ღალატობს.

საშართლიანად ასახოს წარსული, აი ისტორიკოსის მოვალეობა.

ჰეროლდმეისტერმა გუინპლენს მიმართა.

— კეთილ ინებეთ და გამომყევით, მილორდ!

და დასძინა:

— თქვენ თავს დაგიკრავენ. თქვენ კი, თქვენო მოწყალებავ, მხოლოდ ქუდი ოდნავ ასწიეთ.

მთელი პროცესია იმ კარისკენ გაემართა, რომელიც მრგვალი დარბაზის სიღრმეში მოჩანდა.

შაჲი კერთხის ბოქაული წინ მიდიოდა.

მას უკან ცისფერქლამინდოსანი მიჰყვებოდა, რომელსაც ხელში ბალიში ეჭირა, შემდეგ პირველი პეროლდმეისტერი და ბოლოს გუინპლენი, ისევ ქუდმოუხდელი.

დანარჩენი პეროლდმეისტერები, პეროლდები და საჭურველმტვირთველნი მრგვალ დარბაზში დარჩნენ.

გუინპლენმა შაჲი კერთხის ბოქაულის წინამძღოლობით და პეროლდმეისტერის, ანუ ცერემონმეისტერის ხელმძღვანელობით მთელი ამფილადა გაიარა აწ უკვე აღარ არსებული დარბაზებისა, ვინაიდან ინგლიხის პარლამენტის ძველი შენობა დიდი ხანია დანგრეულია.

სხვათა შორის, მან იმ გოთიკური სტილის დარბაზი გაიარა, სადაც უკანასკნელად შეხვდნენ ერთმანეთს იაკობ II და ჰერცოგი მონმუთი. ამ დარბაზში სულმოკლე ძმისწულმა ამაოდ მოიდრიკა მუხლი მკაცრი ბიძის წინაშე.

ამ დარბაზის კედლებზე ეკიდა მთელი ტანით ნახატი, ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, სახელების ქვეშმოწერითა და მათივე გერბების გამოსახვით, პერების საგვარეულოს ცხრა უძველესი წარმომადგენლის პორტრეტი: ლორდ ნანსლადრონისა (1305წ.), ლორდ ბელიოლისა (1306წ.), ლორდ ბენესტიდისა (1314წ.), ლორდ კენტილუპისა (1356წ.), ლორდ მონტბეგონისა (1357წ.), ლორდ ტაიბოტოტისა (1372წ.), ლორდ ზუჩ კოდნორელისა (1615წ.), ლორდ ბელააკვასი — უთარიღო და ლორდ ჰარშენ-სერევასი, ბლუას გრაფისა — უთარიღო.

უკვე ჩამობნელდა, ტალანებში ერთმანეთისაგან დაშორებით ლამპები აინთო. დარბაზები ტაძრის კარიბჭესავით ნახევრად ჩამობნელებულიყო; იქ სპილენძის ჭაღებში სანთლები ციმციმებდა.

მსვლელობას მხოლოდ თანამდებობის პირნი თუ შემოხვდებოდნენ, მეტი არავინ.

ერთ-ერთ ოთახში თავაზიანად თავდახრილნი იდგნენ სახელმწიფო ბეჭდის ოთხი კლერკი და ერთიც სახელმწიფო ქალალდების კლერკი.

მეორე ოთახში დაუხვდათ ღირსპატივცემული ფილიპ საიდენ-

ჯმა, დროშის კავალერი, ბრაიმპტონის მფლობელი სომერსეტში. დროშის კავალრის წოდებას თვით მეფე ანიჭებდა ომის დროს გაშლილ-აშრიალებული დროშის ქვეშ.

მომდევნო დარბაზში დაუხვდათ სოფოლკელი ინგლისის უძველესი ბარონეტი სერ ედმუნდ ბეკონი, სერ ნიკოლასის მემკვიდრე, მისი ტიტული იყო „ინგლისის პირველი ბარონეტი". სერ ედმუნდს ზურგით უდგა მისივე საჭურველმტვირთველი; ხელში შამხანით და აგრეთვე მეჯინიბე, ხელში ოლსტერის გერბით, რადგან ამ ტიტულის მქონენი მემკვიდრეობით მცველები იყვნენ ოლსტერის საგრაფოსი ირლანდიაში.

მეოთხე დარბაზში ელოდებოდა ხაზინის კანცლერი, ოთხი ხაზინადრის და ორი დეპუტატის, ლორდ-კამერპერების თანხლებით; ამ უკანასკნელთა მოვალეობას გადასახადების გაწერა შეადგენდა. აქვე იმყოფებოდა ზარაფხანის უფროსი; მას ხელისგულზე ოქროს მონეტა ედო, ერთი გირვანქა სტერლინგი, რომელიც სპეციალური შტამპით იყო მოჭრილი. რვავე კაცმა ახალ ლორდს მდაბლად დაუკრა თავი.

როდესაც ჭილოფებით მოფენილ ტალანში შევიდნენ, საიდანაც ერთი მხრივ თემთა პალატაში იყო შესასვლელი და მოპირდაპირე მხრიდან კიდევ ლორდთა პალატაში, გუინპლენს სერ თომას მანსელ მარგემი შეეგება, მისი უდიდებულესობის დედოფლის სასახლის კარის კონტროლი და პარლამენტის რჩეული გლემორგანელი.

ამ ტალანიდან გასვლისას გუინპლენს ხუთი პორტის ბარონის დეპუტაცია შეხვდა. ოთხ-ოთხი კაცი ჩამწკრივებულიყო მარჯვნივ და მარცხნივ, რადგან ხუთი პორტის სახელწოდებით ნამდვილად რვა პორტი ითვლებოდა. უილიამ აშბერნჰემმა სალამი გადასცა გუინპლენს ჰასტინგსისგან, მეთიუ ეილმორმა — დუვრისაგან, ჯოზია ბერჩეტმა — სენდვიჩისაგან, სერ ფილიპ ბოტლერმა — ჰაითსაგან, ჯონ ბრიუერმა — ნიუ-რემნეისაგან, ედუარდ საუტველმა — ქალაქ რეადასაგან, ჯეიმს ჰეისმა — ქალაქ ვინჩელსისგან და ჯორჯ ნელორმა — ქალაქ სიფორდისაგან.

გუინპლენი აპირებდა ამ მისალმებაზე პასუხის გაცემას, მაგრამ პირველმა ცერემონმეისტერმა წასჩურჩულა ეტიკეტის წესები:

— მხოლოდ ქუდის ფარფლს შეეხეთ და ოდნავ ახწიეთ, მილორდ.

ბოლოს გუინპლენმა „მოხატულ დარბაზში" შედგა ფეხი. აქ,

სხვათა შორის, არავითარი მოხატულობა არ იყო, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე წმინდანის გამოსახულებას, მათ შორის წმინდა ედუარდის ხატს. ყველა ეს ხატი ასრისებრ წამახული სარკმლების თაღებს ამშვენებდა; მხოლოდ თვით ეს მაღალი სარკმლები ორივე სართულზე ნაწილდებოდა. ასე რომ, სარკმელთა ქვედა ნაწილი ზედა სართულის იატაკის ქვეშ, ვესტმინსტერ-ჰოლში, პირველი სართულის დარბაზში იმყოფებოდა, იმავე სარკმელთა ზედა ნაწილი კი „მოხატულ დარბაზში“ ამოდიოდა.

დარბაზს ფიცრის მოაჯირი ყოფდა შუაზე; მოაჯირს იქით სამი დიდებული იდგა, სახელმწიფოს სამი მდივანი. პირველი მათგანი ინგლისის სამხრეთ ქვეყნებს, ირლანდიასა და კოლონიებს განაგებდა, აგრეთვე აწესრიგებდა ურთიერთობას საფრანგეთთან, იტალიასთან, ესპანეთთან, პორტუგალიასთან და ოხმალეთთან. მეორე მდივანი ინგლისის ჩრდილოეთ მხარის მმართველი იყო და აგრეთვე განაგებდა ურთიერთობას ნიდერლანდებთან, გერმანიასთან, შვეიცარიასთან, პოლონეთთან და მოსკოვთან. მესამე მდივანი, ჩამოშავლობით შოტლანდიელი, შოტლანდიის საქმეებს განაგებდა. ორი პირველი მდივანი ინგლისელი იყო. ერთი მათგანი გახლდათ ლორდ-პატივცემული რობერტ პარლეი, პარლამენტის წევრი, ქალაქ ნიურედნორიდან წამოგზავნილი დეპუტატი. აქვე იმყოფებოდა შოტლანდიელი დეპუტატი მუნგო გრეჰემი, ესკვაირი, პერცოგ მონტროზის ნათესავი. ყველა მათგანმა მდუმარედ დაუკრა თავი გუინპლენს.

გუინპლენმა პასუხად თავისი ქუდის ფარფლს ოდნავ მიაკარა ხელი.

საგანგებო მსახურმა მოაჯირის მოძრავი, ანჯამებით მიმაგრებული ნაწილი შეაღო და გასასვლელი მისცა „მოხატული დარბაზის“ ზემო ნაწილში; აქ მწვანემაუდგადაფარებული გრძელი მაგიდა იდგა, მხოლოდ ლორდებისათვის განკუთვნილი.

მაგიდაზე კანდელაბრი ენთო.

შავი კვერთხის ბოქაულის, ცისფერქლამიანდოსნისა და ლეკვერთხის ორდენის კავალრის წინამძღოლობით, გუინპლენმა ფეხი შედგა ამ წმიდათაწმიდა ტაძარში.

მსახურმა გუინპლენის შესვლისთანავე მოაჯირი ისევ მიხურა.

პეროლდმეისტერი იქვე გაჩერდა.

„მოხატული დარბაზი“ ერთობ ფართო იყო.

მის სიღრმეში, ორ სარკმელს შუა მოთავსებული მეფის ფარის ქვეშ ორი მოხუცი იდგა, წითელი ხავერდის ქლამინდებით მოსილი. ქლამინდებს გარს ოქრომკედის სირმა ჰქონდა შემოვლებული და სამხრეებზე ყარყუმი ეკერა, პარიკებით მოკაზმულ თავზე თეთრი ბუმბულებიანი ქუდები ეხურათ. ქლამინდების ქვეშიდან აბრეშუმის კამზოლები და დაშნის ტარები მოჩანდა.

ამ ორი მოხუცის ზურგს უკან უძრავად იდგა შავი მუარის ქლაგანდიანი კაცი; მაღლა აწეულ ხელში უშველებელი გურზი ეჭირა, გურზი ოქროსი იყო და თავგვირგვინიან ლომს გამოხატავდა.

ეს კაცი ინგლისის პერების გურზისმტვირთველი გახლდათ.

ლომი მათი ემბლემაა, ხოლო „ლომები თვით ბარონები და პერები არიან“ ასე გვაუწყებს ბერტრან დიუგესკლენის ქრონიკა.

ჰეროლდმეისტერმა გუინპლენს ანიშნა ხავერდის ქლამინდებიან მამაკაცებზე და ყურში წასჩურჩულა:

— მილორდ, ესენი თქვენი თანასწორნი არიან; ამათ ისევე უნდა მიესალმოთ, როგორც თვითონ მოგესალმებიან. ეს დიდებულნი ბარონები არიან და ლორდ-კანცლერმა ისინი თქვენს მიმრქმელებად დაგინიშნათ. ისინი ღრმად მოხუცებულნი არიან და თითქმის ბრმები. თვითონ ესენიევე შეგიძლევიან ლორდთა პალატაში, პირველი ამათგანია ჩარლზ მილდმეი, ლორდი ფიცუოლტერი; მას ბარონების სკაშზე მეექვსე ადგილი უკავია. მეორეა ავგუსტ ერანდელი, ლორდი ერანდელ-ტრერაისი; ამას იმავე სკაშზე ოცდამეთვრამეტე ადგილი აქვს განკუთვნილი.

ჰეროლდმეისტერმა ნაბიჯი წარდგა წინ, ორივე მოხუცისაკენ და ხმა აიმაღლა:

— ფერმენ კლენჩარლი, ბარონო კლენჩარლისა, ბარონო ჰენკერვილისა, სიცილიის კორლეონეს მარკიზი მოგესალმებათ, თქვენო მოწყალებანო.

ორივე ლორდმა რაც შეიძლებოდა მაღლა ასწია მოხდილი ქუდები, მერე ისევ დაიხურეს.

გუინპლენიც ასევე მიესალმა მათ.

შემდეგ წინ წამოდგა შავი კვერთხის ბოქაული, მის მერე ცისფერქლამინდოსანი და ბოლოს ლეკვერთხის ორდენის კავალერი.

გურზისმტვირთველი მიუახლოვდა გუინპლენს და წინ ჩა-

როგორც მისი კანცლერი. უილიამ კოუპერის სუსტი მხედველობა ჭუაში დაუვდა მისი უდიდებულესობის დედოფლის ხიბეცეს და დედოფალს აზრად მოუვიდა, კანცლერად დაენიშნა ეს კაცი; დანიშნა აგრეთვე თვით დედოფლის სინდისის მცველადაც.

უილიამ კოუპერს ზედა ტუჩი უფრო პატარა ჰქონდა ქვედა ტუჩზე, რაც რამდენიმედ ნიშანია გულკეთილობისა.

რიტონდას ჭერზე ჩამოკიდებული ლამპარი ანათებდა.

ლორდ-კანცლერი ზეიადად იჯდა მაღალ სავარძელში. მის მარჯვნივ მაგიდას მოსჯდომოდა კლერკი გვირგვინოსნისა. მარცხნივ, მეორე მაგიდასთან იჯდა კლერკი პარლამენტისა.

თითოეულ მათგანს აქტების დავთარი ედო წინ გადაშლილი და საწერი მოწყობილობაც იქვე ეწყოთ.

ლორდ-კანცლერის სავარძლის უკან მისი გურზისმტვირთველი იდგა, მას ხელთ ეპყრა გვირგვინოსანი გურზი. იქვე იდგნენ მოხელენი, რომელთაც ევალებოდათ კანცლერისათვის ქლამინდის ბოლო აეწიათ და მისივე ქისა სჭეროდათ. ყველა ამ მსახურს უშველებელი პარიკი ედო თავზე. ასეთი თანამდებობანი აქამდეც არსებობს.

სავარძლის მახლობლად, პატარა მაგიდაზე ოქროსტარიანი დაშნა იდო, ქარქაშში ჩადებული. ზედ ალისფერ-წითელი ხავერდის საშხარიღლიევე ეკეთა.

გვირგვინოსანი კლერკის უკან იდგა მოხელე. ორივე ხელით გადაშლილი ქლამინდი ეჭირა ცერემონიალის საშხადისათვის.

მეორე მოხელეს, პარლამენტის კლერკის უკან მდგომს, ასევე ორივე ხელში გაშლილი ქლამინდი ეჭირა. ეს ქლამინდი გუინპლენს სხდომაზე შესვლის წინ უნდა წამოესხა მხრებზე.

ორივე ქლამინდი წითელი ხავერდისა იყო, სარჩულად თეთრი ატლასი ედო, სამხრეები ყარყუმის ბეწვისა ეკერა და ოქრომკედის ხარშით იყო გარსმოვლებული. ორივე ქლამინდი თითქმის ერთნაირი იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საცერემონიო ქლამინდზე ყარყუმის უფრო განიერი ბეწვი ეკერა.

მესამე მოხელეს, ეგრეთ წოდებულ LIBRARIAN-ს* ფლანდრიული ტყავის ოთხკუთხედი სინი ეჭირა და ზედ პატარა წიგნი ედო, წითელი ტარსიკონით დაყდავებული; წიგნი პერებისა და თემთა პალატის წარმომადგენელთა სიას შეიცავდა; გარდა ამისა, სინზევე

ელაგა ქალალდის სუფთა ფურცლები და ფანქარი; ყველა ეს ერთად, რაც კი სინზე ეწყო, მიერთმეოდა ხოლმე პარლამენტის თითოეულ ახალ წევრს.

მსელელობა, რომლის დასასრულში გუინპლენი თავისი ორიენ მიმრქმელით მიეშართებოდა, ლორდ-კანცლერის სავარძლის წინ შეჩერდა.

გუინპლენის მხარში მდგომმა ორიენ ლორდ-მიმრქმელმა ქუდები მოიხადეს, გუინპლენმაც მათ მიჰბაძა.

ჰეროლდმეისტერმა გამოართვა ცისფერქლამინდიანს ფარჩის ბალიში შავი პორტფელიანად, დაიჩოქა და ლორდ-კანცლერს მიართვა იგი.

ლორდ-კანცლერმა პორტფელი ჩამოართვა და პარლამენტის კლერკს გადასცა; მან პორტფელი დიდის ამბით ჩამოართვა. თავის ადგილას დაბრუნდა და გახსნა.

პორტფელში ადათის თანახმად ორი საბუთი ინახებოდა: ხელმწიფის ბრძანებულება ლორდთა პალატისადმი და მიწერილობა ახალი პერისადმი, პარლამენტის სხდომაში მონაწილეობის მისაღებად.

კლერკი წამოდგა და ხმამაღლა, თავაზიანად და დინჯად წაიკითხა ორივე საბუთი.

მიწერილობა ლორდ ფერმენ კლენჩარლისადმი ჩვეულებრივი ფორმულით თავდებოდა: „... მოგწერთ თქვენ იმ ერთგულებისა და თავდადების სახელით, რითაც მოვალეობა გაძევთ ჩვენ მიმართ, რათა დაიკავოთ სხდომებზე ჩვენს პარლამენტში, ვესტმისტერში პირადად თქვენდამი კუთვნილი ადგილი პრელატებსა და პერებს შორის, რათა პატიოსნად და სინდისიერად გამოთქვათ და მიაწოდოთ თქვენი აზრი შესახებ სახელმწიფოსი და ეკლესიის საქმეებისა".

როდესაც ორივე ქალალდის კითხვა მოთავდა, ლორდ-კანცლერმა ღაღადყო:

— მისი უდიდებულესობის დედოფლის ნება გამოცხადდა. ლორდ ფერმენ კლენჩარლი, უარყოფთ თუ არა, თქვენო მოწყალებავ, დოგმატს* — წმინდანებისადმი თაყვანისცემასა და მესას?

გუინპლენმა თავი დახარა ნიშნად თანხმობისა.

— უარყოფა შედგა უკვე, — თქვა ლორდ-კანცლერმა.

პარლამენტის კლერკმა დაადასტურა:

— მისმა მოწყალებამ ფიცი დადო.

ლორდ-კანცლერმა დასძინა:

— მილორდო, ფერმენ კლენჩარლი, თქვენ შეგიძლიათ პარლამენტში სხდომებზე მონაწილეობა მიიღოთ.

— იყავნ ესრეთ! — წარმოთქვა ორივე აღმჭელმა ლორდმა.

ჰეროლდმეისტერი წამოდგა, მაგიდიდან დაშნა აიღო და გუინპლენს წელზე შემოარტყა.

ძველებურ ნორმანდიულ ქარტიებში ნათქვამია:

„შემდგომად ამისა პერი მიიღებს თავის დაშნას, იკავებს თავის მაღალ ადგილსა და ესწრება სხდომებს".

გუინპლენს ზურგს უკან ხმა მოესმა:

— შეგმოსავთ, თქვენო ბრწყინვალებავ, საპარლამენტო ქლამინდით.

ამ სიტყვების მთქმელმა უმალვე წამოასხა ქლამინდი და ყარყუმის საყელოს შავი აბრეშუმის ბაბთები კისერთან შეუკრა.

ახლა ძოწეულის ქლამინდწამოსხმული გუინპლენი, რომელსაც წელ-თეძოსთან დაშნა ეკეთა, არაფრით განსხვავდებოდა იმ ლორდებისგან, მარჯვნივ და მარცხნივ რომ ამოსდგომოდნენ.

„ბიბლიოთეკარმა" მას წითელი წიგნი მიართვა და ხიფთანის ჯიბეში ჩაუდო.

ჰეროლდმა ყურში წასჩურჩულა:

— მილორდ, პარლამენტში შესვლისას თაყვანი ეცით. თავი დახარეთ დედოფლის სავარძლის წინაშე.

მეფის სავარძელი — ეს სამეფო ტახტია.

ამავე დროს ორივე კლერკი, თითოეული თავის მაგიდასთან, რაღაცას წერდა. ერთი გვირგვინის სააქტო წიგნში, მეორე პარლამენტის სააქტო წიგნში.

ჯერ მეფის კლერკმა, ხოლო შემდეგ პარლამენტისამ თავიანთი დავთრები ხელმოსაწერად ლორდ-კანცლერს მიართვეს.

ლორდ-კანცლერმა განამტკიცა რა ორივე ჩანაწერი თავისი ხელმოწერით, ადგა და გუინპლენს მიმართა:

— ლორდო ფერმენ კლენჩარლი, ბარონო კლენჩარლისა, ბარონო ჰენკერვილისა, სიცილიის კორლეონის მარკიზო, მოგესალმებით თქვენ დიდი ბრიტანეთის ამ თქვენსავე თანასწორ სასულიერო და საერო ლორდებს შორის.

გუინპლენს აღძრძელები მხარზე შეეხნენ, მან უკან მოიხედა. მაღალი მოვარაყებული კარი გალერეისა სიღრმეში ფართოდ გაიღო.

ეს იყო ინგლისის ლორდთა პალატის კარი.

ჯერ ოცდათექვსმეტი საათიც არ გასულიყო იმ დროიდან, რაც სულ სხვაგვარი ამალით გარემოცულმა გუინპლენმა, ნახა, მის წინ საუთვორქის საპატიმროს რკინის კარი როგორ გაიღო.

ყველა ამ მოვლენამ მსუბუქ ღრუბელთა უსწრაფესად გადაუსრიალა გუინპლენს თავზე, თითქოს იერიში მიჰქონდათ მასზე.

II

მიუკერძოებლობა

პერთა წოდების მეფესთან გათანასწორების აღიარება ფიქცია იყო, რომელსაც იმ ბარბაროსულ დროში ერთგვარი სარგებლობა მოჰქონდა. ამ იოლმა პოლიტიკურმა ხერხმა სულ სხვა შედეგი გამოიღო საფრანგეთში და სხვა კიდევ ინგლისში: საფრანგეთში პერი მხოლოდ იგულისხმებოდა მეფის სწორად; ხოლო ინგლისში პერი ნამდვილი ხელისუფალი იყო. ინგლისში იგი თითქოს ნაკლებად მაღალ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე საფრანგეთში, მაგრამ ძალაუფლებას ნამდვილად ფლობდა. ამაზე შეიძლებოდა თქმულიყო: „უფრო ნაკლები, მაგრამ უფრო მავნებელიო.“

პერთა წოდება პირველად საფრანგეთში წარმოიშვა. რომელ ეპოქაში ჩაისახა იგი, გაურკვეველია. გადმოცემით — კარლოს დიდის დროს; ხოლო თანახმად ისტორიული ცნობებისა, იგი ჩაისახა რობერტ ბრძენის პერიოდში; მაგრამ ისტორია უფრო მეტად სარწმუნოდია, ვიდრე ზეპირგადმოცემანი. ფავენი* წერს: „საფრანგეთის მეფეს სურდა თავის ერთგულებაში შეემოემტკიცებინა სახელმწიფოს დიდკაცობა, ამიტომ ანიჭებდა პერის დიდებულ ტიტულებს, რითაც მათ ერთგვარად თავის თანასწორებად აღიარებდა“.

პერობა მალე განშტოვდა და საფრანგეთიდან ინგლისშიც გადავიდა.

ინგლისის საპეროს დაწესება დიდი მოვლენა იყო და მას თვალსაჩინო მნიშვნელობაც ჰქონდა. მის უწინარეს საქსონური WITTE-

NAGEMOT არსებობდა. დანიური „ტან“ და ნორმანდიული „ვავა-
სორ“ „ბარონში“ შეერწყა ერთმანეთს. სიტყვა ბარონი იმასვე
ნიშნავს, რასაც ლათინური VIR და ესპანური VARON, ესე იგი
„ძაბაკაცი“. 1075 წელს ბარონები უკვე თავის ძალაუფლებებს
აქცევებდნენ მეფის წინაშე, და მერე რომელი მეფის! უილიამ
დამპყრობლის წინაშე!* 1086 წელს ისინი საფუძველს უყრიან ფეო-
დალიზმს „DOOMSDAY BOOK“, „საშინელი სამსჯავროს წიგ-
ნით“*. იოანე უმიწაწყლოს დროს მოხდა შეჯახება: საფრანგეთის
არისტოკრატია ქედმაღლურად ეპყრობა დიდ ბრიტანეთსა და მის
მთავრებს. ისე რომ, საფრანგეთის პერები თავისთან სამსჯავროში
იწვევენ ინგლისის მეფეს. ინგლისელი ბარონები აღშფოთებამ
მოიცვა. ფილიპ-ავგუსტოსის* კორონაციის დროს, ინგლისის მე-
ფეს, როგორც ნორმანდიის პერცოგს, ხელთ უპყრია და მიაქვს
პირველი ოთხკუთხა ალამი; ხოლო გიენის პერცოგს მეორე ალამი
უპყრია. ამ მეფის, უცხოელთა ვასალის, წინააღმდეგ იფეთქებს
„დიდებულთა ომი“. ბარონები აიძულებენ უნებისყოფო იოანეს
ხელი მოაწეროს „დიდ ქარტიას“, რომელმაც ლორდთა პალატა
წარმოშვა. პაპი მეფეს ემხრობა და ლორდებს ეკლესიიდან განკვეთს.
ეს საქმე 1215 წელს ხდება, პაპ ინოკენტი III*-ის დროს; ამ პაპის
მიერ არის დაწერილი ჰიმნი — „VENI SANCTE SPIRITUS“ —
„სული წმინდა გარდამოხდეს ჩვენზედა“. ამავე პაპმა გამოუგზავნა
იოანე უმიწაწყლოს ოთხი ბეჭედი, რომლებიც ოთხ მთავარ ქრის-
ტიანულ სათნოებას აღნიშნავდნენ. ლორდები ჯიუტობენ. იწყება
ხანგრძლივი შერკინება, რომელსაც წილად ხვდა რამდენიმე თაო-
ბას გადასცდენოდა. ჰემბროკი იბრძვის. 1248 წელს გამოიცემა
„ოქსფორდის დადგენილებანი“. ოცდაოთხი ბარონი მეფის ხელი-
სუფლებას ზღუდავს. სადავოდ ხდიან მეფის გადაწყვეტილებებს და
გაცხოველებულ დავაში მონაწილედ ჩააბამენ თითო საგრაფოდან
თითო აზნაურს; აქედან წარმოიშვა და ჩაისახა თემთა პალატა.
უურო მოგვიანებით ლორდებმა თანაშემწეების სახით გამოიწვიეს
ორ-ორი კაცი თითოეული ქალაქიდან და ორ-ორი ყოველი დაბი-
დან. ამას ის მოჰყვა, რომ თვით ელისაბედის მეფობამდე პერების
ხელში იყო არჩევნები თემთა პალატაში. მათმა იურისდიქციამ წარ-
მოშვა გამოთქმა: „დეპუტატები“ უნდა არჩეულ იქნან სამი „P“-ს
გარეშე: SINE PRECE, SINE PRETIO, SINE POCULO. („უთხოვნე-

ლად, უქრთამოდ, უპურმარილოდ"). ამით მაინც თავიდან ვერ აიცილეს მოქრთამვა ზოგიერთ თემებში. ჯერ კიდევ 1293 წელს საფრანგეთის პერები თავიანთ განსასჯელად რაცხდნენ ინგლისის მეფეს და ისიც იყო, რომ ფილიპე მშვენიერმა* პასუხი მოსთხოვა ედუარდ პირველს. ედუარდ პირველი სწორედ ის მეფე იყო, რომელმაც საკვდილის წინ თავის ვაჟიშვილს უბრძანა, მოეხარშა მისი ნეშტი და ძვლები ომში თან წაეღო. მეფეების განუსჯელობამ ლორდები იმ აზრზე დააყენა, რომ პარლამენტის ძალაუფლება განემტკიცებინათ. ამ მიზნით გაყვეს იგი ორ პალატად: ზედა და ქვედა პალატად. თავიანთი ქედმაღლობის წყალობით ლორდებმა მეთაურობა თვითონ მიიკუთვნეს და შეინარჩუნეს. „თუ ვინმე, ქვედა პალატის წევრთაგანი გაბედავს უპატიოცემულოდ მოიხსენიოს ლორდთა პალატა, ის დაექვემდებარება სამართალში მიცემასა და მსჯავრდებას, ვიდრე ტაუერში დაპატიმრებამდე". ასეთსავე უთანასწორობას ჰქონდა ადგილი ხმის მიცემის დროსაც. ლორდთა პალატაში ხმას აძლევდა თითოეული ცალ-ცალკე, იწყებოდა უმცროსი ბარონიდან, ეგრეთ წოდებული „უმცროსი პერიდან". ყოველი პერი ხმის მიცემისას, პასუხობდა: „ვეთანხმები" ან „არ ვეთანხმები". ხოლო ქვედა პალატაში ხმას აძლევდნენ ერთდროულად, ყველა ერთად პასუხობდა: „დიახ", ან „არა". თემთა პალატა ბრალსა სდებდა, ლორდთა პალატა ასამართლებდა. რიცხვებისადმი დაუდევრობის გამო პერებმა ქვედა პალატას მიანდეს და მანაც შემდეგში ეს თავის სასარგებლოდ გამოიყენა, — თვალყურის დევნება „ჭადრაკის დაფისათვის", ესე იგი, ხაზინისათვის. ხაზინამ ზოგიერთების თქმით, ვითომც ასეთი სახელწოდება ჭადრაკულად ნახატი სუფრის გამო მიიღო. მეორეთა თქმით, ძველებურ კარადაში დატანებული იმ კოლოფების გამო, სადაც რკინის ბადურის შიგნიდან ინახებოდა ინგლისის მეფეთა ხაზინა. მეცამეტე საუკუნის დასასრულს შემოიღეს ყოველწლიური რეესტრი „YEAR-BOOK". წითელ ვარდსა და თეთრ ვარდს შორის ომის* დროს ლორდების გავლენა საგრძნობი ხდება, რაკი ისინი ხან ჯონ გაუნტის, ლანკასტერის ჰერცოგის მხარეზე გადადიოდნენ და ხან ედმუნდს, იორკის ჰერცოგს უჭერდნენ მხარს. უოტ-ტაილერი, ლოლარდები, უორიკი*, „მეფეების მკეთებელი" და ყველა სტიქიური მოძრაობა იმ ცდების ჩანასახი იყო, რითაც სურდათ თავისუფლება მოეპოვე-

პანათ. აქ დასაწრდენ წერტილად გამოიყენეს აშკარა ან ფარული ინგლისური ფეოდალიზმი. ლორდები უფრო თავიანთი სარგებლობის გამოც ეჭვით ადევნებდნენ თვალყურს სამეფო ტახტს. ეჭვიანება თვალყურის დევნების გამახვილებაა; ფეოდალები ზღუდავენ მეფის თვითნებობას; მეფისადმი ლალატის ცნებას ვიწრო ფარგლებს უქმნიან; ჰენრიხ IV-ის წინააღმდეგ წამოაყენებენ ცრუ რიჩარდებს. მითვისებენ უმაღლესი მოსამართლეების ფუნქციებს. თვითონ წყვეტენ საჩივრებს სამი გვირგვინის შესახებ იორკის ჰერცოგსა და მარგარიტა ანჟუელს* შორის ატეხილი დავის გამო. საჭირო შემთხვევაში თვითონ აიარაღებენ ჯარს და ურთიერთშორის იბრძვიან, სადაც ხან ერთი მხარე იმარჯვებს, ხან მეორე. ასეთ მღელვარებას ადგილი ჰქონდა შრუსბერის, ტიუქსბერისა და სენტოლბანის დროს. უკვე მეცამეტე საუკუნეში მათ გაიმარჯვეს ლიუსთან და სახელმწიფოდან გააძევეს მეფის ოთხი ძმა, იზაბელასი და გრაფ მარჩის უკანონო შვილები: მათ ბრალად ედებოდათ შეკრთამეობა და ებრაელთა მეშვეობით ქრისტიანობის შეეწროება. ერთი მხრივ ისინი პრინცები იყვნენ, მეორე მხრივ — ჩვეულებრივი გაიძვერები. ასეთი რამ ახლაც ხშირად გვხვდება, მაგრამ ძველ დროში ისინი პატივისცემით არ სარგებლობდნენ. მეთოთხმეტე საუკუნეში ინგლისის მეფეში ჯერ კიდევ ნორმანდიის ჰერცოგი იგრძნობოდა, და პარლამენტის აქტებიც ფრანგულ ენაზე იწერებოდა. მხოლოდ ჰენრიხ VII-დან დაწყებული, ლორდების დაჟინებითი მოთხოვნით ამ აქტებს უკვე ინგლისურად ადგენდნენ. ინგლისი, ბრეტონული უტერ პენდრაგონის, რომის კეისრის დროს, საქსონელ შვედთა მფლობელობის ჟამს, დანიურ წესთა მიმდევარი ჰაროლდის დროს, ნორმანდიელი უილიამის შემდეგ, ლორდების მეოხებით ინგლისური, ხოლო უფრო გვიან ანგლიკანურიც ხდება*. თავისი საკუთარი ეკლესიის დაარსება დიდი ძალა გამოდგა. ქვეყნის საზღვრებს გარეთ მყოფი ეკლესიის მეთაური სისხლისგან ცლის ამ ქვეყანას. ყოველი მეექა სწოვს მას, როგორც ურჩხული. 1534 წელს ლონდონი წყვეტს საეკლესიო კავშირს რომთან, პერების წოდება თანახმაა რეფორმაციაზე და ლორდები ლუთერს იწამებენ. ეს იყო სამაგიერო პასუხი 1215 წელს მომხდარ ეკლესიიდან განკვეთაზე. ჰენრიხ მერვისათვის ეს ხელსაყრელი გამოდგა, მაგრამ სხვა მხრივ ლორდებმა შეზღუდეს ამ მეფის უფლებები. როგორც ბულდოგი მიეჭრება დათვს, ისე შეე-

ბა ლორდთა პალატა ჰენრიხ VIII-ს. როდესაც უოლსეი* უკანონოდ ართმევს ხალხს უაიტ-ჰოლს, ხოლო ჰენრიხ VIII უოლსეის ართმევს იმავე უაიტ-ჰოლს, მაშინ ვინ დააღრჭენს მრისხანედ ყბებს? ოთხი ლორდი: დარსი ჩიჩესტერი, სენტ-ჯონ ბლესტო და ორი ნორმანდიელი: მაუნტჟოი და მაუნტიგლი. მეფე ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ისწრაფვის. პერები უკვეცენ მეფეს ამ ძალაუფლებას. ხელისუფლების მემკვიდრეობითი გადასვლა ხელს უწყობს მის ურყეობას. ამითვე აიხსნება ლორდების დაუმორჩილებლობა-ქედმაღლობა. ელისაბედ დედოფლის დროსაც კი ბედავენ ბარონები აჯანყებას. ამ გარემოებამ გამოიწვია დერჰემის სასჯელები*. ამ ტირანი ქალის კაბა დასჯილთა სისხლით არის გაჟღენთილი. ჯალათის კუნძი, კრინოლინების ქვეშ არის დაფარული, აი რა იყო ელისაბედის მეფობის ხანა. ელისაბედ დედოფალი პარლამენტს რაც კი შეიძლება იშვიათად იწვევს და ზემო პალატაში ზღუდავს კიდევაც ლორდების რიცხვს სამოცდახუთ კაცამდე; მათ შორის მარკიზს მხოლოდ ერთს, ვესტმინსტერს ტოვებს, ხოლო ჰერცოგებს პარლამენტში არც ერთს აღარ დაუშვებს. უნდა ითქვას, რომ საფრანგეთშიც მეფეები დიდის გულმოდგინებით იცავდნენ თავიანთ ხელისუფლებას და პერების რიცხვს ზღუდავდნენ. ჰენრიხ III-ის დროს მხოლოდ რვა ჰერცოგი პერი იყო; ბარონებმა დე მანტმა, დე კუსიმ, დე კულიმიემ, დე შატონეფ-რიმერემ, დე ლა ფერ-ტარდენუამ, დე მორტანმა და რამდენიმე სხვამ თავიანთი პერობის ღირსება დაიცვეს და შეინარჩუნეს იგი, რაც მეფეს დიდად არასასიამოვნოდ დაურჩა. ინგლისში მეფეები ხელსაც უწყობდნენ პერების საგვარეულოს გადაშენება-ამოგდებას. საკმარისია დავასახელოთ მარტო ის, რომ ანა დედოფლის დროს, იმ პერების საგვარეულოთა გამქრალ-ამოვარდნილმა რიცხვმა, რომელიც მეთორმეტე საუკუნიდან დაიწყო, უკვე სამოცდათხუთმეტამდე მიაღწია. ჰერცოგების ამოწყვეტას, რომელსაც დასაწყისი მიეცა წითელი ვარდისა და თეთრი ვარდის ომში, დასასრული მისცა მარიამ ტიუდორის* ნაჯახმა. ასე მოჰკვეთეს თავი თავადაზნაურობას. ჰერცოგის განადგურება-მოსპობა თავადაზნაურობის უმეთაუროდ დატოვებას ნიშნავდა. პოლიტიკა, რა თქმა უნდა, თავისთავად ცუდი არ არის, მაგრამ მაინც მოსყიდვა სჯობს მოკვლას. ეს კარგად შეიგნო იაკობ პირველმა, მან აღადგინა ჰერცოგის ხარისხ-ღირსება. მან ჰერცოგის ხარისხი

უბოძა თავის ფავორიტ ვილიერსს, რომელიც მას ასე მიმართავდა ხოლმე: „თქვენო ულორობესობავ!“ ჰერცოგი ფეოდალი ახლა ჰერცოგი კარისკაცი გახდა. ისინი წარმოუდგენლად გამრავლდნენ. კარლოს II ჰერცოგის ღირსებას ანიჭებს ორ თავის საყვარელ ბანოვანს: ბარბარა საუთჰემპტონსა და ლუიზა კერუელს. ანა დედოფლის დროს ჰერცოგების რიცხვი ოცდახუთამდე ავიდა. იმათგან სამი უცხოელი იყო: კემბერლენდი, კემბრიჯი და შონბერგი. აქვს კი წარმატება იაკობ I-ის ცბიერებას? არა. ლორდთა პალატა ეჭვობს, რომ აქ ერთგვარი ხრიკებია და აღშფოთებას ეძლევა. პალატა გულისწყრომით აღსავსეა იაკობ პირველისადმიც. ამ უკანასკნელს, აქვე უნდა ითქვას, შეიძლება დანაშაული მიუძღოდეს თავისი მამის სიკვდილში; ისევე, როგორც მარიამ მედიჩს შესაძლოა დანაშაული მიუძღოდეს, თავისი ქმრის სიკვდილში. კარლოს პირველსა და ლორდთა პალატას შორის განხეთქილება ჩამოვარდა. ლორდები, რომელნიც იაკობ პირველის დროს სამართალში აძლევდნენ მექრთამეებს, ბეკონის* სახით, კარლოს პირველის დროს ასამართლებდნენ სახელმწიფოებრივ ღალატს სტრაფორდის* სახით. მათ საბრალდებო განაჩენი გამოუტანეს ბეკონს და გამოაქვთ სტრაფორდისთვისაც. პირველს პატივი აჰყარეს, მეორე სიცოცხლეს გამოასალმეს. კარლოს პირველს პირველად თავი მოსჭრა სტრაფორდის დასჯამ. ლორდები მხარს უჭერენ ქუედა პალატას. მეფე პარლამენტს ოქსფორდში იწვევს, რევოლუცია იმავე პარლამენტს იწვევს ლონდონში. ორმოცდასამი პერი მეფეს ემხრობა, ოცდაორი — რესპუბლიკას. ამგვარად, ძალაუფლებაში ხალხის მოზიარეობით ლორდები ნიადაგს ამზადებენ „უფლებათა ბილისათვის“! რაც პირველი მოხაზვა იყო „ადამიანის უფლებათა დეკლარაციისა“. საფრანგეთის რევოლუციამ მომავლის სილრმიდან მკრთალი ჩრდილი მოჰფინა ინგლისის რევოლუციას.

ასეთი პერების დამსახურებანი, თუმცა უნებურნი, ხალხს ძვირად უღირს, ვინაიდან პერობა — ეს არის საზარელი პარაზიტი, მაგრამ არც სარგებლობა მოუტანია მცირე. ყველაფერს, რასაც საფრანგეთში ჰქონდა ადგილი, — დესპოტიზმის განმტკიცება ლუდოვიკო მეთერთმეტის, რიშელიესა* და ლუდოვიკო მეთოთხმეტის დროს; ნამდვილი სულთანური რეჟიმის დამყარება, ერთობლივად ყველას დამცირება, რაც თანასწორობის სახელით საღდებოდა, სკიპტრა-

ქვრივის ჯიხად ქცევა, რომელსაც მარჯვნივ და მარცხნივ ურტყამდნენ; ჩაგვრა, რომელიც აჩანაგებდა ყველას, მიუხედავად სახელგადაებრივი განსხვავებისა, სახელმწიფოებრივი მშვიდობის თურქული ჯიდა, რაც საფრანგეთში ხდებოდა, ინგლისმა თავიდან აიცილა ლორდების წინააღმდეგობის მეოხებით. მათ არისტოკრატიისაგან ისეთი კელელი აღმართეს, რომელიც ერთი მხრიდან მეფის ნება-სურვილს ჯებირად ელობებოდა და მეორე მხრიდან ხალხს იცავდა*. ხალხის მიმართ თავიანთი ქედმაღლობა ლორდებმა მეფის მიმართ შემმართებლობით გამოისყიდეს. გრაფმა საიმონ ლესტერმა პირში უთხრა მეფე ჰენრიხ მესამეს: „მეფევ, შენ ტყუილი სთქვიო.“ ლორდები გეორგეთნოსანს მთელ რიგ შეზღუდვებს ახვევენ თავს. ისინი ეხებიან მეფის მტკივნეულ ადგილსაც, — ნადირობას. ყოველი ლორდი, ეტლითა თუ ცხენით მეფის ტყეში გზად გავლისას, უფლებამოსილია იქ ჯეირანი მოკლას. მეფის სახახლეში ლორდი ისე გრძნობს თავს, როგორც თავის სახლში. კანონით გათვალისწინებული შესაძლო დაპატიმრება მეფისა ტაუერში და ამ შემთხვევაში მისთვის ყოველკვირეული ჯამაგირის გადაწყვეტა, თორმეტი გირვანქა სტერლინგის ოდენობით, ესე იგი, არა უმეტეს ჰერის ჯამაგირისა, ეს იყო ლორდთა პალატის საქმე. ეს კიდევ ცოტაა. პალატასვე უმადლის ინგლისი მთელი რიგი მეფეების ტახტიდან გადაყენებას. ლორდებმა ტახტი წაართვეს იოანე უმიწაწყლოს, ტახტიდან გადმოაგდეს ედუარდ II, გააძევეს რიჩარდ II, მოდრიკეს ჰენრიხ VI და კრომველი წინ წამოსწიეს. რაოდენი რამ იყო დაფარული ლუდოვიკო მეთოთხმეტისა კარლოს პირველის ბუნებაში! მაგრამ კრომველმა მას თავისუფლად მოქმედების შესაძლებლობა მოუსპო. სხვათა შორის, აქვე მოვიხსენიებთ ერთ გარემოებას, რომელსაც ყურადღება არ მიაქცია არც ერთმა ისტორიკოსმა, სახელდობრ ის, რომ კრომველი თვითონ ცდილობდა ჰერის ხარისხი მოეპოვებინა. ამ მიზნით შეირთო მან ელისაბედ ბორჩიერი, ნათესავი და მემკვიდრე ლორდ ბორჩიერისა, აგრეთვე ეს ქალი ნათესავი და მემკვიდრე იყო მეორე ბორჩიერისა, ლორდ რობსარტისა. პირველის ჰერობა მოისპო 1471 წელს, მეორის საგვარეულო უფრო ადრე — 1429 წელსვე გაქრა. კრომველი ცდილობდა უკან არ ჩამორჩენოდა მოვლენებს, რომლებიც საოცარი სისწრაფით ვითარდებოდნენ და უკვე მიხვდა, რომ ხელისუფლების სათავეში ჩადგომა უფრო მარ-

ტუად, მეფის ტახტიდან გადმოგდებით შეიძლებოდა, ვიდრე მისგან პერობის გამოთხოვით.

ლორდებისთვის დადგენილი სასამართლო ცერემონიალი პირქუში თვისება იყო, რომელიც მეფეებზეც ვრცელდებოდა. თუ მეფე წარდგებოდა პერების სასამართლოს წინაშე, მას, როგორც ჩვეულებრივ ლორდს, აქეთ-იქიდან ორი, ნაჯახებით შეიარაღებული, საპატიმროს დარაჯი ედგა. უძველესი ლორდთა პალატა ხუთი საუკუნის განმავლობაში მტკიცედ მიჰყვებოდა თავისი ზნე-ჩვეულებების ერთხელ დადგენილ ხაზს. შეიძლება თითებზე ჩამოითვალოს თუ როდის შესუსტებულა მისი უნდობლობა და სიფხიზლე, მაგალითად, იმ ბედუკუღმართ დღეს, როდესაც მან ნება მისცა თავის თავს ცდუნებას დანებებოდა და მიეღო პაპი იულიუს მეორის მიერ ხომალდით გამოგზავნილი ყველი, შაშხი და ღვინო. ინგლისის არისტოკრატია მოუსვენარი, გოროზი, ჯიუტი, მკაცრი და ეჭვიანი იყო. სწორედ მან წაართვა მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულს, 1694 წლის მეათე აქტით, საუთჰემპტონში დაბა სტოკბრიჯს პარლამენტში წარმომადგენლობის ყოლის უფლება და აიძულა თემთა პალატა ამ დაბაში გაეუქმებინა არჩევნები, ვითომდა პაპის მიმდევრობის გამო დანაშაულის მიზეზით. იმავე არისტოკრატიამ წინადადება მისცა იაკობს, იორკის ჰერცოგს, ფიცით უარეყო კათოლიკური დოგმატები და რაკი ჰერცოგმა უარი განაცხადა ამ წინადადებაზე, — ტახტის მემკვიდრეობას ჩამოაშორა იგი. მართალია, ის მაინც გახდა მეფე, მაგრამ ლორდებმა ბოლოს ისევ მოახერხეს მისი ხელყოფა და გაძევება ქვეყნის საზღვრებიდან. თავისი არსებობის ხანგრძლივ პერიოდში, ინგლისის არისტოკრატიას არაერთხელ გამოუმჟღავნებია შეუცნობელი მისწრაფება პროგრესისადმი. იგი ცოტად თუ ბევრად მაინც მისდევდა განათლებას, მართალია, უკანასკნელ ჟამს, ესე იგი, ჩვენი დროის გამოკლებით. იაკობ II არისტოკრატთა ქვედა პალატაში მოქალაქეთა და აზნაურთა შორის განსაზღვრულ პროპორციას იცავდა. სახელდობრ, სამას ორმოცდაექვს მოქალაქეზე იქ მოდიოდა ოთხმოცდათორმეტი აზნაური. ხუთი პორტის წარმომადგენელ თექვსმეტ ბარონს საკმაოდ თანაბარი წონის წარმომადგენლები ჰყავდათ ორმოცდაათი მოქალაქის სახით, რომელნიც ოცდახუთი ქალაქიდან იყვნენ წარმოგზავნილნი დეპუტატებად. მიუხედავად თავისი გამხრწნელი გავლენისა და ეგოიზმისა, ეს

არისტოკრატია ზოგიერთ შემთხვევაში მიუკერძოებლობას იჩენდა. მასზე მეტად მკაცრად მსჯელობენ. ისტორია ლმობიერად იხსენებს მხოლოდ თემთა პალატას. ეს სამართლიანი არ არის. ჩვენ ლორდების როლი ერთობ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. ოლიგარქია საკმაოდ პირველყოფილი ფორმაა დამოუკიდებლობისა, მაგრამ მაინც იგი დამოუკიდებლობაა. ავიღოთ, მაგალითად, პოლონეთი, რომელიც სახელით იყო სამეფო, ხოლო სინამდვილეში კი რესპუბლიკას წარმოადგენდა. ინგლისის პერები ეჭვის თვალით უყურებდნენ სამეფო ტახტს და ბოლოს თავიანთ მეურვეობაში მოამწყვდიეს იგი. ბევრ შემთხვევაში ლორდები უფრო იმსახურებდნენ მეფის უკმაყოფილებას, ვიდრე თემთა პალატა. ისინი ხშირად მეფეს ქიშს ეუბნებოდნენ. ასე მაგალითად, ღირსმოსახსენებელ 1694 წელს, ბილი სამწლიანი პარლამენტის შესახებ თემთა პალატის მიერ უარყოფილი, რომელიც უილიამ მესამისათვის არასასურველი, პერების პალატაში დაამტკიცეს. უილიამ III განრისხდა და გრაფ ბოტს ჩამოართვა ციხესიმაგრე ტენდენისი; ხოლო ვიკონტი მორდაუნტი გადააყენა ყველა თანამდებობიდან, რომლებიც კი მას ეჭირა. ლორდთა პალატა თავისებური ვენეციური რესპუბლიკა იყო, ინგლისის სამეფოს შიგ გულში. პალატის მიზანი ის იყო, რომ მეფე დაექვეითებინა დოჟის მდგომარეობამდე. დიახ, იგი, პარლამენტი, ხალხს იმით ამდიდრებდა, რასაც მეფეს ართმევდა.

მეფის ხელისუფლება ამას კარგად გრძნობდა და ამიტომ სძულდა პერები. ორივე მხარე ცდილობდა დაესუსტებინა ერთიმეორე. ამათგან ურთიერთისადმი ზიანის მიყენება ხალხის სასარგებლოდ წყდებოდა. ეს ორივე ძალა, მონარქია და ოლიგარქია, ამ ყოფით დაბრმავებული, ვერ ამჩნევდა, რომ მესამე ძალის — დემოკრატიის სასარგებლოდ მოქმედებდა. როგორ ზეიმობდა წარსულ საუკუნეში მეფის სასახლე, როცა იმარჯვეს და ერთ-ერთი პერი, ლორდი ფერერსი ჩამოახრჩვეს!

თუმცა მართალია, თავაზიანობას ხარკი მიაგეს, რადგან ის პერი აბრეშუმის თოკით ჩამოახრჩვეს.

„საფრანგეთის პერს არ ჩამოახრჩობდნენო“, ზვიადად შენიშნა პერცოგმა რიშელიემ. სრული სიმართლეა. საფრანგეთის პერს თავს მოჰკვეთდნენ, ეს უფრო თავაზიანია. მონმორანსი-ტანკერვილი ხელს ასე აწერდა: პერი საფრანგეთისა და ინგლისისაო. ამნაირად იგი ინ-

გლისის პერობას მეორე ადგილზე ათავსებდა. საფრანგეთის პერები უფრო მაღლა იდგნენ ინგლისის პერებზე, მაგრამ ნაკლებად უფლებამოსილნი კი იყვნენ, რადგან ტიტულს უფრო აფასებდნენ, ვიდრე ნამდვილ უფლებებს. მათ შორის და ინგლისის ლორდებს შორის იგივე განსხვავება იყო, როგორიცაა პატივმოყვარეობასა და სიამაყეს შორის. საფრანგეთის პერებისათვის უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ უცხოელ პრინცებზე მაღლა მდგარიყვნენ, ცერემონიების დროს ესპანეთის გრანდებზე წინ ეყლოთ, დაჭრდილათ ვენეციელი პატრიციები, პარლამენტში ქვევითა მწკრივის სკამებზე დაესხათ საფრანგეთის მარშლები, კონსტაბლი და ადმირალი საფრანგეთისა, თუნდაც ეს ადმირალი თვითონ ტულუზის გრაფი, ლუდოვიკო მეთოთხმეტის შვილი ყოფილიყო. მათ უნდოდათ დაედგინათ განსხვავება ჰერცოგობაში მამის ხაზით და დედის ხაზით. საზღვარი გაეკლოთ უბრალო საგრაფოს, როგორიც არმანიაკის ან ალბერტის საგრაფოა, და საპერო-საგრაფოებს შორის, როგორიც ეერეა; თითქმის ოცდახუთი წლის ასაკიდანვე ცისფერი ორდენის ბაფთა მხარიღლივ ეტარებინათ; ან კიდევ ოქროს საწმისის ორდენით დაეშვენებინათ მკერდი; დაპირისპირებინათ სამეფოს უხუცესი პერის, ჰერცოგ დე ლა ტრემუილისათვის ჰერცოგი დ'იუზესი, პარლამენტის უხუცესი პერი. აინტერესებდათ ცდილიყვნენ ისეთი უფლებების მოპოვებას, რომ იძდენივე პაჟი ჰყოლოდათ და იძდენივე ცხენი შეებათ ეტლში, რამდენიც გერმანელი კურფიურსტისათვის იყო განსაზღვრული. აგრეთვე მოეთხოვათ, რომ სახელმწიფოს საბჭოს თავმჯდომარეს პერებისთვის „მონსენიორები" ეწოდებინა; აინტერესებდათ ემსჯელათ იმაზე, — მენის ჰერცოგს, როგორც გრაფს და 1458 წლიდან პერის ხარისხის მქონეს აქვს თუ არა უფლება სხდომათა დიდ დარბაზში გავლისას ირიბად გადაჭრას გზა, თუ კედლის გასწვრივ გაიაროს. — აი, რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი საფრანგეთის პერებისათვის. ინგლისის ლორდებს გაცილებით მეტად აინტერესებდათ საკითხები ნავიგაციათა აქტების შესახებ, კათოლიკური დოგმატების ფიცით უარყოფის შესახებ, ინგლისის სასარგებლოდ ევროპის გამოყენების შესახებ, საფრანგეთთან ომის შესახებ. საფრანგეთის პერებისათვის მთავარი ეტიკეტი იყო, ინგლისის პერებისათვის — ნამდვილი ძალაუფლება. ინგლისის პერებმა ნადავლი მოიხვეჭეს, ხოლო საფრანგეთის პერები მოჩვენებებს დასდევდნენ დასაჭერად.

III

ძველებური დარბაზი

ვსტეფანწმინდის სააბატოს მახლობლად ძველებური ნორჩანდაუ-
ღი სახახლე იყო აშენებული, რომელიც პეტრეს VIII-ის მეფობაში
გადაიწვა. ამ შენობიდან ორი ფლიგელი გადარჩა. ერთ მათგანში
ელეანდ VI-მ ლიხდთა პალატა მოათავსა, მეორეში — თემთა პა-
ლატა.

აღარც ფლიგელები, აღარც ორიექე დარბაზი ახლა უკვე აღარ არსებობს, იქ ყველაფერი გადასხვანაირებულია.

ზევით ჩვენ გავიხსენეთ და ახლაც ისევ ვიმეორებთ, რომ წინანდელსა და ახლანდელ ლორდთა პალატას შორის არავითარი მსგავსება არ არის. ძველებური სასახლის დანგრევისთანავე ძველი ჩვეულებებიც გააუქმეს. ძველ ძეგლებზე ძალაყინის დარტყმა გავლენას ჩვეულებებსა და ქარტიებზეც ახდენდა. ძველი ქვა ჩამოვარდნისას თან გაიყოლებს ხოლმე რომელიმე ძველ კანონს. სენატი, რომელიც ოთხკუთხა დარბაზში ატარებდა სხდომებს, ახლა რომ მრგვალ დარბაზში მოათავსოთ, ისიც უკვე სხვა სახეს მიიღებს. თუ ნიჟარის ან ბაკნის ფორმა შეიცვლება, მასში არსებული მზოხაეის, კუს ან ლოფორთქინას ფორმაც გადასხვაფერდება.

თუ თქვენ გინდათ დაიცვათ რომელიმე ძველებური წესი, ადამიანური წარმოშობის იქნება იგი თუ ღვთაებრივი, კოდექსი თუ დოგმატი, არისტოკრატია იქნება თუ ქურუმთა წოდება, ნურაფერს გადააკეთებთ იქ ახლებურად, გარეგან ქერქსაც კი ნუ შეუცვლით. უკიდურეს შემთხვევაში, საკრებელი დაადეთ. მაგალითად, იეზუიტთა ორდენი საკრებელია კათოლიციზმისა. თუ გინდათ დაწესებულებები უცვლელად დატოვოთ, ნურაფერს შეუცვლით შენობებს.

ახრდილებს ნანგრევებს შორის უყვართ მიმყუდროება. დრომოჭმულ ხელისუფლებას ნახევრად დანგრეული სასახლეები სჭირდება.

წინანდელი ლორდთა პალატის მოწყობილობის ჩვენება გამოუცნობის ჩვენება იქნებოდა. ისტორია იგივე ღამეა. მასში უკანა ფონი არ ჩანს. ყველაფერი, რაც ავანსცენაზე არა ჩანს, დაუყოვნებლივ ქრება თვალთახედვიდან და წყვდიადში ინთქმება. როდესაც დეკორაციები სცენიდან გატანილია, მათ უკვე ივიწყებენ. წარსულს აქვს სინონიმი — ამოუცნობი.

ინგლისის პერები უზენაესი მოსამართლეების სახით ვესტმინსტერის დიდ დარბაზში სხდომებს მართავდნენ, ხოლო კანონმდებლის სახით ისინი საგანგებო დარბაზში იკრიბებოდნენ, ეგრეთ წოდებულ „ლორდების სახლში“; HOUSE OF THE LORDS.

გარდა პერების სასამართლოსი, რომელიც მხოლოდ გეირგვინის ინიციატივით მართავდა სხდომებს, ვესტმინსტერის დიდ

დარბაზში კიდევ ორ სასამართლო დაწესებულებას ჰქონდა ხოლმე სხდომები. ესენი პერების სასამართლოზე დაბლა იდგნენ, მაგრამ ყველა დანარჩენ სასამართლო ორგანოებზე მაღლა ითვლებოდნენ. მათ ამ დარბაზის წინა ნაწილის ორი მოპირდაპირე განყოფილება ეჭირათ. პირველი მათგანი „მეფის სკამის სასამართლოდ“ იწოდებოდა, მას თვით მეფე ედგა სასათავეში. მეორეს კანცლერის სასამართლოს უძახდნენ და მას კანცლერიც თავმჯდომარეობდა. პირველი იყო დამსჯელი ორგანო, მეორე — შემწყალებელი. ხშირად კანცლერი აღძრავდა ხოლმე მეფის წინაშე საკითხს შეწყალების შესახებ, მაგრამ ეს იშვიათად ხდებოდა. ხსენებული ორივე დღემდე არსებული, სამსჯავრო კანონებს არკვევდა და ხან მასში ოდნავი ცვლილებები შეჰქონდა. მოსამართლის ხელოვნება იმაში გამოიხატება, რომ სასამართლოს პრაქტიკაში თავიდან აიცილოს კანონთა კრებულში დაშვებული დაუზვეწავი ადგილები; ამგვარ საქმეში გაუფრთხილებლობა ხშირად სამართლიანობას აყენებს ზიანს. ვესტმინსტერის დიდ პირქუშ დარბაზში არა მარტო კანონებს ამუშავებდნენ, არამედ მათ იყენებდნენ კიდეცაც. ამ დარბაზის მოთალული ჭერი წაბლის ხისგან იყო ნაკეთები, წაბლის ხის ჭერზე ობობა ქსელს ვერ გააბამს, სამაგიეროდ, კანონებში იბმოდა საკმარისად ერთგვარი ქსელი.

სასამართლოს სხდომა და საკანონმდებლო პალატის სხდომა ორი სხვადასხვა საგანია. ამ ორ პრეროგატივაზე ფუძნდება უზენაესი ხელისუფლება. „ხანგრძლივმა პარლამენტმა“, რომელმაც სხდომები 1640 წლის 3 ნოემბერს დაიწყო, მალე იგრძნო, რომ საჭირო იყო რევოლუციური მიზნით ამ ორპირი ხმლით შეიარაღება. ამიტომ მსგავსად ლორდთა პალატისა, მან თავი არა მარტო კანონმდებელ ხელისუფლად გამოაცხადა, არამედ სასამართლო ხელისუფლადაც.

ეს ორმაგი ხელისუფლება უხსოვარი დროიდან ლორდთა პალატას ეკუთვნოდა. ჩვენ ახლახან ვთქვით, რომ მოსამართლეების სახით ლორდები ვესტმინსტერ-ჰოლში მართავდნენ სხდომებს, ხოლო როგორც კანონმდებლები, სხვა შენობას იყენებდნენ.

არსებითად, თვით ლორდთა პალატას მოგრძო და ვიწრო დარბაზი ეჭირა, შუქი ჭერში დატანებული ოთხი ფანჯრიდან ჩამოდიოდა. ასე რომ, სინათლე სახურავიდან და აგრეთვე მეფის ბალ-

დახნის ზემოთ ფარდებაფარებული ერთი მრგვალი, ექვსშუშიანი სარკმლიდანაც შემოდიოდა. საღამოობით აქ კედლებზე მიმაგრებულ მხოლოდ თორმეტ კანდელაბრს ანთებდნენ. ვენეციური სენატის დარბაზში სინათლე უფრო მცირე, მეტად მცირე იყო. ხალხთა ბედ-იღბლის ყოვლადშემძლე დამდგენლებს ოდნავი სიბნელე ისევე უყვართ, როგორც ბუს.

ლორდების სხდომის დარბაზს ზედ უზარმაზარი, მრავალწახნაგოვანი თაღი დასცქეროდა, ოქროს ვარაყით დაშვენებული, ხოლო თემთა პალატის ჭერი ბრტყელი იყო. მონარქიული წეს-წყობილების დროს ნაგებობებს განსაზღვრული მოსაზრებებით აშენებდნენ. ლორდთა პალატის გრძელ დარბაზს დასაწყისში კარი ჰქონდა, ხოლო მოპირდაპირე კედელთან სამეფო ტახტი იდგა. კარიდან რამდენიმე ნაბიჯით დაშორებული მესერი იყო გავლებული დარბაზის სიგანეზე; ეს იყო ერთგვარი საზღვარი, რომლითაც აქეთ მდაბიო ხალხის ადგილი აღინიშნებოდა, ხოლო იქით — წარჩინებულთა. სამეფო ტახტის მარჯვნივ, გერბით შემკულ ბუხარზე მარმარილოს ორი ბარელიეფი მოჩანდა: ერთზე გამოსახული იყო კეთუოლფის გამარჯვება ბრეტონელებზე, 572 წელს მომხდარი, მეორეზე — გეგმა დაბა დენსტებლისა, სადაც მხოლოდ ოთხი ქუჩა იყო თანახმად ქვეყნის ოთხი მხარისა. სამეფო ტახტი აღმართული იყო სამი საფეხურის ზემოთ. მას „მეფის საყარაულს“ უწოდებდნენ. სამეფო ტახტის ორივე მხარეს კედლებზე ფენებად გაკრული იყო ლორდთა პალატისადმი ელისაბედ დედოფლის ნაჩუქარი ქსოვილის შპალერი. შპალერზე ამოქარგული სურათები თანამიმდევრულად გამოხატავდნენ ესპანეთის არმადის ეველა თავგადასავალს, დაწყებული მისი ესპანეთიდან ზღვაზე გასვლით და დამთავრებული მისი დაღუპვით ინგლისის სანაპიროებთან. ხომალდების წყალზეითა ნაწილები ამოქარგული იყო ვერცხლისა და ოქროს ძაფებით, რაც დროთა მსვლელობისაგან ჩაშავებულიყო. ეს შპალერები კედლის კანდელაბრებით იყო დაყოფილი; მის ქვეშ, სამეფო ტახტის მარჯვნივ, სკამები იდგა სამწკრივად ეპისკოპოსებისათვის. მარცხნივ იმდენივე სკამი, ჰერცოგებისა, მარკიზებისა და გრაფებისათვის. სკამებშუა გასასვლელები იყო დატოვებული. პირველი სექტორის სამ გრძელ სკამზე ჰერცოგის დასაჯდომი იყო; მეორე სექტორისაზე — მარკიზებისა; მესამისაზე — გრაფებისა. ვიკონტების სკამები,

ერთიმეორეზე მიდგმული, სამეფო ტახტის პირდაპირ იდგა; ხოლო მათ უკან და მესრის წინ ორი სკამი იდგა ბარონებისათვის. სამეფო ტახტის მარჯვნივ, ზემო სკამზე ორი მთავარეპისკოპოსის დასაჯდომი იყო: კენტერბერიისა და იორკისა. შუა გრძელი სკამი სამ ეპისკოპოსს ეჭირა: ლონდონისას, დერჰემისას და ვინჩესტერისას. ქვემოთა, მესამე მწკრივის სკამები დანარჩენი ეპისკოპოსებისათვის იყო განკუთვნილი. კენტერბერიის მთავარ ეპისკოპოსსა და სხვა ეპისკოპოსებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა, — კენტერბერიისა „განგებითა ღვთისათა“ არის ნაკურთხი, მაშინ როდესაც სხვა ეპისკოპოსები „ნებითა ღვთისათა“ არიან ნაკურთხი. სამეფო ტახტის მარჯვნივ იდგა სავარძელი, უელსის პრინცისათვის, მარცხნივ — დასაკეცი სკამები, მეფური სისხლის პრინცებისათვის. ამ სკამების უკან მოგრძო სკამი იდგა, ეს არასრულწლოვანი, უასაკო პერებისათვის, რომელთაც ჯერ უფლება არ ჰქონდათ პალატაში სხდომების მონაწილენი ყოფილიყვნენ. ყველგან სამეფო სუმბულები, ოთხივე კედელზე, პერების თავსდამყურედ, ისევე როგორც მეფის თავსდამყურედ უშველებელი ფარები ეკიდა, ზედ ინგლისის გერბის სახით. პერების ვაჟიშვილები და მემკვიდრეები სხდომას ესწრებოდნენ. ისინი მეფის ტახტის უკან, კედელსა და ბალდახინს შუა ფეხზე იდგნენ. სამეფო ტახტისა და სამ მწკრივ სკამებს შუა კიდევ დიდი ოთხკუთხა ადგილი რჩებოდა თავისუფალი. ამ ადგილას ხალიჩა ეფინა, ინგლისის ღმერთებით ნასახი. ხალიჩაზე ოთხი ტომარა* იდო მატყლით სავსე, ერთი პირდაპირ მეფის ტახტის წინ, კანცლერისათვის, ეს პიროვნება ზედ ამ ტომარაზე იჯდა, ხელში კვერთხი და სახელმწიფო ბეჭედი ეჭირა. მეორე ტომარა ეპისკოპოსების წინ იდო, სახელმწიფო მრჩეველ-მოსამართლეებისათვის, რომელთაც დასწრების უფლება ჰქონდათ, მხოლოდ ხმის მიუცემლად. მესამე ტომარა, ჰერცოგების, მარკიზებისა და გრაფების პირდაპირ — სახელმწიფო მდივნისათვის და მეოთხე, ვიკონტებისა და ბარონების პირდაპირ, გვირგვინოსნის კლერკისა და პარლამენტის კლერკისთვის იყო განკუთვნილი. ამ ტომარაზე კლერკების ორი თანაშემწე დაჩოქილი წერდა. ამ ოთხკუთხედის შუაში მაუდგადაფარებული მაგიდა იდგა, ზედ გროვად ქაღალდები, სიები და საანგარიშო დაეთრები ეწყო; იქვე იდგა მკვრივად ნაჭედი სამელნეები და მაგიდის ოთხივე კუთხეში მაღალი სანათ-ლამპრები. პერებს

ადგილები ეჭირათ „ქრონოლოგიური წესით", თითოეულს თავისი გვარის მიხედვით. ისინი ადგილებს იკავებდნენ ორმაგი უფროსობისდა თანახმად, თუ ვის რა ტიტული ჰქონდა მინიჭებული, ან როდის. მესერთან იდგა შავი კვერთხის ბოქაული და ხელთ ეპყრა თავისი თანამდებობის ემბლემა. კართან თავისი თანაშემწე იდგა და კარს გარეთ კი შავი კვერთხის მაცნე. ამ მაცნის მოვალეობას შეადგენდა გამოეცხადებინა სხდომის გახსნა შეძახილით : „მოისმინეთ". ის სამჯერ დაიძახებდა ამ სიტყვას ფრანგულად, ამასთანავე სიტყვის პირველ ნახევარს საზეიმო კილოთი გააგრძელებდა. ამ მაცნეს გვერდით იდგა კანცლერის კვერთხისმტვირთველი.

როდესაც პალატის სხდომა მეფის თანდასწრებით მიმდინარეობდა, ერისკაცნი პერები თავგვირგვინიანნი ისხდნენ, ხოლო სასულიერო პირთ თავზე მიტრები ედგათ.

მთავარეპისკოპოსის მიტრაზე ჰერცოგის გვირგვინი იყო გამოკვეთილი, ხოლო ეპისკოპოსები, ხარისხით ვიკონტებთან გათანასწორებულნი, ბარონის გვირგვინიან მიტრას იხურავდნენ.

უცნაური გარემოებაა. მაგრამ იმავე დროს ჭკუასთან ახლოც: ის ოთხკუთხედი, რომელიც სამეფო ტახტის, ეპისკოპოსების სკამებისა და ბარონების სკამების გამო მოხაზულიყო და რომლის შუაგულს მოხელეები დაჩოქილიყვნენ, ზედგამოჭრილი ასლი იყო საფრანგეთის პირველი ორი დინასტიის დროს არსებული უძველესი პარლამენტისა. ხელისუფლება საფრანგეთშიც და ინგლისშიც ერთსა და იმავე გარეგნულ ფორმებს იღებდა. 853 წელს ჰინკმარი ტრაქტატში „სამეფო პალატების გაწყობილობის შესახებ" თითქოს მეთვრამეტე საუკუნეში ჩატარებულ ლორდთა პალატის სხდომებს აღწერს. მეტად კურიოზული ოქმია, ცხრაასი წლით ადრე შედგენილი ამ მოვლენებამდე.

რა არის ისტორია? წარსულის გამოხმაურება მომავალში. ეს არის შუქი, რომელიც მომავლისაგან წარსულს ეფინება.

პარლამენტის მოწვევა სავალდებულო იყო მხოლოდ ყოველი შვიდი წლის მერე.

ლორდები თათბირობდნენ კარდახურულში, ხოლო თემთა პალატის სხდომები ხალხის თანდასწრებით იმართებოდა. ლორდთა საჯარო თათბირი ღირსების შებღალვა ეგონათ.

ლორდების რიცხვი განუსაზღვრელი იყო. ახალი ლორდე-

ბის წარმომობა, ანუ ლორდის ტიტულ-ხარისხის მინიჭება მეფის უფლებას შეადგენდა და ეს ერთგვარად მუქარასაც ნიშნავდა მეფების მიმართ, მათი უფროსის საწინააღმდეგოდ.

მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს პალატის სხდომებზე უფლებამოსილი ლორდების რიცხვმა ერთობ მნიშვნელოვან ზღვარს მიაღწია. შემდეგ ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. არისტოკრატიული წრეებისათვის ახალი და ახალი ადამიანების შემატება მეფის ძალაუფლებას განსაზღვრული პოლიტიკური მიზნებისათვის სჭირდებოდა. ელისაბედ დედოფალმა შესაძლოა შეცდომა დაუშვა იმით, რომ პერების რიცხვი სამოცდახუთ კაცამდე შეამცირა, წარჩინებულთა რიცხვი რამდენად მცირეა, იმდენად ძლიერია. რამდენად ბევრი ხალხია მათ თავყრილობაში, იმდენად ნაკლებია იქ შინაური კაცი. იაკობ მეორე მშვენივრად გრძნობდა ამას, რომელმაც მან ლორდების რიცხვი ზემო პალატაში ასოთხმოცდარვამდე და ასოთხმოცდაექვსამდე გაზარდა, თუ აქედან გამოვრიცხავთ მეფის ალკოვის ორი პერცოგის მეუღლეს პორტსმუთისა და კლივლენდს. ანა დედოფლის დროს პერების საერთო რიცხვმა, ეპისკოპოსებითურთ, ორას შვიდამდე მიაღწია.

გარდა დედოფლის მეუღლისა, კემბერლენდის პერცოგისა, პერცოგები სულ ოცდახუთნი იყვნენ. ამათგან პირველი — ნორფოლკი, პალატის სხდომებს არ ესწრებოდა, ვინაიდან იგი კათოლიკე იყო, ხოლო უკანასკნელი, პერცოგი კემბრიჯისა, კურფიურსტი ჰანოვერისა, თუმცა უცხოელი იყო, მაგრამ იგი შედიოდა პალატის წევრთა შემადგენლობაში. ვინჩესტერი, რომელიც ინგლისის პირველ და ერთადერთ მარკიზად ითვლებოდა ისე, როგორც ასტროგა, ერთადერთი მარკიზი გახლდათ ესპანეთისა, არ ესწრებოდა პალატის სხდომებს, რადგან იაკობინელი* იყო. მათ გარდა კიდევ ხუთი მარკიზი იყო: ამათგან უფროსად ცნობდნენ ლინდსეის, ხოლო უმცროსად ლოთიანს. გრაფების რიცხვი სამოცდაცხრამეტს აღწევდა, იმათგან პირველი იყო დერბი, ხოლო უკანასკნელი აილეი. ვიკონტი იყო ცხრა; მათში პირველი ჰელფორდი, ხოლო უკანასკნელი ლონსდეილი. ბარონი — სამოცდაორი, იმათგან პირველი ებერგევენი, ხოლო უკანასკნელი ჰერვეი. ლორდი ჰერვეი, როგორც ყველაზე უმცროსი წევრი პალატისა, იწოდებოდა „უმცროსად". დერბი, რომელიც იაკობ II-ის დროს მეოთხე იყო უფროსებიდან, რადგან

ხარახით მაიზე მაღლა იდგნენ გრაფები: ოქსფორდი, შრუსბერი და კენტი, შემდეგ, ანას დროს გრაფებს შორის პირველ ადგილს იჭერს. იმხანად ბარონების სიიდან ორი კანცლერის სახელი გაქრა: ტრულამისა, რომელიც ისტორიაში ცნობილია ბეკონის სახელით და უემისა, რომელსაც ისტორია ჯეფრისის სახელით იცნობს. ბეკონი და ჯეფრისი შავბნელი სახელებია, თითოეული თავისებურად. 1705 წელს ოცდაექვსი ეპისკოპოსისგან დარჩენილი იყო ოცდახუთი, ვინაიდან ჩესტერის ეპარქია ვაკანტური დარჩა. ეპისკოპოსთა შორის სახელოვანი დიდკაცობაც იყო, როგორც მაგალითად, უილიამ ტალბოტი, მთავარეპისკოპოსი ოქსფორდისა, თავისი ოჯახის პროტესტანტული შტოს მოთავე. სხვანი გამოჩენილი სწავლულები იყვნენ, როგორც, მაგალითად, ჯონ შარპი, მთავარეპისკოპოსი იორკისა, დეკანად ნამყოფი ნორვიკში, პოეტი თომას სპრატი, — როჩერსტელერი ეპისკოპოსი, კაცი აპოპლექტური გარეგნობისა, ან კიდევ ეპისკოპოსი ლინკოლნისა, უეიკი, მოწინააღმდეგე ბოსიუეხი; ისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში კენტერბერიის მთავარეპისკოსის კათედრას განაგებდა.

განსაკუთრებულად საგანგებო შემთხვევაში, როდესაც, მაგალითად, ზედა პალატას მეფის რომელიმე უწყება უნდა მოესმინა, ეს დიდებული კრება ქლამინდოსნებისა, პარიკოსნებისა, მიტრებითა და თეთრბუმბულიანი ქუდებით ავსებდა ხოლმე პერების დარბაზს; ეს დიდებულები ჩამოსხდებოდნენ კიბისებრ დახარისხებულ ადგილებზე კედლების გასწვრივ, ხოლო ნახევრად ბნელ კედლებზე თვალით მაინც გაირჩეოდა გამოსახულება ქარიშხლისა ესპანურ არმადას რომ ანადგურებდა. ეს სურათი თითქოს ამბობდა: „ქარიშხალიც კი ემორჩილება ინგლისსო“.

IV

ლორდთა პალატა ძველად

გუინპლენის ხელდასხმა პერის წოდებაზე და ლორდთა პალატაში შეყვანის მთელი ცერემონია, დაწყებული სამეფო ჭიშკარში შებრძანებით და დასრულებული შუშაბანდიან როტონდაში კათოლიკური დოგმების საზეიმო უარყოფით, ნახევრად სიბნელეში წარმოებდა.

ლორდმა უილიამ კოუპერმა ნება არ მისცა, რომ მისთვის, ინგლისის კანცლერისთვის, დაწვრილებით მოეხსენებინათ ახალგაზრდა ლორდის, ფერმენ კლენჩარლის სახიჩრობის შესახებ. მას თავისი ღირსებისათვის დამამცირებლად მიაჩნდა სცოდნოდა, რომ პერი შეიძლებოდა ულამაზო ყოფილიყო. იგი თავის თავს შეურაცხყოფილად ჩათვლიდა, თუკი რომელიმე თავხედი ხელქვეითი გაბედავდა ამგვარი ცნობა მისთვის ეუწყებინა. უეჭველია, რომელიმე მდაბიო განსაკუთრებული ნიშნისგებით იტყვის: „პრინცი ხომ კუზიანიაო," ამიტომ სახიჩრობა შეურაცხმყოფელია ლორდისათვის. როდესაც ანა დედოფალი გაკვრით შეეხო გუინპლენის გარეგნობას, ლორდმა კანცლერმა სიტყვა მოუჭრა და შენიშნა: „დიდი კაცის სილამაზე მის გვარიშვილობაშიაო". მაგრამ საერთოდ დედოფლის სიტყვებიდანაც და ოქმებიდანაც, რომელთა შემოწმება და აგრეთვე დამოწმებაც დასჭირდათ, იგი ყველაფერს მიხვდა. სწორედ ამიტომ მიმართა მან გამაფრთხილებელ ზომებს.

ახალ ლორდს პალატაში შესვლის დროს, შესაძლოა არასასურველი შთაბეჭდილება მოეხდინა, ეს როგორმე უნდა აეცილებინათ თავიდან. ლორდ-კანცლერმა ზოგიერთ ზომას მიმართა. უსიამოვნო შემთხვევები რაც შეიძლება ნაკლებად — ასეთია მისწრაფება და განუხრელი წესი ყველა წარჩინებული პირისა. ზიზღი უსიამოვნებისადმი უცილობელი ნიშანია ყველა მედიდური გვამისა. საჭირო იყო ეზრუნათ იმაზე, რომ გუინპლენის წარდგენა გართულების გარეშე მომხდარიყო, ისე როგორც ყოველი სხვა პერობის მემკვიდრის მიღება ხდება ხოლმე.

სწორედ ამიტომ ლორდ-კანცლერმა გადაწყვიტა, რომ ეს ცერემონია სალამოს სხდომის დროს ჩატარებულიყო. ნორმანდიულ ქარტიებში ნათქვამის მიხედვით და ტერტულიანეს თქმითაც, კანცლერი, „როგორც კარიბჭიდანვე ზედამხედველი", უფლებამოსილია თავისი მოვალეობა არა მარტო თვით პალატაში შეასრულოს, არამედ მის კარამდეც. ლორდმა უილიამ კოუპერმა ისარგებლა ამ უფლებით და ლორდ ფერმენ კლენჩარლის თავის უფლებებში აღდგენის, ანუ ხელდასხმის ყველა ფორმალური მხარე შეასრულა შუშაბანდიან როტონდაში. გარდა ამისა, მან ცერემონია ადრე დანიშნა, რათა ახალი პერი პალატაში სხდომის დაწყებამდე შესულიყო.

რაც შეეხება პარლამენტის დარბაზის გარეთ პერის ღირსება-

ზე აღზევებას. ამის მაგალითები ადრეც ყოფილა. ასე მაგალითად, პირველი მემკვიდრეობითი ბარონი ჯონ ბოშანი ჰოლტ-კასლელი, რომელმაც 1387 წელს რიჩარდ მეორისაგან კიდერმინსტერის ბარონის ტიტული მიიღო, პალატაში სწორედ ასეთივე წესით იქნა მიღებული.

თუმცა ამ მაგალითის მიბაძვით ლორდ-კანცლერმა თვითონ ჩაიყენა თავი ფრიად საჭოჭმანო მდგომარეობაში, რაშიც იგი მხოლოდ ორი წლის მერე დარწმუნდა, ვიკონტ ნიუპეევენის ლორდების პალატაში შეყვანისას.

თავისი ახლომხედველობის გამო, რაც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, ლორდ უილიამ კოუპერს თითქმის არ შეუმჩნევია გუინპლენის სახიჩრობა; ხოლო ალმქმელ ლორდებს სულაც არ შეუხედავთ მისთვის, სიბერისაგან თითქმის დაბრმავებულიყო ორივე.

სწორედ ამის გამო აირჩია ისინი ლორდ-კანცლერმა ალმქმელებად.

კიდევ მეტიც, ლორდ-კანცლერმა გუინპლენის ტანს რომ შეხედა, გაიფიქრა, ერთობ წარმოსადეგიაო.

იმ წუთში, როცა ორმა კარისმცველმა ფართოდ გააღო გუინპლენის წინ კარები, დარბაზში მხოლოდ რამდენიმე ლორდი იმყოფებოდა, ისიც უმეტესობა მოხუცებული; ბერიკაცები ისეთივე სიბეჯითით მიდიან ხოლმე კრებაზე, როგორი ხალისითაც ეარშიყებიან ახალგაზრდა მანდილოსნებს. მხოლოდ ჰერცოგის ორი სკამი იყო დაკავებული. ერთი მთლად გათეთრებულ თომას ოსბორნს, ლიდსის ჰერცოგს ეკავა, მეორე — შეჭაღარავებულ შონბერგს, იმ შონბერგის შვილს, რომელიც წარმოშობით გერმანელი იყო, მარშლის კვერთხის მიხედვით ფრანგი და პერობის მიხედვით — ინგლისელი. ის ჯერ ინგლისის წინააღმდეგ იბრძოდა, როგორც ფრანგი, შემდეგ ნანტის ედიქტით განდევნილმა, ახლა უკვე როგორც ინგლისელმა, იმ სახით დაიწყო ბრძოლა საფრანგეთისაენ წინააღმდეგ. ეკლესიის თავადთა სკამზე, ზემო კუთხეში იჯდა მხოლოდ მთავარეპისკოპოსი კენტერბერიისა, უფროსი სასულიერო პირი ინგლისში. ქვემოთ იჯდა დოქტორი საიმონ პატრიკი, ეპისკოპოსი ილიისა, იგი ესაუბრებოდა ეველინ პირპონტს, მარკიზს დორჩესტერისას, რომელიც განუმარტავდა მას განსხვავებას გაბიონსა და კურტინს შორის, შტურმფალებსა და პალისადებს შორის. პალი-

სადებს იმ სეტებს ეძახდნენ, რომლებიც კარვების წინ იყვნენ აღმართულნი და რომელთა დანიშნულება სამხედრო ბანაკის დაცვა იყო, შტურმფალები კიდევ მთელი რიგი წვეტიანი მარგილები იყო, ციხესიმაგრის თხრილის წინ გარიგებული; ისინი გზას ელობავდნენ იერიშზე მისულებს და გაქცევის საშუალებას არ აძლევდნენ ალყაშემორტყმულებს. მარკიზი უხსნიდა: ამ მარგილებს ნახევრამდე ამაგრებენ მიწაში და სანგრებს გარს შემოუხლუდავენ ხოლმეო. თომას თინი, ვეიმუთის ვიკონტი, კანდელაბრთან მისულიყო და სინათლეზე ათვალიერებდა არქიტექტორის მიერ წარმოდგენილ გეგმას, თავის ინგლისურ პარკში უილტშირში გასაკეთებელი გაზონისას, რომელიც კვადრატულად უნდა დაყოფილიყო, წითელი და ყვითელი ქვიშით შემოგარსული, აგრეთვე მდინარის ნიჟარებითა და ქვანახშირის მტვრითაც. ვიკონტების სკამზე ისხდნენ უფროსების გაუთვალისწინებლივ, მოხუცი ლორდები: ესექსი, ოსალსთოუნი, პერეგრინი, ოსბორნი, უილიამ ზულსტაინი, გრაფი როშფორი და რამდენიმე ახალგაზრდა ლორდი. ეს უკანასკნელნი იმათ რიცხვს ეკუთვნოდნენ, რომელნიც პარიკს აღარ ხმარობდნენ. ისინი გარს შემოხვეოდნენ პრაის დევერეს, ვიკონტ ჰერფორდს და იმ საკითხებზე მსჯელობდნენ, შეიძლებოდა თუ არა ჩაის მაგიერ ეხმარათ დაკბილულფოთლებიანას ნაყენი. „ნაწილობრივ შეიძლებაო“, — ამბობდა ოსბორნი, „მთლიანადაც თავისუფლად შეიძლებაო“ — ამტკიცებდა ესექსი. მათ ლაპარაკს ყურადღებით უსმენდა პოლეტს სენტჯონი, ბიძაშვილი ბოლინგბროკისა, ასე თუ ისე შემდეგ მის მოწაფედ ვოლტერი ითვლებოდა, ვინაიდან ვოლტერის გონების გახსნა მამა პორეს* სკოლიდან დაიწყო და ბოლინგბროკის გავლენით დამთავრდა. მარკიზის სკამზე თომას გრეი, მარკიზი კენტისა, კამერჰერი დედოფლისა, რობერტ ბერტის არწმუნებდა, ლინსეის მარკიზს, ინგლისის ლორდ-კამერჰერს, რომ დიდი ინგლისური ლატარიის მთავარი მოგება 1614 წელს შეხვდა ორ ფრანგს, აქ ჩამოსახლებულ ბატონ ლეკოკს, პარიზის პარლამენტის ყოფილ წევრს და ბატონ რავენელს, ბრეტონელ აზნაურსო. გრაფი უაიშსი კითხულობდა წიგნს სათაურით: „საინტერესო წინასწარმეტყველებანი სიბილებისა“. ჯონ კემპბელი, გრაფი გრინიჩი, ცნობილი თავისი გრძელი ნიკაპითა და ოთხმოცდაშვიდი წლის მოხუცისათვის იშვიათი ცელქობითაც, წერილს სწერდა თავის საყვარელს. ლორდი

ნანდოსი ფრჩხილების წმენდით იყო გართული. რადგან სხდომა მეფის დასწრებას გულისხმობდა, ესე იგი, გვირგვინოსნის ნაცვლად კომისრები უნდა დასწრებოდნენ. ამიტომ სამეფო ტახტის წინ კარის მცველთა ორი თანაშემწე ალისფერ ხავერდგადაკრულ სკამს დგამდა. მეორე მატყლის ტომარაზე იჯდა სიების განმგებელი; ის ახლა იმ სახლში ცხოვრობდა, რომელიც წინათ გაქრისტიანებულ ებრაელებს ეჭირათ. მეოთხე ტომარაზე კლერკების ორ თანაშემწეს დაეჩოქა და აქტების დავთრებს ფურცლავდნენ.

ლორდ-კანცლერი პირველ მატყლის ტომარაზე მოთავსებულიყო. პარლამენტის მოხელეებმაც თავიანთი ადგილები დაიჭირეს; ზოგი ფეხზე იდგა, ზოგიც დაჯდა. როდესაც ყველანი დალაგდნენ, მთავარეპისკოპოსი კენტერბერიისა ადგა და ხმამაღლა წარმოთქვა ლოცვა, რის შემდეგ სხდომა დაიწყო. სწორედ ამ დროს გუინპლენიც შემოვიდა. მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ბარონების მეორე სკამი, რომელზედაც ის იჯდა, მოაჯირთან იყო ახლოს; ისე რომ, მან შემოსვლისას მხოლოდ ორიოდე ნაბიჯი გადადგა. აღმჭრელი ლორდები მას მარჯვნივ და მარცხნივ მოუსხდნენ, რის მეოხებითაც ახალი ლორდის გამოჩენა შეუმჩნეველი დარჩა. წინასწარ არავინ გაუფრთხილებიათ და პარლამენტის კლერკმაც ჩუმად წაიკითხა ყველას საბუთი, რაც კი ახალ ლორდს ეხებოდა. ხოლო ლორდ-კანცლერმა მისი პერების წოდებაში მიღების შესახებ გამოაცხადა, „ერთობლივი უყურადღებობის“ მომენტში, როგორც ანგარიშებშია ნათქვამი.

ყველანი გართული იყვნენ ლაპარაკით: დარბაზში საკმაოდ ძლიერი გუგუნი ისმოდა. კრებებზე ამით ხშირად სარგებლობდნენ და ხმაურობაში ისეთ დადგენილებას გამოაცხადებდნენ ხოლმე, რომ შემდეგ ის თვითონ მონაწილეებშივე იწვევდა გაკვირვებას.

გუინპლენი იჯდა მდუმარედ, ქუდმოხდილი, ორ მოხუცს შუა, თავისი აღმჭრელების, ლორდ ფიცუოლტერსა და ლორდ ერანდელს შუა.

საჭიროა შევნიშნოთ, რომ ბარკილფედრო, როგორც ჯაშუში, განდობილი იყო და მას გადაწყვეტილი ჰქონდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, თავისი განზრახვა ბოლომდე მიეყვანა; მან ოფიციალურ მოხსენებებში ლორდ-კანცლერისადმი რამდენიმედ მაინც დაუფარა ლორდ ფერმენ კლენჩარლის სახიჩრობა, თან განსაკუთრებით

ხაზი გაუსვა იმას, რომ გუინპლენს, თუ ნებისყოფას დაძაბავდა, შეეძლო მოეშორებინა პირისახიდან სიცილის გამომეტყველება და თავისი დახახიჩრებული იერისათვის სერიოზული ელფერი მიეცა. გუინპლენის ამ უნარს ბარკილფედრო შესაძლოა ახვიადებდა კიდევაც. თუმცა რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა არისტოკრატის თვალში ერთ-ერთი მისი წარმომადგენლის სახიჩრობას? განა თვითონ ლორდ-კანცლერი, უილიამ კოუპერი არ იყო ავტორი ცნობილი გამოთქმისა: ინგლისში პერის აღდგენას მათთვის უფლებებში მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მეფის რესტავრაციასო. ცხადია, რომ სილამაზე და ხელოვნება უკეთესია განუყრელნი ყოფილიყვნენ; საწყენია, რომ ლორდი დახახიჩრებულია; ეს, რა თქმა უნდა, ბედის ბოროტი დაცინვაა. მაგრამ არსებითად განა ეს გავლენას იქონიებს მის უფლებებზე? ლორდ-კანცლერმა სათანადო გამაფრთხილებელი ზომები მიიღო და სწორადაც მოიქცა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს ზომებიც რომ არ ყოფილიყო მიღებული, რა დაუშლიდა პერს ლორდთა პალატაში შესვლას? განა გვარიშვილობა და მეფური ჩამომავლობა ვერ გამოისყიდიან, როგორც უნდა იყოს, სახიჩრობასა და დაშავებულობას? განა 1347 წელს გამჭრალი კოუმენების უძველეს საგვარეულოში, ბიუკენის გრაფებში თაობიდან თაობაზე არ გადადიოდა პერის ღირსების თანასწორად მათი ეელური, ხრიწიანი ხმაც, ისე, რომ მარტო ამ მხეცური გრგვინვით ცნობდნენ შოტლანდიელი პერის ნაშიერებს. განა კეისარ ბორჯიას* დაუშალა ვალენსიის ჰერცოგად ყოფნა იმან, რომ მას სახეზე საძაგელი, სისხლიანი წითელი ლაქები ჰქონდა? განა იოანე ლუქსემბურგელს სიბრმავემ დაუშალა ბოჰემიის მეფედ ყოფნა? განა რიჩარდ III-ს* კუზმა ხელი შეუშალა ინგლისის მეფე გამხდარიყო? თუ კარგად დავუფიქრდებით, აღმოჩნდება, რომ სიმახინჯე და სახიჩრობა არა მარტო არ ამცირებდა დიდებას, არამედ ხელსაც უწყობდა და თვალისჩინიევით ხდიდა ამ სახელ-დიდებას. დიდკაცობა იმდენად დიდებულია, რომ ვერავითარი სახიჩრობა მას ვერ დაამცირებს. ასეთია მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარე საკითხისა. როგორც მკითხველი ხედავს, ვერაფერმა შეუშალა ხელი გუინპლენის მიღებას პერთა რიცხვში და ლორდ-კანცლერის წინასწარი გაფრთხილებანი ყველა სხვა შემთხვევაში თუ მიზანშეწონილი იქნებოდა, აქ არისტოკრა-

ტიული პრინციპების თვალსაზრისით სრულიად ზედმეტი გამოდგა. დარბაზში შესვლისას გუინპლენმა პერიოლდმეისტერის დარიგების თანახმად და აგრეთვე ორივე აღშქმელის გახსენებათა თანახმადაც, „მეფო სავარძელს“ თავი დაუკრა.

ამგვარად, ყოველივე დასრულდა, ის ლორდი გახდა.

ის ახლა ფეხით სთელავდა იმ საუცხოო მწვერვალს, რომლის თვალისმომჭრელი ელვარების წინაშე მისი მასწავლებელი ურსუსი მთელ თავის სიცოცხლეში შიშითა და ძრწოლით იხრიდა ქედს.

ის ახლა იმყოფებოდა ინგლისის ყველაზე უფრო ბრწყინვალე და ამავე დროს პირქუშ ადგილას.

ეს იყო ძველი ფეოდალური მწვერვალი, რომელსაც ექვსი საუკუნის მანძილზე შესცქეროდა ევროპა და ისტორია. საშინელი ელვარება წყვდიადის სამეფოდან ამოხეთქილი.

იგი ამ ელვარების წრეში მოექცა და მოექცა საბოლოოდ.

ახლა ის თავის წრეში იყო. თავის ადგილზე, ისე, როგორც მეფეა. ამიერიდან მას ხელს არაფერი შეუშლის, იგი საბოლოოდ აქ დამკვიდრდება.

ეს მეფის გვირგვინი, რომელიც ბალდახინის ზემოთ ეკიდა, ღვიძლი და იყო მისი საკუთარი გვირგვინისა. იგი პერი იყო ამ მეფის ტახტისა.

მეფის ხელისუფლების წინაშე იგი წარმოადგენდა წარჩინებულ დიდკაცს. ის მეფეზე დაბლა იდგა, მაგრამ მისი მსგავსი იყო.

ვინ იყო იგი გუშინ? — კომედიანტი, მასხარა. დღეს ვიღა გახდა? — მფლობელი.

გუშინ არარა იყო, დღეს ყოვლადშემძლეა.

ერთი არსების სულსა და გულში პირისპირ შეხვედრილნი არარაობა და ყოვლისშემძლეობა უცბად ორ სხვადასხვა ნახევრად გარდაიქმნენ ერთსა და იმავე შეგნებაში. ორი აჩრდილი, აჩრდილი სიღარიბისა და აჩრდილი კეთილდღეობისა დაეპატრონნენ ერთსა და იმავე სულს და თითოეული თავისკენ იზიდავდა მას. ეს ორი ძმა, მტრები ერთმანეთისა — სიღარიბე და სიმდიდრე ტრაგიკულ შერკინებაში შესულნი, ერთმანეთში იყოფდნენ გონებას, ნებისყოფასა და სინდისს ერთი კაცისას. აბელი და კაენი განხორციელდნენ ერთ პიროვნებაში.

V

ძველმაღლური ლაზღანდაროგა

პალატის სკამები თანდათანობით გაიცხო. ლორდები გამოჩნდნენ. დღის წესრიგში იდგა საკითხი — ბილი კემბერლენის პერცოგის, გეორგ დანიელის, დედოფლის ქმრისათვის ყოველწლიური ჯამაგირის ასი ათას გირვანქა სტერლინგამდე გაზრდის შესახებ. გარდა ამისა გამოცხადდა, რომ პალატაში წარმოდგენილი იქნება მისი უდიდებულესობის, დედოფლის მიერ მოწონებული რამდენიმე ბილი; ბილებს წარმოადგენენ გვირგვინოსნის კომისრები, რომელთაც დაეკისრებათ უფლება-მოვალეობა, დაამტკიცონ ისინი, რის გამოც სხდომას სამეფო მნიშვნელობა ეძლეოდა. პერებს საპარლამენტო ქლამინდები გადაეცვათ, თავიანთი ჩვეულებრივი ტანისამოსის ანდა სახახლის კარისკაცთა ტანისამოსის ზემოდან. ყველას ერთნაირი ქლამინდი ემოსა, სწორედ ისეთი, როგორიც გუინპლენისათვის წამოესხათ მხრებზე. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ პერცოგებს ხუთ-ხუთი ზოლი ყარყუმი ეკერათ, ოქრომკედშემოვლებული; მარკიზებს ოთხი ზოლი; გრაფებსა და ვიკონტებს სამ-სამი ზოლი; ხოლო ბარონებს ორ-ორი ზოლი, ლორდები ჯგუფ-ჯგუფად შემოდიოდნენ და თან ტალანშივე დაწყებულ საუბარს განაგრძობდნენ. ზოგიც თითო-თითო შემოდიოდა. ყველას ჩაცმულობა საზეიმო ელფერს ატარებდა, ხოლო მათ პოზასა და საუბარში არაფერი საზეიმო არ იგრძნობოდა. თითოეული ლორდი შემოსვლისას სამეფო ტახტს უკრავდა თავს.

პერები თავს იყრიდნენ, ყველა დიდებული და სახელოვანი დარბაზში თითქმის ყველანაირი ცერემონიალის გარეშე შემოდიოდა, რადგან სხვა ხალხი იქ არ იყო. შემოვიდა ლესტერი და ხელი ჩამოართვა ლიჩფილდს. შემდეგ გამოცხადდნენ ჩარლზ მორდაუნტი, გრაფი პიტერბორო და მონმუთი, მეგობარი ლოკისა, რომელმაც წინადადება შეიტანა მონეტების გადადნობაზე. კიდევ შემოვიდა ჩარლზ კემპბელი, გრაფი ლოუდუნი, რომელსაც რალაცას უჩურჩულებდა ფუკ გრევილი, ლორდი ბრუკი. შემდეგ დორში, გრაფი კარნარვონი, შემოვიდა რობერტ სეტონი, ბარონი ლექსინგტონი, შვილი იმ ლექსინგტონისა, რომელმაც კარლოს II-ს ურჩია გაეგ-

ლო ისტორიოგრაფი გრეგორიო ლეტი, რადგან მას ნაკლები ცოდნა ჰქონდა საიმისოდ, რომ ისტორიკოსი ყოფილიყო. შემოვიდა ლაპში მოხუცი თომას ბელასაიზი, ვიკონტი ფალკომბერგისა. შემდეგ სამნი, ბიძაშვილები ჰოვარდები: — ჰოვარდი გრაფი ბანდონი, ბოურს-ჰოვარდი, გრაფი ბექშირი და სტაფორდ-ჰოვარდი, გრაფი სტაფორდი. შემდეგ ჯონ ლოვლესი, ბარონი ლოვლესი, რომლის მფარველობა 1736 წელს მოისპო, რამაც რიჩარდსონს* ხელი შეუწყო თავის რომანში შეეტანა ლოვლესი და ამ საბუთით შეექმნა განსაკუთრებული ტიპი. ყველა ეს პირი, დაწინაურებული პოლიტიკურ სფეროში, ან ომში, რომელთაც თავისი ღვაწლით სახელი მოეხვეჭათ ინგლისისათვის, ახლა აქ იცინოდნენ და ლაზღანდარობდნენ. ეს იყო თვითონ ისტორია ხაშინაო ტანსაცმელში.

ნახევარ საათზე ნაკლებ დროში პალატაში თითქმის მთელმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, გასაგებიც არის, — სამეფო სხდომა უნდა ჩატარებულიყო. უფრო უჩვეულო აქ ის ჩანდა, რომ ლაპარაკი მეტად გაცხოველდა. სულ ახლახან ძილისმაგვარ დუმილში შთანთქმული პალატა ისე აგუგუნდა, როგორც რაიმესაგან აფორიაქებული სკა. იგი გამოაფხიზლა დაგვიანებული ლორდების გამოჩენამ. მათ თან მოიყოლეს საინტერესო ამბები. უცნაური ამბავია: იმ პერებმა, რომლებიც პალატაში სხდომის დაწყებიდანვე იმყოფებოდნენ, ეჭვითაც არ იცოდნენ რა მოხდა პალატაში, მაშინ, როცა ახალმოსულებს უკვე ყველაფერი გაეგოთ.

ბევრი ლორდთაგანი ვინძორიდან იყო.

უკვე რამდენიმე საათის წინ გახმაურდა და მოედო გუინპლენის ამბავი ქვეყანას. საიდუმლოება ბადეს წააგავს: საკმარისია ერთი თვალი ჩავარდეს, რომ მალე მთლად ჩაირღვევა. ის მომხდარი ამბავი, რომელიც მკითხველმა უკვე იცის, მთელი ისტორია ფიცარნაგზე ნაპოვნი პერის შესახებ, მასხარა-კომენდიანტის შესახებ, რომელიც ლორდად იქცა, უკვე დილიდანვე გავრცელდა ვინძორში, დედოფალთან დაახლოებულთა წრეში. ამაზე ლაპარაკი ატეხეს ჯერ დიდებულებმა, შემდეგ მსახურებმა, მეფის სასახლის შემდეგ ეს მოელენა მთელ ქალაქს მოეფინა. მოვლენებს თავიანთი წონა აქვთ და მათზე სრულიად გამოსაყენებელია სისწრაფეთა კვადრატის კანონი. რაკი მოვლენები ხალხს უეცრად დაატყდება თავს, მაშინვე წარმოუდგენელი სისწრაფით იწყება ყველანაირი მითქმა-მოთქმა.

ჯერ კიდევ შვიდ საათზე ლონდონში არავინ იცოდა ამ ამბის შესახებ. რვა საათზე ქალაქში ყველანი გუინპლენზე ლაპარაკობდნენ. მხოლოდ სხდომის დაწყებამდე მოსული რამდენიმე ხნიერი ლორდი ბაიბურშიც არ იყო, რადგან მათ ვერ მოესწროთ ქალაქში გაელა, სადაც ყოველ ნაბიჯზე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ მომხდარ ამბავზე. მათ, ადრე მოსულებმა, ეს დრო პალატაში დააყოვნეს, და ვერც ვერაფერი გაიგეს. ისინი არხეინად ისხდნენ თავიანთ ადგილებზე, როდესაც ახალმოსულებმა ალლეგებით მიმართეს მათ.

— როგორ მოგწონთ ეს ამბავი? — ეკითხებოდა ფრენსის ბროუნი, ვიკონტი მონტეკიუტი, მარკიზ დორჩესტერს.

— რა ამბავი?

— ნუთუ ეს შესაძლებელია?

— რა, რა არის შესაძლებელი?

— რა და „კაცი, რომელიც იცინის!“

— რას ნიშნავს „კაცი, რომელიც იცინის?“

— როგორ, თქვენ არაფერი იცით „კაცზე, რომელიც იცინის?“

— არა, არ ვიცი.

— ის ხომ მასხარაა, ბაზრების კომედიანტი, წარმოუდგენლად გონჯი; ისეთი გონჯი, რომ ბალაგანში აჩვენებენ ორ გროშად. პამპულაა.

— მერე და რა მოხდა?

— თქვენ, აი ახლა, ის ინგლისის პერად ჩარიცხეთ.

— თქვენ თვითონა ხართ კაცი, რომელიც იცინის, მილორდ მონტეკიუტ.

— მე სულაც არ ვიცინი, მილორდ დორჩესტერ.

ვიკონტმა მონტეკიუტმა ხელით ანიშნა პარლამენტის კლერკს, მოდიო, ისიც მატყლით გატენილი ტომრიდან წამოდგა და დაუდასტურა მათ ბრწყინვალებას ფაქტი ახალი პერის მიღებისა. შემდეგ მან ყველაფერი დაწვრილებით მოახსენა ამის შესახებ.

— აი, ამბავი თუ გინდათ, — თქვა ლორდმა დორჩესტერმა, — მე კიდევ სულ ელიის ეპისკოპოსს ვესაუბრებოდი!

ახალგაზრდა გრაფი ენსლი მივიდა მოხუც ლორდ იურთან, რომელსაც მხოლოდ ორი წლის სიცოცხლეღა დარჩენოდა, მართლაც იგი 1707 წელს გარდაიცვალა.

— მილორდო იურ!

— რაო, მილორდო ენსლი?

— თქვენ იცნობდით ლორდ ლინეუს კლენჩარლის?

— მოხუც ლორდსა? ვიცნობდი.

— აი, იმას, შვეიცარიაში რომ მოკვდა?

— დიახ, ჩვენ ნათესავებიც კი ვიყავით.

— ის ხომ კრომველის დროს რესპუბლიკელი იყო და კარლოს მეორის დროსაც არ უღალატია თავისი იდეისათვის.

— რესპუბლიკელი? სრულებითაც არა. ის მხოლოდ ნაწყენი იყო და გაჯავრებული ჩამოშორდა ყოველგვარ საქმეს. მას პირადი ანგარიშები ჰქონდა მეფესთან. მე სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, რომ ლორდი კლენჩარლი შეურიგდებოდა მეფეს, თუკი მას კანცლერის ადგილს მისცემდნენ. მაგრამ ეს ადგილი ლორდ ჰაიდს არგუნეს.

— მიკვირს თქვენგან, მილორდო იურ! მე მითხრეს, ლორდ კლენჩარლი პატიოსანი ადამიანი იყოო.

— პატიოსანი! განა პატიოსანი ადამიანები არსებობენ? ყმაწვილო კაცო, პატიოსანი ადამიანები არ არიან ამ ქვეყნად.

— განა კატონი* პატიოსანი კაცი არ იყო?

— თქვენ გწამთ კატონი, თქვენ?..

— არისტიდეც* ხომ?..

— არისტიდე გააგდეს და ძალიანაც კარგად მოიქცნენ.

— თომას მორზე* რაღას იტყვით?

— თომას მორს თავი მოჰკვეთეს და კარგადაც მოიქცნენ.

— მაშ, თქვენის აზრით, ლორდ კლენჩარლიც...

— ისიც მაგათი ყაიდისა იყო. ამასთანავე კაცი თავისი ნებით რჩებოდეს განდევნილობაში? მეტად სასაცილოა.

— კლენჩარლი განდევნილობაში მოკვდა.

— პატიემოყვარე კაცი იყო და იმედი გაუცრუვდა. ვიცნობდი თუ არა? როგორ არ ვიცნობდი, მე მისი საუკეთესო მეგობარი ვიყავი.

— თქვენ ალბათ იცით, მილორდო იურ, რომ შვეიცარიაში მან ცოლი შეირთო.

— რაღაც გამიგონია ამის შესახებ.

— და რომ მას კანონიერი ვაჟი ჰყავდა?

— დიახ, ის ვაჟი მოუკვდა.

— არა, ის ვაჟი ცოცხალია.

— ცოცხალია?

— დიახ, ცოცხალია.

— შეუძლებელია.

— სრულიად შესაძლებელია. დამტკიცებულია, დამოწმებულიც. ოფიციალურად დადასტურებულია სასამართლოს მიერ. რეგისტრირებულიც არის.

— თუ ასეა, ეს ვაჟიშვილი მემკვიდრეობით მიიღებს კლენჩარლის პერობას?

— არა, როგორ თუ მიიღებს?

— რატომ?

— იმიტომ, რომ მან უკვე მიიღო ეს მემკვიდრეობა. საქმე გაკეთებულია.

— როგორ, უკვე?

— აბა, მიიხედეთ, მილორდო იურ, ის თქვენს ზურგს უკან ზის, ბარონების სკამზე.

— ლორდმა იურმა უკან მიიხედა, მაგრამ გუინპლენი თავდახრილი იჯდა და პირისახე არ უჩანდა.

— ხედავთ! — დაიძახა მოხუცმა, რომელიც ვერაფერს ხედავდა, გარდა გუინპლენის თმებისა, — მას უკვე ახალი მოდა შეუთვისებია, უპარიკოდ მოსულა.

გრენტემი კოლპეპერს მიუახლოვდა.

— აი ვინ გაება მახეში!

— ვინა?

— დეიდ დერი-მოირი.

— როგორ თუ გაება?

— ის ხომ პერი ალარ არის.

— როგორ თუ ალარ არის?..

და ჰენრი ოვერკერმა, გრენტემის გრაფმა უამბო ჯონს, ბარონ კოლპეპერს მთელი „ანეკდოტი“, ესე იგი, ამბავი ზღვიდან გამორიყული და საადმირალოში მიტანილი ბოთლის შესახებ, კომპრაჩიკოსების პერგამენტის შესახებ, მეფის ბრძანების შესახებ და ამ ბრძანების ჯეფრისის ხელმოწერით განმტკიცების შესახებ; პირისპირ წაყენებაზე საუთვორქის სატანჯაოში, იმაზე, თუ როგორ უყურებს ყველა ამ მოვლენას — ლორდი-კანცლერი და დედოფალი, უამბო აგრეთვე კათოლიკური დოგმატების უარყოფის შესახებ შუშაბანდიან როტონდაში, ბოლოს ფერმენ კლენჩარლის პალატის წე-

ვრად მიღებაზე სხდომის დაწყების წინ. ორიექ ლორდი ცდილობდა კარგად შეეხედა ლორდ ფიცუოლტერისა და ლორდ ერანდელს შუა მჯდომი ახალი პერისთვის, რომელზეც ამდენს ლაპარაკობდნენ, მაგრამ როგორც ლორდმა იურმა და ლორდმა ენსლიმ, ამათაც ვერ მოახერხეს ახალი პერი დაკვირვებით დაეთვალიერებინათ.

შეიძლება შემთხვევით მოხდა, ან იქნებ იმიტომ, რომ ამაზე აზრუნეს კანცლერისაგან წინასწარვე საამისოდ მოშზადებულმა ალმქმელებმა, გუინპლენი ჩრდილში იჯდა, რაც მას ცნობისმოყვარე თვალთაგან იფარავდა.

— სად არის, აბა სად არის?

ვინც პალატაში შემოდიოდა, ყველა ამას ეკითხებოდა თავის თავს, მაგრამ კარგად დათვალიერება მაინც ვერავინ მოახერხა. ზოგიერთებს, ვისაც გუინპლენი „მწვანე ფიცრულაში“ ენახათ, მოუთმენლობისაგან სული ელეოდათ, მაგრამ ყველა მათი ცდა ამაო იყო. როგორც ხანდახან საჯარო ყრილობებზე მოხუცი მანდილოსნები წინ აეფარებიან ხოლმე სიფრთხილისათვის ახალგაზრდა ქალს, რათა მას ურცხვი თვალით არავინ შეხედოს, ასევე მიჰფარებოდნენ გუინპლენს განიერი მხრებით ხნიერი და უძლური ლორდები, მათ ყველაფრისადმი გულგრილობა ეტყობოდათ. მოხუცნი, რომელთაც ნიკრისის ქარი აწუხებთ, ნაკლებ დაინტერესებულნი არიან იმით, რაც მათ არ ეხებათ.

ხელიდან ხელში გადადიოდა სამსტრიქონიანი ასლი იმ წერილისა, რომელიც, როგორც ირწმუნებოდნენ, ჰერცოგის ასულმა ჯოზიანამ გაუგზავნა თავის დას, დედოფალს, პასუხად მისი წერილისა; ამ წერილში მისმა უდიდებულესობამ დედოფალმა წინადადება მისცა ჯოზიანას, მისთხოვებოდა ახალ პერს, ბარონ კლენჩარლების კანონიერ მემკვიდრეს ლორდ ფერმენს. ჯოზიანას საპასუხო წერილი შემდეგი შინაარსისა აღმოჩნდა:

„დედოფალო!

მე თანახმა ვარ. ამით შესაძლებლობა მომეცემა, საყვარლად ვიყოლიო ლორდი დევიდი“. ქვეშ ხელმოწერილი იყო: „ჯოზიანა“. ეს წერილი, ნამდვილი თუ მოგონილი, ერთობლივ აღტაცებას იწვევდა.

ახალგაზრდა ლორდი ჩარლზ ოკემპტონი, ბარონი მოჰენი, ერთი იმათგანი, ვინც პარიკს არ ატარებდა, გატაცებით კითხულობდა ამ ბარათს. ლუის დიურასი, გრაფი ფივერშენი, ინგლისელი, რომე-

ლიც წმინდა ფრანგული გონებამახვილობით განირჩეოდა, ღიმილით გადახედავდა ხოლმე მოპენს.

— აი მესმის! ქალიც ასეთი უნდა! ასეთი ქალის შერთვა მართლაც რომ ღირს!

და დიურასსა და მოპენს შორის, სხვა ლორდთა თანდასწრებით ასეთი დიალოგი გაიბა:

— ჰერცოგის ასულს ჯოზიანას შეირთავდი, ლორდო მოპენ?

— რატომაც არა.

— დალახვროს ეშმაკმა!

— ეს ხომ ბედნიერება იქნებოდა.

— ასეთ ბედნიერებას თქვენთან ერთად სხვებიც გაიზიარებდნენ.

— განა სულ ასე არ ხდება?

— ლორდო მოპენ, თქვენ მართალი ხართ. როცა საქმე ქალს ეხება, ჩვენ ყოველთვის სხვისი ნასუფრალიღა გვრჩება. ვინ მისცა ამას დასაწყისი?

— ალბათ ადამმა.

— სრულებითაც არა.

— უფრო სწორად, სატანამ.

ბოლოს ლუის დიურასმა შენიშნა:

— ჩემო ძვირფასო, ადამი მხოლოდ სხვათა თვალის ასახვევადაა მოყვანილი. ის უბედური ხომ მოტყუებული დარჩა, მან მთელი კაცობრიობის მოდგმა აიკიდა ზურგზე. სატანამ მამაკაცი დედაკაცისთვის შექმნა.

ნათანაელ კრიუმ, ორჯერ პერად ყოფილმა, ერისკაცობაში ბარონმა კრიუმ და სამღვდელოდ კურთხევისას ეპისკოპოსმა დურჰემისამ, ეპისკოპოსის სკამზე მჯდომმა გადასძახა ჰიუ ჩოლმლეის, ცნობილ კანონთმცოდნე გრაფ ჩოლმლეის:

— ნუთუ ეს შესაძლებელია?

— თქვენ გინდათ თქვათ — ნუთუ ეს კანონიერიაო? — გაუსწორა ჩოლმლეიმ.

— ახალი ლორდის მიღება პალატის დარბაზში არ მომხდარა, — განაგრძობდა ეპისკოპოსი, — თუმცა, როგორც ამბობენ, ასეთი მაგალითები ადრეც ყოფილა.

— დიახ, მაგალითად, ლორდი ბოშანი რიჩარდ II-ის დროს და ლორდი ჩენეი, ელისაბედის დროს.

— და ლორდი ბროჰილი კრომველის დროს.
— კრომველი აქ სახსენებელი არ არის.
— თქვენ რას ფიქრობთ ამ ამბებზე?
— როგორ გითხრათ...
— მილორდო გრაფ ჩოლმლეი! მაშ რომელ ადგილს დაიჭერს პალატაში ახალგაზრდა ფერმენ კლენჩარლი?
— მილორდო ეპისკოპოსო, რადგან რესპუბლიკამ დაარღვია უძველესი მამაპაპური წესი უფროსობისა, ამიტომ კლენჩარლების საპეროს ახლა ბარნარდების საპეროსა და სომერსების საპეროს შუა ადგილი უჭირავს; მაშასადამე, აზრის გამოთქმის დროს ლორდი ფერმენ კლენჩარლი ილაპარაკებს მერვე.
— აბა იფიქრეთ, ბაზრების მანჭია!..
— ეგ მოვლენა თავისთავად მე არ მაკვირვებს, მილორდო ეპისკოპოსო, ასეთი ამბები ხდება. უფრო საკვირველი მოვლენებიც კი ხდება. განა წითელი და თეთრი ვარდების ომის წინ, 1399 წლის I იანვარს უცებ არ გაშრა მდინარე უზა, ვედფორდში? ჰოდა, თუკი შეიძლება მდინარე გაშრეს, მაშინ წარჩინებულიც შეიძლება ჩავარდეს დამამცირებელ მდგომარეობაში. ითაკის მეფე ულისეს* ისე მოუხდა, რომ ყველანაირ საქმიანობას ხელსა ჰკიდებდა. ტაკიმასხარას გარეგან ქერქში ფერმენ კლენჩარლი ისევ ლორდად რჩება. მდაბიო ადამიანის ტანსაცმელი არ ამცირებს იმათ, ვის ძარღვებშიც კეთილშობილი სისხლი ჩქეფს, მაგრამ სხდომათა დარბაზის გარეთ ფიცის მიღება და პალატის წევრად ჩარიცხვა, თუმცა საკმაოდ კანონიერად მოახდინეს, მაინც შესაძლოა საკამათო გახდეს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა მოვილაპარაკოთ და შევთანხმდეთ ამის შესახებ, საჭიროა თუ არა ლორდ-კანცლერს შემდეგში კითხვა წაუყენოთ და რამდენიმე კვირის შემდეგ გამოირკვეა როგორ უნდა მოვიქცეთ.

ეპისკოპოსმა შენიშნა:

— სულერთია, ასეთი ამბავი არ მომხდარა გრაფ ჯესბოდუსის დროიდან დღემდე.

ყველგან ლაპარაკობდნენ მხოლოდ გუინპლენზე, „კაცზე, რომელიც იცინის“, ტედკასტერის სასტუმროზე, „მწვანე ყუთზე“, „დამარცხებულ ქაოსზე“, შეიცარიაზე, შილონზე, კომპრაჩიკოსებზე, განდევნაზე, დასახიჩრებაზე, რესპუბლიკაზე, ჯეფრისზე, იაკობ II-

ზე, მეფის ბრძანებაზე, ბოთლზე, რომელიც საადმირალოში გაუხსნათ, მამაზე — ლორდ ლინეუსზე და მის კანონიერ ვაჟიშვილ ლორდ ფერმენზე, უკანონო შვილ ლორდ დეივიდზე, მათ შორის შესაძლო შეჯახებაზე, ჰერცოგის ასულ ჯოზიანაზე, ლორდ-კანცლერზე, დედოფალზე. დარბაზს ხმამაღალი ჩურჩული ისეთი სისწრაფით მოედო, როგორც ცეცხლი მოედება თოფის წამალს. დაუსრულებელი წვრილმანებით პირს იტკბარუნებდნენ, ჭორაობდნენ. ყველა ამ მითქმა-მოთქმისაგან დარბაზში განუწყვეტელი გუგუნი იდგა. გუინპლენს მხოლოდ ბუნდოვნად ესმოდა ეს გუგუნი და ეჭვიც არა ჰქონდა, რომ ამის მიზეზი თვითონ იყო. მაგრამ ის მაინც თავისებურად ადევნებდა თვალყურს ყველაფერს, მისი ყურადღება მიპყრობილი იყო სადღაც სიღრმისკენ და არა იმ გარეგან მხარეზე, რაც იმ წუთას დარბაზში ხდებოდა. ყურადღების სიჭარბე განკერძოებას იწვევს.

ხმაური პალატაში არ უშლის ხელს მის რიგზე მიმდინარეობას. ისე, როგორც გზაზე მტვრის ადენა არ უშლის ჯარის წინ მსვლელობას ხელს. ის მოსამართლენი, რომლებიც ლორდთა პალატაში მაყურებლების როლს ასრულებდნენ და ლაპარაკის უფლება მხოლოდ მაშინ ჰქონდათ, როდესაც რამეს შეეკითხებოდნენ, მეორე მატყლის ტომარაზე დასხდნენ. ხოლო სამი სახელმწიფო მდივანი მესამე ტომარაზე მოთავსდა. პერის ტიტულის მემკვიდრენი შეიკრიბნენ მათთვის განკუთვნილ განყოფილებაში, სამეფო ტახტის უკან; მცირეწლოვანმა პერებმა დაიკავეს თავიანთი განსაკუთრებული მერხი, 1705 წელს ესენი თორმეტამდე იყვნენ: ჰენტინგტონი, ლინკოლნი, დორსეტი, ვარვიკი, ბათი, ბერლინგტონი, დერვენტუოტერი, რომელიც შემდეგ ტრაგიკულად დაიღუპა, ლონგვილი, ლოსდეილი, დადლეი, უორდრი და კარტრეტი. ამ ყმაწვილთა შორის რვა გრაფი იყო, ორი ვიკონტი და ორიც ბარონი.

თითოეულმა ლორდმა თავისი ადგილი დაიკავა იმ სკამებზე, რომლებიც სამრიგად უვლიდა დარბაზს. თითქმის ყველა ეპისკოპოსი მოსულიყო. ჰერცოგები ბევრნი იყვნენ, დაწყებული ჩარლზ სეიმურიდან, სომერსეტის ჰერცოგიდან და გათავებული ჰანოვერის კურფიურსტის გეორგ-ავგუსტოსით, კემბრიჯის ჰერცოგი, რომელიც რანგით უმცროსი იყო, ტიტულის უფრო გვიან მიღების გამო. ყველას უფროს-უმცროსობის მიხედვით ეჭირა ადგილი. კავენდი-

ში, ჰერცოგი დევონშირი, რომლის პაპამაც თავისთან პართეიჭში მფარა ოთხმოცდათორმეტი წლის ჰობსი. იყვნენ კიდევ: ლენოქსი, ჰერცოგი რიჩმონდი, სამი ფიც-როი; ჰერცოგი საუთჰემპტონი, ჰერცოგი გრეფტონი და ჰერცოგი ნორთუმბერლენდი. ბუტლერი, ჰერცოგი ორმონდი. სომერსეტი, ჰერცოგი ბოფორტი, ბოკლერკი ჰერცოგი სენტ-ოლბენსი, რაულეტი, ჰერცოგი ბოლტონი. ოსბორნი, ჰერცოგი ლიდსი, რაიოტლსი რესელი, ჰერცოგი ბეტფორდი, რომლის დევიზი და სამხედრო სახელი იყო: „მოხდეს, რაც მოსახდენია!“ რაც ბედისადმი სრულ დამორჩილებას გულისხმობდა. კიდევ შეფილდი, ჰერცოგი ბეკინჰემი, მენის ჰერცოგი რეტლენდი და სხვანი. არც ნორფოლკის ჰერცოგი ჰოვარდი, არც შრუსბერის ჰერცოგი ტალბოტი არ ესწრებოდნენ სხდომას, რადგან ისინი კათოლიკეები იყვნენ. არც მალბოროს ჰერცოგი ჩერჩელი იყო, ჩვენებურად მალბრუკელი. იმ დროს იგი „სალაშქროდ შეჭურყილი“ საფრანგეთში იბრძოდა. არ იყვნენ აგრეთვე შოტლანდიელი ჰერცოგები: ქუინსბერი, მონტროზი და როქსბერგი, რადგანაც ისინი ლორდთა პალატაში მხოლოდ 1707 წელს მიიღეს.

VI

ქვედა და ზედა პალატა

უცებ დარბაზი ძლიერ განათდა. ოთხმა მეკარემ შემოიტანა და მეფის ტახტის ორივე მხარეს დადგა ოთხი მაღალი კანდელაბრი, ცვილის მრავალი ანთებული სანთლით. ამგვარად მეფის ტახტი, თუმცა ცარიელი, მაგრამ დიდებული, ძოწეულისფრად აელვარდა. მასზე თვით დედოფალიც რომ მჯდარიყო, ეს გარემოებაც კი არ გახდიდა მას უფრო დიდებულს.

შემოვიდა შავი კვერთხის ბოქაული, ასწია ზევით თავისი კვერთხი და ყველას გასაგონად წარმოთქვა:

— მათი მოწყალება, კომისრები მისი უდიდებულესობისა.

ხმაური უცბად შეწყდა.

დიდი კარის ზღურბლზე კლერკი გამოჩნდა პარიკითა და გრძელკალთებიანი ქლამინდით, ხელში ჰერალდიკური სუმბულებით ნაკერი ბალიში ეჭირა, რომელზეც პერგამენტის გრაგნილები ეწყო,

ეს ბილები იყო. თითოეულს დაწნული აბრეშუმის ზონარი ეკიდა, ბოლოში მიმაგრებული ბურთულებით. ამ ბურთულებიდან ზოგი ოქროსი იყო. ამ ბურთულების სახელის მიხედვით — „BILLS“ ან „BULLES“ — კანონებსაც ინგლისში ბილებს, ხოლო რომში ბულებს უწოდებენ.

კლერკს შემოჰყვა სამი კაცი, პერის ქლამინდებითა და ბუმბულიანი ქუდებით მორთული.

ესენი მეფის კომისრები იყვნენ. პირველი მათგანი ინგლისის ლორდი-ხაზინდარი გოდოლფინი იყო, მეორე, საბჭოს თავმჯდომარე ლორდი პემბროკი, მესამე, ლორდი ნიუქასლი, — მისი უდიდებულესობის დედოფლის საკუთარი ბეჭდის მცველი.

ისინი ერთიმეორეს მოჰყვებოდნენ არა როგორც ტიტულებით უფროსნი, არამედ თანამდებობრივი იერარქიით. ამიტომ გოდოლფინი მოდიოდა პირველი, ხოლო ნიუქასლი უკანასკნელი, თუმცა იგი ჰერცოგი იყო.

მიადგნენ სამეფო ტახტის წინ მდგომ სკამს, თავი დაუკრეს „მეფის საყარაულს“, მერე ქუდები ისევ დაიხურეს და მერხზე ჩამოსხდნენ.

ლორდ-კანცლერმა შავი კვერთხის ბოქაულს მიმართა:

— გამოუძახეთ თემთა პალატის წარმომადგენლებს.

შავი კვერთხის ბოქაული გავიდა.

ლორდთა პალატის კლერკმა მატყლით საკმე ტომრების შუაში მდგარ მაგიდაზე დადო ბალიში ბილებით.

მზადება-შესვენება რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ორმა მეკარემ მოაჯირის წინ დადგა წითელხავერდგადაკრული სამსაფეხურიანი ფიცარნაგი, რომელზედაც ლურსმნების ოქროვანი თავები ისე იყო განლაგებული, რომ ჰერალდიკური სუმბულის სახეს ქმნიდა.

ორფა კარი კიდევ გაიღო და ვიღაცის ხმამ აუწყათ:

— ინგლისის თემთა პალატის წარმომადგენელნი, ერთგული ქვეშევრდომნი. — ეს შავი კვერთხის ბოქაული იყო, რომელმაც პალატის მეორე ნახევრის მოსვლა გამოაცხადა.

ლორდებმა ქუდები დაიხურეს.

თემთა პალატის წევრები სპიკერის* წინამძღოლობით ქუდმოხდილნი შემოვიდნენ.

ისინი მოაჯირთან გაჩერდნენ. ტანთ სამოქალაქო ტანისამოსი

ჰქვათ, უმთავრესად შავი ფერისა. ყოველ მათგანს წელზე დაშნა ერტყა.

სპიკერი, პატივცემული ჯონ სმითი, ესკვაირი, ანდოვერელი დეპუტატი მოაჯირის წინ ფიცარნაგზე ავიდა. მას, თემთა პალატის ორატორს, მხრებზე წამოსხმული ჰქონდა შავი ატლასის გრძელი, განიერსახელოებიანი ქლამინდი, რომელსაც ოქრომკედის ზონარი ხვეულად ჰქონდა შემოკერებული. მისი პარიკი ცოტა უფრო პატარა იყო, ვიდრე ლორდ-კანცლერისა. მიუხედავად მისი მედიდური გარეგნობისა, მაინც იგრძნობოდა, რომ ის აქ მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა.

თემთა პალატის ყველა წევრი ქუდმოხდილი, მოწიწებით იდგა ლორდების წინაშე, ხოლო ლორდები ისხდნენ და ქუდებიც ეხურათ.

თემთა პალატის წარმომადგენელთა შორის დაინახავდით ჯოზეფ ჯეკილს, ქალაქ ჩესტერის მთავარ მოსამართლეს, მისი უდიდებულესობის დედოფლის სამ ნაფიც კანონთმცოდნეს: ჰუპერს, პაუსა და პარკერს. გენერალურ პროკურორსა და გენერალურ ვექილს — საიმონ ჰარკორტს.

გარდა რამდენიმე ბარონეტისა, აზნაურისა და ცხრა ლორდისა: ჰარჰინგტონის, ფიც-ჰარდინგის, პაიდისა და ბერკლის, რომლებიც პერების შვილები იყვნენ და პერობის მემკვიდრეობას ელოდნენ, ქვედა პალატის დანარჩენი წევრები, საშუალო წოდებისანი იყვნენ. ისინი მდუმარედ იდგნენ, ვითარცა ბნელი ხალხის გროვა.

როდესაც მათი ნაბიჯების ხმაური დაცხრა, შავი კვერთხის ბოქაულის მაცნემ, კართან მდგომმა, შესძახა:

— ისმინეთ!

გვირგვინოსნის კლერკი ადგა, აიღო ბალიშიდან პერგამენტის გრაგნილი, გაშალა და წაიკითხა. ეს იყო დედოფლის ეპისტოლე, რომელიც იუწყებოდა, რომ თავის წარმომადგენლებად, პარლამენტში, ბილების დამტკიცების თავისუფლებით იგი სამ კომისარს ნიშნავდა, სახელდობრ...

აქ კლერკმა ხმა აიმაღლა:

— სიდნეის, გრაფ გოდოლფინს.

კლერკმა თავი დაუკრა ლორდ გოდოლფინს. ლორდმა გოდოლფინმა ქუდი ოდნავ ასწია. კლერკმა განაგრძო:

— თომას ჰერბერტს, გრაფს პემბროკისას და მონტგომერისას.

კლერკმა თავი დაუკრა ლორდ პემბროკსაც; ლორდმა პემბროკმა ხელი ოდნავ შეახო თავის ქუდს, კლერკმა განაგრძო:

— ჯონ ჰოლისს, ნიუქასლის ჰერცოგს.

კლერკმა თავი დაუკრა ლორდ ნიუქასლს. ლორდმა ნიუქასლმა პასუხად ოდნავი თავის დაკვრა იკმარა.

ამის მერე გვირგვინოსნის კლერკი ისევ დაჯდა. ახლა პარლამენტის კლერკი ადგა. მისმა თანაშემწემ, მის უკან დაჩოქილმა, მისსავე მაგალითს მიჰბაძა. ორივენი სამეფო ტახტის პირდაპირ დადგნენ, ხოლო ზურგით თემთა პალატის წევრებისკენ.

ბალიშზე ხუთი ბილი იყო. ეს ხუთი ბილი თემთა პალატის მიერ მიღებული და ლორდთა პალატის მიერ მოწონებული მეფის სანქციას ელოდა.

პარლამენტის კლერკმა პირველი ბილი წაიკითხა.

თემთა პალატის ამ აქტით ხარჯები, ერთი მილიონი გირვანქა სტერლინგის ოდენობით, დედოფლის მიერ გაღებული ჰემპტონკორტში მისი რეზიდენციის გასამშვენიერებლად, სახელმწიფოს გასავლის ანგარიშს მიეწერა.

კლერკმა ამ ბილის კითხვა დაასრულა და სამეფო ტახტს მდაბლად დაუკრა თავი. მისმა თანაშემწემაც ასევე გაიმეორა. თან უფრო მეტად მოიხარა წელში, შემდეგ ეს უკანასკნელი ნახევრად მოტრიალდა თემთა პალატის წარმომადგენლებისკენ და წარმოთქვა:

— დედოფალი მიიღებს რა თქვენი კეთილი ნებით მიძღვნილს, თანვე თანხმობას აცხადებს ამასა ზედან.

შემდეგ კლერკმა მეორე ბილი წაიკითხა:

ეს იყო პროექტი იმ კანონისა, რომლითაც საპყრობილეში დაპატიმრება და ჯარიმა მიესჯებოდა ყველა იმას, ვინც თავს აარიდებდა სამხედრო სამსახურს. უჯამაგიროდ სამსახურში მყოფმა ლაშქარმა, ელისაბედ დედოფლის დროს, როდესაც ესპანური არმადა უნდა შემოსულიყო, ას ოთხმოცდახუთი ათასი ქვეითი მებრძოლი და ორმოცი ათასი ცხენოსანი გამოიყვანა.

ორივე კლერკმა ისევ თავი დაუკრა „მეფის სავარძელს“, რის შემდეგ კლერკის თანაშემწემ გვერდზე მიიხედა თემთა პალატისაკენ და წარმოთქვა:

— ასეთია ნება მისი უდიდებულესობისა.

მეხუთე ბილი ლიჩფილდისა და კოვენტრის ეპარქიას უდი-ლდა დინსა და პრებენდას*, ეს ეპარქია ყველაზე მდიდარი იყო მთელ ინგლისში; ამ ეპარქიის საკათედრო ტაძარს ბილი უნიშნავდა ყოველწლიურ რენტას, უმრავლებდა კანონიკების რიცხვსა და სასულიერო პირებს შემოსავალს უძლიერებდა, იმისთვის, რომ, როგორც ნათქვამი იყო პროექტის შესავალ ნაწილში, „დაეკმაყოფილებინათ საჭიროება ჩვენი წმინდა ეკლესიისა“. მეოთხე ბილს ბიუჯეტში შეჰქონდა ახალი გადასახადები: პრიალა „მარმარილოს“ ქაღალდზე, დაქირავებულ დახურულ ეტლებზე, რომლებიც ლონდონში რვაასამდე ირიცხებოდა და რომლებსაც გადასახადი ორმოცდაათი გირვანქა სტერლინგი ეწერებოდა ყოველწლიურად. აგრეთვე გადასახადები თავისუფალ ვექილებზე, პროკურორებსა და სასამართლოს ვექილებზეც, თითოეულზე ორმოცდარვა გირვანქა სტერლინგის ოდენობით; გადასახადი ტყავის გამოქნაზე, „მიუხედავად მეტყავეების საჩივრებისა“, — როგორც ნათქვამი იყო შესავალ ნაწილში, გადასახადი საპონზე, „მიუხედავად ქალაქების — ექსეტერისა და დევონშირის უკმაყოფილებისა, სადაც ბევრი მაუდი და სარჟი შზადდება და ამისათვის ბევრი საპონი იხმარება ქსოვილების სარეცხად“; გადასახადი ღვინოზე, თითო პატარა კათხაზე ოთხი შილინგი; ფქვილზე, ქერსა და სვიაზე; ამასთანავე ეს უკანასკნელი გადასახადი ყოველი ოთხი წლის მერე ხელახლა უნდა განეახლებინათ, ვინაიდან „სახელმწიფოს საჭიროებანი“, როგორც ნათქვამი იყო ისევ იმავე წინასიტყვაობაში, „მაღლა უნდა იდგეს კომერციულ მოსაზრებებზე“; შემდეგ გადასახადები ეწერებოდა ხომალდზე დასატვირთ საქონელს ექვსი ტერნუას გირვანქის რაოდენობით. დასავლეთიდან შემოზიდულ თითო ტონა საქონელზე და თერამეტ გირვანქა სტერლინგამდე აღმოსავლეთიდან შემოზიდულზე; გარდა ამისა, ბილი აცხადებდა, რომ ყოველ სულზე გადასახადი შარშან შეგროვილი საკმაო არ იყო და დამატებით გადასახადებს აწესებდა სულზე ოთხ შილინგს, ანუ ორმოცდარვა ტერნუას სუს, ამასთანავე ნათქვამი იყო, რომ ვინც ამ გადასახადს თავს აარიდებდა, ორმაგი გადასახადი დაეკისრებოდა. მეხუთე ბილი კრძალავდა ისეთი ავადმყოფის მიღებას საავადმყოფოში, რომელიც წინასწარ არ შეიტანდა ერთ გირვანქა სტერლინგს დასამარხად, იმ შემთხვევისათვის, თუ ავადმყოფი იქ მოკვდებოდა. სამი უკანასკნელი ბი-

ლიც, ისევე, როგორც პირველი ორი, პალატამ დაამტკიცა, ზემოთ ნათქვამი პროცედურის გამეორებით; ესე იგი, მეფის საყარძლის წინ მდაბლად თავის დაკვრითა და ტრადიციული ფორმულის გამეორებით: „ასეთია ნება დედოფლისა“. ამ ფორმულას ყოველთვის წარმოთქვამდა კლერკის თანაშემწე, თემთა პალატის წევრებისაკენ ნახევრად პირმიბრუნებული.

შემდეგ კლერკის თანაშემწემ ისევ დაიჩოქა მეოთხე მატყლის ტომარასთან და ლორდ-კანცლერმა ყველას გასაგონად წარმოთქვა:

— აღსრულდეს ყოველივე იმგვარად, როგორც ამაზე შევთანხმდით.

ამით მთავრდებოდა „სამეფო სხდომა“.

სპიკერმა დაბლა დახარა თავი კანცლერის წინაშე და უკუსვლით ჩაეიდა ფიცარნაგიდან. თან იატაკზე მოთრეულ ქლამინდს მაღლა წეედა; თემთა პალატის ყველა წევრმა თითქმის იატაკამდე დახარა თავი და გაეიდა დარბაზიდან. ლორდები ყურადღებასაც არ აქცევდნენ ყველა ამ პატივით მოხსენებას და თავიანთ მორიგ საქმეებში გართულიყვნენ.

VII

ცხოვრების ძარღვხლები ოკეანისაზე საშინელია

კარი ისევ მოიხურა. შავი კვერთხის ბოქაული დარბაზში დაბრუნდა. ლორდ-კომისრებმა სახელმწიფო სკამები დატოვეს და თანამდებობის მიხედვით მათთვის განკუთვნილ ჰერცოგთა სკამებზე პირველი სამი ადგილი დაიკავეს. ამის შემდეგ ლორდ-კანცლერმა სიტყვა ითხოვა.

— მილორდებო! კამათი, ამ რამდენიმე დღეში უკვე განხილულ ბილზე, მისი უდიდებულესობის პრინცის, დედოფლის ქმრისთვის ყოველწლიური ჯამაგირის ასი ათასი გირვანქა სტერლინგით გადიდების შესახებ ამჯერად დასრულებულია და ჩვენ ახლა ხმის მიცემას უნდა შევუდგეთ. თანახმად ჩვეულებისა, ხმის მიცემა დაიწყება ბარონების სკამიდან უმცროსობის მიხედვით. თითოეული ლორდი მისი გამოძახებისთანავე ადგება და გვიპასუხებს: „კმაყოფილი ვარ“, ან „არა ვარ კმაყოფილი“. ამასთანავე მას უფლება

ეძლევა, თუ იგი ამას საჭიროდ დაინახავს, წარმოგვიდგინოს მიზეზები თავისი თანხმობისა ან თანხმობაზე უარისა. კლერკ, დაიწყეთ შეკითხვები.

პარლამენტის კლერკი ადგა და გადაშალა დიდი ფოლიანტი, რომელიც მოვარაყებულ საწიგნეზე იდო. ეს იყო ეგრეთ წოდებული „საპერო წიგნი".

იმხანად ტიტულით უმცროსი წევრი პარლამენტისა ლორდი ჯონჰარვეი იყო, რომელმაც ბარონისა და პერის წოდება 1703 წელს მიიღო, სწორედ ის ჰარვეი, რომლისგანაც შემდეგ წარმოიშვნენ მარკიზი ბრისტოლნი.

კლერკმა დაიძახა:

— მილორდო ჯონ, ბარონო ჰარვეი.

თეთრპარიკიანი მოხუცი ადგა და თქვა:

— კმაყოფილი ვარ.

და ისევ დაჯდა.

კლერკის თანაშემწემ ჩაწერა მისი პასუხი.

კლერკმა განაგრძო:

— მილორდო ფრენსის სეიმურ, ბარონო კონვეი კილტელტეგ.

— კმაყოფილი ვარ, — წაიჩურჩულა და ფეხზე წამოდგა მოხდენილი ახალგაზრდა, რომელსაც სახე პატს მიუგავდა და მაშინ არც კი იცოდა, რომ მომავალში ჰერტფორის მარკიზების პაპა გახდებოდა.

— მილორდო ჯონ ლივსონ, ბარონო გოუერ, — განაგრძობდა კლერკი.

ბარონი გოუერი, საუთერლენდის ჰერცოგების მომავალი წინაპარი ადგა და დაჯდომისას წარმოთქვა:

— კმაყოფილი ვარ.

კლერკი განაგრძობდა:

— მილორდო ჰინეჯ ფინჩ, ბარონო გერნსეი.

ეს იყო წინაპარი გრაფების ეილსფორდებისა, ესეც ისევე ახალგაზრდა და მოხდენილი იყო, როგორიც მარკიზ ჰერტფორდების მამამთავარი. მან თავისი დეევიზი: „მთელი ცხოვრება გულახდილად ვაცხადო ნება ჩემი", გაამართლა და ხმამაღლა გამოაცხადა:

— კმაყოფილი ვარ.

ვერც კი მოასწრო ამ კაცმა ადგილზე დაჯდომა, რომ კლერკმა უკვე მეხუთე ბარონი გამოიწვია:

— მილორდო ჯონ, ბარონო გერნეილ.

— კმაყოფილი ვარ, — უპასუხა სწრაფად წამომდგარმა ლორდმა გრენვილ პოტრიჯმა და მალევე დაჯდა. ლორდ გრენვილ პოტრიჯს მემკვიდრეობის გაგრძელება არ ეწერა და მისი დიდება 1709 წელს ჩაქრა.

კლერკმა მეექვსე ლორდი გამოიძახა:

— მილორდო ჩარლზ მონტეგ, ბარონო ჰალიფაქს.

— კმაყოფილი ვარ, — უპასუხა ლორდმა ჰალიფაქსმა. მისი, ბარონ მონტეგების, შთამომავლობაც გადაშენდა. ეს გვარი არ უნდა აგვერიოს მონტეგიუსა და მონტეკიუტების გვარში.

და ლორდმა ჰალიფაქსმა დაუმატა:

— პრინცი გეორგი განსაზღვრულ თანხას იღებს, როგორც მეუღლე მისი უდიდებულესობისა, დედოფლისა; მეორე ჯამაგირი აქვს მას, როგორც პრინცს დანიისას; მესამე — როგორც ჰერცოგს ქემბერლენდისას; მეოთხე როგორც ლორდს — მთავარადმირალს ინგლისისას და ირლანდიისას, მაგრამ, როგორც მთავარსარდალს, მას ჯამაგირი არა აქვს. ეს უსამართლობაა. ინგლისის ხალხის ინტერესებისათვის საჭიროა ბოლო მოეღოს ასეთ უწესობას.

შემდეგ ლორდმა ჰალიფაქსმა ქება შეასხა ქრისტიანულ რელიგიას, დაგმო პაპიზმი და ხმა მისცა პრინცისთვის თანხის გადიდებას.

ის დაჯდა, კლერკმა განაგრძო.

— მილორდო კრისტოფ, ბარონო ბარნარდისა.

ლორდმა ბარნარდმა, რომლისგანაც შემდეგ ჰერცოგი კლივლენდები წარმოიშვნენ, თავისი სახელი რომ გაიგონა, ადგა და გამოაცხადა:

— კმაყოფილი ვარ.

იგი დაჯდომას არ ჩქარობდა, რადგან მშვენიერი, ძვირფასი, ნაოჭიანი მაქმანის ბრიჟი ეცვა და კოხტაობდა, თუმცა სრულიად ღირსეული ჯენტლმენი იყო და გულადი მეომარიც.

ვიდრე ლორდი ბარნარდი მერხზე ჯდებოდა, კლერკი, რომელიც აქამდე სწრაფად კითხულობდა ყველა ნაცნობ სახელს, ერთ წამს შებორძიკდა, სათვალე გაისწორა და ყურადღებით ჩაიხედა წიგნში, შემდეგ ისევ ასწია თავი და ხმამაღლა წარმოთქვა:

— მილორდო ფერმენ კლენჩარლი, ბარონო კლენჩარლი ჰენკერვილისა.

გუინპლენი წამოდგა.

— არა ვარ კმაყოფილი, — თქვა მან.

ყველამ მისკენ მიიხედა. გუინპლენი მთელი ტანით გამართულიყო. მეფის სავარძლის ორივე მხარეს ანთებული სანთლები აშუქებდნენ მის სახეს, რომელიც ნახევრად ჩამობნელებულ დარბაზში ნათლად მოჩანდა, როგორც ნიღაბი ღრუბლების ქულებში.

გუინპლენმა თავის თავს ძალა დაატანა. ალბათ მკითხველს ადრე თქმულიდან ახსოვს, რომ იგი ამას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდა ხოლმე. ნებისყოფას ასე თუ დაჭიმავდა კაცი, ალბათ ვეფხვის დამორჩილებასაც კი მოახერხებდა და მან უცებ სახიდან სიცილის საბედისწერო გამომეტყველება მოიშორა, ის უკვე აღარ იცინოდა. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდებოდა. ბუნების კანონებისადმი მეტად ხანგრძლივი დაუმორჩილებლობა, ისე როგორც ბედისადმი წინააღმდეგობა, ადამიანს არ ძალუძს. ხან ზღვის ზედაპირიც ეწინააღმდეგება მიზიდულობის კანონს. დაატრიალებს ქარბორბალას, მთასავით აბობოქრდება მაღლა, მაგრამ მალევე უბრუნდება წინანდელ მდგომარეობას. ასე მოუვიდა გუინპლენსაც. იმ წუთის საზეიმო ვითარება ისმოდა, ამიტომ მან ნებისყოფის არაჩვეულებრივი ძალით მხოლოდ ერთი წამით გამოიხატა შუბლზე თავისი მწუხარებით სავსე ფიქრები; მოიშორა უსიტყვო სიცილი, უკუაგდო თავისი დასახიჩრებული სახიდან სიცილის ნიღაბი. ახლა იგი უფრო საზარელი იყო.

— ვინ არის ეგ? ან რა კაცია? — მოისმა საერთო შეძახილი.

ყველას აუწერელი მღელვარება დაეუფლა.

ხშირი ფაფარივით თმა, ორი ჩაშავებული ღრუ წარბებქვეშ, გაშტერებული ღრმად ჩაცვენილი თვალები! ნათელი ჩრდილის ამაზრზენი მოძრაობისაგან გაორკეცებით მახინჯად მოჩინარი სახის ნაკვთები — ყოველივე ამან შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე. ამან უკვე ყოველგვარ ზომიერებას გადააჭარბა. რამდენიც უნდა ელაპარაკათ გუინპლენის თაყვანისმცემლებზე, ერთი მისი შეხედვა მაინც ყოველთვის შეშხარავად მოქმედებდა. ისინიც კი, ვინც რამდენადმე მაინც მოშზადებულნი იყვნენ ამ ამბისათვის, არ ელოდნენ, ასეთი შეშხარავი თუ იქნებოდა. წარმოიდგინეთ მთის მწვერვალი, სადაც ღმერთები სუფევენ, წარმოიდგინეთ ნათელი საღამო და მხიარული ნადიმი, სადაც ცის სახუფეველში

მყოფნი შეკრებილან და უცბად, თითქოს ჰორიზონტზე სისხლისფერი მთვარე ამოგორდა, თვალწინ დაუდგათ ქორისაგან დაკორტნილი სახე პრომეთესი. ოლიმპი შესცქერის მრისხანე კაეკასიონს, — რა სანახაობაა! ლორდები, მოხუცნიც და ახალგაზრდანიც, განცვიფრებისაგან დამუნჯებულნი შესცქეროდნენ გუინპლენს.

მთელი პალატის მიერ პატივცემული მოხუცი თომასი, გრაფი უორტონი, რომელსაც თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ბევრნაირი ხალხი და ბევრნაირი მოვლენა ენახა, და რომელიც ახლა ჰერცოგის ტიტულზე იყო წარდგენილი, შეშფოთებული წამოიჭრა ადგილიდან:

— რას ნიშნავს ეს! — შესძახა მან, — ვინ შემოუშვა ეგ კაცი პალატაში? გაიყვანეთ ახლავე!

და ქედმაღლურად მიმართა გუინპლენს:

— თქვენ ვინა ხართ? საიდან მოგეევლინეთ?

გუინპლენმა პასუხი გასცა:

— უფსკრულიდან.

და გულზე ხელებდაკრეფილმა პალატას თვალი მოავლო.

— მე ვინ ვარ? მე სიღატაკე ვარ. მილორდებო, მე თქვენ უნდა მოგმართოთ.

იქ მყოფნი თრთოლამ აიტანა, დუმილი ჩამოვარდა.

გუინპლენი განაგრძობდა:

— მილორდებო, თქვენ მწვერვალზე იმყოფებით, ეს ძალიან კარგია, უნდა ვიგარაუდოთ, რომ ღმერთს საამისოდ თავისი მიზეზები ჰქონდა. თქვენს ხელთ არის უფლება და სიმდიდრე, ცხოვრების ყოველივე სიკეთე, თქვენთვის მზე ყოველ დროს ბრწყინავს. თქვენ განუსაზღვრელი ავტორიტეტით სარგებლობთ; თქვენი ხვედრია სრული ბედნიერება და თქვენ არ გახსოვთ, არ გაწუხებთ სხვა ადამიანების სევ და ბედი. ეს ასეა, მაგრამ თქვენს დაბლა ან იქნებ თქვენს მაღლა არის კიდევ სხვა რამე. მილორდებო, მე მოვედი აქ იმისათვის, რომ თქვენ ახალი რამ გაუწყოთ: ქვეყნიერებაზე არსებობს კაცთა მოდგმა.

ადამიანები ყრილობებზე ბავშვებსა ჰგვანან. მოულოდნელი მოვლენა იმათთვის იგივეა, რაც ბავშვისათვის აუხდელ კოლოფში შენახული მისთვის ჯერ უცნობი რამ, რაც ცოტათი აშინებს კიდეცა მას და ცნობისმოყვარეობასაც აღუძრავს. ეშინია კიდეც,

საქმეს რომ ასახდელად ხელი წავაველო, ვაითუ, ეშმაკი აძოხტესო. საფრანგეთში ეს ხვედრი მირაბოსა ხვდა წილად. ისიც ხომ იშვიათი სახიჩრობის ადამიანი იყო.

ამ წუთში გუინპლენი შინაგან სიდიადესა გრძნობდა. ხალხის ჯგუფი, რომელსაც ორატორი მიმართავს, მისთვის კვარცხლბეკს წარმოადგენს. იგი, ასე ვთქვათ, იმ მაღლობზე დგას, რომელიც ადამიანის სულებისაგან შედგება. გუინპლენი თავის ფეხთა ქვეშ ადამიანთა მთრთოლარე გულებსა გრძნობდა. გუინპლენი ახლა უკვე აღარ იყო ის უსუსური, არარადქმნილი არსება, როგორც წინაღამეს წამიერად გახდა. ის გაბრუება, რომელიც მას უეცარი აღმასვლის დროს თავბრუს ხვევდა, ახლა უკვე გაიფანტა. ახლა თვალებს აღარაფერი უბინდავდა და რაც წინათ მის პატიჟმოყვარეობას აცდუნებდა, იმაში ახლა გუინპლენი თავის დანიშნულებას ხედავდა. ის, რამაც ჯერ დაამდაბლა, ახლა ისევ მაღლა ასწია. მისი გონება გააშუქა მოვალეობის შეგრძნებით წარმოშობილმა თვალისმომჭრელმა ელვამ.

გუინპლენის ირგვლივ ყოველი მხრიდან შეძახილები გაისმა.

— მოვისმინოთ, მოიცათ, მოვისმინოთ!

ნების ზეადამიანური ძალდატანებითა და კრუნჩხვით გუინპლენმა შეძლო დროებით შეენარჩუნებინა თავის პირისახეზე მრისხანე და სასტიკი იერი, რომლის იქიდან სიცილი ლამობდა გამოჭრასა და თავისუფლად გათარეშებას, როგორც ველური ცხენი. იგი განაგრძობდა:

— მე აქ მოვედი ქვედა ფენებიდან. მილორდებო, თქვენ სახელოვანნი ხართ და მდიდრები, ამაში სახიფათო რამ იმალება. თქვენ სარგებლობთ წყვდიადით, რომელიც გფარავთ. მაგრამ გაფრთხილდით, არის უდიდესი ძალა — ცისკარი. ცისკარი მძლეთამძლეა, იგი ამოაშუქებს. ცისკარი უკვე დგება. მას თან მოაქვს სინათლის შეუკავებელი ნიაღვრები. და აბა ვინ დაუშლის ამ შურდულს მზე ცაზე აისროლოს? მზე — ეს არის სამართლიანობა. თქვენ ხელთ გიპყრიათ ყველა უპირატესობანი. გეშინოდეთ! ძრწოდეთ! ნამდვილი ბატონ-პატრონნი. ცხოვრებისა მალე მოგიკაკუნებთ კარზე. რა წარმოშობს ყოველგვარ პრივილეგიებს? შემთხვევა. მაგრამ ეს პრივილეგიები რალას წარმოშობენ? მათსავე ბოროტად გამოყენებას. არც პრივილეგიები და არც მათი ბოროტად გამოყენება მარადიუ-

ლი და მტკიცე არ არის. ძომაკალი უბედურებას გიქადით. მე მოვედი თქვენს გასაფრთხილებლად. მოვედი იმისათვის, რომ ვამხილო თქვენი ბედნიერების უსამართლობა. ეგ ბედნიერება ხალხთა უბედურებაზეა დამყარებული. თქვენ ყველაფრის მჭონენი ხართ, მხოლოდ იმის გამო, რომ სხვანი მოკლებულნი არიან თავიანთ წილხვედრს. მილორდებო, დღეს მე ისეთი ვექილი ვარ, რომელიც უიმედო საქმეს იცავს. მაგრამ ღმერთი აღადგენს იმ სამართლიანობას, რომელიც თქვენის მეოხებით დარღვეულია. მე თვითონ არა რა ვარ, მე მხოლოდ ხმა ვარ. ადამიანთა მოდგმა ბაგეა და მე მათი ღაღადი ვარ. თქვენ მოისმენთ ჩემს ღაღადს, ინგლისის პერებო. თქვენს წინაშე მე ვხსნი უმაღლეს სამართალს ხალხისას, ამ ჭეშმარიტი პატრონისას და მპყრობელისას, რომელიც სატანჯავადაა განწირული; ამ უმაღლესი მოსამართლისას, რომელიც მსჯავრდადებულის მდგომარეობაში ჩაუგდიათ. რისი თქმაც მინდა, იმდენად მძიმეა, რომ ძალა არ შემწევს. საიდან დავიწყო, არ ვიცი. ადამიანთა ტანჯვის განუზომელ ზღვაში მე ნაწილ-ნაწილ შევკრიბე მთავარი ნაწილები ამ მამხილებელი სიტყვისა. რა ვუყო ახლა ამ საბუთებს? მე მტანჯავს ეს ტვირთი და ახლა ამ ტვირთს ვიშორებ ალალბედზე, როგორც შეშძლია — მოუწესრიგებლად. მე განა ამას ველოდი? არა. თქვენ გაკვირვებას გამოხატავთ, მეც განცვიფრებული ვარ. ჯერ ისევ გუშინ მე მასხარა-კომედიანტი ვიყავი, დღეს ლორდი ვარ. მიუწვდომელია განგება — მაგრამ ვისი ან რისი განგება? ჩვენთვის შეუცნობელი ბედისწერისა. გეშინოდეთ, ძრწოდეთ, მილორდებო! ცის მთელი ლაჟვარდი თქვენ გეკუთვნით. უსაზღვრო სამყაროში თქვენ მხოლოდ მის სადღესასწაულო, საზეიმო მხარესა ხედავთ. მაშ იცოდეთ, რომ ამ სამყაროში წყვდიადიც არსებობს. თქვენს წრეში მე ლორდ ფერმენ კლენჩარლის მიწოდებენ, მაგრამ ჩემი ნამდვილი სახელი ღატაკის სახელია, მე გუინპლენი მქვია. მე, პერის ტიტულის მემკვიდრე, მეფის ბრძანებით განკიცხული და საბრალო გამხადეს. აი, ასეთია ჩემი ისტორია. ბევრი თქვენგანი იცნობდა მამაჩემს. მე მას არ ვიცნობდი. თქვენ მასთან გაკავშირებდათ ფეოდალური პრივილეგიები; მე კი მასთან განდევნილობა მაკავშირებს. ყველაფერი, რაც უფალს შეუქმნია, შშვენიერია. მე უფსკრულში გადამაგდეს, მაგრამ რისთვის? იმისთვის, რომ გამეცნო მთელი მისი სიღრმე. მე წყალში ჩაყვინთული ვიყავი და მაღლა ამოსულს იქიდან მარგალიტები მო-

მაქვს, ეხე იგი, ჭეშმარიტება მომაქვს. მე ამას ვამბობ იმიტომ, რომ ვიცი; მომისმინეთ, მილორდებო, მე ბევრი რამ გამოვცადე; ბევრი რამ ვნახე. მე ტანჯვაზე აღარას ვამბობ, ბატონო ბედნიერებო. სხვა მინდა ვთქვა. მე სიღატაკეში გავიზარდე; ზამთარში სიცივისაგან ვკანკალებდი. ვითმენდი შიმშილს. გამოვცადე დამცირება. ავიტანე ქველანაირი უბედურება. შერცხვენის ფიალაც გამოვცალე. მე მას წამოვანთხევ თქვენ წინ და ეს ადამიანთა ყველა უბედურების ნანთხევი თქვენ ფეხებზე შემოგეწუწებათ და ცეცხლად აღეგზნება. მე რუეაში ვიყავი, ვიდრე აქ მოვიდოდი, რადგან სხვა მოვალეობაც მაწევს კისერზე. მე თქვენკენ გული არ მომიწევს. რაც ჩემს სულში მოხდა, ეს თქვენ არ გეხებათ. როდესაც ჩემთან ის კაცი, რომელსაც თქვენ შავი კვერთხის ბოქაულს ეძახით, გამოცხადდა დედოფლის სახელით ჩემს წასაყვანად, წუთიერად უარის თქმის სურვილი მომეძალა, მაგრამ ისე მომეჩვენა, თითქოს უხილავი ხელი მიბიძგებდა აქეთ და მეც დავმორჩილდი. ვიგრძენი, რომ მოვალე ვიყავი გამოვცხადებულიყავი თქვენთან. რისთვის? იმისთვის, რომ ჯერ ისევ გუშინ მე ძონძმანძები მეცვა, ღმერთმა მე შშიერთა ბრბოში გადამაგდო იმისათვის, რომ მათზე ველაპარაკო მაძლრებს. ო, შეიბრალეთ ისინი! თქვენ სრულებით არ იცნობთ იმ საშინელ ქვეყანას, რომელშიც ცხოვრობთ. თქვენ ისე მაღლა ხართ ატყორცნილნი, რომ ამ ქვეყანას არ ეკუთვნით. მე თქვენ გეტყვით, რას წარმოადგენს ეს ქვეყანა; ეს საკუთარი გამოცდილებით ვიცი. ეს-ეს იყო თქვენი ჩაგვრისგან გავთავისუფლდი და ამიტომ შემიძლია ვთქვა. თუ რამდენად მძიმეა ეს ჩაგვრა. ო, თქვენ, უფლებამოსილნო და მქონებელნო! იცით კი რა ხართ თქვენ? თუ გაქვთ შეგნებული ის, რასაც იქმთ? არა. ოჰ, რა საზარელია ყველაფერი ეს! ერთხელ, ქარიშხლიან ღამეში ბედისამარა მიგდებულმა, ობოლმა ამ უსაზღვრო ქვეყანაში, მარტოდმარტომ შევდგი ფეხი იმ თვალშეუდგამ სიბნელეში, რომელსაც თქვენ საზოგადოებას ეძახით. პირველი, რასაც მე წავაწყდი, ეს იყო კანონი, სახრჩობელას სახით. მეორე იყო სიმდიდრე, თქვენი სიმდიდრე, სიცივისა და შიმშილისაგან მკვდარი დედაკაცის სახით. მესამე იყო მომავალი, — მომაკვდავი ბავშვის სახით. მეოთხე იყო სიკეთე, ჭეშმარიტება და სამართლიანობა — მოხეტიალის სახით. ამ მოხეტიალეს მხოლოდ ერთი ამხანაგი და თანამგზავრი ჰყავდა. ეს იყო მგელი.

ამ წუთში მღელვარებით მოცულმა გუინპლენმა იგრძნო, რომ ქვითინი ყელში ებჯინებოდა.

და ამავე დროს, — ო, საშინელებაა! — მას პირისახე მოელრიცა და ზედ ისევ ის საშინელი სიცილი აღებეჭდა.

ეს სიცილი იმდენად გადამდები იყო, რომ ყველა იქ მყოფთ გადაბარბარებს. ამ ფრთხობას ეს-ეს იყო შავბნელმა ღრუბელმა თავს გადაუფრინა. შეძლებოდა ამ ღრუბელს თავს მეხი დაეტეხა, მაგრამ მან მხიარულება ასტეხა. მთელი პალატა სიცილმა ისე შეიპყრო, როგორც შეშლილებს. ხალხის ბედის გადამწყვეტნი ყოველთვის ხალისით ეტანებიან გართობას.

მეფეთა სიცილი ღმერთების სიცილსა ჰგავდა. მასში ყოველთვის რაღაც სასტიკი რამ არის. ლორდებს გასართობი გაუჩნდათ. სიცილს, აბუჩად აგდებაც შეუერთეს; ირგვლივ ტაში ატეხეს და შეუერთდნენ სიტყვებიც მიაყოლეს. შხამიანი დაცინვა სეტყვასავით მიაყარეს.

— ვაშა, გუინპლენ! ვაშა, „კაცო, რომელიც იცინი!“ ვაშა, დრუნჩო „მწვანე ყუთიდან“. ვაშა, ტარიზოფილდიდან მოვლენილო ტახის დინგო. იმიტომ მოხვედი, რომ წარმოდგენა გაგვიმართო! მშვენიერია! ოლაგბე, რამდენიც შეძლო! აი, გამრთობიც ასეთი უნდა! რა ძალიან კარგად იცინის ეს პირუტყვი, ესა! გამარჯობა, ჯამბაზო! ჩვენი სალამი ლორდ მასხარას! განაგრძე შენი ქადაგება! ნუთუ ეს ინგლისის პერია? აბა კიდევ რას იტყვი? — არა! არა! დიახ! დიახ!

ლორდ-კანცლერი რამდენიმედ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა.

ერუ ლორდმა, ჯემს ბუტლერმა, ორმონდის ჰერცოგმა ხელი ყურთან რუპორივით მიიდო და ჩარლზ ბოკლერკს, სენტ-ოლბენსის ჰერცოგს ჰკითხა:

— ხმა მისცა?

სენტ-ოლბენსმა უპასუხა:

— ის არ არის კმაყოფილი.

ჰერცოგმა ორმონდმა შენიშნა:

— რასაკვირველია, მაგისთანა პირისახის კაცი კმაყოფილი იქნება?

აბა, სცადეთ და ახლაც დაიმორჩილეთ ხალხი, როდესაც ის თქვენი უფლება-გავლენისგან თავს იხსნის. ყოველი თაყვრილო-

ბა ხომ იგივე ბრბოა. მჭევრმეტყველება ლაგამია, როცა ლაგამი გაწყდება, ყრილობა ყალყზე შედგება, როგორც უალვირო ცხენი და ამდენ წიხლებსა ჰყრის, ვიდრე ორატორს უნაგირიდან არ ჩამოაგდებს. აუდიტორიას სძულს ორატორი. ეს არასაკმაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა. ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ საკმარისია მხოლოდ ალვირი მოსჭიდო და წესრიგი აღდგენილ იქნება, მაგრამ ეს ასე არ არის. მაინც ყველა ორატორი შეუცნობლად მიმართავს ამ საშუალებას. გუინპლენმაც ამ საშუალებას მიმართა.

შეხედა მის ირგვლივ მოხარხარე ხალხს და განაგრძო:

— მაშ ასე, თქვენ აბუჩად იგდებთ უბედურებას? დაწყნარდით, ინგლისის პერებო! მოისმინეთ, მოსამართლენო; ო, გაფიცებთ, შეიბრალეთ, ვინ? ვინა და თქვენი თავი. ვის ელის ხიფათი? განა ვერ ხედავთ, რომ თქვენ წინ სასწორია, რომლის ერთ მხარეს თქვენი ყოვლადშემძლეობა ძევს და მეორე მხარეს თქვენი პასუხისმგებლობა! ეს სასწორი თვითონ უფალს უპყრია ხელთ. ო, ნუ იცინით! აბა კარგად ჩაუფიქრდით ამ სასწორის გადახრა-გადმოხრას, სხვა რა არის, თუ არა ჩვენი სინდისის რყევა. თქვენ ხომ ავის მოქმედნი არა ხართ; თქვენ ისეთივე ადამიანები ხართ, როგორიც სხვები, სხვებზე არც უარესნი და არც უკეთესნი. თქვენ თავი ღმერთი გგონიათ, მაგრამ ხვალ რომ ავად გახდეთ, დაინახავთ, როგორ აკანკალებს ციებ-ცხელება თქვენს ღვთაებრივ ბუნებას. ჩვენ, ყველანი, ერთნაირები ვართ. მე მივმართავ პატიოსან ადამიანს და ვიმედოვნებ, რომ ასეთები იქნებიან თქვენს შორის. მე მივმართავ ამაღლებული გონების ადამიანებს და იმედი მაქვს, რომ ასეთებიც მოიპოვებიან აქ. მე მივმართავ კეთილშობილ სულებს და იმედი მაქვს, რომ ისინი აქ საკმაოდ იქნებიან. თქვენ შორის ზოგი მამაა, ზოგი ძმა არის და ზოგიც შვილია; მაშასადამე, თქვენთვის უცხო არ უნდა იყოს კეთილი გრძნობები. რომელმა თქვენგანმაც დღეს დილით თავის ახალგაღვიძებულ ბავშვს დახედა, იგი გულკეთილი უნდა იყოს. გული ყველას ერთნაირი აქვს. კაცობრიობა სხვა არა არის, თუ არა ერთი მთლიანი გული. მჩაგვრელებსა და ჩაგრულებს შორის განსხვავება მხოლოდ მათ მდგომარეობაშია. თქვენ ფეხით თელავთ იმ ადამიანებს, რომელნიც თქვენზე დაბლა დგანან, მაგრამ ეს თქვენი ბრალი არ არის, ამაში დამნაშავე ბაბილონის გოდოლია, რომლის მსგავსია ჩვენი საზოგადოებრივი წყობი-

ლება. ეს გოდოლი არ არის სათანადოდ ნაგები, იგი გვერდზე გადახრილი. ზედა ნართული ქვედას აწვება. მომისმინეთ, ყველაფერს აგიხსნით. ო, თუ თქვენ ასეთი ყოველდშემძლენი ხართ, მაშ, თანაგრძნობაც გამოიჩინეთ. თუ ასეთი ძლიერები ხართ, მაშ, გულკეთილობაც გვიჩვენეთ. თქვენ რომ მხოლოდ ის იცოდეთ, მე რამდენი რამ ვნახე! რა ტანჯვა-წამება! ადამიანთა მოდგმა საპატიმროშია დამწყვდეული. რამდენია იქ სრულიად უდანაშაულოდ დასჯილი! მათ არც სინათლე აქვთ საკმარისი, არც ჰაერი ჰყოფნით და არც გამბედაობა. ახლა იმედსაც კი მოკლებულნი არიან. მაგრამ საშინელი უფრო ის არის, რომ მაინც რაღაცას ელოდებიან. აბა თქვენს გუნებაში ანგარიში გაუწიეთ ყველა ამ ტანჯვა-ვაებას. არიან ისეთი ადამიანები, რომ სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნიათ. არიან გოგონები, რომლებიც რვა წლისანი უკვე პროსტიტუციას მისდევენ, ხოლო ოცი წლისანი უკვე დაბერებულებს ემსგავსებიან. თქვენი კანონების სასტიკი სასჯელი ჭეშმარიტად საზარელია. მე ვლაპარაკობ ნაწყვეტ-ნაწყვეტად, თანამიმდევრობის გარეშე. რაც კი გამახსენდება, ყველაფერს ვამბობ. ჯერ კიდევ გუშინ მე ვნახე ჯაჭვებით შებორკილი კაცი, გაშიშვლებული, გულზე ლოდებდაყრილი; და ის ამ ტანჯვაში მოკვდა. იცით კი თქვენ ესა? რომ იცოდეთ, რა ხდება თქვენ გვერდით, ვერც ერთი თქვენგანი ვერარ გაბედავდა ემხიარულა და ელხინა. ან ვინმე თქვენგანი თუ ყოფილა ნიუქასლ-თაინზე, იქ მაღაროებში ხშირად ხალხი ნახშირის მტვერსა ღეჭავს, რომ რითიმე მაინც გაიძღოს კუჭი და დაიოკოს შიმშილი. ან ავიღოთ, მაგალითად, რიბლჩესტერი, ლანკასტერის საგრაფოში: ის იმდენად გაღატაკდა, რომ ქალაქი სოფელს დაემსგავსა. მე არა მჯერა, რომ პრინცი გეორგ დანიელი საჭიროებდეს ამ ასი ათას გინეას. სჯობს საავადმყოფოში ისე მიიღონ ხოლმე ღარიბი და არასმქონე ავადმყოფები, რომ წინასწარვე არა სთხოვდნენ დასამარხ ფულს. კარნარვონში, ტრეით-მორში, ისევე როგორც ტრეით-ბიჩენში ხალხის სიღარიბე ყოველგვარ ზღვარს გადასცდა. სტრასფორდში ჭაობი ვერ ამოუშრიათ უფულობის გამო. ლანკაშირში ყველა მაუდის ფაბრიკა დაიკეტა. ყველგან უმუშევრობაა. იცით კი თქვენ, რომ მეთევზეები ჰარლეხში ბალახით იკვებებიან, როცა თევზს ნაკლებად იჭერენ! იცით კი თქვენ, რომ ბერონ-ლეზერსში კიდევ არიან კეთროვნები, მათ ისე სდევნიან,

როგორც ნადირებს. თოფებს ესვრიან, რიცა ახინი თავიანთი ბუნაგიდან გამოვლენ. ელბურში, რომელიც ერთ-ერთ თქვენგანს ეკუთვნის, ყოველთვის შიშშილობაა. კოვენტრსა და პენკრიჯში, რომელსაც თქვენ აი ახლა გადასახადები დააწერეთ, და სადაც ეპისკოპოსს ჯამაგირი გადაუხადეთ, ქოხებში საწოლებიც კი არა ულგათ და დედები ამოთხრილ მიწაში აწვენენ თავიანთ ბავშვებს, ისე, რომ ბავშვები აკვნის ნაცვლად საფლავიდან იწყებენ სიცოცხლის პირველ დღეებს. მე ეს ჩემი თვალით მაქვს ნანახი. იცით კი თქვენ, მილორდებო, ვინ იხდის იმ გადასახადს, რომელსაც თქვენ აწესებთ? ისინი, ვინც შიშშილით იხოცებიან, ვაი, რომ მცდარი გზა აგირჩევიათ, თქვენ ღარიბ-ღატაკებს კიდევ უფრო მეტად აღარიბებთ იმისთვის, რომ მდიდრების სიმდიდრე გაზარდოთ. მაშინ, როდესაც პირიქით უნდა მოქმედებდეთ. როგორ! მშრომელს ართმევთ და უქმად მყოფს აძლევთ? წაართვათ ღატაკს იმისათვის, რომ მაძლარ-მოჭარბებულს აჩუქოთ! უძლურს წაართვათ იმისათვის, რომ ხელმწიფეს მისცეთ! დიახ, ჩემს ძარღვებში ძველი რესპუბლიკელის სისხლი ჩქეფს! ჩემი აზრით, ყოველივე ეს სისაძაგლეა. მე მძულს მეფეები. მერე რა უსირცხვილონი არიან თქვენი ქალები! ახლახან მიამბეს სამწუხარო ამბავი. ოჰ, მე მძულს კარლოს მეორე. ამ მეფეს საყვარლად გაუხდია ის დიაცი, რომელიც ჩემს მამას უყვარდა. ის ქალი სწორედ მაშინ დანებდა მეფეს, როდესაც მამაჩემი განდევნილობაში სულს ღაფავდა. კარლოს მეორე, იაკობ მეორე. ჯერ სალახანა და მერე ბოროტმოქმედი. რა არის არსებითად მეფე? უნებისყოფო, საბრალისი კაცი, თავისი ვნებებისა და სუსტი მხარეების მონა. რისთვის გვინდა ჩვენ მეფე? თქვენ კვებავთ ამ პარაზიტს. ნაწვიმარზე გამოხოხებული მატლისაგან თქვენ მახრჩობელა გველსა ზრდით. სოლიტერს თქვენ გველეშაპად აქცევთ. შეიბრალეთ ღარიბ-ღატაკნი! თქვენ მათ გადასახადებს უმატებთ მეფის ტახტის სასარგებლოდ. სიფრთხილე გამოიჩინეთ კანონების გამოცემის დროს, უფრთხილდით იმ უბედურებს, რომელთაც ფეხითა სთელავთ. გეშინოდეთ მათი! თვალები ძირს დახარეთ და თქვენს ფეხებთან დაიხედეთ. ო, დიდებულნო ამა ქვეყნისა, ქვეყნად უპოვარნი, უწილხვედრონიც არიან! შეიბრალეთ ისინი! შეიბრალეთ ისინი! შეიბრალეთ თქვენი თავი! ვინაიდან ბევრი ხალხი იღუპება და ის, ვინც დაბლაა და კვდება, დაღუპავს იმასაც, ვინც

მაღლა დგას. სიკვდილი არაფის ინდობს, ყველას ანადგურებს. როდესაც ღამე დადგება, აღარავის ძალუძს დღის სინათლის იღტოლოდნი ნაწილი მაინც შეინარჩუნოს. თუ თქვენი თავი გიყვართ, გადაარჩინეთ სხვები. ხომალდის დაღუპვას ვერც ერთი მგზავრი გულგრილად ვერ შეხედავს. თუ ერთნი დაიხრჩობიან, სხვათაც შთანთქავს მორევი. იცოდეთ, უფსკრული ყველას ერთნაირად სდარაჯობს.

შეუკავებელი სიცილი უფრო მეტად გაძლიერდა. მთელი პალატა ხარხარებდა. თუმცა ამ სიტყვის მარტო უჩვეულობაც კი კმაროდა იმისათვის, რომ გაემხიარულებინა ესოდენ მაღალი წრის წევრები.

გარეგნულად სასაცილო იყო იმ დროს, როდესაც სულიერ ტრაგედიას განიცდი, ამ ტანჯვაზე დამამცირებელი რაღა იქნება. ეს ადამიანის გამძვინვარებას გამოიწვევს. სწორედ ამასვე განიცდიდა გუინპლენი. მისი სიტყვები ამხელდნენ და ამათრახებდნენ, ხოლო პირისახე ხარხარს იწვევდა ადამიანში. საშინელი მდგომარეობაა, გუინპლენმა უცბად მრისხანედ დაიჭექა.

— ამათ, ამ ადამიანებს უხარიათ! საუცხოოა! აგონია სიცილს იწვევს. ისინი დასცინიან მომაკვდავის ხრიალს. ეს ადამიანები ყოვლისშემძლენი არიან. შესაძლოა, მაგრამ მომავალი გვიჩვენებს. ოჰ, მეც ამათ ვეკუთვნი. მაგრამ მე აგრეთვე თქვენიცა ვარ, ღარიბებო. მეფემ მე გამყიდა, ღატაკმა კაცმა შემიფარა. ვინ დამასახიჩრა? მონარქმა, ვინ განმკურნა და გამომკვება? გლახაკმა, თვითონ მშიერმა. მე ლორდი კლენჩარლი ვარ, მაგრამ გუინპლენადა ვრჩები. მე დიდებულთა ბანაკიდან ვარ, მაგრამ უწილხვედროთა ბანაკს ვეკუთვნი, მე შემიძლია ვისარგებლო ცხოვრების ყველანაირი სიტკბოებით, მაგრამ მთლად ჩემი სული და გული, მთელი ჩემი ფიქრები ტანჯულებისკენ არის მიმართული. ოჰ, მთელი საზოგადოება ყალბ საფუძველზეა დამყარებული! მაგრამ დადგება დღე, როდესაც სხვა საზოგადოება წარმოიშვება. მაშინ უკვე აღარ იქნებიან დიდებულები. იქნებიან მხოლოდ თავისუფალი ადამიანები. არ იქნებიან ბატონები, იქნებიან მხოლოდ მამები. ასეთია აუცილებელი მომავალი. გაქრება მლიქვნელობა, თაღლითობა, ხალხის უმეცრება, ცხოველებამდე არავინ დააქვეითებს ადამიანებს. მოისპობიან სამეფო სასახლის დიდებულნი — კარისკაცნი, ლაქიები, მეფეები, სინათლე ამოაშუქებს! ხოლო მანამდე მე აქ ვიქნები. მე უფლება მომეცა და

ვსარგებლობ ამ უფლებით. ეს უფლება არ იქნებოდა, მე რომ ამით პირადად ჩემთვის მესარგებლა, მაგრამ ეს უფლება მე სამართლიანად მომენიჭა, რადგან მე ამას უწილხვედროთა კეთილდღეობისათვის გამოვიყენებ. უნდა ველაპარაკო ლორდებს, რადგან მე თვითონ ლორდი ვარ. ო, ჩემო ძმებო, რომლებიც მანდ, დაბლობებში იტანჯებით, — მე ამით ვაუწყებ თქვენი გაჭირვების შესახებ. მე მათ წინაშე წარვდგები და თქვენს დაბებკილ, უბადრუკ ტანისამოსს ვუჩვენებ, ბატონებს წამოვასხამ მხრებზე მონათა ძონძძანძებს. ბედისაგან განებივრებული ქედმაღალნი უკვე აღარ აიცილებენ თავიანთ ხსოვნას ტანჯულთა შესახებ. ისინი, ქვეყნის მპყრობელნი, უკვე ველარ იქნებიან თავისუფალნი სიღატაკის არსებობის მწვავე იარისაგან. და უფრო უარესი მათთვის, თუ ამ ძონძძანძში ყოველნაირი უწმინდურობა ფუთფუთებს. უფრო უკეთესი, თუ ეს მოფუთფუთე უწმინდურობა ლომებს დაესევა.

აქ გუინპლენი მიუბრუნდა იმ კლერკების თანაშემწეთ, რომლებიც დაჩოქილები იდგნენ მეოთხე მატყლის ტომარაზე და წერდნენ.

— რადა ხართ თქვენ დაჩოქილები! რად? ადექით! თქვენც ხომ ადამიანები ხართ.

ამ უცაბედმა მიმართვამ ხელქვეითებისადმი, რომლებსაც ლორდები ვერც კი უნდა ამჩნევდნენ, პალატის სიმხიარულე უფრო მეტად გააძლიერა. წინათ თუ ვაშას იძახდნენ, ახლა ბარაქალა, ბარაქალაო, ისმოდა. ტაშისცემას ანებეს თავი და ფეხების ბრახუნზე გადავიდნენ. შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, „მწვანე ყუთში“ ვარო. მაგრამ „მწვანე ყუთში“ ხალხის სიცილი გუინპლენის ზეიმს ნიშნავდა. აქ კი იგივე სიცილი მას ანადგურებდა. სიცილი იქით მიისწრაფვის, რომ მომაკვდინებელი იარაღი გახდეს. ხშირად ხარხარით ცდილობენ მოკლან ადამიანი.

ხარხარი ახლა დაცინვას ნიშნავდა. ტლანქი ხუმრობა სეტყვასავით დააყარეს. ბლაგვი გონებისანი ჭკუამახვილობას იჩენდნენ. ბლაგვი გონების ადამიანთა თავყრილობა ყოველთვის ცდილობს შხამიანი დაცინვით სიტყვა ბანზე ააგდოს. ფაქტებს თავი აარიდონ, იმის მაგიერ, რომ ამ ფაქტებზე იმსჯელონ. ყოველი მოვლენა კითხვის ნიშანია. მისი დაცინვა ამოცანის დაცინვას უდრის. მაგრამ ამოცანის უკან სფინქსი დგას. ხოლო სფინქსი სულაც არ იცინის.

ისმოდა ურთიერთსაწინააღმდეგო წამოძახილები:

— კმარა! ძირს! განაგრძე! შემდეგ! კიდევ!

უილიამ ფარმენმა, ბარონმა ლესტერმა გუინპლენს დაუყვირა, როგორც ოდესლაც რიკ-კვაინიმ შექსპირს;

— HISTRIO! MIMA! (მასხარავ! კომედიანტო!)

სენტენციების წარმოთქმის მოყვარულმა ლორდმა ვოგანმა, რომელსაც ოცდამეცხრე ადგილი ეჭირა ბარონების სკამ-მერხზე, შესძახა:

— აი, ჩვენ ისევ დავუბრუნდით იმ საუკუნეს, როდესაც ცხოველები წინასწარმეტყველებდნენ. ადამიანებს შორის მხეცი ალაპარაკდა.

ახლა ლორდმა იარმუთმა ჩამოართვა სიტყვა:

— მოვუსმინოთ ბალამის სახედარს.

ბუნჩულა ცხვირი და მიღრეცილი ბაგეები ლორდ იარმუთს ღრმააზრიანობის იერს სძენდა.

— მეამბოხე ლინეუსი საფლავშიაც დაისაჯა, ასეთი შვილი მამისთვისაც სასჯელია, — წარმოთქვა ჯონ ჰაუფმა, ლიჩფილდისა და კოვენტრიის ეპისკოპოსმა, რომლის შემოსავალსაც გუინპლენი თავის სიტყვაში შეეხო.

— ეგ ცრუობს, — თქვა ლორდმა ჩოლმლეიმ, კანონმდებელმა და კანონთა მცოდნემ, — რასაც ტანჯვა-წამებას ეძახის, ეს მხოლოდ გონივრული ზომებია, ეგრეთ წოდებული „ხანგრძლივი დაკითხვა მიკერძოებით“. ინგლისში არავის აწამებენ.

ბარონმა რებიმ, თომას უენტვორთმა კანცლერს მიმართა:

— მილორდო კანცლერო, დახურეთ სხდომა!

— არა! არა! არა! დაე განაგრძოს! ჩვენ ვერთობით. ჰაე, ჰაე, ჰაე! ყოჩაღ!

ასე ყვიროდნენ ახალგაზრდა ლორდები; მათმა მხიარულებამ გააფთრებამდე მიაღწია. განსაკუთრებული გახელებისა, ხარხარისა და სიძულვილისაგან ხახა უშრებოდათ: ლოურენს ჰაიდს, გრაფ როჩესტერს, თომას ტეფტონს, გრაფ თენეტს, ვიკონტ ჰეტონს და ჰერცოგ მონტეგიუს.

— შენს ბუნაგს დაუბრუნდი, გუინპლენ! — ყვიროდა როჩესტერი.

— მოშორდეს. ძირს! ძირს! — ღრიალებდა თენეტი. ვიკონტმა ჰეტონმა ჯიბიდან პენი ამოიღო და გუინპლენს გადაუგდო.

ჯონ კემპბელი, გრაფი გრინიჩი, სერეჯი, გრაფი რივერსი, თომ-

სონი, ბარონი ჰევერშემი, უორინგტონი, ესკრიკი, როლსტონი, როკინჰემი, კარტრეტი, ლენგდეილი, ბანისტერ მეინარდი, ჰუდსონი, კარნარვონი, კავენდიში, ბორლინგტონი, რობერტ დარსი, გრაფი ჰოლდერნესი, ოთერ ვინძორი, გრაფი პლიმუთი, ესენი ყველანი ტაშს უკრავდნენ.

ჯოჯოხეთურ ხმაურსა და ჯახუნში გუინპლენის სიტყვები იკარგებოდა. მხოლოდ ერთი სიტყვაღა ისმოდა: „გაუფრთხილდით!"

რალფი, ჰერცოგი მონტეგიუ, ჭაბუკი, ოდნავ აბუსუსებული ულვაშებით, ოქსფორდის უნივერსიტეტის ახალკურსდამთავრებული, ჰერცოგთა მერხიდან ადგა, სადაც მას მეცხრამეტე ადგილი ეჭირა, მივიდა გუინპლენთან, პირდაპირ დაუდგა და გულზე ხელები დაიკრიბა. სამართებელი რომელიმე ნაწილში უფრო მჭრელია, ყოველ ხმას აქვს უმეტესად შეურაცხმყოფელი ინტონაცია. ჰერცოგმა მონტეგიუმ სწორედ ასეთი ინტონაციით პირდაპირ პირში დაცინვით შესძახა გუინპლენს:

— შენ რაებს გვიამბობ აქა?

— მე ვწინასწარმეტყველებ, — უპასუხა გუინპლენმა.

ახლად იფეთქა ხარხარმა, რომელშიც მრისხანება ისმოდა. ერთ-ერთი მცირეწლოვანი პერი, ლაიონელ კრენსილდ-სექვილი, გრაფი დორსეტისა და მიდლესექსისა, მერხზე შედგა და დარბაისლური იერით, როგორც მომავალ კანონმდებელს შეჰფერის, არც გაუცინია, არც ხმა ამოუღია, ისე მიმართა თავისი ნორჩი, ბიჭური პირისახე გუინპლენისაკენ და მხრები აიჩეჩა. ეს რომ სენტ-ასაფის ეპისკოპოსმა შეამჩნია, გადაიხარა თავისი მეზობლის სენტ-დევიდის ეპისკოპოსისაკენ და ყურში უჩურჩულა, თან გუინპლენზე ანიშნა:

— აჰა, უგუნური! — შემდეგ კი იმ მოზარდზე ანიშნა და დაუმატა: — აი ეს კი გონიერია!

დაცინვების ქაოსში ხმამაღალი წამოძახილები გაისმა:

— საფრთხობელა!

— რას ნიშნავს ყოველივე ეს?

— პალატის შეურაცხყოფაა!

— გადაგვარებული!

— სირცხვილი! სირცხვილი!

— შეწყდეს სხდომა!

— არა, ბარემ დაამთავროს!

— ალაპარაკე, ხუმარავ!

ლორდმა ლუის დიურასმა დიინჯი შემოიყარა და ხმამაღლა წამოძახა:

— ოჰ, რა გეძოხე ვიცინე! ეს მეტად სასარგებლოა ჩემი მტკივანი ღვიძლისათვის! წინადადება შემომაქვს გამოვიმუშაოთ დადგენილება ქვეშთ მოხსენებული რედაქციით. ლორდთა პალატა თავის მადლობას უცხადებს „მწვანე ყუთს“.

როგორც მკითხველს ახსოვს, გუინპლენი სულ სხვანაირ მიღებაზე ოცნებობდა.

ის, ვინც ციცაბო აღმართზე ადიოდა, სადაც ღრმა ჯურღმულის ზემოდან ქეიშა და რიყე ზვავდებოდა და ნიადაგი ფეხქვეშ ეცლებოდა, ვინც გრძნობდა, რომ ხელსა და ფეხქვეშიდან საყრდენი წერტილი უსხლტებოდა, ვინც ამაოდ ცდილობდა მაღლა ასულიყო, დაუმორჩილებელი სიბი კლდიდან, სადაც ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ხელ-ფეხის ასხლტომა, და მაღლა ასვლის მაგიერ ძირს დაგორება, აღმასვლის მაგიერ ქვევით დაშვება, მწვერვალებამდე ასვლის ყოველი ცდისას უფრო დასალუპად თავის გაწირვა და თავის გადარჩენის სურვილის გამო ყოველი მოძრაობისას სულ უფრო ქვედასხლტომა, ვისაც უგრძნია, რომ საშინელი უფსკრული სულ უფრო და უფრო ახლოვდება, ვისაც უგრძნია პირქუში სიცივე და ფეხქვეშ ხახადაღებული ჯურღმული — ის მიხვდება, თუ რა განიცადა ამ წუთებში გუინპლენმა.

გუინპლენი გრძნობდა, რომ მის ყველა სასიქადულო ოცნებას ბოლო ელებოდა, რომ მისი მსმენელი სწორედ ის უფსკრული იყო, რომელიც მას დანთქავდა.

ყოველთვის მოიძებნება ხოლმე ისეთი კაცი, რომელსაც უნარი აქვს ორიოდე სიტყვით გამოთქვას იქ მყოფთა საერთო აზრი.

ლორდმა სქერსდეილმა კრების ერთსულოვნება გამოთქვა:

— რისთვის გამოცხადდა აქ ეს ურჩხული?

გუინპლენი შეკრთა, თითქოს აუტანელმა ტკივილებმა დაუარაო, უცბად წელში გასწორდა და მრისხანე აღგზნებული თავლებით გადახედა ყველა პერს.

— რისთვის გამოვცხადდი მე აქ? იმისათვის, რომ თავს მეხი დაგატეხოთ. თქვენ ამბობთ, რომ მე ურჩხული ვარ. არა, მე ხალხი ვარ. მე, თქვენი სიტყვით, გადაგვარებული ვარ. არა, მე ვანსახიე-

რად მთელ კაცობრიობას. გადაგვარებულნი თქვენ თვითონა ხართ. თქვენ ქიმერა ხართ, მე — სინამდვილე. მე კაცი ვარ, საშინელი კაცი, რომელიც იცინის. ვისზე იცინის? თქვენზე, თავის თავზე, ყველაზე! რას გულისხმობს ეს სიცილი? თქვენს დანაშაულს და ჩემს ტანჯვას. ამ დანაშაულსა და ამ ტანჯვას მე თქვენ სახეში გესვრით. მე ვიცინი, ეს იმას ნიშნავს, რომ მე ვტირი.

გუინპლენი გაჩერდა. ხმაური წუთიერად ჩანელდა. აქა-იქ კიდევ იცინოდნენ, მაგრამ ისე ხმამაღლა აღარ. გუინპლენს ეგონა, კვლავ დაეპყრო მსმენელთა ყურადღებაო, სული მოითქვა და ისევ განაგრძო:

— ჩემი სიცილის ნიღაბი მეფის ნამოქმედარია. ეს სიცილი სასოწარკვეთილებას ფარავს. ეს სიცილი მძულვარებაზე, იძულებით დუმილზე, მრისხანებასა და უიმედობაზე მეტყველებს. ეს სიცილი წამების შედეგია. ეს სიცილის ნიღაბი მე თქვენმა ძალადობამ ამაფარა. თუ სატანა იცინებდა ასე, ის ღვთისაგან იქნებოდა დასჯილი. მაგრამ დაუსაბამო არსი მომაკვდავ ადამიანთა მსგავსი არ არის. იგი სრულქმნილია და სამართლიანი. მისთვის საძულველია მეფეთა საქმიანობა. აჰა, თქვენ მე გადაგვარებულად მიგაჩნიავართ! არა, მე სიმბოლო ვარ. ო, ყოვლადშემძლე უგუნურნო, გაახილეთ თვალნი! მე ყველაფერს ვახორციელებ. მე კაცობრიობას წარმოვადგენ, იმ კაცობრიობას, რომელიც ხელისუფალთაგან დამახინჯებულია. ადამიანი დამახინჯებულია. რაც ჩემ მიმართ ჩაიდინეს, ის ადამიანთა მთელი მოდგმის მიმართ ჩაიდინეს. დაამახინჯეს კაცობრიობის უფლება, სამართლიანობა, ჭეშმარიტება, აზროვნება, ისევე, როგორც მე დამიმახინჯეს თვალები, ნესტოები, ყურები. გულში მათაც ისე, როგორც მე, სიმწრის და მრისხანების შხამი ჩაუსხეს, ხოლო სახეზე მხიარულების ნიღაბი ააფარეს. რასაც ღვთის მარჯვენა შეეხო, იმას მეფემ თავისი მტაცებლური ხელი დაადო. რა საშინელი სიყალბეა, ეპისკოპოსებო, პერებო და პრინცებო, იცოდეთ, ხალხი დიდად ტანჯულია, ხალხი იცინის, მაგრამ თვალებში ცრემლები უდგას. მილორდებო, ხალხი — ეს მე ვარ. დღეს ხალხს ჩაგრავთ. დღეს თქვენ ჩემს გაჭირდვაში ხართ, მაგრამ მომავალში მოსალოდნელია დიდი, ჯერ სულ საიდუმლოებით მოცული ცვლილება. გაზაფხულის მზე ყინულს დაადნობს; რაც ქვა გვეგონა, ის ნიაღვრად გადაიქცევა. რაც მყარი ნიადაგი გვეგონა,

იმას წყალი დაფარავს. ერთი ბზარიც კმარა, რომ ყველაფერი ჩაშვაუდეს. მოაწევს ჟამი და საშინელი კრუნჩხვა გასტეხს თქვენი მონობის უღელს, როდესაც თქვენგან, ყიჟინის ამოძახილებს პასუხად, მრისხანე ბრდღვინვა მოჰყვება; ეს ჟამი ერთხელ უკვე იდგა, მაშაჩემო, შენ გადაიტანე ის ჟამი! ეს იყო ჟამი უფლისა და იგი რესპუბლიკად იწოდებოდა. რესპუბლიკა მოსპეს, მაგრამ კიდევ აღორძინდება. ჯერჯერობით კი გახსოვდეთ, რომ ხმლით შეიარაღებული მეფეების გრძელი მწკრივი კრომველის ნაჯახმა გადასჭრა. ძრწოდეთ! ულმობელი ჟამი ნაცვალგებისა ახლოვდება. წაჭრილი ბრჭყალები კვლავ იზრდება. ამოგლეჯილი ენები ცეცხლის ენებად იქცევიან. ისინი, ქარტეხილისგან ატაცებულნი, მაღლა და მაღლა ბრიალებენ და უსასრულობაში ღაღადებენ. მშივრების კბილთა ღრჭენა ისმის. ჯოჯოხეთზე აღმართული სამოთხე თავის საფუძველზევე ირყევა. ყველგან ტანჯვაა, მწუხარება, წამება. ის, რაც მაღლაა, დაბლა იხრება; ხოლო რაც დაბლა მდებარეობს, უშველებელ ხახას აღებს. სიბნელე ისწრაფვის, სინათლედ იქცეს. განკიცხულნი დავას უმართავენ ნეტარებაში მყოფთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხი მოდის; თქვენ გეუბნებით, რომ ადამიანი აღდგა! დასასრული ახლოსაა. ეს მეწამული განთიადია კატასტროფისა. აი რა იფარება სიცილში, რომელსაც თქვენ აბუჩად იგდებთ! ლონდონში უწყვეტი დღესასწაულებია; დე, ასე იყოს: მთელ ინგლისში ნადიმები და ზეიმებია. კარგი, მაგრამ ყური მიგდეთ! ყველაფერი, რასაც ხედავთ, მე ვარ. თქვენი დღესასწაულები ჩემი სიცილია. თქვენი დროს ტარება, მხიარულება, — ესეც ჩემი სიცილია. თქვენი ქორწინებანი, ზეთისცხებანი, მეფეთა კურთხევანი, — ესეც ჩემი სიცილია. პრინცების დაბადების პატივსაცემად გამართული დღესასწაულები ესეც ჩემი სიცილია. თქვენს თავზე მეხის დატეხაც — ჩემი სიცილია!

აბა როგორღა უნდა შეეკავებინათ თავი ასეთი სიტყვების გამგონეთ? სიცილი ხელახლა ატეხეს და უფრო ძლიერადაც. ყოველნაირი ნანთხევებიდან, როგორსაც კი, მსგავსად ვულკანის ყელისა, ადამიანის ბაგე წამოანთხევს, ყველაზე უფრო მწარე ნანთხევი დაცინვაა, ვერავითარ ხალხის ბრბოს ვერ ძალუძს წინაღუდგეს სასტიკი სიცილის თუ სეირის ყურების გადამდებ ცდუნებას. სჯიან განა მარტო ეშაფოტზე? არა, ადამიანების, გნებავთ თავყრილობას, გნებავთ ქუჩის ბრბოს, ანდაც საკანონმდებლო პალატას, ყოველ-

თან ჯადა ჰყავს ჯალათი. ჯალათი ეს — სარკაზმია. არც ერთი სატანჯი თუ საწამებელი არ შეედრება თავისი სისასტიკით ქირდგას. გუინპლენმა ეს ტანჯვა-წამებაც განიცადა. დამცინავ სიტყვებს ასე აყრიდნენ, როგორც სეტყვას, ან საფანტს, ან ქვახა და ღოდს. ამ ბავშვთა სათამაშოდ აქციეს, ბაზრობის ღონის საზომად აქციეს, რომელსაც თავში ურტყამენ, რათა თავიანთი მუშტის ძალა შეამოწმონ. იქ მყოფნი ადგილებზე ცმუკავდნენ და ყვიროდნენ: „კიდევ!“ სიცილისაგან იგრიხებოდნენ, ფეხებს აბრახუნებდნენ, საყელოზე ხელს იტაცებდნენ. ვერც ადგილის სიდიადემ, ვერც ქლამინდების ძონეულმა, ვერც ყარყუმის სიქათქათემ, ვერც პარიკების შთამაგონებელმა მოცულობამ, ველარაფერმა ისინი ვერ შეაჩერა. ხარხარებდნენ ლორდები, ხარხარებდნენ ეპისკოპოსები, ხარხარებდნენ მოხამართლენი, მოხუცებს სიცილისაგან თვალებიდან ცრემლები სცვიოდათ, მცირეწლოვანებს მუცელი ხელით ეჭირათ, კენტერბერის მთავარეპისკოპოსი იდაყვით უქმაუნჯებდა იორკის მთავარეპისკოპოსს, ჰენრი კომპტონი, ლონდონის ეპისკოპოსი, გრაფ ნორთჰემპტონის ძმა, ფერდებზე ხელებს იჭერდა, ლორდ-კანცლერი თვალებს ნაბავდა, რომ უნებლიედ ღიმი დაეფარა, იცინოდა თვით შავი კვერთხის ბოქაულიც კი, მოაჯირთან მდგომი, როგორც თავაზიანობის ცოცხალი განსახიერება.

გუინპლენს, მღელვარებისაგან მთლად გაფითრებულს, ხელები გულზე დაეკრიფა, იგი მოხუცებისა და ახალგაზრდების სიამით გაბრწყინებული სახეებით იყო გარემოცული. მას ესმოდა ჰომეროსული ხარხარი, გრძნობდა, რომ ეს ტაშის გუგუნი მის ირგვლივ, მის გამო ატეხილიყო. ეს ფეხების ბარტყუნი, „ბარაქალას“ წამოძახება, ეს გახელებულთა გართობა, ეს შეუკავებელი აღტაცება, ეს აღვირახსნილი მხიარულება მას გამოეწვია. მან გულში საშარისებური სიცივე იგრძნო, უკვე აღარ ძალუძდა თავისი სახიდან სიცილის გამომეტყველება წაეშალა. აღარც ის შეეძლო, რომ მსმენელების წურაღლება დაეპყრო; მსმენელებისა, რომელნიც შეურაცხყოფას სეტყვასავით აყრიდნენ.

ჯერ არასდროს ასე თვალსაჩინოდ არ გამომჟღავნებულა ძველისძველი საბედისწერო კანონი დიდებულისა და სასაცილოს ურთიერთშეხამებისა. ხარხარი მტანჯველი ღალადისას გამოძახილი ხდება. სასოწარკვეთილებას თან სდევს პაროდია. არასდროს წა-

ნააღმდეგობა მოწევნებითსა და სინამდვილეს შორის ასე საშინლად არ გამოაშკარავებულა. არასდროს ამაზე უფრო ავბედით სინათლეს არ გაუშუქებია ადამიანის სულის თვალით განუჭვრეტელი სიბნელე.

გუინპლენი მოწმე შეიქნა გამანადგურებელი სიცილით გამოწვეული თავისი სრული დაღუპვისა. წაქცეულს შეუძლია წამოდგეს, მაგრამ გასრესილი ადამიანი ველარასოდეს ადგება. გამოუსწორებელი რამ მოხდა. შეუსაბამო, ყოვლის დამგმობმა დაცინვამ გააცამტვერა იგი. ამიერიდან მას აღარავითარი იმედი აღარ ჰქონდა. ყველაფერი წრეზეა დამოკიდებული. ის, რაც „მწვანე ყუთში“ საზეიმო განწყობას უქმნიდა, ლორდთა პალატაში დამარცხებად და კატასტროფად იქცა. მან თითქოს ახლა იგრძნო თავისი ნიღბის მეორე მხარე. ამ ნიღბის ერთ მხარეს იყო სიმპათია, რომლითაც უბრალო ადამიანები ხვდებოდნენ გუინპლენს; ხოლო იმავე ნიღბის მეორე მხარეს მაღალი წრის ადამიანთა მძულვარება ჩაბუდებულიყო, ეს მძულვარება იყო, რომ უგულებელყოფდა ლორდ ფერმენ კლენჩარლის. მიმზიდველი ძალა პირველთა და უკუგდებითი ძალა მეორეთა, ორივე ერთნაირად მიაქანებდნენ მას წყვდიადისაკენ. ისე ეგონა, თითქოს ვიღაც ზურგიდან თავს დაესხა. ბედისწერას არაერთხელ დაუტეხია ადამიანისთვის ასეთი თავსმეხი. შემდეგ ყველაფერი გამოირკვევა, მაგრამ მანამდე ბედი მახეს უგებს ადამიანს და შგლის ხახაში აგდებს. გუინპლენს ეგონა, რომ სულ მაღლა იწევდა, ის კი სასაცილოდ აიგდეს. ზოგჯერ აპოთეოზიც შავბნელად თავდება. არსებობს ავდებითი სიტყვა, — გამოფხიზლება. დათრობის, ანუ თავბრუდასხმის შედეგად ტრაგიკული სიბრძნე წარმოიშვება. ამ დაუნდობელი სიცილი-ხარხარით გარემოცული გუინპლენი ჩაფიქრდა.

გახელებულ სიცილს რომ აჰყვეთ, იმას ნიშნავს, ტალღებმა თავის ნებაზე გასრიალონ. ხალხის თავყრილობა, შეუკავებელი სიცილით ატაცებული, ხომალდს მოგაგონებთ, რომელსაც კომპასი დაუკარგავს. უკვე აღარავინ იცოდა, რა უნდოდა, ან რას სჩადიოდა. სხდომის დახურვა აუცილებელი გახდა.

ლორდ-კანცლერმა „მომხდარის გამო“ ხმის მიცემა მეორე დღისთვის გადადო. პალატის წევრები იშლებოდნენ, ლორდები მეფის სავარძელს თავს უკრავდნენ და ასე ტოვებდნენ დარბაზს. მათი

სცენის ხმა ჯერ კიდევ ტალანებში ისმოდა და სადღაც შორს იკარგებოდა. გარდა ოფიციალური გასასვლელებისა, სხდომათა დარბაზში არის კიდევ ბევრი კარი, მოფარდაგულებსა და წალოებს მოფარებული. ამ გასასვლელებით, როგორც სითხე მიედინება გაბარული ჭურჭლიდან, საზოგადოება სწრაფად ათავისუფლებს დარბაზს. რამდენიმე წუთში დარბაზი ცარიელდება. ასეთი ცვლილებები სწრაფად ხდება. ახმაურებული თავყრილობის ადგილებში უცბად მყარდება დუმილი.

ღრმა ფიქრებში წასულმა შეიძლება დაივიწყოს ყველაფერი და ბოლოს თითქმის სხვა პლანეტაზე აღმოჩნდეს. გუინპლენი უცბად თითქოს გამოფხიზლდაო. იგი ახლა მარტო იყო ცარიელ დარბაზში და ვერც კი შენიშნა, როგორ დახურეს სხდომა. პერები აღარსად ჩანდნენ. თვით მისი ორი აღმჭქელიც გამჭრალიყო სადღაც. მხოლოდ პალატის რამდენიმე მსახური უცდიდა „მისი მოწყალების“ წასვლას რომ ავეჯისთვის შალითები გადაეცვათ და სინათლე ჩაექრით. გუინპლენმა უნებურად ქუდი დაიხურა, ჩამოვიდა თავისი მერხიდან და დიდი კარისაკენ გაემართა. ეს კარი ტალანში გადიოდა. როდესაც მან მოაჯირს ახლოს ჩაუარა, მეკარემ პერის ქლამინდი მოხადა. გუინპლენმა მას ოდნავ მიაქცია ყურადღება. წუთი და ის უკვე ტალანში იყო.

დარბაზში მყოფმა მსახურებმა გაკვირვებით შენიშნეს, რომ ახალმა ლორდმა გასვლისას თავი არ დაუკრა მეფის ტახტს.

VIII

კარგი ძმა იქნებოდა, სამაგალითო შვილი რომ არ ყოფილიყო

ტალანში არავინ იყო. გუინპლენმა შუშაბანდიან როტონდაზე გაიარა. იქიდან უკვე გაეტანათ სავარძელი და მაგიდები. ალარ დარჩენილიყო მის პერობაზე ხელდასხმის კვალი: ერთიმეორისაგან ერთნაირ მანძილზე დაშორებით ანთებული ჭაღები და კანდელაბრები მას გასასვლელისკენ უჩვენებდნენ გზას. ამ სინათლეთა მწკრივის მეოხებით გუინპლენმა ადვილად მოახერხა არეულ დარბაზებსა და ტალანებს შორის იმ გზისათვის მიეგნო, რომლითაც იგი ცერემონ-

მეისტერისა და შაეი კვერთხის ბოქაულის კვალდაკვალ შეძოვიდა პალატაში. გზაზე არც ერთი სულიერი არ შეხვედრია. მხოლოდ რამდენიმე შეფერხებულ, მოხუც ლორდს წამოეწია, რაკი ისინი ძალიან ნაბიჯით მიფრატუნობდნენ გასასვლელისაკენ.

უცბად ამ უშველებელ, უკაცურ დარბაზებში გაურკვეველი გუგუნი გაისმა ადამიანთა ხმებისა. რაც უჩვეულო იყო ასეთ ადგილას და ასე გვიან. გუინპლენი იქით გაემართა, საიდანაც ხმაური მოდიოდა და ფართო, ოდნავ განათებულ ვესტიბიულში მოხვდა. ეს იყო პალატიდან გასასვლელი წინა ოთახი. ფართოდ გაღებული შუშებიანი კარიდან სეფექალი მოჩანდა. მოჩანდნენ ლაქიები ჩირაღდნებით; კარს იქით მოედანზე დახურული ეტლები ჩამწკრივებულიყო — პატრონებს უცდიდნენ სეფეკართან.

სწორედ აქედან მოისმოდა ის ხმაური.

კარებთან, ლამპიონის ქვეშ, ვესტიბიულში, მთელი ჯგუფი იდგა და გახელებით და ხელების ქნევით რაღაცაზე ხმამაღლა დაობდა. გუინპლენმა საღამოს ბინდით ისარგებლა და ახლოს მივიდა.

ათი-თორმეტი ახალგაზრდა ლორდი შეჯგუფებულიყო გასასვლელთან და ჩხუბობდა. ვიღაც მათსავით ქუდიანი კაცი წინ გადასდგომოდა, თავი ამაყად გადაეწია და მათ გზას ულობავდა.

ვინ იყო ეს კაცი? ტომ-ჯიმ-ჯეკი.

ზოგიერთ ლორდს ჯერ კიდევ მხრებზე ჰქონდა წამოსხმული პერის ქლამინდი. ზოგს უკვე გადაეგდო პარლამენტის სამოსელი და ჩვეულებრივი ტანისამოსით იყო.

ტომ-ჯიმ-ჯეკს ქუდზე ბუმბულები უფრიალებდა. მაგრამ თეთრები კი არა, როგორც პერებს, არამედ მწვანე, ნარინჯისფერი ხვეულებით. ოქრომკედის ზონრებჩაკერებული კოსტიუმი ეცვა საყელო-მაჯებზე ფარფარა ბაბთებითა და არშიებით დაშვენებული. მარცხენა ხელი მაგრად წაეჭლო გვერდზე ჩამოკიდებული დაშნის ბუნიკისათვის. დაშნის ხავერდოვან ქარქაშზე და მის სალტეებზე ოქრომკედით ამოქარგული იყო ადმირალის ღუზები.

გუინპლენს მისი სიტყვები შემოესმა. იგი ყველა იქ მდგომ ახალგაზრდას მიმართავდა:

— მე თქვენ მხდალები გიწოდეთ. თქვენ მოითხოვეთ, რომ ჩემი სიტყვები უკანვე დავიბრუნო. აჰა, ინებეთ. თქვენ მხდალები არა ხართ, მაგრამ რეგვენნი კი ბრძანდებით. ყველანი ერთს რომ დაესიეთ,

განა ეს სიმხდალე არ არის? კარგი, მაშ ეს სირეგვნეა. თქვენ ყურს კი უგდებდით, მაგრამ სრულებით ვერაფერი გაიგეთ. ბერიკაცებს ყურთასმენა აკლიათ, ხოლო ახალგაზრდები ჭკუაბლაგვები ხართ. მე თქვენს წრეს ვეკუთვნი და უფლება მაქვს, გამოვთქვა ასეთი ჭეშმარიტება. ეს ახალი ლორდი უცნაური არსებაა, მან მთელი რიგი შეუსაბამობანი ილაპარაკა, გეთანხმებით, მაგრამ ბევრი სიმართლეც თქვა. მისი სიტყვა დალაგებული არ იყო, არეულად ილაპარაკა, ამაზე არ გედავებით. ის ძალიან ხშირად იმეორებდა, „იცით კი თქვენ, იცით კი თქვენო“, მაგრამ კაცი, ჯერ ისევ გუშინ ბაზრის გამრთობი, ვერ ილაპარაკებდა ისე როგორც არისტოტელე ან როგორც სარუმის ეპისკოპოსი დოქტორი გილბერტ ბარნეტი. მისი სიტყვები ეხებოდა ავსულებს, ლომებს, იგი მიმართავდა კლერკების თანაშემწეებს. ყოველივე ეს გემოვნებას მოკლებული იყო. ამაზე, დალახვროს ეშმაკმა, ვინ რას გეუბნებათ, მართალია, დაბნეული სიტყვა წარმოთქვა, ყველაფერს ერთმანეთში ურევდა, მაგრამ ხანდახან ნამდვილ სიმართლესაც ამბობდა. ის კაცი განა ნამდვილი ორატორია?! რაც თქვა, ესეც არანაკლები დამსახურებაა მისთვის. აბა თქვენ ყოფილიყავით მის ადგილას, ვნახავდი, რა ვაჟკაცობას გამოიჩენდით. რაც მან ბერთონ-ლეზერსის კეთროვანებზე გიამბოთ, უდავო ფაქტია, თანაც პარლამენტში მის გარდა სხვებსაც ულაპარაკიათ სისულელეები. ბოლოს, მილორდებო, მე მძულს, როდესაც ყველანი ერთს მიესევიან. ასეთი ხასიათისა ვარ და ამიტომ ნება მიბოძეთ ჩემი თავი შეურაცხყოფილად ჩავთვალო. თქვენი საქციელი მე არ მომწონს და აღშფოთებული ვარ თქვენს გამო. მე არცთუ ძალიან ღვთისმოსავი კაცი გახლავართ, მაგრამ როდესაც იგი კეთილ საქმეებს სჩადის, მაშინ იმ აზრს ვადგები, რომ ღმერთი არსებობს. ამისათვის, მაგალითად, მე ძალიან მადლიერი ვარ მისი, მან საზოგადოების დაბალი ფენიდან გამოიხსნა ინგლისის პერი და დაუბრუნა მემკვიდრეობა კანონიერ მფლობელს, მიუხედავად იმისა, ჩემთვის სახეიროა ესა თუ არა. მე მოხარული ვარ, რომ ნამის ჭია უცბად არწივად იქცა და გუინპლენი კლენჩარლი გახდა. მილორდებო, მე თქვენ ნებას არ გაძლევთ, რომ სხვა აზრი იქონიოთ მასზე. ვწუხვარ, რომ აქ არ არის ლუის დიურასი; ის მიიღებდა იმას, რაც დაიმსახურა! მილორდებო, ფერმენ კლენჩარლი ისე იქცეოდა, როგორც ლორდს შეჰფერის, თქვენ კი ტაკიმასხარაობდით. რაც

შეეხება მის სიცილს, ეს მისი ბრალი არ არის. თქვენ მის სიცილზე იცინოდით, მაგრამ უბედურებას კაცმა არ უნდა დასცინოს. თქვენ სულელები ხართ და კარგა მაგარი სულელებიც, ძალიან ცდებით, თუ გგონიათ, რომ თქვენ კი არაფერი გაქვთ დასაცინი და ვერ დაგცინებენ. თქვენ ყველაზე მახინჯები ხართ და ჩაცმაც არ იცით. მილორდო ჰავერშემ, მე გუშინწინ შენი საყვარელი ვნახე, საზიზღარი ქალია. თუმცა ჰერცოგის ტიტული აქვს, მაგრამ მახინჯია. ბატონო მქირდავებო, გიმეორებთ, რომ მე ძალიან მინდა ვიცოდე, შეძლებთ კი ორი-სამი სიტყვის ერთმანეთზე მიბმას? ლაზღანდარობა ყველას შეუძლია, მაგრამ ლაპარაკი არა. თქვენ თავი განათლებული გგონიათ, რაკი ოქსფორდში ან კემბრიჯში შარვლებით მერხებსა ხეხავდით. და კიდევ იმიტომ, რომ ვიდრე ინგლისის პერის სახელით ვესტმინსტერ-ჰოლის მერხებზე დასხდებოდით გონვილის ან კაისის კოლეჯის მერხებზე ყურებს აბარტყუნებდით. მე პირში გეუბნებით: თქვენ თავხედურად მოექეცით ახალ ლორდს.

მართალია, საშინლად საზიზარია, მაგრამ ის ხომ ნადირებს მისცეს ხელში საჯიჯგნად. თქვენს ადგილზე ყოფნას, მის ადგილს ვირჩევდი, სხდომას მე, როგორც პერობის მოსალოდნელი მემკვიდრე, ისე ვესწრებოდი და ყველაფერი მესმოდა. უფლება არა მქონდა ჩემი აზრი გამომეთქვა, მაგრამ უფლება მაქვს ვიყო წესიერი ადამიანი. თქვენმა დაცინვამ ჩემში აღშფოთება გამოიწვია. როდესაც მე გაჯავრებული ვარ, შემიძლია პენდლჰილის მთაზე ავიდე და იქ მოვკრიფო ბალახი „ძაღლისკბილა", თუმცა ის ელვა-მეხს ატეხს თავზე იმას, ვინც ხელს დააკარებს. აი, რატომ გელოდით აქ, გამოსასვლელ კართან. ახსნა-განმარტება ზედმეტი არასოდეს არის და მეც მინდა გითხრათ. გრძნობთ კი რომ გარკვეულწილად მეც მომაყენეთ შეურაცხყოფა? მილორდებო, მე მტკიცედ გადავწყვიტე ზოგიერთი თქვენგანი საიქიოში გავისტუმრო, ყველა, ვინც აქა ხართ, თომას ტუფტონი, გრაფო თენეკი, სვეეჯი, გრაფო რივერსი, ჩარლზ სპენსერი, გრაფო სენდერლენდი, ლორენს ჰაიდი, გრაფო როჩესტერი; თქვენც ბარონებო, გრეილსტონ, კერი ჰენსდონ, ესკრიკ, როკინჰემ, შენ, პატარა კარტრეტ, შენ, რობერტ დარსი, გრაფო ჰოლდერნეს, შენც უილიამ, ვიკონტო ჰეტონ, შენც, რალფ, ჰერცოგო მონტეგიუ და ყველა დანარჩენს, ვისაც სურს, — დევიდ დირი-მოირი, ინგლისის ფლოტის მეზღვაური, გიწვევთ ხმალში და დაბეჯითებით

გაძლევთ წინადადებას — მოიმარაგეთ სეკუნდანტები და მოწმენი. მე გელოდებით, რომ შეგხვდეთ პირისპირ და გულდაგულ დღესვე საღამოთი, ან ახლა, ამ წუთში, ან ხვალ, დღისით გნებავთ თუ ღამით, მზის სინათლეზე თუ ჩირაღდნების შუქზე. სადაც გნებავთ, იმ ადგილას, რა დროსაც ისურვებთ, და რა პირობებზეც თქვენ თანახმა იქნებით. ყველგან, სადაც კი ადგილი გვეყოფა, რომ მახვილები გადავაჭდოთ. კარგს იზამთ, თუ წინასწარ გასინჯავთ თქვენს დამბაჩებს და შეამოწმებთ, თქვენი ხმლები მჭრელია თუ არა, ვინაიდან მე განზრახული მაქვს თქვენი საპეროები ვაკანტური გავხადო, ოგლ ქვენდომ, მიიღე გამაფრთხილებელი ზომები და გაიხსენე შენი დევიზი: „CAVENDO TUTUS,* მარმადიუკ ლენგდეილ, გონივრულად მოიქცევი თუ შენი წინაპრის გუნდოლდის მაგალითისამებრ ბრძანებას გასცემ, რომ კუბო უკან მოგაყოლონ! ჯორჯ ბუტს, გრაფო უორინგტონ, ველარასოდეს ნახავ შენს საგრაფოს ჩესტერში, შენს ლაბირინთს, კრეტას კუნძულის ლაბირინთის მსგავსს და დენპემესის მაღალ კოშკებს. რაც შეეხება ლორდ ვოგანს, ის იმდენად ახალგაზრდა კი არის, რომ კადნიერება გაებედა, მაგრამ იმდენად ხნიერია, რომ ამაზე პასუხი აგოს; ამიტომ მისი სიტყვების გამო მე პასუხს მის ძმისწულს, რიჩარდ ვოგანს მოვთხოვ, ქალაქ მერიონეთის წარმომადგენელს თემთა პალატაში. შენ, ჯონ კემპბელ, გრაფო გრინიჩ, მე მოგკლავ, როგორც ეგონმა მოკლა მეტესი; მხოლოდ პატიოსნად, პირისპირ შეყრისას და ზურგიდან არ მოგეპარები, იმიტომ, რომ მე მიჩვეული ვარ ხმალს გულდაგულ წინ დავუხვდე და არა ზურგი შევაქციო. ეს გადაწყვეტილია, მილორდებო, ახლა კი, თუ გნებავთ, ჯადოქრობას მიმართეთ, მკითხავთან წადით, ტანზე ბალზამი და საცხები წაისვით, რომ ტყვია და ხმალი აისხლიტოს, ყველაზე ეშმაკ-ქაჯური ავგაროზები დაიკიდეთ, ან ღვთისმშობლის ლოცვები — ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი და ჩვარში გამოკრული... მე მაინც შეგერკინებით, მიუხედავად ყოველგვარი შელოცვებისა ან ჯადოს შეკვრისა; არც ხელს მოგიფათურებთ, რომ გავიგო, სადმე თილისმა გაკერიათ თუ არა. გნებავთ ფეხდაფეხ შეგებმებით, გნებავთ ცხენზე ამხედრებული შევებრძოლოთ ერთმანეთს. სადაც გნებავთ, — შუშაბანდსა თუ მოედანზე, პიკადილიზე ან ჩერინგქროსზე. თუნდაც ჩვენი შერკინებისათვის ქუჩის ქვაფენილი აჰყარონ, როგორც ლუვრის* ეზოში მოახდინეს, როდესაც გიზი და

ბასომპიერი* უნდა შერკინებულიყვნენ. გესმით? მე ყველას გიწვევთ ხმალში, ან თუ გნებავთ, დამბაჩებით ბრძოლაში. დორმ, გრაფო კარნარვონ, მე ჩემს ხმალს ტარამდე გადაგაყლაპებთ, როგორც მარიოლმა ლილემ მარიოს გადააყლაპა; მაშინ დაგინახავთ, როგორ დასცინებ, ან იცინებ, მილორდ! შენ, ბერლინგტონ, ჩვიდმეტი წლის გოგონას რომ ჰგავხარ, შეგიძლია ადგილი აირჩიო საფლავისათვის, ან შენი მიდლსექსის ციხე-დარბაზთან კორდზე, ან შენს ლენდენბურგის ბაღში, იორკშირში. გიცხადებთ, მილორდებო, რომ მე ვერ ვითმენ თქვენს უტიფრობას და როგორც დაიმსახურეთ, ისე დაგსჯით. მე ნებას არ მოგცემთ, ასე გაამასხარაოთ ლორდი ფერმენ კლენჩარლი. ის თქვენზე უკეთესია. როგორც კლენჩარლი, ის თქვენზე ნაკლებად დიდებული როდია: ხოლო როგორც გუინპლეინი, ჭკვიანია. რომლის ნატამალი თქვენ არც გაგაჩნიათ. მე გიცხადებთ, რომ მისი საქმე იგივე ჩემი საქმეა. მისი შეურაცხყოფა, ჩემს შეურაცხყოფად მიმაჩნია და მის მიმართ თქვენმა დაცინვამ ჩემში აღშფოთება გამოიწვია. ვნახოთ, ვინ გადარჩება ცოცხალი. გესმით თუ არა? მე თქვენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გიწვევთ. იარაღი, როგორიც გნებავთ, ისეთი აირჩიეთ. რომელი იარაღითა გსურთ სიკვდილი? მაგრამ, რადგან თქვენ ერთსა და იმავე დროს ჯენტლმენებიცა ხართ და უხეში პირუტყვებიც, ამიტომ წინადადებას გაძლევთ, გნებავთ აზნაურის დაშნა ავირჩიოთ, გნებავთ მდაბიურად მუშტი-კრივში გავსწორდეთ.

ამ ბრაზით სავსე სიტყვებს ყველა იქ მყოფმა ახალგაზრდამ ქედმაღლური ღიმილი შეაგება.

— თანახმანი ვართ, — უპასუხეს ერთხმად.

— მე დამბაჩას ვირჩევ, — თქვა ბერლინგტონმა.

ესკრიკმა განაცხადა:

— მე ძველებური ორთაბრძოლა მირჩევნია, შემოღობილ ადგილზე კეტები და ხანჯლები დაეცხოთ ერთმანეთს.

ჰოლდერნესმა თქვა:

— მე მოკლე და გრძელი დანით მინდა ვიბრძოლო.

გრაფმა თენეტმა ეს უთხრა დევიდს:

— ლორდო დევიდ, შენ შოტლანდიელი ხარ, ამიტომ მე მახვილს ვირჩევ.

— მე კი დაშნას, — თქვა როკინჰემმა.

ჰერცოგმა რალფმა განაცხადა:

— მე კრიევი მირჩევნია, ეს უფრო კეთილშობილურია.

გუინპლენი ბნელი საფრიდან გამოვიდა და მიუახლოვდა იმ კაცს, რომელიც აქამდე ტომ-ჯიმ-ჯეკად იწოდებოდა, მაგრამ ახლა სხვა ვიღაც გამოდგა.

— გმადლობთ, მაგრამ ეს საქმე მარტო მე მეხება, — უთხრა მან. ყველამ მისკენ მიიხედა.

გუინპლენი უფრო ახლო მივიდა, რაღაც ძალა უბიძგებდა იმისკენ, ვისაც ყველანი ლორდ დევიდს ეძახდნენ, ვინც თვითონ მისი ქომაგი გახდა; თითქოს უფრო მეტიც. ლორდმა დევიდმა უკან დაიხია.

— აჰა, — შესძახა ლორდ დევიდმა, — ეს თქვენა ხართ! აქა ხართ? ძალიან კარგი. თქვენთანაც მაქვს ორიოდე სიტყვა სათქმელი: თქვენ გაბედეთ და ილაპარაკეთ იმ მანდილოსანზე, რომელსაც ჯერ ლორდი ლინეუს კლენჩარლი უყვარდა და შემდეგ მეფე კარლოს მეორე.

— დიახ, ვილაპარაკე.

— ბატონო ჩემო, თქვენ შეურაცხყოფა მიაყენეთ ჩემს დედას.

— თქვენს დედას? — შესძახა გუინპლენმა, — მაშ ჩვენ...

— ძმები ვართ, — დაამთავრა ლორდმა დევიდმა და სილა გააწნა გუინპლენს.

— ჩვენ ძმები ვართ, — გაიმეორა ლორდმა დევიდმა, — ამიტომ ჩვენ შეგვიძლია შევერკინოთ ერთმანეთს. ორთაბრძოლა მხოლოდ თანასწორთა შორის შეიძლება. ჩემი თანასწორი სხვა ვინ იქნება, თუ არა საკუთარი ძმა? მე გამოგიგზავნით სეკუნდანტებს. ხვალ ჩვენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა შევებრძოლოთ ერთმანეთს.

წიგნი მეცხრე

ნანგრევებზე

I

დიდების მწვერვალიდან სასოწარკვეთილების უფსკრულში

იმჟამად, როდესაც წმინდა პაულეს ტაძრის სამრეკლოზე შუაღამის ზარი დარეკეს, ვიღაც კაცმა ლონდონის ხიდი გადაიარა და საუთვორჭის მიხვეულ-მოხვეულ შუკებში გაუჩინარდა. ფარნები უკვე ჩაექროთ, რადგან იმხანად ლონდონსა და პარიზში ქუჩების გაშუქება მხოლოდ ღამის თერთმეტ საათამდე ხდებოდა, შემდეგ სინათლეს აქრობდნენ; არადა განათებული ქუჩები სწორედ ამ დროიდანაა საჭირო.

ჩაბნელებულ ქუჩებში კაცის ჭაჭანება არ იყო. სიბნელეში გამელლთა რიცხვი მცირეა. ის კაცი აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდა. მისი ტანსაცმელი სრულიად შეუფერებელი იყო ღამით ქუჩაში მოსეირნისათვის. მას ოქრომკედით ნაკემსი ატლასის კამზოლი ეცვა. გვერდზე დაშნა ეკიდა. თეთრი ბუმბულით შემკული ქუდი ეხურა. მხრებზე მოსასხამი არ ესხა. ღამის ყარაულებმა გაიფიქრეს: ალბათ ეს კაცი ვინმე ლორდია და სანაძლეო აქვს ვინმესთანო, ამიტომ, როგორც ლორდს შეეფერება, პატივისცემით დაუთმეს გზა.

ეს კაცი გუინპლენი იყო.

იგი ლონდონიდან გარბოდა.

საით მიისწრაფოდა, თვითონაც არ იცოდა. როგორც უკვე ვთქვით, ადამიანის სულში ხანდახან გრიგალი ბობოქრობს და მისთვის ცა და დედამიწა, ზღვა და ხმელეთი, დღე და ღამე, სიკვდილი და სიცოცხლე ამოუცნობ ქაოსად დედდება. სინამდვილე ამ დროს გვახრჩობს. ჩვენ ის ძალები გვსრესს, რომლებიც არა გვწამს. საიდანღაც დაგვაცხრება თქეში: წვიმა-ქარი, სეტყვა-შეხი. ცის თაღი ბნელდება. დაუსრულებლობა სიცარიელედ გვეჩვენება. ჩვენს თავს ვეღარ ვცნობთ და ვეღარც ვგრძნობთ. გვგონია, რომ უკვე ვკვდებით, რომელიღაც ვარსკვლავისკენ ვისწრაფვით. რას

განიცდიდა გუინპლენი ამ დროს? მხოლოდ და მხოლოდ დეას ნახვის სურვილს.

იგი მთლად ერთ სურვილს შეეპყრო: დაბრუნებულიყო „მწვანე კუთში“, ახმაურებულ, სინათლით გაჩაღებულ ტედკასტერის სასტუმროში, სადაც უბრალო ხალხის გულკეთილი სიცილი გაისმოდა და ახმაურებდა ხოლმე იქაურობას. ისევ შეხვედროდა ურსუსს, ჰოჰოს, ისევ ენახა დეა. დაბრუნებოდა ნამდვილ ცხოვრებას. მსგავსად ამისა, როგორც შშვილდიდან გატყორცნილი ისარი საბედისწერო ხიძლიერით ისწრაფვის მიზნისაკენ, ისეა ადამიანიც, იმედების დანთქმა მას გულს უფატრავს და იგიც ჭეშმარიტებისაკენ ისწრაფვის. გუინპლენი ჩქარობდა. იგი ტარინხოფილდს უახლოვდებოდა. კი არ მიდიოდა, უკვე მირბოდა. თვალებს უშტერებდა წინ გადაშლილ წვედიადს; მეზღვაურიც ხომ ასე გაფაციცებით გასცქერის ნავსადგურის ძებნის დროს ჰორიზონტს. რა სიხარულს იგრძნობს გუინპლენი, როცა ტედკასტერის სასტუმროს განათებულ ფანჯრებს დაინახავს!

გუინპლენი „მწვანე ვაკობზე“ გაეიდა, მოლობილის იქით მიუხვია, და ამ მოცარიელებული ადგილის პირდაპირ თვალწინ დაუდგა სასტუმროს შენობა, როგორც მკითხველს ეხსომება, ერთადერთი საცხოვრებელი შენობა მთელ იმ ბაზრის მოედანზე.

გუინპლენმა თვალი მიაშტერა. სინათლე არ ჩანდა. ყველა ფანჯარა ჩაბნელებული იყო.

იგი შეკრთა, თავის თავს არწმუნებდა, ალბათ უკვე გვიანი ღამეა, სამიკიტნო დაკეტილია და ყველას სძინავსო. აი, კარზე დააკაკუნებს და ნიკლსს ან გოვიკემს გააღვიძებს. გუინპლენი სასტუმროსკენ გაემართა. კი არ მირბოდა, მიქროდა როგორც კი შეეძლო.

სამიკიტნოს რომ მიაღწია, გაჩერდა, სული ძლივს მოითქვა. თუკი სასტიკი სულიერი განცდებისაგან ნაწამებ ადამიანს, რომელიც მთელი დაძაბულობით უწევს წინააღმდეგობას თავზე დამტყდარ უბედურებებს, რომელმაც ალარც კი იცის ცოცხლებში ითვლება ისევ თუ უკვე მკვდრებში წერია, და მაინც ძალა შესწევს მზრუნველობა და ყურადღება გამოიჩინოს მისთვის სასურველი არსებისადმი — ეს უეჭველი ნიშანია ჭეშმარიტებად კეთილშობილი, მოსიყვარულე გულისა. როდესაც ყველაფერს მორევი შთანთქავს, მაშინ ზედაპირზე მხოლოდ და მხოლოდ სათუთი გრძნობა ამოტივტივდება.

ტიეტიევდება. გუინპლენმაც პირველად ის გაიფიქრა: დეას ალბათ მშვიდად სძინავს და არ შეეაშინოო.

სახლს რომ მიუახლოვდა, ცდილობდა, რაც შეეძლო ნაკლები ხმაური გამოეწვია. მან იცოდა ის კუნჭული, სადაც გოვიკემი ათევდა ღამეს. ეს კუნჭული სამიკიტნოს ქვედა ოთახის კუთხეში იყო და მოედნისკენ პატარა სარკმელი ჰქონდა. გუინპლენმა ფრთხილად დააკაკუნა. მხოლოდ გოვიკემის გალვიძება იყო საჭირო. მაგრამ სენაკში ჩამიჩუმიც არ გაისმა. გუინპლენმა გაიფიქრა: „მოზარდია და ალბათ მაგრად სძინავსო“. მან კიდევ დააკაკუნა სარკმელზე. არაეითარი ხმაური.

მან კიდევ ორჯერ ზედიზედ მაგრად მიაკაკუნა. წინანდებურად არ დარღვეულა სიწყნარე. შეფიქრიანებულმა გუინპლენმა ახლა სასტუმროს კარზე დააკაკუნა.

ისევ დუმილი.

იგრძნო, რომ მთელ ტანში ჟრუანტელმა დაუარა, და გულში გაივლო: „ნიკლსი ბერიკაცია, და მძიმე ძილი სჩვევია, ბავშვებს ალბათ მაგრად სძინავთ და აბა რას გაიგებდნენ. მოდი ერთი, მაგრად დავაკაკუნოო“.

იგი აბრახუნებდა, მუშტებსა სცემდა, აბრახუნებდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა. მოაგონდა ვეიმუთი, როდესაც ჯერ ისევ პატარა ბიჭი იყო. ნამცეცა დეა ხელში ეჭირა და ღამით თავშესაფრის ძებნაში, იქ, არაერთი სახლის კარზე აკაკუნებდა.

ის ახლა როგორც ლორდი, მბრძანებლურად აკაკუნებდა; ის ხომ ახლა, საუბედუროდ, ლორდი იყო.

სახლში სამარისებური დუმილი გამეფებულიყო.

გუინპლენს მთლად აებნა თავგზა.

ახლა უკვე აღარ ფრთხილობდა და ეძახდა:

— ნიკლს! გოვიკემ!

მან ფანჯრებში შეიხედა, იქნებ სადმე სინათლე აინთოსო.

არავითარი მოძრაობა, არც ჩქამი, არც ხმა, არსაიდან მბჟუტავი სინათლეც არ გამოკრთა.

გუინპლენი ჭიშკართან მივიდა, მიარახუნა; გაშმაგებული ანჯღრევდა კარებს და იძახოდა:

— ურსუს! ჰომო!

მგელსაც არ შეუყეფია საპასუხოდ.

გუინპლენს შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა.

გარშემო მიმოიხედა, ბნელი ღამე იყო, მაგრამ ვარსკვლავები საკმაო შუქს აფენდნენ და ბაზრის მოედნის მოთვალიერება თავისუფლად შეიძლებოდა. მის თვალწინ შავბნელი სურათი გადაიშალა, — მოცარიელებული, გაშიშვლებული მიდამო. აღარც ერთი ბალაგანი არ დარჩენილიყო. არც ერთი კარავი. არავითარი ფიცარნაგები. არავითარი საზიდარი. აღარც ცირკი იყო. იქ, სადაც სულ ახლახან მოხეტიალე ხალხი ხმაურობდა და ფუსფუსებდა, ახლა ავბედითი, შავი სიცარიელე სუფევდა.

გონდაკარგულ გუინპლენს შეშფოთება დაეტყო. რას ნიშნავს ეს! რა მოხდა? განა აქ აღარავინ არის? განა მისი აქედან წასვლისთანავე დაინგრა მთელი მისი წინანდელი ცხოვრება? რა მოუვიდათ იმათ, ვინც აქ ცხოვრობდა? ოჰ, ღმერთო ჩემო!

იგი ხელახლა, როგორც გრიგალი, ისე მიაწყდა სასტუმროს; დაუწყო რახუნი გვერდითა კარს, ჭიშკარს, ფანჯრებს, დარაბებს, ურტყამდა მუშტებს, ფეხებს; ელდისა და მწუხარებისაგან ლამის ჭკუას კარგავდა. ეძახდა ნიკლსს, გოვიკემს, ფების, ვენუსს, ურსუსსა და ჰომოს. კედელთან იდგა და ამდენი ხმაურისაგან ძალა ეცლებოდა. აბრახუნებდა, როგორც კი შეეძლო; ხან შეჩერდებოდა და ყურს მიუგდებდა. სახლი დამუნჯებულიყო. იქ სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ხელახლა აბრახუნებდა და ყვიროდა თავგანწირვით. ირგვლივ ყველაფერი გუგუნებდა მისი დარტყმებისა და ძახილის გამო. ეს უფრო ქუხილის გრგვინვას ჰგავდა, რომელიც სამარისებური დუმილის დარღვევას ლამობდა.

ხანდახან შიშისაგან ადამიანი თვითონ ხდება საშინელი. ვისაც ყველაფერი აშინებს, მას უკვე აღარაფრისა ეშინია. ასეთ წუთებში ჩვენ შეგვიძლია სფინქსსაც კი ეკრათ წიხლი. ჩვენ ამოუცნობის შეურაცხყოფას არ ვერიდებით. გუინპლენი შეშლილივით გახელებულიყო. ხან შეჩერდებოდა, რომ სული მოეთქვა; ხან კი მისი შეუწყვეტელი ძახილი და კივილი აყრუებდა იქაურობას. მას თითქოს იერიში მიეჭრა ამ ტრაგიკულ დუმილზე.

გუინპლენმა ასჯერ მაინც დაუძახა იმათ, ვინც სახლში ეგულებოდა. ყველას ეძახდა, დეას გარდა; ეს იყო სიფრთხილე, თვითონ მისთვისვე შეუცნობელი. მაგრამ მაინც, მიუხედავად დაბნეულობისა, ინსტინქტურად კიდევ იცავდა ამ სიფრთხილეს.

რაკი დარწმუნდა, რომ ყვირილი და ძახილი ამაო იყო, გადაწყვიტა შიგნით შესულიყო. გოვიკემის სენაკში შუშა შეამტვრია და თან ხელიც გაიკანრა. მერე ხელი მოაფათურა, საკეტი გამოსწია და სარკმელი შეაღო. დაშნა ხელს უშლიდა, გაბრაზებულმა შუბრელი განყვიტა, ქამარი და ყველა ესენი დაშნიანად ქვაფენილზე გადმოისროლა. შემდეგ კედლის შვერილზე აფოფხდა, თუმცა სარკმლის ჩარჩო ვიწრო იყო, მაგრამ შეძერომა მაინც მოახერხა და იქიდან სასტუმროში შეეიდა.

სიბნელეში ძლივს გაარჩია გოვიკემის ლოგინი, ბიჭი ლოგინში არ იწვა, ცხადია, არც ნიკლსი იქნებოდა. მთელი სახლი წყვდიადით იყო მოცული. ამ მთლად სიბნელით მოცულ შენობაში სიცარიელის იდუმალება იგრძნობოდა, თან ის ავბედითი მყუდროება, რაც ნიშნავდა: „აქ არც ერთი სულიერი არ არისო“. შემკრთალი გუინპლენი ქვედა სართულის დარბაზში შეეიდა, მაგიდებს აწყდებოდა და ჭურჭელს იატაკზე ყრიდა. სკამებსა და კათხებს აყირავებდა. სკამებზე ზედ აბიჯებდა და როცა ეზოში გასასვლელ კარს მიადგა, ისე მაგრად ჰკრა მას მუხლი, რომ რაზა ამოაგდებინა. კარი თვითონვე გაიღო. გუინპლენმა ეზოში გაიხედა, „მწვანე ყუთი“ იქ აღარ იყო.

II

უკანასკნელი შედეგი

გუინპლენი სასტუმროდან ეზოში გაეიდა და ტარინზოფილდის ყველა მხარე მოათვალიერა. მან ყველაფერი, მთელი მოედანი მიიარ-მოიარა. წინადღეს აქ ფიცარნაგები და კარვები იდგა, ბალაგანები იყო გამართული, ახლა ამათგან ალარაფერი დარჩენილიყო. ის დუქნებში არახუნებდა, თუმცა უკვე კარგად იცოდა, რომ იქ არავინ იქნებოდა. ფანჯრებზე აბრახუნებდა, ყველა კარს აწვებოდა. არაკაცი არ გამოხმაურებია ამ სიბნელიდან: თითქოს იქ ყველაფერს სიკვდილი დაუფლებიაო.

ჭიანჭველების ბუდე დაეშალათ. ცხადი იყო, რომ პოლიციას მიელო ზომები. თითქოს ყაჩაღები დასცემოდნენ. ტარინზოფილდი არამცთუ დაცარიელებული, არამედ აკლებულ-განადგურებულიც იყო. მის ყოველ კუთხე-კუნჭულს ეტყობოდა ვიღაცის გააფთრებუ-

ლი ბრჭყალების კვალი. ამ უბადრუკი ბახრისთვის გადმოებრუნებინათ, ასე ეთქვათ, უკუღმა ამოებრუნებინათ ჯიბეები და მოეცარიელებინათ.

გუინპლენმა გულდასმით მოათვალიერა, მიიარ-მოიარა „მწვანე კაკობი“ და შემდეგ იმ გარეუბნის მიხვეულ-მოხვეული შუკების კენ შეუხვია, რომელსაც ისტ-პოინტი ეწოდება. აქედან თეშზისკენ გაეშართა.

შუკები რომ გაიარა, ორღობეებსა და ბოსტან-ბაღებს რომ გასცდა, იგრძნო, წყლის სიომ მოპბერა. მდინარის ტალღების ყრუ ჩქაფუნი მოესმა და უცბად ეფროქ-სთოუნის მოაჯირთან გაჩნდა.

მოაჯირი სანაპიროს ძალიან მოკლე და ეიწრო ნაწილზე იყო გავლებული. მოაჯირის ქვეშ მაღალი კედელი პირდაპირ ჩაბნელებულ წყალში ეშვებოდა.

გუინპლენი შეჩერდა, მოაჯირს დაეყრდნო, ორივე ხელი თავზე მიიჭირა, წყალს ზემოთ დაიხარა და ჩაფიქრდა.

რას დასცქეროდა? მდინარეს? არა. მაშ რას მისჩერებოდა? წყვდიადს. მაგრამ არა იმ წყვდიადს, რომელიც მის ირგვლივ იყო, არამედ იმას, რომელიც მის სულს ჩასწვდომოდა.

ღამის შემაღონებელ პეიზაჟში, რომელსაც გუინპლენი ვერ ამჩნევდა, სიბნელეში, სადაც მისი მზერა ვერ სწვდებოდა, შეიძლებოდა ადამიანს ანძებისა და ქანდარების სილუეტები გაერჩია. ეფროქ-სთოუნის ქვეშ არაფერი იყო, გარდა წყლისა, მაგრამ იქვე ახლოს, ქვევით, დინებისაკენ სანაპირო ეშვებოდა დამრეცად. მდინარეში რამდენიმე ხომალდი იდგა, ზოგი ახლახან მოსული და ზოგიც წასასვლელად გამზადებული. ისინი ხმელეთს პატარა ნავმისადგომით უკავშირდებოდნენ. ასეთი ნავმისადგომები ფიცრების ხიდურებისაგან იყო აშენებული. ზოგ ხომალდს ღუზა ჩაეშვა, ზოგიც ნავსაბმელზე ირხეოდა. ხომალდებზე არც მიდი-მოდიოდა ვინმე, არც ლაპარაკი ისმოდა. მატროსებს სანაქებო ჩვეულება აქვთ, — რაც შეიძლება დიდხანს სძინავთ და მხოლოდ სამუშაოდ დგებიან ხოლმე. თუნდაც რომელიმე ეს ხომალდი ღამით, მოქცევისას, გასასვლელი ყოფილიყო, იქ მაინც ყველას ეძინა. ბინდბუნდში ოდნავ ჩანდა ხომალდთა შავი, გაძობერილი ძარები და აღკაზმულობანი, თოკის კიბეები და სხვა სართავები. ყველაფერს ბურუსი გადაჰფენოდა. აქა-იქ ამ ბურუსიდან ფარნის წითელი შუქი გამოკრთოდა.

გუინპლენი ყურაღღებას აქცევდა. ერთადერთი, რასაც ის მისჩერებოდა, ეს იყო მისი პირადი ბედი.

დაბნეული მეოცნებე სანამდვილესთან პირისპირ შეჯახებისას ღრმა ფიქრებს მისცემოდა. ახე ეგონა თითქოს ზურგს უკნიდან რაღაც ზრიალი მოესმოდა, რალაც მაწისქვრის გუგუნის მსგავსი. ეს იყო ლორდების დამცინავი ხარხარი.

ის ახლახან გამოეცალა ამ ხარხარს; სილა გააწნეს და გამოეცალა.

ვინ გააწნა სილა?

ღვიძლმა ძმამ.

ხარხარს რომ გამოსცილდა, სილის გარტყმით დარეტიანებული თავის ბუდეში შესაფარებლად ისე გაეშურა, როგორც დაჭრილი ფრინველი. სიძულვილს თავი იმ იმედით გაარიდა, რომ სიყვარული შეეგებებოდა, მაგრამ რა დაუხვდა?

წყედიადი.

არც ერთი სულიერი.

ყველაფერი გამქრალიყო.

ამ წყედიადს იგი თავის ოცნებებს ადარებდა.

ყოველივე, ყოველივე, ჩაინთქა!

გუინპლენი ავბედითი ჯურღმულის ზედ ნაპირს მიადგა. პირგაღებულ სიცარიელესთან მივიდა.

„მწვანე ყუთი“ გაქრა, და ეს ქვეყნის გადატრიალებას უდრიდა. თითქოს მის ზევით კუბოს თავი დახურესო.

ფიქრებს მისცა თავი.

რა უნდა მომხდარიყო? სად არიან ისინი? როგორც ჩანს, ყველანი სადღაც გარეკეს. ბედისწერის იმავე დარტყმამ, რომელმაც ის მწვერვალზე ასტყორცნა, გააცამტვერა მისი ახლობელი ადამიანები. ცხადი იყო, რომ ის მათ ველარასოდეს ნახავდა. ჩანს, საამისოდ საჭირო ზომები მიეღოთ. დაწყებული ნიკლსიდან და გოვიკემდან, უცბად მოეშორებინათ ყველანი, ვინც კი ბაზრის მოედანზე იყო დაბინავებული, რომ მას, გუინპლენს, ვერავისაგან ვერაფერი გაეგო.

ისინი აქედან ულმობელი ხელით მოაცილა იმავე მრისხანე საზოგადოების ძალამ, რომლის მსხვერპლიც იგი ლორდთა პალატაში გახდა. იმავე ძალამ ურსუსი და დეა გაანადგურა, მოსპო მათიც უბადრუკ თავშესაფარში.

ისინი დაიღუპნენ; დეა დაიღუპა; ყოველ შემთხვევაში, მისთვის უკვე დაღუპულია სამუდამოდ. ოჰ, ცოურნო ძალნო, სად არის დეა! ის ვერ მფარველობდა დეას და ვინ გადაარჩენდა ხიფათს, ვინ დაიცავდა დაღუპვისაგან?

იფიქრო იმათზე, ვინც გიყვარს და ვისაც ველარ ხედავ, ეს ხომ საკუთარი თავის წამებაა. და გუინპლენიც ამ წამებას განიცდიდა. რასაც უნდა მისწვდომოდა იგი ფიქრით, რა მოსაზრებაც უნდა მოსვლოდა თავში, ყველაფერი გულს სტკენდა სასტიკად და იგი გმინავდა.

ამ მტანჯველი ფიქრების ქარიშხალში გონების თვალწინ უცბად წამოეჭრა მოგონება იმ საბედისწერო კაცზე, რომელმაც თავის თავს ბარკილფედრო უწოდა.

გუინპლენის შემეცნებაში აღიბეჭდა ბარკილფედროს საიდუმლოებით მოცული სიტყვები, რომელნიც მხოლოდ ამ წუთს ამოტივტივდნენ მის მეხსიერებაში. ეს ამოსაცნობი სიტყვები ისეთი საზარელი მელნით იყო ნაწერი, რომ ახლა ისინი ცეცხლივით გიზგიზებდნენ გუინპლენის თვალწინ, პრიალებდა თითოეული ასო და უკვე გასაგებიც გახდა მისთვის:

„ბედისწერა არასოდეს გაუხსნის ერთ კარს ადამიანს, რომ მეორე არ მიუხუროსო“.

ყველაფერი გათავებული იყო. უკანასკნელი შავი ღრუბლები გულს მძიმედ დააწვა.

ყოველი ადამიანის სიცოცხლეში არის ხოლმე წუთი, როდესაც მისთვის თითქოს მთელი ქვეყანა ინგრევა. ასეთ მდგომარეობას სასოწარკვეთილება ჰქვია. ადამიანის სული ამ წუთებში ისეთი განცდითაა აღსავსე, თითქოს ცაში ვარსკვლავები ქრებიანო.

გუინპლენს თითქოს შავი კვამლის ღრუბლები შემოეხვივნენ გარს და შთანთქეს იგი; მძიმე ნისლივით დააწვნენ წამწამებზე, ტვინამდე ჩააღწიეს, დააბრმავეს და დაარეტიანეს იგი. ასეთი მდგომარეობა კვამლის გაბნევამდე გაგრძელდა, შემდეგ ყველაფერი გაქრა, დადნა. კვამლ-ნისლთან ერთად დადნა და მისი ცხოვრებაც გაიბნა. საზარელი სიზმრიდან რომ გამოერკვა, იგი მარტოდმარტო დარჩენილი აღმოჩნდა.

ყოველივე გაქრა, წავიდა.

ყველაფერი დაიღუპა. ღამე, არარსებობა — აი, რა გამეფებულიყო მის ირგვლივ.

გუინპლენი მარტოდმარტო იყო.

მარტოობის სინონიმი სიკვდილია.

სასოწარკვეთილება დიდებული გამომთველელია; იგი ყველაფერს მოუძებნის შედეგს. მის საზომს ვერაფერი გაექცევა. ის ყველაფერს მიითვლის, სანტიმსაც არ დაკარგავს. ის მეხის გავარდნაშიც და ქინძისთავის ჩხვლეტაშიც ღმერთს სთხოვს ანგარიშს. მას უნდა ყველაფერი იცოდეს, თუ რა არის მოსალოდნელი ბედისწერისაგან. იგი ყველაფერს ყურად იღებს, აწონ-დაწონის და გამოიანგარიშებს.

საზარელია გარეგანი სიცივე, რომლის წიაღში ცეცხლოვანი ლავა თუხთუხებს.

გუინპლენმა თავის სულში ჩაიხედა და თავის ბედსაც პირდაპირ თვალებში ჩახედა.

უკან მიხედვით ადამიანს საშინელი დასკვნები გამოაქვს.

მთის მწვერვალზე ყოფნისას ჩვენ ჯურღმულში ვიცქირებით, უფსკრულში ჩავარდნილები ცაში ცქერითა ვტკბებით.

და ჩვენს გუნებაში ვამბობთ: „მე ხომ იქ ვიყავიო“.

გუინპლენმა მთელი სიღრმე შეიცნო ამ თავისი უბედურებისა. თან რა სწრაფად მოხდა ყველაფერი! ისე უცბად დაატყდა უბედურება, თითქოს თავზე დაათოვაო, თუმცა ეს უბედურება იმდენად მძიმე იყო, რომ ასე სწრაფად თუ მოხდებოდა ყველაფერი, კაცი ვერ წარმოიდგენდა. თითქოს თოვლის სიცივეს მისთვის ზამთრისებური თოში უნდა ეგრძნობინებინა, თოვლის სითეთრეს — კი სუდარის უძრაობა, მაგრამ ისინი ზავის გავარვარებულმა, სწრაფმა დინებამ შეცვალა.

ზავი — ეს თოვლია გავარვარებულ ღუმლად ქცეული. თითქოს გათოშილი რჩება, მაგრამ მაინც ყველაფრის შთანმთქმელია: ამ ზავემა თან წარიტაცა გუინპლენი, მოწყვიტა, როგორც ძონძმანძი, ძირფესვიანად ამოგლიჯა, როგორც ხე, გადაისროლა, როგორც ქვა.

გუინპლენმა გაიხსენა ყველა გარემოება თავისი დაცემისა. თვითონ ეკითხებოდა თავის თავს და თვითონვე იძლეოდა პასუხს. ტანჯვა-წამება იგივე დაკითხვაა. არც ერთი მოსამართლე ისეთი

ინტერესით არ დაჰკითხავს ბრალდებულს, როგორც ჩვენ ჩვენი საკუთარი სინდისი დაგვკითხავს ხოლმე.

რა ზომამდე აღწევდა გუინპლენის სასოწარკვეთილება, მისივე სინდისის ქენჯნით გამოწვეული?

მან მოისურვა ამაზე პასუხი მიეცა თავისი თავისთვის და ანატომის მსგავსად აეხადა სულის საიდუმლო კუნჭულები. მეტად მტანჯველი ოპერაციაა.

მისმა აქ არყოფნამ კატასტროფა მოახდინა! მაგრამ განა ეს მასზე იყო დამოკიდებული? განა ის თავისი ნებით მოქმედებდა? არა. ამ ხნის მანძილზე თავის თავს დატყვევებულად გრძნობდა... მაშ რა აბრკოლებდა და აჩერებდა მას? საპატიმრო? არა. ბორკილები? არა. მაშ, რა? წებოვანი კუპრი. იგი საკუთარ განდიდებაში ჩაიფლო.

ვინ არ ყოფილა მოჩვენებით, გარეგნულად თავისუფალი, მაგრამ სინამდვილეში კი უგრძნია, რომ ფრთები აქვს შეკვეცილი!

გუინპლენიც გრძნობდა, რომ იგი თითქოს დაგებულ მახეში გაება. ის, რაც დასაწყისში ცდუნება იყო, ბოლოს და ბოლოს მისთვის ტყვეობად იქცა.

სინდისი მოსვენებას არ აძლევდა. განა ის მხოლოდ გარემოებას დაემორჩილა? არა. მან სიამოვნებით მიიღო ის, რასაც ბედი სთავაზობდა.

მართალია, მას ძალაც დაატანეს; უცბად, მოულოდნელად დაესხნენ თავს, მაგრამ თვითონაც, თავის მხრივ, არ გაუწევია წინააღმდეგობა. ძალით რომ წაიყვანეს, ამაში დანაშაული არ მიუძღოდა, მაგრამ სისუსტე მაშინ გამოიჩინა, როცა გააბრუეს და გააბრიყვეს. გადამწყვეტ წუთს ხომ შეეკითხნენ: ბარკილფედრომ წინადადება მისცა ერთ-ერთი გზა აერჩია და მას სრულიად თავისუფლად შეეძლო მხოლოდ ერთი სიტყვით გადაეწყვიტა თავისი ბედი.

გუინპლენს შეეძლო ეთქვა „არა“. თქვა „კი“.

ეს თანხმობა სრული დაბნეულობის მდგომარეობაში გამოითქვა და მას ყველა შემდგომი მოვლენა მოჰყვა თან. გუინპლენი ამას გრძნობდა. ამ წუთის გახსენებამ შხამითა და სიმწრით აუვსო გული. გუინპლენი მაინც ცდილობდა თავი გაემართლებინა საკუთარი თავის წინაშე. ნუთუ მან დანაშაული ჩაიდინა, როდესაც თავისი უფლებები აღიდგინა, თავისი მამაპაპური მემკვიდრეობა მიიღო? როცა თავის სახლში შევიდა და როგორც შთამომავლობით

წარჩინებულმა, ანუ დიდებულმა, ის საპატიო ადგილი დაიკავა, მის წინაპრებს რომ ეკუთვნოდათ და როგორც ობოლმა, თავისი მამის სახელი მიიღო? განა რაზე დათანხმდა? თავისი უფლებების აღდგენაზე. ვისი დახმარებით? განგების დახმარებით.

მაგრამ ამის გაფიქრებაზეც კი აღშფოთება იპყრობდა. რა სისულელე ჩაიდინა, რომ თანხმობა განაცხადა! რა უღირს მორიგებაზე დათანხმდა. რა შეუსაბამო გაცვლა-გამოცვლაა! ამ მორიგებამ იგი გააუბედურა. როგორ! ორი მილიონი შემოსავლისთვის წელიწადში, შვიდი-რვა ადგილ-მამულისათვის, ათი-თორმეტი სახახლისათვის, სატახტო ქალაქში რამდენიმე სახლისა და სოფლად ციხე-დარბაზებისათვის, ასეული ლაქიისათვის, ძალლებით ნადირობისათვის, დახურული ეტლებისა და გერბებისათვის, მოსამართლედ ყოფნისა და კანონმდებლად ყოფნის უფლებისათვის! მეფესავით გვირგვინისა და ძოწეული პოდირის ტარების პატივისათვის! ინგლისის ბარონის, მარკიზისა და პერის ტიტულისათვის! — ყველა ამისათვის უარყო მან ურსუსის ბალაგანი და დეას ღიმილი? ცხოვრების ყოვლისჩამნთქმელი მორევისათვის მან ნამდვილი ბედნიერება დათმო! ოკეანეში მარგალიტი გაცვალა! ო, უგუნურო! ო, სულელო! ო, ჩერჩეტო!

მაგრამ ეს სინანულიც კმაროდა, რადგან ყოველივე თავბრუდამხვევი ნაბიჯი მას პატივმოყვარეობამ გადაადგმევინა მხოლოდ! იქნებ მისთვის შემოთავაზებულ ყოველ სიკეთეზე რომ უარი ეთქვა, ეს უფრო ეგოისტური ყოფილიყო. იქნებ მოვალეობის გრძნობა ამოქმედებდა, როდესაც დათანხმდა მიეღო ისინი; რა უნდა მოემოქმედა, როდესაც ისე უცბად გადაიქცა ლორდად. მოვლენათა რთული ორომტრიალი ყველას თავგზას აუბნევს. ასე დაემართა გუინპლენსაც. იგი დაიბნა, როდესაც ყოველი მხრიდან ურიცხვი, მრავალნაირი ურთიერთსაწინააღმდეგო მოვალეობანი დაატყდა თავს. სწორედ დაბნეულობამ შებოჭა და მორჩილი გახადა. მორჩილი თუნდაც იმაში, რომ აიძულეს ნებას დაჰყოლოდა. კორლეონ-ლოჯიდან ლორდთა პალატაში წაეყვანათ.

ის, რასაც ცხოვრებაში „აღზევებას“ უწოდებენ, მოსვენებული ცხოვრებიდან მოუსვენრობით სავსე გზაზე გადასვლაა მხოლოდ. მაშ რომელია სწორი გზა? რაში მდგომარეობს ჩვენი უმთავრესი მოვალეობა? ჩვენთვის მახლობელ ადამიანებზე ზრუნვაში? იქნებ

საჭიროა მივატოვოთ ჩვენი პირადი პატარა ოჯახი, დიდი ოჯახისთვის — კაცობრიობისათვის? ადამიანი, მწვერვალებისაკენ რომ მიდის, გრძნობს, მის სინდისს სულ უფრო მეტი ტვირთი აწვება. რაც უფრო მაღლა იწევს ადამიანი, მით უფრო მატულობს მისი მოვალეობა გარემოს მიმართ. უფლებების გაფართოებას თან სდევს მოვალეობის გაზრდაც. აქ მაცდუნებელი ილუზია იჩენს თავს, თითქოს ჩვენს წინაშე ერთდროულად გადაიშალა რამდენიმე გზა და თითოეულ ამ გზაზე გვითითებს ჩვენი სინდისი. რომელ გზას დავადგეთ? გვერდზე გადავუხვიოთ? შევჩერდეთ? პირდაპირ წინ წავიდეთ თუ უკუვდგეთ? რა ვქნათ? რამდენადმე უცნაურია, მაგრამ მოვალეობასაც თავისი გზაჯვარედინები აქვს, ხოლო პასუხისმგებლობა ხანდახან შეიძლება ლაბირინთიც იყოს.

მართლაცდა, როდესაც ადამიანი გულში მრისხანე იდეას ატრიალებს, როდესაც იგი განსაზღვრულ სოციალურ მოვლენას ახორციელებს, — განა მაშინ პასუხისმგებლობა არ იზრდება? აი, რით აიხსნება ის შეგნებული მორჩილებაცა და უსიტყვო წუხილიც. აი, რის გამო დათანხმდა იგი მონაწილეობა მიეღო სხდომაზე ლორდთა პალატაში.

ადამიანი, რომელიც ბევრს ფიქრობს, ხშირად უმოქმედო ხდება. გუინპლენს ეგონა, მოვალეობის ხმას დავემორჩილეო. მისი შესვლა პალატაში, სადაც შეიძლებოდა ჩაგრული ხალხისთვის ებრძოლა, განა არ იყო განხორციელება მისივე ერთ-ერთი იდუმალი ზმანებისა? განა შეეძლო უარი ეთქვა, როდესაც ხმის უფლება მისცეს? მას, რომელიც გასაოცარი ნიშუშია საზოგადოებრივი წყობილების სიმახინჯისა. მას, თვალსაჩინო მსხვერპლს ძალადობა-თვითნებობისა; იმ ძალადობისა, რომლის უღელქვეშ აი უკვე ექვსი ათასი წელია გმინავს ადამიანთა მოდგმა. ჰქონდა კი მას უფლება თავი აერიდებინა ციდან ზეგარდმოსული ცეცხლის ენისათვის?

რას ეუბნებოდა თავის თავს გუინპლენი, როდესაც გამძვინვარებული კამათი ჰქონდა საკუთარ სინდისთან?

იგი ამას ეუბნებოდა: „ხალხი უსიტყვოა. მე ვიქნები მოუღალავი მაუწყებელი ამ უსიტყვოთა მაგიერ. მე ვილაპარაკებ დამუნჯებულთა პირით. მე ვუამბობ დიდებულთ დამცირებულთა შესახებ. ამაშია ჩემი ცხოვრების აზრი. უფალმა იცის, რაც უნდა და ახორციელებს კიდევაც თავის განზრახვას. რა თქმა უნდა, უცნაურია, რომ ჰარ-

დკვანონეს მათარა, რომელშიც ყოველივე აუცილებელი ინახებოდა და საიმისოდ, რომ გუინპლენი ლორდ კლენჩარლად ქცეულიყო, თხუთმეტი წელიწადი ტივტივებდა ზღვაზე და ვერც მძვინვარე ტალღებმა, ვერც მეჩეჩმა, ვერც გრიგალმა ვერაფითარი ზიანი ვერ მიაყენეს. მე მესმის რატომ მოხდა ასე. არის ცხოვრებაში ადამიანის ისეთი წილ-ხვედრი, რომელიც საუკუნოდ საიდუმლოდ რჩება; ხოლო მე ჩემი ბედისწერის საიდუმლოება ამოცნობილი მაქვს და ჩემთვის საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს. მე მაქვს დანიშნულება ცხოვრებაში. ვალად მაძევს დიდი მისია. ღარიბ-ღატაკთა ლორდი ვიქნები. ვილაპარაკებ ყველა იმათ მაგიერ, ვინც დუმს და სასოწარკვეთილებას მისცემია. მე განვმარტავ მათ დაუკავშირებელ სიტყვებს. მე განვმარტავ საყვედურებს, გმინვას, გაურკვეველ გუგუნს ხალხთა ბრბოებისას; გაურკვეველ ჩივილებს; მათ ულონო ხმებსაც და გამხეცებულ კივილსაც, რაც კი ტანჯვასა და უმეცრებას ამოუხეთქავს ადამიანის გულიდან. ტანჯვისაგან გულიდან ამოხეთქილი ღმუილი ისეთივე გაურკვეველია, როგორიც ქარის ღრიალი. ადამიანები ყვირიან, მაგრამ სიტყვით ვერ გამოუთქვამთ. არავის ესმის მათი ღაღადი, ვინაიდან ღაღადი იგივე დუმილია. ხოლო დუმილი უსაშველობის ნიშანია. ხალხი განიარაღებულია ძალდატანებით და ის მშვილელებს მოუხმობს. მე ვიქნები მათი მშვილელი და მჩაგვრელთა მამხილებელი, მე ვიქნები ხმა ერისა. ჩემი მეოხებით ყველაფერი გასაგები გახდება. მე ვიქნები ის სისხლით მოსერილი ბაგე, რომელსაც სალბუნი მოეხსნა. მე ვიტყვი ყოველივეს. ეს დიდებული საქმე იქნება".

დიახ, დამუნჯებულთა მაგივრად ლაპარაკი საუცხოოა, მაგრამ ლაპარაკი ყრუთა მიმართ მძიმე ტვირთია. — ეს იყო მეორე ნაწილი გუინპლენის თავგადასავლისა.

ეჰ, მან მარცხი განიცადა.

გამოუსწორებელი მარცხი.

უეცარი აღზევება, რომელიც მან ირწმუნა, გარეგანი ბედნიერება, ბრწყინვალე მომავალი ოდნავი შეხებისთანავე დაემხო.

რა წარმოუდგენელი დაცემაა! გახელებული სიცილის ზღვამ დაგძიროს!

მას ხომ თავისი თავი უძლეველი ეგონა. რამდენ წელიწადს დააქანებდა ეს ქარიშხალი ადამიანთა უსაზღვრო ტანჯვა-წამების

ზღვაზე, იგი ისეთი გაფაციცებით უსმენდა ცხოვრების ზღვის ტალღათა გრგვინვას და ამ წყვდიადში რაოდენი მწუხარე ღაღადისი მოესმოდა.

და აჰა, მისი იმედები დაეშხო, მისი ცხოვრების ნავი წყალქვეშ უზარმაზარ კლდეს დაეჯახა. ეს კლდე ბედით განებივრებულთა თავქარიანობა იყო. იგი ფიქრობდა, შურს ვიძიებო, მაგრამ მასხარა გახადეს. ეგონა მეხს დავატეხო, მაგრამ მხოლოდ წაულიტინა მოწინააღმდეგეს. იმის მაგიერ, რომ ღრმა შთაბეჭდილება მოეხდინა, მხოლოდ დაცინვა გამოიწვია. ის ქვითინებდა და პასუხად ხარხარი ატეხეს. ის ამ სიცილის მორევმა შთანთქა. შავბნელი დამარცხებაა.

რას დასცინოდნენ? მის სიცილს.

მაშ ასე, საზიზღარი ძალმომრეობა, რომლის კვალი მის პირისახეზე სამუდამოდ იყო აღბეჭდილი, დასახიჩრება, რომლის გამოც მისი სახე მუდმივ მხიარულებას გამოხატავდა, სიცილის დამღა, რომელიც თავისში ჩაგრულთა ტანჯვას ფარავდა: ტანჯვა-წამების შედეგად მოცემული გასართობი ნიღაბი, მანჭვა, რამაც სახის ნაკვთები დაუმახინჯა, ნაჭდევები, რომლებიც აღნიშნავდნენ — „მეფის ბრძანებითო," მეფის ხელისუფლების მიერ მთელ ხალხზე ჩადენილი ბოროტმოქმედების ეს ნიუთიერად დამამტკიცებელი საბუთი, — აი, რამ გაიმარჯვა მასზე. აი, რამ დაამარცხა იგი. ის, რასაც ჯალათი უნდა გაეშტყუნებინა, მსხვერპლის განაჩენი შეიქნა. რა გაუგონარი უსამართლობაა, მეფის უსამართლობამ მაშა დაღუპა და ახლა შვილსაც ღუპავდა. ოდესღაც ჩადენილი ბოროტმოქმედება ახლა საბაბი ხდებოდა ახლი ბოროტებისა. ვის მიმართ აღშფოთდნენ ლორდები? მტანჯველის, ბოროტმოქმედის მიმართ? არა. თვით მეფის ბოროტი დანაშაულის მსხვერპლის მიმართ.

ცალ მხარეს მეფის ტახტია, მეორე მხარეს — ხალხი. აქ იაკობ მეორეა, იქ გუინპლენი. პირისპირ წაყენება ნათლად ამხელდა ხელყოფასა და დანაშაულს.

რაში გამოიხატა ხელყოფა? მან, გუინპლენმა, რომ გაბედა და ამხილა? რაში გამოიხატა დანაშაული? რომ მან გაბედა და თქვა, რა ტანჯვაც გადაიტანა. დავ, სიღატაკე იმალებოდეს და დუმდეს, თუ არა და იგი დამნაშავე იქნება. როგორც მისი აღმატებულების შეურაცხმყოფელი. ბუნებითვე იყვნენ ავები ისინი, ვინც გუინპლენი მასხრად აიგდო? არა. მაგრამ მათაც აიძულებდათ ბედისწერა,

მდიდრებისა და ბედნიერთა თანდაყოლილი სიმკაცრე: ისინი თავისდა უნებურად, თავისდა შეუცნობლად იყვნენ ჯალათები. ისინი მხიარულ გუნებაზე იყვნენ სულ უბრალოდ, — მათ გუინპლენი ზედმეტად მიიჩნიეს. მათ თვალწინ ადამიანმა მკერდი გაიპო, გულღვიძლი ამოიგლიჯა, დაანახა მათ თავისი იარები, ხოლო ისინი მას შესძახოდნენ: ილაქლაქე, გაგვაცინე, კომედიანტო. ყველაზე საშინელი კიდევ ის იყო, რომ თვითონაც იცინოდა. საშინელი ჯაჭვები ბორკავდნენ მის სულსა და არ აძლევდნენ საშუალებას მისი აზრები პირისახეზე გამოხატულიყო. ამ ძალდატანებითი სიცილის გამო მთელი მისი არსება დამახინჯებულ-გაუკუღმართებული იყო. მაშინ, როდესაც მის სულსა და გულში მრისხანება გამეფებულიყო, მისი სახის ნაკვთები ამის საწინააღმდეგოდ სიცილს გამოხატავდნენ. ყველაფერი გათავდა.

იგი, კაცი, რომელიც იცინის — კარიატიდაა* ქვეყნისა, რომელიც ცრემლად იცლება. ის ნიღაბია, სისხლში გაქვავებული. მას ტვირთად აწევს აურაცხელ უბედურებათა სიმძიმე, განწირულია მუდამ სიცილ-ხარხარსა და დაცინვას იწვევდეს, ყველასთვის გასართობ-გასამხიარულებელი საგანი იყოს ყველა დაჩაგრულთან ერთად, რომელთა განსახიერებასაც წარმოადგენდა, ისიც მათთან საშინელ ხვედრს ინაწილებდა; ხვედრს სასოწარკვეთილებისას, რომელიც არ უნდათ დაინახონ და ირწმუნონ. მის ტანჯვა-წამებას დასცინოდნენ. ის იყო საზარელი მასხარა, რომელიც აუტანელ ტანჯვას წარმოეშვა. იგი თითქოს იმ კატორღიდან გამოქცეულიყო, სადაც ღვთისგან დავიწყებული ადამიანები იტანჯებოდნენ. ის იყო მაწანწალა, მდაბიო ხალხიდან ზე ამოტივტივებული; ბრბოდან წამოჭრილი და მფლობელის ტახტის კვარცხლბეკამდე ამაღლებული, რჩეულთა ხომალდთან გათანასწორებული; ის ახლა ისეთი მასხარა-კომედიანტია, რომელიც დიდკაცობას ართობს; და ეს იმის შემდეგ, როდესაც ჯერ იგი საბრალოთ ართობდა და ამხიარულებდა! მთელი მისი დიდსულოვნება, მთელი ენთუზიაზმი, მჭევრმეტყველება, — მისი სული და გული, მრისხანება, გაშმაგება, სიყვარული, ენით გამოუთქმელი მწუხარება — ყოველივე ეს მხოლოდ სიცილის გამომწვევი გახდა. მართლაცდა გუინპლენი რწმუნდებოდა ამაში, მან ეს უკვე უთხრა ლორდებს, რომ ეს გამონაკლისი კი არა, არამედ ჩვეულებრივი, ყოველდღიური ფაქტი იყო, იმდენად გავრცელებუ-

ლი და დაკავშირებული ყოველდღიურ ცხოვრებასთან, რომ ასეთ მოვლენას შეუმჩნეველად ტოვებდა ყველა.

ვინც შიშველით კვდება, ისიც კი იცინის, მათხოვარიც იცინის, კატორღელიც, მეძავიც იცინის, ობოლიც იცინის, რომ ამით ლუკმაპური იშოვოს, იცინის მონაც, ჯარისკაციც, იცინის მთელი ხალხი. ადამიანთა საზოგადოება იმგვარად არის მოწყობილი, რომ ყველა მისი უბედურებანი, კატასტროფები, ყველა ავადმყოფობანი და იარები, ყველა სულიერი ციებ-ცხელება აქ, ამ ხახადაფჩენილ უფსკრულს ზემოდან სიცილის შეშხარავი მანჭვით სრულდება ხოლმე; და ამ მანჭვის განსახიერებას ხომ თვითონ ის წარმოადგენდა!

ციურმა ნებამ, ჩვენი მიმართულების მომცემმა, ამოუცნობმა ძალამ ინება და მოისურვა, რომ თვალისთვის დასანახი აჩრდილი, ხორცშესხმული ლანდი გამხდარიყო, გამხდარიყო სრული გამოხატულება იმ საზარელი პაროდიისა, რასაც ჩვენ ქვეყნიერებას ვუწოდებთ. აი ამ ლანდად ქცეულიყო გუინპლენი.

ბედისწერა ულმობელია.

გუინპლენი ღაღადებდა: „შეიბრალეთ ტანჯულნიო“, მაგრამ ამაო იყო ეს მოწოდება!

მას უნდოდა სიბრალული გამოეწვია და ზიზღი გამოიწვია. ლანდის გამოჩენამ ოდენ ეს გრძნობა გააღვივა.

მაგრამ ლანდად ყოფილი ის ხომ ამავე დროს ადამიანიც იყო! ეს კი მეტად მტანჯველი გართულებაა. მოჩვენებას ადამიანის სული ედგა. იგი უფრო მეტად იყო ადამიანური თვისებისა, ვიდრე სხვა ვინმე. მისი ორმაგი ბედი თავისში ახორციელებდა კაცობრიობის ყველა დამახინჯებულ თვისებას. მთელი კაცობრიობის გამომხატველად მოვლენილი, იგი მაინც მის გარეშე, — კაცობრიობის გარეშე იდგა.

თვითონ მის არსებაში დაფარული იყო რაღაცნაირი, გადაულახავი წინააღმდეგობა, ვინ იყო იგი? უწყალხვედრო მოხეტიალე? არა, ის ხომ ლორდი ყოფილა. ვინ არის ახლა იგი? ლორდი? არა, ის ხომ მეამბოხე იყო. ის იყო მეჩირაღდნე, სინათლის მატარებელი და საერთო სიმშვიდის მრისხანე დამრღვევი. მართალია, ის სატანა არ გახლდათ, მაგრამ ლუციფერი კი იყო. იგი, როგორც ავბედითი მოჩვენება, ხელში ჩირაღდნით გამოცხადდა.

ვისთვის იყო იგი ავბედითი? ავბედითებისათვის. ვისთვის იყო

ბლად კარების მაგივრობასაც სწევდა. ცხენების სადავეები კოფოზე მჯდომ მოხუცს ეჭირა. მის გვერდით ორი ბოშა ქალი იჯდა. ისანი ქალღმერთებად მოკაზმულნი ღორღოტოს უკრავდნენ. მოქალაქენი პირდაღებულნი უცქერდნენ ამ მოხრდილ ქოხურას, რომელიც თავმომწონედ აქეთ-იქით ქანაობდა, მიგოგმანობდა მაღალ თვლებზე შემდგარი. მასზე მითქმა-მოთქმაც გაბშირდა მაყურებელთა შორის.

ურსუსის წინანდელი კარავი — ბალაგანი ახლა უკეთეს ნაგებობას შეეცვალა, სწორედ ნამდვილ თეატრად ქცეულიყო. ამ მოხაზულე თეატრ-სახლაკის ქვეშ, საგორავებს შუა, ჯაჭვით დაბმული იყო რაღაც, არცთუ ძაღლი, არცთუ მგელი. ეს პომო იყო.

მოხუცი მეეტლე, ცხენების გამრეკი ვინ იქნებოდა, თუ არა ჩვენი ფილოსოფოსი.

რამ გამოიწვია უბადრუკი ურიკის შეცვლა ასეთი ოლიმპიური ეტლით?

გუინპლენის სახელგანთქმულობამ.

ურსუსმა ნამდვილად ალღო აუღო იმას, რასაც ხალხში წარმატებას უძახიან, როდესაც მან გუინპლენს უთხრა:

— შენს სიმდიდრეზე უზრუნიათო.

როგორც მკითხველს ახსოვს, ურსუსმა გუინპლენი თავის მოწაფედ გაიხადა. უცნობმა ადამიანებმა ბავშვის სახე ხელახლა ჩამოაყალიბეს; ხოლო ურსუსი ეცადა მისი გონებაც ცხადად ჩამოეყალიბებინა; ეცადა ესოდენი წარმატებით გამოჭრილი ნიღბის მიღმა მოეთავსებინა რაც შეიძლება მეტი აზრების მარაგი. ურსუსმა როგორც კი შეატყო მოხრდილ ბიჭუნას, კომედიანტის როლში გამომადგებაო, გამოიყვანა კიდეცაც სცენაზე. ესე იგი, თავისი ბალაგანის დერეფნის ფიცარნაგზე. გუინპლენის გამოსვლამ არაჩვეულებრივი გავლენა მოახდინა. მაყურებელნი უმალვე აღტაცებაში მოვიდნენ. ჯერ არავის არასდროს ენახა ამ საოცარი სიცილის ნიღბის მსგავსი რამ. არავინ იცოდა, რა საშუალებით მოეხდინათ ასეთი სასწაული.

ზოგნი ამ სიცილს, რომელიც ესოდენ გადამდები იყო მაცქერალისათვის, ბუნებრივად მიიჩნევდნენ, ზოგს კი ხელოვნურად მიაჩნდა. სინამდვილეს სხვადასხვა დასკვნა და ეჭვი შეეზარდა და ყველგან, გზაჯვარედინებსა თუ მოედნებზე, ბაზრებზე თუ სადღესასწაულო სეირნობებზე ხალხი მიისწრაფოდა გუინპლენის სანახავად. ასეთი

დასცინეს ერთ კაცში თავმოყრილ ადამიანთა ტანჯვას კასტაში თავმოყრილი ქედმაღლობისა და სიამაყის წინაშე.

ბრალდება უსარგებლოა; საკმარისია ფაქტი დადგინდეს და ფიქრებში წასული გუინპლენი ამ, მისთვის ტრაგიკულ წუთებში მიხვდა, რომ მისი ცდა უსარგებლო გამოდგა. მიხვდა, რომ დიდებულთა წარმომადგენელნი ყრუნი არიან, უპირატესობით აღჭურვილნი ყურს იყრუებენ უწილკერძოთა ღაღადის მიმართ. განა ეს მათი ბრალია? არა. საშწუხაროდ, ეს მათი კანონია. უნდა მივუტევოთ, რადგან უბედურთა ხმამ მათი გული რომ მოალბოს, მაშინ მათ თავიანთ პრივილეგიებზე უარი უნდა თქვან. პრინცებისა და დიდკაცებისგან კარგს არას უნდა მოელოდეს კაცი. ის, ვინც ყველაფრით კმაყოფილია, — შეუბრალებელია. მაძღარი მშიერს ვერ გაუგებს. ბედით განებივრებულთ ყურები ბამბით აქვთ დაცული, ისინი უბედურთაგან გამიჯნულან. მათი სამოთხის ზღურბლზე, ისევე როგორც ჯოჯოხეთის კარზე, უნდა ეწეროს: „იმედი სამუდამოდ გადაიწყვიტე“*.

გუინპლენს ისინი ისე შეხვდნენ, როგორც მოჩვენებას შეხვდებოდნენ ღმერთების საბრძანებელში.

ამის გახსენებაზე გუინპლენის სულს მთლად აღშფოთება იპყრობდა. არა, ის მოჩვენება არ იყო, ის ადამიანი იყო. ის ხომ მათ ეუბნებოდა, უყვიროდა, მე ადამიანი ვარო.

არა, ის მოჩვენება არ იყო. ის ხორცშესხმული ადამიანი გახლდათ, მთრთოლარე გულითა და საღი გონებით. მას ტვინი ჰქონდა და ეს ტვინი აზროვნებდა. მას გული ჰქონდა და ეს გული მოსიყვარულე იყო. მას სული ჰქონდა და ეს სული იმედებით სავსე იყო. სწორედ იმაში მდგომარეობდა მისი შეცდომა, რომ ამაოდ იმედოვნებდა.

ეჰა, იმდენად გაიტაცეს იმედებმა, რომ რწმენაც კი აღეძრა იმ ბრწყინვალე ქვეყნისა, რომელსაც საზოგადოებას უწოდებენ. მან, აქამდე საზოგადოების გარეშე მდგომმა, ამ საზოგადოებაში შესვლა განიზრახა.

საზოგადოებამ უცბად, ერთდროულად სამი საჩუქარი მიაგება: ქორწინება, ოჯახი და კასტა. ქორწინება? ამ ქორწინების ზღურბლზე მას გარყვნილება დაუხვდა. ოჯახი? ძმამ სილა გააწნა და ხვალისათვის იარაღით ელოდა მოსაკლავად. კასტა? ის ხომ აი, ახლახან პირში დასცინოდა, ხარხარებდა, დასცინოდა მას, პატრი-

ცოესსა და იმავე დროს განკიცხულს, ამ კასტამ თავის წრეში მიღებისთანავე ისევ გააძევა იგი. მან მხოლოდ სამი ნაბიჯი გადადგა ამ საზოგადოების შიგნით და იქ ღრმა წყვდიადი დაუხვდა. იქვე, მის ფეხქვეშ სამი უფსკრული გადაიხსნა მის ჩასანთქმელად.

მისი უბედურება მოღალატური სახეცვლილებით დაიწყო, კატასტროფა აპოთეოზის სახით მიეპარა. „აღზევება" ნიშნავდა „ძირს დაცემას".

იგი ბიბლიურ იობთან შედარებით ერთგვარ საწინააღმდეგო მოვლენას წარმოადგენდა: მისი უბედურების წყარო მისივე კეთილდღეობა აღმოჩნდა.

ო, რაოდენ ტრაგიკულია ადამიანის ბედი! რამდენი ხვანჯია მასში დაფარული! ჯერ კიდევ ბაგშვი ღამეს შეებრძოლა და დასძლია იგი. გაიზარდა და უბრძოდა თავის ხვედრსა და დასძლია კიდეც იგი. სახით გონჯი, დიდების ბრწყინვალებით გარემოცული გახდა. უბედური არსება ბედნიერი შეიქნა. თავისი განდევნის ადგილი მან მყუდრო თავშესაფრად აქცია. მაწანწალად ყოფნისას მან გადალახა მანძილი და, ვით ფრინველნი ცისანი, ხეტიალის დროს თავისთვის საზრდოს შოულობდა. ველურობამდე გაქსუებული, ის ხალხის ბრბოს შეეგუა და მათთან კეთილგანწყობას მიაღწია. ის ათლეტი შეებრძოლა ამ ლომსა — ხალხს და ეს ლომი მას დაუმეგობრდა. არასჭირხე გაჭირვებას ებრძოდა. საარსებო ლუკმაპურისათვის ულმობელ ბრძოლასთან პირისპირ მდგომი და სიღატაკეშიც კი გულის შვების მომპოვებელი ახალგაზრდა, თავის სიღარიბეს სიმდიდრედ აქცევდა, რითაც უფლება ეძლეოდა თავისი თავი ცხოვრებაში გამარჯვებულად ჩაეთვალა. და უცბად მის წინაშე ამოუცნობი სიღრმიდან ამოიჭრა ახალი მოწინააღმდეგე ძალები. მაგრამ ახლა არა მრისხანე, არამედ მოალერსე და მლიქვნელი. მას, წმინდა სიყვარულით შეპყრობილს, ახლა პირისპირ შეხვდა ავხორცი, ველური სიყვარული; ის, რომელიც იდეალებით ცოცხლობდა, ახლა ხორციელ ნდომათა კერძებაში ჩავარდა. მან ენებათაღელვის ისეთი სიტყვები მოისმინა, რომლებიც გააფთრებულ ღაღადსა ჰგავდა. მან ისეთი ხვევნა გამოსცადა ქალისა, რომელიც გველისგან შემოხვეულ რგოლებს ჰგავდა. ჭეშმარიტების სინათლე სიცრუის ალტაცებად იქცა; ვინაიდან სიმართლე სულია და არა ხორცი. ხორცი ნაცარია, სული ცეცხლის ალი. ერთი მუჭა ადამიანები, ვინც მასთან სიღარიბესა და შრომაში იყვნენ დაკ-

ეშირებულნი და მის ნამდვილ ოჯახს შეადგენდნენ, ეს ადამიანები სისხლით ნათესავმა ოჯახმა შეცვალა, თუმცა შერეული სისხლითა და ამ ოჯახში შესვლისთანავე ძმის მკვლელის აჩრდილს შეეფეთა პირისპირ. ეჰა, მან წინააღმდეგობა არ გაუწია, როდესაც ისეთ სახოგადოებაში შეიყვანეს, რომლის შესახებ ბრანტომი* წერდა (თუმც ეს გუინპლენს არ წაუკითხავს): შვილს შეუძლია მამა ხმალში გაძოიწვიოს, და ეს ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებაო. ბედისწერის ხმამ ჩასძახა: შენ მდაბიოთა ბრბოს წევრი არა ხარ, შენ რჩეულთა გუნდს ეკუთვნიო! და თითქოს მის წინ ცამ კარი გადახსნა, ისე გაიხსნა მისთვის თაღი საზოგადო შენობისა, ბედმა უბიძგა ამ კაბადონიან შენობაში და აიძულა მოულოდნელ, მრისხანე მოჩვენებად მოვლენილიყო ამა ქვეყნის ძლიერთა შორის .

უცბად, უბრალო ხალხის მაგიერ, რომელიც მას ტაშით აჯილდოებდა, თავის ირგვლივ დიდკაცობა დაინახა, ხოლო ამ დიდკაცობამ წყველა-კრულვა მიუზღო მას. სავალალო ცვალებადობა ბედისა, სამარცხვინო აღზევება, უეცარი დამხობა იმისი, რაც მის ბედნიერებას შეადგენდა, ველური დევნა, მთელი მისი სიცოცხლის იავარყოფა. ეს იყო ორბისგან, არწივისაგან ჩანისკარტება, რაც ნაკუწ-ნაკუწად ფატრავდა გუინპლენს, ლორდ კლენჩარლის, ლორდსა და მანჭია კომედიანტს. აქ იყო მისი წარსულიცა და მისი მომავალიც.

ღირდა კი ცხოვრების დასაწყისშივე აეცილებინა თავიდან დაბრკოლებები? ღირდა კი დაეძლია წინააღმდეგობანი და გაემარჯვა მათზე? ვაჰ, რომ მისი ბედისწერა უფსკრულში დანთქმული ყოფილა და მისი ბედიც ამით დასრულდებოდა.

მაშ ასე, ნაწილობრივ ძალადობისადმი დამორჩილებით, ნაწილობრივ თავისივე ნებით (კვერთხისმტვირთველის შემდეგ მას ხომ ბარკილფედროსთან ჰქონდა საქმე და ლორდთა პალატაში გამოცხადება გუინპლენის თანხმობის გარეშე არ მომხდარა), მან სინამდვილე ქიმერით შეცვალა. ჭეშმარიტება სიცრუით, დეჯეზიანათი, სიყვარული პატივმოყვარეობით, თავისუფლება ყოვლადშემძლეობით, ამაყი, პატიოსანი შრომა სიმდიდრეზე და მასთან დაკავშირებულ მძიმე პასუხისმგებლობაზე გაცვალა, ბინდი, ღუთაებას რომ წაფარებოდა ჯოჯოხეთური ცეცხლის ალზე, სადაც დემონების სამყოფლოა, საბოთხე ოლიმპზე!

გუინპლენმა ოქროს ნაყოფი იგემა და პირში ფერფლი და ნაცარი შერჩა.

სამწუხარო შედეგია. აკლება, გაკოტრება, დაცემა, დალუპვა იმედების, ფეხით გათელვა, განადგურება ბოროტი სიცილით, უსაზღვრო სასოწარკვეთილება... რა ქნას ახლა? რას უქადის მას ხვალინდელი დღე? ქარქაშიდან ამოღებული ორლესული დაშნის წვერი ძმის ხელით მის გულზე მიბჯენილი. გუინპლენი ამ დაშნის მხოლოდ საშინელ ელვარებას ხედავდა. დანარჩენი — ჯოზიანა, ლორდთა პალატა, ყველაფერი უკან დარჩენილიყო, ტრაგიკული ჩრდილებით საცხე საშინელ ბურუსში.

ეს ძმა კიდევ, რომელიც მას ასეთი გულადი ეჩვენა, რაინდივით კეთილშობილი, უაჰ, ეს ტომ-ჯიმ-ჯეკი, გუინპლენის დამცველი, ეს ლორდი დევიდი, ქომაგი ლორდ კლენჩარლისა, უცებ წარმოუდგა თვალწინ, თითქოს იმიტომ, რომ თავისადმი სიყვარული ჩაენერგა გუინპლენისათვის და მისთვისვე გაეწნა სილაც.

რამდენი საეალალო მოელენაა!

აღარსაით გზა არ იყო. ირგელივ ყველაფერი დაინგრა. ან რაღა საჭიროა?

სასოწარკვეთილება ადამიანს უკანასკნელ ძალ-ღონეს აცლის.

ცდა ჩატარებული იყო და მისი განმეორება აღარ ღირდა.

გუინპლენი იმ მოთამაშეს მოგაგონებდათ, რომელიც თავის კოზირებს ერთიმეორეზე ჩამოდის. იგი დათანხმდა, რომ შეეტყუებინათ მოთამაშეთა საზარელ სახლში თავისივე მოქმედების ანგარიშმიუცემლად, ვინაიდან ასეთია შემპარავი შხამი ცდუნებისა, მან ამ თამაშში დეას ჯოზიანა დაუპირისპირა. და რა მოიგო? საზარლობა. ურსუსის წინააღმდეგ ოჯახი დააყენა და რა მოიგო, — უპატიობა. კომედიანტის ფიცარნაგს ლორდების სკამი დაუპირისპირა და აღფრთოვანებული შეძახილების ნაცვლად წყევლა-კრულვა შემოესმა.

მისი ბედის უკანასკნელი სათამაშო ქაღალდი მოცარიელებული ბაზრის მოედნის მწვანე ხალიჩაზე დაეცა. გუინპლენმა ყველაფერი წააგო, აღარაფერი აღარ დარჩა. რითიღა ამოიგოს ვალი უბედურმა?

ელვა-მეხით დარეტიანებული ადგილიდან არ იძვროდა. თითქოს გაქვავდაო. მოაჯირთან გაშტერებული და უძრავად მდგომი გუინპლენი შორიდან რომ ვინმეს დაენახა, ქვის ქანდაკება ეგონებოდა.

ჯოჯოხეთს, გველსა და ადამიანის ოცნებას შეუძლიათ გაუვალი წრე შეკრან. გუინპლენი სულ უფრო ღრმად იძირებოდა შავბნელ ფიქრებში.

მან ახლახან ნანახ საზოგადოებას ცივად გადაავლო თვალი. ქორწინება სიყვარულის გარეშე, ოჯახი ძმური მეგობრობის გარეშე, სიმდიდრე სინდისის გარეშე, სილამაზე კდემამოსილების გარეშე, მართლმსაჯულება სამართლიანობის გარეშე, წესრიგი წონასწორობის გარეშე, ყოვლადშემძლეობა გონიერების გარეშე, ბრწყინვალება სინათლის გარეშე... ულმობელი შედეგია. გუინპლენმა გონების თვალით გადახედა ყველაფერს, რაც განიცადა და თვალწინ დაესახა იგი. თანამიმდევრობით შეაფასა თავისი ხვედრი, თავისი მდგომარეობა, საზოგადოება და თავისი ბედიც. რა იყო მისთვის ბედისწერა? მახე? როგორი იყო მისი მდგომარეობა? სასოწარკვეთილებაში ჯოფნა. რითი შეხვდა მას საზოგადოება? — მძულვარებით. თვითონ რაღაა ახლა? დამარცხებული. თავის გულის სიღრმეში მან შესძახა: საზოგადოება დედინაცვალია, ბუნება — დედაა. საზოგადოება არის ის ქვეყანა, სადაც ჩვენი სხეული ცხოვრობს; ხოლო ბუნება ჩვენი სულის ქვეყანააო, პირველს ადამიანი კუბომდე, ცაცხვის ყუთამდე მიჰყავს, საფლავამდე, მატლებამდე და ამით თავდება. მეორე კი ადამიანს თავისუფალ ატმოსფეროში აიტაცებს, განთიადის სხივებში გარდაქმნას უქადის და უსაზღვროებაში განაზავებს, იქ, სადაც ვარსკვლავები ბრწყინავენ და სიცოცხლე დაუშრეტელია.

გუინპლენი თანდათანობით მწუხარე ფიქრების ქარიშხალმა მოიცვა. ყველაფერი, რასაც ჩვენ სიკვდილის წინ უნდა დავშორდეთ, თითქოს უცებ გაიელვებს თვალწინ.

ვინც განსჯის, იგი შედარებასაც ახდენს. გუინპლენმაც შეადარა ერთმანეთს ის, რაც მას საზოგადოებამ მისცა და ის, რაც ბუნებამ მისცა. რა კეთილად იყო ბუნება მისდამი განწყობილი! როგორ ამხნევებდა მას, როგორ ეხმარებოდა! იგი გაძარცვეს, ყველაფერი წაართვეს, პირისახეც კი. სულმა ყველაფერი დაუბრუნა მას, ყველაფერი, პირისახეც კი; ვინაიდან დედამიწაზე ცხოვრობდა მისი მფარველი ბრმა ანგელოზი, მისი სახიჩრობის არდამნახველი და მიხვედრით მცოდნე, ალღოთი ამომცნობი მისი სულის მშვენიერებისა.

ჰოდა, მან ნება მისცა დაეშორებინათ იგი ყოველივე ამისაგან! მან მიატოვა გულწარმტაცი არსება, რომელსაც სულითა და გულით შეეთვისა. მიატოვა ნაზი სიყვარული, მიატოვა ღვთაებრივი ბრმა გამოხედვა; ერთადერთი გამოხედვა, რომელმაც შეძლო მის სულში ჩაეხედა. დეა მისი და იყო, რადგან ის გრძნობდა თავისსა და მას შორის იმ მაღალ დაძმურ კავშირს, იმ მაღალ საიდუმლოებას, რომელიც მთელ ცას მოიცავს.

ბავშობიდანვე დეა მის საცოლედ ითვლებოდა, ვინაიდან ყოველ ბავშვს ჰყავს გულის სწორი და ცხოვრება ყოველთვის იწყება ორი უბიწო სულის დამეგობრებიდან, ორი ჰატარა უმანკო არსებიდან.

დეა მისი მეუღლე იყო, ვინაიდან მათ ჰიმენეის მაღალი ხის მწვერვალზე გააჩნდათ თავიანთი ბუდე.

უფრო მეტიც, დეა მისთვის სინათლის შუქი იყო, უიმისოდ გუინპლენს ყველაფერი არარად და სიცარიელედ ეჩვენებოდა. და გუინპლენი ხომ დეას სინათლის შუქით გასხივოსნებულს ხედავდა. როგორ იცოცხლოს ახლა უიმისოდ? რა უშველოს თავის თავს? დეას გარეშე მასში ყველაფერი ჩამკვდარი იყო. როგორ მოაშორა თვალი დეას თუნდაც ერთი წუთით! ო, უბედური! მან ნება მისცა თავის თავს, რომ დასცილებოდა თავის გზის მაჩვენებელ ვარსკვლავს. ხოლო იქ, სადაც მიზიდულობის მრისხანე უცნობი ძალები მოქმედებენ, იქ ყოველი დაცილება უცბადვე ეწევა უფსკრულისაკენ. მაშ საით ჩაესვენა მისი ვარსკვლავი? დეა! დეა! დეა! ვაჰ! მან დაკარგა თავისი მნათობი.

მოაშორეთ ციდან ვარსკვლავები და რაღა დარჩება? წყვდიადი. მაგრამ რად გაქრა ყოველივე ეს? ო, რა ბედნიერი იყო იგი! ღმერთმა მისთვის სამოთხე შექმნა, იქამდეც კი, რომ შიგ გველი შეუშვა! მაგრამ ამჯერად ცდუნება მამაკაცს დაატყდა.

ის აქედან გაიტაცეს და საშინელ მახეში გააბეს. პირქუში ხარხარის ჯოჯოხეთურ ქაოსში ჩააგდეს. ვაჰ, მწუხარებავ, მწუხარებავ! რა საზარელი იყო ყოველივე ის, რამაც იგი მოაჯადოვა! რა არის ის ჯოზიანა? საშინელი დედაკაცი; არცთუ ნადირი, არცთუ ღმერთი. იმ ჯურღმულიდან, სადაც გუინპლენი ჩააგდეს, ის ახლა იმის მეორე მხარეს ხედავდა, რაც სულ ახლახან თვალს სჭრიდა. ეს საზიზღარი სანახაობა იყო.

დიდებულება სულით მახინჯი აღმოჩნდა, გვირგვინი — საძაგელი, ძოწეულის ქლამინდი სულის დამაბნელებელი. სასახლის კედლები მთლად შხამით გაჟღენთილი. ტროფეები, აღალმები, გერბები — უნდობლობის შთამაგონებელნი. თვით ჰაერში იყო რაღაც არაჯანსაღი და გამცემლური, რასაც შეეძლო კაცი გაგიჟებამდე მიეყვანა. ო, საუცხოო იყო კომედიანტ გუინპლენის ძველმანი ტანისამოსი, როგორ დაიბრუნოს ახლა „მწვანე ყუთი“, სიღარიბე, სიხარული, ბედნიერი მოხეტიალე ცხოვრება დესთან ერთად, — ის ხომ მერცხლების ცხოვრებას ჰგავდა! ისინი ხომ განუშორებელნი იყვნენ ერთმანეთთან, ყოველ წუთს ხვდებოდნენ ერთმანეთს, საღამოთი, დილით. სუფრასთან ერთმანეთს ეხებოდნენ იდაყვებით, მუხლებით. ერთი ჭიქიდან სვამდნენ. ფანჯრიდან მზე შემოდიოდა, მაგრამ ის მხოლოდ მზე იყო. დეა კი სიხარულიც იყო და სიყვარულიც. ღამით ისინი გრძნობდნენ, რომ სულ ახლო ეძინათ ერთმანეთთან და დეა სიზმრად სულ გუინპლენს ხედავდა, ხოლო გუინპლენი ძილში სულ დეას დასტრიალებდა თავს. ფხიზელნი ვერ უარყოფდნენ იმას, რომ სიზმარეული ზმანების ღრმა ბურუსში არ უკოცნიათ ერთმანეთისთვის. მთელი უმანკოება დეაში იყო განხორციელებული. მთელი სიბრძნე — ურსუსში. ისინი ქალაქიდან ქალაქში გადადიოდნენ. მათ მხარს უჭერდა და ამხნევებდა მათი წარმოდგენების მოყვარული გულმართალი ხალხი. ისინი მოგზაური ანგელოზები იყვნენ; მაგრამ ერთგვარად მაინც ადამიანები, რომ მიწაზე ევლოთ, ხოლო ფრთები არ ჰქონდათ, რომ ცაში აფრენილიყვნენ! ახლა კი ყველაფერი გაქრა. სად გაქრა? ნუთუ ისინი უკვალოდ მიიმალნენ? რომელმა საფლავის ქარმა გაიტაცა? წყედიადმა შთანთქა. უკვალოდ დაიკარგნენ. ვაჰ, ულმობელი დესპოტები, მდაბიო ადამიანთა მჩაგვრელები. მათ განკარგულებაშია ყველა ბნელი ძალა და ყველაფერი შეუძლიათ. რა უყვეს მათ? ისიც აქ არ იყო, რომ გამოსარჩლებოდა, რომ დაეცვა თავისი მკერდით, დაეცვა თავისი ლორდის ტიტულით, თავისი წარჩინებითა და დაშნა-ხმლით, მიმოს-ჯანაოზის მუშტებით! და უცბად მას თავში მწვავე აზრმა გაუელვა, იქნებ ყველაზე უფრო მწვავემ. არა, ის მათ ვერ დაიცავდა; სწორედ თვითონ იყო მათი დაღუპვის მიზეზი. სწორედ იმიტომ, რომ ის, ლორდი კლენჩარლი დაემალათ, მოეცილებინათ მათგან, რომ მათთვის ჩამოეშორებინათ, სწორედ იმიტომ დაატყდა მათ

თავს მთელი თავისი სიმძიმით სრულუფლებიანი საზოგადოებრივი თვითნებობა. მათი დაცვის უკეთესი საშუალება გუინპლენისათვის იქნებოდა გამქრალიყო სადმე. მაშინ შეწყდებოდა მათი დევნის ყველა საბაბი. გუინპლენი რომ არ ყოფილიყო, მათ ყურადღებას არ მიიქცევდნენ. ამ სულისგამყინავმა აღმოჩენამ მის აზრებს ახალი მიმართულება მისცა. ო, რატომ მისცა მან ნება, რომ დეასთან დაეშორებინათ იგი? განა მის პირველ მოვალეობას ის არ შეადგენდა, რომ დეასადმი მფარველობა გამოეჩინა? ხალხის სამსახური და მისდამი მფარველობა? მაგრამ განა დეა განხორციელება არ არის ხალხისა? დეა ობოლია და ბრმაა, იგი თვით კაცობრიობაა! კატასტროფამ იმიტომ იფეთქა, რომ ის, გუინპლენი მათთან არ იყო. სხვანაირად რომ ყოფილიყო, ის გაიზიარებდა მათ ხვედრს, ან იმათ თავისთან წაიყვანდა, ან მათთან ერთად დაიღუპებოდა. ახლა რა მოჰყვა ყოველივე ამას? განა შეეძლო გუინპლენს დეას გარეშე არსებობა? დეას დაკარგვით მან ყოველივე დაკარგა. ოჰ, ყველაფერი დასრულდა! ის ერთი მუჭა საყვარელი მახლობელი ადამიანები უკვალოდ დაიკარგნენ. ყველაფრის დასასრული დადგა. ახლა რისთვისღა განაგრძოს მან ბრძოლა, როცა განწირულია და განკიცხული. აღარაფერს არ უნდა ელოდოს არც ადამიანებისგან და არც ღვთისგან. დეა! დეა! სად ხარ, დეა! დაიკარგა! ნუთუ მართლა დაიკარგა! ის, ვინც სული დაკარგა, ხელახლა მხოლოდ სიკვდილში შეუძლია მოიპოვოს იგი.

ღრმად დამწუხრებულმა გუინპლენმა ხელი მოაჯირს დაადო, თითქოს რაღაც გადაწყვეტილებას დაადგაო და მდინარეს დახედა.

უკვე მესამე ღამე იყო არ სძინებოდა. იგი ციებ-ცხელების თრთოლას აეტანა. აზრები, მას რომ გარკვეულად ეჩვენებოდა, ნამდვილად ბუნდოვანი იყო. გრძნობდა, რომ ძილი ერეოდა, სხეული მოუდუნდა.

რამდენიმე წამს ასე იდგა და წყალს დასცქეროდა. მდინარის ჩაშავებული სიერცე მშვიდ საწოლს ჰპირდებოდა, ყველაფრის დავიწყებას სამარადისოდ. საშინელი ცდუნება!

მან ხიფთანი გაიხადა და მოაჯირზე დადო; მერე კაშხლის ღიღები გაიხსნა და გახდას აპირებდა, რომ ხელი რაღაც საგანს შეახო ჯიბეში. ეს იყო წითელი წიგნაკი, რომელიც მას ლორდთა პალატის „ბიბლიოთეკარმა“ მისცა. წიგნაკი ჯიბიდან ამოიღო, დახედა ღამის

სუსტ სინათლეზე. ფანქარიც ამოიღო ჯიბიდან და წიგნაკის პირველსავე სუფთა გვერდზე დაწერა შემდეგი ორი სტრიქონი:

„მე მივდივარ, დაე, ჩემმა ძმამ, დეკემბრმა დაიკავოს ჩემი ადგილი და ვუსურვებ ბედნიერებას“. და ხელი მოაწერა: „ფერმენ კლენჩარლი, პერი ინგლისისა“. შემდეგ კამზოლი გაიხადა, ქუდი მოიხადა, შიგ ჩადო წიგნაკი, წიგნაკი იმ გვერდზე გადაშალა, სადაც ჩანაწერი ჰქონდა, ქვას დასწვდა, აიღო და წიგნაკს ზემოდან დაადო.

შემდეგ იმ უსაზღვრო წყვდიადს გახედა, რომელიც მის ზევით გადაშლილიყო.

ნელ-ნელა თავი ჩაქინდრა, თითქოს უხილავი ძაფი ეწევაო უძირო მორევისაკენ.

მოაჯირს ქვედა ნაწილში ჭრილი ჰქონდა, გუინპლენმა ამ ჭრილში შედგა ფეხი, რომ მუხლით მოაჯირს ზედ დაყრდნობოდა; ახლა იგი მხოლოდ და მხოლოდ გადავარდნაზე ფიქრობდა.

ხელები ზურგზე დაიწყო და წინ გადაიწია.

— გათავდა! — ჩაილაპარაკა მან.

და თვალები წყალს მიაშტერა.

იმ წუთში მან იგრძნო, რომ ვიღაცამ ხელი აულოკა.

იგი შეკრთა და უკან მოტრიალდა.

მის უკან ჰომო იდგა.

ზღვა და ღამე

I

მოდარაჯე ძაღლი შეიძლება მფარველ ანგელოზად მოგვევლინოს

გუინპლენს შეძახილი აღმოხდა.

— შენა ხარ, მგელო!

ჰომომ კუდი გააქიცინა. მისი თვალები სიბნელეში ნაპერწკლებს ისროდნენ. ის გუინპლენს შესცქეროდა.

შემდეგ ისევ ხელების ლოკვა დაუწყო გუინპლენს. თავიდან გუინპლენი მთვრალივით გაშტერებული იდგა. იგი შეძრწუნებული იყო იმით, რომ უეცრად დაუბრუნდა იმედი. ჰომო! საიდან გამოცხადდა ეს მგელ-ძაღლი? ორმოცდარვა საათის განმავლობაში გუინპლენმა ყველანაირი მოულოდნელობა განიცადა. მას ახლა მოულოდნელი სიხარულის განცდა ელოდა ეს სიხარული მას ჰომომ მოუტანა. ახლად დაბრუნებული რწმენა, ან ყოველ შემთხვევაში იმედი. უეცარი ჩარევა იდუმალი კეთილმოქმედი ძალისა, რაც შესაძლოა ბედისწერისგან ვლინდება იმ სიცოცხლისადმი, რომელმაც უკვე ჩააღწია თითქმის საფლავის მარადიულ წყვდიადს. აი, განმკურნავი და განმათავისუფლებელი სინათლე, გამობრწყინებული მაშინ, როდესაც აღარას ელოდი. დასაყრდენი წერტილი, დასაღუპად გაშზადების წუთში მოპოვებული. — ყველაფერი ეს ჰომომ განახორციელა. გუინპლენი უცქეროდა ჰომოს და ისე ეჩვენებოდა, რომ ამ ერთგულ ძაღლს თითქოს კმაყოფილება თუ თანაგრძნობის შუქი მოჰფენოდა.

ამასობაში მგელი უკანვე გაიქცა. რამდენიმე ნაბიჯი გაირბინა, მერე მოტრიალდა, თითქოს იმისათვის, რომ გაეგო, მომდევს თუ არა გუინპლენიო.

გუინპლენი გაჰყვა მგელ-ძაღლს, ჰომომ კუდი გააქიცინა და ისევ წინ გასწია.

ძაღლი გარბოდა ეფროქ-სთოუნის სანაპიროს დალმართისაკენ.

დალმართი თეშხის ნაპირზე ჩადიოდა. ჰომოს უკან გუინპლენი მისდევდა. იგი დალმართზე ჩავიდა.

დროდადრო ჰომო უკან მოიხედავდა, რომ დარწმუნებულიყო, მოდევს თუ არაო.

არის ხოლმე ცხოვრებაში ისეთი შემთხვევები, როდესაც ყველაზე მეტად გამჭრიახი ჭკუა ვერ შეედრება ერთგული პირუტყვის ყნოსვასა და ალღოს. პირუტყვს თითქოს ნათელხილვის უნარი აქვს.

ზოგიერთ შემთხვევაში ძაღლი თავის პატრონს უკან მისდევს. ზოგი ძაღლი კიდევ წინ მიუძღვის და მაშინ ადამიანის გონებას პირუტყვის ალღო ხელმძღვანელობს. ნადირის სუსტი ალღო შეუმცდარად ერკვევა იქ, სადაც ჩვენ წყვდიადში ვიბნევით. პირუტყვს ბუნდოვანი მოთხოვნილება უჩნდება გახდეს ჩვენი მეგზური. იქნებ მან იცის, რომ ჩვენ ხიფათი მოგველის მცდარი ნაბიჯის გადადგმით და საჭიროა დაგვეხმაროს, თავიდან ავიცილოთ ეს საშიშროება. თუმცა იქნებ არ იცის, მაგრამ იქნებ იცის კიდევაც. ყოველ შემთხვევაში, ვილაცამ იცის ეს მის მაგიერ. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მოხდება ხოლმე, როდესაც გადამწყვეტ წუთებში დახმარებას გვიწევს დაბალი არსება, სინამდვილეში ეს დახმარება ჩვენ მაღლიდან გვევლინება. ჩვენ არ ვიცით, როგორ მოგვევლინება ღვთაება. განგების გამომხატველად ხანდახან ნადირი ან პირუტყვი გვევლინება.

ნაპირამდე მისულმა მგელმა ჩაიქვეითა თეშხის გასწვრივე გამყოლ თავთხელთან.

მგელ-ძაღლი არც ყეფდა, არც წკმუტუნებდა, მიდიოდა ჩუმად. ჰომო, რაკი თავის ალღოს ემორჩილებოდა, ყოველ გარემოებაში მოვალეობას ბრძნული სიფრთხილით ასრულებდა, როგორც კანონით დევნილი არსება.

მან დაახლოებით ორმოცდაათი ნაბიჯი გაიარა და გაჩერდა. მარჯვნივ ნავმისადგომი მოჩანდა ხიმინჯებზე. მის იქიდან ბნელ ბურუსში საკმაოდ მოდიდო ხომალდის მძიმე კორპუსი განირჩეოდა. ხომალდის ქიმთან ბაქანზე მკრთალი შუქი მოჩანდა. ის პატრუქჩაწეული ღამის მაშუქი გეგონებოდათ.

მგელმა უკანასკნელად მოიხედა უკან და რა დარწმუნდა, გუინპლენი იქ იყო, ნავმისადგომზე შეხტა, რომელიც გაფისული, გრძელი მორების ფიცარნაგს წარმოადგენდა, სქელ ბოძებზე შემდგარს.

ბოძების ქვეშ მდინარე მირაკრაკებდა. რამდენიმე წუთის მერე ჰოშო და გუინპლენი ნავმისადგომის ნაპირს მიადგნენ.

აქ, ბაგირზე მიბმული ხომალდი, ჰოლანდიური ორანძიანი გამობერილი შხუნა იყო. ბაქანიც ორი ჰქონდა, ორივე ნაპირებშემოუფარგლავი. ერთი ბაქანი ხომალდს ცხვირთან ჰქონდა, მეორე კიჩოსთან. მათ შორის დაუხურავი, ღია ტრიუმი იყო, სწორი კიბით ჩასასვლელი, იაპონურ ყაიდაზე ნაკეთები, ტვირთისთვის განკუთვნილი. ბაქნებს შუა მანძილი ტვირთს ეჭირა. ბაქნების ქვეშ კაიუტები იყო, რომლებიც ცენტრალურ განყოფილებას პატარა კარით უერთდებოდა. ბაქანზე დაბარგების დროს ნაკრაულებს შუა გასაველური მანძილი იყო დატოვებული. ამ ორანძიან შხუნას ანძები ცალ-ცალკე ბაქანზე ჰქონდა. წინა ანძას პაელე ერქვა, კიჩოსას — პეტრე. ისე, რომ ამ ნავსაც ორი ანძა იმნაირად აგვირგვინებდა, როგორც კათოლიკურ ეკლესიას უდგას სათავეში ორი მოციქული. ცენტრის საბარგო-სატვირთო განყოფილების ზემოდან ფიცრის ბოგირები იყო გადებული, ერთი ბაქნიდან მეორემდე. ბოგირის ეს ორი ნაწილი ცუდ ამინდში აიწეოდა ორივე მხრიდან, საგანგებო მექანიზმებით და ამგვარად ორ ბაქანს შუა ნაწილზე ჭერი კეთდებოდა. ისე, რომ ქარიშხლის დროს ტრიუმი მკვიდრად იხურებოდა. ამ მოდიდო შხუნას საჭე სქელი ძელისა ჰქონდა, რადგან საჭის ძალა ხომალდის სიმძიმეს უნდა უდრიდეს. ამ მძიმე საზღვაო ხომალდის მართვისათვის სამი კაცი იყო საკმარისი. თვითონ პატრონი, ორი მატროსი და ბიჭი — იუნგა. ცხვირის და კიჩოს ბაქნებს, როგორც უკვე ვთქვით, გვერდებზე ფარგალი არ ჰქონდა. ამ შხუნას შავად გამობერილ კორპუსზე სიბნელეშიც კი ამოიკითხავდით თეთრი ასოებით მინაწერს: „ვოგრაატი, როტერდამი“.

იმხანად ზღვაზე მომხდარმა მთელმა რიგმა შემთხვევებმა, სახელდობრ კარნეროს კონცხთან მომხდარმა კატასტროფამ, რომელმაც ბარონ პუანტის რვა ხომალდი იმსხვერპლა, საფრანგეთის ფლოტი აიძულა გიბრალტარისკენ წასულიყო, რამაც სრულიად განტვირთა ლამანში; გაათავისუფლა სამხედრო გემებისაგან გზა ლონდონსა და როტერდამს შორის, ასე რომ, სავაჭრო გემებს ახლა თავისუფლად შეეძლოთ ნაოსნობა.

შხუნა „ვოგრაატი“, რომელსაც გუინპლენი წაადგა, ნავმისადგომთან კიჩოს ბაქნის მარცხენა მხრიდან იყო მიზიდული და

ნაშახადგომის ფიცარნაგთან თითქოს თანაბარ დონეზე იდგა. მხოლოდ ერთი საფეხური იყო საჭირო დაბლა ჩასვლა. ერთი ნახტომით ჰოში და გუინპლენი კიბეზე გაჩნდებოდა. ბაქანი ცარიელი იყო და ნავზე ჩამოწუმი არ ისმოდა. მხედა შავი დაეტვირთათ და ბაგეში რაც უნდა აეშვათ, ეს იქიდან ჩანდა, რომ ტრიუმში ნაკრაულებით და ქუთებით იყო სავსე. მაშ მგზავრებიც უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ ჯერ ალბათ ეძინათ ბაქნების შუა კაიუტებში. რიდესაც მზეა დაბით გადის, ასეთ შემთხვევაში მგზავრები ბაქანზე მხიარულად დილით გამოჩნდებიან ხოლმე. რაც შეეხება ეკიპაჟს, იგი, როგორც ჩანს, მაგზავრების წინ ვახშმობდა იმ განყოფილებაში, რომელიც მაშინ მატროსების კაიუტად იწოდებოდა. ამიტომ იყო ირიერე ბაქანი შეკრიელი.

მგელ-ძაღლი ნაშახადგომზე მიცუნცულებდა, მაგრამ როგორც კი ხომალდზე ფეხი შედგა, ის ნელ-ნელა აბიჯებდა, თითქოს ვინმეს ეპარებაო, ის კუდს ახლაც აქიცინებდა, მაგრამ არა სიამის გამომხატველად, არამედ რალაც წუხილითა და შესაბრალისად, როგორც ძაღლსა სჩვევია, თუ უბედურებას რასმე გრძნობს. გუინპლენის წინ ისევ ისე მიმავალი ჰოში კიბის ბაქნიდან ბოგირზე გადავლით ცხვირის ბაქანზე გადავიდა.

ბოგირზე გუინპლენმა სინათლე შენიშნა. ეს იყო ფარანი, რომელიც წინა ანძის ძირას დაედგათ. ფარნის შუქზე, რალაც დიდი ყუთის, ოთხ საგორავზე შედგმული ფიცრულის, მოხაზულობა ისახებოდა.

გუინპლენმა იცნო ურსუსის ძველი საზიდარი.

ეს უბადრუკი ფიცრის ქოხურა, იმავე დროს საზიდარიც, რომელშიც გუინპლენმა ბავშვობა გაატარა, აქ გორგოლებში გატარებული გრძელი თოკებით ანძის ძარაზე მიემაგრებინათ, იგი დიდი ხანია ხმარებიდან გამოსული მთლად დაძველებულიყო. ადამიანსაც და საგანსაც ისე არაფერი დააბერებს, როგორც უქმად ყოფნა. ქოხურა შესაბრალისად გადახრილიყო გვერდზე. უმოქმედობისგან თითქოს დამბლა დასცემიაო, იმაზე რომ აღარ ითქვას რა, რომ განუკურნელი სენი, სიბერე სჭირდა. მისი უფორმო, ჭიებისაგან დახრული ძარა დაფუყულის შთაბეჭდილებას ტოვებდა. რისგანაც ის გაკეთებული იყო, ყველაფერი იშლებოდა: რკინის ნაწილები დაწანგულიყო, გადაკრული ტყავი დახეთქილიყო, ფიცრები დაშა-

ლიყო. წინა სარკმლის შუშა, საიდანაც ფარნის სინათლე მოდიოდა, გატეხილიყო. გორგოლები მოღრეცოდა. კედლები, ჭერი და ღერძები დასძველებოდა და თითქოს დაღლილობისაგან დაუძლურებულიყო. ყველაფერი რაღაც მეტად შესაბრალისად გამოიყურებოდა და თითქოს შველას სთხოვდა ვისმეს, — მაღლა აშვერილი ორი ხელნა, გეგონებოდათ, ადამიანის მკლავებიაო, ცის მიმართ საღაღადებლად ამართული. ქვეშ ჰომოს საბმელი ჯაჭვი ეკიდა. საზიდარი მთლიანად ირღვეოდა და იფუყებოდა.

თითქოს სრულიად კანონიერი და ბუნებრივია, როცა ხელახლა მოიპოვებს ადამიანი ყოველივე იმას, რაშიც ჩვენი სიცოცხლე, ბედნიერება და სიყვარულია, — ის სწრაფად, თავდავიწყებით მიიჭრება ამ ყველაფრისაკენ. მაგრამ არა მაშინ, როდესაც უკვე ღრმად შემაძრწუნებელი უბედურება განგვიცდია. ადამიანი, რომელიც განადგურებულია და გონდაკარგული მთელი რიგი კატასტროფებისაგან, ღალატის მსგავსი შემთხვევებისაგან, აღარ ენდობა თვით სიხარულსაც კი, მას ეშინია თავისი ავბედითი ხვედრის არ გახადოს ისინი, ვინც უყვარს. მას თავი გადაძდები უბედურების ბუდედ წარმოუდგენია და თვით ბედნიერებასაც კი ფრთხილი ნაბიჯით უახლოვდება. მის წინაშე ახლად იღება სამოთხის კარი, მაგრამ იქ შესვლამდე იგი ჯერ შიშნეულად უთვალთვალებს.

მღელვარებისგან ფეხებში ძალაგამოცლილი გუინპლენი თავისი ბავშვობის თავშესაფარს შესცქეროდა.

მგელ-ძაღლი წყნარად მიწვა თავის ჯაჭვთან.

II

ბარკილფედრო ძორს უმიზნებდა, მტრედს კი მოახვედრა

საზიდრის საფეხურები ჩამოშვებული იყო, კარი ოდნავ გამოღებული, შიგნით არავინ ჩანდა. წინა სარკმლიდან მოციალე სუსტი სინათლე ოდნავ აშუქებდა ბალაგანის შიდა ნაწილს; იქაურობა ბინდს მოეცვა. დაძველებული ფიცრის კედლებზე კიდევ გაირჩეოდა წარწერები, ურსუსის ხელით ნამოქმედარი და ლორდების ქება-დიდების შემცველი. კართან გუინპლენმა თავისი ტყავის წინსაფარი

და სამუშაო ტანისამოსი დაინახა, ლურსმანზე ჩამოკიდებული, როგორც მიცვალებულის ტანისამოსი მორგში.

თვითონ გუინპლენს ახლა აღარც ხიფთანი ეცვა და არც კამზოლი.

საზიდარი ეფარებოდა რაღაც ნივთს, რომელიც ბაქანზე ანძის ძირას იდო. ფარნის შუქზე გაარჩია ნაალის ნაწილი, ნაალზე, როგორც ჩანდა, ვიღაც იწვა. ბაქანზე რაღაც ჩრდილი მოძრაობდა. ვიღაცის ხმა ისმოდა. გუინპლენი საზიდართან გაყუჩდა და ყური დაუგდო.

ურსუსი ლაპარაკობდა.

ეს ხმა, გარეგნულად უხეში, რაოდენი სინაზის შემცველი იყო. ის ხომ გუინპლენს პატარაობიდანვე ტუქსავდა. მანვე აღზარდა იგი ასე კარგად. ეს ხმა ახლა უკვე თავის ბგერადობასა და სიმკვირცხლეს იყო მოკლებული. ის ახლა ყრუ, ჩახლეჩილი იყო და ძლივს ისმოდა. თან ხშირი ოხვრით მალიმალ წყდებოდა. ის ახლა ძლივსღა მოაგონებდა ადამიანს ურსუსის წინანდელ მტკიცე და გარკვეულ ხმას. ეს ხმა ახლა იმ კაცს ეკუთვნოდა, რომლის ბედნიერებაც სამარეში ჩაესვენა. ხმაც შეიძლება აჩრდილად იქცეს. ურსუსი თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა. მას, როგორც ვიცით, ჩვეულებად ჰქონდა მონოლოგების კითხვა. ამიტომ იგი შერყეულიც კი ეგონათ.

გუინპლენი გაიტრუნა, რომ ურსუსის ნალაპარაკევიდან არც ერთი სიტყვა არ გამოჰპარვოდა:

— ასეთი ტიპის ხომალდები ძალიან სახიფათოა. მის ნაპირებს საზღვარი არა აქვს. სულ ადვილია ადამიანის წყალში გადავარდნა. თუ ამინდი გამოიცვალა, დეა ტრიუმში უნდა ჩავიყვანო. ეს კი მეტად საშიშია; ერთი უხერხული მოძრაობა, ან ოდნავი შიში საკმარისია, რომ გული გაუსკდეს. მე ასეთ ამბავსაც წავწყდომივარ. ო, ღმერთო ჩემო, რა მოგველის ნეტავ! დეას სძინავს? დიახ, სძინავს; ვგონებ, სძინავს ან იქნებ გრძნობა დაკარგა? არა, მაჯისცემა კარგი აქვს, ალბათ სძინავს. ძილი იგივე ვადის გაგრძელებაა. კარგია, რომ ვერაფერს ხედავს. რა ვქნა, რა ვიღონო, რომ ხალხის მოძრაობა შეწყდეს. ბატონებო, თუ აქ, ბაქანზე ხართ ვინმე, ძალიან გთხოვთ, ნუ იხმაურებთ! ახლო ნუ მოხვალთ. სუსტი ჯანმრთელობის ადამიანებს უნდა გავუფრთხილდეთ. ამ გოგონას აციებს. ეს ჯერ სულ პატარაა, ახალგაზრდაა. ამ გოგონას ახლა სიცხე აქვს.

მე მისი ნაალი გარეთ გამოვიტანე, რომ თავისუფლად ისუნთქოს. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ ფრთხილად იყოთ. ისეა მოქანცული, რომ ნაალზე მოცელილივით დაეშხო, თითქოს გრძნობა დაკარგაო, მაგრამ არა, მას სძინავს. ძალიან გთხოვთ, არ გააღვიძოთ. მე ქალებსაც ამას ვეუბნები, რა თქმა უნდა, თუ ისინი არიან აქ; როგორ არ უნდა შეიბრალო ყმაწვილი ქალი. ჩვენ ერთი საწყალი კომედიანტები ვართ; ყურადღება მოგვაქციეთ და თანაგრძნობით მოგვექეცით. თუ საჭიროა, ფულსაც გადავიხდი, ოღონდ ნუ იხმაურებთ. მადლობელი ვიქნები, ქალბატონებო და ბატონებო. არის ვინმე აქ? არა, მგონი არავინ არის. მე სულ ტყუილად ვლაპარაკობ. უფრო უკეთესი, ბატონებო, მადლობას გიხდით, თუ ხართ აქ ვინმე. თუ არა ხართ, მით უკეთესი, მაშინ უფრო მეტად მადლიერი ვარ თქვენი. ამ ქალს შუბლზე ოფლმა დაასხა. რა გაეწყობა, ისევ მძიმე შრომას დავუბრუნდებით, კატორღას, ისევ შეეებმებით უღელში და ჭაპანს გავწევთ. ჩვენ ისევ გავლარიბდით; ისევ ტალღების ნებას უნდა მივენდოთ. ვიღაცის ხელმა, საშინელმა ხელმა, რომელსაც ჩვენ ვერა ვხედავთ, მაგრამ ყოველთვის ვგრძნობთ, უცბად საუარესოდ დაატრიალა ჩვენი ბედი. დე, ასე იყოს, მხნეობა არ უნდა დავკარგოთ. ოღონდ დეა იყოს კარგად. რა სისულელე მომდის, ჩემს თავს ხმამაღლა ველაპარაკები, მაგრამ ესეც საჭიროა, — თუ დეა გაიღვიძებს, იგრძნობს, რომ ის აქ მარტო არ არის. ოღონდ უცბად ხმაურმა არ გააღვიძოს. ნუ ხმაურობთ, ღვთის გულისათვის, ოდნავი შენჯღრევა, ან მღელვარება ცუდად იმოქმედებს მასზე. რა საშინელება იქნება, აქ რომ სიარული დაიწყონ. მე მგონია ხომალდზე ყველას სძინავს. მადლობას ვუძღვნი განგებას ასეთი მოწყალებისათვის. მაგრამ ჰომო სადღაა? ამ ალიაქოთში სულ დამავიწყდა ჯაჭვით დამება. მე თვითონ აღარ მესმის, რას ვაკეთებ. აი, უკვე საათზე მეტია ჰომოს ველარა ვხედავ. ალბათ თავისთვის ვახშმის საშოვნელად წავიდა სადმე. ნეტა ცუდი არა შეემთხვეს რა. ჰომო! ჰომო!

მგელმა კუდი ბაქანზე ნელა დაარტყა.

— აჰა, შენ აქა ხარ! მადლობა ღმერთს! ახლა ჰომოც რომ დამეკარგოს, რაღა მეშველება! დეა ხელებს ამოძრავებს, ალბათ იღვიძებს. წყნარად, ჰომო! წყალთა მოქცევა იწყება, ალბათ ახლა მალე ავუშვებთ ბაგირსა და გავცურავთ. მე მგონია, ღამე მშვიდი იქნება;

ქარი ჩადგა. ვიმპელი ანძის სიგრძივ ჩამოეშვა, მშვიდობიანად ვიმგზავრებთ, მართალია, ცაზე მთვარეს ვერა ვხედავ, მაგრამ ღრუბლები ოდნავ მოძრაობენ. არ დაგვარყევს. ამინდს კარგი პირი უჩანს. როგორი გაფითრებულია დეა! სისუსტის ბრალია; არა, ლაწვები ცხელი აქვს; ეს ციებ-ცხელების ბრალია. არა, აგერ ვარდისფერმა გადაჰკრა სახეზე. მაშ კარგად არის. სულ დავიბენი. ჩემო საბრალო ჰომო, მე უკვე აღარა მესმის რა. მაშ ასე, ცხოვრება ახლად უნდა დავიწყოთ. ისევ მუშაობას უნდა მოვკიდოთ ხელი. ჩვენ ხომ ახლა ორნიღა დავრჩით, ჰომო; მე და შენ დეასთვის უნდა ვიმუშაოთ. დეა ჩვენი შვილია, ჰა! ხომალდი უკვე მიცურავს. მაშ გავემგზავროთ. მშვიდობით, ლონდონო! ღამე ნებისა, ღამე მშვიდობისა! ეშმაკის კერძო! ო, შეჩვენებულო ლონდონო!

ხომალდი მართლაც თანდათან ნაპირს შორდებოდა. მანძილი ნავსაბმელსა და ხომალდს შუა სულ უფრო იზრდებოდა. ხომალდის მეორე მხარეს კიჩოზე კაცი იდგა. ალბათ ხომალდის პატრონი თუ იყო. იგი გამოვიდა კაიუტიდან, ხომალდი ბაგირიდან ახსნა და საჭეს მოჰკიდა ხელი. ამ კაცს მეზღვაურის სიდინჯე ეტყობოდა და ჰოლანდიელის ფლეგმატურობა. ის ყურადღებით დააშტერდა ფარვატერს. წყლის ზედაპირის მეტს ვერაფერს ხედავდა. არაფერს ყურს არ უგდებდა, გარდა ქარის ზუზუნისა. იგი სიბნელეში მოლანდებასა ჰგავდა. საჭეს სატრიალებელი ბერკეტის სიმძიმისაგან წელში მოხრილი, ნელა ქანაობდა კიჩოს ერთი მხრიდან მეორისაკენ. ის აქ, ბაქანზე სულ მარტო იყო. ვიდრე ხომალდი მდინარეზე მიცურავდა, მშველელი არა სჭირდებოდა. რამდენიმე წუთს შხუნა მდინარის დინებას მიჰყვა, არც გვერდითი, არც ირიბი რყევა არ იგრძნობოდა. მიქცევის ტალღა სწრაფად მიაცურებდა ხომალდს, ისე რომ თემზას სიმშვიდე თითქმის არ ირღვეოდა. აქეთ, ნისლიანში ლონდონის შავი სილუეტი უფრო და უფრო ილეოდა.

ურსუსი განაგრძობდა:

— სულერთია, მე დეას სათითურას ნაყენს დავალევინებ. მეშინია ბოდვა არ დააწყებინოს. ხელისგულებიც კი ოფლიანი აქვს. ნეტა რა ვაწყენინეთ ღმერთს! ეს რა მოულოდნელად დაგვატყდა უბედურება! რა სწრაფად ჩავცვივდით ხიფათში! ძერა ქვასავით ჩამოვარდება ხოლმე. მოუჭერს ბრჭყალებს ტოროლას და... ასეთია ბედისწერაც. და, აჰა, შენ ლოგინად ჩავარდი, ჩემო ტკბილო

ბაგშვო. მოვედით ლონდონში, ვფიქრობდი: დიდი ქალაქია, მაღალი შენობებით დაშვენებული. აი, საუთეორჭი რა კარგი გარუჯბანია, დავბინავდით-მეთქი და თურმე საშინელი ადგილი ყოფილა! ახლა რას მიბრძანებთ, როგორ მოვიქცე! მე მოხარული ვარ, რომ ვშორდებით მას. დღეს ოცდაათი აპრილია. მე ყოველთვის მეშინოდა აპრილისა. ამ ცბიერ თვეში მხოლოდ ორი დღეა ბედნიერი: 5 და 27, ხოლო უბედურია 10, 20, 29 და 30 რიცხვი. ეს უდაოდ დამტკიცებულია კარდანოს გამოანგარიშებით. ნეტა მალე გაიაროს დღევანდელმა დღემ. რა კარგია, რომ ჩვენ უკვე მოვშორდით მის ნაპირს. გათენებისას გრევსენდში ვიქნებით, ხოლო ხვალ საღამოს როტერდამში. რა გაეწყობა, ეშმაკმა დალახვროს! ჩვენ ისევ ძველებურ ცხოვრებას შევუდგებით. ისევ საკუთარი ქედით ვათრევთ ჩვენს საგორებელს. ასე არ არის, ჰომო? მგელმა თანხმობის ნიშნად კუდი ნელა დააკაკუნა ბაქანზე.

ურსუსი განაგრძობდა:

— რომ შეიძლებოდეს ისე ადვილად დაშორდე შენს დარდებს, როგორც ქალაქს შორდები! ჰომო, მაშინ ჩვენ კიდევ გვეღირსებოდა ბედნიერება, მაგრამ ვაჰ, ჩვენ მაინც ყოველთვის ვიგრძნობთ, რომ ერთი გვაკლია. გარდაცვალებულის აჩრდილი ყოველთვის მის ახლობელთა შორის ტრიალებს. შენ ხომ იცი, ვისზედაც ვლაპარაკობ, ჰომო? ჩვენ ოთხნი ვიყავით და ახლა სამნიღა დავრჩით. ცხოვრება ის გრძელი ჯაჭვია, რომელსაც ჩვენთვის საყვარელი არსებანი აკლდებიან. შედიხარ ცხოვრებაში და უკან სტოვებ მთელ რიგ დარდსა და მწუხარებას. ბედისწერა ადამიანს დაარეტიანებს, გააბრუებს, როდესაც აუტანელ ტანჯვას სეტყვასავით დააყრის. ამის მერე რა უნდა გვიკვირდეს, რომ მოხუცნი სულ ერთსა და იმავეს დაიჟინებენ ხოლმე. სასოწარკვეთილების გამო ისინი გამოთაყვანებულნი ხდებიან. ჩემო კარგო ჰომო, ჯერ ისევ ზურგის ქარი უბერავს. წმინდა პავლეს გუმბათი უკვე სულ მიიმალა. ჩვენ ახლა გრინიჩს ჩავუვლით გვერდზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე კარგა მანძილი გავცურეთ. ოჰ, მე ყოველთვის თავბრუს მახვევს ეს საძაგელი სატახტო ქალაქები. იქ აუარებელი მღვდლები, მოსამართლეები და მდაბიონი დაფუსფუსებენ. მე მირჩევნია ტყეში ფოთლების რხევას ვუყურო... მაგრამ დეას შუბლი ისევ ოფლიანი აქვს. მე არ მომწონს ის ამბავი, რომ იდაყვს ზემოდან ლილისფერი

ქარღვები დაბერვია. მაშ, დიდი სიცხე აქვს. ოჰ, რა მეშველება ამის შემყურეს! იძინე, ჩემო ბავშვო! ჰო, დიახ, სძინავს.

და უცებ ენით აუწერელი ნაზი ხმა გაისმა, თითქოს შორიდან გაისმაო. თითქოს ერთსა და იმავე დროს ციური სიმაღლიდანაც მოჰბერეს და მიწის სიღრმიდანაცო. ეს იყო დეას საუცხოო ხმა და იმავე დროს ხმა წამებული ადამიანისა.

ის, რაც გუინპლენმა დღემდე გამოსცადა, უცბად დავიწყებას მიეცა. ლაპარაკობდა მისი ანგელოზი; ასე ეგონა, რომ საიდანღაც, ცხოვრების ფარგლებს იქიდან მოესმოდა ეს სიტყვები. სიტყვები ერთგვარი სანეტარო თავდავიწყების კილოთი თქმული. დეა ამბობდა:

— ის კარგად მოიქცა, რომ წავიდა. ეს ქვეყანა მისთვის არ იყო. მეც მას უნდა მივბაძო. მამავ, მე ავად არა ვარ; ყველაფერი გავიგონე, რასაც ამბობდი. მე კარგად ვარ. საუცხოოდ ვგრძნობ თავს. შეძინა. მამი, მე ბედნიერი ვიქნები.

— ჩემო ბავშვო, რა გინდა მაგითი თქვა? — ჰკითხა დაღონებულმა ურსუსმა.

— მამი, შენ ნუ დარდობ, — უპასუხა დეამ.

სიჩუმე ჩამოვარდა, ალბათ დეამ სული მოითქვა, მერე კვლავ გაისმა ნელი ხმა:

— გუინპლენი აღარ არის, ახლა მე ნამდვილი ბრმა ვარ; უწინ არ ვიცოდი რა იყო ღამე, ღამე იგივე განშორებაა.

ხმა ისევ შეწყდა. შემდეგ კვლავ აწკრიალდა:

— მე ყოველთვის ვშიშობდი, რომ ის გაფრინდებოდა. ვიცოდი, რომ ის მე ციდან მომევლინა. და, აჰა, გაქრა კიდევაც. ეს მოსალოდნელი იყო. სული ფრინველივით გაფრინდება. მაგრამ სულის ბუდე სიღრმეშია; იქ, სადაც დაფარულია დიდი ანდამატი, რომელიც ყველაფერს იზიდავს. მე კარგად ვიცი, სად შეიძლება გუინპლენის ჰოვნა. დამიჯერე, მე მივაგნებ მას. მამი, ის იქ არის; მერე თქვენც იქ, ჩვენთან მოხვალთ და ჰომოც ჩვენთან მოვა.

ჰომომ გაიგონა თუ არა თავისი სახელი, კუდი ოდნავ დაატყაპუნა ბაქანზე.

ხმა განაგრძობდა:

— მამი, თქვენ ხომ გესმით, ყველაფერი მაშინ გათავდა, რაც გუინპლენი გაქრა. მე რომ კიდევაც მოვინდომო, აქ დამრჩენი მაინც

არა ვარ. უპაეროდ როგორ გავძლებ. რაც არ შეიძლება, არ შეიძლება. როცა გუინპლენი ჩემთან იყო, მე ვცოცხლობდი, ეს ისე უბრალოდ ხდებოდა, ბუნებრივად. ახლა გუინპლენი აღარ არის და მე ვკვდები. ან ის უნდა დაბრუნდეს, ან არადა მე უნდა მოვკვდე. მაგრამ რაკი ის ველარ დაბრუნდება, მე თვითონ მივდივარ, კარგია სიკვდილი. სულაც არ არის საშიში. ის, რაც აქ ქრება, იქ ხელახლა ენთება. ცოცხალი გრძნობ, როგორ გეკუმშება გული ტკივილისაგან. ხომ არ შეიძლება დაუსრულებლივ იტანჯოს ადამიანი. და აი, ამიტომ ადამიანები, როგორც თქვენ იტყვით ხოლმე, ვარსკვლავებთან მიდიან; იქ ქორწინდებიან, არასოდეს შორდებიან ერთმანეთს და უყვართ ერთმანეთი. სწორედ ეს არის სასუფეველი ცათა შინა.

— კარგი, ნუ ღელავ ასე, — უთხრა ურსუსმა.

ხმა განაგრძობდა:

— შარშან გაზაფხულზე ჩვენ ერთად ვიყავით. ბედნიერები ვიყავით, მაგრამ ახლა!.. მე აღარ მახსოვს, მაშინ სად ვიყავით, სადღაც პატარა ქალაქში. იქ ფოთლები შრიალებდნენ და მე მესმოდა, როგორ გალობდნენ კიოტები. მერე ჩვენ ლონდონში მოვედით და ყველაფერი შეიცვალა. მე არ კი ვაყვედრი ვინმეს. ახალ ადგილზე ვინ იცის, რა დაგემართება. გახსოვთ, მამი, ერთ საღამოს დიდ საავარძელში რომ ქალი იჯდა, თქვენ თქვით, ის ჰერცოგის ასულიაო. მე მაშინ ძალიან დავღონდი. ჩემი ფიქრით, უკეთესი იქნებოდა დიდ ქალაქს მოვრიდებოდით. მაგრამ გუინპლენი კარგად მოიქცა. ახლა ჩემი ჯერია. თქვენ ხომ მიამბობდით, რომ დედაჩემი მოკვდა, როცა მე სულ პატარა ვიყავი, რომ მე მიწაზე ვეგდე, ზედ მათოვდა და რომ გუინპლენიც მაშინ ბავშვი იყო და სულ მარტოდმარტომ ამიყვანა, თქვენთან მომიყვანა და სიკვდილს გადამარჩინა. მაშ, ნუ გიკვირთ, რომ დღეს მე თქვენ უნდა მიგატოვოთ და საფლავში ჩავიდე, უნდა გავიგო გუინპლენი იქ არის თუ არა. ერთადერთი ჩვენ, რაც ცოცხლებს გვაქვს, ეს გულია. ხოლო როდესაც სიცოცხლე დასრულდება, მაშინ სულიღა რჩება ადამიანისაგან. მამი, ხომ კარგად გესმით რასაც ვამბობ? ეს რა ტორტმანებს? მე ისე მეჩვენება, თითქოს ჩვენი სახლი მოძრაობს. მაგრამ გორგოლების რახრახი რომ არ მესმის!

ცოტაოდენი დუმილის შემდეგ დეას ხმა ისევ გაისმა:

— მე კარგად ვერ ვარჩევ გუშინდელსა და დღევანდელ დღეს.

არცა ვჩივი. მე არ ვიცი რა მოხდა, მაგრამ რალაც ცვლილებას ვგრძნობ, — ეს სიტყვები ღრმა მწუხარებით იყო წარმოთქმული. გუინპლენს კენესა მოესმა.

— თუკი გუინპლენი არ დაბრუნდება, მე უნდა წავიდე.

დალურემილმა ურსუსმა თავისთვის წაიბურდღუნა:

— მე არა მჯერა, რომ იმ ქვეყნიდან ვინმე ბრუნდებოდეს.

და განაგრძო:

— ეს ხომალდია. შენა მკითხე, სახლი რად ინძრევაო? სახლი კი არა, ჩვენ ხომალდით მივცურავთ და ის ქანაობს. დაწყნარდი, ბევრი ლაპარაკი გაწყენს. თუ ცოტათი მაინც გიყვარს შენი მამა, ჩემო გოგონა, ჩემო შვილიკო, ნუ ღელავ, თორემ სიცხე აგიწევს. მოხუცი ვარ, შენს ავადმყოფობას ვერ ავიტან. მე მაინც შემიბრალე. მღელვარებით უფრო მეტად ნუ გაირთულებ ავადმყოფობას.

დეას ხმა ისევ აწკრიალდა:

— რისთვის ვეძიო აქ, დედამიწაზე ის, რაც მხოლოდ ცაში შეიძლება ვიპოვო?

ურსუსი შეეკამათა, ცდილობდა მბრძანებლური კილოთი ელაპარაკა:

— დაშშვიდდი! ხანდახან სრულებით არა გაგეგება რა. წყნარად უნდა იწვე. თუ შენ დაშშვიდდები, მეც მშვიდად ვიჭნები. ჩემო ბავშვო, ცოტა ჩემზედაც იფიქრე. გუინპლენმა შენ გიპოვა, მაგრამ მე ხომ შეგიკედლე. შენს თავს არ ზოგავ. ეს ძალიან ცუდია. უნდა დაშშვიდდე და დაიძინო. ყველაფერი კარგად იქნება. პატიოსან სიტყვას გაძლევ, ყველაფერი კარგად იქნება. ამინდი მშვენიერია. თითქოს განგებ ჩვენთვის დაწყნარდა. ხვალ როტერდამში ვიქნებით. ეს ჰოლანდიის ქალაქია. ზედ მდინარე მაასის შესართავთან.

დეამ ისევ დაიწყო ლაპარაკი:

— მამი, ჩვენ ბაეშვობიდანვე ერთად ალვიზარდენით, ჩვენ ვერაფერი დაგვაშორებს. რაკი სხვა გამოსავალი არ არის, ისევ სიკვდილი სჯობს. მე თქვენ ძალიან მიყვარხართ, მაგრამ ვგრძნობ, რომ თქვენთან არა ვარ, თუმცა ჯერ არც იმასთანა ვარ.

— კარგი, დაძინება სცადე, — ურჩევდა ურსუსი.

დეას ხმა ისევ გაისმა:

— მე მალე დიდი, დიდი ხნით დავიძინებ.

ურსუსმა მღელვარებისგან მთრთოლარე ხმით უპასუხა:

— ხომ გეუბნები, ჰოლანდიაში მიედიეართ-მეთქი, ქალაქ როტერდაშში.

დეა განაგრძობდა:

— მამი, მე ავად არა ვარ. არც მაცხელებს, შენ ნუ ღელავ; მხოლოდ ცოტათი მცხელა, მეტი არაფერი.

ურსუსმა ისევ წაიბურტყუნა:

— მდინარე მაასის შესართავთან...

— მე კარგადა ვარ, მამი, მაგრამ ვგრძნობ, რომ ვკვდები.

— აბა, არა გრცხვენია, ასეთ სისულელეს რომ ამბობ! — წაიბუზღუნა ურსუსმა.

და დაუმატა:

— ღმერთო, ოღონდ კი არაფერმა არ ააღელვოს.

დუმილი ჩამოვარდა.

უცბად ურსუსმა შეჰკივლა:

— რასა შვრები? რათა დგები ლოგინიდან? გეხვეწები, დაწექი ისევ!

გუინპლენი შეკრთა და საზიდრისკენ გაიხედა.

III

სამოთხე ხელახლა მოპოვებული ქვეყანასა ზედა

გუინპლენმა დეა დაინახა. ქალი ნაალზე მთელი ტანით ამართულიყო. მას გრძელი, თეთრი კაბა ეცვა. თავიდან ფეხებამდე შეკრული, მხოლოდ მხრები და ნაზი ყელი მოუჩანდა. სახელოები იდაყვის ქვემოთ ეშვებოდნენ. კაბის ნაკეცები ფეხის ტერფებს უფარავდა. ხელის მტევნებზე ცისფერი ძარღვების ზოლები მოუჩანდა. ძარღვები ციებ-ცხელებისაგან ამობურცვოდა. ყმაწვილი ქალი არ ირხეოდა, მაგრამ მთლად კანკალებდა და ცახცახებდა, როგორც ლერწამი. ფარანი მას ქვემოდან აშუქებდა. ქალის პირისახეს ენით გამოუთქმელი სიმშვენიერე მოჰფენოდა. გაშლილი თმა მხრებზე ეფინა, ღაწვებზე არც ერთი ცრემლი არ ჩამოჰგორებია, მაგრამ თვალებში ცეცხლი უელავდა. სახეზე ისეთი მკრთალი ფერი გადაჰკვროდა, თითქოს ღვთაებრივი სიცოცხლის ანარეკლი ეხატებაო. მისი წვრილი, ნარნარი წელი, თითქოს კაბასთან ერთად

განუშორებელიაო. ახლა ოდნავ ირწეოდა, როგორც ცეცხლის ალი ნაკუწი. იმავე დროს იგრძნობოდა, რომ იგი უკვე ლანდი ხდებოდა. ფართოდ გაღებული თვალები ნაპერწკლებს აკვესებდნენ. ქალი უბედურ მოჩვენებას ჰგავდა. სულსა ჰგავდა, განთიადის ცისკარზე გაღვიძებულს.

გუინპლენისკენ ზურგშექცეულმა ურსუსმა შიშით ხელები ზეცისკენ აღაპყრო და ტაში შემოკრა.

— ჩემო გოგონა! ო, ღმერთო ჩემო, ახლა ბოდვა დაეწყო; აი, ახსა მეშინოდა. ოდნავი შერყევაც კი ბოლოს მოუღებს, ან არადა გააგიჟებს. ან სიკვდილი, ან გაგიჟება, რა ექნა, ღმერთო ჩემო? დაწექი, შვილიკო!

მაგრამ დეამ ისევ დაიწყო ლაპარაკი. მისი ხმა ოდნავ ისმოდა, თითქოს რომელიღაც ღრუბელი უკვე აშორებდა მას დედამიწისაგან.

— მამი, თქვენ ცდებით, მე არ ვბოდავ. მე შშვენივრად მესმის გულაფერი, რასაც ლაპარაკობთ. თქვენ ამბობთ, რომ ბევრი ხანი შეკრიბა. საზოგადოება გველის და რომ მე ამ სალამოს უნდა ვითამაშო. თანახმა ვარ. ხომ ხედავთ, მე სრულ გონზე ვარ. მაგრამ არ ვიცი, ახლა როგორ მოვიქცე; მე ხომ მოვკვდი, გუინპლენიც მკვდა. მაგრამ სულერთია, მე მოვდივარ. შზადა ვარ, ვითამაშებ. აი, მე უკვე შზადა ვარ, მაგრამ გუინპლენი რომ არსადა ჩანს.

— ჩემო შვილო, გამიგონე, დაწექი ისევ ლოგინზე, — გაუმეორა ურსუსმა.

— ის აღარ არის, ის აღარ არის! ო, როგორ ბნელა.

— ბნელაო, დეასგან პირველად მესმის ეს სიტყვა, — წაიბურტყუნა ურსუსმა.

გუინპლენი უხმაუროდ შეიპარა საზიდარში, თავისი სასცენო ტანსაცმელი და გულსაფარი ჩამოიღო. ჩაიცვა, გამოვიდა ბაქანზე, რომელიც აქამდე ბალაგანს ეფარებოდა.

დეა ტუჩებს ოდნავ ამოძრავებდა, რალაცას ტიტინებდა. მისი ტიტინი ნელ-ნელა მელოდიაში გადავიდა. მან სიმღერა წამოიწყო; ხან ჩუმდებოდა, ხან კი ისევ ბოდვას იწყებდა. ეს იყო იდუმალი მოწოდება, ძახილი, რომლითაც რამდენიმეჯერ მიუმართავს გუინპლენისათვის „დამარცხებული ქაოსის“ თამაშის დროს. მისი სიმღერა გარკვევით არ ისმოდა და ფუტკრის ბზუილს ჰგავდა.

სიმღერა შეწყვიტა და ისევ ალაპარაკდა:

— არა, მე არ მოვმკვდარვარ. აბა რას ვამბობდი? ეჰ, მე ცოცხალი ვარ, ის კი მკვდარია. ის წავიდა, მე კი აქ დავრჩი. ის ცაშია, მე დედამიწაზე. არც მისი ხმა მესმის, არც მისი ნაბიჯები. ღმერთმა ჩვენ დედამიწაზე მოკლე ხანს გვამყოფა სამოთხეში, მერე კი წაგვართვა ეს ბედნიერება! ყველაფერი დასრულდა. მე ველარასოდეს შევეხები მას ხელით, ვერასოდეს. მე ველარ გავიგონებ მის ხმას.

დეამ ისევ სიმღერა წამოიწყო.

შემდეგ ხელები გაშალა, თითქოს დასაყრდენს ეძებსო.

გუინპლენი სიბნელიდან გამოვიდა. შიშისგან გაქვავებული ურსუსის გვერდით გაჩნდა და დეას წინ დაიჩოქა.

დეა განაგრძობდა:

— ვერასოდეს, ვერასოდეს მე მას ველარ ვიხილავ!

ნახევრად ბურუსით მოცულმა დეამ ისევ სიმღერა განაგრძო.

უცბად ძვირფასი ხმა შემოესმა საპასუხოდ:

მოდი, მომიახლოვდი,
გელოდება სიყვარული,
მოდი, მომიახლოვდი,
შენ სული ხარ, მე კი გული.

დეამ გუინპლენს ხელები დაადო თავზე და კივილი აღმოხდა, რაც აუწერელი სინარნარით ჟღერდა:

— გუინპლენ!

მისი გაფითრებული სახე თითქოს ვარსკვლავებმა გააშუქაო და შექანდა.

გუინპლენმა ხელები შეაშველა და აიტაცა.

— ცოცხალია! — იყვირა ურსუსმა.

დეამ ისევ შესძახა:

— გუინპლენ!

თვით გუინპლენის ლოყაზე მიერდნობილმა დეამ წაიჩურჩულა:

— შენ ისევ ძირს ჩამოეშვი. მადლობელი ვარ, მადლობელი.

დეა გუინპლენმა მუხლებზე დაისვა და გულში ჩაიკრა. ქალი თავის ბრმა, მაგრამ სხივოსან თვალებს ვაჟს არ აშორებდა, თითქოს ხედავსო.

— ეს შენა ხარ? — წაიჩურჩულა ძლივს გასაგებად.

გუინპლენმა დაუკოცნა კაბის კალთა. ხანდახან სიტყვა, კვნესა

და ქვითინი ერთ განუყრელ მთლიანს შეადგენენ. მათში შეჯულებულია და ერთდროულად გამოიხატება აღტაცებაც და მწუხარებაც. მათ თითქოს არავითარი აზრი არა აქვთ და ამავე დროს ყველაფერზე მეტყველებენ.

— ჰო, მე ვარ! მე ვარ! გუინპლენი ვარ. შენ კიდევ ჩემი სული ხარ, გესმის! ეს მე ვარ, ჩემო პატიოსანო, ჩემო მეუღლევ, ჩემო ვარსკვლავო, ჩემო სუნთქვავ! შენ ჩემი მარადიულობა ხარ! მე ვარ, აქა ვარ! აი მე გეხვევი. ცოცხალი ვარ! შენი ვარ. ო, თავის მოკვლას როგორ ვფიქრობდი. ერთი წუთიც და ჰომო რომ არ ყოფილიყო... მე ამას მერე გიამბობ რა ახლო ხვდება სიხარული სასოწარკვეთილებას! უნდა ვიცოცხლოთ, დეა! დეა, მაპატიე! მე შენი ვარ, შენი სამუდამოდ. შენ მართალი ხარ. აბა შუბლზე შემეხე, დარწმუნდი, რომ მე ვარ. შენ რომ იცოდე... მაგრამ ახლა ჩვენ ველარაფერი დაგვაშორებს. მე ჯურღმულიდან ამოვედი და ცამდე ვმაღლდები. შენ ამბობ, რომ მე ციდან ჩამოვეშვი, არა, მე ახლა ვმაღლდები. აი, მე ისევ შენთანა ვარ სამუდამოდ. გესმის? ერთად სამუდამოდ. ჩვენ ერთად ვართ! ვინ იფიქრებდა! ჩვენ ისევ ვიპოვეთ ერთმანეთი. ყველა უსიამოვნებას ბოლო მოეღო. მომავალში მხოლოდ ვინეტარებთ. ჩვენ ისევ ბედნიერად ვიცხოვრებთ და ჩვენი სამოთხის კარს ისე მაგრად დავხურავთ, რომ ვერავითარმა მწუხარებამ ველარ შეაღწიოს. მე შენ ყველაფერს გიამბობ. გაგიკვირდება. ხომალდი უკვე მოსცილდა ნაპირს. ვერავინ მას ახლა ველარ შეაჩერებს. ჩვენ ახლა გზას ვადგავართ და თავისუფლები ვართ. ჰოლანდიაში მივდივართ. იქ ჯვარს დავიწერთ. მე არ მეშინია. საცხოვრებელ საშუალებას გავაჩენ. ვინ დამიშლის, ვის შეუძლია დამიშალოს. ჩვენ ახლა აღარა გვემუქრება რა. აღარაფერი ხიფათი არ გველის. შენ ჩემი სათაყვანებელი ხარ.

— შენი აღგზნება მოთოკე! — ჩაიბურძღუნა ურსუსმა.

დეა მთლად კანკალებდა; მან მთრთოლარე ხელი გუინპლენს სახეზე გადაუსვა. გუინპლენმა იგრძნო დეას ცივური შეხება და გაიგონა კიდეც მისი ჩურჩული.

— ასეთი სახე ღმერთს უნდა ჰქონდეს.

შემდეგ მის ტანსაცმელს შეეხო.

— გულსაფარი, ქურთუკი, არაფერი შეცვლილა, — წარმოთქვა მან.

ურსუსი შეცბუნებული და სიხარულისგან თავგზააბნეული იცინოდა, ცრემლებსა ღვრიდა და თან თავისთვის ლაპარაკობდა:

— არაფერი მესმის. მთლად გამოვჩერჩეტდი. მე ხომ ჩემი თვალითა ვნახე, რომ სასაფლაოზე კუბოთი მიასვენებდნენ! ვიცინი კიდევაც და ვტირი კიდევაც. ამის მეტი რაღა შემიძლია. ისე გავსულელდი, თითქოს მე თვითონ ვიყო შეყვარებული. დიახ, მართლაც შეყვარებული ვარ. ორივე ესენი გაგიჟებით მიყვარს. ო, ბებერო, ჩერჩეტო, ასეთი დიდი მღელვარება ხომ აწყენს დეას. სწორედ ამისი მეშინოდა... არა, სწორედ ის არის, რაც მინდოდა. გუინპლენ, გაუფრთხილდი დეას! თუმცა დაე, კოცნონ ერთმანეთი; მე რა მესაქმება. მე მხოლოდ შემთხვევითი მოწმე ვარ. რა უცნაური გრძნობაა! რა პარაზიტი ვარ, რომ სხვისი ბედნიერებით ვსარგებლობ. აქ არაფერ შუაში ვარ, მაგრამ ისე მეჩვენება, რომ მეც ხელი შევუწყე ამათ ბედნიერებას. დამილოცნიხართ, ჩემო შვილებო!

იმ დროს, როდესაც ურსუსი თავისთვის ლაპარაკობდა, გუინპლენი დეას ებაასებოდა.

— შენ მეტად მშვენიერი ხარ დეა. არ ვიცი, სადა მქონდა ჭკუა ამ დღეებში? შენ გარდა ამ ქვეყნად ჩემთვის არავინ არის. მე შენ ისევ შეგყურებ და თვალებს არ ვუჯერებ. ამ ხომალდზე! მაგრამ, ამიხსენი, რა დაგატყდათ თავს? აჰ, აქამდე მიგიყვანეს! „მწვანე ყუთი“ სადღაა? გაგძარცვეს? განდევნა მოგისაჯეს? რა სიძდაბლეა! ო, მე შურს ვიძიებ, სამაგიეროს მივუზღავ მათ, დეა! მათ ჩემთან ექნებათ საქმე. მე ხომ ინგლისის პერი ვარ.

ურსუსი, თითქოს თავში კომბალი ჩაარტყესო უკანასკნელი სიტყვები რომ გაიგონა, უკუდგა და გუინპლენს ყურადღებით დააკვირდა.

— რომ არ მომკვდარა ეს ცხადია, მაგრამ, მგონი, ჭკუაზე კი შემცდარა.

და უნდობლად ყური გაიმახვილა.

გუინპლენი განაგრძობდა:

— დამშვიდდი, დეა, მე საჩივარს აღვძრავ ლორდთა პალატაში.

ურსუსი ერთი კიდევ ჩააშტერდა გუინპლენსა და შუბლზე თითი მიიკაკუნა.

შემდეგ, ეტყობოდა, რაღაც გადაწყვეტილება მიიღო და ჩაიდუდუნა:

— სულერთია, ამით საქმეს არა ეშველება რა. იყავი ჭკუაზე შეშლილი, თუკი შენ ასე მოგწონს, ჩემო გუინპლენ. ამის უფლება ყველა ჩვენგანს აქვს. ყოველ შემთხვევაში, მე ბედნიერი ვარ, რომ დაბრუნდი, მაგრამ ეგ შენი სიტყვები რას ნიშნავს?

ხომალდი მსუბუქად და სწრაფად მიარღვევდა ტალღებს. სულ უფრო და უფრო ჩამობნელდა. ოკეანიდან წამოსული ნისლი უქარობის გამო ზევით მიიწევდა და ცას ჰბურავდა, შუა ზენიტზე იკრიბებოდა. ცაზე მხოლოდ რამდენიმე დიდი ვარსკვლავი შეინიშნებოდა, მაგრამ ისინიც ჩაქრნენ. და გემბანზე მყოფ ადამიანებს მშვიდი, უსაზღვრო შავი ცა დაჰყურებდა. მდინარე თანდათან უფრო განიერდებოდა. ნაპირები ბნელ, ვიწრო ზოლად მისდევდა და თითქოს გარემო სიბნელესთან ერთიანდებოდა. ღამე ღრმა სიწყნარით სუნთქავდა. გუინპლენი ჩამოჯდა. დეასთვის ხელი გადაეხვია და ელაპარაკებოდა. ისინი ტიტინებდნენ, ჩურჩულებდნენ. ეს იყო დაუკავშირებელი, აღელვებული დიალოგი. ო, სიხარულო, რა სიტყვებით აიწერება!

— ჩემო სიცოცხლევ!

— ჩემო ზეცავ!

— ჩემო სიყვარულო!

— ჩემო ბედნიერებავ!

— გუინპლენ!

— დეა, მე მთვრალი ვარ შენით. მომეცი ფეხები, გაკოცო.

— მაშ ეს შენა ხარ?

— სათქმელი ისე ბევრი მაქვს, არ ვიცი, საიდან დავიწყო.

— მაკოცე!

— ჩემო ცოლო!

— ნუ მეუბნები, გუინპლენ, მოხდენილი ხარო. არა, შენა ხარ ასეთი ლამაზი.

— ისევ გიპოვე. აი, გულში გიხუტებ. დიახ, შენ ჩემი ხარ. ეს ზმანება არ არის. შენ ჩემთანა ხარ, ნუთუ ეს შესაძლებელია. დიახ, მე ისევ ცხოვრებას ვუბრუნდები. შენ რომ იცოდე, რა არ გამოვცადე, დეა!

— გუინპლენ!

— ო, მე მიყვარხარ!

ხოლო ურსუსი თავისთვის ჩურჩულებდა:

— მე ისე მიხარია, როგორც პაპას.

ჰომო საზიდრის ქვეშიდან გამოძვრა, უხმაუროდ, ნელა ხან ერთთან მივიდოდა, ხან მეორესთან. თუმცა არ ცდილობდა რომელიმე მათგანის ყურადღება მიეპყრო, ოღონდ ენით ლოკავდა ყველაფერს, რაც კი მოხვდებოდა: ლოკავდა ურსუსის უხეშ წაღებს, გუინპლენის ქურთუკს, დეას კაბას, ნაალს. იგი ასე გამოხატავდა სიყვარულს.

გაიარეს, გასცილდნენ ჩეთემსა და მედუსის შესართავს. ზღვას უახლოვდებოდნენ. შავად გაშლილი მდინარე იმდენად მშვიდი იყო, რომ შხუნა, ქვევით, თეშზის დინებისაკენ მიმდინარე, არ საჭიროებდა აფრების გაჭიმვას, არც მატროსები გამოჩენილან გემბანზე. ხომალდის პატრონი წინანდებურად საჭესთან იდგა და შხუნას მართავდა. მის გარდა კიჩოზე არავინ იყო. ხომალდის წინამოზე, — ცხვირზე ფარანი აშუქებდა, — ერთი მუჭა ბედნიერი ადამიანები, მოულოდნელად ისევ შეხვედროდნენ ერთმანეთს, რომ მწუხარების მორევში ხელახლა განეცადათ ნეტარება.

IV

არა, ცათა შინა

უცბად დეა წამოდგა, გუინპლენისგან თავი გაითავისუფლა, ორივე ხელი გულზე მიიბჯინა, თითქოს გულის აძგერებული ცემა უნდა შეანელოსო და თქვა:

— რა დამემართა? სუნთქვა მიჭირს. მაგრამ ეს არაფერია, ალბათ სიხარულისგან მომივიდა. კარგია. მე შენმა გამოჩენამ ღონე გამომილია, გუინპლენ. უეცარმა ბედნიერებამ მომთენთა. რა კარგია ცა, ჩვენს გულს რომ ეხმაურება? უშენოდ მე ვგრძნობდი, რომ უნდა მოვმკვდარიყავი; შენ დამიბრუნე სიცოცხლე, თითქოს რაღაც მძიმე ფარდა გადაიხსნაო. ვიგრძენი, რომ ჩემს გულში სიცოცხლე ნიაღვარივით შემოიჭრა, მჩქეფარე სიცოცხლე, მღელვარებითა და აღტაცებით სავსე. რა კარგია ის სიცოცხლე, რომელიც შენ გამიღვიძე. იგი ტკივილსაც კი იწვევს ჩემში. თითქოს ჩემი სული ისე ფართოვდება, რომ სხეულში აღარ მეტევა. ეს იმიტომ, რომ სიამე მიპყრობს. თითქოს ფრთები შემესხა. მე ვგრძნობ, როგორ ფარფა-

ქალს ჩემი ფრთები. ცოტა არ იყოს, შიში მიპყრობს, მაგრამ ძალიან
ცნობისმოყვარე ვარ. შენ მე მკვდრეთით აღმადგინე, გუინპლენ!
დეას სახეზე ალმურმა გადაკრა. შემდეგ გაფითრდა. მერე ისევ
შეუკვლა ლოყები და უცბად მოცელილივით დაეშვა ძირს.
— ვაჰმე, შენ მოკალი ეს ქალი! — წარმოთქვა ურსუსმა.
გუინპლენმა ხელები გაიწოდა დეასაკენ. რა საშინელი შეძრწუ-
ნება! უმწვერვალესი ნეტარებიდან ღრმა სასოწარკვეთილებაში
გადახვლა. გუინპლენი ალბათ თვითონაც წაიქცეოდა, რომ დეას არ
ეხმარებოდა. იგი მთლად კანკალებდა.
— დეა, რა დაგემართა?
— არაფერი, გუინპლენ, მე შენ მიყვარხარ! — უპასუხა დემ.
ღონეხდილი დეა გუინპლენს ხელებზე გადაეწვინა. მას უღო-
ნოდ ჩამოეშვა მკლავები.
გუინპლენმა და ურსუსმა ქალი ნაალზე დააწვინეს.
დემ მისუსტებული ხმით წარმოთქვა:
— მწოლიარეს სუნთქვა მიჭირს.
გუინპლენმა და ურსუსმა დეა წამოსვეს.
ურსუსმა ჰკითხა:
— ბალიში მოგიტანო?
ქალმა უპასუხა:
— რად მინდა? მე ხომ გუინპლენი მყავს.
და იგი თავით გუინპლენის თავს მიეყრდნო. ვაჟის თვალებში
დაბნეულობა და სასოწარკვეთილება იხატებოდა.
— ოჰ, რა კარგად ვგრძნობ თავს! — წარმოთქვა დემ.
ურსუსმა მაჯა გაუსინჯა და პულსის ცემას თვლიდა. მას არც
თავი გაუქნევია, არც ხმა ამოულია, რას ფიქრობდა იგი? მშვენი-
ერად შეიძლებოდა მიხვედრა, თვალებს ისე სწრაფად ახამხამებდა,
თითქოს ცრემლების შეკავებას ცდილობსო.
— რა ემართება? — შეეკითხა გუინპლენი. ურსუსმა ყური დეას
მარცხენა გვერდს მიადო.
გუინპლენმა მოუთმენლად გაუმეორა შეკითხვა და ათრთოლე-
ბული ელოდა პასუხს.
ურსუსი საშინლად გაფითრებულიყო; მან გუინპლენს შეხედა,
მერე დეას და თქვა:
— ჩვენ ალბათ კენტერბერის სიმაღლეზე ვიმყოფებით, აქედან

გრევსენდამდე დიდი მანძილი არ არის. წყნარი ამინდი მთელ ღამეს გასტანს. ზღვაზე ჩვენ თავდასხმისა არ უნდა გვეშინოდეს; იმიტომ, რომ მთელი სამხედრო ფლოტი ესპანეთის სანაპიროებზე დაცურავს. ჩვენი იქ გადასვლა და გრევსენდში მისვლა სრულიად მშვიდობიანად მოხდება.

გონებამიხდილი დეა წელში იხრებოდა. სულ უფრო მეტად ფითრდებოდა და აკანკალებული ხელებით კაბის კალთებს ჭმუჭნიდა. რალაც სიტყვით გამოუთქმელ ფიქრებში წასულიყო. მან ღრმად ამოიოხრა.

— მე მესმის ახლა, რაც მემართება. ვკვდები.

გუინპლენი თავზარდაცემული წამოიჭრა. ურსუსმა დეას მიაშველა ხელი.

— კვდები? შენა კვდები? არა, ეს შეუძლებელია! შენ არ მოკვდები. ახლა უნდა მოკვდე? ამ წუთში უნდა მოკვდე? ეს შეუძლებელია! ღმერთი ასე სასტიკი არ არის; იმიტომ დამიბრუნა შენი თავი, რომ ასე მალე წამართვას? არა, ეს უაზრობაა. ნუთუ ღმერთს უნდა, რომ მის არსებობაში დავეჭვდეთ! მაშ თუ ასეა, ყველაფერი ტყუილი ყოფილა: მიწა, ცა, ბავშვის აკვანი, დედის ძუძუ, ადამიანის გული, სიყვარული, ვარსკვლავები! აბა ეს რა არის? მაშ ღმერთი ცბიერი, მატყუარა ყოფილა და ადამიანი კიდევ მოტყუებული, უგუნური. მაშ ქვეყნად აღარაფერი ყოფილა სარწმუნო. მაშ უნდა დაიწყეველოს მთელი ქვეყანა. ყველაფერი უფსკრული ყოფილა! შენ თვითონ არ იცი, რას ამბობ, დეა! შენ უნდა იცოცხლო! მე მინდა, რომ შენ იცოცხლო! უნდა დამიჯერო; მე შენი ქმარი ვარ და გამიგონე: ნებას არ მოგცემ, რომ მიღალატო. ოი, ზეცაო! ზეცაო! ო, უბედურო ადამიანო! არა, ეს შეუძლებელია! ნუთუ მე ვიცოცხლებ შენს მერე? ეს ისეთი საზარელი რამ იქნება, რომ თვით შზეც უნდა ჩაქრეს. დეა, დეა, გონს მოდი! ეგ ტკივილი ალბათ მალე გაგივლის, ახლავე გაგივლის; ადამიანს ხან თრთოლა აიტანს, მაგრამ მალე გაუვლის ხოლმე. მე მინდა, რომ შენ კარგად იყო, ჯანმრთელად, აღარ იტანჯებოდე. მაშ, შენ უნდა მოკვდე? განა რა დაგიშავე ასეთი? მე გონსა ვკარგავ! აბა რა მიზეზით მტოვებ! რა უსამართლო იქნება ჩვენი დაშორება! განა რა დანაშაული მიმძიმს შენთან? შენ ხომ მაპატიე... შენ ხომ არ გინდა, რომ მე სასოწარკვეთილებაში ჩავვარდე, ან ბოროტმოქმედი გავხდე? ან გახელებული გიჟი და

ყველასაგან განკიცხული ვიყო? დეა, გეყვედრები, გაფიცებ, გთხოვ, რე. ნუ მოკვდები!

გუინპლენმა თმებში ხელი იტაცა, შიშნაკრავს ცრემლები ახრჩობდა. იგი დეას წინ მუხლებზე დაეცა.

— ჩემო გუინპლენ, განა ჩემი ბრალია, რომ ვკვდები; მე დამნაშავე არა ვარ, არა.

ქალს ბაგეებზე ვარდისფერი დუჟი მოადგა, ურსუსმა კაბის კალთით მოსწმინდა. გუინპლენი პირქვე დამხობილიყო. ვეღარაფერს ხედავდა, დეას ფეხებზე ეხვეოდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ბუტბუტებდა, დეას ეხვეწებოდა:

— ხომ გეუბნები, მე არ მინდა, რომ მოკვდე! მე ვერ ავიტან შენს სიკვდილს. მაშ ერთად დავიხოცოთ. შენ გინდა, მოკვდე, დეა? მე ამას ვერასოდეს შევურიგდები. ჩემო ღვთაებავ! ჩემო სიყვარულო! არ გესმის? მე აქა ვარ, შენთან ვარ. გეფიცები, შენ იცოცხლებ. როგორ თუ მოკვდები? მაშ შენ ვერ წარმოგიდგენია, რა დამემართება შენი სიკვდილის მერე; რომ იცოდე, როგორ საჭირო ხარ ჩემთვის, შენი სიკვდილი არ შეიძლება. დეა, მე ხომ შენ გარდა არავინა მყავს. მე ისეთი უჩვეულო რამ გადამხდა თავს. წარმოიდგინე, მე ახლახან, სულ რამდენიმე საათში მთელი ცხოვრება გამოვიარე. დავრწმუნდი, რომ ქვეყანა არაფერი არ არის. მხოლოდ შენ არსებობ. უშენოდ მთელ ქვეყანას ჩემთვის არაეითარი აზრი არა აქვს. დარჩი, ნუ გამეცლები. შემიბრალე! იცოცხლე, თუ მე გიყვარვარ, იცოცხლე. განა იმიტომ გიპოვე, რომ ასე მალე დამტოვო? ო, ღმერთო, როგორ ვიტანჯები! ჩემზე გაჯავრებული ხომ არა ხარ? ხომ იცი, არ შემეძლო არ წავსულიყავი, როდესაც კვერთხისმტვირთველი გამოცხადდა ჩემს წასაყვანად. აი, ნახავ, რომ ახლავე გულზე მოგეშვება, თავისუფლად ისუნთქებ. დეა, უკვე ვველაფერმა გაიარა, ჩვენ ბედნიერები ვიქნებით. სასოწარკვეთილებაში ნუ ჩამაგდებ. დეა, მე ხომ შენთვის ცუდი არაფერი შემიმთხვევია!

ეს სიტყვები გუინპლენს არ უთქვამს, ქვითინით ალმოხდა. აქ შეწუხარებაც იყო და აღშფოთებაც. გუინპლენს გულიდან ისეთი შაბრალისი კენესა აღმოხდა, რომ მტრედსაც კი მიიზიდავდა და ისეთი ველური გმინვა, რომ ლომსაც შეზარავდა. დეას ხმა თანდათან უსუსტდებოდა, ძლივს ისმოდა. იგი გუინპლენს ძლივს პასუხობდა და თითქმის ყოველ სიტყვაზე ჩერდებოდა.

— ნუ ამბობ მაგას, ჩემო სასურველო; მე მჯერა, რომ ჩემს გადასარჩენად არაფერს დაიშურებდი. ერთი საათის წინ მე სიკვდილი მინდოდა, მაგრამ ახლა ძალიან მინდა სიცოცხლე! გუინპლენ, ჩემო სათაყვანებელო! რა ბედნიერები ვიყავით! ღმერთმა გამომიგზავნა შენი თავი და ახლა კიდევ ჩემს თავს გართმევს. მე მიყვარხარ, „მწვანე ყუთი“ ხომ არ დაგავიწყდება, გუინპლენ? არც შენი საბრალო, ბრმა დეა, ხომ? ჩემი სიმღერა გაიხსენე ხოლმე. ჩემი ხმის ბგერა არ დაივიწყო. „მიყვარხარ!“ — ასე გეუბნებოდი ხოლმე, მოიგონე, ღამით ძილში ისევ გეტყვი, მიყვარხარ-მეთქი, გუინპლენ. ჩვენ ისევ ვიპოვეთ ერთმანეთი, მაგრამ ეს უსაზღვრო სიხარული დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. მე პირველი მივდივარ ამ ქვეყნიდან, ახეთია ნება განგებისა. ძალიან მიყვარს ჩვენი მამა ურსუსი და ძმა ჰომო. ყველანი კეთილები ხართ. აქ ჰაერი შეხუთულია. ფანჯარა გააღეთ! ჩემო გუინპლენ, ეს შენთვის არ მითქვამს, მაგრამ ერთხანს ძალიან ვეჭვიანობდი იმ ქალზე, ჩვენს წარმოდგენას, ვგონებ, შენი გულისათვის რომ დაესწრო. შენ, მგონი, არც კი იცი, ვისზე ვლაპარაკობ; ხომ ასეა? ხელებზე დამახურეთ რამე, ცოტა მცივა. მაგრამ ფები და ვენუსი სად არიან? ბოლოს და ბოლოს ვრწმუნდები, რომ ყველანი მიყვარხართ. ვინც ჩვენი ბედნიერება ნახა, ისინი ჩვენც გვესიამოვნებიან. ვინც ჩვენი სიხარულის მოწმე იყო, ისინი ჩვენც აღარ გვეთმობა!.. რატომ დამთავრდა ყოველივე ეს? მე მაინც კარგად ვერ გამიგია, რა მოხდა ამ უკანასკნელ ორ დღეში? ახლა მე ვკვდები. ეს კაბა მეცვას. ამას რომ ვიცვამდი, ვიფიქრე, რომ ჩემი სუდარაც ეს იქნება-მეთქი. მე მინდა ეს კაბა საფლავში ჩამყვეს. ამ კაბას გუინპლენმა აკოცა... ოჰ, როგორ მინდა სიცოცხლე, რა კარგად ვცხოვრობდით ჩვენს პატარა საზიდარში! ვმღეროდით, ტაშს გვიკრავდნენ. ოჰ, ნეტა ერთმანეთს არასოდეს დავშორებოდით! მე ისე მეგონა, თითქოს ღრუბლებში დავნავარდობდით. ყველაფერში ვერკვეოდი; თუმცა ბრმა ვიყავი, დღეებსაც ვარჩევდი ერთმანეთისგან, ვიცოდი, დილა როდის თენდებოდა, იმიტომ, რომ გუინპლენის ხმა მესმოდა. მოსაღამოებასაც ვამჩნევდი, იმიტომ რომ გუინპლენს ვხედავდი სიზმრად. მე ვგრძნობდი, რომ გარს ნაზი და თბილი ღრუბელი მეკვლებოდა, ეს გუინპლენის სული იყო. რა დიდხანს გვიყვარდა ერთმანეთი. ყველაფერს ბოლო მოეღო. ვეღარც სიმღერებს გავიგონებ, ვაჰ, ნუთუ სიცოცხლე დასრულდა!? არ დამივიწყო, ჩემო საყვარელო!

დეას ხმა თანდათან უსუსტდებოდა. ცხადი იყო, რომ საცოცხლე უმოკლდებოდა. მას უკვე სული ეხუთებოდა, ჰაერი აღარ ჰყოფნიდა. თითები ეკრუნჩხებოდა, რაც უკანასკნელი წუთის მოახლოების ნიშანი იყო. ყმაწვილი ქალის სასიკვდილო ხრიალი უკვე ანგელოზს ფუჩუნად იქცა.

მან დაიჩურჩულა:

— ხომ არ დამივიწყებთ? რა სამწუხარო იქნება ისე მოკვდე, რომ არა მჯეროდეს, კვლავ ვინმე მომიგონებს-მეთქი. ხანდახან ებრაზობდი კიდეც, გთხოვთ მაპატიოთ. მე დარწმუნებული ვარ, ღვთის ნება რომ ყოფილიყო, ჩვენ ძალიან ბედნიერები ვიქნებოდით; ჩვენ ხომ ბევრს არაფერს ვითხოვდით; ასე არ არის, ჩემო გუინპლენ? საარსებო ლუკმას შრომით ვიშოვიდით და სადმე უცხო მხარეში დავსახლდებოდით, მაგრამ ღმერთმა არ ისურვა. მე არ ვიცი, რათა ვკვდები! ხომ არავისთვის მიწყენინებია, არ დამიჩიენია ჩემს სიბრძაეზე. დაე, სამუდამოდ სამუდამოდ ბრმა ვყოფილიყავ, გუინპლენ, ოღონდ შენ არ დაგშორებოდი. ოჰ, რა მწარეა, რა ძნელია შენთან დაშორება, გუინპლენ!

ნაწყვეტ-ნაწყვეტად სუნთქავდა და ძლივს ლაპარაკობდა; ხმა თანდათან უწყდებოდა და მისი სიტყვები ისე ქრებოდნენ, თითქოს სანთლების ალს ნიავმა წამოუქროლაო, სიტყვები თითქოს სულ აღარ ისმოდა.

დეა ჩურჩულებდა:

— გუინპლენ, ხომ არ დამივიწყებ? უნდა, მომიგონო ხოლმე, გუინპლენ, მოკვდები, გესმის!

და დაუმატა:

— ოჰ, აბა, დამიცავით, არ მინდა სიკვდილი!

— მოდი ჩემთან, რაც შეიძლება მალე; ღმერთთანაც კი უბედურიც ვიქნები უშენოდ. დიდხანს ნუ დამტოვებ მარტოკა, ჩემო კარგო გუინპლენ. სამოთხე აქ იყო, მიწაზე. იქ, ცაში, მაღლა, მხოლოდ ცა არის, ოჰ, სული მეხუთება, ჩემო კარგო! სასურველო ჩემო სასურველო!

— შემიბრალე! — შესძახა გუინპლენმა.

— მშვიდობით! — წაიჩურჩულა ქალმა.

— შემიბრალე! — გაიმეორა გუინპლენმა.

და ბავშვივით დაეწაფა დეას მშვენიერ, უკვე გაცივებულ ხელებს.

ერთ წამს ქალი თითქოს აღარ სუნთქავდა.

უცბად იდაყვებზე წამოიწია, თვალები აენთო და სახეზე საოცარმა ღიმილმა გადაურბინა.

მან უცბად წამოიძახა:

— სინათლეს ვხედავ, სინათლეს! — შესძახა დეამ.

მერე გულაღმა დაეცა, გაიჭიმა და ასე დარჩა უძრავად.

მოკვდა! — ამოიკვნესა ურსუსმა.

საბრალო მოხუცი, თითქოს სასოწარკვეთილებამ გასრისაო, აქვითინებული დეას ფეხებთან დამხობილიყო და სახე დეას გრძელი კაბის ნაკეცებში ჩაემალა. ერთხანს გრძნობადაკარგული იყო.

გუინპლენის შეხედვა შეზარავდა ადამიანს.

ის ზეზე წამოიჭრა, თავი ასწია და თვალი გაუსწორა უსახღვროდ ჩაშავებულ სივრცეს.

იმ წუთში, როდესაც მას არავინ არა ხედავდა, არ უყურებდა, ან იქნებ მხოლოდ იმ სიბნელეში მყოფი რომელიმე უხილავი არსება უთვალთვალებდა, — მან, გუინპლენმა, ხელები მაღლა აღმართა და წარმოთქვა:

— მოვდივარ! — წალასლასდა ბაქნის ნაპირისაკენ, თითქოს რაღაც მოჩვენება უხმობს თავისკენო.

მისგან რამდენიმე ნაბიჯზე უფსკრული გადაშლილიყო.

გუინპლენი ნელა მიიწევდა წინ, ისე, რომ დაბლა არც კი იხედებოდა. სახე ისევე ულიმოდა, როგორც დეას ულიმოდა სიკვდილის წინ.

მიდიოდა პირდაპირ, თითქოს წინ რაღაცას ხედავსო. თვალები ისე უბრწყინავდა, თითქოს შორს მონავარდე სულის ანარეკლიაო. მან შესძახა:

— დიახ!

ყოველი ნაბიჯი ბაქნის ნაპირთან აახლოებდა.

მიდიოდა, ხელები მაღლა აეპყრო, თავი აეწია, ერთ წერტილს მისჩერებოდა და აჩრდილივით მოძრაობდა.

არცა ჩქარობდა, არც ბარბაცებდა; მიაბიჯებდა მტკიცედ და ურყევად, თითქოს მის წინ არც ჯურღმული იყო განრთხმული და არც ღია სამარე. თან ჩურჩულებდა:

— დაშშვიდდი, დეა, შენთან მოვდივარ. მშვენივრად ვხედავ, შენ მანიშნებ, აქეთ წამოდიო.

გუინპლენი თვალს არ აშორებდა ერთ წერტილს ცაზე. იღიმებოდა.

ცა მთლად ჩაშავებულიყო.

ვარსკვლავები არა ჩანდა, მაგრამ ის უსათუოდ რომელიღაც ვარსკვლავს ხედავდა.

გემბანი გადასერა.

კიდევ რამდენიმე გადამწყვეტი, საბედისწერო ნაბიჯი გადადგა და ზედ ბაქნის ნაპირზე გაჩნდა.

— მოვდივარ! აი, უკვე მოვედი, დეა! — წარმოთქვა მან.

და გზა განაგრძო. ბაქანი შემოფარგლული არ იყო. გუინპლენის წინ ჯურღმული ჩაშავებულიყო. მან ნაბიჯი გადადგა და ჩავარდა.

ღამე კუპრივით შავი იყო, წყალი ღრმა. გუინპლენი ჩაიძირა. ეს იყო მდუმარე შთანთქმა წყვდიადში. არავის არაფერი დაუნახავს და არც გაუგონია. ხომალდი ისევ წინ მიიწევდა. მდინარეც წინანდებურად მიაგორებდა თავის ზვირთებს.

ცოტა ხნის მერე შხუნა ოკეანეში გავიდა.

როდესაც ურსუსი გონს მოვიდა და თავი წამოსწია, გუინპლენი აღარსად ჩანდა, ჰომო ბაქნის ზედ ნაპირს მისდგომოდა, ზღვას გასცქეროდა და შესაბრალისად ყმუოდა სიბნელეში.

შენიშვნები:

გვ. 5. **ვოჟირარი** — პარიზის გარეუბანი; მეცხრამეტე საუკ. ნახევრიდან ქალაქის ერთ-ერთი ოლქი.

JE T'AIME — მიყვარხარ (ფრანგ.).

გვ. 10. **დემოკრიტე** — (460-370) ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსი, მატერიალისტი. მას დიდად აფასებდა კარლ მარქსი. მისი ცხოველმყოფელი მოძღვრების გამო ძველ საბერძნეთში დემოკრიტეს „მოცინარ ფილოსოფოსს" უწოდებდნენ.

PSEUDODOXIA EPIDEMICA — გადამდები ცრუმეცნიერება.

გვ. 11. **ლაქტანციუსი** — (დაახლ. 250-330) რომაელი საეკლესიო მწერალი, მისი აზრით, წარმართები უკვე აღიარებდნენ ერთღმერთიანობას.

სილვესტრ მეორე — რომის პაპი (999-1003).

დიოსკორიდე (I საუკ. ახ. წ. აღ.) — ბერძენი ექიმი, სწავლობდა სამკურნალო ბალახებს. მისი თხზულებები საფუძვლად დაედო შუა საუკუნეების მედიცინას.

ქრიზიპე — (281-207 ძვ. წ. აღ.) ბერძენი ფილოსოფოსი.

იოსებ ფლავიუსი — (37-100) — ებრაელი ისტორიკოსი. ცხოვრობდა რომის იმპერატორ ვესპასიანეს კარზე.

კადმუსი — ძველი ქალაქის თებეს მითური დამაარსებელი საბერძნეთში.

გვ. 12. **კლავდიუს პულხრი** — (III საუკ. ძვ. წ. აღ.) კართაგენსა და რომს შორის წარმოებული პუნიკური ომისდროინდელი რომის კონსული. გადმოცემით, მიუხედავად ქურუმთა წინასწარმეტყველებისა (საღმრთო ქათმებმა არ აკენკეს მათთვის დაყრილი საკენკი) დაიწყო ბრძოლა და დამარცხდა კიდეც.

ვესპასიანე — ტიტე ფლავიუსი (69-79) რომის იმპერატორი.

ორიონი — (აქ) ეკვატორული კამკაშა თანავარსკვლავედი.

იუპიტერი — ძველ ბერძენთა უზენაესი ღმერთი და შხის სისტემის უდიდესი პლანეტის სახელწოდება.

მერკური — ძველ რომაელთა ვაჭრობის ღმერთი და შხესთან ყველაზე ახლოს მდებარე პლანეტა.

გვ. 14. **ვესტა** — რომაელთა ქალღმერთი, საოჯახო კერის მფარველი. მის საკურთხეველზე ქალწულებად შეთქმული ქურუმი ქალების მიერ დანთებული მუდმივი ცეცხლი ენთო.

CHIRURGUS SUM — ქირურგი ვარ.

გვ. 19. **„ვოლტერს რომ არ ეზრუნა შექსპირის სახელის განთქმაზე"**

— ვოლტერი (1694-1778) — ფრანგი განმანათლებელი, პოეტი, დრამატურგი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი; პირველად ფრანგულ ენაზე თარგმნა შექსპირის ტრაგედია „იულიუს კეისარი“.

ციცერონი — (106-43 ძვ. წ. აღ.) სახელგანთქმული ორატორი ძველ რომში.

ატრობატები, ბელგები, პარიზიანები — ტომთა სახელები, რომელნიც ძველად თანამედროვე საფრანგეთისა და ინგლისის ტერიტორიაზე სახლობდნენ.

გვ. 24. **ჰორტენზიუსი** (II ს. ძვ. წ. აღ.) — ძველი რომის ორატორი.

გვ. 25. **ბოლინბროკი** — ჰენრი სენტ ჯონი (1678-1751) — ლორდი, ინგლისელი დიპლომატი და ფილოსოფოს-მატერიალისტი. ანა დედოფლის პირველი მინისტრი. ლოკის მიმდევარი. რელიგიისადმი სკეპტიკურად განწყობილი იყო, მაგრამ ეკლესია მიაჩნდა ხალხის მასების დამონებისათვის სასარგებლო იარაღად. იყო ვოლტერის მეგობარი.

გვ. 30. **დანიელ დეფო** — (1660-1731) — „რობინზონ კრუზოს“ ავტორი, ჟურნალისტი, პამფლეტისტი და პოლიტიკური მოღვაწე. სასულიერო წოდების სატირული განსახიერებისათვის სამარცხვინო ბოძზე გაკვრა და პატიმრობა მიუსაჯეს.

გვ. 33. **IN OMNI RE SCIBILI** — ყველა საგანში, რაც შემეცნებისათვის მისაწვდომია. (ლათ.).

მინოსი, ეაკი და რადამანტი — მკვდართა სამყაროს მსაჯულნი (ბერძნ. მითოლოგიით).

GARRULE, SANA TE IPSUM — ყბედო, თავად განიკურნე. (ლათ.).

გვ. 34. **TRES FACIUNT CAPITULUM** — სამი კაპიტულს შეადგენს. (ლათ.).

გვ. 35. **ფარსალის ბრძოლა** — (48 წ. ძვ. წ. აღ.) — ეპიზოდი ძველი რომის ისტორიიდან. იულიუს კეისარსა და პომპეუსს შორის ხელისუფლებისათვის ბრძოლის პერიოდში. ამ ბრძოლაში პომპეუსი დამარცხდა.

ბრუტუსი, მარკოს იუნიუსი — (85-42 ძვ. წ. აღ.) — რომის სენატორთა შეთქმულების მეთაური, შეთქმულება მიმართული იყო იულიუს კეისრის დიქტატურის წინააღმდეგ.

კასიუსი — (გარდაიცვალა 42 წ. ძვ. წ. აღ.) — რომის პატრიცი, შეთქმულების მონაწილე. ესეც, როგორც ბრუტუსი იულიუს კეისრის მოკვლის შემდეგ დამარცხდა და თავი მოიკლა.

აქტეონი — ყრმა მონადირე, რომელმაც გაბედა და ნადირობის ქალღმერთს, შიშველ არტემიდეს შეხედა, რის გამოც არტემიდემ იგი ირმად გადააქცია და ძაღლებს დააფლეთინა (ბერძნული მითოლოგიით).

მითრიდატე VI — (132 ძვ. წ. აღ.) — პონტოს მეფე. შეუპოვარ ომს აწარმოებდა რომთან.

გვ. 36. **სციპიონ აფრიკელი** — (234-183 ძვ. წ. აღ.) რომაელი მხედართმთავარი, რომელმაც სახელი გაითქვა კართაგენის წინააღმდეგ ომში.

გვ. 37. **ელიანი** — (დაახლ. 170-235 წ.) რომაელი ავტორი. წერდა ბერძნულ ენაზე.

ოპიანე (II საუკ. ახ. წ. აღ.) ბერძენი პოეტი.

გვ. 38. **მანდრაგორა** — მცენარე, რომლის ფესვებს შუა საუკუნეებში სასწაულებრივ თვისებას მიაწერდნენ.

გვ. 39. **ფენიქსი** — ლეგენდარული ფრინველი. ძველთა რწმენით მას თვისებად ჰქონდა ფერფლიდან აღმდგარიყო.

პლუტარქე (დაახლ. 46-125) — ბერძენი ისტორიკოსი, ჩვენს დრომდე მოღწეული ნაშრომის „საბერძნეთისა და რომის სახელოვანი ადამიანების ცხოვრების“ ავტორი.

გვ. 39. **პარიზატიდა** — სპარსეთის მეფის დარიოსის (მეხუთე საუკ. ძვ. წ. აღ.) მეუღლე. მკაცრი და უფლების მოყვარე დედაკაცი, სიცოცხლე მოუსწრაფა თავისი ვაჟიშვილის ყველა მტერს.

ემანუელ ტრემელიუსი (1510-1580) — იტალიელი მეცნიერი ალმოსალეთმცოდნე, იტალიიდან გაექცა ინკვიზიციას.

გვ. 42. **TURDUS SIBI MALUM CACAT** — შაშვი თავის საუბედუროდ სკინტლავს.

გვ. 47. **EL MOZO** — მსახური (ესპ.).

MUCHACHO — ბიჭი, მსახური (ესპ.).

გვ. 53. **ბედლამი** — დამახინჯებული სახელი ლონდონში არსებული დიდი ფსიქიატრიული საავადმყოფოსი (ბეთლემის საავადმყოფო), რომელიც საგიჟეთის აღმნიშნელ სახელად იქცა.

გვ. 56. **ABYSSUS ABYSSUM VOCAT** — უფსკრული უფსკრულს უხმობს (ლათ.).

გვ. 60. **დაფნისი და ქლოა** — შეყვარებულები, მწყემსი ვაჟი და მწყემსი ქალი, ლონგის (II-III საუკ.) იმავე სახელწოდების რომანში.

ფილემონი და ბაუკიდე — ცოლ-ქმარი, რომლებმაც ღრმა მოხუცებულობამდე შეინარჩუნეს ერთმანეთისადმი ნაზი ურთიერთგანწყობილება და სიყვარული (ბერძნული მითოლოგიით).

ავიცენა (980-1037) — არაბი ფილოსოფოსი და მეცნიერი.

გვ. 63. **პიგმალიონი** — მოქანდაკე-მხატვარი, თვისივე გამოძერწი-

ლი მშვენიერი ქალწულის გალათეას ქანდაკება შეუყვარდა. ღმერთმა სიცოცხლე შთაბერა ქანდაკებას და გალათეა მოქანდაკის ცოლი გახდა (ბერძნული მითოლოგიით).

გვ 70. **ემპირიუმი** — ბერძნულ მითოლოგიაში ქვედებოდა ზეცას, სადაც ღმერთები სუფევდნენ. ამჟამად იხმარება ირონიული მნიშვნელობით.

გვ 70. **ადონისი** — ბერძნული მითოლოგიის გმირი, ჭაბუკური სილამაზის განხორციელება.

გნაფრონი — ფრანგული თოჯინების თეატრის მახინჯი, კომიკური თოჯინა.

გვ 71. **ანტინოუსი** — სილამაზით განთქმული ჭაბუკი, რომელიც ძალიან უყვარდა იმპერატორ ადრიანეს (86-138). მისი გამოსახულება ხშირად გვხვდება ანტიკურ ქანდაკებათა შორის.

გვ 78. **დედა ბატი** — ფრანგული პერსონაჟი.

გვ 80. **მედუზა** — ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ერთ-ერთი სამ გორგონათაგანი, ფრთოსან ქალ-ურჩხულთაგანი. მისი ერთი შეხედვითაც კი ადამიანი შიშისაგან ქვავდებოდა.

გვ 84. **LEX, REX, FEX** — კანონი, მეფე, მდაბიონი (ლათ.).

HABEAS CORPUS — სტიუარტების რესტავრაციის შემდეგ მეფის აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიის ბრძოლის პერიოდში, 1679 წელს ინგლისის პარლამენტის მიერ გამოცემული კანონი, რომლის მიზანი იყო ბურჟუაზიისათვის პირადი თავისუფლების გარანტიის აღიარება.

რობერტ უოლპოლი, გრაფი — ინგლისის სახელმწიფო მოღვაწე, პრემიერ-მინისტრი, რომელმაც ხელისუფლება ოც წელიწადზე მეტხანს შეინარჩუნა (1721-1742). სარგებლობდა დიდი გავლენით, რასაც უმთავრესად ქრთამის საშუალებით აღწევდა. ეს მოვლენა დამახასიათებელი გახდა ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში. უოლპოლმა ხელი შეუწყო ინგლისის კოლონიურ ბატონობას.

თეოდორ ნეიჰოფი (1686-1756) — ავანტიურისტი, ავსტრიის პრუსიდენტი ფლორენციაში. მეფედ აკურთხა კორსიკაში 1736 წელს. შემდეგ გაიქცა, დიდხანს იხეტიალა ევროპის ქვეყნებში.

ფემპერიხტი — შუა საუკუნეების გერმანული სამსჯავრო. ფემპერიხტს განაჩენი საიდუმლოდ გამოჰქონდა და საიდუმლო მკვლელობითვე მოჰყავდა იგი სისრულეში.

იუსტინიანე — ბიზანტიის იმპერატორი (527-565), მის დროს ჩატარდა რომაული კანონების შეკრება (იუსტინიანეს კოდექსი).

გვ. 85. **CANES LATRANT, SERGENTES SILENT. — SERGENTER AGEE, ID EST TECERE*** — ძაღლები ყეფენ, კანონის მსახურნი დუმან. — კანონს ემსახურებოდე, ეს ნიშნავს დუმდე (ლათ.).

FACIT IMPERATOR SILENTIUM — იმპერატორი დუმილს ამყარებს (ლათ.).

MULTOS TENEBIMUS BASTONERIUS QUI, OBMUTESCENTES, SEGENTARE VALEANT — ჩვენ უნდა გვყავდეს მრავალი კერთხისმტვირთავი, რომელთაც ეკალებათ უხმოდ შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი. (ლათ.).

SURGE SIGNO JUSSUS. TACITURNIOR ESTO. HOZ EST ESSE IN CAPTIONE REGIS — ფეხზე იდექ, ნიშნის სახით მიღებული ბრძანებით იყავ მდუმარე, ასე უნდა მოიქცეს მეფის ბრძანებით დაპატიმრებული (ლათ.).

როჯერ მორტიმერი (დაახლ. 1286-1330) — ედუარდ III სრულწლოვანებამდე მართავდა ინგლისს, ედუარდის დედა დედოფალ იზაბელასთან ერთად. შემდგომში ედუარდმა იგი სიკვდილით დასაჯა.

VETUS CONSUETUDE NORMANIAE M. S. — ძველი ნორმანდიული ხელნაწერი სტატუტი (ლათ.).

CHARTA LUDOVICI HITINI PRO NORMANIS — მახვილის მსახურნი — ლუდოვიკო მერვის ქარტიიდან ნორმანდების შესახებ (ლათ.).

SERVIENTET SPATHAE — სერჟანტები დაშნისა (ლათ.).

გვ. 86. **უორიკი რიჩარდ ნეველი** — (1428-1471) — მეტსახელად „მეფეების მკეთებელი", — „წითელი და თეთრი ვარდების შინა ომების" ეპოქის მსხვილი ინგლისელი ფეოდალი, რომელიც ხან იორკთა საგვარეულოს უჭერდა მხარს, ხან ლანკასტერთა საგვარეულოს.

გვ. 87. **გეორგ III** — ინგლისის მეფე (1760-1820), სახელმწიფოს მართვას პარლამენტის დაუკითხავად ცდილობდა, ე.წ. „მეფის მეგობრებს" ეყრდნობოდა. ეს იყო ინგლისელ მეფეთა დაგვიანებული და ამაო ცდა, რათა მართვა-გამგეობა აბსოლუტიზმის მეთოდებით განეხორციელებინათ.

ტახტის მოცილე — იგულისხმება იაკობ II-ის ვაჟიშვილი, იაკობ სტიუარტი, რომელიც არაერთხელ, მაგრამ ამაოდ, ეცადა ტახტი ჩაეგდო ხელში.

გვ. 91. **ტრისტან განდგილი** — საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო მეთერთმეტის (1461-1483) დროინდელი მსაჯული და ჯალათი, გამოირჩეოდა უკიდურესი დაუნდობლობით.

გვ. 93. **შენონსო** — მეფის სასახლე საფრანგეთში. ქ. ტურის მახლობლად, აშენებულია მდ. შერის ნაპირას მეთექვსმეტე საუკუნეში.

გვ. 94. **ჯონ ჰოვარდი** — (1725-1790) — ინგლისელი ფილანთროპი, ციხეთა რეფორმატორი.

გვ. 96. **სენ სიმონი** — ლუი დე რუვრუა — ჰერცოგი და პერი საფრანგეთისა (1675-1755) ცნობილია როგორც ავტორი საყურადღებო მემუარებისა, სადაც აღწერილია ლუდოვიკო მეთოთხმეტისდროინდელი სასახლის კარის პარაზიტული ცხოვრება. მემუარების მაძიებელი ხასიათი იმდენად აშკარა იყო, რომ სენ სიმონის გარდაცვალების შემდეგ პოლიციამ დალუქა მისი ხელნაწერები. მათი სრული სახით გამოცემა მხოლოდ 1829-1831 წლებში მოხერხდა.

გვ. 97. **ესკვაირი ანუ სკვაირი** — ინგლისელი არისტოკრატი.

ედუარდ მეორე — ინგლისის მეფე (1307-1327), ბარონებმა დაამხეს და მალე დაიღუპა საპყრობილეში.

ჰენრიხ მეოთხე — ინგლისის მეფე (1399-1413) — ლანკასტერთა სამეფო საგვარეულოს ფუძემდებელი. თავდაზნაურობასა და საეკლესიო ბურჟუაზიაზე დაყრდნობით ებრძოდა ფეოდალურ არისტოკრატიას.

გვ. 100. **რენე დ'არჟანსონი** — მარკიზი (1625-1721), ოც წელიწადზე მეტხანს იყო ლუდოვიკო მეთოთხმეტის პოლიციის უფროსი, შიშის ზარს სცემდა მთელ მოსახლეობას, თვით არისტოკრატიასაც კი.

გვ. 103. **დიაფრაგმა** — აქ ნახმარია სასმენი აპარატის მგრძნობიარე აპკის მნიშვნელობით.

გვ. 108. **ფენიები** — „ფენიანელთა ძმობის" წევრები — მიზნად ისახავდნენ ირლანდიის განთავისუფლებას ინგლისის ბატონობისაგან. 1867 წ. ფენიები უშედეგოდ ეცადნენ ხელში ჩაეგდოთ ინგლისში ჩესერის ციხესიმაგრე და თოფ-იარაღი. იმავე წელს დაიწყეს აჯანყება ირლანდიაში, რომელიც სასტიკად ჩაახშო ინგლისის არმიამ.

1867 წელს ერთ კაცს მიუსაჯეს შაყის კვრა, ეს უფრო იმისათვის, რომ მისი გაგლეჯილი გვამი ქალისათვის — დედოფლისათვის მიერთმიათ — ირლანდიელი ფენიას ბიურკე (1867 წლის მაისში)

გვ. 114. **ჰენრიხ V** — მეორე მეფე ლანკასტერთა სამეფო საგვარეულოდან (1413-1422).

გვ. 121. **BUCCA FISSA USQUE AD AURES** — პირბაგე ყურებამდე გახეული (ლათ.).

გვ. 132. **ბიდლოუ რობერტი** — (1649-1713) — ჰოლანდიელი ექიმი და ბუნებისმეტყველი.

გვ. 133. **პიერ-ფრანსუა ლასნერი** — (1800-1836) — პარიზში საჯა-

როდ დასჯილი ბოროტმოქმედი, სიკვდილით დასჯის შემდეგ მალე გამოიცა მისი მოგონებები.

ქრისტინა — (1626-1689) — შვედეთის დედოფალი. 1654 წ. ტახტიდან გადადგა და საცხოვრებლად პარიზში გადავიდა.

ჯიოვანი მონალდესკი — მარკიზი, შვედეთის დედოფლის ფავორიტი, მის მიერ ღალატში მხილებული. მოკლეს 1657 წ.

ტიბერიუს კლავდიუსი — რომის იმპერატორი (14-37), სასტიკი და პირმოთნე ტირანი. ხალხის შურისძიების შიშით იგი ყველას ეშალებოდა კუნძულ კაპრიშზე.

გვ. 134. **ფილიპე II** — ესპანეთის მეფე (1527-1598) დესპოტი. ცდილობდა განემტკიცებინა აბსოლუტიზმი ესპანეთში. ინკვიზიციის დახმარებით სასტიკად ებრძოდა პროტესტანტებს. მისი მეფობის დროს ნიდერლანდებმა რევოლუციური ომი დაიწყო დამოუკიდებლობისათვის.

სიმანკასის არქივები — პატარა ქალაქ სიმანკასში შემონახული ესპანეთის მეფეთა არქივები, მოთავსებული ძველი ციხესიმაგრის 46 დარბაზში. ყველაზე სრულად აქ წარმოდგენილი იყო დოკუმენტაცია მეთხუთმეტე საუკუნის დასასრულიდან მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ მეოთხედამდე. არქივში შესვლა აკრძალული იყო.

გვ. 136. **აბდოლონიმე** — (IV ძვ. წ. აღ.) — სიდონელ მეფეთა შთამომავალი, მუშაობდა უბრალო მებაღედ. ალექსანდრე მაკედონელმა სიდონის აღების შემდეგ იგი ტახტზე დასვა.

გვ. 146. **სენეგალი** — საფრანგეთის კოლონია აფრიკაში.

ჰუმბოლდტი — ალექსანდრე-ფრიდრიხ-ვილჰელმი (1769-1859) — ცნობილი გერმანელი გეოგრაფი და ბუნებისმეტყველი.

გვ. 152. **ედუარდ მოხუცი** — ინგლისის მეფე (901-925)

გვ. 154. **იაკობ მეექვსე** — ირლანდიის მეფე, იაკობ I-ის სახელწოდებით იყო ინგლისის მეფეც. (1603-1625) მან თავის ხელისუფლებას ორივე აღნიშნული სამეფო დაუმორჩილა.

გვ. 161. **სცილა და ქარიბდა** — ზღვის სანაპიროს ვიწრო სრუტის კონცხებზე მცხოვრები ორი ურჩხული (ბერძნ. მითოლოგ.). გამოთქმა „სცილასა და ქარიბდას შორის" აღნიშნავს ორმხრივ მოსალოდნელ საფრთხეს შორის.

გვ. 179. **ალფონსო ალბუკერკი** — (1452-1515) — მეზღვაური, პორტუგალიის მიერ კოლონიების დაპყრობათა ეპოქის კოლონიზატორი.

გვ. 180. **იუვენილი** — (I-II საუკ.) — უძველესი რომის მწერალი-სატირიკოსი, რომელიც თავის ნაწარმოებებში ამხილებდა იმდროინდელი იმპერატორული რომის ზნე-ჩვეულებებს.

გვ 183. **ფრანცისკ I** (1494-1547) — საფრანგეთის მეფე. მისი მეფობა საფეხური დაედო ამხილებლობების განვითარებას საფრანგეთში.

გვ 184. **BOS IN LINGUA** — ხარი ენაზე (ლათ.).

გვ 186. **ოთდაბის მეფე** — ბერძნულ გადმოცემათა თანახმად მან გაბედნა იპოვნა სიტყვის ყველასათვის გაუგებარი საიდუმლოებანი.

გვ 188. **MOENIBUS SURDIS, CAMPANA MUTA** — კედლები ყრუა, ზარი მუნჯი.

გვ 200. **POST HOC, NON PROPTER HOC** — მას შემდეგ, ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის გამო (ლათ.).

გვ 205. **FIAT LUX** — იყოს ნათელი (ლათ.).

გვ 208. **ჰერცოგი გიზი ჰენრიხი** — (1550-1588) — კათოლიკეთა რეაქციული ლიგის ერთ-ერთი მეთაური საფრანგეთში სარწმუნოებრივი ომის პერიოდში. მოკლეს მეფე ჰენრიხ III-ის ბრძანებით, სახახლის კარზე მიწვიბილი წყვლების დროს.

გვ 210. **ატრიდები** — ძველბერძნული გადმოცემით, ატრიდთა საგვარეულოს ბრალად ედო სამინელი პირსისხლიანი ბოროტებანი.

პლანტაგენები — სამეფო საგვარეულო ინგლისში (1154-1485)

მედიჩები — ფლორენციის გამგებელ ჰერცოგთა საგვარეულო.

ERROR CIRCUMFLEXUS LOCUS IMPLICITUS GYRIS — გზის აბნეული სამალავი, თავისი რთული მიხვეულ-მოხვეულებით

გვ 211. **ფერია მაბი** — ინგლისური ზღაპრების პერსონაჟი.

გვ 212. **ტარასკი** — ზღაპრული საზარელი ურჩხული.

გვ 214. **CAN-AL-PIE** — პატარა ძაღლი ფერხთით (ესპ.).

გვ 215. **SUB CLARA NUDA LUCERNA** — შიშველი ქალი გაჩაღებულ ლამპართან (ლათ.).

გვ 216. **AL CORANUS MAHUMEDIS** — ყურანი მუჰამედისა (ლათ.).

გვ 219. **ცერბერი** — სამთავა ავი ქოფაკი, ქვესკნელში მიცვალებულთა სამყაროს მოდარაჯე.

ჰებე — მარადი ყრმობის ქალღმერთი (ბერძნ. მითოლოგიით)

გვ 220. **რობერ დამიენი** — შინამოსამსახურე, 1787 წლის 5 იანვარს ლუდოვიკო მეთხუთმეტის მოკვლას შეეცადა, თავის განზრახვას იგი იმით ხსნიდა, რომ სურდა ეგრძნობინებინა დედოფლისათვის ის საშინელი მდგომარეობა, როგორშიც მეფემ საფრანგეთი ჩააყენა თავისი დესპოტობით. დამიენი სასტიკად აწამეს.

გვ 222. **პერიკლე** — ათენის მმართველი (444-429წ. ძვ. წ. აღ.) საბერძნეთის აყვავების ეპოქაში.

ფიდიუსი — (მეხუთე საუკ. ძვ. წ. აღ.) — ძველი საბერძნეთის უდიდესი მოქანდაკე.

გვ 223. **ალდებარანი** — პირველი სიდიდის ვარსკვლავი კურის თანავარსკვლავედში.

გვ 226. **კლეოპატრა** — (69-30 ძვ. წ. აღ.) — ეგვიპტის უკანასკნელი დედოფალი.

გრაფის მეუღლე დე შევრეზი, პერცოგის მეუღლე დე ლონგვილი — ფრანგი არისტოკრატი ქალები, ფრონდის მონაწილენი, განთქმულნი სილამაზითა და სატრფიალო თავგადასავლებით.

გვ 230. **როდოპისი** — ბერძენი კურტიზანი ქალი, (მეხუთე საუკ. ძვ. წ. აღ.) გაყიდეს ტყვედ ეგვიპტეში, სადაც გადმოცემით ფარაონის ცოლი გახდა.

ფთე (ან ფტა) — ძველ ეგვიპტელთა მითოლოგიით ზეცისა და დედამიწის შემქმნელი.

პენთესილეა — (ბერძნ. მითოლოგ.) ამორძალთა (მეომარ ქალთა) დედოფალი; ომიანობის ღმერთ არესის ქალიშვილი.

კენტავრი — ბერძნული მითოლოგიის ზღაპრული ცხოველი ცხენკაცი, მშვილდოსანი მოისარი — ზოდიაქოს თანავარსკვლავედის პლანეტა, რომელსაც გამოხატავდნენ როგორც მშვილდ-ისარმომარჯვებულ კენტავრს.

ანა ავსტრიელი — (1601-1666) — საფრანგეთის დედოფალი, ლუდოვიკო მეცამეტის ცოლი. ქრისტეს სიკვდილის შემდეგ საიდუმლოდ ჯვარი დაიწერა კარდინალ მაზარინზე.

გვ 231. **ესქილე** — (525-456 ძვ. წ. აღ.) — ძველი საბერძნეთის უდიდესი მწერალი.

გვ 243. **CURIA ERAT SERENA** — სასამართლო მშვიდი იყო (ლათ.).

გვ 246. **E PUR SI MUOVE** — მაგრამ იგი მაინც მოძრაობს (იტალ.)

გვ 252. **ბრძოლა ფონტენუასთან** — ფრანგთა გამარჯვება ინგლისის, ჰოლანდიისა და ავსტრიის ჯარებზე 1745წ. ავსტრიის მემკვიდრეობისათვის წარმოებულ ომში.

გვ 253. **LIBRARIAN** — ბიბლიოთეკარი (ინგლ.)

გვ 254. **„უარყოფთ თუ არა, თქვენო მოწყალებავ, დოგმატს“** — გუინპლენმა უნდა განაცხადოს, რომ კათოლიკე არ არის; ინგლისის კანონმდებლობის თანახმად კათოლიკეები არ შეიძლებოდა პარლამენტის წევრები ყოფილიყვნენ.

გვ 256. **ანდრე ფუენი** (მეთექვსმეტე საუკ. მეორე ნახევარი) — ფრანგი ისტორიკოსი.

გვ 257. „1075 წელს ბარონები უკვე თავიანთ ძალაუფლებას ამცლაებდნენ მეფის წინაშე და მერე რომელი მეფის! უილიამ დამპყრობლის წინაშე“ — ინგლისის ფეოდალიზაციაში, რომლის საყრდენსაც გლეხთა დაშინება წარმოადგენდა, ერთნაირად იყვნენ დაინტერესებული ინგლისელი და ნორმანდიელი ბარონები და მათი მეფე უილიამ დამპყრობელი. უთანხმოება მათ შორის გამოწვეული იყო არა ამ პროცესის შინაარსით, არამედ ფორმით. უილიამ დამპყრობელი და მისი შემდგომი მეფენი ცდილობდნენ დაემკვიდრებინათ ინგლისში მეფის ძლიერი ხელისუფლება, რამაც ინგლისში ფეოდალიზმის თავისებურება წარმოშვა. ბარონები თავიანთი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ამაოდ ეწინააღმდეგებოდნენ მეფეს.

„საშინელი სამსჯავროს წიგნი“ DOOMSDAY BOOK მიწის საყოველთაო აღწერა, რაც გლეხთა მიწაზე დამკვიდრების აქტს წარმოადგენდა. მან კი არ „ჩაუყარა საფუძველი ფეოდალიზმს“ როგორც პიუგო წერს, არამედ პირუკუ, იგი ასახავდა უკვე დამკვიდრებულ ფეოდალურ ურთიერთობას. მიწის საყოველთაო აღწერა ჩატარდა არა ბარონთა ინიციატივით, არამედ მეფის ბრძანების თანახმად აღმწერთა მიერ, რომელთაც, როგორც „საშინელ სამსჯავროს“ ვერაჟინ დაემალებოდა.

გვ 257. **ფილიპე ავგუსტოს II** — მეფე საფრანგეთისა (1180-1223) — მისი მეფობის დროს შეუპოვარი ბრძოლა წარმოებდა საფრანგეთისა და ინგლისს შორის, ჩრდილოეთ საფრანგეთის ვრცელი სამფლობელოებისათვის. ფილიპე ავგუსტოსმა სძლია ინგლისის მეფეს, იოანე უსახელოს.

ინოკენტი მესამე — რომის პაპი (1198-1216), ერეოდა მთელი დასავლეთ ევროპის საეკლესიო საქმეებში ინგლისისა და საფრანგეთის მეფეებს შორის ომის პერიოდში. თავისი ინტერესებისათვის გამოიყენა ბარონების აჯანყება იოანე უმიწაწყლოს წინააღმდეგ და ამ გზით დაიმორჩილა ინგლისის მეფე.

გვ 258. **ფილიპე მეოთხე მშვენიერი** — საფრანგეთის მეფე (1285-1314). მეფის ხელისუფლების განმამტკიცებელი. ინგლისის კუთვნილი აკვიტანიისათვის წარმოებული დიპლომატიური ბრძოლა ფილიპე მეოთხესა და ინგლისის მეფე ედუარდ პირველს შორის დასრულდა ფილიპეს ქალიშვილ იზაბელასა და ედუარდ პირველის ვაჟის, ედუარდ მეორის ქორწინებით.

ომი თუთრსა და წითელ ვარდებს შორის — (1455-1485) — ტახტისათვის ბრძოლა ლანკასტერებისა (რომელთა გერბზე წითელი ვარდი იყო ასახული) და იორკელების (თეთრი ვარდი გერბზე) საგვარეულოებს

შორის. ამ შინა ომში ფეოდალები ერთმანეთს ელეტდნენ. მათი დასუსტებით ისარგებლა ტიუდორთა საგვარეულომ და ჰენრიხ მეშვიდის სახით ხელთ იგდო ინგლისის სამეფო ტახტი. დაიწყო ინგლისის აბსოლუტიზმის ეპოქა.

უოტ ტაილერი, ლოლარდები, უორიკი — უოტ ტაილერი — გლეხთა აჯანყების ერთ-ერთი ბელადი ინგლისში. მისი ბიოგრაფია თითქმის სრულიად უცნობია. ფეოდალთაგან გლეხთა ექსპლუატაციამ, გლეხთა სათემო მიწების ხელში ჩაგდებამ, საფრანგეთთან ხანგრძლივი ომით (ასწლიანი ომი) გამოწვეულმა საგლეხო გადასახადების უკიდურესმა გაზრდამ 1381 წლის გლეხთა აჯანყება წარმოშვეს; გლეხები მოითხოვდნენ ბატონყმობის გაუქმებას. მეფე რიჩარდ მეორესთან მოლაპარაკების დროს უოტ ტაილერი ღალატით მოკლეს, აჯანყება ჩაახშვეს.

ლოლარდები — ფართო საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელშიც ე.წ. „ღატაკ ძმათა“ სარწმუნოებრივი სექტანტობით ხალხთა მასების ეკონომიკური მოთხოვნები აისახა. როგორც უოტ ტაილერის აჯანყება, ისე ლოლარდების მოძრაობა აშკარად გამოხატავდა ფეოდალური წყობის საწინააღმდეგო მოვლენას. მაშინ, როდესაც უორიკისა და მისი მსგავსი ბარონების ამბოხი ფეოდალების ძალაუფლების გამოვლინება იყო.

გვ 259. **... ჰენრიხ მეოთხის წინააღმდეგ წამოაყენებდნენ ცრუ რიჩარდებს.** — ინგლისის მეფე ჰენრიხ მეოთხემ, ლანკასტერების საგვარეულოს წარმომადგენელმა (1366-1413), დაამხო იორკელთა საგვარეულოს წარმომადგენელი რიჩარდ მეორე, რომელიც შემდეგ ტაუერის ციხეში მოკლეს. მეფესთან ბრძოლაში ფეოდალური არისტოკრატია წამოაყენებდა ხოლმე ცრუ რიჩარდებს, რომლებიც აცხადებდნენ, სიკვდილს გადაურჩითო.

მარგარიტა ანჟუელი — (1429-1481) — ინგლისის გონებასუსტი მეფის, ჰენრიხ მეექვსის ცოლი. მეთაურობდა ლანკასტერების პარტიას წითელი და თეთრი ვარდების ომის დროს.

„ინგლისი, ბრეტონული — უტერ პენდრაგონის დროს, რომაული — კეისრის დროს, საქსონური — შვიდთა მფლობელობის დროს, დანიური — ჰაროლდის დროს, ნორმანდიული — უილიამის შემდეგ, ლორდების მეოხებით ინგლისური ხდება, ხოლო უფრო გვიან, ანგლიკანურიც.

— პენდრაგონი — კელტთა ტომების უზენაესი ბელადის სახელწოდება (55-54 წ. ძვ. აღ.) ბრიტანეთი დაიპყრო იულიუს კეისარმა და ახ. წ. აღ. მესამე საუკუნემდე იგი რომის პროვინციად დარჩა. მეოთხე-მეხუთე საუკ. ინგლისი დაიპყრეს ანგლებმა, საქსებმა და იუტებმა და დააარსეს შვიდი სამეფო — შვიდთა მფლობელობის ეპოქა. მეცხრე-მეათე საუკუ-

ნეში ინგლისი დაიპყრეს დანიელებმა; ინგლისის საშინაო-დასავლეთ დროებით გათავისუფლდა დანიელებისაგან. შემდეგ ქვლავ იქნა მათ მიერ დაპყრობილი მეფე ჰაროლდის დროს (1036-1039 წწ.). 1066 წ. ინგლისი დაიპყრო ნორმანდიელმა ჰერცოგმა უილიამ დამპყრობელმა. ფეოდალე-ბი არაფრე ცდილობდნენ, ინგლისი „ინგლისურ“ ქვეყნად გადაექცათ, როგორც შეცდომით მიაჩნია ხოლმე ხოლმეს, არამედ ნორმანდიელთაგან და-პყრობის შემდეგ, მალე გადაიღეს დამპყრობელთაგან ფრანგული ენაც და მათი ზნე-ჩვეულებაც. ინგლისი ანგლიკანური ხდება მეთექვსმეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში.

თომას უოლსეი — (1475-1530) — ჰენრიხ მერვეს დროინდელი ინ-გლისის კარდინალი და თავლსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე. ცდილობ-და სამეფო ხელისუფლება განემტკიცებინა. მისმა უხეირო საგარეო პო-ლიტიკამ და მის წინააღმდეგ ფეოდალთა გაღიზიანებამ 1529 წელს მისი მარცხი გამოიწვია.

გვ. 260. **დერჰემის სასჯელები** — (1569) — ძალაში იყო დედოფალ ელისაბედის დროს; ფეოდალური არისტოკრატიის აჯანყების ჩახშო-ბისას;.

გვ. 260. **მარიამ ტიუდორი** — ინგლისის დედოფალი (1535-1558) — მის მიერ სასტიკად დევნილი პროტესტანტები მას მარიამ პირსისხლიანს უწოდებდნენ.

გვ. 261. **ფრენსის ბეკონი** — ვერულამის ბარონი (1561-1626) — დე-დოფალ ელისაბედისა და იაკობ პირველის დროინდელი სახელმწიფო მოღვაწე. ინგლისის ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის იდეო-ლოგიის გამომხატველი, ფილოსოფოსი — მატერიალისტი. თავის პო-ლიტიკურ საქმიანობაში ბეკონი გამოდიოდა როგორც აბსოლუტიზმის მომხრე და ძველი ფეოდალური სასამართლოს სისტემის მოწინააღმ-დეგე, რის გამოც მას მოსამართლეთა კორპორაციაში მრავალი მტერი ჰყავდა. ბრალი დასდეს მექრთამეობაში და კანცლერის თანამდებობიდან გადააყენეს.

სტრაფორდი გრაფი (1593-1641) — ინგლისის მეფე კარლოს პირვე-ლის უახლოესი მრჩეველი. პირველ ხანებში ემხრობოდა პარლამენტის ოპოზიციას, მაგრამ სიმდიდრითა და წოდებებით მოხიბლულმა, მეფის მხარეზე გადასვლა არჩია. ირლანდიაში მეფისნაცვლად ყოფნისას შე-კრიბა ჯარი, მეფის პოზიციების განსამტკიცებლად. ხანგრძლივმა პარ-ლამენტმა მას ბრალი დასდო სახელმწიფოს ღალატში. მეფემ თავის გადარჩენის მიზნით და პარლამენტის ზემოქმედებით ხელი მოაწერა სტრაფორდისათვის გამოტანილ სასიკვდილო განაჩენს.

რიშელიე არმან ჟან დიუ პლესი — (1585-1642) — პერსონაჟი და კარდინალი, მეფე ლუდოვიკო მეცამეტის დროს საფრანგეთის ფაქტობრივი სრულუფლებიანი გამგებელი. რიშელიეს სახელთან დაკავშირებულია აბსოლუტური მონარქიის განმტკიცება საფრანგეთში.

გვ. 262. **არისტოკრატიისაგან ისეთი კედელი აღმართეს, რომელიც ერთი მხრიდან მეფის ნება-სურვილს ჯაბირად ელობებოდა და მეორე მხრიდან ხალხს იცავდა.** — ფეოდალები ინგლისში, რომელთაც ჯერ კიდევ მეცამეტე საუკუნეში პარლამენტის საშუალებით შეზღუდეს მეფის ხელისუფლება, როდესაც ამ ბრძოლას სათავეში უკვე ბურჟუაზია ჩაუდგა და აგრეთვე ახალი თავადაზნაურობაც. თავიანთი ინტერესების გასატარებლად მათ მიაღწიეს კიდეც გამარჯვებას. ხოლო ინგლისელი ხალხი მუდმივ და სასტიკ ექსპლუატაციას განიცდიდა, როგორც არისტოკრატიის, ისე ბურჟუაზიის მხრიდან. იცვლებოდა მხოლოდ ექსპლუატაციის ფორმები.

გვ. 270. **მატყლით საუხე ოთხი ტომარა** — მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებში ინგლისის თავადაზნაურობა და ბურჟუაზია ევროპის კონტინენტის ქვეყნებთან მატყლით ვაჭრობის გზით მდიდრდებოდა. ცხვრის მოშრაკების მიზნით გლეხობა მიწებიდან აყარეს და შიშმილისთვის გაწირეს. ამგვარი ვაჭრობით გამდიდრებულმა ბურჟუაზიამ თავისი კეთილდღეობის ემბლემად მატყლით გატენილი ტომარა საზეიმოდ აღიარა და ამ ტომრებს პარლამენტის თანამდებობის პირნი დასაჯდომად იყენებდნენ.

გვ. 272. **იაკობინელი** — მომხრე ინგლისის მეფის იაკობ მეორისა (1685-1688), რომელიც 1688 წ. ინგლისიდან განდევნეს.

გვ. 276. **პორე** — ფრანგი იეზუიტი, ასწავლიდა კოლეჯში, სადაც ახალგაზრდობისას სწავლობდა ვოლტერი.

გვ. 278. **ბორჯია-ცეზარი** (1476-1507) — კარდინალი და პოლიტიკური მოღვაწე. რომის პაპის, ალექსანდრე მეექვსის, ბორჯიას ვაჟი. მისი ცხოვრება ბოროტმოქმედებათა ჯაჭვს წარმოადგენდა. ამაოდ ცდილობდა იტალია თავის ხელისუფლებაში მოექცია.

რიჩარდ მესამე — ინგლისის მეფე, (1483-1485) — იორკის საგვარეულოს წარმომადგენელი. მეფის ტახტი ედუარდ მეოთხის შვილების დახოცვით დაიპყრო.

გვ. 281. **რიჩარდსონი** — სამეული (1689-1761) — ინგლისელი რომანისტი, რომანში „კლარისა ჰარლოუ“ შექმნა გარყვნილი მოარშიყე არისტოკრატის, ლოველასის ტიპი, რომლის სახელიც ზოგად სახელად იქცა.

გვ 283. **კატონი — მარკუს პორციუს უმცროსი** (95-45 ძვ წ აღ.) ცეზარის დაუძინებელი მტერი, არისტოკრატიული რესპუბლიკის მომხრე. აქტიური მონაწილეობა მიიღო სპარტაკის მეთაურობით მებრძოლ გლეხთა და მონათა აჯანყების ჩახშობაში 974-71 ძვ წ აღ.)

არისტიდე — (540-467 ძვ წ აღრიცხ.) — ათენის პოლიტიკური მოღვაწე, სამართლიანად წოდებული, მხედართმთავარი, ბერძენი კონსერვატორი, ისტორიკოსების წარმოდგენით სანიმუშო მოღვაწე სახელმწიფოსი.

თომას მორი (1478-1535) — „უტოპიის“ ავტორი. თავის „უტოპიაში“ მორი გამოდის ალმაყალი კაპიტალიზმის კრიტიკით წამოაყენა ქონების საკუთრების გაუქმების საკითხი და საზოგადოებრივი საკუთრებისა და კოლექტიური შრომის საფუძველზე სახელმწიფოს შექმნის იდეები. მისმა „უტოპიამ“ დასაბამი მისცა საზოგადოებრივი აზროვნების განსაკუთრებულ მიმართულებას — უტოპიურ სოციალიზმს. გლეხობისა და პლებეური მასების ქომაგი მორი ვერ შეურიგდა გლეხთა მიწიდან აყრას, მან უარი განაცხადა მეფე ეცნო ინგლისური ეკლესიის მეთაურად, რის გამოც სიკვდილით დასაჯეს.

გვ 287. **ულისე** — (ბერძნულად ოდისევსი) — პოემა „ოდისეას“ გმირი, კუნძულ ითაკის ლეგენდარული მეფე.

გვ 290 **სპიკერი** — თემთა პალატის თავმჯდომარე ინგლისის პარლამენტში.

გვ 293. **დიმი** — გადასახადი შემოსავალზე. პრებენდა — შემოსავალი საეკლესიო მიწებისაგან.

გვ 319. **CAVENDO TUTUS** — თუ გაფრთხილდები, უვნებელი იქნები (ლათ.).

ლუვრი — ფრანგ მეფეთა სასახლე, ხოლო მეთვრამეტე საუკუნის რევოლუციის შემდეგ, სამხატვრო და ხელოვნების მუზეუმი.

გვ 320. **ბასომპიერი** — (1579-1646) — ფრანგი მარშალი და დიპლომატი.

გვ 336. **კარიატიდა** — ადამიანის სხეულის გამომსახველი ქანდაკება, რომელზედაც დაბჯენილია შენობის ლაჟვარდანი ან აივანი.

გვ 339. **„იმედი სამუდამოდ გადაიწყვიტე“** — ლექსი სახელოვანი იტალიელი პოეტის, დანტეს „ღვთაებრივი კომედიიდან“ — (1265-1321).

გვ 341. **ბრანტომი** — პიერ დე ბურდეილი (1540-1614) — ფრანგი მწერალი, მემუარების ავტორი. თავის ნაწარმოებებში მოცემული აქვს იმდროინდელი ადათ-ჩვეულებების ნათელი სურათები.